

ბესარიონ ჯორბენაძე

ქართული დიალექტოლოგია

2

**თბილისი
1998**

„ქართული დიალექტოლოგია“ ავტორს
ორ წიგნად აქიხნდა ჩაფიქრებული (ასეც
აღნიშნავდა I წიგნის ანოტაციაში 1989
წელს). მაგრამ შემდეგ პრობლემების
ჩადრმავებულმა ანალიზმა ოთხი წიგნი
მოითხოვა.



ბესარიონ ჯორბენაძე 1993 წლის 10
მაისს გარდაიცვალა. მან დასრულებული
სახით დაგვიტოვა „ქართული დიალექ-
ტოლოგიის“ II და III წიგნები. ამათგან II წიგნი თითქმის მზად იყო სასტამბოდ:
III წიგნს გამოცემელთა მეტი შრომა დასჭირდება. თუმცა ისიც დასრულებუ-
ლია. IV წიგნის ფრაგმენტები დაგერჩა. მაგრამ თუ მასაც ეღობისა დღის
სინათლე, არც ის იქნება უინტერესო მკითხველისათვის.

„ქართული დიალექტოლოგიის“ მეორე წიგნის გამოცემა მნიშვნელოვან
მოვლენად გვესახება სარედაქციო-საგამომცემლო ვგუფის ძალ-ღონე არ
დაუშურებია, რომ გამოცემა უნაკლო ყოფილიყო. ყველა საქმიან შენიშვნას
მადლობით მივიღებთ.

სარედაქციო-საგამომცემლო ვგუფი:
მ. ბერიძე, კ. გაბუნია, ა. გაბუა, გ. გოგოლა შვილი (რედაქტორი),
ქ. დათუკი შვილი, ც. კვანტალიანი, მ. კიკინი შვილი,
მ. კობია შვილი, რ. ლანდია, ნ. ლოლაძე (სწავლული მდივანი),
ჭ. ქირია, რ. ქურდაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე.

მადლობას მოვახსენებთ თსუ ახალციხის ფილიალს
(დირექტორი მ. ბერიძე) წიგნის გამოცემაში გაწეული
დახმარებისათვის

თავი I

ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა

1.1. ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა. ამა თუ იმ ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობის დახასიათება იმთავითვე გულისხმობს, რომ ზედმიწევნით უნდა განისაზღვროს თვით ამ ენის ფონემათა სისტემა, რაც, თავის მხრივ, ფონემის ზუსტ, ცალსახა დეფინიციას უნდა ეფუძნებოდეს.

1.2. ფონემა და მისი ბგერითი ნაირსახეობანი: ფონემის დეფინიციას უშუალოდ არის დამოკიდებული რომელიმე ენაში ფონემათა რაოდენობრივი და თვისებრივი დახასიათება. ფონემის დეფინიციებს შორის განსხვავების გამოა, რომ ერთსა და იმავე ენაში ზოგჯერ სხვადასხვა ფონემები და მათი პოზიციური ვარიანტები გამოიყოფა. მაგალითად, რუსულ ფორმებში вѣл “მიჰყავდა და вѣду “მიჰყავდა“ (ფონეტიკური ტრანსკრიფციით [в'ѣл] და [в'ѣду]) მოსკოვის ფონოლოგიური სკოლის განსაზღვრით ერთი (Ѡ) ფონემაა, პრაღის ლინგვისტური წრის პრინციპების მიხედვით კი — ორი (Ѡ და ѡ). განსხვავებული ინტერპრეტაციის მიზეზი ისაა, რომ მოსკოვის ფონოლოგიური სკოლის თანახმად, ფონემის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს საკუთრივ ბგერათა მახასიათებლებს; არსებითია, რომ ეს ბგერები ერთმანეთის მიმართ პოზიციური ვარიანტებია და, ამდენად, ერთი ფონემის ნაირსახეობანია. პრაღელ ლინგვისტების თვალსაზრისით კი, პოზიციურად მონაცვლე ის ბგერები, რომლებსაც არ შეიძლება ჰქონდეს საერთო ფუნქციური დახასიათება, უნდა განისაზღვრონ როგორც სხვადასხვა ფონემები (მ. პანოვი). ფონემის ნაირგვარი განსაზღვრა უდევს საფუძვლად იმას, რომ თანამედროვე რუსულ ენაში ზოგი მკვლევარი ხუთ ხმოვან ფონემას გამოჰყოფს (ა, ო, უ, ე, ი), ზოგიც — ექვსს (ა, ო, უ, ე, ი, ѣ), ლ. ბულანინი — 6 (გვ. 41), ა. რეფორმატსკი-5 (გვ. 145), მ. პანოვი-5 (გვ. 149).

ეს სირთულე დაიძლევა იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება ფონემის იმანენტური განსაზღვრა.

აქ არ შეეუდგებით ფონემის განსაზღვრისათვის ამოსავალი თეორიების განხილვას. იგულისხმება მენტალისტური (ფსიქოლოგიური), ფიზიკური, მორფემატული, ფუნქციონური, ფიქციის, გლოსემატოკური თეორიები (ი. ქობალავა). რაც შეეხება ფონემის განსაზღვრას ენისა და მეტყველების დიქტომიის საფუძველზე, საყრდენ-

ნად ვიღებთ იმ დებულებას, რომ ფონემა ენის ფაქტია, ბგერა — მეტყველებისა.

ფონემის თითქმის ყველა დეფინიციაში შეტანილია მნიშვნელობის ასპექტი — იგულისხმება, რომ ფონემას აქვს მნიშვნელობათგანმასხვავებელი (დისტინქტური) ფუნქცია; მაგალითად, „[ბ] და [ფ]-ს შორის არსებული სხვაობის საშუალებით შეიძლება გამოიხატოს განსხვავება ორ სხვადასხვა გამონათქვამს შორის ანუ ორ სხვადასხვა ნიშანს შორის: ბარი და ფარი“; კერძოდ, იგულისხმება მნიშვნელობების მიხედვით განსხვავება; საქმე ისაა, რომ ფონემა განისაზღვრება „ფონოლოგიურად რელევანტური (ღირებულ) ოპოზიციის“ საშუალებით, რაც წარმოადგენს „ისეთ ბგერით ოპოზიციას, რომლის საშუალებით შეიძლება გამოიხატოს შინაარსობრივი სხვაობა ორ გამონათქვამს შორის“: სარი-ზარი, სენი — შენი, სარი — ბარი, შარი — კარი, ბალი — ბელი, ბალი — ბოლი... (ენათმეცნიერების შესავლის საკითხები).

ამის კვალობაზე მიიჩნევა: მაშინ, როცა მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში არსებულ (და, ამდენად, ფონემის დონეზე არარელევანტურ) ბგერას მნიშვნელობის განსხვავება ეკისრება, საქმე გვაქვს ამ ბგერის ფონემიზაციასთან. მაგალითად, ინგილოურში ვე (ჟე ე) → რ : -ძველ-ი → ზრლ (თან ახლავს ძ-ს სპირანტიზაცია), ხოლო ვა(ჟა) -ო:ძველ-ი → ზოლ; ზრლ „ძველი“ და ზოლ „ძვალი“ მნიშვნელობით განსხვავებული ფორმებია, სხვაობას რ — ო ოპოზიცია ქმნის. აქედან — დასკვნა: მოხდა რ ს ფონემიზაცია; ანუ: მხოლოდ პოზიციით შეპირობებული ბგერა ფონემის სტატუსით აღიჭურვა.

ამ პრინციპის თანამიმდევრული გატარება ბევრ სირთულეს ქმნის. მაგალითად, რ წარმოიქმნება მორფემათა ზღვარზე: კლ-ავ-ენ → კლ-ვ-ენ → კლ-რნ. ჩაითვალოს თუ არა რამ შემთხვევაშიც ფონემად? თუ ჩავთვლით, აღმოჩნდება: საკმარისია ეს პოზიცია მოიხსნას, რომ სულ სხვა შედეგს მივიღებთ; მაგალითად, კლ-ავ-ენ ფორმაში უკვე დაუშვებელია ვე → რ, ან: I და II პირის ფორმებში გვაქვს ვ-კლ-ავ-თ, ჰ-კლ-ავ-თ, III პირის ფორმაში — კლრნ. პარადიგმა იმას გვიჩვენებს, რომ რ-ში „შერწყმულია“ ფუძისეული ვ და მორფემისეული ე, განმარტება კი ამას ვერ ასახავს (იმ შემთხვევაში, თუ რ-ს ფონემად მივიჩნევთ). სხვა ვითარებაა, როცა გვაქვს ასეთი მიმართება: ი-ყვ-ა → ი-ყო: აქ ო ფონემაა იმის გამო, რომ ენაში იგი მხოლოდ პოზიციით არაა შეპირობებული (მდრ.: ორ-ი, ქორ-ი, ა-ქ-ო...); ოღონდ მორფოლოგიურად ხსენებული ფორმის განსაზღვრისას საჭიროა პარადიგმის ჩვენების გათვალისწინება: ვ-ი-ყავ, ი-ყავ, *ი-ყავ-ა → ი-ყვ-ა → ი-ყო; ამკარაა მორფოლოგიურად ი-ყო უნდა განისაზღვროს ი-ყვ-ა ფორმის ჩვენების მიხედვით (ი-ხმოვანი პრეფიქსი, -ყვ- ფუძე, — ა პირის ნიშანი; და არა: ი-პრეფიქსი, — ყ-ფუძე, — ო პირის ნიშანი).

ანალოგიური სირთულე ფონემის გამოყოფის თვალსაზრისით დადგება სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, ქართულში (ასევე კახურში...) ტაატ-ი და ტამტ-ი ფორმათა შედარების საფუძველზე შეიძლება დაისვას საკითხი მ ბგერის ფონემუ-

რობის შესახებ მაშინ, როცა იგი მხოლოდ შ//ს ფონემის პოზიციური ვარიანტია: ტაშტი//ტასტი. სირთულე უფრო ნათლად დაჩნდება, თუკი ყველა პარალელურ ვარიანტს ვავითვალისწინებთ: ტაშტი//ტასტი//ტაპტი // ტამსტი//ტამპტი. მსგავსი ვითარება მორფემათა ზღვარზეც გვხვდება: და-ი-წერ-ა — და-ე-წერ-ა „და-ს-წერ-ა“ (ი-და ე-გრამატიკული მნიშვნელობით განასხვავებს ამ ორ ფორმას, მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი ამ ნიშნით ე-ს ფონემატურობის შესახებ დაისვას საკითხი? ე აქ ს-ს პოზიციური ნაირსახეობაა, სხვა შემთხვევაში იგი ი-ს პოზიციური ვარიანტიც შეიძლება იყოს: დე-ე-წერ-ა ←-და-ი-წერ-ა). დაისმის საკითხი: ხომ არ არის ფონემა (ტრადიციული განმარტებით) ერთი დიალექტის ფარგლებში? არა! რადგან: ა) ტასტი//ტაშტი//ტამტი პარალელურად დასტურდება ერთსა და იმავე ტექსტში, ზოგჯერ — ერთ ფრაზაშიც კი; ბ) შენაცვლება პარადიგმაში (კლზ ნ ფორმის მაგალითზე).

ფონემის დეფინიციაში მნიშვნელობათგანსხვავების (დისტინქტური) ფუნქციის შემოტანის შესაძლებლობას ზოგი მკვლევარი იმთავითვე საეჭვოდ მიიჩნევდა.

„ბგერებს (ფონემებს) მნიშვნელობათა განმასხვავებელი ფუნქცია რომ ჰქონდეს, ენაში ომონიმიების არსებობა შეუძლებელი იქნებოდა“ — შენიშნავდა არნ. ჩიქობავა; როდესაც ფონემათა დისტინქტურ ფუნქციაზე ლაპარაკობენ, შედეგს ურევნენ მიზეზში: ქორ-ი, ქარ-ი, ქერ-ი ფორმებში განსხვავება მხოლოდ ხმოვნებით გამოვლინდა, მაგრამ ამის მიხედვით არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს ხმოვნები ამ სიტყვებში მონაწილეობენ იმისთვის, რომ მნიშვნელობა განასხვავონ. მეტიც: არაომონიმი იქცა ომონიმად: ქერხი-ხერხი → ხერხი-ხერხი.

ანალოგიურად დაისმის საკითხი ასეთი განმარტების დროსაც: ფონემები უშუალოდ მნიშვნელობებს კი არ განარჩევენ, არამედ განასხვავებენ მხოლოდ „ბგერით გარსებს“, ანუ: შესაბამისი სიტყვებისა ან მორფემების ექსპონენტებს (ი. მასლოვი). აქაც, როგორც ვხედავთ, არსებითად უარყოფილია, რომ საკუთრივ ფონემას დისტინქტური ფუნქცია აქვს.

ეს კი ნიშნავს, რომ, მაგალითად, „ქართულში დაპირისპირება სიტყვებისა „ბარი“ და „ფარი“ მიუთითებს არა იმაზე, რომ ბ და ფ ფონემები განასხვავებენ შინაარსებს „ბარი“ (სამუშაო იარაღი) და „ფარი“ (საბრძოლო იარაღი), არამედ მხოლოდ იმაზე, რომ ფონეტიკური საშუალებებით აქ განირჩევა ორი ჟღერადობა: „ბარი“ და „ფარი“. ის, რომ ამ ჟღერადობებს სხვადასხვა შინაარსი უკავშირდება, ეს უკვე სხვა საკითხია. აქ ფონემების მეშვეობით თუკი რაიმე გაირჩევა, ეს სიტყვათა ჟღერადობაა, მათი ბგერითი გარსი და არა მნიშვნელობა, აზრი“ (ზ. ჯაფარიძე).

საკითხი, როგორც ვხედავთ, პრინციპულადაა დასმული.

საკითხის არსი ასეთია: ცალკე აღებული ფონემა არ გამოხატავს რაიმე მნიშვნელობას და ამიტომაც ფონემებს არ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობათგანმასხვავებელი (დისტინქტური) ფუნქცია. მნიშვნელობის გამოხატვა ფონემებით შესაძლე-

ბელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი (ფონემები) გარკვეული სტრუქტურის (მთლიანობის) შემადგენელი ელემენტები არიან; ეს სტრუქტურებია მორფემები და ლექსემები, რომლებიც შესაბამისად განარჩევენ გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობებს. ამ დანიშნულებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ცალკეული ფონემა, ასევე ფონემათა კომპლექსები: ვ-, —ს, გვ— პირის ნიშნები, —ი, -ს, ---ის ბრუნვის ნიშნები, ლ-, ქ-, ნთ-, წერ-, კალ... ლექსემები და მისთ. ყველა მათგანს მხოლოდ სტრუქტურულ მთლიანობაში აქვს შესაბამისი მნიშვნელობა და მათი მონაცვლეობაც მხოლოდ ამ მთლიანობის ფარგლებში განასხვავებს მნიშვნელობებს (ა-ქ-ებ-ს — ა-ღ-ებ-ს; კაც-ი — კაც-ს — კაც-ის...).

შენიშვნა: მოსკოვის ფონოლოგიური სკოლის წარმომადგენლები სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე განმარტავენ ფონემას: „ფონემები არის ენის ბგერითი წყობის მინიმალური ერთეულები, გამოყენებულ მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულების (მორფემების, სიტყვების, წინადადებების) შესადგენად და განსასხვავებლად“ (ა. რეფორმატსკი). ან: „ფონემა არის მინიმალური ფონეტიკური ერთეული, რომელიც გამოიყენება მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულების (მორფემებისა და სიტყვების) განსხვავებისა ან გაიგივებისათვის“ (მ. პანოვი).

პრობლემის არსს, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის ფონეტიკური სიმბოლოზმის პრინციპების საფუძველზე ფონემების დახასიათება: „ი იწვევს მცირე ზომის საგნებისა და არსებების წარმოდგენას, ო და ა... დიდი ზომისა, ჩ — სრიალა საგნებისა ან მოქმედებისა“ (ჯ. ბონფანტი). არსებითად ესაა გარეგნობრივი ასოციაციები, როცა პიროვნება სუბიექტურად აფასებს ბგერებს, ვთქვათ, ასეთი ნიშანთვისებების მიხედვით: ბ, დ თბილი ბგერებია, პ, ტ — ცივი; ან: ლამაზი ბგერებია ბ, დ, გ, თ, ც, ხოლო ძ, ჯ, ტ, წ, ქ, ყ... უშნო; ან: ბ, დ, ძ, ჯ დიდი ბგერებია, ფ., თ, ც, ჩ — პატარა და მისთ. (ნ. კიზირია).

აქ არ შევეხებით ამგვარი ასოციაციების ფსიქოლოგიურ ასპექტს (რაც თავისთავად უთუოდ მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი), საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისით კი ფონემების დასახასიათებლად მსგავსი ასოციაციური შეფასებანი არაღირებულა და, ამდენად, ვერც ფონემათა დისტინქტურ ფუნქციაზე გვეტყვიან რამეს. როგორც ითქვა, ბგერის ამგვარი შეფასება გარეენობრივ სფეროს განეკუთვნება (თუმცა თვით ასოციაციებს ენობრივი მონაცემები — ბგერები — იწვევენ).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიტყვა (ფორმა), შედგენილი ფონემებისაგან, აღიქმება როგორც მთლიანობა და არა როგორც ცალკეული ფონემების არითმეტიკული ჯამი. (არ ვეხებით კონტექსტის დონეს, რომლითაც სიტყვის კონკრეტული და გადატანითი მნიშვნელობები განისაზღვრება ან ომონიმები განიარჩევა).

ეს რომ ასე არ იყოს, ფონეტიკურად ცვლილი სიტყვის (ფორმის) იდენტიფიკაცია

ამოსავალ ფორმასთან შეუძლებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ყოველგვარი ცვლილება; მაგალითად, „ბეჩა“ რომ „ბედშაე-ი“ ფორმის ფონეტიკური ნაირსახეობაა, ეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ძიებით შეიძლება გაირკვეს, მაგრამ გძელ-ი, ბძენ-ი ან კდე ფორმათა იდენტიფიკაცია ამოსავალ გრძელ-ი, ბრძენ-ი, კლდე ფორმებთან თვით ქართულად მეტყველის ენობრივი აღლოს საშუალებით ხერხდება. ამოცნობა მაშინაც ხდება, როცა სხვა ფონეტიკური პროცესების საფუძველზეა სიტყვა შეცვლილი: ბგერათგანვითარებით (ურცხო „უცხო“, პოვეტ-ი, „პოეტი“, იმჯავრა „იჯავრა“), მეტათეზისით (ზრუგ-ი, „ზურგი“, ძრეელ „ძლიერ“, რღმა „ღრმა“), სუბსტიტუციით (თებზ-ი „თევზი“, სამსე „სავსე“, ხნან-ს „ხნავს“).

თუ ფონემის განსაზღვრის სემანტიკურ პრინციპს დავეყრდნობოდით, მაშინ ასეთი კითხვები დაისმობა: რატომ არ იცვალა მნიშვნელობა სხვადასხვა ფონემებისაგან შემდგარმა ფორმამ: გრძელ-ი → გძელ-ი, კლდე → კდე, უცხო → ურცხო, თევზ-ი → თებზ-ი; ან ერთი და იმავე ფონემების სხვადასხვა თანამიმდევრობით წარმოდგენილმა ფორმამ: ღრმა-რღმა, ზურგ-ი ზრუგ-ი (მღრ.: მთა და თმა); ბ) ვ,ბ,მ შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ფონემებად, თუკი მათი შენაცვლება მნიშვნელობას არ ცვლის: თევზ-ი — თებზ-ი, სავსე — სამსე, ხნავ-ს — ხნან-ს?

ზემოთ დასახელებულმა ნიმუშებმა, ვფიქრობთ, სწორედ ის გვიჩვენა, რომ სიტყვის მნიშვნელობის გამოხატვა და აღქმა მთლიანობაში ხდება. ეს რომ არა, თევზ-ი და თებზ-ი ან რღმა და ღრმა ფორმათა იდენტიფიკაცია შეუძლებელი იქნებოდა.

ფსიქოლოგიაში ეს აღიარებული ფაქტია და მას სათანადოდ უნდა გათვალისწინება ენობრივი მოვლენების ანალიზის დროს.

სხვათა შორის ამაზე მოუთითებს აგრეთვე რეგრესული მიმართულების ფონეტიკური პროცესები, როცა ჭერ წარმოუთქმელი ბგერა გავლენას ახდენს წინამავალ (მასზე ადრე წარმოთქმულ) ბგერაზე: და-ი-წერა-ა → დე-ი-წერა-ა (რეგრესული ასიმილაციით), შე-ა-ტყ-ო → ში-ა-ტყ-ო (რეგრესული დისიმილაციით). ეს იმიტომ, რომ წარმოსათქმელი ბაზისი მთელი (მთლიანი) სიტყვისთვის არის შემზადებული ზოგჯერ ორი ან მეტი სიტყვისთვისაც კი, როცა პროვოლტიკასთან ან ენკლიტიკასთან გვაქვს საქმე: რომ არის → რუ-არი, რა იქნა → რე-იქნა და მისთ.) და არა ამ სიტყვის შემადგენელი ცალკეული ფონემებისათვის. ასე რომ, სიტყვის წარმოთქმას წინ უსწრებს მთლიანი (ერთიანი) სიტყვის წარმოსათქმელად შემზადება. ეს მოვლენა კაჭკად არის ცნობილი ფონეტიკური ლიტერატურიდან.

ესეც ამტკიცებს, რომ სიტყვა (ფორმა) წარმოადგენს ფონემათა სტრუქტურულ მთლიანობას და არა ფონემების უბრალო ჯამს. თუ ასეა, ცალკეულ ფონემას არ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობის გამოხატვის დანიშნულება.

აქ ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამ მთლიანობაში ყველა ბგერას ერთნაირი ღირებულება არა აქვს. მაგალითად, გრძელ-ი, ბრძენ-ი, კლდე ტიპის

ფორმებში რ და ლ სონანტის დაკარგვა სიტყვის სემანტიკურ მხარეზე (სიტყვის მნიშვნელობის გამოხატვასა და ამოცნობაზე) გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ მთლიანად აბნელებს მნიშვნელობას, თუ ამოვარდება სხვა ფონემები კრავ-ს → *კავ-ს, რკინა → კინა (ასეთი ფორმა დასტურდება დიალექტებში), კრებ-ს → *კებ-ს, ა-კლებ-ს → *ა-კებ-ს... გარდა ამისა, სულ სხვა შედეგს მივიღებთ იმავე გრძელ-ი, ბრძენ-ი, კლდე სიტყვებში სხვა თანხმოვნების დაკარგვით: * გრელ-ი, *გრძე-ი, *რძელ-ი; *ბრენ-ი, *ბრძე-ი; *კლე, *ლდე... შემდეგ: ბრტყელ-ი სიტყვაში რ-ს დაკარგვას შესაძლოა მოჰყვეს სხვა ფონეტიკური ცვლილება: ბტყელ-ი — ბტყელ-ი (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით), რაც მნიშვნელობის დაბნელებას არ იწვევს, მაგრამ შეუძლებელია *ბრტელ-ი, *ბრტყელ-ი, *ბრტყე-ი... საგულისხმოა, რომ გრძელ-ი → გძელ-ი, მხარ-ი → ნხარ-ი // ფხარ-ი, სანთელ-ი → სამთელ-ი, ანდა ბრტყელ-ი → ბტყელ-ი ტიპის ცვლილებანი არ ხდიან სიტყვას სემანტიკურად ამოუცნობელს, განსხვავებით სხვა ცვლილებებისაგან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ ენაზე მეტყველის ცნობიერებაში მოცემულია ამა თუ იმ პოზიციაში დასაშვები ისეთი ბგერითი ვარიაციულობა (ანუ: ბგერათშენაცვლების ისეთი დასაშვები ვარიანტები), რომელიც დასაშვებს ხდიან მნიშვნელობის ამოცნობას: ე.ი. აქ მნიშვნელობა აქვს გარკვეულ (ზოგ) დიფერენციალურ ნიშნებს და ზოგს — არა: მყლერის — სყრუე — ცხვირისმიერობის მ-ხარი // ნ-ხარი // ფ-ხარი — ვარიაციულობა შემოიფარგლება მ:ნ-ფ შენაცვლების შესაძლებლობით, ყველა სხვა ბგერის ჩანაცვლება გამოიწვევს მთლიანად სიტყვის მნიშვნელობის დაბნელებას ან ცვლას. შევნიშნავთ, რომ ზოგი ბგერის ჩანაცვლება ფონეტიკურად იკრძალება; მაგალითად, ზემოხსენებულ ფორმაში არ დაიშვება ბ მყლერი ან პ ყრუ მკვეთრი ბგერების ჩანაცვლება (*ბ-ხარი ან *პ-ხარი), რადგან მას მოსდევს ყრუ სპირანტი. შემდეგ: თუ ფონემას დამოუკიდებლოვ აქვს დისტინქტური ფუნქცია, მაშინ შეუძლებელია სხვადასხვა ფონემა ერთსა და იმავე პოზიციაში ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავდეს; ეს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ფონემის პოზიციურ ვარიანტებს — ალოფონებს. ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითები: თიატრ-ი → თიატრი, ან: და-ე-წერ-ა → დე-ე-წერ-ა → დი-ე-წერ-ა; ბგერათშენაცვლება მოხდა, მნიშვნელობა უცვლელი დარჩა. აქედან გამომდინარე: ან: ე და ი, პირველ შემთხვევაში, ა, ე და ი მეორე შემთხვევაში, ერთი ფონემის პოზიციური ვარიანტებია; ან: სხვადასხვა ფონემა ერთი და იმავე დისტინქტური ფუნქციით ხასიათდება. პირველი გამოირიცხება იმის გამო, რომ ყველა დასახელებული ბგერა ფონემაა ქართულში (ხდება ფონემის ნეიტრალიზაცია, მის ადგილს სხვა ფონემა იკავებს: ე → ი, ა → ე → ი), მეორე კი საერთოდ ეწინააღმდეგება ფონემის დისტინქტურობის ნიშნით განსაზღვრის არსს. სირთულე უფრო წარმოჩნდება, თუ გავთვალისწინებთ იმას, რომ ერთსა და იმავე პროცესს შესაძლოა სხვადასხვა შედეგი ჰქონდეს; მაგალითად, იგივე ე → ი სხვადასხვა შედეგის

მქონეა, ერთი მხრივ, თეატრი → თიატრი და, მეორე მხრივ, დრეკ-ა (მასდარი) → დრკა (ნამყო ძირითადი) მიმართებებში (პირველ შემთხვევაში მნიშვნელობა უცვლელია, მეორე შემთხვევაში იცვლება— იცვლება გრამატიკული მნიშვნელობა). ნ. ტრუბეცკოის მიერ შემოთავაზებული წესის თანახმად, თუ ორი ბგერა ერთმანეთს ჩენაცვლება მნიშვნელობის შეუცვლელად, ესენია ერთი და იმავე ფონემის ფაკულტატიური ვარიანტები. ამის მიხედვით, ე და ი პირველ შემთხვევაში ერთი ფონემის ფაკულტატიური ვარიანტებია, მეორე შემთხვევაში დამოუკიდებელი ფონემები.

[ზოგი თვლის, რომ ფონემად განსაზღვრისას მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობა უნდა იყოს გათვალისწინებული. სხვა თვალსაზრისით, ეს ეხება გრამატიკულ მნიშვნელობასაც, ოღონდ ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში იქმნება გრამატიკული პარადიგმა].

ასე რომ, ყოველ ფონემას მხოლოდ გარკვეულ სტრუქტურულ მთლიანობაში აქვს გარკვეული ენობრივი ღირებულება.

ფონემებს რომ მნიშვნელობათგანმასხვავებელი ფუნქცია ჰქონდეს, შეუძლებელი გახდებოდა სიტყვის სემანტიკური გადააზრიანება; ცხედარ-ი: „ტახტი“ → „მკედარი“.

სხვათა შორის, ამას ადასტურებს ისიც, რომ შეიძლება შეიქმნას ხელოვნური, მნიშვნელობისაგან დაცლილი (ეგრეთწოდებული „უაზრო“) კომპლექსები, რომლებშიც, მიუხედავად ამისა, თავისუფლად ამოიცნობა მოცემული ენისათვის დამახასიათებელი ფონემები; მაგალითად, *კოც-ი, *კიც-ი, *თოც-ი, ან: *კიხ-ი, *წიხ-ი, ან: *დლონ-ი, *თხონ-ი... ეს ფორმები არავითარ მნიშვნელობებს არ გამოხატავენ და მაინც ფონეტიკურად ქართული სიტყვებია, რომლებშიც თავისუფლად ამოიცნობა კ,ც,თ,ხ,წ,ლ,ნ თანხმოვნები, ო,ი ხმოვნები. მეტრე: ხერხდება თვით კონკრეტული ყალიბების ამოცნობა: *კიხი არსებითი სახელის სტრუქტურის მქონე ფორმაა, ფთოცე-სთოცე-თოცა ზმნური პარადიგმით გაერთიანებული ფორმებია პირველი, მეორე და მესამე პირისა ნამყო ძირითადში (საკითხის დასმისათვის იხ.: ზ. ჭაფარიძე, პერსონალური ფონეტიკის ძირითადი საკითხები).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ფონემის დეფინიციაში სემანტიკური ასპექტის შემოტანა გაუმართლებელია, ფონემა არ შეიძლება დახასიათდეს როგორც მნიშვნელობათგანმასხვავებელი ენობრივი ელემენტი.

მაშ, რა ნიშნის მიხედვით უნდა გამოიყოს და განისაზღვროს ფონემა?

ბგერა, რომელიც მხოლოდ პოზიციით არ არის შეპირობებული, წარმოადგენს ფონემას, ანუ: ბგერა, რომლის არსებობა ენაში მხოლოდ პოზიციასზე არ არის დამოკიდებული, უნდა განისაზღვროს როგორც ფონემა.

მაგალითად, ძ ბგერა შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა პოზიციაში: ძაბრ-ი, ძირ-ი, ძიძა, ძქძე, მძორ-ი, სიძე და მისთ. მართალია, ქართულში დასტურდება

პოზიციით შეპირობებული ძ ბგერაც: წელ-ზე → წელ-ძე, გვერდ-ზე → გვერძე და მისთ., მაგრამ იმის გამო, რომ იგი არსებობს ამა თუ იმ პოზიციით შეუპირობებლადაც (ესე იგი, რადგან მისი პოზიტივება მხოლოდ პოზიციასზე არ არის დამოკიდებული), იგი წარმოადგენს ფონემას. ძ ბგერა დაჩნდება რუსულშიც, მაგრამ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ პოზიციასში; მაგალითად, КОНЕЦ ГОДА წარმოითქმის როგორც К ^ Н ^ Д З ГО Д А (ლ. ბულანინი). ამის კვალობაზე რუსულში ძ არის მხოლოდ სხვა ფონემის პოზიციური ვარიანტი და არა ფონემა.

შენიშვნა: „ფონემის პოზიციური ვარიანტი“ ლიტერატურაში სხვა სახელწოდებითაც გვხვდება: ლივერენგენტი (ი. ბოდუენ დე კურტენე), ფონემის ელფერი (ლ. შჩერბა), ალოფონი (დესკრიფციული ენათმეცნიერება).

ხშირად პოზიციურად ცვლილი ფონემის აღდგენაში მორფოლოგიური ანალიზი გვხმარება: გა-მრდ-ი-ს, მაგრამ: გა-ზარდ-ა — პირველ ფორმაში მ არის ზ ფონემის პოზიციური ვარიანტი.

აქ ასეთი კითხვა დაჩნდება: რითი დასტურდება, რომ ზემოხსენებულ ფორმაში ზ არის ფონემა? ხომ შეიძლება, რომ პირიქით იყოს — ზ ბგერა იყოს მ ფონემის პოზიციური ვარიანტი?

დამადასტურებლად გამოგვადება: პოზიციების შენაცვლება, პარალელური ვარიანტების პოზიტივება...

მაგალითად, ამ ფორმაში მ დაჩნდება მხოლოდ ხმოვანსა და თანხმოვანს შორის პოზიციასში. როგორც კი ეს პოზიცია მოიწლება: ა) ან აღდგება ამოსავალი ფონემა: გა-მრდ-ი-ს, შვილსა-მრდის, მაგრამ: ზრდ-ი-ს, გა-ზარდ-ა; ბ) ან მ-ს წინ დაჩნდება ირაციონალური ჯ ხმოვანი ან მკვეთრი შემართვა: გა-მრდ-ი-ს, აგრამ ჯ მრდ-ი-ს ან დმრდ-ი-ს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მ მხოლოდ პოზიციური ვარიანტი შეიძლება იყოს სხვა ფონემისა.

იმავედროულად ერთსა და იმავე დიალექტში გარკვეულ პოზიციებში პარალელური ვარიანტებიც შეგვხვდება მაშინ, როცა სხვა პოზიციებში მხოლოდ ერთი ფორმაა წარმოდგენილი; აწმყო: გა-ზრდ-ი-ს // გა-მრდ-ი-ს, ნამყო ძირითადი: გა-ზარდ-ა; მთელ პარადიგმას გასდევს ზრდ — და ზარდ-, ამიტომაც, სადაც პარალელური ვარიანტი დაჩნდება, საქმე გვაქვს ფონემის პოზიციურ ნაირსახეობასთან.

გარდა ამისა: არსებითია ბგერის მიღების გზა; ქართულში შეუძლებელია * მ → ზ, პირიქით კი (ზ → მ) ხშირად დასტურდება დიალექტებში. ამით გაირკვევა ფონემისა და მისი ბგერითი ნაირსახეობების საკითხიც.

შენიშვნა: არსებობს ურთიერთშეკვევადი პროცესებიც: დასაშვებია როგორც ზ → ძ, ასევე ძ → ზ და მისთ. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ ფონემებს (ანუ: იმ შემთხვევებს, როცა მონაცვლეობენ ფონემები). ოდენ ბგერითი

ნაირსახეობა, ჩვეულებრივ, არ იძლევა ფონემას (გამონაკლისია, მაგალითად, ინგილოური, სადაც *მ-ს* პოზიციაში შესაძლოა 3 დაჩნდეს. მაგრამ აქ, როგორც ჩანს, უფრო ფსიქოლოგიურ ფაქტთან (გადაზრინებასთან) გვაქვს საქმე: *მეთიმ* → *ჰეთიმ* და *მისთ*).

ამდენად, ფონემა შეიძლება განისაზღვროს ასე: პოზიციით შეუპირობებელი ბგერა არის ფონემა (რაც არ გამოირიცხავს იმას, რომ ფონემა ზოგჯერ შეიძლება პოზიციითაც იყოს შეპირობებული); მაგალითად, ე პოზიციით შეუპირობებელია წერ-ს, ხევ-ს, ერთ-ი, სი-ლაშაზ-ე და მისთ. ფორმებში; მაშასადამე, ე ფონემა (თუმცა ე შეიძლება იყოს პოზიციურად შეპირობებულიც: და-ი-წერ-ა → დე-ი-წერ-ა, ეს ვერ მოხსნის მისი ფონემად განსაზღვრის საკითხს). ამის საპირისპიროდ, რ მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში გვხვდება (კურცხ-ი → კრცხ, თევზ-ი → თვზ); ეს კი ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ პოზიციური ვარიანტია სხვა ფონემისა ან ფონემებისა.

სემანტიკური ასპექტის გაუთვალისწინებლად ფონემის განსაზღვრის ცდამ ადრევე იჩინა თავი. ერთ-ერთი ასეთი განსაზღვრა ეკუთვნის დ. ჭოუნზს: „ფონემა არის მოცემულ ენაში იმ ბგერათა ოჯახი (ჯგუფი), რომლებიც თვისებებით მონათესავენი არიან და გამოიყენებიან ისე, რომ არ გვხვდებიან ერთსა და იმავე ფონეტიკურ კონტექსტში“. იგულისხმება პოზიციურად განსხვავებული, ხოლო თვისობრივად მსგავსი ბგერები (ი. ქობალავა). თითოეულ ფონემაში გაერთიანებული ბგერები არის „ფონემის წევრები“, რომელთაგან გამოიყოფა ფონემის ძირითადი წევრი; ყოველი ფონემის რაობა განისაზღვრება მისი ძირითადი წევრის ფონეტიკური თვისებებით.

ფონემის ასეთი განმარტება არსებითად გასაზიარებელია, ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა „ფონეტიკურ კონტექსტში“ (ანუ: პოზიციაში) შეიძლება დაჩნდეს ამა თუ იმ ფონემის შემცველი ისეთი ბგერაც, რომელიც თავად წარმოადგენს ფონემას; მაგალითად, და-ი-წერ-ა → დე-ი-წერ-ა → დე-მ-წერ-ა; ამათგან ე-ც და მ-ც სხვა ფონემების ნაცვალი ბგერებია, მაგრამ ე დამოუკიდებელი ბგერაცაა (გვხვდება მაშინაც, როცა პოზიციურად არ არის შეპირობებული) და ამიტომაც ა-ს ვარიანტად („ალოფონად“) ვერ მიიჩნევა (აქ ხდება ა ფონემის ნეიტრალიზაცია და მის ადგილას დაჩნდება ე), ხოლო მ ოდენ პოზიციური ვარიანტია ი ფონემისა, ანუ ი ფონემის წევრია („ალოფონია“).

ნ. ტრუბეცკოს ნეიტრალიზაციის შემთხვევებისათვის შემოპქონდა არქიფონემის ცნება. არქიფონემა განისაზღვრება როგორც იმ დფერენციალური (რელევანტური) ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც საერთოა ორივე ნეიტრალიზებული ფონემისათვის. ამის მიხედვით ზემოდასახელებულ მაგალითში ა-ე არის ისეთი არქიფონემის ნაირგვარი რეალიზაცია, რომელსაც ახასიათებს მელერობა, პროლაბიალურობა.

შენიშვნა: ამ ორი მოვლენის გასარჩევად გამოიყენება სხვა ტერმინებიც: „ფონემათა ვარიანტები“ (ე → ი) და „ფონემათა ვარიაციები“ (ი → მ); (რ.

ბუდაგოვი).

აქვე უნდა აღინიშნოს: შესაბამისი პოზიციის მოშლის შემდგომ ფონემის პოზიციური ვარიანტი, როგორც წესი, ახალი პოზიციის შესაბამისად შეიცვლება: დე-ე-წერ-ა, მაგრამ: ი-წერ-ებ-ა. ამისგან განსხვავებით, ნეიტრალიზაციის საფუძველზე წარმოჩენილი ფონემა შესაბამისი პოზიციის მოშლის შემდეგაც შეიძლება დარჩეს: რად → რათ, მაგრამ: რათა (და არა: რადა), კარგს → კარქს და: კარჭი, კარქა...

„ყოველი ფონემა განისაზღვრება იმით, რითაც განსხვავდება სხვა ფონემებისაგან“ — აღნიშნავდა ლ. შიგრა. იგულისხმება: ყოველ ფონემას რამდენიმე დიფერენციალური ნიშანი აქვს, ანუ, როგორც სხვაგვარად ამბობენ, ყოველი ფონემა წარმოადგენს დიფერენციალურ ნიშანთა კონას. დიფერენციალური ნიშნებია: ორალურობა, ნაზალურობა, პალატალურობა, ლაბიალურობა, მჟღერობა, ხშულობა, ნაპრალოვნება და მისთ. დიფერენციალური ნიშნების საფუძველზე იქმნება ფონემათა საოპოზიციო ცალუბი; თავის მხრივ, საოპოზიციო ცალუბი ქმნიან ამა თუ იმ ენის ფონემატურ სისტემას. თითოეულ საოპოზიციო ცალში შემავალი ფონემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ ერთი დიფერენციალური ნიშნით. თითოეულმა ფონემამ შესაძლოა შექმნას იმდენი საოპოზიციო ცალი, რამდენი დიფერენციალური ნიშანიც მას აქვს.


ფონემები მეტყველებაში ბგერების სახითაა რეალიზებული; ბგერები ხაზოვანი პრინციპით (ურთოერთმიმდევრობით) არის მეტყველების დროს წარმოდგენილი. ფონემის დიფერენციალური ნიშნები კი თითოეული ფონემის წარმოთქმისას („გაბგერებისას“) ძირითადად ერთჯამიერად დაჩნდება აკორდის მსგავსად (ი. მასლოვი). „გამონაკლისებს“ ქმნიან, მაგალითად, აფრიკატები: „აფრიკატი იწყება ხშვით და სკდომის მოუხდენლად გადადის ნაპრალისებურ გაგრძელებაში“ (ენათმეცნიერების შესავლის საკითხები); ასე რომ, ერთჯამიერობა ამ შემთხვევაში დარღვეულია. მოუხედავად ამისა, „აკორდის პრინციპი“ გარკვეული მოდიფიკაციით აქაც მოქმედებს.

რამდენიმე ნიმუში ზემოთქმულის ნათელსაყოფად.

უ ხმოვანი ორ ოპოზიციას ქმნის: ა) უ-ი ერთი აწეულობის ხმოვნებია, მაგრამ სხვაობენ ლაბიალურობის მიხედვით: უ ლაბიალური, ი არალაბიალური (პალატალური); ბ) უ — ო ლაბიალური ხმოვნებია, მაგრამ განსხვავდებიან აწეულობით: უ მაღალი აწეულობის ხმოვანია, ო — საშუალო ან დაბალი აწეულობისა. როგორც ვხედავთ, თითოეულ ოპოზიციაში ბგერები განირჩევა თითო დიფერენციალური ნიშნით. ი და ო კი ოპოზიციურ ცალს ვერ შექმნის, რადგან სხვაობენ ორი დიფერენციალური ნიშნით: აწეულობითა და ლაბიალურობით. სქემაზე ზემოხსენებულ საოპოზიციო ცალუბის მიმართება ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:


ი — უ
|
ო

ჰორიზონტალურ რიგში სხვაობას იძლევა ლაბიალურობა (აწეულობა იდენტურია), ვერტიკალურ რიგში განსხვავებულია აწეულობა (საერთოა ლაბიალურობა).
 ორ საოპოზიციო ცალს ქმნის o ხმოვანიც:




პრინციპი იგივე დარჩა: ჰორიზონტალურად სხვაობს ლაბიალურობა, ვერტიკალურად — აწეულობა.

ამ ორი სქემის შეერთებით მივიღებთ შემდეგს:



ამ სქემაზე საოპოზიციოდ ცალად დაჩნდა ე-ო მიმართებაც (როცა o საშუალო აწეულობისაა; დაბალი აწეულობის ო საოპოზიციო ცალს შექმნის ა ფონემასთან).

ეგრეთწოდებულ ნეიტრალურ ხმოვნად ქართულში გამოიყოფა ა (ნეიტრალური ის არსებითად მაშინაა, როცა საოპოზიციო ცალში არ შედის). სქემაზე მისი მიმართება სხვა ხმოვნებთან ასე გამოისახება:



ესაა ხმოვანთა სამკუთხედი, რომელიც სქემის სახით წარმოგვიდგენს ქართული ენის ხმოვანთა სისტემას, დაფუძნებულს საოპოზიციო ცალების ურთიერთმიმართების პრინციპზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ბგერას შესაძლოა ჰქონდეს ისეთი ნიშანიც, რომელიც აუცილებელია მისი წარმოთქმისათვის, მაგრამ ფონემის დონეზე არაარელევანტურია (არაღივებულია) როგორც დიფერენციალური ნიშანი ასეთია, მაგალითად, მჟღერობა ხმოვნისათვის. მჟღერობა ყველა ხმოვანს ახასიათებს, ამიტომაც ხმოვანთა სისტემაში იგი დიფერენციალურ ნიშნად არ გამოდის; ანუ: მჟღერობა ყველა ხმოვნის ნიშანი კი არის, მაგრამ არა დიფერენციალური ნიშანი.

ამის საპირისპიროდ, დიფერენციალურ ნიშანს, რომელიც ერთ შემთხვევაში ქმნის ფონემათა საოპოზიციო ცალს, სხვა შემთხვევაში შესაძლოა არ ჰქონდეს ასეთი დანიშნულება. მაგალითად, ე-ის პალატალურობა დიფერენციალური ნიშანია ე-ო საოპოზიციო ცალში -- განასხვავებს ორ ფონემას; პალატალურობა დიფერენციალური ნიშანია აგრეთვე ო-ო მიმართების დონეზე, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არ ქმნის ფონემურ ოპოზიციას -- ო პოზიციურად შეპირობებული ვარიანტია, რო-

მელსაც ე-სგან განასხვავებს ლაბიალურობა, ო-სგან — პალატალურობა. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ქართული დიალექტების (ინგილოურის, მოხეურის, მესხურის...) ჩვენება: თევზ-ი -- თაჭზ (რ არის ე-ს პოზიციური, ლაბიალიზებული ვარიანტი), კვერცხ-ი — კარცხ (რ არის ვე // უე კომპლექსის პოზიციური ნაირსახეობა).

გარდა ამისა, ერთი და იგივე დიფერენციალური ნიშანი შეიძლება იყოს გამაერთიანებელიც და განმასხვავებელიც საოპოზიციო ცალეების შესაბამისად; მაგალითად, ო და უ ხმოვნებს განასხვავებს აწეულობა, აერთიანებს ლაბიალობა, ი და უ ხმოვნებს კი, პირიქით, განასხვავებს ლაბიალობა, აერთიანებს აწეულობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საოპოზიციო ცალი (ენის საერთო სისტემიდან ამოსვლით) შეიძლება შეიქმნას „ნულაგანი წვერის“ საშუალებითაც. იგულისხმება შემთხვევები, როცა საოპოზიციო ცალში შემავალი ერთ-ერთი ფონემა ენაში რეალურად („მატერიალურად“ არ დასტურდება, მაგრამ მეორე, არსებული ფონემის მიხედვით ხერხდება მისი დიფერენციალური ნიშნების გამოყოფა; ანუ: ესაა მიმართება, რომლის ერთი „წვერია“ ფონემად არარეალიზებული დიფერენციალური ნიშნები, მეორე წვერი კი რეალურად დადასტურებული ფონემა. ასეთებია ქართულში, მაგალითად, ყ და ჰ ფონემები, რომლებიც ეგრეთწოდებული „ცალეულების“ სახითაა წარმოდგენილი; შდრ.:

ბ-ფ-პ

.....

ზ — ს

ქ — შ

ღ — ხ

ჩ — ყ

ც — ჰ

ამ სისტემის შესაბამისად, თუკი ყ არის „ჟელზშული, უკანაენისმიერი ყრუ ბგერა“ (თ. უთურგაიძე), მის საოპოზიციო არარეალიზებულ ელემენტად ივარაუდება ყელზშული, უკანაენისმიერი, მჟღერი ბგერა; მაგრამ ასეთი ბგერის უქონლობის გამო ოპოზიცია რეალურად წარმოდგენილია მხოლოდ ყრუ ფონემით, მის საპირისპიროდ კი იგულისხმება მხოლოდ დიფერენციალური ნიშნები. ამ ნიშანთაგან განსხვავებულია მქედრობა (ოპოზიციას ქმნის მქედრო — ყრუ), ყველა დანარჩენი საერთოა.

იგივე ითქმის ჰ-ს შესახებ, რომლის საოპოზიციო ფონემად ივარაუდება მასთან საერთო დიფერენციალური ნიშნების მქონე მქედრო ფონემა.

სწორედ ამ ტიპის მიმართებებზე დაყრდნობით ვარაუდობენ ამჟამად მხოლოდ დიფერენციალური ნიშნებით წარმოდგენილი ფონემის რეალურ არსებობაზე ისტორიულად. ამ რიგის ფონემა შესაძლოა დაჩნდეს სინქრონიულადაც — რომელიმე დიალექტში.


ცნობილი კლასიფიკაციის თანახმად, საოპოზიციო ცალეში დიფერენციალური ნიშნების გამოყოფა ხდება სამი პრინციპის მიხედვით: პრივატული (გამორიცხვითი: ლაბიალური — არალაბიალური...), გრადუალური (საფეხურეობრივი: დაბალი აწეულობის — საშუალო აწეულობის...) და ეკვიპოლენტური (ტოლმნიშვნელოვანი: პალატალური — ლაბიალური...).

რამდენიმე განმარტება ზემოდასახელებულ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. როგორც ითქვა, გრადუალური (საფეხურეობრივი) ოპოზიციის შემთხვევაში ორი ფონემა სხვაობს ერთი და იმავე ნიშნის სხვადასხვა ხარისხით; მაგალითად, აწეულობის სხვადასხვა ხარისხით განსხვავდებიან ე — ი, ო — უ (ე, ო საშუალო აწეულობისაა, ი, უ მაღალი აწეულობისა).

გრადუალობის პრინციპით ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ფონემა არის დახასიათებული.

გრადუალობის ცნება შესაძლოა გამოვიყენოთ ერთი ფონემის ბგერითი ნაირსახეობების მიმართაც. ამ შემთხვევაში იგულისხმება ბგერითი გრადაციების ის საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ხერხდება წარმოთქმულ ბგერები ამოცნობილ იქნეს როგორც ერთი და იმავე ფონემის პოზიციური ვარიანტები. მაგალითად, ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში ი ფონემის პოზიციური ვარიანტებია საკუთრივ ი და, გარდა ამისა, ი, ი, ა, აგრეთვე ეი, იე. პოზიციური ვარიანტები (ანუ: ბგერითი გრადაციები), ბუნებრივია, აქვს ე ფონემასაც: ეი, ეი, ეე, ეე.

ამდენად, არსებობს საზღვრები (ზედა და ქვედა ზღურბლები), რომელთა შორის ე ფონემის ყველა პოზიციური ნაირსახეობა აღიქმება ე-დ, ამ საზღვრის (ზღურბლის) იქით (მაგალითად, აწეულობის ამოღებით) იწყება სხვა ფონემის საზღვრები, კერძოდ, ი ფონემის ზონა, რომლის ფარგლებში ყველა პოზიციური ნაირსახეობა აღიქმება ი-დ. ზოგადად სქემაზე ეს ასეთ სახეს მიიღებს:




შენიშვნა: თუკი ბგერითი გრადაციის რომელიმე ვარიანტი (მაგალითად, ა) პოზიციით აღარ იქნება შეპირობებული, მაშინ იგი ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ ფონემად, გაიჩენს თავის ზონას და ამის კვალობაზე „შეავიწროებს“ ი ფონემის ბგერითი გრადაციების საზღვრებს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფონემათა დონეზე ე → ისევე ქმნის გრადუალურ ოპოზიციას, როგორც ბგერითი ვარიანტების დონეზე ე → ე ან ი → ი, ი → ა და მისთ.

რადგან ორივე შემთხვევისათვის გამოვიყენეთ ტერმინი „გრადუალური“, უნდა განვასხვავოთ მისი ორი სახეობა, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოს ფერ-

ტიკალური (ფონემათა დონეზე) და პორიზონტალური (ბგერითი ვარიანტების დონეზე). ეს პირობითი (სამუშაო) ტერმინები სქემის მონაცემს ითვალისწინებს:



სქემა ნიმუშადაა მოტანილი, ამიტომაც ყველა ბგერითი გრადაცია მასზე არაა წარმოდგენილი.

ფონემისა და მისი პოზიციური ვარიანტების აღქმა პერსპექტიულ ფონეტიკაში დაკავშირებულია ენის პერსპექტიულ ბაზისთან, რომელიც განისაზღვრება როგორც ეტალონთა და შედარების წესების ერთობლიობა. „ეტალონით“ აღინიშნება ის ერთეულები, „რომლებიც ადამიანის მესხიერებაშია მოცემული და რომლებთან შედარების საფუძველზეც ხდება სამეტყველო ნაკადის სემანტიკურ და ზესემანტიკურ ერთეულთა აღქმა — ფონემათა და ფონემათა მიმდევრობების, მახვილის, ინტონაციის აღქმა“. ეტალონები შესაძლოა აღიწეროს გარკვეული ზონების სახით, რომელთაც აქვს თავთავისი საზღვრები: „თუ აღსაქმელი ბგერითი რეალიზაციის კორელატს სმენით ანალიზატორში წერტილის სახით წარმოვიდგინოთ, მაშინ შესაბამისი ფონეტიკური ერთეულის ეტალონი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ამგვარი წერტილებისაგან შემდგარი ზონა. ამ ზონას ქმნის ის წერტილები, რომელთა შესატყვისი ბგერითი რეალიზაციები მსმენელთათვის იდენტურია. იდენტურობაში აქ იგულისხმება არა აბსოლუტური დამთხვევა, არამედ სხვადასხვა რეალიზაციების აღქმა როგორც ერთი და იგივე ბგერისა, მიუხედავად იმისა, რომ შეიმჩნევა სხვაობა ბგერათა გრძლივობაში, ტონის სიმაღლეში და ა.შ. მაგალითად, თავკიდურ ა ხმოვანთა იდენტურობა მსმენელთათვის სიტყვებში „ასი“ და „ასკილი“, თუნდაც ეს სიტყვები წარმოთქვან სხვადასხვა ადამიანებმა სხვადასხვა ხმით, ტონის სიმაღლით, ტემპით...“ (ზ. ჯაფარიძე).

როგორც ვხედავთ, „ეტალონის ზონა“ აქ არსებითად სხვა პარამეტრებს გულისხმობს და არა ამა თუ იმ ფონემის პოზიციურ ვარიანტებს, მაგრამ ამ კუთხით საკუთრივ ბგერითი გრადაციების მიმართ საკითხის დასმაც მიზანშეწონილი ჩანს, ოღონდ, ბუნებრივია, ტონის სიმაღლის, ტემპის და მისთანათა ნაცვლად გათვალისწინებული უნდა იყოს ის მახასიათებლები, რომლებიც ფონემის პოზიციურ ვარიანტებს აქვს.

დავსძენთ, რომ ფონემის პოზიციური ვარიანტები შესაძლოა იყოს ფაქულტატიურიც (საპირისპიროდ სავალდებულოსი, როცა შესაბამის პოზიციაში ვარიაციული შენაცვლება ყოველთვის, რეგულარულად გვაქვს). ასეთია, მაგალითად, ნეიტრალური ლ და „რბილი“ (პალატალური) ლ ქართული ენის იმ დიალექტებში,

რომლებიც მეგრულის გავლენას განიცდიან (განსაკუთრებით, დაჩნდება ეს ქვემო-იმერულის ზოგიერთ თქმაში): გულ-ი და გულ'-ი, ლამაზ-ი, და ლ'ამაზ-ი... გვხვდება იგი ნასესხებ სიტყვებშიც, როცა გამსესხებელ ენაში „რბილი“ ლ გვაქვს. პალმა და პალ'მა. თუ ასეთ ლ-ს თანხმოვანი მოსდევს, დიალექტებში ლ-ს შემდეგ შეიძლება დაჩნდეს პალატალური ი ხმოვანი: პალიტო, „პალტო“, კალიცო „ბექელი“ (კოიხაი). ფონემის სავალდებულო და ფაკულტატიური ნაირსახეობანი შესაძლოა დიალექტების მიხედვით იყოს განსხვავებული; მაგალითად, ხმოვნის მომდევნოდ ი → ა (წაილო → წიფლო) აჭარულში სავალდებულოა (რეგულარულია), იმერულში — ფაკულტატიური (არარეგულარული).

რამდენიმე სიტყვით — ფონემისა და ბგერის ურთიერთმიმართების შესახებ, რადგან ეს მიმართებანი განსაკუთრებით ნაირსახეოვან სურათს იძლევა დიალექტებში.

ფონემა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ ერთი ბგერით, არამედ ორი ბგერითაც (დიფთონგები) და, პირიქით, ორი ფონემა გადმოიკცეს ერთი ბგერით (ა. რეფორმატსკი).

ასე რომ, ფონემისა და შესაბამისი ბგერის მიმართება ცალსახა ურთიერთობაზე არ დაიყვანება.

შეიძლება გამოიყოს ექვსი შემთხვევა:

ა) ერთ ფონემას შეესაბამება ერთი ბგერა: ბარი — ამ სიტყვაში ოთხი ბგერა გამომხატველია ოთხი ფონემისა.

ბ) ერთ ფონემას შეესაბამება ორი ბგერა: მერთი შედგება ხუთი ბგერისაგან, მაგრამ ფონოლოგიის დონეზე მასში გამოიყოფა ოთხი ფონემა; ანუ: მერთი ფონოლოგიურად ჩაიწერება როგორც ერთი (მე დიფთონგით გამოიხატება ე ფონემა), ანალოგიურად: ჟორი — ორი...

გ) ორ ფონემას შეესაბამება ერთი ბგერა: კორცხი სიტყვაში რ ფონოლოგიურად არის ჟე (ვე); ასევე: ექიმ-ა (მ-ს „გაორმაგებელი“ წარმოთქმით) ფონოლოგიური თვალსაზრისით იგივეა, რაც ექიმმა. ანალოგიურად: წულო ფორმაში ოთხი ბგერა დაჩნდება, მაგრამ ფონოლოგიურად იგი ხუთი ფონემისაგან შედგება: წაულო.

დ) ფონემას შეესაბამება ირაციონალური ბგერა: მესხური მამუნ „მამინ“, ინგილური კარშ ე „კარში“.

ე) ფონემას შეესაბამება ნულოვანი „ბგერა“: წელწადი „წელიწადი“, ხალია „ხალია“...

ვ) „ნულოვანი ფონემის“ პოზიციაში დაჩნდება ბგერა: წავიდაა? აქ ა ოდენ ხმოვანთგამყარია, ფონოლოგიური შესატყვისი მას არ გააჩნია.

ყველა ეს შემთხვევა დადასტურებულია ქართული ენის დიალექტებში.

უფრო რთულდება ვითარება მამინ, როცა ანალოზი მორფოლოგიის დონესაც

მოიცავს. მაგალითად, წყ ლო ფორმამ შეიძლება მოგვეცეს წულო (ჟ→უ); აქ ოთხი ბგერა შეესაბამება ოთხ ფონემას, მაგრამ მორფოლოგიურად გვაქვს წა-უ-ლ-ო (წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დავუშვათ წ-ზმნისწინის არსებობა). ან: წელო ფორმაში წარმოდგენილია ხუთი ბგერა (წ, ე, მ, ლ, ო), რომელიც შეესაბამება ხუთ ფონემას (წ, ე — მიღებული ნეიტრალიზაციის საფუძველზე, ი — რომლის პოზიციური ნაირსახეობაა მ, ლ და ო); მორფოლოგიურად კი ფორმა წარმოდგენილია როგორც წა-ი-ლ-ო (რადგან ქართულში არ არსებობს წე — ზმნისწინი, ან მ-ზმნური ხმოვანი პრეფიქსი). ანალოგიურად: დაფები ექვსი ფონემის შესაბამისი ექვსი ბგერისგან შედგება, მაგრამ მორფოლოგიურად აქ გვაქვს დაფა-ებ-ი; ანდა: უწერს მორფოლოგიურად იქნება ჰ-უ-წერ-ს (ფორმა სამეფალენტანია და ამიტომაც მას ჰ-ირიზობიექტური პირის ნიშანი უნდა ჰქონდეს).

ფონემისა და მისი პოზიციური ვარიანტების მიმართება სქემაზე ასე შეიძლება გამოვხატოთ:

ფონემა	ბგერა
ი	ი
	ი̃
	ი̄
	ი̅
	ი̆

ეს ნიშნავს: ი ფონემა სხვადასხვა პოზიციაში რეალიზდება როგორც ი, ი̃, ი̄, ი̅, ი̆ ბგერები.

ანდა:

ფონემა	ბგერა
ჟ//ჟი	ჟი//ჟი
	ო
	ო̃

სქემა ასე განიმარტება ვე//ჟი ფონემათა კომპლექსი ბგერის დონეზე წარმოდგენილია ან ამ სახითვე, ანდა იცვლება ო (უშეებს → უშობს გურულში) და ო̃ (კერცხი → კორცხი ინგლოურში) ბგერებით, რომელთაგან ო დამოუკიდებელ ფონემადაც დაჩნდება ქართულში, ხოლო ო̃ ოდენ პოზიციური ვარიანტია ზემოხსენებული კომპლექსისა.

გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც: ერთი და იგივე ბგერა შესაძლოა შეესაბამებოდეს სხვადასხვა ფონემას. მაგალითად, დიალექტების ერთ ნაწილში მ შეესაბამება ი ფონემას, დიალექტების მეორე ნაწილში ... ჰ(ს, ზ...) ფონემას. ორი

სხვადასხვა ფონემის შესაბამისი ა ზოგჯერ წარმოთქმისას იდენტურია, მაგრამ არცთუ იშვიათად მათ შორის სხვაობა შეინიშნება: როცა ა შეესაბამება ი ფონემას, საწარმოთქმო ორგანოები იღებენ ი ხმოვნის წარმოსათქმელად საჭირო მდგომარეობას. ამ შემთხვევაში ა წინაენისმიერი, მაღალი აწეულობის ბგერაა, საარტიკულაციო ნაპრალი ნუნების უკანა და მაგარი სასის წინა ნაწილებთანაა; მაშინ კი, როცა ა შეესაბამება ჰ ფონემას, მას შესაძლოა ახლდეს ფშვინიერი დამართვა, რაც გრაფიკულად აჰ ნიშნით გამოიხატება — არსებითად ესაა ბგერა, რომელსაც შემართვა ა-ს აქვს, დამართვა კი ჰ-სი...

უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ დიალექტზე მეტყველი ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე პოზიციაში თავისუფლად უნაცვლებს ხოლმე ერთი და იმავე ფონემის ბგერით ვარიანტებს. მაგალითად, ნენაი ნენაა „ღღა“ გურულში, დაჰკრამს //დაჰკრამს// დაჰჰკრამს ქართულურსა და კახურში, ოჭროს//ოჭროა//ოჭროას ბურთი ქვემოქართლურში და მისთ. რა თქმა უნდა, უმეტესად ეს პარალელში დიალექტური ნორმის დარღვევის შედეგია, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია იმ თვალსაზრისით, თუ რომელ ბგერით ნაირსახეობათა იდენტიფიკაცია ხდება ამა თუ იმ დიალექტზე მეტყველისათვის. მაგალითად, გურულ დიალექტზე მეტყველი ვერ მოახდენს ა ბგერის ი იდენტიფიკაციას ჰ ფონემასთან, ქართულ დიალექტზე მეტყველისათვის, პირიქით, გამოიორიცილება ა ბგერის იდენტიფიკაცია ი ფონემასთან.

* * *

ცნობილ საკითხებზე ასე დაწვრილებით მსჯელობა დაგვიკრძა იმისათვის, რომ ზუსტად განგვესაზღვრა ენაში ფონემათა გამოყოფის პრინციპი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მართებული განმარტება მივცეთ დიალექტებში არსებულ ბგერით ნაირსახეობებს.

I.3. ხმოვანთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში. ხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშანს მოიცავს. ეს საკლასიფიკაციო ნიშნები შეიძლება წარმოვადგინოთ იერარქიული (საფეხურებობრივი) პრინციპით.

I საფეხური: განისაზღვრება ჰაერნაკადის მიმართულების მიხედვით — ორალური (პირისეული) და ნაზალური (ცხვირისეული).

•II საფეხური: განისაზღვრება პირის ღრუში ენის პოზიციის მიხედვით (ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით და რა მიმართებაშია ენის წვერი ქვედა კბილებთან — დაახლოვება-დაშორების თვალსაზრისით) — წინა რიგის ხმოვანი, შუა რიგის ხმოვანი, უკანა რიგის ხმოვანი.

III საფეხური: განისაზღვრება ენის ზურგის აწეულობის მიხედვით. არსებითად ეს არის იგივე ლიაობა (სიფართოვე), რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება ხმოვნის წარმოთქმისას პირის ღრუში წარმოქმნილი დაბრკოლების მიხედვით. ანუ:

ლიაობა დაკავშირებულია აწეულობასთან: დაბალი აწეულობის ხმოვანი ფართოა, მაღალი აწეულობისა — ვიწრო, საშუალო აწეულობის ხმოვანი საშუალო აწეულობით ხასიათდება. ამის მიხედვით გამოიყოფა დაბალი, საშუალო და მაღალი აწეულობის ხმოვნები, ანუ: ფართო (ლია), საშუალო ლიაობის და ვიწრო (დახურული) ხმოვნები. ყველაზე დაბალი აწეულობის ხმოვანს პირის ღრუში ყველაზე ნაკლები დაბრკოლება ახლავს (ამიტომაც არის იგი ლია//ფართო ხმოვანი), ყველაზე მაღალი აწეულობის ხმოვნისათვის ყველაზე მეტი დაბრკოლებაა დამახასიათებელი (ესაა ვიწრო//დახურული ხმოვანი). მათ შორისაა საშუალო აწეულობის ანუ საშუალო სიფართოვის//ლიაობის ხმოვანი.

IV საფეხური: განისაზღვრება ენის ზურგის მიმართებით სასასთან — ენის ზურგის წინა ნაწილის აწევა მაგარი სასის მიმართულებით იძლევა პალატალურ ხმოვნებს, ენის უკანა ნაწილის (უკანანის) აწევა რბილი სასისაკენ — ველარულ ხმოვნებს, შესაბამისად ესაა მაგარსასისმიერი და რბილსასისმიერი ბგერები, აკუსტიკურად — ეგრეთწოდებული „რბილი“ (პალატალური) და „მაგარი“ (ველარული) ხმოვნები (გ. ახვლედიანი).

V საფეხური: განისაზღვრება ბაგეების ჩართვით ხმოვანთა წარმოთქმისას — ლაბიალური (ბაგისმიერი) ხმოვანი. აკუსტიკურად ლაბიალურობას შეეფარდება ბემოლურობა.

VI საფეხური: განისაზღვრება ხმოვნის წარმოთქმისას მკვეთრი (ძლიერი, სწრაფი) შემართვით ან დამართვით — მკვეთრი შემართვის (დამართვის) ხმოვანი.

თითოეული საფეხური წარმოადგენს, ასე ვთქვათ, წინა საფეხურზე „დანაფენს“. არის ხმოვნები, რომელთა წარმოთქმისას ექვსივე ნიშანი დაჩნდება, სხვა შემთხვევებში მონაწილეობს ორი ან სამი ნიშანი... სხვაობა გვაქვს დიალექტების მიხედვითაც. რა თქმა უნდა, ყველა ეს ნიშანი თავს იჩენს აკორდული, ერთეამიერობის (და არა ხაზოვანი, ურთიერთმიმდევრობის) პრინციპით. ყოველ საფეხურზე წარმოდგენილი ნიშნები ურთიერთგამომრიცხველია (არ შეიძლება ერთდროულად ახასიათებდეს ხმოვნებს), სხვადასხვა საფეხურზე წარმოდგენილი ნიშნები ურთიერთშემავსებელია (ერთდროულად წარმოჩნდება ხმოვანთა წარმოთქმისას).

ამ ნიშნების მიხედვით შეიძლება დახასიათდეს როგორც საკუთრივ ფონემები, აგრეთვე მათი ბგერითი ნაირსახეობანი მეტყველებაში, მათ შორის დიალექტურ მეტყველებაშიც.

ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთა ფონოლოგიური სისტემა საერთოქართულია, მოუხედავად ბგერით შემადგენლობაში სხვაობისა. გამოიყოფა ხუთი ხმოვანი: ა,ე,ი,ო,უ.

ქართული ხმოვნები ასეა დახასიათებული:

ა) ა წარმოების ადგილის მიხედვით შუა რიგის ხმოვანია, დაბალი აწეულობის, არაბაგისმიერი (გ. ახვლედიანი); სხვა მოსაზრებით, ა უკანა რიგის ხმოვანია (თ. უთურგაიძე). წარმოების ადგილის მიხედვით ამგვარი გრადაცია დაკავშირებული უნდა იყოს კოარტიკულაციურ მოვლენებთან, რაც შესაბამისად განაპირობებს ან ა ხმოვნის მდგრადობას (უცვლელობას), ან ცვლილებას ქართული ენის დიალექტებში; შდრ.: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიეთებელი ა-ი-ი-ლ-ო და დასავლეთ საქართველოს დიალექტებში პოენიერი წე-ი-ლ-ო (რომლის საფუძველია ა-ს გადმოსვლა წინა რიგის წარმოებაზე);

ბ) ე და ი წინა რიგის ხმოვნებია, არაბაგისმიერი; ამათგან ე საშუალო აწეულობისაა, ი — მაღალი აწეულობისა;

გ) ო და უ უკანა რიგის ხმოვნებია, ბაგისმიერი; ამათგან ო საშუალო აწეულობისაა (ე-ს მსგავსად), უ — მაღალი აწეულობისა (ი-ს მსგავსად); სხვა მოსაზრებით, ქართულში ო ორი სახისაა: დაბალი აწეულობისა და საშუალო აწეულობის (თ. უთურგაიძე). ამავე ხმოვანს ლიაობით განასხვავებენ დიალექტების მიხედვით: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ო უფრო ვიწროა, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში — უფრო ფართო (შ. ძიძიგური). საეარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში კოარტიკულაციურ მოვლენებთან გვქონდეს საქმე.

ამდენად, ხმოვანი ფონემები საერთო-ქართულში შემდეგი დიფერენციალური ნიშნებით ხასიათდება:

ა) წარმოების ადგილის (რიგის) მიხედვით, ანუ. პირის ღრუში ენის პოზიციის მიხედვით: წინა რიგის (წარმოების) ხმოვნებია ე და ი, უკანა წარმოებისა — ო და უ; რაც შეეხება ა ხმოვანს, ზოგი მას შუა რიგის ხმოვნად თვლის (გ. ახვლედიანი), ზოგიც — უკანა რიგისად (თ. უთურგაიძე);

ბ) აწეულობის მიხედვით: დაბალი აწეულობისაა ა, საშუალო აწეულობისა ე, მაღალი აწეულობისაა ი და უ. რაც შეეხება ო-ს, იგი შეიძლება იყოს როგორც დაბალი (ა-ს მსგავსად), ასევე საშუალო (ე-ს მსგავსად) აწეულობისა (თ. უთურგაიძე);

გ) ლაბიალურობის (ბაგისმიერობის) მიხედვით: ლაბიალური (ბაგისმიერი) ხმოვნებია ო და უ, არალაბიალური (არაბაგისმიერი) ა, ე და ი (ამათგან ე და ი პალატალური ხმოვნებია, ა - - „ნეიტრალური“).

რაც შეეხება ლიაობას, ყველაზე ღია (ფართო) ხმოვანია ა (მას წარმოთქმისას პირის ღრუში ყველაზე ნაკლები დამრკოლება ახლავს), ყველაზე ვიწრო ხმოვნებია ი და უ, საშუალო ლიაობისაა (სიფართოვისაა) ე და ო.

ამდენად, ხმოვანთა სისტემა საერთო-ქართულში ასეთნაირად წარმოგვიდგება: ა არის დაბალი აწეულობის (ღია, ფართო), შუა (ან უკანა) რიგის არალაბიალური (და არაპალატალური) ხმოვანი.

ე არის საშუალო აწეულობის (საშუალო ლიაობის, სიფართოვის), წინა რიგის,

არალაბიალური (პალატალური) ხმოვანი.

ო არის საშუალო (ან დაბალი) აწეულობის (ლიაობის, სიფართოვის), უკანა რიგის, ლაბიალური ხმოვანი.

ი არის მაღალი აწეულობის (ვიწრო), წინა რიგის, არალაბიალური (პალატალური) ხმოვანი.

უ არის მაღალი აწეულობის (ვიწრო), უკანა რიგის, ლაბიალური ხმოვანი.

ყველა ეს ხმოვანი ფონემა ამავე დიფერენციალური ნიშნებით ხასიათდება ქართული ენის დიალექტებშიც.

ფონეტიკური ცვლილებების დროს ყველა ეს ნიშანი არის გასათვალისწინებელი: ხმოვნის აწეულობა (ლიაობა), წარმოების ადგილი (რიგი) და ლაბიალურობა, აგრეთვე პალატალურობა ის ნიშნებია, რომლებიც შეაპირობებენ ფონეტიკურ ცვლილებათა ზედმიწევნით კანონზომიერ ხასიათს.

შენიშვნა: დიფერენციალურ ნიშნებში პირველ ადგილას აწეულობა (ლიაობა) იმიტომ გამოგვაქვს, რომ ხმოვანთა პოზიციური ცვლილების დროს ქართული ენის დიალექტებში სწორედ მას აქვს არსებითი მნიშვნელობა.

1.4. ხმოვან ფონემათა ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში. ქართული ენის დიალექტებში დადასტურდა პოზიციურად მიღებული ო მოკლე ხმოვანი, ა, გრძელი ხმოვნები, უმლაუტანი ხმოვნები, ფშვინეიერი შემართვისა და დამართვის ხმოვნები, მკვეთარი შემართვისა და დამართვის ხმოვნები, ირაციონალური ხმოვანი და ნაზალიზებული ხმოვნები. დაჩნდება შემთხვევები, როცა პოზიციურად მიღებული ბგერა ლექსიკურ ან გრამატიკულ მნიშვნელობას განასხვავებს: ზრლ „ძველი“ — ზოლ „ძვალი“ (ინგილოურში), უწვევს (სასხვისო ქცევა წვე-ს ზმნისა) — უწვევს „აუწვევს“ (აქარულში)... მაგრამ სიღრმისეული ანალიზი გააკრვევს, რომ ეს ფუნქცია არსებითად აქვს იმ ფონემას (ან ფონემათა კომპლექსს), რომლის პოზიციურ ვარიანტსაც წარმოადგენს მოცემული ბგერა: ძველ-ი — ძვალ-ი (სხვაობას ქმნის ე-ა), უ-წვევ-ს — ა-უ-წვევ-ს (განსხვავებულა თვით მორფოლოგიური სტრუქტურა ამ ფორმებისა). ზოგი ბგერითი ვარიანტის მიღება შედეგია რთული ფონეტიკური გარდაქმნებისა, რაც ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში დაჩნდება ნასესხებ სიტყვებს შემოყოლილი სპეციფიკური ხმოვნები. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, ინგილოურში, სადაც აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში ისმის ლაბიალიზებული ი, უკანა რიგის მაგარი ი, ფართო ო და მისთ. მაგრამ ყველა ამ ბგერას იმავე დიალექტში ეპოვება სათანადო ქართული ეკვივალენტი — ხდება გამოთქმის შეგუება ქართულ მეტყველებასთან. ამიტომაც ქართული დიალექტური მეტყველების დონეზე ამ ბგერებს არ

განვიხილავთ.

1.6. მოკლე ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში. მოკლე ხმოვნებიდან ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულა ო . გვხვდება იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში — ხევსურულსა და თუშურში. ო წარმოდგენილია მხოლოდ სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში (ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ ბოლოში), ესე იგი, იმ პოზიციაში, სადაც ამ დიალექტებისათვის ხმოვნის დასუსტება და დაკარგვა არის დამახასიათებელი.

შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში ო არის ისრული ხმოვნის პოზიციური ვარიანტი. არა აქვს მნიშვნელობა, თუ მოროფოლოგიურად რა არის ი; იგი შეიძლება იყოს: ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ლირძილ „ლრძილა“, აკვან „აკვანი“, კევ „ხევი“; დასტურდება იგი მკვეთრი დამართვის ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთანაც: დროშაძე „დროშა“ — ამ შემთხვევაში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთა ანალოგიური მდგომარეობაა (ნიმუშები თუშური დიალექტიდანაა); ბ) ზმნური სუფიქსი — ნამყო უსრულში: ვთბებოდ , სთბებოდ (თუშური); ავდგებოდ , აზდგებოდ (ხევსურული); ნამყო ძირითადში: ისინი ვნახენ მე, ღნახენ შენ (თუშური); გავიგე , გაიგე ; მავდენ , ავდენ (ხევსურული).

სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან თუშურში — ა დასტურდება: კვეყანაა „ქვეყანა“, ჩოკაა „ჩოხა“, ჭლეკაა „ჩჩოლა“ (შდრ.: კვეა, აკვანი), ხევსურულში — — ი ან — ო : რაი, საქმეი; წყარონ , ცოტან (ესე იგი, ამ მხრივ არ სხვაობს ხმოვანზე და თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები). ხშირად — ი//— ო//ა საერთოდ იკარგვის (განსაკუთრებით მაშინ, თუ სიტყვა წინადადების დასაწყისშია მოქცეული; წინადადების ბოლო პოზიციაში უფრო ხშირად შენარჩუნებულია).

გარდა ზემოხსენებულისა, ო შეიძლება დაჩნდეს ე ხმოვნის პოზიციაშიც. ასეა, მაგალითად, ხევსურულში — ნამყო ძირითადის ფორმებში: გავწირე „გავწირე“, მაგიტანე „მოგიტანე“, მაიყვანე „მოიყვანე“; მრვალობითი რიცხვის ფორმებში, თანხმოვნის წინა პოზიციაში, — ე სრული სახითაა წარმოდგენილი: გავწირეთ, მაგიტანეთ, მაიყვანეთ. მხოლოდობითი რიცხვის ფორმებში სავარაუდოა ჯერ ე → ი ნეიტრალიზაცია, შემდგომ ი: ო შენაცვლება. თუ ასეა, მაშინ ო აქაც ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტია.

ო გვხვდება კავშირებითის ფორმებშიც: ავდგებოდენ „ავდგებოდენ“, აზდგებოდენ „აზდგებოდენ“ (გარეგნულად ემთხვევა ნამყო უსრულის ფორმებს) — ნიმუშები ხევსურული დიალექტიდანაა. ღირსსაცნობია, რომ ხევსურულში (ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოგ სხვა დიალექტში) კავშირებითის წარმოება უნიფიცირებულია და მის ნიშნად ყოველთვის — ა ფორმანტი გვაქვს (ამიტომაც

მრავლობითში იქნება: ავდგებოდათ „ავდგებოდეთ“, აზდგებოდათ „ავდგებოდეთ“). მხოლოდითი რიცხვის ფორმებში პოენიერი ო შეუძლებელია იყოს უშუალოდ — ა ხმოვანი სუფიქსის რეფლექსი (პოზიციური ვარიანტი). საგარაუდოა ორი რამ: ა) ან ა→ე, რომლის ადგილი შემდგომ დაიჭირა ო — წარმოთქმის მსგავსების გამო, ბ) ან მხოლოდითი რიცხვის ფორმებში ფონეტიკური ცვლილება მოხდა მანამდე, სანამ უნიფიცირებული — ა მორფემა გავრცელდებოდა; მაშინ ამოსავლად შეიძლება ვივარაუდოთ ე→ი დავიწროება, ხოლო ი-ს ადგილას დაჩნდა მისი პოზიციური ვარიანტი ო. გასათვალისწინებელია, რომ ამ პოზიციაში ხშირად ე ირაციონალური ხმოვანიც არის ფიქსირებული და ხმოვანმოკვეცილი ნაირსახეობაც: ავდგებოდე // ავდგებოდ „ავდგებოდე“ (მრავლობითში — ავდგებოდათ „ავდგებოდეთ“). ეს ეხება I კავშირებითის ფორმებს, II კავშირებითში კი მხოლოდ ე დაჩნდება ამ პოზიციაში: გავაკეთე // გავაკეთე „გავაკეთეთ“ (მრავლობითში: გავაკეთათ „გავაკეთათ“).

ბ გვხვდება აგრეთვე შემრ „მერე“, მაინც „მაინც“, თურა „თურა“ ტიპის ფორმებში. ო შეიძლება იყოს უფუნქციო დანართი მაინც ფორმაში; სხვა შემთხვევებში საგარაუდოა იგი ე ხმოვნის ნაცვალს იყოს ზემოთ ნახსენები ცვლილების საფუძველზე: ე→ი, რომლის პოზიციური ნაირსახეობაა ო (ამოსავლად მერე, თურე ფორმები იგულისხმება).

ამდენად, მორფოლოგიის დონეზე ო დაჩნდება — ი, —ე და —ა მორფემების პოზიციაში; ფონეტიკურად იგი ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტს წარმოადგენს. უფუნქციო დანართად მისი გამოყენება (მაინც ტიპის ფორმებში) ანალოგიის შედეგი ჩანს.

1.8. გრძელი ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში. ქართული ენის დიალექტებში გრძელი ხმოვნები ყოველთვის პოზიციურია და წარმოიქმნება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) იდენტურ ხმოვანთა შერწყმით,
- ბ) დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ,
- გ) ტონური მახვილის შედეგად,
- დ) ხმოვნის გამიზნული დაგრძელებით.

იდენტურ ხმოვანთა შერწყმით მიღებული გრძელი ხმოვანი რეგულარულად გვხვდება თუშურსა და აჭარულში, დაჩნდება ფერეიდნულშიც. ამ რიგის გრძელი ხმოვნების ფიქსირება ხერხდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, მაგრამ იმდენად იშვიათად, რომ მათთვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ მივიჩნევთ.

მოქმედებს შემდეგი წესი:

გრძელ ხმოვნად შეიარწყმის უშუალო მეზობლობაში იმთავითვე მოცემული ორი იდენტური ხმოვანი; თუშური: გააკეთებს →მაჟ კეთებს, შეეჰამა-შეჟ ჰამ;

ფერაად „მსგავსად“ → ფერაჲც (მკვეთრი დამართვა ამოსავალ ფორმაში ხმოვანთ-გამყარის დანიშნულებით ჩანს გამოყენებული, შემდეგ კი გადასულია გრძელხმოვნთან ვარიანტიში: *გაყაყეთებს → გაყაყეთებს); აჭარული: გაატანა → გატანა, მამამისი → მამამისი (მ სონანტის დისიმილაციური დაკარგვით) → მამისი, არაფერი → ააფერი (რ-ს დაკარგვით; შდრ.: არაფელი, როცა წინამავალი რ შენარჩუნებულია) აფერი; ფერეიდნული: მაყენა → მყენა „მოაყენა“ (მა-ზმნისწინი ამოსავალშივე ივარაუდებდა), მამამენ — მამამენ „მამამენ“, დაარტყამენ → არტყამენ; სპორადულად დაჩნდება ლეჩხუმურშიც: მერე → მეე → მე, მანამღო → მამამღო → მამდი.

იდენტური ხმოვნები მიიღება სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე, რის შემდეგ ხდება მათი შერწყმა გრძელ ხმოვანად; თუშური: გაეშვა → გეეშვა → გჷე შე, გაიგეს → გეეგეს → გიეგეს-გიეგეს, გაუგეს → გოუგეს → გუუგეს → გუუგეს; აჭარული: დეეკარგა → დეეკარგა → დეეკარგა (დე → ე აჭარულში იშვიათია; ეე კომპლექსი, ჩვეულებრივ, დისიმილაციის გზით იცვლება: დეეკარგა//დეეკარგა), აუშენა → ოუშენა → უუშენა → უუშენა, რა უყავი → რო — უყავი — რუ-უყავი → რუყავი (აჭარულში უპირატესად მიანიც გრძელი უ ხმოვანი დაჩნდება, ხშირად გვხვდება ა ა-ც; გრძელი ო საერთოდ არ დასტურდება, რადგან ორი ი არასდროს გვხვდება კონტაქტურ მეზობლობაში, გარდა ანთროპონიმთა კინობითი ფორმებისა [“ზური“ ტიპი], რომლებშიც იი → ი არაა ფიქსირებული); მესხური: გაეტანა → გეეტანა → გე ტანა, მოუვიდა → მუუვიდა → მუუვიდა; ფერეიდნული: დეეწერა → დეეწერა → დეეწერა, მაცა „მოეცა“ → მეეცა → მრცა, მეეპარა „მოეპარა“ → მეეპარა — მეე → პარა; ფერეიდნულში დადასტურებულია ამ პროცესის შემდგომი საფეხურიც: მეეპარა → მეე პარა, მე გებნეს-მეგებნეს „მოეგებნენ“; ფერეიდნულშივე დაჩნდება ერთი თავისებური მოვლენა: ზმნისწინისეული ხმოვნის შეხვედრისას ვ-პირის ნიშანთან ან უ — პრეფიქსთან წარმოიქმნება გრძელი ო ხმოვანი: აგრეთ → ორეთ, შეეკმნით (ან შაეკმნით) → შოკმნით, წაულებს → წოლეფს//წოლეფს, მოუტანენ → მოტანენ, დაუკრავენ → დოკრუენ, ვიფიქრებდით, საკომპესაციო სიგრძე ზომ არ არისო, მაგრამ პარალელურად დადასტურებული წოლეფს და მისთ. ფორმები გვაზარალებინებენ, რომ აქ ფონეტიკური გზით მიღებული ორი იდენტური ბგერის შერწყმასთან უნდა გვკონდეს საქმე. კომბინაციური ცვლილების შედეგად მიღებული სხვა გრძელი ხმოვნები ფერეიდნულმა არ იცის: აუ კომპლექსი მხოლოდ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იცვლება (გაუხარდა → გოუხარდა // გოუ ხარდა), აი კომპლექსში ცვლილება საერთოდ არ ხდება, ოა და ოე კომპლექსები რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე იცვლებიან.

კომბინაციური ცვლილების საფუძველზე მიღებულ იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვანად შეინიშნება მესხურშიც: გაეტანა → გეეტანა → გე ტანა,

ძოუვიდა → მუუვიდა → მუვიდა. ივარაუდება, რომ მახვილის მოკმედების შედეგთან გვაქვს საქმე: გეეტანა → გე ტანა (ა. მარტიროსოვი).

შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ ხმოვნის მოკლე და გრძელი ნაირსახეობა სემანტიკურად განარჩევს ფორმებს: ურჩია — ურჩია „აურჩია“, უგია — უგია „აუგია“ და მისთ. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გრძელი ხმოვანი არსებითად ბიფუნქციურია და როგორც ფონოლოგიურად, ისე მორფოლოგიურად ორი ელემენტის (ბგერის) ეკვივალენტია — ამ შემთხვევაში ა ზმნისწინისა და უ — ზმნური ხმოვანი პრეფიქსისა.

დაკარგული ბგერის საკომპენსაციოდ ხმოვნის დაგრძელება რეგულარულად დასტურდება თუშურსა და აჭარულში.

თუშურში ბოლოკიდურა პოზიციაში სხვათა სიტყვის — ო, წესისამებრ, კარგავს მარცვლოვანობას (ო → ე), რის საკომპენსაციოდ დაგრძელება წინამავალი ხმოვანი: თქვააო? (ო-ს წინ კითხვითი მორფემოიდია — ა) → თქვაა ვ?

აჭარულში ხმოვნის დაგრძელება ხდება უპირატესად დაკარგული რ სონანტის საკომპენსაციოდ: არ → ალარ →, ერთი → ეთი, სირბილი → სრ ბილი... აჭარული ტოპონიმები: წურბლიღლე → წუბლიღლე, საყორნათი → საყონიათი, სამმერხლია → სამმე ხლია, საკარკოტო → საკოკოტო, კორდიბოლო → კოდიბოლო (გ. დიასამიძე, ტოპონიმთა ენობრივი თავისებურებანი, ჭედის რაიონის მასალების მიხედვით, სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, IX, ბათუმი, 1978).

ინგილოურში ხმოვნის დაგრძელება შესაძლოა გამოიწვიოს ფშვინვიერი დამართვის მოშლამ ან ჰ — პირის ნიშნის დაკარგვამ: გაპბედი → გაბედი „გაბედე“, დაჩებთან → და ჩებთან „დაჩებთან“...

კერძო შემთხვევებში აქაც დაჩნდება სემანტიკური სხვაობა ხმოვნის მოკლე და გრძელი ნაირსახეობების შემცველ ფორმებს შორის: ალა „ბატონი, საპატივცემულო პირი“ — აღა „ალარ“, მაგრამ აშკარაა, რომ აღა ფონოლოგიურად არის: ალარ (ესე იგი, ა შეიცავს ინფორმაციას დაკარგული სონანტის შესახებაც). გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღა ნასესხებია, ალარ → აღა საკუთრივ ქართულია; ასე რომ, ამ ორი ფორმის შეთანაბრებაც შემთხვევითია.

ტონური მახვილის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვანი სისტემებრ დასტურდება მთიულურში: „მთიულურის ე.წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს“ (არნ. ჩიქობავა). გრძელი ხმოვანი მთიულურში პოზიციურადაა შეპირობებული — იგი დასტურდება ფრაზაში, სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე: „ღმერთო, უშვე ლე; ლომისაგ მთორ მოწამე ო, ამ საკლავის პატრონსა შენი წყალო ბა მიე ცი, ამრავლე კაცითა, საქონლითა...“ ენკლოტიკის შემთხვევაში მახვილი გადაინაცვლებს: იქნე ბა, მაგრამ: აღარა იქნებ

-რა. არის გამონაკლისებიც: მეშველი ზმნის დართვა ტონური მახვილის (გრძელი ხმოვნის) პოზიციას, ჩვეულებრივ, ვერ ცვლის: ნე ბა და: ეგ თავიანთ ნე ბაა, უფროსი და: უფროსია შიო გიგოზედა... ტონური მახვილის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვანი დაჩნდება აგრეთვე ქართულში (ამიტან ნლი? პური არა -გაქეს?), განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ზემოქანისა და არაგვის ხეობათა მეტყველება, სადაც მახვილის შედეგად სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანი გრძელდება როგორც კითხვით, ასევე თხრობით და ძახით ფორმებში (პური მითან ნე? ეზო სა გვის, ჩვენი ბოსტნებრ ა). ანალოგიური ვითარება დადასტურდა მესხურში (რა მოიტან ნე? გოგო, წყალი მოიტან ნო! „მოიტანე!“ კაი წყალ ა), აგრეთვე იმერხევის ზოგ რეგიონში. ასე, რომ იქმნება თითქმის უწყვეტი იზოგლოსა მთიულურიდან იმერხელამდე ქართლურისა და მესხურის ჩათვლით.

ზემოთ განხილულ სამ შემთხვევაში ხმოვნის დაგრძელება დიალექტის შინაგანი მოთხოვნილებით იყო შეპირობებული. და მას იმთავითვე რაიმე სემანტიკური დანიშნულება არა ჰქონია. ამდენად, წმინდად ფორმობრივი (ამ შემთხვევაში ფონეტიკური) კანონზომიერების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე.

იმავედროულად გრძელი ხმოვნის გამოყენება გამიზნულადაც ხდება, რაც უკვე ენის შესაძლებლობის გარკვეული დანიშნულებისათვის მოხმარებაა და არა ფორმობრივი (ფონეტიკური) სტრუქტურის აუცილებელი მოთხოვნილება.

უწინარეს ყოვლისა აქ იგულისხმება მორფემოიდის შემცველი სიგრძე; შდრ.: ძველი ქართული: ხარა? — ახალი ქართული: ხა რ? არსებითად აქ საკომპენსაციო სიგრძე გვაქვს (რედიციარებული კითხვითი — ა მორფემოიდის სანაცვლოდ) გამოყენებული კითხვითობის გამოსახატავად.

დასახელებული იყო ორი ქრონოლოგიური დონე. ამ მხრივ სხვაობა ტერიტორიული (დიალექტური) თვალსაზრისითაც გვაქვს — ქართლური შენა -ხარ? ცოდეა არ ხარი? წავი და? — ხევსურული: შენ ხარ-ა? ცოდეა არ ას-ა? წავიდაე? (მთიულური: წავიდაა?).

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში ფუნქციური სხვაობა დაჩნდება, მაგრამ არსებითად ეს მოვლენა განხილულ და შეფასებულ უნდა იქნეს მთლიანად ფრაზის ინტონაციური კონტურის (ინტონაციური დანაფენის) და არა ცალკეული ხმოვანი ფონემის დონეზე. ამიტომაც ფარდობა — გააკეთებს, იცის, წავიდა — გააკეთე ბს? იცრ ს? წავიდან? — მოიცავს არა ცალკეულ ბგერებს (ე-ე , ი-ი , ა-ა), არამედ მთლიანად ფორმობრივ სტრუქტურებს და ისიც ფრაზის დონეზე (ცალკე გამოყენებული ფორმა „უსრული ფრაზა“, უკეთ: ნავარაუდები ფრაზის შემადგენელი ელემენტია; მაგალითად, იცის? ამონარიდია ფრაზიდან: მან ეს იცრ ს?//იცრ ს მან ე ს? შდრ.: იცის მან ეს? ან: იცის ეს მან? გრძელი ხმოვანი ფრაზის ბოლო სიტყვაში

დაჩნდება და ეს სიტყვა ამ ინტონაციას ინარჩუნებს ფრაზიდან ამორიდეების შემდეგაც: იცრ ს? ან: ჭ ს? ან — მან? ის კი, კონკრეტულად რომელი ფორმა იქნება ამ დანიშნულებით გამოყენებული („იცის“, „მან“, თუ „ეს“) დამოკიდებულია მთლიანად ტექსტით გამოხატულ სიტუაციაზე.

გრძელი ხმოვნის შემცველი ფორმით ზოგ დიალექტში გამოიხატება მოკმელების განგრძობითობა (უწყვეტობა); გრძელდება ბოლოდან პირველი ხმოვანი: „არავის ეკითხება, მრ დნ ს“, „ზის და ჯკრან მს“, „ნალი გასწინ“, გადააგლო, გასწინ, გადააგლო“ (ბოლო ფრაზაში გრძელხმოვნიანი ფორმა განგრძობითობას გამოხატავს, მოკლესხმოვნებიანი ფორმა მომენტურ მოკმედებას, ხოლო განმეორება მრავალგზისობის, იტერატივის, გამოსახატავადაა გამოყენებული). ეს მოვლენა დამახასიათებელია ქართულურისა და კახურისათვის, გვხვდება მესხურშიც. ამ დროს გრძელდება პაუზისწინა სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი (სხვათა სიტყვის — ომორფემოდის დართვა გრძელი ხმოვნის გადანაცვლებას არ იწვევს): უმწავლელი ვარ (/ / უმწავლელი ვარო). ეს კი შესაბამის მიმართებას ამყარებს კითხვის გამომხატველი გრძელი ხმოვნის პოზიციასთან: ორმარცვლიან სიტყვაში გრძელდება ბოლოდან მეორე ხმოვანი (გვ თბი?), სამმარცვლიან სიტყვაში — ისევ ბოლოდან მეორე ხმოვანი, ოღონდ ბოლოდან მესამე მარცვალს მოუდის მახვილი (მრ ხვე დი?), ერთმარცვლიანი სიტყვა ენკლიტიკურად მიერთვის წინამაგალ სიტყვას, გრძელდება ბოლოდან მეორე ხმოვანი (უბილეთო-ხარ?, შდრ. თხრობითი: უბილეთო-ხარ).

ხმოვნის დაგრძელებით მოკმედების განგრძობითობა (უწყვეტელობა) გამოიხატება იმერულშიც, მაგრამ ინტონაციური ქარგა აქ სხვაგვარია — მაგალითად, ოკრიბულ თქმაში გრძელდება პაუზის წინა სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანი, მოკლდება ბოლოდან პირველი: „დაადებს თავს და მრდნს“. (შდრ. ქართლური, კახური, მესხური: „არავის ეკითხება, მრდნ ს“). რასაკვირველია, იმერულში (ოკრიბული) და ქართლ-კახური ფორმები მხოლოდ გრძელი ხმოვნების პოზიციით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ითქვამს, განსხვავებულია მთლიანად ინტონაციური ქარგა. ეს ნათლად ჩანს იმ შემთხვევებში, როცა გრძელ ხმოვნებს იდენტური პოზიცია აქვს, მაგრამ გამოიხატება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები; შდრ. ამ თვალსაზრისით: იმერული მრ დნს — მრდნ ს? და კახური მრდნ ს-მრ დის? გრძელი ხმოვნების განაწილებით ერთმანეთს დაემთხვა იმერული თხრობითი განგრძობითი მრ დნ ს და კახური კითხვითი მრდის. მიუხედავად ამისა, ინტონაციური სხვაობა (და აქედან გამომდინარე, ფუნქციური სხვაობაც) მათ შორის აშკარაა. მეტიც: კახურშივე აზრობრივი გამოყოფის მიზნით ამავე სიტყვაში გრძელი ხმოვანი დაჩნდება იმავე პოზიციაში: „არავის ეკითხება, მრ დის!...“ კითხვითი „მრ დის?“ და ფრაზიდან აზრობრივად გამოყოფილი „მრ დის“ საერთო ინტონაციური ქარგით გან-

სხვაედება ერთმანეთისაგან (შდრ. განგრძობითობის გამომხატველი: „არავის ეკითხება, მინდ ს“, სადაც გრძელი ხმოვანი სხვა პოზიციაშია წარმოდგენილი). სწორედ ინტონაციური ქარგა განასხვავებს მესხურში კითხვით და თხოვნით-ბრძანებით ფორმებს, მიუხედავად იმისა, რომ გრძელი ხმოვანი ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე პოზიციაშია წარმოდგენილი: „უნდა მოიტა ნო?“ — „გოგო, წყალი მოიტა ნო!“ ოკრიბულში, როგორც ითქვა, „მინდ ს?“ ფორმა ინტონაციურად კითხვის გამომხატველია, მაგრამ სხვაგვარი ინტონაციური ქარგის შემთხვევაში მახვილიანი და გრძელი ხმოვნების იდენტური განაწილება უკვე სულ სხვა შედეგს იძლევა: „ქქ-მევიდა მტრე !“ ქვემოიმერულში — მდე//—მდი თანდებულის წინ ხმოვანი გრძელდება (პოზიციურად— სიტყვის ბოლოდან მეორე მხოვანი): დილან მდი, დელუ მდი, სადამომდი (ზოგჯერ ფიქსირებულია ორი ხმოვანი: დილაამდი...). ფუნქციური დატვირთვა ამ მოვლენას არ უჩანს. გრძელი ხმოვნის პოზიცია. შემოხსენებულის ანალოგიურია, მაგრამ ინტონაცია — დასახელებული ფორმებისგან განსხვავებული. ასე რომ, მნიშვნელობათა განსხვავება მთლიანად ინტონაციურ ქარგაზეა დამოკიდებული და არა საკუთრივ გრძელ ხმოვანზე ან მის პოზიციაზე (უფრო ზუსტად: გრძელი ხმოვანი და მისი პოზიცია ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია საერთო ინტონაციური ქარგისა).

გრძელი ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება სინტაქსურ მიმართებათა დონეზეც.

თუ მთავარი წინადადების ერთმარცვლიან ზმნას უშუალოდ მოჰყვება დამოკიდებული წინადადება, გრძელდება ამ ზმნის ხმოვანი: „მასწავლებელმა თქვა , რო...“ ასეა მესხურში, ანალოგიური ვითარებაა ქართლურსა და კახურში. ორი და მეტმარცვლიანი ზმნებისათვის ასეთი რამ არაა დამახასიათებელი. ამიტომაც სავარაუდოა, რომ აქ საქმე გვაქვს გარომარცვლიანებისა კენ მიდრეკილების შედეგთან.

სხვა სახის გრძელი ხმოვანი დაჩნდება რთულ წინადადებაში დასავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში. თუ დამოკიდებულ წინადადებას მოსდევს მთავარი წინადადება, გრძელდება დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდური სიტყვის ბოლო ხმოვანი; აქართული: „იქით ომ დიდი სახლიან , იქნია იგი გოგო“; გურული: „იქიდან რომ დაბრუნდებ , მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“ (// იქიდან ქ-არ დაბრუნდება, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“ // „იქიდან რომ დაბრუნდება არა , მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“). ივარაუდება, რომ ხმოვნის დაგრძელებას იწვევს დამადასტურებელ-ჩაკითხვითი მორფემოიდის (იხ. შემოდასახელებულ პარალელურ ფრაზებში ქე-არ→ქ-არ, არა) დაკარგვა (ქ. ლომთათიძე). ეს კი ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საკომპენსაციო სიგრძე გვქონია.

ხმოვანი შეიძლება დაგრძელდეს მაშინაც, როცა წინადადება დადასტურებით-

ჩაკითხვით მორფემოიდს (ქე-არ → ქ-არ, ხო...) შეიცავს. ეს მოვლენა ქვემოიმერულსთვისაა დამახასიათებელი; დაჩნდება: ა) რთულ ქვეწყობილ და თანწყობილ წინადადებებში: „რო ჩეიცვამს ახლა ხო, მაშინ ნახეთ რაფერი შესახედავია“; ბ) მარტივ წინადადებებში: „ქ-არ დაამთო კეცხლ“ (კ. კუბლაშვილი). აქ უკვე სულ სხვა რიგის მოვლენაა ხმოვნის დაგრძელება: ტონური მახვილოს შედეგია (იხ. ზემოთ).

გრძელი ხმოვანი (უფრო ზუსტად: ხმოვნის გაგრძელება) ქართულში (სალიტერატურო ენაშიც და დიალექტებში) გამოიყენება წმინდა ექსპრესიული (ემოციური) დანიშნულებითაც.

ნიმუშად რამდენიმე შემთხვევას დავასახელებთ: „მაიკოს თმა ჰქონდა? — შავი (=შავი), წვეტ-წვეტიანი თითები ესა? — გრძელი (=გრძელი)“; „ჩამოქნძილი თავსაფრიდან სახე უჭვიოდა ისეთური, როომ (=რომ)“; „ან რა გაქცევა შექდლო ხოლმე და მოფერებაც ისე იცოდაა (=იცოდან)“; „ცოტათი (=ცოტათი) მოსულელო იყო“; „დიდი (=დიდი) რომანტიკული ღუელი გახლდათ“ (გ. დოჩანაშვილი, ორი მოთხრობა, თბილისი, 1984). ფერეიდნული: „დედამთილი მაჭმას დაიჭერავს და ხორბალსა და ქერსა და ხილსა-ღ“ ფულსა და დი და სარკესა და ემებსა დააწყობს მაჭმაზე და ერთ დი დი წითელ რამესა და თუ უნდა, რომ შაბას, ან ბეჭედი იყოს, აა ყელი იყოს, აა საყურე, იყოს, ემასაც დაადებს მაჭმაზე და გომოოტანს. ზალსა“ (იკე, XXIII, გვ. 205).

იქ დი და აბონე (=ბანო) გოქ (გვ. 207).

ბავში აა დი დი რო მოკდების, დაიღებების, დაუბანავთ (გვ. 208).

ექსპრესიული დანიშნულებისაა აგრეთვე წოდებითის ფორმაში ბოლოკიდური ხმოვნის დაგრძელება: დედი | ძმო! „ძმაო!“

ანალოგიური დანიშნულება აქვს ხმოვნის დაგრძელებას ამ შემთხვევაშიც: „ხმალი მოუქნია და თავი მოჰკვეთან“ (მესხური).

დი დი (ფართო) და ცოტა (ან ჰს ტარა) ფორმებში, ორივე შემთხვევაში, გრძელი ხმოვნები დაჩნდა. ორივე შემთხვევაში გრძელი ხმოვნები ექსპრესიული (ემოციური) დანიშნულებითაა გამოყენებული: პირველ შემთხვევაში ხაზგასმულია სიდიდე (სიფართოვე), მეორე შემთხვევაში — სიმცირე (სიბატარავე). ამდენად, სრულიად საპირისპირო მოვლენები აღინიშნება. ბუნებრივია, რომ ოდენ გრძელი ხმოვნით, უკეთ: ხმოვნის გაგრძელებით (ანუ: ერთი და იმავე საშუალებით) საპირისპირო მნიშვნელობები ვერ გამოიხატება. ამიტომაც არსებითი ღირებულება აქვს მთლიანად ინტონაციური ქარგას; მაგალითად, სიდიდის (სიფართოვის) აღნიშვნისას ტონი უფრო დაბალია (მსხვილია), სიმცირის აღნიშვნისას — უფრო მაღალი („წერილი“). ინტონაციური ქარგის სხვადასხვა მოდულიკაციით შეიძლება გამოიხატოს მეტყველოს

განწყობაც; მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რა ინტონაციით წარმოითქმის ფრაზა: „შენც ისწავლი, მანა“ შესაძლოა გამოიხატოს დასტური („უთუოდ ისწავლი!“), უარყოფა („ვერ ისწავლი“), მოწონება, ირონია და მისთ.

ეს მოვლენა არსებითად სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება.

ზემოთ წარმოდგენილი იყო ის პოზიციები, სადაც ქართულში გრძელი ხმოვანი დაჩნდება. გრძელი ხმოვნის ზოგი სახეობა საერთოდ-ქართულთა, ზოგიც მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტისთვისაა დამახასიათებელი (თუ სად რომელი სახეობაა გავრცელებული, ამის შესახებ იხ. ზემოთ).

ზოგ პოზიციაში გრძელ ხმოვანს დისტინქტური ფუნქცია აღმოაჩნდა: უწევს „წევს მასთან ან: სწევს მისას // მისთვის“ — უწევს „აუწევს“, ალა „ბატონი“ — აღა „ალარ“, ხარ (თხრობითი) — ხარ? (კითხვითი) და მისთ. მოუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ფონოლოგიის დონეზე ქართულში გრძელი ხმოვანი არა გვაქვს: უწევს ფონოლოგიურად ჩაიწერება როგორც უუწევს (ორი იდენტური ხმოვნის კომპლექსი, თვით კომპლექსი კი ფონეტიკური ცვლილების შედეგადაა მიღებული: აუ → აუუ → უუ), მორფოლოგიურად — აუწევს; ანალოგიურად „აღა“ ჩაიწერება როგორც „ალარ“, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაულახავი დაბრკოლების წინაშე აღმოვჩნდებით: უ, ა განისაზღვრება როგორც ბიფუნქციური ელემენტები (მოიცავენ ორ სემანტიკურ ინფორმაციას: უ - ა და უ ფონემებისა, ანუ: ზმნისწინისა და ზმნის ხმოვანი პრეფიქსისა, ა — ფუძის შემადგენელი ორი — ა და რ — ფონემისა), ფონემა კი არ შეიძლება იყოს ბიფუნქციური. (თვით იმ დეფინიციების მიხედვითაც, რომლებიც ფონემას განსაზღვრავენ დისტინქტურობის ნიშნით). ამ შემთხვევაში გრძელი ხმოვანი არსებითად არის ორი იდენტური ხმოვნის „ფაქულტატური ვარიანტი“ (იხ.: ნ. ტრუბეცკოი, ფონოლოგიის საფუძვლები). ამასთან დაკავშირებით სხვა საკითხიც დადგება: ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად ბიფუნქციური აღმოჩნდება ზოგი ფონემაც (ხვესურული: ვაჟი → ოჟი, ვათქმითათ → ოთქმითათ; კახური: სვამს → სომს, ხვათი → ხოთი; იმერული: წვიმს → წუმს, დაწვება → დაწობა და მისთ.). ასეთ შემთხვევისათვის ო, უ ხმოვნების განსაზღვრის საკითხი ცალკე დაისმის, მაგრამ ერთი რამ არის უდავო: ო და უ სხვა პოზიციებშიც გვხვდება და ამკარად დაჩნდება როგორც ფონემები (ამდენად, ბიფუნქციურობა მათთვის მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციაშია დამახასიათებელი), ხოლო გრძელი ხმოვანი ოდენ განსაზღვრულ პოზიციაში დასტურდება და ყოველთვის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგადაა მიღებული. ასე რომ, განსხვავება მათ შორის პრინციპულია.

რაც შეეხება ტონური მახვილისა და ხმოვნის გამიზნული დაგრძელების შედეგად მიღებულ გრძელ ხმოვანს, მისი ფუნქცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, განისაზღვრება მთლიანი ინტონაციური ქარგის შესაბამისად და, ამდენად, თავისთავადი

ენობრივი ღირებულება მას არა აქვს.

ერთი სირთულეც (ასე ვთქვათ, ტექნიკური ხასიათის სირთულეც) ახლავს ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული გრძელი ხმოვნების ფონემებად განსაზღვრას; ყრძოდ, უწყევს ფორმაში უ როგორ უნდა დახასიათდეს: ა) როგორც ზმნისწინი? მაშინ ზმნის ხმოვანი პრეფიქსი სადღაა? არადა, ამ ფორმაში იგი აუცილებელია; ბ) როგორც ხმოვანი პრეფიქსი? მაშინ ზმნისწინს აღარ ურჩება ადგილი, არადა, ესაა სრული ასპექტის მყოფადის ფორმა და, მორფოლოგიურად, წესის შესაბამისად, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ზმნისწინი. შემდეგ: ამავე წესით გაანალიზებულ გუჯეთა (აქართული) ან გუჯეთ (თუშური) ფორმებში — ა) ან ზმნისწინად გააღმოგვანდება, ხმოვან პრეფიქსად — უ; ბ) ან ზმნისწინად გუ-უნდა გამოვყოთ, ხმოვან პრეფიქსს კი ადგილი აღარ დაურჩება.

შენიშვნა: ზემოხსენებულის გაუთვალისწინებლობა ქართული ენის ფონემატური და მორფოლოგიური ინვენტარის ისეთ ინტერპრეტაციამდე მიგვიყვანს, რომელიც არსებითად იქნება დაშორებული რეალობას. ანალოგიისათვის შეიძლება მოვიშველიოთ გრაფემათა მაგალითი; ძველ ქართულში ეუ გამოიხატებოდა როგორც შ, ში — როგორც ვ; ამ წესის მიხედვით, ხეა იწერებოდა როგორც ხშ, ნაძუი — როგორც ნაძვ; მაგრამ ამის გამო არაფერ ამბობს, რომ ამ ორ ფორმაში თითქოს შეუძლებელი იყოს სახელობითი ბრუნვის — ი// -მ ნიშნის გამოყოფა. რა თქმა უნდა, ეს შედარება (როგორც, საერთოდ, ყველა შედარება) ზედმიწევნით ვერ ათვალსაჩინოებს საკითხის იმანენტურ არსს, მაგრამ მორჩეული ანალოგია თითქოს მაინც ილანდება.

ფონეტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით გრძელი ხმოვნების შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთაც (იხ.: ნაკვეთი..., 2.2).

1.7. უმლაუტიანი ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში. უმლაუტიანი ხმოვნები გვხვდება ინგილოურში, მოხეურში, მესხურში, ქვემოქართლურში. რეგულარული ხასიათი მას აქვს ინგილოურში.

ქართული ენის დიალექტებში უმლაუტიანი ხმოვნები სამი სახისაა:

ა) მიღებულია ვე//ჟე, ვი//ჟი ი კომპლექსთა ცვლილებით;

ბ) მიღებულია ლაბიალურ ხმოვანთა პალატალიზაციით (ო → ძუ → ჟ);

გ) მიღებულია პალატალურ ხმოვანთა ლაბიალიზაციით (ე → რ, ი → ჟ).

გარდა ამისა, უმლაუტიანი ხმოვანი დაჩნდება ნასესხებ სიტყვებში (შემოპყვება ნასესხებ სიტყვას).

უმლაუტიანი შეიძლება იყოს, ა, ო და უ ხმოვნები.

ამათგან ა მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება; ინგილოური: შაპარ „ქალა-

ქი, მს ქთანბ „სკოლა“; მესხური: ქასა „შემოვლითი გზა“, ბაზირგანი „ვაჭარი“...

რაც შეეხება ო და უ ხმოვნებს, ისინი დაჩნდება როგორც ნასესხებ, ასევე საკუთრივ ქართულ ფორმებში.

ინგილოურში უმლაუტიანი ხმოვნები ყველაზე ხშირად ვე/ვე და ვი//ვი კომპლექსთა ცვლილების შედეგად დაჩნდება:

ა) უ ე → ო: აუ ერციხი → კარაცხ, გუ ელი → გარლ, გუ ერდი → გარრდ, ქუ ემ → ქომი;

ბ) უ ე → უ: წუმიბა → წუმიამ, ტუნიი → ტუნ, გუ იან → გუან, ყუიროდა → ყუიროდა. ყველა ამ ფორმაში ძველ ქართულში უ (უ) დაჩნდებოდა (და არა ვ): კუერციხი, გუელი; წუმიამ (=წუმიამ), ტუნი (=ტუნი). ინგილოურში სწორედ უ -ს შემცველი კომპლექსის ცვლილება ხდება. იმ შემთხვევაში, როცა საწყის ფორმაში ვ არის, ჯერ ხდება მისი გაწყვილბაგისმიერება (უ -დ ქვევა) და შემდეგ შესაბამისი კომპლექსის გადასვლა უმლაუტიან ხმოვანში: კლავენ → კლვენ (ავ თემის ნიშნის შეკუმშვით, რაც არაქული დანაშრევი) → კლუნ → კლუნ, კნავენ → კნვენ → კნუნ → კნრ ნ.

უმლაუტიზაციას შესაძლოა წინ უსწრებდეს მეტათეზისი: კუ რეტა → კრუ რეტა → კრრტამ, ექუ სი → *უექსი → ოქს; ფირტუი (ძველი ქართული ფირტუ „ფილტვი“) — *ფურრტ — ფურრტ.

უმლაუტიზაცია ხდება ყველა პოზიციაში — როგორც ფუძეში (კუერციხი — კარაცხ, წუმიბა → წუმიამ), აგრეთვე შორფემათა ზღვარზე (თქუ ეს → თქრს, კლუ ენ → კლრნ; გუინდა → გუნდა, ჰუით → ჰუით → ჰუით).

ივარაუდება, რომ აქ ხდება კომპლექსის „შერწყმა“ ერთ, უმლაუტიან ხმოვანდ. შესაძლებელია დავუშვათ, რომ უ იწვევს მომდევნო ე ან ი ხმოვნის ლაბილიზაციას, თვით კი იკარგვის. შედეგის მიხედვით აქ პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია გვაქვს. რაც შეეხება შერწყმას, აქ არსებითად ხდება ორი დიფერენციალური ნიშნის (ლაბილიზაციის და პალატალიზაციის) შერწყმა.

უმლაუტიანი ხმოვანი დაჩნდება პროგრესული დისტანციური ასიმილაციის (კერძოდ, ლაბილიზაციის) შედეგადაც (ამ შემთხვევაში ვ//ვი შენარჩუნებულა): მოვლილი — მოვლული, უვლიაყე „უვლიათ“ — უვლუაყე (ე).

უმლაუტიანი ხმოვანი ზოგჯერ მიიღება ე და ი ხმოვანთა ლაბილიზაციით მომდევნო უ -ს მაასიმილირებელი გავლენით. შედეგის მიხედვით ეს პროცესი რეგრესული კონტაქტური ასიმილაციაა. ამ შემთხვევაშიც მაასიმილირებელი უ შენარჩუნებულა: თევი → თრვი, ბევი → ბრვი, წაველი → წველი → წრველი, დგების → დგვის → დგვის; მიველ — მუველ (კაქურში) // მუველ (ალიაბათურში), სათივე — სათუვე.

ინგილოურში დადასტურებულია პალატალიზაციის შედეგად მიღებული უმლა-უტიც — ეს ნიშნები ო ხმოვნის პალატალიზაციას, რომელსაც იწვევს ე ხმოვანი; თანამდევია უკუასიმილაციის პროცესი: პალატალიზებული ო სრულად იმსგავსებს წინამავალ (მაპალატალიზებელ) ე-ს: ეზო- ეზოჲ // ოზოჲ, ელოდებიან → ელოზდებიან // ოლოდებიან, გენდობი → გენდოზბი // გონდოზბი (გ. იმნაიშვილი).

პალატალიზაციის შედეგად დაჩინდება უმლაუტიანი უ -ც შემდეგ შემთხვევაში: აგროვებს → აგროვებს (ე-ს დაკარგვით) → აგროუებს (ოე → უე რეგრესული დისიმილაციით) → აგროუ ებს, ათხოვებს → ათხოვებს → ათხოუებს → ათხოუებს. პალატალიზაციას აქაც ე ხმოვანი იწვევს. უმლაუტიანი ო და უ ხმოვნები იმსგავსებენ საკუთარივ ო და უ ხმოვნებს (არსებითად აქაც პალატალიზაციის პროცესთან გვაქვს საქმე): მოზვერი → მოზზერი → მოზზერი, ღვინო → ღვინოჲ → ღვინოჲ.

ლაბიალიზაციისა და პალატალიზაციის თანამდევ პროცესებთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში: წუხელ → წუხელ (პროგრესული ლაბიალიზაციით) → წუხელ (რეგრესული პალატალიზაციით, ახლავს უ → ო სრული ასიმილაციის საფუძველზე).

უმლაუტიანი ხმოვანს შეუძლია დაიმსგავსოს როგორც მომდევნო ხმოვანი პროგრესული ასიმილაციით (ყურილი → ყურილი → ყურილი; წვერები → წვერები — წვერები // წვერები), ასევე წინამავალი ხმოვანი რეგრესული ასიმილაციით (სირცხვილი → სირცხვილი → სირცხვილი, ლელვები → ლელვები → ლელვები // ლელვები). აქ სრული ერთსაფეხურიანი ასიმილაცია გვაქვს (ო იმსგავსებს ე-ს, უ კი — ი-ს).

დასტურდება ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებიც (როცა უმლაუტიანი უ იმსგავსებს ე-ს): შვილები → შვილები → შვილები // შვილები (პროგრესული ასიმილაციით), გეტყვი → გეტყვი → გეტყვი (რეგრესული ასიმილაციით).

ასეთია უმლაუტიანი ხმოვნების ზოგადი სურათი ინგილოურში. ქართული ენის ამ დიალექტში უმლაუტი ფართოდ და მკვიდრად არის გავრცელებული.

ზოგჯერ უმლაუტიანი ხმოვანი უუმლაუტო ხმოვანთან შეპირისპირებით დისტინქტურ ფუნქციას იძენს: ზოლ (← ზველ) „ძველი“ — ზოლ (← ზვალ) „ძველი“, წოლაჲ (← წველაჲ) „წველა, მაწონი“ — წოლაჲ „წოლა“; უყურევეს „უყვირებს“ -- უყურევეს „უყურებს“ ... ო -ო, უ -უ დაპირისპირება, როგორც ვხედავთ, ზოგჯერ მართლაც განასხვავებს მნიშვნელობებს. ოლონდ აქ ერთი რამაა გასათვალისწინებელი: ო -ო ოპოზიცია ზედმიწევნით იდენტურია უ ე-უ ა ან უ ე-ო ოპოზიციისა, უფრო ზუსტად: ამ ოპოზიციითა ფონეტიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს: ძველ-ი — ძველ-ი და შესაბამისად: ზოლ-ზოლ, წველა — წოლა და: წოლაჲ — წოლაჲ. ანალოგიურად დაისმის საკითხი უ -უ ოპოზიციის მიმართაც, რომელიც ფონეტიკური ნაირსახეობაა ვი // უ ი — უ ოპოზიციისა: უყვირებს ... უყურებს და შესაბა-

მისად: უყურევს — უყურევს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც კი მოიშლება სათანადო პოზიცია, უმლაუტიანი ხმოვანს ან ადგილი აღარ ურჩება, ან სხვაგვარი პოზიციის შესაბამის უმლაუტიანი ხმოვანს ვიღებთ: ა) გა-ჰ-ყრბ-ი-ს „გაჰყვება, გაჰყვების“, მაგრამ: გა-ჰ-ყვ-ა („აღღგა“ უმლაუტიანი რ-ში „შერწყმული“ ვ), გუნდ-ა „გვინდა“, მაგრამ: გ-ი-ნდ-ა. ვერ ვიტყვით, რომ აქ ფონემურ დონეზეა შეპირობებული უ-ი, რადგან უ ბიფუნქციურია — გუ-ი → გუ-, ხოლო ი — მონოფუნქციური; გარდა ამისა, ასეთი შეფასებით მორფოლოგიის დონეზე პირის ნიშნად ორივე შემთხვევაში გ — უნდა გამოიყოს, ზმნის ხმოვან პრეფიქსებად კი — უ და ი, რაც სავესებით ეწინააღმდეგება ქართული ენისა და, კერძოდ, ინგილოური დიალექტის მორფოლოგიურ სისტემას (შდრ.: გოჭავ „გვაქვს“ — ამ შემთხვევაში პირის ნიშანი ისევე გ — გამოდის, ზმნის ხმოვანი პრეფიქსი კი —ო —; რაც ასევე შეუთავსებელია ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემასთან); უმლაუტის პოზიციური მოშლის სხვა ნიმუშებიდან შეიძლება დავასახელოთ: სიტყვები „სიტყვები“ — სიტყო „სიტყვა“, დაიწობის „დაიწვების“ — დაიწო „დაიწვა“ — სხუზგან „სხვისგან“ — სხო „სხვა“, ჰკუთთ „ჰკუთით, ჰკუთით“ — ჰკო „ჰკუთა, ჰკუთა“ და მისთ. ბ) უმლაუტიანი ხმოვანთა შენაცვლების ნიმუშებია: შაარცხონს „შეარცხვენს“ — შაარცხუნა „შეარცხინა“, ჰრრტა „ჰვრრეტა“ — ჰრრტავს „ჰვრრტავს“ (უმლაუტს წინ მეტათეზისი უსწრებს: ჰვრრეტა → *ჰვრრეტა — ჰრრტა, ჰვრრტავს → *ჰვრრტავს → ჰრრტავს).

ზემოხსენებული ადასტურებს, რომ ინგილოურში უმლაუტიანი ხმოვანი მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციაში წარმოიქმნება და, ამდენად, იგი შესაბამისი ფონემის (ან ფონემათა კომპლექსის) პოზიციურ (ბგერით) ვარიანტს წარმოადგენს.

უმლაუტიანი ხმოვანი წარმოიქმნება როგორც ფუძეში (ზრლ „ძველ-ი“, კორცხ „კვრცხი“, ჰრრტა „ჰვრრეტა“ — ჰრრტავს „ჰვრრტავს“), ასევე მორფემათა ზღვარზე (კლავენ → კლვენ → კლრნ, ჰკუთთ // ჰკუთთ → ჰკუთთ). ასე რომ, ორივე შემთხვევაში უმლაუტიანი ხმოვნის წარმოქმნის გზა იდენტურია, ამიტომ მათი განსაზღვრაც იდენტური უნდა იყოს. ინგილოური დიალექტის ჩვენებაზე ასე დაწვრილებით იმიტომ შეეჩერდით, რომ აქ უმლაუტიზაციის ტაბობრივი შემთხვევები გვაქვს. ერთადერთი გამონაკლისია ჩონ „ჩვენ“ (ძველი ქართული: ჩუენ), რომელშიც მოსალოდნელი რ-ს ნაცვლად უუმლაუტო ო ხმოვანი დაჩნდება (შდრ.: ჩონრგა „ჩვენება“, სადაც იმავე პოზიციაში ვე//უე → რ).

სხვა დიალექტებში უმლაუტიანი ხმოვნებს მეტ-ნაკლები მერყეობა ახასიათებს.

ქვემოქართლური: კვრცხი → კორცხი, ძერი → ძური; პარალელურად გვხვდება კორცხი, ძური (დეუმლაუტიზებული ნაირსახეობანი). ზოგჯერ მოსალოდნელი უმლაუტიანი ხმოვანი საერთოდ არ არის ფიქსირებული: უმვებს → უმოფს, წვივი →

წუვი.

ანალოგიური ვითარებაა მესხურშიც — პარალელურად იხმარება კვერცხი → კორცხი // კორცხი, შველი → შუელი // შული. დაჩნდება ვი → უ მულაუტიზაციის საპირისპირო პროცესიც → უ/უ აუი: ბზული → ბზვილი, დააჯდუნა → *დააჯდვინა → დააჯდინა (ვ-ს მეტათეზისით).

უმლაუტს შესაძლოა საფუძვლად ედოს არა კომპლექსთა ცვლილება, არამედ პალატალიზაცია (ნაწილობრივი ასიმილაცია): პალოები → პალუები → პალუები, კალოები → კალუები... (// → პალუები, კალუები).

შესამჩნევი მერყეობით ხასიათდება უმლაუტიანი ხმოვნები მოხეურშიც. ერთი მხრივ, გვაქვს: გაშვება → გაშობა, გვეძახის → გოძახის, ქვეყანა → ხოყანა, ან: მშვიდობა → მშუდობა, აკვირდების → აკურდების, ხოლო, მეორე მხრივ: გვერდი → გორდი, გვეხმარება → გოხმარება, თქვეს → თქჲს, ან: გვითხრა → გუთხრა, შვიდი → შუდი, ფეტვი → ფეტუ . ამგვარ ფონეტიკურ გარდაქმნას შესაძლოა წინ უსწრებდეს სხვა პროცესი: თექვემეტი → *თვექსმეტი (მეტათეზისით) → თუქსმეტი.

უმლაუტიან ხმოვანს შეუძლია ასიმილაციის მოხდენა: დაგვეხმარა — დაგოხმარა → დოგოხმარა, დაგვირჩა → დაგუჩრჩა → დოგუჩრჩა.

მოხეურში დაჩნდება უ // უ ხმოვნის ვი // უ ი კომპლექსად დაშლის პროცესიც: დურბინდი → დვირბინდი.

მერყეობა ნათლად წარმოჩნდება პარალელური ფორმების პონეტიკების დროს. მაგალითად, და-გვ-ე-ც-ა ტიპის ფორმები იძლევიან ორ ნიარსახეობას: ა) დაგვეცა → დაგოცა → დოგოცა // დოგოცა, რომელსაც ხშირად მოსდევს დელაბიალიზაცია თავიდან მეორე ხმოვნისა: დოგოცა → დოგეცა; ბ) დაგვეცა → დეგვეცა სრული რეგრესული ასიმილაციით, რაც ტიპობრივი მოვლენაა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში. საგარეოდოა, რომ მოხეურში თანაარსებობს ორი ფენა (პლასტი): ადრინდელი, რომელიც უმლაუტიზაციის პროცესით ვლინდება და გვიანდელი — რეგრესული სრული ასიმილაციით დაჩნდება, რაც ქართლური დიალექტის ზეგავლენას უნდა მიეწეროს.

უმლაუტიანი ხმოვნების საშუალებით გრამატიკულ მნიშვნელობათა განსხვავების ტენდენცია მოხეურშიც იჩენს თავს: გვეძინა → გოძინა, შდრ.: გეძინა: რ -ე განსხვავებას პირველი და მეორე პირის ფორმებს; ან: გვირჩება → გუჩრება, შდრ.: გირჩება — ანალოგიური მდგომარეობაა უ -ი ხმოვანთა ოპოზიციის დონეზე; ოპოზიციას ქმნიან პალატალიზებული ლაბიალური და პალატალური ხმოვნები: რ-ე, უ -ი; თუ გავითვალისწინებთ დეუმლაუტიზაციის ფართოდ გავრცელებულ პროცესსაც, მაშინ იგივე ოპოზიციები რ-ე, უ-ი სახითაც დაჩნდება.

გვაქვს უფრო რთული გარდაქმნის შედეგად მიღებული დაპირისპირებაც: დაგ-ვეცა → დაგწცა → დრგწცა (სრული რეგრესული ასიმილაციით) → დრგვეცა (პროგრესული დისიმილაციური დელაბიალიზაციით), შდრ.: დაგვეცა: რ -ა ოპოზიცია გამოყენებულა პირველი და მეორე პირის ფორმათა განსასხვავებლად. ანალოგიურად: დაგვირა → დაგუ რა → დოუურა → დოგირა (I პირი) და: დაგირა (II პირი).

ამგვარი ცვლილებანი ზუსტი კანონზომიერებით ხასიათდება. მაგალითად, დაგვეძინა → დაგვ ძინა → დრგვძინა → დრგვეძინა // დოგვეძინა (I პირი) → დაგვეძინა (II პირი). პირველ ფორმაში რ — ე დასაშვებია, რადგან I და II პირის ფორმებს ზმნისწინის დრ — და და — ნაირსახეობანი განასხვავებს. ზმნისწინის გარეშე გამოყენებისას კი იგივე რ → ე დელაბიალიზაციის პროცესი იკრძალება, რადგან ამ შემთხვევაში I და II პირის ფორმები გარეგნულად დაემთხვეოდა ერთმანეთს (შდრ.: გვეძინა → გრძინა // გოძინა და გეძინა; ამგვარი ოპოზიციის დროს გრძინა — *გეძინა დაუშვებელია). იგივე ითქმის დოგირჩება — დაგირჩება და გუჩრჩება — გირჩება ოპოზიციების მიმართ.

გრამატიკულ მნიშვნელობათა ამგვარი ფაქულტატიური საშუალებებით განსხვავების ფაქტი მოხეურში ერთეული არ არის. დაჩნდება იგი სხვა შემთხვევებში. მაგალითად, შაგყრის → *შოგყრის (ა → ო ცვლილებას დისტანციური ასიმილაციით იწვევს ვ ლაბიალური თანხმოვანი) → შოგყრის (ვ-ს დისიმილაციური დაკარგვით), შდრ.: შაგყრის: ო-ა ოპოზიციამ განასხვავა I და II პირის ფორმები.

ღირსსაყენობია ისიც, რომ მოხეურში დაჩნდება გრამატიკულ მნიშვნელობათა განსხვავების პარალელური საშუალებანი:

I პირი: დაგვეცა	დაგწცა → დრგწცა → დრგვეცა
	დეგვეცა
II პირი: დაგეცა	დაგვეცა (უცვლელია)
	დეგვეცა

ამის საფუძველზე ერთი და იმავე დანიშნულების ორი ფორმოზოგი ოპოზიცია გვექნება:

- ა) დრგვეცა // დოგვეცა (I პირი) — დაგვეცა (II პირი);
- ბ) დეგვეცა (I პირი) — დეგვეცა (II პირი).

შესაბამისად დაჩნდება უდვლოლების პარადიგმის ორი ნაირსახეობა:

- ა) დამეცა დრგვეცა // დოგვეცა
- დაგვეცა დაგვეცათ
- დაეცა დაეცა
- ბ) დემეცა დეგვეცა

დეგეცა დეგეცათ

დეეცა დეეცათ

(III პირის ფორმაში მიცემით ბრუნვიანი სახელის მრავლობითი რიცხვი არ აღინიშნება).

ამდენად, ა) ო და ო მოხეურში თავისუფლად შეენაცვლება ერთმანეთს; ამიტომაც საკუთრივ ო მნიშვნელობათგანმასხვავებელი ვერ იქნება — ამავე დანიშნულებისა აღმოჩნდება ო-ც; ბ) ზემოხსენებული განაპირობებს იმას, რომ ფუნქციური სხვაობის გამოხატვა სიტუაციურია: სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ცვლილების შესაბამისად სხვადასხვაგვარია (იხ. ზემოთ ორი სახის ოპოზიცია). ეს კი ნიშნავს, რომ ფუნქციური განსხვავება მთლიანად აღმოჩნდა დამოკიდებული ფონეტიკურ ფაქტორზე და, აქედან გამომდინარე, ფონეტიკურად ცვლილ ფორმათა შეფარდებაზე (დრგეცა // დოგეცა — დაგეცა, მაგრამ: დეგვეცა — დეგეცა) და არა რომელიმე კონკრეტულ ბგერაზე, რომელსაც ამის გამო შესაძლოა ფონოლოგიური ღირებულება ჰქონდეს.

ყველა ზემოდასახელებულ დიალექტში დადასტურებულია ვა//ჟ ა → ო შენაცვლება; ინგილოურის გარდა, ფართოდაა გავრცელებული ო — ო დეუმლატიზაციის პროცესიც. ამის კვალობაზე ამ დიალექტებში ფონეტიკის დონეზე სამი სახის ო დაჩნდება: ა) საკუთრივ ო: ორმო, გოგო, ოცი; ბ) ვა//ჟ ა → ო: ცხვარი — ცხორი, თვალი → თოლი, სხვა → სხო // ცხო, თქვა → თქო; გ) ვე//ჟ ე → ო: ჩვენ → ჩონ → ჩონ, გვეძახის → გოძახის — გოძახის. სამივე ო-ს ფონოლოგიის დონეზე სხვადასხვა კორელატი აქვს: პირველ შემთხვევაში საკუთრივ ო, მეორე შემთხვევაში — ვა, მესამე შემთხვევაში — ვე. ანალოგიურად დაისმის საკითხი საპირისპირო პროცესის შემთხვევაში: ო → ვა (ოსი → ვასი, სიონი → სივანი, გიორგი → გივარგი, რაც მოხეურშია დადასტურებული), ო → ვე (ორაგული → ვერაგული, დამოწმებულია ხევსურულში). ამის კვალობაზე, ვა კომპლექსი, მაგალითად, ვარ და ვას-ი ფორმებში ფონოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა ღირებულებისაა: პირველ შემთხვევაში როგორც საკუთრივ ვა (ორი ფონემა), მეორე შემთხვევაში — როგორც ო-ს კორელატი. ამათგან ვარ, ოსი ენის ფაქტია, ვარ, ვასი — კონკრეტული (ამ შემთხვევაში — დიალექტური) მეტყველებისა.

ვე → ო, ვი → უ შენაცვლება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც დაჩნდება (ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულში, კახურში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხურში, გურულში, აჭარულში), მაგრამ არც ერთ მათგანში არა გვაქვს რან უ უმლაუტიანი ხმოვნები. თუ, ერთი მხრივ, მოხეურის, ხოლო, მეორე მხრივ, მესხურის ვითარებას გავითვალისწინებთ, სადაც ჩვეულებრივია ო → ო, უ → უ დეუმლატიზაციის პროცესი, შეუძლებელი არ ჩანს მათთან ტერიტორიულად მოსაზღვრე

დიალექტებშიც ისტორიულად ანალოგიური ფონეტიკური ცვლილება გვევარაუდა (უმლაუტი შეუთავსებელი აღმოჩნდა ქართული მეტყველებისთვის).

დეუმლაუტიზაცია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში სამი ნაირსახეობით დაჩნდა:

ა) უმლაუტიანი ხმოვნები კარგავენ პალატალიზაციის პროცესს: ჩონ → ჩონ „ჩვენ“, წუმა → წუმა „წვიმა“ ... პროცესი თავს იჩენს მოხუერში, ქვემოქართლურსა და მესხურში, რის შედეგადაც ზოგჯერ პარალელური ფორმები დაჩნდება (წუ მა // წუმა). ინგილოურში ამ პროცესის შედეგმა მხოლოდ „ჩონ“ ფორმაში იჩინა თავი. სხვა დიალექტებში (ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულში, კახურში, რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში) ამ პროცესის შედეგსა ვადასტურებთ — წარმოდგენილია დეპალატილიზებული ო და უ: გამომბა „გამვება“, სადლობელი „სადლვებელი“; წუმა „წვიმა“, გათხოული „გათხოვილი“ და მისთ. ფერეიდნულში ასეთი ფორმებია: გომინია, გოსმის; გუთხრეს, გუნდა, დაჩოულია... ფერეიდნულისათვის, საერთოდ, დელაბიალიზაციაა დამახასიათებელი, მაგრამ აქ გამოიწვევდა სემანტიკურ აღრევას: გეშინია (ჩვენ)! ან მეზობელ ლაბიალურის გამო შენარჩუნდა: დაჩოულია (აქ დასამვებია: დაჩეული) (გ. იმნაიშვილი, ჭესს, III, გვ. 89).

ბ) უმლაუტიანი ხმოვნები კარგავენ ლაბიალიზაციის პროცესს: ღედი „ღვედი“, კერცხი „კვერცხი“, წერი „წვერი“; წიმა „წვიმა“, შიდი „შვიდი“, ტინი „ტვინი“ (მდრ.: ღრ დი, კრ რცხი, წრ რი; წუ მა, შუ დი, ტუ ნი). ასეთი ვითარება რეგულარული სახით დადასტურებულია ფერეიდნულში. შევნიშნავთ, რომ ამავე დიალექტში დაჩნდება დეპალატალიზაციის შემთხვევებიც (გვესმის // გუესმის — გრსმის → გოსმის, გვითხრეს // გუთთხრეს → გუთთხრეს — გუთხრეს), სპორადულად შენარჩუნებულია უმლაუტიანი ხმოვნებიც (ჩონ, „ჩვენ“, თქონ „თქვენ“, მდრ. იქვე: თქვენ // ტენ, გრ ზიდნა „გვეზიდნა“).

გ) უმლაუტიანი ხმოვნები „დაიშლება“ შესაბამის კომპლექსებად. ჩვეულებრივ, ასეთ ცვლილებას განიცდის უ (რა თქმა უნდა, აქ გამოირიცხება ვი//უ ი კომპლექსისგან მიღებული უ): აძოვეს → აძოვებს (ვ-ს დაკარგვით) → აძუეებს (ოე → უე რეგრესული დისიმილაციით) → აძუეებს (უ-ს პალატალიზაციით, მაპალატალიზებულია ე ხმოვანი) — აძიეებს (უ → ვი ცვლილების შედეგად) // აძვიამს (—ებ: —ამ თემის ნიშანთა მონაცვლეობით), ათხოვეს → ათხოვებს → ათხუეებს → ათხუეებს → ათხიეებს // ათხვიამს; ანალოგიურად: ათხოვე → ათხიე, აძოვე → აძიე, კალოები → კალუები → კალეები — კალეიები // კალიები. დასახელებული იყო უე კომპლექსში მომხდარი ცვლილება. ანალოგიურ შედეგს იძლევა უი კომპლექსიც: ბზუილი → *ბზუილი (უ-ს პალატალიზაციით, მაპალატალიზებულია ი ხმოვანი) →

ბზვილი, ტყვილი → ტყვილი. ეს პროცესი მესხურში დაჩნდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურ შედეგს იძლევა უშუალოდ უ ხმოვანიც, როცა ის უა ან უო კომპლექსის შემადგენელი ელემენტია: ჰკუა → ჰკვია, მოატყუა → მოატყვია, აძოვა → აძოა → აძუა → აძვია; გოგოობა → გოგუობა (ოო → უო რეგრესული დისიმილაციით) → გოგვიობა, ათხოვო → ათხოო → ათხუო → ათხვიო. არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური ცვლილების შედეგი გვეჩვენებს სხვა დიალექტებშიც (იმერულში, გურულში, აჭარულში...) სადაც, მაგალითად, გაჩნდება ამ რიგის ფორმები: დატოვე → დატოე → დატუე → *დატჷე (?) → *დატვიე (?) → დატვიე, ან: დატოვა → დატოა → დატუა → *დატვია (?) → დატვია. ტევ — ფუძე აქ ნაკლებ საგარაუდოა (შდრ. ძველი ქართული და-ტევ-ებ-ა „დატოვება, დაშდომა...“ ესე იგი *დატევე → დატეე → *დატეე დისიმილაციით; ანალოგიურად: *დატევა — *დატეა — *დატა), რადგან სხვა პარადიგმებში ტოვ — ფუძე გვაქვს: მაგალითად გურულში ამ ზმნის უღვლილება ასეა წარმოდგენილი:

აწმეო — მყოფადი:

და-ვ-ტოვ

და-ტოვ

და-ტოვ-ს

ნამყო ძირითადი:

და-ვ-ტი-ე

და-ტი-ე

და-ტი-ა.

ამდენად, უშუალოდანი ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში (ინგილოურში, მოხეურში, მესხურში, ქვემოქართლურში) პოზიციური ცვლილების შედეგადაა მიღებული. ყველგან, ინგილოურის გარდა, შეინიშნება მერყეობა (რ//ო, რ//ე; ჯ//უ, ჯ//ი), რასაც შედეგად სრული დეუმლაუტიზაცია მოსდევს. ინგილოურში უშუალოდანი შენარჩუნებას ხელს უწყობს სხვა (აზერბაიჯანულ) ენასთან კონტაქტი. ისტორიულად უშუალოდანი რ და ჯ ხმოვნების მქონებლობა ივარაუდება სხვა დიალექტებშიც.

1.8. ნაზალიზებული ხმოვნების ქართული ენის დიალექტებში. ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა ნაზალიზაცია, რის შედეგად ხმოვნის მომდევნოდ დაჩნდება ნ სონანტი. ჩვეულებრივ, ნაზალიზდება ე და ი, უფრო იშვიათად ა ხმოვანი. უფრო ხშირად ნაზალიზებულია ბოლოკიდურა (პაუზისწინა) ხმოვანი, ზოგჯერ ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის სიტყვის თავკიდურა და შუა პოზიციაშიც თანხმოვნის წინ (რაც, ჩვეულებრივ, კოარტიკულაციურ მოვლენებთან არის დაკავშირებული).

ნაზალიზაციის პროცესი ხელშესახებად დაჩნდება მორფემოიდებში (თანდებულებსა და ნაწილაკებში).

ა) ნაზალიზდება იმთავითვე ბოდოკიდურა პოზიციაში წარმოდგენილი ხმოვანი.

ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში ნაზალიზდება → ისდა → იზდა → -იზა შედგენილი ფორმანტის ბოლოკიდური ხმოვანი: დიზან „დისთვის“, გულიზან „გულისთვის“.

ქვემოიმერულ კილოკავში ყე → -ყენ: ქონდა — ყენ „ჰქონდათ“, დეიძახეს — ყენ „დაიძახეს“, მევიდოდეს — ყენ „მოვიდოდნენ“. პარალელურად გვხვდება — კე → -კენ: დეიძახეს-კენ.

აჭარულში ნაზალიზდება — ვე მორფემოიდის ბოლოკიდური ხმოვანი: — ვე → -ვენ: იქ-ვენ „იქვე“, ის-ვენ „ისევე“, კიდ-ვენ „კიდევ, კიდევ“, ახლა-ვენ „ახლავე“.

ამავე დიალექტში ნაზალიზაციას განიცდის — ლა → -ლა მორფემოიდიც: *საცალა → *საცლა → საცბა → საცბან „სადღაც“ (ღ → ხ პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით).

ქვემოიმერულში, გურულში ნაზალიზდება — მეთქი მორფემოიდის ბოლოკიდური ხმოვანი: წავალ-მეთქინ.

ფუძეულკვეცელ სახელებში მოქმედებით იზრუნვის — თ-ი დაბოლოების ხმოვანი ნაზალიზდება იმერულსა და ლეჩხუმურში: ცოტა-თინ „ცოტათი“, იმითინ „იმითი“, სურა-თინ „სურათი“.

ბ) ნაზალიზაციას წინ უსწრებს ბგერისა ან ბგერათა კომპლექსის დაკარგვა.

— კენ თანდებულის ამოსავალ ფორმად მიიჩნევა კერძო // კერძ, სხვა ვარაუდით — კედა-რო (ნ. მარი). ძველ ქართულში გვქონდა — კერძო (მის კერძო, ჩრდილოეთ კერძო, მთად კერძო). — კედარო დღესაც გვხვდება ქართული ენის ზოგ დიალექტში (გურულში, აჭარულში — ჩემ კედაროს, ამ კედრიდან // კედაროდან...), — კედ // -კედა დაჩნდება ხევსურულში: ბარისკედ „ბარისკენ“; აქვე პარალელურად გამოიყენება — კე (სახლებისკე) და — კეს (ჩვენკესავ „ჩვენკენო“). გარდამავალი პერიოდის („საშუალ“) ქართულში უკვე — კე ნაირსახეობა გვაქვს (ღმრთისაკე, მინდორთაკე, მისკე). — კე — -კ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ცის-კე // ცის-ა-კ: მავრცობი ხმოვნის დართვისას ოდენ-კ დაჩნდება). სწორედ ამგვარად გამარტივებული — კე თანდებულისეული ხმოვნის ნაზალიზაცია ივარაუდება: — კე → -კენ, რაც სალიტერატურო ქართულშიც დამკვიდრდა.

დასავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში გვხვდება — ზე თანდებულის ნაზალიზებული ნაირსახეობა — ზენ (იმერული: სახზენ „სახლზე“, გურული: კაცსენ „კაცზე“). ნაკლებ სავარაუდოა, რომ აქ — ზე-ნა → -ზე-ნ ვარიანტი გვქონდეს: იმავე დიალექტებში — ზე „სრული სახით“ დაჩნდება როგორც — ზედა // -ზედა; გარდა ამისა, თანდებულის დანიშნულებით — ზე-ნა ქართულში არ დასტურდება; გვხვდებოდა — ზედან, ჩანს, ესეც ნაზალიზებული ა ხმოვნით („ტარიელი შავსა ზედან ზის“, ვეფხისტყაოსანი). ამის გათვალისწინებით — ზენ უნდა განვსაზღვროთ როგორც — ზე თანდებულის ნაზალიზებული ნაირსახეობა.

—მდე // -მდი თანდებულის ამოსავალ ფორმად იგარაუდება — მი-დღედ // -მი-დღის (ა. შანიძე). ძველ ქართულში ძირითადია — მდე, თუმცა საკმაოდ ხშირად გვხვდება → მდის ნაირსახეობაც. → მდის → -მდი (ბოლოკიდურა სპირანტის დაქარგვით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული ენის დიალექტებისათვის). გარდამავალი პერიოდის ქართულ სალიტერატურო ენაში დაჩნდება აგრეთვე — მდმ, ანუ: —მდე, რაც დიალექტური მოვლენა უნდა იყოს (მდრ.: ჩემთვინამ, იმისანამ „იმისთანა“), თუმცა არც ე და მ გრაფემათა აღრევა გამოირიცხება, რაც ხშირია ამ პერიოდის წერილობით ძეგლებში. უკვე გარდამავალ ხანაში იჩენს თავს ბოლოკიდურ ე და ი ხმოვანთა ნაზალიზაციის ტენდენცია, რაც იმ პერიოდის სალიტერატურო ქართულში დიალექტიზმების მოქალებით უნდა აიხსნას. თანამედროვე ქართულ დიალექტთაგან უმრავლესობაში სწორედ ნაზალიზებული ვარიანტები გვხვდება: —მდენ // -მდინ (აგრეთვე კონტამინირებული — მდის // -მდინ → -მდისინ); უპირატესად მინც — მდი // — მდინ დაჩნდება. ასეა ქართულში, კახურში, ინგილოურში (სადაც დასტურდება ნასესხები — ინყახ // — ინყა თანდებულები), მესხურში, რაჭულში, იმერულში, გურულში...

— ვით თანდებულს ზოგ დიალექტში (აჭარულში, მესხური დიალექტის ჭავჭავურ კილოკავში) ბოლოკიდური თანხმოვანი ეკვეცება (—ვით → ვი), რომლის შემდგომ თავს იჩენს ნაზალიზაციის ტენდენცია. —ვი → — ვინ დამოწმებულია აჭარულში: „ჭირივინ (=ჭირივით) მეზარება ტრაბახა კაცი“ (შ. ნიყარაძე). აჭარულშივე დასტურდება — ვენ (ძმასავენ „ძმასავით“, შენსავენ „შენსავით“); საქმე უნდა გვექონდეს — ვით → — ვი და — ებრ → — ებ // -ეფ თანდებულთა კონტამინაციასთან: — ვეფ // — ვეთ, რომლებიც ასევე დაჩნდება აჭარულში (ძმასავეფ // ძმასავეთ „ძმასავით, ძმისებრა“, შენსავეფ // შენსავეთ „შენსავით“); გვხვდებიან ისინი თანხმოვანმოკვეცილი ნაირსახეობითაც (ძმასავე, შენსავე), რისი ნაზალიზაციითაც ჩანს მიღებული ზემოხსენებული — ვენ.

—თვის → -თვი ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში: ქართულში (იმითვი „იმისთვის“), კახურში (ქალითვი „ქალისთვის“), მესხურში (სახლისთვი „სახლისთვის“); ფერეიდნულში დადასტურდა — თი (მდრ. სვანური —თე. —თჷ → —თი) ნაირსახეობითაც (იმისთი „იმისთვის“, წყალსათი „წყლისათვის“). —თვი ნაირსახეობა ვრცელდება ჭერ კიდევ გარდამავალი პერიოდის სამწერლობო ენაში (ჩვენთვი, შვილებისათვის, მეჯინიბისთვი). სწორედ ამ ფონეტიკურად გამარტივებული — თვი ნაირსახეობის ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაცია იგარაუდება: —თვი → -თვინ, რაც —თვი ვარიანტის პარალელურად გვხვდება გარდამავალი პერიოდისავე ქართულში: კაცისათვინ, შვილთათვინ; დაჩნდება — თვინა // — თვინს (← —თვინ // -თვის) სახითაც (ა. მარტიროსოვი). ნაკლებ სავარაუდოა, აქ —ის ბრუნვის ნიშნის —ინ მორფოლოგიური (თუ დიალექ-

ქტური) ვარიანტი გვეკონდეს. — თვინ სახით ეს თანდებული დადასტურდა ქართულურში (კაცითვინ; დაჩნდება აგრეთვე — თუნ: იმითუნ), კახურში (ქალითვინ // ქალითვინა, აქაც გვხვდება — თუნ: იმი გულითუნ „იმის გულისთვის“), მესხურში (ძმისთვინ // ძმისთუნ // ძმისთუნ // ძმიპთუნ), ინგილოურში (გადითუნ „გაფისთვის“), რაჭულში (ზალვებისათვინ „ზავშვებისათვის“), ზემომერულში (კაცისთვინ, მისთვინ), ლეჩხუმურში (ხალხისთვინ), გურულში — იშვიათად (ყოველთვინ // ყოლთვინა // ყოლთვინე — სხვაობა კილოკაურია), აპარულში (ძმისთვინ // ძმისთვინა), იმერხელში (ცხენისთვინ).

რაც შეეხება სიტყვის თავიიდურა და შუა პოზიციას, ნაზალიზაცია ამ შემთხვევაშიც ხმოვნის მომდევნოდ ნ ბგერის განვითარებით დაჩნდება.

თავიიდურა პოზიცია. ქართლური: ენგრე „ეგრე“, ინგლოვა „იგლოვა“, ინძრა „იდრა“; იმერული: ანგროვებს „აგროვებს“, ინწრა „ინწრა“; ლეჩხუმური: ანგური „აგური“, ინწრა „ინწრა“; აპარული: ანთვალიერებს „ათვალიერებს“.

სიტყვის შუა პოზიცია. ქართლური: ხმიანი „ხმიანი“, ჰინდარი „ჰინდარი“, დაკუნჭა „დაკუჭა“; რაჭული: დანძმობილდენ „დანძმობილდენ“, გაღვინძებულა „გაღვინძებულა“; იმერული: მანჩე „მანჩე“, ხალიჩა „ხალიჩა“, ყმენდი „ყმენდი“, სადლინძელო // სადლენძელო „სადლენძელო“, კინტრი „კიტრი“, გონგრა „გოგრა“; ლეჩხუმური: მანჩე „მანჩე“, ბენცი „ბეცი“, ჰინთი „ჩითი“, ჩონჩქალი „ჩონჩქალი“, გაწუნწვა „გაწუნწვა“; გურული: კინტრი „კიტრი“, გამეიღვინძა „გამეიღვინძა“, ტუნჩი „ტუჩი“; აპარული: დანწვრილებით „დანწვრილებით“, შიხვენდრა „შეხვენდრა“, ტყენჩი „ტყეჩი“, მინდალი „მენდალი“.

როგორც ზემოდასახელებული ნიმუშები გვიჩვენებენ, ნ დაჩნდება ხუთივე ხმოვნის მომდევნოდ დ — ტ — თ, ძ — წ — ც, ჰ — აგრეთვე გ თანხმოვნების წინ (სავარაუდოა, რომ „სამეულების პრინციპი“ ჯ — ჰ — ჩ, გ — კ — ქ თანხმოვანთა შემთხვევაშიც უნდა მოქმედებდეს); სპორადულად დაჩნდება სხვა თანხმოვნების წინაც, მაგრამ არარეგულარულად. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ შესაბამის პოზიციაში ზოგჯერ ნ-ს ნაცულად დაჩნდება მ ან რ სონანტები; იმერული: დაამტყვევა „დაატყვევა“, იმდარა „იდარა“, იმჯავრა „იჯავრა“, იმწვალა „იწვალა“; არდგილი „ადგილი“, არწვალა „აწვალა“, ეხვერწება „ეხვეწება“, ფორთოლი „ფოთოლი“, ურცხო „უცხო“; რაჭული: იმჯავრა „იჯავრა“, ლვარწლი „ლვარწლი“; ლეჩხუმური: არდგილი „ადგილი“, ლარტაკი „ლარტაკი“, ლვირძლი „ლვიძლი“, თურჯი „თუჯი“; გურული: არდგილი „ადგილი“, ეხვერწება „ეხვეწება“, ურცხო „უცხო“; აპარული: ამწვალებს „აწვალებს“, გამჯავრება „გაჯავრება“, სიმძვირე „სიძვირე“, ლვირძლი „ლვიძლი“, ურცხო „უცხო“ და მისთ.

ზემოდასახელებულ პოზიციათა ანალოგიით ნ-ს შემცველი ხმოვნიანი კომპლექსის მომდევნოდ შესაძლოა განვითარდეს თანხმოვანი: ჰიანური → ჰიანდური (რაჭული); შდრ.: ხმიანი → ხმიანი — ორივე შემთხვევაში დადასტურდა — ანდ

— კომპლექსი, მიღებული სხვადასხვა გზით, მაგრამ ფონეტიკურად იდენტური.

შევნიშნავთ, რომ ერთსა და იმავე პოზიციაში ნ, მ და რ ზოგჯერ პარალელურად დაჩნდება: იმწვალა // ინწვალა, ეხვერწება // ეხვენწება...

ყურადღებას იქცევს შენაცვლების (სუბსტიტუციის) შემთხვევებიც; ქართულ-რი: ინტერესი → იმტერესი, განწყობილება → გამწყობილება, სანთელი → სამთელი; და, პირიქით, მ-ს ადგილს ნ იჭერს: ზამთარი → ზანთარი, დამწიფდება — დანწიფდება; რატული: სანთელი → სამთელი, გაანძრევს → გაამძრევს და: შემდეგ → შენდეგ, დადუმდა → დადუნდა; იმერული: ინტერესი → იმტერესი, სანთელი → სამთელი, განცხადება → გამცხადება და: სიმდიდრე → სინდიდრე, დედამთილი → დედანთილი; გურული: დაანთო → დაამთო, რადგანაც → რადგამც და: დაამტვრია → დაანტრია, ლომთათიძე → ლონთათიძე; აჭარული: ინტერესი → იმტერესი და: ამგზობას → ანგზობას, დაამთავრა → დაანთავრა და მისთ.

შენაცვლების საკითხი აქ განგებ დაისვა: იმ პოზიციაში, სადაც სხვა შემთხვევებში ნ ვითარდება, აქ ეს თანხმოვანი იმთავითვე წარმოდგენილია; მიუხედავად ამისა, იცვლება სხვა (მ) ბგერით. იმავე პოზიციაში მ → ნ კი შეიძლება აიხსნას ნაზალიზაციის ტენდენციით. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ნმ თავისუფალი მონაცვლეობის შესაძლებლობა ზოგიერთ პოზიციაში და ამიტომაც ნაზალიზაციის მიზეზის ასახსნელად ამ რიგის ნიმუშები არ გამოგადგება: სიმდიდრე → სინდიდრე ფორმაში. ცვლილება იმით შეიძლება აიხსნას, რომ იდ კომპლექსისათვის ნიშანდობლივი ხმოვნის ნაზალიზაციის ტენდენცია დაჩნდება: იდ → ინდ, ანალოგიით: იმდ → ინდ, მაგრამ ნაზალიზაცია იტ კომპლექსისათვისაც არის დამახასიათებელი; მიუხედავად ამისა, იმთავითვე წარმოდგენილი ინტ იცვლება იმტ კომპლექსით (ინტერესი → იმტერესი). რა თქმა უნდა, გარკვეულ კანონზომიერების გარეშე ეს ცვლილებაც არ მოხდებოდა, მაგრამ საკუთარი ნაზალიზაციის საფუძველს იგი ვერ გაგვარკვევინებს.

ისმის კითხვა: რა იწვევს ნაზალიზაციას?

ამის გასარკვევად უნდა განიჩქეს ორი პოზიცია.

ა) ბოლოკიდურა (პალუზის წინა) პოზიციაში ხდება ე და ი ხმოვნების ნაზალიზაცია, იშვიათად ნაზალიზდება აგრეთვე ა: სახენ „სახლზე“, იმითინ „იმიო“, საცხან „სადალაკ“. რაც შეეხება — თვინ → თუნ შემთხვევას, აქაც ნაზალიზაციას განიცდის ი, ხოლო უ არის ვი კომპლექსის ცვლილების შედეგი. ე და ი, აგრეთვე ა ხმოვნების ნაზალიზაციას განაპირობებს შემდეგი: ე და ი, ხმოვნების წარმოთქმისას ენის წვერი ებჩინება ჭვედა საჭრელ კბილებს, ენის ზურგი უახლოვდება მაგარ სასას (ი-ს შემთხვევაში აწეულობა უფრო მაღალია), დამართვისას ენა იღებს არა ნეიტრალურ მდგომარეობას, არამედ უკიდურესად საპირისპიროს (ხდება ახსლეთა და საპირისპირო მდგომარეობაში გადასვლა) — ენის წინა ნაწილი ებჩინება ზედა საჭრელ კბილებსა და ალვეოლების ნაწილს, რასაც თან ახლავს დაშვება რბილი სასისა ნაქითურთ, ეს კი

იწვევს ზემოხსენებულ ხმოვნებზე ნაზალური ტემბრის დართვას. ანალოგიურად უნდა აიხსნას ა ხმოვნის ნაზალიზაციაც: ენის წინა ნაწილი, რომელიც ქვედა საჭრელი კბილებიდან მოშორებით მდებარეობს, აიწვევს ზედა საჭრელი კბილისაკენ და ალვეოლებისაკენ, რბილი სასა ნაჭითურთ დაშვებულია, რაც გზას უხსნის პაერის ნაკადს ცხვირის ღრუსკენ.

ამ გზით წარმოიქმნება სონანტით დაბოლოებული დახურული მარცვალი.

ბ) რაც შეეხება სიტყვის თავიიდურა და შუა პოზიციაში ხმოვანთა ნაზალიზაციას, იგი ყოველთვის გარკვეული რიგის თანხმოვნებთან დაინდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაზალიზაცია ამ შემთხვევაში ეპენტეზის დანიშნულებითაა გამოყენებული, შესაბამისად — ნ ეპენტეზური ბგერაა, რითაც ხდება ხმოვიდან თანხმოვანზე გაადვილებული გადასვლა. ამიტომაც აღინიშნა ზემოთ, რომ ნაზალიზაცია აქ კოარტიკულაციურ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული: ეგ → ენგ (ეგრე → ენგრე), იძ → ინძ (იძრა → ინძრა), იწ → ინწ (ვიწრო → ინწრო), აჩ → ანჩ (მაჩვი → მანჩვი) და მისთ.

1.9. ფშვინვიერი შემართვისა და დამართვის ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში. სისტემებრ ფშვინვიერი შემართვისა და დამართვის ხმოვნები წარმოდგენილია თუშურსა და ინგილოურში, დაინდება იგი აგრეთვე მესხურსა და ქვემოქართლურში.

თუშურში დადასტურებულია მხოლოდ ფშვინვიერი შემართვის ხმოვნები სიტყვის თავიიდურა პოზიციაში. ფშვინვიერი შემართვისა შეიძლება იყოს ხუთივე ხმოვანი: ა(პაბა „აბა“, კაგრ „აგრე“, ჰოა, პარიქ „არიქა“), ე (ჰედ „და“ [კავშირი]), ი (პიე „ლიახ, ჰოა“), უ (ჰუეუ „აი“), ო (პოთურ „ალბათ“). ყველაზე ხშირია ა ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა.

ფშვინვიერი შემართვა ხშირად იოტაციას განიცდის (რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი ა ბგერასთან დაკავშირებით). შევნიშნავთ: თუშურში ა-ს იძლევა ი ხმოვანიც და პ-ც, როცა ეს უკანასკნელი ასპირაციას გამოხატავს.

ფართოდაა გავრცელებული ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ინგილოურში. გვხვდება იგი: ა) თავიიდურა პოზიციაში: პაბა „აბა“, ჰეგი „ეგ“, ჰეს „ეს“ (ჰე კაცი „ეს კაცი“), ჰიგი „იგი“, ჰელვა „ელვა“, ჰომობს „ომობს“, ჰუთქომ „უთქვამს“, ჰუთხოვ „უთხოვია“... ეს მოვლენა ხელს უწყობს პ-ს შემონახვას ნასესხებ ფორმებში: პალალი „ალალი, ღირსი“, პაზირ „გამზადებული“, პარამ „არამი“, პარბირ „ყოველი, ყოველგვარი“... ბ) სიტყვის შუა პოზიციაში: *სახლეე-ო-ა → სახლეე-უ-ა (დისიმილაციით) → სახლეე-ჰუ-ა? „სახლებიო?“, *მე-ო-ა → მე-უ-ა → მე-ჰუ-ა? „მეო?“ — ბოლოკიდური — ა კითხვითი მორფემოიდეა (გ. იმნაიშვილი).

ფშვინვიერი შემართვის იოტაცია ინგილოურისთვისაცაა დამახასიათებელი: ჰემაგ // ამემაგ მე მაგრე, ჰერიო // მერიო... იმავდროულად ინგილოურში დაინდება საპირისპირო პროცესიც — ა იცვლება ფშვინვიერი შემართვით: მავამ // მევამ

→ ჰევაჲ „მაწანწალა“, მეთიმ → ჰეთიმ „ობოლი“, მას // მეს → ჰეს „გლოვა“, მერიმ
→ ჰერიმ „ალური, სვლა (ცხენისა)“, მეშავ → ჰეშვიკ, „ყუთი“...

ფშვინევიერი შემართვა დაჩნდება აგრეთვე დასუსტებულ რ-ს პოზიციაში: რაჲ
→ ჰაჲ, რაჲთი → ჰაჲთი „რითი“, რას — ჰას, როგორ — ჰოგო... გამაშუალებელ
საფეხურად ივარაუდება უკანაენისმიერი რ (ღ-ს მსგავსი, რომელიც გადადის ფარი-
ნგალურ მქდერში): რაჲ → *ლაჲ → ჰაჲ.

ინგილოური ერთადერთი ქართული დიალექტია, სადაც თავს იჩენს ხმოვანთა
ფშვინევიერი დამართვა: ზმნისწინებისა (დაპ-ჩებიან „დარჩებიან“, დოპ-ჩ „დავარიჩი“,
დოპ-წ (ვ) „დავწვი“, დაპ-ძკარგე // დოპ-კარგე „დავკარგე“, გაპ-წევა „გაწევა“),
ზმნის ხმოვანი პრეფიქსებისა (მო-აპ-ყო „მოაქეთ, მოაქესყე“, გა-აპ-წეველია „გას-
წევა“), ფუძისეული ხმოვნისა (კვპტ-ვე-ი-ს // კვპტ-ებ-ა „კეთდება“, ნაპტვე „ნათ-
დება“), ბოლოკიდურა ხმოვნისა — პაუზისწინა პოზიციაში (არაპ „არა“).

ბოლოკიდურა პოზიციაში ფშვინევიერ დამართვას შეიძლება შეენაცვლოს მკვე-
თარი (ძლიერი) დამართვა: არაპ // არაჲ , ზმნისწინებში ზოგჯერ იცვლება ხმოვნის
დაგრძელებით: დოპ-წ (ვ) → დო-წ(ვ), გაპ-ბედ-ი → გაბ-ბედ-ი „გაბედე“, დაპ-დგ—(ა)
→ დან-დგ—(ა) და მისთ. (გ. იმნაიშვილი).

მესხურში ფშვინევიერი შემართვითაა წარმოდგენილი ზოგი თავკიდურა ხმოვა-
ნი: ჰამას „ამას“, ჰაკვანი, ჰეკალი, ჰეკლუსია, ჰეპვი... ფშვინევიერი შემართვის პოვნი-
რება ხელს უწყობს თავკიდურა პოზიციაში პ-ს შენარჩუნებას ნასესხებ სიტყვებში:
ჰარამი, ჰალალი, ჰურია...

არ გამოირიჩხება, რომ ზოგ დიალექტს, სადაც ამჟამად იოტიზებული შემართვა
დასტურდება, ისტორიულად ჰქონოდა ფშვინევიერი შემართვა (მოხელრს...).

ფშვინევიერი შემართვა და დამართვა დიალექტურ ტექსტებში გამოიხატება ჰ
გრაფემით (ხმოვნის წინ ან მომდევნოდ); ამის გამო გარეგნულად ემთხვევა ფორმებს,
სადაც ჰ ფონემას გამოხატავს (ჰავა, ჰაერი), თუმცა პ-ს წარმოთქმის თვალსაზრისით
ჰავა და ჰაკვანი ტიპის ფორმებს შორის განსხვავება მაინც შეინიშნება (ფშვინევიერი
შემართვისას ჰ აკუსტიკურად უფრო „რბილია“). ფშვინევიერ შემართვას ქართული
ენის დიალექტებში ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს (ჰაგრ და მაგრ ოპოზი-
ციის შესახებ იხ. ზემოთ, მ-ს დისკრიმპციასთან დაკავშირებით): ჰაგრჲ , ჰაკვანი,
გაპბედი, არაპ და მისთანანი ფონოლოგიურად ჩაიწერება როგორც: აგრე, აკვანი,
გაბედი, არა.

1.1.0. მკვეთრი (ძლიერი) შემართვისა და დამართვის ხმოვნები ქართული ენის
დიალექტებში. მკვეთრი შემართვისა და დამართვის ხმოვნები (ჲ ა და აჲ , ჲ ე და ეჲ .

და მისთ.) სპორადულად დაჩნდება ქართული ენის ყველა დიალექტში. გვხვდება
უპირატესად ექსპრესიულ სიტყვებში — შორისდებულებში, დადასტურების ან
უარყოფის მორფემოიდებში.

სისტემებზე ეს ხმოვნები გამოიყენება თუშურსა და ინგილოურში.

თუშურში მკვეთრი შემართვისა და დამართვის ხმოვნების მქონებლობა ნახური (ყერძოდ, ბაცბური ანუ წოვა-თუშური ენის) სუბსტრატით აიხსნება (ა. შანიძე, თ. უთურგაიძე).

თუშური მკვეთრი (ძლიერი) შემართვისა და დამართვის შეიძლება იყოს ხუთივე ხმოვანი:

ა) სიტყვის თავიკიდურა პოზიციაში: ყ ეამბუ „ეამბო“, ყ უამბუ „უამბო“, ცოუკადრის „ოუკადრისა“;

ბ) პოზიციურად მიღებულ გრძელ ხმოვნებთან სიტყვის თავიკიდურა პოზიციაში — გადმოსულია ინტერვოკალური პოზიციიდან: * გაყაკეთა → გაყ კეთ „გააკეთა“, * გაყუყეთა → * გუყუყეთ → გუყყეთ „გაუყეთა“;

გ) სიტყვის ბოლოკიდურა (პალუნისწინა) პოზიციაში: ფერაყ „მსგავსად“, კაცოყ) „კაცნ ?“ (ჩაკითხვისას);

დ) სიტყვის ბოლოს ინტერვოკალურ (ხმოვანთმორის) პოზიციაში: ქალაყ ი „ქალა“ (კნინობით-საალერსო ფორმა; შდრ.: ქალაი), ფერაყრ „მსგავსი“ (ზედმიწვევით: „ფერი“; შდრ.: ამფერი „ამის მსგავსი, ამისნაირი“; იმფერი „იმის მსგავსი, იმისნაირი“); სამუშაყ ელ „სამუშაო“ (ზედმიწვევით: სამუშაელი). სახელობითიდან მკვეთრი დამართვა გადადის სხვა ბრუნვებშიც, სადაც ინტერვოკალური პოზიცია აღარ არის: ქალაყრ , ქალაყმ, ქალაყს;

ე) წოვა-თუშურიდან ნასესხებ სიტყვებში (ნასესხებია თავისივე წარმოთქმით): მაყო (ქალის სახელია), დაყო (მაშაყაცის სახელია).

პირველ შემთხვევაში მკვეთრი შემართვის ხმოვნებია წარმოდგენილი, მეორე და მესამე შემთხვევაში — მკვეთრი დამართვისა, მეოთხე და მეხუთე შემთხვევაში მკვეთრ დამართვას მოსდევს მკვეთრი შემართვა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მკვეთრი დამართვა გადააყვება სხვა პოზიციაშიც (ქალაყ მ, ქალაყ ს ტიპი).

თუშურშივე მკვეთრი შემართვისა და დამართვის ხმოვნები დაინდება აგრეთვე ექსპარესიულ გამოთქმებში (მორისდებულებში, დადასტურებით ან უარყოფით მორფემოიდებში), რაც, როგორც ითქვა, არც სხვა დიალექტებისთვისაა უცხო: ყ აპ, პოყ , არაყ (თ. უთურგაიძე).

მკვეთრი შემართვისა და დამართვის ხმოვნები ზოგჯერ მნიშვნელობათგანმასხვაებელი ფუნქციითაა აღჭურვილი: რა „რამე“ — რაყ „რა“, პაგრ „პარგი, პო“, ხაგრ „ახე“ და მისთ. (თ. უთურგაიძე).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყ თუშურში ჩამოყალიბდა ცალკე ფონემად: „ფონოლოგიურად შეპირისპირებული წყვილები ყ ბგერას თუშური კილოს ფონემატურ სისტემაში უთუოდ ცალკე ფონემად გამოგვყოფინებს“ (თ. უთურგაიძე).

იგულისხმება ზემოდასახელებული და მათი მსგავსი ოპოზიციები. მაგრამ ამ ოპოზიციებში ერთმანეთს უპირისპირდება არა ჰ და ყ ან ნული და ყ , არამედ ფშვინვიერი ხმოვანი და მკვეთარი შემართვის ხმოვანი (ჰაგრ — ყაგრ, ან „ნეიტრალური“ და მკვეთარი დამართვის ხმოვანი (რა — რაყ). ეს დაპირისპირება სხვაგვარადაც შეიძლება იყოს ჩაწერილი: აგრ — ყაგრ, რა — რაყ .

შენიშვნა: რუსულში ყГОН და ყГОНЪ ოპოზიციაში ერთმანეთს უპირისპირდება არა ნული და სირბილის ნიშანი (Ъ), არამედ მავარი და რბილი П(П-П'). ასევე: ყ მხოლოდ გრაფიკული გამოსატყვა მკვეთარი შემართვისა ან დამართვისა და არა დამოუკიდებელი ბგერა.

თუ დისტინქტურობის მიხედვით განვსაზღვრავთ ფონემას, მაშინ ამ შემთხვევაში ფონემურ დაპირისპირებას შექმნის ნეიტრალური და მკვეთარი შემართვისა (ან დამართვის) ხმოვანი ან ფშვინვიერი შემართვისა და მკვეთარი შემართვის ხმოვანი... მაგრამ ეს დაპირისპირებაც სპორადული ხასიათისაა და უმეტეს შემთხვევაში ექსპრესიულ ფორმებს ემყარება (რა — რაყ ?) ან წოვა-თუშურიდან ნასესხები და თუშური ფორმების ოპოზიციას: სიჟოჲ (ქალის სახელი) — სიოჲ „სიო, ნიაფი“; ამიტომაც მკვეთარი შემართვისა და დამართვის ხმოვანთა დისტინქტურობაც ფაქულტატიურობის დონეზე დაისმის აღიარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ დისტინქტურობა ჩვენ საერთოდ არ შემოგვაქვს ფონემის დეფინიციაში.

ამდენად, ყ არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ბგერად; სინამდვილეში იგი გრაფიკული გამოსატყლებაა (დიაკრიტიკული ნიშანია) ხმოვანთა მკვეთარი შემართვისა და დამართვისა. ამას ამტკიცებს ქალიონჩ, ცუამბუ ტიპის ფორმები, რომლებიც თუშურისათვის დამახასიათებელი მკვეთარი შემართვით წარმოითქმის, და ფონოლოგიურად იგივეა, რაც ალიონი, ეამბო.

ხმოვანთა მკვეთარი შემართვა რეგულარულად დაჩნდება ინგილოურ დიალექტშიც: ყემაჲ „აი, მაგრე“, ყფფარა „ეფფარა“, ყუუტჲომ „უუტჲემს“, ცინსან „კაცი“ (თაგვიდურა პოზიციაში), მყყლა? (« მყოა) „მყო“ (სიტყვის შუა პოზიციაში). ამავე პოზიციებში ხმოვნებისათვის ფშვინვიერი შემართვაცაა ნიშანდობლივი. ამ მხრივ ზოგჯერ კილოკაური სხვაობაც იჩენს თავს: ჰუუტჲომ ალიბეგლოური თქმა — ყუუტჲომ (კატური კილოკავი) „უუტჲემ“, ჰუსროენი — ყუსროენი „უსროლია“ და მისთ. ფონოლოგიური ღირებულება მკვეთარი შემართვის ხმოვნებს (ისევე, როგორც ფშვინვიერი შემართვის ხმოვნებს) ინგილოურშიც არა აქვს.

გარკვეული ფუნქციით აღჭურვილი მკვეთარი დამართვის ხმოვანი ფაქულტატიურად დაჩნდება ხევსურულში: „მაუმატებენ დასტურებიჲ , სმენ“ — დასტურებიჲ (დაყოვნებული წარმოთქმით) ნიშნავს: „დასტურები და“ (ანუ:

მკვეთარი დამართვა და დაყოვნებული წარმოთქმა წარმოადგენს გაუჩინარებული „და“ კავშირის საკომპენსაციო საშუალებას). არის სხვა შემთხვევაც: „განა მეიაც ვამბობ მაგას?“ — „განა მეიაც“ ნიშნავს. „განა მარტო მე“ (ა. ჭინჭარაული).

ამდენად, ყველა შემთხვევაში მკვეთარი შემართვისა და დამართვის ხმოვნები არის შესაბამისი ხმოვანი ფონემების პოზიციური ვარიანტები.

ასეთი პოზიცია სამია:

ა) სიტყვის თავიკიდურა ხმოვანი: ცუამჟ „ეამბო“, ცალიონი „ალიონი, რიყრაჟი“ (თუშური), ცეფარა „ეფარა“, ცუთჟამ „უთჟამს“ (ინგილოური);

ბ) სიტყვის ბოლოკიდურა (პაუზისწინა) ხმოვანი: ფერაც „მსგავსად“, რა ც? „რა?“ (თუშური), მაუმატებენ დასტურებიც ' სმენ „მოუმატებენ დასტურები და სვამენ“, განა მეიაც „განა მარტო მე“ (ხევსურული);

გ) ინტერვოკალური (ხმოვანთშორისი) პოზიცია, რომელიც თუშური სიტყვის თავიკიდურად იძლევა მკვეთარი დამართვის გრძელ ხმოვანს (*გაცაკეთე — გაცაკეთ „გაკეთე“, *გაცაკეთა → გაცკეთ „გაკეთა“, შდრ.: გავაკეთე „გავაკეთე“, სადაც არ ხდება თანხმოვნით გათიშული აა კომპლექსის გადასვლა გრძელ ხმოვანში), ხოლო ბოლოკიდურად კი უცვლელი რჩება (უდმალაც ად „იდუმალად, ფარულად“, „სამუშაე ელწ „სამუშაო“); ანალოგიური ვითარებაა სიტყვის შუა პოზიციაშიც (მეც ეც „მოეცი“).

1.11. ირაციონალი ხმოვანი (ე) ქართული ენის დიალექტებში. ირაციონალური ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში სამ შემთხვევაში დანშნდება; წარმოადგენს: ა) ხმოვანი ფონემის პოზიციურ (რედუცირებულ) ვარიანტს; ბ) თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინა პოზიციაში გაჩენილ ხმოვანს; გ) ანაპტიქსურ ხმოვანს.

ა) ე , როგორც ხმოვანი ფონემის პოზიციური ვარიანტი, გვხვდება რამდენიმე დიალექტში:

ხევსურულში: დანშნდება ხმოვანი სუფიქსების პოზიციაში: ვაკედებდ „ვაკეთებდ“, ვ-ჩეჩ-ე „ვჩეჩო“ — ხევსურული: ვაკეთებდა, ვჩეჩა; ხმოვანი სუფიქსი აღდგება მრავლობითი რიცხვის ფორმებში: ვაკეთებდათ, ვჩეჩათ, აგრეთვე ენკლიტიკის დროს.

ინგილოურში: მახვილანი ხმოვნის წინა ან მომდევნო პოზიციაში, სადაც ხშირია ხმოვნის სრული რედუქციის შემთხვევებიც: ჩამრდით → ჩემრამთ → ჩმრამთ, ან: კარში → კარშე → კარშ.

მესხურში: სადაც ე' ძირითადად ი და უ ხმოვნების პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს: ციხე → ცხე, მაშინ → მაშე-ზ; ფუსფუსებს → ფუსფუსებს; გვხვდება აგრეთვე თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში ყვსმათი „ბელი“, ხასჟმი „შესაფერი“.

იმერულში: ქვემოიმერულის დასავლურ ზოლში — მეგრული მეტყველების მოსაზღვრედ, ჩვეულებრივ, მავრცობი — უ ხმოვნის პოზიციაში: ამასუ, ამ სოფელს (სოფელსუ) თხემლარი თქვია; თანხმოვნის მომდევნოდ დაჩნდება ზმნებშიც — ასევე უ ხმოვნის რეფლექსად: მოდისუ // მოდისგ, დაფვარცხამთუ // დაფვარცხამთგ. უ ხმოვანს ცვლის აგრეთვე კითხვითი მორფემოიდის პოზიციაში: ჰამსუ // ჰამს ? „ჰამსუ ?“ ხონსუ // ხონსგ ? „ხონს ? ხონსი ?“.

ლუჩხუმურში: — ე // -უ მავრცობი ხმოვნისა და კითხვითი მორფემოიდის პოზიციაში: კაცსე // კაცსუ // კაცსგ, ხუთშაბათსუ // ხუთშაბათსგ; ამასე // ამასუ // ამასგ ? თანხმოვნის მომდევნოდ დაჩნდება ზმნებშიც: დევისვენეფე // დევისვენეფგ, ვიცოდითე // ვიცოდითგ, მყავსე // მყავსგ, მოდისე // მოდისგ; აქარულში იშვიათია; ჩვეულებრივ, ცვლის ფუძისებულ ხმოვანს: ღორჯომელი → ღორჯუმელი.

ბ) ზ შეიძლება განვითარდეს თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინა პოზიციაში.

გვხვდება: მოხეურში — ჩაკითხვისას ან კითხვით-ძახითი ინტონაციის დროს (ძაუგს მიდიხარ ? ძაუგსგ ?); რაჭული დიალექტის რიენისთაურ კილოკავში, კითხვითი ფორმის ბოლოკიდურ პოზიციაში — მიიჩნევა სვანურის სუბსტრატად (არისგ ? აქგ ? არაფერია ზევითე ? ეს არ იცი შენგ ?).

არ არის გამოირიხებული, რომ ამ დიალექტებშიც, იმერულია და ლუჩხუმურის მსგავსად, ზ იყოს ნარედუქციალი ხმოვნის პოზიციური ვარიანტი, მაგრამ საკუთრივ მოხეურსა და რაჭულში სრული ხმოვნით წარმოდგენილი პარალელური ფორმები არ არის ფიქსირებული (ამიტომაც ზ განისაზღვრება როგორც განვითარებული ირაციონალური ხმოვანი და არა რომელიმე ხმოვანი ფონემის პოზიციური ვარიანტი).

გ) ზ, როგორც ანატიქსური ხმოვანი, დამოწმებულია მესხურსა და აჭარულში.

სამცხური: დაჩნდება სონანტების შემცველ თანხმოვანთკომპლექსებში (იქ, სადაც ზოგ სხვა დიალექტშიც სრული ხმოვანია წარმოდგენილი): ჩრდილი „ჩრდილო“ (მდრ.: ჩირდილო), ღერმა „ღრმა“ (მდრ.: ღირმა // ღურმა), ბერმა „ბრმა“ (მდრ.: ბირმა // ბურმა). ზ შესაძლოა იყოს სრული ხმოვნის ნარედუქციალი ვარიანტიც (ჩირდილი → ჩრდილი, ბურმა → ბერმა), თუკი მესხურისათვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო სრულხმოვნიანი ფორმები; იმავდროულად არც ის გამოირიხება, რომ ზ თანხმოვანთგამყარად გაჩენილი ხმოვანია, რომელიც სრულ ხმოვნად აღარ ქცეულა. ამჟამინდელი ჩვენებით იგი სწორედ თანხმოვანთგამყარა.

აჭარული: ცხრა „ცხრა“, კბილი „კბილი“... უპირატესად მაინც სრულხმოვნი-

ანი ფორმები დაჩნდება: კიბილი, კილდე // კილტე „კლდე“, თიბილი „თბილი“, ჭიფილი „ფჭვილი“, წკინელი „წკნელი“, ხობო „ხბო“ და მისთ.

გ გვხვდება აგრეთვე *ა*-ით დაწყებული სიტყვების თავკიდურა პოზიციაში (ა ამ შემთხვევაში სპირანტების პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს); ეს მოვლენა შენიშნულია მთიულურ-გუდამაყრულში: სტაქანი → *აგ* ტაქანი „ჭიქა“. გ ამ შემთხვევაში პროთეტული ბგერის დანიშნულებითაა გამოყენებული.

არც ერთ შემთხვევაში *ღ*-ს ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს. როგორც ფონემის პოზიციური (ნარედუქციული) ვარიანტი იგი ცვლის ხუთივე ხმოვანს; რაც შეეხება არისგ ; ცხრა ტიპის ფორმებს, ფონოლოგიურად ისინი ჩაიწერება როგორც: არის, ცხრა...

1.12. ნასესხები ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში. შემოპყვება ნასესხებ სიტყვებს. ასეთებია: ა) *ა* უმლაუტნიანი ხმოვანი ინგილოურსა და მესხურში; ბ) უკანა რიგის ღრმა და მოკლე (მაგარი) ი ინგილოურში: ყიზილ „ოქრო“, ყისირ „ბერწი“, ყისმათ „ბედი“ სიტყვებში...

1.13. თანხმოვანთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში. თანხმოვანთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში ძირითადად იგივეა, რაც სალიტერატურო ქართულში; სხვაობა მინიმალურია: ა) დიალექტების ერთ ნაწილს (ხევსურულს, ფშაურს, თუშურს, მოხეურს, მთიულურ-გუდამაყრულს, კახური დიალექტის ჭიზიყურ კილოკავს, ინგილოურს, ფერეიდნულს, იმერხელს) შემორჩენილი აქვს კ ფონემა; ბ) ხევსურულში არ გვხვდება ჰ ფონემა — ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია ფონეტიკურად ცვლილი სახით: ხ (ხ-ყვავ), ღ (ღ-ბავ)... გ) ინგილოურში არ დასტურდება ჯ და ძ აფრიკატები — მათ ცვლიან შესაბამისად *ქ* და *ზ* სპირანტები — აიხსნება ხუნძური და აზერბაიჯანული ენების გავლენით (ვ. თოფურია, გ. იმნაიშვილი).

დანარჩენი დიალექტები თანხმოვანთა თვალსაზრისით სავსებით თანხვდება სალიტერატურო ენას — იგულისხმება თანხმოვანი ფონემები; რაც შეეხება ამა თუ იმ თანხმოვნის ბგერით ნაირსახეობებს, ამ მხრივ ყველა დიალექტი მეტ-ნაკლები თავისებურებით ხასიათდება.

ქართული ენის თანხმოვნები შეიძლება განვითავსოთ ოთხ ჯგუფად (კლასად):

ა) ხშულები: ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ;

ბ) აფრიკატები: ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ;

გ) ნაპრალოვნები: ზ-ს, ე-შ, ღ-ხ, ჰ;

დ) სონანტები (სონორები): ლ, მ, ნ.

ამ ჯგუფებში არ არის დასახელებული ვ, რ, ყ, რომელთა შესახებ ჭევმით

გვექნება საუბარი.

თითოეული ჯგუფის ზოგადი ფონეტიკური დახასიათება ასეთია:

ა) ხშული თანხმოვნების წარმოთქმისას ხდება საარტიკულაციო (საწარმოთქმით) ორგანოების ხშვა (ჰაერნაკადის ჩაქცევა საარტიკულაციო ორგანოებით), რომელსაც მოსდევს განხშვა, ანუ: სკდომა (გ. ახვლედიანი).

ბ) აფრიკატი თანხმოვნების წარმოთქმა იწყება ხშვით, რომელიც სკდომის მოუხდენლად გადადის ნაპრალოსებურ გაგრძელებაში (იხ.: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები); ამიტომაც აფრიკატებს უწოდებენ ხშულ-ნაპრალოვნებს ანუ შერეული რაგვარობის თანხმოვნებს. მიუხედავად ამ თავისებურებისა, აფრიკატი „წარმოთქმის მყესეულად, ისე, როგორც მარტივი ხშული“ (გ. ახვლედიანი), რის გამოც აფრიკატებს, ჩვეულებრივ, ხშულთა ჯგუფში აერთიანებენ.

გ) ნაპრალოვანი თანხმოვნების წარმოთქმისას ხდება საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერი მიახლოება; ორგანოებს შორის რჩება ნაპრალო, რომელშიც გამოდის ჰაერნაკადი (გ. ახვლედიანი).

დ) სონორი თანხმოვნების (სონანტების) წარმოთქმა ხასიათდება ერთეამიერი (ერთდროული) ხშვითა და ნაპრალოვნობით: მ-ს წარმოთქმისას დახშულია ბაგეები, ხოლო ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუს გზით (ესე იგი, ნაპრალო წარმოიქმნება ცხვირის ღრუში); ნ-ს წარმოთქმისას ხშვა ხდება აგრეთვე პირის ღრუში (ენის წვერი მიბჯენილია ან ზედა კბილებს, ან წინა ნუნებს, ან შუა ნუნებს), ჰაერნაკადი გამოდის ცხვირის ღრუდან; ლ-ს წარმოთქმისას ენა წინა ნაწილით ებჯინება ზედა კბილებს, ხოლო ქვედა ნაწილით ეხება ქვედა კბილებს, ჰაერნაკადი გამოდის ენის გვერდებსა და ლაყების კედლებს შორის შექმნილი ნაპრალოდან.

ერთეამიერი (ერთდროული) ხშულობა-ნაპრალოვნობით სონანტები განსხვავდება აფრიკატებისაგან, რომელთა წარმოთქმისას ხშვა წინ უსწრებს ნაპრალს (ესე იგი, ამ შემთხვევაში ხშულობა და ნაპრალოვნობა არაერთეამიერია).

ახლა — რაც შეეხება რ და ვ თანხმოვნებს.

რ ვიბრანტია, რომელსაც სხვადასხვაგვარი დახასიათება ეძლევა: ა) მისი წარმოთქმისას „ხდება დაჭიმული ენის წვერის ზედიზედ სწრაფი ხშვები (თართოლა, ვიბრაცია) ნუნების მიმართ“ შედეგად ვიღებთ „შერეული რაგვარობის მყოვარ თანხმოვანს, რომლის გაგრძელება შეიძლება ისევე, როგორც ყოველი ნაპრალოვნისა. ამით ვიბრანტი უახლოვდება ნაპრალოვანს“ (გ. ახვლედიანი); ამ განმარტების მიხედვით, რ სონანტია; ბ) „რ თანხმოვნის პალატოგრაფიულმა შესწავლამ ქართულში (...) გამოავლინა, რომ ენის წვერი ვიბრაციისას საჭრელი კბილების ნუნებს არასდროს ეხება“ (შ. გაფრინდაშვილი); „რ-ს წარმოთქმის დროს (...) მაგარი სასის წინა

ნაწილთან და ნუნებთან ხ'შვა არ ხდება" (გ. დოლოძე); ამ განმარტებით რ ნაპრალოვანია (სპირანტია).

რ-ს რაობის გასარკვევად რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. „თანხმოვანთა ნაპრალოვანობის მიხედვით ურთიერთმიმართების ფონემატურ სქემაზე“ რ გაერთიანებულია ლ და ნ სონანტების ჯგუფში (თ. უთურგაიძე).

სინტაგმატურ დონეზე რ იმავე თვისებებს ავლენს, რასაც სონანტები.

საგულისხმოა სისტემის მონაცემიც: საკუთრივ ნაპრალოვანთა (სპირანტთა) რიგში ოპოზიციას ქმნიან მქლეჩი და ყრუ ფონემები (ზ-ს, ჟ-შ, ლ-ხ). ასეთი რამ არ ახასიათებს სონანტებს, თუმცა გამოიყოფა მათი პოზიციურად მქლეჩი და ყრუ ვარიანტები (ბგერის დონეზე): „ლ, ჩვეულებრივ, მქლეჩია, მაგრამ ყრუვდება გარკვეულ პირობებში: სახლს, ნისლში, ბოთლში — ლ ყრუა“ (გ. ახვლედიანი). ანალოგიურად განმარტება რ-ც: „რ მქლეჩია, მაგრამ იგი შეიძლება დაყრუვდეს გარკვეულ პირობებში; მაგალითად, სიტყვაში „თეთრს“ (ორ ყრუს შუა) რ ყრუვდება“ (გ. ახვლედიანი). ყრუ რ-ს ასახელებენ „მკვეთარ-“ ფორმაში (ს. ჟღენტი). ამდენად, ნაპრალოვანთაგან განსხვავებით, სონანტის ყრუ ვარიანტის მქონებლობა გულისხმობს ფონოლოგიის დონეზე ოპოზიციის „მქლეჩი-ყრუ“ არსებობას (ზ-ს წყვილულის ტიპისა). ასეთი თვისებით ხასიათდება ლ სონანტი, იგივე თვისება აღმოაჩინდა რ თანხმოვანსაც.

გარდა ამისა, „თუ პარადიგმატულ ანალიზში სინტაგმატურ ქცევის გავითვალისწინებთ, მ,ნ,რ,ლ-სა და ვ-ს გაერთიანება შეიძლება მოხდეს იმის საფუძველზე, რომ ეს ფონემები, როგორც წესი, თანხმოვანთა კომპლექსებში არ იცავენ ჰომოგენურობის პრინციპს — კომბინაციაში შედიან როგორც მქლეჩი, ისე ყრუ თანხმოვნებთან“ (თ. უთურგაიძე).

ზემოთქმული შესაძლებლობას იძლევა რ თანხმოვანი სონანტთა ჯგუფში იქნეს გათვალისწინებელი.

ვ თანხმოვანი შეტანილია ნაპრალოვანთა ჯგუფში ზ-ს, ჟ-შ, ლ-ხ, ჰ ფონემათა გვერდით (გ. ახვლედიანი).

ქართულში ორი სახის ვ დაჩნდება: კბილბაგისმიერი (საკუთრივ ვ: ვაცე, ბეერი, ქვა) და წყვილბაგისმიერი (ჟ: თვალი, კვალი, ჩვენ; შდრ. ძველი ქართული გამონათქვამები: თუალი, კუალი, ჩუენ, რომელიც მოგვიანებით აღინიშნებოდა, როგორც: თუალი, კუალი, ჩუენ). მათ გარჩევას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან დიალექტებში ფონეტიკური ცვლილებისას ისინი ხშირად განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან.

ვ/ჟ ქართული ენის დიალექტებში პოზიციურად მონაცვლე ბგერებია. ჟ-სთან

მონაცვლოებს აგრეთვე უ ხმოვანი. მაგალითად, დადასტურებულია შემთხვევები, როცა მახვილის გავლენით ვ → ჳ → უ და, პარიჟით, უ → ჳ ნიმუში მესხური დიალექტიდან: ქვა → ქჳა → ქვ ა და აქაურ რ ბა → აქაჳ რ რ ბა, რომელიც საბოლოოდ აქაურება ვარიანტს იძლევა (უ → ჳ ხდება მაშინაც, როცა მახვილი უ-ს წინამავალ ხმოვანს მოუდის).

ვ/ჳ და უ ბგერების პოზიციური მონაცვლოება ივარაუდება ძველი ქართული ენის დონეზეც (თ. გამყრელიძე — გ. მაჭავარიანი).

ანუ: ვ/ ჳ განეკუთვნება ბგერათა რიგს, რომელთა მარცვლიანობა-უმარცვლობა (ხმოვნობა-თანხმოვნობა) პოზიციით განისაზღვრება. ასეთი ბგერები კი სონანტებია.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სინტაგმატური ქცევის მიხედვით, ვ ერთიანდება მ, ნ, რ, ლ სონანტების ჯგუფში (თ. უთურგაიძე), ხოლო „თანხმოვანთა ნაპრალოვნობის მიხედვით ურთიერთმიმართების ფონემატურ სქემაზე“ ვ შედის მ სონანტის რიგში (თ. უთურგაიძე).

ზემოხსენებული ნიშნების მიხედვით, ვ შესაძლოა სონანტთა ჯგუფში იქნეს შეყვანილი.

სონანტთა დამახასიათებელ ნიშნად შესაძლოა ისიც გამოიყოს, რომ მათ კონტაქტურ ან დისტანციურ მეზობლობაში სპირანტი დიალექტების ერთ ნაწილში აფრიკატიზაციას განიცდის (შ. გავრინდაშვილი, ი. ქობალავა): სულს → სულც, წველს → წველც; საზღვარი → სამზღვარის (მ-ს განვითარებით) → სამძღვარი, მისდღეში მის დღეში მ-ს განვითარებით) მისდღეში; შანსი → შანცი, ყინი → ჭინი, მოპარსა → მოპარცა, ხარშავს → ხარჩავს და მისთ. (შდრ.: ტვირთი → ჭვირთი, კინალამ → წინალამ, სადაც ხდება ხმულეების აფრიკატიზაცია). შევნიშნავთ, რომ აფრიკატიზაციას იწვევს ბ და გ ხმულეების მეზობლობაც: საბზელი → საბძელი, საგზალი → საგძალი; დაჩნდება იგი ხმოვანთა შორისაც: ეზო → ეძო, პატიყი → პაიყი → პაიჯი, გვებდება ზოგ სხვა შემთხვევაშიც. ამიტომაც სონანტების მახასიათებლად ზემოხსენებულთა თვისება მხოლოდ სხვა ნიშნებთან ერთად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ამდენად, სონანტთა ჯგუფი (კლასი) ქართულში ასეთი შემადგენლობით შეიძლება წარმოვადგინოთ: ლ,მ,ნ და მათთან ერთად (ზემოდასახელებულ ნიშან-თვისებათა საფუძველზე) ვ,რ (რომლებიც არტიკულაციურად ნაპრალოვნებს წარმოადგენენ).

ქართულში თავისებურებას ავლენს ყ თანხმოვანიც. ზოგს იგი ფარინგალურ (ხახისმიერ) თანხმოვნად მიაჩნია (გ. ახვლედიანი, ა. შანიძე), სხვა თვალსაზრისით იგი

ველარული (რბილსასისმიერი) თანხმოვანია (გ. დოლოძე). განსხვავებულად განისაზღვრება მისი წარმოების რაგვარობაც: სპირანტოიდა (გ. ახვლედიანი, ს. ულენტი), ხშულ-მსკდომია (შ. გაფრინდაშვილი, პ. ფოგტი; ადრე ამ აზრს იზიარებდა გ. ახვლედიანიც), ყელხშული, უკანაენისმიერი ნაპრალოვანი ყრუ ბგერაა (თ. უთურგაიძე).

ყ-ს წარმოთქმისას „ჟერ გვაქვს სპირანტული შემართვა, შემდეგლა ხშვა“ (თ. უთურგაიძე).

სინტაგმატური თვალსაზრისითაც ყ-ს ახასიათებს ნაპრალოვანი თანხმოვნების ნიშნები. გასათვალისწინებელია: ყ ისევე, როგორც ლ და ხ სპირანტები, პარმონიულ კომპლექსებში მონაწილე ბგერაა (ზღ-ფხ-პყ, დღ-თხ-ტყ...). ამის მიხედვით ყ შესაძლოა ლ და ხ თანხმოვნებთან გაერთიანდეს, თუმცა მათგან მაინც განსხვავდება იმით, რომ ხშვაც ახასიათებს.

რაც შეეხება ძველ ქართულში არსებულ, ამჟამად კი ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში პოვნირ კ თანხმოვანს, გ. ახვლედიანს იგი შეაქვს ყ თანხმოვნის რიგში (ორივეს ფარინგალურად მიიჩნევს); ამათგან ყ ყრუ მკვეთრია (აბრუპტივია), ხოლო კ — ყრუ ფშვინიერი. წარმოების რაგვარობის მიხედვით ორივე სპირანტოიდად მიიჩნევა (გ. ახვლედიანი, ს. ულენტი). კ-ს წარმოების ადგილსა და რაგვარობაზე, შესაბამისად, ვრცელდება ის განსხვავებული შეხედულებანი, რომლებიც ყ-სთან დაკავშირებით იქნა ზემოთ აღნიშნული. ივარაუდება, რომ კ-ს დაკარგვის შემდეგ (იგულისხმება სალიტერატურო ენისა და დიალექტების ერთი ნაწილის ჩვენება) ყ „მიიკვლია ფუნქციონალურად წყვილულ ლ:ხ-ს“ (გ. ახვლედიანი), ანუ: წყვილულ-ლებმა მჟღერი ლ — ფშვინიერი ხ და მკვეთრი ყ — ფშვინიერი კ მოგვეცეს სამეული: მჟღერი ლ — ფშვინიერი ხ — მკვეთრი ყ. ეს დასკვნა გამოტანილია პარმონიულ კომპლექსთა შემადგენლობაში ამ ბგერათა მონაწილეობის საფუძველზე. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პარმონიულ კომპლექსებში ყ დაჩნდება იმ დიალექტებშიც, სადაც კ დასტურდება. ყ-ს „დუალისტური“ ბუნების გამო, მას ასეთი განმარტება ეძლევა: „ყ ფონეტიკურად აბრუპტივია, ფონოლოგიურად — ნაპრალოვანი“ (გ. ახვლედიანი).

ზემოთ დასახელებული იყო ის ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ქართული თანხმოვნები განთავსდა ხშულუბად, აფრიკატუბად, ნაპრალოვნებად და სონანტუბად.

არსებობს სხვაგვარი თვალსაზრისებიც.

მაგალითად, „სახმო სიმების დახშვისა და ლიაობის მიხედვით ქართული ენის თანხმოვანი ფონემები დაიყოფა ორ ჯგუფად: სახმო სიმებისმიერ ხშულად და სახმო

სიმებისმიერი ნაპრალოვნებად, სპეციალური ტერმინოლოგიით — ყელბშულებად და არაყელბშულებად. ამ თვალსაზრისით ყველა მჟღერი და ფშვინვიერი ფონემა სახმო სიმებისმიერი ნაპრალოვანია, ხოლო ყველა ყელბშული — სახმო სიმებისმიერი ხშული“ (თ. უთურგაიძე); ანუ: ყრუ მკვეთრი თანხმოვნები (პ, ტ, კ, წ, ჭ) ხშულებია, ყველა დანარჩენი — ნაპრალოვანი.

იმავედროულად: უშუალოდ გაბგერების ადგილის (ბაგისმიერი, ენაკბილოსმიერი...) მიხედვით ხშულებია მჟღერი (ბ, დ, გ, ძ, ჯ) და ფშვინვიერი (ფ, თ, ქ, ც, ჩ) თანხმოვნებიც (აფერკატები ამ შემთხვევაში ხშულებთან განიხილება).

თუ ამ ორ განსაზღვრას ერთად მივუყვებით თანხმოვანთა კლასიფიკაციას, მაშინ მჟღერები და ფშვინვიერები ცალმაგი ხშულებია (ხშვა ხდება გაბგერების ადგილას), ყრუ მკვეთრები (აბრუპტივები) კი — ორმაგი ხშულები (ხშვა ხდება ყელშიც და უშუალოდ გაბგერების ადგილზეც).

თუ რბილი სასის მოჭედებასაც გაითვალისწინებთ, მაშინ ცალმაგი (რბილი სასისმიერი) ხშვა ექნება ყველა პირისიეულ (არაცხვირისმიერი) თანხმოვანს (რადგან ამ დროს ჰაერნაკადისათვის იკეტება ცხვირის ღრუ), მათ შორის საკუთრივ ნაპრალოვნებსაც (სპირანტებს), რომლებიც ამის მიხედვით ცალმაგი ხშულებია; ორმაგი ხშვა — მჟღერებსა და ფშვინვიერებს (რბილსასისმიერი და გაბგერების ადგილას), სამმაგი — მკვეთრებს (რბილსასისმიერი, ყელისმიერი და გაბგერების ადგილას); (თ. უთურგაიძე). ანუ: ცალმაგი ხშულებია ზ-ს, ყ-შ, დ-ხ, ორმაგი ხშულები — ბ-ფ, დ-თ, გ-ქ, ძ-ც, ჯ-ჩ, სამმაგი ხშულები — პ, ტ, კ, წ, ჭ.

ტრადიციულად კი ამა თუ იმ თანხმოვნის რაობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ხშვა ან ნაპრალი უშუალოდ გაბგერების ადგილას. ამის კვალობაზე, ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ... ხშულებია, ზ-ს, ყ-შ, დ-ხ... — ნაპრალოვნები.

ქართული ენის დიალექტების დონეზე თანხმოვანთა პარადიგმატული კლასიფიკაცია, რომელიც იმავედროულად გულისხმობს სინტაგმატურ დონესაც (ანუ: თანხმოვანთა ურთიერთშეხამებას გაბმულ მეტყველებაში), საკმარისია ითვალისწინებდეს ხშვას ან ნაპრალებს უშუალოდ გაბგერების ადგილას. ამიტომაც ქვემოთ სწორედ ეს პრინციპი დაედება საფუძვლად თანხმოვანთა განდასებას.

თანხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია ხდება შემდეგი დიფერენციალური ნიშნების მიხედვით, რომლებიც შეიძლება წარმოვადგინოთ იერარქიული პრინციპის საფუძველზე:

I საფეხური — ჩქამისა და ხმის მონაწილეობის მიხედვით გამოიყოფა ჩქამიერი (ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ, ზ-ს, ყ-შ...) და სონორი (ლ, მ, ნ...) თანხმოვნები;

II საფეხური — ჰაერნაკადის მიმართულების მიხედვით გამოიყოფთ ორალურ

(ბ-ფ-პ-დ-თ-ტ-გ-ქ-კ, ზ-ს, ე-შ...) და ნაზალურ (მ,ნ) თანხმოვნებს; ნაზალურია ქართულში მ და ნ, ყველა დანარჩენი ორალურია;

III საფეხური — დაბრკოლების რაგვარობის მიხედვით გვაქვს ხშულები (ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ), ნაპრალოვნები (ზ-ს, ე-შ, ლ-ხ, ჰ) და შერეული რაგვარობის თანხმოვნები: აფრიკატები — ხშვა უსწრებს ნაპრალს (ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ) და სონანტები — ხშვა და ნაპრალი ერთეამიერია (ლ,მ,ნ); ამათგან აფრიკატებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშულთა რიგში აერთიანებენ;

IV საფეხური — სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით: მეღერი (ბ,დ,გ,ძ,წ,ზ,ჟ,ღ) და ყრუ თანხმოვნები; თავის მხრივ, ხშული ყრუ თანხმოვნები წარმოდგენილია როგორც ყრუ ფშვინვიერი (ფ,თ,ქ,ც,ჩ) და ყრუ მკვეთრი (პ,ტ,კ,წ,ჭ); ყრუ სპირანტები მხოლოდ ფშვინვიერებია (ს,შ,ხ); სწორედ ამის საფუძველზეა მოცემული სამეფლები, წყვილულები და ცალეფლები: ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ; ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ; ზ-ს, ე-შ, ლ-ხ; ყ, ჰ; სონანტთა რიგში გაერთიანებული ყველა ფონემა (ლ,მ,ნ, აგრეთვე ვ და რ) მეღერია (მათი ყრუ ვარიანტი მხოლოდ პოზიციურია და ამიტომაც ფონემათა დონეზე არ განიხილება);

V საფეხური — გაბგერების ადგილის მიხედვით: წყვილბაგისმიერი — ბილაბიალური (ბ-ფ-პ; მ, აგრეთვე ჟ), კბილბაგისმიერი — დენტორალბიალური (ვ), კბილისმიერი-დენტალური (დ-თ-ტ; ლ,ნ), მაგარასისმიერი — ალვეოლარული: ა) წინანუნისმიერი — წინალვეოლური (ძ-ც-წ; ზ-ს; ლ,ნ), ბ) შუანუნისმიერი — შუალვეოლური (რ,ნ) და გ) უკანანუნისმიერი — უკანალვეოლური (ჯ-ჩ-ჭ; ე-შ; ნ); რბილასისმიერი ანუ: უკანანუნისმიერი — ველარული (გ-ქ-კ; ლ-ხ); ხახისმიერი — ფარინგალური ([ქ-ყ]*, ხორხისმიერი — ლარინგალური (ჰ). ყველა შემთხვევაში (წყვილბაგისმიერებისა და კბილბაგისმიერის გამოკლებით) იგულისხმება ენის აქტიური მონაწილეობა: ხშვა ან ნაპრალი პირის ღრუში შესაბამის (ზემოდასახელებულ) ადგილას მისი საშუალებით ხორციელდება; ამიტომაც უფრო ზუსტი იქნებოდა ასეთი დასახელება: ენა-კბილისმიერი, ენა-წინანუნისმიერი და მისთ.

ამდენად, თანხმოვნები ქმნიან ერთიან სისტემას, რომელიც სტემაზე ასეთი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: ჩქამიერი და სონორი თანხმოვნები, რომელთა შიგა კლასიფიკაცია იძლევა ორალურ და ნაზალურ თანხმოვნებს; შემდეგ საფეხურად გამოვყოფთ თანხმოვნებს, ერთი მხრივ, დაბრკოლების რაგვარობის, აგრეთვე მეღერობა-სიყრუის (პორიზონტალური რიგი) და, მეორე მხრივ, გაბგერების ადგილის

* ყ ლოკალური ნიშნის მიხედვით განისაზღვრება აგრეთვე როგორც სახმოსიმებისმიერი ყვლხშური (თ. უთურგაიძე)

(ვერტიკალური რიგი) მიხედვით.

ათერკატები განიხილება ხშულთა ჯგუფში ცალკე ქვეჯგუფად.

სონანტები შედის ხშულ-ნაპრალოვანთა ჯგუფში (ხშვისა და ნაპრალოს ერთ-ჯამიერობის გამო). რადგანაც ხშულ-ნაპრალოვნობა და სონორობა არსებითად ერთმანეთს ფარავს (ემთხვევა), ხოლო ჩქამიერობა მოიცავს ხშულებსა (აფრიკატებითურთ) და ნაპრალოვნებს, სქემაზე ეს მიმართულებანი შესაძლოა ამ სახით წარმოვადგინოთ: ჩქამიერებში გავეერთიანოთ ხშულები და ნაპრალოვნები, ხოლო სონორები და ხშულ-ნაპრალოვნები იგივეობის ნიშნით განვსაზღვროთ.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ვ და რ ნაპრალოვნები სონორთა ჯგუფსაც განეკუთვნება, რაც შესაბამისად უნდა აისახოს სქემაზე.

რაც შეეხება ყ (აგრეთვე ჯ) თანხმოვანს, იგი ხშულთა ჯგუფში შეგვაქვს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სინტაგმატურ დონეზე ყ იქცევა ლ და ზ ნაპრალოვნების ანალოგიურად (იგულისხმება, მაგალითად, პარმონიულ კომპლექსებში მისი მონაწილეობა).

საბოლოოდ სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

დაბრკოლების რაგვარობა	ჩქამიერი		სონორი	
	ხშული	ნაპრალო-ვანი	ხშულ-ნაპრალოვანი	
დაბრკოლების ადგილი			ორალური	ნაზალური
წყვილბაგისმიერი	ბ — ფ — პ		[ფ]	მ
კბილბაგისმიერი	— — —		— — [გ]	—
კბილისმიერი	დ — თ — ტ	— — —	/ლ/	ნ/
წინანუნისმიერი	ძ — ც — წ	ზ — ს	/ლ/	ნ/
შუანუნისმიერი	— — —		რ	/ნ/
უკანანუნისმიერი	ჯ — ჩ — ჰ	ჩ — შ	—	/ნ/
რბილსასისმიერი	გ — ქ — ჯ	ღ — ხ	—	—
ხახისმიერი		[ქ] — ყ	—	—
ხორხისმიერი	— — —	— ჰ	—	—

ზოგი დამატებითი განმარტება სქემასთან დაკავშირებით.

ა) ხშულთა სამეულების რიგში პირველი მქედერია, მეორე — ყრუ ფშვინიერი, მესამე — ყრუ მკვეთარი (აბრუპტივი). კბილბაგისმიერი და ხორხისმიერი ხშულები ქართულში არ დასტურდება. ხახისმიერ ხშულთაგან დაჩნდება კ (მხოლოდ დიალექ-

ქტებში) და ყ — ისიც შერეული რაგვარობისა (ამის გამოა, რომ ორ — ხშულთა და ნაპრალოვანთა — რიგს განეკუთვნება).

ბ) ნაპრალოვანთა წყვილების რიგში პირველი მქლეურია, მეორე — ფშვინვიერი. წყვილბაგისმიერ ნაპრალოვანთაგან დაჩნდება ჰ, კბილბაგისმიერ ნაპრალოვანთაგან — ვ (რომლებიც სონორობის ნიშანთვისებებსაც ავლენენ) როგორც ერთი ფონემის პოზიციური ვარიანტები, ისინი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული. კბილისმიერი ნაპრალოვანი არ დასტურდება. შუანუნისმიერი ნაპრალოვანია რ (რომელსაც ასევე ახასიათებს სონორობის ნიშანთვისებანი). „დუალისტური“ ბუნების გამო ვ/ჰ და რ თანხმოვნები ნაპრალოვანთა და ხშულ-ნაპრალოვანთა რიგებშია ერთდროულად წარმოდგენილი.

გ) ლ-ხ სპირანტების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად თვლიან მცირე ვიბრაციას; ესე იგი, ვიბრანტებად გამოყოფილია რ და ლ-ხ (შ. გაფრინდაშვილი).

დ) ნ და ლ რამდენიმე გრაფაში მოხვდა (ამიტომაც აღნიშნულია დახრილი ფრჩხილებით) — ეს ნიშნავს, რომ მათი საწარმოთქმო ადგილი არ იზღუდება: „ [მ]-სა და [ნ]-ს შორის დაპირისპირება მყარდება ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობით. მეორე მხრივ, /ნ/ დანარჩენ ბგერებს უპირისპირდება ან ნაპრალოვნობით (ხშულებს), ან ცხვირისმიერობით (არახშულებს), რის გამოც მას შესაძლებლობა აქვს კბილებიდან დაწყებული და მაგარი სასით გათავებული, სადაც მოუხერხდება, იქ განახორციელოს ხშვა. კოარტიკულაციის საფუძველზე [ნ]-ს ექმნება საშუალება ხშვის გადაადგილებისათვის წინა-ენის მოქმედების არეში“; ასევე: „ენაკბილისმიერი /ლ/ ენაკბილისმიერი /დ/-ს დაუპირისპირდება როგორც არახშული ხშულს, ენანუნისმიერი, არახშული (ლ) ენანუნისმიერი არახშულ ზ-ს დაუპირისპირდება როგორც გვერდითი (=ლატერალური) არაგვერდითს“ (თ. უთურგაძე), რის გამოც მას (კოარტიკულაციის საფუძველზე) შესაძლებლობა აქვს ხშვა განახორციელოს სხვადასხვა ადგილას.

ქართულში თანხმოვანთა შეხამების რამდენიმე წესი მოქმედებს; იგულისხმება შეხამება როგორც ერთი მორფემის (ლექსემის) ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე.

ა) ორი იდენტური თანხმოვნის კომპლექსი (ბბ, მმ, სს...) ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. მორფემათა ზღვარზე მათი შეხვედრისას ხდება კომპლექსის ფონეტიკური ცვლილება; ცვლილება ძირითადად სამი სახისაა: იდენტური თანხმოვანთაგან ერთ-ერთი იკარგვის (მმალავს → მალავს ის მე); ხდება იდენტურ თანხმოვანთა „შერწყმა“ — შედეგად ვიღებთ გემინირებულ თანხმოვანს (მმალავს →

მ-ალავს, ლომმა → ლომ-ა, თბილისს → თბილის-, ზოგჯერ კომპლექსი იცვლება დისიმილაციის საფუძველზე (ინგილოური: ამმა „მაგრამ“ → ამმა).

ბ) ხშულებისა და ნაპრალოვნების ერთობლიობა წარმოქმნის ეგრეთწოდებულ პარაონიულ კომპლექსს (ეს ეხება როგორც ერთი მორფემის ფარგლებს, ასევე მორფემათა ზღვარს): ბლ-ფხ-პყ, დლ-თხ-ტყ, ძლ-ცხ-წყ, ჯლ-ჩხ-ჭყ; ბზ-ფს, ბე-ფშ, გზ-ქს, გე-ქშ... ერთი მორფემის ფარგლებში: ბლარტ-ი // ბარტყ-ი, ფხა, და-ი-პყარ—(ი)... მორფემათა ზღვარზე: კაც-ად-ლა, ძაფ-ს, გ-ზრდ-ი-ს...

მორფემათა ზღვარზე ხშირად პარაონიული კომპლექსი ფონეტიკური ცვლის შედეგად მიიღება: აწ-ლა → აწ-ყა, აქეს-ყე → აქეწ-ყე (ნ). ფონეტიკური ცვლა შესაძლოა დაჩნდეს ერთი მორფემის ფარგლებშიც: ბლარტ-ი → *ბარტლ-ი (მეტათეზისით) → ბარტყ-ი (ამოსავალი შესაძლოა იყოს ბარტყ-ი, მაშინ პროცესი შებრუნებულ სახით წარმოგვიდგება. განსახილველი საკითხისათვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს). პარაონიულ კომპლექსს წარმოქმნის ნაპრალოვანთა დეცესური შეხამება: ზლ-სხ, ჟლ-შხ. ამ თანხმოვანთა შეხამება დასაშვებია შებრუნებული რიგის დროსაც (ოღონდ ასეთი კომპლექსები პარაონიული აღარაა): ბლ და ლბ (იმავე ხეცსურული: „აბია“), ფხ და ხფ (ხეცსურული: ხფარავს „ჰფარავს“; გურული: ხბო → ხფო) და მისთ.

გ) ქართულში გამოიყოფა სხვა მყარი კომპლექსებიც: სტ, სთ, სკ, სწ... შტ, შთ, შკ... აგრეთვე სხ, შხ ტიპისა, რომლებიც დიალექტების მიხედვით ნაირგვარ ვარიანტებს იძლევიან. მაგალითად, სკ, სტ მოხეურში, როგორც წესი, შკ, შტ კომპლექსში გადადის (სკამი → შკამი, ქისტრი → ჭიშტი), სხ → ცხ (სხვა → ცხა) და ა.შ. სწ კომპლექსი გურულში, ჩვეულებრივ, სტ ან ინტენსიურ ს ნაირსახეობებს იძლევა (სწავლა — სტავლა // ს-ავლა) და მისთ.

დ) უფრო რთულ ვითარებას გვიჩვენებენ სამ — და მეტათანხმოვანი კომპლექსები: ბრძ-, ჩრდ-, თრთ-, ძრწ-, კლდ — აგრეთვე, პარაონიულ კომპლექსებიანი ბრწყ-, ფრჩხ-, ბრტყ-; ან: ბრდღენ — და მისთანანი, რომელთა შემადგენლობაში შედის სონანტი; ასევე: ტყბ-ტიპისა, რომლებიც მხოლოდ ხშულებისაგან შედგება. ეს კომპლექსები ნაირგვარი ვარიანტებითაა წარმოდგენილი სხვადასხვა დიალექტში: მაგალითად, ჩრდილ-ი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში შესაძლოა დაჩნდეს როგორც ჩირდილ-ი, დასავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში — როგორც ჩრდილი → ჩიდილი → ჩითილი // შთილი // შტილი, კლდე → კილდე // კილტე // კალდო ან: კდე // კტე; ტყბილი → ტყმილი // ტყვილი და სხვა.

ე) სხვადასხვა დიალექტში მქლერი და ყრუ თანხმოვნების შეხამების განსხვავე-

ბული წესები მოქმედებს. მაგალითად, ხდ კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, წესისამებრ, დაცულოა, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში კი იცვლება და შედეგად ვიღებთ ორი ყრუ თანხმოვნის კომპლექსს: ხთ (მოხდა — მოხთა); ასევე :ხბ (// კბ) აღმოსავლეთ საქართველოში დაცულოა, დასავლეთ საქართველოში კი რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: გურული ხფო // ხპო ქვემოიმერული: ხფო, აჭარული ხობო (ხმოვნის ჩართვით გაითიშა დიალექტისათვის შეუთავსებელი ხბ კომპლექსი).

ვ) ქართულში იმთავითვე აკრძალულია თანხმოვანთა ზოგი კომბინაცია როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე. მაგალითად, ერთმანეთს ვერ ეხამება დაბრკოლების მიხედვით იდენტური ხშულები (არ დასტურდება ბფ ან ფბ, ბპ ან პბ), მაგრამ დასაშვებია იმავე რიგის ხშულისა და ნაპრალოვნის ან ხშულისა და ხშულ-ნაპრალოვნის (სონორის) შეხამება: მბ, მფ, მპ (მბობა, მფარავი, მპარავი); იმავდროულად დასაშვებია აგრეთვე მათი შეხამება შებრუნებულ რიგის დროსაც: ბმ, ფმ, პმ (ბმა // დაბმა, ლაფმა, ჰიპმა). შემდეგ: წინაენისმიერი თანხმოვნები (დ-თ-ტ, ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ, ზ-ს, ყ-შ) ერთმანეთთან ვერ ქნნიან დეცესიურ კომპლექსებს (ზ. ჯაფარიძე): დაუშვებელია *ღჯ, *ტჭ, *თჩ... დასაშვებია: ჯღ, ჭტ-ჩთ. თუ მორფემათა ზღვარზე ასეთი შეუთავსებელი კომპლექსი წარმოიშვა, იგი ფონეტიკურად შეიცვლება.

ზემოთქმული შეეხებოდა თანხმოვანთა კონტაქტურ შეხამებას უშუალოდ ერთი კომპლექსის ფარგლებში.

საკითხი ისმის თანხმოვანთა დისტანციური შეხამების შესახებაც. მაგალითად, ერთი სიტყვის ფარგლებში შეუთავსებელია რ-რ, რაც, როგორც ცნობილია, იცვლება დისიმილაციის გზით: რ-ლ (*ქართურ-ი → ქართულ-ი); საკმარისია რ-რ თანხმოვნებს შორის დაჩნდეს ლ, რომ რ-რ არ შეიცვლება (ქართლურ-ი). ასევე: ზოგ დიალექტში იკრძალება ნ-ნ — იცვლება დისიმილაციის საფუძველზე: კანონ-ი → კანოლ-ი // კალონ-ი.

დაშვება-აკრძალვის წესებს ექვემდებარება აგრეთვე ერთი ფორმის ფარგლებში თანხმოვანთა თანამიმდევრობა. ისევე ცნობილ მაგალითს დაეასახელებთ: ზოგ დიალექტში იკრძალება თანამიმდევრობა ხშული + სონანტი + ვ, რომელიც იცვლება თანამიმდევრობით: ხშული + ვ + სონანტი (ანუ: ხდება მეტათეზისი): კლვა → კვლა, ხნვა → ხვნა, ძრვა → ძვრა (ასეა სალიტერატურო ქართულშიც), მაგრამ დიალექტების მეორე ნაწილში (იმერულში...) ასეთი თანამიმდევრობა დასაშვებია და კომპლექსიც ფონეტიკურად უცვლელი რჩება.

1.1.4. კ ფონემა ქართული ენის დიალექტებში. კ დაცული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს — ხევსურულს, ფშაურს, თუშურს, მოხურს, მთიულურ-გუდამაყრულს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტთაგან — კახურის ჭიზიყურ კილოკავს, სპორადულად დაჩნდება კახეთის სხვა რეგიონებშიც გვაქვს ფერეიდნულსა და ინგილოურში, შემორჩენილია იმერხეულში (კლარჯულში), გვხვდება ჩრდილო ქართლურშიც (არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველებაში).

კ მკვიდრად არის წარმოდგენილი ხევსურულში — გვხვდება ყველა იმ პოზიცი-
აში, სადაც ძველ ქართულშივე არის დამოწმებული: კელი, მქარი, კმა, კმელი; გარმაკდების (შდრ.: გარდაკდობა)... კ-ს „ხმარების წესი ხევსურულში მტკიცედაა გატარებული და რაიმე აღრევას ან გამონაკლისს აქ ადგილი არა აქვს“ (ა. ჭინჭარა-
ული). ეს დებულება დასაზუსტებელია: ხევსურულში იშვიათად, მაგრამ მაინც დაჩნდება კ-ს გამოყენების ძველი ქართულისგან განსხვავებული შემთხვევები: მა-
გალითად, კ შეიძლება შეენაცვლოს კ-ს: კორწილი „ქორწილი“...

მკვიდრია კ თუშურშიც: კევრ, კელრ, კმაჲ, კშირჩ, მკედარჩ, მუკლჩ, კსენებაჲ, მოკდომაჲ... აქაც კ შესაძლოა შეგვხვდეს კ-ს ნაცვლად (კვეყანაჲ „ჭვეყანა“), ზოგჯერ შეენაცვლება ხ-საც: მაკათი „მახათი“, რაც ხ — კ აღრევის შედეგია (საპირისპირო იმისა, როცა თ-ს ნაცვლად დაჩნდება ხ).

მთიულურ-გუდამაყრულში თავს იჩენს აშკარად გამოხატული მერყეობა. მარ-
თალაა, კ დაცულია ძველ ქართულშივე პოენიერ ფორმებში (ქარი, კორცი, კმა, კელი, მქარი, მუკლი, დაკოცა, მოუკდა) და „მკაფიოდ ისმის როგორც მოხუცთა, ისე ახალგაზრდებისა და ბავშვების მეტყველებაში“ (ლ. კაიშაური), მაინც ხელშესახებია ბარის დიალექტების გავლენაც, რომელთათვის უცხოა ეს ფონემა.

ანალოგიური ვითარებაა მოხურშიც — დადასტურებულია: ქარი, კევი, კელი, ფეკი, მუკლი, კბო, კოცს, მაგრამ მათ გვერდით პარალელურ ვარიანტებად გამოი-
ყენება: კირტალა // ხირტალა „ჩოგანი“, გაკერება // გახერება „გამშეშება, გაოგ-
ნება“, უპირატესად იხმარება ა-ხსონ—(ს) (შდრ. ძველი ქართული: ა-კსოვ-ნ) და, პირიქით, გვხვდება კუთულა (← -ხუთ-ი) „ხუთ კონად აგებული ძნა“ (ი. ჭავთარაძე).

რაც შეეხება ფშაურს, აქ „ეს ფონემა უკვე გაქრობის გზაზეა შემდგარი... ხდება ხ:კ ოპოზიციის ნეიტრალიზაცია, ოლონდ არა რომელიმე კონტექსტში, არამედ საერთოდ მთელს დიალექტში“ (გ. ცოცანიძე). ვადასტურებთ, ფორმებში: კელი, ფეკი, კორცი, კმა, კევი, საქსარი, კსენი...

კახური დიალექტის ჭიზიყურ კილოკავში კ უპირატესად დაცულია ხანდაზმუ-
ლთა მეტყველებაში, ისიც ძირითადად ჭიზიყის მთიან ადგილებში (ზემო ბოდბეში, კოტორში, ზემო მალაროში, ზემო მაჩხანში) და ბარის ზოგიერთ სოფელში (ქვემო

ბოდბეში, ქვემო მაღაროში): კელი (კელადა, კელმეორეთ), მუკლი, მკარი, ვენაკი, კარი (მეკრე), კმალი, კმელი (ა. მარტიროსოვი — გ. იმნაიშვილი). ხ-ქ ოპოზიციის მოშლა აქაც ხელშესახებია. ისტორიულად ქ საერთოდ კახურისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამას ადასტურებს ქ ფონემის არსებობა ინგილოურსა და ფერეიდნულში, რომლებიც კახურის განაყოფი დიალექტებია. აგრეთვე ისიც, რომ ქ აქა-იქ დღემდე შემორჩენილი შიგნი — და გარეკახეთის ზოგიერთი სოფლის (ალმატის, გრემის, ენისელის, საბუის, შილდის, ჭიკანის, დარბის, ნანიანის) მეტყველებაში (ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი-გ. იმნაიშვილი).

ინგილოურსა და ფერეიდნულში ქ მყარად არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ინგილოური დიალექტის კაქურ კილოკავზე, სადაც იგი თითქმის არასდროს ირევა ხ-სთან: კელ, მუკლ, კმალ, კიდ, კორც, მოქერკება... ღირსსაცნობია, რომ ზოგჯერ (უპირატესად ალიაბათურში, იშვიათად — კაქურში) კ-ს პოზიციაში დაჩნდება ყ: ფეყ (კაქური) // ფაყ-ი (ალიაბათური) „ფეხი“ (შდრ.: ფეკ-ი, ძველი ქართული: ფერკ-ი), გაყეჩა „გაიქეჩა, გატყდა“, დანაყოცი „დანაკოცი, დანახოცი“, დაკოცა „დაქოცა, დახოცა“ (გ. იმნაიშვილი). ეს მონაცვლეობა არაა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქ-ყ ერთი რიგის ფშვინიერი და მკვეთრი თანხმოვნებია.

იმერხეულში (კლარჯულში) ქ-ხ მონაცვლეობა ზოგჯერ დაჩნდება ერთი და იმავე პიროვნების მეტყველებაშიც კი: კელი // ხელი, ფეკი // ფეხი, კარი // ხარი, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ქ მოშლის გზაზეა — იგი სისტემებარ გვხვდება კვეი, კმელი და მისთანა ფორმებში.

ზეპირ პოეზიაში ქ სპორადულად წარმოჩნდება რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში (კელი, დაკოცა), სხვა შემთხვევებში იგი არ არის დადასტურებული.

ამდენად, ქართული ენის დიალექტებში ქ ფონემის გამოყენების თვალსაზრისით სამი იზოგლოსა დაჩნდება:

ბ) შიგნი — და გარეკახური (წერტილობრივი იზოგლოსა) — ჭიზიყური — ინგილოური. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ფერეიდნული, რომელიც ისტორიულად (მსგავსად ინგილოურისა) კახურის განაყოფია. შიგნი — და გარეკახეთის სხვადასხვა რეგიონში კ-ს სპორადული წარმოჩენა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ამჟამად ორი დამოუკიდებელი იზოგლოსის (1. მთის დიალექტები, 2. კახური — ინგილოური — ფერეიდნული) ისტორიული ერთიანობის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს;

გ) იმერხეული, რომელიც ახლა განცალკევებითაა წარმოდგენილი, რაც არ გამოირიცხავს ამ ფონემის პოვნეირების მხრივ მის ისტორიულ კავშირს ქართული ენის სხვა დიალექტებთან; კერძოდ, სამხრეთის ზოლის დიალექტებთან (იგულისხმე-

ბა: მესხური — ქვემოქართლური — კახური, სადაც ამქამად კ ან საერთოდ არ გვხვდება, ან სპორადულად იჩენს თავს).

ამ თვალსაზრისით ცალკე ჯგუფს ქმნიან დანარჩენი დიალექტები, რომლებშიც კ-ბ ოპოზიციის ოდინდელი კვალიც არა ჩანს: ორივე ფონემის პოზიციაში დასტურდება მხოლოდ ხ: ხელი, ფეხი, ხევი, მხარი, ხმა (შდრ.: კელი, ფერკი, მკარი... და: ხარბი, ხატი, ხაჭო, ხე, ხვალე, ხუთი...

1.15. **ქ** ბგერა ქართული ენის დიალექტებში. საკუთრივ ქართულ ფორმებში ქ არის ე ფონემის პოზიციური ვარიანტი ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი ბგერების წინ: ვ → ქ I სუბიექტური პირის ნიშანი: ქკითხულობ, ქფარავ, ქპარავ, ქტეხ, ქთქვი, ქტომავ, ქჩივი, ქწელავ, ქცელავ, ქსინჯავ, ქშლი... ე → ქ ფუძისეული: კარაფს „კარავს“, კარაფში „კარავში“ (გ. ახვლედიანი), ხქთის „ღვთის“ (შ. ძინგური). არსებითად ეს არის საერთო ქართული მოვლენა.

პირის ნიშნად ე → ქ-ს გამოყენება ზოგჯერ კილოკაურ ნაირსახეობას ქმნის. მაგალითად, ინგილოური დიალექტის ალიაბათურ კილოკავში დასტურდება: ქკამ „ვკამ“, ქჭრი „ვჭრი“, ქთლი „ვთლი“; კაკურში: ჳომ, ჳრუ, თლუ, მიღებული ორსაფეხუროვანი ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად: ვკამ → *კკამ (მეტათეზისით → ჳომ, ვჭრი → *ჭრვი → ჳრუ, ვთლი → *თლვი → თლუ (გ. იმნაიშვილი). თუმცა ეს სხვაობა მკაცრად არ არის გატარებული; შდრ. კაკური: შენ ნაზუქ ჰახან ჳკომთა? ალიაბათური: მა შე (// შენ) ნაზუქ რახან ჳკომთა? „(მაშ) შენ ნაზუქს როდის ვკამთ“. ორივე შემთხვევაში ჳ-ჳკომ-თ (← — ე-ჳ-კამ-თ) ფორმაა გამოყენებული.

დაჩნდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ქ შემოყოლილია ნასესხებ სიტყვას. რაჭული: ქასტაგორი (ადგილის სახელწოდება), ქაიტონი „ფაიტონი“, ფერეიდნული: ზაქარანი // ზაქარა „ზაფრანა“, ყაძლა // ყაფლა „ქარავანი“, ქერეიდანი // ფერეიდანი...

ჩვეულებრივ, ამ დროს პარალელურად გამოიყენება ქართულ წარმოთქმასთან შეგუებული ვარიანტიც — ქ-ს ადგილას დაჩნდება ფ.

1.16. **ღ** ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში.

ლ. ფონემა ქართული ენის დიალექტებში სამი ნაირსახეობით დაჩნდება:

ა) საერთო, ქართული ლ, რომლის წარმოთქმისას წინაენა ებჭინება ზედა კბილუბს (ან წინა ნუნებს), ეხება რა თავისი ქვედა კიდით ქვედა კბილუბსაც, ხოლო ენის გვერდებსა და ლაყების კედლებს შორის არსებულ ნაპრალში გამოდის ჰაერნაკადი (გ. ახვლედიანი, ა. შანიძე). განარჩევენ ორ ლ-ს: ლ, რომელიც ი და ე ხმოვნების წინა პოზიციაში გვაქვს — „ნათელი“ ლ, და უკან დაწეული ლ („ბნელი“ ლ), ო, უ, ა ხმოვნების წინ (რ.პ. რაბინსი-ნატალი ვატერსონი).

ბ) ქართული ენის ზოგ დიალექტში დაჩნდება პალატალიზებული („რბილი“) ლ, რომლის წარმოთქმისას „წინაენა ისევ ზედა კბილებთანაა, მაგრამ ენის ზურგი აწეულია მიაგარი სასისაყენ და ფართოდ ეხება მას“ (გ. ახვლედიანი).

პალატალიზებული ლ ისმის ქვემოიმერულში, განსაკუთრებით — მის დასავლურ ზოლში, ანუ ქვემოიმერულის იმ თქმებში, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება მეგრულ მეტყველებას. გვხვდება ძალა, გლახა, მალე, ლეღვი, ლომონი, ლომი, ლურსმანი, დალაზ ფორმებში; ესე იგი, არა მხოლოდ ყველა ხმოვნის წინ, არამედ თანხმოვნის წინაც. ასე რომ, პალატალიზებული ლ ამჟამად პოზიციით შეპირობებული არ ჩანს.

პალატალიზებული („რბილი“) ლ დაჩნდება ინგილოურშიც) ალიაბათურში, ალიბეგლოურ თქმაში): კელში, წელში. იშვიათად შესაძლოა ლ → მ: კემში. უფრო ხშირია პალატალიზებული ლ აზერბაიჯანულიდან ნასესხებ სიტყვებში: თუ ლქუჲ „მელა“, ლუ თ „ღარიბ-დატაკი, ტიტველი“ — ამ შემთხვევაში პალატალური ლ-ს პოენიერება აიხსნება იმავე ფორმებში პალატალიზებული ხმოვნების არსებობით.

აკარულში ხმოვნის წინ ლ-ს პალატალიზაცია გამოიხატება მ-ს ჩართვით: მასკლმაივი „ვარსკვლავი“, ლმანჭერი „ლანჭერი“, ლმაგირი // ლამაგირი „ბანაკი“ (რუსულიდან: пазррх).

პალატალიზებული ლ შესაძლოა შემოჰყვეს რუსულიდან ნასესხებ სიტყვებს. ამ დროს დიალექტებში, ჩვეულებრივ, ლ-ს მომდევნოდ დაჩნდება ი: პალიტო ПИЛТО „პალტო“, კალიცო (КОНЦО) „ბეჭედი“... ნიმუშები ქვემოიმერულიდანაა.

გ) ქართული ენის დიალექტებში გვხვდება აგრეთვე უკანაენისმიერი, ველარიზებული („მიაგარი“) ლ (ჩვეულებრივ, გამოიხატება როგორც ლლ), რომლის წარმოთქმისას „წინაენა ებჯინება ზედა კბილებს, ენის ზურგი ჩაზნექილია, ზოლო უკანაენა ამოზნექილია რბილი სასისაყენ“ (გ. ახვლედიანი).

ველარიზებული ლლ დადასტურებულია მესხურსა და რაჭულში.

მესხური დიალექტის ჭავახურ კილოკავში ლლ გვხვდება ფორმებში: ქალლი, ყველაფერი, სილა („სილა შემოჰკრა“). დამოწმებულია იგი არაბული და თურქული წარმოშობის სიტყვებშიც: ჯალათი, მოლლა, ილაჯი, ხალახი. გამსესხებელ ენებში შესაბამის ფორმებში ორმაგი (გემინირებული) ლ დასტურდება (ა. მარტიროსოვი). ეს კი ნიშნავს, რომ ჭავახურში ველარიზებული წარმოთქმით ხასიათდება წარმოშობით გემინირებული ლ-ც (გემინაციის შესახებ იხ. ქვემოთ).

რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში გვხვდება: დილა, ცოლი, ქალი, ვაშლი, ბარკალი, საგზალი (შ. ძიძიგური).

საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმაში ველარიზებული ლ-ს არსებობა თვით დიალექტის მფლობელთა მიერ შეცნობადი ფაქტია; მაგალითად,

გლოლაში ერთი მთქმელი ამბობდა: დილაზედ, მეორე უსწორებდა: დილადათ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გლოლოურსა და ჯავახურში, ტერიტორიულად საკმაოდ დაკლებულ კილოკავებში, ველარიზებული ლლ დადასტურდა ერთსა და იმავე ფორმებში: ქალოლი, ცოლოლი და მისთ.

ქართულში ველარიზებული ლლ-ს მქონებლობა არ გამოირიცხება ისტორიულადაც...

1.17. გემინირებული თანხმოვნები ქართული ენის დიალექტებში. ქართულში გემინირებული თანხმოვნები გვხვდება ორ პოზიციაში.

ა) გემინირებული თანხმოვნები დასტურდება მორფემათა ზღვარზე ორი იდენტური თანხმოვნების შეხვედრისას, რაც იწვევს მათ შერწყმას ერთ დაყოვნებულ („გაგარძელებულ“) თანხმოვნად.

იდენტური თანხმოვნები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს იმავეითვე: ექიმმა → ექიმ-ა, ქათამმა → ქათამ-ა, წაგვისს → წაგვის, ვაზზე → ვაზე, ერთმანეთთან → ერთმანეთ-ან... არსებითად ეს არის საერთო ქართული მოვლენა (წერილობით გემინირებული თანხმოვანი, ჩვეულებრივ, გადმოიცემა იდენტური თანხმოვნების შეწყვილებით: მმ, ზზ, სს... ველარიზებული თანხმოვნებისაგან განსასხვავებლად გემინირებული თანხმოვნებს აღენიშნავთ სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნით.

იდენტური თანხმოვნები შესაძლოა მიღებულ იქნას ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად: ქალებმა → ქალებმა (რეგრესული სრული ასიმილაციით) → ქალებმა (დადასტურებულია, მაგალითად, ლეჩხუმურში).

თუკი საერთო-ქართულში გემინაცია შედარებით სუსტადაა გამოხატული, დიალექტებში ამ მხრივ ორი ურთიერთსაპირისპირო მოვლენაა საცნაური.

ერთ შემთხვევაში გემინაცია ჭრება და წარმოითქმის მხოლოდ ერთი თანხმოვანი: ქათამმა – ქათამ-ა – ქათამა — ეს მაშინ, თუ არ ხდება სემანტიკური აღრევა (თუ, მაგალითად, მოცემულ დიალექტში „ქათამა“ არ არის ქათამ-ი არსებითი სახელის კნინობითი ფორმა).

მეორე შემთხვევაში გემინაცია მკვეთრად გამოხატული მოვლენაა. ჩვეულებრივ, ასეთი რამ ახასიათებს იმ დიალექტებს, სადაც გემინირებული თანხმოვნები გვხვდება არა მხოლოდ მორფემათა ზღვარზე, არამედ სიტყვის (მათ შორის, ნასესხები სიტყვის) ფუძეშიც: ქალო-ი, დილო-ა... ჯალო-ათი, მოლო-ა...

ბ) გემინირებული თანხმოვნები დამოწმებულია საკუთარივე სიტყვის ფუძეში. ჩვეულებრივ, ესაა არაბული ან თურქული წარმოშობის ნასესხები სიტყვები.

გემინირებულ თანხმოვნებად დისახელებულია ლლ (ინგილოური: ქელ-აა „თავი, თავის ქალა“, ჟალო-ათ „ჟალათი“, მოლო-აა „მოლა“, მილო-ათ „ხალხი // ბევრი ხალხი“, ვალო-ა // ვალო-აპ „ღმერთმანი“; გვხვდება აგრეთვე: დილო-აზე და მისთ.,

აგრეთვე ფონეტიკური ცვლის შედეგად მიღებული: მალ~ამ ← მანამ, გომოლ ით← გამოლაღოთ); მ~ (ინგილოური: ამ~ა // ამა „მაგრამ“, ჰამ~ეშა // ჰამ~იშა „ყოველთვის, მუდამ“; გემინირებული მ-თი წარმოითქმის კაქურში გამ~ეჩ//კამ~ეჩ „კამეჩი“, შღრ. სხვა დიალექტებში: კამბეჩი — მმ → მბ)... გემინირებულ თანხმოვნებად აღიქმება აგრეთვე: გ (ინგილოური: აგრე ჰგონია — *აგრგონი — აგ~ონი), წ (ინგილოური: პიწ~ამ „პაწაწა“); ამავე პოზიციებში გემინირებული თანხმოვანი ხშირად იცვლება ჩვეულებრივი თანხმოვნით: წიწ~ამ — პიწამ (გვხვდება პიწიწამ ფორმაც).

ჩვეულებრივი თანხმოვნით იცვლება, წესისამებრ, ნასესხებ ფორმათა გემინირებული თანხმოვანიც, რადგან თანხმოვანთა გემინაცია („გაორმაგება“ ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი (გარდა მორფემათა ზღვარზე შექმნილი „იძულებითი“ შემთხვევებისა).

შეენიშნავთ: ზოგი დიალექტის (რაჭულის, მესხურის) ფორმებში დადასტურებული ველარიზებული ლ-ს პოზიციაში სხვა დიალექტში (მაგალითად, ინგილოურში) გემინირებული ლ აღინიშნება: დილლა — დილ~ა... ეს არ არის შემთხვევითი: ქართულისათვის უცხოა (ყოველ შემთხვევაში, ამჟამად) ლ-ს ველარიზაცია და გემინაცია, ამიტომაც ქართული ენის დიალექტების დონეზეც არ დაჩნდება იმანენტური პრინციპი ველარიზებული და გემინირებული ლ-ს გასარჩევად. გარეგნული ნიშანი კი ასეთი შეიძლება იყოს: ორი ლ-ს შესხედრის პოზიციაში გემინირებული ლ უნდა ვივარაუდოთ; თუ ასეთი რამ არ დასტურდება (დიაქრონიულად ან სინქრონიულად), მაშინ ველარიზებულ ლ თანხმოვანთან გეჰონია საქმე. ზემოხსენებული ეხება მხოლოდ ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულ ვითარებას და, ბუნებრივია, არ გულისხმობს იმ ენებს, სადაც ველარიზაცია და გემინაცია მკვეთრად გამოჩნული მოვლენებია.

1.18. რ ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ინგილოურში. გარდა საერთო-ქართული რ ბგერისა, ინგილოურში გარკვეულ პოზიციაში დაჩნდება მისი „რედუცირებული“ („დასუსტებული“) ვარიანტი — მყლერობის იერის შემცველი ჰ, რომელსაც ზოგჯერ ლ ან ა გრაფემითაც გამობატავენ (აღნიშვნა, რა თქმა უნდა, პირობითია): რაა → ლაა, რაში → ლაში, რაბე → ლაბე „რისთვის“, როგორ → ლოგო. გვხვდება, ჩვეულებრივ, ხმოვნების წინ ზოგჯერ რ იმდენად სუსტდება, რომ „წარმოდგენს მხოლოდ მომდევნო ხმოვნის შემართვის ობიექტს“ — იგულისხმება ფშვინვიერი შემართვა: რაბეა → ჰაბეა „რატომ?“ რააა → ჰააა „რა არის?“ რაში უნდა → ჰაში უნდა „რად უნდა?“ რათაარ (რა + აზერბაიჯანული: თაჰარ) → ჰათაარ „როგორ“, როგორ → ჰოგო... (გ. იმნაიშვილი).

1.19. ხ ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში. ყ ან ხ ბგერის წინ ინგილოურში დადასტურებულია ეგრეთწოდებული „რბილი“ ხ, რომელ-

ლოც „გარდამავალი“ ბგერაა ხ-სა და პ-ს შუა; დაჩნდება პ ან ქ თანხმოვანთა ნაცვლად (ანუ: ჰყ → ხყ, ჰქ → ხქ — ორივე შემთხვევაში ივარაუდება „რბილი“ ხ); გაპყიდე — გაპყიდე (ზოგჯერ აღინიშნება ასეც: გაპხიდე, სადაც პპ კომპლექსით „რბილი“ ხ გამოიხატება), აქუ სყე — აქუსყე (ჟ — ს მეტათეზისით) — აქყე (ს-ს დაკარგვით) — ახყრ (ქ → ხ, ხოლო ჟე → რ // აპხყრ (პხ-თი აქაც „რბილი“ ხ გამოიხატება), დაპხურა → დახხურა (ან: დაპხურა)...

„რბილი“ ხ გურულშიც დადასტურდა ჰყავს → ხავს, ჰქონდა → ხონდა ტიპის ფორმებში (ანალოგიური ვითარება დაჩნდება აქარულსა და ლეჩხუმურშიც): „კომოგრაფზე ჩაწერამ ხ ბგერისა სიტყვა ხელ-ში და სიტყვა ხავს-ში (“ჰყავს“) გვიჩვენა დიდი განსხვავება, რადგან პირველ შემთხვევაში სუფთა ხ ბგერასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში ხ-სთან ერთად ძალიან სუსტი სახით პაეც მონაწილეობს“ (ს. ელენტი); ბოლო შემთხვევაში სწორედ „რბილი“ („სუსტი“) ხ-სთან გვაქვს საქმე.

1.20. დ ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში. საკუთრეუ მტლერის დ-ს გვერდით ქართულში დადასტურდა წინაენისმიერი ყრუ არაფშვინვიერი ბგერა (გ. ახვლედიანი), რომელსაც პირობითად ყრუ დ-საც უწოდებენ. ასეთი დ დაჩნდება ფორმებში: კარგად, — ზედ... ქართული ენის დიალექტებში ამ რიგის დ გვხვდება სხვა შემთხვევებშიც; მაგალითად, ინგილოურში ასეთი დ ისმის მოხლო, ჩასლო, მოკლო, კდარ... ფორმებში (გ. იმნაიშვილი).

1.21. ე ბგერა ქართული ენის დიალექტებში. ე გრაფემით აღინიშნება როგორც ხმოვანთა მკვეთრი (ძლიერი) შემართვა და დამართვა, ასევე ე ფონემების პოზიციური ვარიანტი, რომელიც დაჩნდება ზანურში: ეინი „ცივი“, ეუჭი „ქური“ (ვიწურ-არქაბული), ეურძენი „ყურძენი“ (ათინური), ეიდარი „ყიდვა“, ეინი „ყინვა“, ეანჭი „ყაჭი, აბრეშუმის კია“ (მეგრული). ე, როგორც ყ-ს პოზიციური ვარიანტი ხმოვნების წინ, შესაძლოა სპორადულად შეგვხვდეს ქართული ენის იმ კილო-თქმებში, რომლებიც მეგრულ-ჭანური მეტყველების ზეგავლენას განიცდიან (ეურძენი, ეაჭი და მისთ.). რაც შეეხება მკვეთრი შემართვა-დამართვის აღმნიშვნელ ე-ს, იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი ბგერა არ არის.

1.22. „ნახევარხმოვნები“ ქართული ენის დიალექტებში. „ნახევარ ხმოვნებად“ ქართულში იწოდება სონორთა რიგის ა და ჟ ბგერები; ზოგჯერ მათ უმარცვლო ხმოვნებადაც უწოდებენ, რომელთა მარცვლოვან ვარიანტად ივარაუდება შესაბამისად ი და უ (გ. ახვლედიანი). განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1.23. ა ბგერა ქართული ენის დიალექტებში. ა ქართული ენის დიალექტებში დასტურდება როგორც ი ხმოვნისა და პ,ს,ზ,შ სპირანტების, აგრეთვე ც აფრიკატის პოზიციური ნაირსახეობა; იშვიათად იგი გვხვდება ლ სონანტის ნაცვლადაც. გარდა ამისა, დაჩნდება ხმოვანთა იოტიზებული შემართვისა და დამართვის პოზიციამიც,

აგრეთვე ხმოვანთგამყარად.

ა) ა, როგორც ი სრული ხმოვნის პოზიციური ნაირსახეობა, დასტურდება: ხმოვნის მომდევნო პოზიციაში თანხმოვნის ან პაუზის წინ და ხმოვნის წინა პოზიციაში თანხმოვნის ან პაუზის მომდევნოდ.

ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ი → ა შეიძლება იყოს:

სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან — თუშურში (ჩოკა-ა „ჩაბა“, ქლუკა-ა „ჩაჩლა“), მთიულურ-გუდამაყრულში (ვაჟაა „ვაჟი“, ბილიკაა „ბილიკი“ — კნინობითი ფორმებია), ინგილოურში (მამაა „მამა“, ქალაა „ქალი“, თაა „თავი“), მესხური დიალექტის სამცხურ კილოკავში (შოთაა, ნინაა... დედაა „დედაჩემი“, ძალაა „ბიცოლაჩემი“... ძამიკაა... — გვხვდება, ჩვეულებრივ, საკუთარ ან მასთან გატარებულ სახელთან; შირ.: დედაა „დედაჩემი“ და დედა „მისი დედა“), რაჭულში (ვაჟაა „ვაჟი“, ქალაა „ქალი“, მელაა „მელა“ — უპირატესად გლოლურ კილოკავში), იმერულში (ძმამ, დამ... — პარალელურად დაჩნდება სრული ხმოვანი ი: ძმამ, დამ), ლეჩხუმურში (კონტამინირებულ ფორმებში: მამა // მამე → მამამე, დედამე... ზოგჯერ სხვა შემთხვევებშიც: გოგომე), გურულში (უპირატესად — ოზურგეთულ თქმაში: ძმამ, დამ, ბაბამ „მამამ“, ბალანამ „ბავშვი“ — პარალელურად დაჩნდება ი: ძმამ, დამ...), აჭარულში (ანამ „დედა“, გზამ, ხემ... ასლანამ, ზეჭემ), იმერხეულში (ანამ „დედა“, ბაბამ „მამამ“, გიდელამ „გიდელი“).

იდენტურ პოზიციაში გვხვდება ფუძისეული ი → ა, რასაც ხშირად სხვა ფონეტიკური პროცესები უსწრებს წინ: ნეტავი → ნეტაი → ნეტამ (გურულში), წადი → წაი → წამ, მოდი → მოი → მოამ (გურულში, იმერულში, აჭარულში, იმერხეულში, ინგილოურში...), როგორი → რაგორი → რაგომ, რანაირად → რანაი → რანამ (მესხური დიალექტის ჯავახურ კილოკავში).

ნათესაობითი და მოკმედებითი ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანითი ელემენტი ფუძეფუკვეცელ სახელებთან — მთიულურ-გუდამაყრულში (სარეკლამს, სარეკლამთ — პარალელურად დასტურდება სრული ხმოვანი ი), ინგილოურში (დედადამს „დედის“, სუფრამით „სუფრით, სუფრიდან“... თანხმოვანითი ელემენტი შეიძლება მოეკვეცოს: შიმამ დაგრუები დროზე „შემის დაგროვების დროს“, კრი ზედაა გადავდა „კარის ზევიდან [ზედაით] გადავიდა“), რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში (ვაჟამს, ყველამს; ვაჟამთ, ყველამთ), იმერული დიალექტის ქვემოიმერულ კილოკავში (კონტამინირებულ ფორმებში ბიცოლამს // ბიცოლეს — ბიცოლემს, ბიცოლამთ // ბიცოლეთ — ბიცოლეთ), ლეჩხუმურში (ბიცოლემს, გოგუმს; ბიცოლეთ, გოგეთ), გურულში (უპირატესად ოზურგეთულ თქმაში: ყპამს „ყბის“, ხფომს „ხბოსი“, ყრუმს „ყრუსი“; ყპამთ, ხფომთ, ყრუმთ — აშეიძლება დაიკარგოს: ხფოს „ხბოსი“, ყრუს „ყრუსი“), აჭარულში (ანამს „დედის“, საცოლუმს „საცოლის“;

ანამთ, საცოლოთ), იმერხელში (ფენჯერაჲს „ფანჯრის“, ფენჯერაჲთ „ფანჯრით“).

ზოგჯერ მ დაჩნდება ფუძისეული ი-ს ვარიანტადაც ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში; ამ რიგისაა, მაგალითად, ინგილოურში პოენიერი დემდა-მ, აჭარულში დადასტურებული სემარ-ი „სერი“, მამლი „მარილი“ და მისთ. არსებითად აქ იგივე ვითარებაა, რაც ანალოგიურ გარემოცვაში დასტურდება მორფემათა ზღვარზე.

ზმნის ხმოვანი პრეფიქსი ი → მ ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის ან პროკლიტიკურად მირთული სიტყვის მომდევნოდ — ინგილოურში (დამმალ „დაი-მალა“, გამამლ „გამოილო, დამწყოვ „დაიწყებ“, დომჰერ „დავიჰერ“), ფერეიდნულში (გამგებენ „გაიგებენ“, ამამტანა „ამოიტანა“), მესხური დიალექტის სამცხურ კილოკაეში (დაჩნდება სპორადულად: წამლებს „წაილებს“, დამმალა „დაიშალა“), რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკაეში (წამყვანა „წაიყვანა“, დამფიცა „დაიფიცა“, დამხოცენს „დაიხოცენ“ — გვხვდება სპორადულად), აჭარულში (გემწყურება „გაიწყურება“, დემწყო „დაიწყო“, დემწყე „დაიწყე“... I სუბიექტური პირის ფორმაში ი იკარგვის: დავიწყე → დევიწყე → დევწყე; ანალოგიური ვითარებაა ფუძისეული ვ-ს პოენიერების შემთხვევაშიც: მოვიდა → მოვდა, წავიდა → წვედა), იმერხელში (ემლე „აილე“, ემყვანა „აიყვანა“, გემჰცა „გაიჰცა“; რე-მჰნა „რა იჰნა“... შდრ.: ავიყვანე → ევყვანე, წავიდა → წვედა).

შეგნიშნავთ, რომ ამავე პოზიციაში ი → მ თავს იჩენდა ძველ ქართულშივე; მაგალითად, „ამლეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავლეთ ჩემგან“; პარალელურ ტექსტშია; „ალილეთ უღელი ჩემი“ (მათე, II, 29).

ყველა ამ შემთხვევაში წარმოიქმნება დამავალი დიფთონგები.

დამავალ დიფთონგს ქმნის აგრეთვე ის მ, რომელიც არ არის ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტი და მორფოლოგიის დონეზე უფუნქციო დანართის სახით დაჩნდება ზოგ დიალექტში: ქართლურში (ხვალამ „ხვალ“, მცხენიამ „მრცხენიამ“, წახედი, დედამ? „წახედი, დედა?“ — წოდებითის ფორმა), ინგილოურში (მასხარამ მიგდებსავ „მასხარად მიგდებსო“ — ვითარებითი ბრუნვის ნიშნად აქ ოდენ — ა გვაქვს), გურულში, კერძოდ, ქვემოგურულში (აქანამ „აქ“, მაქანამ „მაქ, მანდ“, ხანდიხანამ „ხანდახან“; შდრ. ზემოგურული: აქანე, მაქანე, ხანდიხანე. ქვემოგურულში მ-ს შეუზღუდავად ენაცვლება სრულხმოვანი ი), აჭარულში (ამწახანებამ „ამას წინათ“, გულგარამ „გულისგარეთ“, დუ კითხავამ „დაუკითხავად“, ნაპირეუ ლამ „ნაპირანპირ“, ჩემდათვინამ „ჩემთვის“, ჩემითანამ „ჩემისთანა“). ზოგჯერ იოტიზებული დამართვის შთაბეჭდილება რჩება, სხვა შემთხვევებში არ გამოირიცხება სხვაგვარი ახსნაც — შესაძლოა მ იყოს — ს სპირანტის პოზიციური ვარიანტი; ამას გვაფიქრებინებს პარალელური ვარიანტების თანაპოენიერება: ერსალაკას // ერსა-

ლაკამ, ძვილას // ძვილამ...

საპირისპირა ვითარებაა მაშინ, როცა ი — დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში თანხმოვნისა ან პაუზის მომდევნოდ (წარმოიქმნება აღმაჯალი დიფთონგები).

ხმოვნის წინა პოზიციაში ი → ა შეიძლება იყოს:

ზმნისწინისეული ელემენტი: საკუთრივ ი — იმერული დიალექტის ოკრიბულ და ბალდათურ თქმებში (მაართა „შიართა“, მმეტანა „მიეტანა“ — დაჩნდება სპორადულად), ანალოგიური ვითარებაა ამ მხრივ აჭარულში, სადაც ამგვარ შენაცვლებას რეგულარული ხასიათი აქვს. ი შეიძლება იყოს მეორეული, მიღებული დისიმილაციით, რომელსაც წინ ზოგჯერ ასიმილაცია უსწრებს. შეატყო → შიატყო, შეეტყო → შეიტყო; დისიმილაციის გზით მიღებულ ი-ს ადგილს იჭერს მისი პოზიციური ვარიანტი ა: შიატყო, შეეტყო. ანალოგიურ შედეგს იძლევა სახელადი ფორმის მაწარმოებელი მე-პრეფიქსისეული ხმოვანიც: მეორე → მიორე და შესაბამისად: მაორე. უფრო რთული გარდაქმნის შედეგთან გვაქვს საქმე, როცა ამავე პოზიციაში ა და ო ხმოვნები დაჩნდება — ცვლილება საფეხურეობრივ ხდება: ასიმილაციას მოსდევს დისიმილაცია: გაეტანა → გეეტანა → გიეტანა, შამოეტანა → შამეეტანა → შამიეტანა; ამ გზით მიღებული ი ხმოვნის პოზიციას იჭერს ა: გაეტანა, შამეეტანა. რეგულარულად ა ამ პოზიციაში წმარმოდგენილია აჭარულში, სპორადულად შეგვხვდება იმერული დიალექტის ოკრიბულ და ბალდათურ თქმებში (ისევე, როგორც ეს საკუთრივ ი-ს შენაცვლების დროს დადასტურდა).

ანალოგიურ შედეგს იძლევა ზოგი სიტყვათმაწარმოებელი პრეფიქსი: მიორე.

ფუქსისეული ან სუფიქსისეული ელემენტი ბოლოკიდურა პოზიციაში, რომელსაც მიერთვის ხმოვნით დაწყებული მორფემა. ა ცვლის პირველად ი ხმოვანს: ჩივან „ჩივიან“, წოლმარე „მწოლიარე“. ანალოგიურ ჩვენებას იძლევა ხმოვანთკომპლექსის შემცველი სუფიქსი: გემრ-მელ-ი „გემრიელი“, ცარ-მელ-ი // ცა-მელ-ი „ცარიელი“; შდრ.: ჩივ-მ-ან, სადაც ა დამოუკიდებელი — ი ხმოვანი სუფიქსის პოზიციური ვარიანტია და ცარ-მელ-ი, სადაც ა არის → იერ → -იელ სუფიქსის შემადგენელი ელემენტი, მაგრამ იდენტური პოზიციის წარმოქმნის გამო ვიღებთ იდენტურ შედეგს. ეს მოვლენა რეგულარული ხასიათისაა აჭარულში. ასევე რეგულარულად დაჩნდება ა ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტად (გარდაქმნის გზა ზემოხსენებულის ანალოგიურია) — დისიმილაციით: ციხეები → ციხიები, სიძეობა → სიძიობა; დისიმილაციას წინ უსწრებს ასიმილაცია: ყანაები → ყანიები → ყანიები. ყველა ამ შემთხვევაში ი ხმოვანი იცვლება ა-ით: ციხეები, სიძეობა, ყანაები. — ებ ზოგჯერ ერთმან ფორმანტად გაიაზრება: ბეგ-მებ-ი „ბეგები“, ზოგჯერ ა ანალოგიით დაჩნდება: მამოზა „მამაზა, მამოზა“...

პაუზის ან თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინა პოზიციაში ი-ს ნაცვლად დაჩნდება **ა** დაუშლელ ფუძემიჯ (ზოგჯერ **ა** შემოსულია გამსესხებელი ენიდან, მაგრამ ქართულში მის ადგილას ყოველთვის ი ივარაუდება, ამიტომაც განვიხილავთ ამ ფორმებში **ა**-ს როგორც ი ხმოვნის პოზიციურ ვარიანტს); დასტურდება ინგილოურში (მაგამ-მაგამ „ნელ-ნელა“, მოლდამ „ამხანაგი“), მესხურში (მარალი „იარალი“, იოლი „იოლი“, გმაური „გრაური, ურჯულო“), აჭარულში (მალი „ერბო“, მაშიკი „ყუთი“), იმერხელში (მეთიმი „ობოლი“). ღირსსაცნობია, რომ აჭარულში ლ სონანტის პალატალიზაციის შედეგად მის მომდევნოდ დაჩნდება **ა**, რომელიც პოზიციურად აღმაჯალ დიფთონგს ქმნის ზემოთ დასახელებულ ფორმათა ანალოგურად: ლმანქერი „ლანქერი“, მასკლმაგი „ვარსკლავი“, ლმაგერი // ლამგერი „ბანაკი“ (ნასესხებია რუსულიდან).

ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში აღმაჯალ დიფთონგს ქმნის იოტიზებული შემართავიც. ამ შემთხვევაშიც **ა** არ არის ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტი, მაგრამ „ფონეტიკური სიტუაცია“ ზემოხსენებულის იდენტურია. დადასტურებულია თუშურში (მაგრ „აგრე“, მეგი „ეგი“, მასათაყი „ასეთი“ — მიღებული ფშვინვიერი შემართვის იოტიზაციის გზით: პაგრ → მაგრ, პეგრ → მეგრ), მოხურში (მეკალი; აქაც ფშვინვიერი შემართვის იოტიზაციასთან უნდა გვექნდეს საქმე: ჰეკალი → მეკალი), ინგილოურში (მეხლა „ეხლა“, მემაგ „აი, მაგრე“ — ამოსავალი აქაც ფშვინვიერი შემართვა ჩანს), მესხურში (იოტიზებული შემართვა ახასიათებს ე ხმოვანს როგორც თავკიდურა, ისე შუა პოზიციაში; მეხლა „ეხლა“, მეზო „ეზო“, მერთი „ერთი“, მეკითხება „ეკითხება“; სდმევეს „სდევს“, სცემს „სცემს“), იმერულში დაჩნდება ე ხმოვნის იოტიზებული შემართვა: მერთი „ერთი“, მექსი „ექსი“)...

იოტიზებული შემართვა ე ხმოვნისა თავს იჩენს ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში (უპირატესად თავკიდურა პოზიციაში), მაგრამ ზოგჯერ ეს არ არის სათანადოდ ფიქსირებული ჩაწერილ ტექსტებში; ალბათ იმის გამო, რომ პარალელურად იგივე ხმოვანი ამგვარი შემართვის გარეშეც დაჩნდება.

იოტიზებული შემართვა ზოგ დიალექტში, როგორც ითქვა, ფშვინვიერი შემართვიდან არის მიღებული. ეს ნიშნავს, რომ მოხდა **ჰ** → **ა** შენაცვლება შესაბამის პოზიციაში. მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როცა ფშვინვიერი და იოტიზებული შემართვის მქონე ფორმები სემანტიკურად განსხვავდება. ასეა, მაგალითად, თუშური: პაგრ „კარგი! ჰო!“ — მაგრ „აგრე“ (თ. უთურგაძე). მოუხედავად ამისა, **ა** აქ არის მხოლოდ **ჰ** ფონემის პოზიციური ვარიანტი, ხოლო სემანტიკური სხვაობა ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად დონეზე უნდა იქნეს შეფასებული. შევნიშნავთ, რომ თუშურში იოტიზაცია არ განიცდის პირის ნიშანი **ჰ** — (მას სხვაგვარი ფონეტიკური გარდაქმნები ახასიათებს). ახსნა: ან **ჰ** — პირის ნიშანი და **ჰ** ასპირაცია

სხედასხვა პლასტია, ან მორფოლოგია ერევა (ა-ს იძლევა — ი-ი-ც).

ბ) როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში ა არის ჰ, ს, ზ, შ სპირანტებისა და ც აფრიკატის პოზიციური ვარიანტი (შეენიშნავთ, რომ ამ დიალექტებში, ჩვეულებრივ, არ დასტურდება ა როგორც ი ხმოვნის ბგერითი ნაცვალი; (განსხვავებული ვითარებაა ფერეიდნულში, აგრეთვე მთიულურ-გუდამაყრულში, ნაწილობრივ მესხურში, სადაც ა ორივე შემთხვევაში დაჩნდება).

განვიხილოთ ეს მოვლენა მორფემათა დონეზე.

ა არის მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნის (ჰ-//ს-//შ-//ზ-) პოზიციური ვარიანტი. დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში — ქართლურსა და კახურში, აგრეთვე ამავე არეალის იმ დიალექტებში, რომლებიც ბარის დიალექტების გავლენას განიცდიან (ფშაურში, ნაწილობრივ მესხურში) ან ისტორიულად ამ დიალექტების განშტოებას წარმოადგენენ (ინგილოურში, ფერეიდნულში). გვხვდება ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში; ხმოვანი ან ზმნისწინისეულია, ან პროკლიტიკურად მირთულ სიტყვას განეკუთვნება. ქართლური: დამბარამ „დაპბარაჲ“, გამჭრი „გასჭრი“, მამთოხნის „მოსთოხნის“, გადახხვეტამენ „გადაჰხვეტავენ“; ნუ-მჭრი „ნუ სჭრი“, ბუდე-მჭვიან „ბუდე ჰჭვია“, წყალსა-მზიდამს „წყალსა ზიდავს“; კახური: გამომცდები „გამოსცდები“, მიყავ „მიჰყავს“; დედა-ყავ „დედა ჰყავს“, იჭა-ყავ „იჭა ჰყავს“ პურსა-მჭამენ „პურსა სჭამენ“ (შჭამენ)“, არა-მთქვა „არა სთქვა“; ფშაური: ამხვეტოდე „ამხვეტე“ (თხოვნით-ბრძანებით), გამთიბს „გასთიბს“, შამდებენ „შასდებენ“, დამბარავს „დაპბარავს“; ისტორიასა-მწერს „ისტორიასა სწერს“, ვერახწერს „ვერა სწერს“; მთიულურ-გუდამაყრული: ამკრიფო „ამკრიფო“, მოყავს „მოჰყავს“, მომდეგს „მოსდეგს“; წყარო-მნახო „წყარო ჰნახო“, ველარა-მჭამს „ველარა სჭამს“; ფერეიდნული: წამრეკდეს „წამრეკდენ“, მამჭრა „მოსჭრა“, სადა-მჭობს „სადა სჭობს“.

ა არის მხოლოობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის მხოლოობითი რიცხვის — ს ნიშნისა და მრავლობითი რიცხვის — ეს ნიშნისეული — ს ელემენტის პოზიციური ვარიანტი. შენაცვლება აქაც ხდება ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინა პოზიციაში. ქართლური: დაპბარუნო „დაპბარუნოს“, გაუჭირდე „გაუჭირდეს“; დაწერე „დაწერეს“, გააკეთე „გააკეთეს“; კახური: უღგამ „უღგას“, ეკუთვნის „ეკუთვნის“, ამენებდე „ამენებდეს“, ამენო „ამენოს“; დაყენე „დაყენეს“, წაიყვანე „წაიყვანეს“, დაიწყე „დაიწყეს“.

შენიშვნა: კახურის ზოგ თქმაში (ქვემო ბოდბე, ქვემო მაჩხაანი) → ა შესაძლოა შენარჩუნებულ იქნეს ხმოვნის წინაც: იყო „იყოს“ → იყო „იყო-სო“, გააკეთე „გააკეთეს“ → გააკეთემო „გააკეთესო“.

ა არის მიცემითი ბრუნვის ...ს ნიშნის პოზიციური ვარიანტი; ანალოგიურ

ჩვენებს იძლევა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული — ს. შენაცვლების პოზიცია იგივეა, რაც პირის ნიშნებთან დაკავშირებით აღინიშნა. ქართლური: ნათელაჲ (ნათელას) დაუძახე, ბზეჲ რალაი (ბზეს რალას) უზამ; ლობიაჲ (ლობიოს) ძირი, ხენწიფიჲ (ხელმწიფის) შვილი; კახური: იმაჲ (იმას) უთხრა, დედაჲ (დედას) უთხრა; კალოჲ (კალოს) გასალეწათ, გზიჲ პირაჲ (გზის პირას); ინგილოური: იწყოვეს სახლ აშენევაჲ „იწყებს სახლის აშენებას“, მელაჲ (მელას) მუცლი (მუცლის) ტყვილიც ვეს ყოფილა.

ა არის ფუძისეული ს ფონემის პოზიციური ვარიანტი. დასტურდება ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის (ზოგჯერ პაუზის) წინა პოზიციაში. გვხვდება პაუზის მომდევნოდაც თანხმოვნის წინ. ამ შემთხვევაში შესაძლოა უსწრებდეს ირაკიონალური ხმოვანი ან მკვეთრი შემართვა. მთიულურ-გუდამაყრული: პამტა // პამპტა „პასტა“, ჯამტაქანი // ჯამპტაქანი „ჭიქა“ (რუსული СТАКАН); ქართლური: ნამწაველი „ნასწაველი“, (ქ)მტუმაჩი „სტუმაჩი“; კახური: დამწავლა „დასწავლა“, ბომტანი „ბოტანი“, იმ(ის) ქალი.

შენიშვნა: კახურში დადასტურდა „იჲ (ის) ქალი“, აქარულში დაჩნდება „აჲ (აგი) კაცი“. მათ შორის პრინციპული სხვაობაა: კახურში ა არის ს სპირანტის პოზიციური ნაირსახეობა (ის — იჲ), აქარულში — ი ხმოვნისა (იგი → აი → აჲ).

ა არის ზ ფონემის პოზიციური ვარიანტი. ქართლური; კახური: გაადილი „გაზრდილი“; იადება // ირდება „იზრდება“.

ა არის შ ფონემის პოზიციური ვარიანტი. ქართლური: მუმტი „მუშტი“; კახური: მამ „მამ“, ტამტი „ტამტი“

ა არის ც ფონემის პოზიციური ვარიანტი. ქართლური: როდესაჲ „როდესაც“; კახური: დღესაჲ „დღესაც“.

ა დაჩნდება ასეთ ფორმებშიც: ომდაორი „ოცდაორი“, ომდაექსი „ოცდაექსი“ და მისთ. აქ საფეხურეობრივ ფონეტიკურ გარდაქმნასთან უნდა გვქონდეს საქმე: ოცდაორი → ოსდაორი (სპირანტიზაციით) → ოზდაორი (ასიმილაციური გამჟღერება, დასტურდება თვით სალიტერატურო მტყველების დონეზე) → ომდაორი (ზ-ს პოზიციაში დაჩნდება ა როგორც მისი პოზიციური ვარიანტი ხმოვნის მომდევნო და თანხმოვნის წინა პოზიციაში).

აღინიშნა, რომ დიალექტების ერთ ნაწილში ა წარმოადგენს ფშვინიერი შემართვის იოტაციის შედეგს; ანუ: ამ შემთხვევაში ა არის ჰ სპირანტის პოზიციური ვარიანტი. შესაბამისი ნიმუშები დასახელებულია ზემოთ, იქ, სადაც აღმავალი დიფთონგები განიხილება, რადგან: ა) ფშვინიერი შემართვის იოტაცია მხოლოდ

შედგენის სახით დაჩნდება და, ამდენად, სინქრონიულად ოდენ იოტიზებული შემართვა გვაქვს; ბ) წარმოიქმნება „ფონეტიკური სიტუაცია“, ანალოგიური იმისა, როცა ა არის ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტი; შდრ.: მარალი „იარალი“ და მაგრ „აგრე“, მეთიმი „ობოლი“ და მერთი „ერთი“ გ) ფშვინვიერი შემართვის იოტაცია სინქრონიულად იდენტურია იმთავითვე იოტიზებული შემართვისა; შდრ.: თუ შური მეგნ (← ჰეგნ) და იმერული ან მესხური მერთი; ფონოლოგიურადაც ორივე ერთი წესის მიხედვით ჩაიწერება: „ეგი“ და „ერთი“.

იმავდროულად გვაქვს ფშვინვიერი და იოტიზებული შემართვის პარალელურად გამოყენების შემთხვევები. ერთი ნიმუში ამისა ზემოთაც იყო დასახელებული (თუ-შური პაგრ „კარგი! ჰო!“ და მაგრ „აგრე“, თუკი ეს უკანასკნელი „აი აგრე“ ფორმისგან არ არის მიღებული). სისტემებრ ასეთი მოვლენა თავს იჩენს ინგილოურში (სადაც უპირატესობა მაინც ფშვინვიერ შემართვას აქვს); მათ გვერდით მკვეთრი შემართვაც დაჩნდება: ჰემაგ // მემაგ // ყემაგ „აი, მაგრე“. მეტოც: ინგილოურში დადასტურებულია საპირისპირო პროცესიც: ა → ბ; ეს ნათლად ჩანს ნასესხებ ფორმებში: მუქ „საპალნე“ (ასეა აზერბაიჯანულში, გამოიყენება ინგილოურშიც) → ჰუქ, მას // მეს „გლოვა“ (აზერბაიჯანული: მას) → ჰეს, მარამ // მერამ „იარა, ჰრილობა“ (აზერბაიჯანული: მარა) → ჰერამ, მეთიმ „ობოლი“ (აზერბაიჯანული: მეთიმ) → ჰეთიმ და მისთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იოტაციის თავისებური შემთხვევები დაჩნდება სპირანტების (პირისა და ბრუნვის ნიშანთა, აგრეთვე ფუძისეული ელემენტის) და მათი პოზიციური ვარიანტის (ა-ს) პარალელურად: და-პ-ბარამ // და-მ-ბარამ → და-მპ-ბარამ, და-ს-თესამ-ს // და-მ-თესამ-ს — და-მს-თესამ-ს, შა-ს-წვდ-ა // შა-მ-წვდ-ა → შა-მს-წვდ-ა // შა-მპს-წვდ-ა; მეფე-ს // მეფე-მ → მეფემს „მეფეს“ (მიცემითი ბრუნვა), გვხვდება აგრეთვე: მეფე-პ // მეფე-მპ, ხენწიფის // ხენწიფიმ // ხენწიფიპ // ხენწიფიმპ; დაწერო-ს // დაწერო-მ → დაწერო-მს, გააკეთ-ეს // გააკეთ-ემ → გააკეთ-ემს; ნასწავლი // ნაპწავლი // ნამწავლი // ნამაპწავლი // ნამაპწავლი, მუშტი // მუსტი // მუპტი // მუმტი // მუმსტი // მუმპტი... და-მპ-ბარამ, დაწერო-მს ტიპის „კონტამინირებულ“ ფორმებში არსებითად სპირანტთა იოტიზებულ შემართვას ვადასტურებთ.

ასეთი ვითარება უპირატესად ქართლურისა და კახურისათვის არის დამახასიათებელი, გვხვდება ზოგ სხვა დიალექტებშიც (მთიულურ-გუდამაყურულში, ფშაურში), იქ, სადაც ქართლურისა და კახურის გავლენა შეიგრძნობა.

ზემოხსენებულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს „არამდგრადი“ („გარდამავალი“) ბგერა, რომელიც მეტყველებაში სხვადასხვა ნაირსახეობით ისმის... წარმოთქმის შესაბა-

მისად სხვადასხვა ელფერი სპარბობს: **ა**-ით აღინიშნება **ა**-ს შემართვისა და დამართვის ბგერა, **აჰ**-ით, **ა**-ს შემართვისა და **ჰ**-ს დამართვის ბგერა და **ა.შ.** ასე რომ, **აჰ**, **ა**, **აჰს** არ უნდა მივიჩნიოთ ბგერათა კომპლექსად; ყველა შემთხვევაში არსებითად ერთი ბგერაა, ოღონდ სხვადასხვა ელფერით წარმოთქმული.

გ სპორადულად **ა** დაჩნდება როგორც **ლ** სონანტის პოზიციური ვარიანტი. დადასტურებულია, მაგალითად, ინგილოურში: კეშიში „ხელში“, წეშიში „წელში“. ინგილოურისათვის დამახასიათებელია პალატალური **ლ**, რომელიც ძირითადად ნასესხებ სიტყვებში იჩენს თავს, მაგრამ პალატალიზაციის ტენდენცია ვრცელდება ქართულ წარმომავლობის სიტყვებში, რომლის ერთ-ერთი შედეგია **ლ** → **ა**. **ლ**-ს პალატალიზაცია ქართული ენის სხვა ელფერებისთვისაც არის ნიშანდობლივი, მაგრამ მის პოზიციურ ვარიანტად **ა** არ არის შენიშნული.

დ ზოგ დიალექტში **ა** დაჩნდება ხმოვანთგამყარად, კერძოდ, აა კომპლექსში (→ ააა); ასეა მთელურ-გულდამყარულში (წავიდაა? „წავიდა?“ მიწაა? „მიწაა“), ქართლური დიალექტის ზემოქსნურ თქმაში (გადათხოვა „გაათხოვა“, ნადავლი „ნაავლი“, დედაა „დედაა“), მესხურში (პატარაა „პატარაა“, მტირალაა „მტირალაა“)...

რაც შეეხება აკარულში დადასტურებულ ცაფელი ტიპის ფორმებს აქ **ა** არის ი ხმოვნის პოზიციური ვარიანტი (და არა ხმოვანთგამყარი), პარალელურად იპოვება ცარაფელი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქ **ა**-ის მქონებლობას სულ სხვა საფუძველი აქვს.

ამ შემთხვევაში **ა** არ წარმოადგენს რომელიმე ფონემის პოზიციურ ვარიანტს. იგი მხოლოდ ბგერის დონეზე დაჩნდება.

არსებითად „ნულუვანი ფონემის“ ადგილს იკვრს **ა** (აგრეთვე **ჰ**) იოტიზებული (ფშვინვიერი) შემართვის დროს.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი ადასტურებს, რომ **ა** ქართული ენის დიალექტებში მხოლოდ ბგერის დონეზე დაჩნდება. იგი არის: ა) ან რომელიმე ფონემის პოზიციური ვარიანტი; ბ) ან ოდენ ბგერა, რომელსაც ფონემურ დონეზე კორელატი არ მოეპოვება — იგულისხმება იოტიზებული შემართვისა (აგრეთვე დამართვისა ხვალაა, ჩემთვინაა ტიპის ფორმებში) და ხმოვანთგამყარად მისი გამოყენების შემთხვევები.

როგორც ფონემის ბგერითი ვარიანტი იგი გვხვდება:

ა) ი ხმოვნის ნაცვლად;

ბ) **ჰ**, **ს**, **შ**, **ზ** სპირანტებისა და **ც** აფრიკატის ნაცვლად;

გ) **ლ** სონანტის ნაცვლად.

ა დასტურდება შემდეგ პოზიციებში:

ა) ხმოვნის წინ თანხმოვნის ან პაუზის მომდევნოდ — წარმოიქმნება აღმავალი

დიფთონგი: მარალი, მერთი, შმატყო, გმეტანა, ყანმები, სიძობა, წოლმარე...

ბ) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნისა ან პაუზის წინ — წარმოიქმნება დამავალი დიფთონგი: დამწყყო „დაიწყებ“, დემწყო „დაიწყო“, გამგებენ, დამბარამს „დაპბარამს“, დემდამ, სემარი, მამამ, ძალომ, მელამ მამამს, მამამთ, ბიცოლუმს, ბიცოლუმთ, ხვალამ, მცხვენიათ, დუკითხვამ, ბომატნი, „ბოსტანი“.

გ) ხმოვნებს შორის — ინტერვოკალურ პოზიციაში: წავიდაა? გამათხოვა, მტირალაა...

დ) პაუზის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: „მტუმარი „სტუმარი“... ამ შემთხვევაში შეიძლება დაჩნდეს ირაციონალი ხმოვანი ან მკვეთრი შემართვა გმტუმარი//ცმტუმარი.

ბოლო შემთხვევაში **მ** შეიძლება იყოს მხოლოდ ფუნქციური სპირანტის (უპირატესად ს ან ზ სპირანტის) პოზიციური ნაირსახეობა: მტუმარი „სტუმარი“, მრდის „ზრდის“...

ინტერვოკალურ პოზიციაში **მ** იმთავითვე ამ სახითაა წარმოდგენილი — არ არის რომელიმე ფონემის კორელატი.

რაც შეეხება ხმოვნის წინა და ხმოვნის მომდევნო პოზიციას, **მ** შეიძლება იყოს:

ა) კორელატი ი ხმოვნისა (მარალი, შმატყო, ყანმები, სიძობა... დამწყყო, დემწყო, მელამ, ძალომ, წამ, რანამ „რანაირად“, მელამს, მელამთ, ყანმები...), პ,ს,შ,ზ სპირანტებისა (პაგრ — მაგრ, ჰეკალი — მეკალი... დამბარამ „დაპბარამ“, დამწერს „დასწერს“, ნამწავლი „ნასწავლი“ დემდამ „დემდამ“, დამწეროამ „დასწეროს“, შამკამს „შემკამს“, პურსა კამს, მუმტი „მუმტი“, გამრდის „გამზრდის“), ც აფრიკატისა (სადამ „სადაც“, დლესამ „დლესაც“, ლ სონანტისა (ხემში „ხელში“, წემში „წელში“, მუმტი „მუმტი“).

ბ) დანართი, აღმნიშვნელი იოტიზებული შემართვისა (მერთი „ერთი“, სდმევს „სდმევს“) ან დამართვისა (ხვალამ „ხვალ“, ჩემთონამ „ჩემთონის“)... ან —ს-ს ვარიანტი (იხ. ზემოთ)... ამ შემთხვევაში ფონოლოგიის დონეზე მას კორელატი არა აქვს — ინტერვოკალურ პოზიციაში **მ**-ს პოზიციურების ანალოგიური მდგომარეობაა (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევების გამორიცხვით, როცა **მ** ფუნქციური შემართვის იოტაციის შედეგია — ამ შემთხვევაში იგი პ-ს პოზიციური ვარიანტია — იხ. წინა პუნქტი: პაგრ, ჰეკალი...).

არც ერთ შემთხვევაში **მ** არ არის დამოუკიდებელი ფონემა. ფონოლოგიურად მარალი, დემწყო, შმატყო, მელამ, დამბარამს, ნამწავლი ჩაიწერება როგორც იარალი, დემწყო (=დაიწყო), შმატყო (=შმატყო), მელამ, დამბარამს, ნასწავლი, მერთი, სდმევს, ხვალამ -- როგორც: ერთი, სდმევს, ხვალა.

შენიშვნა 1. **მ**-მა შესაძლოა ფონეტიკური გავლენა მოახდინოს ხმოვანზე (მოუხე-

დავად იმისა, არის თუ არა ფონემის პოზიციური ვარიანტი. ასეთი გავლენის შედეგი ჩანს, მაგალითად: ხვალაჲ — ხვალე (რაც პარალელური ფორმების სახით დაინდება: ხვალ//ხვალა//ხვალე).

შენიშვნა 2: მ დანართის ადგილას შესაძლოა დაინდეს სრულხმოვანი ი (უკუპროცესია მ → ი, უფრო ზუსტად: მ გაიზრდება ი-ს პოზიციურ ვარიანტად ნენაი → ნენამ ტიპის ფორმათა მსგავსად და ხდება მისი ახლებური გააზრება): აქანამ//აქანაი, ხვალამ//ხვალაი.

მ-სთვის დისტინქცია მხოლოდ ფაქულტატიურ დონეზე დაინდება: თუშური ჰაგრ „ჰარგი! ჰო!“ — მაგრ „აგრე“ მესხური დედა „მშობელი ქალი“ — დედაჲ „დედაჩემი“.

1.24. შუ ბგერა ქართული ენის დიალექტებში. მკვეთრად გამოხატული წყვილბაგისმიერი შუ დადასტურებულია ქართული ენის დიალექტების უმეტესობაში: მოხეურში, ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულსა და იმერხეულში.

დამოწმებულია შუ -ს სამი ნაირსახეობა:

ა) შუ არის კვილბაგისმიერი ვ თანხმოვნის პოზიციური ვარიანტი: ქვა → ქვუ ა, რვა → რვუ ა... ასეთად გაიგება შუ ძველ ქართულშივე პოვნიერ ფორმებში: თშალი, სშელი, ჩშენ...

ბ) შუ არის უ ხმოვნის გაუმარცვლოვანებული ვარიანტი: მოუკლავს → მოუკლავ, აქაურობა → აქაურობა; შდრ. ძველი ქართული: კურთხ-ი — ა-კურთხევ-ს (თ. გამყრელიძე — გ. მაჭავარიანი).

გ) შუ არის ო ხმოვნის ვარიანტი პაუზის წინა პოზიციაში: იყო → იყუ, ბიჭო — ბიჭუ (თუშური) — ზოგჯერ აღინიშნება ო გრაფემით (თ. უთურგაიძე).

განვიხილოთ შუ -ს გამოყენების შემთხვევები სხვადასხვა დიალექტში.

შუ ბგერა მყარად დაინდება მოხეურში ყველა იმ პოზიციაში, სადაც იგი ძველ ქართულშივე გვქონდა: გშ ერდი, ძშ ელი, შშ იდი, გშ ირგუ ინი, მაქუ და... შუ -ს გამოყენების შემთხვევები მოხეურში ამით არ შემოიფარგლება, იგი შესაძლოა შეგვხვდეს იქაც, სადაც ისტორიულად ვ ივარაუდებთ: ვიყაშ „ვიყავი“, იყნისკე „იყო ხოლმე“, ბეური „ბევრი“, ყუელა „ყველა“. ზოგჯერ ვ — შუ სემანტიკურ ოპოზიციასაც გამოხატავს: სველი „შრავი, წაქი“ — სშ ელი „სოველი, დასველებული“ (ი. ქავთარაძე). შუ დაინდება გვ — პირის ნიშნშიც (გშ -), რაც ასევე არაქალი მოვლენაა: დაგურჩა → დოგურჩა (//დოგრჩა — შუ -ს დაკარგვით). შუ -ს კვალი ილანდება იმ შემთხვევებშიც, როცა მომხდარია შუ ა → ო, შუ შო // ო ან ში → შუ // უ შენაცვლება: თშალი → თოლი, ცხუარი → ცხორი, სშ ამს → სომს; გშ ერდი → გურდი // გორდი,

ძველი → ძრლი // ძოლი; შუ იდი → შუდი // შუდი, ფეტუ ი — ფეტუ // ფეტუ. ამგვარი შენაცვლების მიხედვით შუ -ს პოზიტივება ივარაუდება იმ დიალექტებშიც, სადაც ამჟამად იგი ნაკლებად არის წარმოჩენილი (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში) —

მთიულურში დადასტურდა პოზიტივრად შეპირობებული მონაცვლეობა შუ :უ ბგერებისა: არა მაქუ , კაცსა აქუ , მაგრამ: არ მაქუ, კაცს აქუ (მ. კობაიძე); ანუ: წინამჟღად სიტყვის დაბოლოება (ხმოვინანი თუ უხმოვინო) განაპირობებს შუ :უ შენაცვლებას. ეს წესი მოქმედებს პაუზის წინა პოზიციაში; შდრ.: არა აქუ -რა // აქუ -რა (ორივე დასაშვები ვარიანტია). გარდა ამისა, ბრუნვის ნიშნები ან ნაწილაკები გავლენას ვერ ახდენს შუ :უ განაწილებაზე: სახლი აქუ // აქუ, ესლა აქუ // აქუ (გვხვდება აგრეთვე აქუ ს // აქუს, ასევე: აქვის, რომელიც აქუს ფორმის პარალელურად გამოიყენება).

ქართულში შუ სპორადულად დაჩნდება — გვხვდება როგორც ისტორიულად შეპირობებულ პოზიციებში, ასევე ვ-ს ნაცვლად: ყუამ „გყავს“ (თანმხლები პროცესებია ასიმილაცია: გყავს — კყავს, მეტათეზისი: კყავს — ყყავს, ბგერის დაკარგვა: ყყავ, სუბსტიტუცია: ყყამ // ყყამ), გაუწერა „გაუწერა“ (თანმხლები პროცესია მეტათეზისი), სცხოჲ რომს „ცხოვრობს“, დაანტჲ რა „დაანტერია“, დახუ და „დახვდა“; წუ ადი „მწვადი“, რგუ ალათ „მრგვალი“, ქუ ა // ქუა, ბაუშვი // ბაუშუ ი, ბეჲრი „ბეგრი“, მასჲ ლავი „ვარსკვლავი“.

კახურშიც ანალოგიური მდგომარეობაა: შუ ეტყვი „ვეტყვი“, სჲ ამს „სვამს“ (რომელიც ასევე გვხვდება: სომს), ქუა // ქუა, ჰყუნდა „ჰყავდა“, მაშუ „მაშინვე“ (ინ მარცვლის ამოვარდნით), ყაჲ ლი „ყავლო“, ბავშუ // ბაჲ შუ ი „ბავშვი“, ბეჲ რი „ბეგრი“, ცხოჲ რომს „ცხოვრობს“, შუ იდი „შვიდი“; მასჲ ლავი „ვარსკვლავი“, კჲ ყავ „გყავს“ (შდრ. ქართლური: ყუამ), ასჲ ლა „ასვლა“, დჲ ქჲ ჲ და „დაგვხდა“ (თანმხლები პროცესია დისტანციური რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია), მოხჲ და „მოხვდა“, აქჲ „აქვს“.

ყველა ეს ნაირსახეობა შუ -ს გამოყენებისა ქართლურსა და კახურში შეიძლება შემდეგ შემთხვევებზე იქნეს დაყვანილი:

შუ დაჩნდება შემდეგ პოზიციებში:

ა) პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ: შუ ეტყვი „ვეტყვი“, შუ იტყვი „ვიტყვი“;

ბ) ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ: დაბაჲ „დაბამ“ (წინ უსწრებს მ → ვ სუბსტიტუცია);

გ) თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ: აქჲ „აქვს“;

დ) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ: ქჲ ა „ქვა“, შუ იდი „შვიდი“, სჲ ამს „სვამს“;

ე) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: ყაჟღ ლი „ყავღო“, ბეჟღ რი „ბევერი“.

ვ) თანხმოვნებს შუა: ჟჷ ყავ „ჯყყავს“, ბავჷჷ ს „ბავჷჷს“, მასჷჷ ლავი „ვარსკვლავი“, ასჷ ლა „ასვლა“.

როგორც ვხედავთ, ჟ-ს გამოყენება პოზიციის მიხედვით არ იზღუდება. არ ჩანს მკაცრად შეპირობებული თანაპოვნიერი ბგერების რაგვარობითაც, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეული კანონზომიერება მაინც ილანდება. მაგალითად, ჟ უპირატესად ნაპრალოვანი თანხმოვნის მომდევნოდ დაჩნდება: სჷ ამს, შჷ იდი, ლჷ თისნიერი, შჷხჷ და (თუმცა გვხვდება ხშულების მომდევნოდაც: რჷჷ ალათ, კჷჷყავ, ჟჷ ა, აჷჷ); ხმოვნის მომდევნოდ უფრო ხშირია იგი სონანტი თანხმოვნის წინ: ყაჷღალი, ბეჷღ რი (მაგრამ პოზიცია ამ შემთხვევაში არ არის მკაცრად შეზღუდული). ალბათ უმჯობესია ვილაპარაკოთ გამოყენების სინშირის შესახებ, რადგან ზედმიწევნით ჟ-ს პოზიციური განაწილების წესი არ არის გატარებული; მაგალითად; ჟ გვხვდება თჷ ალი, ჰთჷ არე, დაანტჷ რია, წჷ ადი ფორმებში (ანუ ხშულებისა და აფრიკატების ომდევნოდ) და ა.შ.

ჟ შესაძლოა იყოს:

ა) იმავე პოზიციაში, სადაც ძველ ქართულშივე გვხვდებოდა: სჷამს;

ბ) ვ-ს პოზიციაში: ჟვა → ჟჷ ა, ვეტყვი → ჟეტყვი. მართალია, ჟ ზოგჯერ გვხვდება მ-ს პოზიციაშიც, მაგრამ გამაშუალებელ საფეხურად ყოველთვის ვ ივარაუდებთ: დააბამ → დააბავ → დააბაჷ.

გ) იშვიათად — უ-ს პოზიციაში: შჷა → შჷ ა // შჷა.

საგულისხმოა ისიც, რომ ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთსა და იმავე პოზიციაში შეიძლება დავდასტუროთ ვ // ჟ // უ მონაცვლეობა: ჟვა // ჟჷ ა // ჟჷა, ლეთისნიერი // ლჷთისნიერი // ლუთისნიერი, შვაღამე // შჷაღამე // შუაღამე, გაფცჷქენი // გაფცჷქენი // გაფცჷქენი, წვრთნის // წჷრთნის // წურთნის (არნ. ჩიჭობავა, ა. მარტიროსოვი — გ. იმნაიშვილი).

ინგილოურშიც ჟ გვხვდება სამ შემთხვევაში:

ა) ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში; ამ რიგისაა, მაგალითად, ჟ , დადასტურებული გჷ — პირის ნიშანში; მაგრამ იმის გამო, რომ ჟ ა → ო ჟ ე → ო, უი → ჟჷ პრაოცესები ინგილოურში თითქმის უგამონაკლისოდ არის გატარებული, ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ჟ ა, ჟ ე, ჟ ი კომპლექსები ინგილოურში არც გვხვდება.

ბ) ჟ დაჩნდება ვ-ს პოზიციაში: მოჷღ და „მოვიდა“, გამოჷღ და „გამოვიდა“, ბეჷღ რი „ბევერი“ და მისთ. ჟ ზოგჯერ გვაქვს ბ ხშულის პოზიციაში: კაკურ კილოკავში ჩვეულებრივია ბ → ვ შენაცვლება სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში (დასტურდება ალიაბათურშიც): ზმევე „მემები“, დგევის „დგების, დგება“, სწავლოვს „სწავლობს“; ამ

ჩანაცვლებული ვ-ს ადგილს იჭერს შუ: გამოტანეშ ლევ-ი „გამოტანებულები“ (პირველ შემთხვევაში ბ → ვ → შუ, მეორე შემთხვევაში ოდენ ბ → ვ), გაყავრეშ ლი „გაყავრებულო“. საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში ბ-ს მოსდევს უ, რომელიც ინგილოურ ფორმებში რედუცირებულა: გაყავრებულ-ი → გაყავრეშლი. ამ თავისებურების გამო, შუ -ს შეიძლება განსხვავებული განმარტებები მიეცეს: ან ბ → ვ → შუ, ხოლო მომდევნო უ იკარგვის, ან: იკარგვის ბ, ხოლო მომდევნო უ → შუ (რაც ასევე დამახასიათებელი მოვლენაა ინგილოურისათვის) ვ-ს პოზიციაში ზოგჯერ გვხვდება სრულხმოვანი უ-ც (გამუშალებული შუ საფეხურით): ქვა → ქვა → ქვაა, მოკლვა → მოკლვა → მოკლვაა, ნახვა → ნახვა → ნახა ან ყველა შემთხვევაში უ-ს მახვილი მოუღდის (გ. იმნიშვილი).

ბ) შუ წარმოდგენილია უ ხმოვნის ნაცვლად ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში: ღამეულად → ღამეულა, დაუქერია → დაუქერი // დოშქერი, შეშქამია → შეშქამი // შოშქამი, მოუკლავს → მოშქლავ, მიუცია → მიშცი. შევნიშნავთ, რომ სხვადასხვაგვარი ცვლილების შედეგად შესაძლოა მივიღოთ ოდენტური კომპლექსი: ერთი მხრივ, წაეიდა → წაუ და, მეორე მხრივ, წაულია წაუ ღი - ავ და აუ კომპლექსებმა მოგვცა ერთი და იგივე დამავალი აუ დიფთონგი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი ქართულსა და კახურში უ → შუ სპორადულად დაჩნდება, ინგილოურში მას ზემოხსენებულ პოზიციაში სისტემატური ხასიათი აქვს.

ანალოგიური ვითარებაა ფერეიდნულში ... დასტურდება სამი შემთხვევა: ა) ისტორიულად შეპირობებული: ქუ ქონდა „გვეონდა“ (თანხმობია რეგრესული სრული დისტანციური ასიმილაცია) და მისთ.: ბ) ვ-ს ნაცვლად: ამიყუ ანიან „ამოიყვანენ ხოლმე“, გოუგზაუნე „გაუგზავენ“, მინახუნე „მოინახავენ; გ) უ-ს ნაცვლად: დაურქო → დოშ რქო, შეუპირაღმართა → შოშპირაღმართა, გამოუჩნდა → გომოშჩნდა, გაუხარდა → გოშხარდა (ზოგჯერ ჩაწერილია ასეც: დოვრქო, შოვპირაღმართა, სადაც წყვილბაგისმიერი შუ -ს გამომხატველია). ფერეიდნულში დადასტურებულია საპირისპირო პროცესიც: მახვილოს შემთხვევაში ვ → შუ → უ: რვა → რვა → რვა, ქვა → ქვა → ქვა, აიყვანა → აიყუნა → აიყუნა, სხვები // სხუები → სხუები (არნ. ჩიქობავა).

სამი პოზიციით განისაზღვრება შუ -ს გამოყენების შემთხვევები მესხურშიც (სამცხურ-ჩავახურში); გვხვდება: ა) ისტორიულად შეპირობებული პოზიციაში: ჩუენ „ჩუენ“, სხუ ა „სხვა“, ყუ ავის „ყვაის“, მოუ და „მოკვდა“; ბ) ვ-ს ნაცვლად: ქუ „ქვა“, რუ „რვა“, ასულა „ასვლა“, ლოკუ „ლოკვა“, დასამალუთ „დასამალვად, დასამალვად“; გ) უ-ს ნაცვლად იმ შემთხვევაში, როცა მახვილი მოუღდის წინა ან მომდევნო ხმოვანს: აქაურ ბა → აქაუ რრბა, სადაურ ლი → სადაუ რელი; პროცესი უფრო შორს მიდის — შუ → ვ: აქავრელი, სადავრელი. თუ მახვილი მოუღდის თვით შუ -ს,

მაშინ ზ → უ: ჭნა → ჭნა, სხნა → სხნა.

ერთი შეხედვით მსგავსი ვითარება ჩანს იმერულშიც, მაგრამ მსგავსება გარეგნულადაა — ზემოხსენებულის ანალოგიური მდგომარეობა განსხვავებულ პოზიციებშია დადასტურებული, გარდა ერთისა — როცა ზ-ს მჭონებლობა ისტორიულადაა შეპირობებული: თუალი „თვალი“, ჩუნ „ჩვენ“, თქუნ „თქვენ“ — ამ რიგის ფორმები უფრო ხშირია ქვემოიმერულში: ზ გვაქვს ვ-ს ნაცვლად: ვხნავ → ვხნავ, ხნავ → ხნავ და ასე: ვბარავ, ვკერავ, ვხერხავ... ხანურ-ზეგნურ (ბაღდათურ) მეტყველებაში ზ შეგვხვდება I სუბიექტური პირის ვ — ნიშნის პოზიციამიც (ხ ნაპრალოვანი თანხმონით დაწყებულ ფუძებთან, სადაც ვ — მეტათეზის განიციდის): ვხნავ → *ხნავ → ხნავ; თუ ხ-ს ფუძისეული ვ მოსდევს, პირის ნიშანი იკარგვის, ხოლო ფუძისეული ვ → ზ: ვხრეტავ → ხრეტავ (პ. გაჩეჩილაძე). ზ-მ შესაძლოა შეცვალოს უ ხმოვანიც პაუზის ან თანხმონის მომდევნოდ ხმოვნის წინა პოზიციამი — წარმოიქმნება აღმაველი დიფთონგი: უარესი → უ არესი, უარი → უარი, მაშუალი → მაშნალი; უ → ზ მაშინაც, როცა უ მეორეულია: ეზოები → ეზუ ები // ეზუები, ჩამოაჭრა → ჩამუაჭრა // ჩამუაჭრა... ზ შესაძლოა დაჩნდეს მ სონანტის ნაცვლადაც (ხმოვნისა და რ-ს შუა) — გამაშუალებულია კბილბაგისმიერი ვ: სიმამრი → სიმავრი (მ → ვ სუბსტიტუციით, რომელსაც საფუძვლად პროგრესული დისტანციური დისიმილაცია უნდა ედოს: მ-მ → მ-ვ) → სიმავრი // სიმავრი — სრულხმოვანი უ-თი).

ამდენად, იმერულში ზ-ს მჭონებლობა ძირითადად ორი პოზიციით განისაზღვრება: ა) თანხმონის ან პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ: თუალი, ჩუნ, წაართუ; უარესი, უარი; ბ) ხმოვნის მომდევნოდ თანხმონის ან პაუზის წინ: ბეური; ხნავ, ხერხავ.

ლუჩხუმური ზ-ს გამოყენების თვალსაზრისით იმერულის იდენტურ ვითარებას გვიმოწმებს: ა) თუალი, ძმელი, ჯუარი, ჩუნენ, თქუნენ; ბ) ბეური, თოშლი; გ) უარესი, უარი, შუა.

გურულში ზ მკვეთრად არის წარმოდგენილი სამივე ზემოდასახელებულ შემთხვევაში. თუკი იმერულსა (ქვემოიმერულსა) და ლუჩხუმურში ამ მხრივ რაიმე მერყეობა შეინიშნება, გურულში ზ-ს გამოყენების წესი ზედმიწევნით არის გატარებული: ა) ზ ისტორიულად შეპირობებულ პოზიციამი: ჯური, გური; თუი, ჩუნ, თქუნ, თქუ; ბ) ზ ცვლის ვ თანხმონის: ბური „ბევრი“, ორუ „ორივე“, ხაუს „ჰყავს“, ეიყუნა „იყვანა“; ზ შესაძლოა დაჩნდეს მ სონანტის პოზიციამიც — გამაშუალებულია ვ საფუძვლი: სიმამრი → სიმავრი → სიმავრი // სიმავრი (სრულხმოვანი უ-თი); გ) ზ დაჩნდება უ ხმოვნის პოზიციამი: თუ არ → თუ-არ, უარი → უარი, უარესი → უარესი. გურულში ზ გვხვდება ძირითადად ორ პოზიციამი: თანხმონის ან პაუზის

მომდევნოდ ხმოვნის წინ და ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნისა ან პაუზის წინ.

ასევე დამახასიათებელი მოვლენაა შ -ს პოენიერება აქარული დიალექტის ბგერითი სისტემისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ფართოდ და შეუზღუდავად შ სწორედ აქარულ დიალექტში დაინდება: ა) ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში: თშალი „თვალი“, სხუა „სხვა“, ჩუენ „ჩვენ“, თქუენ „თქვენ“, თქუა „თქვა“; ბ) ვ-ს პოზიციაში: რუა „რა“, კუა „კვა“, ბეურჩი „ბევრი“; გ) განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა აქარულში სრულხმოვანი უ-ს ნაცვლად შ ბგერის გამოყენების შემთხვევები, როცა ზედმიწევნით განსაზღვრულ პოზიციებში ყველა უ, წესისამებრ, იცვლება შ -თი. ეს პოზიციებია: ხმოვნის (ა,ე) მომდევნოდ თანხმოვნის წინ: დანაშაული → დანაშაუ ლი, იქაურობა → იქაუ რობა, კობოლაური → კობალაური (ადგილის სახელი), დეკეული → დეკეუ ლი, არჩეული → არჩეუ ლი. პროცესი უფრო შორს მიდის: შ -ს ნაცვლად შეიძლება დაინდეს კბილბაგისმიერი ვ (დანაშავლი, დეკეული). უ → შ მახვილის მოკმეიდების შედეგია, რომელიც უ-ს წინამავალ ან მომდევნო ხმოვანს მოუდის. ზემოდასახელებული პოზიცია ზოგჯერ წარმოიქმნება თანამდევო ფონეტიკური ცვლილების შედეგად: წამომილო → * წაომილო (მ-ს დისიმილაციური დაკარგვით) → * წაუმილო (მ ბაგისმიერი სონანტთან ო → უ ასიმილაციის საფუძველზე) → წაუმილო; და ასე: შემომითვალა // შამომითვალა → შაუ მითვალა, ჩამომიწერა → ჩაუ მიწერა (მ. ნიყარაძე). შევნიშნავთ, რომ ზმნისწინისეულ ხმოვანთან ზმნური უ — პრეფიქსის შეხვედრისას უ → შ არ ხდება; ადგილი აქვს სრულ რეგრესულ ასიმილაციას და ამ გზით მიღებული იდენტური ხმოვნების შერწყმას გრძელ ხმოვნად: წაული → წოული → წუული → წული; და ასე: შეუნახა → შუნახა, მოუტანა → მუტანა... თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის (ა,ე) წინ; ამ შემთხვევაში უ უმეტესად მეორადი ბგერაა, მიღებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად: წამოვადულებ → წამოადულებ → წამუადულებ, წამუადულებ, წამოვალ → წამოალ → წამუალ → წამუალ, წამოველი → წამოელი → წამუელი → წამუელი, გამოეკა → გამუეკა → გამუეკა (მაგრამ: მუადულებ, მუელი — ამ დროს მ-ს მომდევნოდ უ → შ ბრკოლდება; საქმე ისაა, რომ წამუ ადულებ ასე დაიმარცვლება: წამ-შ ა-დულ-ეფ, რის გამოც მუ წარმოთქმა არ ძნელდება; მუადულებ ფორმაში კი ასეთი შესაძლებლობა არ არის); შემდეგ: ამოვა → ამოა → ამუა → ამუა, თუ არა → თუ -არა (ენკლიტიკის შემთხვევაში), აძოვე → აძოე → აძუე → აძუე, ყოველდღე → ყოელდღე → ყუელდღე → ყუელდღე, ხობოები → ხობუები → ხობუები, წყაროები → წყარუები → წყარუები; ძუძუები → ძუძუები.

ანალოგიურ ვითარებას ვადასტურებთ იმერხეულშიც: ა) თუ ალი „თვალი“, ერქუა „ერკვა“; ბ) კუა კუა „კვა“; ძიხან „სძინავთ“, ყაუხ „ჰყავს“, მეტუან „მოვიტან“, წეუ და „წავიდა“, ბეურჩი „ბევრი“; გ) შაური „შაური“, დეკეული „დეკეული“...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიალექტების ერთ ნაწილში შუ დაჩნდება როგორც ო ხმოვნის ლაბიალიზებული შემართვისა და დამართვის შედეგი: ორი → შუ ორი, ოცი → შუოცი, ომი → შუ ომი, ოჯახი → შუაჯახი, ოცნებობს → შუ ოცნებობს... კაცო → კაცოშუ გოგო → გოგოშუ //, ბიჭო → ბიჭოშუ // კოშუ (ლაბიალიზებული დამართვა დაჩნდება წოდებითის ფორმებში). ლაბიალიზებული შემართვა ახასიათებს უ ხმოვანსაც: უკაცრავად → შუ უკაცრავათ. ლაბიალიზებული შემართვა გვხვდება იმერულში, გურულში... ლაბიალიზირებული დამართვა დაჩნდება ქართლურში, კახურში, აჭარულში...

ამდენად, გამოიყო დიალექტების ორი წრე შუ -ს გავრცელების თვალსაზრისით.

დიალექტების ერთ ნაწილში შუ ფაქტობრივ არ გვხვდება: ან ვ-ს სახითაა წარმოდგენილი, ან შუ ა → ო, შუ ე → ო, შუ ი → უ ცვლილების გამო აღარ წარმოჩნდება.

დიალექტების მეორე ნაწილში შუ მეტნაკლებად მკვიდრი ბგერაა. ეს დიალექტები არსებითად ერთ უწყვეტ იზოგლოსას ქმნიან (მოხეურისა და მთიულურ-გუდამაყრულის გამოკლებით, რომლებიც ჩრდილო ზოლის დიალექტებიდან ამ მხრივ გამოირჩეული არიან). ეს იზოგლოსა იწყება ინგილოურით (აქვე ვითვალისწინებთ ფერეიდნულს) და მიემართება დასავლეთისაკენ: კახური — ქართლური — მესხური — იმერული — ლეჩხუმური — გურული — აჭარული — იმერხეული. ლირსსაცნობია: რაც უფრო დასავლეთისაკენ მივდივართ, მით უფრო მკვიდრია და ფართო გავრცელებისაა შუ არა მხოლოდ ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში, არამედ კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნისა და ლაბიალური უ ხმოვნის პოზიციებშიც.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ორი მოვლენა: ა) ვ // შუ // უ შენაცვლების ფაქტი მახვილის გავლენის შედეგად: ქვა → ქშა → ქშა და აქაურობა → აქაშუ რობა → აქაურობა; ბ) შუ -ს წარმოჩენა თანხმოვნის პოზიციაში: ბ ხშულის ნაცვლად ინგილოურში (გაყავრებულ „გაჯავრებულში“), მ სონანტის ნაცვლად ქვემოიმერულსა და გურულში (სიმაპრი → სიმაპერი → სიმაშერი). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დ. ბაქრაძის მიერ ჩაწერილი პარალელური ფორმები: ქართლურ-კახური აფშარა = იმერული აფშარა — გურული აფშარა, რომლებიც ვ // ფ // უ შენაცვლებას გვიდასტურებენ (ამოსავალია ვ-ს შემცველი ფორმა).

1.25. დიფთონგები ქართული ენის დიალექტებში. ქართულში დიფთონგები მიღებულია ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად — როგორც მორფმათა ზღვარზე (უმეტეს შემთხვევაში), ისე მორფემის (ფუძის) ფარგლებში.

ცნობილია:

ა) „ორი განსხვავებული ხმოვნის ისეთ შეერთებას, რომელიც გვაძლევს ერთ მარცვალს ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით, ეწოდება დიფთონგი“ (გ. ახვლედიანი);

ბ) დიფთონგი არსებობს აღმავალი, როცა იწყება სუსტი ხმოვნით („ნახევარხმოვნით“) და გადადის სრულ ხმოვანში, და დამავალი, როცა იწყება სრული ხმოვნით და გადადის სუსტ ხმოვანში — „ნახევარხმოვანში“ (არნ. ჩიქობავა): აა, აე... აჲ, ეა... ქართული ენის დიალექტებში მოგვეპოვება ორივე სახის დიფთონგები.

დიფთონგი წარმოიქმნება ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის დროს.

ქართულში უშუალო მეზობელი ხმოვნები შესაძლოა ფონეტიკურად უცვლელი დარჩეს: საათი, ჯამათი, გააკეთა; ხეები, ციხეები, საბოლოო... შესაძლოა შეიცვალოს ისე, რომ სრულხმოვნობა არც ერთმა არ დაკარგოს: დაიკარგა → დეიკარგა, გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა და მისთ.

იმავდროულად ზოგ დიალექტში თავს იჩენს ორი სრული ხმოვნით შედგენილი კომპლექსის დაძლევის (სუპერაციის) ტენდენცია:

არსებობს დაძლევის სამი გზა:

ა) ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვნად — შეიარწყმის იდენტური ხმოვნები: გადააგდო → გაღან გდო, ხეები — ხე ბი; იდენტური ხმოვნები შესაძლოა მიღებულ იქნეს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა → გუუკეთა;

ბ) ერთ-ერთი ხმოვნის დაკარგვა: გადაუგდო → გადუგდო, გადაიგდო → გადიგდო;

გ) ერთ-ერთი ბგერის დავიწროება, რაც წარმოქმნის კიდევაც დიფთონგს.

ქართულში, ჩვეულებრივ, ვიწროვდება ი (→ ა) და უ (→ უ) ხმოვნები. დავიწროების პროცესი დისიმილაციას ეფუძნება. რეგრესული დისიმილაცია იძლევა აღმავალ დიფთონგს: დაეწერა → დეეწერა (ასიმილაცია) → დიეწერა (დისიმილაცია) → დამეწერა; პროგრესული დისიმილაცია — დამავალ დიფთონგს: დაიწერა → დეიწერა (ასიმილაცია, → დემწერა (დისიმილაცია), ხეი → ხეა... როგორც ჩანს, ისტორიულად სწორედ ასეა მიღებული უ ა ან უ ე დიფთონგები: თუალი → თუ ალი, ძუელი → ძუ ელი (შემდგომ აქ დიფთონგები მოიშალა უ → ვ შენაცვლების გამო: თვალი, ძველი). იმავდროულად ა და უ შესაძლოა იყოს თანხმოვანთა პოზიციური ვარიანტები: ჰ → ა,, ს → აჲ, ვ → უ დიფთონგის წარმოქმნის თვალსაზრისით აქაც ზემოხსენებულის ანალოგიური მდგომარეობაა.

ძველ ქართულში ეა და უი დიფთონგები თითოა გრაფემით გამოიხატებოდა: ე და ვ. როგორც ჩანს, დიფთონგად აღიქმებოდა აგრეთვე ოა // ოპ (გამოიხატებოდა გრაფემით).

უ ა დიფთონგი ისტორიულად იჩენდა მიდრეკილებას ერთ ხმოვნად შერწყმისაკენ: ხუარბალ-ი → ხორბალ-ი... ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშივე დამჩნდება დიალექტური ფორმები: შეუშუ ან → შეუშონ, შეასუ ა → შეასო, მწუ ავედ → მწოვედ (ზ. სარჯველაძე).

ზოგ შემთხვევაში შერწყმა ხმოვნის დაგრძელებით ვლინდებოდა: ოა // ოპ → ო

ბოლოკიდურა პოზიციაში აა, ეა, ოა, უა დიფთონგები, როგორც წესი, მარტივდებოდა ა-ს ჩამოცილებით: დედაა → დედა, ხეა → ხე...

დიფთონგების პოზიტივების თვალსაზრისით ქართულში გამოიყოფა დიალექტების ორი ჯგუფი:

ა) დიალექტები, რომლებშიც გვაქვს როგორც აღმაველი, ისე დამაველი დიფთონგები;

ბ) დიალექტები, სადაც მხოლოდ დამაველი დიფთონგებია.

მხოლოდ აღმაველი დიფთონგების მქონე ქართული დიალექტები არ დასტურდება.

გვაქვს ისეთი დიალექტებიც, რომელთათვისაც დიფთონგები დამახასიათებელი არ არის: ხეცსურული, რაჭული (გლოლური კილოკავის გამოკლებით), ზემოიშვრული კილოკავი. ასეთი განსაზღვრა მაინც გარკვეულ წილად პირობითია, რადგან უშუალო მეზობლობაში ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტება არც ამ დიალექტებისათვის არის უცხო; ეს კი წინაპირობაა დიფთონგების წარმოსაქმნელად.

აღმაველ დიფთონგებს ქართული ენის დიალექტებში წარმოადგენენ აა, აე, აო, აჟ და უა, უე, უო, უო კომპლექსები, დამაველ დიფთონგებს — აა, ეა, ოა, უა, ია და აჟ, ეჟ, ოჟ კომპლექსები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი დიალექტების მიხედვით.

1) დიალექტები, რომლებშიც დადასტურებულია როგორც აღმაველი, ისე დამაველი დიფთონგები:

თუშური: ააგრე^ა, აეგრე^ა, აეგრე^ა (მიღებულია პ → ა გზით)... ძმაა, დაა, დალიშნაა, წყაროა (მიღებულია ი → ა გზით); შორითაა, სარკმელშიითაა (ა-ით აღინიშნება იოტიზებული დამართვა). თუშურში ა-ის შემცველი დიფთონგები ძირითადად დადასტურდა...

მოხეური: აეკალი^ა, აეკალი^ა, აერთი^ა, აემ^ა, აეს^ა (ა ქმნის მხოლოდ აღმაველ დიფთონგს — იოტიზებული შემართვის შედეგი; ზოგჯერ პ → ა: პეკალი → აეკალი); ძელი^ა „ძველი“, გურდი^ა „გვერდი“, შური^ა „შვიდი“, ბეწი^ა „ბეწვი“... ბეწი^ა „ბეწვი“... უ-ს შემცველი აღმაველი დიფთონგები მოხეურში, როგორც წესი, ფონეტიკურად იცვლება — შეირწყმის ერთ ხმოვნად: ძელი^ა → ძოლი, გუაქს → გოქ, დაწუ^ა → დაწო; კური^ა → კორი // კორი, გუქაბის — გოქაბის // გოქაბის, შური^ა — შუდი // შუდი, გუთხრა^ა — გუთხრა // გუთხრა. შერწყმას შესაძლოა წინ უსწრებდეს მეტათეზისი: დაგუ^ა ცინი → * დუგაცინის → დოგაცინის (შდრ.: დაგაცინის შენ); სხვა ახსნით: უ იწვევს ა-ს ნაწილობრივ ასიმილაციას, თვით კი იკარგვის;

ანალოგიურად: თექუქსმეტი → *თექუქსმეტი → თექსმეტი. უმლაუტიანი ხმოვნები მოშლის გზაზეა (ამჟამად უპირატესად ხანდაზმულთა მეტყველებაში დაჩნდება). დადასტურებულია ხმოვნის დიფთონგად „დაშლის“ პროცესიც: ოსი → ოშ ასი // ვასი, ღურბინდი → ღურბინდი // ღვირბინდი...

ქართულურსა და კახურში მ წარმოადგენს: ა) სპირანტებისა და ზოგი აფრიკატის პოზიციურ ვარიანტს; ბ) ხმოვანთგამყარს; გ) ნართაულ ბგერას (იოტიზებულ დამართვას). სამივე შემთხვევაში ხმოვანთან მეზობლობისას წარმოიქმნება დიფთონგი: გადაპხვეტავს → გადამხვეტავს // გადამხვეტამს, ბუღე ჰქვიან → ბუღე-მქვიან, მასთაონის → მამთაონის, ნუ სჭრი → ნუ მჭრი, ნასწავლი → ნამწავლი, გაზრდილი → გამდილი; მეფეს → მეფემ, მეფის → მეფიმ, დაწეროს → დაწერომ, დაწერეს → დაწერემ (პარალელურად დაჩნდება „კონტამინირებული“ ვარიანტები: გადამპხვეტამს, მამსთაონის, ნამწავლი // ნამპწავლი // ნამპსწავლი, მეფემს, მეფიმს // მეფიმპ // მეფი, დაწერომს, დაწერემს // დაწერემპ)... გაათხოვა → გამათხოვა, დედა → დედამა... ხვალაა „ხვალა“, მცხენიაა „მრცხენია“... უ -ს შემცველი დიფთონგები ქართულსა და კახურში ფართო გავრცელებისა არ არის: წუ ადი „მწუადი“, რგუ ალათ „მრგვალად“, კუ ავ „გვყავს“, უ ეტყვი „ვეტყვი“, უ იტყვი „ვიტყვი“, შუ იდი „შიდი“... ბაუ შუნი „ბაუშუნი“, ყაუ ლი „ყაუელი, ვადა“, ბეური „ბეური“, სცხოუ რომდა „ცხოვრობდა“.. უ ა დიფთონგი ხშირად იძლევა ო-ს (მარცხე ალი — მარცოლი), უ ე — ასევე ო-ს, ქემოქართლურში ზოგჯერ ო-ს (ქუეთი → ქოთი // ქოთი), უ ი — უ -ს, ქემოქართლურში — უ -ს (ძური → ძური // ძური).

მთიულურ-გულდამყარულში დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. მაგალითად, აქ დამავალი დიფთონგი შესაძლოა შექმნას როგორც ი → ე, ასევე ჰ, ს... → მ ცვლილების შედეგად მიღებულმა ბგერამ: ნიკორამ, ბილიკამ, ვაჟამ; ნიკორამს, ნიკორამთ... ამკირიფე „ამკირიფე“, დედა-მყოლია „დედა ჰყოლია“; მომდევს „მომდევს“, პამტა „პასტა“ (// ამპირიფე, პამტა). მ დაჩნდება ხმოვანთგამყარადაც: წავიდამა? „წავიდა?“ (ამ შემთხვევაში წარმოიქმნება აღმავალი დიფთონგი მა). რაც შეეხება უ -თი შედგენილ დიფთონგებს, ისინი, ჩვეულებრივ, ფონეტიკურად იცვლებიან: უ ა → ო (უაკეში → ოკეში, გუაქს → გოქ // გოქუ), უ ე - ო (ქუეთი → ქოთი, გუღდა — გოდდა), უ ი → უ (საკუირველი → საკურველი). დასტურდება საპირისპირო პროცესიც — ხმოვნის „დაშლა“ დიფთონგად: ჯოხი → ჯუახი, ეყოფა → ეყუთა... მთიულურში ტონური მახვილის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვანი აკუსტიკურად ზოგჯერ დიფთონგად აღიქმება: სოფე ლი ისმის როგორც სოფმალი, თოლი როგორც... თუშ ლი ან თუ ოლი; შესაძლოა დიფთონგად „დაშლა“ ამ მოვლენის შედეგია. ზოგჯერ

აკუსტიკურად ანალოგიურ შთაბეჭდილებას ტოვებს შ ა → ო ხმოვანიც: ცხუ არი → ცხორი // ცხუ ორი, ჭუ არი → ჭორი → ჭუ ორი (ლაბიალიზებული შემართვაა; შდრ.: კალუ ები).

ქართული ენის დიალექტთან დიფთონგების სიუხვით გამოირჩევა ინგლოურში.

ა წარმოქმნის დამავალ და აღმავალ დიფთონგებს: მამამ „მამამ“, ჰამამ „ჰამამ“, შამ „შედი“, მასხარამ „მასხარად“, გამსრუ ან „გაისვრიან“, ლელუმ „ლელუ“, მზემ „მზემ“, ბუღდითი „ბუღდიდან“, შემნახა „შეინახა“, შემწო „შეიწვა“, ტანაჩო მებზორემ, იჭიმ იჭიქიდან; კალომ „კალო“, დოამზინ „დავიძინე“, დოამნახ „დავინახე“, თო ა „თვე“, ეზოა // ოზოა „ეზოა“; ზუზუმ „ძუძუ“; ამ ტიპის დამავალი დიფთონგები ძირითადად კატორშია გავრცელებული... მაგამ-მაგამ „ნელ-ნელა“, მოლდამ (//ველდამ) „ამ-ხანაგი“, მუ ქ (//პუქ)... ამ რიგის აღმავალი დიფთონგები, ჩვეულებრივ, ნასესხებ ფორმებში გვხვდება.

ასევე ორივე სახის დიფთონგებს წარმოქმნის შუ : დამავალი: წაუ და „წავიდა“, შეუ შუ რა „შეუშვირა“, მიუ ცი „მიუცია“, მოუტანი „მოუტანია“; აღმავალი: ხუ ალა „ხვალ“, დაცუა „დაცვა“, მოხუელ „მოხველო, მოხვედი“; ამ ტიპის აღმავალი დიფთონგები იშვიათია, რადგან ინგლოურში სისტემატური ხასიათი აქვს შ ა → ო, შუ → ო შუ → უ მონაცვლეობას; ესე იგი, ყველა ამ კომპლექსის პოზიციაში შესაბამისად დაჩნდება ო, ო და უ ... შუ შეგვხვდება როგორც ვ-ს, ასევე უ-ს ადგილას.

შეგნიშნავთ, რომ ინგლოურში დიფთონგში შემავალი ა შესაძლოა იყოს ს სპირანტის პოზიციური ვარიანტიც: იწყოვს სახლ აშენევაა „იწყებს სახლის აშენებას“, ან ლ-ს დასუსტების შედეგი: კელში → კემში.

შესაძლოა დაჩნდეს ტრიფთონგის მსგავსი კომპლექსიც: ჰამა → ჰამა // ჰმუ ამ — ანუ: შუ ამ (იხ.: რ. დამბაშიძე, ქართული ენის ინგლოური კილოს ლექსიკონი).

არსებული ტექსტების მიხედვით ფერეიდნულში ამჟამად უპირატესად დამავალი დიფთონგებია წარმოდგენილი; ა-ის შემცველი დიფთონგები — ი → ა: გამგებენ „გაიგებენ“, ამამტანა „ამოიტანა“; ფერეიდანი „ფერეიდანი“; ჰ//ს → ა: წამყოლიყო „წაპყოლიყო“, ხილი — აქონდისყე (// ა ჰქონდისყე) „ხილი ჰქონდა ხოლმე“; მამჭრა „მოსჭრა“, სადა-აჯობს „სადა სჯობს“; ჩამცომთ „ჩავიცმევთ“ დამბან „დავბან“; შუ-ს შემცველი დიფთონგები — საკუთრივ შუ: სხუ ები; ვ → შუ: ბევერი → ბეუ რი; დავბან → დაუ ბანავ // დაუ ბან, მოვგლეჯ → მოუ გლეჯავ, ჰვა → ჰუ ა // ჰუა, აიყვანა — აიყუ ანა // აიყუანა, დაუკრავენ → დოკრუ ენ; უ → შუ: გაუხარდა → გოუ ხარდა (თანამდევია რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია), მოუპარავს → მოუ პარავ, გვეავს → ყოუ, საუბარი → საუ ბარი, აჭაური → ეჭაუ რი (ე — არის ა-ს ნაცვალის პრეფიქსი). გასათვალისწინებელია, რომ ვ და უ ბგერათა ცვლილება შედეგად

იდენტურ დიფთონგებს იძლევა. გაგბან → გაუ ბან (აე), მოგგლეჟ → მოუ გლეჟ (აე) და საუბარი → საუ ბარი, მოუპარავს → მოუ პარავ. ოლონდ ზმნისწინისეული ხმოვნის ცვლილებას ასიმილაციის საფუძველზე, ჩვეულებრივ, იწვევს უ → უ (გაუხარდა → გოუ ხარდა, ან: დაუკრავენ → დოკრუენ // დოუკრუენ), რაც არ შეინიშნება მაშინ, როცა ე → უ პროცესთან გვაქვს საქმე: დაგბან → დაუ ბან (აე) (და არა: დოუ ბან). უ -ს შემცველი აღმაველი დიფთონგების სიმცირე ახსნება შესაბამისი კომპლექსების ცვლილებით (რაც სხვა დიალექტების მიმართაც იყო ზემოთ აღნიშნული): უ ა → ო (მუ ალი → ძოლი), უ ე → ო // ო (გუ ეზიდნა → გოზიდნა // გოზიდნა) ან უ ე → ო -უ (კუ ერცხე → კო რცხი → კერცხი); უ ი → უ // უ (გუ ითხრეს → გუთხრეს // გუთხრეს) ან უ ი → უ → ი (შუ იდი → შუ დი → შუ დი). უ შეიძლება სრულ ხმოვნად იქცეს მახვილის გავლენით: ჭა → ჭუ ა → ჭუ ა, რვა → რუ ა → რუ ა, აიყვან → აიყუნა → აიყუნა. ასევე ნაკლებად დაჩნდება ა-ის შემცველი აღმაველი დიფთონგები, რომლებიც უპირატესად ნასესხებ სიტყვებში გვხვდება (მა „ან“, მახ „საყელი“...).

მესხურში ა-ის შემცველი აღმაველი დიფთონგი დასტურდება ე ხმოვნის იოტიზებული შემართვის დროს: მეხლა, მეზო, მეკითხება, სდმევს, სცემეს, აგრეთვე: აი → ი ჩვენებითი ნაცვალსახელის პოზიციაში (აი ეს → მეს, აი აქ → მაქ), ი-ს ნაცვალად ნასესხებ სიტყვებში (მარალი, მოლი, გმაური) და ხმოვანთგამყარად — და ჩნდება აა კომპლექსში (პატარააა „პატარაა“, მტრალააა „მტრალაა“). რაც შეეხება უა, უე, უი აღმაველ დიფთონგებს, მესხურში ისინი, როგორც წესი, ფონეტიკურად იცვლებიან — შეირწყმიან ერთ ხმოვნად: უა → ო, უე → ო // ო, უი → უ // უ, რაც სხვა დიალექტებისათვისაც დამახასიათებელი მოვლენაა (იხ. ზემოთ).

დამავალ დიფთონგს იძლევა — ი → ა: შოთაა, ნინაა; საბრადულად: წააღებს „წაიღებს“, დამაალა „დაიძალა“ — სამცხურ კილოვებში, რანაა „რანაირად, რანაირი“, როგოა „როგორი“ — ჯავახურში; იშვიათად ს- ა: მასშინ → მაშშინ, როსცა — როშცა. დამავალ დიფთონგს ქმნის აგრეთვე აუ → აუ აქაურობა → აქაურობა, სადაურელი → სადაურელი (უ ვიწროვდება, რადგან მახვილი ეცემი მის მომდევნო ხმოვანს). ბოლო შემთხვევაში დაჩნდება დიფთონგის მოშლის ტენდენციაც აუ → აე შენაცვლების საფუძველზე (აქაურობა, სადაურელი).

იმერულში დიფთონგების გამოყენება შედარებით შეზღუდულია. უპირატესად ისინი ქვემოიმერულში დაჩნდება.

აღმაველი დიფთონგების ნიშნულებად შეიძლება დავასახელოთ — ი → ა: შეაქრა → შიაქრა → შიაქრა, შეახმა → შიახმა → შიახმა, მიართვა → შიართვა; ე ხმოვნის იოტიზებული შემართვა: მერთი, მექსი... უ → უ უარესი → შუარესი, მაშუალი → მაშუალი; ე → უ დაწვა → დაწუა, (შდრ.: დაწუა „ცეცხლი წაუკიდა“, სადაც უ

ისტორიულადაა შეპირობებული), წაართვა → წაართვა; ო-ს ლაბიალიზებული შემართვა: ორი → ჭორი, ოცი → ჭოცი, ობოლი → ჭობოლი, ომი → ჭომი, ოცნებობს → ჭოცნებოფს...

დამავალი დიფთონგების ნიმუშებია — ი — ა: ქვამ, ქვამს, ქვამთ; ძმამ, რამ, კამ, წამ; რიყემ, დროამ, წყაროამ; წაილო — წემლო, მოითმინა — მემთფინა (ზმნის ეს ფორმები დადასტურებულია ხანურ-ზეგნურ-ბალდათურ-თქმაში); აგრეთვე: ბი-ცოლემ, ბიცოლემს, ბიცოლემთ (მამინ, როცა „ბიცოლემ“ ფუძედ გაიგება, შდრ.: ბიცოლემ, ბიცოლამ, ბიცოლას, ბიცოლეს, ბიცოლეთ, ბიცოლათ — როცა ბიცოლემ სახელობითის ფორმამ, ← ბიცოლამ); ყველა შემთხვევაში პარალელურად ისმის სრულხმოვანი ი; ვ → ჭ: სიმამჭრი, ვხნავ → ხნამჭ, ხნავ → ხნამ, ვხვრეტავ → ხვრეტამ, ვლუწავ → ვლუწამ, ლუწავ → ლუწამ, ვხერხავ → ხერხამ, ხერხავ → ხერხამ, (ხნამ, ხვრეტამ დადასტურებულია ბალდათურ თქმაში, დანარჩენი ფორმები გვხვდება ქვემოიმერულის სხვა თქმებში).

ლუჩხუმურში მ-ის შემცველი დიფთონგები ზოგჯერ დაჩნდება ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში (ბიცოლემს, ბიცოლემთ), აგრეთვე: ხმოვნებს შორის სახელობითში: დედაემ, მამამემ, გოგოემ. პირველ შემთხვევაში მ დამავალ დიფთონგს ქმნის, მეორე შემთხვევაში — აღმავალ დიფთონგს (დიფთონგია მე და არა ამ ან ომ).

ჟ-ის შემცველი დიფთონგებია — დამავალი: ბეჭრი „ბეერი“, თოჭლი „თოვლი“... აღმავალი: შუა „შუა“, ყუა „ყუა“, თუალი „თვალი“, ძეული „ძველი“, ჩუენ „ჩენ“...

გურული. მ ქმნის მხოლოდ დამავალ დიფთონგს: ბალანამ, ბალანამს, ბალანამთ; შენისთანამ, შენისთანამს, შენისთანამთ; უცფათამ. ყველა შემთხვევაში დადასტურებულია სრულხმოვანი ი-ც. ნიმუშები ქვემოგურულიდანაა; ზემოგურულში შესაბამისად გვექნება: ბალანე, ბალანეს, ბალანეთ, შენისთანე, უცფათე. ჟ ქმნის ორივე სახის დიფთონგს — აღმავალი: ჟარესი „უარესი“, ჟარი „უარი“; ჟარი, ჟნაბი, სნუთი, თქუა, დაწუა „დაწვა“; ჩენ, ორუე „ორივე“, ჩოუშენ „ჩაუშვეს“; დამოწმებულია აგრეთვე ლაბიალიზებული შემართვის დროს: ორი → ჭორი, ოცი → ჭოცი, ორმო → ჭორმო, ოზურგეთი → ჭოზურგეთი; უკეთესი → ჭუკეთესი. დამავალი: სიმამრი — სიმავრი — სიმამჭრი, ბეჭრი „ბეერი“. ჟ დაჩნდება როგორც ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში (ჭუარი, ჩენ), ისე ვ (ორუე „ორივე“) და უ (ჟარესი, ჟარი) ბგერების ადგილას.

აქარულში ფართოდ არის გავრცელებული მ-სა და ჟ-ს შემცველი აღმავალი და დამავალი დიფთონგები.

პირველის ნიმუშებია: მეორე — მიორე — მმორე, წაელო — წეელო (ასიმილა-

ციით) — წიელო (დისიმილაციით) — წმელო, შმატყო — შმატყო — შმატყო, მოეტანა — მეეტანა — მიეტანა — მმეტანა; ხშირად დაჩნდება ნასესხებ სიტყვებში: ძალი „ერბო“, ყმაშეთი „ავდარი...“, ყველგან ი — ა (ი შეიძლება იყოს პირველადი ან ფონეტიკური ცვლის შედეგად მიღებული), ლმანქერი (ბოლო ფორმაში ნ ჩანართი ბგერა)... ციხეები — ციხიები — ციხმეები, სიძეობა — სიძიობა — სიძმობა; მ დაჩნდება ნასესხებ სიტყვაში: ახლული „ჰამაგირი“, მ ხმოვანთგამყარად: ცარიელი — ცაიელი — ცამელი; დიდოვანი — დიდოიანი — დიდუანი — დიდუნი „დიდურანი, დიდები“, წამოვადლებ — წამოადლებ (ვ-ს დაკარგვით) — წამუადლებ (დისიმილაციით) — წამუადლებ, აძოვა — აძოა — აძუა — აძუა, წამოველი — წამოელი — წამუელი — წამუელი, აძოვე — აძოე — აძუე — აძუე, ხბოები — ხობუები (ანაბტიკური ხმოვნია) — ხობუები, ნანათხოვეები — ნანათხოები — ნანათხუები — ნანათხუები... ძუძუები — ძუძუები ცვლის უ-ს პირველადს ან ფონეტიკური ცვლით მიღებულს.

მეორის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: ი — ა — ანამ „დედა“, ანამს, ანამთ; გზამ, ხეამ; ბაბოამ „მამა“, ყრუამ; აგრეთვე: როამს „როდის“, წამ „წადი“, მოამ „მოდი“; აგი — აი — ამ, სეირი — სემირი; დიწყო — დეიწყო — დემწყო, გაიწყურება — გეიწყურება — გემწყურება. მ დანართია: ამწახანებამ „ამ ბოლო დროს, ამას წინათ“, გულგარამ „უგულად“, დუკითხავამ „დაუკითხავად“. უ-ს შემცველი დიფთონგები; ვ-ს ნაცვლად დაჩნდება უ: დავინახე — დეინახე — დევნახე // დუწნახე (იშვიათია); უ წარმოდგენილია უ-ს პოზიციაში; უ შეიძლება იყოს პირველადი (იჭაურობა → იჭაურობა, დანაშაული → დანაშაული, დეკეული → დეკეული) და ფონეტიკური ცვლის შედეგად მიღებული (ჩამომიწერა → *ჩამომიწერა → *ჩაუმიწერა → ჩაუმიწერა).

იმერხეულში (ქლარჯულში) არსებითად აჭარულის ანალოგიური მდგომარეობაა.

აღმავალი დიფთონგები: ი → ა: ჩივამან „ჩივიან“, მეთამი „ობოლო“; ი → ა დაჩნდება ხმოვანთგამყარად: გამოიარა → გამეიარა → გამეამარა (დიფთონგია მა); უ დაჩნდება ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში: ერქუა „ერქუა“; ვ — უ: ძინუან „ძინინავთ“.

აღმავალი დიფთონგები: ი — ა: ანამ „დედა“; ანამს, ანამთ, კოლოფამ „კოლოფი“ (კინობითი); ასევე: წამ „წადი“, ჩამამ „ჩამოდი“; რავამ (← რავგარი) „რაგორი“; აილო — ეილო — ემლო, გაიქვა — გემქვა; რა იქნა — რე-ამქნა (ენკლიტიკის შემთხვევა); მ დანართია: ჩქარამ, მალემ... ვ — უ: ბეერი — ბეური, ჰყავს — ყაუ მოვიტან — მევიტან — მეუტან, დავინახე — დეწნახე, წავიდა — წეწდა, (შეგინინავთ: ძველ ქართულში ამ ზმნაში უ დასტურდებოდა მხოლოდ II სუბიექტური პირის

ხ — ნიშნის შემდეგ: წარხზალ, განხვლოდე = განხზიდოდე; სხვა შემთხვევებში იყო ე), მივიდა — მიუდა; უ — უ და ნაშაული — დანაშაული, დეკეული — დეკეული...

2) დიალექტი, რომელშიც არსებული ტექსტების მიხედვით გვხვდება მხოლოდ დამავალი დიფთონგი, არის რაჭული, კერძოდ, რაჭული დიალექტის გლოლური კოლოკაფი. დამოწმებულია ოდენ ა-ის შემცველი დიფთონგები: ვაჟამ, ვაჟამს, ვაჟამთ; მელამ, დანუკამ, სამ (აკამსთვის კამ ვის უქნიაო); კლდემ დურაომ, ბლუმ... წაიყვანა — წამყვანა, დაიფიცა — დამფიცა, დაიხოცნენ — დამხოცნეს (დაჩნდება მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის — ეს ნიშანი არქაული წესის თანახმად). საგულისხმოა, რომ ზმნისწინის ხმოვანი ასიმილაციის საფუძველზე არ იცვლება (მდრ. აჭარული: წამყვანა).

ასეთია დიფთონგების განაწილების ზოგადი სურათი ქართული ენის დიალექტებში.

რომელ პოზიციებში გვხვდება დიფთონგები?

I. ა-ის შემცველი დამავალი დიფთონგები დასტურდება:

ა) სიტყვის თავიკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე პაუზის ან თანხმოვნის წინ: ედლო, დამწყო // დემწყო; ანალოგიური ვითარებაა „კონტამინირებულ“ ფორმების შემთხვევაში, როცა ა არის ჰ ან ს თანხმოვნების პოზიციური ვარიანტი: დამპბარა (მდრ.: დამბარა // დამპბარა), გამსთახნა (გამსთახნა // გამსთახნა);

ბ) ერთი მორფემის ფარგლებში: პამტა, სემარი; მუმატი „მუმტა“;

გ) ორი სიტყვის ზღვარზე (= მორფემათა ზღვარზე) ენკლიტიკის შემთხვევაში: რე-მქნა „რა იქნა“;

დ) სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე ხმოვნის მომდევნოდ პაუზისა ან თანხმოვნის წინ: ძმამ, ვაჟამ, კლდემ, დურაომ, ყრუმ; ზვალამ, კამ; რანამ „რანაირად“, რავამ „რაგორ“; ასევე: დედამ (= დედას), წყარომ (= წყაროს)... ვაჟამს, ვაჟამთ; ანალოგიური ვითარებაა „კონტამინირებულ“ ფორმების შემთხვევაში, როცა ა არის თანხმოვნის პოზიციური ვარიანტი: დედამს (დედამ // დედამას), დაწერომს (დაწერომ // დაწეროს), დაწერემს (დაწერემ // დაწერეს). ს-ს პარალელურად დაჩნდება ჰ-ც: დედას // დედამ // დედამ // დედამს // დედამს...

შენიშვნა: ამჰ, ამს კომპლექსები არსებითად ტრიფთონგების ბუნებისაა, რადგან ა და ჰ ან მ და ს არაა ორი დამოუკიდებელი ბგერა: ესაა ბგერა, რომელსაც ა-ს შემართვა აქვს, დამართვა კი ჰ-ს ან ს-სი.

2. უ-ს შემცველი დამავალი დიფთონგები დასტურდება:

ა) სიტყვის თავიკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: დამუბანავ „დაბანავ“, მოწვლეჯავ „მოვგლეჯ“; დემუნახე „დავინახე“, მემუტან „მოვოტან“, გომუხარდა „გაუხარდა“, მომუხარავ „მოუპარავს“; სამუხარი „სალუ-

ბარი“;

ბ) ერთი მორფემის ფარგლებში: ბეწურ-ი, ყოწუ „გყავას“, დეკეწელ-ი (ეტიმოლოგიურად არ გამოირჩევა ამ ფორმის რთული შედგენილობა), თოწულ-ი;

გ) ორი სიტყვის ზღვარზე (= მორფემათა ზღვარზე) ენკლიტიკის შემთხვევაში: თწ-არა „თუ არა“, ხწ-არა „ხომ არა“;

დ) სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე ხმოვნის მომდევნოდ პაუზისა ან თანხმოვნის წინ: ლეწაწუ, ხერხაწუ ყაწეს „ყავას“; იჭაწრობა, დანაწაწული.

3. ა-ის შემცველი აღმაჯალი დიფთონგები დასტურდება:

ა) თავკიდურა პოზიციაში პაუზის ან თანხმოვნის მომდევნოდ ერთი მორფემის ფარგლებში ან მორფემათა ზღვარზე: მაგარ აგერ, დიახ, ეკალი, მერთი; მესლა, მეკითხება; დმეწერა, მამესწრო, მამორე;

ბ) ერთი მორფემის ფარგლებში: ს-დევე-ს, ს-ცემ-ს (ცემ — დაუშლულ ფუძედ გაიაზრება; შდრ. ნამყო ძირითადი: ს-ცემ-ა; თუმცა წარმომობით —ემ თემის ნიშანია).

გ) ორ ხმოვანს (ორ ა-ს) შორის მორფემათა ზღვარზე სიტყვის როგორც თავკიდურა, ისე ბოლოკიდურა პოზიციაში: გამათხოვა; დედამა... ამ შემთხვევაში დიფთონგია მა (და არა აა); სიტყვა ასე დაიმარცვლება: გა-მა-თხო-ვა, დე-და-მა; ანალოგიურია ცაძელი, რაცა ა ← ა;

დ) სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე თანხმოვნის მომდევნოდ: ბეგები, სიძაობა, ჩივანი;

4. ზ-ს შემცველი აღმაჯალი დიფთონგები დასტურდება:

ა) თავკიდურა პოზიციაში პაუზის ან თანხმოვნის მომდევნოდ ერთი მორფემის ფარგლებში ან მორფემათა ზღვარზე: ზარი, ზარესი, ზორი, ზომი, ზოცნებობს, ზუკეთესი; წამზადულეფ „წამოვადულეფ“;

ბ) ერთი მორფემის ფარგლებში: თწალი, ძწელი, ჩწენ, შწა, ყწა;

გ) სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ: ერჭჭა, წაართუა, დაწწა.

როგორც ვხედავთ, დიფთონგების წარმოქმნა ყველა პოზიციაშია შესაძლებელი. ის, რომ ხმოვნებს შორის პოზიციაში არ დასტურდება ზუ შემთხვევითობა და არა ენის (დიალექტის) ფონეტიკური მოთხოვნით შეპირობებული აუცილებლობა.

ზემოხსენებული წარმოადგენს, საერთოდ, ქართული ენის ბუნებით (იმანენტურ) შესაძლებლობას, მაგრამ არ გულისხმობს იმას, რომ ეს შესაძლებლობა ყველა დიალექტში ერთნაირად არის განხორციელებული (რეალიზებული). დიალექტების მიხედვით დიფთონგების ანალიზმა წარმოაჩინა, რომ სხვადასხვა დიალექტში ამ

მხროვ მეტნაკლებად განსხვავებული ვითარებაა, რაც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

განსხვავებულია დიფთონგების მიღების საშუალებანიც.

დიფთონგის შემადგენელი **ა** შესაძლებელია იყოს პოზიციური ვარიანტი როგორც **ი** ხმოვნისა (ვაჟამ, ვაჟამს, ვაჟამთ; დამწერა/დემწერა), ისე **პ,ს,ზ,შ** სპირანტებისა (მოაყოლია = მოჰყოლია, დედაჲ = დედას, გაჲრდის // გაჲდის „გაზრდის“, მუჲტი „მუშტი“) და **ც** აფრიკატისა (ოჲდაერთი „ოცდაერთი“, როდესაჲ „როდესაც“), აგრეთვე **ლ** სონანტისა (კელში → კემში).

შე დამჩნევა ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში (თულო, ჩუენ, ერქუა), აგრეთვე **ე** თანხმოვნისა (ლუწათ „ლუწაუ“, დამბანაჲ „დავბან“) და **უ** ხმოვნის (უარესი „უარესი“, დეკეული „დეკეული“) ადგილას.

რამდენიმე დიალექტში ყველა ეს შესაძლებლობაა განხორციელებული, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა დიალექტები ამ მხროვ განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან.

ზოგჯერ შეინიშნება დიფთონგების ნიველირების ტენდენცია. დამჩნევა ოთხი შესაძლებლობა:

ა) იკარგვის „ნახევარხმოვანი“: დედაჲ — დედა, მიწაჲ — მიწა, რაც იმავდროულად თავს იჩენს ქრონოლოგიურ დონეზეც — იგულისხმება სხვაობა ძველ და ახალ ქართულს შორის;

ბ) „ნახევარხმოვანი“ გადადის თანხმოვანში: აქაურელი — აქატურელი — აქერელი, ერქუა — ერქუა → ერქვა; ინგილოური: მუქ „საპალნე“ → ჰუქ, მას // მეს „გლოვა“ → ჰეს, მარაჲ // მერაჲ „იარა“ — ჰერაჲ;

გ) დიფთონგის პოზიციაში წარმოდგენილია ორი სრული ხმოვანი: ქვა — ქუა — ქუა — რვა — რუა — რუა, აიყვანა — აიყუნა — აიყნა.

სამივე შემთხვევაში ცვლილებას იწვევს მახვილი.

თავი II

ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ძართული ენის დიალექტებში

2.1. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების შესწავლის საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში. ხმოვანთა ორშემადგენლიანი კომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა კანონზომიერებანი ქართული ენის დიალექტებში, ჩვეულებრივ, გაანალიზებულია შედეგის მიხედვით— დასახელებულია სამი სახეობის (რიგის) კომპლექსი და განსაზღვრულია თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებების ტენდენციები (შ. ძიძიგური):

ა) ფართო + ვიწრო (დაბალი ან საშუალო აწეულობის + მაღალი აწეულობის) ხმოვნებით შედგენილი კომპლექსი ამჟღავნებს მიდრეკილებას რეგრესული ასიმილაციისაკენ; დადასტურებულია როგორც ნაწილობრივი, ასევე სრული ასიმილაცია: აე → ეე, აი → ეი → იი, აუ → ოუ → უუ (წაელო → წეელო, წაილო → წეილო → წიილო, წაულო → წოულო → წუულო). სრული ასიმილაციის შემდგომი საფეხურია იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვნად, რამაც საბოლოოდ შესაძლოა მოგვეცეს მარტივი ხმოვანი (სიგრძის მოშლის შედეგად). შევნიშნავთ, რომ იდენტურ ხმოვანთა კომპლექსი განისაზღვრება როგორც მესამე სახეობა (იხ. ქვემოთ).

ბ) ვიწრო + ფართო ხმოვნებით შედგენილ კომპლექსში დაჩნდება რეგრესული დისიმილაციის ტენდენცია: ეა → ია, ოა → უა (შეატყო → შიატყო, მოარგო → მუარგო). ანალოგიურ ტენდენციას ავლენს ზოგ დიალექტში ოე კომპლექსიც (მოერგო → მუერგო). ამ რიგის კომპლექსებში შესაძლოა დისიმილაციის უფრო შორს წასული შედეგიც გვქონდეს: შეატყო → შიატყო → შმატყო, აღმოაჩინა → აღმუაჩინა → აღმუაჩინა (აჭარული). ყველა ეს შემთხვევა განისაზღვრება როგორც დიფთონგიზაციის ტენდენციის გამოვლინება.

გ) თანაბარი ლიაობის (აწეულობის) ხმოვნები სხვადასხვა შედეგს იძლევიან. მაგალითად, ოე კომპლექსი დიალექტების ერთ ნაწილში (უპირატესად დასავლურ დიალექტებში) იცვლება რეგრესული ასიმილაციით (ანალოგიურად პირველი სახეობის კომპლექსებისა): გამოეკიდა → გამეეკიდა, სხვა კილოებში (უფრო ხშირად —

აღმოსავლურ დიალექტებში), პირიქით, დაჩნდება დისიმილაცია (მსგავსად მეორე სახეობის კომპლექსებისა): გამოეკიდა → გამოუეკიდა. ამის კვალობაზე კეთდება დასკვნა: ო და ე ხმოვნებს შორის, ჩანს, დიალექტური განსხვავებაა: დასავლურ კილოებში ე უფრო ვიწროა, ვიდრე ო, აღმოსავლურ კილოებში კი, პირიქით, ო უფრო ვიწროა ე ხმოვანთან შედარებით. ამასვე უნდა ადასტურებდეს ეო → იო დასავლურ: დიალექტებში, რომელიც რეგრესული დისიმილაციით იცვლება (მეორე → მიორე). უი კომპლექსში ვიწროვდება უ (ანუ: აქაც მეორე სახეობის კომპლექსთა ანალოგიურ. მდგომარეობაა): ლელუი → ლელუი... ამავე ჯგუფში შემოდის იდენტური ხმოვნებით შედგენილი კომპლექსებიც, რომლებიც ისწრაფვიან გრძელ ხმოვნად შერწყმისა (საათი → სათი, საღამოობით → საღამობით, დაიძინე → დეიძინე → დიიძინე → დი ძინე). ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ეე, რომელიც გარდა გრძელ ხმოვნად შერწყმისა (გაეშვა → გეეშვა → თუშური; გეე შე; აეთრია → ეეთრია → აჭარული: ე თრია), ზოგიერთ კილოში იცვლება დისიმილაციის საფუძველზე (შეებრაღა → აჭარული, გურული: შიებრაღა; ასევე: დაეძინა → დეეძინა → დიეძინა). იდენტური ხმოვნებით შედგენილი კომპლექსი შეიძლება იყოს პირველადი (ეე: შეებრაღა) და მეორადი (აე → ეე: დეეძინა → დეეძინა). იდენტურ ხმოვანთა შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვნები ისწრაფვიან გადაიქცენენ მარტივ ხმოვნად (საათი → სათი → სათი).

ძირითადად ასე წარმოგიდგება სპეციალურ ლიტერატურაში არსებული აზრი ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა შესახებ; ანუ: ეს არის ზოგადი წესები, რომელთაც აქვს თავისი მოდიფიკაციები, რაც უპირატესად დიალექტური ნაირსახეობებით განისაზღვრება.

ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებანი ქართული ენის დიალექტებში მართლაც ადასტურებენ ზემოხსენებულ კანონზომიერებებს. მართებულია ისიც, რომ ამა თუ იმ კომპლექსის შესაძლო ცვლილებანი განისაზღვრება ქართულისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციით, ხოლო ცვლილების სხვადასხვა საფეხურზე წარმოდგენილია სხვადასხვა დიალექტი (ან დიალექტთა წრე). მაგალითად, აუ → ოუ → უუ → უუ ფონეტიკური გარდაქმნის პირველი საფეხური (ოუ) დაჩნდება რაჭულში (უპირატესად ქვემორაჭულში), იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში, შეინიშნება ფერეიდნულშიც, მეორე საფეხური (უუ) — გურულშივე და აჭარულში, მესამე საფეხური (უუ) აჭარულში და გარკვეულ მოდიფიკაციით (მკვეთრი დამართვით: უუ) — თუშურში. საწყის საფეხურზე (აუ) წარმოდგენილია სხვა დიალექტები.

იმავდროულად დასაზუსტებელია ზოგი მომენტი.

შემოდასახელებულთაგან რომელიმე სახეობის კომპლექსის ცვლილებისას შე-

დგად ვიღებთ იმავე ან სხვა სახეობის კომპლექსს. მაგალითად, აუ (ფართო + ვიწრო: I სახეობა) → ოუ (ფართო + ვიწრო: II სახეობა) → უუ (იდენტური ხმოვნები: III სახეობა); ან.. აე (ფართო + ვიწრო: I სახეობა); → ეე (იდენტური ხმოვნები: III სახეობა) → იე (ვიწრო + ფართო: II სახეობა); ნიმუშები: დაუნახა → დოუნახა → დუუნახა, დაენახა → დეენახა → დიენახა. ამის კვალობაზე, კომპლექსის ესა თუ ის სახეობა ლაბილური მონაცემია და არსებითად წარმოადგენს ერთიანი ფონეტიკური პროცესის რომელიმე საფეხურს.

გასათვალისწინებელია:

ა) ერთი და იგივე კომპლექსი შესაძლოა ორ სხვადასხვა შედეგს იძლეოდეს (ზოგჯერ ერთსა და იმავე დიალექტშიც კი):

აე → ეე → | ე
 | იე → აე

დაემართა → დეემართა → I ნაირსახეობა: დე მართა (თუშური: დე ყმართ); II ნაირსახეობა: დიემართა (აჭარული: დემართა).

აი → ეი → | იი → აი
 | ა

გაიკეთა → გეიკეთა → I ნაირსახეობა: გიიკეთა (ჭვემოიმერული) → გრე კეთ (თუშური), II ნაირსახეობა: გეეკეთა (აჭარული)...

ბ) ამის საპირისპიროდ, ორი სხვადასხვა კომპლექსი შესაძლოა ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს:

ერთი მხრივ:

აე → ეე → | ე
 | იე → აე

(ნიმუშები იხ. ზემოთ).

მეორე მხრივ:

ოე → ეე → | ე
 | იე → აე

მოეტანა → მეეტანა → I ნაირსახეობა: მეეტანა, II ნაირსახეობა: მიეტანა (აჭარული: მმეტანა).

შემდეგ: ერთი და იმავე ხმოვანთკომპლექსის ცვლილება ერთი და იმავე პრინციპის მიხედვით შესაძლოა იძლეოდეს განსხვავებულ ფონეტიკურ ნაირსახეობებს, მაგრამ, მოუხედავად ამისა, წარმოადგენდეს ერთი და იმავე ტენდენციის გამოვლენებას.

მაგალითად, აი კომპლექსის ცვლილებისას ასეთი ნაირსახეობანი დაჩნდება: ერთი მხრივ:

აი → ეი → ეა

დაიწყო → დეიწყო → დეიწყო (აჭარული);

მეორე მხრივ:


აი → აა

გზაი → გზაა; წადი → წაი → წაა (აჭარული).

ორივე შემთხვევაში გვაქვს პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილების გამოვლენა, ორივე შემთხვევაში ვიწროვდება და უმარცვლო ხდება ფართოს მომდევნო ვიწრო ხმოვანი (ეი → ეა, აი → აა); მაგრამ პირველ შემთხვევაში დისიმილაციას წინ უსწრებს ასიმილაცია (აი → ეი), მეორე შემთხვევაში დისიმილაციური ცვლილება დაჩნდება უშუალოდ ამოსავალ (აი) კომპლექსში, რომელიც ან იმათივეა წარმოდგენილი (გზაი), ან ხმოვნებს შორის პოზიციაში თანხმოვნის ჩავარდნის შედეგადაა მიღებული (წადი → წაი).

იგივე (აი) კომპლექსი ცვლილების სხვაგვარ პრინციპსაც გვიჩვენებს: აი → ეი → იი (წაილო → წეილო → წიილო). ამ შემთხვევაში დაჩნდება მიდრეკილება ერთი ხმოვნისაკენ (გრძელი ხმოვნის გამარტივების შედეგად: იი → ი → ი).

ამდენად, ზემოხსენებული კომპლექსი (აი) სამი ფონეტიკური ნაირსახეობით შეიძლება შეგვხვდეს ქართული ენის დიალექტებში (ეს ნაირსახეობანი შესაბამისად სამი რიგის სახითაა წარმოდგენილი):



ამას შეიძლება დამატოს კიდევ ერთი ნაირსახეობა (დადასტურებული აჭარულ დიალექტში): იმ შემთხვევაში, როცა აი → ეი გათიშულა ე თანხმოვნით, ი ხმოვანი იკარგვის: წაიღე → წეიღე → წვეღე. არსებითად ესაა ეი → ეა ცვლილების სახეობა, სადაც ნაწილობრივი რედუქციის (ი → ა) ნაცვლად დაჩნდება სრული რედუქცია.

როგორც ვხედავთ, ფონეტიკური ნაირსახეობანი, მართლაც, მრავლადაა. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში არსებითად ერთი და იმავე ტენდენციის კონკრეტულ გამოვლინებებთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ესაა გაერთმარცვლიანების პროცესი, რომელიც ერთ შემთხვევაში ვლინდება დიფთონგიზაციით, ანუ: ერთ-ერთი ხმოვნის გაუმარცვლიანობით (აი → აა, აი → ეი → ეა), მეორე შემთხვევაში — ერთ ხმოვნად შერწყმით (აი → ეი → იი → ი → ი), მესამე შემთხვევაში — სრულ რედუქციით (აი → ეი → ეე).

ამდენად, გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, ერთი და იმავე კომპლექსის განხვავებული ცვლილების შესაძლებლობანი, მეორე მხრივ, სხვადასხვა კომპლექსის ცვლილების იდენტური შედეგები, მესამე შემთხვევაში ერთი და იმავე ტენდენციის კონკრეტული გამოვლინებანი და ა.შ. (დაწერილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ერთი და იმავე ხმოვნების კონტაქტური და დისტანციური მეზობლობა შესაძლოა იძლეოდეს:

ა) იდენტურ შედეგს: აი → ეი: აიტანა → ეიტანა (იმერული, ლეჩხუმური, გურული...), ერთი მხრივ, და: კრამიტი → კრემიტი, ამინდი → ემინდი (მოხეური, მთიულური), მეორე მხრივ; ან: ეა → ია: შეატყო → შიატყო (მეტნაკლებად დაჩინდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში) და: შეშა → შიშა (აჭარული), ტყემალი ტყემალი (ქართლური);

ბ) განსხვავებულ შედეგს: აა → ა (გაატანა → აჭარული: გა ტანა, გააკეთებს → თუშური: გააკეთებს), ერთი მხრივ, და: ა-ა → ა-ე/ე-ა (სანამ → იმერული: სანემ; წამალი → იმერული: წემალი), მეორე მხრივ. ეს მოვლენაც სათანადო შეფასებას საჭიროებს ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების ანალიზის დროს.

დასაზუსტებელია აგრეთვე კომპლექსთა დაჯგუფების პრინციპიც. კერძოდ, მესამე ჯგუფში გაერთიანებული თანაბარი ლიაობის (იუ, უი, იე, ეო) და იდენტური (აა, ეე, იი, ოო, უუ) ხმოვნებით შედგენილ კომპლექსები ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგის თვალსაზრისით არსებითად ორ სხვადასხვა ჯგუფს (რიგს) ქნის.

თანაბარი ლიაობის ხმოვნებით შედგენილ კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებანი:

ა) ასიმილაცია: იე → ეე (მოეტანა → მეეტანა), ეო → ოო (მეორე → მოორე), იუ → უუ (მოეტანა → მუუტანა), უი → უუ (ყმული → ყმუული); ბოლო შემთხვევაში არ გამოირჩევა სხვა პროცესიც: ყმული → ყმუული (ვ-ს განვითარებით) → ყმუული (ვი → უ შენაცვლებით).

ბ) დისიმილაცია: იე → უე (მოეტანა → მუეტანა), ეო → იო (მეორე → მიორე).

გ) ხდება ხმოვანთა გათიშვა თანხმოვნით: უი → უვი (ბუი → ბუვი, ყრუი → ყრუვი). ამდენად, თანაბარი ლიაობის ხმოვნებით შედგენილ კომპლექსებში თავის მხრივ ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა. საშუალო ლიაობის (აწეულობის) ხმოვნებით შედგენილ კომპლექსები (ეო და იე) და ფართო (მაღალი აწეულობის) ხმოვნებით შედგენილ კომპლექსები (იუ და უი). პირველი რიგის კომპლექსებში შესაძლოა დაჩინდეს როგორც ასიმილაციის, ასევე დისიმილაციის შედეგი. მეორე რიგის კომპლექსებში ფონეტიკური ცვლილებები შედარებით უფრო შეზღუდულია: დაჩინდება ასიმილაცია, ხოლო თანამიმდევრობისას დაბიალური + პადატალური ხმოვანი ინტერვოკალურ პოზიციაში (ზოგიერთ დიალექტში) ვითარდება წყვილბაგისმიერი ვ სპირანტი (ჟ).

რაც შეეხება იდენტური ხმოვნებით შედგენილ კომპლექსებს (რომლებიც შესაძლოა იყოს როგორც პირველადი, ასევე მეორადი, მიღებული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად), მათთვის შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილებებია დამახასიათებელი.

ბელი:

ა) ხდება გრძელ ხმოვნად შერწყმა: აა → ა (გააჩენს → თუშუერი: გაა ჩენს; მამამისი → აჭარული: მამისი → მამისი, დაარტყამენ → ფერეიდნული: და რტყამენ), ეე → ე (გაეზრდება → გეეზდება → თუშუერი: გეე ზდება; აეთარიე → ეეთარიე → აჭარული: ე თარიე; მოეცა → მეეცა → ფერეიდნული: მე ცა); და ასე ოო → ო (მეორე → მოორე → მორე), იი → ი (გაიგეს → გიიგეს → გრე გეს), უუ → უ (გაუუკეთა → გოუუკეთა → გუუუკეთა → გუუ კეთა/ გუუკეთა)...

ბ) დაჩნდება დისიმილაცია: ეე → იე (შეეტყო → აჭარული, გურული, მესხური: შიეტყო; დაემართა → დეემართა → დიემართა, მოეტანა → მიეტანა → მიეტანა... ჭალა → ჭალაები → ჭალეები → აჭარული, გურული, მესხური: ჭალეები; ხე → ხეები → ხიები), ოო → უო (მეორე → მოორე → ინგილოური იმ ოორე → მუ ოორე, მუშაობს → მუშაობს — მუშუობს // მუშუოვს); უო, თავის მხრივ, შესაძლოა იცვალოს რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე — დელაბიალიზაციის გზით: უო → იო (მუშუოვს → მუშოივს).

ამდენად, გრძელ ხმოვნად შეიძლება შეირწყას ნებისმიერი იდენტური ხმოვნებისაგან შედგენილი კომპლექსები: დისიმილაციით კი იცვლება მხოლოდ საშუალო ლიაობის (აწეულობის) ხმოვნებით შედგენილი კომპლექსები (ჩვეულებრივია ეე → იე, დაჩნდება აგრეთვე ოო → უო); დისტანციური მეზობლობისას ამ წესით იცვლება ა-ა კომპლექსიც (დაეა → იმერული: დეეა, გაეა → აჭარული: გეეა).

წარმოდგენილა ანალიზმა, ვფიქრობთ, ცხადყო, რომ, ერთი მხრივ, თანაბარი ლიაობის, ხოლო მეორე მხრივ, იდენტური ხმოვნებისგან შედგენილი კომპლექსები საკუთრივ ფონეტიკურ ცვლილებათა თვალსაზრისით განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან და, ამის კვალობაზე, სხვადასხვა ჯგუფს ქმნიან.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ერთსა და იმავე დიალექტში ერთი და იგივე კომპლექსი არცთუ იშვიათად პარალელური ფონეტიკური ნაირსახეობებით დაჩნდება. უკვე ნახსენების გარდა, შეიძლება დავასახელოთ ოე კომპლექსი, რომელიც გურულში შესაძლოა ორი სახით შეგვხვდეს: ოე → ეე → იე (ხო → ხეოები → ხეეები → ხიეები) და ოე → უე (ხეოები → ხეუეები), თუმცა, ჩვეულებრივ, ამ კომპლექსის ხსენებული ნაირსახეობანი პოზიციის შესაბამისად არის განაწილებული (თავკიდურა პოზიციაში უპირატესად შეინიშნება ოე → ეე → იე, ბოლოკიდურა პოზიციაში: ოე → უე). ანალოგიურად: ოე კომპლექსის ცვლილება ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი დიალექტების ერთ ნაწილში (ასე, მაგალითად, გურულსა და ინგილოურში): ერთი მხრივ, ეო → იო რეგრესული დისიმილაციით (მეორე → მოორე), მეორე მხრივ, ეო → ოო რეგრესული დისიმილაციით (მეორე → მოორე) და შემდგომი ცვლილებით: ოო → ო → ო (მორე → მორე). ანუ: ორი ურთიერთსაპირისპირო პრაქცი

(ასიმილაცია და დისიმილაცია) თავს იჩენს ერთი და იმავე კომპლექსის ცვლილებისას ერთსა და იმავე დიალექტში.

ხსენებულ კომპლექსთა ცვლილების პოტენცია ამით არ ამოიწურება. თუკი, მაგალითად, ეო კომპლექსი გურულში უკვე დასახელებული ორე ნაირსახეობით დაჩნდება (მეორე → მორე // მოორე: მორე: მორე), ინგილოურში დადასტურებულია უმლაუტიზაციისა და ასიმილაციის შემდგომი დისიმილაციის პროცესებიც; ანუ: ერთი მხრივ, მეორე → მოორე (რეგრესული დისიმილაციით), ხოლო მეორე მხრივ, მეორე → მოორე (რეგრესული ასიმილაციით) → მჭორე (უმლაუტიზაციით, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც ბოლოკიდური ე-ს მიერ, ასევე ე-ო შენაცვლების გამო) → მჭორე (რეგრესული დისიმილაციით), გარდა ამისა, მოორე ფორმაში ხდება ო → ვე, რის კვალობაზე დადასტურებულია შიგვრე ვარიანტიც (დაწერილებით იხ. ქვემოთ).

ამრიგად, როგორც აღინიშნა, ლიაობის მიხედვით იდენტური ხმოვნებით შედგენილ კომპლექსებში შესაძლოა მოხდეს როგორც ასიმილაცია, ასევე დისიმილაცია; თანაც ამ თვალსაზრისით არ განიჩნევა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტები. მაგალითად, ოე → ეე, ერთი მხრივ, და ოე → უე, მეორე მხრივ, დამოწმებულია როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში: გამოეკიდა → გამეეკიდა გეხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დიალექტში, აგრეთვე იმერულსა და რატულში; იმედროულად გამოეკიდა → გამეეკიდა დადასტურდა ქართლურში, კახურში და აგრეთვე იმერულში, რატულში, გურულში, აჭარულში. ამის კვალობაზე, აუცილებელია დაზუსტება: ო და ე ხმოვნები ქართული ენის აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში არ განსხვავდება სიფართოვე-სივიწროვის მიხედვით (ამ ვარაუდის შესახებ იხ. ზემოთ), რადგან ორივე წრის დიალექტებისათვის დამახასიათებელია იდენტური ფონეტიკური ცვლილებანი (ე. კუბლაშვილი). შესაბამისად, იო → ეი (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია: მოიტანა → მეიტანა), შედეგია არა ხმოვნის დავიწროებისა (შდრ.: გაიტანა → გეიტანა, სადაც დავიწროება რეალური ფაქტია), არამედ ო ხმოვნის დელაბიალიზაციისა (სიფართოვე-სივიწროვის, ანუ: აწეულობის მიხედვით ო და ე ხმოვნები იდენტურია ქართული ენის ყველა დიალექტში). ასე რომ, ასიმილაცია (აგრეთვე: დისიმილაცია) შესაძლოა ხდებოდეს არა მხოლოდ ხმოვანთა ლიაობის (აწეულობის), არამედ სხვა ფაქტორების (მონაცემების) მიხედვითაც (დაწერილებით იხ. ქვემოთ).

ეს ნიშნავს: კომპლექსთა ცვლილებებისა და ამ ცვლილებათა დიალექტური განაწილების საკითხი ცალსახად ვერ გადაწყდება...

ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებათა კანონზომიერებების დადგენასა და დაზუსტებას, გარდა ზემოხსენებულისა,

ანდა:

აუ → ოუ → უუ → უ (გაუგეს → გოუგეს → გუუგეს...).

ქართული ენის დიალექტები ამ პროცესების სხვადასხვა საფეხურზეა წარმოდგენილი.

კერძოდ, აე → ეე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, დაჩნდება აგრეთვე იმერულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში. შემდგომი საფეხური: ეე → იე // → აე დამოწმებულია გურულსა და აჭარულში. ეე → ეე დამახასიათებელია თუშურისა და აჭარულსათვის. ეე → ეეე საერთო-ქართული მოვლენაა.

ასევე: ოე → ეე და ეე → იე → აე პროცესების დიალექტური განაწილების თვალსაზრისით ზემოხსენებულის ანალოგიური მდგომარეობაა. რაც შეეხება ოე → უე ცვლილებას, იგი შეინიშნება როგორც აღმოსავლურ, ისევე დასავლურ დიალექტებში. მეტიც: არცთუ იშვიათად ოე → ეე (ან: ოე → ეე → იე) და ოე → უე დაჩნდება ერთსა და იმავე დიალექტში: მოვეხმარე → მევეხმარე // მუეხმარე (ვ-ს ჩავარდნით) ან: ხბოები → ხბეები // ხბუები (ხფეები // ხფუები) ერთმანეთის პარალელურად შეგვხვდება იმერულში. თუმცა არის დიალექტები, სადაც ასეთი პარალელიზმი გამოირიცხება; მაგალითად, კახურში გამოიყენება როგორც საკუთრივ მო — ზმნი-სწინი, ასევე მისი ვარიანტი მა-, შესაბამისად გვექნება: მოეტანა → მუეტანა და მეეტანა → მეეეტანა. ასეთი განაწილების რეალურობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კახურში არ შეინიშნება ხბეები // ხბუები ტიპის პარალელური ფონეტიკური ვარიანტები, ანუ: მაშინ, როცა ოდენ ოე კომპლექსი გვაქვს, დაჩნდება მხოლოდ ოე → უე (კალაები → კალუები, პოეტი → პუეტი, მოველ → მოველ → მუველ). პარალელიზმი გამოირიცხება გარკვეულ პოზიციაში ამა თუ იმ კომპლექსის უქონლობის გამოც. მაგალითად, ხევსურულში ზმნის თავკიდურად, როგორც წესი, არ ივარაუდება ოე კომპლექსის პოენირება, რადგან ამ დიალექტში აშკარა უპირატესობა ეძლევა მა — ვარიანტს (მო — ზმნისწინის ნაცვლად): მაიღებს „მოიტანს“, მაუნდობება „მოუნდომება“, მახმკის „მომკის“, მასჭრის „მოჭრის“, შამასულ „შემოსულა“... ასევე: მაკეთე „მოკეთე“, მამკალი „მომკალი“, მამკლავი „მომკლავი“... ამის კვალობაზე, დაჩნდება ოდენ: მაეკლა → მეეკლა, მეეგება → მეეეგება, შამაეგება → შამეეგება (ანუ: აე → ეე). ამ პოზიციაში ოე (მოეკლა, მოეგება...) კომპლექსის უქონლობის გამო, ბუნებრივია, არცაა მოსალოდნელი მისი უე ნაირსახეობის პოენირება (ინოვაციისა ან იდიოლექტის დონეზე დადასტურებული ოე კომპლექსიც არსებული ტენდენციის გამო ისევე და ისევე ეე ფონეტიკურ ვარიანტს მოგვეცემდა).

აუ კომპლექსი ფონეტიკურად არ იცვლება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (გამონაკლისია თუშური, სადაც სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად

მიღებული იდენტური ხმოვნებისაგან მიღებული უუ კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: უ). აუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე დადასტურებულია რაკულში, იმერულში, ლეჩხუმურში, შეინისნება გურულშიც, შემდგომი ოუ → უუ საფეხური დაჩნდება გურულსა და აჭარულში, ხოლო, თავის მხრივ, აჭარულში პროცესი უფრო შორს მიდის — უუ შეირწყმის გრძელ ხმოვნად: უ (სსგავსად თუშურისა).

2.3. ნებისმიერი ფონეტიკური ცვლილებისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება პოზიციას. ამ მხრივ ზოგადად ქართული ენის დიალექტების ჩვენებათა მიხედვით შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი წესები.

ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები უპირატესად შეინისნება მორფემათა ზღვარზე (ეა → ია: შე-ა-ტყო → ში-ა-ტყო, საცოლ-ე-ა → საცოლ-ი-ა), მაგრამ გვხვდება აგრეთვე ერთი მორფემის (დგ-ომ-ა → დგ-უმ-ა) ან ფუძის (თეატრი → თიატრი, ციაგი → ციეგი, საინი → სეინი) ფარგლებშიც.

ამის კვალობაზე გამოიყოფა სამი ტიპის კომპლექსები:

ა) კომპლექსები, რომელთა ფონეტიკური ცვლილება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე დაჩნდება: აუ → ოუ → უუ (გა-უ-კეთა → გო-უ-კეთა → გუ-უ-კეთა, რა უყავი → რო-უყავი → რუ-უყავი);

ბ) კომპლექსები, რომელთა ცვლილება, როგორც წესი, ერთი მორფემისა ან ფუძის ფარგლებში ხდება: ია → იე (ნიაგი → იმერული: ნიევი, ციაგი → ციეგი); შდრ.: მი-აჭეს → აჭარული: მი-აჭეს (ან-უ: ია → ია, დადასტურებული ოდენ მორფემათა ზღვარზე);

გ) კომპლექსები, რომელთა ცვლილება დადასტურებულია როგორც მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში: აი → იე (გა-ი-კეთა → იმერული: გე-ი-კეთა, შდრ.: საინი → იმერული: სეინი, ქუთაისი → ქუთეისი), ასევე: იე → იე (მი-ე-ტანა → მი-ე-ტანა, შდრ.: *გემრ-იერ-ი → გემრ-იელ-ი → აჭარული: გემრ-იელ-ი).

გარდა ამისა, პოზიცია გულისხმობს იმ ადგილსაც, რომელიც უჭირავს კომპლექსის სიტყვა-ფორმაში. ამ თვალსაზრისით დაჩნდება ორი შესაძლებლობა:

ა) ცვლილება, რომელიც პოზიციურად შეუზღუდავია (შესაძლოა დავადასტუროთ ნებისმიერ პოზიციაში): თავკიდურად (ეა → ია: შეატყო → შიატყო), ფუძეში (ეა → ია: თეატრი → თიატრი), ბოლოკიდურად (მწარეა → მწარია).

ბ) ცვლილება, რომელიც პოზიციის შესაბამისად იზღუდება: ოე → ეე, როგორც წესი, დასტურდება თავკიდურა პოზიციაში (მორფემათა მიჯნაზე: მოენახა → მეენახა, ფუძეში: მოედანი → მეედანი), მაგრამ ფრიად იშვიათია ბოლოკიდურა პოზიციაში

(ზოგ დიალექტში, მაგალითად, იმერულში დადასტურებული ხბოები → ხბეები/ხფე-ები, გურულში პოენიერი: ხფეები → ხფიები ინოვაცია ჩანს და თანაც იშვიათი გამოყენებისაა). შდრ.: ოე → უე დისიმილაციის საფუძველზე, რომელიც პოზიციურად შეუზღუდავია: მოენახა → მუენახა და ხბოები → ხბუები/ხფუები. ეს ფაქტი იმაზეც მიანიშნებს, რომ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ცვლილების სახეობასაც: ზემოხსენებული ოე კომპლექსის ცვლილება ასიმილაციის საფუძველზე პოზიციურად შეზღუდულია, ხოლო იმავე კომპლექსის დისიმილაციური ცვლილება — ფაქტობრივ შეუზღუდავი.

პოზიციური შეზღუდვის წესები შესაძლოა განსხვავებული იყოს დიალექტების მიხედვით. მაგალითად, აე → ეე → იე → მე პროცესი აჭარულში დაჩნდება როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში (დაეკიდა → დეეკიდა → დიეკიდა → დმეკიდა და უსტა „ხელოსანი“ → უსტაები → უსტეები → უსტეები → უსტამები), ხოლო იმერხეულში (არსებული ტექსტების მიხედვით) თავკიდურა პოზიციაში იე კომპლექსს იძლევა, როგორც წესი, პირველადი ეე კომპლექსი (შეეხვეწა → შეიხვეწა, შეეყარა → შეიყარა), რაც შეეხება აე კომპლექსის ცვლილებას, თავკიდურა პოზიციაში იგი შეჩერებულია სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (დაეძინა → დეეძინა), ხოლო ბოლოკიდურა პოზიციაში დასრულებულია რეგრესული დისიმილაციით (თმა → თმაები → თმეებო → თმიები, გაღმა → გაღმაელი → გაღმეელი → გაღმიელი).

ასევე: აი → ეი → იი ცვლილება იმერული დიალექტის სამტრედიულ თქმაში დაჩნდება ოდენ ხმოვანთა უშუალო მეზობლობის დროს (დაიწერა → დეიწერა → დიიწერა), აჭარულში კი — მხოლოდ მაშინ, როცა კომპლექსი გათიშულია ობიექტური პირის ნიშნებით (დამიწერა → დემიწერა → დიმიწერა; და ასე: დიგიწერა, დიკვიწერა). შემდეგ ოე → ეე → იე პროცესი დადასტურებულია ხმოვანთა უშუალო მეზობლობაში, აგრეთვე მაშინ, როცა კომპლექსი გათიშულია ვ – პირის ნიშნით (მოერია → მეერია → მიერია → მოვერიე → მევერიე → მივერიე), მაგრამ იგივე პროცესი იკრძალება, თუკი კომპლექსი გათიშულია მ, გვ — და გ — პირის ნიშნებით — ამ შემთხვევაში ცვლილება ან არ ხდება, ან შეჩერებულია პირველ (ასიმილაციის) საფეხურზე (მოგერიე → მეგერიე).

2.4. ერთი და იგივე კომპლექსი სხვადასხვა დიალექტში (კილოკავში) ფონეტიკური ცვლილებისას შესაძლოა სხვადასხვა შედეგს იძლეოდეს. მაგალითად, ორ მ თანხმოვანს (მ-მ) შორის მოქცეული ო იცვლება ა ხმოვანად ზემოიმერულ კილოკავში (მომივიდა → მამივიდა, მომტანი → მამტანი), მაგრამ უცვლელია ქვემოიმერულსა და გურულში. ზემოიმერულში ამ მხრივ გამონაკლისს ქმნიან მხოლოდ ე. – პრეფიქსიანი ფორმები, რომლებიც პარა-

ლელურ ვარიანტებს გვიჩვენებენ: მომეხმარა → მამეხმარა // მემეხმარა.

შეენიშნათ: ზოგჯერ ერთდროულად დაჩნდება დიალექტური და პოზიციური ნაირსახეობანი. მაგალითად, აჭარულში ოვი კომპლექსი, ჩვეულებრივ, იძლევა ვე ნაირსახეობას (მოვიტანე → მევიტანე); ამ შემთხვევაში ვ — სუბიექტური პირის ნიშანია. მაგრამ: მოვიდა → მოვიდა (ი აქაც იკარგვის, მაგრამ მო-ზმნისწინი ფონეტიკურად არ იცვლება; ვ ფუძისეული ელემენტი); შღრ.: გავიგე → გევეგე, წავიღე → წევეღე, ერთი მხრივ, და გავიდა → გევედა, წევიდა → წევედა, მეორე მხრივ; ორივე შემთხვევაში იდენტური შედეგი გვაქვს. ასე რომ, პოზიცია განსაზღვრული აღმოჩნდა მო — ზმნისწინის გამოყენებისას (მისი ფონეტიკური ცვლილებისა თუ უცვლლობის თვალსაზრისით), ხოლო ნეიტრალური — სხვა ზმნისწინთა მიმართ. ამის საპირისპიროდ, გურულში ყველა შემთხვევაში საერთო წესი მოქმედებს: მოვიტანე → მევიტანე და მოვიდა → მევიდა.

2.5. ფონეტიკურ ცვლილებებზე გავლენას ახდენს კომპლექსში შემავალი ხმოვნების ფიზიოლოგიური მახასიათებლები (ყ. კუბლაშვილი). ეს გავლენებიც განსხვავებულია დიალექტების მიხედვით. მაგალითად, ქვემოიმერულში „ფიზიოლოგიურად ერთიმეორესაგან ძალზე დაცილებული“ ა და უ ხმოვნებით შედგენილ კომპლექსში, ჩვეულებრივ, არ ხდება სრული რეგრესული ასიმილაცია — დაჩნდება ნაწილობრივი ასიმილაცია (დაუძახა → დოუძახა), მაშინ, როცა სრული ასიმილაცია განხორციელებულია ამ თვალსაზრისით ახლა მდგომი ო და უ ხმოვნებით შედგენილ კომპლექსში (მოუტანა → მუუტანა). ამის თაობაზე იხ. აგრეთვე ქვემოთ: 2.24.

2.6. პოზიციის შესაბამისად ფონეტიკური ცვლილების განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული აგრეთვე ხმოვანთა ურთიერთობა მანძილის მიხედვით (კონტაქტური და დისტანციური). მაგალითად, აე → ეე → იე პროცესი დასაშვებია როგორც ა და ე ხმოვანთა უშუალო მეზობლობის დროს, ასევე მაშინ, როცა კომპლექსში ჩართულია ვ თანხმოვანი — პირის ნიშანი ან ფუძისეული ელემენტი (დაეწია → დეეწია → დიეწია; დაეწიე → დეეწიე → დიეწიე; ჩავედი → ჩევედი → ჩივედი), მაგრამ არ ხდება, თუ ხმოვანთა კომპლექსი გათიშულია მ-, გვ-, გ. — პირის ნიშნებით ან ფუძისეული თანხმოვნებით; ასეთ შემთხვევებში კომპლექსი ან საერთოდ უცვლელია, ან ფონეტიკური ცვლილება შეჩერებულია პირველ (ასიმილაციის) საფეხურზე: დამეწია // დემეწია, დაგემართა // დეგემართა... (თუმცა ფონეტიკური შესაძლებლობის თვალსაზრისით არ გამოირიცხება *დემეწია, *დეგემართა და მისთანა ფორმები).

დიალექტები შესაძლოა ამ მხრივაც იძლეოდნენ განსხვავებულ ჩვენებებს. მაგალითად, აი → ეი → იი დამოწმებულია აჭარულშიც და ქვემოიმერულშიც (სამტრე-

დიულ თქმაში), მაგრამ აჭარულში იგი დასტურდება მხოლოდ დისტანციური ურთიერთობის დროს (თანაც მაშინ, როცა კომპლექსი გათიშულია მ-, გვ-, გ — პირის ნიშნებით) — ხოლო ქვემოიმერულში — ოდენ კონტაქტური მეზობლობისას (გამონაკლისს ქმნის ვ-პირის ნიშანი, რომელიც პრაქტის ვერ აბრკოლებს, ოღონდ ამ დროს, ჩვეულებრივ, ხდება მეტათეზისი და, ამდენად, ხმოვნები მაინც უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდებიან).

ასე რომ, აჭარულსა და ქვემოიმერულში ერთი და იმავე ზმნის პარადიგმა ფონეტიკური თვალსაზრისით ასე წარმოგვიდგება:

აჭარული:	ქვემოიმერული (სამტრედოული):
სუბიექტური წყობა:	
I პირი: დევიჟირე „დავიჟირე“	დევიჟირე → // დიევიჟირე
II პირი: დემჟირე	დიიჟირე
III პირი: დემჟირა	დიიჟირა
ობიექტური წყობა:	
I პირი: დიმიჟირა	დამიჟირა
II პირი: დიგიჟირა	დაგიჟირა
II პირი: დემჟირა	დიიჟირა.

ერთი და იგივე ფონეტიკური პრაქტისი პრინციპულად განსხვავდა დიალექტების მიხედვით, რაც გამოვლინდა ნაირგვარი შედეგით ხმოვანთა კონტაქტური და დისტანციური ურთიერთობისას.

2.7. ზოგი ფონეტიკური ცვლილება დაჩნდება მხოლოდ რომელიმე დიალექტში ან დიალექტების განსაზღვრულ წრეში (მდრ. აქვე, ზემოთ: 2.4).

უნდა განიჩინოს ორი შემთხვევა.

ფონეტიკური ცვლილება, რომელიც საერთო უნდა ყოფილიყო ქართული ენის დიალექტებისათვის, მაგრამ ამჟამად მოქმედია (შემორჩა) მხოლოდ რამდენიმე დიალექტში. მაგალითად, უმლაუტიანი რ და უ სისტემებზე დადასტურებულია ინგილოურში. ნაკლები სიხშირით გვხვდება მოხეურში, მესხურში, ფერეიდნულში, აგრეთვე სამხრეთ ქართლურში. ძირითადად ესაა ვე → რ და ვი → უ (უფრო ზუსტად: უე → რე უი → რე) ცვლილების შედეგი (კერცხი → კორცხი, წვიმა → წუმა). იმ დიალექტებში, სადაც უმლაუტი მოშლის გზაზეა დამდგარი, ორი შედეგი გვაქვს: დეპალატალიზაცია (კორცხი → კორცხი, წუმა → წუმა: მესხური, სამხრეთ ქართლური) და დელაბიალიზაცია (კორცხი → კერცხი, წუმა → წიმა: ფერეიდნული). არცთუ იშვიათად უმლაუტიანი და დეუმლაუტიზებული ხმოვნები ერთმანეთის

პარალელურად დაჩნდება. იმ დიალექტებში, რომლებშიც ამ მხრივ მერყეობა შეინიშნება.

იმავდროულად ამ რიგის პარალელური ვარიანტები შესაძლებელს ხდის ადვადგინოთ ამჟამად უმლაუტის უქონელ დიალექტებში ამა თუ იმ ფორმისათვის ფონეტიკური ცვლილების განვლილი საფეხური. მაგალითად, მესხურში დადასტურებული აძვიე ფორმისთვის ასეთი გზა ივარაუდება: აძოვე → აძოე → აძჷე → აძვიე (ჷ → ვი შენაცვლების საფუძველზე), ასევე: კალო → კალოები → კალჷ ები → კალოები // კალოები. მესხური იმ დიალექტთა რიგს განეკუთვნება, რომლებშიც უმლაუტი ახლაც დაჩნდება.

ანალოგიური მოვლენა (ათხოვე → ათხოე → ათხოეე // ათხვიე ან დატოვე → დატოე → დატოეე / დატიე), დადასტურებული იმ დიალექტებში (მაგალითად, გურულში), რომლებშიც უმლაუტი ამჟამად არა გვაქვს, გვავარაუდებინებს ზემოდასახელებულ შემთხვევათა მსგავსად აქაც გარდამავალი უმლაუტიზებული საფეხურის შესაძლო პოზიციურებას (*ათხჷე ე → ათხვიე, * დატჷე ე → *დატვიე → დატიე).

გარდა ამისა, გვაქვს ისეთი ფონეტიკური ცვლილებებიც, რომლებიც როგორც ითქვამს, იმთავითვე მხოლოდ რომელიმე დიალექტისა ან დიალექტთა გარკვეული ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. ეს დგინდება სხვა დიალექტებში ანალოგიებისა ან შესაძლო შედეგების უქონლობით.

მაგალითად, გვ — (გჷ -) პირის ნიშნისეული ვ ელემენტისა და ზმნის ხმოვანი პრეფიქსების ურთიერთობის საფუძველზე მიღებული ხმოვნის მაასიმილირებელი ზეგავლენა ზმნისწინისეულ ხმოვანზე შეინიშნება მოხეურში, მთიულურსა და ფერეიდნულში: და-გვ-ა-ხმარ-ა → და-გო-ხმარ-ა → დო-გო-ხმარ-ა, და-გვ-ე-ხმარ-ა → და-გჷ-ხმარ-ა → დჷ-გჷ-ხმარ-ა, და-გვ-ი-ხმარ-ა → და-გჷ-ხმარ-ა ო დრ-გჷ-ხმარ-ა // დო-გჷ-ხმარ-ა (მოხეური), და-გვ-ა-კლდ-ა → და-გო-კლდ-ა → დო-გო-კლდ-ა (მთიულური), წა-გვ-ართვ-ა → წა-გო-ართო → წო-გო-ართო, წა-გვიყვან-ა → წა-გუ-ყვან-ა → წუ-გუ-ყვან-ა // წუ-გუ-ყონ-ა, წამო-გვ-ი-ყვან-ა → წამო-გუ-ყვან-ა → წუმუ-გუ-ყვან-ა // წუმუ-გუ-ყონ-ა (ფერეიდნული).

უშუალოდ ვ — (I სუბიექტური) და გვ — (მრავლობითი რიცხვის I ობიექტური) პირის ნიშნები ცვლიან ზმნისწინისეულ ხმოვნებს ინგილოურსა და ფერეიდნულში: და-ვ-წვი → დოჰ-ვ-წი, და-ვ-ი-ნახ-ე → დო-ე-ნახ, წა-ვ-ა-ქციე → *წო-ა-ქციე → წუ-ა-ქციე (ოა → უა დისიმილაციით), ა-გვ-ტვიე-და → ო-გ-ტვიე-და (ინგილოური), ა-ვ-რვე → ო-რვე (ფერეიდნული).

რთული ზმნისწინის შემადგენელი ო ხმოვანი სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის წინამავალ ხმოვანს ინგილოურში: ამოდ-ის → ომოდ-დის, გამო-ჩნდა → გომოდ-ჩნდა, შემო-ვიდა → შომოდ-ვიდა... ცვლილება ხდება როგორც

იდენტური (თანაბარი) ლიაობის (ე-ო), ასევე ამ ნიშნით განსხვავებული (ა-ო) ხმოვნების შეხვედრისას. ანალოგიური ვითარებაა ფერეიდნულში უ — ხმოვანპრეფიქსიან ზმნებში: ამოუკივლა → ომოუკივლა. ამისგან განსხვავებით, ჭავჭავურში ანალოგიური ცვლილება შენიშნულია ოდენ თანაბარი ლიაობის ხმოვანთა (ე-ო) მიმართებისას: შემო-ხვდა → შომო-ხვდა, შემო-იკრა → შომო-იკრა...

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (იმერულში, გურულში, აჭარულში) დამოწმებულია დისტანციური დისიმილაციის თავისებური შემთხვევები: აა → აა // აე (წამალი → წემალი, არაკი → არეკი, ამაღამ → ამეღამ, სანამ → სანემ, არაკაცი → არეკაცი, აბგა → ებგა), აა → აი (ლაპარაკი → ლაპარიკი, ამხანაგი → ამხანიგი). ამასთანავე დასტურდება იმ რიგის დისიმილაციაც, რომელიც დაჩნდება ხმოვანთა კონტაქტური მეზობლობისას: ეე → იე (ბეჭედი → ბიჭედი, ტელეფონი → ტილეფონი და მისით).

2.8. ფონეტიკური პროცესები შესაძლოა იზღუდებოდეს მორფოლოგიური ფაქტორით (ანუ: მორფოლოგია გარკვეულ შემთხვევაში არეგულირებს ფონეტიკურ ცვლილებებს). ეს ნიშნავს: ერთსა და იმავე პოზიციაში ფონეტიკურად იდენტური კომპლექსი განსხვავებულად იქცევა იმის მიხედვით, თუ მორფოლოგიურად რა დანიშნულებისა არის მისი შემადგენელი ხმოვნები. მაგალითად, თავკიდურა პოზიციაში ფონეტიკური ცვლილება, ჩვეულებრივ, დაჩნდება მაშინ, როცა ერთმანეთს ხვდება ზმნისწინისეული და ზმნის ხმოვანი პრეფიქსი: წა-ი-ლ-ო → წე-ი-ლ-ო, წა-უ-ლ-ო → წო-უ-ლ-ო... მაგრამ იგივე აი და აუ კომპლექსები უცვლელია, თუ შედგენილია სიტყვათწარმოებითი პრეფიქსის ხმოვნითი ელემენტისა და ფუძისეული ხმოვნისაგან: სა-იდუმლ-ო, სა-ურმ-ე, ნა-ურმ-ალ-ი... შევნიშნავთ: მიუხედავად იმისა, რომ დიალექტების უმეტესობაში ეს წესი რეალურად მოქმედია, ზოგიერთ დიალექტში ამ რიგის კომპლექსებშიც ხდება ფონეტიკური ცვლილება (იხ. აქვე, ქვემოთ).

ამდენად, ზმნისწინისეული ხმოვნის ცვლილებას, როგორც წესი, ახდენს ზმნის ხმოვანი პრეფიქსი (აი → ეი: დაინახა → დეინახა, აუ → ოუ → უუ: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა), მაგრამ ვერ ცვლის ფუძისეული ხმოვანი (დაინტერესება, დაიმედდა, გაუთოვება). ზმნისწინისეულ ხმოვანს, ჩვეულებრივ, ვერ ცვლიან აგრეთვე ის ხმოვნები, რომლებიც ზმნის ფუძედ გამოყენებულ სახელთა მაწარმოებელი (ანუ: სიტყვათწარმოებითი) პრეფიქსებია; შდრ., ერთი მხრივ, აუ → ოუ → უუ: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა (სადაც უ — ზმნის ხმოვანი პრეფიქსია), და, მეორე მხრივ, გაუკეთესდა (უკეთესი გახდა), გაუარესდა (← უ-კეთ-ეს-ი, უ-არ-ეს-ი), სადაც უ — არის ხარისხის მაწარმოებელი პრეფიქსი. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ფონეტიკური ცვლილება ზოგჯერ მაშინაც შეიძლება მოხდეს, როცა ფორმაში სიტყვათწარმოებითი პრეფიქსია წარმოდგენილი: და-უ-ნახავ-ი → იმერული, გურული:

დო-უნახავ-ი → დუ-უ-ნახავ-ი (← უ-ნახავ-ი, სადაც უ — უარყოფის გამომხატველ მიმდებარე ფორმათა მაწარმოებელია).

დაჩნდება შემთხვევები, როცა ფონეტიკურ პროცესს იწვევს მორფოლოგიური გადაზრინება: ზღვარ-ი → მზღვარ-ი (მ ჩნდება მ — არ კონფიქსის ანალოგიით); შდრ.: საზღვარი → სამზღვარი // სამძღვარი; ასევე: წყნარ-ი → მწყნარ-ი და მისთ. ან: უ-ხეირ-ო → უ-ხეურ-ო (ქართლური), ჩანს, უ-ურ კონფიქსის ანალოგიით (შდრ.: უ-დღე-ურ-ი და მისთ.).

როგორც ითქვა, ფონეტიკური პროცესების მორფოლოგიური ფაქტორებით რეგულირების წესები შესაძლოა განსხვავებული იყოს დიალექტების მიხედვით. მაგალითად, თიანურში მრავლობითობის — ებ სუფიქსის დართვისას ხდება წინამავალი სუფიქსისეული — ა ხმოვნის გადაბგერება: ასკილ-ი → ასკილა → ასკილაები → ასკილეები, მაგრამ — ა იკვეცება, თუკი იგი ფუძის გამოუნაწევრებელი ელემენტია: პანტა → პანტები (გ. ცოცანიძე). ამის საპირისპიროდ, აჭარულში ფონეტიკურ გადაბგერებას განიცდის ფუძის მორფოლოგიურად გამოუნაწევრებელი ხმოვანიც (ყანა → ყანაები → ყანეები → ყანები → ყანები, და ასე: მთა → თაები → თაები, ლოყა → ლოყაები → ლოყაები), მაგრამ არც გადაბგერდება და არც იკვეცება — ა ელემენტი რა, რაცხა, ვინცხა... ფორმებში (რაები, რაცხაები, ვინცხაები).

ასევე: როგორც აღინიშნა, თავიკიდურა პოზიციაში ფუძისეული ან სიტყვათმაწარმოებელი მორფემისეული ხმოვანი, ჩვეულებრივ, ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის (საერთო, საეგებო). მაგრამ, მაგალითად, ლეჩხუმური ამ მხრივ განსხვავებულ ჩვენებას იძლევა — ხდება სრული რეგრესული ასიმილაცია: საერთო → სეერთო, საეგებო → სეეგებო (შდრ.: ჩაერთო → ჩეერთო, სადაც დაჩნდება ზმნისწინისეული და ზმნის პრეფიქსული ხმოვნები). ასევე ზემოიმერულში დამოწმებულთა ეუ → ოუ მაშინ, როცა უ ფუძისეულია: ეუბნება → ოუბნება, გეუბნება → გოუბნება.

2.9. ფონეტიკურ პროცესს არეგულირებს სემანტიკაც. მაგალითად, გურულში ოე → ეე → იე პროცესი მიმართულების გამომხატველ ზმნებში, ჩვეულებრივ, შეჩერებულია პირველივე (ეე) საფეხურზე — მი.— ზმნისწინიანი ფორმებისაგან გასამიჯნავად: მოეტანა → მეეტანა, შდრ.: მიეტანა (ობოზიციას ჭმნის მე-მი-). იქ კი, სადაც აღრევის შესაძლებლობა არ არსებობს, პროცესი ბოლომდე მიყვანილი: მოეწყო → მეეწყო → მიეწყო.

ამდენად, აქ ივულისხმება ის შემთხვევები, როცა ხდება ფონეტიკური ცვლილების შეზღუდვა (რეგლამენტაცია) სემანტიკური ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად.

შემდეგ: მოხეურში ჩვეულებრივი მოვლენაა უმლაუტიანი ხმოვნის დეუმლაუ-

ტიზაცია (დეპალატალიზაციის გზით): რ → ო, მაგრამ პროცესი იზღუდება მაშინ, როცა ამ რიგის ოპოზიცია გრამატიკულ ან ლექსიკურ მნიშვნელობებს განასხვავებს; შდრ.: დაგვახმარა → დაგოხმარა → დოგოხმარა, მაგრამ: დაგვეხმარა → დაგრხმარა → დგრხმარა; შესაბამისად: დოგოხმარა და დგრხმარა (// დოგრხმარა) ისევე უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც დაგვახმარა და დაგვეხმარა.

შეენიშნავთ, რომ, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ცვლილება მაინც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, მუუტანა ფორმით გურულში შესაძლოა გამოიხატებოდეს როგორც მოუტანა, ასევე მიუტანა. ამის კვალობაზე, ასეთ შემთხვევებში საჭმე გვაქვს პროცესის მეტ-ნაკლებ შეზღუდვასთან და არა სრულ აკრძალვასთან.

2.10. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების რეგულაციას გარკვეულ წილ შესაძლოა ახდენდეს ზესეგმენტიური მონაცემიც — მახვილი. მაგალითად, მახვილი არეგულირებს უ და ჭ (ე) ბგერების განაწილებას: ჭვ , მაგრამ: ჭუ ა; ასევე: აქაწრობა → აქაწრობა (მესხური, აჭარული...). მახვილის შედეგი ჩანს ოი, აი კომპლექსთა ფონეტიკური ნაირსახეობანი გურულსა და აჭარულში: მოიტანა → მეიტანა (გურული), მაგრამ: მეიტანა → მეეტანა (აჭარული); ანალოგიურად: წაილო → წეირლო (გურული), მაგრამ: წეიმლო (აჭარული). აე კომპლექსი გურულში ცალსახად იძლევა იე ნაირსახეობას (გაეტანა → გეეტანა → გიეტანა), აჭარულსა და (აგრეთვე) მესხურში ორი შესაძლებლობაა: გაეტანა → გეეტანა → გიეტანა (გაეტანა // გე ტანა (თუმცა უპირატესობა იე ვარიანტს ეძლევა). ივულისხმება: გაეტანა → გეეტანა → გე ტანა, მაგრამ: გეეტანა → გიეტანა (→ აჭარული: გგეტანა). ამის კვალობაზე, ივარაუდება მოძრავი მახვილის მქონებლობა აჭარულსა და მესხურში. თუმცა არ გამოირიყება სხვაგვარი ახსნაც: ფონეტიკურ ნაირსახეობათა მიზეზი არის არა მოძრავი, არამედ განსხვავებული ტიპის მახვილი (ყრძოდ, დინამიკური და ტონური) ანდა მახვილის რომელიმე სახეობის ვარიანტები (მაგალითად, დინამიკურისა — ძლიერი და სუსტი)...

2.11. აღინიშნა, რომ ყოველი ფონეტიკური ცვლილება (აი → ეი → იი, აე → ეე → იე...) განიხილება როგორც ერთიანი პროცესი. თითოეული მათგანი რამდენიმე საფეხურისაგან შედგება (საწყისი და შემდგომ — ცვლილების საფეხურები). ყოველ საფეხურზე წარმოდგენილია ფონეტიკური ცვლილების გარკვეული სახეობა: სრული ან ნაწილობრივი ასიმილაცია, დისიმილაცია, იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვნად (იხ. აქვე, ზემოთ: 2.2).

ამის კვალობაზე, ქართული ენის დიალექტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია არა მხოლოდ ხმოვანთა ცვლილებების ინტენსივობით (მაგალითად, აუ კომპლექსი, უცვლელია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, მაშინ, როცა, როგორც წესი, ფონეტიკურად იცვლება დასავლურ კილოებში), არამედ იმითაც, თუ ცვლი-

ლების რომელ საფეხურზეა წარმოდგენილი თითოეული მათგანი.

ნიმუშად დავსახელებთ ასიმილაციისა და დისიმილაციის შემთხვევებს.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელია ერთსაფეხურიანი სრული რეგრესული ასიმილაცია: დაემართა → დეემართა, მიუთვლის → მუუთვლის ... ჭალაები → ჭალეები, მუშაობს → მუშოროს...

ასიმილაცია, ჩვეულებრივ, დაჩნდება ორი სახისა: ვიწრო ხმოვანი ავიწროებს წინამავალ ფართო ხმოვანს (აე → ეე), ლაბიალური ხმოვანი იწვევს წინამავალ ხმოვანს ლაბიალიზაციას (იუ → უუ); გვაქვს ორივე შესაძლებლობის ერთდროული რეალიზაციის შემთხვევებიც (აო → ოო).

თუ ზემოდასახელებულ პირობათაგან (ასიმილაცია — ერთსაფეხურიანი, სრული, რეგრესული) რომელიმე ირღვევა, ფონეტიკური პროცესი, როგორც წესი, არ განხორციელდება. კერძოდ, აღმოსავლურ დიალექტებში დაუშვებელია აუ → ოუ, რადგან ცვლილება კი არის ერთსაფეხურიანი, მაგრამ ასიმილაცია ნაწილობრივია (და არა სრული); არ ივარაუდება აუ → ოუ → უუ იმის გამო, რომ სრული ასიმილაცია განხორციელებულია ცვლილების მეორე (და არა პირველივე) საფეხურზე. რაც შეეხება ოუ → უუ პროცესს (მოუტანა → მუუტანა), თუმცა ზემოხსენებულ პირობებს აკმაყოფილებს (სრული რეგრესული ერთსაფეხურიანი ასიმილაცია), იგი იზღუდება სემანტიკური ფაქტორის გამო: დაემთხვეოდა იუ → უუ ცვლილების საფუძველზე მიღებულ ფორმას (მიუტანა → მუუტანა).

იმავდროულად ამ თვალსაზრისით ზოგიერთ აღმოსავლურ დიალექტში განსხვავებული ვითარებაა.

თუ შერში ზმნის თავკიდურა პოზიციაში ყოველთვის დაჩნდება სრული ასიმილაცია — როგორც ერთსაფეხურიანი (დაემართა → დეემართა), ასევე ორსაფეხურიანი (გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა); საბოლოოდ კი ორივე შემთხვევაში ვიღებთ გრძელ ხმოვანს (დუჯ მართ, გუჟყვთ).

სამხრეთ ქართლურში ბოლოკიდურა პოზიციაში ერთსაფეხურიანი სრული ასიმილაციის შემდეგ შესაძლოა დაჩნდეს რეგრესული დისიმილაცია (აე → ეე → იე: ჭალა → ჭალაები → ჭალეები → ჭალეები). უპირატესად მაინც პირველადი ეე იცვლება (ტყეები → ტყიები).

რაც შეეხება მესხურს, რომელიც ქართული დიალექტების სამხრეთ-დასავლურ შტოს წარმოადგენს, მაგრამ გარკვეულ წილ აღმოსავლური დიალექტების ტიპსაც განეკუთვნება, აქ (ისევე როგორც აჭარულსა და გურულში) ერთსაფეხურიანი ასიმილაციის შემდგომ დისიმილაცია დასტურდება როგორც თავკიდურა (დაემართა → დეემართა → დიემართა), ასევე ბოლოკიდურა (ჭალაები → ჭალეები → ჭალეები). ასე რომ, აღმოსავლური დიალექტებისათვის ნიშანდობლივი საერთო წესიდან

გადახვევა ხდება მარგინალურ (განაპირა) დიალექტებში, რომლებზეც გავლენას ახდენს ან სხვა ენა (მაგალითად, ბაცური თუ შურხე), ან სხვა დიალექტი (იგულისხმება აჭარულის კონტაქტი მესხურთან და ამ გზით სამხრეთ ქართლურთან).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ასიმილაციის თვალსაზრისით შეზღუდვა არსებითად არა გვაქვს: დამოწმებულია როგორც ერთსაფეხურიანი (იუ → უუ: მიუტანა → მუუტანა, აე → ეე: დაემართა → დეემართა), ასევე ორსაფეხურიანი (აუ → ოუ → უუ: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა, დაიწერა → დეიწერა → დიიწერა), გარდა ამისა, ნაწილობრივი (დაიწერა → დეიწერა, გაუკეთა → გოუკეთა) და სრული (მოუტანა → მუუტანა, დაიწერა → დეიწერა → დიიწერა) ასიმილაციის შედეგი.

შეენიშნავთ: დასავლური დიალექტები ზოგჯერ განსხვავდება კიდევაც ერთმანეთისაგან ასიმილაციის კონკრეტულ ნაირსახეობათა მიხედვით. მაგალითად, გურულში აუ კომპლექსი იცვლება როგორც ნაწილობრივი (გაუკეთა → გოუკეთა), ასევე სრული (გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა) ასიმილაციის საფუძველზე, ხოლო აი კომპლექსისათვის დამახასიათებელია ოდენ ნაწილობრივი ასიმილაცია (გაიკეთა → გეიკეთა); იმერულში აუ კომპლექსი უპირატესად ნაწილობრივი ასიმილაციის გზით იცვლება, ხოლო აი კომპლექსი ერთ-ერთ თქმაში (სამტრედიულში) სრულ ასიმილაციასაც გვიმოწმებს (დაიწერა → დეიწერა → დიიწერა). ასიმილაციის შემდგომ დისიმილაცია (აე → ეე → იე: დაემართა → დეემართა → დიემართა) გვაქვს გურულსა და აჭარულში (როგორც ითქვა, ანალოგიური ვითარებაა მესხურშიც და გარკვეულ შემთხვევებში სამხრეთ ქართლურშიც). უცხია იგი სხვა დასავლური დიალექტებისათვის. სხვაობა დაჩნდება ერთი დიალექტის ფარგლებშიც კილოკავების დონეზე. მაგალითად, რაჭული დიალექტის რიგნისთაური და გლოლური კილოკავებისათვის არ არის დამახასიათებელი აუ კომპლექსის ცვლილება, ქვემორაჭულში, პირიქით, აუ → ოუ (აუტანა → ოუტანა, გაუნათლებელი → გოუნათლებელი) გავრცელებული პროცესია, შეინიშნება ზემორაჭულშიც. მიუხედავად ამ რიგის ყრძო შემთხვევებისა, ზოგადი ტენდენცია დასავლურ დიალექტებს არსებითად საერთო აქვს.

ანალოგიური ვითარებაა დისიმილაციის შემთხვევაშიც.

აღმოსავლურ დიალექტებში დისიმილაციის დროსაც ძირითადად ერთსაფეხურიანი ცვლილებაა დამოწმებული (ეა → ია: შეატყო → შიატყო, ოე → უე: მოეწონა → მუეწონა, ეზოები → ეზუები), რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს შემდგომი ცვლილების შესაძლებლობას (მაგალითად, მესხურში: აძოვე → აძივე → აძიე → აძიე -- უ → ვი შენაცვლების გზით).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებშიც ფართოდ არის გავრცელებული ამ სახის დისიმილაცია, დაჩნდება აგრეთვე განმსგავსება ასიმილაციის შემდგომ საფეხურზე: აე → ეე → იე: დაემართა → დეემართა → დიემართა (აღინიშნა, რომ ეს მოვლენა დასავლური დიალექტებიდან გურულსა და აჭარულისათვის არის დამახასიათებ-

ლი); შეინიშნება დისიმილაციური პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებაც (დემარტა → აქარული; დემარტა).

აღმოსავლური დიალექტებიდან ასიმილაციის შემდგომ დისიმილაცია ოო კომპლექსში გვხვდება ინგილოურში (აო → ოო → უო: მუშაობს → მუშოობს → მუშუობს // მუშუოვს). სპორადულად თავს იჩენს აე → ეე → იე პროცესიც (დოსტაშნაები „მეგობრები“ → დოსტაშნეები → დოსტაშნიები). ამ შემთხვევაშიც მარგინალურ (განაპირა) კილოსთან გვაქვს საქმე.

შეენიშნავთ: ოო → უო პროცესი არც სხვა ქართული დიალექტებისათვის არის უცხო (ითხოვოს → ითხოოს → გურული: ითხუოს; აძოვოს → აძოოს → სამხრეთ ქართლური: აძუოს), მაგრამ აქ ოო არ არის რეგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებული კომპლექსი.

2.12. ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთა ცვლილება ძირითადად ხდება ასიმილაციისა და დისიმილაციის საფუძველზე, დაჩნდება სპორადული შენაცვლებაც (სუბსტიტუცია). გარდა ამისა, დამოწმებულია ხმოვანთა გაჩენისა და დასუსტება-დაკარგვის (რედუქციის), აგრეთვე მეტათეზისის შემთხვევები. ზოგად კანონზომიერებათა თვალსაზრისით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.13. როგორც ასიმილაცია, ასევე დისიმილაცია ძირითადად ხდება ორი მარკერის (სადიფერენციაციო ნიშნის) მიხედვით; კერძოდ, ესაა ლოკალური რიგი (საწარმოთქმო ადგილი) და ლიაობა (აწეულობა).

პირველი მარკერის მიხედვით გამოიყოფა სამი რიგის ხმოვნები: წინა (ი, ე), შუა (ა) და უკანა (ო, უ).

ასევე სამი სახის ხმოვნები გვაქვს აწეულობის (ლიაობის) მიხედვით: მაღალი (ი, ე), საშუალო (ე, ო) და დაბალი (ა). შეენიშნავთ: ო ზოგ პოზიციაში დაბალი აწეულობის ხმოვნადაც განისაზღვრება (თ. უთურგაიძე).

ამის კვალობაზე, ყველაზე ღია (ფართო) ხმოვანია ა, ყველაზე ვიწრო ხმოვნები ი და უ, საშუალო ლიაობისაა ე და ო.

გარდა ამისა, ხმოვნები შეიძლება განისაზღვროს სხვა მარკერების მიხედვითაც. კერძოდ, ქართულში დაჩნდება ხმოვნები: ლაბიალური (ო, უ) და პალატალური (ე, ი). ა ნეიტრალურია ამ თვალსაზრისით (დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. ზემოთ: ნაკვეთი..., 1.3).

ქართული ენის დიალექტებში ერთდროულად შეიძლება შეიცვალოს ერთი (რიგი, აწეულობა) ან ორი (რიგი და აწეულობა) მარკერი. რაც შეეხება ლაბიალობისა და პალატალობის მიხედვით შენაცვლებას, ისინი უნდა განისაზღვროს როგორც თანამდევი ლოკალური რიგის ცვლილებისა; ეს კი ნიშნავს: ლოკალური რიგის (საწარმოთქმო ადგილის) ცვლა გულისხმობს ლაბიალობის ან პალატალობის ნიშნის

მიხედვით ცვლილებასაც.

ასიმილაცია ლოკალური რიგის მიხედვით: ოე → ეე (მოეტანა → მეეტანა), თანმხლებია პალატალიზაცია (დელაბიალიზაცია); ოუ → უუ (მოუტანა → მუუტანა), თანმხლებია ლაბიალიზაცია. პირველ შემთხვევაში წინა რიგის ხმოვანმა (ე) გამოიწვია უკანა რიგის ხმოვნის (ო) საწარმოთქმო ადგილოს შეცვლა, მეორე შემთხვევაში უკანა რიგის ხმოვანი (უ) იწვევს წინა რიგის ხმოვნის (ი) ანალოგიური პრინციპით ცვლილებას. ანალოგიურად დაისმის საკითხი ეო → ოო (მეორე → მოორე, შემოხვდა → მომოხვდა) ასიმილაციის დროსაც.

ასიმილაცია ლიაობის (აწეულობის) მიხედვით: ეი → იი (შეიტანა → შიიტანა), ოუ → უუ (მოუტანა → მუუტანა). ორივე შემთხვევაში ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში ვიწრო (მაღალი აწეულობის) ხმოვანმა (ი, უ) გამოიწვია საშუალო ლიაობის (აწეულობის) ხმოვნის (ე, ო) დავიწროება, ანუ: აწეულობის შეცვლა. ლაბიალობის ან პალატალიზაციის მიხედვით ცვლილება არ ხდება.

ასიმილაცია ერთდროულად ლოკალური რიგისა და ლიაობის (აწეულობის) მიხედვით: აე → ეე (გაეტანა → გეეტანა), აი → ეი → იი (გაიტანა → გეიტანა → გიიტანა), აუ → ოუ → უუ (გაუტანა → გოუტანა → გუუტანა). პირველ შემთხვევაში დაბალი აწეულობის ხმოვანი (ა) შეცვალა საშუალო აწეულობის ხმოვანმა (ე), რამაც გამოიწვია ლოკალური რიგის ცვლა. ანალოგიური ვითარებაა მეორე და მესამე შემთხვევებშიც იმ განსხვავებით, რომ პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს აწეულობის ცვლის (დავიწროების) საფუძველზე (ეი → იი, ოუ → უუ), ანუ: აქ უკვე ოდენ აწეულობის მიხედვით ცვლილებასთან გვაქვს საქმე. პალატალიზაცია ან ლაბიალიზაცია დაკავშირებულია მხოლოდ ლოკალური რიგის შეცვლასთან.

ლოკალური რიგისა და აწეულობის მიხედვით ასიმილაცია შესაძლოა თანამდევ პროცესად დაჩნდეს: ეუ → ოუ → უუ (შეუტანა → შოუტანა → შუუტანა). პირველ საფეხურზე (ეუ → ოუ) იცვალა ლოკალური რიგი (წინა წარმოების ე → უკანა წარმოების ო), მეორე საფეხურზე — აწეულობა (საშუალო აწეულობის ო → მაღალი აწეულობის უ).

მსგავსი ვითარებაა დისიმილაციის შემთხვევაშიც.

დისიმილაცია ლოკალური რიგის მიხედვით: უო → იო (მუშაობს → მუშოობს → ინგილოური: მუშოვს → მუშოვს). თანამდევ პროცესია დელაბიალიზაცია (უ → ი), რის შედეგად დაჩნდება პალატალური ხმოვანი (ი). ასე რომ, უკანა რიგის ხმოვანთა (უო) განმსგავსებამ თავისთავად გამოიწვია დისიმილაცია ლაბიალობის თვალსაზრისითაც. (შეწინაშინავთ, რომ ოდენ ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაცია იშვიათი მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში, თანაც დაჩნდება მეორეულ კომპლექსში (აო → ოო → უო); ანუ: ამ შემთხვევაში უსწრებს ჯერ ასიმილაცია (აო → ოო) შემდეგ კი დისიმილაცია აწეულობის მიხედვით (ოო → უო).

დისიმილაცია ღიაობის (აწეულობის) მიხედვით: ეე → იე (შეეტანა → შიეტანა), ეა → ია (შეატანა → შიატანა), ეო → იო (შეეორე → შიეორე), ოო → ეო (ათხოვოს → ათხოოს) → ათხოუს), ოა → ეა (გამოატანა → გამეუატანა), ოე → ეე (გამოეტანა → გამეუეტანა)... ყველა დასახელებულ შემთხვევაში ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში ხდება ფართო ან საშუალო ღიაობის (დაბალი ან საშუალო აწეულობის) ხმოვნის შეცვლა უფრო ვიწრო (მაღალი აწეულობის) ხმოვნით (ე → ი, ო → ე). ცვლილების გამომწვევი შეიძლება იყოს როგორც იმავე, ასევე სხვა ლოკალური რიგის ხმოვანი (ეე, ოო... ეა, ეო...).

დისიმილაცია ერთდროულად ლოკალური რიგისა და ღიაობის (აწეულობის) მიხედვით: ეე → აე (ეგებ → ხევსურული: აგებ), ოო → აო (საბოლოო → საბოლოა), ოუ → აუ (კინტორი → კინტორი)... ანუ: ყველა შემთხვევაში შეიცვალა აწეულობაც (საშუალო აწეულობის ე, ო → დაბალი აწეულობის ა) და ლოკალური რიგიც (წინა რიგის ე → შუა რიგის ა, უკანა რიგის ო → შუა რიგის ა), ამ უკანასკნელის თანამდევია სხვა ნიშნის მიხედვით ცვლილებაც (პალატალური ე → ნეიტრალური ა, ლაბიალური ო → ნეიტრალური ა).

შეგნიშნათ: ფონეტიკური ცვლილების (კერძოდ, ასიმილაციისა და დისიმილაციის) დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ხმოვანთკომპლექსების ზოგად მახასიათებლებს, არამედ კონკრეტულ ნიშან-თვისებებსაც. მაგალითად, აი კომპლექსი (რომელიც ღიაობის მიხედვით მაქსიმალურად განსხვავებული ხმოვნებისაგან შედგება) ქვემოიმერულში (კერძოდ, სამტრედიულ თქმში) იცვლება სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: აი → ეი → იი (დაიჭირა → დეიჭირა → დიიჭირა). ღიაობის მიხედვით ანალოგიური შეხამებისაა აუ კომპლექსიც, მაგრამ ქვემოიმერულში მას, როგორც წესი, მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაცია ახასიათებს აუ → ოუ (დაუჭირა → დოუჭირა). ზოგადი მახასიათებელი ორივე (აუ და აი) კომპლექსისა საერთოა (წარმოდგენილია ღიაობის მიხედვით მაქსიმალურად კონტრასტული ხმოვნები), მაგრამ კონკრეტულში, კერძო ნიშან-თვისებამ (უ-ს ლაბიალობამ და ი-ს პალატალობამ) განსაზღვრა განსხვავებული შედეგის პოვნეირება.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც საცნაურია განსხვავებული ტენდენციები დიალექტების მიხედვით.

2.14. ხმოვანთა სპოტანური შენაცვლებად (სუბსტიტუციად) მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როცა არ არის გამოვლენილი ცვლილების გამომწვევი მიზეზი. ჩვეულებრივ, ამის ნიმუშებად ასახელებენ ასეთ მონაცვლებას: ა → ე (მოხეური: → კურატი → კურეტი, რაში → რეში), ე → ა (ხევსურული: ჯებირი → ჯაბირი, ჭეიფი → ქაიფი), ი → ე (ხევსურული: მანდილი → მანდელი), ე → ი (ქართლური: ტყემალი → ტყიმალი), ი → ა (ქართლური: ჯიბრი → ჯაბრი), ე → ო (ქართლური: მხარე → მხარა),

ო → უ (მოხეური: ქოთაო → ქუთაო, ტომარა → ტუმარა)...

ხმოვანთა სპონტანურ მონაცვლეობას შესაძლოა ხემანტიკური მასხვავებლის ფუნქციაც დაეკისროს; შდრ. ამ თვალსაზრისით ა:იუ (ჭაჭლანი: ჭოჭლანი: ჭუჭლენი)...

რა თქმა უნდა, ზემოდასახელებული ფორმები ერთი ტიპისა არ არის და არც იმის თქმა შეიძლება, რომ ყველა შემთხვევაში სპონტანურ (შეუბირობებელ) ხმოვანთმონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ქართლური: ტყემალი → ტყიმალი, იმერული: ხერხემალი → ხირხიმალი, დარეჯანი → დარიჯანი, ჭავჭავური: წელან → წილან, აჭარული: შეშა → შიშა (შდრ. ზანური: დიშქა), შავგვრემანი → შავგრემანი დისტანციური მიმართების დონეზე იმავე ტიპის ცვლილებას გვიჩვენებს, რასაც უშუალო მეზობლობისას შეაქო → შიქო, თეატრი → თიატრი და მისთ.; ანუ: ეა → ია. ასევე: ეე → იე (შენახა → შიენახა) დაინდება დისტანციური ურთიერთობის დროსაც (აჭარული: ცემენტი → ციმენდი) და ა.შ. რაც შეეხება ო → უ მონაცვლეობას, მასაც ეძებნება ახსნა: ზოგ შემთხვევაში ასიმილაციასთან, უფრო ზუსტად: აკომოდაციასთან (თანხმოვნის მიერ ხმოვნის მიმსგავსება-შეგუებასთან) გვაქვს საქმე: ტომარა → ტუმარა (გამელენელა მ წყვილბაგისმიერი სონანტი; შდრ.: რომ → რუმ, ხომ → ხუმ); აკომოდაციის სპეციფიკური სახეობა ჩანს რბილსასისმიერ თანხმოვნებთან ხმოვნის ლაბიალიზაციაც, ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში კი (თუ შეიძლება ასე ითქვას) „ლაბიალობის რაოდენობრივი მატება“ ხდება: ქოთაო → ქუთაო; ამავე რიგისაა ხოშკაკალა → ხუშკაკალა (სამხრეთ ქართლური) და მისთ.

ამის საპირისპიროდ, თანხმოვანთან დისიმილაციის შედეგად უნდა მიგველოღუმელი → ღომელი, აბლაბუდა → აბლაბოდა (მოხეური) ტიპის ფორმები და არა მხოლოდ წყვილბაგისმიერ თანხმოვნებთან დისიმილაციით; შდრ. რბილსასისმიერი თანხმოვნების შემცველ კომპლექსებში მომხდარი ანალოგიური ცვლილებანი: დუხჭირი → დოხჭირი (ქართლური), კრუხი → კროხი (აჭარული), ხუხულა → ხოხოლა (ჭავჭავური) და ა.შ.

დისიმილაციის შედეგად უნდა განისაზღვროს აგრეთვე ეი → აი ცვლილება ქიფი → ქაიფი (კონტაქტური), ჯებირი → ჯაბირი (დისტანციური) ფორმებში (შდრ. საპირისპირო, ასიმილაციის პროცესი: აი → ეი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს დიალექტებში).

ქართული ენის დიალექტებში ხშირია ორ ... და მეტმარცვლიან ფორმებში ხმოვანთა ნაწილობრივი ან სრული რედუქციის შემთხვევები (მესხური ციხე → ცუხე, ყისმათი → ყუსმათი, ფუსფუსი → ფუსფუსი... იმერული: წელიწადი → წელწადი...). საჯარაუდოა, სწორედ ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევებთან გვაქვს საქმე შემდეგ ფორმებში: აქლემი → აქლიმი (თუშური), მაჭაგანი → მაჭეგანი (მოხეური), სანამ → სინამ (სამხრეთ ქართლური), სადღეგრძელო → სადღინგძელო, ბლაგვი → ბლიგვი (იმერული), ლანძღვა → ლინძღვა (აჭარული) და მისთ., სადაც დამოწმებულია ა → ე,

ა → ი, ე → ი რიგის ხმოვანთმონაცვლეობა.

რაც შეეხება ე → ი შენაცვლებას მხარე → მხარო (ქართლური) ტიპის ფორმებში, აქ არ გამოირიცხება ანალოგიაც (მდრ.: ფერდ-ი — ფერდ-ო, გვერდ-ი — გვერდ-ო...). თუმცა შესაძლოა სხვაგვარი ახსნაც დაიძებნოს: ლექსიკური სხვაობა დაჩნდება მხარ-ი — მხარ-ე (მდრ. ყურ-ი — ყურ-ე) შეპირისპირების დროს, ანუ: — ე მორფემაა, იმავე რიგისა, რაც — ო ფერდ-ო, გვერდ-ო ფორმებში. ამის კვალბაზე, შესაძლოა ვივარაუდოთ არა: მხარე → მხარო (ე → ი) შენაცვლება, არამედ იმთავითვე მხარ-ი — მხარ-ო მიმართება სიტყვათწარმოების დონეზე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ხმოვანთა დისტანციური მიმართებისას ზოგიერთ დიალექტში დაჩნდება იმგვარი ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც მისთვის უცხობა ხმოვნების უშუალო ურთიერთობის დროს. მაგალითად, აი → ეი პროცესი ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ხმოვანთა კონტაქტური მეზობლობისას (დაიბანა → დეიბანა, გაიხედა → გეიხედა), პროცესს ვერ აბრკოლებს ვ (I სუბიექტური პირის ნიშანი: დავიბანე → დევიბანე, ფუძისეული: გავიდა → გევიდა), მაგრამ ხმოვნებს შორის სხვა თანხმოვანთა (მათ შორის ობიექტური პირის გამომხატველ მ-, გვ-, გ — მორფემათა) პოზიციების შემთხვევაში ცვლილება, რაგორც წესი, არ ხდება. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლურ დიალექტებში აი → ეი უპირატესად მაშინ შეინიშნება, როცა კომპლექსი თანხმოვნით არის გათიშული; მაგალითად, მოხეურშია დამოწმებელი: კრამიტი → კრემიტი, ამინდი → ემინდი, პაპიროსი → პეპიროზი (თუმცა სპორადულად დაჩნდება უშუალო მეზობლობის დროსაც).

ანალოგიურად: ოო → უო უშუალო მეზობლობის დროს (პირველად ან მეორეულ კომპლექსში) დაჩნდება ქართლურში (აძოვოს → აძოოს → აძუოს), გურულში (ათხოვოს → ათხოოს → ათხუოს), ინგილოურში (მუშაობს → მუშოობს → მუშუოვს), ხოლო თუშურში იგივე შედეგი დაჩნდა დისტანციური მიმართების დონეზე: ოლონდ → ულონდ / ულუნდ.

სხვაობა ფონეტიკურ პროცესებში ხმოვანთა დისტანციური და კონტაქტური ურთიერთმიმართების შემთხვევებში თავს იჩენს ერთი დიალექტის ფარგლებშიც. მაგალითად, დისტანციური მეზობლობისას იმერულში დამოწმებულია აა → ეა (კაქალი → კეკალი, შაქარი → შექარი), ეე → იე (ბეჭედი → ბიჭედი, ტელეფონი → ტილეფონი) ცვლილებანი დისიმილაციის საფუძველზე, რაც ხმოვანთა კონტაქტური ურთიერთობისას არ შეინიშნება.

ღირსსაცნობია ისიც, რომ ამა თუ იმ დიალექტში სპორადულად ოდენ გარკვეულ ფორმებში შეინიშნება იმ რიგის ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც ამ დიალექტისათვის არსებითად უცხობა, მაგრამ გავრცელებულია სხვა დიალექტებში.

მაგალითად, აი → ეი, როგორც ცნობილია, დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ თავი იჩინა ფშაურშიც, ყერძოდ, — ნაირი → ნეირი მორაფემაში (რანეირი, სხვანეირი). ასევე: ია → იე პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ჩვეულებრივია იმერულისათვის (ნიავი → ნიევი, ციაგი → ციეგი...), მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დაჩნდა მოხეურშიც (ნიადაგა „რასაკვირველია“ — ნიდეგა). შდრ. საპირისპირო პროცესები: ია → იე (იმერული: ნიავი — ნიევი) და იე → ია (ფშაური: ნიჭიერი → ნიჭიარი).

ზემოთ აღინიშნა, რომ აკომოდაციასა და მის საპირისპირო პროცესს (ანუ: თანხმოვნის მიერ ხმოვნის ასიმილაციას და დისიმილაციას) ო და უ ხმოვნებთან მიმართების დროს იწვევს წყვილბაგისმიერი და რბილსასისმიერი თანხმოვნები. გვაქვს შემთხვევები, როცა ამ რიგის ორივე თანხმოვანი ერთდროულადაა ფორმაში წარმოდგენილი და შედეგიც შესაბამისია: ლუკმა → ლოკმა (ინგილოური) დისიმილაციის საფუძველზე...

ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, იმაზე მეტყველებს, რომ სპონტანურად (შეუპირობებელ) ხმოვანთონაცვლობად მიჩნეულ შემთხვევებსაც უმეტეს წილ ეძებნება თავისი მიზეზი.

2.15. ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში ხმოვანი ძირითადად ჩნდება თანხმოვანთაგაყვარად. ზოგჯერ ხმოვნის გაჩენას (მარცვალთმატებას) იწვევს ანალოგიაც, თუმცა ამ დროსაც ხდება თანხმოვანთკომპლექსის გათიშვა. ასე რომ, შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

ხმოვნის გაჩენის (მარცვალთმატების) შედეგად ითიშება შემდეგი ტიპის თანხმოვანთკომპლექსები:

ა) ჩქამიერი და სონორი თანხმოვნების შემცველი ორ — და მეტ-შემადგენლიანი კომპლექსები:

ბრ (ლიბრი → მთიულური: ლიბერი), ძმ (ძმისწული → აჭარული: ძიმისწული), რკ (ჭირკი → მთიულური: ჭირკეი)... ხმოვანი ვითარდება როგორც სონანტის წინ, ასევე მომდევნოდ.

კლდ (კლდე → ხევსურული, ფშაური: კილდე/ აჭარული: კილდე/ კილტე), ღრძ (ღრძილი → ხევსურული: ღირძილი), ჩრდ (ჩრდილი → ხევსურული: ჩირძილი/ მესხური: ჩერძილი), ჩრჩ (ჩრჩილი → ხევსურული: ჩირჩილი), ცხრ (ცხრა → აჭარული: ცხტრა). კომპლექსში ჩქამიერ თანხმოვანთან ერთად შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ორი სონანტიც: ბრმ (ბრმა → ხევსურული: ბურმა/ ქიზიყური, ინგილოური: ბრიმა), ღრმ (ღრმა → ხევსურული: ღირმა/ ფშაური: ღრიმე)... ხმოვანი შეიძლება განვითარდეს: სონანტის წინ (კილდე, ჩირჩილი), სონანტის მომდევნოდ (ჩრჩილი → ქიზიყური: ჩრჩილი), სონანტებს შორის (ბრმა).

ფრჩხ (ფრჩხილი → ხევსურული: ფირჩხილი), ქრცხ (ქრცხილა → ხევსურული: კირცხილა), გრწყ (გრწყილი → ხევსურული: გორწყილი „რწყილი“). როგორც ვხედავთ, ოთხშემადგენლიან კომპლექსებში ყოველთვის დაჩნდება ე.წ. პარამონიული კომპლექსი (ჩხ, ცხ, წყ). არსებითად ანალოგიური მდგომარეობაა ამ შემთხვევაშიც: წკნ (წკნელი → აჭარული: წკინელი), თუძკა კ აქ განვითარებული, მეორეული ჩანს (მდრ.: წნელი ← წნავს).

ბ) ოდენ ჩქამიერთაგან შედგენილ კომპლექსებში:

ხშული + ხშული: დგ (ადგილი → გლოლური: ადგილი), კბ (კბილი → აჭარული: კიბილი), თბ (თბილი → აჭარული: თიბილი), ტკბ (ტკბილი → აჭარული: ტკიბილი)...

ნაპრალოვანი + ხშული: ხბ (ხბო → აჭარული: ხობო), ლდგ (აღდგომა → მთიულური: აღდგომა).

ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი: ხშ (ხშირი → აჭარული: ხიშირი).

აფრიკატი + ნაპრალოვანი: ჯღ (ჯღანი → მთიულური: ჯღანი), ძღვნ (უძღვნა → მთიულური: უძღუნა). ღირსსაცნობია, რომ ამ შემთხვევაში ითიშება პარამონიული კომპლექსი.

შემდეგ: ერთი და იგივე სამ — ამ მეტ-შემადგენლიანი კომპლექსი სხვადასხვა დიალექტში ხმოვნის ჩართვის შედეგად შესაძლოა სხვადასხვა ადგილას გაითიშოს: ღრმ (ღრმა → ხევსურული: ღრიმა/ფშაური: ღრიმე), ბრმ (ბრმა → ხევსურული: ბურმა/ქიზიყური: ბრიმა/ინგილოური: ბრუმე//ბრიმა); ანალოგიური მოვლენა ერთსა და იმავე დიალექტშიც დაჩნდება ზოგჯერ: ცხრ (ცხრა → აჭარული: ცხერა//ცხრა).

ხმოვნის ჩართვის შედეგად შეიძლება გაითიშოს როგორც აქცესიური (კბ: კბილი → კიბილი, ხბ: ხბო → ხობო), ასევე დეცესიური (ბრმ: ბრმა → ბურმა, ფრჩხ → ფირჩხილი) კომპლექსები. უპირატესად მაინც აქცესიური კომპლექსები ითიშება, როცა უკანა წარმოების თანხმოვანს მოსდევს წინა წარმოების თანხმოვანი.

უპირატესად ვითარდება მაღალი აწეულობის ხმოვნები: ი (კლდე → კილდე, ჩრდილი → ჩირდილი), უ (ბრმა → ბურმა, აღდგომა → აღუდგომა), ე (ცხრა → ცხერა). იმავდროულად მთლიანად ფორმის გახმოვანების კვალობაზე შესაძლოა განვითარდეს ე (ლობრი → ლიბერი), ო (ხბო → ხობო, ცხმორისი → აჭარული: ცხომორისი) და (იშვითად) ა (ბრმა → თუშური: ბარმაჲ) ხმოვნებიც.

სხვადასხვა დიალექტში ერთსა და იმავე ფორმაში შესაძლოა განვითარდეს სხვადასხვა ხმოვანი: უ//ი (ბრმა → ხევსურული: ბურმა/ქიზიყური: ბრიმა), ი//ე (ჩრდილი → ხევსურული: ჩირდილი/მესხური: ჩრდილი). ასეთი პარალელიზმი ზოგჯერ თავს იჩენს ერთსა და იმავე დიალექტშიც (კბილი → აჭარული: კიბილი // კბილი).

შენიშვნა: ირაციონალური ზ ხმოვანი (ზოგჯერ ერთსა და იმავე დიალექტშიც კი) შესაძლოა დაჩნდეს როგორც ხმოვნის განვითარების (ჩრდილი → ჩრდილი, ღრმა → ღღრმა), ასევე რედუქციის (ციხე → ცხე, ფუსფუსებს → ფუსფუსებს) შედეგი. ზემოხსენებული ნიმუშები მესხური დიალექტიდანაა დასახელებული.

ზოგჯერ დაჩნდება ამ რიგის პარალელური ფორმები, როცა სპეციალური ანალიზის გარეშე ჭირს იმის გარკვევა, ხმოვნის განვითარებასთან თუ დაკარგვასთან გვაქვს საქმე: გვარალი//გვარლი, იფანი//იფნი, დინდგელი//დინდგლი, წირთხელი//წირთხლი... იმ შემთხვევაში, როცა პარალელურ ფორმაში წარმოდგენილია ხმოვანი (ან ხმოვნის შემცველი) სუფიქსი, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა რედუქცია უნდა ვივარაუდოთ (ანუ: ამოსავალია სრული გახმოვანების მქონე ვარიანტი): იფანი-ი//იფნი-ა, წყებელი-ი (გურული)//წყებლ-ა (—ა სუფიქსია, რომელიც იწვევს ფუძის კუმშვას). მაგრამ გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც: სრული გახმოვანება შეინიშნება სუფიქსიანი წარმოების დროს (ქართლური: ურთხლ-ი, მაგრამ: ურთხელ-ა, დასავლურ დიალექტებში: ურთხელა//ურთხელა).

შენიშვნა: აქ არ იგულისხმება წელიწადი//წელწადი, ურემი//ურმი ტიპის პარალელური ვარიანტები, სადაც ამკარად სინკოპირებულ ვარიანტებთან გვაქვს საქმე (იხ. აქვე, ქვემოთ: 2.16).

ხმოვნის გაჩენის შემთხვევები შესაძლოა დიალექტების უმეტესობაში დავადასტუროთ (უფრო ხშირად ირაციონალური ხმოვნისა), მაგრამ სისტემური ხასიათი ამ მოვლენას მხოლოდ დიალექტების ერთ ნაწილში აქვს.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებიდან ზემოხსენებულ პოზიციებში ხმოვნის გაჩენა სისტემურ ახასიათებს ხევსურულს, ფშაურს, მთიულურ-გუდამაყურულს (ბრმა → ბურმა, კლდე → კილდე, ჩრდილი → ჩირდილი, ღრძილი → ღირძილი, ფრჩხილი → ფირჩხილი...). ამავე დიალექტებში ხმოვნით ითიშება ძველ ქართულში პოვნიერი ის თანხმოვანთკომპლექსებიც, რომლებიც ახალ ქართულში თანხმოვანთა ჩავარდნითაა ჩვეულებრივ გამარტივებული: გრკალი → ხევსურული: გირკალი//კირკალი, შდრ.: რკალი; გრკილი → კირკილი, შდრ.: რკილი, გრგოლი → გირგოლი, შდრ.: რგოლი და მისთ. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტთაგან ამ მხრივ გამოირჩევა ინგილოური (ბრმა → ბრიმა//ბრუმა, ღრმა → ღრუმეა//ღრუმ//ღრიმ) და კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავი (ბრმა → ბრიმა). მესხურში ამ შემთხვევებში უპირატესად ირაციონალურ ხმოვანს ვადასტურებთ (ჩრდილი — ჩრდილი, ღრმა — ღღრმა).

დასავლური დიალექტებიდან ხმოვნის განვითარებას სისტემატური ხასიათი აქვს

აჭარულში (თბილი → თიბილი, კბილი → კიბილი, ძმისწული → ძიძისწული, ხშირი → ხიშირი, წყნელი → წყინელი; ხბო → ხობო, ცხმორისი → ცხომორისი; ცხრა → ცეხრა//ცხრა). ხმოვნის გაჩენის თანამდევი შესაძლოა იყოს სხვა ფონეტიკური პროცესებიც (ფქვილი → ჭფილი → ჭიფილი). აჭარულში არ გამოირიცხება ზანურის გავლენაც (უფრო ზუსტად: ანალოგიები): კბილი → აჭარული: კიბილი; შდრ. ჭანური: კიბირი „კბილი“...

როგორც ითქვა, ხმოვნის გაჩენით ხდება თანხმოვანთკომპლექსის გათიშვა („დაძლევა“). თანხმოვანთკომპლექსის დაძლევის მიზნით იმავე დიალექტებში თანხმოვანთა ჩაგარდნაც ხდება (ჩრდილი → ჩილი/ჩილი, კლდე → კდე/კტე და მისთ.). ასე რომ, ხშირად ერთსა და იმავე დიალექტში შესაძლოა პარალელური ფორმები დავადასტუროთ: ჩრდილი → ხევსურული: ჩირდილი//ჩილი. დაჩნდება სხვა რიგის ფონეტიკური პროცესებიც: კბილი → კიბილი//კბილი (პროგრესული ასიმილაციით) და ა.შ. შესაძლოა თანხმოვანთკომპლექსის დაძლევის (სუპერაკციის) ორი შესაძლებლობა ერთდროულად იქნეს გამოყენებული (მაგალითად, ხმოვნის გაჩენა და თანხმოვნის დაკარგვა): ჩრდილი → აჭარული: ჩილი (შდრ.: ჩირდილი და ჩილი).

გასათვალისწინებელია: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ხმოვანი უპირატესად ჩნდება სონანტის (კლდე → კილდე, ჭირკი → ჭირკეი) ან სპირანტის (აღდგომა → აღუდგომა) მეზობლად, დასავლურ დიალექტებში (კერძოდ, აჭარულში) ამ მხრივ შეზღუდვა არა გვაქვს (კლდე → კილდე, ხშირი → ხიშირი, და მათ გვერდით: კბილი → კიბილი, ფქვილი → ჭფილი → ჭიფილი).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (უპირატესად ხევსურულსა და თუშურში) შეინიშნება ხმოვნის გაჩენის ერთი თავისებური შემთხვევა. დაკავშირებულია იგი ენკლიტიკასთან. ცნობილია, რომ ამ დიალექტებში ბოლოკიდურა ხმოვანი, ჩვეულებრივ, რედუცირდება: „ერთ დედამთილ (დედამთილ) ყოფილ (ყოფილა), ორ ზალნ (ორნი რძალნი) ხევანივან“ (ხევსურული). ენკლიტიკის დროს რედუცირებული ხმოვანი აღდგება; ხევსურული: „გათენებამდე უნდა ისხდან მჩეჩელნი“ დ ჩეჩან“ (მჩეჩელნი და ჩეჩონ) ან: „უნდ(უნდა) იყვას შვიდი-რვა კაცი-დ“ (კაცი და) მაგთვენეი ქალი“. იმ შემთხვევაში, როცა ენკლიტიკის დროს არ დანდება ამ რიგის აღსადგენი ხმოვანი, თანხმოვანთგამყარად ხდება (ანაბტიკსური) ხმოვნის განვითარება; ხევსურული: „სხვებ წავლენა-დ“ ჭერს მასკრიან“ (შდრ.: წავლენ), „წამაფრინდებისა-დ“ გამაუდგების“ (შდრ.: წამაფრინდების „წამოფრინდება“); თუშური: „იომესა-დ“ კოცეს ერთმანეთი“ (შდრ.: იომეს).. ანალოგიური ვითარებაა სხვა სიტყვის ო → ვ მორფემოიდის დართვისას; ხევსურული: „მეცხრე ლოგინზე რო დამაწვინესაე (დამაწვინესო), გონ ამკდაო-დ“ აღარას ვიგებდიდე“ თუშური: „მეს

აღუდოე (აღუდო) ყარაჲინ შესვასაჲ (შესვასა)ჲ.

ანატიქსური ხმოვანი ჩნდება II სერიაშიც (I და II პირის ფორმებში), მაშინ, როცა ერთდროულად გამოხატება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის მრავლობითობა; შდრ.: და-ვ-წერ-ე მე იგი, და-ვ-წერ-ენ მე იგინი, მაგრამ: და-ვ-წერ-ენ-ით ჩვენ იგინი (მორფოლოგიური პრინციპის შესაბამისად უნდა გვქონოდა: *და-ვ-წერ-ენ-თ). ეს მოვლენა ძველი ქართულისეულია, შემორჩენილი თანამედროვე დიალექტების ერთ ნაწილში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში, იშვიათად მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში). ასეთივე ვითარებაა იმ დიალექტებში სადაც დაჩნდება აორისტში (ნამყო ძირითადში) ი — და ე — პრეფიქსიანი ვენებითის მრავლობითი რიცხვის ფორმათა ძველი ქართულისებური წარმოება: და-ვ-ი-მალ-ენ-ით, და-ი-მალ-ენ-ით... (დამახასიათებელია უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის).

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში პულხის წინ თანხოვნის მომდევნოდ დაჩნდება ხმოვანი, რომელიც მხოლოდ ფონეტიკური დანართი შეიძლება იყოს, რაჭულთ: ძმები ხართა, ადგებთა... შენარჩუნებულია სხვათა სიტყვის მორფემოიდის დართვის შემთხვევაშიც: ხართაო, წახვალაო (შდრ.: ხართ, ადგებით, წახვალ); ზემოთხედილი: ხარე (ხარ), არისე (არის), ყავსე (ყავს), გააჩრეთე (გააჩრეთ), გოუძღოფე (გავუძღობ)... ქვემოთხედილი (სამტრედიელი და აბაშური თქმები: წერსე (წერს), მოდისე (მოდის), დაფარცხამთე (დაფარცხავთ)... პარალელურად: წერსჲ, მოდისჲ, დაფარცხამთჲ.. ლირსაცნობია, რომ ყველა ეს დანართი ხმოვანი ემფატიკური (სავრცობი) ხმოვნის პოზიციაშიც დასტურდება (შდრ.: კაცე/კაცსე/კაცსე). ივარაუდება, რომ ამ შემთხვევებში მარცვალთლიაობის ტენდენციის გამოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე (ა. ფოცხიშვილი, შ. აფრიდონიძე). ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს დიალექტების ერთ ნაწილში — ა მაწარმოებელზე (რომელიც მორფოლოგიურად სხვადასხვა ფუნქციისა შეიძლება იყოს) ი → ა ელემენტის დართვა: ტყულ-ა-ი // ტყულათ-ა-ი (← ტყულიად-ა-ი) „ტყულიად“, ჩუმათ-ა-ი (← ჩუმად-ა-ი) „ჩუმიად“ (ქვემოთხედილი); შდრ. ზემოთხედილი: ტყულე // ტყულათ-ე, სადაც —ა-ი → -ე), ტყულათალაჲ „ტყულიად“, დუითხავაი // დუითხავაჲ „დაუითხავად“, ერჩამოვლაჲ „ერთ ჩამოვლაზე“ (აჭარული)... უპირატესად ეს მოვლენა დამახასიათებელია დასავლური დიალექტებისათვის, თუმცა სპორადულად დაჩნდება სხვაგანაც; მაგალითად, დადასტურებულია ინგილოურში: „მასხარაჲ (მასხარად) მიგდებსაჲ“. არ გამოირიცხება, რომ აქ ე.წ. პროსოდიულ ხმოვანთა გამოყენების ანალოგიურ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე.

იშვიათად შეინიშნება ი ხმოვნის გაჩენის შემთხვევები როგორც წინამდებელი თანხმოვნის პალატალიზაციის შედეგი: პალტო → პალიტო (იმერული), ლანჭერი →

ლიანქერი//ლანქერი, ლაგერი → ლიაგერი//ლაიაგერი (აქარული) და მისთ.

2.16. ხმოვანთა ურთიერთზემოქმედების ერთ-ერთ შედეგად დაჩნდება რე-დუქცია: ნაწილობრივი (ხმოვნის დაეწროება, რასაც ხმოვნის დასუსტებასაც უწოდებენ) და ხრული (ხმოვნის ჩავარდნა, დაკარგვა). ხმოვანთა რედუქცია ხდება როგორც კონტაქტური, ასევე დისტანციური მეზობლობის დროს.

ნაწილობრივი რედუქცია, ჩვეულებრივ, განხორციელებულია საფეხურებრივად: ა → ე → ი → ა ან: ა → ო → უ → უ. მაგალითად, დაეწერა → დეეწერა → დიეწერა (გურული, აქარული), ჯაგარი → ჯეგარი (მოხეური), შეშა → შიშა (აქარული, ინგილოური), აქლემი → აქლომი (თუშური), შეატყო → შიატყო → შმატყო (აქარული)... წაუღო → წოუღო → წუუღო (გურული, აქარული), ხომ არ → ხო-არ → ხუ-არ ხუ-არ (იმერული), ოღონდ → უღონდ (თუშური).

სრული რედუქცია ორი სახისაა: ა) ხდება ხმოვნის უშუალო ამოღება (კედელ-ი → კედლ-ის, წელიწად-ი → წელწად-ი), ბ) დაჩნდება როგორც ნაწილობრივი რედუქციის შემდგომი საფეხური (ობოლ-ი → ობულ-ის → ობლ-ის, ძალიან → ძალამან → ძალან).

ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთა რედუქციის რამდენიმე ნაირსახეობაა (ტიპი) დადასტურებული:

ა) რედუქციას იწვევს ხმოვანი (ან ხმოვნის შემცველი) სუფიქსი, რაც საერთო-ქართული მოვლენაა (ნაბდ-ი → ნაბდ-ის, ნაბდ-იან-ი; კედელ-ი → კედლ-ის → კედლ-ავ-ს; ნიგოზ-ი → ნიგვზ-ის, ნიგვზ-იან-ი; მალ-ავ-ს → მალ-ვ-ა, დავ-ქერ → და-ქრ-ა; ან: ბურღლა „ბუმბული“ → ბურღლნის → მეტათეზისით: ბრღლუნის//ბღლუნის). დიალექტების მიხედვით რედუქციის ინტენსივობა განსხვავებულია: იგი აღმოსავლურ კილოებში უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლურში (ა. შანიძე, ვ. თოფურია); შდრ., ერთი მხრივ, გურული: წყალ-ი → წყალ-ის (=წყლ-ის), ბალ-ი → ბალ-ით (=ბლ-ით); და → და-ის (=დ-ის), ძმა → ძმა-ით (=ძმ-ით), იმერული: კედელ-ი → კედელ-ის (=კედლ-ის), ლელე → ლელე-ის, ლელე-ით (=დელ-ის, ლელ-ით), ხოლო მეორე მხრივ: ხევსურული: ჭლან-ი → ჭლნ-ის, ჭლნ-ით, მოხეური: შკამ-ი „სკამი“ → შკმ-ებ-ი, ბატონ-ი → ბატენ-ებ-ი, კახური: ქალა-მან-ი → ქალმნ-ის, ქალმნ-ით...

ბ) რედუქციას შესაძლოა იწვევდეს ხმოვანი (ან ხმოვნის შემცველი) პრეფიქსი. ეს მოვლენა უპირატესად ძველ ქართულში შეინიშნებოდა: უ-ჩან-ს → უ-ჩნ-ს, მი-უ-გავ-ს → *მი-უ-გ(ვ)-ს → მი-უ-ქ-ს, ი-ქამ-ს → ი-ქმ-ს, უ-ქმ-ი (ვ. თოფურია). დაჩნდება ახალ ქართულშიც: ისარ-ი → ნა-ისარ-ი, ზამთარ-ი → ნა-ზამთარ-ი, საყდარ-ი → ნა-საყდრ-ი/ნა-სახტრ-ი, მზითვე-ი → ნა-მზითვე-ი, მეწყერი → ნა-მეწყერ-ი... სეტყვა → ნა-სეტყვ-ი, ფლატე → ნა-ფლატ-ი... (ვ. გოგოლაშვილი). ღირსაცნობია, რომ შემოსხენებულთაგან ზოგიერთს პარალელურად მოეპოვება პრეფიქს-სუფიქ-

სური (კონფიქსური) წარმოება: ნა-საყდრ-ი // ნა-საყდრ-ეგ-ი (ან: *ნა-საყდრ-არ-ი → ნა-საყდრ-ალ-ი), ნა-მეწყრ-ი // ნა-მეწყრ-ალ-ი (← *ნა-მეწყრ-არ-ი) და მისთ. ასე რომ, ზოგჯერ შესაძლოა სუფიქსმოკვეცილ ფორმასთან გვჭონდეს საქმე, ისე კი, რომ სუფიქსის მოქმედების შედეგი (ხმოვნის რედუქცია) შემორჩენილი იყოს. ნაზმნარ სახელებში (მაჰალ-ი → მაჰალ-ავ-ს → ნა-მაჰალ-ი, ნიშან-ი → ნიშნ-ავ-ს → ნა-ნიშნ-ი, მეწყერ-ი → მეწყერ-ავ-ს → ნა-მეწყერ-ი) არ გამოირჩევა ზმნის ფუძედ გამოყენებული შეკუმშული ნაირსახეობის უშუალო გადასვლა წარმოებულ ფორმასში. განსხვავებული ვითარებაა ნა-მზითე-ი // ნა-მზითეე-ი ტიპის ფორმებში. აქ ორი შესაძლებლობაა: ან შეკუმშული და შეუკუმშავი ვარიანტები დიალექტურ სხვაობას წარმოგვიჩენს, ან მეორე შემთხვევაში გამოყენებულია ნა-ეგ კონფიქსი თანმხლები ფონეტიკური ცვლილებით (*ნა-მზითე-ეე-ი → ნა-მზითე-ეე-ი)...

გ) უშუალო მეზობლობაში პოვნირ ორ ხმოვანთაგან რედუქცირება (იკარგვის) ერთ-ერთი, უპირატესად — უფრო ვიწრო (მაღალი აწეულობის) ხმოვანი, მოუხედავად მისი პოზიციისა; მთიულური: იე → ე (იერი → ერი), ეი → ე (ჭირანი → ჭირანი); კახური: ცარიელა → ცარელა, ძალან → ძალან... ივარაუდება: ეი → ეე → ე, ანალოგიურად: ეი → ეე → ე, ია → ეა → ა.

დასახელებული იყო სრული რედუქციის (ხმოვნის დაკარგვის) ნიმუშები. დიალექტებში უფრო ხშირად ანალოგიურ შემთხვევებში ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია გვაქვს; თუ შურთ: ძმაი → ძმამ, წყაროი → წყარომ, დანიშენაი → დალოშნამ; მთიულური: ბილიკაი → ბილიკამ, ნიკორაი → ნიკორამ; ინგილოური: მამაი → მამამ, კალაი → კალომ, გამოილო → გამამლო, დავიჭერი → დამჭერი; ფერეიდნულთ: ამოიტანა → ამამტანა, გაიგებს → გამგებს; შესხური: იარალი → მარალი, გიურაი → გამურაი, აი ეს → *ი-ეს → მეს; რაჭულთი (გლოდური): ქალაი → ქალამ, ყველაი → ყველამ, წაიყვანა → წამყვანა; იმერული: შეაკრა → შიაკრა → შამაკრა (ოკრიბული), მიართვა → მმართვა, მოითმინე → მემთფინე (ბაღდათური), ძმაი → ძმამ, რაი → რამ, წადი → წაი → წამ; გურული: ნენაი → ნენამ, ნეტაი → ნეტამ; აჭარული: გზაი → გზამ, ხეი → ხემ, ბაბოი → ბაბომ; გაიწურება → გემწურება, დიწყო → დემწყო; მეორე → მორე → მმორე, მიაქვს → მამქვს, გაეტანა → გეტანა → გოეტანა → გმეტანა; ციხეები → ციხიები → ციხმეები, ყანაები → ყანეები → ყანიები → ყანმეები; გემრთელი → გემრმელი; წადი → წ → აი წ მ (ამ მხრივ აჭარულში რაიმე შეზღუდვა არა გვაქვს: ხმოვანთან უშუალო მეზობლობაში მოხვედრილი ი ხმოვანი ყოველთვის სუსტდება მ-დ). შვენიშნავთ: იქ, სადაც სახელობით ბრუნვაში დაჩნდება ი → მ, ანალოგიური მდგომარეობაა ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებშიც: ძმაი → ძმამ, შესაბამისად: ძმამს (ძმის), ძმამთ (ძმით).

დასახელებული იყო ი ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევები. ნაწი-

ლობრივი რედუქცია ანალოგურ პოზიციაში (ხმოვნის უშუალო მეზობლობაში) ახასიათებს ო და უ ხმოვნებსაც; მოხეური: ქალაო → ქალაუ → ქალაუ; ი ნ გ ი ლო - უ რ ი: შეუქამია → შეუქამი, დაუქერია → დოუქერი; მიუცია → მიუცი, მოუკლავს → მოუკლავ; ფერეიდნული: გაუხარდა → გოუ ხარდა (თანამდევია აუ → ოუ ნაწილობრივი ასიმილაციის გზით); მესხური: სადაურელი → სადაუ რელი; იმერული, გურული: უარი → უარი, ხომ-არ → ხო-არ → ხუ -არ → ხუ -არ; აჭარული: დეკელი → დეკელი, *ნარუარი → ნარუარი → ნარუ არი, იჭარობა → იჭარობა, წამოვადლებ → წამოვადლებ → წამოვადლებ → წამოვადლებ, ყოველდღე → ყოველდღე → ყუელდღე → ყუელდღე, აძოვა → აძოვა → აძუა → აძუა.

არსებითად ხმოვნის ნაწილობრივ რედუქციასთან გვაქვს საქმე ხმოვანთკომპლექსებში ასიმილაციის (დაწერა → დეწერა...) ან დისიმილაციის (შეატყო → შიატყო) დროსაც. ამის კვალობაზე, ზემოდასახელებულ ნიმუშებში (ძმაი → ძმამ, მიაართვა → მიაართვა, უარი → უარი, იჭარობა → იჭარობა) დისიმილაციის პროცესი დაჩნდება.

რედუქციებული ხმოვანი შეიძლება იყოს პირველადი (მიაართვა → მიაართვა, უარი → უარი) და მეორეული, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი (შეაჭრა → შიაჭრა → შიაჭრა, აძოვა → აძოვა → აძუა → აძუა).

რედუქციის მიმართულება შეიძლება იყოს: პროგრესულიც (წაილო → წემლო) და რეგრესულიც (მიაართვა → მიაართვა, ციხეები → ციხეები).

ცვლილება შეინიშნება:

მორფემათა ზღვარზე: მი-ა-რთვა → მი-ართვა; ძმა-ი → ძმა-მ; სადა-ურ-ელ-ი → სადა-ურ-ელ-ი;

ერთი მორფემის ფარგლებში: სეირი → სეირი, უარი → უარი.

ამრიგად, ხმოვანთა უშუალო მეზობლობის დროს ნაწილობრივი რედუქცია დასტურდება შემდეგ პოზიციებში:

პაუზა + ი/უ + ხმოვანი: იარალი → მარალი (მესხური); უარი → უარი (იმერული, გურული);

თანხმოვანი + ი/უ + ხმოვანი: მიაართვა → მიაართვა (იმერული, აჭარული); ყოველდღე → ყუელდღე → ყუელდღე (აჭარული);

ხმოვანი + ი/უ + თანხმოვანი: დაიწყო → დეიწყო → დემწყო, ციხეები → ციხეები (აჭარული), ძმაის → ძმამს (ინგილოური, გურული, აჭარული...); შეუქამია → შეუქამია (ინგილოური), გაუხარდა → გოუ ხარდა (ფერეიდნული), აჭარული → აჭარული (მესხური, აჭარული);

ხმოვანი + ი/ო + პაუზა: ძმაი → ძმამ (თუშური, ინგილოური, იმერული, გურული, აჭარული...); ქალაო → ქალაუ → ქალაუ (მოხეური), თქვაო → თქვაუ / თქვაგ (ხევსურული, თუშური).

ამ ცვლილებათა საფუძველზე წარმოიქმნება დიფთონგები (იხ. ნაკვეთი... 1.25).
 დ) ხმოვნის რედუქცია დაჩნდება ორ — და მეტ-მარცვლიან სიტყვებში ხინკაობეს შედეგად; იმერული: წელიწად-ი → წელწად-ი, იმიტომ → იმტო(მ); გურული: ელისაბედი → *ელსაბედი → ელცაბედი; აჭარული: ურემ-ი → ურმ-ი, უდელ-ი → ულლ-ი, საქონელ-ი → საქონლ-ი; სხვა ბრუნვებში ხმოვანი აღდგება: ურემ-ი → ურმ-ი, მაგრამ: ურემ-მა → ურემ-ა, ურემ-ს, ურემ-ის//ურმ-ის... რაჭული: ჭეჭილ-ი → ჭეჭლ-ი, ჭეჭლ-მა, ჭეჭლ-ს (ამ მხრივ აჭარულისაგან განსხვავებული მდგომარეობა)...

ანალოგიური მდგომარეობაა ელიზის შემთხვევაში (თუ გაერთიანების წინ იმას, რომ ელიზია თავს იჩენს ენკლიტიკის დროს, იგი არსებითად სინკაობეს ნაირსახეობად დაჩნდება); იმერული: ჭე-არ → ჭ-არ; გურული: კი-არაფერი → კ-არაფელი, კი-არ ვიცი → კ-არ ვიცი; მესხური, აჭარული: შეგებეწო-უნა (//შეგებეწო-უნდა) → შეგებეწო-ნა (//შეგებეწო-ნდა), რაჭული: დღე-არის → დღე-რი, საქმე-არის → საქმე-რი; ფერეიდნული: სხვა-არის → სხო-არის → სხო-რი და მისთ.

შენიშვნა: უნდა//უნა მორფემოიდი აწარმოებს ვალდებულებითს კილოს (დებიტივს). აჭარულსა და მესხურში იგი ყველა პოზიციაში, როგორც წესი, კარგავს თავკიდურა ხმოვანს, თანხმოვანთა დაკარგვის თვალსაზრისით სხვადასხვა ვარიანტები დაჩნდება: მე-ნა წავიდე // მე წავიდე-ნა, შეილო-და გაგიჩნდე // შეილო გაგიჩნდეს-და (მესხური), იქ-ნდა // იქ-ნა მივდეს (აჭარული).

სინკაობეს სპეციფიკური სახეობა შეინიშნება აჭარულში, სადაც იკარგვის ფორმანტიკული ან ფუძისეული ი ხმოვანი, თუ იგი წინამაველი ხმოვნისაგან გამოყოფილია ვ სპირანტი: წავიდე → წვედე, წავიდა → წვედა, მოვიტანე → მევტანე (თანამდევია რეგრესული ასიმილაციის გზით ა → ე ცვლილება), მოვიდა → მოვდა (მდრ.: წაიდე → წეადე, მოვიტანე → მეიტანე, როცა ი → ა ხდება ნაწილობრივი რედუქციის საფუძველზე). პარადიგმა ასე წარმოგვიდგება:

I პირი: წავიდე → წვედე (სრული რედუქცია)

II პირი: წაიდე → წეადე (ნაწილობრივი რედუქცია)

III პირი: წაილო → წეალო (ნაწილობრივი რედუქცია).

ამ ტიპის ნაწილობრივი რედუქციის შესახებ იხ. აქვე, ზემოთ.

შენიშვნა: ამდენად, ხმოვნის სრული დაკარგვისას უნდა განიჩეს ორი შესაძლებლობა: ერთ შემთხვევაში ხმოვნის დაკარგვას წინ უსწრებს ხმოვნის დასუსტება: ჭიარანი → ჭეარანი → ჭერანი, ძალიან → ძალაან → ძალან (ხშირად შენარჩუნებულია ხმოვნის დასუსტების საფეხური: წყაროი →

წყარო გაეტანა → გეტანა → გიეტანა → გმეტანა), მეორე შემთხვევაში ხდება ხმოვნის უშუალო ამოვარდნა როგორც თანხმონებს შორის: წელიწად-ი → წელწად-ი, ასევე ხმოვანთა უშუალო მეზობლობისას: დღე-არის → დღე-რი (იხ. სინკოპესა და ელიზის ნიმუშები).

ე) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, აგრეთვე ინგილოური დიალექტის კაქურ კილოკავში დაჩნდება ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინა ხმოვნის დაფიქროების ტენდენცია, რაც, ჩვეულებრივ, სრული რედუქციით სრულდება. არსებითად აქ იგივე ვითარებაა, რაც ზემოთ აღინიშნა უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ხმოვნის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით; კერძოდ, ამ შემთხვევაში პაუზის წინა პოზიცია იგულისხმება (ძმაი → ძმამ, ქალაო → ქალაუ → ქალაუ). განსხვავება (და, ამდენად, თავისებურება) ისაა, რომ ცვლილება მხოლოდ ერთ პოზიციაში ხდება: პაუზის წინ რედუქცირდება თანხმოვნის მომდევნო ხმოვანი. გარდა ამისა, განსხვავებულია თანამდევი ფონეტიკური პროცესებიც.

საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ.

თუშური: ნაფუძრები → ნაფუძრებჲ, ძროხისი → ძროხისჲ; იყო → იყუ, დაიწყო → დიწყუ, გაიარო → გრჷ არჷ; ბიჭო → ბიჭუ (ნაწილობრივი) თუშებ (=თუშები) ცოტაჲნ ყოფილან; ჯარმ (=ჯარმა) შჷსსრულ იმის ბრძანება (სრული). ორივე ეს ნაირსახეობა შესაძლოა ერთ წინადადებაში დაჩნდეს: ერთხენ მურთაზმ (=მურთაზმა) გრჷ გუ (=გაიგო). ხევსურული: გავიგე → გავიგჲ, მოვთიბე → მავთიბჲ, ვიჩიდა (=ვიჩიდე, I კავშირებითია) → ვიჩიდე, ვიჩია (=ვიჩიო, II კავშირებითია) → ვიჩუ (ნაწილობრივი); სახლ დაიშალ (=სახლი დაიშალა), ღმერთმ (=ღმერთმა) ნურა მიადინას, ხევსურეთისაკე(ნ) → ხევსურეთისაკ (სრული). ინგილოური (კაქური): ნაცნოვ ინსან (=ნაცნობი კაცი), ყოფილა → ყოფილ, ავილე → ოაღ, კარზე → კარზე // კარზ, კარში → კარშე // კარშ.

ამოსავალი ხმოვანი შენარჩუნებულია სამ შემთხვევაში:

გვაქვს ენკლიტიკა: ხევსურული: წამავა-დ' მივა ვაჲის სახლმი (=წამოვა და მივა...), უნდ იყვას შვიდი-რვა კაცი-დ' მაგთვენიე ქალი (უნდა იყოს შვიდი-რვა კაცი და მაგდენიე ქალი). თუშური: ჰვესურთაც გრჷგეს თუშთ გასაჭირი-დ' მოვიდნეს მოშველებად (=ხვესურებმაჲც გაიგეს თუშების გასაჭირი და მოვიდნენ მოსაშველებლად).

მოკვეცილია სიტყვასთან ენკლიტიკურად დაკავშირებული ფორმა (მეშველი ზმნა, კავშირი, ნაწილაკი); ხევსურული: მთიბელნ კაცებრ (=კაცები ას კაცებია); თუ კაცები ას სახლი, საარაყეს ჩაყენებენ, თუ ობოლ-ობოლჭერივრ (=ობოლ-

ობოლქერივი ას), თუნდა პურსა ნუ აკმევს, მემრ ლეკის ლაშქარს ამოუწყვეტავ მშავლუბი მარტო საგინა დამრჩალ (შერე ლეკების ლაშქარს ამოუწყვეტია ფშავ-ლუბი და მარტო საგინა დარჩენილა). თუ შურა: ღთისო, მაქ გოხებშიგ რო ნაფუძრებრ, მეგ როდინდელორ? (ლუთისო, აი აქ ლოდებს შორის რომ ნაფუძრები-არის, აი ეგ როდინდელი არის?). ინგილოური (კაკური): ჩემ მამულ დიდი (ჩემი მამული დიდი არის), შენ რაბე არ მეზნებნი? (შენ რატომ არ მეზნებნი-ა? ბოლოკიდური — ა კითხვითი მორფემოიდი),,, შდრ.: მე შენ გებნებ (შე შენ გეუბნებნი). შევნიშნავთ: შენარჩუნებულ ხმოვანს ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მოუდის მახვილი.

თანხმოვანი მორფემის (მორფემოიდის) დართვისას; ხვესურული: გავიგვ , მაგრამ: გავიგით; მავთიბნ , მაგრამ: მავთიბეთ; ვჩეჩღ , მაგრამ: ვჩეჩღათ; რად, მაგრამ: რადად (რადალა):

„ცოცხლ, თუ დამწავ, წესი ას,
შენ ბ ა დ ა ლ, ნელღ შეშად?
ქალ, თუ დამწყვ, წესი ას,
შენ ბ ა დ ა ლ, ქალის დედად?
კმალ, თუ გამჭრი, წესი ას,
შენ ბ ა დ ა ლ, კაცთა უნად?“

შდრ. ფშაური:

„ცოცხლ, თუ დამწავ, წესია,
შენ ბ ა დ ღ ა, ნელღ შეშად“... (ა. ჭინჭარაული).

ინგილოური (კაკური): ოღლ „ავიღე“, მაგრამ: ოღლით „ავიღეთ“; თუ შურა: ავიღ, მაგრამ: ავიღეთ და მისთ.

- შენიშვნა: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (უპირატესად ხვესურულსა და თუშურში) სხვათა სიტყვის — ო მორფემოიდი, როგორც წესი, განიცდის ნაწილობრივ რედუქციას. ხმოვნის მომდევნო ო → ვ (თქვაო → თქვაე) — ხოლო თანხმოვნის შემდეგ ო → ვ პროცესს თან ახლავს თანხმოვანთგამყარი (ანაპტიქსური) ხმოვნის გაჩენა; ხვესურული: წინ-წინავ (წინ-წინაო), თქვისავ (თქვისო, II ხოლმეობითია) ხოგაის მინდიმავ, თვალნ ამხვფენესავ (=ამხვფენსო), გზა არ ნახასავ (=ნახასო); თუ შურა: მეს ალუღივ ყარავინ შესვასავ (=აი ეს ლუღიო არავინ შესვასო). ანალოგიური მოვლენა შეინიშნება ინგილოურშიც: მიწამ გასწორდესავ, ფარცხით ვფარცხავთ (ზედმიწვევით: მიწა გასწორდესო, ფარცხით ვფარცხავთ). ენკლოტიკის შემთხვევაში — ო აღდგება: შამძულდავ სიცოცხლიო — დ'სმა-ჭამაივ (ხვესურული);

ნიშნავს: სიცოცხლო, სმა-ჰამაო (პირველ შემთხვევაში შენარჩუნებულია — ო, მეორე შემთხვევაში ო → ვ. ბოლოკიდურა პოზიციაში რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ შესაძლოა მოხდეს წინამავალი ხმოვნის დაგრძელება: თჰჰააო? → თჰჰაა ვ? (თუშური; ო → ვ, ხოლო გრძელდება კითხვითი — ა მორფემოიდი).

როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში არსებითად იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც ხმოვნის მომდევნო პაუზის წინა პოზიციაში ხმოვნის სრული ან ნაწილობრივი რედუქციისას დასტურდება (იხ. აქვე, ზემოთ). ამ თვალსაზრისით ღირსსაცნობია ასეთი მოვლენა: ენკლიტიკის შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, აღდგება თანხმოვნის მომდევნოდ რედუცირებული ხმოვანი (შდრ.: „მივიდოდ ის კაც ქალის დედ-მამასთან“, მაგრამ: „უნდა იყვას შვიდი-რვა კაცი-დ' მგათენიე ქალი“); ანალოგიური მდგომარეობაა ხმოვნის მომდევნო პოზიციაშიც (შდრ. ხევსურული: „შამატყვაე, რომაე სისხლი შალოკვა მინდოდაე“, მაგრამ: „იმის შალოკვა — დ'სიცხის მიცემა ერთ ყოფილას“; თუშური: „გარმ შაყ სრულ იმის ბრძანებაი-დ' გაყ მსვეს ერთ საალუდე ქება წამლით“).

შენიშვნა: სახელობით ბრუნვაში ხმოვანზე ფუძედაბლოებული სახელები დიალექტების მიხედვით განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან. მაგალითად, ხევსურულში ხმოვნის მომდევნოდ შესაძლოა დაჩნდეს — ი ბრუნვის ნიშანი (იქ ღზინ გაიმართების: ჰამაი, სმაი, თამაშობაი, მღერაი-დ' სხვაი; ცალკე ახალზალი — ას, ცალკე — შეფვი), თუმცა გვაქვს სრული მოკვეცის შემთხვევებიც (ქვესურეთში კაცის მაკლა დიდად უბედურებაია; სისხლის შალოკვა მინდოდაე). თუშურში ამ პოზიციაში, ჩვეულებრივ, დაჩნდება — ა (მესამე დღეს შესწყდ თოფის სრევაა; გამუარდ ციხითაა კახოს თინაა), ფუძისეული ხმოვნის მკვეთარი დამართვისას — სრულხმოვანი — ი (დედისერთაჲი „დედისერთა“), გვხვდება ხმოვანმოკვეცილი ფორმებიც (ჩემ დედა ჩიგლაჲურთითა ყოფილიყუ). ენკლიტიკის შემთხვევაში ორივე დიალექტში აღდგება სრულხმოვანი — ი (ხევსურული: იმის შალოკვა — დ'სიცხის მიცემა ერთ ყოფილას; თუშური: კახოს თინაა — დ'მურთაზნ).

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ კითხვითი მორფემოიდის პოზიციაში ირაციონალური ჯ ხმოვნის პოზიტირება: ძაუგს მიდინხარ? ძაუგსე ? (მოხეური), არიხ ? ეს არ იცი შენე ? (რაჭული დიალექტის რივნისთაური კილოკავი), რაც გვაეარაუდებინებს — ა → ჯ ნაწილობრივი რედუქციის პროცესს. ქვემოთჩამოთვლილ დასავლურ ზოლში (მეგრული მეტყველების მეზობლად) ნაწილობრივ რედუქციას უნდა განიცდიდეს მავრცობი (ემფატიკური) ხმოვანი: სოფელსა//სოფელსუ → სოფელსე, ამასა//ამასუ → ამასე.

ასე რომ, ზემოხსენებულ შემთხვევაში როგორც თანხმოვნის, ასევე ხმოვნის

მომდევნო პოზიციაში ფაქტობრივ ერთი და იმავე ფონეტიკური პროცესის ორ ნაირსახეობას ვადასტურებთ.

ე) ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება მარცვლის რედუქციის (პაპლოლოგიის) შემთხვევებიც. დაწვრილებით ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი (იხ. ნაკვეთი..., თავი III, 3.43), აქ მხოლოდ ძირითად ტიპებს აღვნიშნავთ.

მარცვლი შესაძლოა დაიკარგოს:

თავკიდურა პოზიციაში: ბიჭო → ჭო (აჭარული), ციცაი „გოგო“ → ცა//ცავ (გურული);

შუა პოზიციაში: აზნაურიშვილი → აზნაუშვილი (ყახური), აზნაუშვილი (ქვემო-იმერული), ჭირიმე → ჭიმე (გურული), კინაღამ → კიღამ (გურული, აჭარული), ძალიან → ძაან (დაჩნდება დიალექტების უმეტესობაში);

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ენკლიტიკის შემთხვევებიც: ღამე არის → ღამემ-ს (ინგილოური); შდრ.: დღე არის → დღე-რი (რაჭული), სხვა არის → სხო-რი (ფერეიდნული).

ბოლოკიდურა პოზიციაში: რა ვიცი → რა ვი, მივეცი → მივე (ყახური), გაიქეცი → გაიქე, დააყენე → დააყე (ქართლური), გვინდა → გვი, მარიღე „მომერიღე“ → მარი, მამათგან → მამადგ (ხევსურული).

ზოგჯერ ბოლოკიდურა პოზიციაში, დაკარგული მარცვლის ადგილას, დაჩნდება იოტიზებული დამართვა: მოვიყვანე → მევეყამ, შევიტანე → შევეტამ (აჭარული). თან ახლავს ხმოვნის სინკოპეც.

დასახელებული იყო ხმოვანთა რედუქციის ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში.

რედუქცია ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ფორმათ-და სიტყვათწარმოების დროს.

რედუქცია ფორმათწარმოების დონეზე დაჩნდება როგორც ბრუნების, ასევე უღვლილების დროს. ოღონდ ეს მოვლენა განხილულ უნდა იქნას სისტემის (წარმოების პრინციპის) მიხედვით და არა როგორც კერძო (ლოკალური) ფაქტი.

რა იგულისხმება?

ქართულში, საერთოდ, გვაქვს ბრუნებისა და უღვლილების ორი პრინციპი: მორფოლოგიური და მორფონოლოგიური.

პირველ შემთხვევაში ფორმათწარმოება ხდება საკუთრივ მორფოლოგიური ინვენტარის საშუალებით, ანუ: ფორმათწარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ აფიქსები.

მეორე შემთხვევაში ფორმათწარმოება ან მთლიანად ემყარება ფონეტიკურ ფაქტორს, ან იყენებს მას მორფოლოგიურ ინვენტართან ერთად.

დავასახელებთ სათანადო ნიმუშებს.

ა) ხახელთა ბრუნება

	მორფოლოგიური	მორფონოლოგიური
სახელობითი	წელ-ი	წელ-ი
მოთხრობითი	წელ-მა	წელ-მა
მიცემითი	წელ-ს	წელ-ს
ნათესაობითი	წელ-ის	წელ-ის
მოკმედებითი	წელ-ით	წელ-ით
ვითარებითი	წელ-ად	წელ-ად

ანდა:

	მორფოლოგიური	მორფონოლოგიური
სახელობითი	კერია-ი	კერია—(ი)
მოთხრობითი	კერია-მ	კერია-მ
მიცემითი	კერია-ს	კერია-ს
ნათესაობითი	კერია-ის	კერია-ის
მოკმედებითი	კერია-ით	კერია-ით
ვითარებითი	კერია-დ	კერია-დ

პირველი ორი რიგის ფორმები სალიტერატურო ენიდან არის დასახელებული. ამ ორ პარადიგმას შორის სხვაობას, ჩვეულებრივ, ასე ხსნიან: ერთ შემთხვევაში უკუმშველობა (წელ-ის, წელ-ით), ხოლო მეორე შემთხვევაში კუმშვა (წელ-ის, წელ-ით) ფორმობრივ განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე არსებით სახელებს (ომონიმებს): წელის ტკივილი, მაგრამ: წლის ბოდო.

სინამდვილეში აქ ომონიმების ფორმობრივი განსხვავების ტენდენცია კი არ მოკმედებს (ომონიმები, საერთოდ, განსხვავებასა და სათანადო განმარტებას საჭიროებენ ლექსიკის ენათმეცნიერული ანალიზის დროს, ხოლო გაბმულ მეტყველებაში მათი გარჩევა ადვილად ხერხდება კონტექსტის საშუალებით), არამედ გამოყენებულია ფორმათწარმოების ორი სხვადასხვა პრინციპი: საკუთრივ მორფოლოგიური (წელ-ი, წელ-ის-წელ-ით...) და მორფონოლოგიური— უფრო ზუსტად (ამ შემთხვევაში) შერეული (დაჩნდება როგორც მორფემები, ისევე ფონეტიკური ფაქტორი— რედუქცია: წელ-ი, წელ-ის, წელ-ით...).

ამდენად, ქართულში მორფოლოგიური და მორფონოლოგიური პრინციპები

არის ფორმათწარმოების ორი შესაძლებლობა და ამ შესაძლებლობებს ქართულ ენის დიალექტები სხვადასხვაგვარად იყენებენ. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, სადაც, ჩვეულებრივ, მოდუნებულია რედუქცია (სახელთა ფუძის კუმშვა და კვეცა), უპირატესად დაჩინდება საკუთრივ მორფოლოგიური პრინციპი. ამის ნიმუშია მეორე რიგის ფორმები, სადაც დიალექტური (გურული: კერია-ი, კერია-ის, კერია-ით...) და სალიტერატურო (კერია, კერი-ის, კერი-ით...) ფორმებია შეპირისპირებული: პირველ შემთხვევაში მორფოლოგიური (ბრუნებისას ფონეტიკური ფაქტორი თავს არ იჩენს), მეორე შემთხვევაში მორფონოლოგიური (მორფემბთან ერთად პარადიგმის წევრებს განასხვავებს ფონეტიკური ფაქტორიც: ფუძის უკვეცლო და კვეცადი ვარიანტები ქმნიან ოპოზიციას) პრინციპი უდევს საფუძვლად პარადიგმატულ ცვლილებებს.

ასე რომ, ამ თვალსაზრისით დიალექტურ სხვაობებზეც შეგვიძლია მივიანიშნოთ: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში უპირატესად მორფონოლოგიური პრინციპი მოქმედებს, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში — საკუთრივ მორფოლოგიური. შევნიშნავთ: რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ იმ ფორმებს, რომელთაც ფონეტიკური ცვლის პოტენცია აქვს (წყალ-ი → წყლ-ის, ტბა → ტბ-ის და მისთ.), სხვა შემთხვევებში (კაც-ი → კაც-ის, სახლ-ი → სახლ-ის...) დიალექტთა ორივე წრეში ოდენ მორფოლოგიური პრინციპი დაჩინდება.

ბ) ზმნის უღვედილება.

მორფოლოგიური
აწმყო: დრიკ-ავ-ს
აორისტი: დრიკ-ა

მორფონოლოგიური
დრეკ-ს
დრიკ-ა

პირველ შემთხვევაში მორფოლოგიური პრინციპის შესაბამისად ფორმათცვლილებასთან გვაქვს საქმე (I და II სერიის ფორმებს განსხვავებს —ავ თემის ნიშნის ქონა-უქონლობა), მეორე შემთხვევაში მორფონოლოგიური პრინციპი მოქმედებს (I და II სერიის ზმნურ ფუძეებს ე:ი გახმოვანება განასხვავებს).

დაჩინდება შემთხვევები, როცა შეუღლებულია ორივე ზემოხსენებული პრინციპი (როგორც ეს სახელთა ბრუნების დროსაც იქნა დადასტურებული):

მორფოლოგიური
აწმყო ღალ-ავ-ს
აორისტი (და)-ღალ-ა

მორფონოლოგიური
ღლ-ი-ს
(და)-ღალ-ა

მეორე პარადიგმაში საკუთრივ მორფოლოგიურ პრინციპთან ერთად გამოიყენება მორფონოლოგიურიც: აწმყოში წარმოდგენილია — ი ფორმანტი და ღლ—რედუცირებული ფუძე, აორისტში — ღალ ფუძე სრული გახმოვანებით. არსებითად ამავე პრინციპით ხდება ზემოდასახელებული დრეკ-ს/ / დრეკ-ავ-ს ტიპის ფორმათა შეუღლება ზოგიერთ დიალექტში (უპირატესად ეს მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში იჩენს თავს: ქართლურში, კახურში, ფშაურში...): დრეკ-ავ-ს (აწმყო — დრეკ-ა (აორისტ); I და II სერიის ფორმათა (აწმყოსა და აორისტის) ოპოზიცია დაეფუძნა, ერთი მხრივ, აფიქსაციას (—ავ თემის ნიშნის მქონებლობას აწმყოში და მის უქონლობას აორისტში), მეორე მხრივ, გახმოვანებას (ე-გახმოვანება I სერიაში და მისი ნარედუქციული ი-გახმოვანება II სერიაში).

შენიშვნა: მორფოლოგიური და მორფონოლოგიური პრინციპების გამოყენების თვალსაზრისით ერთსა და იმავე დიალექტში (ასევე: სალიტერატურო ენაში) შესაძლოა განსხვავდებოდეს სახელადი და ზმნური პარადიგმები. მაგალითად, თვალ-ი „მხედველობის ორგანო“ → თვალ-ის, თვალ-ით... თვალ-ებ-ი, მაგრამ: თვალ-ი → თვლ-ის: თვალ-ა (პირველ შემთხვევაში მორფოლოგიური პრინციპია გამოყენებული, მეორე შემთხვევაში — მორფონოლოგიური: ფორმათწარმოებაში მონაწილეობს გახმოვანების მიხედვით ფუძის ცვლილება. ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევებშიც: ქარ-ი → ქარ-ის, ქარ-ით, ერთი მხრივ, და: ქარ-ი → ქრ-ი-ს, ქრ-ოლ-ა, მეორე მხრივ. შდრ.: თვალ-ი „ბორბალი... ძვირფასი ქვა...“ → თვლ-ის, თვლ-ით... თვლ-ებ-ი სადაც მორფონოლოგიური პრინციპი სახელისავე პარადიგმაშია გამოყენებული. სახელისა და ზმნის სისტემებში შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სახეობის მორფონოლოგიური პრინციპები: ძალა (შდრ. ძველი ქართული: ძალ-ი) → ძალ-ის, ძალ-ით (როცა ხდება ფუძის ბოლოკიდურა ხმოვნის რედუქცია: ძალა/ძალ), ერთი მხრივ, და: ძალა → შე-ს-ძელ (როცა ხდება ფუძისეული ხმოვნის დავიწროება-ნაწილობრივი რედუქცია: ძალ/ძელ) ან: ს-ძლ-ებ (როცა დაჩნდება სრული რედუქცია: ძალ/ძლ) მეორე მხრივ.

რედუქციის კონკრეტული (ყრძო) ფაქტები დიალექტებში სწორედ ამ ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით უნდა იქნას შეფასებული.

ბრუნებისა და უღვლილების სისტემის განხილვისას ზემოთ უკვე აღინიშნა ამ თვალსაზრისით სხვაობა აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებს შორის.

ყრძოდ, ითქვა, რომ ბრუნების პარადიგმაში აღმოსავლეთ საქართველოს დი-

აღუქტებისათვის დამახასიათებელია მორფონოლოგიური პრინციპის გამოყენება (სადაც კი ამის ფონეტიკური შესაძლებლობა დაინდება), მაგალითად, კახური: მან-ქანა – მანქან-ის, მანქან-ით (შდრ.: ქარხანა → ქარხნ-ის, ქარხნ-ით), ფაიტონ-ი → ფაიტენ-ის, ფაიტენ-ით (შდრ.: მაწონ-ი → მაწვნ-ის, მაწვნ-ით); მოხეური: ნიკაპ-ი → ნიკაპ-ის/ნიკაპ-ის, ნიკაპ-ით/ნიკაპ-ით (შდრ.: კაკაბ-ი → კაკაბ-ის, კაკაბ-ით); ხევსურული: ჭლან-ი → ჭლნ-ის, ჭლნ-ით (შდრ.: ბატკან-ი → ბატკნ-ის, ბატკნ-ით)... შესაძლოა ერთდროულად მოქმედებდეს რედუქციის ორი სხვადასხვა ნაირსახეობა: ქალმან-ი → ქალმან-ი (სინკოპე; შდრ.: წელიწად-ი → წელიწად-ი, ხალიჩა → ხაჩა), → ქალმნ-ის → ქალმნ-ით (ფუძის შეკუმშვა ხმოვნის შემცველი სუფიქსის დართვის შედეგად). მორფონოლოგიური პრინციპი მეორე შემთხვევაში მოქმედებს (შდრ.: ქალმან-ი → ქალმან-ი და: ქალმან-ი → ქალმნ-ის, ქალმნ-ით, რითაც პარადიგმაში დაპირისპირებულია ქალმან: ქალმნ ფუძეები).

ბრუნების პარადიგმის პრინციპი, როგორც წესი, დაინდება — ებ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების დროსაც; მაგალითად, მოხეური: ბატონ-ი → ბატენ-ებ-ი (შდრ.: დიაკონ-ი → დიაკენ-ებ-ი), შკამ-ი „სკამი“ → შკმ-ებ-ი, წამწამ-ი → წამწმ-ებ-ი (შდრ.: კალამ-ი → კალმ-ებ-ი)... აგრეთვე სიტყვათწარმოების დონეზე; მოხეური: ბედნიერ-ი → ბედნიერ-ობა (შდრ.: გონიერ-ი → გონიერ-ობა)...

ამის საპირისპიროდ, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში უპირატესად სრულხმოვნობაა შენარჩუნებული (მგელ-ი → მგელ-ის, მგელ-ით... ყბა/ყბა → ყბა-ის, ყბა-ით...).

მაგრამ აღმოსავლური და დასავლური დიალექტების გამოჩენა რედუქციის ინტენსივობის მიხედვით მაინც პირობითია (მით უფრო, თუკი გავითვალისწინებთ როგორც ბრუნების, ასევე უღვლოლების პარადიგმათა ჩვენებებს).

მაგალითად, ხევსურულიხათვის ისევე, როგორც სხვა აღმოსავლური დიალექტებისათვის, სახელის ფუძის კუმშვა დამახასიათებელი მოვლენაა (ჭლან-ი → ჭლნ-ის, სა-ჭლნ-ე და მისთ.), იმავდროულად ხევსურულშივე უკუმშველად დაინდება ისეთი ფუძეები, რომელთათვის, ჩვეულებრივ, რედუქცია არის ნიშანდობლოვი („მამკალნ ლუდითაც იცთან, არაყ ითაც“, „საარაყეს ჩაყენებენ“ და არა მოსალოდნელი: არყ-ით-ა-ც, სა-არყ-ე-ს).

აჭარულში, სხვა დასავლური დიალექტების მსგავსად, გავრცელებულია უკუმშველი ფორმები (ქმარ-ი → ქმარ-ის → ქმარ-ით, სანთელ-ი → სანთელ-ის, სანთელ-ით, ხმალ-ი → ხმალ-ის, ხმალ-ით... ხმალ-ებ-ი...), მაგრამ იგივე ფორმები შესაძლოა რედუქციურებული სახითაც შეგვხვდეს (უპირატესად ზემოაჭარულში). მეტიც: შეკუმშული ფუძითაა წარმოდგენილი: კრაე-ი → კრე-ებ-ი, სკამ-ი → სკმ-ებ-ი (შდრ. მოხეური: შკმ-ებ-ი), ნაპწენ-ი „ნაწნაეი“ – ნაპწნ-ებ-ი და მისთ.

შემდეგ: კახურში, როგორც აღინიშნა, სახელის ფუძის კუმშვა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა (გველ-ი → გელ-ის, გელ-ით, საქმელ-ი → საქმლ-ათ „საქმელად“, კვერ-ი → კვრ-ებ-ი), იმავდროულად ზმნურ პარადიგმაში უკუმშველადაა წარმოდგენილი —ავ/-ამ თემის ნიშნები: „(საქონელს) მო-მ-რეკ-ავ-ენ ისევე, შე-ა-ბ-ავ-ენ ყვეარ საქონელს და და-მ-ფარცხ-ავ-ენ“.

ამის საპირისპიროდ, გურულში მოდუნებულია სახელის ფუძის კუმშვა (ნიგოზ-ი → ნიგოზ-ის: „შვენიერი ნი გოზის ხეი გეიზარდა“; მთელ-ი → თელ-ათ „მთლად“: „დარაზმა თელათ მისი შინაყუმები“), მაგრამ ამასთანავე დაჩნდება რედუცირებული ფუძეებიც, ხშირად ერთსა და იმავე ტექსტში („იმ ტალახში თურმე ნი გზ-ის კაკალი ყოფილიყო... შვენიერი ნი გოზ-ის ხეი გეიზარდა“; „ნახათლ-ა საფსეოქრუები“; „არ იცოდასაკუმლ-ის გაკეთება“; „მიოყვანა ამ კაცმა აბაღ-ებ-ი“ შდრ.: ნიგოზ-ი, (მ)თელ-ი, საქმელ-ი, ბაღანა). გარდა ამისა, —ავ/-ამ თემის ნიშნები ხმოვნის შემცველი ფორმანტების დართვისას, წესისამებრ, იკუმშება (მალ-ავ-ს → მალ-ვ-ენ — ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-მ-ენ). უნდა აღინიშნოს, რომ გურულში მოდუნებულია ერთმარცვლიანი ფუძის რედუქცია (წყალ-ი → წყალ-ის, მგელ-ი → მგელ-ის... ყბა → ყბა-ის — რძე → რძე-ის...), რაც შეეხება ორ — და მეტმარცვლიან ფუძეებს, ამ შემთხვევაში პარალელური ვარიანტები დაჩნდება: როგორც სრული განხოვანებით, ასევე რედუცირებული (ნიგოზ-ი → ნიგოზ-ის//ნიგზ-ის, საქმელ-ი → საქმელ-ის//საკმლ-ის, მთელ-ი → თელ-ათ//თლ-ათ, ღელე → ღელე-ის//ღელ-ის). ზმნური —ავ/-ამ ფორმანტები, როგორც ითქვა, რედუცირდება ხმოვნის შემცველი ფორმანტის დართვისას.

შენიშვნა: გურულში (ასევე: დასავლურ დიალექტებში) რა თქმა უნდა, რედუქციას არ განიცდიან ის ფუძეები, რომლებიც, ჩვეულებრივ, არარედუცირებადი არიან (ყალიონ-ი → ყალიონ-ის, წამწამ-ი → წამწამ-ის, გველ-ი → გველ-ის, კვერ-ი → კვერ-ებ-ი... ყრუ → ყრუ-ის, ხბო → ხფო-ის...). ამ ფორმათა ერთი ნაწილი (კერძოდ, თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები: ყალიონ-ი, წამწამ-ი, გველ-ი, კვერ-ი...) კახურში (ასევე: სხვა აღმოსავლურ დიალექტებში) ხშირად რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი (ყალოენ-ის, გელ-ის; წამწმ-ებ-ი, კვრ-ებ-ი). ასე რომ, თავისებურია ამგვარ ფუძეთა კუმშვა (რაც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი) და არა მათი უკუმშველობა (რაც დასავლურ დიალექტებში დაჩნდება).

ზემოხსენებულ დანუსტების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: რედუქციის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან სხვაობს არა მხოლოდ დიალექტები,

არამედ ერთსა და იმავე დიალექტში ბრუნებისა და უღვლილების სისტემები. ნიმუშად გურულისა და კახურის მონაცემებს წარმოვადგენთ.

კახური		გურული	
ბრუნება	უღვლილება	ბრუნება	უღვლილება
წყალ-ი	მალ-ავ-ს	წყალ-ი	მალ-ავ-ს
წყალ-ის	მალ-ავ-ენ	წყალ-ის	მალ-ავ-ენ

ამასთანავე დიალექტების ერთ ნაწილში რედუქციის თვალსაზრისით იდენტური მდგომარეობაა როგორც სახელად, ასევე ზმნურ სისტემებში.

ერთი მხრივ:

ჭვემოიმერული	
ბრუნება	უღვლილება
ქმარ-ი	თეს-ავ-ს
ქმარ-ის	თეს-ავ-ენ

მეორე მხრივ:

ხევსურული	
ბრუნება	უღვლილება
ჭლან-ი	მა-ი-პარ-ავ-ს
ჭლან-ის	მა-ი-პარ-ავ-ენ

პირველ შემთხვევაში ორივე (ბრუნებისა და უღვლილების) პარადიგმაში უკუმშველი ფუძე დაჩნდება, მეორე შემთხვევაში, პირაქით, კუმშვადი ფუძეა წარმოდგენილი.

შენიშვნა: ყურადღებას იქცევს ასეთი მიმართება: თუ —ავ/-ამ თემის ნიშნები გახმოვანებას იცვლიან ნამყო უსრულში, მაშინ აწმყო-მყოფადის მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში წარმოდგენილი იქნებიან ან რედუცირებული, ან გახმოვანებაცვლილი სახით; მაგალითად, გურული: მალ-ვ-ენ (აწმყო) — მალ-ვ-იდ-ა (ნამყო უსრული); ხევსურული: მა-ი-პარ-ვ-ენ (აწმყო) — მა-ი-პარ-ევ-დ-ა (ნამყო უსრული); ზემოიმერული: თეს-ევ-ენ (აწმყო) — თეს-ევ-დ-ა // თეს-ემ-დ-ა (ნამყო უსრული); შდრ. ჭვემო იმერული: თეს-ავ-ენ (აწმყო) — თეს-ავ-დ-ენ (ნამყო უსრული), სადაც ცვლილება არც ერთ შემთხვევაში არ ხდება (სპორადულად ჭვემოიმერულშიც შეინიშნება რედუცირებული თეს-ვ-ენ, მაგრამ ეს გურულთან კონტაქტის შედეგი უნდა იყოს, რაც იმიტაც ჩანს, რომ ნამყო უსრულის წარმოებაზე იგი გავლენას ვერ ახდენს, ანუ: ეს ფონეტიკური ცვლილება სისტემის

ღონეზე არ არის წარმოდგენილი).

ქართული ენის დიალექტებში, მიუხედავად (კილოების მიხედვით) რედუქციის ცალკეულ ნაირსახეობათა განსხვავებული ინტენსივობისა, არსებითად ერთი და იგივე პრინციპი მოქმედებს (იგარაუდება ფუძის ან მორფემათა რედუქცია ბრუნებისა და უღვლოების დროს, რედუქციის გამოყენება მორფონოლოგიური დანიშნულებით და მისთ.). ამასთან ერთად დაჩნდება იმ რიგის რედუქციაც, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ასეთია რედუქცია რთულ ზმნისწინებში, რაც ქართულ კილოთაგან მხოლოდ ინგილოურში არის დამოწმებული: ამო-თქმა → ემო-თქამა, გამო-ვიდა → გემო-ვიდა → გმო-ვიდა, გამა-აგდა → გემა-აგდა → გმა-აგდა („გამოაგდა“), ჩამო-დით → ჩემო-ით → ჩმო-ით // ჩმო-მთ, ჩამა-აგდეს → ჩემა-აგდეს → ჩმა-აგდეს („ჩამოაგდეს“). რედუქციის განიციდის თავიციდურა ხმოვანი (პარალელურად დაჩნდება სხვა ფონეტიკური ვარიანტებიც: ვომო-ვიდა, გემე-ეგდა და მისთ.). ხდება როგორც ნაწილობრივი (ა → ე), ასევე სრული რედუქცია (გამონაკლისს წარმოადგენს ამო-ზმნისწინი, სადაც მხოლოდ ნაწილობრივი რედუქციაა დადასტურებული: ემო-). გარდა ამისა, ინგილოურშივე ობიექტური წყობის II და მრავლობითი რიცხვის I პირის ფორმებში (ანუ: გ — და გვ — მორფემათა გამოყენებისას) რედუქცირდება მო- / მა- ზმნისწინისეული (ანუ: რთული ზმნისწინის თავიდან მეორე) ხმოვანი, რასაც თან ახლავს მეტათეზისი: გამო-გ-ი-წერ-ი → *გამ-გ-ი-წერ-ა → გაგმ-ი-წერ-ა, შემო-გვ-ი-ხვდ-ა → *შომ-გვ-ი-ხტ-ო → *შოგვმ-ი-ხტ-ო → შოგმ-ი-ხტ-ო (იკარგვის გვ-ფორმანტისეული ე).

შენიშვნა: ქართული ენის დიალექტებში ფართოდ არის გავრცელებული გადა— ზმნისწინისეული ხმოვნის რედუქცია: გადა-ვიდა → გად-ვიდა-ა, გადა-უ-გდ-ო → გად-უ-გდ-ო, გადა-ი-ტან-ა → გად-ი-ტან-ა და მისთ. მაგრამ, ჯერ ერთი, რთული წარმოშობის მიუხედავად (გარ-და → გადა-), იგი მარტივი ზმნისწინის თვისობას ავლენს (მაგალითად, რთულდება მო — ზმნისწინით: გად-მო-). შემდეგ, მისი რედუქცია იმავე ტიპისაა, რაც ზემოთ ელიზის შემთხვევაში იქნა აღნიშნული.

დიალექტებში დადასტურებულია ხმოვანთა რედუქციის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც ფორმათ — ან სიტყვათწარმოებასთან არ არის დაკავშირებული.

ასეთია, მაგალითად, სინტაქსური ფაქტორით (უფრო ზუსტად: ფრაზის ინტონაციური თავისებურებით) შეპირობებული რედუქციის შემთხვევა. სხვადასხვა დიალექტში იგი სხვადასხვა მოდიფიკაციით დაჩნდება.

მაგალითად, კახურში ზედსართავი სახელი პატარა დამოუკიდებლად ხმარებისას (ანუ: არსებითი სახელის დანიშნულებით გამოყენებისას) არ რედუქცირდება, მაგრამ

რედუცირებულია მაშინ, როცა მსაზღვრელის როლში გამოდის: პატრა ბიჭი (შესაძლოა ამის მიზეზი მსაზღვრულ-საზღვრელის გაკომპოზიტების ტენდენციაც იყოს).

გვაქვს ფონეტიკური ვარიანტების პარალელური გამოყენების შემთხვევებიც; მაგალითად, მთიულურში დადასტურებულია: რასა იქმ//რას იქამ, კაცსა აქუ //კაცს აქუ; ანუ: შესიტყვების ერთ-ერთი წევრის გახმოვანებაზე გავლენას ახდენს მეორე კომპონენტის მარცვალთშედგენილობა.

ფრაზის ინტონაციურ თავისებურებებს განსაზღვრავს ფრაზაში მახვილთა განაწილება. მახვილი შეაპირობებს ცალკეულ სიტყვითა ფონემატურ შედგენილობასაც. ამ რიგისაა, მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები სინკაპირებული ფორმები (წელიწად-ი → წელწად-ი და მისთ.). ლირსსაცნობია, რომ სინკაპე შესაძლოა ფართოდ იყოს გავრცელებული იმ დიალექტებში, სადაც სხვა შემთხვევებში რედუქცია მეტ-ნაკლებად მოდუნებულია; მაგალითად, აჭარულში, ერთი მხრივ, გვაქვს: ეკალ-ი → ეკალ-ის, დედაბერ-ი → დედაბერ-ის, ხოლო, მეორე მხრივ, ნახევარ-ი → ნახვარ-ი, მჭედელ-ი → ჭედლ-ი, ღრუბელ-ი → ღრუბლ-ი...

რედუქცია შესაძლებელია შეაპირობებული იყოს ფრაზის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურით (განსაკუთრებით ეს ეხება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს და ხატოვან შესიტყვებებს); მაგალითად, იმერულში გვხვდება ასეთი გამოთქმა: „ჭინკა დრით (ღდარით) ჩამევიდა და ახლა ავდრით წაუა“.

რედუქცია ზოგჯერ ანალოგიის შედეგია. ქართულში დადასტურებულია ასეთი მიმართება: დარ-ი → დარ-ის, მაგრამ: ავდარ-ი → ავდარ-ის (ცალკე აღებული სახელი უკუშველია, მაგრამ კომპოზიტის შემადგენლობაში იკუმშება). ამ ტიპის ფორმათა ანალოგიით უნდა აიხსნას ასეთი შემთხვევები: ქარ-ი → ქარ-ის, მაგრამ: ჭვენა ქარ-ი → ჭვენაქარ-ის (ზემოიმერული: „ჭვენაქრით მევიდა თოვლი“). რედუცირებული ვარიანტი დაჩნდება ფუძელ ზმნურ ფორმაშიც: ამე-ი- ჭვენაქარ-ებ-ს.

2.17. ხ მ ო ვ ა ნ თ ა მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი ძირითადად ორი სახისაა:

ადგილს იცვლიან ხმოვნები: ა-ო — → ო-ა (რატულს): მონაზონი → მონოზანი/მოლოზანი)...


ადგილს შეინაცვლებენ თანხმოვანი და ხმოვანი: ირ → არი (ღირსი → ღრისი, ჯირკი → ჯირკი), ურ → რუ (ზურგი → ზრუგი), ლი → ილი (ჩლიქი → ჩილქი), აე → ვა (ვაჟავრდა → გაჯავრდა); დადასტურებულია იმერულსა და გურულში.

იშვიათად დაჩნდება ოდენ ხმოვნის გადასმის შემთხვევებიც: ბროწეული → ბერწოული (იმერული) — ბრ კომპლექსს შუა გადასმის ე ხმოვანი, ამასთანავე ხდება თანხმოვან-ხმოვნის მეტათეზისიც: ოწ → წო.

2.18. ფონეტიკურ ცვლილებას, ჩვეულებრივ, იწვევს ის ხმოვანი, რომელიც მეტი მარკირებით ხასიათდება. ყველაზე მეტი გავლენის მქონეა უ (ვიწრო და ლაბიალური), ყველაზე ნაკლები გავლენისა — ა. ქართული ენის დიალექტები ამ კანონზომიერებას უმეტეს შემთხვევაში ადასტურებენ: აუ → აუ → უუ → უ (წაულო → წაულო → წაულო → წაულო), ეუ → ეუ → ეუ → უშეუნახა → შოუნახა → შუუნახა → შუ ნახა), იუ → იუ (მიუთვლის → მიუთვლის), აე → აე (წაელო → წაელო), აი → ეი → აი (წაილო → წაილო) და მისთანანი სწორედ ამის ნიმუშებია.

იმავდროულად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსში ხ მ ო ვ ა ნ თ ა თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა ს ა ც . განსაკუთრებით ნათლად ეს წარმოჩნდება თანაბარი ლიაობის ხმოვნებისაგან შედგენილ კომპლექსებში. მაგალითად, ე და ო ხმოვნებით შედგენილი კომპლექსები ფონეტიკური ცვლილებისას განსხვავებულ შედეგებს იძლევიან იმის შესაბამისად, თუ რა თანამიმდევრობით არიან ეს ხმოვნები წარმოდგენილი.


განვიხილოთ ეს ორი დებულება კონკრეტული ნიმუშების მოხმობით.



ლიაობის (აწეულობის) მიხედვით იდენტური ე და ო ხმოვნები განსხვავებულ არიან ლაბიალობის მარკერით — ო ლაბიალური ხმოვანია და მისთვის, ე-სგან განსხვავებით, სწორედ ესაა დამატებითი ნიშანი. ამის კვალობაზე, ო მეტი გავლენის მქონეა, რაც მტკიცდება ზემოთ მოტანილი სქემითაც: პირველ შემთხვევაში ო იწვევს წინამდებარე ხმოვნის დავიწროებას (მეორე → მიორე → მორე), მეორე შემთხვევაში ასევე ო ხმოვნის გავლენით ხდება წინამდებარე ხმოვნის გალაბიალება, რის შედეგად ვიღებთ ორ იდენტურ ხმოვანს, რომლებიც შეირწყმიან გრძელ ხმოვნად, ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ გადადის მარტო ხმოვანში (მეორე → მორე → მორე → მორე).

ამდენად, ეო კომპლექსის ფონეტიკური ცვლილების ორივე შემთხვევა ადასტურებს ზემოხსენებულ პირველ დებულებას, რომ მეტი მარკირების მქონე ხმოვანი ამჟღავნებს მეტი ზეგავლენის უნარს (პირველ შემთხვევაში იწვევს დისიმილაციას, მეორე შემთხვევაში — ასიმილაციას).

იმავდროულად შდრ.:



აქ უკვე გამვლენელი აღმოჩნდა პალატალური ე ხმოვანი, პირველ საფეხურზე

იგი იწვევს წინამავალ ან სრულ რეგრესულ ასიმილაციას (ოე → ეე), ან რეგრესულ დისიმილაციას (ოე → უე). შემდგომ საფეხურებზეც აშკარად დაჩნდება ე ხმოვნის გამვლენელი ძალა. ასიმილაციის შემდგომ ორი შესაძლებლობაა: გრძელ ხმოვნად შერწყმა (ოე → ეე → ე), რომელიც ზოგ დიალექტში მარტივ ხმოვანში გადადის (ასე, მაგალითად, ფერეიდნულში: მე ტანა → მეტანა), და რეგრესული დისიმილაცია (ოე → ეე → იე → ეე); ანუ: მოეტანა → მეეტანა → | (მე ტანა (-მეტანა)
მეტანა → მეეტანა

დისიმილაციის პირველ საფეხურს ასევე შესაძლოა ჰქონდეს ორი შედეგი: ერთ შემთხვევაში დისიმილაციის გარეშე და ამის საფუძველზე დიფთონგიზაცია (უე → უე/ვე), მეორე შემთხვევაში უ → უო → ვი (როგორც ჩანს, უმლაუტიანი საფეხურის ტავლით (ანუ: უ → უო → უი → ვი); კერძოდ:

აძო(ვ)ე → აძუე → | აძუ ე/აძვე (აჭარული)
აძუ იე/აძვიე (მესხური)

შეენიშნათ: ოე → უე → უო/ვიე ოდენ ბოლოკიდურა პოზიციაში არის დადასტურებული, თანაც ოე, როგორც წესი, მეორეული კომპლექსია (მიღებულია გ-ს ჩავარდნით: ოვე → ოე).

ასე რომ, ამ შემთხვევაშიც აშკარაა ე ხმოვნის გამვლენელი ძალა.

ამდენად, ოე კომპლექსის ფონეტიკური ცვლილების ორივე შემთხვევა ადასტურებს ზემოხსენებულ მეორე დებულებას, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს კომპლექსში ხმოვანთა თანამიმდევრობას.

ამ ორი დებულების ურთიერთმეჭვრებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თანამიმდევრობას აქვს უპირატესობა ფონეტიკური პროცესის განსაზღვრისას, რადგან როგორც ეო, ასევე ოე კომპლექსებში გამვლენლად დაჩნდება მომდევნო ხმოვანი და ამის კვალობაზე ცვლილება წარიმართება ან ლაბიალური (ო), ან პალატალური (ე) ხმოვნის ზეგავლენით (რაც თავისთავად განასხვავებს ამ კომპლექსებში მიმდინარე პროცესებს).

მაგრამ საკითხი ასე ცალსახად მაინც ვერ გადაწყდება. გასათვალისწინებელია სხვა მომენტებიც.

ჯერ ერთი, ეო კომპლექსი, გარდა ზემოდასახელებული ცვლილებებისა, ადასტურებს ეე/ეე შედეგსაც: მეორე → მევერე/მეერე (ეე, თავის მხრივ, შეიძლება იცვალოს დისიმილაციის საფუძველზე: მეერე → მიერე). ამათგან მევერე შეინიშნება ინგილოურსა და მესხურში (ჭავახურში), ხოლო მეერე (მე რე)/მიერე — აჭარულში.

ინგილოურში სხვა ფონეტიკური ვარიანტებიც გვხვდება; საერთო სურათი ასეთია:

მეორე → | მევერე
 მეორე → მევერე (→ მევერე → მიერე)
 მიორე → მიორე → მივერე (→ მივერე)
 მორორე → მრვერე
 მტორე → მტვერე

შდრ. აჭარული:

მეორე → | მიორე
 მევერე → | მე რე
 მიერე

ამდენად, ეო კომპლექსშიც დაჩნდა ე-ს (წინამძველი ხმოვნის!) გავლენის შედეგი (განსხვავებით ზემოხსენებულსაგან, რის მიხედვითაც, გავლენილია მომდევნო ხმოვანი). საერთოდ კი, ინგილოურისა და აჭარულის მონაცემები ორივე ზემოთ წარმოდგენილ დებულების საპირისპიროა: გავლენილია წინამძველი (და არა მომდევნო), და, გარდა ამისა, პალატალური (და არა ლაბიალური) ხმოვანი.

რა არის ამის მიზეზი?

სავარაუდოა, ასეთი შედეგის საფუძველი ო ხმოვნის უმლაუტიზაციას გამოეწვია. ამასთან დაკავშირებით უნდა გაითვალისწინოთ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება: გვაქვს იმ რიგის ფონეტიკური ცვლილება, რომელიც ამჟამად დაჩნდება მხოლოდ დიალექტების ერთ ნაწილში, მაგრამ ისტორიულად იგი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სხვა კილოებისთვისაც, რაზეც ცვლილების შედეგი მიგვანიშნებს. კერძოდ, აჭარულში ახლა უმლაუტიზაციის პროცესი არ შეინიშნება, მაგრამ ამის გამო არ გამოირჩევა ისტორიულად მისი პოზიციების შესაძლებლობა. საანალიზო მასალა კი, ვფიქრობთ, ცალსახად ადასტურებს ასეთ შესაძლებლობას. თუ ასეა, ინგილოურშიც და აჭარულშიც ერთი და იმავე პროცესის შედეგთან გვეკონია საკმე (ოღონდ ინგილოურში ეს პროცესი ამჟამადაც მოქმედია, ხოლო აჭარულში ოდენ ისტორიულად ივარაუდება).

მეორე ფორმაში ო-ს უმლაუტი შეეძლო გამოეწვია როგორც წინამძველ (მასთან უშუალო მეზობლობაში მყოფ), ასევე მომდევნო ე ხმოვანს. ო-ს ერთდროულად ახასიათებს ლაბიალობა და პალატალობა. ფონეტიკური ცვლილების შედეგად მას რამდენიმე ნაირსახეობა შეეძლო მოეცა:

ო → ო (დეპალატალიზაციით)

ე (დელაბიალიზაციით)

ჟე → ჟე (შემადგენელ კომპონენტებად „დაშლით“).

ყველა ეს შესაძლებლობა განხორციელებული აღმოჩნდა მეორე ფორმაში ეო კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებისას.

შენიშვნა I: გასათვალისწინებელია, რომ მეორე ფორმაში დაჩნდება თანხმოვნით (რ სონანტით) გათიშული ოე კომპლექსიც, რასაც გარკვეულ წილ გავლენა უნდა მოეხდინა ხსენებული ფორმის ფონეტიკურ ნაირსახეობებზე, თუმცა დაჩნდება ეო კომპლექსის შემცველი მეოთხე, მეოცე და მისთანა ფორმებიც, რომელთა ფონეტიკური ვარიანტები ასეთი მრავალფეროვნებით არ ხასიათდება (უპირატესად შეინიშნება ეო → იო); შდრ.: მეომარი, მეოხი, მეოცნებე, სადაც ეო ხშირად უცვლელია...

შენიშვნა II: რაც შეეხება სხვა ნაირსახეობებს, ისინი მიღებულია სხვა შემთხვევებშიც დადასტურებული ფონეტიკური წესების საფუძველზე: ოო → უო დისიმილაციის გზით (მორე → მურე), ო → ე რედუქციით ან ე-ს სინკოპეთი (მეორე → მევერე; შდრ.: მინდორი → მემინდვერე, მაწონი → მემაწენე; ან: მევერე → მევერე, შდრ.: წელიწადი → წელწადი), ეე → იე (მევერე → მიერე; შდრ.: მეენახა → მიენახა) და ა.შ.

შენიშვნა III: ყურადღებას იქცევს ერთი მოვლენა: კერძოდ, თითქმის ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ივარაუდება ოე → ეე, პარალელურად დაჩნდება აე → ეე: მოეტანა // მეთანა → მეეტანა, მოედანი // მეედანი - შეედანი... ღირსსაცნობია ისიც, რომ თავკიდურა პოზიციაში ოე იმავდროულად უე ფონეტიკური ნაირსახეობითაც დაჩნდება (მოეტანა → მუეტანა), ხოლო ბოლოკიდურა პოზიციაში უპირატესობა სწორედ დისიმილაციის საფუძველზე ცვილ ვარიანტს (უე-ს) აქვს: ეზოები → ეზუები, ამის კვალობაზე, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის შესაძლოა ვივარაუდოთ აე → ეე (მეთანა → მეეტანა), მაგრამ ოე → ეე (მოეტანა → მუეტანა), მაგრამ დასავლური დიალექტებისათვის მანქანისწინი არ არის ნიშანდობლივი (დაჩნდება მხოლოდ ფუძისეული ან ფორმანტისეული მ-ს წინ, ისიც ზოგიერთ კილოში; ზემოიმიერული: მამტანი, მამიტანი...). მოუხედავად ამისა, გვაქვს როგორც ეე, ასევე მისი შემდგომი ვარიანტი იე (მოეტანა → მეეტანა → მიეტანა).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა მეტ დამაჯერებლობას შეიძენს, თუ გავითვალისწინებთ სხვა კომპლექსთა ჩვენებასაც. მაგალითად, ი და უ (მსგავსად ე და ო-სი) თანაბარი ღიაობის ხმოვნებია. ამათგან უ დამატებით ლაბიალურია და, ამდენად, ი-სთან შედარებით მეტი მარჯვრით ხასიათდება. ეს დაჩნდება იუ კომპლექსში უ-ს გავლენილი ძალით: იუ → უუ (მიუტანა → მუუტანა). შებერუნებული წყობის დროს (უი) სამი შესაძლებლობაა:

უი → უი (ბუი)
 უვი (ბუვი)

შუ იი/ ვი (ტყუილი → მესხური: ტყვილი)

ანუ: ერთ შემთხვევაში კომპლექსი არ იცვლება, მეორე შემთხვევაში ითიშება თანხმოვანით (მხოლოდ ერთმარცვლიან ფუძეებთან: ბუი → ბუვი, რუი → რუვი, ყრუი → ყრუვი, შდრ.: ძუძუი), მესამე შემთხვევაში (საგარაუდოა, უმლაუტის საფეხურის გავლით) ხდება ხმოვნის დაშლა (უ → უ → შუ ი/ვი). ამათგან მხოლოდ ბოლო შემთხვევაში დაჩნდება ი ხმოვნის გამვლენელი ძალა, ანუ: ოდენ აქ აღმოაჩნდა თანამიმდევრობას ფონეტიკური ცვლილებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

ანალოგიური მდგომარეობაა განსხვავებული ლიაობის ხმოვანთაგან შედგენილ კომპლექსებშიც.

ერთი მხრივ, აო → ოო ასიმილაციით (სამუშაო → სამუშოო), მეორე მხრივ, ოა → უა დისიმილაციის საფუძველზე) მარტოა → მარტუა). ორივე შემთხვევაში გამვლენელია მომდევნო ხმოვანი, მიუხედავად მარკერის მეტობა-ნაკლებობისა.

და ასე:

აე → ეე → იე (დაემართა → დეემართა → დიემართა), მაგრამ: ეა → ია (შეალო → შიალო).

აი → ეი → იი (წაილა → წეილა → წილა), შდრ.: ია → ჯა (მიართვა → აქარული; იმერული დიალექტის ბაღდათური თქმე: მმართვა).

აუ → ეუ → იუ (წაულო → წეულო → წიულო), შდრ.: უა → უა/ვია (გაათხოვა → გაათხოა → გაათხოა → აქარული: გაათხო ა/მესხური: გაათხვია).

ეუ → რუუ → უუ (შეუნახა → შოუნახა → შუუნახა), შდრ.: უე → უე/ვიე (გაათხოვეს → გაათხოეს → გაათხეს → აქარული: გაათხო ეს მესხური: გაათხეეს) და მისთ.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობისა აღმოაჩნდა მიმართულება: მიუხედავად მარკერის მეტობა-ნაკლებობისა, გამვლენელია მომდევნო ხმოვანი, იგი ცვლის ფონეტიკურად წინამავალ ხმოვანს. ამდენად, ამ შემთხვევაში მართლდება ი. ყიფშიძის დებულება, რომ ქართულისათვის დამახასიათებელია რეგრესული ასიმილაცია. უნდა დაზუსტდეს: ნიშანდობლივია რეგრესული დისიმილაცია (ი. ყიფშიძის ვარაუდით, უპირატესად დაჩნდება პროგრესული დისიმილაცია, რაც მართებულია თანხმოვანთა მიმართ, მაგრამ ხმოვანთა კომპლექსებში, როგორც ვნახეთ, სხვაგვარი ვითარებაა).

იმავედროულად, როგორც აღინიშნა, გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც: ია → რე (ნიავი → იმერული: ნიევი, ნიადაგ → მოხუერი: ნიედეგ), აუ → რუ (დანაშაული → აქარული: დანაშაული), ეუ → რუ (დეკუელი → აქარული: დეკუელი). აქ უკვე წინამავალი ხმოვანი იწვევს ფონეტიკურ ცვლილებას (ცვლილების მიმართულება

პროგრესულია), მიუხედავად მარკირების მეტობა-ნაკლებობისა; შდრ.: ერთი მხრივ, ია → იე (ი მეტი მარკირების მქონეა) და, მეორე მხრივ, აუ → აუ (მეტი მარკირებით ხასიათდება უ ხმოვანი).

ამდენად, საკითხი დგას ფონეტიკური ცვლილების ამა თუ იმ ნაირსახეობის სიხშირის შესახებ, რის კვალობაზეც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება იერარქიული დამოკიდებულება ფონეტიკური პროცესის მიმართულებასა და მარკირების მეტობა-ნაკლებობას შორის. ამ დროს არსებითია პოზიციის ფაქტორიც. მაგალითად, თუ კომპლექსი თავიკიდურა პოზიციაში, როგორც წესი, იცვლება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე; ანუ: გამეღუნელოა მომდევნო ხმოვანი, რომელიც იმავდროულად მეტი მარკირებით ხასიათდება (წაულო → წოულო → წუულო → აჭარული: წუ ღო), ბოლოკიდურა პოზიციაში, პირიქით, ცვლილება პროგრესული მიმართულებისა და გავლენას ახდენს ნაკლები მარკირების მქონე ხმოვანი (დანა-შაული → აჭარული: დანაშაუ ლო).

შეგნიშნავთ: გასათვალისწინებელია დიალექტური (კილოკური) თავისებურებანიც, რაც განაპირობებს ხმოვანთკომპლექსის კონკრეტულ ნიშან-თვისებათა კვალობაზე ფონეტიკურ ცვლილებათა სხვადასხვაობას. იგულისხმება შემთხვევები, როცა მეტი მარკირების მქონე ხმოვანი ნაკლები გავლენის მქონეა (იხ. აქვე, ზემოთ: 2.13 (შენიშვნა).

2.19. ზემოხსენებულთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ზოგი მომენტი.

როგორც წარმოჩნდა, ასიმილაცია და დისიმილაცია მიმართულების მიხედვით შეიძლება იყოს რეგრესულიც და პროგრესულიც, თუმცა სიხშირის მიხედვით უპირატესად რეგრესული მიმართულებისა დაჩნდება. ეს მოვლენა ახსნადია, თუ გავითვალისწინებთ ფსიქოლოგიურ ფაქტორს: საწარმოთქმო ორგანოები წინასწარ შემზადებულია მთელი სიტყვის (უკეთ: ერთი მახვილის ქვეშ, გაერთიანებული ბგერათკომპლექსის) წარმოსათქმელად, რაც განაპირობებს წინამავალ ბგერათა შესაბამის ცვლას მომდევნო ბგერებთან შესაგუებლად.

ნიმუშად დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

რეგრესული მიმართულებისა:

ასიმილაცია: აე → იე → იი (წაილო → წეილო → წიილო), აუ → ოუ → უუ (წაულო → წოულო → წუულო), აო → ოო (მუშაობა → მუშოობა)...

დისიმილაცია: ეა → ია (შეატყო → შიატყო), ოა → უა (მოახერხა → მუახერხა, მოვა → მოა → მუა), ოე → უე (ეზოები → ეზუები).

პროგრესული მიმართულებისა:

ასიმილაცია: აე → აა (რაღაცაები → რაჭული კილოს გლოლური კილოკავი: რაღაცააბი), ია → იე (ნიავი → იმერული: ნიევი, ციაგი → იმერული: ციეგი).

დისიმილაცია: აა → აე (სანამ → იმერული: სანემ), აი → აამ (ქოსაის → აჭარული:

ქოსამს), აა → აი (ლაპარაკი → იმერული, გურული: ლაპარიკი), უო → უა (უთუოდ → მთიულური: უთუად), უე → უა (ბუერა → მთიულური: ბუარა).

დაჩნდება ორმხრივი ზემოქმედების შედეგიც:

დისიმილაცია: ა-ა-ა → ა-ე-ა (ამალამ → იმერული, გურული: ამელამ; არაკაცი → არეკაცი).

დადასტურებულია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ფორმაში ერთმანეთის მომდევნოდ გვაქვს ერთი და იმავე მიმართულების ურთიერთსაპირისპირო პროცესები — ასიმილაცია და დისიმილაცია: აე → ეე → იე (დაემართა → რეგრესული ასიმილაციით: დემართა → რეგრესული დისიმილაციით: დიემართა).

დამოწმებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე კომპლექსში ერთდროულად დაჩნდება ორივე მიმართულების ურთიერთსაპირისპირო პროცესები — ასიმილაცია და დისიმილაცია: აე → ეი → ემ (წაილო — რეგრესული ასიმილაციით: წეილო — პროგრესული დისიმილაციით: წემლო), ოე → ეე → ემ (მოითმინა → მეითმინა → მემთმინა). მაგალითები დასახელებულია აჭარული და იმერული (ბაღდათური თქმა) დიალექტებიდან.

2.20. როგორც ასიმილაციის, ასევე დისიმილაციის შემთხვევაში უმეტეს წილ ხდება ხმოვნის დავიწროება, მაგრამ იმაედროულად დაჩნდება საპირისპირო მოვლენაც — ხმოვნის გაფართოება.

ხმოვნის დავიწროების ნიმუშები მრავლად იყო ზემოთაც დასახელებული: ა → ე (დაენახა → დეენახა → დიენახა), ა → ო → უ (დაუნახა → დოუნახა → დუუნახა) და მისთ. ამ თვალსაზრისით ერთი და იგივე შედეგის მქონე შესაძლოა იყოს ასიმილაციაც (დაინახა → დეინახა → დიინახა) და დისიმილაცია (შეაჯყო → შიაჯყო): ორივე შემთხვევაში დაჩნდება ე → ი.

ამის საპირისპიროდ, შედარებით იშვიათია ხმოვნის გაფართოების ფაქტები.

ასიმილაციის დროს ხმოვნის გაფართოება შესაძლოა მოხდეს პროცესის რეგრესული მიმართულების შემთხვევაში: იე → ეე (მიეცა → ქვემოიმერული, კახური: მეეცა, მიეწია → მეეწია), უ-ა → ო-ა (უნაგირი → აჭარული: ონაგირი), მაგრამ უფრო ხშირად დაჩნდება პროგრესული მიმართულებისას: აე → აა (რაღაცაები → რაჭული-გლოლური: რაღაცააბი), აუ → აო (საუბარი → ფშაური: საობარი; გეუბნები → ფშაური: გეობნები, ვარაუდი → აჭარული: ვარაოდი).

დისიმილაციის შემთხვევაში, პირიქით, ხმოვნის გაფართოება შეინიშნება რეგრესული მიმართულების დროს: ოო → აო (საბოლოო → საბოლოა), ოუ → აუ (ინდოური → ინდაური); ე-ე → ა-ე (ეგებ — ხევსურული: აგებ).

ღირსსაცნობი აქ ისაა, რომ ცვლილების შედეგად მიიღება ისეთი კომპლექსები (აა, აო, აუ), რომლებიც სხვა შემთხვევებში თვით იცვლებიან ფონეტიკურად; შდრ., ერთი მხრივ, ზემოდასახელებული: ეგებ → აგებ, საბოლოო → საბოლოა, ინდოური

→ ინდაური და, მეორე მხრივ, გაგეცინა → გეგეცინა, მუშაობა → მუშოობა, აქაური → აქაურრი; ანუ: ეე → აე // აე → ეე, ოო → აო // აო → ოო, ოუ → აუ // აუ → ოუ.

2.21. ხმოვანთა კომპლექსების ცვლილებისას ო რ ი უ რ თ ი ე რ თ ს ა პ ი რ ი ს - პ ი რ ო ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა და ჩ ნ დ ე ბ ა :

ხდება ხმოვანთა მაქსიმალური დაახლოვება როგორც ლოკალური რიგის, ასევე აწეულობის (აგრეთვე ლაბიალობისა და პალატალობის) მიხედვით: აე → ეე (დაემართა → დეემართა), აე → აა (რაღაცაები → რაღაცააბი), აი → ეი → იი (დაინახა → დეინახა → დიინახა), აო → ოო (ძმოო → ძმოო) და ა.შ.

ხდება ხმოვანთა მაქსიმალური დაცილებება (ყველა ზემოდასახელებული ნიშნის მიხედვით): ოე → ეე → იე (მოენახა → მეენახა → მიენახა), ეე → იე → აე (ციხეები → ციხეები → ციხეები), ეო → იო → აო (მეორე → მიორე → მაორე), ოუ → აუ (კინტაური → კინტაური).

ორივე ტენდენცია შესაძლოა დავადასტუროთ ერთსა და იმავე დიალექტში. ნიმუშად დავასახელებთ ორი დიალექტის მონაცემს.

აჭარული: ეე → ე (შეეწია → შეწია), აე → ეე → ე (დაეკიდა → დეეკიდა → დე კიდა), ერთი მხრივ, და ეე → იე → აე (შეეწია → შეეწია → შეეწია), აე → ეე → იე → აე (დაეკიდა → დეეკიდა → დიეკიდა → დეეკიდა), მეორე მხრივ.

მთოულური: აი → ეი (შაირი → შეირი, რანაირი → რანეირი), ია → იე (ხასიათი → ხასიეთი), ერთი მხრივ, და ეი → აი (ხეიბარი → ხაიბარი), ეი → ია (გონიერი → გონიარი, იესო → იასო), მეორე მხრივ.

მიუხედავად ამგვარი დაპირისპირებისა, ზოგადი პრინციპი ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია; იგულისხმება ზემოხსენებული ტენდენციები მაქსიმალური დაახლოვებისა და დაცილებისა.

შევნიშნავთ, რომ ამ ტენდენციების თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, დიალექტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, თუ შური ზმნის თავკიდურა პოზიციაში დაჩნდება მიდრეკილება ხმოვანთა მაქსიმალური დაახლოვებისაკენ, რაც მათი ერთ ხმოვანად შერწყმით სრულდება: აე → ეე → ე (გაეშვა → გეეშვა → გეეშვა), გურულში, პირიქით, ასიმილაციის შემდგომ თავს იჩენს დაცილების, განსხვავების ტენდენცია: აე → ეე → იე (გაეშვა → გეეშვა → გიეშვა).

2.22. ფონეტიკური პროცესები არ იზღუდება ორი სიტყვის ზღვარზეც იმ შემთხვევაში, როცა ენკლოტიკასთან ან პროკლოტიკასთან გვაქვს საქმე. არსებითად ამ დროს ანალოგიური მდგომარეობა იმისა, რაც დასტურდება მორაფემათა მიჯნაზე. აი → ეი (რა იქნა → იმერული: რე-იქნა), აუ → ოუ → უუ (რა უყავი → იმერული: რა-უყავი → გურული: რე-უყავი)...

2.23. ფონეტიკური ცვლილებების დროს უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან თვისებრივი (სისტემატური) და რაოდენობრივი (სპორადული) ცვლილებანი. იგულისხმება სხვაობა დიალექტებისა და კლოკაჟების

დონეზე. მაგალითად, აი → ეი რეგრესული ასიმილაციის პროცესი, როგორც ცნობილია, სისტემებზე დაჩნდება დასავლურ დიალექტებში და, ამის კვალობაზე, მათი ფონეტიკური იერ-სახის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მოვლენაა. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის ასეთი ცვლილება უცხოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ დასტურდება ამ რიგის ცვლილებათა ცალკეული შემთხვევები; შდრ.: ქუთაისი → ომერული: ქუთაისი; საინი → ომერული: სეინი; რაისდა → რაიზა → ლეჩხუმური, გურული: რეიზა, საით → გურული: სეით, ერთი მხრივ, და: შაირი → მთიულური: შეირი; რანაირი → მთიულური, ფშაური: რანეირი, მეორე მხრივ. ასევე: ია → იე პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე იმერული დიალექტის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს (ნიავი → ნიევი, ციაგი → ციეგი), ხოლო მთიულურში ოდენ ცალკეულ ფორმებში დაჩნდება (ხასიათი → ხასიეთი); ან: იე → ეე რეგრესული ასიმილაციით სპეციფიკური მოვლენაა ქვემოიმერული სათვის (მიეცა → მეეცა: „უნდა მეეცა მისთვის“, მიელო — მეელო: „მეეფეს უნდა მეელო ვეზირი“), მაგრამ იშვიათად შეინიშნება კახურშიც (იხ. აგრეთვე ზემოთ: 2.14).

ასე რომ, დიალექტებში ფონეტიკურ მოვლენათა ანალიზი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს და ასხვავებდეს ამა თუ იმ დიალექტისათვის თვისებრივად დამახასიათებელ და სპორადულ (მისთვის არაკანონზომიერ) ფონეტიკურ ცვლილებებს. იმედროულად ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ საკუთრივ რომელიმე დიალექტისათვის არაკანონზომიერი ფონეტიკური პროცესიც საერთო-ქართული პოტენციის გამოვლინებაა და, ამდენად, საერთო-ენობრივი ტენდენციის თვალსაზრისით — კანონზომიერიც. ეს კი ნიშნავს: ის, რაც ამჟამად ცალკეული ფაქტების სახით დაჩნდება შავან დიალექტში, შესაძლოა ისტორიულად ყოფილიყო მისთვის დამახასიათებელი ან შემდგომ გახდეს მისი ფონეტიკური იერ-სახის განმსაზღვრელი.

ერთი ნიმუშის ნათქვამის საილუსტრაციოდ. ა-ი → ი-ი დისტანციური მეზობლობის დროს ნიშანდობლივია აჭარული დიალექტისათვის (გამიყვანა → გიმიყვანა, გაგიხარდა → გიგიხარდა). ამის წინა საფეხურია ა-ი → ე-ი, რომელიც აჭარულთან ფრიად ახლო მდგომი იმერხეული (კლარჯული) დიალექტისთვისაა დამახასიათებელი (გამიყვანა → გემიყვანა, გაგიხარდა → გეგიხარდა). იმერხეულში ძალზე იშვიათია ამ პოზიციაში სრული ასიმილაცია, რაც არ გამორიცხავს შემდგომ ქრონოლოგიურ ეტაპზე მის გავრცელებას. ამის საპირისპიროდ, აჭარულში არ შეინიშნება ის საფეხური (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციისა), რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მისთვის და ამჟამად შემოუწინახავს იმერხეულს (კლარჯულს).

2.24. ფონეტიკურ ცვლილებათა ანალიზის დროს გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, ხ მ ო ვ ა ნ თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ა თ უ მ ე ო რ ე უ ლ ი .

დაჩნდება ორი ტენდენცია, რომელიც ხშირად დიალექტების მიხედვით სხვაობს. ერთ შემთხვევაში როგორც პირველად, ასევე მეორეულ კომპლექსებში დასტურდება იდენტური ფონეტიკური ცვლილებანი: ერთი მხრივ, ეე → იე (ციხეები → გურული, მესხური: ციხიები/აჭარული ციხეები), მეორე მხრივ, აე → ეე → იე (ყანაები → ყანეები → ყანიები/ყანეები).

ამის საპირისპიროდ, ზოგ დიალექტში იმავე ეე პირველადი და მეორადი კომპლექსების ფონეტიკური ქმედება განსხვავებულია. მაგალითად, იმერხელში, როგორც ითქვა (იხ. აქვე, ზემოთ: 2.3), თავიდან პოზიციაში პირველადი ეე კომპლექსი იცვლება (→ იე), მეორადი, ჩვეულებრივ, — არა (შეეხვეწა → შეიხვეწა, მაგრამ: დაეძინა → დეეძინა).

ამ თვალსაზრისით დიალექტური სხვაობის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ოუ კომპლექსის ცვლილების ნაირსახეობანიც: პირველადი ოუ იცვლება უუ კომპლექსად (მოუტანა → მუუტანა), ხოლო აუ → ოუ პრაქტისი შედეგად მიღებული იგივე (ოუ) კომპლექსი აღარ განიცდის შემდგომ ცვლილებას (გაუკეთა → გოუკეთა). ასეა ქვემოიმერულში, მაგრამ გურულსა და (განსაკუთრებით) აჭარულში ამ თვალსაზრისით რაიმე შეზღუდვა არ შეიმჩნევა (ანალოგიური ვითარებაა გურიისა და სამეგრელოს მოსაზღვრედ გაერკლებულ ქვემოიმერულ თქმებშიც): გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა ისევე, როგორც: მოუტანა → მუუტანა (იხ. აგრეთვე ზემოთ: 2.5).

დასტურდება ურთიერთსაპირისპირო ქმედების შემთხვევებიც: ოო → აო (საბოლოო → საბოლოო), მაგრამ: აო → ოო (სამუშაო → სამუშოო); ანუ: პირველადი ოო განიცდის დისიმილაციას, ხოლო ამის საპირისპიროდ, ის კომპლექსი, რომელიც ოო-ს დისიმილაციის შედეგადაა მიღებული (აო), პირველადობის შემთხვევაში თავად იცვლება ასიმილაციის საფუძველზე და იძლევა იმავე ოო (ოღონდ ამჟერად — მეორად) კომპლექსს. არსებითად ეს ნიშნავს, რომ აო და ოო ურთიერთმიმართ ვარიაციული კომპლექსებია და ამიტომაც მოულოდნელი არ არის მათი ერთმანეთის გვერდით გამოყენება ერთსა და იმავე დიალექტშიც კი.

ანალოგიური ვითარება შესაძლოა დავადასტუროთ მაშინაც, როცა ცვლილება სხვადასხვა შედეგს იძლევა. მაგალითად, იმერულში პირველადი ეა, როგორც წესი, დისიმილაციით გვაძლევს ია ვარიანტს (შეაგდო → შიაგდო, საქათმეა → საქათმია), იმავედროულად პირველადი ია, თავის მხრივ, იცვლება პროგრესული ასიმილაციის გზით → ბოლოკიდურა პოზიციაში: ია → იი (ნალია → ნალიი), ფუძის შიგნით: ია → იე (ნიაიე → ნიეიე). ზემოხსენებულისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში არა გვაქვს ურთიერთშეუკვეადი კომპლექსები, თუმცა ერთი და იგივე კომპლექსი აქაც განსხ-

ვაგებულ შედეგს გვიჩვენებს იმის მიხედვით, პირველადია იგი თუ მეორეული.

ერთი და იმავე კომპლექსის განსხვავებული ფონეტიკური ცვლის თვალსაზრისით ღირსაცნობია ასეთი შემთხვევა: პირველადი ოო → აო (საბოლოო → საბოლოო), მაგრამ სხვა ვითარებაა მაშინ, როცა იცვლება მეორეული ოო: ოვო → ოო → უო (აძოვოს → აძოოს → აძუოს) ან: აო → ოო → უო/იო (მუშაობა → მუშოობა → მუშუობა/მუშოობა).

2.25. რთული ზმნისწინის შემადგენელ ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილება დიალექტების მიხედვით განსხვავებულ ჩვენებებს იძლევა:

ა) რთული ზმნისწინის (გამო-, წამო-, ჩამო-...) ორივე ხმოვნის ცვლა რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის. გამო-ე-ტანა (//გამა-ე-ტანა) → გამე-ე-ტანა // გემე-ე-ტანა, წამო-ე-ლო (//წამა-ე-ლო) → წამე-ე-ლო // წემე-ე-ლო ... როგორც ვხედავთ, დაჩნდება პარალელური ფორმები: ხშირად იცვლება მო-/მა — ზმნისწინის ხმოვანი, შესაძლოა იცვალოს მისი წინამავალი ზმნისწინის ხმოვანიც. ცვლილებას სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები ვერ აბრკოლებენ:

სუბ. პირი: I გემევექეი „გამოვექეი“...

ობ. პირი: I გემემეტანა „გამომეტანა“

II გემეგეტანა „გამოგეტანა“

III გემეეტანა „გამოეეტანა“...

მაგალითად, ქიზიურთ: გემემეღვიძის (გამომეღვიძის) ურმი(ს) ჭაყაყში; ქართლური: ძალი გემემეკიდა (გამომეკიდა)...

შენიშვნა I. ცვლილებას, როგორც წესი, იწვევს ე — პრეფიქსი. ცვლილების ინტენსივობა შესაძლოა განსხვავებული იყოს კილოკავებისა და თქმების მიხედვითაც კი. მაგალითად, ჩრდილო ქართლურში (არაგვის, ქსნისა და ლიახვის ხეობებში) ეს პრაქციტი ფრიად იშვიათია, უფრო გავრცელებულია ცენტრალურ (გორი, ქარელი...) და სამხრეთ ქართლურში... ანალოგიური მდგომარეობა შეიძლება დავადასტუროთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიალექტებშიც.

შენიშვნა II. ანალოგიური ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ფუძისეულმა ხმოვანმაც: ჩამოველ → ჩემეველ (ინგილოური).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, ჩვეულებრივ, იცვლება მხოლოდ მო — ზმნისწინისეული ხმოვანი: წამო-ე-ლო → იმერული: წამე-ე-ლო → გურული: წამი-ე-ლო; ან: წამო-ი-ლო → იმერული, გურული: წამე-ი-ლო → სამტრედიული თქმა: წამი-ი-ლო; ანდა: წამო-უ-ლო → წამუ-უ-ლო... ცვლილებას იწვევს ე, ი და უ

ხმოვნები.

რაც შეეხება გადა-/გარა — (← გარდა-) ზმნისწინს, შეიძლება იცვალოს ორივე ხმოვანი როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში; აღმოსავლურ დიალექტებში ცვლილებას, როგორც ითქვამს, იწვევს ე — ზმნური პრეფიქსი (გადაეტანა → გაღვეტანა//გედვეტანა), დასავლურ დიალექტებში — ზემოხსენებული ე, ი და უ პრეფიქსები (გადაეტანა → გაღვეტანა//გედვეტანა, გადაიტანა → გაღვიტანა//გედვიტანა, გადაუტანა → გაღოუტანა // გოდოუტანა, აგრეთვე: გადუუტანა//გუდუუტანა; ანალოგიურად: გარაეტანა → ქვემოიმერული: გარეეტანა//გერეეტანა და მისთ.).

შენიშვნა 1. გარა-ფართოდ გამოიყენება ქვემოიმერულში. ხევსურულში დაკუ-
ლია რთულ ზმნისწინში: გარმა-ი-ღებ-ს (← გარდმა-ი-ღ-ებ-ს) „გად-
მოიღებს“.

შენიშვნა 2. ზმნური ხმოვანი პრეფიქსების წინ გადა-/გარა — შესაძლოა შეიკვე-
ცოს: გადაიტანა → გაღიტანა//გეღიტანა... გარაიტანა → გარიტა-
ნა//გერიტანა...

შემდეგ: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში პარალელურად დაჩნდება შე-//შა — ზმნისწინი (მათი განაწილება, რა თქმა უნდა, გარკვეული წესით ხდება; მაგალითად, შეეყარა, შეეძლო, შეხვედრყო... მაგრამ: შააბა, შაიტანა, შაშინდა... თუმცა შეინიშნება აღრევის შემთხვევებიც). დასავლურ დიალექტებში, ჩვეულებ-
რივ, გამოიყენება შე — (გამონაკლისია ზემოაჭარული, სადაც დადასტურებულია შა-ვარიანტიც, უპირატესად ა — პრეფიქსის წინ: შა-ა-შინა „შეაშინა“ და მისთ.). ამის საპირისპიროდ, დასავლურ დიალექტებშივე რთული ზმნისწინის შემადგენლობაში, როგორც წესი, წარმოდგენილია შა-: შამოატანა, შამო-ე-ტანა → შამე-ე-ტანა → შამი-ე-ტანა; შამო-ი-ტანა → შამე-ი-ტანა → შამო-უ-ტანა → შამუ-უ-ტანა... შდრ.: შე-ა-ტანა, შე-ე-ტანა → ში-ე-ტანა, შე-უ-ტანა → შუ-უ-ტანა...

ბ) რთული ზმნისწინის გახმოვანება შეიძლება შეცვალოს მეორეულმა, თავად ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებულმა ხმოვანმა: გამო-გვ-ი-გზავნა → გა-
მო-გუ-გზავნა → გუმუ-გუ-გზავნა (ვი → უ შენაცვლების საფუძველზე), → წამო-გვ-
ი-ყვანა → წამო-გუ-ყვან-ა → წუმუ-გუ-ყვან-ა // წუმუ-გუ-ყონ-ა (ფერეიდნული).

გ) რთული ზმნისწინის პირველი კომპონენტის გახმოვანებას ზოგ დიალექტში რეგრესული ასიმილაციით ცვლის მო — ზმნისწინისეული ხმოვანი (იხ. აგრეთვე აქვე,

ზემოთ: 2.7) ამო-დის → ომო-დის, გამო-ჩნდა → გომო-ჩნდა, შემო-ვიდა — შომო-ვიდა (ინგილოური), ამო-უკივლა → ომო-უკივლა (ფერეიდნული); შემო-ზმნისწინის შემთხვევაში ანალოგიური მოვლენა დაჩნდება ჯავახურშიც: შემო-ხვდა → შომო-ხვდა, შემო-იკრა → შომო-იკრა.

რაც შეეხება მარტივი ზმნისწინების შემადგენელი ხმოვნის ცვლილებას, ამის თაობაზე წინა პარაგრაფებში არის წარმოდგენილი სათანადო ნიმუშები.

2.26. ხ მო ვ ნ ის ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა შე ი ძ ლ ე ბ ა გა მ ო ი - წ ვ ი ო ს თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ მ ა ც . ჩვეულებრივ, ესაა ლაბიალური თანხმოვანი, რომელიც განაპირობებს ხმოვნის ასიმილაციას (ლაბიალიზაციას) ან დისიმილაციას (დელაბიალიზაციას).

ა) ასიმილაციას იწვევს ყველა წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური) თანხმოვანი: ხმულები (ბ, ფ, პ), სონანტი (მ) და ნაპრალოვანი (ჟ / ვ).

ხმოვანმა ასიმილაცია შეიძლება განიცადოს როგორც თანხმოვნის წინა, ასევე მომდევნო პოზიციაში. მანძილს მიხედვით ასიმილაცია, ჩვეულებრივ, კონტაქტურია.

აღინიშნა, რომ ასიმილაცია ამ შემთხვევაში არსებითად ნიშნავს ლაბიალიზაციას, რომლის საფუძველზეც შეიძლება იცვალოს სამივე არალაბიალური ხმოვანი (ა, ე და ი), ხოლო ო → უ ლაბიალურობის მატების თვალსაზრისით.

პროგრესული ასიმილაცია:

ბე → ბო (ბელტი → მოხეური, მთიულური: ბოლტი), ბე → ბუ (ბელტი → ჯავახური: ბულტი), ბი → ბუ (ბიჭო → ჯავახური: ბუჭო // ვუჭო), ფი → ფუ (ფითარი → ზემოიმერული: ფუთარი, ფინჩხა → გურული, აჭარული: ფუნჩხა), მო → მუ (აჭარული: მოშაირე → მუშაირე, მორგვი → მურგვი).

რეგრესული ასიმილაცია:

აბ → ობ (დოლაბი → მთიულური: დოლობი; არ გამოირიცხება წინამავალი ო ხმოვნის გავლენაც), აპ → ოპ (ჭაპანი → მოხეური, მთიულური: ჭაპანი), ამ → ომ (რამდენი → მოხეური: რომდენი // რომთენი), ომ → ომ (გურული: ტომარა → ტუმარა, რატომ → რატუმ; აჭარული: რომ → რუმ, ხომ → ხუმ, ხტომა → ხტუმა, დგომა → დგუმა, ყდომა → ყდუმა, ზომა → ზუმა, ყომა → ყუმარი, სანდომიანი → სანდუმიანი), ავ → ოვ (უკვდავება → მოხეური: უკვდოვება, თავპირი → მოხეური: თოვპირი), ევ → ო (ვ) (კიდევ → რატული, იმერული, ლეჩხუმური, გურული: კიდო; შდრ.: კიდომცა → კიდომ; შემდეგ: * ისე-ვე-ლე → ისევე → გურული: ისოვლე, * ის-ოდენ-ვე → * ის-დენ-ვე

→ის-თე-ვე → ის-თე-ვე-ლე → ისთველე → გურული: ისთაოვლე, ურჩენია → გურული: ურჩონია / ურჩონია), ივ → ივე (წივის → წუის).

ამ ტიპის ასიმილაცია შესაძლოა დაჩნდეს ლაბიალურ თანხმოვანთა შუა პოზიციაშიც: ბავ → ბოვ (ამბავი → მთულური, მოხეური: ამბოვი, ბავში → ბოვში, აჭედან → რაჭული: ბოში; იმერული, ლეჩხუმური, აჭარული: * ბოჭში → ბოჭში), პავ → პოვ (პავლე → მოხეური, მთულური: პოვლე), მავ → მოვ (დამავიწყდა → მოხეური: დამოვიწყდა); ამავე რიგისა ჩანს: ფლავ → ფლოვ, სადაც ლ სონანტია ჩართული (საფლავი → მოხეური: საფლოვი), ვლავ → ლოვ (ველავ → ხევსურული: კლოვ), მოვ → მუვ (ესიამოვანა → ქვემოიმერული: ესიამუენა // ესიამუნა).

შენიშვნა I: ინგილოურში დაჩნდება ევ → ო შენაცვლებაც (თევზი → თოვზი):

შენიშვნა II: ავ → ო (ვ), აგრეთვე: ევ → ო(ვ) სისტემებში დასტურდება I სუბიექტური პირის ფორმებში ზმნისწინისეულ ხმოვნებისა და ვ — მორფემის შეხვედრისას მოხეურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში; მაგალითად, ავიტანე → ოიტან, გავივე → გოივე, ჩავირბინე → ოჩირბინ; ხმოვნის ფშვინიერი დამართვით: დაკკლათ → დოკკლათ, წაჯკრათ → წოკკრათ... თუ ვ — პირის ნიშანს მოსდევს ა — ხმოვანი პრეფიქსი, დამატებით დაჩნდება რეგრესული დისიმილაცია: დავაგდე → *დოაგდე → დუაგდე (ინგილოური); გავრევე → გოვრევე, დავილუპები → დოვილუპები (მოხეური); ავრევე → ორევე; შდრ.: არევე (ფერეიდნული). ფერეიდნულში დაკარგული ვ-ს საკომპენსაციოდ გრძელდება წინამავალი ასიმილორებული ხმოვანი. გარდა ამისა, ფერეიდნულშივე ანალოგიურ შედეგს იწვევს უ — ზმნური ხმოვანი პრეფიქსი: წაულებს → წოლეფს. შემდეგ: შევინახე → შოინახ, შევპირდი → შოპპირდი; შევაგროვე → შოაგროვი → შუაგროვი (ინგილოური). როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში მასიმილორებელი ვ — იკარგვის, ამის გამო ო — მორფოლოგიურად ბიფუნქციური ხდება: ითავსებს ზმნისწინისა და პირის ნიშნის ფუნქციებს:

ინგილოური	ფერეიდნული
I ოიტან „ავიტან“	ორევე „ავრევე“
II აიტან „ავიტან“	არევე
III აიტანს „ავიტანს“	არევეს

ასევე: შოინახ „შევინახე“ შოინახ „შეინახე“ — შოინახა „შეინახა“.

შენიშვნა 8: ზემოხსენებულ ფორმებში ასიმილაცია ხდება კონტაქტური მეზობლობის დროს: ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე დისტანციური ურთიერთობისას მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის გვ — მორფემის გამოყენების შემთხვევაშიც: აგვტყივდა → ოგვტყივდა, დაგვრა → დოქრა, წაგვიყვანა → წოგოყონა, გაგვიხდია → გოგვიხდი (ინგილოური), გაგვხადა → გოგვხადა, დაგვბანა → დოგვბანა, შეგვხვდა → შოგვხდა (ფერეიდნული), შეგვყარი/შაგვყარის → შოგყარის (მოხეური). მორფონოლოგიური პრინციპი აქაც დაჩნდება; შდრ.: ოგვტყივდა „აგვტყივდა“ — აგვტყივდა (ინგილოური), გოგვხადა „გაგვხადა“ — გაგვხადა (ფერეიდნული), შოგყარის „შეგვყარის“ — შაგყარით „შეგყარით“ (მოხეური). ეს მოვლენა არ უნდა აიჩიოს ასეთ შემთხვევებში: გაგვაგებინა → *გაგოგებინა → გოგოგებინა, დაგვეხმარა → დაგოხმარა → დოგოხმარა// დოგოხმარა და მისთ. (მოხეური), სადაც ჯერ ხდება ვა → ო, ვე → ო/რ, ხოლო შემდეგ რეგრესული ასიმილაციით იცვლება ზმნისწინისეული ხმოვანი.

შენიშვნა 4: დისტანციური ზემოქმედების შედეგად უნდა განისაზღვროს აგრეთვე ასეთი ცვლილებანი: ო-ვ → უ-ვ (დაჩოქვილი → აქარული: დაჩუქვილი), მ-ა → ო-ო (მყარალი → ინგილოური: ყრალი), ა-ვ → ო-ო (ნასკვი მოხეური: ნოსკი).

როგორც ვხედავთ, ავ → ო და ვე → ო/რ ორგვარ შედეგს იძლევა: ერთ შემთხვევაში ასიმილაციის შემდგომ ვ შენარჩუნებულია (თავპირი → თავპირი, თევი → თაწვი), მეორე შემთხვევაში ვ იკარგვის (გავიგე → გოგე, ავრევე → ორევე). ივ → უ შემთხვევაში ვ იკარგვის (წივის → წუის).

რაც შეეხება ვა, ვე, ვი კომპლექსთა ცვლილებებს, სადაც, ზემოხსენებულს კვალბაზე, პროგრესული ასიმილაცია იყო მოსალოდნელი, აგრეთვე ო → ვა, ო → ვე და უ → ვი მონაცვლეობას, მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბ) დისიმილაციის (ამ შემთხვევაში: დელაბიალიზაციის) გამომწვევი შესაძლოა იყოს წყვილბაგისმიერი ხშულები (ბ, ფ,პ) და სონანტი (მ).

პროგრესული დისიმილაციის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: ბო → ბა (ბოჩოლა → მთიულური: ბაჩოლა; არ გამოირიცხება მომდევნო ო ხმოვნის გავლენაც), ფო → ფა (მოხეური, მთიულური: ფოცხვერი → ფაცხვერი, ფოთოლი → ფათოლი — ბოლო შემთხვევაში მომდევნო ო-ს გავლენაც ივარაუდება), მო → მა (მოხეური, მთიულური: მოზვერი → მაზვერი, მოცხარი → მაცხარი). როგორც ჩანს, ამავე

კონტექსტში უნდა განვიხილოთ მო — მა — ზმნისწინიც (მო-ი-ტან-ა → მა-ი-ტან-ა...), რომელიც დიალექტების ერთ ნაწილში (ხევსურულში, ფშაურში, ქართლურში, კახურში...) დაჩნდება. ამ ცვლილებას, ხელს შეუწყობდა ისიც, რომ ზმნისწინთა უმეტესობა (გან → გა-, ჩა-, წარ → წა — ...) ა-გახმოვანებით არის წარმოდგენილი. მორფოლოგიური ოპოზიცია ამ ცვლილების შემდეგაც შენარჩუნებულია; შდრ.: მო-ი-ტან-ა → მი-ი-ტან-ა, ერთი მხრივ, და მა-ი-ტან-ა → მი-ი-ტან-ა, მეორე მხრივ.

რეგრესული დისიმილაციით: ობ → ებ (ლობიო → მთიულური: ლუბიო). ამავე რიგისაა უფ → იფ (მოხეური, მთიულური, მესხური: უფრო → იფრო, ასევე: სუფრა → სიფრა, სადაც, ჩანს, საკომპენსაციოდ ხდება ბოლოკიდური ა ხმოვნის ლაბიალიზაცია, არ გამოირიცხება სი-ო კონფიქსთან ანალოგიაც). რეგრესული დისიმილაციით უნდა აიხსნას აგრეთვე ამ რიგის ცვლილებანიც: უბ → ობ → /ებ (ეუბნება → მთიულური, ფშაური: ეობნება/ქართლური: ეებნება, საუბარი → იქვე: საობარი; შესაძლოა ამ პროცესისთვის ხელი შეეწყოს აწეულობის მიხედვით ხმოვანთა კომპლექსის პროგრესული ასიმილაციის ტენდენციასაც: ეუ → ეო, აუ → აო; შდრ. იმერული: ეუბნება → ოუბნება, სადაც საპირისპირო — რეგრესული ასიმილაციაა დადასტურებული); ომ → ამ (ვითომ → ვითამ//ქართლური: მითამ//ჭავჭავური: ნითამ)...

ხმოვნის დისიმილაცია დაჩნდება ლაბიალურ თანხმოვანთა შორის პოზიციაშიც. ამ რიგისაა ო → ა დისიმილაციის საფუძველზე მ თანხმოვნებს შორის (მომ → მამ), რაც სისტემებრ დაჩნდება ზემოიმერულში მო — ზმნისწინისა და I ობიექტური პირის ან მიმღობისეული მ — მორფემის (ასევე: ფუძისეული ელემენტის) შეხვედრისას: მო-მ-ი-ტან-ა → მა-მ-ი-ტან-ა, მო-მ-ტან-ი → მა-მ-ტან-ი (ე. კულაშვილი, ქ. ძოწენიძე). გასათვალისწინებელია: მო → მა — ზემოიმერულში არც ერთ სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება; მეტიც: ხსენებულ პოზიციაშივე შესაძლოა დავადასტუროთ მო — ვარიანტიც (ერთსა და იმავე ტექსტშიც კი): -

— ვინ მომპარსაშსო?

— მე აგერ არა ვარო!

— შამპარსე აპაო! (ქართული დიალექტოლოგია).

პარადიგმის დონეზე ზემოიმერულში ასეთი სურათია:

I პირი: მამნახა/მამინახა/მამენახა//მემენახა

II პირი: მოგნახა /მოგინახა/მეგენახა

III პირი: მონახა /მეინახა/მეენახა

სხვა ფონეტიკური ცვლილებანი (მოინახა → მეინახა, მომენახა → მემენახა...) ხმოვანთა ზეგავლენის შედეგია.

შენიშვნა: ზემოხსენებულში არ უნდა აირიოს აქვეური → აპოური ტიპის ცვლილებანი (იმერული, რაჭული...), სადაც ე → ო ცვლილებაზე გავლენას ახდენს მომდევნო უ ხმოვანი და არა წინამდებელი წყვილბაგისმიერი პ თანხმოვანი. ვერც მთიულურში დადასტურებულ აქვეური → აპური ტიპის ცვლილებას ჩავთვლით თანხმოვანთან ურთიერთობის შედეგად, აქაც ხმოვანთკომპლექსის ფარგლებშია ცვლილება (დისიმილაცია ლიაობის მიხედვით) მომხდარი (ეუ → აუ); შდრ. იმავე რიგის ცვლილება ანეული → მთიულური: ანაული ფორმაში. ორივე შემთხვევაში არ გამოირიყება თავიდან ა ხმოვნის მასიმილირებული გავლენაც; უფრო ზუსტად ურთიერთხელშემწყობ ფონეტიკურ მოვლენებთან გვაქვს ერთდროულად საქმე.

ხმოვანზე თანხმოვნის ზეგავლენის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებში მკვეთრად გამოხატული თავისებურებებით ხასიათდება ლაბიალური (ვ/წ) თანხმოვანთა და ა, ე, ი ხმოვნებით შედგენილი კომპლექსები: ვა, ვე, ვი, რაც შეეხება ავ, ვე, ივ კომპლექსებისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ ცვლილებებს, მათ შესახებ ზემოთ გვქონდა უკვე საუბარი, რადგან თავისი ქმედებით ისინი სხვა ლაბიალურ თანხმოვანთა შემცველი ანალოგიური კომპლექსებისაგან (აბ, აპ...) არსებითად არ განირჩევიან.

საანალიზო კომპლექსები ქართული ენის დიალექტებში შესაძლოა ასეთი ფონეტიკური ნაირსახეობებით იყოს წარმოდგენილი:

- ა) ვა (ვა) → ო
- ბ) ვე (ვე) → ო → ო (დეპალატალიზაცია) |
ე (დელაბიალიზაცია)
- გ) ვი (ვი) → უ | უ (დეპალატალიზაცია)
ი (დელაბიალიზაცია).

ვა (ვა) → ო მეტი სიზშირით დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, სისტემებში — აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში (თუშურის გამოკლებით), თითქმის უგამონაკლისოდ — ინგილოურში.

საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ.

ხევსურული: ვაეი → ოეი, ვაკშამი → ოკშამი, ვათქვივთ → ოთქვიოთ, სწყენივას → სწყენიოს, სიტყვა → სიტყო, სხვა → სხო, წავალ → წაოლ → წოოლ... სხვაობს კილოკავების მიხედვით: ვაეი → ოეი, ვათქვივთ → ოთქვიოთ პირაქეთულ-არხოტული

კილოკავისთვის დამახასიათებელი ფორმებია, წყალ → წოლ შატლოურ-მიღმახეურში გვხვდება (ყერძოდ, ლუბანისკარში, კისტანსა და გურა-გიორწმინდაში); ფშუ-რი: ყვაილი → ყოილი, ყვაი → ყოვი, ზვაი → ზოვი (მაგრამ უცვლელადაა დაკული: თვალ, კვალ, ცხვარი...); შოხეური: ვახტანგი → ოხთანგი, ძვალ → ძოლი, გაგვაგებინა → გაგოგებინა → გოგოგებინა, დაღვარე → დაღორე → დოღორე, სხვა → ცხო, სიტყვა → სიტყო; მთელურ-გულამაყრული: ვაკშამი → ოკშამი// ოხშამი, გვაქს → გოქს// გოქუ// გოქ, გვაშინებს → გოშინებს, ცხვარი → ცხორი, უყვარს → უყორს, სიტყვა → სიტყო, გადაუსვა → გადაუსო; ჭართლური: მარცვლი → მარცოლი, გადაუსვამს → გადაუსომს; კახური: სვამს → ჰომს, ხვაი → ხოვი, დასვა → დასო, შეუშვა → შეუშო ინგილოური: ვაჩუქებ → ოჩუქებ, გვაქს → გოქავ, კვალვ → კოლავ, მოყვანა → მოყონან, იცვამს → იკომს... დაჩნდება დისტანციური მეზობლობის დროსაც (ცვლილებას ხშირად წინ უსწრებს მეტათეზისი, რის შედეგადაც ფაქტორად კონტაქტური ურთიერთმიმართება მყარდება): მრკვდა → *მოკვდა → მოკდო, გქნათ → *ქნათ → ქნოთ, ვნახე → *ვნახე → ნოხე; ფერეიდნული: წაგვართვა → წაგორთო → წოგორთო, ცხვარი → ცხორი, ძვალ → ძოლი, შესთვალა → შათოლა; მესხური: უსვამდა → უსომდა, მარხვა → მარხო (თუმცა ეს მონაცვლეობა ამ დიალექტისათვის ნაკლებად დამახასიათებელია).

ზოგი დიალექტში პარალელურად დაჩნდება ამოსავალი და ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები. ასეთი ვითარებაა ჭართლურში (გაუსვამს// გაუსომს), ფერეიდნულში (წაგვიყვანა → წუგუყვანა// წუგუყონა), მესხურში...

ვა → ო შენაცვლება თავს იჩენს დასავლეთ საქართველოს დიალექტებშიც. მაგალითად რაჭულში (ზემორაქული, გლოლური კილოკაეები): სხვამის → სხომის, იცვამს → იკომს, ჩასვა → ჩასო, გაუშვა → გაუშო; იმერული: სხვაგან → სხოგან, მიართვა → მიართო; ლეჩხუმური: მოირთვამს → მეირთომს; გურული: სხვაგან → სხოგან, სხვამის → სხომის; აჭარული: სხვაგან → სხოგან.

საერთოდ, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ვა → ო ცვლილება შეზღუდულია, ხოლო ზოგიერთ კილოში (გურულში, აჭარულში) თითო-ორიოჯი ფორმით შემოიფარგლება.

ვა კომპლექსისაგან მიღებული ო ხმოვანი ჩვეულებრივი წესით განიცდის რედექციას: „ის მარცოლი არის სამოცი, თითო მარცუ ლად ვთვლი ოთხ-ოთხ გალს (=ძაფის ერთ წვერს)“. ნიმუში მოხეური დიალექტიდანაა დასახელებული. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კილოებშიც.

ამრიგად, ვა → ო შეიძლება დაედასტუროთ სამ პოზიციაში:

ა) თავკიდურად, პუზის მომდევნოდ: ვაკშამი → ოკშამი, ვაჟი → ოჟი...

ბ) ფორმის შუა პოზიციაში: დაღვარა → დაღორა → დოღორა, გვაშინებს → გოშინებს...

გ) ბოლოკიდურად, პაუზის წინ: სხვა → სხო/ცხო, სიტყვა → სიტყო, მიაართვა → მიაართა...

ფორმის შუა პოზიციაში დაჩნდება როგორც თანხმოვნებს (ხვათი → ხოთი, გვაშინებს → გოშინებს), ასევე ხმოვანსა და თანხმოვანს შორის (წავალ → წაოლ → წოოლ, სწყენივას → სწყენიოს). ზოგჯერ თან ახლავს სხვა ფონეტიკური პროცესიც, მაგალითად, უშუალო მეზობლობის დროს ვ ბგერის დაკარგვა (ყვაილი → ყოილი, შდრ.: ყვათი → ყოთი, ზვათი → ზოთი).

შენიშვნა: პოზიციების შესაბამისად ცვლილება შესაძლოა განსხვავებული იყოს დიალექტების მიხედვით. მაგალითად, თავკიდურად პაუზის მომდევნოდ ვა → ო დაჩნდება ოდენ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ხვესურულში, მოხეურში, მთიულურ-გულდამაყრულში), შუა პოზიციაში ცვლილება დამახასიათებელია ყველა ზემოდასახელებული დიალექტისათვის, ბოლოკიდურად პაუზის წინა პოზიციაში ეგვე პროცესი მეტ-ნაკლებად ყველა აღმოსავლურ კილაში შეინიშნება.

ვა → ო შენაცვლება დადასტურებულია:

ა) მორფემათა ზღვარზე: ვ-ა-ჩუქებ → ო-ჩუქებ, გვ-ა-ქეს → გოქე//გოქ... გადაუსვ-ამ-ს → გადაუსოამს, გადაუსვ-ა → გადაუსო, შეუშვა → შაუშო, მარხვა → მარხო...

ბ) ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში: ყვათი → ყოთი, ზვათი → ზოთი, დვარი → ღორი...

შესაძლოა შეიცვალოს ერთსა და იმავე ფორმაში პოზიციური ყველა ვა კომპლექსი: ვათქმივათ „ვათქმევინოთ“ → ოთქმიოთ (ორივე შემთხვევაში ვა კომპლექსი მორფემათა მიჯნაზეა დამოწმებული: ვ-ა-თქმივ-ა-თ).

ვე → ოიდა ვი → უ მონაცვლეობის შესახებ საუბარი გვექონდა ზემოთ, უმლაუტიან რ და უ ხმოვნებთან დაკავშირებით (იხ.: ნაკვეთი..., 1.8). აქ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: რ და უ (როგორც ვე და ვი კომპლექსთა რეფლექსი) შემორჩა მხოლოდ რამდენიმე დიალექტს. კერძოდ, ინგილოურს (კვერცხი → კორცხი, წვიმა → წუშ მამ), მოხეურს (გვერდი → გორდი, შვიდი → შუშ დი), ნაწილობრივ მესხურსა (ქვეერი → ქორი, კვიცი → კუცი) და სამხრეთ ქართლურს (თვე → თორ, წყვილი → წყუშლი).

დასახელებული იყო კონტაქტური ურთიერთობის შემდეგად მიღებული ცვლილებები. ანალოგიური შედეგი შესაძლოა დაჩნდეს დისტანციური ურთიერთობის დროსაც. (რასაც ზოგჯერ წინ უსწრებს მეტათეზისი, რაც ისევე კონტაქტურ მიმარ-

თებას იძლევა). ამის ნიმუშები მრავლად დაჩნდება ინგილოურში: ვხედავ → * ხვედავ → ხოდავ, ვქენ(ი) → * ქვენ(ი) → ქონ... ძირკვი → *ძვირკი → ზურკ, ვჭრი → *ჭრვი → ჭრუ, ვტარი(ი) → *ტტვი → ტრუ რ...

შენიშვნა: ინგილოურში უმლაუტიანი ო და უ მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში განიცდის დეპალატალიზაციას: ჩვენ → ჩონ → ჩონ, ჩონავერელ „ჩვენებური“, ჩონსა „ჩვენსას“. მოხეურში მერყეობაა, ხშირია პარალელური ფორმები: გვერდი → გო რდი // გორდი, მშვიდობა → მშუდობა // მშულობა. მესხურში უფრო ხშირია დეპალატალიზებული ვარიანტები: ქვეყანა → ქოყანა (// ქო ყანა), შვილი → შული (// შული). სამხრეთ (ქვემო) ქართლურში კი უმლაუტიანი ო და უ უპირატესად დაცულია რეხულ თქმაში (ისიც, როგორც ითვლება, თურქულენოვანი გარემოს გავლენით). უმლაუტის მოშლა ზოგჯერ განაპირობებს თავისებურ ფონეტიკურ ცვლილებებს. მაგალითად, მესხურში, ქართლურში და ზოგ სხვა დიალექტში დადასტურებული უ → ვი/ი სწორედ ამის შედეგი ჩანს (სთხოვე → სთხოე → *სთხუე → სთხვიე). ამის თაობაზე საგანგებოდ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

რაც შეეხება უმლაუტიანი ო და უ ხმოვნების დეპალატალიზაციას და დელაბილიზაციის შედეგებს, ამ მხრივ ქართული ენის დიალექტები ორ სხვადასხვა ტენდენციას ავლენს.

უფრო გავრცელებულია დეპალატალიზაციის შემთხვევები. ხევსურული: ქვეყანა → ქოყანა // ხოყანა „ხალხი“, გაუშვებს → გაუშობს; ფშაური: ქვეყანა → ხოყანა (// ხვეყანა), მთიულურ-გუდამაყრული: ქვევით → ქოით, სადღვებელი → სადღობელი, მიუშვებს → მიუშობს, გვედგა → გოდგა; ქართლური (სამხრეთ ქართლურის გამოკლებით): უშვებს → უშობს... ყივილი → ყიული, წვივი → წუვი; კახური: დაჩვეული → დაჩოული (ჩვეულება → ჩოულობა), ნაკვერჩხალი → ნაკორჩხალი; რაჭული: ყველაფერი → ყოლიფერი (თანამდევია სხვა ფონეტიკური ცვლილება: ა → ი ნაწილობრივი რედუქციის საფუძველზე), წვეულება → წოულობა (იმავედროლად: დაჩნდება — ება: —ობა შენაცვლება), დაპყვება → დახობა (პყ → ხ ამ პოზიციაში დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის), შერება → შებება → შობა... წვიმა → წუმა, იმერული: ყველგან → ყოლგან, აჩვევს → აჩოვს, დაწვება → დაწობა... წვიმს → წუმს, გვიმრა → გუმრა, წყურვილი → წყურული, უჩხვლიტა → უჩხვიტა → უჩხუტა, გათხოვილი → გათხოული; დეჩხუშური: სველდება → სოლდება, ახვევს → ახოვს, იყვენ იყვენენ → იყონ... ღვინო → ღუნო, ალვის ხე → ალუს ხე...; გურული: არკვევს →

არკოვს, დაწვება → დაწობა... კვიპატი → კუმატი, ძლოვას → ძვილა (მეტათეზისით) → ძულა; აჭარული: ჭემო → ჭომო, შეახვევს → შეახვოს, გაუშვებს → გაუშოფს → გუშოფს; იმერხეული: შედღვებენ → შედღობენ...

შენიშვნა: დიალექტების მიხედვით გვაქვს როგორც დამთხვევის, ასევე სხვაობის შემთხვევები. მაგალითად, შ ე - ე ბ → შ ო ბ (გა-უ-შე-ებ-ს → გა-უ-შობ-ს) დაჩნდება ხეცურულშიც („მანამ არ გაუშობთავ ამასავ...“) და გურულშიც (გაუშვებს → გაუშოფს), მაგრამ ყველაფერი → ყოლიფერი დადასტურებულია მხოლოდ დასავლურ დიალექტებში (მათ შორის — გურულშიც); ასევე: აჭარულში შეინიშნება ჭემო → ჭომო, მაგრამ ამ ფორმაში ვე → ო არ არის დამახასიათებელი გურულისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს თვით ფორმის სტრუქტურას. მაგალითად, გურულში ყველა / ყველა ფორმაში, როგორც წესი, არ ხდება ვე → ო, მაგრამ: ყველაფერი → ყოლიფერი; შდრ.: ყოველდე → ყოლდე. ანუ: ტენდენცია საერთოა, სხვაობა კონკრეტული (კრძო) ფორმების (შემთხვევების) დონეზე დაჩნდება.

დელაბიალიზაცია სისტემებზე დადასტურებულია ფერეიდნულში: კერცხი → კერცხი, წვერი → წერი → წერი... წვიმა → წუ შ მა → წიმა, შეიდი → შუ დი → შიდი...

შენიშვნა: იმავდროულად ფერეიდნულშიც შეინიშნება დეპალატალიზაციის შემთხვევები: გვებარა → გო ბარა → გობარა, გვითხრა → გუთხრა → გუთხრა... საუბარადღია, რომ აქ მორფოლოგიური ფაქტორიც მოქმედებს; კრძოდ, დელაბიალიზაცია გამოიწვევდა ფორმათა აღრევას; შდრ.: გვებარა → გობარა (ჩვენ), მაგრამ: გებარა (შენ); გ ო ბ ა რ ა ფორმაში ო -ს დელაბიალიზაციის (გო ბარა → გებარა) შემთხვევაში მოხდებოდა მხოლოდითი რიცხვის II პირის ფორმასთან (გებარა) მისი დამთხვევა.

ამდენად, ერთი და იგივე ფორმა განსხვავებული ტენდენციების შესაბამისად დიალექტებში შესაძლოა დაჩნდეს სამი ფონეტიკური ნაირსახეობით:

წვიმა → წუ შ მა (ინგილოური) → | წუ შ მა (იმერული...)
| წი მა (ფერეიდნული)

ზემოხსენებულის კვალობაზე ივარაუდება, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა დამოწმებულია ვე → ო/ვე → ე ან ვი → უ/ვი → ი გარდამავალ საფეხურად უნდა გვეჩონოდა ვე → ო და ვი → უ (ამჟამად რეალურად პონიერი მხოლოდ რამდენიმე დიალექტში).

ზემოხსენებულ კომპლექსთა მონაცვლეობა შესაძლოა დაგადასტუროთ:

ა) თაჯიკურა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ: ველოდები → ოლოდები, ვიცი → უცი;

ბ) შუა პოზიციაში: კვერცხი → კორცხ, წვიმა → წუმამა;

გ) ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ: თვე → თრ/თრმ, გეტყვი → გრტყუ . დაჩნდება როგორც მორფემათა ზღვარზე (გვ-ე-ჩქარ-ებ-ა → გრჩქარ-ებ, გვ-ი-ნდ-ა → გუნდ-ა), ასევე ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში (გვერდი → გრრდი, ცხვირი — ცხურ).

ნიშუშები ინგილოური დიალექტიდანაა დასახელებული. რა თქმა უნდა, ყველა დიალექტში ასეთი ვითარება არ არის. ცვლილება უპირატესად დაჩნდება შუა და ზოგჯერ ბოლოკიდურა პოზიციებში.

პროცესი შექცევადია. ეს ნიშნავს, რომ ვა → ო, ვე → რ/ო და ვი → უ/უ მონაცვლეობის პარალელურად დადასტურებულია: ო → ვა, ო → ვე და უ → ვი.

ო → ვა პროცესი შედარებით უფრო იშვიათია, ვინემ ვა → ო. ზოგ დიალექტში იგი თითო-ორჯერ ნიშუშის სახით დაჩნდება: საბანაოდ → საბანავოდ/საბანავათ (კახური), ხორაგი → ხვარაგი (იმერული). ხშირად საგანგებო ანალიზია საჭირო იმის გასარკვევად, ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმაში ვა კომპლექსთა ამოსავალი თუ ო ხმოვანი (იმერული: მარტო/მარტვა და მისთ).

განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში, სადაც ფართოდ არის გავრცელებული როგორც ვა → ო, ასევე ო → ვა.

მოხეური: ორთითი → ვართითი, ორსული → ვარსული, ოსი → ვასი, ონისე → ვანისე; მინდორი → მინდვარი, ნიორი → ნივარი, ალიონი → ალივანი, სიონი → სივანი, გიორგი → გვივარგი... ზოგ შემთხვევაში მხოლოდ სათანადო ანალიზის შედეგად ხდება შესაძლებელი ამოსავალი და ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმების გამოჩენა: მი-ა-ყვალ-ებ-ს // მი-ა-ყოლ-ებ-ს (ან: ე-ყვალ-ა // ე-ყოლ-ა), ს-წვალ-ი-ა // ს-წოლ-ი-ა... მთიულური: ჭოხი → ჭვახი, ეყოფა → ეყვაფა... გატყორცნა // გატყვარცნა... ზოგჯერ ო → ვა ცვლილებას თან ახლავს სხვა ფონეტიკური პროცესიც: ლოყა → *ლოყა (ო → ვა) → ლაყვა (მეტათეზისით) → ლაყო (ვა → ო).

ვა → ო და ო → ვა შემთხვევებში (როცა ვ წყვილბაგისმიერია) არსებითად გვაქვს ორი ურთიერთშექცევადი პროცესი: დიფთონგის შერწყმა ერთ ხმოვნად და, ამის საპირისპიროდ, ხმოვნის „დაშლა“ დიფთონგად. ორივე შემთხვევაში შეუღლებულია ორი ნიშანი: ლაბიალობა და ხმოვნობა (ვოკალობა) — ან დამოუკიდებელი კომპონენტების სახით (ვა, უფრო ზუსტად: უ ა), ან სინკრეტულად, შერწყმულად (ო). ეს კი ნიშნავს, რომ ფონოლოგიური თვალსაზრისით ვა (უა) და ო ერთი და იმავე

ღირებულების მონაცემია, თუმცა ფონეტიკურად (ყოველთვის) და მორფოლოგიურად გარკვეულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა არ შეიძლება. მაგალითად, ვაჟი → ოჟი ან სხვა → სხო შემთხვევებში ვა და ო ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ დონეზე იდენტური მონაცემია; ანალოგიური მდგომარეობაა აქაც: ორთითი → ვართითი, ე-ყ-ოფ-ა → ე-ყ-ვაფ-ა; შდრ.: ვ-ა-თქ-ივ-ა-თ → ო-თქ-იო-თ, სადაც უკვე მკვეთრად განიჩივება ფონოლოგიური და მორფოლოგიური დონეები: ფონოლოგიურად ვა და ო ორივე შემთხვევაში იდენტურია იმის გათვალისწინებით, რომ ო მოიცავს ვ-სა და ა-ს ფუნქციებს, მორფოლოგიურად თავიიდურა და ბოლოკიდურა ვ-ა კომპლექსები განიჩივება ერთმანეთისაგან: პირველ შემთხვევაში იგი შედგება I სუბიექტური პირის ნიშნისა და ზმნური ა — პრეფიქსისაგან, მეორე შემთხვევაში — ვ არის — ევ → ივ ზმნური სუფიქსის შემადგენელი ელემენტი, — ა კავშირებითის მორფემაა. ამის კვალობაზე, ფონეტიკური შენაცვლების გამო, ო ორივე პოზიციაში მორფოლოგიური თვალსაზრისით ბიფუნქციურია; შდრ. ო — თქ-იო-თ „ვათქმევეინოთ“ — ა-თქ-იო-თ „ათქმევეინოთ“, ანუ: თავიიდურა ო — სინკრეტულად გამოხატავს ვ — პირის ნიშნისა და ა — ზმნური ხმოვანი პრეფიქსის ფუნქციებს, ხოლო ა — ელემენტი ა-თქ-იო-თ ფორმაში მონოფუნქციურია, დაჩნდება უშუალოდ თავისი მორფოლოგიური დანიშნულებით. ანალოგიურად განისაზღვრება ვა/ო მიმართება მეორე შემთხვევაში შესაბამისი მორფოლოგიური ფუნქციების გათვალისწინებით.

რა ფონეტიკური ფაქტორი განაპირობებს ვა → ო და ო → ვა მონაცვლეობას?

ამგვარი მონაცვლეობა მახვილით უნდა იყოს შეპირობებული. მაგალითად, მთიულურში ტრანური მახვილის მქონე ხმოვანი (ე.წ. გრძელი ხმოვანი) აქუსტიკურად (მოსმენით) დიფთონგის შთაბეჭდილებას ტოვებს: ჭოხი აღიქმება როგორც ჭუოხი, რასაც საფუძვლად, ბუნებრივია, შესაბამისი არტიკულაცია უდევს. უო კომპლექსის ცვლილება პროგრესული დისიმილაციის გზით იძლევა ჭუა / ჭუა ნაირსახეობებს: ჭუაბი / ჭუაბი. ანუ: ო-ს წარმოთქმის თავისებური ელფერი (თუ შეიძლება ასე ითქვას) შესაძლოა ჩამოყალიბდეს (რეალიზდეს) ორ დამოუკიდებელ ბგერად: კერძოდ, ხმოვანი შეცვალოს იმავე ფონოლოგიური ნიშნების (მარკერების) მქონე დიფთონგმა. ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, განმსაზღვრელია (რელევანტურია) ლაბიალობა + ვოკალიზა; და, მართლაც როგორც ო, ასევე ვა/ჟა ლაბიალობისა და მარცვლოვანობის მხრივ იდენტური მონაცემებია.

მახვილის მოქმედებითვე უნდა აიხსნას ვა → ო პროცესიც. ვა/ჟა, როგორც დიფთონგი, ერთი მახვილის ქვეშ არის მოქცეული, იმავედროულად ვ/ჟ-ს გავლენით ა ხმოვანი იძენს ლაბიალურობას (ბაგისმიერობას): ა → ო (ანუ: ა იძენს ლიაობის თვალსაზრისით უახლოესი ლაბიალური ო ხმოვნის ნიშანს). შემდგომ ივარაუდება

ჟ ო → ო.

როგორც ითქვა, საკუთრივ ქართულ ფორმებში შესაძლოა დაჩნდეს ჯე → ო ვი → ჟ . საერთოდ, ო და ჟ ყოველთვის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია (მაშინაც, როცა ასიმილაციასთან და არა კომპლექსის გარდაქმნასთან გვაქვს საქმი: ინგილო-ური: ეზოამ → ოზოამ → ოზოამ, უყვირებს → უყუ რეებს → რეგრესული ასიმილაციით: უყუ რეებს). ჯე და ვი კომპლექსთა გარდაქმნის შედეგად მიღებული ო და ჟ , ბუნებრივია, აღარ გარდაიქმნება იმავე კომპლექსებად; ანუ: ამ შემთხვევაში ო → ჯე ან ჟ → ვი არ არის დადასტურებული (თუ დასტურდება, იმთავითვე არსებული ჯე და ვი კომპლექსებია და არა უმლაუტიანი ო და ჟ ხმოვნების გარდაქმნის შედეგი). ო, ასევე ჟ უშუალოდ იძლევა მხოლოდ ორ ვარიანტს (როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული): ო → ო/ე, ჟ → ჟ/ი. ფონეტიკურად იცვლება იმთავითვე პოენიერი ან უმლაუტიანი ხმოვნების დებალატალიზაციით მიღებული ო და უ, აგრეთვე ის ო და ჟ, რომლებიც (უპირატესად) პალატალიზაციის (ო → ო, უ → უ), ან ლაბიალიზაციის (ე → ო, ი → უ) შედეგად დაჩნდება (ჩასაც წინ შესაძლოა სხვა ფონეტიკური პროცესებიც უსწრებდეს).

ო → ჯე, აგრეთვე უ → ვი საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში. ხევისურული: ორაგული → ვერაგული (თვით ორაგულ-ი ასე მიღებულად მიიჩნევა: არაგვი → არაგული → ორაგული მოხეური: დურბინდი → დვირბინდი; შენაცვლებას შესაძლოა თან ახლდეს სხვა ფონეტიკური პროცესიც: ნუერი → *ნიერი → მეტათეზისით: ნიერი; ქართლური: სთხოვე → სთხოე → სთხუე → სთხეე, სთხოვა → სთხოა → სთხუა → სთხეა; კახური: იმდონი (მიღებულია იმდენი და იმტოლი ფორმათა კონტამინაციით) → იმდენი // იმთენი // იმტენი; მესხური: ენდობი → ენდები, მეორე → მევერე, დააჯდენა „დასვა“ → * დააჯდენა → მეტათეზისით: დააჯდენა; ჭკუა → ჭკეა, აძოვა → აძოა → აძუა → აძეა, აძოვე → აძოე → აძეე, გოგოობა → გოგუობა → გოგვიობა, გოგოები → გოგუები → გოგვიები; რაჭული: ხურჯინი → ხვირჯინი; იმერული: ქობულეთი → ქვებულეთი, ტაროები → ტარვეები; გურული: ტუნელი „გვირაბი“ → ტვინელი; აჭარული: დუბე → დვიბე, დურბინდი → დვირბინდი...

როგორც ვხედავთ, ვი კომპლექსს იძლევა როგორც პირველადი (დურბინდი → დვირბინდი), ასევე მეორეული, ფონეტიკური ცვლის შედეგად მიღებული უ (აძოვე → აძოე → დისიმილაციით: აძეე → აძეე). შემდეგ: ო-მ შესაძლოა უშუალოდ მოგვეცეს ჯე (ტაროები → ტარვეები) ან უ-დ გარდაქმნის შემდგომ „დაიშალოს“ ვი კომპლექსად (გოგოები → გოგუები → გოგვიები). მართალია, აქ სხვადასხვა დიალექტის მონაცემია (იმერულია და მესხურისა), მაგრამ არ გამოირიცხება მათი ერთსა და იმავე დიალექ-

ქტში პოვნიერებაც (ტაროები//ტარუები//ტარვეები//ტარვიები).

ნიმუშები საგანგებოდ არაა ნაძებნი, ასეთი ფორმები საკმაოდ გავრცელებულია ზემოდასახელებულ დიალექტებში, თუმცა შედარებით ნაკლები სიხშირისაა, ვინემ ვე → ო და ვი → უ. შედარებით უფრო ხშირია უ → ვი, ისიც — გარკვეულ პოზიციაში, კერძოდ, უა, უე და უო კომპლექსებში. ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს მესხურში, ამგვარი ცვლილების კვალი დაჩნდება სხვა დიალექტებშიც (გურულში, აჭარულში...); მაგალითად, გურულში დადასტურებული დატოვა → დატია შენაცვლებისათვის შეუალღღურ საფესურებად ზემოდასახელებული ფონეტიკური გარდაქმნები ივარაუდება: დატოვა → დატოა → დატუა → დატვია → დატია (ვ-ს ჩავარდნით), ანალოგიურად დაისმის საკითხი დატოვე → დატეე ტიპის შენაცვლების თაობაზეც.

ო → ვე და უ → ვი ისტორიულად უმლაუტიანი ხმოვნების პოვნიერებაზე უნდა მიგვანიშნებდეს იმ დიალექტებშიც, სადაც ეს მოვლენა ამჟამად არ არის დადასტურებული: აძოვე → აძოე → აძუე → აძუე (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით, რაც უმლაუტის სახით დაჩნდება) → აძვიე. რაც შეეხება აძოვა → აძოა → აძუა → *აძუა ა) → აძვია ცვლილებას, უ → ვი შესაძლოა ანალოგიით აიხსნას (ვძვიე, აძვიე და შესაბამისად აძვია, შდრ. მრავლობით რიცხვში: აძვიეს), სისტემის ზეგავლენის შედეგად.

შენიშვნა 1: ივარაუდება, რომ ვა → ო ხდება მაშინ, როცა ვ წყვილბაგისმიერია: ვუ (არნ. ჩიქობავა). თუ ისტორიულად კბილბაგისმიერი ვ დაჩნდება ვა → ო პროცესს წინ უსწრებს ვ-ს გაწყვილბაგისმიერება (რაც ქართული ენის დიალექტებში რეალურად დადასტურებული ფაქტია): ქვა → ქუნ → *ჩაქუ ალვა → ჩაქოლვა...

შენიშვნა 2: ვა → ო, ასევე ვე → ო, ვი → უ (ან: ო → ვა, ო → ვე, უ → ვი) სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა ინტენსივობითა და ზოგჯერ სხვადასხვა პოზიციაშიც იჩენს თავს. მაგალითად, ივარაუდება, რომ ხევსურულში ვა → ო განხორციელებულია ხმოვნისა და პალატის მომდევნოდ (სავარცხალი → საორცხალი, ვაკშამი → ოკშამი), ხოლო მოხეურში — უპირატესად თანხმოვნის მომდევნოდ (ცხვარი → ცხორი, თვალი → თოალი). ამის საპირისპიროდ, ხმოვნისა და პალატის მომდევნოდ მოხეურში ხდება ო → ვა (ნიორი → ნივარი, ორსული → ვარსული), ხოლო ხევსურულში იგივე პროცესი (ყორანი → ყვარანი, დოლი → დვალი) ხდება თანხმოვნის მომდევნოდ (ა. არაბული). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი თანაფარდობა დიალექტებს შორის არცთუ

იშვიათად ირღვევა; მაგალითად, ხეცურულში თანხმოვნის მომდევნოდ ზოგჯერ შესაძლოა დაედასტუროთ ვა → ო პროცესიც (სიტყვა → სიტყო, სხვა → სხო), ხოლო მოხეურში იგივე პროცესი შესაძლოა დამოწმებული იყოს პაუზის მომდევნოდ (ვახტანგ → ოხთანგ).

ზემოხსენებულთან დაკავშირებით ერთი საკითხიც დაისმის: ო.ხმოვანს იძლევა როგორც ვა (ცხვარი → ცხარი), ასევე ვე (ყველან → ყრლან) კომპლექსები; შესაბამისად ო შეიძლება „დაიშალოს“ ვა (ალონი → ალოვანი) და ვე (ტაროები → ტარვეები) კომპლექსებად. ასეთი „მოულოდნელო“ პარალელში ადვილად აიხსნება თუკი დავეშვებით ვა → ო, მაგრამ: ვე → ო (→ ო), ასევე: ო → ვა, მაგრამ: ო → ო → ვე მონაცვლეობას (რაზეც ზემოთაც მივანიშნეთ).

ხმოვანზე თანხმოვნის ზეგავლენად შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე დაკარგული თანხმოვნის საკომპენსაციოდ ხმოვნის დაგრძელების შემთხვევები, რაც სისტემებში იჩენს თავს ზოგიერთ დიალექტში: აღარ → აღან, სირცხვილი → სირცხვილი (აჭარული); დაბდგი (ა-ს ფუნქციური დამართვით) → დანდგი (ინგილოური); და მისთ. (დაწვრილებით ამის შესახებ საუბარი გვქონდა გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებით; იხ. ზემოთ: ნაკვეთი..., 1.7).

ასეთივე ზეგავლენის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე თანხმოვნის პალატალიზაციის შედეგად ხმოვნის გაჩენა: პალტო → პალტო, ლანქერი → ლიანქერი/ლიანქერი (იხ. აქვე, ზემოთ: 2.1).

ამავე მიმართების შედეგია ანაპტიქური ხმოვნის გაჩენა (კლდე → კილდე) და მისთ.

ჭართული ენის დიალექტებში შეინიშნება აგრეთვე თანხმოვნისა და ხმოვნის მონაცვლეობის შემთხვევები: ქვა → ქვა, სხეები → სხეები, ავშარა → აუშარა, სიმამრი → სიმამერი → სიმამური... ამის საპირისპიროდ: დაურჭო → დოვრჭო, დეკეული → დეკეული, აქაურელი → აქავერელი, რაც დამოწმებულია გურულ (უარესი → ვარესი... სიმამრი → სიმამური), მესხურ (ქვა → ქვა... აქაურელი → აქავერელი...) აჭარულ (დეკეული → დეკეული... ბერი → ბერი...), ფერეიდნულ (სხეები → სხეები ... დაურჭო → დოვრჭო...) ინგილოურ (აუგია → ოვგი, რა უყავი → რა-ყავი)... დიალექტებში. ამ მოვლენის თაობაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა (იხ. ნაკვეთი..., 3.44).

2.27. თავის მხრივ, ხმოვანმაც შესაძლოა შეაპირობოს თანხმოვნის ცვლილება. დაჩნდება რამდენიმე შემთხვევა.

ა) ხმოვნის უშუალო მეზობლობაში ხდება სპირანტის დასუსტება. უპირატესად სუსტდება ჰ და ს, ზოგჯერ ზ და ს სპირანტები, შეინიშნება ც აფრიკატის დასუსტების შემთხვევებიც (გამაშუალებლად ივარაუდება დეზაფრიკატიზაციის საფეხური: ც →

ს). გამვლენელი შესაძლოა იყოს ხუთივე ხმოვანი. სპირანტის დასუსტების შედეგად ვიღებთ ა-ს, ზოგ შემთხვევაში ჰ-ს.

ცვლილება ხდება შემდეგ პოზიციებში:

ხმოვანი + სპირანტი + თანხმოვანი; ფშაური: დაძბარავს → დამბარავს, გასათბს → გამათბს; ანალოგიური შედეგი გვაქვს მაშინაც, როცა ზემოხსენებულ ოპოზიციის ვიღებთ ენკლიტიკის საფუძველზე: ისტორიასა-სწერს → ისტორიასა-მწერს; მთულური: დაძკარავს → დამკარავს, მოსტებს → მომტებს, იმასთან → იმამთან, პასტა → პამტა; ქართლური: გადაძხვეტავენ → გადამხვეტავენ, გასჭრი → გამჭრი, მისაწრო → მიამწრო, ნასწავლი → ნამწავლი, ნუ-სწერ → ნუ-მწერ... აგრეთვე: გაზრდილი → გამარდილი / გამდილი, მუშტი → მუმტი... დაჩნდება ასევე: ოცდარი → *ოსდარი → ოამდარი... კახური: მიჰყავს → მიმყავს, დედა-ჰყავს → დედა-მყავს, გამოსცდები → გამოამცდები, დაისწავლა → დამწავლა. ბოსტანი → ბომტანი... აგრეთვე: იზრდება → იამრდება, ტამტი → ტამტი... ოცდართი → *ოსდართი → ოამდართი; ფერეიდნულე: მოსჭრა → მამჭრა, სადა-სჯობს → სადა-მჯობს; სპორადულად დაჩნდება მესხურში: მასშინ → მამშინ, როსცა → რომცა.

აღმოსავლეთ საქართველოში დიალექტთაგან ამ რიგის ცვლილება არ შეინიშნება ხევსურულში, მოხეურსა და თუშურში, დასავლური დიალექტებისათვის სპირანტის გადასვლა ა-ში საერთოდ უცხია.

პაუზა + სპირანტი + თანხმოვანი; ქართლური, კახური, მთულური: პროშავს — მროშამს, სტუმარი → მტუმარი, სტაქანი → მტაქანი, სტოლი „მაგიდა“ → მტოლი... ამ პოზიციას სპირანტის დასუსტების შემთხვევები შედარებით იშვიათია და ისიც შესაძლოა ახლდეს. მკვეთრი შემართვა (სტუმარი → მტუმარი) ან განვითარდეს ირაციონალური ხმოვანი (სტუმარი → მტუმარი), რის საფუძველზეც წარმოიქმნება ზემოდასახელებული პოზიცია.

ხმოვანი + სპირანტი + პაუზა; ქართლური: ბზეს → ბზემ, ლობიოს → ლობიომ, ხელმწიფის → ხენწიფი (→ ხენწიფი), დააბრუნოს → დაამბრუნომ, გააკეთეს → გაამკეთემ... როდესაც → *როდესას → როდესამ; კახური: დედას → დედამ, ნინოს → ნინომ, მეზობლის → მეზობლიმ (→ მეზობლი), დგას → დგამ (→ დგა), ეკუთვნის → ეკუთვნიმ (→ ეკუთვნი), იყოს → იყომ, ააშენეს → ააშენემ; ის → იმ (→ ი)... აგრეთვე: რასაც → *რასას → რასამ, ისიც — *ისის ისიმ ინგილოური: მელას — მელამ, აშენებას — აშენევამ (დამახასიათებელია უპირატესად კაქური კილოკავისათვის); სპორადულად დაჩნდება მესხურშიც: დღეს → დღემ, თაფლის → თაფლიმ (→ თაფლი).

ხმოვანი + სპირანტი + ხმოვანი; ამ პოზიციას სპირანტის ცვლილება ძალზე

იშვიათია; ძირითადად დაჩნდება სხვათა სიტყვის მორფემოიდთან: იყოსო — იყოაო, გააკეთოსო — გააკეთოაო (კახური).

შენიშვნა: შეინიშნება სხვაობა დიალექტების მიხედვით. მაგალითად, სპირანტის გადასვლა *ა-ში* ხმოვნის (ან პაუზის) მომდევნოდ თანხმოვნის წინ დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ზემოდასახელებული დიალექტისათვის (დაჰბარავს → დაჰბარამს, გასთიბს → გამთიბს, სტუმარი → მტუმარი), ხოლო ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ (იყოს → იყოა, დაწერეს → დაწერეა) უპირატესად დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში. შემდეგ: ინგილოურში ფრიად იშვიათია ჰ-/ს— პირის ნიშანთა გადასვლა *ა-ში*, მაგრამ შეინიშნება პაუზის წინა პოზიციაში ბრუნვის ნიშნისეული სთანხმოვნის *ა-ად* დასუსტების ტენდენცია.

ყველა ზემოდასახელებულ პოზიციაში შესაძლოა დაედასტუროთ „კონტამინირებულ“ ვარიანტები: ჰ → *ა* // მჰ (დაჰბარავს — დაჰბარავს // დაჰბარავს) ს → *ა* // მს // მჰს (გასთიბს → გამთიბს → გამსთიბს → გამჰსთიბს, დედას →/ დედამს // დედაჰ → დედამჰ); უფრო ზუსტად: მს, მჰს იმ რიგის („რთულ“) ბგერებია, რომელთაც აქვს იოტიზებული შემართვა და სპირანტიზებული დამართვა. უპირატესად მაინც ეს მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში დაჩნდება, აგრეთვე იმ კილოებში, რომლებიც ქართლურისა და კახურის ძლიერ გავლენას განიცდიან (მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური). თუშურში იოტაციას განიცდის მხოლოდ ფშვინვიერი შემართვის შედეგად გაჩენილი ჰ (ეგი → ჰეგნ → ეეგნ).

იოტაციას განიცდის:

მორფემისეული სპირანტი: და - ჰ - ბარავს → და-ა-ბარამს, დედა-ჰყავს → დედა-აყამს, გა-ს-თიბს → გა-ა-თიბს (პრეფიქსი), დედა-ს → დედა-ა, წერა-ს → წერა-ა, დაწერ-ეს → დაწერ-ეა (სუფიქსი)...

ფუძისეული სპირანტი: ის → ია (→ ი), ნა-სწავლი → ნა-აწავლი, ბოსტანი → ბოატანი...

დასახელებული იყო სპირანტების (მათ შორის ჰ სპირანტის) დასუსტების შედეგად მიღებული იოტაციის შემთხვევები. იშვიათი გამონაკლისის გარდა, იოტაცია დაჩნდება ხმოვნის მომდევნოდ როგორც ხმოვნის ზემოქმედების შედეგი (იშვიათ გამონაკლისად იგულისხმება პაუზის მომდევნო პოზიცია, სადაც, როგორც აღინიშნა, ირაციონალური ხმოვნის გაჩენის შემთხვევებიც გვაქვს: სტუმარი → მტუმარი, და, ამდენად, ზემოხსენებულის ანალოგიური პოზიცია წარმოიქმნება).

როდესაც ხმოვნის ზემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მიდრეკილუ-

ბას დიფთონგიზაციისაკენ, როცა აჰ, ას, ოჰ, ოს... კომპლექსები გარდაიქმნება აჰ, ოჰ... დამავალ დიფთონგებად (იხ.: თავი I, § 25).

ქართული ენის დიალექტებში ხმოვნის მეზობლად სპირანტის დასუსტების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს ს → ჰ მონაცვლეობა. პოზიციები იგივეა (ოღონდ ამ პრინციპით, ჩვეულებრივ, არ იცვლება II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშანი ს — ,რომელიც თავად წარმოადგენს ჰ — მორფემის ფონეტიკურ ვარიანტს).

მესხური: ეს → ეჰ, ასწავლე → აჰწავლე, რას → რაჰ, წყაროს → წყაროჰ, კაცისკენ → კაციაჰკენ, დადის → დადიჰ, გააკეთოს → გააკეთოჰ, დანიშნის → დანიშნეჰ, აჭარულთ: სად → ჰად(დ), საიდან → ჰიდან, სადაური → ჰიდაური, ბიჭოს → ბიჭოჰ, ამისთანა → ამიჰთანა. იოტაციის პარალელურად დამოწმებულია ქვემოქართლურშიც (როგორც წესი, ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინა პოზიციაში): დედას → დედაჰ, ხელმწიფის → ხელმწიფიჰ...

შენიშვნა: ჯავახურში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნად უპირატესად ჰ — გვაქვს ყველა რიგის თანხმოვნის წინ; ანალოგიურ მდგომარეობას ვადასტურებთ აჭარულშიც (დაჰდეგ, დაჰტოვე; დაჰცქერის, მოჰწყდა; შეჰკამს...). არ გამოირიცხება ორგვარი ახსნა: ჰ — პირის ნიშანი დაკულა (და-ჰ-დეგ...); ან: ამ შემთხვევაშიც მოხდა ს → ჰ (და-ს-დეგ → და-ჰ-დეგ...). თუ ჯავახურისა და აჭარულის ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ (მათი თავისებურებანი, თვით არქაიზმების ჩათვლითაც, XII—XVIII საუკუნეებზე უადრეს პერიოდს არ განეკუთვნება), იმავდროულად ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციას გავუწევთ ანგარიშს (იგულისხმება ს → ჰ მონაცვლეობის გავრცელებულობა), მაშინ უფრო მართებული ჩანს მეორე ვარაუდი (და-ს-დეგ → და-ჰ-დეგ). თუ ასეა, ჯავახური და აჭარული ამ მხრივ თავისებურ ვითარებას გვიმოწმებს განსხვავებით იმ დიალექტებისაგან, სადაც არ ხდება ს — პირის ნიშნის გარდაქმნა ჰ-დ.

ბ) სპორადულად დაჩნდება ლ სონანტის დასუსტების შემთხვევებიც. შენიშნულია ეს მოვლენა ინგილოურში (ისიც სპირანტის წინა პოზიციაში): კელში → კელში...

გ) ზეგავლენის შედეგი ვლინდება იმითაც, რომ ხმოვანი ან ხმოვანთა კომპლექსი შეაპირობებს თანხმოვნის გაჩენას ან დაკარგვას.

ჩვეულებრივ, თანხმოვნის გაჩენა ხდება ხმოვნის ლაბიალიზებული, ფშვინიერი, იოტიზებული შემართვა-დამართვისა და ნაზალიზებული დამართვის შემთხვევაში. ამ საკითხებზე ნაწილობრივ უკვე გვქონდა ზემოთ მსჯელობა (იხ. ნაკვეთი..., 1,6; 1.9.;

1.10.; 1.24.). ამჟერად ძირითად მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ლაბიალიზებულ შემართვასა და დამართვას განიცდის ო ხმოვანი, რის შედეგადაც მის წინ ან მომდევნოდ ვითარდება წყვილბაგისმოერი ვ (ჟ): ორი → ვორი, ოცი → ვოცი, ომი → ვომი, ობოლი → ვობოლი, ოჯახი → ვოჯახი... კაცო → კაცოვ, ქალოვ... შეინიშნება უ ხმოვნის ლაბიალიზებული შემართვის შემთხვევებიც: უკაცრაჟად → ვუკაცრაჟად (ზემორაჟული). ლაბიალიზებული შემართვა უპირატესად დაჩნდება დასავლურ დიალექტებში (იმერულში, გურულში, აჭარულში...), ხოლო დამართვა — აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში.

ლაბიალიზაციის ტენდენცია დაჩნდება ინტერფოკალურ (ხმოვნებს შორის) პოზიციაშიც:

აე → ავე: სხვა → *ა-სხვა-ებ-ს → ა-სხვა-ვ-ებ-ს;

ეე → ევე: რძე → *მე-რძე-ე → მე-რძე-ვ-ე, ხე → * ა-ხე-ებ-ს → ა-ხე-ვ-ებ-ს;

ოე → ოვე: პოეტი → იმერული: პოვეტი, ნოე (ანთროპონიმი) → გურული: ნოვე,

ბოლო → ა-ბოლო-ებ-ს → ა-ბოლო-ვ-ებ-ს;

ოო → ოვო: ბოლო → სა-ბოლო-ო → სა-ბოლო-ვ-ო, ძმაოო- ძმაოვო;

უე → უვე: ყრუ → ა-ყრუ-ებ-ს → ა-ყრუ-ვ-ებ-ს;

უი → უვი: რუ → რუ-ვ-ი, ბუ → ბუ-ვ-ი, ღმუილი-ი → ღმუვილი-ი.

აო → ავო: სა-შინა-ო → სა-შინა-ვ-ო;

ეო → ევო: მოსახლე-ობა → გურული: მოსახლე-ვ-ობა;

იო → ივო: ჭალ-ებ-ში-ო → აჭარული: ჭალ-ებ-ში-ვ-ო.

აე და ეე კომპლექსების გათიშვა ვ ლაბიალური სპირანტით ხდება მაშინ, როცა საყრდენი ფუძე ერთმარცვლიანია. ორ— და მეტმარცვლიანი ფუძის შემთხვევაში ხდება ფუძისეული ხმოვნის კვეცა: შეშა → ა-შეშ-ებ-ს, გუბე → ა-გუბ-ებ-ს... თუმცა ასეთ შემთხვევებშიც შესაძლოა განვითარდეს ვ: პატარა → ა-პატარა-ვ-ებ-ს... რაც უ ევება გუნდა → ა-გუნდა-ვ-ებ-ს, ციგა → ა-ციგა-ვ-ებ-ს ტრპის ფორმებს, აქ, ჩანს, მორფოლოგიურ ფაქტორსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა; კერძოდ, ამ ტრპის ნასახელარი ზმნები კმნიან განსხვავებულ სისტემას: ა-გუნდა-ვ-ებ-ს → გუნდა-ობ-ს (შდრ.: ა-შეშ-ებ-ს → შეშ-დ-ებ-ა)...

დანარჩენ შემთხვევებში კომპლექსში მონაწილეობს ლაბიალური ხმოვანი. ჰი-ატუსის (ხმოვნების შორის ლიობის) დასაძლევად ოე, ოო, უი კომპლექსებში დაჩნდება მომდევნო ხმოვნის ლაბიალიზებული შემართვა, რაც შეპირობებულაა წინა ლაბიალური ხმოვნით, ხოლო აო, ეო, იო კომპლექსებში — წინამჟღადი ხმოვნის ლაბიალიზებული დამართვა, შეპირობებული მომდევნო ლაბიალური ხმოვნით.

ზემოხსენებულ კომპლექსთა ლაბიალიზაცია, როგორც წესი, შეინიშნება ბო-

ლოკიდურა პოზიციაში. ამის საპირისპიროდ, თავიკიდურა პოზიციაში დადასტურებულია ვ ლაბიალური სპირანტის ჩავარდნის (დაკარგვის) შემთხვევები: ოვე → ოე (მოვესწარი → მოესწარი → გურული, იმერული: მუესწარი... იგივე შედეგი ზოგჯერ შეინიშნება ბოლოკიდურა პოზიციაშიც: ოვო → ოო ი-პოე-ო-ს → ი-პო-ო-ს), თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ე-ს გაჩენაც და დაკარგვაც ამ პოზიციებში ხშირად პარალელური ვარიანტების სახით იჩენს თავს (საბოლოო // საბოლოო, იპოვოს // იპოს, ან: რუი//რუეი...), შესაძლოა ვივარაუდოთ: ამ შემთხვევებში გვაქვს ალტერნატიული პოზიციები, სადაც დასაშვებია ორივე ვარიანტის პოვნეირება.

ფშვინვიერი შემართვისა და დამართვის შედეგად ხმოვნის წინ ან მომდევნოდ დაჩნდება 3 სპირანტი: აბა → პაბა, აგრე → პაგრ, ოთურ → პოთურ „აღბათ“ (თუ შური); აკვანი → პაკვანი, ეკალი → ჰეკალი (მესხური); აბა → პაბა, ეგი → ჰეგი, იგი → ჰიგი, ომობს → პომობს, უთხოვია → ჰუთხოვი (ინგილოური)... დარჩებიან → დაჩჩებიან, არა → არაპ (ინგილოური)... ეს მოვლენა ხელს უწყობს 3 სპირანტის შემონახვას: პალალი „აღალი“, პარამ „არამი“, პაზირი „გამზადებული“ (ინგილოური), პარამი „არამი“, პამბავი „ამბავი“ (მესხური). ინგილოური ერთადერთი დიალექტია, სადაც შეინიშნება ხმოვანთა ფშვინვიერი დამართვა, სადაც ფშვინვიერი დამართვის დაკარგვის საკომპენსაციოდ შესაძლოა დაგრძელდეს წინამჟღადი ხმოვანი: დაპდგი → დანდგი.

იოტიზებული შემართვა და დამართვა შესაბამისად ხმოვნის წინ ან მომდევნოდ იწვევს ა-ის გაჩენას: აგრე → მაგრ, ეგი → მეგრ (თუ შური), ეკალი → მეკალი (მოხეური), ეხლა → მეხლა (ინგილოური), ეზო → მეზო, სდეგს → სდეგეს (მესხური), ერთი → მერთი, ექესი → მექესი (იმერული)... ტყუილათაღამ „ტყუილად“, ერჩამოვლამ „ერთ ჩამოვლაზე“ (აქარული), განგებამ // განგებამი „განგებ“, ნელათამ // ნელათამი (გურული), ხვალამ „ხვალ“, მცხენიამ // მორცხენიამ (ქართლური, ქვემოქსნური თქმა), შორითამ (თუ შური)... იოტაცია გამოყენებულა ხმოვანთგამყარადაც: წავიდაა? (ბოლოკიდური-ა კითხვითი მორფემოიდა) → წავიდაა? (მთიულური). გაათხოვა → გამათხოვა, ნაავდრი → ნამაავდრი (ქართლური, ზემოქსნური თქმა), პატარაა → პატარაამა, მტირალაა → მტირალაამ (მესხური, სამცხური კილოკავი)...

შენიშვნა: ზოგჯერ ა → ი, ანუ: ა იძენს სრულხმოვნობას: პატარაამა → პატარაია (ჩანს, მახელის გავლენით); ასევე: ნელათამ → ნელათაია...

დიალექტებში შეინიშნება ფშვინვიერი და იოტიზებული შემართვა-დამართვის მონაცვლეობა: ჰეგრ // მეგრ (თუ შური), ჰეკალი // მეკალი (მესხური). იშვიათად ა მონაცვლეობს ლ-სთანაც: მეკალი // ლეკალი, ანუ: ა → ლ; სავარაუდოა, ფუძისეული

ლ-ს გავლენით (ლუჩხუმური).

შენიშვნა 1: როგორც ზემოთ ითქვა, ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ ს → ჰ (წყაროს → წყაროჲ, დაწერეს → დაწერეჲ), რაც იწვევს წინამდებარე ხმოვნის იოტიზებულ დამართვას. წარმოშობა სხვადასხვაგვარია: სპირანტის დასუსტება (დაწერეს → დაწერეჲ) და იოტიზებული დამართვის შედეგად მ-ს გაჩენა (ზელა → ზელაჲ), შედეგი (საკუთარი ფონეტიკური თვალსაზრისით) → ერთი და იგივე.

შენიშვნა 2: ფშვინვიერი და იოტიზებული შემართვა-დამართვა შესაძლოა სხვაობდეს დიალექტების დონეზე; მაგალითად, ინგილოური: არაჰ — ქართლური (ქვემოქსნური): არაჲ. ამის კვალობაზე, საგარაუდოა: არაჰ → არაჲ, მაგრამ ამჟამად ეს მოვლენა დიალექტური სხვაობის თვალსაზრისით აღმოჩნდა საცნაური.

ხმოვნის ნაზალიზებულ დამართვა მეტ-ნაკლებად ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში იჩენს თავს, მაგრამ უპირატესად მიიწვება დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. ნაზალიზაციის შედეგად ხმოვნის მომდევნოდ ვითარდება ნ სონანტი: კაცისთვის → კაცისთვი (ს-ს დაკარგვით) → კაცისთვინ // კაცითვინ (ქართლური, კახური, მესხური...), საცაღა → საცხა → საცხან (აჭარული), ცოტათი → ცოტათინ (ლუჩხუმური), ჭირივით → ჭირივი (თ-ს დაკარგვით; დამოწმებულია ჭავჭავაძეში) → ჭირივინ (აჭარული)... არსებითად ხმოვნის ნაზალიზებულ დამართვასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევებშიც: ეგრე → ენგრე (ქართლური, კახური...), ვიწრო → ინწრო (იმერული), ათვალეურებს → ანთვალეურებს (აჭარული) და მისთ. ნაზალიზაციის ტენდენციის გამოვლენებად შეიძლება მივიჩნიოთ ხმოვნის მომდევნოდ ნ სონანტთან მონაცვლეობის შემთხვევებიც: ხატ-ავ-ს → ხატ-ამ-ს → ხატ-ან-ს, ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს (მესხური).

ზემოთ აღინიშნა, რომ ხმოვანთკომპლექსი შესაძლოა განაპირობებდეს თანხმოვნის დაკარგვასაც. საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ.

სისტემატური ხასიათი აქვს შემდეგი კომპლექსების გამარტივებას:

ი + თ ან ხ მოვანი (ვ/ნ...) + ე და ი + თ ან ხ მოვანი (ვ/ნ...)

+ ა: და-ვ-ა-ბნი-ვ-ე → და-ვ-ა-ბნ-ი-ე, გა-ვა-კეთ-ებ-ინ-ე → გა-ვ-ა-კეთ-ებ-ი-ე... და-ა-ბნ-ივ-ა → და-ა-ბნ-ი-ა, გა-ა-კეთ-ებ-ინ-ა → გა-ა-კეთ-ებ-ი-ა... თანხმოვნის დაკარგვის შედეგად წარმოიქმნება იე და ია ხმოვანთკომპლექსები. დაჩნდება სხვაობა დიალექტების მიხედვით. მაგალითად, ქართლურსა და კახურში ზემოდასახელებულ ფორმებში თანხმოვანი შენარჩუნებულია (დავაბნივე, დააბნივა და მისთ.).

ამ რიგის სხვაობებმა შესაძლოა თავი იჩინოს ერთსა და იმავე ფორმებში: ა-ჭრ-ევ-ინ-ებ-ს → იმერული: ა-ჭრ-ევ-ი-ევ-ს (იკარავის ნ) / ქართლური: ა-ჭრ-ე-ინ-ებ-ს (იკარავის ვ); ასევე: და-ა-ჭრ-ევ-ინ-ა → და-ა-ჭრ-ევ-ი-ა/ და-ა-ჭრ-ე-ინ-ა. ცვლილების შედეგად დაჩნდება ეი (შდრ. ზემოდასახელებული: იე) და ია კომპლექსები.

მარტივდება აგრეთვე ო + თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი (ე) + ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ი: მო-ვ-ი-ტან-ე → მო-ი-ტან-ე...

სისტემატური ხასიათი აქვს ვ+ უ კომპლექსის გამარტივებასაც:

ვ-უ-კეთ-ებ → უ-კეთ-ეფ, გა-ვ-უ-კეთე → გა-უ-კეთ-ე...

სპორადულად შეინიშნება სხვა სახის კომპლექსთა გამარტივებაც; მაგალითად, არი → აი/აჲ (ცარიელი → აჭარული: ცაიელი//ცაჲელი, მარილი → მაილი//მაჲლი) და მისთ.

2.28. ხ მ ო ვ ა ნ თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი ს ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი . გაგანალიზებთ ყველა შესაძლო ხმოვანთკომპლექსის ფონეტიკურ გარდაქმნებს, რომლებიც დადასტურებულია ქართული ენის დიალექტებში. ამგვარად არ განვიხილავთ ხმოვანთკომპლექსებში რედუქციის იმ შემთხვევებს, რომლებიც საერთო-ქართული მოვლენაა: აი → ი/ა (მამა → მამა-ის → მამ-ის/ შოთა → შოთა-ის → შოთა-ს), აო → ო (მამა → მამა-ობ-ა → მამ-ობ-ა; შდრ.: შოთა-ობ-ა) და მისთ. (ამის თაობაზე იხ. ქვემოთ: მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი).

ა) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი ა ხმოვანია შეენიშნანათ: ციფრებით აღნიშნულია ფონეტიკურ ცვლილებათა რიგები, ტირეთი — ხმოვანთა დისტანციური მეზობლობა.

ზოგადი სქემა ასეთია:

აა → 1. ა (გაატანა → გატანა); 2. აჲ (ნააჲდრი → ნაჲაჲდრი); 3. ა-ე/ე-ა (არაკი → არეკი, წამალი → წემალი); 4. ა-ი/ი-ა (ლაპარაკი → ლაპარიკი, სანამ → სინამ).

აე → 1. ეე (დაეცა → დეეცა, ყანები → ყანეები) → ე (დეეცა → დეცა) → ე (დე ცა → დეცა); ამავე საფეხურის მეორე ვარიანტია: ეე → ეჲ (დეეცა → დეეცა) → ეჲ (დეეცა → დეეცა); 2. აჲე (აჲეაებს → აჲეაეებს); 3. აჲ (დოსტაშნაები → დოსტაშნაჲები); 4. ა-ა (ფარეხი → ფარახი); 5. ა-ი (აქლემი → აქლემი).

აი → 1. ეი (გაიკეთა → გეიკეთა, ბიცოლაი → ბიცოლეი) → ეჲ (გეიკეთა → გეჲეკეთა); აგრეთვე: ეი → ე (გევიკეთე → გეჲეკეთე; ბიცოლეი → ბიცოლე); ასევე: ეი → იი (გეიკეთა → გიიკეთა) → ი (გიიკეთა → გიჲეკეთა); 2. აჲ (დაიწყო → დაჲწყო, დედაი → დედაჲ);

აო → 1. ოო (მუშაობს → მუშოოფს) → უო (მუშოოფს → მუშუოფს/მუშუოფს);

უო საფეხურს ზოგ დიალექტში აქვს გაგრძელება: → ვიო (ლოცავს → ლოცავობს → ლოცაობს → ლოცობს → ლოცობს/ლოცობს → ლოცობს); ოო საფეხურის ვარიანტი აგრეთვე: ო-ო (გამოვიდა → გამოვდა); მაასიმილირებელი ო შესაძლოა მიღებული იყოს ფონეტიკური ცვლილების შედეგად (დაგვიძინა → დაგოძინა → დოგოძინა); 2. აეო (ძმავო → ძმავო, ჭობიავო → ჭობიავო); 3. აო (მამაობა → მამაობა); 4. აუ → აუ (წამომილო → წამომილო → წაუმილო → წაუ მილო). შევნიშნავთ: ფონეტიკური ცვლილებით მიღებული მაასიმილირებელი ო-ს პოზიციაში შეიძლება დაჩნდეს ო-ც (დაგვეძინა → დაგოძინა → დოგოძინა).

აუ → 1. ოუ (გაუკეთა → გოუკეთა) → უუ (გოუკეთა → გუუკეთა) → უ (გუუკეთა → გუუკეთა); 2. აო (საუბარი → საობარი); 3. აუ / აე (აქაურელი → აქაურელი / აქაურელი); შევნიშნავთ: აუ შესაძლოა იყოს მეორეული კომპლექსი: აო → აუ (თანხმოვანთან ასიმილაციით) → აუ (წამომილო → დისიმილაციური დაკარგვის გზით: წამომილო → წაუმილო → წაუ მილო).

განივილიათ ცვლილების ყველა ნაირსახეობა ცალ-ცალკე.

* * *

აა კომპლექსი დაჩნდება: თავიკიდურა პოზიციაში (გააკეთებს), შუა პოზიციაში (საათი), ბოლოკიდურა პოზიციაში (წავიდა? ბოლოკიდურა — ა კითხვითი მორფემოიდა); წარმოდგენილია მორფემათა ზღვარზე (გა-ა-კეთებს, წავიდ-ა-ა?) და ერთი მორფემის ფარგლებშიც (საათი, ჯამაათი).

აა კომპლექსი იცვლება როგორც კონტაქტური (გააკეთა → გაკეთა), ასევე დისტანციური (შაქარი → იმერული: შექარი) მეზობლობის დროს.

უშუალო მეზობლობისას აა კომპლექსი შესაძლოა იყოს პირველადი (გააკეთა, საათი) და მეორეული, მიღებული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად (არაფერი → ააფერი).

აა მძლევა შემდეგ რეფლექსებს:

აა → ა (შეირწყმის გრძელ ხმოვანად). ეს პროცესი ხმოვანთა უშუალო (კონტაქტური) მეზობლობისას რეგულარულად დაჩნდება თუ შუერსა და აჭარულში. ხშირია ფერეიდნულში. სპორადულად შეინიშნება სხვა დიალექტებშიც. თუ შუერსა და აჭარულში გვხვდება ყველა პოზიციაში, სხვაგან უპირატესად თავიკიდურა და შუა პოზიციებშია წარმოდგენილი.

თუ შუერ: გააკეთებს → გაკეთებს, გააჩნდა → გაკჩნდა, შაატყო „შეატყო“ → შატყუ, მაასხ „მოასხა“ → მატხ. დევდარაანი (პატრონიზია) → დევდარატხ , დევდარა(ნ)თი → დევდარატხთ , ფერად → ფერატხდ „მსგავსად“, უდერად →

უღერაც და „ბევრად“... შევნიშნათ: ა — პრეფიქსის წინ თუშურში მო — და შე — ზმნისწინები წარმოდგენილია ა — გახმოვანებით: მა-, შა-.

აქარული: გაატანა → გა ტანა, დაბა → და ბა, წაართვამს „წაართვეს“ → წ ა რთვამ... საათი → ს ა თი... საცხაა „სადლაც არის“ → საცხ ა , ვინაა → ვინ ა ... არაფერი → ა აფერი → ა ფერი (→ აფერი)...

ფერეიდნული: დაარტყამენ → და რტყმენ, მაბამენ „მოაბამენ“ → მ ა ბმენ...

ღეჩხუშური: მანამდი → მაამდი → მ ა მდი...

თავკიდურა პოზიციაში გრძელ ხმოვნად უპირატესად შეირწყმის ზმნისწინისეული ხმოვანი და ზმნური ა — პრეფიქსი, ბოლოკიდურა პოზიციაში — ფუძისეული და ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნები ან ფუძისეული და მეშველი ზმნისეული ხმოვნები.

აა → ააა (ხმოვანთგამყარად ჩნდება ა). ამ მოვლენას ხმოვანთა კონტაქტური მეზობლობისას რეგულარული ხასიათი აქვს მთიულურ-გუდამაყრულსა და ქართლური დიალექტის ზემოქსნურ თქმაში. ზოგჯერ თავს იჩენს სხვა (ფშაურ...) დიალექტებშიც.

მთიულურ-გუდამაყრული: წაეიდაა? (ბოლოკიდურა — ა კითხვითი მორფემოიდა) → წაეიდაა? მიწაა? — მიწააა?..

ქართლური დიალექტის ზემოქსნური თქმა: გაათხოვა → გააათხოვა, ნაავდრი → ნააავდრი... დედაა → დედააა...

შეინიშნა იმერხეულშიც: სერდალაა (= სერდალა არის) ჩემი კმარი...

დამოწმებულია როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში.

სავსებით განსხვავებულ შედეგს იძლევა აა დისტანციური მიმართების დროს: თავს იჩენს დისიმილაციისაკენ მიდრეკილება. დისიმილაცია შესაძლოა იყოს პროგრესულიც და რეგრესულიც. გადამგერება ხდება ამ წესით: ა-ა → ა-ე/ე-ა ან: აჯ → ა-ი/ი-ა.

ქართლური: არაკი → არეკი, მაშვრალი → მაშვრელი (აქ არ გამოირიცხება ანალოგია მ-ელ კონფიქსთან), ფალავანი → ფალევანი... ანაბარა → ინაბარა, ხალასი → ხალისი, სანამ → სინამ...

კახური: ჰგავხარ → გევხარ, დგახარ → დგეხარ, ჰყავხარ- ყევხარ, ჯყავარ → ჯყევარ... ეს მოვლენა მეტ-ნაკლებად თავს იჩენს თითქმის ყველა დიალექტში.

მოხეური: ჰგაარი → ჰგეარი (ა-ა → ე-ა), მაჯავანი → მაჯევანი (ა-ა → ა-ე)...

თუშური. სადა → სიდა → სიდ...

მთიულურ-გუდამაყრული: კარხალი → კერხალი, მრავალი → მრევალი, შაქარა → შექარა... ნიადაგ → ნიადეგ...

იმერული: არაკი → არეკი, სანამ → სანემ... წამალი → წემალი, კაკალი → კეკალი, შაქარი → შექარი, დავა → დევა... დაინდება შეუალედურ პოზიციაშიც: ამალამ → ამელამ, არაკაცი → არეკაცი, სანამ → სანემ... შემდეგ: ლაპარაკი → ლაპარიკი (ლაპარიკმა, ლაპარიკს...), ამხანაგი → ამხანიგი // აფხანიკი... შეუალედურ პოზიციაში: ალაგას → ალიგას... ანალოგიური ცვლილებანი დაინდება გურულშიც.

ჯავახური: სარამლი „სანამლი“ → სირამლი...

აჭარული: ავა → ევა (და ასე: გავა → გევა, წავა → წევა)... ლაპარაკი → ლაპარიკი, ლანძღვა → ლინძღვა...

ასე რომ, დაინდება ისეთი ცვლილებაც, რომელიც ახასიათებს ან თითქმის ყველა დიალექტს, ან დიალექტების ერთ ჯგუფს, და იმ რიგის გადაბგერებაც, რომელიც სპეციფიკურია ამა თუ იმ დიალექტისათვის (ავა → ევა, ავალ → ევალ).

რაც შეეხება და-გვ-ა-კლდა → და-გო-კლდა → დოგოკლდა ტიპის პროცესებს, ამის თაობაზე ჭკემოთ გვექნება საუბარი ა-ო კომპლექსთან დაკავშირებით.

ამდენად, აა კომპლექსი დიალექტებში შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით დაინდება:

აა → ა (გაატანა → გატანა)

ააა (ნაავდრი → ნააავდრი)

ა-ე/ე-ა (არაკი → არეკი, წამალი → წემალი)

ა-ი/ი-ა (ლაპარაკი → ლაპარიკი, სანამ → სინამ)

* * *

აე კომპლექსი იძლევა შემდეგ რეფლექსებს:

აე → ეე (სრული რეგრესული ასიმილაციით). დაინდება როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში.

თავკიდურა პოზიციაში ზმნისწინისეული ხმოვნისა და ზმნური ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრისას აე → ეე დადასტურებულა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა დიალექტში, ხოლო დასავლური დიალექტებიდან → იმერულში, რატულსა და ლეჩხუმურში, აგრეთვე იმერხელში: დაეკლა → დეეკლა (ხეცურელი), დაემალა → დეემალა (ფშაური), აესხა → ეესხა (მოხეური), წაელო → წეელო (მთიულურ-გუდამაყრელი), წაეყვანა → წეეყვანა (ქართლური), აეტანა → ეეტანა (ყახური), გაეგო → გეეგო (ინგილოური), დაეჭირა → დეეჭირა (ფერეიდნული), გაეცალა → გეეცალა (რატული), აელო → ეელო (იმერული), დაეხსნა → დეეხსნა (ლეჩხუმური), გაეთხოვა „გაეთხოვებინა“ → გეეთხოვა // გეეთხუა (იმერხელი).

როგორც ითქვა, უპირატესად ხდება ზმნისწინისეული ხმოვნის გადაბგერება.

მავდროულად შესაძლოა იცვალოს სხვა პრეფიქსთა გახმოვანებაც: საეგებო → ეეგებო (ლექსუმური).

შენიშვნა 1: იშვიათად აე → ეე პროცესი დაჩნდება მაშინაც, როცა ე ფუძისეული ხმოვანია (თუმცა, ჩვეულებრივ, ასეთ დროს ცვლილება იზღუდება): ერთ-ი → საერთა → სეერთა (ლექსუმური).

შენიშვნა 2: დიალექტების ერთ ნაწილში მო— ზმნისწინს სისტემებზე ცვლის მა-, რომელიც მომდევნო ე— ზმნურ პრეფიქსთან შეხვედრისას ზემოხსენებულ წესით იცვლება: მაეკლა → მეეკლა, მაეგება → მეეგება (ხევსურული), თუმცა შესაძლოა კომპლექსი ფონეტიკურად უცვლელიც დარჩეს: მაემზადებოდა „მოემზადებოდა“.

წარმოდგენილი იყო თავკიდურა პოზიციაში ხმოვანთა უშუალო (კონტაქტური) მეზობლობის დროს რეალიზებული ფონეტიკური ცვლილება — სრული რეგრესული ასიმილაცია.

არსებითად ანალოგიური ტენდენცია იჩენს თავს ბოლოკიდურა პოზიციაშიც, თუმცა ზემოდასახელებულ დიალექტებში ამ მხრივ ერთგვაროვანი სურათი მაინც არ არის. მაგალითად, ფშაურში, ქართლურში, კახურში, ლექსუმურში უპირატესად აე → ეე პროცესია დამოწმებული (მსგავსად თავკიდურა პოზიციისა): რაები → რეები, ახალგაზრდაები → ახალგაზრდები (ფშაური), ჭალაები → ჭალეები, ქოჩორაები → ქოჩორეები, მამისაებრ → მამისეებრ // მამისეებ // მამისეეფ (ქართლური), რალაცაები → რალაცეები, დასაებრ → დასეეფ (კახური), ბიძაები → ბიძეები, წინდაები → წინდეები, კოტაები → კოტეები, ეკლესიაები → ეკლესიეები (ლექსუმური). ხევსურულსა და იმერულში პარალელურად გვხვდება ამოსავალი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები: ჭალა → ჭალაები // ჭალეები, თეთრქუდა → თეთრქუდაები // თეთრქუდეები (ხევსურული), ბიძა → ბიძაები // ბიძეები, სიმღერა → სიმღერაები // სიმღერეები (იმერული). ანალოგიური მდგომარეობაა მთიულურ-გუდამაყრულშიც: შეშა → შეშაები // შეშეები... რატული კილოკაურ სხვაობებს იძლევა: ქვემორაჭულსა და ზემორაჭულში, ჩვეულებრივ, ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები დაჩნდება (დედაები → დედეები, სხვაები → სხვეები, კერიაები → კერიეები, ამისთანაები → ამისთანეები, ამაებს → ამეებს), რიგინისთაურში პარალელური ვარიანტები გვაქვს (ვაჟა → ვაჟეები // ვაჟეები, ბიძა → ბიძაები // ბიძეები), გლოლურში ცვლილება, როგორც წესი, არ ხდება (ვაჟა → ვაჟეები, კოტა → კოტაები, მალაზია → მალაზიაები, ხბოუკა → ხბოუკაები).

აე → ეე გვხვდება კომპოზიტებშიც ფუძეთა შერწყმის მიჯნაზე: რაერთი → რეერთი

„რამდენი“ (კახური); დაჩნდება რეთით ნაირსახეობაც, აქედან: რე თი → რეთი შეინიშნება კახურში; ძირითადი ვარიანტია გურულში).

შენიშვნა: გურულსა და აჭარულში, ჩვეულებრივ, აე →ეე →იე (იხ. ქვემოთ), მაგრამ ზოგჯერ ცვლილების მეორე საფეხურია წარმოდგენილი: ყანა → ყანეები/ყანიები (აჭარული ყანეები).

ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში აე →ეე პროცესს შესაძლოა არეგულირებდეს მორფოლოგიური ფაქტორი. მაგალითად, თიანურში ბოლოკიდური ძირეული ა ხმოვანი, როგორც წესი იკვეცება: კატა → კატები, თხა → თხები, მაგრამ სუფიქსური — ა ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: კოდალა → კოდალები → კოდალები, წიწილა → წიწილები → წიწილები (გ. ცოცანიძე).

დასახელებული იყო პირველადი აე კომპლექსის ფონეტიკური ცვლილების ნიმუშები. ცვლილებას განიცდის მეორეული აე კომპლექსიც, რომელიც, ჩვეულებრივ, თანხმოვნის ჩავარდნით მიიღება: უკვდავება →უკვდავა →უკვდავა, ედავება →ედავა → ედევა, ანიავებს → ანიავებს → ანიავებს (ქართლური), ნათესავები → ნათესაები → ნათესაეები, ატყავებს → ატყაეებს → ატყაეებს (კახური). გათავება → გათაეება → გათაეება, დაშავებული → დაშაეებული → დაშაეებული (იმერული). ზოგჯერ ჩავარდნილია მორფემათა ზღვარზე განვითარებული (გაჩენილი) ვ: ჭვა → აჭვა-ვ-ებ-ს და: აჭაეებს → აჭაეებს, მუშა → ი-მუშა-ვ-ებ-ს და: იმუშაებს → იმუშაებს; შღა. ვნებითი გვარის ფორმები, სადაც იმავე დიალექტებში ვ შენარჩუნებულია: ჭვა-ვ-დ-ებ-ა, მუშა-ვ-დ-ებ-ა (ამიტომაც იგარაუდება ზემოდასახელებულ მაგალითებში ვ ჩავარდნილად). მეორადი აე კომპლექსი შესაძლოა მიღებული იყოს სხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგადაც: მანეთი — მანეთი (მეტათეზისით) — მეენთი (კახური).

გარდა ამისა, ასეთი ვარაუდის რეალურობაზე მიგვანიშნებს უღვლოლების პარადიგმაც:

აწმყო: მუშა-ობ-ს → მუშა-ოფ-ს (//მუშო-ოფ-ს)

მყოფადი: ი-მუშა-ვ-ებ-ს → ი-მუშე-ეფ-ს

აორისტი: ი-მუშა-ვ-ა

აორისტის I და II პირის ფორმებში: ვ-ი-მუშა-ვ-ე//ვ-ი-მუშე-ე, ი-მუშა-ვ-ე//ი-მუშე-ე.

აე კომპლექსი კონტაქტური მეზობლობის დროს შესაძლოა რედუცირდებოდეს როგორც თავკიდურა (გადაეტანა → გადაეტანა), ასევე ბოლოკიდურა (ბიძაები → ბიძები) პოზიციებში. რედუცირდება ა ხმოვანი. ესაა საერთო-ქართული მოვლენა და პარალელური ვარიანტის სახით თავს იჩენს იმ დიალექტებშიც, რომელთათვის აე →ეე ან აე →ეე იე ცვლილებაც არის დამახასიათებელი.

ფრიად იშვიათ შემთხვევებში რედუქციას განიცდის ე ხმოვანიც; დოსტაშნაები „მეგობრები“ → დოსტაშნაბი (ინგილოური); მის პარალელურად უფრო გავრცელებულია დოსტაშნიები ნაირსახეობა (აე → ეე → იე მონაცვლეობის საფუძველზე; იხ. აქვე, ქვემოთ). აე → აა იმდენად თავისებური პროცესია ამ პოზიციაში, რომ იგი შესაძლოა იდიოლექტური მოვლენა იყოს.

ასევე იშვიათია რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში დადასტურებული აე → აა პროგრესული სრული ასიმილაციის საფუძველზე (რ. ლანდია); დაედევნა → დაადევნა... რალაცაები → რალაცაბი... (ანალოგიური ცვლილება შეინიშნება სხვა დიალექტებშიც, ოღონდ ერთი მორფემის ფარგლებში და ისიც დისტანციური ურთიერთმიმართებისას; იხ. აქვე, ქვემოთ).

ბოლოკიდურა პოზიციაში აე კომპლექსი შესაძლოა გაითიშოს ვ თანხმოვნით: ქვა → ა-ქვა-ვ-ებ-ს, მუშა → ი-მუშა-ვ-ებ-ს... როგორც წესი, დასტურდება ზმნურ ფორმებში; წარმოექმნება დახურული მარცვლით დასრულებული ზმნური ფუძე (ქვა-ვ, მუშა-ვ), გადადის სხვა პოზიციებშიც: ა-ქვა-ვ-ებ-ს → ქვა-ვ-დ-ებ-ა... საერთო-ქართული მოვლენაა. ზოგ დიალექტში ვერ აბრკოლებს ხმოვანთა ცვლილებას: აქვა-ვებს → აქვაებს → აქვეებს (იხ. აქვე, ზემოთ).

გაანალიზებული იყო აე კომპლექსის ცვლილება ხმოვანთა უშუალო (კონტაქტური) მეზობლობისას მორფემათა ზღვარზე. ცვლილება შესაძლოა დაჩნდეს ერთი მორფემის ფარგლებშიც: მიედანი → მიედანი „მოედანი“ (რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ის დიალექტები, სადაც პარალელურ ფორმად აე კომპლექსიანი ფორმა გვაქვს: მიედანი); ასევე: ზემოდასახლებული მანეთი → მანეთი → მეენთი და მისთ.

შენიშვნა: ხშირად ერთსა და იმავე დიალექტში შეინიშნება აე კომპლექსის სხვაგვარი ცვლილებანიც (აე → ეე → იე...). გარდა ამისა, დიალექტების ერთ ნაწილში ანალოგიურ შედეგს იძლევა ოე კომპლექსიც. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აე კომპლექსის ფონეტიკური ცვლილების ტენდენცია დამოწმებულია დისტანციური მეზობლობის დროსაც.

თავკიდურა პოზიციაში ზმნისწინისა და ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრისას აე → ეე პროცესს ვერ აბრკოლებს ვ-1 სუბიექტური პირის ნიშანი: დავეხმარე → დევეხმარე (ქართლური, კახური, იმერული...), გავთხოვები → გევეთხოვები „გავთხოვდები“ (იმერხეული). ობიექტური პირის მ-, გ- და გვ- პირის ნიშანთა გამოყენებისას დაჩნდება პარალელური ვარიანტები: დამეხმარა// დემეხმარა, დაგეხმარა// დეგეხმარა, დავეხმარა// დევეხმარა (ქართლური, კახური, იმერული...), დამელია// დემელია, დამეცა// დემეცა, დამეყარა// დემეყარა, დაგეტყვება// დეგეტყვება „დაგეტ-

ყობა“ (იმერხეული; თუმცა აქ უპირატესობა მაინც ფონეტიკურად ცვლილ ფორმებს ენიჭება).

პარადიგმა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

	სუბიექტური პირი	ობიექტური პირი
I პირი:	დევეხმარე	დამეხმარა // დემეხმარა
II პირი:	დეეხმარე	დაგეხმარა // დეგეხმარა
III პირი:	დეეხმარა	დეეხმარა.

ასეთი ვითარებაა ყველა იმ დიალექტში, სადაც დადასტურებულია უშუალო (კონტაქტური) მეზობობლისას აე → ეე პროცესი.

თუშურში, აგრეთვე აჭარულში აე → ეე განხორციელებულია ოდენ დისტანციური ურთიერთმიმართებისას. კონტაქტური მეზობლობის შემთხვევაში: აე → ეე → ე (თუშურში), აე → ეე → ე // აე (აჭარულში). პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

	თუშური:	აჭარული
.I პირი:	გამეტანა → გემეტან	გემეტანა
II პირი:	გაგეტანა → გეგეტან	გეგეტანა
III პირი:	გაეტანა → გეეტან	გე ტანა // გმეტანა

(აე → ეე → ეე → ეე პროცესის შესახებ იხ. ქვემოთ).

გადა — ზმნისწინის ორივე ხმოვანი, როგორც წესი, განიცდის რეგრესულ ასიმილაციას ყველა ზემოდასახელებულ დიალექტში და იმედროულად პარალელურ ვარიანტებად დაჩნდება გადა-// გადე-: გადამეტანა → გადემეტანა // გედემეტანა, გადაგეტანა → გადეგეტანა // გედეგეტანა, გადაეტანა → გადეეტანა // გედეეტანა.

რაც შეეხება რთულ ზმნისწინებს, რომელთა შემადგენლობაში შედის მარტივი (მო- → მა - ზმნისწინი, სისტემებზე ისინი აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში გვხვდება (ზემოიმერულში მო- → მა- მხოლოდ მომდევნო მ-ს შემთხვევაში შეინიშნება: მომიტანა → მამიტანა). შესაძლოა იცვალოს როგორც მხოლოდ მა — ზმნისწინის, ასევე მისი წინამაგალი ხმოვნები: გამამეტანა → გამემეტანა // გემემეტანა, გამაგეტანა → გამეგეტანა // გემეგეტანა, გამაეტანა → გამეეტანა // გემეეტანა. თვით აღმოსავლურ დიალექტებშიც არ არის ამ მხრივ ერთგვარობა; მაგალითად, ხევსურულში უპირატესად ოდენ მა-ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება (გამაეგება — გამეეგება), ქართლურში, კახურში ხშირია რთული ზმნისწინისეული ორივე ხმოვნის ცვლილება (გამაეგება → გემეეგება), თუმცა დაჩნდება მხოლოდ მა — ზმნისწინის

გახმოვანების ცვლილების შემთხვევებიც (გამაეგება → გამეეგება). ამ საკითხს ჩვენ ისევ მივუბრუნდებით ოე კომპლექსთან დაკავშირებით: იგულისხმება ის შემთხვევები, როცა იცვლება მო — ზმნისწინის გახმოვანება (იხ. ქვემოთ).

დასახელებული იყო შემთხვევები, როცა დისტანციურ ასიმილაციას იწვევდა ხმოვანი მორფემა. ფონეტიკური ცვლილება შესაძლოა გამოიწვიოს ფუძისეულმა ხმოვანმაც, მაგრამ ამ მხრივ თვალსაჩინო სხვაობაა დიალექტების მიხედვით. მაგალითად, ვედ — ფუძისეული ე ხმოვანი იწვევს ზმნისწინისეული ა ხმოვნის დისტანციურ რეგრესულ სრულ ასიმილაციას ყველა დასავლურ დიალექტში, ზოგიერთი კილოკავის (გლოლურის...) გამოკლებით: ავედი → ევედი, წავედი → წევედი, გადავედი → გადაევედი // გედვედი. ცვლილება არ ხდება II პირის ფორმაში (ახვედი, წახვედი, გადახვედი; გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლურ დიალექტებში ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ადი, წადი, გადადი ფორმები გამოიყენება). რაც შეეხება III პირის ფორმას, აქ ი- გახმოვანება გვაქვს (ავედა, → ევედა, წავედა → წევედა; ანუ: ა-ი → ე-ი; ამის შესახებ იხ. აქვე, ქვემოთ).

ანალოგიურ ცვლილებას იწვევს ველ-ფუძისეული ხმოვანი: წაველ(ი) → წეველ(ინგილოური); აველი → ეველი, წაველ(ი) → წეველ, გადაველ(ი) → გედველ(აქარული, იმერხელი). II პირის ფორმებში ცვლილება, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება (წარმოვადგენთ აქარულის პარადიგმას):

I პირი: წეველ (← წაველ)

II პირი: წახველ

III პირი: წევედა (← წავედა; ფუძემონაცვლეა)

შდრ.: ავალ → ევალ, წავალ → წეველ, სადაც დისტანციური რეგრესული დისიმილაცია ივარაუდება (იხ. აქვე, ზემოთ).

პარადიგმა სრული სახით ასე წარმოგვიდგება:

აწმყო-მყოფადი

I პირი: წავალ → წეველ

II პირი: წახველ

III პირი: წავალს) → წევა

აორისტი

წაველ → წეველ

წახველ

წავედა → წევედა.

ეგვე ცვლილება იშვიათ შემთხვევებში შესაძლოა გამოიწვიოს სხვა ფუძეთა ე ხმოვანმაც: დადეგ/დადექ → დედექ (ინგილოური)...

ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში ა-ე კომპლექსი დისტანციური მეზობლობისას შესაძლოა იცვალოს პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ა-ე → ა-ა (საფენელი → საფანელი, საწნეხელი → საწნახელი, საყენი → ქართლური: საყანი,

აბრეშუმში → ქართლური: აბრაშუმში, გარემოება → იმერული: გარამოება, ფარეხი → მოხეური: ფარახი, ათენგობა → მოხეური: ათანგობა); ცვლილება ხდება რეგრესული ასიმილაციითაც: ნამეტანი → ნემეტანი, პატეფონი → პეტეფონი. დაჩნდება პროგრესული დისიმილაციის შემთხვევებიც: ა-ე → ა-ი (აქლემი → თულური: აქლამი, უმაღლესი → ჯაფახური: უმაღლისი, შავგერემანი → აჭარული: შავგრიმანი, სადღეგრძელო → იმერული: სადღინგძელო//საინძელო).

შენიშვნა 1: ზემოთ განხილულ პოზიციებში დაჩნდება პირველადი ეე კომპლექსიც: შეენახა... ჯეელი... ციხეები... ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით გვაქვს როგორც ანალოგური, ასევე განსხვავებული შედეგები იმის შესაბამისად ეე პირველადია თუ მიღებულია აე → ეე გარდაქმნის საფუძველზე. მაგალითად, იმერხელში თავკიდურა პოზიციაში დისიმილაციით იცვლება პირველადი ეე კომპლექსი (შეეყარა → შეეყარა), მაგრამ, როგორც წესი, არ იცვლება მეორადი ეე (დეეყარა → დეეყარა); თუმცა ბოლოკიდურა პოზიციაში ამ მხრივ შეზღუდვა არა გვაქვს (თმა → თმაეები → თმეები → თმიები, ერთი მხრივ, და: ტყე → ტყეები → ტყიები, მეორე მხრივ). შემდეგ: ბოლოკიდურა პოზიციაში ვ თანხმონით შესაძლოა გაითიშოს პირველადი ეე ისევე, როგორც აე) კომპლექსი (მე-ტყე-ე → მე-ტყე-ე-ე; შღრ.: ა-ჭვა-ებ-ს → ა-ჭვა-ე-ებ-ს), მაგრამ ასეთი რამ უცხოა აე → ეე ცვლილების გზით მიღებული კომპლექსისათვის (ამის თაობაზე ისევ გვექნება საუბარი ეე კომპლექსთან დაკავშირებით; იხ. ქვემოთ).

შენიშვნა 2: ზოგჯერ პირველადი ეე კომპლექსი დისიმილაციით იძლევა აე-ს: შეეტანა → შეიტანა და მისთ. ამ შემთხვევაში არ გამოირიცხება ანალოგიაც ა — გახმოვანებით წარმოდგენილ ზმნისწინებთანაც (შღრ. გაეტანა, ჩაეტანა, გადაეტანა).

ამდენად, აე კომპლექსი ცვლილების პირველ საფეხურზე იძლევა შემდეგ ფონეტიკურ ნაირსახეობებს:

- | | |
|------|--|
| აე → | ეე (დაეცა → დეეცა, ყანაეები → ყანეები) |
| | ე (ყანაეები → ყანეები) |
| | ავე (აქეაებს → აქეაეებს) |
| | ამ (დოსტაშნაეები → დოსტაშნამები) |
| | ა-ა (ფარეხი → ფარახი) |
| | ა-ი (აქლემი → აქლამი) |

ამათგან ეე დიალექტების ერთ ნაწილში შემდგომ ცვლილებებსაც განიცდის; კერძოდ:

აე → ეე → | ე → ე
 იე → აე

ეე → ე ეპირატესად დაჩნდება თავკიდურა პოზიციაში ზმნისწინისეული ხმოვნისა და ზმნური პრეფიქსის შეხვედრის შემთხვევაში. ეს წესი უგამონაკლოსად არის გატარებული თუ შურში: გაეშვა → გეეშვა → გეე შუ (გეე შე); თანამდევია ხმოვნის მკვეთრი დამართვა. მეტ-ნაკლები სიხშირით შეინიშნება აჭარულსა და ფერეიდნულში, ფრიად იშვიათია მესხურში: დაეკიდა → დეეკიდა → დე კიდა (აჭარული), დაეწერა → დეეწერა → დე წერა (ფერეიდნული), გაეტანა → გეეტანა → გე ტანა (მესხური). აჭარულში ამის პარალელურად (და მეტი სიხშირით) თავს იჩენს ეე → იე → აე პროცესი (იხ. აჭე, ჭეშოთ), ფერეიდნულში დამოწმებულია გრძელი ხმოვნის გამარტივების ტენდენცია (დე წერა → დეწერა), მესხურში (დასახელებული ნიმუში ჭავახური კილაკავიდანაა) ე სპორადულად გვხვდება როგორც ეე კომპლექსის ფონეტიკური ვარიანტი (გარდა ამისა, მესხურშივე შეინიშნება ეე კომპლექსის ცვლილება დისიმილაციის საფუძველზე: ეე → იე — ვარიაციის დონეზე თავკიდურა, ხოლო თითქმის უგამონაკლოსად ბოლოკიდურა პოზიციებში).

ბოლოკიდურა პოზიციაში ეე → ეე (იშვიათი ვარიაციულობის დონეზე) გვხვდება მესხურსა (ძმაეზი → ძმეეზი → ძმე ბი) და აჭარულში (უსტაეზი → უსტეეზი → უსტე ბი); ძირითადია ეე → იე (აე) ცვლილება.

იდენტურ ხმოვანთა (ეე) შერწყმა გრძელ ხმოვანად ხდება მხოლოდ კონტაქტური (უშუალო) მეზობლობის შემთხვევაში. ამის გამო ფონეტიკური თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა თვით ერთი პარადიგმის ფარგლებში:

I პირი: დამეწერა → დემეწერა

II პირი: დაგეწერა → დეგეწერა

III პირი: დაეწერა → დეეწერა → დე წერა (→ დეწერა)

ანუ: დემეწერა, დეგეწერა, მაგრამ: დე წერა.

რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე ეე → იე (აე) პროცესი სისტემატურად დაჩნდება როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში გურულხსა (დაემართა → დეემართა → დეემართა, სუფსაელი → სუფსეელი → სუფსიელი) და აჭარულში (დაეკიდა → დეეკიდა → დეეკიდა → დეეკიდა, ყანაეზი → ყანეეზი → ყანეზი → ყანაეზი); მესხურში თავკიდურა პოზიციაში შესაძლოა პარალელური ფორმებიც გვკონდეს (დაეწევა → დეეწევა // დეეწევა), ბოლოკიდურა პოზიციაში კი უპირატესად დისიმილაციური ცვლილების შედეგ იჩენს თავს (ძმაეზი → ძმეეზი → ძმეზი; შენსაებრ → შენსეეფ → შენსიეფ), რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ქვეყნების დონეზე

ამოსავალი ვარიანტის პოვნეირებას (შენსეფეფ//შენსიეფ). ბოლოკიდურა პოზიცი-
 აშივე დაჩნდება ეე → იე **ხნიგლოურში** (მაგაეი → მაგეეი → მაგეიეი, დოსტაშნაეი
 → დოსტაშნეეი → დოსტაშნიეი „მეგობრეი“). ხშირად ამგვარი ცვლილების
 თანამდევია სხვა ფონეტიკური პროცესებიც: აუთაეიბია → ოუთაეიბია (აუ → ოუ და
 აეე → აე) → ოუთეიბია (აე → ეე) → ოუთეიბია (ეე → იე), მკლავეი → კლავეი (მკ → კ
 და აეე → აე) → კლევები (აე → ეე) → კლოები (ეე → იე), ჭა → ჭავები → ჭვეები → ჭვიები
 → ჭუეები (ვი/უი → უ) . ამ რიგის ცვლილებანი სხვა დიალექტებში არ არის შენიშნული.
 იმერხელშიც თავკიდურა პოზიციასი დამოწმებულა ოდენ აე → ეე საფეხური
 (დაეძინა → დეეძინა), თუმცა პირველადი ეე კომპლექსი იცვლება დისიმილაციის
 საფუძველზე (შეეყარა // შეიყარა). ბოლოკიდურა პოზიციასი, წესისამებრ, დაჩნ-
 დება დისიმილაცია: თმაეი → თმეეი → თმიეი, გაღმაელი → გაღმეელი → გაღმიელი
 (ანალოგიურად იცვლება პირველადი ეე კომპლექსიც: ტყეეი → ტყიეი).

სპორადულად აე → ეე → იე თავს იჩენს იმ დიალექტებშიც (ჩვეულებრივ,
 კლოკაეებისა და თქმების დონეზე), სადაც ეს მოვლენა გავრცელებული არ არის:
 ებრაელი → ებრეელი → ებრიელი; შდრ. პირველადი ეე → იე: ჭველი → ჭიელი (სამხრეთ
 ქართლური). ასევე: მოხეურში დამოწმებულა * გოჩა-ენ-ი (პატრონიმია) → *
 გოჩე-ენ-ი (ანუ: ასიმილაციის გავლით დისიმილაცია აე → ეე → იე ხდება ორმარცხ-
 ლიან ფუძეებში, სამ → და მეტ-მარცხლიანი ფუძეები იკვეცება).

შენიშვნა 1: აჭარულში, როგორც ზემოთ ითქვა, ეე შესაძლოა შეირწყას გრძელ
 ხმოვანდ (ანუ: აე → ეე → ეე // იე). ზემოგურულში ასევე პარალელური
 ვარიანტების სახით დაჩნდება ეე//იე (ყანაეი → ყანეეი // ყანიეი).
 იე → ეე სისტემებრ შეინიშნება აჭარულში (როგორც თავკიდურა,
 ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში).

შენიშვნა 2: ფონეტიკური ცვლილებით მიღებული —ა-ებ → -ე-ებ → -ი-ებ/-ე-ებ
 (ყანაეი → ყანეეი → ყანიეი/ყანაეი), ასევე: —ა-ელ → -ე-ელ →
 -ი-ელ (სუფსაელი → სუფსეელი → სუფსიელი) გაიაზრება ერთიან
 სუფიქსებად: ბეგ-ი → ბეგ-აეი-ი „ბეგეი“ (აჭარული), ცხვარ-ი —
 ცხვრ-იეი-ი „ცხვრეი“ (მესხური), ნაგომარ-ი → ნაგომრ-იელ-ი „ნა-
 გომრელი“ (გურული), ცრემლ-ი → ცრემლ-იეი-ი „ცრემლები“ (იმერ-
 ხელი). უპირატესად ეს მოვლენა დაჩნდება ფუძეკუმშვად სახელებ-
 თან: რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ.

აე → ეე → იე პროცესს ზმნის თავკიდურა პოზიციასი ვერ აბრკოლებს ე — პირის

ნიშანი (დავემალე → დევემალე → დივემალე); აგრეთვე ფუძისეული ვ: წა-ვედ-ი → წი-ვედ-ი (გურული), მაგრამ მ-, გ— და გვ— პირის ნიშნების გამოყენებისას აე კომპლექსი ან უცვლელია (დამემალა...), ან ცვლილების პირველ საფეხურზეა წარმოდგენილი (დემემალა). ამის გამო პარადიგმა ასეთი სახით არის წარმოდგენილი

სუბიექტური წყობა

I პირი: დავემალე → დევემალე // დივემალე

II პირი: დამემალე → დიემალე

III პირი: დამემალა → დიემალა

ობიექტური წყობა

დამემალა // დემემალა

დავემალა // დევემალა

დაემალა → დიემალა

შენიშვნა 1: აე → ეე → იე პრაქტის ზოგ დიალექტში არეგულირებს როგორც საკუთრივ ფონეტიკური, ასევე მორფოლოგიური ფაქტორები. მაგალითად, გურულში ჩვეულებრივია აე → ეე → იე (ყანაეები → ყანეები → ყანიეები), მაგრამ არ ხდება ავე → აე → ეე → იე: მკლავები → კლავები და არა: კლავები → კლევები → კლიეები; ასევე: გათავებული → გათაებული → გათეებული, მაგრამ არ არის დადასტურებული: გათეებული → გათიებული. ორივე შემთხვევაში ამოსაყალიბდა ავე კომპლექსი, ანუ: ამ დროს აე (ავე → აე) მეორადია (მოქმედებს ფონეტიკური ფაქტორი). ამასთანავე მეორე ფორმა (გათავებული) ნაშენარაი სახელია (მორფოლოგიური ფაქტორი). მაგრამ არც ერთი ამ ფაქტორთაგანი არ არის ფონეტიკური ცვლილების დამაბრკოლებელი ინგილოურში (ნიმუშები იხ. ზემოთ).

შენიშვნა 2: როგორც აღინიშნა, დაჩნდება პირველადი ეე კომპლექსიც. ფონეტიკური პროცესების თვალსაზრისით პირველად და მეორად ეე კომპლექსებს შორის განსხვავებაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

* * *

აი კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

როგორც ზოგადი მიმოხილვისას აღინიშნა, აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელია ერთსაფეხურიანი სრული ასიმილაცია. ამის გამო ამ დიალექტებში, ჩვეულებრივ, არ ხდება აი კომპლექსის ცვლილება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (რადგან პირველ საფეხურზე ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაცია დაჩნდება). გამონაკლისს ქვნიან ჭართლურის ის თქმები, რომლებსაც იმერულთან აქვს კონტაქტი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სპორადულად გარკვეულ შემთხვევებში ამგვარი ცვლილება სხვა დიალექტებშიც შეიძლება დაფარდოს.

აი → ეი (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე). კონტაქტური შეზობლობისას ეს პროცესი დაჩნდება დასავლეთ საქართველოს ყველა დიალექტში (ოლონდ ფრიად იშვიათია რაჭულის გლოლურ და რივინისათურ კილოკაჯებში): აიყვანა → ეიყვანა, გაიხედა → გეიხედა (რაჭული), გაიტანა → გეიტანა; შდრ.: ქუთაისი → ქუთეისი, რა იქნა → რე-იქნა (იმერული), აილო → ეილო, გადაილო → გადილო // გედილო // გედილო (დენხუშური), წაილო → წეილო; შდრ.: რაისდა → რაიზა → რეიზა, საით → სეით (გურული), გაიგონა → გეიგონა → გემგონა, დაიწყო → დეიწყო → დემწყო (აჭარული), აიღე → ეიღევი, დაიჭირა → დეიჭირა, დაიძალა → დეიძალა // დემძალა, გადაიჩინა → გადეიჩინა // გედეიჩინა (იმერხელი).

დასახელებული იყო აი → ეი ცვლილება ძირითადად თავიდან პოზიციაში, თუმცა რამდენიმე მაგალითი იმაზეც მიანიშნებდა, რომ ეგვე ცვლილება შესაძლოა დაეპოწმთ სხვა შემთხვევებშიც, ყრძოდ, ერთი შორფემის (ფუძის) ფარგლებში (ქუთაისი → ქუთეისი), ბოლოკიდურა პოზიციაში (რაისდა → რაიზა → რეიზა, საით → სეით), ენკლიტიკის დროს (რა იქნა → იმერული: რე-იქნა / იმერხელი: რე-მქნა). როგორც აღინიშნა, იშვიათად ეს პროცესი შეიძლება აღმოსავლურ კილოებშიც დაჩნდეს. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში (ფშაურში, მთიულურში...) ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ხდება გადაბგერება — ნაირ მორფემოდში: რანაირი → რანერი, სხვანაირი → სხვანერი; დადასტურებულია აგრეთვე: შაირი → შეირი და მისთ. (რაც, რა თქმა უნდა, დასავლურ დიალექტებშიც გვხვდება). დასავლურ ქართულში შეინიშნება წაილო → წეილო, ჩაიცვა → ჩეიცო...

აქარულსა და იმერხელში ამ შემთხვევებში დამოწმებულია საერთოერთო ზეგავლენა: აი კომპლექსში ი იწვევს ა ხმოვნის ნაწილობრივ ასიმილაციას, თვით კი უკუგავლენით სუსტდება და ა-ად იქცევა: გაიწურება → გემწურება, დაიწყო → დემწყო (აჭარული), ჩაიტანა → ჩემტანა, დაიძალა → დემძალა, გაიარა → გემარა, რა იქნა → რე-მქნა (იმერხელი).

შენიშვნა 1: ანალოგიურ შედეგს იძლევა ოი კომპლექსიც: მოიყვანა → მეიყვანა → მეყვანა. ეი კომპლექსში ხდება ი-ს დასუსტება: შეინახა → შემნახა (იხ. ქვემოთ).

შენიშვნა 2: აი → ეი → ეა სპორადულად დაჩნდება ინგლოურშიც ოდენ განსაზღვრულ შემთხვევებში; მაგალითად, მაშინ, როცა აი → ეი კომპლექსი დ თანხმოვნის ჩაგარდნითაა მიღებული: რას ს-ჩადი-ს-ა? → რას ჩედისა? → რას ჩემას? (შდრ. გურული, აჭარული: ჩადი → ჩაი →

ჩაა და მისთ.).

შენიშვნა 8: აი →ეი →ეა პროცესის გარდა, ეგვე კომპლექსი თავკიდურა პოზიციაში ზოგჯერ სხვაგვარ ცვლილებასაც განიცდის; კერძოდ, ა უცვლელია, ხოლო ი →ა (რაც დიალექტების ერთ ნაწილში პაუზის წინა პოზიციისათვის არის დამახასიათებელი): გამაღლ „გამოიღო“, დამწყო „დაიწყო“ (ინგილაური). ღირსსაცნობია, რომ ანალოგიური მოვლენა დადასტურებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც: დაიცვე → დამცვე, აიძულეს → ამძულეს, საიდუმლო → საამდუმლო (მ. ძიძიშვილი). ი →ა შეინიშნება სხვა ხმოვნების მომდევნოდაც (შეიღება → შეამღება, მოითხოვა → მოამთხოვა). ეს მოვლენა აჭარულში დაჩნდება ერთი მორფემის ფარგლებში: ყაიმალი → ყაამალი „ნაღები“, მარილი → მაილი → მაამლი და მისთ.

აი →ეი დადასტურებულია თავკიდურა პოზიციაში დისტანციური მეზობლობის დროსაც, ოღონდ დიალექტების მიხედვით აქ უკვე სხვაგვარი ვითარებაა, ვინემ ეს ხმოვანთა კონტაქტური (უშუალო) ურთიერთობისას იყო დამოწმებული.

გადა— ზმნისწინი სამი ფონეტიკური ნაირსახეობით არის წარმოდგენილი: გადაიღო → გადაეიღო (იცვლება ერთი ხმოვანი კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე) // გედიღო (იცვლება ორივე ხმოვანი, მათგან ერთ-ერთი დისტანციური ასიმილაციით) // გედიღო (იკარგვის უშუალო მეზობლობაში მყოფი ხმოვანი, ხოლო მეორე ხმოვანი იცვლება დისტანციური ასიმილაციის საფუძველზე).

აი →ეი პროცესს ვერ აბრკოლებს ე თანხმოვანი (ფუძისიეული თუ I სუბიექტური პირის ნიშანი): ავიღე → ევიღე, გადავიკარგე → გედევიკარგე, გადავიდა → გედევიდა (რაჭული), გავიტან → გევიტან, დავიჭირა → დევიჭირა, გავიდა → გევიდა, არავინ → არევი (იმერული), გავიზარდე → გევიზარდე (ლენჩხუმური), ჩავიტანე → ჩევიტანე, ჩავიდა → ჩევიდა (გურული), გადავიარე → გედევიარე (იმერხეული).

აჭარულსა და იმერხეულში ე-ს მქონებლობისას ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციასთან ერთად ხდება ი-ს დაკარგვა (მდრ.: ი →ა კონტაქტური მეზობლობის შემთხვევაში): დავიჭირე → დევიჭირე, დავინახო → დევენახო, დავიბადე → დევიბადე, წავიყვანე → წევიყვანე, წავიღე → წევიღე, წავიდა → წევიდა... მდრ.: ავიდა → გურული, იმერული, ლენჩხუმური: ევიდა → აჭარული, იმერხეული: ევდა.

ამის კვალობაზე პარადიგმა ასეთი ფონეტიკური ნაირსახეობით იქნება წარმოდგენილი:

იმერული, გურული...	აჭარული, იმერხეული
I პირი: გავიტანე → გევიტანე	გევტანე
II პირი: გაიტანე → გეიტანე	გემტანე
III პირი: გაიტანა → გეიტანა	გემტანა

ანალოგიურად

აორისტი:

I პირი: გავედი → გევედი	გევედი
I პირი: გახვედი [გადი → გაი]	[გადი → გაი]
III პირი: გავიდა → გევიდა	გევედა

II კავშირებითი:

I პირი: გავიდე → გევიდე	გევედე
II პირი: გახვიდე → გახვიდე	გახვიდე
III პირი: გავიდეს → გევიდეს	გევედეს

შენიშვნა 1: შდრ., ერთი მხრივ, აჭარული: წავიდე → წევედე, ხოლო, მეორე მხრივ, ინგილოური (ალოაბათური): წავიდი; II პირის ფორმებში — შესაბამისად: წედე — წადი. ანუ: ი-ს დასუსტების თვალსაზრისით იდე-ნტური მდგომარეობაა, სხვაობა თავს იჩენს იმით, იცვლება თუ არა წინამავალი ხმოვანი.

შენიშვნა 2: იმერხეულში გვაქვს შემთხვევები ი-ს შენარჩუნებისა: დავიჭირე → დევიჭირე, გავიქნიე → გევიქნიე. ამასთანავე შესაძლოა მოხდეს ი-ს რედუქცია, მაგრამ წინამავალი ხმოვანი არ შეიცვალავს: წავიდე → წავდე // წაჟდე (შდრ.: წევედე).

შენიშვნა 3: გავიტანე → გევტანე და გავიდე → გევედე ფონეტიკურად იდენტური მოვლენებია, თუმცა მორფოლოგიურად ვ პირველ შემთხვევაში I პირის ნიშანია, მეორე შემთხვევაში — ფუძისეული ელემენტი.

შენიშვნა 4: როგორც სქემაზე წარმოჩნდა, აორისტის II პირის ფორმაში ვედ--ფუძის ნაცვლად დაჩნდება დი-- (გა-დი და არა: გა-ხ-ვედ-ი), იგივე, რაც სხვა დიალექტებში გამოყენებულა ბრძანებითის ფორმებში: გა-ხ-ვედ-ი, მაგრამ: გა-დი... II კავშირებითის II პირის ფორმებში ხ— პირის ნიშანი აბრკოლებს ასიმილაციის პროცესს, თუმცა არ

გამოირიცხება გახვიდე → გეხვიდე შესაძლებლობაც.

ობიექტური პირის მ-, გ-, გვ— ნიშანთა მქონებლობისას რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში აი → ეი პროცესი ბრკოლდება, რის გამოც პარადიგმა ასეთი ფონეტიკური ვარიაციებით დაინდება:

სუბიექტური პირი	ობიექტური პირი
I პირი: დავიჭირე → დევიჭირე	დამიჭირა
II პირი: დავიჭირე → დეიჭირე	დაგიჭირა
III პირი: დაიჭირა → დეიჭირა	დაიჭირა → დეიჭირა

მ-, გ-, გვ— პირის ნიშნებთან დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაცია ა-ი → ე-ი დადასტურებულია იმერხულში: დამიჭირა → დემიჭირა, დაგიჭირა → დეგიჭირა, დაგვიჭირა → დეგვიჭირა. ამავე პოზიციაში აჭარულში დაინდება სრული ასიმილაცია (იხ. ქვემოთ). ასე რომ, იმერხული გვიჩვენებს იმ ფონეტიკური ცვლილების წინა საფეხურს, რომელიც დასრულებულია აჭარულში:

იმერხული	აჭარული
დამიკლა → დემიკლა	დემიკლა
გამიყვანე → გემიყვანე	გემიყვანე
გაგიხარდა → გეგიხარდა	გეგიხარდა
წაგიხდება → წეგიხდება	წეგიხდება...

ამის კვალობაზე, არც ზემოდასახელებულ დიალექტებში გამოირიცხება დამიჭირა → დემიჭირა ტიპის ცვლილება.

შენიშვნა: დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაცია სპორადულად აღმოსავლურ დიალექტებშიც დასტურდება. ზოგჯერ იმ დიალექტსა თუ კილაკავში, სადაც კონტაქტური ასიმილაციაც დავადასტურეთ (მაგალითად, დასავლურ ქართლურში: ბორჯომის, ხაშურის, ქარელის რეგიონი): გაიგე → გეიგე და გავიგე → გევიგე, წავიდა → წევიდა... იმავდროულად თავს იჩენს იმ დიალექტებშიც, სადაც აი → ეი კონტაქტური ასიმილაცია არ გვხვდება. ასეთია, მაგალითად, მოხეური დიალექტი: ამიჩქარე → ემიჩქარე (ო. ქაჯაია, ი. ქავთარაძე).

ა-ი → ე-ი დისტანციური რეგრესული ასიმილაცია დამოწმებულია ცალკეულ ფორმებშიც, მაგრამ აქაც ამ პროცესის კანონზომიერება მტკიცდება იმით, რომ იგი ტერიტორიულად დაცილებულ დიალექტებშია შენიშნული: ჩადი → ჩედი (აჭარული),

ჩადის → ჩედის (ინგილოური), გვხვდება თუ შერშიც: წადი → წედი, ჩადი → ჩედი: ჩედოვ, რაც უშავისავე „ჩადიო, რა უშავსო“.

გარდა ამისა, ა-ი → ე-ი პროცესის ნიშნულად შეიძლება დავასახელოთ: ამინდი → ემინდი, პაპირასი → პეპირაზი, კრამიტი → კრემიტი (მოხეური, მთიულური) და მისთ.

შენიშვნა 1: დიალექტების ერთ ნაწილში აი კომპლექსი დაჩნდება ავი → აი „ეს“ ფორმაში (აჭარული, გურული...) გამოირიცხება რეგრესული ასიმილაცია (აი →* ეი →* იი), რადგან ა — ამ შემთხვევაში მორფოლოგიური ფუნქციის გამომხატველია და ფონეტიკური ცვლილების შემთხვევაში მოხდებოდა ფორმათა აღრევა; შდრ.: აი „ეს“ — იი „ის“. თავს იჩენს მხოლოდ რეგრესული დისიმილაცია: აი → აი (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 2: ჩა-დი — ზოგჯერ ერთიან ფუძედაა გააზრებული (რას ს-ჩადი „რას აკეთებ, რას შერებო“); ამ შემთხვევაში შესაძლოა დაჩნდეს სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია; რას ს-ჩადის? → რას ჩედისა? // რას ჩიდისა?, რას ს-ჩადი-ო → რას ჩიდი-ვ-ო? (ინგილოური).

ბოლოკიდურა პოზიციაში აი კომპლექსის ცვლილებისას არსებითად განსხვავებული ვითარებაა.

აი → ეი დასავლეთ საქართველოს ზემოდასახელებულ დიალექტთაგან ამ პოზიციაში დადასტურებულია მხოლოდ ქვემოიმერულში, ლეჩხუმურსა და ზემოგურულში. არ გვხვდება რაჭულსა, ზემოიმერულში, ქვემოგურულში, აჭარულსა და იმერხელში (აქ აი კომპლექსი შესაძლოა მხოლოდ ან ფონეტიკურ ვარიანტს იძლეოდეს: ნენაი // ნენამ, ბიკოლაი // ბიკოლამ); ამგვარი ცვლილება ხსენებულ პოზიციაში საერთოდ უცხოა აღმოსავლური დიალექტებისათვის. გარდა ამისა, იმ კილოკაებშიც, სადაც ბოლოკიდურა პოზიციაში დაჩნდება აი → ეი, ეს პროცესი, როგორც წესი, ეი → ე ცვლილებით არის დასრულებული.

განათვალისწინებელია ისიც, რომ აი კომპლექსი განსხვავებულ შედეგს იძლევა მაშინ, როცა მას წინ ი უძღვის, ანუ: როცა გვაქვს იაი კომპლექსი.

წარმოვადგინო ბრუნების პარადიგმას, სადაც ეს პროცესი თვალნათლივ წარმოჩინდება:

სახელობითი: ბიკოლაი → ბიკოლუი → ბიკოლუე

მითხრობითი: ბიკოლამ

მიცემითი: ბიკოლას

ნათესაობითი: ბიკოლასის → ბიკოლუის // ბიკოლუს

მოქმედებითი: ბიკოლაით → ბიკოლუით // ბიკოლუთ

ვითარებითი: ბიცოლად → ბიცოლათ

წოდებითი: ბიცოლა!

აი → ეი სახელობითი ბრუნვის ფორმაში, ჩვეულებრივ, დასრულებულია ეი → ემ → პროცესით. ამდენად, აქ უპირატესად ცვლილების მეორე საფეხური დაჩნდება.

ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში პარალელურად გვხვდება ეი // ემ // ე (ბიცოლის // ბიცოლის // ბიცოლის); ანუ: ერთმანეთის გვერდით დასტურდება ცვლილების პირველი და მეორე საფეხური.

ამდენად, ერთსა და იმავე პარადიგმაში შესაძლოა აი → ეი → ე ფონეტიკური პროცესის ორივე საფეხური დავადასტუროთ.

შენიშვნა 1: ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული ატრიბუტული მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმით იქნება წარმოდგენილი: პატარე // პეტერე ქალი, პატარე // პეტერე ქალმა... ეს იმიტომ, რომ ხსენებულ დიალექტებში ამ შემთხვევებში, როგორც წესი, მსაზღვრელის სახელობით ბრუნვის ფორმა მთელს პარადიგმას გააყვება (შდრ.: დიდი ქალი, დიდი ქალმა, დიდი ქალს, დიდი ქალის...).

შენიშვნა 2: სახელობითის ფორმა შესაძლოა ფუძედ იქნას გააზრებული და მას ისევ მიერთოს ბრუნვის ნიშანი: (ბიცოლაი →) ბიცოლე → ბიცოლეი // ბიცოლე. ამ შემთხვევაში წოდებითი იქნება: ბიცოლე! ანუ: ბიცოლეი (სახელობითი) — ბიცოლე! (წოდებითი); შდრ.: ბიცოლე — ბიცოლა! გასათვალისწინებელია: ზოგჯერ (ყრძოდ, ჩემ-ი მსაზღვრელის დართვისას) წოდებითის დანიშნულებით სახელობითის ფორმა გამოიყენება: ჩემი ბიჭი! შესაბამისად: ჩემი ბიცოლე! („ჩემი ბიცოლე, გადმო-მხედე ერთი!“). ივარაუდება, რომ ასეთი ფორმები შესიტყვების შეკვეცითაა მიღებული: ჩემი ბიცოლე თუ ხარ → ჩემი ბიცოლე (ო. კახაძე). ასე რომ, ამ ტიპის მიმართვის ფორმები განსხვავებულია წოდებითის ზემოხსენებული ფორმებისაგან. რაც შეეხება ნათესაობითსა და მოქმედებითს, ისინი შესაძლოა დაემთხვეს კიდევაც ერთმანეთს, თუმცა განსხვავების ტენდენციაც ხელშეასახებია: ბიცოლე — ბიცოლის // ბიცოლეს — ბიცოლეთი // ბიცოლეთ, ერთი მხრივ, და: ბიცოლეი — ბიცოლეის — ბიცოლეით, მეორე მხრივ (მეორე პარადიგმაში ბიცოლეს, ბიცოლეთ ფორმები დაუშვებელია).

შენიშვნა 3: ვითარებით ბრუნვაში პაუზის წინ — დ → -თ. ამის გამო დასახელებულ დიალექტებში მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები შესაძლოა

მხოლოდ დაბოლოების გახმოვანებით განსხვავდეს ერთმანეთისაგან: ბიცოლეთ (მოქმედებითი) — ბიცოლათ (ვითარებითი).

ზემოგურული და ქვემოგურული ბრუნების პარადიგმის შედარება ნათლად წარმოაჩენს გაანალიზებულ ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულ სხვაობას, რაც კილოკაურ განსხვავებას გულისხმობს იმავდროულად:

ქვემოგურული	ზემოგურული
სახელობითი: პანტაი // პანტამ	პანტე
მოთხრობითი: პანტამ	პანტამ
მიცემითი: პანტას	პანტას
ნათესაობითი: პანტაის // პანტაის	პანტეს // პანტეის // პანტემს
მოქმედებითი: პანტაით // პანტამთ	პანტეთ // პანტეით // პანტემთ
ვითარებითი: პანტალ → პანტათ	პანტათ

შენიშვნა 1: აი → ეი → ე დადასტურებულია მხოლოდ ორ და მეტმარცვლიან ფორმებში. ერთმარცვლიანი სახელები ამ მხრივ სხვაობას არ იძლევიან: ძმაი // ძმამ, დაი // დამ...

შენიშვნა 2: აჭარულში — იე დაბოლოებით წარმოდგენილია ის საკუთარი სახელები, რომელთაც ბოლოკიდურად, ჩვეულებრივ, — ია მოუდის: ფიქრია → ფიქრიე, ზეჟია → ზეჟიე (წოდებითი: ფიქრიეე // ფიქრიაეე). ამთ შეიძლება დაერთოს — ე, რომელსაც მორფოლოგიური ფუნქცია აქვს შექმნილი (გამოხატავს კნინობითობას): ზეჟიე (ხანუმი) ოფიციალური სახელია, ზეჟიე — კნინობით-საალერსო მისი ფორმა. — ე დაბოლოება დაჩნდება სხვა შემთხვევაშიც: ესმა → ესმე... ასე რომ, ამ მხრივ აჭარულში ზემოხსენებულისაგან გარკვეულად განსხვავებული ვითარებაა.

შენიშვნა 3: თუშურში პარალელურად შეიძლება დავამოწმოთ ამ → // ემ დაბოლოება ანთროპონიმებში: შოთამ // შოთემ, კოლამ // კოლემ. თუმცა უპირატესად სულ სხვა რიგის წარმოება გვაქვს: ნიკა → ნიკაჲ, მიხა → მიხაჲ... (თ. უთურგაიძე).

ღირსსაცნობია, რომ ზემოხსენებულ კილოკაებში ანალოგიური ვითარებაა ბოლოკიდურა ა ხმოვანზე ნართაული ი-ს დართვის შემთხვევებშიც: აქანაი, ტყულათაი (ქვემოგურული), აქანე, ტყულათე (ზემოგურული); შდრ. იმერულში დადასტურებული: შენე (შენა), მარტვანე (მარტვანა), შითე (შითა) „შიგ“ და მისთ.

ცვლილების პირველ საფეხურზე დაჩნდება აი კომპლექსის მეორე ნაირსახეობაც: აი → ამ (პროგრესული დისიმილაციით, რაც ა-ის დაკარგვით სრულდება). წარმოიქმნება დამავალი დიფთონგი.

აი → ამ ფრიად იშვიათია თავიდან და შუა პოზიციაში, თუმცა ამ მოვლენას შემთხვევითობას ვერ მივაწერთ: დადასტურებულია ძველ ქართულშიც (იხ. აქვე, ზემოთ); ინგილოური: დაიკარგა → დამკარგა, აიტანე → ამტან (ავიტანე - ომტანი, გაიგე → გამგ (გავიგე → გომგ), აილე → ამლ (ავილე - ომლ); დაჩნდება მო → მა - ზმნისწინის მომდევნოდაც: მოიღო → მამლ „მოიტანა“, ჩამოიკიდა → ჩამამკიდ, შემოიყვანეს → შამამყონეს; ფერეიდნული: გაიგებენ → გამგებენ, ამოიტანა → ამამტანა; სპორადულად დაჩნდება სამცხურში: წაიღებს → წამლენს, დაიმალა → დამამალა; რაჭული დიალექტის გლოლოური კილოკავი: დაიწერა → დამწერა, დაინახა → დამნახა, დაიხოცეს „დაიხოცნენ“ → დამხოცეს... გვგვდება აჭარულშიც: დაიჭერებს → დამჭერეფს, რაისდა → რაიზა → რამზა, მაინც → მამც, მარილი → მაილი (რ-ს დაკარგვით) → მამლი, თუმცა აჭარულისათვის ასეთ შემთხვევებში აი → ეი → ემ პროცესისა უფრო დამახასიათებელი (დემჭერეფს...). დიალექტური სხვაობაც არის საცნაური ამ მხრივ: დაიკარგე → დამკარგი (ინგილოური) - დემკარგე // დემკარგე (აჭარული).

ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში სახელის ბრუნებისას აი - ამ ფართოდ არის გავრცელებული ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა მიჯნაზე პაუზისა და თანხმოვნის წინ. არსებითად აქა გვაქვს ისტორიულად დადასტურებული საერთო-ქართული მოვლენის დიალექტური ნაირსახეობა.

პარადიგმა ასეთი სახით დაჩნდება:

სახელობითი: ძმამი → ძმამ

მოთხრობითი: ძმამ (ა)

მიცემითი: ძმას

ნათესაობითი: ძმამის → ძმამს

მოქმედებითი: ძმამით → ძმამთ

ვითარებითი: ძმამდ → ძმამთ

წოდებითი: ძმამო → ძმამო // ძმამე // ძამამ.

ნიმუში გურული დიალექტიდანაა დასახელებული. არსებითად ასეთივე სურათია ყველა იმ დიალექტში, სადაც დადასტურებულია აი → ამ პროცესი. საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს წარმოვადგენთ.

თუშური: ჩოკამ „ჩოხა“, კმამ „ხმა“, დაკოცვამ „დახოცვა“; მთიულური: ვაჟაი // ვაჟამ, ბილიკაი // ბილიკამ; ინგილოური: მამამ, ჟაფამ „ჯაფა“, თხოვნამ; მეს-

ხური დიალექტის სამცხური კილოკავი (უპირატესად დაჩნდება საკუთარ ან მასთან გატოლებულ სახელებთან, გვხვდება სხვა შემთხვევებშიც): შოთამ, ნინამ, დეღამ „დეღაჩემი“, პატარამ; რაჭულამ დიალექტის გლოლური კილოკავი: ვაჟამ, ქალამ, მელამ, ჩამომავლობამ, ყველამ; იმერული (აქ მ იშვიათია): ძმაი // ძმამ, დაი // დამ, რაი // რამ; გურული (მ უპირატესად დაჩნდება ოზურგეთულ თქმაში): ძმაი // ძმამ, დაი // დამ, ნენაი // ნენამ, ბაბაი // ბაბამ, პანტაი // პანტამ, ბალანაი // ბალანამ, ქარკაი // ქარკამ „კოკა“; აჭარული: ძმამ, დამ, ანამ „დეღა“, ფთამ „ფრთა“, არჩილამ, უსუფამ; იმერხეული: ანამ „დეღა“, ბაბამ „მამა“, გიდელამ, კოლოფამ. ლეჩხუმურში სახელობით ბრუნვაში მ თავს იჩენს კონტამინირებულ ფორმებში: დეღა // დედე → დეღამე (არსებითად მას ხმოვანთგამყარის ფუნქცია აქვს). ასე რომ, ამ დიალექტში ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა (შდრ. ნათესაობითი: დედეს // დედემს, მოქმედებითი: დედეთ // დედემთ).

დასახელებული იყო სახელობითი ბრუნვის ფორმები. ანალოგიური მდგომარეობაა აი → ამ ცვლილების თვალსაზრისით ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში მაშინ, როცა არ ხდება ფუძისეული — ხმოვნის კვეცა და არც ბრუნვის ნიშნისეული — ი იკარგვის. მაგალითად, შთოულური: ვაჟამს, ვაჟამთ (// ვაჟაის, ვაჟაით), სარკელამს, სარკელამთ; ინგილოური: ფარჩამს „ფარჩის“, ფარჩამთ „ფარჩით“; რაჭული (გლოლური): ყველამს, ყველამთ; გურული (ოზურგეთული): პანტამს, პანტამთ; აჭარული: ანამს, ანამთ; იმერხეული: ფენჯერამს „ფანჯრის“, ფენჯერამთ „ფანჯრით“...

აი → ამ გვხვდება მაშინაც, როცა აი მეორადი კომპლექსია, მიღებული თანხმოვნის ჩავარდნის შედეგად: კარგი → კაი → კამ, აღი → აი → ამ, წადი → წაი → წამ, აგი → აი → ამ (იმერული, გურული, აჭარული, იმერხეული). შადი → შაი → შამ (ინგილოური)...

ეგვე შედეგი შესაძლოა დაჩნდეს დაბოლოების ცვეთითაც: რანაირად → რანაი → რანამ (ჭავჭავური).

შენიშვნა: ბოლოკიდურა პოზიციაში ამ დამავალი დიფთონგი დადასტურებულია მაშინაც, როცა ა ხმოვანზე დასრულებულ ფორმებს მიერთვის ე.წ. ფონეტიკური დანართი მ (არსებითად იორტიზებულ დამართვასთან გვაქვს საქმე): ხვალა → ხვალამ, მრცხენია → მცხენამ (ქართლური, ქვემოქსნური თქმა), ტყულა → ტყულამ, აქანა → აქანამ, უცფათა → უცფათამ (გურული), ჩემისთანა → ჩემითანამ, ამწახანება → ამწახანებამ „ამ ბოლო დროს“, ჩქარა → ჩქარამ, მოსაკულა → მოსაკულამ,

ტყულათალა → ტყულათალამ (აჭარული). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არა გვაქვს აი → აე ცვლილების ფაქტი. მაგრამ მაშინ, როცა ხდება ამ რიგის ფორმებზე ნართაული ი-ს დართვა (ჩქარაი, ტყულაი...) და მის ვარიანტად დაჩნდება მ, პროცესი ზემოხსენებულის ანალოგიურია, ანუ: აქაც ხდება პროგრესული დისიმილაცია, რომელიც შედეგად დიფთონგს იძლევა: ტყულაი → ტყულამ, შდრ.: ბალანაი → ბალანამ.

ხმოვანთა დისტანციური მეზობლობისას ა-ი შესაძლოა იცვლებოდეს პროგრესული ასიმილაციის საფუძველზეც: აი → აე (მანდილი → ხევსურული: მანდელი, ბრიგადირი → აჭარული: ბრიგადელი, კამანდირი „მეთაური“ → აჭარული, ჯავახური: კამანდერი); შდრ. აქვე ზემოთ: ა-ი → ე-ი რეგრესული ასიმილაციით.

ამდენად, აი კომპლექსი ცვლილების პირველ საფეხურზე იძლევა შემდეგ ფონეტიკურ ნაირსახეობებს:

აი →	ეი/ეა (წაილა → წეილა/წეალა)
	ამ (დაიწერა → დაამწერა; პანტაი → პანტამ)
	ა-ე

ამათგან ეი კომპლექსი თავიკიდურა პოზიციაში აჭარულსა და იმერხელში, გარდა ემ ვარიანტისა, იძლევა ე-საც (როცა კომპლექსი ე თანხმოვნითაა გათიშული: წაეილე → წეელე). ანალოგიური შედეგი გვაქვს ქვემოიმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში კონტაქტური მეზობლობისას ბოლოკიდურა პოზიციაში: ბიცოლაი → * ბიცოლეი → ბიცოლე.

აი → ამ პროცესი ბოლოკიდურა პოზიციაში სრულდება მ-ის დაკარგვით (ბალანაი → ბალანამ → ბალანა).

აი → ეი ცვლილებას დიალექტების ერთ ნაწილში შემდგომი გაგრძელება აქვს: (აი) → ეი → იი → ი . აი → ეი → იი დაჩნდება როგორც კონტაქტური, ასევე დისტანციური მეზობლობისას თავიკიდურა და ბოლოკიდურა პოზიციებში (ამ მხრივ სხვაობაა დიალექტების დონეზე). დადასტურებულია აჭარულში (სპორადულად იმერხელშიც), გურულში, ქვემოიმერულსა და თუშურში. ამათგან ბოლო საფეხური იი → ი სისტემებზე წარმოდგენილია თუშურში, იშვიათად ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმაში (თეორიულად საგარაუდო ი → ი არ არის დამოწმებული ჯართული ენის დიალექტებში).

აი → ეი → იი თავიკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობის შემთხვევაში დამოწმებულია ქვემოიმერული კილოკავის სამტრედიულ თქმაში (წაილა → წეილა → წილა), ხოლო დისტანციური მეზობლობისას — აჭარულში, ძალზე იშვიათად

იმერხელშიც (დამინახა → დიმინახა, დაგინახა → დიგინახა...). ამ თვალსაზრისით კილოკაური სხვაობანი პარადიგმატულ დონეზე გაანალიზებულია ზემოთ (იხ. აქვე, 2.6.; აგრეთვე: 2.26.: მონაკვეთი აი → ეი ცვლილების შესახებ).

ეგვე შედეგი (აი → ეი → იი) ბოლოკიდურა პოზიციაში ოდენ კონტაქტურა მეზობლობისას და ამასთანავე მხოლოდ მაშინ, როცა აი კომპლექსის წინ დაჩნდება ი ხმოვანი (იიი) დადასტურებულია ქვემოიმერულსა და ქვემოგურულში. ცვლილების სქემა ასეთია: იიი → იეი → იე → იი (ამთგან ეი და იი ხშირად პარალელური ვარიანტის სახით არის წარმოდგენილი). ბოლოკიდური — ი სახელობითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული ელემენტია, ხოლო წინამაგალი ია შესაძლოა იყოს ფუძისეულიც (ყერიაი → ყერეი → ყერიე // ყერიი) და სხვადასხვა დანიშნულების მქონე მორფემაც: მიმღობის ფორმანტი (ნაცარქექიაი → ნაცარქექეი → ნაცარქექეი // ნაცარქექეი), კნინობით — საალერსო სუფიქსი (ძამიაი → ძამეი → ძამიე // ძამიი), თამაშობათა სახელების მაწარმებელი მორფემა (ომობიაი → ომობიეი → ომობიე // ომობიი) და მისთ. — ია კომპლექსი ზოგჯერ მეორეულია, ფონეტიკური გარდაქმნის (ყერძოდ, რეგრესული დისიმილაციის) შედეგი: პეტრეა (—ა კნინობითობის სუფიქსია) → პეტრია → პეტრიაი → პეტრეი → პეტრეიე // პეტრეი. შევნიშნავთ, რომ ზემოგურულსა და ლეჩხუმურში ამ შემთხვევაშიც ისეთივე მდომავებაა, როგორიც ზემოთ აი → ეი → ე (პანტაი → პანტეი → პანტე) პროცესის დროს დაეამოწმეთ. ნიშნულად წარმოვადგინთ ზემოგურულისა და ქვემოგურულის ბრუნების პარადიგმას:

ზემოგურული	ქვემოგურული
სახელობითი: კერიაი → კერიე	კერია // კერიე(ი) // კერიი
მთხრობითი: კერიაი	კერიაი
მიცემითი: კერიას	კერიას
ნათესაობითი: კერიაის // კერიეს	კერიაის // კერიეის // კერიის
მოქმედებითი: კერიაით // კერიეთ	კერიაით // კერიეით // კერიით
ვითარებითი: კერიაიდ → კერიაით	კერიაით

შენიშვნა: რა თქმა უნდა, ამ პოზიციაში აი კომპლექსის ცვლილებაზე ზემოქმედებას ახდენს წინამაგალი ი ხმოვანი. ამიტომაც არ გამოირიცხება პროგრესული ასიმილაცია: ია → იე → იი; მაგრამ შდრ.: ნავი → იმერული: ნიევი, სადაც საქმე გვაქვს იმავე ია კომპლექსის ნაწილობრივ პროგრესულ ასიმილაციასთან. ამის კვალობაზე იე → იი სრული ასიმილაციის შემთხვევაში ბოლოკიდურა ი ხმოვნის გავლენა მანაც საგარა-

უღოა.

აი → ეი → იი ცვლილების ბოლო საფეხურზე, როგორც ითქვა, დამოწმებულია იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვანად (იი → ი). სისტემებრ დაჩნდება თუ შერში ხმოვანთა კონტაქტური მეზობლობისას: გაიგა „გაიგო“ → გრგ გ, დაიძალა → დრძმ ალ, წაიღო → წრჯ ღუ ... შევნიშნავთ: სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების პოენიერებისას (ანუ: ა-ი დისტანციური მეზობლობის შემთხვევაში) შენარჩუნებულია ამოსავალი ვითარება. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

- I პირი: წავიღე → წავიღწ
- II პირი: წაიღე → წრჯ ღწ
- III პირი: წაიღო → წწ ყღუ...

ზოგჯერ იი → ი თავს იჩენს სამტრედოულშიც (დაიჭირა → დიიჭირა → დწ ჭირა), მაგრამ ამ თქმისათვის გრძელი ხმოვანი დამახასიათებელი არ არის: შეინიშნება ვარიაციულობის დონეზე, ისიც — სპორადულად.



აო კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

ცვლილების პირველ საფეხურზე აო კომპლექსი წარმოდგენილია ოთხი ნაირსახეობით:

- აო → ოო (მუშაობს → მუშოოფს)
- აო (ჭობიაო → ჭობიაუო)
- აო (მამაობა → მამაობა)
- აუ (წამომილო → წაომილო → წაუმილო) / ა-უ (კანონი → კანუნი)
- ეო (დაეობა „დავა“ → დეეობა).

ამათგან პირველი (აო → ოო) შესაძლოა დაჩნდეს როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში, მეორე და მესამე (აო → აუო და აო → აო) წარმოდგენილია მხოლოდ ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე, ბოლო ცვლილება (აო → აუ) — ასევე მორფემათა ზღვარზე, ოღონდ თავკიდურა პოზიციაში.

თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას აო კომპლექსი ფრიად იშვიათად არის დამოწმებული ზმნისწინისეული (ა) და ფუძისეული (ო) ხმოვნების შეხვედრისას: აოგნებს, გაოგნებული. ფონეტიკური ცვლილება, როგორც წესი, არ ხდება. ამ პოზიციაში აო → ოო შეინიშნება სპორადულად, როცა ო მეორეულია (ვა → ო): წავალ → წაოლ → წაოლ (ხევესურული, შატლოურ-მიღმახეური კილოკავი).

ბოლოკიდურა პოზიციაში აო → ოო კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია მეტ-ნაკლებად შეინიშნება თითქმის ყველა დიალექტში: თაობა → თოობა, გზაობა → გზოობა, ამაობაში → ამოობაჩი (ხევსურული), მუშაობა → მუშოობა, იჯილდაოს → იჯილდოოს, კიაოთ → კიოოთ (ფშაური), მუშაობს → მუშოოფს, კოჭაობს → კოჭოოფს (ქართლური), ამაობაში → ამოობაში, მუშაობს → მუშოოფს (კახური), ბურთაობა → ბულთაობა (იმერული, ლეჩხუმური), ჭიდაობს → ჭიდოოფს, ვინაობა → ვინოობა (გურული) და მისთ. უპირატესად დაჩნდება ფუძისეული (ა) და სუფიქსისეული (ო) ხმოვნების შეხვედრისას (მუშა → მუშა-ობ-ა → მუშო-ობ-ა), ზოგჯერ → ა არის ფორმანტისეული ხმოვანი (კი → კი-ა → კიაოთ → კიოოთ „ალბათ კი“). რამდენიმე შემთხვევაში აო მგორადი კომპლექსია (მიღებული ვ თანხმოვნის ჩაგარდნით); მიუხედავად ამისა, ცვლილება იმავე რიგისაა, რაც პირველად კომპლექსს ახასიათებს (თაფ-ი → თაფ-ობ-ა → თა-ობ-ა → თოობა).

დისტანციური მეზობლობისას ა-ო → ო-ო დადასტურებულია თავკიდურა პოზიციაში. განიჩევა ორი შემთხვევა.

ა-ო → ო-ო თავს იჩენს რთულ ზმნისწინში: ამო-დის → ომო-დის, ჩამოვიდა → ჩომო-ვიდა, გამო-ჩნდა → გომო-ჩნდა (ინგილოური), გამო-გვაგზავნა → გომო-გოგზავნა, გამო-უგზავნა → გომო-ტუგზავნა, ჩამო-ურეკია → ჩომო-ურეკია, წამო-გვეყვს → წომო-გუყუ ეს „წამოგვეყვნენ“ (ფერეიდნული).

შენიშვნა 1: ანალოგიური ცვლილება დაჩნდება მესხურშიც (ჭავჭავურში), ოლონდ, როგორც წესი, ოდენ შემო — ზმნისწინში: შემო-ვიდა → შომოვიდა (იხ. ქვემოთ: ე-ო → ო-ო).

შენიშვნა 2: ინგილოურში რთულ ზმნისწინში მო — ელემენტის ნაცვლად შესაძლოა გვექონდეს მა — (ჩვეულებრივ, ზმნური ა — პრეფიქსის წინ). ამ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილება არ ხდება. (ჩამა-ა-სხ „ჩამოასხო“). თუ ზმნისწინსა და ფუძისეულ ხმოვანს შორის დაჩნდება ვ თანხმოვანი (ფუძისეული ან I პირის ნიშანი), მაშინ მო — შენაოჩუნებულა, ოლონდ ვ იკარგვის, ხოლო ოა → უა რეგრესული დისიმილაციით (ჩამოვარდნილა → ჩამო-არდნილ → ჩამუ-არდნილ); უ კი, თავის მხრივ, იწვევს წინამავალი ა ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას: ჩამუ-არდნილ → ჩუმუ-არდნილ (იხ. აქვე, ქვემოთ: ა-უ → უ-უ); ამგვარადვე: ჩამო-ვ-ა-გდ-ე → ჩამო-ა-გდ-ე → ჩამუ-ა-გდ → ჩუმუ-ა-გდ. ამის კვალობაზე, უღვლოლების პარადიგმა სხვაობას გვი-

ჩვენებს პირების მიხედვით: ჩუმ-ე-ა-გდ „ჩამოვაგდე“, მაგრამ: ჩამა-ა-გდ „ჩამაგდე“. ანალოგიური ვითარებაა ე — პრეფიქსიანი ზმნების შემთხვევაშიც: გამო-ე-ე-კიდ-ე → გამო-ე-კიდ-ე → გამე-ე-კიდ → გუმე-ე-კიდ, მაგრამ: გამო-ე-კიდ-ე → გემე-ე-კიდ (იხ. ქვემოთ: ა-უ → უ-უ → და ოე → უე).

შენიშვნა 3: ფერეიდნულში ა-ო → ო-ო ცვლილება, ჩვეულებრივ, შეინიშნება მაშინ, როცა გვაქვს ზმნური უ → უ პრეფიქსი. ამო-უ-კივლ-ა → ომო-უ-კივლ-ა) ან გვ-გუ — პირის ნიშანი (წომო-გუ -ყუ -ეს „წამოგვეყენე“). სხვაობა პარადიგმულ ფორმებს შორის აქაც დაჩნდება: გამო-უ-გზაენა → გომო-უ-გზაენა, მაგრამ: გამო-ე-გზაენა → გემე-ე-გზაენა; შდრ.: გამო-გვ-ი-გზაენა → გამო-გუ-გზაენა (ვი → უ) → გუმე-გუ-გზაენა...

მეორე შემთხვევაში ა-ო → ო-ო დისტანციური რეგრესული ასიმილაცია განხორციელებულია მაშინ, როცა ერთმანეთს ხედება ზმნისწინისეული (ა) და პრეფიქსისეული მეორადი (ო) ხმოვნები. ო შესაძლოა მიღებული იყოს ვა ან ვე კომპლექსის ცვლილების შედეგად, სადაც ვ არის გვ — პირის ნიშნის შემადგენელი ან ფუძისეული ელემენტი, ა — და ე — კი ზმნური პრეფიქსებია: გა-გვ-ა-გებინა → გა-გო-გებინა → გო-გო-გებინა, და-გვ-ა-კლდა → და-გო-კლდა → დო-გო-კლდა... და-ღვარე → და-ღორე → დო-ღორე... და-გვ-ე-ხმარა → და-გო-ხმარა → დო-გო-ხმარა, წა-გვ-ე-ქცა → წა-გო-ქცა → წო-გო-ქცა... (მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული); წა-გვ-ა-რთვა → წა-გო-რთ-ო → წო-გო-რთო, გადა-გვ-ე-კიდა → გადა-გო-კიდა → გოდო-გო-კიდა (ფერეიდნული); შდრ. კონტაქტური მეზობლობისას: წავალ → წოალ → წოოლ (ხეუსურული, შატილურ-მიღმახეური კილოკავი).

შენიშვნა 1: ვე კომპლექსი მოხეურში ხშირად იძლევა უმლაუტრან ო-ს; ამის კვალობაზე, ასიმილაციის შემთხვევაშიც შესაბამისი შედეგი დაჩნდება: და-გვ-ე-ხმარა → და-გო-ხმარა → დო-გო-ხმარა (//დო-გო-ხმარა//დო-გო-ხმარა). ო და ო ზოგჯერ მნიშვნელობებს განარჩევს: დო-გო-ხმარა (← და-გვ-ა-ხმარა) — დო-გო-ხმარა (← და-გვ-ე-ხმარა). ფონეტიკური სხვაობა დაჩნდება უღვლელების პარადიგმის ფარგლებშიც: დო-გო-ხმარა (← და-გვ-ა-ხმარა), მაგრამ: და-გ-ა-ხმარათ, ან: დო-გო-ხმარა (← და-გვ-ე-ხმარა), მაგრამ: დე-გ-ე-ხმარათ (← და-გ-ე-ხმარათ).

შენიშვნა 2: ზმნისწინისეული ა ხმოვნის ო-დ გადაბგერება შესაძლოა გამოიწვიოს ოდენ I სუბიექტური ვ-- ან მრავლობითი რიცხვის I სუბიექტური გვ — პირის ნიშნებმაც (ყროდ, ვ თანხმოვანმა): და-ვ-წვი → დოპ-წვი//დოპ-წ, ა-გვ-ტყივდა → ო-გ-ტყივდა (ინგილოური), ა-ვ-რევ → ო-რევ, და-გვ-ბანა → დო-გ-ბანა (ფერეიდნული). ამავე შედეგს იწვევს ფუძისეული ვ-ც: წაველი → წოელი (ინგილოური). ვ, როგორც წესი, იკარგვის. ინგილოურში ხმოვანი ზოგჯერ დაჩნდება ფშვინვიერი დამართვით (იხ. აქვე, ზემოთ: 2.26). შესაბამის პოზიციებში შესაძლოა პროცესი გაგრძელდეს: გავაკეთებ → გოაქითებ → გუაქითებ (ინგილოური) → ოა → უა დისიმილაციის საფუძველზე.

შენიშვნა 8: ზემოხსენებულ ფონეტიკურ გარდაქმნათა შედეგად ერთმანეთს შესაძლოა დაემთხვეს სხვადასხვა წარმომავლობის ორი ფორმა: გა-გვ-ა-პარ-ა → გა-გო-პარ-ა → გო-გო-პარ-ა და გა-გვ-ე-პარ-ა → გა-გო-პარ-ა → გო-გო-პარ-ა (ფერეიდნული).

აო კომპლექსის ცვლილების პირველ საფეხურზე წარმოდგენილია აგრეთვე აო → ავო, ანუ: ხმოვანთგამყარად ვითარდება ვ. დაჩნდება მხოლოდ ბოლოკიდურა პოზიციაში და ისიც, როგორც წესი, მაშინ, როცა ფუძისეულ ან სუფიქსისეულ — ა ხმოვანს მიერთვის წოდებითი ფორმის — ო მორფემა ან სხვათა სიტყვის — ო ნაწილაკი (მორფემოიდი): ძმაო → ძმავო; გააკეთაო → გააკეთავო, ჭობიაო → ჭობიავო... მეტ-ნაკლებად თავს იჩენს თითქმის ყველა დიალექტში.

აო → აო ფრიად იშვიათი პროცესია, შეინიშნება აჭარულში: მამა → მამაობა → მამაობა; დედა → დედაობა → დედობა (შდრ.: სიფ → სიფობა → სიფობა, ნეფე → ნეფეობა → ნეფობა, სადაც ეო → აო კანონზომიერი პროცესის შედეგი გვაქვს) ეს არის იმდენად თავისებური მოვლენა (აო → აო, ანუ: ა → ა!), რომ მისი ახსნის მხოლოდ ასეთი ალტერნატივა არსებობს: ან აო → აო პროცესისათვის შუალედურ საფეხურად უნდა ვივარაუდოთ ეო → იო (შდრ.: მეორე → მიორე → მმორე), რასაც გარკვეული ფონეტიკური სირთულეები ახლავს, თუმცა ა → ე გადაბგერება მოულოდნელი არ არის (შდრ.: დავა → დავობა → ზემოიმერული: დევობა), ან → აობა გააზრებულაა ერთიან ფორმანტად და მიერთვის შეკვეცილ მამ-, დედ → ფუძეებს (შდრ.: ჭალა-ებ-ი → ჭალე-ებ-ი → ჭალა-ებ-ი და: ბეგ-ი → ბეგ-ებ-ი).

აჭარულშივე თავკიდურა პოზიციაში დაჩნდება მეორეული აო კომპლექსი, მიღებული მ სონანტის დისიმილაციური დაკარგვით: მ-მ → ო-მ (წამო-მ-ილ-ო →

წაო-მ-ი-ლ-ო; და ასე: ჩამომიწერა → ჩაომიწერა, გამომიგზავნა → გაომიგზავნა). ამის საფუძველზე მიღებული აო კომპლექსი პროგრესული დისიმილაციით იცვლება: აო → აუ, რასაც უთუოდ ხელს უწყობს მომდევნო წვეტილბაგისმიერი მ სონანტი: წაომილო → წაუმილო (შდრ.: ხომ → ხუმ, დგომა → დგუმა).

დისტანციური მეზობლობისას ა-ო → ა-უ ივარაუდება ამ შემთხვევებშიც: კანონი → ზემომიერული, აჭარული: კანუნი//კანული, პლატოკი «სხვირასხოკი» → აჭარული: პლატუკი.

დადასტურდა აგრეთვე ა-ო → ე-ო (დავობა «დავა» → ზემომიერული: დევობა). ამ შემთხვევაში სავარაუდოა რეგრესული ასიმილაცია აწეულობის მიხედვით; შდრ. იმავე კილოკავში ა-ა — → ე-ა (დავა → დევა), სადაც რეგრესულ დისიმილაციასთან გვაქვს საქმე (იხ. აქვე, ზემოთ). არ გამოირჩევა, რა თქმა უნდა, ისიც, რომ დავა → დევა შემდგომ გადადის სხვა ფორმებში: დევა → დევობა.

ზემოდასახელებულ ცვლილებათაგან შემდგომი გაგრძელება აქვს ორს:

აო → ოო → უო → ვიო (I)

ა-ო → აო → აუ → აუ (II)

ბოლოკიდურა პოზიციაში ზოგიერთ დიალექტში აო → ოო რეგრესული დისიმილაციით იძლევა უო კომპლექსს: მუშაობს → მუშოობს → მუშუობს/მუშუოვს (ინგილოური). ეს პროცესი სრულდება უო → ვიო → იო ცვლილებით: მუშუობს → მუშვიობს → მუშვიობს; და ასე: ლოცავს → ლოცავობს → ლოცაობს → ლოცოობს → ლოცუობს → ლოცვიობს/ლოციობს (უ → ვი ცვლილების გამაშუალებელ საფეხურად ივარაუდება უმლაუტიანი უ ხმოვანი).

შენიშვნა: ოო → უო → ვიო/იო პროცესი დიალექტების ერთ ნაწილში (მესხურში, გურულში...) დაჩნდება იმ შემთხვევაში, როცა ოო მიღებულია ოვო კომპლექსის გამარტივებით. ანალოგიური შედეგი გვაქვს ოვა → ოა და ოვე → ოე, ასევე: პირველადი ოე და ოო კომპლექსების ცვლილების საფუძველზე: ათხოვო → ათხოო → ათხოუო → ათხვიო, ათხოვა → ათხოა → ათხოა → ათხვია, ათხოვე → ათხოე → ათხოე → ათხვიე, დატოვე → დატოე → დატუე → დატვიე/დატეე, გოგოები → გოგუები → გოგვიები, გოგოობა → გოგუობა → გოგვიობა... დიალექტებს შორის სხვაობა აქაც იჩენს თავს. ამავე შედეგს იძლევა პირველადი უა კომპლექსიც: ჰუა → ჰვია. მაგალითად, გურულში უპირატესად უო, უა, უე საფეხურია წარმოდგენილი, მესხურში პროცესი, ჩვეულებრივ, ბო-

ლომდუა მიყვანილი (იხ. ქვემოთ ოა, ოე და ოო კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებანი)

რაც შეეხება აო → აუ → აჲ მონაცვლეობას, ზემოხსენებულ პოზიციაში იგი დადასტურებულია აქარულ კილოში, როგორც აღმავალი დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილების გამოვლინება: წამომილო → წაომილო → წაუმილო → წაჲმილო, ჩამომიწერა → ჩაომიწერა → ჩაუმიწერა → ჩაჲმიწერა (აუ → აჲ დაჩნდება სხვა შემთხვევებშიც და სხვა დიალექტებშიც, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

შენიშვნა: აქარულში აო → აუ → აჲ ივარაუდება ამ შემთხვევაშიც: შამომითვალა → შაომითვალა → შაუმითვალა → შაჲმითვალა. საქმე ისაა, რომ რთულ ზმნისწინში აქარულში (ისევე, როგორც სხვა დასავლურ დიალექტებში) დაჩნდება შა - (და არა: შე-).

* * *

აუ კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

ცვლილების პირველ საფეხურზე აუ კომპლექსი წარმოდგენილია შემდეგი ფონეტიკური ნაირსახეობებით:

აუ →	ოუ (გაუკეთა → გოუკეთა) აო (საუბარი → საობარი) აჲ/აე (აქაურელი → აქაჲრელი) ეუ (ყარაული → ყარეული)
------	---

თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობის დროს აუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს ყველა დიალექტში (გამონაკლისს ქმნიან რაჭული დიალექტის რიგნისთაური და გლოლური კილოკავები, სადაც ეს მოვლენა ფრიად იშვიათია; თუ გვხვდება --- ძირითადად იდიოლექტის დონეზე). გარდა ამისა, შეინიშნება ინგილოურსა და ფერეიდნულში (რომლებიც ისტორიულად კახურის განშტოებას წარმოადგენენ).

რაჭული: აუტანა → ოუტანა, ჩაუხერელავს → ჩაუხერელავს „ჩაუხერეტია“ გადაუგდია → გადოუგდია// გოდოუგდია, გაუნათლებელი → გოუნათლებელი; იმერული: გაუტანა → გოუტანა, გადაუტანა → გადოუტანა//გოდოუტანა, აუცილებელი → ოუცილებელი; ლეჩუმური: გაუხარდა → გოუხარდა, დაუბრუნა → დოუბრუნა, წაურთმევია → წოურთმევია, გადაულო → გადოულო//გოდოულო, გადაუღებელი (წვიმა) → გადოუღებელი//გოდოუღებელი; გურული: წაულო →

წოულო//წოულო, დაუძახა → დოუძახა // დუუძახა; იმერხელის: წაუყვანია → წოუყვანია, დაუძახა → დოუძახა.

შენიშვნა 1: აქარულში აუ → ოუ პროცესი ბოლომდე არის მიყვანილი (უუ → შუ). იმერხელისა და გურულში, აგრეთვე ლეჩხუმურსა და ქვემოიმერულში (უპირატესად დასავლეთ რეგიონში, გურული და მეგრული მეტყველების მეზობლად) აუ → ოუ ცვლილების პარალელურად დაჩნდება სრული ასიმილაციის საფეხურიც. გაუხარდა → გოუხარდა // გუუხარდა (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 2: გადა — ზმნისწინი წარმოდგენილია სამგვარი გახმოვანებით: გადაულო → გადოულო// გოდოულო და ო-ს ჩაგარდნით: გოდულო. გარდა ამისა, შეინიშნება სრული ასიმილაციის საფეხურიც: გადუულო// გუდუულო (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 3: თუშურში დამოწმებულია მხოლოდ ბოლო საფეხური: შუ (მკვეთრი დამართვით): ჩაუტანა → ჩუტან (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 4: აუ კომპლექსი შესაძლოა უცვლელი სახითაც დაჩნდეს: წაულია (ზემოიმერული — უპირატესად ქართლურის მომიჯნავე ტერიტორიაზე), წაუყვანია (იმერხელი).

თავიიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას, როგორც ითქვა, აუ → ოუ დადასტურებულია აგრეთვე ინგილოურსა და ფერეიდნულში, რასაც, ჩვეულებრივ, თან სდევს უ ხმოვნის დავიწროება (უ → შუ), წარმოიქმნება დამავალი დიფთონგი ოუ: აუგია → ოუ გი, გაუთავდა → გოუთავდა, დაურკო → დოურკო (ინგილოური); აუკიელა → ოუკიელა// ოუ კიელა, დაუმეტდა → დოუმეტდა// დოუმეტდა, გაუხარდა → გოუხარდა// გოუ ხარდა, ჩაუყარეს → ჩოუყარეს // ჩოუ ყარეს (ფერეიდნული).

შენიშვნა 1: როგორც წარმოჩნდა, ფერეიდნულში გვხვდება პარალელური ვარიანტები: აუ → ოუ // ოუ ფერეიდნულშივე აუ → ოუ იძლევა ო საფეხურს: წაუღებს → წოუღებს → წოუ ღებს → წო ღებს. ამავე შედეგის მქონეა ავ კომპლექსი (ავრევ → ორევ).

შენიშვნა 2: ზმნისწინი ა → ო გადაბგერებას იწვევს პირისნიშნისეული ან ფუძისეული ვ თანხმოვანიც: დავინახე → დოანახ, დავწვი → დოპეწ// დოპეწ, აგეტკივდა → ოგეტკივდა... წავიდა → წოვდა// წოუდა... (ინგილოური).

აუ → ოუ პროცესს ვერ აბრკოლებს ე— პირის ნიშანი (იგი, როგორც წესი, იკარგვის, ხოლო მ-, გ— და გვ— პირის ნიშანთა გამოყენებისას ა-უ კომპლექსი არ დასტურდება:

I პირი: გაუკეთე → გაუკეთე → გოუკეთე (მე)

II პირი: გაუკეთე → გოუკეთე (შენ)

III პირი: გაუკეთა → გოუკეთა (მან).

შდრ.: გამიკეთა, გაგიკეთა; გაგვიკეთა...

რაც შეეხება სიტყვათწარმოების დონეზე თავიიდურა პოზიციაში დადასტურებული აუ კომპლექსს (სა-ურმ-ე, ნა-ურმ-ალ-ი, სა-უთა-ო...), მისი ცვლილება, როგორც წესი, არ შეინიშნება, თუმცა ფაქტობრივ მოულოდნელი არ არის.

დასახელებულ იყო შემთხვევები, როცა თავიიდურა პოზიციაში ხმოვანთა უშუალო (კონტაქტური) მეზობლობისას რეგრესულ ასიმილაციას იწვევდა პირველადი (იმთავითვე მოცემული) უ ხმოვანი. ანალოგიური ცვლილება შესაძლოა გამოიწვიოს მეორადმა (ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებულმა) უ ხმოვანმაც, ოღონდ მხოლოდ დისტანციური მეზობლობის დროს: დაგვირა → დაგუ რა (ვი → უ საფუძველზე) → დოგუ რა // დოგურა, წავვიძლება → წავუ ძლობა → წოგუძლობა // წოგუძლობა (მოხეური).

შენიშვნა 1: მასიმილირებელმა უ ხმოვანმა შესაძლოა დელაბიალიზაცია განიცადოს: უ → ი (დოგუ რა → დოგირა). ღირსსაცნობ სურათს იძლევა ამ მხრივ მიმართება II პირის ფორმასთან:

I დაგვირა → დოგუ რა // დოგირა

II. დაგირათ (შდრ.: დაგირა შენ)

III. დაურათ.

ანუ: დელაბიალიზაციის შემთხვევაში არსებითად ზმნისწინის გახმოვანება განასხვავებს პირის ფორმებს. ამის გამო უზმნისწინო ფორმებში დელაბიალიზაცია იზღუდება: გვირჩება → გუ რჩება // გურჩება (ჩვენ) — გირჩებათ (თქვენ), გირჩება (შენ); გუ რჩება → გირჩება გამოიწვევდა II პირის ფორმასთან დამთხვევას.

შენიშვნა 2: ამავე პოზიციაში ზმნისწინისეული ხმოვნის გადაბგერება დამოწმებულია ფერეიდულშიც, ოღონდ სრული ასიმილაციის საფუძველზე: გაგვიგა → გაგუგა → გუგუგა (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 3: დასავლური დიალექტებისათვის, სადაც ფართოდ არის გავრცელებული

ლი კონტაქტური მეზობლობისას თავიკიდურა პოზიციაში აუ → ოუ ასიმილაცია, დისტანციური ურთიერთმიმართებისას და თანაც მეორადი უ ხმოვნის პოზიციების შემთხვევაში სრულიად უცხობა ზემოხსენებული პროცესი.

ბოლოკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობის დროს მორფემათა ზღვარზე აუ → ოუ რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე სისტემებში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დიალექტების ერთ ნაწილში დანდებდა. ანალოგიური მდგომარეობაა ენკლიტიკის შემთხვევაშიც.

იმერული: აქაური → აქაური, სადაური → სადაური (ახლავს ა:ი გადამბერება); რა უყავი → რა-უყავი; ღეჩხუმური: შინაური → შინაური, აზნაური → აზნაური; გურული: აქაური → აქაური, აზნაური → აზნაური; რა უყავი → რა → უყავი // რუ — უყავი.

შენიშვნა 1: ბოლოკიდურა პოზიციაში, როგორც წესი, დამოწმებულია მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაცია (აუ → ოუ); შდრ. გურული: წაულო → წოულო // წუულო, რა უყავი → რა-უყავი // რუ-უყავი, მაგრამ: აქაური → აქაური, შინაური → შინაური, აზნაური → აზნაური.

შენიშვნა 2: ბოლოკიდურა პოზიციაში აუ → ოუ იშვიათია რატელში (მაგალითად, აქანაური „აქაური“ და არა: * აქანაური), თუმცა ქვემოთაქელში (ზოგჯერ ზემორატელშიც) მაინც იჩენს თავს. აქარულსა და აგრეთვე იმერხელში ამ პოზიციაში, ჩვეულებრივ, საპირისპირო პროცესი (დისიმილაცია: აუ → აუ) დასტურდება: იქაურები → გურული: იქაურები — აქარული: იქაურები. სავარაუდოა, რომ ამას მახვილის განსხვავებული პოზიცია იწვევდა: იქაურები → იქაურები, მაგრამ: იქაურები → იქაურები. ასე რომ, ბოლოკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობის დროს აუ → ოუ ნაწილობრივი ასიმილაცია დასავლური დიალექტებიდან დამოწმებულია იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში, გვხვდება აგრეთვე ქვემოთაქელსა და (იშვიათად) ზემორატელში.

ამდენად, როგორც აღინიშნა, ბოლოკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას აუ კომპლექსი დიალექტების ერთ ნაწილში (მესხურში, აქარულსა და იმერხელში) იცვლება პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე, რაც შედეგად იძლევა დამავალ დიფთონგს (აუ → აუ): აქაურობა → აქაურობა, სადაურელი →

სადარეული (მესხური), იჭაურობა → იჭაჭაობა, დანაშაული → დანაშაული (აჭარულში)...

თავკიდურა პოზიციაში აუ → აუ დამოწმებულა აჭარულსა და ინგლოურში.

ინგლოურში ეს ცვლილება დაჩნდება კონტაქტური მეზობლობის დროს: წაუყვანი → წაუყონი, ჩაუყრია → ჩაუყრი... თუმცა პარალელურად შესაძლოა შეგვხვდეს აუ → აუ პროცესის საფუძველზე მიღებული ფონეტიკური ვარიანტებიც: წოუყონი, ჩოუყრი. ფერეიდულში უპირატესად სწორედ ამგვარ ფორმებს ვხვდებით (იხ. აქვე, ზემოთ).

აჭარულში თავკიდურა პოზიციაში ანალოგიურ შედეგს იძლევა მეორადი აუ კომპლექსი: წამომილო → წამომილო (მ-ს დისიმილაციური დაკარგვით) → წაუმილო (აო → აუ პროგრესული დისიმილაციით) → წაუ მილო, ჩამომიწერა → ჩაომიწერა → ჩაუმიწერა → ჩაუ მიწერა.

აუ → აუ შეინიშნება ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც: შაური → შაური (იმერხელი). მართალია, შაურ-ი მიღებულია შაპ-ურ-ი ფორმისაგან, მაგრამ ამჟამად იგი ერთიან ფუძედ არის გააზრებული; თუმცა არ გამოირჩევა ისიც, რომ ცვლილებაზე ამ ფორმის თავდაპირველმა სტრუქტურამაც იქონია ზეგავლენა.

ყველა ამ ფორმაში წვეტილობისმიერი უ და კბილობისმიერი ვ თავისუფლად მონაცვლეობს ერთმანეთთან.


შენიშვნა: რამდენიმე შემთხვევაში დიალექტთა ერთ ნაწილში პაუზის წინა პოზიციაში დამოწმებულა აო → აუ, რაც შუალედურ აუ საფეხურს ვარაუდობს: ქალაო (წოდებითი) → ქალაუ → ქალაუ (მოხეური); თქვაო (აორისტი) → * თქვაუ → თქვაუ / თქვაუ, ვთქვაო (II კავშირებითი) → * ვთქვაუ → ვთქვაუ / ვთქვაუ; პირველ შემთხვევაში — ა III სუბიექტური პირის ნიშანია (თქვ-ა), მეორე შემთხვევაში — კავშირებითის მორფემა (ვ-თქვ-ა); — ო სხვათა სიტყვის მორფემოიდა. ამ რიგის ფორმები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში...).

ფონეტიკური ცვლილების პირველივე საფეხურზე დაჩნდება აგრეთვე აუ → აო, როგორც (აწეულობის მიხედვით) პროგრესული ასიმილაციის შედეგი. ეს პროცესი იშვიათია, გვხვდება როგორც მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში: საუბარი → საობარი (კახური, ფშაური), ვარაუდი → ვარაოდი (აჭარულში). დაჩნდება დისტანციური მეზობლობის დროსაც: ახალუხი → ახალოხი (კახური).

შენიშვნა: უ → ო დადასტურებულია სხვა პოზიციებშიც: გეუბნები → გეობნები (ფშაური); უნაგირი → ონაგირი, აგრეთვე: ურადნიკი „ურიადნიკი“ → ორადნიკი (აჭარული). ბოლო შემთხვევებში საგარაუდოა უ-ა → ო-ა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია (შდრ.: დაუნაგირვა → დაონაგირვა „დაუნაგირება“, სადაც იმავდროულად აუ → აო კომპლექსიც დაჩნდება). რაც შეეხება ეუ → ეო მონაცვლეობას, აქაც (მსგავსად აუ → აო პროცესისა) კონტაქტურ პროგრესულ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე (იხ. ქვემოთ).

დიალექტების ერთ ნაწილში შეინიშნება აუ → ეუ რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (ასიმილაცია ხდება აწვეულობის მიხედვით): ყარაული → მთიულური: ყარეული (შდრ. იმერული, გურული: ყაროული), ფასანაური → მთიულური: ფასანეური, ხარანაული → ფშაური: ხარანეული; დისტანციური მეზობლობისას: ჰანჰური → მთიულური: ჰენჰური.

აუ კომპლექსის ზემოდასახელებულ ცვლილებათაგან შემდგომ საფეხურებზე წარმოდგენილია:



აუ → ოუ → უუ პროცესი თავიკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას სისტემებში დაჩნდება გურულში და თითქმის უგამონაკლისოდ აჭარულში; გარდა ამისა, როგორც მეტ-ნაკლები სიხშირით გავრცელებული ფონეტიკური ვარიანტი, გვხვდება ქვემოიმერულში, ლეჩხუმურსა და იმერხეულში. ქვემოიმერულს ეს ახასიათებს ძირითადად გურული და მეგრული მეტყველების მომიჯნავედ, შეინიშნება აგრეთვე (იმერული დიალექტის) ბალდათურ და ქუთაისურ თქმებში. ეგვე პროცესი ხსენებულ დიალექტებში, კილოკავებსა თუ თქმებში თავს იჩენს ენკლიტიკის დროს. არ არის დადასტურებული ბოლოკიდურა პოზიციაში: აქ მხოლოდ ნაწილობრივი ასიმილაცია (აუ → ოუ) ან პროგრესული დისიმილაცია (აუ → აჟ) არის წარმოდგენილი (იხ. აქვე, ზემოთ).

გურული: წაულო → წოულო // წუულო, დაუძახა → დოუძახა // დუუძახა; რა უყავი → რო-უყავი // რუ-უყავი; იმერული (ქვემოიმერული): გაუკეთა → გოუკეთა // გუუკეთა; სრული ასიმილაციის შედეგი უფრო ხშირად უარყოფით მიმდებარებებში დაჩნდება, განსაკუთრებით უარყოფითობის ორმაგი წარმოების დროს: გაუნათლებელი → გოუნათლებელი → გუუნათლებელი // უგუუნათლებელი, გაუთლელი → გოუთლელი → გუუთლელი // უგუუთლელი; და ასე: უდუუჭრებელი „დაუჭრებელი“, უგუუკეთებელი „გაუკეთებელი“, უგუუგებარი „გაუგებარი“, უდუუწერელი „დაუწერელი“ და მისთ. (პარალელურად ყველა შემთხვევაში გამოიყენება

ფორმები ოუ განხოვანებით: უგონათლებელი, უგოუთლელი, უდოუჭერებელი და ა.შ. იმერულის გავრცელების ზოგ რეგიონში უპირატესად აუ კომპლექსის ცვლილების სწორედ ეს საფეხური არის წარმოდგენილი); დეჩხუშური: გაუძლო → გოუძლო// გუუძლო, დაუძახა → დოუძახა// დუუძახა. იმერხელთი: გაუბსნა → გოუბსნა → გუუბსნა, დაუბა → დოუბა → დუუბა, წაუყვანი → წოუყვანია... ამისთანავე: გაუხარდა → გოუხარდა // გუუხარდა, წაუყვანია → წოუყვანია // წუუყვანია.

აჭარულში იშვიათად ეს პროცესი ოუ საფეხურზეა შეჩერებული: აუთავა → ოუთავა, დაუჭერა → დოუჭერა. მაგრამ ამ დიალექტში უპირატესად უუ და მისი შემდგომი უ საფეხურია წარმოდგენილი: აუშენა → ოუშენა → უუშენა // უშენა, წაუღო → წოუღო → წუუღო // წუღო; დაუნახავი → დოუნახავი → დუუნახავი // დუნახავი (აგრეთვე: უდუნახავი // უდუნახავი); და ასე: უდუუძინებელი // უდუძინებელი „დაუძინებელი“, უწუუსლელო // უწუსლელო „წაუსლელო“ და მისთ.

აუ კომპლექსი თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას ოდენ უ გრძელი ხმოვნის სახით არის წარმოდგენილი თუშურში: აუღია → ოუღია → უუღია – ცუღი, გაუღია → გოუღია → გუუღია → გუღი, ჩაუტანა → ჩოუტანა → ჩუუტანა → ჩუტან, წაუყვანია → წოუყვანია → წუუყვანია → წუყანი // წუყვანა.

ამდენად, თავკიდურა პოზიციაში უშუალო მეზობლობისას ორ დიალექტში (აჭარულსა და თუშურში) დაჩნდება აუ კომპლექსის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული გრძელი უ ხმოვანი. ამათგან აჭარულში როგორც უუ (სრული რეგრესული ასიმილაციის) საფეხურის ვარიანტი, თუშურში — როგორც ერთადერთი შედეგი (როგორც წესი, მკვეთრი დამართვით: გუღი „გაუღია“; ხოლო პაუზის მომდევნოდ ხმოვნის პოვნიერებისას — მკვეთრი შემართვითა და დამართვით: ცუღი „აუღია“).

ანუ დამოწმებულა: \

აჭარულთი: წაუღო → წოუღო → წუუღო // წუღო
 თუშური: წაუღო → წოუღო → * წუუღო. → წუუღო

I სუბიექტური პირის ნიშანი (ვ-), როგორც წესი, იკარგვის უ-ს წინ და, ამდენად, აუ → ოუ → უუ → უ პროცესს ვერ აბრკოლებს:

	აჭარულთი	თუშური
I პირი:	ჩაუტანე → ჩუტანე	ჩუტანე
II პირი:	ჩაუტანე → ჩუტანე	ჩუტანე
III პირი:	ჩაუტანა → ჩუტანა	ჩუტანე

ერთმანეთს ემთხვევა I და II პირის ფორმები.

შენიშვნა I: უ და უ შესაძლოა განასხვავებდეს მნიშვნელობებს: უწევს „წევს მასთან“ — უწევს „აუწევს“...

შენიშვნა 2: სავარაუდოა, თუ შურში აუ → უ პროცესთან გვეკონდეს საქმე იმ შემთხვევაშიც, როცა მო — ზმნისწინიანი ფორმების ფონეტიკური ვარიანტებია წარმოდგენილი; იგულისხმება მო — ზმნისწინის მა — ვარიანტი: მა-უ-კიდ-ა „მოუკიდა“ → მუჟკიდ.

ა-უ → უ-უ დაჩნდება დისტანციური შეზობლობის დროსაც. ამ შემთხვევაში მაასიმილირებული უ მეორადია, მიღებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად.

ცვლილება ორი სახისაა:

მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირისნიშნისეული ვ-სა და ზმნური ი — პრეფიქსის შეხვედრისას წარმოქმნილი ვი კომპლექსი იცვლება უ-დ (ვი → უ), რომელიც თავის მხრივ იწვევს ზმნისწინისეული ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას: წა-გე-ი-ყვანა → *წა-გუ-ყვანა → წუგუყვანა // წუგუყონა, გა-გე-ი-გია → * გა-გუ-გია → გუგუგია. რთულ ზმნისწინში ამ წესით მიღებული უ იმსგავსებს წინამავალ ო-ს (ო-უ → უ-უ), რომელიც თავის მხრივაც იწვევს სრულ რეგრესულ ასიმილაციას: გამო-გე-ი-გზავნა → გამო-გუ-გზავნა → გამუ-გუ-გზავნა → გუმუგუ-გზავნა. ეს მოვლენა ფერეიდნულ კილოშია დამოწმებული.

მეორე შემთხვევაში ზმნური ა — ან ე — პრეფიქსის გავლენით რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე იცვლება რთული ზმნისწინის შემადგენელი მო-ელუ-მენტის (მარტივი ზმნისწინის) ხმოვანი, რომელიც თავის მხრივ სრულად იმსგავსებს წინამავალ ხმოვანს: ჩამო-ე-ა-გდე → ჩამო-ა-გდე (ე-ს ჩავარდნით) → ჩამუ-ა-გდ → ჩუმუაგდ, გამო-ე-კიდა → გამუ-ე-კიდ → გუმუეკიდ... ცვლილება შესაძლოა გამოიწვიოს ფუძისეულმა ხმოვანმაც: ჩამო-ვარდნილა → ჩამო-არდნილა → ჩამუ-არდნილ → ჩუმუარდნილ, გამო-ველ → გამო-ელ → გამუ-ელ → გუმუელ. ამგვარი ცვლილებანი ინგილოურ დიალექტში დაჩნდება. გვხვდება ფერეიდნულშიც: წამო-ე-ა-ტარე → წამო-ატარე → წამუატარე // წუმუატარე, წამო-ველ → წამო-ელ → წამუელ // წუმუელ.

შენიშვნა 1: აუ → ოუ → უუ კონტაქტური სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად ქართული ენის დასავლურ დიალექტებში შეიძლება შეიცვალოს გადა — ზმნისწინის ორივე ხმოვანი: გადა-უ-გდო → გადუუ-გდო // გუდუუგდო // გუდუგდო (ბოლო შემთხვევაში ხდება ზმნისწინისეული უ-ს სინკოპე; შდრ.: გადაიგდო → გადიგდო). რთულ

ზმნისწინში იცვლება მხოლოდ მო — ელემენტის ხმოვანი: გამო-უ-ტანა → გამუტანა (ასიმილაციით), გამო-ე-გდო → გუმუეგდო (დისიმილაციით). ამის თაობაზე იხ. ქვემოთ ოუ, ოე... კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებანი.

შენიშვნა 2: დისტანციური ასიმილაციისას ფერეიდნულში სხვადასხვა გადაბგერება დაჩნდება: გამო-ე-გზავნა → გემეეგზავნა, გამო-გვ-ა-გზავნა → გამოგოგზავნა, გამო-გვ-ი-გზავნა → გუმუგუგზავნა...

რაც შეეხება აუ → ოუ → ოო ცვლილებას, იგი დადასტურებულია ფერეიდნულში ზმნის თავკიდურა პოზიციაში ხმოვანთა კონტაქტური მეზობლობისას: წაულებს → წოუ ლეფს → წო ლეფს (ანალოგიურ შედეგს იძლევა ე — პირის ნიშანიც: ავრეე → ორეე).

* * *

ბ) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი ე ხმოვანია.

ეა → 1. ია (შეაქო → შიაქო) → მა (შიაქო → შმაქო); 2. ევა (* გაახეა → გაახევა); 3. ა-ა (ნეტარა → ნატარა).

ეე → 1. ეე (შეეკამა → შეეკამა); 2. იე (შეეკამა → შიეკამა) → აე (შიეიკამა → შიეეკამა); 3. ეეე (* ახეებს → ახეეებს); 4. ა-ე (ეგებ → აგებ); 5. ე-ა (ერთხელ → ერთხალ); 6. ეი (ჭეელი → ჭეილი).

ეი → 1. იი (შიინახა → შიინახა) → იი (შიინახა → შიინახა); 2. ეე (შეეიტანე → შეეეიტანე); 3. ეამ (შიინახა → შეეინახა, სულეიმან → სულეეიმან); 4. აი (ზეით → ზაით).

ეო → 1. იო (შეორე → შიორე) → იო (შიორე — შიორე); ამავე საფეხურის მეორე ნაირსახეობად ივარაუდება: იო (შეორე → შიო(რე) → იეე (შიო(რე) → შიეე(რე) → იე (შიეე(რე) → შიე(რე)); 2. ეო → ეეე → ეე (შეორე → შეო(რე) → შეეე(რე) → შეე(რე) → შე(რე)); ეე საფეხურის მეორე ვარიანტი შეიძლება იყოს: ეე → იე (შეე(რე) → შიე(რე); შდრ.: შიე(რე) → შიე(რე) — ემთხვევა ერთმანეთს); 3. ოო (შეორე → შოორე) → ოო (შორე) → ოო (შორე → შოორე); ამავე საფეხურის მეორე ნაირსახეობაა: ოო → უო (შოორე → შუოორე) // ოო → უო (შო(რე) → შუ(რე) → უეე (შუ(რე) → შუეე(რე)); დაჩნდება აგრეთვე: ე-ო → ო-ო (შეგვეხვეწა → შეგო(რ)ხო(რ)წა → შო(რ)გო(რ)ხო(რ)წა); 4. ეო → ეეო (გააღეო → გააღეეო).

ეუ → 1. იუ (შეუნახა → შიუნახა) → იუ (შიუნახა → შიუნახა) → იუ (შუუნახა → შუუნახა); 2. აუ (ანეული → ანაული); 3. იუ (ანეული → ანიული); 4. ეო (ეუბნება → ეობნება); 5. ეე (ეუბნება → ეებნება/ებნება); 6. ეუ / ეე (დეკეული → დეკეუ(ლ)).

განვიხილოთ ცვლილების ყველა ზემოხსენებული ნაირსახეობა.

* * *

ეა კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

ეა → ია რეგრესული დისიმილაციით კონტაქტური მეზობლობის დროს საერთო-ქართული მოვლენაა: დაჩნდება ყველა დიალექტში.

თავციდურა პოზიცია: შე-ა-ქო → ში-ა-ქო, შეატყო → შიატყო, შეაქრა → შიაქრა...
ე-ამა → იამა, ეალერსება → იალერსება, ეამბნა → იამბნა, გ-ე-ახელი → გ-ი-ახელი...
მე-ას-ე → მი-ას-ე... ცვლილება არსებითად შეუზღუდავია: იცვლება როგორც ზმნისწინისეული ე ზმნურ პრეფიქსთან შეხვედრისას (შეაქო → შიაქო), ასევე ზმნური ე — პრეფიქსი ფუძისეულ ა-სთან კონტაქტის დროს (ეამა → იამა) და სიტყვათმაწარმოებელი პრეფიქსის ე ხმოვანი (მეასე → მიასე).

შენიშვნა: გამონაკლისს ქმნის თუშური, სადაც ზმნური ა — პრეფიქსის წინ დასტურდება შე — ზმნისწინის შა — ვარიანტი, რის გამოც ხდება იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვანად: შაგროვა → შაგ გროვ „შეაგროვა“, შაასრულა → შაგ სრულ „შეასრულა“... შდრ.: შეებრაღა → შეგ ბრაღ, შეეყარა → შეგ არ, შეეჭამა → შეგ ჭამ, როცა ზმნური ე — პრეფიქსის წინ საკუთრივ შე — ზმნისწინი დაჩნდება.

ეა კომპლექსის ცვლილებით მიღებული ია (უშუალო მეზობლობისას) შესაძლოა დამატებით კიდევ იცვალოს რეგრესული დისიმილაციისავე ადრეულ ეტაპზე (წარმოქმნება აღმავალი დიფთონგი): შეახმა → შიახმ; → შიახმა, შეაქრა → შიაქრა → შიაქრა (იმერული, ოკრიბული ქცევა), შეაქო → შიაქო → შიაქო, შეატყო → შიატყო → შიატყო (აჭარული). სისტემატური ხასიათი ამ მოვლენას აჭარულში აქვს. იმედგარეულად აჭარულშივე (უპირატესად ზემოაჭარულში) გვხვდება ასეც: შიატყო, შიასრულა, შიალო და მისთ. ანუ: თუშურის ანალოგიური მდგომარეობაა იმ განსხვავებით, რომ აა → ა გრძელ ხმოვანად შერწყმას სისტემატური ხასიათი არა აქვს.

ეგვევ პროცესი გავრცელებულია ბოლოციდურა პოზიციაშიც: წავიდეა? → წავი-
დია? (— კითხვითი მორფემოიდეა; ნიმუში მთიულურიდანაა დასახელებული), უარზეა → უარზე არის, უარს ამბობს → უარზია, მწარეა → მწარია, ასეა → ასია, დღეა → დღია, სავეა → სამსია, საქათმეა → საქათმია...

შენიშვნა: ეა → ია პროცესი ამ პოზიციაში შესაძლოა მორფოლოგიური თვალსა-ზრისით იყოს რეგულირებული. მაგალითად, კნინობითობის ა-სთან ცვლილება ხდება: საქათმეა → საქათმია („საქათმიაში დაამწყვდია“), ხოლო მეშველზმნისეულ ელემენტთან — არა: საქათმეა „საქათმე არის“. თუმცა უმეტეს შემთხვევაში (დიალექტების დიდ ნაწილში) ასეთი შეზღუდვა არ შეინიშნება.

ეა → ია შესაძლოა ამ შემთხვევაშიც იძლეოდეს აღმავალ დიფთონგს: დღეა → დღია → დღაა (აქარული).

პროცესი დამოწმებულია ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც: იღეა → იღია, თეატრი → თიატრი...

ეა → ია ცვლილება შეინიშნება ხმოვანთა დისტანციური მეზობლობის დროსაც: ე-ა → ი-ა...

ეს მოვლენა სალიტერატურო ქართულშიც აისახა. ამ რიგისა: მი-ვედ-ი, მი-ხ-ვედ-ი, მაგრამ: მი-ვიდა (← *მი-ვედ-ა); შდრ.: მი-ვიდ-ე, მი-ხ-ვიდ-ე, სადაც ე-ს გადაბგერებას — ე სუფიქსი იწვევს. ეგვევ შედეგი გვაქვს ე.წ. ფუძედრეკადი ზნების უღვლილების დროსაც: ვ-დრეკ, ს-დრეკ, დრეკ-ს, მაგრამ: * ვ-დრეკ-ე → ვ-დრიკ-ე, ს-დრეკ-ე → ს-დრიკ-ე (სადაც ე-ე → ი-ე დაჩნდება) და * დრეკ-ა → დრიკ-ა (ე-ა → ი-ა), ან: ა-ბნეკ-ს, მაგრამ: *და-ა-ბნეკ-ა → და-ა-ბნიკ-ა → და-ა-ბნი-ა (ე-ს ჩავარდნით; ზოგ დიალექტში იგი შენარჩუნებულია: ქართლურში, კახურში...). გადაბგერებას ამ შემთხვევაში მორფოლოგიური ღირებულება აქვს მობოვებული: დრეკ-ს → დრეკ-ა (მასდარი), მაგრამ: * დრეკ-ა → დრიკ-ა (აორისტი, III პირის ფორმა).

დიალექტებში ამ მოვლენას ფართო გასაქანი ეძლევა.

ე-ა → ი-ა პროცესს ვერ აბრკოლებს I სუბიექტური პირის ვ — ნიშანი (შევატყვე → შივატყვე, შევატყამე → შივატყამე), აგრეთვე — ევ სუფიქსიყული ვ ელემენტი (* აქმევა → აქმივა // აქმივა; შდრ.: აქმეკს). შევნიშნავთ: ევა → ივა თავკიდურა პოზიციაში უპირატესად დასაეღუთ საქართველოს დიალექტებში შეინიშნება, ბოლოკიდურა პოზიციაში — საერთო-ქართული მოვლენაა (* დააბნევა → დააბნივა → დააბნია, * მიაღწევა → მიაღწივა → მიაღწია; შდრ.: აბნეკს, აღწეკს), ოღონდ საკუთრივ აქმივა // აქმივა, ასმივა // ასმივა დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (უფრო ხშირად — მთის დიალექტებში), რომელთათვის ასევე დამახასიათებელია ივა პოზიციაში ვ-ს შენარჩუნება (იხ. აქვე, ზემოთ); ეგვევ მოვლენა რატული დიალექტის რივისათურ და გლოლურ კილოკავებშიც შეინიშნება.

I და II ობიექტური პირის ნიშნები (მ-, გ-, გვ-) ზემოხსენებულ პროცესს, როგორც წესი, აბრკოლებენ.

ე-ა → ი-ა ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში დაჩნდება დისტანციური მეზობლობის დროსაც: შეშა → შიშა (აქარული, ინგილოური), ტყემალი → ტყიმალი (ქართლური, კახური, ინგილოური, იმერული)... ეგვევ პროცესი დამოწმებულია კომპოზიტშიც (თხზულ სახელშიც) მაშინ, როცა დისტანციური მეზობლობისას ე მოქცეულია ორი ა ხმოვნის შუა პოზიციაში; ა-ე-ა → ა-ი-ა (აქარული: შავგრემანი → შავგრემანი). ამ შემთხვევაში არსებითად ორმხრივ ზემოქმედებასთან გვაქვს საქმე: ა-ე → ა-ი (შდრ.: სადღეგრძელო → სადღინგძელო), ერთი მხრივ, და ეა — ი-ა (შდრ.:

შეშა → შიშა), მეორე მხრივ.

შენიშვნა: აჭარულში შეშა → შიშა ტიპის გადაბგერება შესაძლოა ზანურის გავლენით ავეგხსნა (შღრ. მეგრული: დიშქა, ჭანული: დიშქა // დიშკა „შეშა“), მაგრამ სხვა დიალექტებში (ჭართლურში, კახურში, ინგილოურში) ანალოგიური მოვლენის პოვნისთვის ამ პროცესის საერთო ტენდენციასზე მიგვანიშნებს (და არა ენობრივ ურთიერთგავლენაზე).

ეა → ევა (თანხმოვნის ჩართვა ხმოვანთ გასაყარად) დადასტურებულია იმ ნასახელარ ზმნათა აორისტში (III პირის ფორმებში), რომელთა საყრდენი სახელის ფუძე ე ხმოვანზე ბოლოვდება: ხე → გა-ა-ხეე-ა, ბე → და-ი-ბეე-ა... როგორც წესი, ამგვარი ვითარებაა ერთმარცვლიანი სახელადი ფუძეების შემთხვევაში (შღრ.: დუნე → მო-ა-დუნ-ა, მცირე → და-ა-მცირ-ა). არსებითად, აქ დანჩდება ტენდენცია თანხმოვანზე ზმნური ფუძის დასრულებისა, რომელიც ერთ შემთხვევაში მიიღწევა ე-ს განვითარებით: ხე → გა-ა-ხეე-ა, ხოლო მეორე შემთხვევაში — ბოლოკიდური ხმოვნის კვეციით: დუნე → მო-ა-დუნ-ა (გ. გოგოლაშვილი).

შენიშვნა: ეა → ევა დაჩნდება იმავე პარადიგმაში, სადაც სხვა ფორმებში ვვაქეს ეე → ეეე: * ა-ხე-ებ-ს → ა-ხეე-ებ-ს (აწმყო), გა-ე-ა-ხეე-ე, გა-ა-ხეე-ე და: გა-ა-ხეე-ა (აორისტი). ამავე პარადიგმაში დამოწმებულია ევო//ეო: გა-ა-ხეე-ო-ს// გა-ა-ხე-ო-ს.

პროცესი შეინიშნება მხოლოდ ბოლოკიდურა პოზიციაში; ზედმიწევნით: მხოლოდობით რიცხვის III სუბიექტური პირის აორისტის ფორმაში.

ეა → აა ფრად იშვიათი მოვლენაა, დადასტურებულია ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში: ნეტარა → ნატარა სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაციის საფუძველზე (მთიულური), პერანგი → პარანგი (აჭარული).

იშვიათად გვხვდება აგრეთვე მეორადი ეა კომპლექსის ასეთი ცვლილება: ეა → ეე → ე (ვერაფერი → * ვეაფერი → * ვეეფერი → აჭარული: ეე ფერი).

* * *

ეე კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

ეე კომპლექსი შეიძლება იყოს პირველადი (შეეტყო, შეევედრა, შეენახა) და მეორადი, მიღებული აე → ეე (დაეწერა → დეეწერა), ოე (მოეტანა → მეეტანა), იე → ეე (მიეტა → მეეტა) ფონეტიკურ გარდაქმნათა შედეგად (იხ. აქვე შესაბამისი მონაცემები).

პირველადი ეე → ე დადასტურებულია, როგორც წესი, თავკიდურა პოზიციაში შე— ზმნისწინისა და ზმნური ე — პრეფიქსის შეხვედრისას: შეეტყო → შეე ტყო,

შეერევა → შეჯ რეკ, შე-ე-კამა → შეჯ კამ (თუშური). ანალოგიური მოვლენა (შეეწია → შე ეწია, შეეკამა → შე კამა), დაჩნდება აჭარულშიც, თუმცა აქ უპირატესად ეე → იე → მე პროცესია გაფრცვლულული (შეეკამა → შეეკამა → შეეკამა).

შენიშვნა: როგორც ითქვა, ეე კომპლექსი შეიძლება იყოს მეორადიც. ამათგან ეე → ეე, იე → ეე, აგრეთვე თანხმოვნის ჩაგარდნით მიღებული ეე, ჩვეულებრივ, იძლევა იმავე შედეგს, რასაც პირველადი ეე. მაგალითად, აჭარულში დადასტურებულია ეე → ეე → ე / ეე (დაეკიდა → დეეკიდა → დე კიდა // დიეკიდა → დდეკიდა), იე → ეე → ე / ეე (მოეწყო → მეეწყო → მე წყო / მიეწყო → მდეწყო); აჭარულშივე გვხვდება: ერა → ეა → ეე → ე (ვერაფერი → ვეაფერი → ვეეფერი → ვე ფერი)... თუშურში ანალოგიური შედეგი გვაქვს შემდეგ შემთხვევებში: ეე → ეე → ე (გაეშეა → გეეშეა → გეე შუ), იე → ეე-ჟ (მოეყვანა → მეეყვანა → მეე ვანი); თუმცა არ გამოირიცხება, რომ ბოლო შემთხვევაში მო — ზმნისწინის მა — ვარიანტი გვქონდეს და მაშინ ამ შემთხვევაშიც ეე → ეე-ჟ პროცესის შედეგი ივარაუდება (მაეყვანა → მეეყვანა → მეე ვანი). ძალზე იშვიათად ეე → ეე → ე დაჩნდება მესხურშიც (გაეტანა → გეეტანა → გე ტანა); უპირატესად ამ დიალექტში გაფრცვლულულია ეე → ეე // იე (ანუ: სრული რეგრესული ასიმილაცია და მის შემდგომ — რეგრესული დისიმილაცია): ჩაეგლო → ჩეეგლო // ჩიეგლო (ეე // ე // იე, როგორც წესი, კილო-კაეებისა და ქეეების დონეზე წარმოჩენილი ფონეტიკური ნაირსახეობანია).

ეე (მეორადი) → ე ზოგჯერ (არასისტემებრივ) თავს იჩენს ბოლოკიდურა პოზიციაშიც. აი, ერთი ნიმუში ამისა: მერე → მეე → მე (ლუჩხუმური). დადასტურებულია ერთი მორფემის ფარგლებში.

ეე → იე (რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე) დიალექტების მიხედვით სხვადასხვა პოზიციაში დაჩნდება.

თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობის დროს ეე → იე სისტემებრივად წარმოდგენილია გურულში, აჭარულსა და იმერხელში, ხშირად (როგორც პარალელური ვარიანტი) თავს იჩენს მესხურში: შეეტანა → შეიეტანა, შეენახა → შეიენახა (გურული), შეეტყო → შეიეტყო (აჭარული), შეეყარა → შეიეყარა, შეეხვეწა → შეიეხვეწა, შეეძლება → შეიეძლება (იმერხელი), შეეგლო // შეიეგლო (მესხური).

შენიშვნა 1: აჭარულში, როგორც წესი, დაჩნდება დიფთონგიზაციის ტენდენცია: შეეტყო → შეიეტყო → შეეეტყო, შეეძლება → შეიეძლება → შეეეძლება. აჭარულშივე ზოგჯერ შეინიშნება ეე → ე: შეეტყო → შე ეყო. ეე

შედგვი ერთადერთია თუშურში (იხ. აქვე, ზემოთ).

შენიშვნა 2: ეგვე შედეგი გვაქვს მეორადი ეე კომპლექსის შემთხვევაშიც: აე → ეე → იე (გაეტანა → გეეტანა → გიეტანა) და ოე → ეე → იე (მოეტანა → მეეტანა → მიეტანა). დაწვრილებით იხ. აქვე შესაბამისი მონაკვეთები აე და ოე კომპლექსთა ცვლილებათა შესახებ. გამონაკლისს ქმნის იმერხეული, სადაც თავკიდურა პოზიციაში რეგრესული დისიმილაცია, ჩვეულებრივ, ახასიათებს პირველად ოდენ ეე კომპლექსს.

ბოლოკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას ეე → იე (→ ეე) შეუზღუდავად იჩენს თავს ყველა ზემოდასახელებულ დიალექტში: დღეები → დღიები (გურული), დღეები → დღიები → დღიები (აჭარული), კლდეები → კდიები (იმერხეული), ხეები → ხიები, მებრეები → მებრიები (მესხური). ამ პოზიციაში ეე → იე (ისევე, როგორც აე → ეე → იე) შეინიშნება იმ დიალექტებშიც, რომელთათვისაც თავკიდურა პოზიციაში ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი: ტყეები → ტყიები (ინგილოური), ხეები → ხიები, ვაკეები → ვაკიები, მეცხვარეები → მეცხვარიები (სამხრეთ ქართლური).

ეე → იე, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია მორფემათა ზღვარზე როგორც თავკიდურა (შე-ე-ნახ-ა → ში-ე-ნახ-ა), ასევე ბოლოკიდურა (დღე-ებ-ი → დღი-ებ-ი) პოზიციებში. აჭარულში ორივე შემთხვევაში ეს პროცესი დიფთონგიზაციით სრულდება (შე-ე-ნახ-ა, დღე-ებ-ი).

ზოგჯერ ეე → იე დაჩნდება ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც: ჭეელი → ჭიელი (მესხური, ქართლური...). პარალელურად გვხვდება ეე → ეი პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე: ჭეელი → ჭიელი (ფშაური).

ე-ე → ი-ე დადასტურებულია დისტანციური მეზობლობის დროსაც.

ზმნის თავკიდურა პოზიციაში ე-ე → ი-ე პროცესს ვერ აბრკოლებს ვერც ე—პირის ნიშანი და ვერც ფუძისეული ვ თანხმოვანი: შევეკითხე → შივეკითხე, შევევაჭრე → შივევაჭრე... შევედი → შივედი... მ... და გ... პირის ნიშანთა პოენიერებისას ცვლილება, როგორც წესი, არ შეინიშნება (შემეკითხა, შეგვევაჭრა). რაც შეეხება გე—პირის ნიშანს, ზემოდასახელებულ დასავლურ დიალექტებსა და მესხურში იგიც აბრკოლებს პროცესს (შეგვენახა), მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში (მოხურში...) შე... ზმნისწინისეულ ხმოვანს რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის მეორადი რ/ო ხმოვანი, მიღებული გე—პირის ნიშნის ე ელემენტისა და ზმნური ე... პრეფიქსის შერწყმით: შე-გე-ე-ხეწა → შე-გო-ხოწა → შოგოხოწა, შე-გე-ე-სწრას → შე-გო-სწრას → შოგოსწრას (/ / შოგოხოწა, შოგოსწრას). ამის შესახებ საუბარი გვექნება აგრეთვე ეო კომპლექსის ცვლილებებთან დაკავშირებით.

შენიშვნა: ანალოგიური მოვლენა გვ— პირისნიშნის პოვნიერებისას თავს იჩენს -
 ა - და ა-ე ხმოვანთა დისტანციური ურთიერთობის დროსაც (იხ.
 ზემოთ ათ კომპლექსის ცვლილებანი).

ბოლოკიდურა პოზიციაში დისტანციური მეზობლობისას მორფემათა ზღვარზე
 ე-ე → ი-ე ე.წ. ფუძედრეკად ზმნებში საერთო-ქართული მოვლენაა: * ვ-დრეკ-ე →
 ვ-დრიკ-ე, * ს-დრეკ-ე → ს-დრიკ-ე; * და-ვ-ა-ბნეე-ე → და-ვ-ა-ბნიე-ე (და-ვ-ა-ბნი-ე,
 * და-ა-ბნეე-ე → და-ა-ბნიე-ე/და-ა-ბნი-ე, * ვ-ა-ჰმეე-ე → ვ-ა-ჰმიე-ე/ვ-ა-ჰმი-ე,
 * ა-ჰმეე-ე → ა-ჰმიე-ე → ა-ჰმი-ე (შდრ.: ვ-დრეკ, ს-დრეკ; ვ-ა-ბნეე ა-ბნეე, ვ-ა-ჰმეე,
 ა-ჰმეე). შევნიშნავთ: და-ვ-ა-ბნიე-ე ტიპის ფორმებში ე უპირატესად შენარჩუნე-
 ბულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში. ვ-ა-ჰმიე-ე/ვ-ა-ჰმი-ე და მისთ.
 აგრეთვე აღმოსავლური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი (შდრ. ზემოთ ე-ა
 → ი-ა ცვლილება ამავე ზმნებში: * დრეკ-ა → დრიკ-ა, * და-ა-ბნეე-ა → და-ა-ბნიე-
 ა/და-ა-ბნი-ა).

დისტანციური ურთიერთმიმართებისას ე-ე-- ცვლილებას განიცდის ერთი
 მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც, მაგრამ შედეგი ზოგ შემთხვევაში შესაძლოა
 ზემოდასახელებულთაგან განსხვავებული იყოს:

ე-ე → ი-ე: ბეჰედი → ბიჰედი, ცემენტი → ციმენდი (აჭარული);

ე-ე → ა-ე: ეთერაი (ანთარაონიში) → ათერაი (მთიულური), მემრე → მამრე//მა-
 მრენა//მამრენის (მთიულური, მოხუერი). ანალოგიური ცვლილება დაჩნდება ახლა
 ერთ ფუძედ გააზრებულ ფორმებშიც: ეგებ (მოდალური ფორმა, წარმოშობით --
 ზმნა: ე-გ-ებ-ი-ს/ე-გ-ებ-ა) → აგებ (ხეცსურული, მთიულური), აგების (კახური).

შენიშვნა: ზემოთ ა-ე → ა-ა-... პროგრესული ასიმილაციის ნიმუშად დასახელებული
 იყო საფენელი → საფანელი (შდრ.: ფენ-ს), საწნებელი → საწნახელი
 (შდრ.: წნენ-ს) ფორმები. იმავდროულად აქ არც ე-ე → ა-ე რეგრესუ-
 ლი დისიმილაცია გამოირიცხება. სავარაუდოა ორივე პროცესის ერთ-
 თდროული მოქმედებაც.

ეე → ე-ა: ხეჰეჰური → ხეჰაჰური (ქართლური). ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს
 საქმე თხზულ სახელშიც: ერთხელ → ერთხალ (მთიულური), აგრეთვე -- ერთ ფუძედ
 გააზრებულ ფორმაში: მეჩხერი → მეჩხარი (ლენჩხურური).

რამდენიმე შემთხვევაში დამოწმებულია ე-ე → ი-ი: ტლეფონი → ტილიფონი
 (ქართლური)/დილიფონი (ჯავახური), ხერხემალი → ხირხიმალი (იმერული), ხერხემე-
 ლა → ხირხიმელა (კახური დიალექტის ქიზიურული კილოკავი). აქ რთული (საფეხურე-
 ობრივი) ფონეტიკური გარდაქმნა ივარაუდება: ე-ო → ი-ო რეგრესული დისიმილა-
 ციით (შდრ.: სეზონი → აჭარული: სიზონი), შემდგომ: ე-ი-ო → ი-ი-ო რეგრესული

ასიმილაციით (ტელეფონი → * ტელიფონი → ტილიფონი). ანალოგიურად — სხვა შემთხვევებშიც: ე-ე-ა → ე-ი-ა → ი-ი-ა, ე-ე-ე → ე-ი-ე → ი-ი-ე; ყველა ეს პროცესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (ეა → ია: შეშა → შიშა, ეე → იე: ბეჭედი → ბიჭედი, ე-ი → ი-ი: შემიშვა → აჭარული: შიმიშვა).

ეე კომპლექსი შეიძლება გაითიშოს ე თანხმოვნით. საერთო-ქართული მოვლენაა. დადასტურებულია ოდენ ბოლოკიდურა პოზიციაში ორ შემთხვევაში:

სახელთა წარმოებისას ფუძისეული და სუფიქსისეული ე ხმოვნების შეხვედრისას: ტყე → მე-ტყვე-ე, რძე → სა-რძევე-ე, მხნე → სი-მხნევე-ე. დაჩნდება უპირატესად ერთმარცვლიანი საყრდენი ფუძეების შემთხვევაში (შდრ.: მცირე → სი-მცირე-ე, მლაშე → სი-მლაშე-ე; ფუძისეული ე იკვეცება);

ზმნური პარადიგმის წარმოებისას ფუძისეული და თემისნიშნისეული ან აორისტისეული ე ხმოვნების შეხვედრისას: ხე → ა-ხევე-ებ-ს, ტყვე → ა-ტყვევე-ებ-ს, ცალკე → ა-ცალკევე-ებ-ს... გა-ე-ხევე-ე, გა-ა-ხევე-ე; და-ე-ა-ცალკევე-ე, და-ა-ცალკევე-ე... შევნიშნათ: ანალოგიური მოვლენა თავს იჩენს აორისტის III პირის ფორმაში ფუძისეული ე და — აპირის ნიშნის შეხვედრის დროსაც: გა-ა-ხევე-ა, და-ა-ცალკევე-ა.

ორივე შემთხვევაში ე ვითარდება ხმოვნებს შორის ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად (ლ. ნოზაძე). გარდა ამისა, მორფოლოგიური თვალსაზრისით წარმოიქმნება თანხმოვანზე დასრულებული ფუძე, რაც ქართულში განსაკუთრებით ზმნისათვის არის დამახასიათებელი (გ. გოგოლაშვილი).

* * *

ეი კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებანი

ეი → იი (სრული რეგრესული ასიმილაციით) → ი (იღენტურ ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე) სისტემებზე თავს იჩენს მხოლოდ სამ დიალექტში: თუშურში, აჭარულსა და იმერული დიალექტის სამტრედოელ თქმაში. თანაც ამ დიალექტებისათვის საერთოა თვით ტენდენცია ეი კომპლექსის ცვლილებისა, თორემ სრული თანხვედრა არც ერთ შემთხვევაში არა გვაქვს.

თუშურში ეი → იი → ი დაჩნდება მხოლოდ უშუალო მეზობლობის დროს: შეირთო → შიწ რთუ, შეიყარნეს „შეიყარნენ“ → შიწ ყარნეს. პარადიგმა ასეთი სახით წარმოგიდგება:

I პირი: შევირთე → შევირთი

II პირი: შეირთე → შიწ რთი

III პირი: შეირთო → შიწ რთუ

ობიექტური პირის ფორმებში (მ-, გ-, გვ— პირის ნიშანთა მქონებლობისას) ე-ი,

როგორც წესი, არ იცვლება.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სამტრედიულ თქმაშიც იმ განსხვავებით, რომ აქ ფრიად იშვიათია გრძელ ხმოვნად შერწყმა (იი → ი , ჩვეულებრივ, მხოლოდ იდიოლექტის დონეზე დაჩნდება) და, გარდა ამისა, ცვლილებას ვერ აბრკოლებს ფუძისეული ვ და I სუბიექტური პირის ნიშანი. ორივე ფორმაში შესაძლოა მოხდეს ვ-ს მეტათეზისი და ამის კვალობაზე ხმოვნები უშუალო (კონტაქტურ) მეზობლობაში აღმოჩნდნენ ამ შემთხვევაშიც: შევიდე → შივიდე // შიივდე, შეხვიდე (არ იცვლება), შევიდეს → შივიდეს // შიივდეს (დასახლებულა II კავშირებითის პარადიგმა, სადაც ვედ — ფუძე. სამივე პირის ფორმაში ვიდ — გახმოვანებითაა წარმოდგენილი; შდრ აორისტი: შევედი, შეხვედი, მაგრამ: შევიდა → შივიდა → შიივიდა ანდა:

I პირი: შევინახე → შივინახე → შიივინახე

II პირი: შეინახე → შიინახე

III პირი: შეინახა → შიინახა.

მაგრამ მხოლოდ: შემინახე, შეგინახა; შეგვინახა...

სრულად საპირისპირო ვითარებაა აჭარულში: ე-ი → ი-ი ხდება მხოლოდ დისტანციური მეზობლობისას და ისიც ოდენ მ-, გ— და გვ— პირის ნიშანთა პოზიციების შემთხვევაში. კონტაქტური მეზობლობის დროს თავს იჩენს ეი → ემ (პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე წარმოიქმნება დამავალი დიფთონგი), ხოლო I პირის ფორმაში ვ— პირის ნიშნის მომდევნოდ ი— პრეფიქსი იკარგვის.

შენიშვნა: ანალოგიური შედეგი გვაქვს აჭარულში აი და ოი კომპლექსების ცვლილებისას (იხ. აქვე შესაბამისი მონაკვეთები: აი → ეი, ოი → ეი).

იმის გამო, რომ ეი → იი უშუალო მეზობლობისას აჭარულში არასდროს დაჩნდება, ბუნებრივია, არც იი → იი პროცესი გვექნება.

ამდენად, უღვლილების პარადიგმაში პოზიციის შესაბამისად აჭარულში ეი კომპლექსი სამი ნაირსახეობით წარმოჩნდება: ეი → ეი, ეი → ემ და ე-ი → ი-ი:

სუბიექტური წყობა:

I პირი: შევინახე → შევინახე

II პირი: შეინახე → შეინახე

III პირი: შეინახა → შეინახა

ობიექტური წყობა:

შემინახა → შიინახა

შეგინახა → შიგინახა

შეუნახა → შუნახა

ანალოგიური ვითარებაა მაშინ, როცა ვ ფუძისეულია: შევიდე → შევიდე, შეხვიდე (არ იცვლება), შევიდა → შევიდა...

შენიშვნა: იშვიათად აქარულში ე-ი → ი-ი დაჩნდება ფუძის ფარგლებშიც: სემიკა „მზესუმზირა“ → სიმიკა.

ზემოდასახლებული ყველა ფონეტიკური ცვლილება შეინიშნება თავიდან პოზიციაში.

ამათგან ბოლოკიდურა პოზიციაში დაჩნდება ოდენ ეი → ემ.

შენიშვნა 1: ბოლოკიდურა პოზიციაში ეი → ემ → ე (ხეი → ხემ → ხე, ციხეი → ციხემ → ციხე) საერთო-ქართული მოვლენაა და იმავედროულად ისტორიული თვალსაზრისით ცვლილებას წარმოგვიჩენს. დიალექტების დონეზე იგი, ჩვეულებრივ, მაშინ განიხილება, როცა ერთსა და იმავე დიალექტში ემ და ე ფონეტიკური ვარიანტების სახით არის მოცემული. მაგალითად, თუ შურში დამოწმებულია: შტროლთის ცხემე, ერთი მხრივ, და ციხე გუჯ ტეხ, მეორე მხრივ; აგრეთვე: ქვათემთის ციხეიც გარემრე ცვეს. ბოლო ფორმაში — დაცულია იმის გამო, რომ მას ენკლიტიკის საფუძველზე — ც (ა) მორფემოიდი მიერთვის. ეგ მოვლენა იმავე რიგისაა, რაც —ი/-ი / O (კაც-ი/კაც-ი / კაც) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: „ერთ თვეს მდგარ ჭარი-დ“ ხალხიც სუ გუჯწყვეტავ“, მაგრამ: „მიღებებიყუ სოფლის ხალხ (ხალხი) წინ“.

შენიშვნა 2: ეი → იი მონაცვლეობის შთაბეჭდილებას ტოვებს პეტრე → პეტრეი ტიპის ფორმები. სინამდვილეში აქ სხვაგვარი ვითარებაა: პეტრეაი → პეტრეაი → პეტრეი (იხ. აქვე ზემოთ აი კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებები).

ბოლოკიდურა პოზიციაში ეი → ემ წარმოდგენილია მორფემათა ზღვარზე, როცა ფუძისეულ ე ხმოვანს მოსდევს ბრუნვის ნიშნისეული —ი (-ი, —ის, —ით): ხემ, ხემს, ხემთ; საცოლემს, საცოლემთ, ზეჟიემ, ზეჟიემს, ზეჟიემ... აგრეთვე: სათხემდან; ზემდან, ქვემდან... (აქარული), ბზემ//ბზეი „მზე“, თვემ//თვეი, თხლემ//თხლეი, ლელემ//ლელეი; ლელემს//ლელეის, ლელემთ//ლელეით... იმავედროულად დაჩნდება ფუძეშეკვეცილი ვარიანტიც: ბზემ „მზე“, ბზემს, მაგრამ: მზისუნახავი „მზისუნახავი/მზეთუნახავი“ (გურული). —ი → -მ შესაძლოა შეგვხვდეს სამცხურ კილოკავშიც (უპირატესად ანთროპონიმებთან): პეტრემ, ელენემ... თუ შურში სახელობითი ბრუნვის ფორმაში შეინიშნება —ი → -მ (ციხეი — ციხემ), მაგრამ ნათესაობითსა და მოქმედებითში კვეცა დაჩნდება; შდრ.: გუჯ ფეთქ მთელ ციხემ... მაგრამ: ბოლში გახეი (გახეია) ციხის არემარემ... კაც გამოვარდ ციხითა...

ეი → ემ წარმოდგენილია ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც: სერიი → სერეი

(აქარული), ჭეიფი → ჭემფი, სულეიზანი (ანთროპონიმი) → სულემანი (იმერხელი).
ზოგ შემთხვევაში მ შესაძლოა ნასესხებ სიტყვას იყოს შემოყოლილი.

შენიშვნა: ძველ ქართულში ბოლოკიდურა პოზიციაში ეი → ეა ნორმაა (მეფემ, გუბემ, მძიმემ; გრაფიკულად: მეფემ, გუბემ, მძიმემ). მაგრამ სპორადულად შეინიშნება თავკიდურა პოზიციაშიც: შეიცვა → შემაცვა, შეიღება → შემღება, შეიკრება – შემკრება... (მ. ძიძიშვილი).

რწვინათად ეი კომპლექსი რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე იძლევა აი ნაირსახეობას (მიიღწევა ე ხმოვნის დისიმილაციური გაფართოვებით). დაჩნდება როგორც კონტაქტური (ზეით → მოხეური: ზაით „ზევით“, ხეიბარი → მთიულური: ხაიბარი, ჭეიფი → ხევსურული: ქაიფი), ასევე დისტანციური (ჭეიბარი → ხევსურული: ჭაიბარი) მეზობლობისას.

ეი კომპლექსი შესაძლოა გაითიშოს ვ თანხმოვინათაც (პიატუსის დასაძლევად ხდება ლაბიალიზაცია): ზე-ით → ზე-ვ-ით, ჭვე-ით → ჭვე-ვ-ით (ა.შანიძე). პრაქტისი საერთო-ქართულია და დიალექტური თავისებურებანი ოდენ იმით ვლინდება, რომ ზოგ კილოსა თუ კილოკეში ამოსავალი ფორმაა დაცული (ზეით, ჭვეით), ზოგან კი ხდება გადაბგერება: ეი → აი (იხ. აჭვე, ზემოთ).

შენიშვნა 1: ზე-ით → ზე-ით, ჭვე-ით → ჭვე-ით ზმნისართებია (მდრ.: ჭვეით-ი, ჭვეით-ად...). დიალექტების ერთ ნაწილში (ხევსურულში, თუშურში, ფშაურში...) —ით დაერთვის საკუთრივ თანდებულად გამოყენებულ -ზე მორფემასაც (ისევე, როგორც-ში, —თან თანდებულებს): ცხენ-ზე → ცხენ-ზე-ით „ცხენიდან“ (ზედმიწვევით: „ცხენზე და იქიდან“); ასევე: ჭარ-ში → ჭარ-ში-ით და მისთ. ამ შემთხვევებში ვ არ ვითარდება.

შენიშვნა 2: ბოლოკიდურა პოზიციაში ეი → ევი პრაქტისის საპირისპიროდ შესაძლოა ევი კომპლექსი გამარტივდეს ვ-ს ჩავარდნით: და-ვ-წე-ი → და-ვ-წე-ი // და-ვ-წე-მ, და-წე-ი → და-წე-ი // და-წე-მ (გურული), ვ-ნახე-ი → ვ-ნახე-ი, ნახე-ი → ნახე-ი (ქართლური) და მისთ.

ამდენად, ეი კომპლექსის ცვლილების პირველ საფეხურზე წარმოდგენილია:

ეი →	იი (შეინახა → შიინახა)
	ემ (შეინახა – შემინახა)
	ე (შევეინახე → შევეინახე)
	აი (ზეით → ზაით)
	ევი (ზეით → ზევით)

შემდგომი გაგრძელება აქვს მხოლოდ ეი → იი პრაქტისს (იი → ი : შიინახა →

შრც ნახ.).

შენიშვნა: დისტანციური მეზობლობისას ე-ი ხმოვანთა ცვლილებაზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს სხვა ფონეტიკური ფაქტორები. მაგალითად, ზოგ დიალექტში (მოხეურში, ფერეიდნულში...) გე—პირისნიშნისეული ვ და მომდევნო ი— ხმოვანი შეირწყმის ე / უ ხმოვანად და იმავდროულად შეიძლება დაიშვას (რეგრესული ასიმილაციით) ზმნისწინისეული ხმოვანი: შე-გე-ი-ყვან-ა → შე-გუ-ყონა → მოხეური: შოგუყონა, ფერეიდნული: შუგუყონა... (იხ. ქვემოთ: ეუ კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებები).

* * *

ეო კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

ცვლილების პირველივე საფეხურზე წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსები:

ეო → | იო (მეორე → მიორე) / იზ (მიზრე)
| ოო (მეორე → მოორე) // ოზ (მზრე)

ამ ცვლილების შესახებ დაწვრილებით ზემოთ გვეყონდა საუბარი (იხ. აქვე: 2.1. და 2.18.). ამჟერად მხოლოდ პროცესის შედეგების დასახელებით შემოვიფარგლებით.

ეო → იო რეგრესული დისიმილაციით შეინიშნება როგორც თავკიდურა (უპირატესად), ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში.

თავკიდურა პოზიციაში დაჩნდება მე— დერივაციული პრეფიქსისა და ფუძისეული ო ხმოვნის შეხვედრისას: მეორე → მიორე, მეოთხე → მიოთხე, მეოცე → მიოცე, მეორასე → მიორასე; იმეორებს → იმიორებს... ანალოგიურად: მეომარი → მიომარი, მეოჯახე → მიოჯახე და მისთ. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება ინგილოურში, კართლურში, კახურში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში...

ეო კომპლექსში ო-ს პალატალიზაციით მიიღება უმლაუტიანი ო (მეზრე), რაც ინგილოურისთვის არის დამახასიათებელი. აქვეა დამოწმებული იო კომპლექსის პალატალიზაცია (მიზრე).

ბოლოკიდურა პოზიციაში ეო → იო შედარებით იშვიათია: მდგომარეობა → მდგომარობა (// მდგომარობა), სიძეობა → სიძობა (აჭარული).

ორივე პოზიციაში ეო → იო დამოწმებულია მორფემათა ზღვარზე კონტაქტური მეზობლობის დროს.

ცვლილება შეიძლება დავადასტუროთ დისტანციური მეზობლობის შემთხვევაშიც ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში: სეზონი → სიზონი (აჭარული).

რაც შეეხება ეო → ოო ცვლილებას, აქ თავკიდურა პოზიციაში სრული რეგრე-

სული ასიმილაციის შედეგთან გვაქვს საქმე: მეორე → მოორე; იშვიათად: მეოთხე → მოოთხე, მეოცე → მოოცე (ინგილოური, რაჭული, იმერული, ლეჩხუმური, გურული...), დაჩნდება ბოლოკიდურა პოზიციაშიც: მდგომარეობა → მდგომარობა (მდრ.: ზემოთ: მდგომარობა), მონაწილეობს → კახური: მონაწილეობს...

ეო → ოო კომპლექსში შესაძლოა მოხდეს პალატალიზაცია: ოო (მოორე). დამოწმებულია ინგილოურში.

დასახელებული იყო ეო → ოო კონტაქტური მეზობლობისას. ეს პროცესი დაჩნდება ე-ო ხმოვანთა დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც (როგორც წესი, ერთი მორფემის ფარგლებში); შემო-ზმნისწინში ო იწვევს წინამავალი ე ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას (შემო — → შომო-): შემოვიდა → შომოვიდა (ინგალოური), შემოურეკია → შომოურეკია (ფერეიდნული), შემოხვდა → შომოხვდა, შემოიკრა → შომოიკრა (ჭავჭავური). ცვლილების წესი იგივეა, რაც ზემოთ ამავე პოზიციაში ა-ო → ო-ო პროცესის განხილვისას იყო აღნიშნული (გამოჩნდა → გომოჩნდა).

შენიშვნა: ე → ო გადაბგერება შესაძლოა გამოიწვიოს პირის ნიშნისეულმა ე თანხმოვანმა: შევინახე → შომინახე (ინგილოური), შეგვხვდა → შომგხვდა (ფერეიდნული).

გარდა ამისა, რეგრესული დისტანციური ასიმილაცია ე-ო → ო-ო (ო-ო) დადასტურდა ფუძის ფარგლებშიც; ინგილოური: ეზოა — ოზოა; ანალოგიურად — აქარულში: ეზო → ოზო, დედოფალი → დოდოფალი... დაჩნდება ენკლტიკის დროსაც. ქე რომ → ქო-რო (ქვემოიმერული).

დისტანციური ასიმილაცია შესაძლოა გამოიწვიოს მეორადმა ო/ო ხმოვანმაც (დამოწმებულია მორფემათა ზღვარზე თავკიდურა პოზიციაში): შე-გვ-ე-ხვეწა → შე-გვ-ხოწა (ვე → ო) → შოგვხოწა // შოგოხოწა, შეგვეძინა → შეგვძინა → შოგვძინა // შოგოძინა (მოხეური). ასეთ პოზიციაში მოხეურშიც შეინიშნება შემო-/შამო — → შომო-: შემოგვეწია → შემოგვწია → შომგვწია // შომოგოწია, შემოგვირიგეს → შემოგვრიგეს → შომგვრიგეს // შომოგურიგეს.

ყველა ზემოდასახელებულ ცვლილებას, განხორციელებულს კონტაქტური მეზობლობის დროს, აქვს შემდგომი გაგრძელება.

შენიშვნა: დისტანციური ურთიერთმიმართებისას შეიძლება იცვალოს შემო — → შომო — ზმნისწინი ინგილოურში. ხდება თავკიდურა ხმოვნის რედუქცია: შემოვიდა → შომოვიდა → შგმოვიდა → შმოვიდა. თუმცა ეს პროცესი შესაძლოა მოხდეს უშუალოდ შემო... ზმნისწინშიც. ასე რომ, ეს მოვლენა არ არის დაკავშირებული საკუთრივ ე-ო → ო-ო პროცეს-

თან.

ეო/ ეო → ევე მორრე → მევერე); ხდება პალატალიზებული ლაბიალური ხმოვნის (რ) „დაშლა“ შემადგენელ კომპონენტებად (ლაბიალური ე+ პალატალური ე). ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევაშიც: იო/ იო → ივე (მორრე → მივერე); ანუ: როცა ეო → იო პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე, არსებითად ეგვე ვითარებაა რრ → რვე ცვლილების შემთხვევაშიც (მრრ რე → მრ ვერე), ოღონდ აქ, როგორც ჩანს, დამატებით პროგრესული დისიმილაციის ფაქტორიც მოქმედებს.

ეო კომპლექსის ადგილას დაჩნდება აგრეთვე ეე, რომელიც შესაძლოა ორი გზით მიგვეღო:

ეო → ევე (მეორე → მევერე) → ეე (მევერე → მეერე);

ეო → ეე (მეორე → ასიმილაციით: მეერე).

ორგვარ შედეგს იძლევა აგრეთვე ოო კომპლექსი:

ოო → ო (მეორე → მოორე → მორე), რომელიც შესაძლოა გრძელი ხმოვნის გამარტივებით დასრულდეს: ო → ო(მორე → მორე).

ოო → უო (მოო → მუორე) // რრ → ურ (მურრე), რომლის ბოლო საფეხურია ურ → უვე/ უვე (მურრე → მუვერე/ მუვერე).

გრძელ ხმოვანდ შესაძლოა შეირწყას ეე კომპლექსიც, რომელიც ასევე იჩენს გამარტივებისა და მიდრეკილებას: ეე → ეე → ეე (მეერე → მე რე → მეერე). იმავედროულად ეე იცვლება რეგრესული დისიმილაციის საფუძველზეც: ეე → იე (მეერე → მიერე).

და ბოლოს: ეო → იო იძლევა კიდევ ერთ ფონეტიკურ ნაირსახეობას (იო → იო რეგრესული დისიმილაციით, დაჩნდება აღმაველი დიფთონგი): მეორე → მიორე → მორე; სიძეობა → სიძეობა → სიძეობა (აჭარულ).

ამათგან უმლაუტიანი ვარიანტები დამოწმებულია ინგილოურში, ე → ი → ა დამახასიათებელია აჭარულისათვის, მევერე გვხვდება ინგილოურსა და მესხურში, მეერე // მე რე // მიერე — აჭარულში, მივერე — ინგილოურში, ხოლო მოორე // მორე // მორე — რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში (მრრრე // მურრრე // მუ ვერე — ინგილოურში).

ეო კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებების ამგვარი სიუხვე განაპირობებს იმას, რომ ერთსა და იმავე დიალექტში ერთმანეთის პარალელურად ხშირად რამდენიმე ფორმაა გამოყენებული. მაგალითად, გურულში შეგვხვდება: მეორე → მიორე // მოორე // მორე, ინგილოურში: მიორე // მევერე // მრრრე // მურრ რე // მევერე // მუვერე და ა.შ.

შენიშვნა 1: ივარაუდება, რომ მერე ზმნისართი („ეგ მერე მოესწრება“) და თანდებული („დიდი ხნის მერე“) მიღებულია მე-ორ-ე ფორმისგან.

ზემოხსენებულის კვალობაზე ორი გზაა საგარაუდო: მეორე → მევერე → მეერე → მე რე → მერე ან: მეორე → მევერე → მევერე (ე-ს ჩაგარდნით; დადასტურებულია ინგილოურში) → მემრე (ვ → მ ჩანაცვლებით) // მერმე (მეტათეზისით) → მერე (მ-ს დისიმილაციური დაკარგვით).

შენიშვნა 2: ასეთი უხვი ფონეტიკური ვარიანტები ეო კომპლექსს მოეპოვება მეორე ფორმაში, მაგრამ არ შეინიშნება სხვა ფორმებში; მაგალითად, გვაქვს მეორე → მიორე და მეოთხე → მიოთხე, მაგრამ: მეორე → მოორე // მორე // მორე ან მხოლოდ: მეოთხე → მოოთხე (არ დასტურდება მოთხე // მოთხე, ან: * მოოცე და მისთ.). საერთოდ არ შეინიშნება მეოთხე, მეოცე, მეომარი ფორმებში ეო → ევე, იო → ივე და მსგავსი ცვლილებანი. ასევე: დადასტურებულია მეორე → მეერე → მიერე, მაგრამ არ არის დამოწმებული იგივე პროცესი სხვა ზემოდასახელებულ ფორმებში.

ეო კომპლექსი შეიძლება გაითიშოს ვ თანხმოვნით: დაწერეო → დაწერეეო, გავალეო → გავალეეო... საერთო მოვლენაა.

ამდენად, ეო კომპლექსის ფონეტიკური ცვლილების საერთო სურათი ასეთია (ნიშულად ვიღებთ ფორმას მეორე):

ეო (მეორე) →	იო (მიორე) → ეო(ემორე);
	// იო (მიორე) → ივე (მივერე) → იე (მიერე);
	ეო (მეორე) → ევე (მევერე) → ეე (მეერე);
	// ეო (მეორე) → ეე (მეერე) → ეე (მე რე);
	// ეო (მეორე) → ეე (მეერე) → იე (მიერე);
	ოო (მოორე) → ო (მორე) → ო (მორე);
	// ოო (მოორე) → უო (მოურე);
	// ოო (მოორე) → უო(მოურე) → უვე (მუვერე).

გარდა ამისა: ე-ო → ო-ო (შემოიკრა → შომოიკრა), ე-ო → ო-ო (შეგვეძინა → შეგვოძინა → შოგვოძინა); და ბოლოს: ეო → ეეო (დაწერეო → დაწერეეო). აღარაფერს ვამბობთ სეზონი → სიზონი და მისთანა იშვიათ შემთხვევებზე.

* * *

ეუ კომპლექსის ფონეტიკური ნაირსახეობანი.

ეუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე კონტაქტური მეზობლობის დროს სისტემებრ დაჩნდება ყველა დასავლურ დიალექტში.

თავკიდურა პოზიციაში: შეუთანხმა → შოუთანხმა, შეუწუხებია → შოუწუხებია

(ქვემო — და ზემორაჭული), შეუტანა → შოუტანა, შეუყვარდა → შოუყვარდა, შეუკმელი → შოუკმელი (იმერული), შეუკრა → შოუკრა; შეუჩერებელი → შოუჩერებელი (ლენხუმური), შეუნახა → შოუნახა // შეუნახა (გურული), შეუძახა → შოუძახა // შეუძახა // შუ ძახა, შეუკრა → შოუკრა // შეუკრა // შუკრა (აჭარული), შეუხსნა → შოუხსნა // შეუხსნა (იმერხეული).

შენიშვნა 1: ეუ → ოუ, ჩვეულებრივ, თავს იჩენს მაშინ, როცა ერთმანეთს ხვდება შე... ზმნისწინისეული ე და ზმნური უ — ან მიმლეობის უარყოფითი ფორმის მაწარმოებელი უ — პრეფიქსები: შეუკამა → შოუკამა, შოუკმელი... ზემოიმერულში დადასტურდა თავისებური მოვლენა: ზმნური ე — პრეფიქსის ნაწილობრივ ასიმილაციას იწვევს ფუძისეული უ ხმოვანი: ეუბნება → ოუბნება, გეუბნება → გოუბნება, მეუბნება → მოუბნება' (ქ. ძოწენიძე).

შენიშვნა 2: იმერულში, ლენხუმურში, გურულში თავს იჩენს ორმაგი უარყოფის ფორმები: შეუსმენელი → უშეუსმენელი → უშოუსმენელი // უშეუსმენელი. ასეთ შემთხვევებში უპირატესად სრული ასიმილაციის შედეგს ვადასტურებთ.

თავკიდურა პოზიციაში ეუ → ოუ პროცესი გრძელდება სრული ასიმილაციის საფუძველზე (ოუ → უუ), შედეგად შესაძლოა მივიღოთ გრძელი უ (უუ → უუ), რასაც ზოგჯერ გრძელი ხმოვნის გამარტივება მოჰყვება ხოლმე (უუ → უ).

სრული ასიმილაციით ეუ → ოუ → უუ ხშირია გურულსა და იმერხეულში (პარალელურად დაჩნდება ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგი: ეუ → ოუ), სისტემატური ხასიათი აქვს აჭარულში, სადაც უუ შეირწყმის კიდევაც გრძელ ხმოვნად: შეუნახა → შოუნახა → შეუნახა → შუ ნახა, შეუტანა → შოუტანა → შეუტანა → შუტანა. აჭარულშივე შეინიშნება უ → უ: შუტანა → შუტანა. სრული ასიმილაციით მიღებული უუ კომპლექსი სპორადულად თავს იჩენს ლენხუმურსა და ქვემოიმერულში (უპირატესად გურული და მეგრული მეტყველების მომიჯნავედ).

პროცესს ვერ აბრკოლებს ე — პირის ნიშანი (უ — პრეფიქსის წინ იგი საერთოდ იკარგვის, რის გამოც I და II პირის ფორმები გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა), ხოლო ობიექტური პირის ნიშანთა მქონებლობისას უ — პრეფიქსის პოზიციაში წარმოდგენილია ი-. ამის გათვალისწინებით პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

	იმერული:	აჭარული:
I პირი:	შოუნახე (მე)/შემინახა	შუ ნახე/შომინახა
II პირი:	შოუნახე (შენ)/შეგინახა	შუ ნახე/შიგინახა
III პირი:	შოუნახა	შუ ნახა

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებიდან კონტაქტური მეზობლობისას ეუ
→ოუ →უუ →უ(ოდენ უ საფეხურზე) დამახასიათებელია თუ შურისათვის (თანამდევნი
ფონეტიკური ცვლილებების გამო აქაც ერთმანეთს ემთხვევა I და II პირის ფორმე-
ბი):

I პირი: შეუტანე → შუეტანე

II პირი: შეუტანე → შუეტანე

III პირი: შეუტანა → შუეტან.

და ასე: შეუჭამა → შუეტჭამ, შეუკიდეს → შუეტკიდეს...

დაჩნდება მიმდევრის უარყოფით ფორმებშიც: შეუდარებელი → შუეტდარებე-
ლად.

ნაწილობრივი ასიმილაცია თავს იჩენს ფერეიდნულში: შეუყარა → შოუყა-
რა // შოუყარა.

აღმოსავლური დიალექტების ერთ ნაწილში ე-უ → ო-უ დასტურდება თავი-
დურა პოზიციაში დისტანციური მეზობლობისას მაშინ, როცა უ/უ მეორადია, მი-
ღებული ვი კომპლექსის გარდაქმნის შედეგად.

მოხეური: შეგვიძლიან → შეგუძლიან → შოგუძლიან // შოგუძლიან, შეგვიდგა
→ შეგუდგა → შოგუდგა // შოგიდგა (პირველს ლაპარაკზედ ძალემ მაგრად
შოგიდგა); შდრ.: შაგიდგა; ანუ: მრავლობითი რიცხვის I და მხოლოდობითი რიცხვის
II ობიექტური პირის ფორმებს ზმნისწინის გახმოვანება განარჩევს (ფაქტი მეორე-
ულია, მაგრამ მორფონოლოგიური ტენდენციების თვალსაზრისით ლირსაცნობი).
ამდენად, მოხეურში მასიმილირებელმა მეორადმა ხმოვანმა შესაძლოა განიცადოს
დელაბალიზაცია (უ → ი) და პირის ფორმათა გარჩევა ზმნისწინის გახმოვანებას
ეკისრება. შევნიშნავთ: უ → ი ზემოხსენებულის გამო დასაშვებია მხოლოდ
ზმნისწინიან ფორმაში; ამიტომაც: შეგვიდგა → შოგუდგა // შოგიდგა, მაგრამ ოდენ:
გვიდგას → გუდგას // გუდგას (შდრ.: გიდგას; უ → ი გამოიწვევდა ორი სხვადასხვა
ფორმის დამთხვევას).

შენიშვნა: მოხეურში ფართოდ არის გავრცელებული შე – ზმნისწინის შა ..
ვარიანტი. ამის გამო არ გამოირიცხება, რომ ზემოხსენებულ ფორმე-
ბში ხდება არა ე-უ → ო-უ, არამედ ა-უ → ო-უ გადაბგერება (იხ.
ზემოთ: აუ → ოუ), თუმცა არსებითად აქ ერთი და იმავე პროცესის
ნაირსახეობებთან გვაქვს საქმე.

ინგილოური: გეტყვი → გეტყუ → გოტყუ ...

შენიშვნა: ინგილოურში შე .. → შო .. ცვლილებას იწვევს პირისნიშნისეული

ვ თანხმოვანიც, რომელიც, როგორც წესი, იკარგვის (შევინახე → შოხნახ, შეგვასხეს → შოგასხეს), ამიტომაც კვ — მორფემისეული ვ შესაძლოა უშუალოდ ზემოკმედ-ბდეს ზმნისწინისეულ ხმოვანზე (განსხვავებით მოხეურისაგან): შეგვიყვანეს → შოგიყონეს, თუმცა პარალელურად დაჩნდება შოგჷ ყონეს (ანუ: ვი → ჷ ცვლილების შედეგად მიღებული) ვარიანტიც.

ფერეიდნულში დასაშვებია სრული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებიც: შეგვიყვანა → შეგუყონა → შუგუყონა...

ოდენ ეუ → ოუ ნაწილობრივი რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია დაჩნდება ბოლოკიდურა პოზიციაში: ცოლ-ეურ-ი → ცოლ-ოურ-ი (ქვემოთაქული, ზემოთაქული), წლ-ეულ-ს → წრ-ოულ-ს, ბრაწეული → ბროწოული // ბერწოული (იმერული) კახიძე-ურ-ი → კახიძო-ურ-ი (დეჩხუმური), პეტრეს-ეულ-ი → პეტრეს-ოულ-ი (გურული).

შენიშვნა 1: თავიდან დასავლური დიალექტებიდან დადასტურებულია მხოლოდ რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში. რაც შეეხება აჭარულსა და იმერხეულს, აქ სხვაგვარი ვითარებაა ეუ → ეუ / ევ (იხ. აქვე, ქვემოთ). ერთგვარი თანაფარდობა იქმნება: ნაწილობრივი ასი-მილაცია როგორც თავიდან, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში (რა-ჭული, იმერული, ლეჩხუმური: შეუნახა → შოუნახა... ცოლეური → ცოლოური) და ამის საპირისპიროდ: სრული ასიმილაცია თავიდან პო-ზიციაში, მაგრამ პროგრესული დისიმილაცია ბოლოკიდურა პო-ზიციაში (აჭარული, იმერხეული: შეუნახა → შოუნახა → შუუნა-ხა/შჷნახა... დეკეული → დეკჷული).

შენიშვნა 2: ეო → ოუ ბოლოკიდურა პოზიციაში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს როგორც ერთი მორფემის ფარგლებში (ცოლ-ეურ-ი → ცოლ-ოურ-ი), ასევე მორფემათა ზღვარზე (კახიძე-ურ-ი → კახიძო-ურ-ი).

იშვიათად ეუ → ოუ შეინიშნება ფუძის ფარგლებშიც: აბეური → აპოური (რაჭული, იმერული, ლეჩხუმური). რაჭული დიალექტის გლობალურ კილოკავში ბრუ-ნებისას უ → ვ დაჩნდება რედუქცია: აპოვრ-ად, გლობალურშივე დამოწმებულია აპუარ-ი ნაირსახეობაც (მრავლობითი: აპუვრ-ებ-ი). სავარაუდოა აბეური → აპაური → მეტათეზისით: აპუარი (იხ. ქვემოთ). არ გამოირიცხება პ წყვილბაგისმიერი თანხ-მოვნის ზეგავლენაც.

როგორც აღინიშნა, აჭარულსა და იმერხეულში (ბოლოკიდურა პოზიციაში) დაჩნდება ეუ → ეჟ პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე (ეუ კომპლექსი შესაძლოა იყოს მეორეული, მიღებული ვ-ს ჩავარდნით: ევე → ეუ → ეჟ); დეკეული → დეკეული/დეკევი, გამზეურება → გამზეურება/გამზევრება... დატეული → დატეული → დატეული/დატევი, არჩეული → არჩეული → არჩეული/არჩევი. ეუ — ეჟ/ეგ განხორციელებულია იმავე პირობებში, რაც აუ → აჟ/ავ ცვლილებისა და დადასტურეთ (იხ. აქვე, ზემოთ).

ეუ → ოუ → უუ → უ, აგრეთვე ეუ → ეჟ/ეგ იმ რიგის ფონეტიკური პროცესებია, რომლებიც შესაბამის დიალექტებში (მეტ-ნაკლები) სისტემატურაობით ხასიათდებიან.

ამასთანავე დადასტურებულია ეუ კომპლექსის იმგვარი ცვლილება, რომელიც მხოლოდ ცალკეულ ფორმებს ახასიათებს (თუმცა შესაძლოა რამდენიმე დიალექტში იჩინოს თავი).

თაკვიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე:

ეუ → ეე → * ე → ე პროგრესული ასიმილაციითა და (სავარაუდოა) გრძელი ხმოვნის გამარტივებით: ე-უბნება-ა → ე-ებნება-ა//ე-ებნევა-ა → ებნება // ებნევა (სამხრეთ ქართლური).

ეუ → ეო აწეულობის მიხედვით პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ე-უბნება → ე-ობნება; და ასე: გ-ე-უბნება → გ-ე-ობნება, მ-ე-უბნება → მ-ე-ობნება (ფშაური, თუშური...); შდრ. ზემოიქრული: ეუბნება → ოუბნება რეგრესული ასიმილაციით (იხ. ზემოთ მონაკვეთი ეუ → ოუ მონაცვლეობის შესახებ). ამავე დიალექტებში, სადაც დადასტურებულია ეუ → ეო პროცესი, დაჩნდება აგრეთვე აუ → აო: საუბარი → საობარი (იხ. ზემოთ). ამდენად, როგორც აუ → აო, ასევე ეუ → ეო ერთი და იმავე ტენდენციის კერძო გამოვლინებანია.

ბოლოკიდურა პოზიციასა და აგრეთვე ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში იშვიათად შეინიშნება რეგრესული დისიმილაციის (ეუ → აუ) შედეგი, რაც ე ხმოვნის გაფართოვებით ვლინდება: უზნე-ურ-ი → უზნა-ურ-ი (გურული), ანეული → ანაული, აქეური → აპაური (მთიულური...); შდრ.: კინტო-ურ-ი → კინტა-ურ-ი. როგორც ჩანს, გლოლურში დამოწმებული აპაურ-ი ფორმა აუ → აუა მეტათეზისის საფუძველზეა მიღებული (აქეური → აპაური → აპაური), ხოლო მრავლობითში გამოყენებული აპოვრ-ებ-ი უნდა იყოს კონტამინირებული ვარიანტი აპაურ-ი და (აპაურ-ი →) აპოვრ-ებ-ი ფორმებისა.

შენიშვნა: ე-უ → ა-უ დადასტურდა დისტანციური მეზობლობის შემთხვევაშიც:
ბებუთი → ბაბუთი (ჯავახური), თუმცა აქ არც ბ თანხმოვნის მადისი-
მიღწერებელი გავლენა გამოირიცხება.

ეს კომპლექსი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იძლევა ორ ფონეტიკურ ნაირსახეობასაც: ანეული → ანიული (ქართლური, ჯავახური, ლეჩხუმური). ასე რომ, ანეულ-ი ფორმას დიალექტების მიხედვით ორი ფონეტიკური ვარიანტი მოეპოვება, მიღებული ურთიერთსაპირისპირო პროცესების (ასიმილაციისა და დისიმილაციის) საფუძველზე: ანიულ-ი (ასიმილაცია აწეულობის მიხედვით) და ანაულ-ი (დისიმილაცია აწეულობის მიხედვით).

* * *

გ) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი ი ხმოვანია.

ია → 1. მა (მიართვა → მართვა); 2. იე (ნიაეი → ნიეეი); 3. ე-ა (ქისა → ქესა).

იე → 1. მე (მიეტანა → მმეტანა); 2. ია (ნიქიერი → ნიქიარი); 3. ეე (მიეცა → მმეცა);

4. იამი (ვაჰმიე → ვაჰმი → ვჰმი).

იი → 1. იმ (იქით „იქიდან“ → იქიმ); 2. ლ (წაილ რ - წვილ რ - წოლო - წი ყუბ); 3. ე-ი (მილიცია → მელიცია).

იო → 1. მ ო (ლობიო → ლობ ო); 2. ე-ო (ქილოზი → ქელოზი); 3. იე (წერდილი → წერდილი).

იუ → იუ (მიუტანა → მუუტანა) - უ (მუუტანა → მუტანა) → უ (მტანა → მუტანა).

* * *

ია კომპლექსის ცვლილებანი.

ია → ია რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის საფუძველზე დაჩნდება როგორც მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებში. სისტემებზე გვხვდება აქარულში; შეინიშნება სხვა დიალექტებშიც (იმერულში...).

თავკიდურა პოზიცია: იალონი → იალონი, ყიამეთი → ყამეთი... ვ-ი-არ-ებ-ი → ვ-მ-არ-ებ-ი, მი-ა-ქეს-ამ-ა-ქ... (აქარული); ზოგ შემთხვევაში მ შესაძლოა ნასესხებ სიტყვას იყოს შემოყოლილი... მი-ა-რთვ-ა → მ-ა-რთვ-ა (იმერული). ამ წესით იცვლება მეორადი ია კომპლექსიც: შეატყო → შიატყო → შმატყო (აქარული), შეაჭრა → შიაჭრა → შმაჭრა, შეახმა → შიახმა → შმახმა (იმერული დიალექტის ოკრიბული თქმა).

ბალოკიდურა პოზიცია: დუნია → დუნმა; ულვაშ-იან-ი → ულვაშ-მან-ი, მის-

იან-ი → მის-მან, ი, ძალ-იან → ძალ-მან // ძან-მალ, მ-წოლ-იარ-ე → წოლ-მარ-ე, შემო-გ-ე-სევ-ი-ან → შემო-გ-ე-სევ-მ-ან (აჭარული); ჩივ-ი-ან → ჩივ-მ-ან (იმერზე-ული); იცვლება მეორადი ია კომპლექსიც: ა-ყურ-ებ-ინ-ა → ა-ყურ-ებ-ი-ა → ა-ყურ-ებ-მ-ა, და-უ-ღერ-ი-ა → დუ-უ-ღერ-ი-ა → დუ-ღერ-მ-ა „დაუღერა, მოუღერა“, დღე არის → დღე-ა → დღი-ა → დღმ-ა (აჭარული). ი → მ დაჩნდება ინტერვოკალურ პოზიციაშიც: გაიარს → გემაარს (აჭარული) → საგარაუდოა ორმხრივი შემოქმედება: აი → ეი → ემ (შდრ.: წაილო → წემლო), ერთი მხრივ, და ია → მა I, შდრ.: მიაქვს → მმაქ, მეორე მხრივ.

შენიშვნა: მა კომპლექსი დაჩნდება ა ხმოვნის იოტიზებული შემართვის დროსაც: მაგრ „აგრე“, მასთაყნ „ასეთი“ (თუ შური). რა თქმა უნდა, ამ მოვლენას არაფერი აქვს საერთო ზემოხსენებულ პროცესთან.

ია → იე პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე შედარებით იშვიათ ფონეტიკურ ცვლილებათა რიგს განეკუთვნება, მაგრამ თავს იჩენს როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში: ძალიან → ძალიენ, ტიალი → ტიელი, ხასიათი → ხასიეთი (ქართლურში), ნიავი → ნიევი, ციაგი → ციეგი (ჭვემოიმერული). ამავე პროცესის შედეგად მიიჩნევა: ტირ-ი-ან → ტირ-ი-ენ, თლ-ი-ან → თლ-ი-ენ... ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს ჭვემოიმერულსა და ზემოგურულში, შეინიშნება რაჭულსა და ლეჩხუმურში (ყ. კუბლაშვილი), თუმცა აქ არ გამოირიყება მრავლობითი რიცხვის ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციაც (შდრ.: წერ-ენ, თლ-ი-ენ, ჩან-ენ — ყველა შემთხვევაშიც დაჩნდება → ენ მორფემა). ია → იე სპორადულად შეგვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებშიც. მაგალითად, ამის ნიმუშად შეიძლება დავასახლოთ: ნიადაგა → ნიადეგ (დადასტურებულია მთიულურ-გულდამაყრულში როგორც ა-ა → ა-ე გადაბგერების შედეგი; იხ. აქვე, ზემოთ მონაკვეთი ა-ა → ა-ე ცვლილების შესახებ) ნიაღე (ხეცსურული) → ნიედეგა (მოხეური) „რასაკვირველია, რა თქმა უნდა“.

შეინიშნება ენკლოტიკის შემთხვევაშიც: აი აქ → აი-ექ → იექ // მექ, აი ამ → აი-ემ → იემ // მეემ; შდრ.: აი ეს → იეს // მეს, აი ეგ → იეგ // მეგ (მოხეური).

ი-ა → ი-ე დაჩნდება აგრეთვე როგორც პროგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგი: კომისარ-ი → კომისერ-ი (ზემოიმერული). ხმოვანთა ეგვივე მიმართება რეგრესული ასიმილაციითაც იცვლება: ი-ა → ე-ა (ქისა → აჭარული, ჭაიხური; ქისა).

შენიშვნა 1: დიალექტებში დაჩნდება ია → იე პროცესის საპირისპირო ცვლილება: იე → ია (ნიჭიერი → ფშაური; ნიჭიარი; იხ. აქვე, ჭვემოთ).

შენიშვნა 2: ზოგ დიალექტში ია კომპლექსის პოზიციაში წარმოდგენილია აა: თავაანთი „თავიანთი“ (ქართლური). აქ საქმე მორფოლოგიურ დონეზე ანალოგიასთან უნდა გვექონდეს (შდრ.: ოთარაანთი, ტუხაანთი) და არა ფონეტიკურ ცვლილებასთან.

შენიშვნა 3: მრავლობით რიცხვში ტიალ-ი/ტიელ-ი იძლევა ტიელ-ებ-ი ფორმას; შდრ.: ღონიერ-ი → ღონივრ-ებ-ი, სადაც * -ივ-ერ → ი-ერ // -ივ-რ (არნ. ჩიქობავა). ტიელ-ებ-ი ფორმაშიც, არ გამოირიცხება, რომ ინტერვოკალურ პოზიციაში გაუჩინარებულ იყოს აღდგენილი.

შენიშვნა 4: ზოგ დასავლურ დიალექტში (გურულში, აჭარულში...) ია კომპლექსის პოზიციაში შეინიშნება უა/ჟა: ატრიალებს → ატრუალეფს (გურულში)/ატრჟალეფს (აჭარული), ბრიალი → ბრუალი; შდრ.: ბრუ, ბრუნ-ავ-ს; სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ფორმათა ანალოგიით ხდებოდა ზემოხსენებული გადაბგერება: როგორც წესი, დაჩნდება ზშუღი + რ სონანტი თანხმოვანთკომპლექსის მომდევნოდ (ტრ, ბრ...).



იე კომპლექსის ფონეტიკური ნაირსახეობანი.

იე → მე რეგრესული დისიმილაციის გზით დაჩნდება იმავე დიალექტებში, სადაც დამოწმებულია ია → ია (იხ. აქვე, ზემოთ).

თავკიდურა პოზიცია: იელი → ელი; ბოლოკიდურა პოზიცია: გემრიელი → გემრელი // გემელი (აჭარული).

ცვლილება დაჩნდება მეორად იე კომპლექსშიც: აე → ეე → იე → მე (გაეტანა → გამეტანა, ყანაები -- ყანაები), ეე → აე → მე (შენაბა → შამენაბა, ციხეები → ციხაები), ოე → ეე → იე → მე (მონაბა → მამენაბა, ორმოები → ორამები); იხ. მონაკვეთები აე, ეე და ოე კომპლექსთა ცვლილებათა შესახებ. იე კომპლექსი შესაძლოა მიღებული იყოს თანხმოვნის ჩავარდნის შედეგად: გა-ა-რბ-ენ-ენ-ებ-ს → გა-ა-რბ-ენ-ი-ეფ-ს → გა-რბ-ენ-ი-ეფ-ს, და-უ-ღერ-ი-ებ-ს → დუ-უ-ღერ-ი-ეფ-ს → დუ-ღერ-ი-ეფ-ს „დაუღერებს, მოუღერებს“. ნიმუშები დასახელებულია აჭარული დიალექტიდან.

შენიშვნა: დიალექტებში გვხვდება ე ხმოვნის იოტიზებული შემართვაც: ეკალი → ეეკალი (მოხეური), ეუბნება → ეეუბნება (მესხური), ერთი → ეერთი (იმერული)... მსგავსება იე - ეე პროცესის შედეგთან შემთხვევითია.

ეი კომპლექსი შესაძლოა იცვალოს პროგრესული დისიმილაციის საფუძველზეც (იე → ია): ძლ-იერ → ძრ-იალ (ხდება მეტათეზისი: ლ-რ → რ-ლ), ნიჟ-იერ-ი → ნიჟ-იარ-ი (ფშაური), გონ-იერ-ი → გონ-იარ-ი, იესო → იასო, მიეც(ი) → მიაც (მთიულური)...

ეს პროცესი თავს იჩენს ხმოვანთა დისტანციური ურთიერთმიმართების დრო-საც: კიდევ → კიდავ (მოხუერი).

იე → ია უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი (უფრო ხშირია მთის დიალექტებში).

იე კომპლექსის ცვლილება ხდება სრული რეგრესული ასიმილაციითაც: მიეცა → მეცა; მიელო → მეელო, მიეშველა → მეეშველა, მიეწია → მეეწია, მიეგება → მეეგება („უნდა მეეცა მისთვის“, „უნდოდა მეფეს მეელო ვეზირი“, „მეესალმენ ერთმანეთს“). გარეგნულად ემთხვევა იე → ეე პროცესის შედეგს (იხ. ქვემოთ). დადასტურებულია სისტემებზე ქვემოთმოწერილში (ყ. კუბლაშვილი), კახურში (ა. მარტიროსოვი — გ. იმნაიშვილი), ინგილოურში (გ. იმნაიშვილი), ცვლილებას ვერ აბრკოლებს ვ — პირის ნიშანი: მიჰვპარე → მეეჰვპარე (ქართლური), მიეცეი → მეეცეც // მიწეც (ინგილოური)...

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში — ეე სუფიქსიან ზმნათა აორისტიის I და II პირის ფორმებში ბოლოკიდურა პოზიციაში ზოგჯერ შეინიშნება იე →

იე → იი (პროგრესული ასიმილაციით) → ი : ვ-ა-ჰმ-ეე (აწმყო) → ვ-ა-ჰმ-იე-ე (აორისტი) → ვ-ა-ჰმ-იე → *ვ-ა-ჰმ-ი-ი → ვ-ა-ჰმ-ი , ა-ჰმ-ეე → ა-ჰმ-იე-ე → ... ა-ჰმ-ი , და ასე: დავანგრჩ , დაანგრჩ , დავაბზჩ , დააბზჩ (თ. უთურგაიძე).

* * *

იი კომპლექსის ცვლილებანი

თავკიდურა პოზიციაში კონტაქტური მეზობლობისას პირველადი იი დაჩნდება მი — ზმნისწინისა და ზმნური ი — პრეფიქსის შეხვედრისას: მი-ი-ფარ-ებ-ს, მი-ი-პარ-ებ-ა. თუ შურში ამ შემთხვევებში არ ხდება გრძელ ხმოვნად შერწყმის სავარაუდო პროცესი: მიიჩნევა, რომ თუ შურში მი — ზმნისწინი სალტერატურო ქართულის გაგლენით დამკვიდრდა და ამ დიალექტისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ გარდაქმნას აღარ დაეჭვებდებარა (თ. უთურგაიძე).

შენიშვნა: ზემოხსენებულის საპირისპიროდ, თუ შურში, როგორც წესი, ხდება მეორადი იი კომპლექსის შერწყმა გრძელ ხმოვნად: მაიფარებს → მიეფარებს → მიიფარებს → მიც ფარებს, გაიჭრა → გეიჭრა → გიიჭრა → გიც ჰრ, შეირთო → შიირთო → შიოც რთუ . სპორადულად ეს

პროცესი დაჩნდება იმერული დიალექტის სამტრედიულ თქმაშიც:
დაიჭირა → დეიჭირა → დიიჭირა → დიჭირა.

შენიშნება შემთხვევები, როცა კონტაქტური მეზობლობის დროს გვაქვს იი → იმ: იჭი-ით-ი „იჭიდან“ → იჭიმით (ინგილოური). ანალოგიურ შედეგს ვადასტურებთ აგრეთვე მეორად იი კომპლექსში, რომელიც მიღებულია თანხმოვნის ჩავარდნით: ისი/იგი → იი → იმ (ინგილოური).

შენიშვნა: იმ ვარიანტი დაჩნდება აგრეთვე როგორც სულ სხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგი: ის — იმ (მისდევს → მიმდევს), იპ → იმ (მიპყვება → მიმყვება), იზ → იმ (იზრდება — იმრდება// იმდება)... დამოწმებულია ქართლურში, კახურში...

იშვითად გვხვდება ი-ი → ე-ი დისტანციური დისიმილაციის საფუძველზე: მილიცია → მელიცია (ჭავახური).

* * *

იო კომპლექსის ცვლილებანი.

რეგრესული კონტაქტური დისიმილაციით შეიძლება იცვალოს როგორც პირველადი, ასევე მეორადი იო კომპლექსი (ვლინდება დიფთონგიზაციის ტენდენცია): ლობიო → ლობმო (აჭარული: „სახლი(ს) კისერ ლობმო დავრგე“)... მეორე → მიორე → აჭარული: მორე...

ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ მორფემათა ზღვარზე: კაც-ი-ო → კაცივ, წერდილიო → წერდილივ „წერდი ხოლმეო“ (ხევსურული, თუშური...).

იმედროულად იო შეიძლება გაითიშოს ე თანხმოვნით: კი-ო → კივო (აჭარული, გურული...).

ი-ო იცვლება დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც — დაჩნდება რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია (ი-ო → ე-ო): ჭილობი → ჭელობი (ქართლური), ნიგოზი → ნეგოზი (ჭავახური).

* * *

იუ კომპლექსის ცვლილებანი.

იუ კომპლექსი სისტემებრ დამოწმებულია მი... ზმნისწინისა და ზმნური უ—პრეფიქსის შეხვედრისას: მი-უ-ტან-ა, მოუგზავნა, მოუბრუნდა, მოუცია...

იუ, როგორც წესი, იცვლება სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (იუ → უუ): მოუტანა → მუუტანა, მოუგზავნა → მუუგზავნა, მოუცია →

მუეცია... დაჩნდება როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში. გამო-
ნაკლისს ქმნის რამდენიმე დიალექტი თუ კილოკავი, სადაც არ შეინიშნება ეს
პროცესი (ხეცსურული, ფშაური, თუშური, ინგილოური).

შენიშვნა 1: მესხურში, დასავლურ დიალექტთაგან აჭარულში, გურულში, ქვე-
მოიმერულის ზოგიერთ რეგიონში უუ შეიძლება იყოს როგორც იუ
→ უუ (მოუმატა → მუუმატა), ასევე ოუ → უუ (მოუხდა → მუუხდა)
ცვლილების შედეგი. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (ქა-
რთლურში, კახურში, მოხურში, მთიულურ-გუდამაყურულში) დაჩ-
ნდება მხოლოდ იუ → უუ. ამ პოზიციაში თუშურში უუ შედეგია ოდენ
აუ, ეუ ან ოუ (უფრო სავარაუდოა აქაც აუ) კომპლექსების ცვლილე-
ბისა: ჩაუყრია → ჩუყრი, შეუქამა (არ გამოირიცხება: შაუქამა →
შეუქამ, მოუკიდა (მაუკიდა) → მუჟიდ. როგორც ზემოთ აღინიშნა,
მი — ზმნისწინი თუშურში, ჩანს, გვიან დამკვიდრდა და ამ დიალექ-
ტისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ ცვლილებებს, როგორც წყე-
სი, არ ექვემდებარება.

შენიშვნა 2: ზემოხსენებული სხვაობა აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში
შეიძლება აიხსნას ზოგადი კანონზომიერების საფუძველზე. კერძოდ,
როგორც ითქვა (იხ. აქვე, ზემოთ: 2.11.), აღმოსავლური დიალექტები-
სათვის რეგრესული მიმართულებისას დამახასიათებელია ერთსაფე-
ხურიანი სრული ასიმილაცია, რისი ნიმუშიცაა იუ → უუ (დამსგავსება
ლაბიალიზაციის ნიშნის მიხედვით). რაც შეეხება ოუ → უუ ცვლილე-
ბას, არსებითად აქაც ამავე პრინციპის მოქმედება დაჩნდება, მაგრამ
საქმე ისაა, რომ ამ პოზიციაში აღმოსავლურ დიალექტებში, ჩვეულებ-
რვით, მო — ზმნისწინის მა — ვარიანტია წარმოდგენილი (ხშირად
მო — ვარიანტის პარალელურად). ასე რომ, აქ მაინც აუ კომპლექსი
გვაქვს, რომლის გარდაქმნა უუ ფონეტიკურ ნაირსახეობად ცვლილე-
ბის ორ საფეხურს ვარაუდობს (აუ → ოუ → უუ). ეს კი აღმოსავლური
დიალექტებისთვის დამახასიათებელი არ არის.

მი — ზმნისწინი მხოლოდ III პირის მიმართ გამოიყენება, I და II პირებისადმი
მიმართული მოქმედება მო-/მა — ზმნისწინით აღინიშნება: მი-ვ-უ-ტან-ე, მი-უ-
ტან-ე, მი-უ-ტან-ა, მაგრამ: მო-მ-ი-ტან-ა, მო-გ-ი-ტან-ა. ამის კვალობაზე, უღვე-
ლილების პარადიგმა განსხვავებულ ფონეტიკურ ნაირსახეობებს გვიჩვენებს სუბიე-
ქტური და ობიექტური წყობის შესაბამისად:

პირი \ წყობა	სუბიექტური წყობა	ობიექტური წყობა	
		გურული	ზემოიმერული
I პირი	მ-უ-ტანე	მომიტანა	მამიტანა
II პირი	მ-უ-ტანე	მოგიტანა	მოგიტანა
III პირი	მ-უ-ტანა	მ-უ-ტანა	მ-უ-ტანა

შენიშვნა: I სუბიექტური პირის ე — ნიშანი უ — პრეფიქსის წინ იკარგვის (მი-ე-უ-ტან-ე → მი-უ-ტან-ე), ამიტომაც I და II პირის ფორმები გარეგნულად ერთნაირია: მი-უ-ტან-ე → მი-უ-ტან-ე). იუ ამ პარადიგმაში საერთოა ყველა იმ დიალექტისათვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეს პროცესი. რაც შეეხება ობიექტური წყობის პარადიგმას, ზემოიმერულში მა-მ-ი-ტან-ა „მომიტანა“ ფორმაში ო → ა იხსნება ლაბიალურ თანხმოვანთა მ-მ — პოზიციაში ლაბიალური ო ხმოვნის დელაბიალიზაციით დისიმილაციის საფუძველზე (კ. კუბლაშვილი, ქ. ძოწენიძე).

იუ → იუ პროცესი სრულდება იდენტურ ხმოვანთა გრძელ ხმოვანად შერწყმით, რომელიც აპარულ დიალექტშია დამოწმებული: მიუშვირა → მიუშვირა → მიშვირა. იმერხელში ამავე პოზიციაში ზოგჯერ დაჩნდება მარტივი უ: მიუტანა → მიუტანა → მიტანა („აგი საყვარელ მიტანე“).

ი-უ → უ-უ შეიძლება განხორციელდეს დისტანციური ასიმილაციის საფუძველზეც: კი ნუ → ენკლიტიკით: კუ-ნუ (ქვემოიმერული).

სრულ რეგრესულ ასიმილაციას იწვევს მეორადი უ/ჟ ხმოვანიც, როგორც წესი, დისტანციური ურთიერთმიმართების დროს: წისჭვილი → წისქული → წესქულ-ლი // წუსქული // წვისჭვილი, სირცხვილი → სირცხული → სურცხული // სურცხული (მოხეური), წისჭვილი → წისქული → წესქული → ცუცქულ, სირცხვილი → სირცხული → სურცხული (ინგილოური).

* * *

დ) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი ო ხმოვანია.

ოა → I. უა (მოახერხა → მუახერხა, აძოვა → აძოა → აძუა) → ჟა (მუახერხა → მუახერხა); უა საფეხურს სხვაგვარი გაგრძელება აქვს: უა → ვია (აძუა → აძვია); 2. ო-ე (პოვარი „მზარეული“ → პოვერი); 3. ო-ო (დოლაბი → დოლობი).

ოე → I. ეე (მოეტანა → მეეტანა) → ე (მეეტანა → მე ტანა); ამავე საფეხურზე დაჩნდება სხვა გაგრძელება: ეე → იე (მეეტანა → მიეტანა) → იე (მიეტანა → მიეტანა);

2. უე (მოეტანა → მუეტანა, აძოვე → აძოე → აძუე) → უე (აძუე → აძუე); უე საფეხურს აქვს სხვაგვარი გაგრძელება: უე → ვიე (აძუე → აძვიე); 3. ოო (დროება → დროობა); 4. ო-ა (ფოცხვერი → ფოცხვარი); 5. ოვე (პოეტი → პოვეტი); 6. ვეე (ტაროები → ტარვეები).

ოი → I. ეი (მოიტანა → მეიტანა) → ემ (მეიტანა → მემეტანა); აგრეთვე: ე-ი → ე (მოვიტანე → მევიტანე → მევეტანე); ეი საფეხურს აქვს სხვაგვარი გაგრძელება: ეი → იი (გამეიტანა → გამეიტანა) → იი (გამეიტანა → გამეიტანა); 2. ომ (მოვიტან → მოვიტან → მომეტან, მოისპო → მომსპო // მემსპო; ხბოი → ხფოი); 3. ო-ო (ყოყიყი → ყოყიყი).

ოო → I. აო (სათითოო → სათითაო); 2. ო-ე (ფოთოლი → ფოთელი); 3. უ-უ (ოლონდ → ულონდ); 4. ოვო (იყოო → იყოვო). შეენიშნავთ: ცვლილებას განიცდის მეორადი ოო კომპლექსიც, კერძოდ, ეო → ოო → ო (მეორე → მოორე → მორე); ან. ოვო → ოო → ო (იპოვოს → იპოოს → იპოს; თხოვოს → თხოოს → თხოს); დაჩნდება სხვა სახის პროცესიც: ოვო → ოო → უო (თხოვოს → თხოოს → თხუოს) → უო/ვიო (თხუოს → თხუოს/თხვიოს).

ოუ → I. უუ (მოუტანა → მუუტანა) → უ (მუუტანა → მუტანა); 2. აუ (ინდოური → ინდაური).

* * *

ოა კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები

ოა → უა რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური დიალექტებისათვის.

ცვლილება ხდება როგორც თავიკიდურა (მოახერხა → მუახერხა, მოაქვს → მუაქვს // მუაქ, გამოაღვიძა → გამუაღვიძა, მოახლე → მუახლე), ასევე ბოლოკიდურა (ვანოა → ვანუა, უქუდოა → უქუდუა, საჭიროა → საჭირუა) პოზიციებში.

ხშირად ოი მიღებულია ოვა კომპლექსის გამართივებით (იკარავის ვ თანხმოვანი): მოვახერხე → მოახერხე → მუახერხე, ჩამოვა(ლს) → ჩამოა- ჩამუა... ძალოვანი → ძალოანი → ძალოანი... ვ შეიძლება იყოს I სუბიექტური პირის ნიშანი (გამოვაღვიძე → გამოაღვიძე → გამუაღვიძე), აგრეთვე ფუძისეული (მოვა → მოა → მუა, ჩამოვარდნილა → ჩამოარდნილა → ჩამუარდნილა... ათხოვა → ათხოა → ათხუა...) ან მორფემის-შემადგენელი (ძალ-ოვანი-ი → ძალოანი → ძალოანი) თანხმოვანი.

ზოგჯერ მეორადი ოა შესაძლოა მიღებული იყოს მ თანხმოვნის ჩავარდნითაც.

ჩვეულებრივ, ამგვარი ფორმები დამოწმებულია ენკლიტიკის დროს: რომ არის → რო-არის → როა → რუა, რომ აბამ → რო-აბამ → რუ-აბამ, ხომ არ → ხო-არ → ხუ-არ, ხომ არის → ხო-მაა → ხოა → ხუა...

რეგრესული დისიმილაციით ოა → უა ცვლილების პრინციპი ზოგადად ყველა დიალექტში საერთოა, მაგრამ დიალექტების მიხედვით განსხვავდება კონკრეტული ფორმები. მაგალითად, მოვა → მოა → მუა (ასევე: ჩამოვა → ჩამუა, გამოვა → გამუა...) დადასტურებულია როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში, მაგრამ ვანოა → ვანუა, ძალოა → ძალუა უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (ქართლურში, კახურში, მთიულურში) დაჩნდება; ხოლო მო-გვ-ხედ-ა-ო-ა? (სადაც ბოლოკიდურა → ო სხვათა სიტყვის ნაწილაკია, ხოლო მომდევნო → ა კი → კითხვითობის მორფემოიდი) → მო-გვ-ხედ-ა-უ-ა? ტიპის ფორმებში ოა → უა დამახასიათებელია იმ დიალექტებისათვის, სადაც კითხვითობის ნაწილაკ-მორფემოიდი დღესაც ფუნქციონირებს: ფშაურისათვის (იხ. ზემოდასახელებული ფორმა), მთიულურისათვის (პირაჭრელი-ო-ა? → პირაჭრელი-უ-ა?), ინგილოურისათვის (უნდ-ა-ო-ა? → უნდ-ა-უ-ა?).

ამდენად, კონკრეტული (კერძო) ფორმების თვალსაზრისით სხვაობა გამოწვეულია არა საკუთრივ ფონეტიკური ფაქტორით, არამედ ამა თუ იმ ფორმით ... თუ სიტყვათწარმოების დიალექტური თავისებურებით. თუკი შესაბამისი პოზიცია შეიქმნა, ოა → უა დისიმილაციას დიალექტების მიხედვით დაბრკოლება არ ახლავს. მაგალითად, რაჭულში დადასტურდა ლაღოა → ლადუა, ლეჩხუმურში ტრეღოა → ტრედუა (სოკოს სახელია), მაგრამ არ შეინიშნება ძაღოა → ძალუა, თუმცა ცვლილების პრინციპი ორივე შემთხვევაში იდენტურია. ასევე: ძაღოვანი → ძაღოანი → ძალუანი უპირატესად დასავლურ დიალექტებში გვხვდება, რადგან სწორედ აქ არის გავრცელებული ძაღ-ფუძისაგან → ოვან სუფიქსური წარმოება (შდრ.: ძაღოანი // ძაღმანი // ძაღანი, როცა წარმოება → იან სუფიქსით ხდება). იმავდროულად, გელოვანი → გელოანი → გელუანი, ფხლოვანი → ფხლოანი → ფხლუანი დასავლურ დიალექტთაგან დასტურდება იქ (მაგალითად, რაჭულში), სადაც ეს პატრონიმი (გელოვანი) ან კერძი (ფხლოვანი) არის გავრცელებული.

ამასთანავე დიალექტების მიხედვით ოა → უა ფონეტიკური პროცესის რეგულირებას შესაძლოა ახდენდეს მორფოლოგიური ფაქტორი.

მაგალითად, ფშაურში მო. ... ზმინისწინისა და ზმნური ა ... პრეფიქსის შეხვედრისას ოა → უა ცვლილება უფრო ხშირად მაშინ იჩენს თავს, როცა ოა ← ოვა; ამის

გამოიწმინდა პარადიგმა შესაძლოა ამ სახით იყოს წარმოდგენილი:

I პირი: მო-ვ-ა-ვლ-ე → მოავლე → მუავლე

II პირი: მა-ა-ვლ-ე

III პირი: მა-ა-ვლ-ო...

იმერულში ოა → უა, ჩვეულებრივ, I და III პირის ფორმებში შეინიშნება (II პირის ფორმაში მო - არის შენარჩუნებული):

I პირი: მო-ვ-ა-ხერხ-ე → მოახერხე → მუახერხე

II პირი: მო-ა-ხერხ-ე

III პირი: მო-ა-ხერხ-ა → მუახერხა

თავის მხრივ, ფონეტიკურად ცვლილი და უცვლელი ვარიანტების ამგვარმა განაწილებამ შესაძლებელი გახადა განსხვავებულოცო I და II პირის ფორმები (III პირის ფორმისათვის ამის საჭიროება არ არის, რადგან მას ...ა პირის ნიშანი გამოარჩევს დანარჩენ ფორმათაგან). შევნიშნავთ: ოა → უა არ გამოირიცხება II პირის ფორმაში (და ეს ფაქტობრივ დასტურდება კიდევ), მაგრამ განსხვავების შენარჩუნების ტენდენცია უფრო ხშირად თვალნათლივ იჩენს თავს.

ამდენად, ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტორების თანაარსებობამ (თუ შეიძლება ასე ითქვას, სიმბიოზმა) ღირსსაცნობი შედეგი მოგვცა:

ჯერ ერთი, ზემოხსენებულ დიალექტებში I და II პირის ფორმათა განსხვავება (გარჩევა) დაჩნდა არა მორფოლოგიური, არამედ ფონეტიკური პრინციპის საფუძველზე:

გარდა ამისა, თვით ფონეტიკური ფაქტორიც სხვადასხვაგვარად იქნა გამოყენებული: გარჩევა მოხდა ერთ შემთხვევაში მო-... → // მუ-... და მა-... ვარიანტების საშუალებით, მეორე შემთხვევაში მო-... → // მუ-... და საკუთრივ მო-... ნიარსახეობათა საფუძველზე (მოავლე // მუავლე — მაავლე და: მუახერხე -- მოახერხე). რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება ვ-... პირის ნიშნის ფონეტიკური ზეგავლენაც, რაც სხვა შემთხვევებშიც არის შენიშნული; მაგალითად, აღმოსავლურ დიალექტებში: მო-ვ-ი-ტან-ე → მო-ი-ტან-ე (მე), მაგრამ: მა-ი-ტან-ე (შენ); მო ვარიანტის (ყრძოდ, ო-გახმოვანების) შენარჩუნებას განაპირობებს ვ პირის ნიშნის დაკარგვა; როგორც ჩანს, საკომპენსაციო საშუალებაა, რომელმაც შემდგომ მორფოლოგიური დანიშნულებაც შეიძინა.

ოა → უა პროცესს ორგვარი გაგრძელება აქვს.

ერთ შემთხვევაში კიდევ უფრო ღრმავდება რეგრესული დისიმილაცია: მოაფხიზლა → მუაფხიზლა → მუაფხიზლა, მოასულოერა → მუასურაჟლა (თან ახლავს

მეტათეზისი) → მწასურჩიელა; გამოაცხადა → გამჟაცხადა → გამჟ აცხადა, შემოარიგა → შამჟარიგა → შამჟარიგა; ამოვაჩინე → ამოაჩინე (ვ-ს დაკარგვით) → ამჟაჩინე → ამჟაჩინე... ეზოა → ეზუა → ეზჟა, ახლოა → ახლუა → ახლჟა, ორშოა → ორშუა → ორშჟა; ათხოვა → ათხოა → ათხუა → ათხჟა... სისტემებრ ეს მოვლენა დაჩინდება აჭარულში (ზემოდასახელებული ნიმუშები ამ დიალექტის კუთვნილებაა). სპორადულად შეინიშნება დასავლეთ საქართველოს სხვა დიალექტებშიც: ჩამოაღებინა — ჩამჟაღებინა → ჩამჟაღებინა; გამოვარდა → გამოარდა → გამჟარდა → გამჟარდა (ლუჩხუმური) და მისთ. თავს იჩენს ენკლიტიკის დროსაც: ხომ არაფერი → ხო-არა-ფერი → ხუ-არაფერი → ხჟ -არაფერი / ხვ-არაფერი (იმერული, გურული...).

შენიშვნა 1: იმ დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში...), სადაც მო — ზმნისწინის ნაცვლად, როგორც წესი, გამოიყენება მა — ვარიანტი, ბუნებრივია, ზემოხსენებული ფონეტიკური პროცესი არ დაჩინდება. ამიტომაცაა, რომ, მაგალითად, თუშურში დამოწმებულაა: მა-ა-გონდ-ა → მჟგონდ (და არა: მუაგონდ), მა-ა-სხ-ნ-ეს → მჟსხხეს (და არა: მუასხხეს), მა-ა-რტყამ-დ-ა → მჟრტყამდ (და არა: მუარტყამდ). ამ პროზოიკაში მა — შესაძლოა შეგვეხედეს იმ აღმოსავლურ დიალექტებშიც (ქართლურში, კახურში...), რომლებსთვისაც დამახასიათებელია მო — ზმნისწინის მქონებლობაც. ამის კვალობაზე, ერთმანეთის პარალელურად შეიძლება დავდასტუროთ: მოაქვს → მჟაქ (ვს) // მაქ(ვს).

შენიშვნა 2: ზოგ დიალექტში ოა → უა პროცესის შემდგომ საფეხურზე რთულ ზმნისწინში შესაძლოა დაჩინდეს სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ა-უ → უ-უ: გამო-ა-გდ-ო → გამჟ-ა-გდ → გუმჟ-ა-გდ, ჩამო-ვარდ-ა → ჩამო-არდ-ა (ვ-ს დაკარგვით) → ჩამჟ-არდ → ჩუმჟ-არდ... რაც ხშირად ბოლოვდება თავკიდურა ხმოვნის ნაწილობრივი ან სრული რედუქციით: გგმჟ-ა-გდ → გმჟ-ა-გდ, ჩგმჟ-არდ → ჩმჟ-არდ. ამგვარ ცვლილებათა გამო შეიძლება ერთმანეთს გარეგნულად დაემთხვეს სამივე პირის ფორმა: ჩამო-ვ-ვარდ-ი → ჩუმჟ-არდ (// ჩგ მჟ-არდ // ჩმჟ-არდ), ჩამო-ვარდ-ი → ჩუმჟ-არდ (// ჩგმჟ-არდ // ჩმჟ-არდ). რაც შეეხება ჩომო-ვარდ-ნ-ა // ჩმო-არდ-ნ-ა ფორმას, აქ ა-ო → ო-ო გადაბგერებას რთული ზმნისწინისეული ო ხმოვანი იწვევს (იხ. ზემოთ: ა-ო და ა-უ კომპლექსთა ცვლილებანი).

ზემოდასახელებული ფორმები ინგილოური დიალექტის კუთვნილებაა.

შენიშვნა 8: ოა → უა → ჭა პროცესი გარეგნულად ემთხვევა ვა (სადაც ვ არის კბილბაგისმიერი სპირანტი) → ჭა (ჭ წყვილბაგისმიერი სპირანტია) მონაცვლეობას; შდრ.: ათხოვა → ათხოა → ათხუა → ათხუა, ერთი მხრივ, და: თქვა → თქუა, მეორე მხრივ. ორივე ფორმა აკარულშია დამოწმებული.

დასახელებული იყო როგორც პირველადი, ასევე მეორადი ოა კომპლექსის (საკუთრივ ოა და ოვა → ოა, ომა → ოა) ფონეტიკური ცვლილების კანონზომიერებანი ქართული ენის დიალექტებში კონტაქტური მეზობლობისას.

ო-ა → უ-ა რეგრესული დისიმილაცია იშვიათად შეინიშნება დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც: ქოთაო → ქუთაო (მოხეური), ჭროლა → ჭრულა (ფშაური)...

შენიშვნა 1: რაც შეეხება დგომა → დგუმა, ხტომა → ხტუმა (აქარული) აგრეთვე: ტომარი → ტუმარაი//ტუმარი (გურული, გუდამაყრული) ტიპის გადაბგერებას, აქ ო ხმოვანზე წყვილბაგისმიერი მ სონანტის ზეგავლენასთან უნდა გვეჩინდეს საქმე (მოუხედავად იმისა, რომ ამოსავალ ფორმებში ო-ა ხმოვანთა დისტანციური ურთიერთმიმართება დადასტურებული).

შენიშვნა 2: იმ შემთხვევაში, როცა ო-ა კომპლექსი გათიშულია ობიექტური პირის მ-, გ-, გვ— ნიშნებით, ხმოვნის ფონეტიკური ცვლილება არ ხდება: მო-მ-ა-ფხიზლ-ა, გამო-გ-ა-გდ-ო და მისთ.

შენიშვნა 3: ოა → უა ცვლილებისას ზოგჯერ აღიქმება ო-სა და უ-ს შორის გარდამავალი ბგერა (მუახერხა, მუაქ და მისთ. ფორმებში).

დისტანციური ურთიერთმიმართებისას ო-ა სპორადულად იცვლება პროგრესული ნაწილობრივი (პოვარი „მზარეული“ → ქართლური, კახური, ინგილოური: პოვერი) ან სრული (ფოლადი → მოხეური: ფოლოდი) ასიმილაციით. რაც შეეხება დოლაბი → მოხეური: დოლაბი ფორმაში ა → ო გადაბგერებას, აქ გამკლენელად წყვილბაგისმიერი ბ ხშულოც დაჩნდება.

შენიშვნა: ზოგჯერ შეინიშნება მიდრეკილება სინჰარმონიზმისაკენ: ოხრახუმ-ი → ოხროხოშ-ი (ქართლური), სადაც თავკიდურა ო ხმოვნის გავლენით

თავს იჩენს ა → ო და უ → ო გადაბგერება (პირველ შემთხვევაში ბრუნვა ხმოვნის დავიწროება, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირაქით, გაფართოება).

გარდა ოა → უა → უა პროცესისა, უა საფეხურს დაღუპტების ერთ ნაწილში სხვაგვარი ცვლილებაც ახასიათებს, კერძოდ ხდება უ → უი ო, რასაც წინ უნდა უსწრებდეს უ-ს უმლაუტიზაცია: აძოვა → აძოა → აძუა/აძუ ა → აძუ ია (აძვია).

ცვლილება დამოწმებულია მხოლოდ ბოლოკიდურა პოზიციაში -- სისტემებში მესხურში: ა-ძოვ-ამ-ს → ა-ძო-ამ-ს „აძოვებს“ → ა-ძუ-ამ-ს → ა-ძუ ი-ამ-ს (აძვიამს), და ასე: ა-ძოვ-ა → აძო-ა → ა-ძუ-ა → ა-ძუ ი-ა (აძვია) უ / ვ შეიძლება დაიკარგოს: და-ტოვ-ა → და-ტო-ა → და-ტუ-ა → * და-ტუ ი-ა → და-ტი-ა... შეინიშნება აგრეთვე გურულში, იმერხელში... ოღონდ უპირატესად ვ-ს ჩავარდნით: და-ტოვ-ა → და-ტი-ა (გურულა), დიდ-რ-ოვან-ი → დიდ-რ-ოან-ი → დიდ-რ-უან-ი → * დიდ-რ-უან-ი → დიდ-რ-იან-ი (/ დიდ-რ-ვან-ი) „დიდები, უფროსები“ (იმერხელა).

შენიშვნა 1. მესხურში ანალოგიურ ცვლილებას განიცდის პირველადი უა კომპლექსიც: კჳუა → კჳეია, მოატჳუა → მოატჳეია (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 2: უ ხმოვანი ამავე შედეგს იძლევა ე და ო ხმოვნებთან ურთიერთობის შემთხვევაშიც: ვ-ა-ძოვ-ე → ვ-ა-ძო-ე → ვ-ა-ძუ-ე → ვ-ა-ძვი-ე... ამის კვალობაზე პარადიგმა ასე წარმოგვიდგება:

აორისტი: ვ-ა-ძოვ-ე → ვ-ა-ძვი-ე
 ა-ძოვ-ე → ა-ძვი-ე
 ა-ძოვ-ა → ა-ძვი-ა

II კავშირებითი: ვ-ა-ძოვ-ო → ვ-ა-ძვი-ო

ა-ძოვ-ე → ა-ძვი-ო

ა-ძოვ-ო-ს → ა-ძვი-ო-ს...

ასე რომ, უ → ვი ზემოხსენებულ პოზიციებში მთელს პარადიგმას გაჰყვება (იხ. აგრეთვე ქვემოთ: ოე → უე → ვეე და ოო → უო → ვიო).

შენიშვნა 3: ოა → უა → ვა პროცესს შესაძლოა თან ახლდეს სხვა ფონეტიკური ცვლილებებიც: ბგერის დაკარგვა და მეტათეზისი (მო-ა-გროვ-ა → მო-ა-გრო-ა → მო-ა-გრუ-ა → მო-ა-გრვი-ა → მო-ა-გერი-ა), ბგერის განვითარება (მო-ა-გერი-ა → მო-ა-ნგერი-ა). თუ ოა → უა კომპლექსს უსწრებს ბაგისმიერი თანხმოვანი, მაშინ: ან უ → ვი არ ხდება (მო-ი-პოვ-ა → მო-ი-პო-ა → მო-ი-პუ-ა), ან ცვლილების შემდგომ იყარვეის ვ (ორმოა → ორმოუა → * ორმეია → ორმია), თუმცა არის →

-ა მეშველი ზმნის დართვისას უა → ვა პროცესი, ჩვეულებრივ, იზღუდება.

შენიშვნა 4: ბოლოკიდურა პოზიციაში ოა → უა → ფა, ერთი მხრივ, და ოა → უა → უია, მეორე მხრივ, სხვაობს დიალექტების მიხედვით; შდრ.: აძოვა → აძოა → აძუა → აძ ხა (აჭარული) და: აძოვა → აძა → აძუა → აძვია (მესხური). დიალექტების უმეტესობა უა საფეხურზეა წარმოდგენილი.

* * *

ოე კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებანი.

უშუალო მეზობლობისას ოე კომპლექსი როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში შესაძლოა ორ განსხვავებულ (ერთიერთსაპირისპირო) შედეგს იძლეოდეს.

ოე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე გავრცელებულია როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში.

თავკიდურა პოზიციაში ეს პროცესი უპირატესად დაჩნდება მო — ზმნისწინისა და ზმნური ე — პრეფიქსის შეხვედრისას: მოეტანა → მეეტანა (ფშაური), მოელაპარაკა → მეელაპარაკა (მთხური), მოეყვანა → მეეყვანა (ქართლური), მოეკიდა → მეეკიდა, მოეწონა → მეეწონა (ყაბური), მოეკლა → მეეკლა (ინგილოური), მოეპარა → მეეპარა, მოენახა → მეენახა (რაჭული), მოერევა → მეერევა (იმერული), მოედგრა → მეედგრა (ლენხუმური)... მესსურში, გურულსა და აჭარულში (სპორადულად სხვა დასავლურ დიალექტებშიც) ოე → ეე პროცესი, გრძელდება და რეგრესული დისიმილაცია იძლევა იე ფონეტიკურ ვარიანტს: მოენახა → მეენახა → მიენახა (იხ. აჭვე, ქუთაისი).

ოე → ეე პროცესს ვერ აბრკოლებს ე (I პირის ნიშანი თუ ფუძისეული თანამოვანი): მოვეწონე → მევეწონე (ქართლური, ყაბური, რაჭული, იმერული... მოველი → მეველი (ყაბური), მეველ // მრველ (ინგილოური), მოველი → მეველი (გურული)...

რაც შეეხება ობიექტური პირის მ-, გ-, გე... ნიშნებს, დასავლურ დიალექტებში (იმერულში, რაჭულში...) ისინი ზოგჯერ აბრკოლებენ ოე → ეე ცვლილებას (დაჩნდება პარალელური ვარიანტები: მოგეტანა // მეგეტანა), აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში პროცესი ამ შემთხვევაში არ იზღუდება: მომეკიდა → მემეკიდა, მოგეფერა → მეგეფერა, მოგეხმარა → მეგეხმარა (ქართლური, ყაბური, მთხური...).

რთულ ზმნისწინთა გახმოვანების ცვლის თვალსაზრისითაც შეინიშნება სხვაობა აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებს შორის: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, ჩვეულებრივ, სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე იცვ-

ლება ორივე ხმოვანი: გამოეშვა → გამეშვა, ჩამოეგდო → ჩემეგდო, წამოეცვა → წემეცვა... გამოგვეგება → გემეგვეგება, ჩამოგეტანა → ჩემეგეტანა, წამომეყვანა → წემემეყვანა... ანუ: ჭერ ოე → ეე, შემდგომ: ა-ე → ე-ე (წამოელი → წამელი → წემელი). დასავლურ დიალექტებში (რაკულში, ლეჩხუმურში, იმერულში) უპირატესად იცვლება მო— ზმნისწინისეული ხმოვანი: გამოეტანა → გამეეტანა (თუმცა თავს იჩენს ორივე ხმოვნის ასიმილაციის შემთხვევებიც: გემეეტანა).

შენიშვნა 1. ზოგ დიალექტში (ხევსურულში...) არა გვაქვს მო— ზმნისწინი — მის ნაცვლად, როგორც წესი, გამოიყენება მა— ვარიანტი. პრეფიქსისეულ ე-სთან შეხედრისას ზემოხსენებულის იდენტურ შედეგს ვადასტურებთ: მაეკლა → მეეკლა, მაეგება → მეეგება, შამაეცია → შამეცია...

შენიშვნა 2: თუშურში ამ წესით მიღებული ეე შეირწყმის გრძელ ხმოვანად: მოეყვანა/მაეყვანა → მეეყვანა → მეჟყვან. რთულ ზმნისწინში იცვლება მხოლოდ მო-/მა— ზმნისწინისეული ხმოვანი: ჩამოეყვანა → ჩამეეყვანა → ჩამჟყვან.

შენიშვნა 3: ზემოიმერულში I ობიექტური პირის ნიშნის ან მიმღებობის მაწარმოებელ მ— ფორმანტის წინ დისიმილაციის საფუძველზე იცვლება მო— ზმნისწინის გახმოვანება: მომეტანა → მამეტანა, მომტანი → მამტანი (კ. კუბლაშვილი, ჯ. ძოწენიძე). მა— დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებშიც, არა როგორც მ-მ კომპლექსში დისიმილაციის შედეგი: მამეტანა, მამეტანა (შდრ. მოგეტანა: ობიექტური წყობის II პირის ფორმებში უფრო ხშირად მო— ვარიანტი შეინიშნება):

შენიშვნა 4: დიალექტების ერთ ნაწილში (კახურში, ქართლურში, ქვემოიმერულში...) ეე შედეგს იძლევა პირველადი იე კომპლექსიც (იხ. ზემოთ იე → ეე): მიეცა → მეეცა. ხდება გარეგნული დამთხვევა ოე → ეე ცვლილებით მიღებულ ფორმებთან: მოეცა → მეეცა.

შენიშვნა 5: ინგილოურში, როცა ო-ე კომპლექსი გათიშულია ე თანხმოვნით, დამოწმებულია პარალელური ვარიანტები: ოვე → ევე (მოველი → მეველი) და ოვე → რვე (მოველი → მრველი), ანუ: ხდება ო-ს სრული ან ნაწილობრივი პალატალიზაცია მომდევნო ე-სთან ასიმილაციის საფუძველზე. ანალოგიურ შედეგს იძლევა ავე კომპლექსიც: ავე → ევე (წაველი → წეველი) და: ავე → რვე (წაველი → წრველი) — ბოლო შემთხვევაში პალატალიზაციას წინ უსწრებს ა-ს ლაბიალიზაცია ე

თანხმოვნის ზეგავლენით.

ბოლოკიდურა პოზიციაში ოე → ეე შედარებით იშვიათი მოვლენაა; დაჩნდება ფუძისეული ო და სუფიქსისეული ე ხმოვნების შეხვედრისას: ხბოები → ხბეები (იმერული); გურულსა და აჭარულში: ეე → იე/ეე (ხბეები → ხბიები // ხბეები ან ხფიები // ხფეები); მაგრამ ამ პოზიციაში უპირატესად მაინც დისიმილაციის შედეგი იჩენს თავს: ხბოები → ხბუები // ხფუები (იხ. აჭეე, ჭეემოთ).

ო-ე → ე-ე დაჩნდება დისტანციური მეზობლობისას ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც: რომელიც → რემელი (აჭარული, ჭეემოიმერული), მოზვერი → მეზვერი (ჭავჭავი). ასეთ შემთხვევებში შესაძლოა თანამდეგი იყოს სხვა ფონეტიკური პროცესიც (მაგალითად, მეტათეზის): ყოველდე → ყვევლდე → ყვევლდე (კახური).

ოე კომპლექსი სისტემებში იცვლება რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე. ცვლილება ხდება როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში (ხშირად ოე → ეე პროცესის პარალელურად); ხშირად წინ უსწრებს ვ-ს დაკარგვა (რომელიც შეიძლება იყოს პირის ნიშანიც და ფუძისეულიც): მოვერიე → მოერიე → მუერიე; დროება → დრუება (ფშაური), მოვესწარი → მოესწარი → მუესწარი(ი); ხანდოელი → ხანდეელი (მთიულურ-გუდამაყრული), მოვემზადე → მოემზადე → მუემზადე; იმოვეს → იმოეს → იმუეს, აძოვებს → აძოებს → აძუებს (ქართლური), მოველ → მოველ → მუელ; კალოები → კალუები, საკალოე → საკალუე (კახური), მოვეიდა → მუეკიდ, გამოველ → გამოველ → გამუელ; კალოები → კალუები // კალუე (ინგილოური), მოეტანა → მუეტანა, წყაროები → წყარუები // წყარუები (მესხური), მოეხვია → მუეხვია; ხბოები → ხბუები (რაჭული), მოვეხმარე → მოეხმარე → მუეხმარე; ეზოები → ეზუები (იმერული), მოვესწარი → მოესწარი → მუესწარი; კოლოები → კოლუები (ლექსუმური), მოენახა → მუენახა; ათხოვე → ათხოე → ათხუე (გურული), მოეტანა → მუეტანა; ეზოები → ეზუები (აჭარული), მოეწია → მუეწია, გამოვეიდა → გამუეკიდა; გოგოები → გოგუები (იმერული).

აჭარულში პროცესი, ჩვეულებრივ, გრძელდება დისიმილაციისავე საფუძველზე (წარმოიქმნება აღმავალი დიფთონგი): ამოველი → ამოველი → ამუელი → ამუელი; ეზოები → ეზუები → ეზუ ები. ამავე გზითაა მიღებული შემდეგი ფორმებიც: გაგათხოვებ → გაგათხოე → გაგათხუე → გაგათხუე („მე გაგათხუე, ჩემო დაო“), მათხოვებ → მათხუე → მათხუე („რას უყურებ, რომ არ მათხუე“).

დასახელებული იყო შემთხვევები, როცა ოე → უე ხდება მორფემათა ზღვარზე. ეგვე მოვლენა შეინიშნება ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშიც: პოეტი → პუეტი (კახური); ყოველოვინ → ყოელოვინ → ყუელოვინ → ყუელოვინ (აჭარული); შდრ. აჭარულშივე პოენიერი: ყოველი → ყუველი → ყუული - (სადაც უ გრძელდება

ჩაეარდნილი ვ-ს საკომპენსაციოდ); დააგროვე → დააგროე → დააგროე (კანური, ინგილოური).

ღამოწმებულთა ენკლიტიკის დროსაც: რომ ეტყვი → რო-ეტყვი → რე-ეტყვი. .

შენიშვნა 1: როგორც ზემოთ ითქვა, ზოგ დიალექტში (ხევსურულში...) მო- ზმნისწინის ნაცვლად სისტემებზე დაჩნდება მისი მა— ვარიანტი, რომელიც მხოლოდ ასიმილაციას განიცდის: მაეკიდა → მეეკიდ...

შენიშვნა 2: გვაქვს დიალექტები, სადაც პარალელურად წარმოდგენილია როგორც ასიმილირებული, ასევე დისიმილირებული ფორმები: მეეკიდა / მუ-ეკიდა. შესაძლოა გვევარაუდა: აე → ეე (მაეკიდა → მეეკიდა), მაგრამ: ოე → უე (მოეკიდა → მუეკიდა), ოლონდ ეს შეეხებოდა მხოლოდ აღმოსავლურ დიალექტებს (ქართლურს, კახურს, მთიულურ-გუდა-მაყრულს...), სადაც ერთმანეთის გვერდით მართლაც დასტურდება მო//მა-. დასავლური დიალექტებისათვის მა— დამახასიათებელი არ არის, ამიტომაც აქ მხოლოდ ოე → ეე// უე შესაძლებლობა გვაქვს.

შენიშვნა 3: ზოგ დიალექტში დისიმილაციის საფუძველზე მიღებული უ იწვევს რთული ზმნისწინის თავიკიდურა ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას: გამოვეკიდე → გამოეკიდე → გამუეკიდე → გუმუეკიდ, გამოველი → გამოელი → გამუელი → გუმუელ (ინგილოური, კაკური კილოკავი). ჩვეულებრივ, ეს ხდება მაშინ, როცა ოე მიღებულია ოვე კომპლექსისაგან I პირის ნიშნისა ან ფუძისეული ვ-ს ჩაეარდნით. თავის მხრივ, ეს ქმნის შესაძლებლობას ზმნისწინის გახმოვანებით განსხვავდეს I და II პირის ფორმები: გუმუეკიდ (← გამოვეკიდე), მე, მაგრამ: გემეეკიდ (← გამოეკიდე) შენ (იხ. აგრეთვე ზემოთ ა-ო → ო-ო ცვლილება დისტანციური მეზობლობისას რთულ ზმნისწინში, შენიშვნა 2).

ოე → უე შენაცვლების შემთხვევაშიც (მსგავსად ოა → უა შენაცვლებისა) დასტურდება მიდრეკილება პირის ფორმათა განსხვავებისაკენ, როცა იქმნება მათი გარეგნული დამთხვევის შესაძლებლობა:

I პირი: მოვესწარი → მოესწარი → მუესწარი

II პირი: მოესწარი

III პირი: მოესწრო → //მუესწრო.

ამ დროს ოე → უე უპირატესად მაინც I პირის ფორმებში იჩენს თავს.

შეგვხვდება ასეთი კონტამინირებული პარადიგმაც:

I პირი: მუესწარი (//მევესწარი)

II პირი: მეესწარი

III პირი: მეესწრა

ანუ: ერთ პარადიგმაში დაჩნდება როგორც ასიმილაციის (ოე → ეე), ასევე დისიმილაციის (ოე → უე) შედეგი.

როგორც ზემოთ დასახელებული ნიმუშებით წარმოჩნდა, ხმოვნებს შორის მოქცეული ე თანხმოვანი პროცესს ვერ აბრკოლებს, მაგრამ ცვლილება, როგორც წესი, არ ხდება ობიექტური პირის მ-, გ-, გვ— ნიშანთა მქონებლობისას. ამის კვალობაზე, ერთსა და იმავე პარადიგმაში შესაძლოა დავადასტუროთ ასიმილაციისა და დისიმილაციის საფუძველზე ცვლილი ფორმები სუბიექტური წყობის დროს და ოდენ ასიმილირებული ფორმები იმავე ზმნის ობიექტური წყობისას; შდრ.:

სუბიექტური წყობა:

I პირი: მოვესწარი → მევესწარი // მუვესწარი

II პირი: მოესწარი → მეესწარი (//მუვესწარი)

III პირი: მოესწრა → მეესწრა // მუვესწრა.

ობიექტური წყობა:

I პირი: მომესწრა → მემესწრა

II პირი: მოგესწრა → მეგესწრა

III პირი: მოესწრა → მეესწრა // მუვესწრა.

ვარიანტები: მეესწრა/მიესრა და მისთ.

წარმოვადგინეთ ცვლილების I საფეხურზე ის ფონეტიკური ნაირსახეობანი, რომლებიც სისტემებრ იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში (ოე → ეე და ოე → უე).

ამასთანავე შეგვხვდება ამავე კომპლექსის იმ რიგის ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც ნაკლები სიხშირით დაჩნდება.

ოე → ოვე მაშინ, როცა ო ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს უშუალოდ მიერთვის სიტყვათმავარშობელი — ე სუფიქსი: დაბოლოება → დაბოლოება, საპალტოე → საპალტოვე, სიფართოე → სიფართოვე, აფართოებს → აფართოვეს (გადადის ვნებითშიც: ფართოვდება), სიმჭიდროე → სიმჭიდროვე, ამჭიდროებს → ამჭიდროვეს. პარალელურად შეინიშნება დისიმილაციის შედეგიც: საპალტოე → საპალტუე, აფართოებს → აფართოუებს... ოე → ოვე სპორადულად თავს იჩენს ერთი მორაფემის (ფუძის) ფარგლებშიც: ნოე → ნოვე (გურული...).

ოე → ოო პრაგრესული ასიმილაციით: დროება → დროობა (ქართლური). შეინიშნება დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც: თორემ → თორა (ქართლური, ფშაური...), თუმცა ამ შემთხვევაში, ჩანს, მ წყვილბაგისმიერი თანხმოვნის ზეგავლენაც უნდა ვივარაუდოთ.

სპორადულად გვხვდება ოე → ო-ა დისტანციური დისიმილაციის შედეგიც: ფოცხვერი → ფოცხვარი (ჭავჭავი); შრ. ფოცხვერი → ფაცხვერი (მოხეური, მთიულური), სადაც ო → ა გადაბგერებას წინამძღვარი ფ თანხმოვანი იწვევს (იხ. აქვე, ზემოთ: 2.26.).

ზემოდასახელებულთაგან, როგორც ითქვა, ცვლილების შემდგომი საფეხურები მოეპოვება ოე → ეე და ოე → უე პროცესებს.

ოე → ეე → ე
 |
 იე → ეე

ოე → ეე → ე დამოწმებულია აჭარულში თავიდან პოზიციაში როგორც ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტი: მოეწყო → მეეწყო → მე წყო // მამეწყო // მამეწყო, გადმოეწყო → გადმეეწყო → გადმეწყო და მისთ.

შენიშვნა: რაც შეეხება თუშურში დადასტურებულ მეჯ თარი „მოეთარია“, მეჯ დინ (ზედმიწვენით: „მოედინა“) „მოისმა“, გამეჯ კითხ „გამოეკითხა“ ტიპის ფორმებს, აქ საუბარად, ამოსავალი იყოს მა— ვარიანტი: აე → ეე → ე (მაეთარია → მეეთარია → მე ყთარი, მაეტანა → მეეტანა → მეჯ ტან).

ოე → ეე → იე (რეგრესული დისიმილაცია სრული ასიმილაციის შემდეგ) როგორც თავიდან, ისე ბოლოკიდურა პოზიციაში დაჩნდება გურულში: მოესწრო → მეესწრა → მიესწრა // მიესრა; ხბოები → * ხფეები → ხფიები... აჭარულში იგივე პროცესი უფრო გადრამატირებულია: მოეწყო → მამეწყო → მამეწყო → მამეწყო, წამოეყვანა → წამეყვანა → წამიყვანა → წამეყვანა; ხბოები → ხფეები → ხფიები → ხფეები, ორმოები → ორმეები → ორმიები → ორმეები...

ანალოგიური მოვლენა შეინიშნება მესხურშიც, უპირატესად თავიდან პოზიციაში: მოეკიდა → მეეკიდა → მიეკიდა. ბოლოკიდურა პოზიციაში კი, ჩვეულებრივ, ოე → უე → უ → ვიე // იე პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე: ორმოები → ორმეები → ორმეები → ორმიები (იხ. აქვე, ქვემოთ).

აქვე შევნიშნავთ, რომ გურულშიც და აჭარულშიც ოე → ეე → იე (→ ეე) როგორც წესი, თავს იჩენს თავიდან პოზიციაში, ხოლო ბოლოკიდურა პოზიციაში უფრო ხშირად შეინიშნება ოე → უე (→ უე) რეგრესული დისიმილაციის შედეგი: ხბოები → ხფეები, ეხოები → ეხუები (→ ეხუები), რაც პარალელური ვარიანტის სახით თავიდან პოზიციაშიც დაჩნდება: მოესწრო → მუესწრა, წამოეყვანა → წამუყვანა.

ოე → ეე → იე პროცესს ვერ აბრკოლებს ვ— პირის ნიშანი: მოვესწარი → მევესწარი → მივესწარი, წამოვეყვანე → წამევეყვანე → წამივეყვანე (გურული, აჭარული). ოღონდ ამ პოზიციაში არ ხდება იე → ეე.

შენიშვნა: ფუძისეული ვ-ს შემთხვევაში, როგორც წესი, ხდება ოე → უე → ჭე ე :
 ამოველი → ამოველ → ამველ (გურული) → ამჟელ (აჭარული).

რაც შეეხება ობიექტური პირის მ-, გ-, გვ— პირის ნიშნებს, მათი მჭონებლობისას ზემოხსენებული ცვლილება ან არ ხდება, ან სრული ასიმილაციის (ო-ე → ე-ე) საფეხურზეა შეჩერებული: მოგვეწარი // → მეგვეწარი, ოღონდ პირველ პირის ფორმებში უპირატესად მი— არის დაცული, ანდა (ზემოიშვრულში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში) დაჩნდება მა-. უღვლილების პარადიგმა ასე წარმოგვიდგება:

სუბიექტური წყობა	ობიექტური წყობა
I პირი: მოვერეი → მევერეი → მივერეი	მომერია (// მამერია)
II პირი: მოერეი → მეერეი → მიერეი	მოგერია → მეგერია
III პირი: მოერია → მეერია → მიერია	მოერია → მეერია → მიერია

და ასე: მოგვერია // მეგვერია...

ოე → უე ცვლილების შემდგომ საფეხურზე ასეთი ვითარებაა:

ოე → უე → | ჭე ე
 | ჭე ე/ვე → იე

ოე → უე → ჭე ე სისტემებზე დადასტურებულია აჭარულში: გამოექა → გამოექა
 → გამჟექა; ეზოები → ეზუები → ეზუები (სპორადულად დაჩნდება სხვა დიალექტებშიც: მესხურში, გურულში...).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა კომპლექსს წინ უძღვის წყვილბაგისმიერი მ სონანტი, როგორც წესი, თავს იჩენს ოე → ეე → იე → ეე პროცესი:
 ორმოები → ორმეები → ორმიები → ორმეები.

ოე → უე → ჭე ე/ვია ცვლილების თანამდევი, სავარაუდოა, იყოს უ ხმოვნის უმლაუტი (პალატალიზაციის საფუძველზე), რაც ზოგჯერ ფაქტობრივ არის დამოწმებული: ოე → უე/ჭე → ჭე ე/ვე. დაჩნდება ოდენ ბოლოკიდურა პოზიციაში როგორც ზმნურ, ასევე სახელად ფორმებში ფუძისეული ო და სუფიქსისეული ე ხმოვნების შეხვედრისას: ათხოვე → ათხოე → ათხოე → ათხოე... გოგოები → გოგუები → გოგოები...

შენიშვნა: ანალოგიურ შედეგს იძლევა ოა და ოო კომპლექსებიც (იხ. აქვე შესაბამისი მონაცემები). ათხოვა → ათხოა → ათხოა → ათხოა, ათხოვოს → ათხოოს → ათხოს → ათხოს. ასე რომ, უ → ვი (ე, ა და ო ხმოვნების წინ) დაჩნდება უღვლილების მთელს პარადიგმაში:

აორისტი: ვათხოვე → ვათხვიე
 ათხოვე → ათხვიე
 ათხოვა → ათხვია

II კავშირებითი: ვათხოვო → ვათხვიო
 ათხოვო → ათხვიო
 ათხოვოს → ათხვიოს.

ხსენებელი ფონეტიკური ცვლილება სისტემებზე დადასტურებულია მესხურში, აგრეთვე სამხრეთ ქართლურში (ბოლნის-დმანისური მეტყველება).

თქმებისა და ქცეების მიხედვით თანაპოვნიერია პარალელური ფონეტიკური ვარიანტები: კალოები → კალუები → კალუები // კალუიები // კალიები, წყაროები → წყარუები → წყარუები // წყარიები; ათხოვეს → ათხოვეს → ათხვეს → ათხვეს // ათხვიეს და მისთ. ნიშნუშები მესხური დიალექტიდანაა დასახელებული.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა კომპლექსს წინ უძღვის წყვილბაგისმიერი თანხმონი, როგორც წესი, ვ იკარგვის: ორმოები → ორმუები → *ორმვიები → ორმიები, მიდამოები → მიდამუები → *მიდამვიები → მიდამიები; იხოვება → იხოება → იხუება → იხვიება → იხიება... ზოგჯერ კი პროცესი უფრო საფეხურზეა შეჩერებული: მოიხოვე → მოიხოე → მოიხოუე. ვ შეიძლება დაიკარგოს არაწყვილბაგისმიერი თანხმონის მომდევნოდაც: წყაროები → წყარუები // წყარიები (და არა: წყარვიები).

დიალექტების ერთ ნაწილში (გურულში, აჭარულში, იმერხეულში...) არ არის წარმოდგენილი (უე → უიე) საფეხური, მაგრამ ისტორიულად მის მქონებლობაზე მიგვანიშნებს ამჟამად პოენიერი იე: დავტოვე → დავტოე → დავტუე → *დავტვიე → დავტოე, დატოვეს → დატოვეს → დატუეს → *დატვიეს → დატიეს და მისთ. პარალელურად ყველა შემთხვევაში დაჩნდება უე საფეხურიც.

ამ თვალსაზრისით სამხრეთ ქართლური, მესხური, აგრეთვე გარკვეული ფონეტიკური მოდიფიკაციით: გურული, აჭარული და იმერხეული არსებითად ერთ იზოგლოსას ქნინან.

შენიშვნა: გარეგნულად შესაძლოა ერთმანეთს დაემთხვეს ოე → ეე → იე და ოე → უე → ვიე → იე ცვლილებათა შედეგები; შიდა: ორმოები → ორმიები → ორმიები/ორმიები, ერთი მხრივ, და: ორმოები → ორმუები → *ორმვიები → ორმიები. იმისი ამოცნობა, თუ რომელი პროცესის შედეგია გარეგნულად მსგავსი ფორმები, შესაძლებელი ხდება მათ პარალელურად პოენიერი ფონეტიკური ვარიანტების საშუალებით:

ორმეები // ორმიები თუ ორმეები // ორმიები. ეს პარალელური ფორმები, ჩვეულებრივ, თანაარსებობენ ამა თუ იმ დიალექტში (თუ-მცა სხვაობენ გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით).

იშვიათად დაჩნდება ოე → ეე (ტაროები → იმერული: ტარეები). არსებითად აქ ო → ეე პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე (იხ. ზემოთ: 2.26).

* * *

ოი კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლილებისას ოი კომპლექსი ორ ნაირსახეობას იძლევა: ერთ შემთხვევაში განხორციელებულია ნაწილობრივი, მეორე შემთხვევაში სრული დამსგავსება:

ოი → ეი → | ემ
 | იი → ი

ნაწილობრივ ასიმილაციას შესაძლოა მოსდევდეს პროგრესული დისიმილაცია (შედეგად ვიღებთ დამავალ დიფთონგს), სრული ასიმილაციის შედეგი შეიძლება იყოს იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვანად.

ოე → ეი (ნაწილობრივი ასიმილაციით) დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, კერძოდ, იმავე დიალექტებში, სადაც დაჩნდება აი → ეი პროცესი (იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში): მოიტაცა → მეიტაცა, მოისვენა → მისვენა, მოიტანა → მისტანა, მოითინა → მითინა (თანამდევია თმ → თფ)... გამოიტანა → გამეიტანა, შემოინახა → შამეინახა (რთულ ზმნისწინებში, როგორც ითქვა, დასავლურ დიალექტებში დამოწმებულია შა — ვარიანტი)... აქარულსა და (ნაწილობრივ) იმერხელში, სპორადულად სხვა დასავლურ დიალექტებში ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის პროცესი მთავრდება პროგრესული დისიმილაციით: მოიტანა → მისტანა → მემტანა, მოიქნია → მისქნია → მემქნია, წამოიღო → წამეიღო → წამემღო (აქარული), მოიტრია → მისტრია // მემტრია, მოიკლა → მისკლა // მემკლა, გამოიყვანა → გამეიყვანა // გამემყვანა (იმერხელი); აგრეთვე: მოითინა → მითინა // მემთინა (იმერული, ბაღდათური თქმა). რაჭულ დიალექტის გლობურ და რიენისთაურ კილოკავებში ეს პროცესი შეზღუდულადაა წარმოდგენილი.

ეგვეე პროცესი თავს იჩენს დისტანციური მეზობლობის დროსაც.

გადა — ზმნისწინში ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე იცვლება ორივე ხმოვანი: გადაიღო → გადეიღო // გედეიღო, გადაიტანა → გედეიტანა. ხშირად იკარგვის ი ხმოვნის წინა ე: გადაიღო → გადიღო, ასევე: გადაიღო → გედეიღო

→ გედლო.

რთულ ზმნისწინებში, ჩვეულებრივ, იცვლება მო — ზმნისწინისეული ხმოვანი: წამოილო → წამეილო, ჩამოიარა → ჩამეიარა... თუმცა პროცესი შესაძლოა დისტანციურადაც გავრცელდეს: წამოილო → წამეილო // წმეილო, ჩამოიარა → ჩამეიარა // ჩემეიარა (ნიმუშები ლეჩხუმური დიალექტიდანაა დასახელებული).

პროცესს ვერ აბრკოლებს ვ თანხმოვანი (I სუბიექტური პირის ნიშანი ან ფუძისეული): მოვიტანე → მევიტანე, ჩამოვიარე → ჩამევიარე → ჩემევიარე; მოვიდა → მევიდა, შემოვიდა → შამევიდა. რაც შეეხება ობიექტური პირის მ-, გ-, და გვ- პირის ნიშნებს, მათი მქონებლობისას ცვლილება ბრკოლდება, მაგრამ არ იკრძალება: მომიტანე → მემიტანე, მომიგონე → მემიგონე, გამომიჩიე → გამემიჩიე... ეს ფორმები იმერხეული დიალექტიდანაა დასახელებული; აქვეა დამოწმებული ფონეტიკურად უცვლელი ვარიანტებიც (შამოგითვლი და არა: შამეგითვლი); ხოლო იმერული, რაჭული, ლეჩხუმური და გურული ამ შემთხვევაში ფონეტიკურად უცვლელ ვარიანტებს ანიჭებს უპირატესობას. აქარულში ამ პოზიციაში სრული ასიმილაციაა განხორციელებული (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა I: ზოგჯერ აქარულში დაჩნდება უმუალოდ ოი → ოა პროგრესული დისიმილაციით (და არა: ოი → ეი → ეა): მოისპო → მოაისპო („აწე მოაისპო // მესპო, ჩვენო ძმაო, ჩვენი ქეაფი მხიარული“), მოიყრება → მოაყრება (// მეაყრება). ეს მოვლენა უფრო ხშირად სიტყვის ფუძეში შეინიშნება: როდის → როის → როაის...

შენიშვნა 2: ვ თანხმონით გათიშული ოი კომპლექსი აქარულში (ზოგჯერ იმერხეულში) რედუცირდება (იკარგვის ი): ოი → ეი → ე (მოვიტანე → მევიტანე → მევეტანე, ჩამოვიტანე → ჩამევიტანე → ჩამევეტანე). ანალოგიური ვითარებაა ა-ი კომპლექსის ცვლილების დროსაც (იხ. აქვე, ზემოთ). ვიდ — ფუძესთან ო-ს გადაბგერება არ ხდება, თვით ფუძე კი სრულ რედუქციას განიცდის: მოვიდა → მოვედა, შემოვიდა → შემოვედა (შდრ.: წავიდა → წვედა, სადაც რედუქციასთან ერთად დამოწმებულია ა → ე გადაბგერებაც). შესაბამისად, პარადიგმა ამ სახით წარმოგვიდგება:

I პირი: მოვიტანე → მევეტანე

II პირი: მოიტანე → მემეტანე

III პირი: მოიტანა → მემეტანა

შდრ.:

I პირი: მოვედი → მოვედი → მივედი

II პირი: მოდი → მოი → მოა

III პირი: მოვიდა → მოვდა

ზოგჯერ ოვი → ოი (ვ-ს დაკარგვით) და მაშინ ოი → ოა: გამოვიდა → გამოიდა → გამოადა.

შენიშვნა 8: აჭარულში ხშირად ოი კომპლექსი უცვლელადაა დაცული: მოიხედა, მოიტანა. ამ მხრივ აჭარული (უპირატესად - ზემოაჭარული) აღმო-საელეთ საქართველოს კილოებთან პოულობს ანალოგიას.

ოი → ეი ცვლილების შემდგომ საფეხურზე დიალექტების ერთ ნაწილში დაჩნდება სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგი (ეი → იი): მოიქნია → მეიქნია → მიიქნია, გამოიღვიძა → გამეიღვიძა → გამიიღვიძა, ჩამოიწია → ჩამეიწია → ჩამიიწია... ასეთი ვითარებაა ქვემოიმერულში, სამტრედიულ თქმაში. ცვლილებას ვერ აბრკოლებს ვ (I პირის ნიშანი და ფუძისეული): მოვიქნე → მევიქნე → მივიქნე, გამოვიღვიძე → გამევიღვიძე → გამივიღვიძე; გამოვიდა → გამევიდა → გამივიდა. ამ შემთხვევაში ვ, ჩვეულებრივ, მეტათეზისს განიცდის: მივიქნე → მიივიქნე, გამივიღვიძე → გამიივიღვიძე, გამივიდა → გამიივიდა. მ-, გ-, გვ → პირის ნიშნების მქონებლობისას ცვლილება, როგორც წესი, არ ხდება (მომიქნია, მოგიქნია... ჩამომიწია, ჩამოგიწია...). ანალოგური მდგომარეობაა იმისა, რაც ზემოთ აი კომპლექსის მიმართ იქნა დადასტურებული.

თუშურში სუბიექტური წყობის I პირის ფორმაში ოვი → ოი (მოვიპარე → მოიპარე); შემდგომი ცვლილება არ არის დადასტურებული, ხოლო II და III პირის ფორმებში ოი → იი → ი (ანუ: თუშურში სრული რეგრესული ასიმილაცია და ამის საფუძველზე იდენტურ ხმოვანთა შერწყმა გრძელ ხმოვანდ დაჩნდება ოდენ უშუალო მეზობლობისას იმთავითვე წარმოდგენილ ოი კომპლექსში): მოიპარე → მიიპარე → მიიპარე → მიჶ პარჶ; და ასე: მოიპარა → მიჶ პარ. ცვლილება არ ხდება აგრეთვე მ-, გ-, გვ — პირის ნიშანთა გამოყენების დროს.

შეგნიშნავთ, რომ იი → ი ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმაში თავს იჩენს ძალზე იშვიათად და ისიც უპირატესად იდიოლექტის დონეზე და, ამდენად, მისთვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ მიიჩნევა.

ზემოხსენებულის კვალობაზე, უღვლილების პარადიგმა ამ სახით წარმოგიდგება:

	ქვემოიმერული (სამტრედიული თქმა)	თუშური
I პირი:	მოვიყვანე → მივიყვანე // მიიყვანე	მოიყვანჶ
II პირი:	მოიყვანე → მიიყვანე	მიჶ ვანჶ
III პირი:	მოიყვანა → მიიყვანა	მიჶ ვან

შენიშვნა I: ასეთი ცვლილების შედეგად მარტივი მო— ზმნისწინი გარეგნულად ემთხვევა მი- ზმნისწინს. გარჩევა კონტექსტით ხერხდება. ორაზროვნება აღარა გვაქვს მაშინ, როცა მო— არის რთული ზმნისწინის შემადგენელი ნაწილი: გამოიყვანე → გამეიყვანე → გამიიყვანე // გამოიყვანე; და ასე: გამოიყვანე → გამიიყვანე, გამოიყვანა → გამიიყვანა.

შენიშვნა 2: რთულ ზმნისწინში, როგორც წესი, იცვლება მხოლოდ ო ხმოვანი: წამიილო → წამიილო... მხოლოდ ძალზე იშვიათად (ისიც, ჩვეულებრივ, იდიოლექტის დონეზე) ხდება წინამავალი ა ხმოვნის ასიმილაცია: წამიილო.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა აჭარულში. აქ კონტაქტური მეზობლობისას, აგრეთვე მაშინ, როცა ოი კომპლექსი გათიშულია ვ თანხმოვნით, დაჩნდება ოდენ ნაწილობრივი ასიმილაცია, რომელსაც მოსდევს პროგრესული დისიმილაცია (მოიყვანე → შეიყვანე → შეიყვანე) ან ასიმილაციის შემდგომ რედუქციარდება ი ხმოვანი (მოიყვანე → მეიყვანე → მეიყვანე). იმ შემთხვევაში კი, როცა ო-ი კომპლექსი ითიშება ობიექტური პირის გამომხატველი მ-, გ-, ვვ — მორფემებით, დამოწმებულია სრული რეგრესული ასიმილაცია: მომიწყვე → მიმიწყვეი მოგიწყვე → მიგიწყვეი... მაგრამ ამ პოზიციაში იმდენად იშვიათია ო-ი → ი-ი, რომ მიმიწყვეი, მიგიწყვეი ტიპის ფორმებში, შესაძლოა საქმე გვექონდეს არა ო-ი, არამედ ა-ი კომპლექსის ცვლილებასთან: მაიმიწყვე → მიმიწყვეი (შდრ.: გამიყვანა → გიმიყვანა, დაგიწყა → დიგიწყა). ანალოგიური მოვლენა სპორადულად თავს იჩენს იმერხეულშიც.

ოი → ეი → იი → იი შეინიშნება მხოლოდ თავკიდურა პოზიციაში.

ოი კომპლექსთან დკავშირებით კიდევ ერთი მოვლენაა აღსანიშნავი. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთაგან სისტემებში მისი ცვლილება დამოწმებულია ოდენ თუშურში (იხ. აქვე, ზემოთ). იმავდროულად აღმოსავლურ დიალექტებშივე ზმნურ ფორმათა პარადიგმატულ მიმართებათა დონეზე დაჩნდება ღირსსაცნობი სურათი; ყრძოდ, ოი, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია I სუბიექტური (აგრეთვე II ობიექტური) პირის ფორმებში, ხოლო II და III პირებში გამოიყენება მა— ზმნისწინი (და, ამდენად, გვაქვს აი კომპლექსი):

I პირი: მოვიტანე → მოიტანე მომიტანა → მაიმიტანა

II პირი: მაიტანე მოგიტანა

III პირი: მაიტანა (მოუტანა)

ასე რომ, მო-ი-ტან-ე და მა-ი-ტან-ე ფორმები პირების მიხედვით განსხვავებულ-

ლოა, მაგრამ არა მორფოლოგიურად (ანუ: არა პირის ნიშნებით), არამედ მორფოლოგიური პრინციპის საფუძველზე (ანუ: გახმოვანების, კერძოდ, ზმნისწინთა გახმოვანების საშუალებით). როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მო — I სუბიექტური პირის ფორმაში შენარჩუნებულია იმ აღმოსავლურ დიალექტშიც (თუშურში), სადაც ოი კომპლექსის ფონეტიკური ცვლილება სხვა პოზიციებში განხორციელებულია. შევნიშნავთ: მო — ზმნისწინის ო — გახმოვანება შენარჩუნებულია მაშინაც, როცა ვ თანხმოვანი ფუძისიეული ელემენტია: მოვიდა → მოიდა, შდრ. იგივე ოი კომპლექსი, პოვნიერი ფუძის ფარგლებში: ზვაგი → ზოვი → ზოი, ხვაგი → ხოვი → ხოი, რაც აგრეთვე აღმოსავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი.

კონტაქტური მეზობლობისას ოი კომპლექსი იცვლება აგრეთვე პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე: ოი → ოამ (წარმოიქმნება დამავალი დიფთონგი). პროცესი დაჩნდება როგორც თავიკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში.

თავიკიდურა პოზიციაში სისტემებზე დაჩნდება ინგილოურში (კაკურ კილოკავში) სუბიექტური წყობის I პირის ფორმებში მო — ზმნისწინისა და ზმნური ი — პრეფიქსის შეხვედრისას (სხვა პირის ფორმებში დამოწმებულია მა-): მოვიტანე → მოიტანე → მოამტანე, მოვიკადრებ → ვიკადრებ → მოიკადრევე → მოამკადრევე, მოვიწონებ → მოამწონევე, გამოვიღე → გამოიღე → გამოამიღო... ანალოგიურ შედეგს იძლევა მეორადი ო ხმოვნით შედგენილი ოი კომპლექსიც: ავიტანე → ოიტანე → ოამტანე, გავიგე → გოიგე → გომგ... (ა → ო გადაბგერებას იწვევს ვ - პირის ნიშანი).

ზოგჯერ ოი → ოამ თავს იჩენს აჭარულშიც, მაგრამ (ინგილოურისაგან განსხვავებით) უპირატესად II და III პირის ფორმებში. ესაა ოი → ეი → ეამ ფონეტიკური ნაირსახეობის პარალელურად შედარებით იშვიათად გამოყენებული ვარიანტი: მოისპო → მოამსპო, მოიყრება → მოამყრება, ჩამოირიგეს → ჩამომარიგეს... შემოიღო → შემომიღე... (შდრ.: მოამსპო, მეამყრება, ჩამემარიგეს, შამემიღე).

ულელოლების პარადიგმა ასე წარმოგვიდგება:

	აჭარული	ინგილოური (კაკური)
I პირი:	მოვიტანე → მევტანე	მოამტანე
II პირი:	მოიტანე → მოამტანე // მეამტანე	მაამტანე
III პირი:	მოიტანა → მოამტანა // მეამტანა	მაამტან...

შდრ.:

I პირი:	გავიგე — გევგე	გომგ
II პირი:	გაიგე — გემგე	გამგ
III პირი:	გაიგო — გემგო	გამგ

შენიშვნა: ამავე პოზიციაში ოი → ოამ სპორადულად თავს იჩენს ძველ ჭარბულ

წერილობით ძეგლებშიც: მოითხოვა → მომთხოვა, მოიმკო → მომმკო და მისთ. (მ. ძიძიშვილი).

ბოლოკიდურა პოზიციაში ოი → ომ სისტემებრ წარმოდგენილია ო ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთა სახელობითი, აგრეთვე ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში; გვხვდება აგრეთვე ი ხმოვნით დაწყებულ სიტყვათაწარმოებელ ფორმანტებში. ნიმუშად რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: კბოი „ხბო“ → კმომ (თუშური); კალოი → კალომ (ინგილოური); ნინოი → ნინომ (მესხური დიალექტის სამცხური კილოკავი); სალამოი → სალამომ (რატული დიალექტის გლოლური კილოკავი); ხბოი → ხფოი // ხფომ, დროი // დრომ, რკოი // რკომ (გურული); ი → მ ზოგიერთ თქმაში (ოზურგეთულში...) დაჩნდება; ბაბოი → ბაბომ „მამა“, გომბოი → გომბომ „გოგო, ქალიშვილი“ (აჭარული); ზოპრაი → ზოპრომ (ანთარაბონიში; იმერხელი). შესაბამისად ნათესაობითსა და მოქმედებითში დაჩნდება: ხფომს, ხფომთ; გომბომს, გომბომთ... ამასთანავე შეინიშნება აგრეთვე: ხფომს → ხფოს, ხფომთ → ხფოთ(ი) და მისთ. ღირსსაცნობია, რომ ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ოი → ომ გვხვდება მაშინაც, როცა სახელობითი წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნის გარეშე: ორხაპო „ხილის საკრეფი“ → ორხაპომს, „ორხაპომთ, ტუნგო → ტუნგომს, ტუნგომთ, აგვისტო → აგვისტომს, აგვისტოთ... // ორხაპოის, ორხაპოთ და მისთ. ნიმუშები აჭარული დიალექტიდანაა დასახელებული.

ოი → ომ თავს იჩენს მეორად კომპლექსშიც, რომელიც თანხმოვნის ჩავარდნით არის მიღებული: მოდი → მოი → მომ, წამოდი → წამოი → წამომ; როდის → როის → რომს (აჭარული, გურული, დაჩნდება იმერხელშიც...).

სპორადულად შეინიშნება ო-ი → ო-ო დისტანციური პრაგრესული ასიმილაციის შედეგი: კოჟიეი → კოჟოეი (ქართლური)...



ოო კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებანი.

პირველადი ოო კომპლექსი დამოწმებულია ოდენ ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე: ოო → აო (დისიმილაცია აწეულობის ნიშნის მიხედვით): თითო → სა-თითო-ო → სა-თითა-ო, ბოლო → სა-ბოლო-ო → სა-ბოლა-ო (მდრ.: სა-ბოლო-ვ-ო // კონტამინაციით: სა-ბოლა-ვ-ო, ა-ბოლო-ვ-ებ-ს // ა-ბოლა-ვ-ებ-ს), უთო → სა-უთო-ო → სა-უთა-ო (მდრ. სა-უთო-ვ-ო, ა-უთო-ვ-ებ-ს, ა-უთა-ვ-ებ-ს)...

ოო კომპლექსი შესაძლოა მიღებული იყოს ინტერვოკალურ პოზიციაში ვ თანხმოვნის ჩავარდნით; ამ შემთხვევაშიც დაჩნდება რეგრესული დისიმილაცია,

მაგრამ საპირისპირო შედეგით: თუ ოო → აო პროცესის შემთხვევაში საქმე გვექონდა ხმოვნის დისიმილაციურ გაფართოვებასთან, მეორადი ოო კომპლექსის დროს ხდება წინამავალი ო ხმოვნის დისიმილაციური დაიწროვება (ოო → უო): აძოვოს → აძოოს → აძუოს, ათხოვოს → ათხოოს → ათხუოს; დადასტურებულია გურულში, იმერულში, ქართლურში, კახურში, ინგილოურში... პროცესი შესაძლოა კიდევ უფრო გაღრმავდეს: აწუოს → აწუოს (აჭარული).

შენიშვნა: ო → უ გადაბგერება ამ პოზიციაში ხდება ე და ა ხმოვნის წინაე (ოე → უე; ოა → უა): ვათხოვე → ვათხოე → ვათხუე, ათხოვა → ათხოა → ათხუა (იხ. აქვე, ზემოთ).

პარადიგმა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

აორისტი: ვათხოვე → ვათხუე

ათხოვე → ათხუე

ათხოვა → ათხუა...

II კავშირებითი: ვათხოვო → ვათხუო

ათხოვო → ათხუო

ათხოვოს → ათხუოს...

ოო → უო პროცესს აქვს სხვაგვარი გაგრძელებაც (იხ. ქვემოთ).

ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე ოო → უო შესაძლოა დავადასტუროთ მაშინაც, როცა ოო მიღებულია ან კომპლექსისაგან სრული რეგრესული ასიმილაციით: მუშაობს → მუშაობს → მუშუობს/მუშუოვს (ინგილოური).

სრულიად საპირისპირო შედეგს იძლევა მორფემათა ზღვარზე ოო კომპლექსი მაშინ, როცა ბოლოკიდურა — ო სხვათა სიტყვის მორფემოიდია: იყოო → იყოვო, ბატონოო → ბატონოვო (აჭარული), ვიარაოო → ვიარაოვო, მოიგოო → მაიგოვო (კახური)...

ეს ნიშნავს, რომ ოო კომპლექსის ფონეტიკურ ცვლილებას გარკვეულ წილ არეგულირებს მორფოლოგიური ფაქტორი: სა-ბოლო-ო (ბოლოკიდურა — ო სიტყვათშეარმობელი ფორმანტია) → სა-ბოლა-ო; ა-თხოვ-ო-ს → ა-თხო-ო-ს (ბოლოკიდურა — ო კავშირებითის ფორმანტია) → ა-თხუ-ო-ს; იყო-ო (ბოლოკიდურა — ო სხვათა სიტყვის მორფემოიდია) → იყო-ვ-ო.

თავკიდურა პოზიციაში ოო დაჩნდება ოდენ ეო კომპლექსის სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად: მეორე → მოორე (/ / მოორე / / მეერე... იხ. ზემოთ ეო კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებანი). თავის მხრივ, ოო → ო (მოორე → მორე) → ო (მორე → მორე). დაჩნდება გურულში...

შენიშვნა: ზოგჯერ გრძელი ო ისმის ათხოვოს → ათხოს, იპოვოს → იპოს ტიპის ფორმებში.

ოო → უო პროცესის შემდგომ საფეხურზე შესაძლოა დაჩნდეს ვიო კომპლექსიც, რომლის გამართობებით მიიღება იო: დატოვოს → დატოოს → დატუოს → დატვიოს → დატოოს. სავარაუდოა, რომ უო → ვიო ცვლილების შუალედურ საფეხურზე წარმოდგენილი ყოფილიყო უმლაუტანი უ-ს შემცველი კომპლექსი (უო → ვიო). სისტემებში ეს მოვლენა თავს იჩენს მესხურში: ათხოვოს → ათხოოს → ათხუოს → ათხვიოს... გოგოობა → გოგუობა → გოგვიობა... როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, ოო პირველადია (გოგოობა), თუ მეორადი, მიღებული ოვო → ოო ცვლილებით (ათხოვოს → ათხოოს), საბოლოო შედეგი ერთი და იგივეა).

ანალოგიურ შედეგს იძლევა ის ოო კომპლექსიც, რომელიც აო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზეა მიღებული: ლოცავს → ლოცავობს → ლოცაობს → ლოცოობს → ლოცუობს/ლოცუობს → ლოცვიობს//ლოციობს (ინგილოური).

დიალექტების ერთ ნაწილში უფრო ხშირად უო ან იო საფეხურია დადასტურებული (არ დაჩნდება შუალედური ვიო): დატოვოს → ... დატუოს//დატოოს (გურული, იმერხეული...), თუმცა იქვე შესაძლოა შეგვხვდეს: ათხოვოს → ... ათხუ-ოს//ათხვიოს.

შენიშვნა: დატოვოს → ... დატუოს// დატოოს ტიპის შემთხვევებში არ გამოირჩევა სხვაგვარი ახსნაც: უო → იო დისიმილაციური დელაბიალიზაციის საფუძველზე.

დისტანციური ურთიერთმიმართების დროს დადასტურებულია: დელაბიალიზაცია პროგრესული დისიმილაციის გზით (ო-ო → ო-ე: ფოთალი → იმერული, დასავლეთ ქართლური, ჭავჭავური, აჭარული: ფოთელი; შდრ. ხევისურული, მთიულური: ფათალი, ან: ბაჩოლა → ბაჩოლა, როცა დისიმილაციას წყვილბაგისმიერი მ, ბ თანხმოვნები იწვევენ); პროგრესული დისიმილაცია, რომელიც შედეგად ხმოვნის დავიწროვებას იძლევა (ო-ო → ო-უ: დოქტორი → დობტორი); აგრეთვე დისიმილაციის შემდგომ ასიმილაცია (ოლონდ → ულონდ → თუ შური: ულუნდ; ან: კომბოსტო → კუმბუსტო, როცა ო → უ გადაბგერებას იწვევს მომდევნო წყვილბაგისმიერი თანხმოვანი, და შემდგომ: კუმბოსტო → ზემოიმერული: კუმუსტო — თანამდევია ბ თანხმოვნის დაკარგვა).

შენიშვნა: დისიმილაციის შედეგად მიღებული ფოთელ-ი და მისთ. ფორმებში ხდება ე ხმოვნის სრული რედუქცია: ფოთლ-ის; შდრ.: ფათოლ-ი → ფათელ-ის (ხევსურული...), სადაც ნაწილობრივი ასიმილაციაა დადასტურებული.

* * *

ოუ კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებანი.

ეს კომპლექსი დადასტურებულია როგორც თავიიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციებში მორფემათა ზღვარზე. ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგები განსხვავებულია პოზიციების მიხედვით.

თავიიდურა პოზიციაში უო → უუ შესაძლოა იცვალოს სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (დაჩნდება მო — ზმნისწინისა და ზმნური უ — პრეფიქსის შეხვედრისას): მოუტანა → მუუტანა, მოუქნა → მუუქნა; გამოუნახა → გამუუნახა. გავრცელებულია აჭარულში, იმერხელში, გურულში; დაჩნდება აგრეთვე ლეჩხუმურსა და ქვემოიმერულში, უპირატესად გურული და მებგრული მეტყველების მოსაზღვრედ.

აჭარულში უუ, ჩვეულებრივ, შეირწყმის გრძელ ხმოვნად: მოუტანა → მუუტანა → მუტანა, მოუკიდა → მუუკიდა → მუკიდა; გამოუნახა → გამუუნახა → გამუნახა.

ამ პოზიციაში გრძელი ხმოვანი დაჩნდება თუ შუარშიც: მოუკიდა → მუუკიდა → მუკკიდა, გამოუცხადა → გამუუცხადა → გამუცხადა, ჩამოუგდია → ჩამუუგდია → ჩამუგდია (თუმცა აქ შესაძლებელია ამოსავალი იყოს მა — ვარიანტი; ანუ: აუ → ოუ → უუ → უუ).

შენიშვნა 1: თავიიდურა პოზიციაში ანალოგიურ შედეგს იძლევა ის ოუ, რომელიც მიღებულია აუ და ეუ კომპლექსებისაგან რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა, შეუნახა → შოუნახა → შუუნახა. ეგვე შედეგი გვაქვს ენკლოტიკის შემთხვევაშიც: რა უყავი → რა-უყავი → რუ-უყავი (გურული...).

შენიშვნა 2: დიალექტების მიხედვით სხვაობაა; მაგალითად, იმერულში აუ → ოუ ან ეუ → ოუ, ჩვეულებრივ, შემდგომ ცვლილებას არ განიცდიან (გამონაკლისს ქმნის ქვემოიმერულის ის რეგიონი, რომელიც გურიასა და სამეგრელოს ემიჯნება), მაგრამ სრული ასიმილაციის საფუძველზე იცვლება პირველადი ოუ: მოუხდა → მუუხდა, წამოუღია → წამუუღია და მისთ. ოუ → უუ თავს იჩენს, მესხურშიც, მაგრამ აქ, როგორც წესი, არ დასტურდება აუ → ოუ, ეუ → ოუ ნაწილობრივი ასიმილაცია.

შენიშვნა 3: გურულში, აპარულსა და იმერხელში, აგრეთვე გარკვეულ წილ ლეჩხუმურსა და ქვემოიმერულში გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა ოუ → უუ და იუ → უუ ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგი: მოუტანა → მუუტანა (→ მუტანა) და მიუტანა → მუუტანა (→ მუტანა). გარჩევა კონტექსტით ხდება.

შენიშვნა 4: ქვემოიმერულში (ხონურ და სამტრედიულ თქმებში, უარყოფითი მიმღობა შესაძლოა ორმაგი პრეფიქსაციით იყოს ნაწარმოები: უდა-უწერელი → უდღუწერელი, უგაუთლელი → უგაუთლელი (მიიღება მეორადი ოუ კომპლექსი). დაჩნდება სრული ასიმილაციის შედეგიც: უდღუწერელი, უგუუთლელი. აპარულში უუ შეირწყმის გრძელ ხმოვნად: უდუწერელი, უგუთლელი.

შენიშვნა 5: ოუ → უუ პროცესის შედეგად შესაძლოა ერთმანეთს სუბიექტური წყობის I და II პირის ფორმები (გარჩევა კონტექსტით ხდება):

I პირი: მოუუტანე → მოუტანე → მუუტანე

II პირი: მოუტანე → მუუტანე

III პირი: მოუტანა → მუუტანა...

ასეთივე ვითარებაა იუ → უუ ცვლილების შემთხვევაშიც (იხ. აქვე ზემოთ).

ბოლოკიდურა პოზიციაში ოუ კომპლექსი გვხვდება ფუძისეული ო და სუფიქსისეული უ ხმოვნის შეხვედრისას (კინტო-ურ-ი, ხბო-უკ-ა). ფონეტიკურ პროცესს არეგულირებს მორფოლოგიური ფაქტორი. კერძოდ, კინიზობითობის სუფიქსი ფონეტიკურ ცვლილებას ვერ იწვევს (რატული: ხბოუკა), წარმომავლობისა ან თვისობის გამომხატველი — ურ სუფიქსის დართვისას კი დაჩნდება რეგრესული დისიმილაცია (ხდება ო ხმოვნის დელაბიალიზაცია და გაფართოვება). ინდო-ურ-ი → ინდა-ურ-ი, კინტო-ურ-ი → კინტა-ურ-ი...

შენიშვნა: ბოლოკიდურა პოზიციაში მეორადი ოუ კომპლექსი (მიღებული აუ → ოუ და ეუ → ოუ პროცესის შედეგად) შემდგომ ცვლილებას აღარ განიცდის: აქაური → აქოური, ცოლეური → ცოლოური (მდრ.: გაუტანა → გოუტანა → გუუტანა, შეუტანა → შოუტანა → შუუტანა).

დაჩნდება ორმხრივი ზემოქმედების შედეგიც: კონდუქტორი → კონტიხტორი (ყვახტური), ანუ: ერთი მხრივ, ო-უ → ო-ი, მეორე მხრივ, უ-ო → ი-ო (ორივე შემთხვევაში საკმე გვაქვს დისიმილაციური დელაბიალიზაციის შედეგთან). თან

ახლავს თანხმოვანთა ცვლილებანიც: დ → ტ (ასიმილაციის საფუძველზე: კ-დ-ტ → კ-ტ-ტ) და კტ → ხტ (დისიმილაცია რაგვარობის მიხედვით: ხშული + ხშული → ნაპრალოვანი + ხშული); შდრ.: დოქტორი → დოხტერი (ანუ: ო-ო → ო-უ პროგრესული დისიმილაციით, ხოლო კტ → ხტ აქაც ზემოხსენებული წესის შესაბამისად ხდება).

* * *

ე) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი უ ხმოვანია.

უა → 1. უ ია/ვია (კუა → კვია); 2. უ ა/ვა (უარი → უ არი/ვარი); 3. უ-ე (ჩუმათ → ჩუმეთ); 4. ო-ა (უნაგირი → ონაგირი).

უე → 1. უ იე/ვია (ტუტუები → ტუტუები); 2. უა (ბუერა → ბუარა); 3. უვე (აყრუებს → აყრუებებს).

უი → 1. უ იე/ვიე (ტყუილი → ტყვიილი); უა (ტრუი → ტრუა); 3. უვი (რუი → რუვი); 4. უუ (ღმუილი → ღმუული).

უო → 1. უ იო/ვია (მოატყუოს → მოატყვიოს); 2. უა (უთუოდ → უთუად).

* * *

უა კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

უა → უ ია/ვია დადასტურებულია მესხურში ბოლოკიდურა პოზიციაში: კუა → კვია, მოატყუა → მოატყვია. საქმე გვაქვს ხმოვნის წინა პოზიციაში თანხმოვნის მომდევნოდ უ ხმოვნის „დაშლასთან“ შემადგენელ კომპონენტებად: ლბიალობა (უ/ე) + მიალი აწეულობა (ი). პროცესს წინ უნდა უსწრებდეს უ-ს უმლაუტიზაცია (უა → უ ა → ვია).

შენიშვნა 1: ანალოგიური შედეგი დასტურდება ყველა ხმოვნის წინ (უ-ს გარდა): ატყუებს → ატყვიებს, მოატყუა → მოატყვია, მოატყუოს → მოატყვიოს, ტყუილი → ტყვიილი (იხ. აქვე, ქვემოთ).

შენიშვნა 2: ეგვევ პროცესი დაჩნდება მეორეული უა კომპლექსის შემთხვევაშიც: ოა → უა → ვია (აძოვა → აძოა → აძუა → აძვია)...

უა → უა/ვა პროცესი გაერთმარცვლიანების ტენდენციის გამოვლინებაა (შუალედურ საფეხურად დაჩნდება აღმავალი დიფთონგი: უა): უარი → ვარი, შუადღე → შვადღე (აჭარული, გურული, იმერული...), კუა → კვა (ქართლური, კახური...). ცვლილება ხდება ენკლიტიკის დროსაც: თუ არა → თე-არა...

შენიშვნა: ამ წესით იცვლება მეორადი უა კომპლექსიც: ხომ არ → ხო-არ → ხე-არ

→ ხე-არ (იმერული, გურული...).

დიალექტების ერთ ნაწილში დაჩნდება უ-ა → უ-ე დისტანციური პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები (დამსგავსება ხდება აწეულობის, ანუ: ღიაობის მიხედვით): კურატი → მოხეური: კურეტი, უკან → მოხეური: უკენ, ჩემად → ქართლური: ჩემეთ... ასიმილაციას იწვევს უ ხმოვანი.

ამის საპირისპიროდ, შეინიშნება რეგრესული დისტანციური ასიმილაციის შედეგიც: უ → ა → ო-ა (დამსგავსებას ღიაობის მიხედვით იწვევს ა ხმოვანი): უნაგირი → აჭარული: ონაგირი, ლუკმა → ინგილოური: ლოკმაჲ, ხუხულა → ჭავახური: ხოხოლა (ბოლო შემთხვევაში ასიმილირებულაა მეორე უ ხმოვანიც).

შენიშვნა: ლუკმა → ლოკმაჲ ფორმაში გადაბგერებას შესაძლოა იწვევდეს ბაგის-მიერი მ სონანტიკ რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე.

* * *

უე კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებანი.

უე → უე/ვიე ზემოაღნიშნული ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე: ძუძუები → ძუძვიები (მესხური). როგორც ითქვა, ანალოგიური პროცესი დაჩნდება მეორადი უე კომპლექსის შემთხვევაშიც: ვაძოვე → ვაძოე → ვაძუე → ვაძვიე.

უე → უე/ვე აქაც გაერთმარებულია ტენდენციის შედეგია: ძუძუები → ძუძუები/ძუძვები (აჭარული; შეინიშნება მესხურის ზოგიერთ თქმაშიც). ასეთივე ვითარებაა მეორადი უე კომპლექსის დროსაც: წყაროები → წყარუები → წყარუბი/წყარვები; გამოექცა → გამუექცა → გამუექცა/გამვექცა...

უე → უა პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე (ვანმსგავსება ხდება აწეულობის, ანუ: ღიაობის მიხედვით): ბუერა → ბუარა; თავს იჩენს დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც: წუხელ → წუხალ (მთიულური).

უე → უეე (ვ-ს გაჩენით) მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტისთვისაა დამახასიათებელი: ა-ყრუ-ებ-ს → ა-ყრუ-ე-ებ-ს...

* * *

უი კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

უი → უი იე/ვიე დაჩნდება ზემოხსენებული კანონზომიერების შესაბამისად: ტყუილი → ტყვიილი, ბზუილი → ბზვიილი (მესხური). პროცესი იკრძალება, თუ კომპლექსის წინამავალი თანხმოვანი ბაგისმიერი თანხმოვანია: ღმუის, ყმუის, ზმუის და მისთ.

შენიშვნა: დიალექტებში დაჩნდება უი → უი/ვი ცვლილებაც (ტყუილი → ტყვილი).

აქ არსებითად სხვა პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე, კერძოდ, გაერთმარცვლიანობის ტენდენციის კვალობაზე ხდება უ-ს დაეწროება და თანხმოვანად გარდაქმნა (უ → ზ / ვ).

უი → უი პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე, რაც შედეგად იძლევა დამავალ დიფთონგს, დამოწმებულია როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში: ძუძუი → ზუზუი (ინგილოური), ნუნუი → ნუნუი (მესხური დიალექტის სამცხური კილოკავი; დაჩნდება უპირატესად ანთროპონიმებთან), ბლუი → ბლუი, ცრუი → ცრუი, ყრუი → ყრუი (გურული; პარალელურად დაჩნდება სრულხმოვანი —), ყრუი → ყრუი (აჭარული)... წარმოდგენილი იყო სახელობითი ბრუნვის ფორმები. ანალოგიური ვითარებაა ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებშიც: ცრუ-მს, ცრუ-მთ და მისთ.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებში რედუცირებადი ხმოვნის წინ დაჩნდება უ ხმოვანი, მაშინ ნათესაობითსა და მოქმედებითში უშუალო (კონტაქტურ) მეზობლობაში აღმოჩნდება უი კომპლექსი (ყუა → ყუ-ის, ყუ-ით), რომელიც აჭარულში იძლევა უი ფონეტიკურ ვარიანტს (ყუ-მს, ყუ-მთ).

დიალექტების ერთ ნაწილში უი კომპლექსის პოზიციაში წარმოდგენილია უუ: ყმუილი → ყმუული, ღმუილი → ღმუული, ბზუილი → ბზუული, ტყუილი → ტყუული (ლუჩხუმური, ქვემოიმერული...): ივარაუდება სრული პროგრესული ასიმილაცია. დაჩნდება დისტანციური მეზობლობის დროსაც: ხურჯინი → ხურჯინი (ჭართლური).

შენიშვნა: კონტაქტური მეზობლობისას არ გამოირჩევა სხვა შესაძლებლობაც: ყმუილი → ყმუილი (ინტერვოკალურ პოზიციაში ვ-ს განვითარებით) → ყმუული (ვი → უ შენაცვლების საფუძველზე).

უი → უვი ბოლოკიდურა პოზიციაში სისტემბერ იჩენს თავს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში: ბუი → ბუვი, ცრუი → ცრუვი, ყრუი → ყრუვი, ღრძუი → ღრძუვი (ხევსურული), რუი → რუვი, ბუი → ბუვი (მთიულურ-გუდამაყრული) და მისთ. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში პარალელურად გამოიყენება ბუვი//ბუი, რუვი//რუი, ღრუვი//ღრუი, ცრუვი//ცრუი (კახური, ჭართლური); ანუ: უი → //უვი.

* * *

• უო კომპლექსის ფონეტიკური რეფლექსები.

უო → ზო/ვიო ხდება იმავე წესით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული (იხ.: უა → ვია,

უე → ვიე, უი → ვიი): მოატყუო → მოატყვიო (მესხური)...

შენიშვნა: ანალოგიურ შედეგს იძლევა მეორადი უო კომპლექსიც: ათხოვოს → ათხოოს → ათხუოს → ათხვიოს.

უო → უა პროგრესული დისიმილაციით (დელაბიალიზაცია ხმოვნის გაფართოვების საფუძველზე): უთუოდ → უთუად (მთიულური).

* * *

პირველადი უუ კომპლექსი (უუთოებს, უუფლებო, უუნარობა...) ცვლილებას, როგორც წესი, არ განიცდის, რადგან ფუძისეულ ხმოვანთან პრეფიქსისეული ხმოვნის შეხვედრისას (შდრ.: აეჭვებს, საერთო... აუთოებს, საურმე...) ფონეტიკური პროცესი, ჩვეულებრივ, იზღუდება (თუმცა გამონაკლისებიც გვაქვს). რაც შეეხება მეორადი უუ კომპლექსის ცვლილებას, ამის შესახებ იხ. ზემოთ აუ, ეუ, იუ და იუ კომპლექსების ფონეტიკური რეფლექსები.

* * *

ზოგჯერ ვადასტურებთ ორმხრივი ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ ფონეტიკურ ცვლილებებს. ნიმუშად რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ.

ა-ო — ო → ა-ა-ო: აეტრომობილი → აეტანობილი (ქართლური). შესაძლოა გვქონდეს როგორც ა-ო → ო-ო პროგრესული ასიმილაციით (შდრ.: გამოვიდა → გომოვდა), ასევე ო-ო → ა-ო რეგრესული დისიმილაციით (შდრ.: სათითაო → სათითაო).

ე-ა-ე → ე-ი-ე: ყველაფერი → ყველიმფერი (აჭარული). დასაშვებია როგორც ე-ა → ე-ი პროგრესული ასიმილაციის შემდგომი დისიმილაციით (შდრ.: ჭეელი → ჭეილი), ასევე: ა-ე → ი-ე იმავე (ოლონდ რეგრესული მიმართულებით განხორციელებული) პროცესის შედეგად (შდრ.: დევეხმარე → დევეხმარე → დევეხმარე). ანუ: ივარაუდება ყველაფერი → * ყველეფერი → ყველიმფერი (თანამდევია მ სონანტის განვითარება).

რაც შეეხება თამამად → თოომათ (იმერული) ტიპის შენაცვლებას, აქ ხმოვანთა გადაბგერებაზე, ჩანს, ზემოქმედებას ახდენს თანხმოვანიცა და ხმოვანიც: თამამად → * თოომამათ (ა → ო მ-ს გავლენით) → * თოამათ (მ-მ → ო-მ) → თოომათ (ოა → ოო); ან: თამამად → * თაამათ (მ-ს რეგრესული დისიმილაციური დაკარგვით) → * თაომათ (ა → ო მ-ს გავლენით) → თოომათ (აო → ოო სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე).

თანხმოვნისა და ხმოვნის კომპლექსური ზემოქმედების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ინგილოურში დადასტურებული ცრემელ „ცრემლი“, სადაც

ე → გადაბგერება ხდება წყვილბაგისმიერი მ სონანტის გავლენით, ხოლო უმლაუტს იწვევს პალატალური ე ხმოვანი (მრავლობითში: ცრამლევ / ცრემლევ); დადასტურებულია ცქრამელ ნაირსახეობაც (ქ-ს განვითარებით).

2.29. ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა ზოგადი დახასიათება. ზემოთ გაანალიზებული იყო ხმოვანთკომპლექსები მათი პირველი კომპონენტის ჩვენებათა მიხედვით. საერთო სურათის წარმოსაჩენად აუცილებელია იგივე კომპლექსები წარმოდგენილ იქნენ მეორე კომპონენტის გათვალისწინებითაც. რადგან პროცესის არსი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, ამჯერად მხოლოდ ნიმუშების დასახელებით დავკმაყოფილდებით.



ა) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტია ა ხმოვანი.

აა → 1. ა (გატანა → გატანა); 2. აა (ნაადრი → ნააადრი); 3. ა-ე/ე-ა (არაკი → არეკი; წამალი → წემალი); 4. ა-ი/ი-ა (ლაპარაკი → ლაპარიკი; სანამ → სინამ).

ეა → 1. ია (შეაქო → შიაქო) → მა (შიაქო → შმაქო); 2. ევა (გაახეა → გაახევა); 3. ა-ა — (ნეტარა → ნატარა).

ია → 1. მა (შიართვა → შმართვა); 2. იე (ნიაეი → ნიეეი); 3. ე-ა (ქისა → ქესა).

ოა → 1. უა (მოახერხა → მუახერხა; აძოვა → აძოა → აძუა) → შა/ვა (მუახერხა → მუახერხა; აძუა → აძუა/ აძვა); უა საფეხურის სხვაგვარი გაგრძელებაა: უა → შა/ვია (აძუა → აძუა/ აძვია); 2. ო-ე (პოვარი „მზარეული“ → პოვერი); 3. ო-ო (დოლაბი → დოლობი).

უა — 1. შა/ვია (ჭეუა → ჭეუა/ ჭევია); 2. შა/ვა (უარი → უარი/ ვარი; შუა — შუა/ შვა); 3. უ-ე (ჩემათ → ჩემეთ); 4. ო-ა (უნაგირი → ონაგირი).



ბ) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტია ე ხმოვანი.

აე → 1. ეე (დაეცა → დეეცა; ყანაები → ყანეები) → ე (დეეცა → დეცა) → ე (დეცა → დეცა); ამავე საფეხურის მეორე ვარიანტია: ეე → იე (დეეცა → დეეცა) → ე (დეეცა → დეეცა); 2. ე (ყანაები → ყანეები); 3. აე (აქვაებს → აქვეებს); 4. აე (დოსტაშნაები → დოსტაშნამები); 5. ა-ა (ფარეხი → ფარახი); 6. ა-ი (აქლუმი → აქლომი).

ეე → 1. ე (შეეკამა → შეკამა); 2. იე (შეეკამა → შიეკამა) → ე (შეეკამა → შეეკამა); 3. ეე (ახეებს → ახეეებს); 4. ა-ე (ეგებ → აგებ); 5. ე-ა (ერთხელ → ერთხალ); 6. ეი (ჩეელი → ჩეილი).

იე → 1. ე (შიეტანა → შმეტანა); 2. ია (ნიჭიერი → ნიჭიარი); 3. ეე (შიეცა → შმეცა); 4. იი (ვაჭმეი → ვაჭმი) → ი (ვაჭმი → ვაჭმი).

ოგ → 1. ეგ (მოეტანა → მეეტანა) → ე (მეეტანა → მე ტანა); ამავე საფეხურზე დაჩნდება სხვაგვარი გაგრძელება: ეგ → იგ (მეეტანა → მიეტანა) → იგ (მიეტანა → მიეტანა); 2. უგ (მოეტანა → მუეტანა; აძოგე → აძოგე → აძუგე) → უ ე/ვე (აძუგე → აძუგე/აძვეგე); უგ საფეხურს აქვს სხვაგვარი გაგრძელება: უგ – უიგ/ვიგ (აძუგე – აძუიგე/აძვიგე); 3. ოო (დროება → დროობა); 4. ო-ა (ფოცხვერი → ფოცხვარი); 5. ოვე (პოვეტი → პოვეტი); 6. ვვე (ტაროები → ტარვეები).

უგ → 1. უ იგ/ვიგ (ძუძუები → ძუძუ იები/ძუძუვიები); 2. უა (ბუერა → ბუარა); 3. უვე (აყრუებს → აყრუვეებს).

* * *

გ) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტია ი ხმოვანი.

აი → 1. ეი (გაიკეთა → გეიკეთა; ბიცოლაი → ბიცოლეი) → ეი (გეიკეთა → გეიკეთა); აგრეთვე: ეი → ე (გავიკეთე → გევიკეთე → გევიკეთე; ბიცოლეი → ბიცოლე); ასევე: ეი → იი (გეიკეთა → გიიკეთა) → ი (გიიკეთა → გი კეთა); ან: ა-ი → ე-ი (გამიკეთა → გემიკეთა) → ი-ი (გემიკეთა → გიმიკეთა); 2. აი (დაიწყა → დაიწყა; დედაი → დედაი); 3. ი (ყანა-ის → ყან-ის; მამალ-ის → მამალ-ის).

ეი → 1. იი (შეინახა → შიინახა) → ი (შიინახა → ში ნახა); 2. ე (შეეიტანე → შეეიტანე); 3. ეი (შეინახა → შეინახა); 4. აი (ზეით → ზაით);

ეი → იი (იქით „იქიდან“ → იქიი).

ეი → 1. ეი (მოიტანა → მეიტანა) → ეი (მეიტანა → მეიტანა); აგრეთვე: ე-ი → ე (მოვიტანე → მევიტანე → მევიტანე); ეი საფეხურს აქვს სხვაგვარი გაგრძელება: ეი → იი (გამოიტანა → გამეიტანა → გამოიტანა) → ი (გამოიტანა → გამი ტანა); 2. ეი (მოვიტანე → მოვიტანე → მოვიტანე; ხბოი → ხბოი); 3. ო-ი (კოეიცი → კოეიცი).

ეი → 1. უ იგ/ვიგ (ტყუილი → ტყუი ილი/ტყუიილი); 2. უა (კრუი → კრუი); 3. უვი (რუი → რუვი); 4. უუ (ღმუილი → ღმუუილი).

* * *

დ) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტია ო ხმოვანი.

აო → 1. ოო (მუშაობს → მუშაოფს) → უო (მუშაოფს → მუშუოფს/მუშუოფს); უო საფეხურს ზოგ დიალექტში აქვს გაგრძელება: → ვიო (ლოცავს → ლოცავობს → ლოცავობს → ლოცავობს → ლოცუობს/ლოცუობს → ლოცვიობს); ოო საფეხურის ვარიანტია აგრეთვე ო-ო (გამოვიდა → გამოვიდა); მასიმილირებული ო შესაძლოა მიღებული იყოს ფონეტიკური ცვლილების შედეგად (დაგვაძინა → დაგოძინა → დოგოძინა); 2. აო (ძმაო → ძმაო); 3. ბო (მამაობა → მამაობა); 4. აუ → აუ (წამომიღო → წამომიღო → წაუმიღო → წაუმიღო).

ეო → 1. იო (მეორე → მიორე) → ეო (მიორე → მეორე), ამავე საფეხურის მეორე ნაირსახეობად ივარაუდდება: იწ (მეორე → მიწრე) → ივე (მიწრე → მივერე) → იე (მივერე → მიერე); 2. ერ → ევე → ეე (მეორე → მევერე → მეწრე → მეერე) → ეე (მევერე → მეერე); ეე საფეხურის მეორე ვარიანტი შეიძლება იყოს: ეე → იე (მევერე → მიერე); შდრ.: მივერე → მიერე (შედგეგი იგივეა); 3. ეო (მეორე → მიორე) → ეო (მიორე → მორე) → ეო (მორე → მორე); ამავე საფეხურის მეორე ნაირსახეობაა: ეო → ეო (მიორე → მიორე) // ორ-ორ (მეორე → მეორე) → ოვე (მეორე → მვერე); დაჩნდება აგრეთვე: ე-რ → რ-რ (მევერე → მევერე) → შვერ (მევერე → მვერე); 4. ეო → ეეო (გააღეო → გააღეეო).

ეო → 1. ეო (ლობიო → ლობეო); 2. ე-ო (ქილობი → ქელობი); 3. იე (წერდიდიო → წერდიდიე).

ეო → 1. ეო (თხოვოს → თხოოს → თხოს) → ე იო/ვიო (თხოს → თხე იოს/თხეიოს); 2. ეო (თხოვოს → თხოოს → თხოს); 3. აო (სათითაო → სათითაო); 4. ე-ე (ფოთოლი → ფოთელი); 5. ე-ე (ოლონდ → ელუნდ); 6. ეო (იეო → იეო).

ეო → 1. ე იო/ვიო (მოატყოს → მოატყე იოს/მოატყეიოს); 2. ეა (ეთეოდ → ეთეად).



ე) ხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტია უ ხმოვანი.

ეუ → 1. ეუ (გაუკეთა → გოუკეთა) → ეუ (გოუკეთა → გუუკეთა) → ეუ (გუუკეთა → გუუკეთა); 2. აუ (საუბარი → სააბარი); 3. აუ/ავ (აქაურელი → აქაურელი/აქაურელი).

ეუ → 1. ეუ (შეუნაბა → შოუნაბა) → ეუ (შოუნაბა → შუუნაბა) → ეუ (შუუნაბა → შუნაბა); 2. აუ (ანეული → ანაული); 3. ეუ (ანეული → ანეული); 4. ეო (ეუბნება → ეობნება); 5. ეე (ეუბნება → ეებნება) → ეე (ეებნება → ეებნება); 6. ეუ/ეე (დეკეული → დეკეული → დეკეული).

ეუ → ეუ (მიუტანა → მიუტანა) → ეუ (მიუტანა → მიუტანა) → ეუ (მიუტანა → მიუტანა).

ეუ → 1. ეუ (მოუტანა → მიუტანა) → ეუ (მიუტანა → მიუტანა); 2. აუ (ინდოური → ინდაური).

პირველადი ეუ კომპლექსი, როგორც აღინიშნა, ცვლილებას არ განიცდის (ეუთოვებს, ეუფლებო...), რაც შეეხება მეორად ეუ კომპლექსს, მისი ფონეტიკური რეფლექსები წარმოდგენილია აუ, ეუ, იუ და ეუ კომპლექსების განხილვისას.



ანალიზმა აჩვენა, თუ რა ფონეტიკური რეფლექსის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი თითოეული ხმოვანი სხვადასხვა პოზიციაში.

საერთო სურათის უკეთ გასათვალისწინებლად ხმოვანთა პოზიციურ კორელაციებს სქემატურად წარმოვსახავთ (ნიმუშად მხოლოდ ზოგიერთი მაგალითი იქნება დასახელებული).

- ა → ე (დეემართა → დეემართა, რანაირი → რანეირი);
 ი (დეემართა → დეემართა → დიემართა, დამიჭირა → დემიჭირა → დიმიჭირა);
 ო (მუშაობა → მუშოობა, დაუნახა → დოუნახა);
 უ (დაუნახა → დოუნახა → დუუნახა);
 ა (გააკეთა → გააკეთა).

ა უშუალოდ გარდაიქმნება საშუალო აწეულობის (ლიაობის) ე და ო ხმოვნებად. რაც შეეხება მაღალი აწეულობის ი და უ ხმოვნებთან მის მონაცვლეობას, აუცილებელია გარდამავალი საფეხური ე ან ო ხმოვნის სახით. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს რაგორაც ასიმილაციის (დამიჭირა → დემიჭირა → დიმიჭირა), ასევე დისიმილაციის (დეემართა → დეემართა → დიემართა) საფუძველზე. გამონაკლისს ა → ი უშუალო შენაცვლებისას ვადასტურებთ: ლაპარაკი → ლაპარიკი ტიპის ფორმებში.

ზოგჯერ ა-ს პოზიციაში დაჩნდება ირაციონალური ჯ ხმოვანიც: არისა? (— კითხვითი მორფემოიდეა) → არისე ? (მოხეური, რივნისთაური). ა → ე → ი → ა დაჩნდება ე ხმოვნის წინ (დეემართა → დეემართა → დიემართა → დემართა).

* * *

- ე → ა (ფარეხი → ფარახი);
 ი (შეინახა → შიინახა, შეატყო → შიატყო);
 ო (მეორე → მოორე, ცოლური → ცოლოური);
 უ (შეუნახა → შოუნახა → შუუნახა);
 ე (შეეკამა → შეეკამ);
 ჯ (კარზე → კარზე).

ე უშუალოდ იცვლება ყველა ხმოვნად, გარდა უ-სი (ამ დროს აუცილებელია გამაშუალებელი ო-საფეხური: ე → ო → უ). ე → ი → ა დაჩნდება ა, ე და ო ხმოვნების წინ (შეატყო → შიატყო → შმატყო, შეენახა → შიენახა → შმენახა, მეორე → მიორე → მმორე).

* * *

- ი → ე (მიეცა → მეეცა);
 უ (მიუტანა → მუუტანა; ფინჩხა → ფუნჩხა);

მ (შიაქეს → მიაქ, მიეცა → მიეცა, დაიწყო → დამწყო/ დემწყო);

ნ (შეირთო → შიირთო → ში ცრთუ);

ღ (ციხე → ცხე, მაშინ → მაშენ).

არ შეინიშნება ი → ო და ი → ა ცვლილება.

ყველა სხვა გარდაქმნა უშუალოდ არის განხორციელებული.

პირველადი იი კომპლექსი იშვიათია (ხევსურული, ფშაური...: სოფელშიით „სოფლიდან“, ინგილოური: იქით „იქიდან“ → იქიმ). მეორადი იი კი, ჩვეულებრივ, მიიღება ეი კომპლექსისაგან, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს პირველადი (შეირთო → შიირთო), და მეორადიც (აი → ეი → იი: გაიკეთა → გეიკეთა → გიიკეთა, იო → ეი → იი: გამოილო → გამეილო → გამიილო).

* * *

ო → ე (მოეტანა → მეეტანა);

ი (გამოეტანა → გამეეტანა → გამიეტანა, ორმოები → ორმეები → ორმიები);

უ (მოუეტანა → მუუეტანა, ეზოები → ეზუები);

ო (თხოვოს → თხოოს → თხოს).

ო → ი შენაცვლება გაშუალებულია ე-საფეხურით. ყველა სხვა გადასვლა უშუალოდ ხდება.

ი და უ შემდგომ ცვლილებებსაც განიცდიან:

ი → მ: გამიეტანა → გამმეტანა.

უ → შ: ეზუები → ეზუ ები/ ეზუები

ში ი: ეზუები → ეზუ იები/ ეზუიები

არ დადასტურდა ო → ა მონაცვლეობა.

* * *

უ → ი (სუფრა → სიფრა, უფრა → იფრა),

ო (საუბარი → საობარი, უნაგრი → ონაგრი);

შ (ძუძუები → ძუძუ ები, დეკული → დეკუილი);

უ (მოუეტანა → მუუეტანა → მუეტანა);

ღ (ფუსფუსი → ფუსფუსი, სოფელსუ → სოფელსღ).

გრძელ ხმოვანდ შეირწყმის, როგორც წესი, მეორადი უუ კომპლექსი, მიღებული ოუ კომპლექსისაგან სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (მოუეტანა → მუუეტანა → მუეტანა). ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს პირველადი

ან მეორადი, მიღებული იყოს აუ (წაულა → წოულა → წუულა → წჷლა) და ეუ (შეუნაბა → შოუნაბა → შუუნაბა → შჷნაბა) კომპლექსებისაგან.

ემფატიკური (მაგრაცობი) ხმოვნის პოზიციაში უ → ჯ დადასტურებულია ქვემო-იმერულში (სამტრედიულ და აბაშურ თქმებში: „ამასუ, ამ სოფელსუ//სოფელსჯ თხემლარი თქვია“.

დადასტურებულია აგრეთვე უ → ზი/ვი ხმოვნის წინა პოზიციაში: ჳკუა → ჳკვია, ტყუილი → ტყვიილი და მისთ.

* * *

დიალექტების ერთ ნაწილში ო და უ ხმოვნებმა შესაძლოა განიცადონ პალატალიზაცია, რის შედეგადაც ვიღებთ მათ უმლაუტიან ვარიანტებს: ო და უ (ეზოი → ინგილოური: ეზოჲ, ძუძუები → ინგილოური: ჳჷჳჷვე). ანალოგიურ შედეგს იძლევა ამავე დიალექტებში ე და ი ხმოვნების ლაბიალიზაცია (ეზოჲ → ეზოჲ, სირცხვილი → სირცხჷ ლი — სჷრცხჷლ — ორივე ნიმუში ინგილოური დიალექტის კუთვნილება).

უმლაუტიანი ა ხმოვანი დაჩნდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში: დჳჳჳ ა „აქლემი“, მჳჳჳჳბ „სკოლა“ და მისთ.

* * *

ორაციონალური ჯ შესაძლოა დაჩნდეს ხუთივე ხმოვნის პოზიციაში, მაგრამ უფრო ხშირად გვხვდება ი და უ ხმოვანთა ნაცვლად (ციხე → ცხე, ფუსფუსი → ფგსფგსი — ნიმუშები მესხური დიალექტიდანაა დასახელებული). ჩანს, სხვა ხმოვანთა გარდაქმნაც ჯ -დ გამუალებულია ი — და უ — საფეხურებით (ვიწრო ხმოვანი კიდევ უფრო ვიწროვდება).

* * *

ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა ერთი კანონზომიერებაც წარმოაჩინა: ხმოვანთა ურთიერთგადასვლა შესაძლოა ხდებოდეს უშუალოდ, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია გამაშუალებელი საფეხური. მაგალითად, როგორც აღინიშნა, ა → ი უშუალოდ საფეხურად ვარაუდობს ე ხმოვანს, ა → უ — ო ხმოვანს, აგრეთვე: ე → უ — ო ხმოვანს და ა.შ.

არსებითად ეს ნიშნავს: ი არის ე-ს კორელატი, უ კი — ო ხმოვნისა, ხოლო, თავის მხრივ, ე და ო შესაძლოა იყოს როგორც პირველადი, ასევე მეორადი, მიღებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად. ასე რომ, რეალურად ასეთი ვითარებაა: ა → ე, ა → ო, ე → ო, შემდგომ კი ე → ი და ი → უ. ამის კვალობაზე, ზემოთ წარმოდგენილი

სქემები ასე დაზუსტდება:

ა | ე (დაემართა → დეემართა);
 | ო (დაუნახა → დოუნახა);
 | ა (გააკეთა → გააკეთა);

ან:

ე → ა (ფარეხი → ფარახი);
 | ი (შეატყო → შიატყო; დეემართა → დეემართა);
 | ო (შეუნახა → შოუნახა) და ა.შ.

შემდეგ:

ო → ე (მოეტანა → მეეტანა)
 | უ (მოუტანა → მუუტანა, დოუნახა → დუუნახა, შოუნახა → შუუნახა)
 და ა.შ.


ამდენად, ე → ი დამოწმებულია მაშინაც, როცა ე პირველადია (შეატყო → შიატყო) და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ე არის ა (ან ო) ხმოვნების რეფლექსი (დაემართა → დეემართა, მოეტანა → მეეტანა და შესაბამისად: დეემართა → დეემართა, მეეტანა → მეეტანა). ანალოგიურად: ო → უ, როცა ო პირველადია (მოუტანა → მუუტანა, მოახერხა → მუუხერხა) და მაშინაც, როცა ო არის ა ან ე ხმოვნების რეფლექსი (დაუნახა → დოუნახა, შეუნახა → შოუნახა და შესაბამისად: დოუნახა → დუუნახა, შოუნახა → შუუნახა).

ასეთი ურთიერთმიმართებისას განმსაზღვრელია ორი ფაქტორი:

ა) ხმოვანთა ღიაობა (აწეულობა): ჩვეულებრივ, არ ხდება ფართო ხმოვნიდან უშუალო გადასვლა ვიწრო ხმოვანზე (ა → ი ან ა → უ); გარდამავალ საფეხურად ყოველთვის ივარაუდება საშუალო აწეულობის (ე და ო) ხმოვნები. პროცესი, როგორც წესი, შეუქცევადია (ანუ: არ არის დამოწმებული საპირისპირო ი → ა და უ → ა პროცესი).

ბ) ხმოვანთა რიგი, რაც იმავდროულად პალატალური და ლაბიალური ხმოვნების გამოიწვევას გულისხმობს: წინა რიგის ხმოვნები (ე და ი) პალატალურნი არიან, უკანა რიგისა (ო და უ) — ლაბიალურნი. დაჩნდება ასეთი წესი: უკანა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვნის გარდაქმნა წინა რიგის მაღალი აწეულობის ხმოვნად (ო → ი) შესაძლებელი ხდება მხოლოდ წინა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვნის (ე) გავლით (ო → ე → ი): გამოეტანა → გამეეტანა → გამიეტანა, გამოიტანა → გამიიტანა → გამოიტანა, ანალოგიური ვითარებაა წინა რიგის საშუალო აწეულობის ხმოვნის გარდაქმნისას უკანა რიგის მაღალი აწეულობის ხმოვნად (ე → ო → უ): შეუტანა → შოუტანა → შუუტანა.

თუ გავითვალისწინებთ ე.წ. „ხმოვანთა სამკუთხედის“ ჩვენებას:



ხმოვანთცვლილების შემოსენებული წესი სქემაზე ასე წარმოგვიდგება:



თეორიულად დასაშვებია აგრეთვე ე → ი → უ ან ო → უ → ი, მაგრამ ქართული ენის დიალექტებში ფაქტობრივ ასეთი ცვლილება არ შეინიშნება, თუმცა საკუთრივ ი → უ და უ → ი (ლაბიალიზაცია და დელაბიალიზაცია) დადასტურებულია: მიუტანა → მუუტანა, ფინჩხა → ფუნჩხა → ერთი მხრივ, და უფრო → იფრო, მეორე მხრივ.

შევნიშნავთ: ლიაობისაგან განსხვავებით პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია (იდენტური ლიაობის დროს) ურთიერთშეკცევადი პროცესებია: ო → ე (მოეტანა → მეეტანა) და ე → ო (მეორე → მოორე).

ასე რომ, არსებითად ლიაობა (აწეულობა) და რიგი შეაპირობებს ხმოვანთა ცვლილების თანმიმდევრობას.

ზემოთ წარმოდგენილი კანონზომიერებანი გულისხმობს ხმოვანთცვლილების ძირითად ტენდენციებს, დადასტურებულს ქართული ენის დიალექტებში, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოორიცხავს სხვაგვარ შედეგებსაც (თუმცა ისინი ამა თუ იმ დიალექტის ფონეტიკურ სიტუაციას ვერ განსაზღვრავენ).

* * *

ზემოთ წარმოდგენილი იყო ხმოვანთა იმ რიგის ცვლილებანი, რომლებიც სხვა ბგერების ზეგაუღენითაა განპირობებული.

ცვლილების საფუძველია:

ა) ასიმილაცია: აე → ეე (დაემართა → დეემართა); ეუ → ოუ (შეუნახა → შოუნახა);

ოუ → უუ (მოუტანა → მუუტანა); ომ → უმ (ხტომა → ხტუმა);

ბ) დისიმილაცია: აე → ია (შეაქო → შიაქო), ოა → უა (მოახერხა → მუახერხა);

გ) ხმოვნის „დაშლა“ მის შემადგენელ მარკერებად: ო → უე (ტაროები → ტარეები), უ → ეი (ჭკუა → ჭკეია);

დ) რედუქცია: ე → ი (დრეკს → დრეკა), ო → ე (ნიგოზი → ნიგეზი); შეენიშნავეთ, რომ ო და უ ხმოვანთა ცვლილება დისიმილაციის საფუძველზე არსებითად ნაწილობრივი რედუქციის შედეგით ვლინდება: ო → უ (მოახერხა → მუახერხა), უ → უ (დგეული → დგეული);

ე) გრძელ ხმოვანად შერწყმა: აა → ა (გააკეთა → განკეთა), უუ → უ (მოუტანა → მუტანა);

ვ) გრძელი ხმოვნის წარმოქმნა დაკარგული თანხმოვნის საკომპენსაციოდ: ირ → ი (სირცხელი → სი ცხელი), ერ → ე (ერთი → ეთი).

შენიშვნა: გრძელ ხმოვანად გარდაქცევის ორივე წესი შესაძლოა ერთსა და იმავე ფორმაში იყოს განხორციელებული: დაუყირმიზდება „დაუწითლდება“ → დოუყირმიზდება → დუუყირმიზდება → დუი მიზდება (აქარული).

იმავდროულად ქართული ენის დიალექტებში დანდება ხმოვანთა სპონტანური ცვლილების შემთხვევებიც, რომელიც უფრო ხშირად ხმოვნის დავიწროებით ვლინდება (ანუ: ძლიერდება აწეულობის მარკერი): ა → ე (რაში → მოხეური: რეში), ა → ი (ბლაგვი → ბლიგვი, მთიდგან → მთიდგინ, ჩემდგან → ჩემდგინ//ჩემდინ → ქვემოიმერულის ვანური თქმა; ყურჭატი „ყურაბატარა, ცალუტარა“ → ლეჩხუმური: ყურჭიტი), ე → ი (ფერფელი → მოხეური: ფირფელი; დაუბეზლებია → ქართლური: დაუბიზლებია).

შედარებით იშვიათად საპიროსპირო ხმოვნის გაფართოვების პროცესიც დანდება: ი → ე (კაცსავით → იმერული, აქარული: კაცსავით), ი → ა (ჯიბრი → ქართლური: ჯაბრი)...

გადბგერება თანამიმდევრული ხასიათისაა: ა → ე (რაში → რეში), ე → ი (ბლაგვი → ბლიგვი)...

ამის კვალობაზე, ა → ი პროცესისათვის საყარაუდოა შუალედური ე -- საფეხური.

შენიშნავეთ: ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის მიზანია აჩვენოს -- ყოველი ფონეტიკური პროცესი არის გარკვეული ენობრივი ტენდენციის გამოვლინება, რაც იმავდროულად ბგერათცვლილების განსაზღვრულ კანონზომიერებებს ეფუძნება (კონკრეტულ ცვლილებათა შეფასება, რა თქმა უნდა, შესაძლოა ზოგჯერ დაზუსტ-

დეს კიდევ დამატებითი მასალის მოპოვების შედეგად).

* * *

ფონეტიკურ ცვლილებათა ზოგად ტენდენციებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამგვარად, კონკრეტული ნიმუშების საფუძველზე შესაძლოა წარმოვადგინოთ ზოგადი დასკვნები.

ქართული ენის დიალექტებში დაჩინდება ორი ძირითადი ტენდენცია:

ა) ხმოვანთა მაქსიმალური დაახლოვება, რაც შედეგად იდენტური ხმოვნების კომპლექსს იძლევა:

ერთსაფეხურიანი ცვლილება:

აე → ეე: წაელო → წეელო;

ოე → ეე: მოეტანა → მეეტანა;

იე → ეე: მიეცა → მეეცა...

ორსაფეხურიანი ცვლილება:

აუ → ოუ → უუ: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა;

ეუ → ოუ → უუ: შეუნახა → შოუნახა → შუუნახა;

აი → ეი → იი: წაილო → წეილო → წიილო...

ბ) ხმოვანთა მაქსიმალური დაცილება, რაც შედეგად ლიაობის მიხედვით განსხვავებული ხმოვნების კომპლექსს იძლევა:

ეა → ია → შეატყო → შიატყო;

ოა → უა → მოახერხა → მუახერხა;

ოე → უე → მოეტანა → მუეტანა, ეზოები → ეზუები...

ხშირად ეს ორი პროცესი საფეხურეობრივ არის წარმოდგენილი:

აე → ეე → იე: დაემართა → დეემართა → დიემართა;

ოე → ეე → იე: გამოენახა → გამეენახა → გამიენახა;

აო → ოო → უო: მუშაობა → მუშოობა → მუშუობა...

ანუ: პირველ საფეხურზე ხმოვანთა მაქსიმალური დაახლოვება ხდება, მეორე საფეხურზე — დაცილება.

შენიშვნა: იგულისხმება დაახლოვება ან დაცილება ლიაობის (აწეულობის) და რიგის მიხედვით. რიგი, თავის მხრივ, გულისხმობს პალატალიზაციას და ლაბიალიზაციას (წინა რიგის ე და ი ხმოვნები პალატალურია, უკანა რიგის ო და უ ხმოვნები — ლაბიალური). დაახლოვების შემთხვევაში შედეგად დაჩინდება იდენტური ხმოვნები (რაც მათი გრძელ ხმოვანდ შერწყმით სრულდება), დაცილებისას — დიფთონგიზაციის ტენდენცია. საბოლოოდ ორივე შემთხვევაში ერთ ხმოვანს (მარცხვალს)

ვიღებთ: აე → ეე → ე (დაეცა → დეეცა → დეც / დეცა) ან: აე → ეე → იე → ეე (დაეცა → დეეცა → დიეცა → დდეეცა). ამ მხრივ ქართული დიალექტები სხვადასხვა საფეხურზე არიან წარმოდგენილი (დაწვრილებით იხ. ზემოთ).

როგორც ცნობილია, ქართულში ხმოვანთა განდასება (დაჯგუფება) ხდება ღი-აობის (აწეულობის) და რიგის მიხედვით. რადგან რიგი თავისთავად გულისხმობს პალატალურობისა და ლაბიალურობის მიხედვით სხვაობას, ხმოვანთა კლასიფიკაცია შესაძლოა წარმოვადგინოთ სამი მარკერის (ნიშნის) შესაბამისად:

ა) ღიაობა (აწეულობა):

ფართო: ა

საშუალო: ო, ე (ო)

ვიწრო: უ, ი (უ).

ბ) ლაბიალობა:

ლაბიალური: ო, უ (ო, უ)

არალაბიალური: ა, ე, ი.

გ) პალატალობა:

პალატალური: ე, ი (ო, უ)

არაპალატალური: ა, ო, უ.

ზემოთ წარმოდგენილი ყველა მონაცემის გათვალისწინებით შესაძლებელი დავახასიათოთ პირველადი და მეორადი (ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული) ხმოვანთკომპლექსები, რომლებიც დაჩნდება ქართული ენის დიალექტებში:

ა) იდენტური ღიაობის მიხედვით, დაპირისპირებული — პალატალურობა-ლაბიალურობით: ოე (მოეტანა), უი (ტყუილი, ცრუი), ეო (მეორე), იუ (მიეტანა);

ბ) იდენტური ლაბიალურობის მიხედვით, დაპირისპირებული ღიაობით: ოუ (მოუტანა, გაუგო → გოუგო, შეუნახა → შოუნახა), უო (მოატყუოს, უთუოდ);

გ) იდენტური პალატალურობის მიხედვით, დაპირისპირებული ღიაობით: ეი (შეინახა), იე (მიეტანა);

დ) იდენტური ლაბიალურობისა და ღიაობის მიხედვით, დაპირისპირებული პალატალურობით: ოო (მეორე → მოორე), ოო (მეორე → მოორე)...

ე) იდენტური ლაბიალურობის მიხედვით, დაპირისპირებული ღიაობითა და პალატალურობით: უო (მეორე → მოორე → მუორე)...

ვ) იდენტური ლაბიალურობისა და პალატალურობის მიხედვით, დაპირისპირებული ღიაობით: უო (მეორე → მოორე → მუორე)...

ზ) იდენტური ღიაობის, ლაბიალურობისა და პალატალურობის მიხედვით: ოო (მეორე → მოორე)...

თ) იდენტური ლიაობისა და პალატალურობის მიხედვით: ეე (შეენახა, დაენახა → დეენახა, მოეტანა → მეეტანა, მიეცა → მეეცა), იი (მიიტანა, შეინახა → შიინახა, გამოიტანა → გამეიტანა → გამიიტანა);

ი) იდენტური ლიაობისა და ლაბიალურობის მიხედვით: ოო (მეორე → მოორე), უუ(უუენარო, მოუტანა → მუუტანა, გამოუნახა → გამუუნახა);

კ) იდენტური ოდენ ლიაობის მიხედვით: აა (გაატანა, რალაცაები → რალაცააბი);

ლ) დაპირისპირებული ლიაობისა და პალატალურობის მიხედვით: აე (დაენახა), აი (დაინახა), ეა (შეატყო), ია (მიატოვა, შეატოვა → შიატოვა);

მ) დაპირისპირებული ლიაობისა და ლაბიალურობის მიხედვით: აო (სამუშაო,, აორთქლდა), აუ (გაუკეთა), ოა (მოატყუა), უა (ჭკუა, ბუერა → ბუარა, მოატყუა → მუატყუა);

ნ) დაპირისპირებული ლიაობისა და ლაბიალურობა-პალატალურობის მიხედვით: ოი (მოიტანა), უე (ძუძუები, ბუერა, მოენახა → მუენახა), იო (ლობიო, მეორე → მიორე), ეუ (შეუნახა, ეუბნება)...

ყველა კომპლექსი (როგორც პირველადი, ასევე მეორადი) განხორციელება ერთ-ერთი ზემოდასახელებული ხმოვანთშეხამებისა, რისი განაწილებაც (დისტრიბუცია) დიალექტური თავისებურებებითაა შეპირობებული.

ამის კვალობაზე, დადასტურებულა:

ა) ლიაობის მიხედვით პოლარული ხმოვნებისაგან შედგენილი კომპლექსები: აი (დაინახა), აუ (გაუკეთა), ია (მიაგნო, შეატყო → შიატყო), უა (ჭკუა, ბუერა → ბუარა);

ბ) ლიაობის მიხედვით უახლოესი ხმოვნებისაგან შედგენილი კომპლექსები: აე (დაეცა), ეი (შეინახა), აო (აოკუბს, სამუშაო), ოუ (მოუტანა), ეუ (შეუნახა), ოი (მოიტანა), უე (ძუძუები, ბუერა), იო (ლობიო, მეორე → მიორე), ეა (შეატყო), იე (მიეცა, შეეცყო → შეიეცყო), ოა (მოაძრო), უო (მოატყუოს, უთუოდ);

გ) ლიაობის მიხედვით იდენტური ხმოვნებისაგან შედგენილი კომპლექსები: ეო (მეორე), იუ (მიუტანა), ოე (მოეტანა), უი (ტყუილი, ცრუი). აქვე შემოვა ყველა ნიშნის მიხედვით იდენტური ხმოვნებიც: აა (გაატანა), იი (მიიტანა) და მისთ.

ფონეტიკური პროცესები დაჩნდება შემდეგი ნიშნების შესაბამისად:

ა) ლიაობა: დაახლოება — ასიმილაცია (დაეცა → დეეცა)... დაცილება ... დისიმილაცია (შეენახა → შეინახა)...

ბ) ლაბიალობა: ასიმილაცია (შეუნახა → შოუნახა → შუუნახა)... დისიმილაცია (უთუოდ → უთუად)...

გ) პალატალობა: ასიმილაცია (მოენახა → მეენახა)... დისიმილაციის ფაქტი არ დასტურდება (ანუ: არა გვაქვს შემთხვევა, როცა ნეიტრალური ან პალატალური

ხმოვანი დისიმილაციის საფუძველზე იქცევა ლაბიალურ ხმოვნად).

შენიშვნა 1: ცვლილება ლაბიალობისა და პალატალობის მიხედვით თავისთავად გულისხმობს რიგების მიხედვით ცვლასაც.

შენიშვნა 2: ზემოთქმული შეეხებოდა ხმოვანთა კომპლექსებს კონტაქტური (უშუალო) მეზობლობის შემთხვევაში. ძირითადად იგივე წესები მოქმედებს ხმოვანთა დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც.

• რითი ვლინდება დიალექტური ნაირსახეობანი?

ა) ერთი და იმავე ხმოვანთკომპლექსები სხვადასხვა დიალექტებში წარმოდგენილია სხვადასხვა საფეხურზე. ორიოდე ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ:

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის (ზოგი გამონაკლისის გარდა) დამახასიათებელია ერთსაფეხურიანი სრული ასიმილაცია (დაემართა → დეემართა, გამოეკიდა → გამეეკიდა, მუშაობა → მუშოობა) ან ერთსაფეხურიანი დისიმილაცია (შეატყო → შიატყო, მოატქს → მუაქ).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში დადასტურებულია ორსაფეხურიანი ასიმილაცია (გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა), ხოლო ერთსაფეხურიანი ასიმილაციის შემდგომ ზოგ დიალექტში (გურულში, აჭარულში) დაჩნდება დისიმილაცია (დაენახა → დეენახა → დიენახა). რა თქმა უნდა, ამასთანავე გვაქვს ერთსაფეხურიანი ასიმილაციისა (მოუტანა → მუუტანა, მიეცა → მეეცა) და დისიმილაციის (მოენახა → მუენახა, შეაწყო → შიაწყო) შემთხვევებიც.

შემდეგ: ფართო + ვიწრო ხმოვნებისაგან შედგენილი კომპლექსი უპირატესად იცვლება ასიმილაციის საფუძველზე, მაგრამ დიალექტების მიხედვით სხვაობაა. მაგალითად, ოუ → უუ (მოუნახა → მუუნახა), გავრცელებულია დასავლურ დიალექტებში, მაგრამ არ არის დამახასიათებელი აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის.

ერთი და იმავე კომპლექსის ცვლილება ერთსა და იმავე დიალექტში ზოგჯერ განსხვავებულია შემდეგი ჩვენებების მიხედვით: ა) პირველადია თუ მეორადი ხმოვანთკომპლექსი; მაგალითად, იმერულში პირველადი ოუ კომპლექსი შესაძლოა იცვალოს სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (მოუტანა → მუუტანა), მაგრამ მეორადი ოუ, როგორც წესი, შემდგომ ცვლილებას აღარ განიცდის (გაუკეთა → გოუკეთა, შეუნახა → შოუნახა); ბ) რომელ პოზიციაშია წარმოდგენილი ხმოვანთკომპლექსი; მაგალითად, აჭარულში, აუ, ეუ კომპლექსები თავკიდურა პოზიციაში იცვლება სრული რეგრესული ასიმილაციით: წაუღო → წოუღო → წუუღო → წუღო, შეუნახა → შოუნახა → შუუნახა → შუუნახა; ბოლოკიდურა პოზიციაში იგივე

კომპლექსები პროგრესულ დისიმილაციას განიცდიან: დანაშაული → დანაშაულ-ლი/დანაშავლი, დეკეული → დეკეული/დეკეული.

შესაძლოა ერთსა და იმავე დიალექტში რამდენიმე ფონეტიკური ტენდენცია ერთდროულად იჩენდეს თავს (ოღონდ განსხვავებულ ხმოვანთკომპლექსებში). მაგალითად, გურულში ლაბიალური ხმოვნით შედგენილი კომპლექსები იჩენენ მიდრეკილებას სრული იდენტურობისაკენ: წაული → წოული → წუული, მოეტანა → მუეტანა, მეორე → მოორე → მორე → მორე (/ / მოორე); პალატალური ხმოვნისაგან შედგენილი კომპლექსები, პირიქით, სხვაობის ტენდენციას ამჟღავნებენ შეენახა → შიენახა, დაემართა → დეემართა → დიემართა, მოეტანა → მეეტანა → მიეტანა; დღეები → დოღები, სუფსაელი → სუფსეელი → სუფსიელი.

ორი იდენტური ხმოვნით შედგენილი კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებანიც განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან დიალექტების მიხედვით:

ა) ორი იდენტური ხმოვანი შეირწყმის გრძელ ხმოვანად (იდენტური ხმოვნები შესაძლოა მიღებული იყოს სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე); თავკიდურა პოზიციაში ეს წესი განუხრელად მოქმედებს თუშურში: აა → ა (გააკეთა → გააკეთა), ეე → ე (დაემართა → დეემართა → დეე მართა), იი → ი (გაიჭრა → გეიჭრა → გიიჭრა → გრეე ქრა), უუ → უ (ჩაუტანა → ჩოუტანა → ჩუუტანა → ჩუუტანა), აჭარულში გრძელ ხმოვანად, როგორც წესი, შეირწყმის უუ (ჩაუტანა... → ჩუუტანა), შესაძლოა პარალელური ვარიანტების სახით დაჩნდეს აა / ა (გააკეთა / გააკეთა), ეე იძლევა ორ ნაირსახეობას: ე და იე → ეე (დაეცა → დეეცა → დე ცა და დაეცა → დეეცა → დიეცა → დდეცა), რაც შეეხება იი კომპლექსს, უშუალო მეზობლობის შემთხვევაში იგი დაჩნდება ოდენ მი... ზმნისწინის გამოყენებისას (მიიყვანა) და, ჩვეულებრივ, ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის (შდრ.: გამოიყვანა → გომიყვანა, გაგიყვანა → გიგიყვანა).

ბ) ორი იდენტური ხმოვნით შედგენილი კომპლექსი იჩენს მიდრეკილებას დისიმილაციისაკენ, რაც ზოგ დიალექტში იძლევა დიფთონგს: შეენახა → შიენახა (გურული) → შმენახა (აჭარული), დღეები → დოღები (გურული, მესხური) → დღამები (აჭარული), მუშაობა → მუშოობა → მუშუობა / მუშოვა (ინგილოური).

გ) ორი იდენტური ხმოვნით შედგენილი კომპლექსი ითიშება თანხმოვნით: მე-რძე-ე → მე-რძე-ე-ე, იყო-ო → იყო-ე-ო (საერთო-ქართული მოვლენა); პატარაა → პატარააა (ქართულის ზემოქსნური თქმა, მესხური), გაათხოვა → გამთხოვა (ზემოქსნური).

დ) იდენტური ხმოვნებისაგან შედგენილ კომპლექსში იკარგვის ერთ-ერთი ხმოვანი: გადაული → გადოული → გადუული → გადული → გადული, გადაილი →

გადილო → გადიილო → გადილო... (შდრ. თუშური: გადნჷ ლჷ). დადასტურებულია დასავლურ დიალექტებში. აღმოსავლურ კილოებში უშუალოდ ამოსავალი ხმოვნის კვეცა ხდება: გადაულო // გადულო, გადაილო // გადილო (გამონაკლისია თუშური — აქ სრული ასიმილაციის საფუძველზე მიღებულ იდენტურ ხმოვანთა შერწყმა ხდება გრძელ ხმოვნად: გადაიქცენს „გადიიქცენს“ → გადიიქცენს → გადიუქცენს).

ე) იდენტური ხმოვნები შეიძლება გათიშოს მკვეთრი (ძლიერი) დამართვა-შემართვით: მიეცი → მიეცე → მიეცეც, ფერაად → ფერაადჷდ „ფერაად, მსგავსად“ (თუშური).

ასე წარმოგვიდგება ზოგადად ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილების ის ტენდენციები, რომელთა კერძო გამოვლინებანი ზემოთ იყო დაწვრილებით განხილული.

2.30. ხმოვანთა ფონეტიკური ვარიანტების კორელაცია ქართული ენის დიალექტებში. ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთა ვარიანტების განაწილება (დისტრიბუცია), როგორც წესი, პოზიციითაა შეპირობებული. მაგალითად, დიალექტების ერთ ნაწილში ი ხმოვანი თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ შესაძლოა დაჩნდეს მოკლე ო -ს სახით: კაც-ო , ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ — ა-ს სახით: შოთაჲ (მესხური დიალექტის სამცხური კილოკავი), ძმამ, დაჲ, ჭრამ (გურული დიალექტის ოზურგეთელი თქმა); უ ხმოვანი მახვილანი ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში ზოგ დიალექტში (მესხურში, აჭარულში...) გადადის ე/ჷ თანხმოვანში; აჭარობა → აჭაერობა, შაური → შაჭირი... შემდეგ: კონტაქტური მეზობლობის დროს ორი იდენტური ხმოვანი შეიარწყმის გრძელ ხმოვნად: გააკეთა → გაჷკეთა (აჭარული), გჷკეთ (თუშური); ორი სხვადასხვა ხმოვანი ასიმილაციის გზით იქცევა იდენტურ ხმოვანთა კომპლექსად, რომელიც ასევე შეიარწყმის გრძელ ხმოვნად: გაუკეთა → გოუკეთა → გუუკეთა → გჷკეთა (აჭარული), გჷჷკეთ (თუშური)...

ეს არის ზოგადი წესი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ დიალექტის მეტყველებრივ თავისებურებას, თუმცა ამავე დიალექტებში შესაძლოა დავადასტუროთ ფონეტიკურად უცვლელი ფორმები, ანუ: შესაძლოა ერთმანეთის გვერდით დაჩნდეს როგორც გაუკეთა, ასევე გუუკეთა და გჷკეთა... ხშირად ასეთი სხვაობანი იდიოლექტის დონეზე იჩენს თავს და ამიტომაც რაიმე სისტემური კანონზომიერებით არ ხასიათდება. მაგრამ ამასთანავე დიალექტებში დაჩნდება შემთხვევები, როცა ხსენებულ ტიპის ვარიანტები სიტუაციური აუცილებლობით არის შეპირობებული. ეს აუცილებლობა კარგად წარმოჩნდება პოეზიაში, როცა მარცვალთაროდენობის ფაქტორი განსაზღვრავს ხმოვნის ამა თუ იმ შესაძლებელ ვარიანტის ამორჩევას (იგულისხმება, რომ ყველა ეს ვარიანტი საერთოდ არის დამახასიათებელი ამ დიალექტებისათვის). ნიმუშად ვიღებთ აჭარულ და თუშურ პოეზიაში დადასტურებულ ფორმებს.

შენიშვნა: ტექსტები დამოწმებულია შემდეგი გამოცემებიდან: აკარის ხალხური პოეზია, I, თბილისი, 1969; შ. ნიყარაძე, ქართული ენის ზემოაპარულ-ლი დიალექტი, ბათუმი, 1961 (ტექსტები); ჯ. ნოლაიძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971 (აკარის ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები; თ, უთურგაიძე, თეშური კილო, თბილისი, 1960 (ტექსტები, პოეზია).

თავისთავად ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ხსენებულ დიალექტებში ხმოვანთა პარალელური ვარიანტები (ი//ა//ჩ ან უუ//უ...) ერთი და იმავე ფონოლოგიური ღირებულებისადმი გაიზარება და, ამდენად, მათ შორის სხვაობა ოდენ გამობატულების დონეზე დაჩნდება.

შენიშვნა: ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერების (ფოლკლორის) ნიმუშები ხშირად სცილდება ამა თუ იმ დიალექტის ფარგლებს. მაგალითად, ი → ა, ჩვეულებრივ, არ დასტურდება კახურში (აქ გვაქვს ჰ//ს → ა), მაგრამ ი-ს იოტაციის ფაქტი შეინიშნება კახურში ჩაწერილ ლექსებსა და სიმღერებშიც:

ბებოს თეთრო მანდილო,
მხრებზედ წამოსასხამო,
ნათლიას ჰავ და ვარდო
ცხვირში სასუნებელო...

ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთ საქართველოში ჩაწერილ ლექსებში დადასტურებული შეუკუმშავი ფორმების შემთხვევაშიც:
თუშური: ტირიან თუშის ქალები;

არ მოგვივიდნენ ჭმარები (შდრ.: ჭმრები)

ქართლური: არ მინდა ჭინძი, ჭონდარი,

არც ნიახური მხალადა,

არ მინდა წითელი კაბა,

არც ბერი კაცი ჭმარადა (შდრ.: ჭმრადა)

იხ.: ს. ფლენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი, 1963, გვ. 38-39); მისივე: ქართული ხალხური სიმღერების ენისა და დიალექტური მეტყველების ურთიერთობისათვის, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965.

მით უფრო საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ დიალექტის მფლობელს ეს ფორმები არ ეუცხოება და სათანადო კონტექსტში შესაბამისად იყენებს მათ.

ი/ა და ი/ჩ/ა მონაცვლეობა დაჩნდება აქარულსა და თუშურში, ამათგან მარცვალს ქმნის, ი, ხოლო ა და ჩ უმარცვლო ბგერებია.

ი → ა აქარულ პოეზიაში დაჩნდება იმ პოზიციაში, სადაც ეს პროცესი, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ამ დიალექტისათვის:

ერთი მალა ემხედე (← აიხედე)

მზითვალი ამოსულა...

მალა თაში ფური ძოვს,

იმან რა-ნდა მეფვედოს (← მოიწველოს),

შენ იქა და მე აქა,

გულმა რა-ნდა მემსვენოს (← მოისვენოს).

აქარულში, როგორც წესი, დაჩნდება აი → ემ, ოი → ემ (ზემოთ ამის ნიმუშები დასახელებული იყო). იმავედროულად პოეზიაში შეინიშნება ისეთი შემთხვევებიც, როცა ხდება ი → ა, მაგრამ წინამაველი ა და ო ხმოვნები უცვლელად არის დაცული:

ა) რამდენიც უნდა იფიცო,

არ დამჯერებენ (მდრ.: დემჯერებენ) ჩვენშია...

ბ) შენთვისაე ერ დღეს მომყრება (მდრ.: მემყრება)

თათარ-ქართელი, ხინჯელი...

შემომღევი (მდრ.: შამემღევი) ოლქაობა,

ხომ არ ქენი კაი ქაარი...

რა თქმა უნდა, მარცვალთაროდენობის თვალსაზრისით ამ ფაქტს მნიშვნელობა არა აქვს (სულ ერთია, იქნება ან თუ ემ, ომ თუ ემ), მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით კი უთუოდ ღირსსაცნობი მოვლენაა. არაა გამორიცხული, რომ იგი მიგვანიშნებს ფონეტიკური ცვლილების თანამიმდევრობაზე: დაიჭრა → დამჯერა → დემჯერა, მოისპო → მომსპო → მემსპო; ანუ: ა → ე, ო → ე გარდაქმნას უსწრებს ი- ა ზემოდასახელებულ ფორმებში კი შესაძლოა შემორჩენილი იყოს გარდამავალი (ამ, ომ) საფეხური...

ამასთანავე ფოლკლორული ნიმუშების მიხედვით ი → ა დაჩნდება ისეთ ფორმებშიც, სადაც ეს მოვლენა აქარულისათვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა, მაგრამ პოზიციური ანალოგიის გამო (თანხმოვანი + ი + ხმოვანი ან: ხმოვანი + ი + თანხმოვანი; თანხმოვნის ადგილას შეიძლება იყოს პაუზაც) ცვლილება მაინც ხდება. სწორედ ამგვარი ცვლილება არის შეპირობებული გარკვეული სიტუაციით -- კერძოდ, მარცვალთაროდენობის დაცვის აუცილებლობით.

დავასახელებთ ამის რამდენიმე ნიმუშს:

სახლი კისერ ღობდო დავრგე,

შამურივე ხამარიო...

კურდღელმა თქვა: ჩემი ბინა
 ღობაღოს ძირი-ბენჩქაო...
 (მღრ.: ჩემო გამზდელა ღობიაფ,
 რაფერ თამაშობ ქოთანში...)
 ამ დედოფლის მაცურებია
 არაან ღილის კაკლებია...
 გურიაში რუმ ჩავედი,
 გამეცყვანე ბულები,
 შენ აღარ მოგეწყინება,
 ჭემოგხეგდან მულები...
 გაღმითკენ რომ გამაყოლეს,
 მე ფაათონი მეგონა,
 მიწაში რომ ჩამაყოლეს,
 მე საბანი მეგონა...

ა დადასტურდა ე ხმოვნის პოზიციაშიც, რაც უთუოდ ე.წ. „პოეტურ ლიცენცი-
 ას“ წარმოადგენს:

მუხამსტატეს (მ-მუხაესტატეს) რომ ამოვდა,
 გულში შეიქმნა სიცილი.

მაშინ კი, როცა მარცვალთარაოდენობა ამას მოითხოვს ი-ს სრულხმოვნობა
 შენარჩუნებულია იმ პოზიციაშიც, სადაც აჭარულისათვის ნორმაა მისი ა-ში
 გადასვლა:

პატარა ხარ, რა იქნები
 გეიზრდები, კამ იქნები.
 ერთ გოგოზე აბი დამრჩა,
 ნუ დეინახავთ ბევრათა.

ამავე მიზნით ი ხმოვანი შენარჩუნებულია პირველი სუბიექტური პირის ნიშნის
 მომდევნოდ ან ვედ- / ვიდ-ფუქში, თუმცა აჭარულში ამ პოზიციაში, როგორც წესი,
 ხდება ი-ს სრული რედუქცია:

მუხაჯირათ რომ წვეიღენ,
 ჭვირთად წემღეს მანათები.

დიალექტური ნორმაა: წვეიღენ → წვეღენ.

ის, რომ ი: ა მონაცვლეობის რეგულაცია ლექსთწყობის საჭიროებით არის
 შეპირობებული, თვალნათლივ წარმოჩნდება იმ შემთხვევებში, როცა ერთი და ამავე
 სტროფის სხვადასხვა სტრიქონში ხდება იგი:

დეილოცა მათი ჯანი,

ჩამოაჩვენეს ოჯახები...
ვამ, თუ მელი მელობდაო,
კიდევ ზღვაი ხელობდაო...

ამასვე ადასტურებს ერთი და იმავე ფორმის ფონეტიკური ნაირსახეობების პოზიციები სხვადასხვა პოზიციებში:

პატარა ხარ, რა იქნები,
გეიზრდები, კამ იქნები;
შდრ.: შემომღლევი ოლქაობა,
ხომ არ ქენი კაი ქმარი.

მარცვალთარაოდენობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ერთ შემთხვევაში კაი → კამ (სამაგიეროდ სრულხმოვნობაა დაცული გეიზრდები ფორმაში), მეორე შემთხვევაში კაი უცვლელია (მაგრამ ი → მ დადასტურდა ქმარი ფორმაში).

ლექსთწყობის თვალსაზრისით ანალოგიური ვითარებაა ასეთ შემთხვევებშიც:
ჩვენ ხინველებს რას უყურებთ,
ხავს აღმები ბარათლები;
შდრ.: ბეგიები ამოვარდენ
დასაწყვათ ჩვენს ეზოში.

თუმცა ენობრივი თვალსაზრისით განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: ალა-ებ-ი → აღე-ებ-ი → ალი-ებ-ი // აღმ-ებ-ი — ცვლილება წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა; მაგრამ: ბეგ-ი → ბეგ-იებ-ი // ბეგ-მებ-ი — იებ // -მებ გააზრებულია ერთიან ფორმანტად და დაერთვის ერთმარცვლიან ფუძეს (ანალოგიის ნიმუშია).

რეგულირების შესაძლებლობა დაჩნდება ერთსა და იმავე სტრიქონშიც:
ღმერთო, ფაშა ისე მორთე,
არ გააწყვედე ზამთარი;
დასაშვები იყო ასეც: „არ გაწყვეი ზამთარი“.

პრინციპულად იგივე ვითარებაა თუ შერევი ი:ჩ:მ განაწილების თვალსაზრისით. თუ შერევისათვის დამახასიათებელია ხმოვანზე ფუძედამბოლოებულ სახელებში ბოლოკიდურა პოზიციამი პაუზის წინ ი → მ: გაკდომამ, დაკოცვამ, ჩოკამ, კმამ... მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ამას მარცვალთარაოდენობა მოითხოვს, დაცულია სრულხმოვანი ი:

წამისხეს ქალაბობაი,
როგორც ნოტიო ცხვრისაო...
თავსთან ბებერი დედაი
ცრემლს ჩამოხერისა ცხარსაე...
ცაყხლ მოიდ შემოდგომაი,

წეროს გადადის ჯაროვ...
 შდრ.: ქალი ვარ უშამისახლომ,
 სუ სალანძღავი ქმარისი;

სადაც ი — ა მარცვალთაროდენობით არის შეპირობებული.

ამ მხრივ ლირსსაცნობია პარალელური ვარიანტების (ი/ა) პოენიერება იმის მიხედვით, თუ როგორ მოიხრებენ ამას ლექსი:

მიხეილ წყალმან დალია,
 ვამ დედას მიხეილისავ;
 შდრ.: ვაი, რა ძნელი დღეები
 დაეცნეს მამაჩემსაო...

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ამავე პოზიციაში ი → ი , ამასთანავე დაჩნდება ი/ი -ს სრული რედუქციის შემთხვევებიც. ლექსთწყობის თვალსაზრისით, ი და ი (ნული) თანაბარი ღირებულების მონაცემებია; შდრ.:

ერთი მხრივ:

იღუაჟე ქრელაფიზო,
 დაღბრუნდებ, რაჟგვერც ტარიავ;

მეორე მხრივ:

ღეთისია, ფხიკლეს გაზდილი,
 დაღბრუნდებ, რაჟგვერც ტარია.

დაღბრუნდები → დაბრუნდებ, დაბრუნდება → დაბრუნდებ, მაგრამ ლექსთწყობის მოთხოვნით თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე შედეგი გვაქვს.

ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევაშიც:

სახელს კი ჯერას დავიდებ,
 შზის კაცნი დამიგმობენავ;
 შდრ.: ცაჟიქიმც გაგმარჯვებია,
 საცა კმალნ იდგნენ ელვასავ.

ორივე ფორმა სახელობით ბრუნვაში დგას, პირველ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი — ი სრული სახით არის დაცული, მეორე შემთხვევაში მოკვეცილია. შესაძლებელი იყო ასეც: კმალნ.

დასტურდება ისეთი ნიმუშებიც, როცა ლექსთწყობის თვალსაზრისით ერთი და იმავე დანიშნულებით არის გამოყენებული ი (თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ფორმებთან) და ა (ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან):

უკლო ვარ ი , უშამისახლომ,
 შინ დაბრუნებულ, შავიო.

პარალელური ვარიანტები შეიძლება დაჩნდეს ერთსა და იმავე ლექსში:
გზას გიგლაც შემოგვერბათ,
გზას გიგლაჟი წევს მკედარია.

* * *

უ/ჟ და → ო/ო (ჟ) შენაცვლება, რომელიც ფართოდ გავრცელებულია შესაბამის პოზიციებში აჭარულსა და თუშურში (აჭარული: აჭაურობა → აჭაჟრობა/აჭავერობა, თუშური: იყო → იყო/იჟუ , დაიწყო → დიწჟ ყუ), პოეტურ მეტყველებასში, ჩვეულებრივ, შეპირობებულთა (რეგულირებულთა) მარცვალთაოდენობის მოთხოვნილებით.

ყველა ეს ფორმა სხვა შემთხვევებშიც დამახასიათებელია დიალექტური მეტყველებისათვის, მაგრამ აქ რომ ამას ლექსთწყობის მოთხოვნილებაც უწყობს ხელს, წარმოჩნდება პარალელური ვარიანტების პოვნიერებით:

- ა) ჯერჯერობით აჭაუ რობას
თაიცი უნდა დავანებო;
შდრ.: წავალ და აჭაურობის
დერდი არ მაქ, ხაბარია.
- ბ) გოგჟეებს ჭალაში ნუ გუშვებთ,
ზეს დოუწვევს ლოყიები;
შდრ.: გერგაძულსა გოგუებსა
კალთაში ჩუგორდებიო.
- გ) შუ ა ტყეზე გადმოიარე,
იქ გადმოიტანე თარი.
შდრ.: გოგოს წარბი გამუქნია,
წარბებ შუა — ტიალი.

თანხმოვნითი და ხმოვნითი ვარიანტების მონაცვლეობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ შემდეგი ნიმუშები:

მენ გაგათხვებ, ჩემო დაო,
ჩემი ძმაი მპირდებო.

გაგათხვებ ← გაგათხუებ ← გაგათხოებ ← გაგათხოვებ.
შდრ.:
შეხუა და ჭი წავიდა,
თაი დაუთოვნიო.

შეხუა ← შეხვა ← შეჰყვა „შეუყვა, გაუყვა“.

ანუ: პირველ შემთხვევაში ხმოვნის პოზიციაში თანხმოვანი დაჩნდა (ო → უ → ე), მეორე შემთხვევაში, პირიქით, თანხმოვნის პოზიცია ხმოვანმა დაიკავა (ე → უ).

ანალოგური ვითარებაა თუშურშიც:

ო/ო : შუბო, ტარს მოგილამაზებ,
ფრანგულო, გაგლუსავ ფხაზედავ.
ო/ჟ / ვ: ღამეო მარაგინო,
შზევ, მოფენილო დილითავ.

პარალელური ვარიანტები დაჩნდება ერთსა და იმავე სტროფში.

შეინიშნება ე.წ. პროსოდიული ო// → ვ ერთი და იმავე ლექსის სარითმო სიტყვებში მარცვალთარაოდენობის დაცვის მიზნით:

ხუფრის ორწყალში ჩამოდგა
სამის ნაიბის ჭაროო,
ჩამოდგებოდეს ლაყაში,
როგორც მარილზე ცხვარიო...

და იმავე ლექსის მომდევნო სტროფებში დასტურდება:

ხისოში გამაროს ციხევე,
გათენებამდელ გამაგრდივ,
საგათანებლოდ მოგივა
ბარმა ბახტურის საღარივ.

აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამგვარი ვარიანტები ხშირად დაჩნდება სხვადასხვა ლექსში:

ერთი მხრივ: ხუფრის ორწყალში ჩამოდგა
სამის ნაიბის ჭაროო,
ჩამოდგებოდეს ლაყაში,
როგორც მარილზე ცხვარიო...

მეორე მხრივ: ოთხშაბათ დილა შნე ყარავ
აღუჩინაყის ჭარივ...
[ზოგნი] ამბობენ: მთაზე გავიდნეთ,
შემოვირეკათ ცხვარივ...

ერთი და იგივე სარითმო ფორმებია, რომელთა მარცვალთარაოდენობის მხრივ განასხვავებს ო და ო → ვ:

ერთი მხრივ: 8/8 (16)

მეორე მხრივ: 8/7 (15)

ლექსთწყობის მეორე ტიპი აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა დიალექტებთან გამოარჩევს თუშურ ლექსს...

* * *

აჭარულსა და თუშურში, როგორც ცნობილია, დაჩნდება პოზიციურად მიღებული გრძელი ხმოვნები. გრძელ ხმოვნად ორივე დიალექტში შეირწყმის ორი იდენტური ხმოვანი (სხვა გზა გრძელი ხმოვნის მიღებისა ამჟერად არ გვაინტერესებს). თუშურში ეს წესი განუხრელად მოქმედებს ყველა შემთხვევაში. აჭარულში ამ წესის მოქმედება გარკვეულ შემთხვევებში იზღუდება; მაგალითად, შეზღუდულია იი → ი, რადგან უშუალო მეზობლობის დროს აჭარულში აი, ოი და ეი კომპლექსები სრულ რეგრესულ ასიმილაციას განიცდის და, ამდენად, ორი იდენტური ხმოვანი (იი) არ მიიღება (გვაქვს: წეილო, მეიტანა, შეინახა), ხოლო მი — ზმნისწინთან (ე.ი. იმთავითვე მოცემულ იი კომპლექსში) შერწყმა რეგულარული ხასიათისა არ არის (მიიტანა; მი ტანა).

იმედროულად ხალხურ პოეზიაში ლექსთწყობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ერთმანეთის გვერდით დაჩნდება გრძელი ხმოვნები და მათი შემაპირობებელი ხმოვანთკომპლექსები, რომელთაგან გრძელი ხმოვანი მხოლოდ ერთ მარცვალს ქმნის.

ა :აა.

აჭარული: ამ ლექსებს თავი დანებე,

სტორე გზაზე წაი-წაი...

ჩემზე შეწყვილი თოფი

ჩა ჩეჩდება ხელშიაო...

საცხან (სადაც არის), მამალი იყივლებს,

ძილო ბატონოვო,

ღმერთი კამ დღეს გაგვითენებს,

ძილო ბატონოვო...

ღირსსაცნობია, რომ ლექსის საპირობის შემთხვევაში აა → ა ხდება მაშინაც, როცა ბოლოკიდურა — ამეშველი ზმნისშეკვეცილი ვარიანტია (არის → ა), რაც სხვა შემთხვევებში აჭარულისათვის დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენს.

თუშური: ჭერ სადილობა არ ქნილა,

ლეკთ რო ჯარ წამრე წყვიანო...

ბუყათამა ქოთილაყიქიმ

ბაკ ამრე ბრუნა ცხერიანი...

ქისტო, რად ხკლევედ მარხვაცსა,

რად არ გაყ ლეიქიდ წამზეავ...

ყველა ზემოდასახელებულ პოზიციაში გრძელი ა ხმოვანი თუშურის ნორმად. ამავე პოზიციებში შესაძლოა დაჩნდეს აა კომპლექსშიც, მაგრამ მხოლოდ პოეტურ

მეტყველებაში:

თავი მოსთიბა დაღისტენელს,
 თან გააყოლა მკარია...
 წამლით დაავსო მასრანი,
 თოფს დაუპირა ტალია...
 თუ შემთხვევით დააბარიდით,
 ვინც იყოს წამოვალა...

მოსალოდნელი იყო: გზე ყოლ, დან ბარიდით და მისთ.

გრძელი ხმოვანი და ხმოვანთა კომპლექსი ზოგჯერ ერთსა და იმავე სტროფშია დადასტურებული:

ერთ გზე ქავ (აი, იქაო) დაქრა-დ დაეწა,
 ერთს ნაჭერ გზე ყოლ (გააყოლა) ტანზედავ,
 დაჯდა და წიგნი დასწერა,
 ტრედსა შააბა (შეება) მკარზედავ.

* * *

მ :მე-

თუ შური: მეორიც რომ მიაყოლ,

პირთაქვე ღწე ცა (← დაეცა) თათაროვ...

ქვესურეთს კაცი გაღვზავნეს,

ფარსმასა ღწე ცა ცანიო...

რაც ნორმა ამ დიალექტისათვის; შდრ.:

მათურეთ ბინებს დაეცნეს,

ბაკებს აუღეს კარია...

კაც გაუგზავნა ბიძასა:

ცხვარს შეეშველე ხანზეა...

შემოეხევენს ფშავლები,

თუ შეებს დახკოცნეს პირზედა...

გზათ დედა შეეგებება:

ფიდონ, ნუ მოხვალ შინაო...

თუმცა თუ შურისათვის მოსალოდნელი იყო: ეე → ეე , ოე → ეე . ყურადღებას იქცევს ისიც, რომ პარალელურად დაჩნდება ასიმილირებული (მოეშველე → შეეშველე), რაც ნორმაა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის) და ფონეტიკურად უცვლელი ფორმები (შემოეხევენს, რაც უპირატესად პოეტური კონინს დონეზე შეინიშნება).

* * *

ნ :იი.

თუშური: ა) ეტყ მ ფიქრებში იყო (იყუ) მელიტო,
 თოფმა გამრე ღო გრიალო...
 გადაძვალა ყორანო,
 გადუჯ ლენ ზემნი ბრალნიო...
 შდრ.: სუფრაზედ მიიპატიფეს
 შავი ალუდის სმაზედა...
 ციხით ქალ გამოიყვანეს,
 მათირებენ თვალზეა...
 იძახეს ტერელოელთა:
 თუშთა წაიღეს ცხვარია...
 უჯარმის ბოლოს შეიბნეს,
 შეინძრა მთა და ბარია...

თუმცა მოსალოდნელი იყო: გამოიყვანეს → გამრე ყვანეს, წაიღეს → წრე ღეს, შეიბნეს → შრე ბნეს (სრული რეგრესული ასიმილაციით მიიღება ორი იდენტური ხმოვანი, რომელიც შეირწყმის გრძელ ხმოვნად). რაც შეეხება მიიპატიფეს ფორმას, აქ იი → ი არ ივარაუდება: თუშურისათვის მი— ზმნისწინი დამახასიათებელი არ არის, სალიტერატურო ენიდან ჩანს შემოსული და ფონეტიკურ ცვლილებას, როგორც წესი, არ ექვემდებარება. გარდა ამისა, აქაც დაჩნდება ფონეტიკურად უცვლელი ფორმები: გამოიყვანეს, წაიღეს...

* * *

შ:უუ.

აჭარული: ახლა რა ვქნა, მის დუმბარას (/ / დუმბარას = „მზაკრობას“)
 ალარ იქნა, ვერ გუძელი...
 შენ რუმ ფიქრობ, ყირიმლ-ოღლის
 რა დუმბარა, რა წაგვიღო...
 ციხეს გლოშამ შამუარე,
 მალლა შამოვდე ქირი (=იატაკისა და კედლის კოჭი),
 აედგებით და ახლა წავალთ,
 მშვიდობით თქვენი პირი.

ამასთანავე აჭარულში შეურწყმელად დაჩნდება უ-ს შემცველი ხმოვანთა კომპლექსები:

ზოგჯერ ასიმილაციის გარეშე:

დაუძახე მეძებრებსა,
 მეძებრებსა მელისფერსა,
 დაუძახე, მოირბინა,
 ჩაუყენე ჩიტის კვალში,
 დაუსუნა, გოეკიდა...
 შეხუა და ჭი წავიდა,
 თაი დაუთოვნაო...

ხშირად — ასიმილაციის საფუძველზე შეცვლილი:

ნაწილობრივი ასიმილაციით:

გოჯუებს ჰალაში ნუ გუ შვებთ,
 ზეს დოუწვავს ლოყიები.

ღირსსაცნობია, რომ გრძელი ხმოვანი და ხმოვანთა კომპლექსი ერთსა და იმავე სტროფშია დამოწმებული.

სრული ასიმილაციით:

რაცხა დედამ შენ გაგზარდა,
 უუყვავდეს ხელები...
 უუშვეს და გამეყვანეს
 ნაბამი შვიდსა ჯაჭვზეა...
 ზრუქში რაცხა წამოუსხამს
 ბრეში მგელის ტყავსავეთა...
 საფეიქროს მუუჭდები (შიიუჭდები),
 მაქოს დავატრიალეთო...

დაჩნდება შიგარეგულაციის შესაძლებლობაც. მაგალითად, სტრიქონი:

უუშვეს და/ გამეყვანეს
 ნაბამი/ შვიდსა ჯაჭვზეა;

შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასეც:

უშვეს და/ გამეყვანეს
 ნაბამი/ შვიდსა ჯაჭვზეა.

თანაც მარცვალთგანაწილებაც თანაზომიერი იქნებოდა:

არის: 4:4/3:5;

იქნებოდა: 3:5/3:5.

ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა თუშურშიც.

ერთი მარცვლის პოზიციაში დაჩნდება გრძელი უხმოვანი:

ვაჲ დედას ჭავთარისასა,

ვადას გადუწყდა კმალიო.

იქ კი, სადაც მარცვალთაოდენობის საჭიროება ამას მოითხოვს, ხმოვანთკომპლექსი დაჩნდება, როგორც წესი, ამოსავალი სახით (ასიმილაციის საფუძველზე უცვლელი):

ჭკათაან მეცხვარეებსა
 დღეი დაუდგა მზიანი...
 მათურეთ ბინებს დაეცნეს
 ბაკებს აუღეს კარია,
 სუ ერთმანეთში დაუცავ
 ექესი ათასი ცხვარია.

აქაც დადასტურდა შემთხვევები, როცა გრძელი ხმოვანი და შესაბამისი ხმოვანთკომპლექსი ერთსა და იმავე ლექსშია წარმოდგენილი:

მაგაეს დუჭლოდა მეუღლე:
 მარტო ნუ მიხვალ გზაზედა...
 დაუყვანეთ წინა მკარის გზებს,
 შირაქს ჩაეავლო თვალთა...

შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ ორი მარცვლის პოზიციაშიც დაჩნდება გრძელი ხმოვანი:

- აჭარული: ა) ჩივთი დავლ-ზურნა დუქრეს,
 ღმერთო, დასტკლიცე კიდუო.
 ბ) ქალას პური გუფინე
 გასახმობელათო,
 იმას მტრედმა დააფრინდა
 ასაკენკელათო.

მაგრამ ამგვარი შემთხვევები იმდენად მცირეა და იმდენად გამორჩეული, რომ სავარაუდოა ტექსტის მცდარ გადმოცემასთან ან ჩაწერასთან გვეჭონდეს საქმე.

- ამის კვალობაზე, პირველ შემთხვევაში უნდა გვეჭონოდა:
 ან: ჩივთი დავლი-ზურნა დუქრეს,
 ღმერთო, დასტკლიცე კიდუო.
 ან: ჩივთი დავლ-ზურნა დუუქრეს...

„დავლი“ იგივე „დოლია“ (ე.ი. „დოლი-ზურნა დაუქრეს“), ჩივთი/ჩიფთი (აგრეთვე ჩიფთე) — „წყვილი“.

მდრ.: ჩიფთე დავლი-ზურნით მოდის,
 რძალო, წამოდი შინათ...

მეორე შემთხვევაში ივარაუდება „გუუფინე“.

* * *

პოეტური მეტყველების მიხედვით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ამა თუ იმ დიალექტის თავისებურებებზე საუბარი, რადგან პოეტურ მეტყველებაში, ჩვეულებრივ, განსხვავებული ენობრივი ნაკადები იყრიან თავს (ხშირია იდიოლექტური დანაშრევიც). მიუხედავად ამისა, იგი ზოგ ისეთ მოვლენაზეც მიგვანიშნებს, რაც საკუთრივ დიალექტოლოგიური ანალიზის თვალსაზრისითაც არის ღირსსაცნობი.

თუ შურში ორი იდენტური ხმოვანი თავიკიდურა პოზიციაში უშუალო მეზობლობის დროს აუცილებლად შეირწყმის გრძელ ხმოვანად (გამონაკლისია იი მაშინ, როცა პირველი ი არის მი— ზმნისწინისეული). პოეტურ მეტყველებაში, როგორც ვნახეთ, ამის საპირისპიროდ, ხშირია აა, ეე, უუ კომპლექსები, რაც მარცვალთარადენობის ფაქტორით არის შეპირობებულ.

შემდეგ: გრძელი ხმოვანი, როგორც წესი, ერთ მარცვალს ქმნის, ანუ: ამ მხრივ ჩვეულებრივი ხმოვნის იდენტურია. ამიტომაც იმავე პოზიციაში შესაძლებელია დავადასტუროთ გრძელი ხმოვნის შენაცვლება ჩვეულებრივი ხმოვნით, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ, როცა გრძელ ხმოვანს მნიშვნელობათგანმასხვავებელი (დისტინქტური) ფუნქცია არა აქვს (შდრ. აპარული: უწევს „წევს მასთან“ და უწევს — „აუწევს“. ასეთ შემთხვევებში შენაცვლება გამოირიცხება).

ერთი ხმოვნის (მარცვლის) პოზიცია აქვს აგრეთვე დიფთონგს (როგორც აღმავალს, ასევე დამავალს).

მარცვალთარადენობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ხდება ხმოვანთა პოზიციური ვარიანტების რეგულარება ორივე შემთხვევაში: უუ:უ, ეი:ეა და მისთ.

* * *

საკითხი ყურადღებას იქცევს თეორიული თვალსაზრისითაც. კერძოდ, ესაა შესაძლებლობისა და რეალიზაციის კერძო გამოვლინება. ამ რიგის მოვლენები დაჩნდება მხოლოდ იმ დიალექტებში, რომელთაც ახასიათებს გრძელ ხმოვანად შერწყმისა და დიფთონგიზაციის ტენდენცია. მართალია, პოეტური მეტყველების ნიმუშები შესაძლოა ამა თუ იმ დიალექტის თანამედროვე ვითარებას ზედმიწევნით ვერ ასახავდეს, მაგრამ იმავედროულად თვით ამ დიალექტისათვის პოტენციურად მიუღებელ მოვლენებსაც არ შეიცავს. მაგალითად, გრძელი ხმოვნის პოზიციაში ორი იდენტური ხმოვნის პოენიერება არ არის თუ შური დიალექტური ნორმის თვალსაზრისით დაუშვებელი ფაქტი და ამ შემთხვევაში იმ პერიოდის მონაცემს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც წინ უსწრებდა ორი იდენტური ხმოვნის გრძელ ხმოვანად შერწყმას.

* * *

ამრიგად, ხალხურ პოეზიაში დადასტურებული ვარიანტები განხილულ უნდა იქნას სისტემისა და გამოხატვის, ანუ: პოტენციისა (შესაძლებლობისა) და რეალიზაციის (მოხმარების) კონკრეტულ (კერძო) გამოვლინებად.

პოეტური მეტყველება იმითაც იქცევა ყურადღებას, რომ მასში ხშირად დაცულია ამჟამად დიალექტში უხმარი (ან იშვიათი ხმარების) ფორმები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, დიალექტის იმანენტურ ბუნებას არ ეწინააღმდეგება, და, ამდენად, დაჩნდება როგორც ერთ-ერთი ვარიაციული მონაცემი.

თავი III
თანხმობანთა ზონატიკური პროცესები
ძართული ენის დიალექტაჟში


3.1. თანხმობანთა სქემატური განაწილება ქართულში. ყოველი ლოკალური რიგის (საწარმოთქმო ადგილის) ფარგლებში რაგვარობისა და მელერობა-სიყრუის მიხედვით თანხმობანთა განაწილება (უკეთ: ურთიერთმიმართება) შესაძლოა წარმოდგენილ იქნას განსაზღვრული სქემების სახით. ამ სქემებს მხოლოდ თვალსაჩინოების დანიშნულება აქვს. არსებითი კი ის არის, რომ ამგვარი განაწილების (მიმართების) დადგენა საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლებად განისაზღვროს თანხმობანთა ფონეტიკური ცვლილებების საზღვრები და მათი (თანხმოვნების) ურთიერთთანაცვლების კანონზომიერებანი.

წინასწარ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას რამდენიმე მონაცემი.

რაგვარობის მიხედვით გამოიყოფა ხშულთა, ნაპრალოვანთა და ხშულ-ნაპრალოვანთა (სონანტთა) ჯგუფები. თავის მხრივ, ხშულებში შესაძლოა გამოვყოთ საკუთრივ ხშულები (მელერი და ყრუ ფშვინვიერი) და, ასე ვთქვათ, „ორმაგი ხშულები“, როცა ხშვა ერთდროულად ხდება ყელშიც და საწარმოთქმო ადგილზეც (ყრუ მკვეთრები). შევნიშნავთ, რომ აფრიკატებს ამ შემთხვევაში განვიხილავთ ხშულთა რიგში.

ზემოხსენებულის კვალობაზე, საწარმოთქმო რაგვარობის მიხედვით ერთ დონეზე განლაგდება მელერი და ყრუ ფშვინვიერი ხშულები, ერთი მხრივ, და მელერი და ყრუ ნაპრალოვანები, მეორე მხრივ (ყრუ ნაპრალოვანი მხოლოდ ფშვინვიერია). მათ შორის გარდამავალ საფეხურს ქნის სონანტი (ხშულ-ნაპრალოვანი). რაც შეეხება ყრუ მკვეთრს, იგი „ორმაგი ხშულობით“ უპირისპირდება ყველა დანარჩენს და ამის გამო განცალკევებით დგას.


სქემატურად ეს შეიძლება ამ სახით წარმოვადგინოთ:



„მწვერვალზე“ წარმოდგენილია ორი ურთიერთსპირისპირო ბგერა: ერთი მხრივ, ყრუ მკვეთრი („ორმაგი ხშული“) პ და, მეორე მხრივ, სონანტი (ხშულ-ნაპრალოვანი) მ.

სონანტის პოზიცია შეიძლება დაიკავოს სპირანტმა (ნაპრალოვანმა) — შესაბამისად მელერი და ყრუ ვარიან-

ტების სახით.



ეს ნიშნავს: მჟღერ და ყრუ ფშვინვიერ ხშულებს აქვს თავისი კორულატები სპირანტთა რიგში (გ/ლ, ქ/ბ), ყრუ მკვეთარს — არა. გარდა ამისა, დაპირისპირება ყრუ მკვეთარი — სონანტი აქ შეიცვალა დაპირისპირებით ყრუ მკვეთარი — სპირანტი.

ამის კვალობაზე შეიძლება ითქვას: კონტრასტს ქნინან ყრუ მკვეთარი — სონანტი, ერთი მხრივ, და ყრუ მკვეთარი — სპირანტი, მეორე მხრივ.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: როგორც წესი, ხშულთა რიგს შეესაბამება ან სონანტი, ან სპირანტები. მაგალითად, დ-თ-ტ ხშულთა რიგს მოეპოვება შესაბამისი სონანტები: ლ და ნ (ორალური და ნაზალური), გ-ქ-კ რიგს — სპირანტები: ლ და ხ (მჟღერი და ყრუ ფშვინვიერი). ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სონანტები და სპირანტები შესაბამის ხშულებთან მიმართებისას ერთი რიგის ფარგლებში (იგულისხმება საწარმოთქმო ადგილი) ერთმანეთს გამოირიცხავენ: გვაქვს ან ერთი, ან მეორე.

ამ საერთო წესიდან იშვიათი გადახრების ახსნა ხერხდება.

მაგალითად, წყვილბაგისმიერთა რიგში ხშულბის (ბ-ფ-პ) გვერდით დაჩნდება სპირანტიც (ჟ) და სონანტიც (მ). მაგრამ ცნობილია ისიც, რომ: ა) წყვილბაგისმიერი ჟ მონაცვლეობს კბილბაგისმიერ ვ-სთან, რომელიც ამ რიგში ცალეულადაა წარმოდგენილი — არ იპოვება კბილ-ბაგისმიერი ხშულები ან სონანტები; ბ) ჟ სინტაგმატური თვალსაზრისით ხასიათდება სონანტის ნიშანთვისებებით და მაშინ მ-ს მიემართება როგორც ორალური სონანტი ნაზალურს; შდრ. კბილისმიერთა რიგში ლ (ორალური) და ნ (ნაზალური).

შემდეგ: ლ სონანტი საწარმოთქმო ადგილის მიხედვით შეიძლება იყოს კბილისმიერიც (დ-თ-ტ ხშულთა რიგში) და წინანუნისმიერიც (ძ-ც-წ აფრიკატთა რიგში). ესაა მისი პარადიგმატული მახასიათებელი (ცალკე აღებული ლ-ს წარმოთქმა შესაძლებელია ან კბილებთან, ან წინა ნუნებთან ხშვით), მაგრამ სინტაგმატური თვალსაზრისით ლ უპირატესად კბილისმიერი სონანტია. მისი გადანაცვლება კბილისმიერობიდან უკანა მიმართულებით (ნუნებისაკენ), როგორც წესი, მის გადაბგერებას (სხვა ბგერით შენაცვლებას) იწვევს: დანაშაული → დანაშაური (ლ იცვლება შუანუნისმიერი რ ვიზრანტით; ნიშუში იმერული დიალექტიდანაა).

ანალოგიურად ისმის საკითხი ნ სონანტის მიმართაც, რომელიც პარადიგმატულად შეიძლება იყოს კბილისმიერიც, წინანუნისმიერიც, შუანუნისმიერიც და უკანანუნისმიერიც, მაგრამ სინტაგმატურად მისი მახასიათებელი კბილისმიერობაა

(ლ-ს მსგავსად).

თუ ზემოხსენებულს გავითვალისწინებთ, მაშინ პარადიგმატული თვალსაზრისით დადგენილი მიმართება:

რაგვარობა საწარ. ადგილი	ხშული	სპირანტი	სონანტი
ქბილოსმიერი	ღ-თ-ტ	--	ლ-ნ
წინანუნისმიერი	ძ-ც-წ	ზ-ს	ლ-ნ
შუანუნისმიერი	--	---	რ-ნ
უკანანუნისმიერი	ჯ-ჩ-ჭ	ყ-შ	ნ

სინტაგმატური თვალსაზრისით უნდა წარმოვადგინოთ ამ სახით:

ღ-თ-ტ	---	ლ-ნ
ძ-ც-წ	ზ-ს	---
---	---	რ
ჯ-ჩ-ჭ	ყ-შ	---

ლოკალური რიგის მიხედვით ლ და ნ სონანტების გადაადგილება, როგორც ითქვა, ქმნის პარობას მათი სხვა სონანტთან შენაცვლებისა: ლ → რ (დანაშაული → დანაშაური, ქოლგა → ქორგა, გახლიჩა → გახრიჩა და მისთ. ნიმუშები დამოწმებულა ლეჩხუმურსა და იმერულში). თავის მხრივ, რ-ს წინ გადანაცვლება (წინანუნისმიერი წარმოთქმისას) ქმნის ლ-სთან შენაცვლების შესაძლებლობას (ბურთი → ბულთი, ხურმა → ხულმა... ნიმუშები იმავე დიალექტებიდანაა დასახელებული).

ასეთი მიმართების დონეზე დაცულია ზემოთ ნახსენები პირობა, რომ სონანტები და სპირანტები ერთსა და იმავე რიგში ურთიერთს გამოორიცხავენ.

თანხმოდანთა ამგვარი დახასიათება და სქემის სახით მათი წარმოჩენა მიზნად ისახავს თვალნათლივ აჩვენოს ბგერათშენაცვლების კანონზომიერებანი ქართული ენის დიალექტებში. მაგალითად, დასაშვებია ბ → მ ან მ → ბ უშუალო შენაცვლება (აკეთებს → აკეთემს... მრუდე → ბრუდე//ბრუნდე...), მაგრამ სონანტისა (მ) და ყრუ მკვეთრის (პ) შენაცვლება გამაშუალებელ საფეხურს გულისხმობს მჟღერის სახით (მტვერი → *ბტვერი → პტვერი). თავის მხრივ, მ → ფ გადასვლაც ვარაუდობს გამაშუალებელ საფეხურს (იხ. ქვემოთ) უკვე სხვა წესის მიხედვით.

უშუალო შენაცვლებაა შესაძლებელი ბ → პ, ბ → ფ, ფ → პ ან პ → ბ, ფ შემთხვევებში (ბო → ბოო // ხპო, აკეთებს → აკეთეფს, დაპირდა → დაფირდა და მისთ.).

ანალოგიურად დაისმის საკითხი მაშინაც, როცა სონანტის ნაცვლად სპირანტი გვაქვს (რომელიც ყრუ მკვეთრ აფრიკატში გადადის). ამ შემთხვევაშიც მათი შენაცვლებისას გამაშუალებელ საფეხურზე მჟღერისა ან ყრუ ფშვინიერის პოენიერება

ივარაუდება (სახლოსკენ →* სახლოკკენ →სახლიწყენ; ნიბუში ქვემოიძერულიდანაა).

3.2. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ა ს მ ა რ კ ე რ თ ა (სადიფერენ-ციაციო ნიშანთა) შენაცვლების კანონზომიერებანი. სხვა ბგერებთან კომბინატორული ურთიერთობისას თანხმოვანმა შეიძლება შეიცვალოს მარკერი (რის გამო ხდება თანხმოვანთა შენაცვლება) ან ელფერი (ამ შემთხვევაში თანხმოვანი არ იცვლება, მაგრამ დამატებით იძენს რაიმე ნიშან-თვისებას).

ელფერის შენაცვლების ნიბუშებია:

პალტო → პალტო: ჩვეულებრივი („ნეიტრალური“) ლ სონანტი იცვლება პალატალიზებული („რბილი“) ლ-თი.

დილა → დილო^ა: ხდება წინა წარმოების (კბილისმიერი) ლ-ს შენაცვლება უკანა წარმოების (ნუნისმიერი, „მაგარი“) ლ-თი.

ანალოგიურად უნდა განისაზღვროს თანხმოვანთა გემინირებული — „დაყოფ-ნებული“, „გაორმაგებული“ (ეტიმმა → ეტიმ-ა), ინტენსიური (დასწყევლოს → დასწყევ-ვლოს), ლაბიალიზებული შუა → შ^აშუა) და სხვა მისთანა წარმოთქმათა შემთხვევები, რომლებიც არცთუ იშვიათად არის დადასტურებული ქართულ ენის დიალექტებში.

მაგრამ შეუდარებლოვ უფრო მეტია თანხმოვანთა მონაცვლეობა მარკერთა (სადიფერენციაციო) ნიშანთა შენაცვლების გზით.

ქართულში თანხმოვნებს სამი რელევანტური მარკერი აქვს:

- ა) რაგვარობა: ხშული, ნაპრალოვანი, ხშულ-ნაპრალოვანი;
- ბ) საწარმოთქმო ადგილი (ლოკალური რიგი): წყვილბაგისმიერი, კბილბაგისმი-ერი, კბილისმიერი, წინანუნისმიერი...
- გ) მელერობა-სიყრუე: მელერი, ყრუ მკვეთრი, ყრუ ფშვინიერი.

შესაბამის პოზიციებში სამივე ეს მარკერი შეიძლება იცვალოს, ოღონდ მკაცრი კანონზომიერებების გათვალისწინებით.

ძირითადი წესი ისაა, რომ თანხმოვანთა ყოველი შენაცვლებისას ხდება მხოლოდ ერთი მარკერის ცვლილება. ეს გამორიცხავს საწყისი თანხმოვნის სამივე მარკერის ცვლილების შესაძლებლობას, მაგრამ ცვლილება ამ დროს ხდება საფეხუ-რობრივად ისე, რომ ყოველ საფეხურზე იცვლება თითო მარკერი.

შენიშნავთ: აფრიკატები ამ შემთხვევაში ავლენენ ხშულების თვისობას; ამიტომაც, მაგალითად, კ → წ შენაცვლება (კინალამ → წინალამ) გულისხმობს ერთი მარკერის — ლოკალური რიგის ცვლილებას (რბილსასისმიერი → წინანუნისმიერი) და არა ორისა: ლოკალური რიგისა და რაგვარობისა (ხშული → აფრიკატი, რაც პარადიგმატულად განისაზღვრება როგორც შერეულო რაგვარობის [ხშული შემა-რთვისა და სპირანტული დამართვის] თანხმოვანი).

ქართული ენის დიალექტებში უპირატესად დაჩნდება ერთსაფეხურიანი შენა-

ცვლების შემთხვევები.

ა) რაგვარობის მიხედვით: კბილი → კმილი (ხშული → სონანტი), მრუდე → ბრუნდე (სონანტი → ხშული), თეუ ზი „თეუზი“ → თებზი (ნაპრალოვანი → ხშული), სულს → სულც (ნაპრალოვანი → აფრიკატი), ტაძარი → ტაზარი (აფრიკატი → ნაპრალოვანი)... ლოკალური რიგი და მელერობა — სიყრუე ყველა შემთხვევაში უცვლელია.

ბ) ლოკალური რიგის მიხედვით: სჰამს → შჰამს, წვეთი → ჰვეთი (ორივე შემთხვევაში: წინანუნისმიერი → უკანანუნისმიერი), ტვირთი → ჰვირთი (კბილისმიერი → უკანანუნისმიერი), ტიმოთე → კიმოთე (კბილისმიერი → რბილსასისმიერი), ბუფეტი → გუფეტი (წყვილბაგისმიერი → რბილსასისმიერი)... უცვლელია რაგვარობა და მელერობა-სიყრუე.

გ) მელერობა-სიყრუის მიხედვით: კბილი → კბილი (მელერი → ყრუ მკვეთარი), აკეთებს → აკეთეფს (მელერი → ყრუ ფშვინვიერი), იძახდა → იძახდა (ყრუ ფშვინვიერი → მელერი), ხზო → ხფო // ხზო (მელერი → ყრუ ფშვინვიერი // ყრუ მკვეთარი)... ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა რაგვარობა და ლოკალური რიგი.

ერთი და იგივე კომპლექსი შესაძლოა რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით წარმოვიდგინო (როგორც სხვადასხვა, ასევე ერთსა და იმავე დიალექტშიც. ამ დროსაც ზემოხსენებული წესი თითო მარკერის ცვლილებისა დაკუთვნილია:

- კბილი → კბილი (მელერი → ყრუ მკვეთარი)
- კმილი (ხშული → სონანტი)
- კჲილი (ხშული → ნაპრალოვანი).

ანდა:

- აკეთებს → აკეთემს (ხშული → სონანტი)
- აკეთეფს (მელერი → ყრუ ფშვინვიერი).

ახლა განვიხილოთ მარკერთა საფეხურობრივი შენაცვლების შემთხვევები.

ა-კეთ-ებ-ს ფორმას ზოგ დიალექტში ენაცვლება ა-კეთ-ენ-ს (მესხური). იცვალა ორი მარკერი (რაგვარობა და ლოკალური რიგი). ცვლილება საფეხურობრივ უნდა წარმოვიდგინოთ: აკეთებს → აკეთემს (იცვალა რაგვარობა: ხშული → სონანტი) → აკეთენს (იცვალა ლოკალური რიგი: წყვილბაგისმიერი → კბილისმიერი). გამაშუალებელი საფეხური (აკეთებმ) დადასტურებულია იმავე მესხურის ზოგიერთ კილოვაში, აგრეთვე სამხრეთ ქართლურში.

სჷავრობს → შჷავრობს (იცვალა ლოკალური რიგი: წინანუნისმიერი → უკანანუნისმიერი) → ჟჷავრობს (ყრუ → მელერი).

დაჩნდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ორი მარკერია შეცვლილი, მაგრამ მათი საფეხურობრივი წარმოდგენა ჰქონს.

მხარი → ფხარი (შეცვლილია რაგვარობა და მელერობა-სიყრუე) ან მტვერი → პტვერი (აქაც იგივე ვითარებაა).

მოუხედავად გარეგნული მსგავსებისა (იცვლება სონანტი ხშულით და მელერი ბგერა ყრუ ბგერით, ანუ: მელერი სონანტი — ყრუ ხშულით), თუ წინა პარაგრაფში გამოთქმულ ვარაუდს გავითვალისწინებთ, აქ არსებითად ორ სხვადასხვა შემთხვევისათან გვაქვს საქმე.

მ → პ შენაცვლება, ამ ვარაუდის თანახმად, თავისთავად გულისხმობს გამაშუ-
ალებელ საფეხურს: სონანტი → ხშულ → ნაპრალოვანი) → [ხშული | → ყრუ მკვეთრი
(„ორმაგი ხშული“). მარკერთა საფეხურობრივი შენაცვლების წესი ახუსტებს: გამა-
შუალელებელ საფეხურზე მელერი ხშული უნდა ვიგულისხმოთ (მტვერი → * ბტვერი:
შეიცვალა რაგვარობა), ხოლო ბტ კომპლექსი, თავის მხრივ, რეგრესული ასიმილა-
ციით იცვლება: * ბტვერი → პტვერი, ან: * ბტვერი → ფტვერი; ორივეგან გვაქვს:
მელერი → ყრუ, ოღონდ პირველ შემთხვევაში ყრუ მკვეთრი, მეორე შემთხვევაში →
ყრუ ფშვინვიერი (ორივე შემთხვევაში თითო მარკერის ცვლა ხდება).

რაც შეეხება მ → ფ შენაცვლებას, აქ უკვე მხოლოდ მარკერთა საფეხურობრივი
შენაცვლების წესი ვარაუდობს გამაშუალელებელ საფეხურს: მხარი → * ბხარი (იკვ-
ლება რაგვარობა) → ფხარი (მელერი შეცვალა ყრუ ფშვინვიერმა).

შენიშნავთ: გამაშუალელებელი საფეხური შესაძლოა ამჟამად არც ერთ დიალექტში არ იყოს დამოწმებული (ასეთია, მაგალითად, საგარაულო * ბხარი). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ლატენტურ („ფარულ“) საფეხურთან, რადგან იგი მხოლოდ იგულისხმება როგორც შესაძლებლობა, რომელიც აუცილებელია ერთი თანხმოვნის მეორე თანხმოვნით შენაცვლებისას. ეს ნიშნავს: მაგალითად, საანალოზო ფორმაში მ → ფ ვერ განხორციელდებოდა, რომ არ ივარაუდებოდეს ბ თანხმოვნის პოზიტივება ან შეუძლებელი იყოს ბ → ფ შენაცვლება. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სონანტის მიმართ მელერობა-სიყრუე არალევანტური მარკერია.

ზემოხსენებულადან გამოდის კიდევ ერთი წესი: ერთმანეთს უშუალოდ შეიძლება შეენაცვლოს მხოლოდ ის თანხმოვნები, რომელთაც ორი მარკერი საერთო აქვს: აკეთებს → აკეთმს (ბ და მ წყვილბაგისმიერი და მელერი თანხმოვნებია), აკეთმს → აკეთენს (მ და ნ ხშულ-ნაპრალოვანი და მელერი თანხმოვნებია). რაც შეეხება საწყის ბ და საბოლოო ნ თანხმოვნებს, მათ მხოლოდ მელერობა აქვს საერთო. ან: ოცდაერთი → ომდაერთი (ც და ძ თანხმოვნებს აერთიანებს წინანუნისმიერობა და აფრიკატობა), ომდაერთი → ოზდაერთი (ძ და ზ წინანუნისმიერია და მელერი). თავის მხრივ, ც და ზ თანხმოვნებს მხოლოდ ლოკალური რიგი აქვს საერთო (ორივე წინანუნისმიერია).

3.3. სადიფერენციაციო ნიშანთა (მარკერთა) ფარდობითობის პრინციპი. ერთი და იგივე თანხმობანი სხვა თანხმობებთან კომბინატორული ურთიერთობისას (ანუ: სხვადასხვა კომპლექსში) თავის სხვადასხვა ნიშანთვისებებს ავლენს, რის შესაბამისადაც ხდება ფონეტიკური ცვლილებებიც. მაგალითად, აფრიკატი, იმის კვალობაზე, თანხმობანთკომპლექსში წარმოდგენილია ხშულთან თუ ნაპრალოვანთან (სპირანტთან), შესაბამისად ავლენს ნაპრალოვანის ან ხშულის ნიშანთვისებებს.

ნიშანთვისებების ასეთი კომბინატორული სიტუაციის მიხედვით გამოვლინებას შეიძლება ვუწოდოთ ფარდობითი მახასიათებელი (ან: ფარდობითი დიფერენციალი).

ზემოხსენებული ნიშნავს: ხშულთან კომბინაციაში აფრიკატი ავლენს ნაპრალოვანის ნიშანთვისებებს (ანუ: მისი ფარდობითი მახასიათებელია ნაპრალოვანობა), ნაპრალოვანთა კომპლექსში — ხშულის ნიშანთვისებებს (ამ შემთხვევაში მისი ფარდობითი მახასიათებელია ხშულობა).

ამის კვალობაზე, პირველ შემთხვევაში დაჩნდება ტენდენცია აფრიკატის გარდაქმნისა ნაპრალოვან თანხმობანად, მეორე შემთხვევაში — ხშულ თანხმობანად.

რამდენიმე ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ.

ოცდაერთი: ცდ კომპლექსში მოიცავს აფრიკატსა და ხშულს. ამ შემთხვევაში ც აფრიკატის ფარდობითი მახასიათებელი არის ნაპრალოვანობა. ეს კი ნიშნავს, რომ ამ პოზიციაში ც-ს აქვს ნაპრალოვან თანხმობანად გარდაქმნის ტენდენცია (რაც, იმავედროულად, არ გამოირიცხავს იმას, რომ ც შენარჩუნებულაც იქნეს, რადგან მას ნაპრალოვანი თანხმობის ნიშანთვისებაც აქვს). ქართული ენის დიალექტებში მართლაც დაჩნდება ც-ს დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები: ოცდაერთი → ოზდაერთი: შევნიშნავთ: გამაშუალებელ საფეხურად ივარაუდება * ოსდაერთი) პირველი საფეხური ც — ს დეზაფრიკატიზაციის შედეგად, ხოლო ს → ზ განხორციელებულია მომდევნო მედერ თანხმობანთან რეგრესული ასიმილაციით). შევნიშნავთ: ზ-ს პოზიტირება შეიძლება აიხსნას სხვა გზითაც: ოცდაერთი → ოძდაერთი → ოზდაერთი (იხ. ზემოთ).

სწორი: სწ კომპლექსში წარმოდგენილია ნაპრალოვანი და აფრიკატი, რის გამოც აქ აფრიკატის ფარდობითი მახასიათებელია ხშულობა, ანუ: დაჩნდება აფრიკატის ხშულად გარდაქმნის ტენდენცია. ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში (გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში...) ეს ტენდენცია განხორციელებულია: სწორი → სტორი.

რა თქმა უნდა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ფარდობითი მახასიათებლის პრინციპი ყველა შემთხვევაში სწორხაზოვანად და განუხრევლად მოქმედებს. ფარდო-

ბითობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ გვაქვს გარდაქმნის ტენდენცია, რომლის განხორციელება სხვა დამატებით ფაქტორებზე არის დამოკიდებული. მაგალითად, თუ ესა თუ ის დიალექტი იგულებს მავანი აფრიკატის ფარდობით ხასიათს, გარდაქმნის ტენდენცია შესაძლოა არც განხორციელდეს. ამის გამოა, რომ დიალექტების ერთ ნაწილში დაცულია ამოსავალი ფორმები (ოცდაერთი, სწორი), ხოლო სხვა დიალექტებში ფარდობით მახასიათებელს გარეგნული გამოხატულება აქვს — განხორციელებულია გარდაქმნა (* ოსდაერთი → ოზდაერთი, სტორი).

მეტყე: შესაძლოა დავადასტუროთ ერთი შეხედვით ზემოთქმულის საპირისპირო პრაქსისიკ კი. მაგალითად, ბზე → საბზელი, სადაც ბზ კომპლექსი თანხმოვანთშეხამების ყოველგვარ პირობას აკმაყოფილებს (შეხამებულია ხშული და ნაპრალოვანი; ორივე მუღერია, კომპლექსი დეცესიურია: წინა წარმოების თანხმოვანს მოსდევს უკანა წარმოების თანხმოვანი, ანუ: წყვილბაგისმიერს — წინანუნისმიერი). მიუხედავად ამისა, დიალექტების აბსოლუტურ უმეტესობაში (და თვით სალიტერატურო ენაშიც) დადასტურებულია ბზ → ბძ: საბძელი. ამის მიზეზია ლ სონანტი. საქმე ისაა, რომ ქართულში ზ-ს და ჟ-შ სპირანტები სონანტებთან კონტაქტური ან დისტანციური მეზობლობისას აელუნენ აფრიკატიზაციის ტენდენციას, რომელიც უფრო ძლიერი ჩანს, ვინემ თანხმოვანთშეხამების ზემოხსენებული წესი. ამის გამო განხორციელებულია ბზ → ბძ შენაცვლება, სადაც ბძ უნდა განვიხილოთ ბზ კომპლექსის პოზიციურ ვარიანტად, რომელიც შეხამების იმავე პრინციპს გვიჩვენებს: ხშული + ნაპრალოვანი, ოღონდ ბძ კომპლექსში ივარაუდება ძ აფრიკატის ფარდობითი ნაპრალოვნობა.

ფარდობითი მახასიათებელის პრინციპი სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს არა მხოლოდ სხვადასხვა დიალექტებში, არამედ სხვადასხვა ფორმაშიც ფონეტიკური გარემოცვის შესაბამისად...

დიალექტების ერთ ნაწილში ბძარავს // ბზარავს პარალელურად დაშვებული ფონეტიკური ვარიანტებია, მაგრამ არის დიალექტები, სადაც უპირატესობა ბზ კომპლექსს ენიჭება, როგორც ხშულისა და ნაპრალოვანის შეხამებას. პირველი უფრო ხშირად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში შეინიშნება, მეორე — დასავლური დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი.

თანხმოვანთა შეხამების ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორეულ კომპლექსებთან გვაქვს საქმე.

ბრძანა ფორმაში დაჩნდება ბრძ კომპლექსი (შეხამებულია ხშული, სონანტი და აფრიკატი). ამ შემთხვევაში (სონანტის კონტაქტური მეზობლობისას) აფრიკატის ფარდობითი მახასიათებელი არის ხშულობა. ამიტომაც დეზაფრიკატიზაციის ტენდენციის გამოვლინება აქ გამოირიცხება. მაგრამ დიალექტების აბსოლუტურ უმე-

ტესობაში ბრძ კომპლექსი მარტივდება: ბრძანა → ბძანა, რის შედეგად ვიღებთ მეორეულ ბძ კომპლექსს. აქ უკვე ძ აფრიკატის ფარდობითი მახასიათებელი ნაპრალოვნობა არის, რის საფუძველზეც ზოგიერთ დიალექტში (უპირატესად დასავლეთ საქართველოს დიალექტებში) განხორციელებულია დეზაფრიკატიზაციის პროცესი: ბძანა → ბზანა. ანუ: ცვლილება მოხდა პირველადი (იშთავითვე მოცემული) კომპლექსების ანალოგიურად.

ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშები აფრიკატების ფარდობითი მახასიათებლების წარმოჩენასა და თანხმოვანთა ცვლილების შესაბამისი ტენდენციების დადგენას ვარაუდობდა.

ფარდობითი მახასიათებლის პრინციპი თავს იჩენს სხვა შემთხვევებშიც.

საინტერესო სურათს იძლევა ამ თვალსაზრისით სონანტისა და სპირანტის შეხამების შემთხვევები.

სონანტი ხშულ-ნაპრალოვანია, სპირანტი — თავისთავად იგულისხმება, რომ ნაპრალოვანი თანხმოვანია ამის კვალობაზე, სავარაუდოა, რომ ასეთი შეხამებისას სონანტი წარმოჩნდებოდა ხშულობის ფარდობითი მახასიათებელი, რაც საფუძველს შეუქმნიდა სპირანტის (ნაპრალოვანის) გარდაქმნას ხშულ თანხმოვანად ამის ნიმუშები ბართლაც მრავლად დასტურდება ქართული ენის დიალექტებში მზერა → ბზერა, მზისუნახავი → ბზისუნახავი (ნიმუშები გურული დიალექტიდანაა დასახელებული). ოღონდ ეგ არის ხშულად გარდაქმნა ამ ტიპის კომპლექტებში, როგორც წესი, მ სონანტისათვის არის დამახასიათებელი მსხალი → ფსხალი, მეავე → ბეავე, მშვილი → ფშვილი, მღერი (კანის დაეადება) → ბღერი, მხარი → ფხარი... (ნიმუშები ხსენებულ დიალექტს განეკუთვნება). შევნიშნავთ მ სონანტის გადასვლას ყრუ ფშვინეიერ თანხმოვანში უნდა განისაზღვროს წინა პარაგრაფში განხილული წესების თანახმად.

ანალოგიურ ვითარებას გვიდასტურებს ზოგჯერ ვ + ნაპრალოვანი თანხმოვანი შედეგნილი კომპლექსებიც. ამ შემთხვევაში ვ სონანტურ თვისობას ავლენს და შედეგიც შესაბამისია: თევზი → თებზი, კოვზი → კობზი (დადასტურებულია გურულში, აჭარულში, იმერულში...); შდრ.: მზერა → ბზერა. არ გამოირიცხება თევზი → * თემზი → თებზი შესაძლებლობაც.

ვ თანხმოვანის „დუალისტური“ (სპირანტული და სონანტური) ბუნება კარგად ჩანს სავსე ტიპის ფორმათა ფონეტიკურ ნაირსახეობებში. თანაც ღირსსაცნობია, რომ ამგვარი ორბუნებოვნობის გამოვლენა ხშირად ხდება ერთსა და იმავე დიალექტში თავისუფალი ვარიაციულობის სახით:

სავსე → | სამსე
 |
 საფსე

პირველ შემთხვევაში (სავსე → სამსე) ვლინდება ვ-ს სონანტური ბუნება, რაც საფუძველს უქმნის მის შენაცვლებას მ სონანტით (რაც არ გამოირიცხავს იმას, რომ ეს მონაცვლეობა განისაზღვროს რავგარობის მიხედვით დისიმილაციადაც: სპირანტი + სპირანტი → სონანტი + სპირანტი).

რაც შეეხება მეორე შემთხვევას (სავსე — საფსე), აქ ორი შესაძლებლობაა:

სავსე → | სამსე → საფსე
 | საფსე → საფსე

ა) მს → ფს ზემოთ ნახსენები წესის შესაბამისად (მდრ.: მხარი → ფხარი).

ბ) ვ → ძ ყრუ ბგერების წინ (უპირატესად პაუზის მომდევნოდ: ვსარგებლობ → ძსარგებლობ, ვთამაშობ → ძთამაშობ...) საერთო ქართული მოვლენაა. სწორედ აქ ვლინდება ვ-ს საკუთრივ სპირანტული ბუნება: სხვა სპირანტების მსგავსად მას მოეხოვება ყრუ კორელატი. ამის შედეგად თავს იყრის ორი სპირანტი (ძს), რაც იწვევს დისიმილაციას რავგარობის მიხედვით: სპირანტი + სპირანტი → ხშული + სპირანტი (საფსე → საფსე).

ყველა სხვა სონანტთან (ლ, ნ, რ) კომპლექსში წინა და უკანა ნუნისმიერი (სისინა და შიშინა რიგის) სპირანტები (ზ-ს, ე-შ) თვით განიციდან ცვლილებას: ხდება აფრიკატიზაცია. ივარაუდება, რომ სპირანტი ამ დროს სონანტისაგან იძენს ხშულობის მარკერს, რაც იწვევს კიდევ შესაბამის ცვლილებას: ალქსანდრე → * ალსანდრე (აქ მარცვლის ჩავარდნით) → ალცანდრე, ხელს → ხელც, პენსია → პენცია, განზრახ → განძრახ, პარსავს → პარცავს... (ნიმუშები მოტანილია გურული დიალექტიდან). ამ შენაცვლებას სისტემური და კანონზომიერი ხასიათი აქვს:

ლზ → ლძ : სულზე → სულძე

ლს → ლც: სულს → სულც

ლშ → ლჩ: სულში → სულჩი...

როგორც წესი, ეს ტენდენცია დაჩნდება მიმდევრობისას: სონანტი + სპირანტი (იშვიათია შებრუნებული მიმდევრობის დროს: ზურგი → ზურვი → ძურვი). შევნიშნავთ: დისტანციური მიმართებისას ანალოგიური ცვლილება გვხვდება სპირანტი + სონანტი მიმდევრობის შემთხვევაშიც: ჟინი → ჟინი, საყენი → საყენი (გურული, აჭარული, იმერული...).

ზოგჯერ ანალოგიური შედეგი გვაქვს მ სონანტიან კომპლექსშიც: საზღვარი → სამზღვარი → სამძღვარი, მისდლეში → მისდლემში → მისდლემჩი (მ ორივე შემთხვევაში შემდეგაა ჩართული).

მიუხედავად სონანტისა და სპირანტისაგან შედგენილი კომპლექსებისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ ცვლილებათა ასეთი ნაორგვარობისა, შედეგი მაინც

არსებითად ერთია: ხდება რაგვარობის მიხედვით ახლო მდგომი თანხმოვნების განმსგავსება.

ა) მზერა → ბზერა: ხშულნაპრალოვანი მ შეცვალა ხშულმა ბ თანხმოვანმა — რაგვარობის მიხედვით კონტრასტი მზ კომპლექსში გაიზარდა.

ბ) სულს → სულც: ნაპრალოვანი შეცვალა აფრიკატმა — ლს კომპლექსში დაჩნდა რაგვარობის მიხედვით მეტი კონტრასტი.

ორივე შემთხვევაში ცვლილება განხორციელდა ფარდობითი მახასიათებლის პრინციპის შესაბამისად, რომლის არსის გარკვევას ზემოთ შევეცადეთ.

წარმოდგენილი ანალოზი კიდევ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება ტენდენცია არიდებულ იქნას ერთ კომპლექსში რაგვარობის მიხედვით იდენტური ან ახლომდგომი თანხმოვნების თავმოყრა.

შეგნიშნავთ, რომ ასეთი კომპლექსების დაძლევა (სუპერაცია) სხვადასხვა საშუალებით ხდება. ზემოხსენებული ერთადერთია მათ შორის. ამ სხვადასხვაობის ნიშნულად წარმოვადგენთ ერთ შემთხვევას:

ჩრდილი → | ჩილი → ჩითილი → შითილი → შტილი
ჩირდილი

პირველ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილება ფარდობითი მახასიათებლის პრინციპის შესაბამისად ხდება: რ-ს ჩაგარდნით და ჩღ → ჩთ პროგრესული ასიმილაციის შედეგად წარმოიქმნა აფრიკატისა და ხშულისაგან შედგენილი კომპლექსი. ასეთი შეხამებისას აფრიკატის ფარდობითი მახასიათებელი ნაპრალოვნობაა, რაც იწვევს კიდევ მის დეზაფრიკატიზაციას: ჩთ → შთ (შემდეგი საფეხტურია პროგრესული დისიმილაცია: ორი ყრუ ფშვინფიერისაგან შედგენილ კომპლექსში მომდევნო თანხმოვანი გარდაიქმნება ყრუ მკვეთრად.

მეორე შემთხვევაში სუპერაცია მიიღწევა ხმოვნის მიერ თანხმოვანთა გათიშვით.

და ბოლოს: ყველაფერი ეს შესაძლებლობაა, რომელიც განხორციელებულია დიალექტების ერთ ნაწილში. ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ სხვა დიალექტებში დაცული იყოს ამოსავალი (ჩრდილი) ან მისი ფონეტიკური გარდაქმნით მიღებული (ჩილი // → ჩითილი) ფორმები. არც ის გამოირიცხება, რომ რამდენიმე ნაირსახეობა ერთსა და იმავე დიალექტში დაჩნდეს.

3.4. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი კ ო ნ ტ რ ა - ს ტ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი ს მი ხ ე დ ვ ი თ . კ ო ნ ტ რ ა ს ტ ი ფ ა რ თ ო ც ნ ე ბ ა ა . ზ ო გ ა და დ ეს ნ ი შ ნ ა ვ ს : ი დ ე ნ ტ უ რ ი ან რ ა ი მ ე ნ ი შ ნ ი თ მ ს გ ა ე ს ი თ ა ნ ხ მ ო ვ ე ნ ე ბ ი ის წ რ ა ფ ვ ი ა ნ მ ა ქ ს ი მ ა - ლ უ რ ი და პ ი რ ის პ ი რ ე ბ ის ა კ ე ნ . შე გ ნ ი შ ნ ა ვ თ , რ ო მ დ ი ა ლ ე კ ტ ე ბ შ ი მ ო კ მ ე დ ე ბ ს კ ო ნ ტ რ ა - ს ტ ის სა პ ი რ ის პ ი რ ო (კ ო ნ ტ რ ა ს ტ ის ნ ი ვ ე ლ ი რ ე ბ ის) მ ძ ლ ა ვ რ ი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ც , რ ის ი ა ნ ა -

ლოზიც ქვემოთ ივარაუდება.

არსებითად კონტრასტის ერთ-ერთი გამოვლინებაა უკვე ნახსენები ტენდენცია, არიდებულ იქნას ერთ კომპლექსში, უშუალო მეზობლობისას რაგვარობის მიხედვით იდენტური ან ახლომდგომი თანხმობების თავმოყრა. ეს წესი მოქმედებს დისტანციური ურთიერთმიმართების დროსაც.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტენდენციის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა განისაზღვრება როგორც ხშულთა დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება: სიტყვაში შემავალი ორი ყრუ მკვეთრიდან ერთ-ერთი მჟღერდება, რაც დისიმილაციის (უპირატესად — რეგრესულის) გამოვლინებაა: პატარა → ბატარა (მოხუერი), პილწი → ბილწი, ჭაბუკი → ჭაბუკი (საერთო ჭართული მოვლენა) და მისთ. (გ. ახვლედიანი). სვანურის მონაცემების მიხედვით ვ. თოფურიაშვილმა გვთხრობს, რომ დისიმილაციური გამჟღერება შეიძლება მოხდეს ყრუ ფშვინიერი თანხმობების ურთიერთმიმართების დროსაც, უშუალო მეზობლობისას და, რეგრესულის გარდა, იყოს პროგრესულიც: შდრ., ერთი მხრივ, პაპა → ბაპ (იმავე რიგისაა, რაც: პატარა → ბატარა), და, მეორე მხრივ, სკიმ → სკიმ „ვეძა“, ლისკილი → ლისკილი „მზერა“, სქელი → სველ... მეტიც: ცვლილება შეიძლება მოხდეს ყრუ ფშვინიერი და ყრუ მკვეთრი თანხმობებისაგან შედგენილ კომპლექსშიც: კომჭი → კომგ.

ჭართული დიალექტების მონაცემთა კვლევაზე, კონტრასტისაგან თანხმობანთა მიდრეკილების წესი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

იდენტური ან რაიმე ნიშნით მსგავსი თანხმობები ისწრაფვიან მაქსიმალური დაპირისპირებისაკენ (იხ. ზემოთ). ეს ტენდენცია შესაძლოა გამოვლინდეს თანხმობანთა სამივე მარჯრის დონეზე.

ა) დაპირისპირება ხდება რაგვარობის მარჯრის მიხედვით: კოვზი → კობზი (ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი → ხშული + ნაპრალოვანი), მზერა → ბზერა (ხშულ-ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი → ხშული + ნაპრალოვანი)... წინა პარაგრაფში ამ რიგის ცვლილებათა საფუძვლად განისაზღვრა ფარდობითი მახასიათებლის პრინციპი. დიალექტებში ეს წესი ნაირგვარი მოდიფიკაციებით ვლინდება. მაგალითად, დადასტურებულა ასეთი შენაცვლება: ბურლი → ბულლი // ბულლი (იმერულში, ლეჩხუმურში...). რღ კომპლექსში რ ვიბრანტია (მთართლია), ლ ნაპრალოვანი; ვიბრანტისა (რომელიც ძალზე ახლოა ნაპრალოვნობასთან) და ნაპრალოვანის მიმართება შეიცვალა ლატერალისა (ხშულ-ნაპრალოვანისა) და ნაპრალოვანის მიმართებით: რღ → ლღ (მინიმალურად, მაგრამ კონტრასტის პრინციპი მანც განხორციელდა). ამის საპირისპიროდ: ქოლგა → ქორგა (იმავე დიალექტებში); ხშულ-ნაპრალოვანი + ხშული → ვიბრანტი + ხშული. შევნიშნავთ: ვიბრანტიც ხშულ-ნაპრალო-

ვანია, მაგრამ მას ხშულობის (თუ შეიძლება ასე ითქვას) ნაკლები „ხარისხი“ ახასიათებს, ვინემ ლატერალს.

რაგვარობის მიხედვით დაპირისპირების ნიმუშია აგრეთვე დიალექტებში საკმაოდ გავრცელებული ნ-ნ → ნ-ლ // ლ-ნ დისიმილაციის შემთხვევა: დაპირისპირება ხდება „დამატებითი“ მარკერების მიხედვით (ნაზალური + ნაზალური → ნაზალური + ლატერალური // ლატერალური + ნაზალური: კანონი → კანალი // კალანი). შდრ. საპირისპირო: ლ-ლ → ნ-ლ (წლელს → წნეულს; ნიმუში რაჭულიდანაა. იმერული: წრელს. რაგვარობის მარკერის მიხედვით მსგავს ვარაუდობას, როგორც ითქვა, ქართული ენის დიალექტები უხვად წარმოგვიჩენენ.

ბ) დაპირისპირება მყლერობა-სიყრუის მარკერის დონეზე დადასტურებულია რამდენიმე ნაირსახეობით:

ყრუ მკვეთრი ბგერების განმსგავსებით: პატარა → ბატარა (მოხეური, ხევსურული), კრკო → გირკო, კრკალი → გირკალი (ხევსურული; თანხმომავანთგასაყარად ჩნდება ხმოვანი). ფორმულა: ყრუ მკვეთრი + ყრუ მკვეთრი → მყლერი + ყრუ მკვეთრი.

დაჩნდება პროგრესული დისიმილაციური გამყლერების შემთხვევებიც: ტკიპა → ტკიბა, ტყუბი → ტყუბი (აჭარული). ამათგან ტყუბ-ი ძველ ქართულში დადასტურებული ფორმაა. ამის კვალობაზე ტყუბ-ი თვით არის პროგრესული ასიმილაციის შედეგი... შევნიშნავთ, რომ დისიმილაციური გამყლერების შემთხვევები ჯერ კიდევ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში შეინიშნება: პატარა → ბატარა, ეპისკოპოსი → ებისკოპოსი, ეპისტოლე → ებისტოლე, კურკა → გურკა და მისთ.

ყრუ ფშვინვიერი ბგერების განმსგავსებით: ფსკერი → ბსკერი (იმერული); ფორმულა: ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი → მყლერი + ყრუ ფშვინვიერი. ან: არასფერი → არასპერი (გურული); ანალოგიური ტენდენცია დაჩნდება მეორად კომპლექსებშიც: ხბო → ხფო (პროგრესული ასიმილაციით), რომელიც პარალელურად ამ სახითაცაა წარმოდგენილი: ხპო // ხპო (გურული, იმერული); ფორმულა: ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი (ხფ) → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთრი (ხპ). სქელი → სყელი (გურული); ფორმულა: ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი → ყრუ მკვეთრი (შდრ. ძველი ქართული: ზრჭელი):

ცვლილება ხდება როგორც კონტაქტური (ფსკერი → ბსკერი), ასევე დისტანციური (პატარა → ბატარა) ურთიერთმიმართებისას.

შევნიშნავთ: დისტანციური ურთიერთობისას ხმოვნები და სონანტები პროცესს ვერ აბრკოლებენ. დაბრკოლებას ვერ ქმნიან, როგორც ჩანს, სპირანტებიც (ნიშანი → ლიშანი).

მყლერი თანხმომავანების დონეზე დაპირისპირების ამგვარი ტენდენცია არ შეინი-

შნება.

ვ) დაპირისპირება საწარმოთქმო ადგილის მიხედვით ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში. ამის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა რ-რ → რ-ლ. *ბრძნური → ბრძნული, * გურური → გურული. საერთო — ქართული მოვლენაა. დიალექტებში დანდება კომპოზიტებშიც: არაფერი → არაფელი, ორჯერ → ორჯელ, ასევე → ენკლიტიკის დროს: არ არის → არ-ალი. ფორმულა: შუანუნისმიერი + შუანუნისმიერი → შუანუნისმიერი + კბილისმიერი (ან წინანუნისმიერი). პროცესი არ ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რ-რ გათიშულია ლ სონანტით: ქართლი → ქართლური. ზოგ დიალექტში ანალოგიურ შედეგს იძლევა ლ-ლ მიმართებაც: ლ-ლ → რ-ლ, ოღონდ ზემოხსენებულისაგან განსხვავებით, პროგრესულის ნაცვლად აქ რეგრესული დისიმილაცია გვაქვს: წელი → წლეულს → წრეულს // წრაულს (იმერული, გურული). ფორმულა: კბილისმიერი + კბილისმიერი → შუანუნისმიერი + კბილისმიერი.

ასევე საკმაოდ გავრცელებული შემთხვევებია: მ-ფ → ნ-ფ (მეფე → ნეფე), მბ → ნბ (ამბავი → ანბავი). ფორმულა: წყვილბაგისმიერი + წყვილბაგისმიერი → კბილისმიერი (ან ნუნისმიერი) + წყვილბაგისმიერი.

ცვლილება ხდება როგორც კონტაქტური (ამბავი → ანბავი), ასევე დისტანციური (* ბრძნური → ბრძნული, მეფე → ნეფე) ურთიერთმიმართებისას.

ჩვეულებრივ, საწარმოთქმო ადგილის მიხედვით დაპირისპირების დროს თანხმომავანის გადაწევა ხდება ერთი ან ორი რიგის ფარგლებში:

ა) წყვილბაგისმიერი გადადის კბილისმიერში (ან ნუნისმიერში): მეფე → ნეფე;

ბ) კბილისმიერი (ან წინანუნისმიერი) ცვლის შუანუნისმიერს: არაფერი → არაფელი;

გ) უკანასასისმიერი თანხმომავანი ცვლის ხახისმიერ თანხმომავანს: საყდარი → საყტარი (პროგრესული ასიმილაციით მეღერი დ გადადის ყრუ მკვეთარ ტ მშულში) → სახტარი (ყრუ მკვეთრი ყ იცვლება ყრუ ფშვინვიერი ხ სპირანტით, რითაც განემსგავსა ყრუ მკვეთარ ტ-ს)...

ესაა, ასე ვთქვათ, საერთო წესი.

ამასთანავე დიალექტების ერთ ნაწილში თანხმომავანთა ამგვარი გადაწევა სრულ (მაქსიმალურ) კონტრასტს გვიჩვენებს. იგულისხმება შემთხვევები, როცა ბაგისმიერ და კბილისმიერ თანხმომავანებს შეენაცვლება უკანასასისმიერი თანხმომავანები:

ბ → გ: ბუფეტი → გუფეტი, ეუბნება → ეუგნება (კახური, ყვარაღური თქმა), ბზობა → გზობა (იმერული, გურული), იჯაბნებს → იჯაგნებს (აჭარული).

ფ → ქ (?)

პ → კ: პორფილე → კორფილე (იმერული). შდრ.: ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული: ეპოფანე → ეტეფანე. ივარაუდება, რომ აქ გვაქვს პ → ტუ გადასვლა (ზ. სარჯველაძე).

ასევე:

დ → გ: ზიდემდა „ზიდავდა“ → ზიგემდა (იმერული), დგრიტა → გვრიტა (სამხრეთ ქართლური).

თ → ქ: მთლად → თლათ → ქლათ // ქლა (გურული).

ტ → კ: ტიმოთე → კიმოთე (გურული), ტაოტი → კაოტი (სამხრეთ ქართლური); შდრ.: ტაჩკა → ტაჰკა → კაჰკა (ქვემოიმერული, აჭარული).

უფრო იშვიათია უკანა წარმოების თანხმოვანთა შენაცვლება წინა წარმოების თანხმოვნებით:

გ → დ (?)

ქ → თ (?)

კ → ტ: კონკილა („ურამის ნაწილი“) → ტონკილა, ხოკი „ღორის ავადმყოფობა“ → კოტი (მოხეური).

ყველა შემთხვევაში რეგრესულ დისიმილაციასთან გვაქვს საქმე: ბ-ბ → გ-ბ, ბ-ფ → გ-ფ, პ-ფ → კ-ფ, დ-დ → გ-დ, დ-ტ → გ-ტ, თ-თ → ქ-თ, ტ-თ → კ-თ, ასევე: კ-კ → ტ-კ. ამ რიგის შენაცვლება, მართლაც, შეიძლება კონტრასტის პრინციპით აიხსნას, თანაც კონტრასტი, როგორც ითქვამს, მაქსიმალურია: წყვილბაგისმიერი ან კბილბაგისმიერი (ანუ: ყველაზე წინა წარმოების) ხშულებს უპირისპირდება უკანასასისმიერი (ანუ: ყველაზე უკანა წარმოების) ხშულები (ხახისმიერი და ხორხისმიერი ხშულები ქართულს არ გააჩნია).

დასტურდება ანალოგიური შენაცვლების ისეთი შემთხვევებიც, რომელთაც დისიმილაციის მოქმედებით ვერ ავხსნით:

ტ → კ: მწლატე → მწლაკე (სამხრეთ ქართლური), სატერფული → საკერფული (ქართლური), შდრ.: საწერფული. რაც შეეხება ტაჰკა → კაჰკა შენაცვლებას, აქ ამკარად სრულ რეგრესულ დისტანციურ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე: ტ-კ → კ-კ.

კ → ტ: კელფი („დაპარესილი თივის ფენა“) → ტელფი (მოხეური), კრაზანა → ტრაზანა (ქართლური).

შესაძლოა, მწლატე → მწლაკე აიხსნას წ-ტ → წ-კ შენაცვლებით: არსებითად აქაც დისიმილაციის შემთხვევაა, ოღონდ არა ერთი ლოკალური რიგის, არამედ მომიჯნავე რიგების თანხმოვნებს შორის: წინანუნისმიერი — კბილისმიერი → წინანუნისმიერი - უკანასასისმიერი. მაშინ ანალოგიურად შეიძლება აიხსნას ტ-ფ → კ-ფ მონაცვლეობაც: კბილისმიერი — წყვილბაგისმიერი → უკანასასისმიერი ...

წყვილბაგისმიერი. მაგრამ მაშინ სრულიად საპირისპირო ახსნა უნდა მივცეთ კრაზანა → ტრაზანა ტიპის შენაცვლებას, თუ აქ, რასაკვირველია, ბგერწყერასთან არა გვაქვს საქმე. ფაქტი კი ისაა, რომ საწარმოთქმო ადგილოს მიხედვით თანხმოვანთა კონტრასტული მონაცვლეობა ყველა ზემოგანხილულ ნიმუშებში დასტურდება (რაც არ გამოორიცხავს განსხვავებულ შეპირობებას ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის).

დავსძინოთ: განმსგავსება შეიძლება გამოიწვიოს წყვილბაგისმიერთა და კბილბაგისმიერთა, აგრეთვე: უკანასასისმიერთა ლოკალური რიგების ნებისმიერი ორი ხშულის მიმართებაში:

ბ-ბ → გ-ბ: ეუბნება → ეუგნება

ბ-ფ → გ-ფ: ბუფეტი → გუფეტი

ბ-პ → გ-პ (?)

პ-ბ → კ-ბ (?)

პ-ფ → კ-ფ: პორფილე → კორფილე...

დ-დ → გ-დ: ზიდემდა → ზიგემდა...

ყველა კომბინაციისთვის შესაბამისი ნიმუშები ვერ დაიძებნება, მაგრამ თვით ტენდენციის სისტემური ხასიათი ვარაუდობს ასეთი შენაცვლების შესაძლებლობასაც.

და ერთიც: შენაცვლების დროს დაცულია მქლერობა-სიყრუის მიხედვით მიმართება: მქლერს ცვლის მქლერი (ბ → გ), ყრუ მკვეთრს — ყრუ მკვეთრი (პ → კ)...

ამ კანონზომიერებებისაგან (როცა ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა ლოკალური რიგის ხშულები) განცალკევებით დგას ის შემთხვევები, როცა წყვილბაგისმიერ სონანტს შეენაცვლება უკანასასისმიერი ხშული (ანუ: როცა შეცვლილია რაგვარობაც); მაგალითად, ერთმანეთი → ერთქამეთი (დადასტურებულა გურულში). მქლერთან (მ) ყრუ ფშვინვიერის (ქ) შენაცვლება შეიძლება აიხსნას ფონეტიკური გარემოცვით (ყრძოდ, ყრუ ფშვინვიერ თ ხშულთან კონტაქტური მეზობლობით, რაც იწვევს პროგრესულ ასიმილაციას).

ზემოხსენებულ ნიმუშებთან არ უნდა აირიოს ავტო → აქტო, ბავში → ბოქში, ნივთი → ნიქთი რიგის შემთხვევები (დადასტურებულა იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში, აჭარულში). აქ ვითარება სულ სხვაგვარია: ავტო → * აქტო (ვ-ს წინ ვითარდება ქ) → აქტო (ვ იკარგვის). და ასე: ბავში → ბოქში (ა → ო ლაბიალიზაციით და ვ-ვ → ვ-ო დისიმილაციური დაკარგვით) → ბოქში // → ბოქში, ნივთი → ნიქთი // → ნიქთი. ვ-ს წინ უკანასასისმიერ (გ, ქ,კ) თანხმოვანთა განვითარება საერთო ქართველური კანონზომიერებაა (ვ. თოფურია). ამდენად, ამ რიგის ნიმუშები პრი-

ნციპულად განსხვავდება ზემოთ განხილულთაგან.

შენიშვნა: აეტო → აქტო ტიპის ფონეტიკურ ცვლილებათა გათვალისწინებით არ გამოირიყვება ერთმანეთი → ერთჯამეთი შენაცვლებისათვის ასეთი შუალედური საფეხურების აღდგენა: ერთმანეთი → * ერთვანეთი (მ-ნ → ვ-ნ დისიმილაციით ნაზალურობის მიხედვით) → * ერთჭვამეთი (ქ-ს განვითარებით ვ-ს წინ და ნ:მ მონაცვლობით) → ერთჯამეთი (ვ-ს ჩავარდნით). თუ ასეა, მაშინ ამ ფორმას თანხმობანთა კონტრასტული შენაცვლების ნიმუშად ვერ მივიჩნევთ.

და ბოლოს: თანხმობანთა კონტრასტული შენაცვლების პრინციპი რიგ შემთხვევებში შესაძლებლობას გვაძლევს ზედმიწევნით წარმოვადგინოთ ფონეტიკურ ცვლილებათა თანმიმდევრობა. მაგალითად, დადასტურებულია: მთლად // მთლათ → ქლს (გურული...): აშკარაა: ბოლოკიდური თ მხოლოდ მას შემდეგ დაიკარგებოდა, როცა განხორციელდებოდა თ-თ → ქ-თ დისიმილაციური შენაცვლება. შდრ. იმავე დიალექტში დადასტურებული: თელათ ← მთელად (ამ შემთხვევაში თ → ქ მონაცვლობა არ შეინიშნება). ამიტომაც შესაძლოა მთლათ → ქლს // ქლს ცვლილება საკუთრივ თლ კომპლექსის შემადგენლობითაც იყოს შეპირობებული: ორივე კბილისმიერი თანხმობანა, რაც წარმოქმნის დისიმილაციისაკენ მიდრეკილებას.

3.5. კომპენსაციის პრინციპი. ეს საკითხი დაისმის იმის გამო, რომ დაკარგვისას თანხმობანი ზოგჯერ გარკვეულ კვალს ტოვებს: გავლენას ახდენს დარჩენილ ბგერებზე.

კომპენსაცია სხვადასხვა სახისაა იმის კვალობაზე, თუ რომელი ბგერა განიცდის დაკარგული თანხმობის გავლენას.

მაგალითად, დაკარგული თანხმობის საკომპენსაციოდ ხმობანი ან გრძელდება (აჭარული: აღარ → აღა , ძირში → ძი ში), ან მახვილხანი ხდება (ხევსურული: კაცი ას → კაცრ „კაცი არის“; აქ, რა თქმა უნდა, ხმობის რედუქციაც მოქმედებს). ანალოგიური შედეგი შესაძლოა გვქონდეს მაშინაც, როცა ხმობანი ვიწროვდება და თანხმობანში გადადის (თუშური: თქვააო? → თქვაან ვ?; გრძელი ა აქ კითხვითი მორფემოიდია).

ხმობისა და თანხმობის საკომპენსაციო მონაცვლობის ღირსსაცნობ ნიმუშს იძლევა მთიულური. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი აქვს „აქვს“ ფორმა მთიულურში წარმოდგენილია როგორც აქუს → აქუ. ბოლოკიდურ პოზიციაში დამოწმებულია უ:უ მონაცვლობა იმის შესაბამისად, პროკლტიკური ფორმა თანხმობანზე ბოლოვდება თუ ხმობანზე: არ აქუ (/ აქუს), მაგრამ: არა აქუ // აქუ ს. გასათვალისწინებელია: ასეთი მკაცრი განაწილება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პროკლტიკური ფორმის ბოლოკიდურად დასამუშვებია პარალელური ვარიანტები — ხმობანი: ნული (არა // არ). თუ არ არსებობს

ასეთი ვარიაციულობა, მაშინ დაჩნდება ორივე ნაირსახეობის გამოყენების შესაძლებლობა: სახლი აქუ // აქუ, სახლი აქუ ს // აქუს (მ. კობაიძე).

თანხმოვნის საკომპენსაციო ზეგავლენა თანხმოვანზე რამდენიმე შემთხვევით შეიძლება განისაზღვროს.

ა) თავკიდურა პოზიციაში: ჰ სპირანტი (პირის ნიშანი) დაკარგვისას მომდევნო ყრუ მკვეთარ ხშულს (ზმნის ფუძისეულ თანხმოვანს) გარდაქმნის ყრუ ფშვინვიერ ხშულად: მოჰპარა → მოფარა, დაჰპირდა → დაფირდა, ჰკითხა → ქითხა, დაჰკიდა → დაქიდა... იგივე ჰ სპირანტი ყრუ ფშვინვიერ ხშულს აქცევს ყრუ ფშვინვიერ სპირანტად: ჰქონდა → ხონდა, ჰქონია → ხონია... ხოლო ყრუ მკვეთარი სპირანტი (ყ) გარდაიქმნება ასევე ყრუ ფშვინვიერ სპირანტად: ჰყავს → ხავს, მიჰყავს → მიხავს, ჰყოლია → ხოლია, მოჰყოლია → მოხოლია, მოჰყვა → მოხვა... დადასტურებულია ქვემოთმოხსენებულში, ლექსებში, გურულში, აჭარულში (ქ. ლომთათიძე).

ბ) თავკიდურა პოზიციაში: სწ, სჭ → შჭ, აგრეთვე სც კომპლექსებში ყრუ აფრიკატების დაკარგვა იწვევს (ზოგჯერ) წინამავალი სპირანტის ინტენსიურ წარმოთქმას: ისწავლა → ის'ავლა, მოშჭრა → მოშ'რა, მისცა — მის'ა ...// ისტავლა, მოშკრა, მიცა... (ქ. ლომთათიძე, ჯ. ნოლაიძელი). საგარეოდ, რომ აქ პროგრესული ასიმილაციის შედეგთან გვექონდეს საქმე: ისწავლა → *ისსავლა, მოშჭრა → მოშშრა, მისცა → მისსა, რაც სს და შშ კომპლექსების გემინაციას გამოიწვევდა. სწორედ გემინაციის შედეგი ჩანს ს და შ სპირანტების ინტენსივობა.

თუ სპირანტი მოსდევს აფრიკატს, მაშინ სპირანტი იკარგვის, ხოლო საკომპენსაციოდ დაჩნდება აფრიკატის სპირანტული დამართვის ინტენსივობა: კაცს → კაც', ჰინძს → ჰინცს → ჰინც', კეცზე → კეცზე → კეც'ე...

ანალოგიური შედეგი გვაქვს ორი სპირანტის შეხვედრისას ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ: თბილისს → თბილის' (// თბილის-; იხ. ქვემოთ), თევზს → თევცს (რეგრესული ასიმილაციით) → თევს' ...

გ) კომპენსაციის თავისებური სახეობაა ქართულში იდენტური თანხმოვნებიდან ერთ-ერთის დაკარგვისას მეორე თანხმოვნის გემინაცია: ლომმა → ლომ'ა, თბილისს → თბილის' (// თბილის' — ინტენსიური წარმოთქმით). იდენტური თანხმოვნები შეიძლება ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი იყოს: ჯალუმმა → ჯალუმმა → ჯალუმ'ა (ლექსებში). ხშირად გემინაცია აღარცა გვაქვს: ორი თანხმოვნის პოზიციაში დაჩნდება ერთი მარტივი თანხმოვანი: ლომმა → ლომა.

დ) კომპენსაციად შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე ხშულისა და ნაპარალოვანის შერწყმა აფრიკატად: გვერდზე → გვერძე, გვერდში → გვერძი... წინ შეიძლება უძლოდეს რეგრესული ასიმილაცია: გვერდს → გვერთს → გვერც'...

3.6. ერთი და იმავე კომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა შესაძლო ნაირსახეობანი. დასტურდება შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე პოზიციაში ერთმანეთის პარალელურად განხორციელებულია სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილებანი. პარალელური ნაირსახეობანი არცთუ იშვიათად დაჩნდება ერთი დიალექტის ფარგლებში.

• ნიმუშად რამდენიმე ტიპობრივ შემთხვევას დავასახელებთ.

(I) კბილი →	(კბილი (გურული, ქვემოიმერული, აჭარული...) კმილი (გურული, ლეჩხუმური...) კვილი (მთიულური...) კიბილი (აჭარული...)
↓	
(II) ეუბნება →	(ეუბნება (აჭარული...) ეუგნება (კახური...) ეუნება (ლეჩხუმური...)
↓	
(III) თბილი →	(თფილი (გურული, ქვემოიმერული...) თვილი (მთიულური...) თიბილი (აჭარული...)
↓	
(IV) მხარი →	(ფხარი (გურული, ქვემოიმერული...) ნხარი (მესხური...) ხარი (გურული, იმერული, მესხური...)
↓	
(V) საფსე →	(საფსე (გურული, ქვემოიმერული...) სამსე (აჭარული, გურული, იმერული, ქართლური...) სანსე (მესხური... და მისთ.

ერთი შეხედვით, თავისუფალ ვარიაციებთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში ყველა ფონეტიკური ნაირსახეობა მაკარი კანონზომიერებით არის შეპირობებული.

კბილ-ი ფორმის ყველა ფონეტიკური ნაირსახეობაში უცვლელია საწარმოთქმო ადგილი (ლოკალური რიგი) ... ყველა შენაცვლებული ბგერა წყვილობაგისმიერია. ამ ნიშნით აქ თეორიულად დასაშვებია ფ ხშულიც (*ყფილი), მაგრამ იგი იკრძალება ყრუ მკვეთრი ხშულის (კ) კონტაქტური მუზობლობის გამო. ქვემოაჭარულში (ჩანს, გურულთან სიახლოვის გამო) შეინიშნება კბ → კპ პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე, ზემოაჭარულში მის პარალელურად დაჩნდება თანხმევანთა კომპლექსის ხმოვნით გათიშვის ტენდენცია (რითაც თავიდან არიდებულა ასიმილაციის საჭიროება): კიბილი; შდრ.: ზანური: კიბ-ირ-ი. კბ → კმ/კვ, ჩვეულებრივ, სუბსტიტუციად განისაზღვრება. არსებითად ეს ასეცაა, თუკი სუბსტიტუციად ნებისმიერ ბგერათმონაცვლეობას ჩავთვლით. მაგრამ ყოველ სუბსტიტუციას თავისი მიზეზი აქვს. ამ შემთხვევაში გვაქვს დისიმილაცია თანხმევანთა რავარობის მიხედვით:

ხშული + ხშული → ხშული + სონანტი/ხშული + ნაპარალოვანი. ცვლილების შედეგად თანხმოვანთა კომპლექსი (ყრუ მკვეთრი ხშული + მკლერი ხშული: კბ) შეიცვალა დიალექტებისათვის უფრო ბუნებრივი კომპლექსებით. ვარაუდობენ, რომ ამ რიგის შემთხვევებში მოქმედებს მზარდი ნაპარალოვნობის პრინციპი (თ. უთურ-გაიძე).

სხვა სურათს იძლევა ბ მკლერი ხშულის ფონეტიკური ცვლილებანი მეორე მაგალითში. სამივე ცვლილების საფუძველი დისიმილაციაა: ეუბნება → ეუბნევა პროგრესული დისტანციური დისიმილაციით (მდრ.: კბილი → კვილი, სადაც ბ → ვ შენაცვლებას სულ სხვა საფუძველი აქვს), ეუბნება → ეუგნება რეგრესული დისტანციური დისიმილაციით (შენაცვლებულია საწარმოთქმო ადგილი), ეუბნება → ეუნება კი რეგრესული დისიმილაციური დაკარგვის შედეგია.

ერთი და იმავე მკლერი ხშულის ცვლილების განსხვავებული პრინციპები პირველ და მეორე შემთხვევებში პოზიციითაა შეპირობებული. თითოეულ რიგში დამოწმებული ვარიაციულობა კი უნდა განისაზღვროს როგორც პარალელური შესაძლებლობანი ერთი და იმავე ამოსავალი კომპლექსის ფონეტიკური რეალიზაციისა. პარალელური ვარიანტები ხშირად დიალექტების მიხედვით ნაწილდება (მაგალითად, მთიულურში დაუშვებელია კბილი → კბილი, გურულში არ შეინიშნება კბილი → კვილი), შეიძლება დაჩნდეს ერთსა და იმავე დიალექტშიც (კბილი → კბილი/კვილი გურულში...). უნდა შევნიშნოთ: ერთი დიალექტის ფარგლებში პარალელურ ვარიანტთაგან არცთუ იშვიათად უპირატესობა ერთ-ერთს ეძლევა (მაგალითად, კბილი-ფორმას გურულში) ანდა რომელიმე მათგანის უპირატესი ხმარება პოზიციის შესაბამისად ხდება: მაგალითად, გურულშივე ჩვეულებრივია კბილი → კვილი (//კვილი), მაგრამ: უკბინა → უკმინა (//უკბინა). აშკარაა, რომ უკმინა-ში კმ კომპლექსის მდგრადობას ნ სონანტის მქონელობა განაპირობებს (ნაზალობის კვალობაზე).

რაც შეეხება თბილ-ი ფორმის ფონეტიკურ ცვლილებებს, ისინი პრინციპულად იმავე რიგისაა, რაც კბილ-ი ფორმის შემთხვევაში დავადასტურეთ, ოღონდ შენაცვლება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ კომპლექსში ყრუ ფშვინვიერი ხშულია წარმოდგენილი. ამის კვალობაზე დასაშვებია: თბილი → თფილი პროგრესული ასიმილაციით, თბილი → თვილი (იმავე კანონზომიერების საფუძველზე, რაც ზემოთ კბ → კვ შენაცვლების მიმართ იყო ნახსენები), მოსალოდნელი იყო თბ → თმ მონაცვლეობაც. გამოირიცხება თბ → თპ (კომპლექსში ყრუ ფშვინვიერი ხშულის პოზიციების გამო). აჭარულში თანხმოვანთკომპლექსის სუპერაცია ამ შემთხვევაშიც ხმოვნის ჩართვით განხორციელდა: თბილი → თბილი + // თფილი). შევნიშნავთ, რომ ეს ფორმა ისტორიული თვალსაზრისითაც იწვევს ინტერესს. ამოსავალია მისთვის ტყფ-ძირი (გან-ე-ტყფ, გან-ტყ-ა, ტფ-ილი-ი), რომელსაც თავისი შესატ-

ყვისები აქვს სხვა ქართულურ ენებში, ოღონდ ზანურსა და სვანურში მოხდა პროგრესული დისიმილაციური გამკლერება: ტფ → ტუბ-უ/ტუ ბ-ღ (მეგრული), ტუბ-უ/ტიბ-უ (ჭანური), ტუბ-იდ/ტუბ-ედ-ი/ტუბ-დ-ი (სვანური) „თბილი“.

მეოთხე რიგში მხარი → ნხარი ხდება მესხურისათვის დამახასიათებელი კანონ-ზომიერების კვალობაზე (მ → ნ თანხმომავანისა და პაუზის წინა პოზიციაში). რაც შეეხება თანხმომავანის დაკარგვას (მხარი → ხარი) ესაა თანხმომავანთკომპლექსთა სუპერაციის საკმაოდ გავრცელებული შემთხვევა ქართული ენის დიალექტებში. მხარი → ფხარი შენაცვლების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. აღინიშნა, რომ მარკერთა საფეხურებრივი ცვლილების შესაბამისად ივარაუდება: მ → ბ (იცვლება რაგვარობა) → ფ (მეღერი იცვლება ყრუ თანხმომავანით); შდრ. მ → ფ (სადაც შეცვლილია ორი მარკერი: რაგვარობა და მეღერობა). ითქვა ისიც, რომ სონანტების მიმართ მეღერობა არარელევანტურია, ამიტომაც უშუალოდ მ → ფ შესაძლოა ორივესათვის რელევანტური მხოლოდ ერთი მარკერის (რაგვარობის) შენაცვლებადაც მივიჩნიოთ (ლოკალური რიგი — საწარმოთქმო ადგილი ორივე შემთხვევაში საერთოა).

მეხუთე რიგიდან საესე → სანსე (სამსე საფეხურის გავლით) მესხურისთვისაა უპირატესად დამახასიათებელი (სპორადულად შეიძლება სხვა დიალექტებშიც დავადასტუროთ: იმერულში, ქართლურში...). საესე → სამსე // საფსე მონაცვლეობის შესახებ იხ. ზემოთ.

თეორიულად დასაშვები მხარი → * ბხარი ან საესე → *საბსე არ დასტურდება ყრუ სპირანტების (ხ,ს) კონტაქტური მეზობლობის გამო. ანალოგიურად დაისმის საკითხი ამ შემთხვევაში მ/ვ → ბ შენაცვლების თაობაზეც. შევნიშნავთ: ყრუ მკვეთრი ხშული იკრძალება ყრუ სპირანტების წინ (არ დასტურდება პხ, პს კომპლექსები), მაგრამ დაჩნდება მათ მომდევნოდ (ბბო → ხფო/ხპო, სპობს).

ფონეტიკური ვარიაციები შეინიშნება თანხმომავანთა გაჩენის შემთხვევაშიც:

ჭორი → | ბჭორი
 | პჭორი

შდრ.: ბრტყელი → პრტყელი
ან:

სკენის → | ბსკენის
 | ფსკენის

შდრ.: ფსკერი → ბსკერი.

(ნიმუშები იმერული დიალექტიდანაა).

ეს ნიშნავს: გაჩენის (ანუ: ნულთან ჩანაცვლების) შემთხვევაშიც თანხმომავანი იმავე ფონეტიკურ კანონზომიერებებს გვიჩვენებს, რასაც იმათივე მოცემული ბგერა: ბრტყელი → პრტყელი და ბჭორი → პჭორი ასიმილაციის შედეგია, ფსკერი →

ბსკერი და ფსკენის → ბსკენის → პირიქით, დისიმილაციისა (ფ → ბ შენაცვლებისათვის, ჩანს, მნიშვნელობა აქვს ფორმაში კ ყრუ მკვეთრი ხშულის პოზიტივებასაც).

რა თქმა უნდა, ფონეტიკურ ცვლილებათა შესაძლო ნაირსახეობანი ამგვარი ნიმუშებით არ ამოიწურება. ამგვარად ჩვენს მიზანს შეადგენდა იმის ჩვენება, რომ ერთი და იმავე კომპლექსის პარალელურად არსებული ყოველი შენაცვლება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და სათანადო ფონეტიკური გარემოცვით არის შეპირობებული.

3.7. ერთი და იმავე კომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა დიალექტური ნაირსახეობანი. კომპლექსთან ფონეტიკური ნაირსახეობანი ხშირად დიალექტების მიხედვით სხვაობს. მაგალითად, ყრუ და მკვეთრი თანხმონებით შედგენილი კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში ან უცვლელადაა შენარჩუნებული, ან (ზოგიერთ კილოკავში, მაგალითად, სამხრეთ ქართლურში) რეგრესული ასიმილაციით იცვლება, დაჩნდება ზოგი სხვა სახის ცვლილებაც (იხ. სქემა), ქართული ენის დასავლურ დიალექტებში კი, პირიქით, პროგრესულ ასიმილაციას განიცდის (თუმცა მეტნაკლები ინტენსივობით; მაგალითად, იშვიათია რაჭული დიალექტის გლოლურსა და რიენისთაურ კილოკავებში, შედარებით ნაკლებად გვხვდება ზემოიმერულში), აქარულში შეიძლება გაითიშოს ხმოვნით.

ნიმუშად წარმოვადგენთ სქემას:

დიალექტი კომპლექსი	აღმოსავლური დიალექტები	დასავლური დიალექტები	
		იმერული, გურული	აჭარული
ყბ: ყბა	ყბა	ყბა-ი	ყბა-ი/ა
ყდ: ყდა	ყდა	ყტა-ი/ხტა-ი	ყტა-ი/ა
საყდარი	საყდარი/საიდარი	საყტარი/სახტარი	საყტარი
ტბ: ტბა	ტბა	ტბა-ი	ტბა-ი/ა
თბ: თბილი	თბილი/თვილი	თფილი	თფილი/თი- ბილი
კბ: კბილი	კბილი/კმილი/კვილი	კპილი/კმილი	კპილი/კიბი- ლი
კდ: კლდე	კლდე/კდე/კილდე/კაღღო	კლტე-ი/კტე-ი	კპილი/კიბი- ლი
ხბ: ხბო	ხბო	ხვო-ი/ხო-ი	კილდე/კილ- ტი
ხდ: ხდება	ხდება	ხთება	კილდე/კილ- ტი
იძახდა	იძახდა/იძალდა	იძახთა	ხოზო
კდ: აკდობს	აკდობს	აკტობს	ხთება იძახთა აკტობს...

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოდასახელებული ყველა კომპლექსი აქცესიურია, სააქეთო მიმართულებისაა (უკანა წარმოების თანხმოვანს მოსდევს წინა წარმოების თანხმოვანი). ეს კი ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის (გურულისათვის, აჭარულისათვის, ლეჩხუმურისათვის, გარკვეულ წილ იმერულისა და რაჭულისათვის) დასაშვებია აქცესიურ კომპლექსებში პროგრესული ასიმილაციის გზით მჟღერის დაყრუება. იგივე პროცესი აღმოსავლურ დიალექტებში იმდენად შეზღუდულად მოქმედებს და თანაც უპირატესად ისეთ რეგიონებში დაჩნდება (შეინიშნება, მაგალითად, სამხრეთ და დასავლურ ქართლურში — დიალექტთა მიჯნაზე, აგრეთვე — მიგრაციულ ზონებში), რომ მათთვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

დიალექტების მიხედვით თანხმოვანთკომპლექსთა განსხვავებული ცვლილებების ნიმუშად შეიძლება კიდევ რამდენიმე მაგალითი დავასახელოთ.

(I) სწორი → | სტორი/სორი (იმერული, გურული...)
 | ხწორი (ლეჩხუმური, რაჭული...)

(II) სახლისკენ → | სახლისკენ (კახური, ინგილოური)
 | სახლისაყე (ფერეიდნული)
 | სახლისაყ (ინგილოური)
 | სახლიწყენ (ჭვემოიმერული)

დაჩნდება აგრეთვე — კე (სახლისკე) // -კ (სახლისაკ) და -კედ (სახლისკედ) ნაირსახეობანი: ხეესურულში, ფშაურში, თუშურში, მთიულურ-გუდამაყურულში (-კედ უპირატესად ხეესურულში შეინიშნება, — კე გვხვდება დასავლურ დიალექტებშიც, მაგალითად, ლეჩხუმურში).

(III) აკეთებს → | აკეთეს (გურული, ჭვემოიმერული...)
 | აკეთემს (ქართლური, კახური...)
 | აკეთენს (მესხური...)

აკეთებს → აკეთენს შენაცვლებისთვის შუალედურ საფეხურად ივარაუდება აკეთემს.

ამდენად, ერთი და იმავე თანხმოვანთკომპლექსების ფონეტიკურ ნაირსახეობათა პოვნიერების ერთ-ერთი მიზეზია მათი დიალექტური დიფერენციაცია.

3.8. ერთი და იმავე კომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა პოზიციური ნაირსახეობანი. სხვადასხვაობას განაპირობებს პოზიციის ფაქტორიც. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე თანხმოვანთკომპლექსი განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი ერთი დიალექტის ფარგლებში. მაგალითად, კბ და ყბ

კომპლექსები განსხვავებულ შედეგებს იძლევიან იმის მიხედვით, თუ როგორი ფონეტიკური გარემოცვა აქვთ მათ.

კბილი → კბილი // კბილი, მაგრამ: კბოდე → კმოდე ან: კბენს → კბენს // კმენს.

ყბა → ყბა (ყბაი), მაგრამ: ყბედი → ყმედი...

(ნიმუშები გურული და იმერული დიალექტიდანაა დასახელებული).

ანუ: კბოდე, ყბედი ფორმებში იკრძალება პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ბ → პ შენაცვლება. შემკავებლად მოქმედებს ამ ფორმებში პოვნიერი და მელერი ხშული. სონანტს არ აღმოაჩნდა ასეთი შემზღუდავი ძალა. ამიტომაც დასაშვებია კბილი → კპილი ან კბენს → კპენს. პარალელურ ვარიანტებად დაჩნდება: კბილი, კმენს. ხოლო მაშინ, როცა ამავე კომპლექსების შემცველ ფორმაში წარმოდგენილია მელერი ხშული (დ), ფონეტიკური ცვლილება არ ხდება, ან შეინიშნება კომპლექსის შემადგენელი ხშულის სონანტიზაცია (ბ → მ): კბოდე → კმოდე, ყბედი → ყმედი.

შევნიშნავთ: ასეთი შემზღუდავი ძალა, როგორც წესი, მოეპოვება ფუძისეულ თანხმოვანს. იმავე პოზიციაში წარმოდგენილი ფორმანტიხეული თანხმოვანი, ჩვეულებრივ, ვერ აბრკოლებს მელერის გადასვლას ყრუ თანხმოვანში: თბ-ებ-ა → თფ-ებ-ა, ა-კლდ-ებ-ა → ა-კლტ-ებ-ა // ა-კტ-ებ-ა (შდრ. აორისტი: გა-თფ-ა, და-ა-კლტ-ა // და-ა-კტ-ა).

შეიძლება დაეასახლოთ თანხმოვანთა გაჩენისა და დაკარგვის პოზიციური შეპირობებულობის ნიმუშებიც. მაგალითად, ცხ— კომპლექსის წინ რ სონანტი ჩნდება ან იკარგვის (// მონაცვლეობს სხვა თანხმოვანთან) იმის მიხედვით, თუ როგორ პოზიციაშია იგი წარმოდგენილი:

ა) ცხ კომპლექსის წინა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ რ ან იკარგვის (რცხვენია → ცხვენია), ან მის ნაცვლად დაჩნდება ს სპირანტი (რცხვენია → სცხვენია). შესაძლოა რ-ს დაკარგვის შემდგომ მის ადგილას განვითარდეს სხვა თანხმოვანი (რცხილა → ცხილა → ფცხილა).

ბ) იმავე კომპლექსის წინ ხმოვნის მომდევნოდ რ, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია (სირცხვილი, არცხვენს); თუ იკარგვის, შესაძლოა კომპენსაციის სახით გამოიწვიოს ხმოვნის დაგრძელება (სირცხვილი → სრ ცხვილი). ამავე პოზიციაში (ანუ: ხმოვანსა და ცხ კომპლექსს შორის) ზოგ დიალექტში რ ვითარდება (ყცხო → ჟრცხო). ამავე რიგისაა: მთა → თა (გურული, აჭარული, იმერული...), მაგრამ: სამთო. შდრ. მესხური: მთა → ნთა (//თა) და სამთო // სანთო.

3.9. კომპლექსთა წარმოშობის მიხედვით ფონეტიკურ ცვლილებათა რეგულაცია. შედგენილობით იდენტური კომპლექსები შესაძლოა სხვადასხვა წარმომავლობისა იყოს.

მესხურში დადასტურებულა: ქალ-ებ-ს → ქალ-ეფ-ს, მაგრამ: ა-კეთ-ებ-ს → (ა-კეთ-ემ-ს) → ა-კეთ-ენ-ს. ბგერობრივი შედგენილობით იდენტური — ებ მრავლობითობის ფორმანტი და — ებ თემის ნიშანი ერთსა და იმავე პოზიციაში (ამასთანავე — ერთი და იმავე თანხმოვნის წინ) ფონეტიკური ცვლით განსხვავებულ შედეგებს იძლევა. მიზეზი ამ — ებ მორფემების განსხვავებული მორფოლოგიური დანიშნულებაა (ამის თაობაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ანუ: ბგერათკომპლექსის განსხვავებულმა წარმომავლობამ (ერთ შემთხვევაში: მრავლობითობის ფორმანტი + მიცემითი ბრუნვის ნიშანი, მეორე შემთხვევაში: თემის ნიშანი + მესამე სუბიექტური პირის ნიშანი) განაპირობა ერთი და იმავე (ბს) კომპლექსის სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ცვლილება: ეს მაშინ, როცა მესხური ამ თვალსაზრისით არ ასხვავებს ზმნის ფუძისეულ და თემისნიშნისეულ თანხმოვნებს: ხედ-ავ-ს → (ხედ-ამ-ს) → ხედ-ან-ს, ერთი მხრივ, და ჰ-ყავ-ს → (ყამ-ს) → ყან-ს, მეორე მხრივ. ან: დგ-ამ-ს → დგ-ან-ს და: ი-ზამ-ს → ი-ზან-ს.

გურულში სწ კომპლექსი ორ ნაირსახეობას იძლევა:

ისწავლა → | ისტავლა
| ის'ავლა (ინტენსიური წარმოთქმის ს-თი).

და ასე: მიასწრა → მიასტრა // მიას'რა, მისწვდება → მისტობა // მის'ობა, სწორი → სტორი // ს'ორი...

სწ კომპლექსი აქ ერთი მორფემის შემადგენელი კომპონენტია.

იგივე კომპლექსი დადასტურებულა მორფემათა ზღვარზეც: მო-ს-წერ-ა, სწ ამ შემთხვევაშიც იცვლება: → მოს'ერა (ემათხვევა წინა მაგალითებში დამოწმებულ ცვლილებას) // მოწერა (სწ → წ, რაც არ არის დამახასიათებელი ერთი მორფემის ფარგლებში წარმოდგენილი სწ კომპლექსისათვის).

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია დიალექტური ნაირსახეობანიც. მაგალითად, რაჭულში (რიენისთაურში) იგივე კომპლექსი ასეთი ფონეტიკური ვარიანტებით არის დადასტურებული:

სწორი → | ხწორი
| წორი

მაგრამ: მოსწერა → მოწერა. ამ შემთხვევაში ს → ხ არ შეინიშნება.

ერთი და იმავე კომპლექსის განსხვავებული ფონეტიკური ქმედება (მისივე წარმომავლობის შესაბამისად) ორივე დიალექტში დაჩნდა, ოღონდ სხვადასხვა

შედგებით გამოვლინდა.

ამის კვალობაზე შეიძლება ითქვას: ბგერობრივ იდენტური შედგენილობის კომპლექსთა წარმომავლობა (გენეზისი) რიგ შემთხვევებში გავლენას ახდენს ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციასზე და ამ თვალსაზრისით არ განარჩევა ერთი მორფემის ფარგლებსა თუ მორფემათა ზღვარზე წარმოდგენილი კომპლექსები.

ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ განსხვავებული წარმომავლობის, მაგრამ ბგერობრივ იდენტური შემადგენლობის კომპლექსები ყველა შემთხვევაში განსხვავებული ფონეტიკური ქმედებით ხასიათდებიან. მაგალითად, ნავთი და ვთამაშობ ტიპის ფორმებში ვთ კომპლექსი ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ შემთხვევაში ეს კომპლექსი ერთი მორფემის (ფუძის) ფარგლებშია მოქცეული, ხოლო მეორე შემთხვევაში მორფემათა ზღვარზეა წარმოდგენილი: ნავთი → ნაძთი, ვთამაშობ → ძთამაშობ. ოღონდ ცვლილების შემდეგი საფეხური დიალექტების მიხედვით შესაძლოა სხვაობასაც იძლეოდეს: ნაძთი → ნაფთი, მაგრამ: ძთამაშობ → თამაშობ.

შემდეგ: ჩრდილი → ჩდილი (რ სონანტის ჩავარდნით) → ჩთილი (პროგრესული ასმილაკით, რაც დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი) → შთილი (დუზფრიკატიზაციით: ხშულთან კონტაქტური მეზობლობის გამო) → შტილი (დისმილაკით: ფშვინვიერი + ფშვინვიერი → ფშვინვიერი + მკვეთარი). იგივე ჩდ კომპლექსი დასტურდება სხვა შემთხვევაშიც: ჩან-ს → ჩნდ-ებ-ა/და-ა-ჩნდ-ა, რომლებიც შესაბამისად იძლევიან ჩნდება → ჩდება, დააჩნდა → დააჩდა ფონეტიკურ ნაირსახეობებს. ამის კვალობაზე, დააჩდა ფორმაში პოენიერი ჩდ კომპლექსი სულ სხვა წარმომავლობისაა, ვინემ ჩრდილი → ჩდილი ფორმაში დამოწმებული ბგერობრივ იგივე ჩდ, მიუხედავად ამისა, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი სრულ იდენტურობას გვიჩვენებს: დააჩნდა → დააჩდა → დააჩთა → დააჩთა → დააშტა. ნიმუშები ქვემოთმოწერილი კილოკავიდანაა დასახელებული.

ამდენად, საკითხი ცალსახად ვერ გადაწყდება. ბგერობრივი შედგენილობით იდენტურ, მაგრამ წარმომავლობით განსხვავებულ კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილება შესაძლოა (სწორედ ამ განსხვავებულობის გამო) სხვადასხვა შედეგს იძლეოდეს, რაც არ გამორიცხავს ცვლილების იდენტური ტენდენციის შესაძლებლობასაც.

ყოველ შემთხვევაში, თანხმობანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებების ანალიზის დროს ზემოხსენებული ფაქტორიც გასათვალისწინებელია.

3.10. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ კ ო მ პ ლ ე ქ ს თ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ა ს ფ ო ნ ე ტ ი კ ე უ რ ი და მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს უ რ თ ი ე რ თ მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს ა თ ე ი ს . ზემოთ დასახელებული იყო ნიმუში იმისა, თუ რა სხვაობას იძლევა

ბგერობრივად იდენტური, მაგრამ მორფოლოგიურად განსხვავებული მონაცემები ფონეტიკური ცვლილებების თვალსაზრისით — კერძოდ, — ებ მრავლობითობის ფორმანტი და — ებ თემის ნიშანი მესხურში. ეს ნიშნავს: მორფოლოგიური ფაქტორი შესაძლოა არეგულირებდეს ფონეტიკურ ცვლილებებს.

საკითხი სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

ნიშულად ერთ-ერთ შემთხვევას გვაანალიზებთ.

— ა თემის ნიშანი აფორმებს I სერიის ფუძეს და დაერთვის როგორც პირველად, ასევე ნასახელარ ზმნებს.

ფონეტიკური თვალსაზრისით დაჩნდება ორი ნაირსახეობა:

ა) ფუძე უკუმშველია. პირველადი ზმნები: მალ — → მალ-ავ-ს, → პარ — → პარ-ავ-ს, ძარცვ — → ძარცვ-ავ-ს... ნასახელარი ზმნები: ბარ-ი — ბარ-ავ-ს, კეტ-ი → კეტ-ავ-ს, ფერ-ი → ფერ-ავ-ს... ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა — ა თემის ნიშნით ფორმდება წარმოშობით უთემისნიშნო ფუძე: წერ-ს → წერ-ავ-ს, ჩერ-ს → ჩერ-ავ-ს, ლეს-ს → ლეს-ავ-ს...

შეგნიშნავთ: არ გამოირიცხება, რომ ამ ჩვეულებაში გაერთიანებული ზოგი ზმნური ფუძე ისტორიულად (ეტიმოლოგიურად) ნასახელარი იყოს: შდრ., მაგალითად, მალ-ავ-ს და მალ-ი/მალ-ე ფორმები; ამის კვალობაზე, სავარაუდოა, რომ მალ-ავ-ს ნასახელარი ზმნა... შემდეგ: უთემისნიშნო უნდა ყოფილიყო ზოგი ის ზმნაც, რომელიც ძველ ქართულშივე — ა თემის ნიშნითაა დამოწმებული: თეს-ავ-ს, თელ-ავ-ს; შდრ. ნამყო დროის საობიექტო მიმდებარეობები: და-თეს-ილ-ი, გა-თელ-ილ-ი (იმთავითვე — ა თემისნიშნის ზმნები ამ შემთხვევაში, როგორც წესი, — ულ მორფემას დაირთავს: მო-პარ-ავ-ს → მო-პარ-ულ-ი, მაგრამ: და-წერ-ს → და-წერ-ილ-ი; აგრეთვე: გა-ლეს-ს → გა-ლეს-ილ-ი, მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ენასა და დიალექტების უმეტესობაში დამკვიდრდა ლეს-ავ-ს ფორმა). ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დადასტურებული თელ-ს და მისთანა ფორმები.

• ბ) ფუძე კუმშვადია. პირველადი ზმნები: კალ — → კალ-ავ-ს, ხან — → ხან-ავ-ს, კარ — → კარ-ავ-ს, ძარ → ძარ-ავ-ს... ნასახელარი ზმნები: ბეჭედ-ი → ბეჭედ-ავ-ს, ფურცელ-ი → ფურცელ-ავ-ს, ნომერ-ი → ნომერ-ავ-ს... ნასახელარ ზმნებში დაჩნდება ფუძეკვეცადობის შემთხვევებიც: ზლუდე → ზლუდე-ავ-ს, სეტყვა → სეტყვა-ავ-ს... ესაა სახელები, რომელთა ფუძის კუმშვა და კვეცა ბრუნების პარადიგმაშიც დაჩნდება.

შენიშვნა I: ზოგი ზმნური ფუძე ამ თვალსაზრისით მერყევია: სხვადასხვა თემის ნიშანთა დართვისას ან იკუმშება, ან არა — ღალ — (და-ღალ-ა) → ღალ-ი-ს, მაგრამ (დიალექტური): ღალ-ავ-ს, ანალოგიურად: შალ —

(და-შალ-ა) → შლ-ი-ს, მაგრამ: შალ-აე-ს (დადასტურებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც).

შენიშვნა 3: ძველ ქართულში ნულთან გახმოვანებამონაცვლე ფუძე ამჟამად მხოლოდ რედუცირებული სახითაა წარმოდგენილი:

აწმყო: და-ვ-ქშ-აე → და-ვ-ხშ-აე

აორისტის: და-ვ-ქაშ → და-ვ-ხშ-ე.

ამავე რიგისაა: შე-ვ-თხზ-აე — შე-ვ-თხზ, შდრ. ახალი: შე-ვ-თხზ-აე — შე-ვ-თხზ-ი.

შენიშვნა 3: საერთოდ, ფუძეკუმშვადი პირველადი ზმნური ფუძეები ორი სახისაა:

ა) კუმშვა ხდება მხოლოდ I სერიის პარადიგმაში: ვ-შლ-ი, ვ-შლ-ი-დ-ი, ვ-შლ-ი-დ-ე... II სერიაში ფუძე სრულ გახმოვანებითაა წარმოდგენილი: ვ-შალ-ე, ვ-შალ-ო; ამ რიგისაა: ვ-თლ-ი, ვ-ყრ-ი, ვ-ხრ-ი და მისთ. ბ) კუმშვა ხდება ყველა შემთხვევაში, როცა ხმოვანი სუფიქსი დაერთვის: ვ-ხნ-აე, ვ-ხნ-აე-დ-ი (ძველი, ამჟამად დიალექტური: ვ-ქნ-ეე-დ/ვ-ხნ-ეე-დ-ი)... შდრ. აორისტის I და II პირის ფორმები: მო-ვ-ხან — (ი), მო-ხან — (ი), მაგრამ — III პირი: მო-ხნ-ა, II კავშირებითი: მო-ვ-ხნ-ა, მო-ხნ-ა, მო-ხნ-ა-ს. ყველა პირველადი კუმშვადი ზმნური ფუძის მქონე — ავ თემისნიშნისაა ზმნა მეორე ჩულოფს განეკუთვნება.

შენიშვნა 4: ფუძეშეკუმშული ნასახლარი ზმნები მხოლოდ ამ სახითაა წარმოდგენილი უღვლოლების მთელს პარადიგმაში: ვ-ბეჟდ-აე · და-ვ-ბეჟდ-ე — და-მ-ი-ბეჟდ-აე-ს — და-მ-ე-ბეჟდ-ა...

ამდენად, — ავ თემის ნიშანი დაჩნდება ან გახმოვანებულ (ე-შალ-აე, ვ-ბარ-აე), ან შეკუმშულ (ვ-ხნ-აე, ვ-ბეჟდ-აე) ფუძეებთან.

ამის საპირისპიროდ, — ამ თემის ნიშნის გამოყენება ორ პირობასთანაა დაკავშირებული: ა) ფუძე უმარცვლოა, ბ) აორისტის პირველი და მეორე პირის ფორმებში დაჩნდება — ი მორფემა. ამ რიგისაა: ა-ბ-ამ-ს, ა-სხ-ამ-ს, ი-ცვ-ამ-ს, სვ-ამ-ს, ღვ-ამ-ს, წარმო-თქვ-ამ-ს...

შენიშვნა I: ამ წესიდან გამონაკლისს ქმნის წვ-აე-ს ზმნა: ფუძე (წვ-) უმარცვლოა, აორისტის I და II პირის ფორმებში დაჩნდება ი ... მორფემა (და-ვ-წვ-ი, და-ს-წვ-ი); მოუხედავად ამისა, ზმნა ... ავ თემისნიშნისაა. ამის მიზეზის ახსნა ისტორიული ვითარების გათვალისწინებით ხერხდება. ძველ ქართულში დამოწმებულია მარცვლოვანი ფუძე: ვ-ი-წუე-ვებ-ი „ვიწუები“ (აწმყო, ვნებითი), წუე-იდ-ე-ნ „წუავდინენ“ (I კავშირებითი,

მოკმედებითი, მრავლობითი რიცხვი), შე-წუვ-ა „შეწვა“, და-მწუვ-ელ-ი „დამწველი“... ეს კი განაპირობებდა — ავ თემის ნიშნის გამოყენებას, რაც დღემდე შემორჩა.

შენიშვნა 2: ძველ ქართულში ორი — ამ თემის ნიშნიანი ზმნა აორისტის I და II პირის ფორმებში გახმომავანებულ ფუძით იყო წარმოდგენილი: შე-ვ-ი-რტყ-ამ, მაგრამ: შე-ვ-ი-რატყ „შევირტყი“, გან-ვ-ი-რთხ-ამ, მაგრამ: გან-ვ-ი-რათხ „განვირათხი“ ეს კი — ამ თემის ნიშნის გამოყენების ზემოხსენებულ წესს არღვევს. ამ ჩვენების მიხედვით დასახელებული ზმნები — ავ თემისნიშნიანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ძველ ქართულშივე აორისტში გახმომავანებულ ფუძის პარალელურად (და თან მეტი სიხშირით) დაჩნდებოდა უმარცვლო ფუძეც: შე-ვ-ი-რტყ, შე-ი-რტყ, შე-ი-რტყ-ა; ასევე: გან-ვ-ი-რთხ, გან-ი-რთხ, გან-ი-რთხ-ა, რამაც განაპირობა ამ ზმნებთან — ამ თემის ნიშნის დამკვიდრება.

ეს არის — ავ და —ამ თემის ნიშანთა განაწილების ზოგადი წესი ქართულში რეაგორც ქრონოლოგიურად (ისტორიულად), ასევე თანამედროვე დიალექტების მიხედვით.

—ავ და —ამ თემის ნიშნებს სხვა (უკვე საერთო, ორივესათვის დამახასიათებელი) თავისებურებაც აქვს: გახმომავანების ცვლა ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში, რაც სისტემური ხასიათისა იყო ძველ ქართულში, ამჟამად კი დაჩნდება დიალექტების ერთ ნაწილში:

ლონი პარადიგმა	ახალი ქართული	ძველი ქართული	დიალექტები	
			ხევსურული	გურული
აწმყო	ვ-მალ-ავ ჰ-მალ-ავ მალ-ავ-ს	ვ-მალ-ავ ჰ-მალ-ავ მალ-ავ-ს	ვ-მალ-ავ ლ-მალ-ავ ლ-მალ-ავ-ს	ვ-მალ-ავ მალ-ავ მალ-ავ-ს
ნამყო უსრულ- ლი	ვ-მალ-ავ-დ-ი ჰ-მალ-ავ-დ-ი მალ-ავ-დ-ა	ვ-მალ-ევ-დ (ი) ჰ-მალ-ევ-დ (ი) მალ-ვ-იდ-ა	ვ-მალ-ევ-დ ლ-მალ-ევ-დ ლ-მალ-ევ-დ—(ა)	ვ-მალ-ვ-იდ-ი მალ-ვ-იდ-ი მალ-ვ-იდ-ა
I კავშირებითი	ვ-მალ-ავ-დ-ე ჰ-მალ-ავ-დ-ე მალ-ავ-დ-ე-ს	ვ-მალ-ვ-იდ-ე ჰ-მალ-ვ-იდ-ე მალ-ვ-იდ-ე-ს	ვ-მალ-ევ-დ-ა ლ-მალ-ევ-დ-ა ლ-მალ-ევ-დ-ე-ს	ვ-მალ-ვ-იდ-ე მალ-ვ-იდ-ე მალ-ვ-იდ-ე-ს

ანალოგიური სურათია — ამ თემისნიშნთან ზმნათა უღვლილების დროსაც.

ეს საკითხი მორფოლოგიური ანალიზის დროს საგანგებოდ იქნება განხილული.

ამჟერად — ავ და —ამ თემისნიშნთან ზმნათა სხვა თავისებურებებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: კერძოდ, იგულისხმება ხსენებულ თემის ნიშანთა თანხმოვანითი ელემენტის ფონეტიკური ცვლილება:

ა) —ავ → -ამ → -ან (მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს);

ბ) —ამ → | —ავ (დგ-ამ-ს → დგ-ავ-ს, ა-სხ-ამ-ს → ასხ-ავ-ს)
→ ან (ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ან-ს).

ვ → მ გადაბგერება ხდება — ევ და —ოვ მორფემებშიც: ა-ძლ-ევ-ს → ა-ძლ-ემ-ს, ა-ხს-ოვ-ს → ა-ხს-ომ-ს. იცვლება ამჟამად ფუძისეულად გააზრებული ვ-ც: ჰ-ყავ-ს → ჰ-ყამ-ს, ჰ-გავ-ს → ჰ-გამ-ს, ი-წევ-ს → ი-წემ-ს.

ანალოგიურ ცვლილებას განიცდიან —ებ, —ობ და —ოფ მორფემებიც:

ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს, ა-წყ-ობ-ს → ა-წყ-ომ-ს, ყ-ოფ-ს → ყ-ომ-ს.

შემდგომ საფეხურზე მ → ნ (ა-ხს-ონ-ს, ყან-ს...).

ამის საპირისპიროდ შესაძლოა ფუძისეული მ → ე: ი-ზამ-ს → ი-ზავ-ს, ს-ცემ-ს → ს-ცევ-ს („პატრეს გცემ“ → „პატრეს გცევ“).

შენიშვნა: რაც შეეხება ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ამ-ს (→ ა-კეთ-ან-ს) ტიპის შენაცვლებას, იგი მორფოლოგიური ხასიათისაა (-ებ: -ავ), რასაც მოპყვება ფონეტიკური გადაბგერება (-ავ → -ამ → -ან).

განაწილება დიალექტების მიხედვით:

ა) —ავ → -ამ (აგრეთვე: —ევ → -ემ, —ებ → ემ, —ობ → -ომ, —ოფ → -ომ) დაჩნდება ქართულში, კახურში, მთიულურში, ზემოიბერულში, რაჭულში...

ბ) — ავ → -ამ → ან // -ამ → -ან (აგრეთვე: —ევ → -ემ → -ენ, —ებ → -ემ → -ენ, —ობ → -ომ → -ონ, —ოფ → -ომ → -ონ) დამახასიათებელია მესხურისათვის (სამცხურ-გავახურისათვის).

გ) — ამ → -ავ (—ემ → -ევ) დადასტურებულია ყველა იმ დიალექტში, სადაც გვხვდება ზემოდასახელებული — ავ → -ამ (—ევ → -ემ და მისთ.).

ნ გადაბგერებით თემის ნიშნები შეინიშნება ქართულრის ზოგიერთ თქმაშიც, კერძოდ, იმ რეგიონებში, სადაც მესხურთან ურთიერთობის კვალი იჩენს თავს.

მესხურში, სადაც ძირითადია ნ გადაბგერებით წარმოდგენილი თემის ნიშნები, ანალოგიურ გადაბგერებას განიცდის — ამ თემის ნიშანიც (ა-სხ-ამ-ს — ა-სხ-ან-ს). იმავდროულად მესხურის ზოგიერთ კოლოკაჟში უპირატესობა ეძლევა თემის ნიშნებს მ განხმოვანებით: მალ-ამ-ს, ა-კეთ-ემ-ს/ა-კეთ-ამ-ს...

ნ გახმობანება სპორადულად დაჩნდება სხვა დიალექტებშიც. მაგალითად, ლე-ჩხუმერში დასტურდება ჰ-ყავ-ს → ყამ-ს → ყან-ს // ხან-ს (ხანდაყე „ჰყავდა“). შესაძლოა აქ მეგრულის სუბსტრატთან გვექნოდეს საქმე: მეგრულისთვის ამ პოზიციაში დამახასიათებელია ასეთი შენაცვლება.

თემის ნიშანთა ამგვარი გადაბგერება ხდება პაუზისა და თანხმობის წინა პოზიციაში:

ა) ვ-მალ-ავ → ვ-მალ-ამ, (ჰ)-მალ-ავ → მალ-ამ;

ბ) ვ-მალ-ავ-თ → ვ-მალ-ამ-თ, (ჰ)-მალ-ავ-თ → მალ-ამ-თ, მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს, მალ-ავ-დ-ა → მალ-ამ-დ-ა.

იგივე კანონზომიერება მოქმედებს —ევ-ებ, —ობ - ოფ მორფემათა და ფუძი-სეული ვ ელემენტის ცვლილების შემთხვევებშიც.

შენიშვნა I: ქართლურსა და კახურში ამავე პოზიციაში იცვლება მრავლობითი რიცხვის —ებ ფორმანტიც: კაც-ებ-ს → კაც-ემ-ს/კაც-ემ (—ს ბრუნვის ნიშნის ჩავარდნით). სხვა დიალექტებში ამგვარი შენაცვლება არ შეინიშნება. შდრ. კაც-ებ-მა → კაც-ემ-მა → კაც-ემ-ა, სადაც ხდება სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია, რომელსაც მოსდევს მმ → მ- გემინაცია და ბოლოს დადის ერთ თანხმობანზე (კაც-ემ-ა → კაც-ემ-ა). იმადროულად ქართლურსა და კახურში ბ → მ გადაბგერება არ ხდება → ებრ → ებ თანდებულში: კაც-ის-ა-ებრ → კაც-ის-ე-ებ/კაც-ის-ე-ეფ... ბ → მ სპორადულად დაჩნდება სხვა შემთხვევაშიც: ბაყაყი → მაყაყი, უთხრობია → უთხრომია „უთქვამს“ (აჭარული)...

შენიშვნა 2: ინგილოურში —ებ, —ობ თემის ნიშნები აგრეთვე მრავლობითობის —ებ იძლევა — ევ და —ოვ ფონეტიკურ ნაირსახეობებს: ა-კეთ-ებ-ს → ა-ქეთ-ევ-ს/ა-ქეთ-ევ, კეთ-დ-ებ-ა → კებტ-ევ, შიპრ-ობ-ს → შიპრ-ოვ-ს/შიპრ-ოვ „ცეკვაეს“, პატრონ-ებ-ს → პატრონ-ევ-ს/პატრონ-ევ. ბ-ვ სპორადულად თავს იჩენს სხვა დიალექტებშიც: ი-ცნ-ობ-ს → ი-ცნ-ოვ-ს (გურული), ე-ხ-ებ-ა → ე-ხ-ევ-ა (აჭარული), ბიჭო → ვიჭო, გა-კეთ-ებ-ა → გა-კეთ-ევ-ა, ბალ-ებ-ი → ბალ-ევ-ი (მესხური: ზველური, ძველჭობარული, ხოსპოური თქმები).

შენიშვნა 3: ხმობის წინა პოზიციაში ყველგან აღდგება ამოსავალი თანხმობანი: მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს, მაგრამ: მალ-ვ-ა, ა-მალ-ვ-ინ-ებ-ს; და --(ჰ)-მალ-ვ-ი-ა; ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ავ-ს/ა-სხ-ან-ს, მაგრამ: და-სხ-

მ-ა, ა-სხ-მ-ეგინ-ებ-ს... ასე რომ, აშკარაა ცვლილების ფონეტიკური საფუძველი ზემოდასახელებულ პოზიციებში. ერთადერთ გამონაკლისს ქმნის აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმები, სადაც ხმოვნის წინაც დაჩნდება შენაცვლებული თანხმოვანი: მალ-ამ-ენ... ა-სხ-აე-ენ... ეს მოვლენა უთუოდ პარადიგმის გაგუნის შედეგია. რაც შეეხება ინგილოურს, ბ → ვ აქ ხმოვნის წინაც ჩვეულებრივია: კეთ-ევ-ა-მ/ გა-ქეთ-ევ-ა-მ, შიპრ-ოვ-ა-მ...

ვ → მ შენაცვლება დადასტურებულია სხვა შემთხვევებშიც.

ა) თანხმოვნის წინა პოზიციაში (თემის ნიშანთა მსგავსად): საესე → სამსე (// საფსე); დაჩნდება ქართლურში, აგრეთვე: გურულში, იმერულში... ხავსი → ხამსი, ნავთი → ნამთი (// ნაფთი); გვხვდება იმერულში, გურულში... ანალოგიურად იცვლება მეორადი კომპლექსებიც: (ვალ- →) უვლია → უმლია; შეინიშნა აჭარულში; გაერცელდა → გაევცელდა → გამცელდა; დამოწმებულია კახურში, გურულში... შდრ. საპირისპირო ცვლილება: ნემსი → ნევსი/ ნეფსი (გურული...), ანუ: მ → ვ.

ბ) პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ: ვიწრა → მიწრა (ქართლური...), ვითომ → მითომ/ მითამ (ქართლური, კახური) → მითონ (მესხური), ვინ → მინ (კახური), ვის → მის (ფერეიდნული), ვენახი → მენახი (აჭარული); შდრ. საპირისპირო: მიტინგი → ვიტინგი (გურული).

გ) პაუზის წინ თემის ნიშანთა მსგავსად: კიდევ → კიდემ (ქართლური, კახური...), დაჩნდება აგრეთვე: კიდომ // კიღო (იმერული, გურული).

დ) ხმოვნებს შორის (ინტერვოკალურ პოზიციაში): კარავი → კარამი, დაავიწყდა → დაამიწყტა, მძივი → ძივი → ძიმი (იმერული), თავაზობს → თამაზოფს, დღევანდელი → დღემამდელი, დაუვიწყებია → დოუმვიწყებია (გურული). შდრ. საპირისპირო: ყარამანა → ყარავანა (ლუჩხუმური).

ასე რომ, ვ → მ შესაძლოა ყველა პოზიციაში დაედასტუროთ (არ შეინიშნა მხოლოდ თანხმოვნებს შორის).

ხშირია რამდენიმე დიალექტისათვის საერთო ფორმებიც: საესე → სამსე (ქართლური, გურული), ვინ → მინ (ქართლური, კახური, ფერეიდნული...).

ნაკლები სიხშირითა და გაერცვლებულობით (იმავედროულად პოზიციური შეზღუდვით) თავს იჩენს: ბ → მ (ბრტყელი → ბტყელი → მტყელი, კბილი → კმილი, ყბედი → ყმედი; შდრ.: მეჭკტი → ბეჭკტი, მლილი → ბლილი, მეავე → ბეავე, მლაშე → ბლაშე), ფ → მ (ფრთხილი → ფთხილი → მთხილი); აგრეთვე: მ → ნ (ხელმწიფე → ხემწიფე → ხენწიფე)...

ხშირად ამა თუ იმ თანხმობის ცვლილება რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: მზითვი → ბზითვი/გზითვი (გურული). გარდა ვ → მ შენაცვლებისა, დადასტურებულაა აგრეთვე: ვ → ბ (თვეზი → თებზი, ავდარი → აბდარი, სოველი → სობელი, პარასკევი → პარასკები, დივიწყა → დეიბიწყა; ნიმუშები გურული დიალექტიდანაა).

ყველა ეს ნაირსახეობა, რომელიც ერთი შეხედვით საკმაოდ ჰრელ სურათს ქმნის, გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება.

ეს კანონზომიერებანი მხოლოდ ფონეტიკური არ არის. საჭირო ხდება მორფოლოგიური მონაცემების გათვალისწინებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებული თანხმობანთმონაცვლეობა შექცევადი პროცესია: დამოწმებულაა როგორც ვ → მ, მ → ნ (მესხური: მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს, ლეჩხუმური: ჰ-ყავ-ს → ყამ-ს → ყან-ს), ასევე მ → ვ, ნ → მ (ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ავ-ს, იმერული: ჩან-ს → ჩამ-ს).

შენიშვნა: შენაცვლება მკაცრი თანამიმდევრობით ხორციელდება: დაუშვებელია უშუალოდ ვ → ნ, მათ შორის გამაშუალებელ საფეხურად დაჩნდება მ:ვ → მ (ბაგისმიერი სპირანტი → ბაგისმიერი სონანტი) → ბაგისმიერი სონანტი → კბილისმიერი სონანტი).

—ავ → -ამ შენაცვლებასთან დაკავშირებით ივარაუდება, რომ „ვ → მ ცვლა თავდაპირველად შესაძლებელია წარმომობილყო პოზიციაში ხმობის შემდეგ მომდევნო ს, ზ, შ სპირანტებთან ვ'ს დისიმილაციით (კოვზი → კომზი, ბავშვი → ბამშვი, საესე → სამსე, თესავს → თესამს...). აღნიშნულ ფონეტიკურ გარემოცვაში (მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა) მიღებული მ უნდა იყოს გავრცელებული შემდეგ ზმნური პარადიგმის სხვა წევრებზე“ (ლ. ნოზაძე). ანუ: თემის ნიშნებს იგულისხმება ვს → მს დისიმილაცია (სპირანტი + სპირანტი → სონანტი + სპირანტი: მალავს → მალამს), რომ შემდგომ გავრცელდა პარადიგმის სხვა ფორმებზეც (ვხატამ, ხატამ... ხატამენ...) ანალოზი ამ შემთხვევაში ძირითადად ქართლურის მასალას ემყარება.

ვ → მ მონაცვლებას სხვადასხვა პოზიციაში განსხვავებული ფონეტიკური საფუძველი აქვს.

ა) ვითომ → მითომ/მითამ ტიპის ფორმებში შენაცვლება კომბინატორული ჩანს: საჭმე გვაქვს რეგრესულ ასიმილაციასთან. მესხურში ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ, წესისამებრ, მ → ნ: მითომ → მითონ (რაც შეეხება ო → ა გადაბგერებას მითამ ფორმაში, ეს ბაგისმიერ მ-სთან რეგრესული დისიმილაციის შედეგია). ასევე

კომბინატორული ცვლილება ივარაუდება ვინ → მინ (ანალოგიით: ვის → მის), ვენახი → მენახი და მისთანა ფორმებში: ნ-ს გავლენით ვ განიცდის ნაზალიზაციას (რეგრესული ასიმილაციით), რაც შედეგად მ ბაგისმიერ სონანტს იძლევა (ლ. ნოზაძე).

ბ) კიდევ → კიდემ/კილომ შემთხვევაში ივარაუდება რომ გვაქვს - მცა → მ მორფემოიდი და არა ვ → მ შენაცვლება (ლ. ნოზაძე). გასათვალისწინებელია: კიდევ გვხვდება ორი ნაირსახეობით: კიდე (ვ-ს მოკვეცილ) და კილო (ვე → ო შენაცვლებითათვის შდრ. გურული: ურჩევენია → ურჩოვნია). სწორედ ამ ფორმებს უნდა დართოდა → მცა, რომელიც ფონეტიკურად იცვლება (იკვეცება): კიდემცა/კილომცა → კიდემ/კილომ (→ მცა მორფემოიდის კვეცისათვის შდრ. ქართლური: ნეტამცა → ნეტამც → ნეტამ).

გ) ინტერვოკალურ პოზიციაში ვ კიდევ იკარგვის (ვიყავი → ვიყავი, იყავი → იყავი; ყვავილი → ყვაილი/ყოილი, მოაჭრევიანა → მოაჭრეინა...) და ჩნდება კიდევ (*აბინაებს → აბინაებს, *ახეებს → ახეებს, *მეტყევი → მეტყევი, რუი → რუვი). ამ ტიპის არც ერთ ფორმაში არ შეინიშნება ვ → მ. ამის კვალობაზე შეიძლება ითქვას: ინტერვოკალურ პოზიციაში ვ → მ არ ხდება ორ შემთხვევაში: როცა ვ-ს დაკარგვის ტენდენცია აქვს და როცა ვ არის გაჩენილი. მაშინ კი, როცა ვ უნდა შენარჩუნებულ იქნას, თავს იჩენს ვ → მ შენაცვლებისაგან მიდრეკილება, მით უმეტეს, თუ შესაბამისი ფონეტიკური გარემოცვა უწყობს ხელს: დღევანდელი → დღემანდელი (ნაზალიზაცია რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ვ-ნ → მ-ნ), მძივი → * მძიმი → ძიმი (პროგრესული ასიმილაცია, რომელსაც თან ახლავს ასიმილატორი თანხმოვნის დაკარგვა). შდრ.: ყარამანა → ყარაჟანა, სადაც საპირისპირო შედეგი გვაქვს (მ-ნ → ვ-ნ რეგრესული დისიმილაციის გზით დენაზალიზაცია). შევნიშნავთ, რომ ინტერვოკალურ პოზიციაში განხორციელებულია ვ → ბ პრაქსისი: სოველი → სობელი, პარასკევი → პარასკები, რაც განაპირობებს ხმოვნებს შორის თანხმოვნის შენარჩუნებას...

ამდენად, ერთსა და იმავე შედეგს (ვ → მ) შესაძლოა სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თემისნიშნისეული ვ → მ დასტურდება პაუზისა და თანხმოვნის წინ (ვ-ხატ-ავ → ვ-ხატ-ამ, ხატ-ავ-ს → ხატ-ამ-ს). თანხმოვანთაგან დაჩნდება: ს წინანუნისმიერი სპირანტი (ხატ-ავ-ს → ხატ-ამ-ს) და კბილისმიერი დ და თხშულები (ვ-ხატ-ავ-თ → ვ-ხატ-ამ-თ, ვ-ხატ-ავ-დ-ი → ვ-ხატ-ამ-დ-ი).

ანალოგიური შედეგი სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: საესე → სამსე, ხავსი → ხამსი, ხევსური → ხემსური (ვს → მს), ნავთი → ნამთი (ვთ → მთ).

ამის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს წმინდა ფონეტიკურ

მოვლენასთან გვაქვს საჭმე.

სინამდვილეში სხვაგვარი ვითარებაა.

ა) თემის ნიშნებში დასაშვებია მხოლოდ ვ → მ (ვს → მს), ვთ → მთ, ვდ → მდ), გამორიცხულია ვ → ფ, რაც პარალელური ვარიანტების სახით დადასტურებულია სხვა შემთხვევებში: საესე → სამსე // საფსე, ნავთი → ნამთი // ნაფთი (ვს → ფს, ვთ → ფთ: რეგრესული ასიმილაციით ხდება მქდერის დაყრუება).

ბ) ვს → მს, ვთ → მთ, ვდ → მდ გამოირიცხება ზმნის თავკიდურა პოზიციაში, როცა ერთმანეთს ხედება I სუბიექტური პირის ნიშანი და ზმნის ფუძისეული თანხმობანი: ვსეირნობ → მსეირნობ, ვთამაშობ → მთამაშობ, ვდეგ ... დავსაჭე, დავთვალე, დავდევი... ასე რომ, ამ პოზიციაში ან არ ხდება ვ-ს ცვლილება, ან შენაცვლება სხვა ხასიათისაა.

ამგვარად, ვ → მ ცვლილება გარკვეულ წილ რეგულირებულია მორფოლოგიური ფაქტორით: ანგარიში ეწევა იმას, რომელი მორფემის შემადგენლობაში შედის იგი.

შეგნიშნავთ, რომ ოდენ ვ → მ არის განხორციელებული მაშინაც, როცა ვ სხვა ზმნური სუფიქსების ან ფუძის (ძირის) შემადგენელი ელემენტია: ა-ძლ-ევ-ს → ა-ძლ-ემ-ს, ქს-ოვ-ს → ქს-ომ-ს (მღრ.: ქს-ელ-ი), თოვ-ს → თომ-ს, ძოვ-ს → ძომ-ს, ს-თხოვ-ს → ს-თხომ-ს...

ამავე პოზიციაში, როგორც ითქვა, დაჩნდება აგრეთვე მ → ნ (სისტემებრ განხორციელებულია მესხურში, შეინიშნება მესხურის მოსაზღვრედ ქართლურში, სპორადულად დაჩნდება სხვა დიალექტებშიც).

შენიშვნა: მ → ნ შენაცვლებას ხშირად წინ უსწრებს ვ → მ (საესე → სამსე → სანსე, ხატაეს → ხატამს → ხატანს) ან ბ → მ (აკეთებს → აკეთემს → აკეთენს, კოკლობს → კოკლომს → კოკლონს).

მ → ნ შენაცვლება (წინამდევი ვ → მ ან ბ → მ ცვლილებითურთ) მესხურში, როგორც აღინიშნა, ხდება პაუზისა და თანხმობის წინ.

შეიძლება გამოვევთ რამდენიმე შემთხვევა:

ა) თავკიდურა პოზიციაში პაუზის ან ხმოვნის მომდევნოდ თანხმობის წინ (იკვლება როგორც ფუძისეული, ასევე ფორმანტისეული მ): მთა → მთა // თა, მგელი → მგელი // გელი... მსახური → მსახური, მწუხარე → მწუხარე... ზამთარი → ზანთარი, შიმშილი → შინშილი, ემთხვია → ენთხვია... დამჯდარი → დანჯდარი, დამკალი → დანკალი, დამკარ → დანკარ, ამომძახა → ამონძახა...

ბ) თავკიდურა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ: ვითომ/ვითამ → მითამ → მითამ // მითან (აგრეთვე: მითონ // მითონ). ასეთი შემთხვევები ფრიალ

იშვიათაა. დაჩნდება იმეფა → ინეფა (მ → ნ ინტერვოკალურ პოზიციაში), მაგრამ აქ უფრო სავარაუდოა: მეფე → ნეფე და აქედან: ინეფა.

გ) შუა პოზიციაში (როგორც ერთი მორფემის საზღვრებში, ასევე მორფემათა ზღვარზე) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის (ჩვეულებრივ) ან ხმოვნის (უფრო იშვიათად) წინ: კოვზი → კომზი → კონზი, აავსო → აამსო → აანსო... აჭამდი → აჭანდი, სახლამდი → სახლანდი... და აგრეთვე: მარიაამობა → მარიანობა (აქ სავარაუდოა მ-მ → მ-ნ დისიმილაცია, და ამდენად, ცვლილებას ამ შემთხვევაში სხვა საფუძველი აქვს).

დ) ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ პაუზის ან თანხმოვნის წინ. მაგრამ → მაგრან, ძმამ → ძმან, გოგომ → გოგონ, ხატვ → ხატამ → ხატან... ხედავს → ხედამს → ხედანს, ხედავთ → ხედამთ → ხედანთ...

ე) ენკლიტიკისა და პროკლიტიკის შემთხვევაში: ამ დროს → ან-დროს, იმ კაცმა → ინ-კაცმა...

ამდენად, პოზიცია არსებითად შეუზღუდავია (გამონაკლისები საერთო სურათის ვერ ცვლიან):

ცვლილება ხდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში (მგელი → ნგელი, საესე → სამესე → სანესე, მაგრამ → მაგრან), ასევე მორფემათა ზღვარზე (მ-წუხ-არ-ე → ნ-წუხ-არ-ე, ამო-მ-ძახ-ა → ამო-ნ-ძახ-ა, სახლ-ა-მდი → სახლ-ა-ნდი).

იკვლება: ა) ფუძისეული თანხმოვანი (კოვზი → კომზი, → კონზი, ზამთარი → ზანთარი); ბ) მორფემისეული თანხმოვანი: I ობიექტური პირის ნიშანი (ამო-მ-ძახ-ა → ამო-ნ-ძახ-ა, და-მ-კარ → და-ნ-კარ), სასუბიექტო მიმღობის მორფემა (მ-წუხ-არ-ე → ნ-წუხ-არ-ე), მოთხრობითი ბრუნვის -მ ნიშანი ხმოვანზე ფუძედაბოლო-ლოებულ სახელებთან (გოგო-მ → გოგო-ნ)...

ასეთი სურათი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ წმინდა ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ აქაც ისევე, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, ხდება ამ რიგის ფონეტიკური გარდაქმნების რეგულორება მორფოლოგიური ფაქტორებით. კერძოდ: ა) გამოორიცხება ვ → მ → ნ იმ შემთხვევაში, როცა ვ .- არის I სუბიექტური პირის ნიშანი; შდრ.: I ობიექტური პირის მ — ნიშნის ფონეტიკური ცვლილებანი; ანუ დასაშვებია: და-ვ-კარ // და-ფ-კარ და და-მ-კარ → და-ნ-კარ, მაგრამ ვ- მ → ნ არაა დადასტურებული; ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის ან თანხმოვნის წინ ვ → მ → ნ და მ → ნ ცვლილებას განიცდის როგორც ფუძისეული (მაგრამ → მაგრან, თოვს → თომს → თონს, დალამდა → დალანდა), ასევე ფორბანტი-სეული (დედა-მ → დედა-ნ, ხედ-ავ → ხედ-ამ → ხედ-ან, ხედ-ავ-ს → ხედ-ამ-ს → ხედ-ან-ს; ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ან-ს) თანხმოვანი, მაგრამ მორფემათა ზღვარზე, როგორც წესი, შესაძლოა შეიცვალოს ზმნის ფუძისეული თანხმოვანი, სახელის ფუძი-

სეულ თანხმოვანს კი, ცვლილება არ მოსდის. ამიტომაც დაჩნდება დევ-ს → დემ-ს → დენ-ს (ზმნა), მაგრამ: დევ-ი → დევ-ს (სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა); შდრ.: „ამ დევ-ს ჰ-ყან-დ-ა (=ჰ-ყავ-დ-ა) ბევრი ცხვარი“ — ერთს ფრაზაშივე დადასტურდა ეს განსხვავება. და ასე: ცომ-ს, ცომ-ში... ვახშამ-ს, ვახშამ-ზე და მისთ.

ამის კვალობაზე, ზემოხსენებული თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები წმინდა ფონეტიკურ მოვლენას არ წარმოადგენს: მორფოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია.

შენიშვნა: მესხურში დადასტურებულია საპირისპირო ცვლილებაც (ნ → მ): ახლამდელი → ახლამდელო, ჩანს → ჩამს → ჩანდა → ჩამდა, უკან → უკამ... (მ → ვ): მწყემსი → მწყევსი, მერმე → მევერე... ბოლო ორ შემთხვევაში პროგრესული დისიმილაციის შედეგთან გვაქვს საქმე: მ-მ → მ-ვ, რასაც მოსდევს თანხმოვნის წინ ასიმილატორი ბგერის დაკარგვა, ხოლო ხმოვნის წინ მისი შენარჩუნება; დისიმილაციის შედეგი ჩანს აგრეთვე ნემსი → ნევსი (ნ-მ → ნ-ვ). როგორც აღინიშნა, ზოგიერთ თქმაში (ზელურში, ძველჭობარულში, ხოსპორში) დაჩნდება ბ → ვ პროცესიც: ბაღები → ბაღევი, თურქებს → თურქევეს, კარებში → კარევეში... ასეთი ურთიერთშექცევადი (ურთიერთსაპირისპირო) ფონეტიკური ცვლილებანი დიალექტებში არცთუ ისე იშვიათია. ამის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს...

შევუდაროთ ერთმანეთს — ავ თემისნიშნიან ზმნათა I სერიის პარადიგმა ქართლურში, ზემოიმერულსა და მესხურში.

ა) ქართლური:

აწმუო:

ვ-მალ-ამ	ვ-მალ-ამ-თ
(ა) —მალ-ამ	(ა) მალ-ამ-თ
მალ-ამ-ს	მალ-ამ-ენ

ნამუო უსრუდლი:

ვ-მალ-ამ-დი	ვ-მალ-ამ-დ-ი-თ
(ა) —მალ-ამ-დ-ი	(ა)-მალ-ამ-დ-ი-თ
მალ-ამ-დ-ა	მალ-ამ-დ-ენ

3.10. თანხმობანთკომპლექსთა ცვლოლებისას ფონეტიკური და...

ბ) ზემოიმერული:

აწმყო:

ვ-მალ-ამ	ვ-მალ-ამ-თ
მალ-ამ	მალ-ამ-თ
მალ-ამ-ს	მალ-ეგ-ენ

ნამყო უსრული:

ვ-მალ-ემ-დ-ი	ვ-მალ-ემ-დ-ი-თ
მალ-ემ-დ-ი	მალ-ემ-დ-ი-თ
მალ-ემ-დ-ა	მალ-ემ-დ-ენ.

შენიშვნა 1: აწმყოას მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში მალ-ეგ-ენ ფორმის პარალელურად დაჩნდება: მალ-ავ-ენ// მალ-ამ-ენ//მალ-ვ-ენ.

შენიშვნა 2. თერჯოლურასა და ბაღდათურში („შუაიმერულში“) აწმყოას III პირის ფორმებში (როგორც მხოლოობითში, ასევე მრავლობითში) გამოიყენება —ებ; მალ-ებ-ს —მალ-ებ-ენ. ეგვეე მორფემა იჩენს თავს ნამყო უსრულშიც: მალ-ებ-დ-ა (—მალ-ეგ-დ-ა)— მალ-ებ-დ-ენ (//მალ-ეგ-დ-ენ). განსხვავებით ზემოიმერულიასგან, ამ თქმებში სხვა პირის ფორმებში, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება —ავ → -ამ (აწმყოში) ან —ეგ → -ემ (ნამყო უსრულში). ქვემოიმერულის სხვა თქმებისათვის უცხობა როგორც ვ →ჲ, ასევე →ავ →-ეგ ან — ეგ → -ებ გადაბგერება.

გ) მესხური:

აწმყო:

ვ-მალ-ან	ვ-მალ-ან-თ
(ჰ)-მალ-ან	(ჰ)-მალ-ან-თ
მალ-ან-ს	მალ-ებ-ენ

ნამყო უსრული:

ვ-მალ-ენ-დ-ი // ვ-მალ-ან-დ-ი	ვ-მალ-ენ-დ-ი-თ// -ან-დ-ი-თ
(ჰ)-მალ-ენ-დ-ი// (ჰ)-მალ-ან-დ-ი	(ჰ)-მალ-ენ-დ-ი-თ// -ან-დ-ი-თ
მალ-ენ-დ-ა//მალ-ან-დ-ა	მალ-ენ-დ-ენენ // -ან-დ-ენენ

შედარება ცხადყოფს:

ა) პაუზის წინა პოზიციაში ვ → მ და ვ → მ → ნ განხორციელებულია მხოლოდ აწმყოს მხოლოდობითი რიცხვის I და II პირის ფორმებში. ყველა სხვა შემთხვევაში იგივე პროცესი დაჩნდება თანხმოვნის წინა პოზიციაში (ანალოგიური ვითარებაა I კავშირებითშიც: ვ-მალ-ამ-დ-ე/ვ-მალ-ემ-დ-ე...).

ბ)-ავ → -ამ ყველა პარადიგმაში დადასტურებულია ქართულურში (ასევეა კახურშიც). ზემოიმერულსა და მესხურში სხვაგვარი ვითარებაა: ხდება გადაბგერება, ერთი მხრივ, აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში, ხოლო, მეორე მხრივ, ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმაში.

ამის კვალობაზე, ქართულურში — ავ → -ამ მორფოლოგიურ ფაქტორს უწევს ანგარიშს: აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმაში არ იცვლება — დატულია პარადიგმის საყრდენი ფუნქციის მორფოლოგიური შემადგენლობა (მალ-ამ-ენ) მოუხედავად პოზიციის ცვლილებისა: პაუზისა და თანხმოვნის ნაცვლად დაჩნდება ხმოვანი.

რაც შეეხება ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ პარადიგმაში ხმოვნის გადაბგერებას, რაც ზემოიმერულისა და მესხურისთვისაა დამახასიათებელი (ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა ხევსურულში, თუშურში, რაჭულის ზოგ კილოკავში) ეს უკვე მორფონოლოგიური მოვლენაა...

ამდენად, ვ → მ, ერთი მხრივ, და მ → ნ, მეორე მხრივ, განხორციელებულია იდენტურ პოზიციებში: მ → ნ შენაცვლების შემთხვევაში მ შეიძლება იყოს პირველადი (ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ან-ს), და მეორადი (მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს, ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს...)

როგორც ითქვა, თემის ნიშნებში დაჩნდება საპირისპირო მ → ვ პროცესიც: სე-ამ-ს → სე-ავ-ს, ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ავ-ს. აგრეთვე: ბ → ვ: ტრაბახ-ობ-ს → ტრაბახ-ოვ-ს, ე-უბნ-ებ-ა — ე-უბნ-ევ-ა. შევნიშნავთ, რომ მესხურში მ → ვ განხორციელებულია, როგორც წესი, ერთი მორფემის ფარგლებში (ნემსი — ნევსი), რაც იმ დიალექტებშიც შეინიშნება, სადაც ეგვევ ცვლილება მორფემათა მიჯნაზეც დასტურდება. შდრ. მესხურშივე პოენიერი: მესამე → მესავე, მამიდა → მავიდა → ვავიდა...)

ზემოთ აღინიშნა, რომ ეს ნაირსახეობანი, ჩვეულებრივ, დიალექტების მიხედვითაა განაწილებული. რამდენიმე ნიმუშს წარმოვადგენთ სქემის სახით:

- | | |
|----------------|---|
| (I) მალ-ავ-ს → | მალ-ამ-ს (ქართლური, კახური, ზემოიმერული)
მალ-ამ-ს → მალ-ან-ს (მესხური) |
| (II) დგ-ამ-ს → | დგ-ავ-ს (ქართლური, კახური, ზემოიმერული...)
დგ-ან-ს (მესხური). |

- | | |
|---------------------|---|
| (III) ტრაბახ-ომ-ს → | ტრაბახ-ომ-ს (ქართლური, კახური, ზემოიმერული)
ტრაბახ-ომ-ს → ტრაბახ-ონ-ს (მესხური)
ტრაბახ-ოვ-ს (ქართლური, კახური, ინგილოური...) |
| (IV) ა-შენ-ემ-ს → | ა-შენ-ემ-ს (ქართლური, კახური...)
ა-შენ-ემ-ს → ა-შენ-ენ-ს (მესხური)
ა-შენ-ამ-ს (ქართლური...)
ა-შენ-ამ-ს → ა-შენ-ან-ს (მესხური)
ა-შენ-ევ[ს] (ინგილოური).. |

მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს საერთო აღმოჩნდა რამდენიმე დიალექტისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სხვადასხვა მორფონოლოგიური ღირებულებისაა ქართლურსა და კახურში, ერთი მხრივ, და ზემოიმერულში, მეორე მხრივ: პირველ შემთხვევაში იგი უცვლელად გაპყვება I სერიის მთელს პარადიგმას, მეორე შემთხვევაში — ამ: - ემ (აგრეთვე: - ამ: - ევ) მონაცვლეობა და მოწმებულ (იხ. ზემოთ).

ზემოიმერული მალ-ამ-ს და მესხური მალ-ან-ს ვ → მ → ნ შენაცვლების სხვადასხვა საფეხურზეა წარმოდგენილი. ასე რომ, სხვაობა აშკარაა. მიუხედავად ამისა, მორფონოლოგიური თვალსაზრისით (ივლისსმება უღვლოლებიას - ამ: - ემ და - ან: - ენ გადაბგერება) ისინი იდენტურ ჩვენებას იძლევიან.

ტრაბახ-ომ-ს → ტრაბახ-ომ-ს → ტრაბახ-ონ-ს ქართლურში, კახურსა და მესხურში ერთი და იმავე ფონეტიკური პროცესის სხვადასხვა საფეხურია. ტრაბახ-ომ-ს → ტრაბახ-ოვ-ს ქართლურსა და კახურში პროგრესული დისიმილაციის შედეგია (ბ-ბ → ბ-ვ) და, ამდენად, სულ სხვა გზით არის მიღებული, ვინემ იმავე დიალექტებში დადასტურებული ტრაბახ-ომ-ს. იგივე ტრაბახ-ოვ-ს ინგილოურში უკვე ამ დიალექტისთვის დამახასიათებელი ბ ხშულის სპირანტიზაციის გამოვლინებაა (რაც ამ კონკრეტული ფორმის შემთხვევაში არ გამოიციტავს დისიმილაციის მოქმედებასაც); შდრ. იქვე: ა-შენ-ემ-ს → ა-შენ-ევ-ს, რაც არ შეინიშნება ქართლურსა და კახურში. გურულში დადასტურდა ი-ცნ-ომ-ს → ი-ცნ-ოვ-ს (// ი-ცნ-ოვ-ს). მიუხედავად იგივე ბ → ვ შედეგისა, აბსოლუტურად განსხვავებულ ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. ეს ნათელი გახდება, თუკი მთელი პარადიგმის ჩვენებას გავითვალისწინებთ; შდრ.:

ვ-ტრაბახ-ოვ (// -ომ) ვ-ი-ცნ-ოვ

(ს)-ტრაბახ-ოვ (// -ომ) ი-ცნ-ოვ

ტრაბახ-ოვ-ს (// -ომ-ს) ი-ცნ-ოვ-ს (// ი-ცნ-ოვ-ს)

პირველ შემთხვევაში თანამიმდევრულად არის გატარებული ბ-ბ → ბ-ვ დისი-

მილაკია (პარალელურად დაჩნდება-ომ), მეორე შემთხვევაში ბ → ვ არის სპირანტიზაციის შედეგი — მომხდარია ასიმილაკია რაგვარობის მიხედვით შესაბამის პოზიციაში (ს სპირანტის წინა პოზიციაში). პარალელურად ამავე ფორმაში წარმოდგენილია —ობ → -ოფ ფონეტიკური ნაირსახეობაც. თავისთავად ბ → ფ შენაცვლება პაუზისა და ყრუ თანხმობის წინა პოზიციაში საკუთრივ ფონეტიკური მოვლენაა, მაგრამ მისი წარმოდგენა სამივე პირის ფორმაში გარკვეულ წილ მორფოლოგიურ სტრუქტურასაც უწევს ანგარიშს — იდენტური მორფოლოგიური მონაცემი თანამიმდევრულად არის გამოყენებული მორფოლოგიურ პარადიგმაში.

ამისგან განსხვავებით —ობ → ოფ : —ოფ მონაცვლეობა ოდენ ფონეტიკური გარემოცვითაა შეპირობებული.

შემდეგ: ა-შენ-ებ-ს → ა-შენ-ემ-ს → ა-შენ-ენ-ს არის საკუთრივ ფონეტიკური შენაცვლების შედეგი. რაც შეეხება ა-შენ-ებ-ს → ა-შენ-ამ-ს მონაცვლეობას, ესაა მორფოლოგიური მოვლენა (ანალოგიურად ამისა: ი-ყიდ-ი-ს → ი-ყიდ-ამ-ს), რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს ფონეტიკური ცვლილებაც: ა-შენ-ამ-ს → ა-შენ-ან-ს.

ასე რომ, ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები შესაძლოა ურთიერთდაკავშირებული აღმოჩნდეს მაშინაც, როცა უშუალოდ ურთიერთგველაციის ფაქტთან არა გვაქვს საქმე.

ზემოხსენებულის საფუძველზე შეიძლება ითქვას:

როგორც ვ → მ → ნ, ასევე ბ → მ → ნ ნაზალიზაციის ტენდენციის გამოვლინებაა. პირველ საფეხურზე ეს პროცესი დაჩნდება ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში (ბაგისმიერი: ვ, ბ → ბაგისმიერი: მ), მეორე საფეხურზე პროცესი უფრო შორს მიდის — იცვლება ლოკალური რიგიც (ბაგისმიერი: მ → კბილისმიერი: ნ).

საერთოდ, ნაზალიზაციის ტენდენცია დამახასიათებელია ქართული დიალექტების აბსოლუტური უმეტესობისათვის. იგი ვლინდება ხმოვანთა ნაზალიზაციითაც: → მეთქი → -მეთქინ (გურული), → ზე → -ზენ (იმერული), → თვი → -თვინ, → მდი → -მდინ (იმერული, ქართლური, კახური...).

ამ რიგის სუბსტიტუციას ყოველ კერძო შემთხვევაში შესაძლოა საფუძველად ედღოს სხვადასხვა ფონეტიკური კანონზომიერება.

მაგალითად, ვთ → მთ → ნთ ანდა ვდ → მდ → ნდ (მალ-ავ-თ → მალ-ამ-თ → მალ-ან-თ, მალ-ავ-დ-ა → მალ-ამ-დ-ა → მალ-ან-დ-ა) შემთხვევებში წარმოიქმნება კომპლექსები (მთ // ნთ, მდ // ნდ), რომლებიც სხვა ფორმებში თანხმობის გაჩენით მიიღება (თავლა → მთავლა, დევი → მდევი, შესაბამისად: ნთავლა, ნდევი). ესაა, ასე ვთქვათ, ფაუკალურის შექცევადი („შებრუნებული“, ინვერსიული) კომპლექსები, რომლებიც ბუნებრივია ქართული ენისათვის ისევე, როგორც თვით ფაუკალურნი;

შდრ.: ფაუკალური დნ, თნ (დნობა, სათნო) და „შებრუნებულო“ ნდ, ნთ (ნდობა, ნთება). ლირსსაცნობია ის ფაქტი, რომ დ, თ, ტ თანხმოვნების წინ მ და ნ ნაზალი სონანტების გაჩენით, რაც საკმაოდ ხშირია ქართული ენის დიალექტებში, სწორედ ფაუკალურთა საპირისპირო („ანტიფაუკალური“) კომპლექსები წარმოიქმნება.

ნაზალიზაციის ტენდენცია გარკვეულ წილად მორფოლოგიური ფაქტორით არის რეგულირებული. მაგალითად, ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზისა და თანხმოვნის წინ განხორციელებულია ზმნებში (იცვლება როგორც თემის ნიშნისეული, ასევე ფუძისეული თანხმოვანი: ხედ-ავ-ს → ხედ-ამ-ს → ხედ-ან-ს, ჰ-ყავ-ს → [ჰ] -ყამ-ს → [ჰ-]ყან-ს), მაგრამ არ შეინიშნება სახელებში (თავ-ს, დევ-ს... ვახშამ-ს, ცომ-ს...).

ისმის კითხვა: თუ ქართული ენის დიალექტების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელია —ავ, —ებ, —ობ... თემის ნიშანთა თანხმოვნით ელემენტის ნაზალიზაცია, რითი უნდა აიხსნას იმავე დიალექტებში დადასტურებული საპირისპირო ტენდენცია — დენაზალიზაცია: მ → ე (სვ-ამ-ს → სვ-ავ-ს, ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ავ-ს და მისთ.)?

როგორც ითქვა, —ავ და —ამ თემის ნიშანთა განაწილებისას განსაზღვრული მორფოლოგიური კანონზომიერება მოქმედებს; ყრძოდ, მარცვლოვან (როგორც უკუმშველ, ასევე კუმშვად) ფუძეებთან დაჩნდება-ავ: მალ-ავ-ს (მალ-), ხნ-ავ-ს (ხან-), უმარცვლოებთან — ამ: ა-ბ-ამ-ს (ბ-), ა-სხ-ამ-ს (სხ-), დგ-ამ-ს (დგ-)... შევნიშნავთ: უმარცვლო ფუძე იგულისხმება მორფოლოგიის დონეზე — ანუ: ფუძე, რომელსაც მთელს პარადიგმაში არ აღუდგება გახმოვანება. თუმცა ეტიმოლოგიურად ზოგი ასეთი ფუძე შესაძლოა მარცვლოვანიც იყოს; მაგალითად: დგგ- → დგ-ამ-ს, მაგრამ ეს უკანასკნელი მთელს პარადიგმაში გაუხმოვანებლადაა წარმოდგენილი (დგ-ამ-ს — და-დგ-ა — და-უ-დგ-ამ-ს...).

ეს სტრუქტურული ნიშანი აერთიანებს ისეთ ზმნებს, როგორიცაა: ა-ბ-ამ-ს, ა-სხ-ამ-ს, დგ-ამ-ს, სვ-ამ-ს, უ-სვ-ამ-ს, ი-ცვ-ამ-ს, ი-რთხ-ამ-ს, ი-რტყ-ამ-ს...

ამათგან თემის ნიშანში მ → ვ მონაცვლობას რამდენიმე შემთხვევაში ფონეტიკური საფუძველი უჩანს: სვ-ამ-ს → სვ-ავ-ს, უ-სვ-ამ-ს → უ-სვ-ავ-ს, ი-ცვ-ამ-ს →

ი-ცვ-ავ-ს პროგრესული დისტანციური სრული ასიმილაციის შედეგია; შდრ.: სვ-ამ-ს → სვ-ავ-ს, მაგრამ: სომ-ს (აქ უკვე აღარ ხდება მ → ვ). იმავე სტრუქტურის სხვა ზმნებში ანალოგიის წესი უნდა მოქმედებდეს: მორფოლოგიურმა ფაქტორმა განაპირობა მათი დაქვემდებარება ერთი ფონეტიკური წესისადმი. გასათვალისწინებელია: იქ, სადაც ანალოგია ივარაუდება, პარალელური გამოყენების შემთხვევებიც საკმაოდ ხშირია: დგ-ამ-ს // დგ-ავ-ს, ი-რთხ-ამ-ს // ი-რთხ-ავ-ს და მისთ. თუმცა არ გამოირიცხება რეგრესული ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით: მს → ვს (სონანტი + ნაპარალოვანი → ნაპარალოვანი + ნაპარალოვანი). ეს, რა თქმა უნდა, ზემოხსენებულ ნიმუშებსაც შეეხება.

რაც შეეხება ბ → ვ პროცესს (ა-მბ-ობ-ს → ა-მბ-ოვს, ე-უბნებ-ა → ე-უბნ-ევ-ა, ტრამბ-ობ-ს → ტრამბ-ოვ-ს...), როგორც აღინიშნა, იგი დისიმილაციის შედეგს წარმოადგენს. შესაძლოა ამავე რიგში განგვიხილა აგრეთვე ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ავ-ს (ბ-მ → ბ-ვ), გარდა იმისა, რომ ეს ზნა სტრუქტურულად უმარცვლო ფუძის მქონე ფორმათა წყებას განეკუთვნება...

ზემოთ წარმოდგენილი იყო მხოლოდ რამდენიმე ნიმუში იმისა, თუ როგორ მიემართება ურთიერთს ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტორები. დიალექტებში ამგვარი ურთიერთმიმართებანი (ანუ: მორფოლოგიური ფაქტორის მიერ ფონეტიკურ ცვლილებათა რეგულაცია) საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ყოველ კერძო შემთხვევაში ამის შესაბამისი გათვალისწინება აუცილებელია.

3.11. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ კ ო მ ბ ლ ე ქ ს თ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს ა ს ფ ო ნ ე ტ ი - კ უ რ ი და ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს უ რ თ ი ე რ თ მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს ა - თ ვ ი ს . ი გ უ ლ ს ი ხ მ ე ბ ა ის შ ე მ თ ხ ვ ე ე ბ ი , რ ო ც ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა გა მო წ ვ ე უ ლ ი ა რ ა ფ ო ნ ე - ტ ი კ უ რ ი მო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი თ , ა რ ა მ ე დ ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ა ნ ა ლ ო გ ი ს სა ფ უ ჯ ვ ე ლ ზ ე , რ ა ც ფ ო - ნ ე ტ ი კ უ რ ა დ კ ო ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი თ ვ ლ ი ნ დ ე ბ ა .

რამდენიმე ნიმუში ნათქვამის ნათელსაყოფად.

გურულში დამოწმებულია ფორმა წრებ-ჰ ა) შეკვრა; თამბაქოს დაწნული ფოთალი; ბ) ქალის ნაწნავი; გ) იგივეა, რაც: გრება.

პირველი და მეორე მნიშვნელობით გამოყენებული წრებ-ა იმავე რიგის ფორმაა, როგორც: გაბმა, აცმა...

გრ → წრ შენაცვლება ფონეტიკურად არ არის შეპირობებული. ამკარაა, რომ წრებ-ა მიღებულია ორი ფორმით კონტამინაციით: გრება + წირები („დაგრებილი შოლტი“/„ღელურკი“).

ეგვევე პრინციპია გამოყენებული: წრიალი + წიაქი → წრიაქი, წრიალი + კრიახი → წრიახი და მისთ. (ეს ნიმუშებიც გურულშია დადასტურებული), ლერწი + ღერა → ღერწი (ფ. ერთელიშვილი).

მზ → ბზ მონაცვლეობა გურულში კანონზომიერი პროცესია (მზერა → ბზერა და მისთ). ამ წესით იცვლება აგრეთვე: მზითევი/მზითვი → ბზით(ე)ი. იმავედროულად შეინიშნება ფორმა: გზითვი/გზითი, რომელიც შესაძლოა მიღებული იყოს მზითვი და გზა ფორმათა კონტამინაციით (ასეთი გააზრებით: „ის, რასაც გზაში, გზად ატანენ“), თუმცა არ გამოირიცხება ბზითვი → გზითვი დისიმილაციის საფუძველზე (ბ-ვ → გ-ვ).

კონტამინაციას დიდი წილი უდევს თანხმოდანთა გაჩენის შემთხვევებშიც: წა-ლდი + ცული → ცულდი, ბლარტი + ბეიტი → ბელარტი (ფ. ერთელიშვილი).

ასე რომ, თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების ანალიზისას ლექსიკური ანალოგიების ფაქტორიც უნდა იქნას გათვალისწინებული.

აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული ის შემთხვევები, როცა ფონეტიკურ ცვლილებას თან ახლავს სემანტიკური განსხვავებაც: ბ-პ (ალბობს „რბილს ხდის“ -- ალბობს „ამყაყებს, აშშორებს“, უბე „არე ტანსაცმლის ქვეშ გკულმკერდთან“ — უბე „თვალის გარეთა ნაწილი ლაწვისთავიდან ქვედა ქუთუთომდე“), მ-ნ (მეფე „სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური“ — ნეფე „კაცი, რომელიც ცოლს ირთავს“), კ-ნკ (კეკავს „ჩხვლტს, აქუცმაცებს“ — კენკავს „ნისკარტით კრეფს მარცვალს“ და მისთ.).

3.12. თანხმოვანთ ცვლილებისას ხშულთა (აფრიკატთა), ნაპრალოვანთა და სონანტთა კორელაციისათვის. ცნობილია: ქართულში მქდერობა-სიყრუის მიხედვით ხშულები და აფრიკატები სამეულებს ქმნიან (გ-ქ-კ, ძ-ც-წ...), ხოლო ნაპრალოვნები — წყვილულებს (ღ-ხ, ზ-ს...) ან ცალულებს (ვ/ჟ, პ), სონანტები, მხოლოდ ცალულებს (ლ,მ,ნ,რ).

თანხმოვანთა მონაცვლეობისას, კერძოდ, რაგვარობის მარჯრის შეცვლისას, ეს სხვაობა თავისებურად ვლინდება.

მაგალითად, წყვილბაგისმიერთა რიგში წარმოდგენილია ერთი მქდერი სპირანტი ჟ (რომელთანაც დიალექტებში თავისუფლად მონაცვლეობს კბილბაგისმიერი ვ). ამავვე რიგის ხშულ თანხმოვანში მისი გადასვლისას დასაშვებია:

- ჟ / ვ → ბ (თეფზი → თეზზი, ვარცხნის → ბარცხნის, პარასკევი → პარასკევი)
- ფ (საფსე → საფსე, ნაფთი → ნაფთი)

დამოწმებულია აგრეთვე ჟ / ვ → ძ (ფეფერთხავ → ძეფერთხავ, ვთესავ → ძთესავ, ვკრი → ძკრი, ვჩეჩ → ძჩეჩ), რომელიც ზოგ პოზიციაში მონაცვლეობს ფ-სთან: საფსე // საძსე, კაფშირი // კაძშირი, ნაფთი // ნაძთი...

ამდენად, ჟ / ვ-ს შეიძლება შეენაცვლოს ბ მქდერი და ფ ყრუ ფშვინვიერი. ფ-სთან მონაცვლეობა განპირობებულია ყრუ თანხმოვნებთან კონტაქტური მეზობლობით. გამოირიცხება ჟ / ვ → პ. თვით ყრუ მკვეთარ თანხმოვნებთან მეზობლობის დროს შესაძლებელია მხოლოდ ჟ / ვ → ძ (ცყითხე → ძყითხე, ვწერ → ძწერ, ვკრი → ძკრი).

თავის მხრივ, ხშულთაგან იმავე ლოკალური რიგის სპირანტად ან სონანტად შეიძლება გარდაიქმნას მხოლოდ მქდერი:

- ბ → ვ (ეუბნება → ეუბნევა, კბილი → კვილი)
- მ (ყბედი → ყმედი, კბილი → კმილი).

ფ და პ ხშულის კორელატად ჟ/ვ სპირანტი და მ სონანტი არ შეინიშნება.

წყვილბაგისმიერთა რიგში წარმოდგენილია მ სონანტიც. მის ადგილას (სხვადასხვა პოზიციაში შესაბამისი გარდაქმნის შედეგად) დაჩნდება სამივე ხშული:

მ → | ბ (მჟავე → ბჟავე)
 ფ (მსხალი → ფსხალი)
 პ (მტვერი → პტვერი)

ასე რომ, სპირანტისა და სონანტის კორელაციები შესაბამის ხშულუბთან პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სონანტის გარდაქმნისას არსებითად შეზღუდვები არა გვაქვს.

თავის მხრივ, თავისუფლად მონაცვლეობს სპირანტი და სონანტი: ვ → მ (ვიწრო → მიწრო, ულვაში → ულმაში, ხატავს → ხატამს) და, პირიქით, მ → ვ (ნემსი → ნევსი, სიმამრი → სიმავრი, პატიმარი → პატივარი).

შენიშნავთ: თანხმევანთმონაცვლეობას ყველა შემთხვევაში თავისი საფუძველი აქვს: ასმილაკია (მსხალი → ფსხალი), დისმილაკია (სიმამრი → სიმავრი)... რაც სათანადო განხილვას საჭიროებს (იხ. ქვემოთ). მაგრამ ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ერთ მხარეზე: რაგვარობის მარკერის ცვლისას რომელი თანხმევნები შეიძლება ურთიერთმონაცვლეობდნენ.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ახალი აფრიკატებისა და იმავე ლოკალური რიგის ნაპრალოვნების ურთიერთშენაცვლების შემთხვევები.

ძ → ზ: მოიძულა → მოიზულა, ტაძარი → ტაზარი (იმერული)

წ → ზ: აწეული → აზეული (იმერული)

ც → ს: ცისკარი → სისკარი (ხევსურული), ცხიმი → სხიმი (მოხეური)

ც-ს პოზიციაში ზ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მჟღერი თანხმევნის მეზობლად (ასმილაკიის შედეგად): ოცდაათი → ოსდაათი → ოზდაათი; დასაშვებია მეორე გზაც: ოცდაათი → ოძდაათი → ოზდაათი (და მაშინ აქაც ძ:ზ კორელაცია გვექნება).

ამდენად, ძ მჟღერსა და წ ყრუ მკვეთარს სპირანტთა რიგში შეესატყვისება მჟღერი ზ, ც ყრუ ფშვინვიერს — ს ყრუ. ანუ: მჟღერსა და ყრუ მკვეთარს ერთი და იგივე კორელატი აღმოაჩნდა — მჟღერი.

ასეთი კორელაციის მიზეზი ისაა, რომ აფრიკატთა სამეულს სპირანტთა წყვილული შეესაბამება, რაც ფონეტიკური გარდაქმნისას თავისებურად ვლინდება: მჟღერსა და ყრუ მკვეთარს საერთო კორელატი აღმოაჩნდა, ცალკე დაჩნდა ამ მხრივ ყრუ ფშვინვიერთა კორელაცია.

შდრ. აფრიკატთა და შესაბამის ხშულთა მიმართება:

ძ → ღ: ეძება → ეღება (სამხრეთ ქართლური)

წ → ტ: სწორი → სტორი (გურული, იმერული...)

ც → თ: ზარმაცი → ზარმათი (იმერული)

ასევე:

დ → ძ: დეეს → ძეეს

ტ → წ: სატვირთო → საწვირთო (ხევსურული)

თ → ც: ფათური → ფაცური (გურული).

ანუ: იმ შემთხვევაში, როცა სამეულთა შემადგენელი თანხმობენი შეენაცვლება ერთმანეთს, თანაფარდობა ზედმიწევნით არის დაცული: მქლერს შეესატყვისება მქლერი, ყრუ მკვეთრს — მკვეთრი, ყრუ ფშვინვიერს — ფშვინვიერი.

შევნიშნათ: ყოველი გადახრა ამ წესიდან (ისევე, როგორც ძ:ს ან წ:ს ნაცვლად ძ:ზ და წ:ზ მიმართებისა) მხოლოდ კომბინატორული ცვლილების შედეგი შეიძლება იყოს.

თავის მხრივ, სპირანტთაგან იმავე ლოკალური რიგის აფრიკატებად შესაბამისად გარდაიქმნებიან:

ზ → ძ: საგზალი → საგძალი (იმერული, გურული), ზეწარი → ძეწარი (ჭავჭავური), ეზო → ეძო (გურული).

ს → ც: სელს → სელც (გურული), არსად → არცად (ფშური), თითქმის → თითქმიც (იმერული).

ს → წ დადასტურებულა ამ შემთხვევაში: სახლისკენ → სახლიწკენ (იმერული), სადაც თითქოს სკ: წყ კომპლექსითა მონაცვლეობაა, მაგრამ მას უნდა უსწრებდეს კ → ყ, ხოლო სყ → წყ პარამონიული კომპლექსისკენ მიდრეკილების გამო (მდრ.: აკეთებსყენ → აკეთებწყენ) // აკეთებსკენ იხ. აგრეთვე ქართული: სირსველი → სიწვილი).

ანალოგიური ვითარებაა შიშინა რიგის აფრიკატებსა და სპირანტების მონაცვლეობის შემთხვევაშიც:

ჭ → ძ: ჭდანა → ძდანა (გურული...)

ჭ → ძ: თოვლჭყაბი → თოვლყლაბი (ჭავჭავური)

ჩ → შ: გააჩქარა → გააშქარა (მოხეური),

ჩრდილი → ჩიდილი → შთილი/შტილი (იმერული)

მეორე მხრივ:

ქ → ჯ: ქანგი → ჯანგი (იმერული), მარყუეი → მარყუეი (ქართული...)

შ → ჩ: შხამა → ჩხამა, მთაში → მთაჩი (მოხეური), ხარშავს → ხარჩავს (იმერული,

გურული...)

რამდენადმე განსხვავებულ მიმართებებს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით გ-კ-ქ

ხშულების მიმართება შესაბამის სპირანტებთან.

იმავ ლოკალური რიგის სპირანტებია ღ და ხ. ზემოხსენებული წესის მიხედვით უნდა გვექნოდეს: გ → ღ, კ → ღ და ქ → ხ, რაც დასტურდება კიდევ:

გ → ღ: ყველგან → ყოლღან, გააგზავნა → გააღზანა (იმერული)

კ → ღ: კლანჭი → ღლანჭი (ფშაური)

ქ → ხ: ქორწილი → ხორწილი, ქვეყანა → ხვეყანა // ხოყანა (ფშაური), საჭონელი → სახონელი, აქანე → ახანე (ლენხუმური), პქონდა → ხონდა (გურული, ქვემოიმერული, ლენხუმური...)

მაგრამ ამასთანავე სპირანტთა ამ რიგში ყრუ მკვეთრის შენაცვლებულ თანხმოვანად დაჩნდება ყ სპირანტოიდიც:

კ → ყ: კუნწი → ყუნწი, კუნჭული → ყუნჭული (ქართლური), კარტოფილი → ყართოფაი // ყართოფილაი (აჭარული).

ლოკალური რიგებში ასეთი გადასაცვლება (უკანასასისმიერ ღ და ხ სპირანტების რიგში ხახისმიერი ყ სპირანტოიდის შემოტანა) შეიძლება აიხსნას ხახისმიერთა რიგის ნაკლებობით — წარმოდგენილია მხოლოდ ყ (კ-ყ წყვილული მხოლოდ რამდენიმე დიალექტს შემორჩა).

ცნობილია, რომ ე.წ. პარამონიულ კომპლექსებში ღ და ხ სპირანტების რიგში დგება ყ-ც: ბღ-ფხ-პყ, დღ-თხ-ტყ და ა.შ. ასე რომ, ზემოდასახელებული მონაცვლებობაც ზოგადი კანონზომიერების კერძო გამოვლინებაა.

სპირანტების შენაცვლება შესაბამისი ხშულებით ამ სახით წარმოგვიდგება:

ღ → გ: ღორ-ხბო → გორ-ხბო (ქართლური).

ყ → კ: წყნარი → წკნარი (იმერული), ყოჩალი → კოჩალი (ქართლური), — ყე → -კე (მოხელური, მთიულურ-გუდამაყრული, კახური).

ხ → ქ (?)

კანონზომიერება ამ შემთხვევაშიც დაცულია. . .

საგულისხმოა ზემოთ განხილულ სხვადასხვა რაგვარობისა და მქედრობა-სიყრუის თანხმოვანთა ურთიერთშეხამების პრინციპიც:

ა) მქედრი სპირანტი ეხამება მქედრ ხშულს: ზგ (დაზგა, როზგი, გიზგიზი)...

ბ) ყრუ ფშვინვიერი სპირანტი ეხამება როგორც ყრუ ფშვინვიერ, ასევე ყრუ მკვეთარ ხშულს: სქ (სქელი, სქესი), შქ (შქერი, ლოშქი), ერთი მხრივ და სკ (სკა, სკორე, ნისკარტი), შკ (ლუშკი, აშკარა, კოშკი), მეორე მხრივ. დაჩნდება პარალელური ვარიანტებიც: სქელი // სკელი (← ძველი ქართული ზრქელი), შქერი // შკერი.

ანალოგიური ვითარებაა აფრიკატთან სპირანტის შეხამებისას: ზძ (სძინავს → ზძინავს), ერთი მხრივ, და სც (სცემს, მისცა), სწ (სწავლა, სწორი, სწევს), მეორე მხრივ.

ანუ: იმის გამო, რომ სპირანტები წარმოდგენილია მხოლოდ წყვილულების (ან ცალულების) სახით, მეღერი სპირანტი ეხამება მეღერ ხშულს (ან აფრიკატს), ხოლო ყრუ სპირანტი — როგორც ყრუ ფშინიერი, ასევე ყრუ მკვეთრ ხშულს (ან აფრიკატს).

სულ სხვა ვითარებაა შებრუნებული თანმიმდევრობის შემთხვევაში; დასაშვებია:

- ა) მეღერი ხშული + მეღერი სპირანტი: გზ (გზა, აგზებს);
- ბ) ყრუ ფშინიერი ხშული + ყრუ სპირანტი: ჟს (ჟსელი, ჟსოვს, ჟსიტინი).

დაუშვებელია ყრუ მკვეთრი ხშული + ყრუ სპირანტი. მორფემათა ზღვარზე ასეთი კომპლექსი ყოველთვის იცვლება ფონეტიკურად: თოკ-ს → თოქ-ს, ფხეკ-ს → ფხექ-ს. შდრ. ძველი ქართული: კსინავს, კსუ, რომლებიც ახალ ქართულში მხოლოდ ჟს კომპლექსითაა წარმოდგენილი: ჟსინი „ქარიანი ამინდი“ (ხეცსურული), გაჟსუე-ბული (საერთო ქართულია).

ანალოგიური ვითარებაა სხვა ლოკალური რიგების ხშულებთან (აგრეთვე აფრიკატებთან) სპირანტების შეხამებისას. მაგალითად, დასაშვებია: სფ (სფერო, ფოსფორი...) და სპ (სპილო, ასპიტი, ოსპი, მასპინძელი, მოსპოლვა), მაგრამ მხოლოდ: ფს (ფსალმუნი, კაფსული), ასევე: სთ (სთავს, სთავაზობს, იმისთანა) და სტ (სტუმარი, ნესტარი, ფოსტა, სტენის), მაგრამ მხოლოდ თს (თითს, ცვეთს). ამის კვალობაზე, პს და ტს კომპლექსი, როგორც წესი, ფონეტიკურად იცვლება: კოპს → კოფს (← კოპ-ი), კეტს → კეთს (← კეტ-ი)...

შენიშვნა: ყრუ ფშინიერი და ყრუ მკვეთრი თანხმობების შეხამების თვალსაზრისით ზემოხსენებულის ანალოგიური კანონზომიერება დაინდება ხშულებით ან ხშულაფრიკატით შედგენილ კომპლექსებშიც: ბრტყელი → ბტყელი → ბტყელი // ფტყელი, საბჭო → საბჭო // საფჭო, ბწყარი → ბწყარი // ფწყარი (ჭემოიმიერული); და ასე: გტკივა → კტკივა // ტტკივა, გჭირს → კჭირს // ქჭირს; ანუ: მომდგენო ყრუ მკვეთრს შესაძლოა შეეხამოს წინამაგალი ყრუ მკვეთრიც და ყრუ ფშინიერიც, მაგრამ შებრუნებული თანმიმდევრობისას ყრუ მკვეთრს შეიძლება მოსდევდეს ან მეღერი, ან ყრუ მკვეთრი თანხმობანი; შდრ.: პტ (პტყელი) // ფტ (ფტყელი), მაგრამ: ტბ // ტპ (ტბა // ტპა); გამოირიყება გრუ ფშინიერი: ტფ (ერთადერთი გამონაკლისია ძველი ქართული: ტფილი, სიტფო... და ისიც ახალ ქართულში შეცვალა თბ/თფ კომპლექსმა). დაწვრილებით იხ. ჭემოთ.

3.1.3. თანხმობანთა შექცევადი და შეუქცევადი მონაც-

ვლ ე ო ბ ა . ფონეტიკური მონაცვლეობისას პოზიციის შესაბამისად შესაძლოა თანხმომავნებმა ერთმანეთის ადგილი დაიკავოს (ბ → მ და მ → ბ...) პირობითად ამას შეიძლება ვუწოდოთ შექცევადი მონაცვლეობა. ამის საპირისპიროდ, შეუქცევადია ისეთი მონაცვლეობა, როცა ცვლილება ცალმხრივი მიმართულებისაა (მაგალითად, დასაშვებია მ → პ, მაგრამ არ შეინიშნება პ → მ).

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ტიპოური ნიმუში, რომლებიც დადასტურებულია ქართული ენის დიალექტებში...

ერთი ლოკალური რიგის ყველა ხშული, ასევე: აფრიკატი და სპირანტი ურთიერთშექცევადია:

(I) ბ → ფ (ფებირი → ჟფფირი): ფ → ბ (ფსკერი → ბსკერი)

ბ → პ (ტბა → ტპა): პ → ბ (პატარა → ბატარა)

ფ → პ (ბზო → ხფო → ხპო): პ → ფ (დაპირდა → დაფირდა)

პ (II) დ → თ (რამდენი → რამთენი): თ → დ (ერთგული → ერთდგული)

დ → ტ (კლდე → კლტე // კტე): ტ → დ (ტელეფონი → დილიფონი)

თ → ტ (აქტყენ → აქტყენ): ტ → თ (ხერცეს → ხერეთს)

(III) გ → ქ (კარგი → კარქი): ქ → გ (შიაქდა „მიპქონდა“ → შიაგდა)

გ → კ (გტოვებს → კტოვებს): კ → გ (აკრძალული → აგძალული)

ქ → კ (სქელი → სკელი): კ → ქ (პკითხა — ქითხა).

ანალოგიური ვითარებაა აფრიკატების მონაცვლეობის შემთხვევაშიც:

(I) ძ → ც (ბოძთან → ბოცთან): ც → ძ (ხორცზე → ხორძე)

ძ → წ (კუნძულელი → კუნწულელი): წ → ძ (ბერძწი → ბერძი)

ც → წ (მეც კი → მეწ-კი): წ → ც (ფხრეწს → ფხრეცს).

(II) ჯ → ჩ (გლეჯს → გლეჩს): ჩ → ჯ (ჩინგის-ხანი → ჯინგის-ხანი)

ჯ → ჳ (გაისარჯეთ → გაისარჳეთ): ჳ → ჯ (ბეჳზე → ბეჯზე)

ჩ → ჳ (ბოჩკა → ბოჳკა): ჳ → ჩ (ბეჳს → ბეჩს).

იგივე მიმართება დასტურდება სპირანტებშიც:

(I) ზ → ს (ვაზთან → ვასთან): ს → ზ (მსგავსი → მზგავსი)

(II) შ → შ (ვაჟკაცი → ვაშკაცი): შ → შ (ბალიშზე → ბალიჟზე).

(III) ლ → ხ (შიაღწია → შიახწია): ხ → ლ (ნოხზე → ნოლზე).

ყველა ეს ცვლილება განხორციელებულია მფლერობა-სიყრუის მარკერის მიხედვით. თვით პროცესის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: ასიმილაცია (ტბა → ტპა), დისიმილაცია (პატარა → ბატარა)...

შეიძლება დავასკვნათ: ერთი ლოკალური რიგისა და რავგარობის ფარგლებში

ხშულები, აფრიკატები და სპირანტები ურთიერთშექცევადნი არიან მჟღერობა-სიყრუის მარკერის მიხედვით.

ურთიერთშექცევადი შესაძლოა იყოს ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში ხშული და სპირანტი, ასევე აფრიკატი და სპირანტი:

(I) ბ → ჭ (ეუბნება → ეუბნეთ ა): ჭ → ბ (პარასკეუი → პარასკები)

(II) გ → ლ (ყველგან → ყოლლან): ლ → გ (ლორ-ხბო → გორ-ხბო)

(III) ძ → ზ (ტაძარი → ტაზარი): ზ → ძ (საგზალი → საგძალი)

ც → ს (ცხიმი → სხიმი): ს → ც (პარსავს → პარცავს)

(IV) ჯ → ქ (ჯდანა → ქდანა): ქ → ჯ (პატყი → პაოყი)

ჩ → შ (არჩივი → არშივი): შ → ჩ (სოფელში → სოფელჩი).

ამდენად, ურთიერთშექცევადია მხოლოდ მჟღერობა-სიყრუის მიხედვით იდენტური ხშული (აფრიკატი) და სპირანტი. თანაც ამ მიმართებიდან გამორიცხება ყრუ მკვეთრი ხშული (აფრიკატი), რომელსაც სპირანტთა წყებაში არ მოეპოვება თავისი კორელატი. ამის გამოა, რომ პირველ რიგში დაჩნდება მხოლოდ მჟღერი თანხმომავნების კორელაცია: ჭ -ს ყრუ ფშვინეიერი წყვილისცალი (ძ) მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში იჩენს თავს, როგორც ოდენ მისი პოზიციური ვარიანტი (ჭ წერ → ძწერ, ნაჭ თი → ნაძთი), თანაც დასაშვებია მხოლოდ ძ → ფ (ნაძთი → ნაფთი), ხოლო ფ → ძ არ დასტურდება.

მეორე რიგში ასევე დაჩნდა მხოლოდ მჟღერთა კორელაცია. რაც შეეხება ქ → ხ მონაცვლოებას, იგი ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში (აქანე → ახანე, ქვეყანა → ხვეყანა // ხოყანა და მისთ.), მაგრამ არ შეინიშნა ხ → ქ (გარდა ბგერწერის პრინციპით მიღებული ფორმებისა: ხირხილი/ქირქილი...), თუმცა საერთო სურათის გათვალისწინებით ასეთი გადასვლა მოულოდნელი არ არის.

სონანტთა წყებაში ურთიერთშექცევადნი არიან:

ლ → ნ (რომელი → რომენი): ნ → ლ (ნიშანი → ლიშანი)

ლ → რ (წლუღლს → წრეღლს): რ → ლ (გოგირდი → გოგილდი)

მ → ნ (მეფე → ნეფე): ნ → მ (სანთელი → სამთელი)

მ → რ (მძევალი → რძევალი): რ → მ (რბილი → მბილი)

ნ → რ (სანამდინ → სარამდინ): რ → ნ (რახან → ნახან/ნახა).

ურთიერთშექცევადია აგრეთვე: კ → ყ (კუნჭული → ყუნჭული) და: ყ → კ (ყოჩალი → კოჩალი), რომელიც არ იყო დასახელებული გ:ლ მონაცვლოებასთან, რადგან მისგან განსხვავებით კ:ყ ურთიერთშექცევად მონაცვლოებაში სხვადასხვა ლოკალური რიგის თანხმომავნები მონაწილეობენ. თვით ამგვარი შენაცვლების შესაძლებლობა

უნდა აიხსნას ყ სპირანტიზაციის სინტაგმატური ბუნებით, რითაც იგი ღ და ხ სპირანტიზაციის რიგში დგება (თუნდაც პარამონიული კომპლექსების წარმოქმნისას: ზღ — ფხ — ჰყ და მისთ). ეს ტენდენცია ურთიერთშეკვევადი მონაცვლეობითაც ვლინდება: ღ → ყ (იღბალი → იყბალი); ყ → ღ (საყდარი → საღდარი), ხ → ყ (თანახმა → თანაყმა); ყ → ხ (საყდარი → სახტარი).

ურთიერთშეკვევადია აგრეთვე წყვილბაგისმიერთა რიგის ხშული და სონანტი, აგრეთვე სპირანტი და სონანტი:

(I) ზ → მ (ცბელი → ყმელი): მ → ზ (ქალამანი → ქალაბანი)

ფ → მ (ფრთხილი → მთხილი): მ → ფ (მსხალი → ფსხალი)

(II) ჭ → მ (ულუ აში → ულმაში): მ → ჭ (სიმამრი → სიმჭ რი).

ხშულთაგან სონანტთან მონაცვლეობს მეღერი და ყრუ ფშვინვიერი თანხმონები (ზ და ფ). რაც შეეხება ყრუ მკვეთრ თანხმოვანს, დასაშვებია მ → პ (ზემობსენებული კანონზომიერების გათვალისწინებით; იხ.: §...1): მტვერი → პტვერი, მაგრამ არ ივარაუდება პ → მ. მართალია, დასტურდება ბრტყელი → პტყელი // მტყელი, მაგრამ აქ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლოვ განხორციელებულია ზ → პ, ერთი მხრივ, და ზ → მ, მეორე მხრივ.

ლოკალური რიგების მიხედვით განსხვავებულ თანხმოვანთა ურთიერთშეკვევადი მონაცვლეობა ფრიად იშვიათია (გამონაკლისს ქმნიან სონანტები, რომელთა მონაცვლეობა სისტემური ხასიათისაა: მ:ნ, ლ:რ, მ:რ).

მონაცვლეობენ აფრიკატები:

ძ → ჟ (ძონძი → ჟონჯი): ჟ → ძ (ჯამბარა → ძამბარა)

ც → ჩ (ცხენი → ჩხენი): ჩ → ც (შეამჩნია → შეამცნია)...

სპირანტები:

ს → შ (სინჯავს → შინჯავს): შ → ს (შხამი → სხამი)

ს → ჰ (სად → ჰად, წყაროს → წყაროჰ): ჰ → ს (პტირის → სტირის)

როგორც ვხედავთ, ურთიერთშეკვევადი მონაცვლეობა ამ შემთხვევაში სისტემურ განხორციელებული არ არის. გარდა ამისა, რაოდენობრივი თვალსაზრისით, უფრო ხშირია სისინა რიგის აფრიკატებისა და სპირანტების გადასვლა შიშინა რიგში (უკან გადაწევა).

ასევე არათანაბარია აფრიკატთა და ხშულთა ურთიერთშეკვევადი მონაცვლეობა:

ღ → ძ (ღვეს → ძვეს): ძ → ღ (ეძება → ეღება)

თ → ც (ფათური → ფაცური): ც → თ (ზარმაცი → ზარმათი)

ტ → წ (სატვირთო → საწვირთო); წ → ტ (სწავლა → სტავლა)

ამ რიგის გადასვლები რაოდენობრივად მეტად მცირე ნიმუშებით შემოიფარგლება.

მეორე რიგში დადასტურებულია მხოლოდ ტ → ქ (ტვირთი → ქვირთი).

ამის კვალობაზე, ლოკალური რიგების მიხედვით განსხვავებულ თანხმოვანთა ურთიერთშექცევად მონაცვლეობას ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ მივიჩნევთ.

შეუქცევადი ბგერათმონაცვლეობა ასევე ქმნის სისტემურ მიმართებებს.

(I) ბ → გ (ეუბნება → ეუგნება, იუბნებს → იუგნებს)

პ → კ (პორფილე → კორფილე)

(II) დ → გ (ამოზიდული → ამოზიგული, დვრიტა → გვრიტა)

თ → ქ (მთლად → თლათ → ქლათ / ქლა)

ტ → კ (ტიმოთე → კიმოთე, მწლატე → მწლაკე).

ამდენად, ხმულეებში დაინდება ტენდენცია ლოკალური რიგის უკან გადაწვევისა. წინა წარმოების თანხმოვნებს ჩაენაცვლება უკანა წარმოების თანხმოვნები (იხ. ზემოთ: „თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებანი კონტრასტის პრინციპის მიხედვით“). თეორიულად სავარაუდო ფ → ქ არ შეინიშნა.

ეს არ ნიშნავს, რომ არა გვაქვს საპირისპირო პროცესიც: უკანა წარმოების წინა წარმოებით შენაცვლება. მაგრამ ამის ნიმუშები აშკარად არასისტემურია და თანაც თითო-ორილა მაგალითით შემოიფარგლება: ქ → თ (აჭარული: ფეჭმეზი → ბეთმეზი — არსებითად ესაა ნასესხები სიტყვის გაქართულების შედეგი). უფრო საყურადღებოა კ → ბ: კურკა → ბურკა (დაინდება გურულში, იმერულში, აჭარულში). გარდა ბგერათშენაცვლებისა, მომხდარია დისიმილაციური გამკლერება (მდრ. ხევსურული: კრკო → გირკო). იმედროულად არ გამოირიცხება კონტამინაცია: კურკა + ბირკა → ბურკა. საერთო ტენდენციის გათვალისწინებით ეს უკანასკნელი პროცესია უფრო სავარაუდო.

ლოკალური რიგის უკან გადაწვევის ტენდენცია, როგორც ითქვა, აფრიკატებშიც იჩენს თავს (იხ. ზემოთ).

ასეთივე ვითარებაა სპირანტებშიც:

ზ → ქ: ზღმარტლი → ქღმარტლი

ს → შ : სკამი → შკამი, უსტენს → უშტენს

ღ → ყ: იღბალი → იყბალი

საპირისპირო შემთხვევები აქაც გვაქვს: პ → ხ (პაერი → ხაერი, კპარავს → ხპარავს),

ჰ → ხ → ლ (პლევს →* ხლევს → ლლევს)... ჰ სპირანტის ამგვარ შენაცვლებას სისტემური ხასიათი აქვს და აიხსნება იგი მისი თავისებური სტატუსით ქართულში: დაჩნდება პირის ნიშნად, ხოლო ფუძეში იგი წარმოდგენილია ან კონტამინირებულ (ჰავა + აერი → ჰაერი), ან ნასესხებ (ჰამბავი, ჰალალი, ჰამაკი...) სიტყვებში. სხვა შემთხვევებში ჰ მხოლოდ ბგერინაცვალია (წყაროს → წყაროჰ, სად → ჰად).

დაჩნდება აგრეთვე ცალკეული (სპორადული) მონაცვლეობის შემთხვევები: კ → წ (კინალამ → წინალამ) და წ → კ (წუბაკი → კუბაქი), ს → ჩ (სოლოლა → ჩოლოლა), ხ → კ (ფორთოხალი → ფორთოკალი)...

რაც შეეხება ამ მონაცვლეობათა ფონეტიკურ შეპირობებას, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

3.14. საზიარო კორელაციები. ყოველ თანხმოვანს პოზიციის შესაბამისად შესაძლოა შეენაცვლოს რამდენიმე თანხმოვანი:

- (I) ბ → | ფ (აკეთებს → აკეთფეს)
 | მ (აკეთებს → აკეთმეს)
 | ჭ / ვ (იცნობს → იცნოვს)...
- (II) ფ → | ბ (ჭეფი → ჭიბი)
 | მ (ფრთხილი → მთხილი, ყოფს → ყომს)...
- (III) ჭ / ვ → | მ (ხატავს → ხატამს, სავსე → სამსე)
 | ფ (სავსე → სავსე)...

ამის კვალობაზე, ერთი და იგივე ბგერითი რეფლექსი შეიძლება აღმოაჩნდეს სხვადასხვა თანხმოვანს:

- ბ |
- პ | → ფ (აკეთებს → აკეთფეს, დაპირდა → დაფირდა, ფრთხილი → მთხილი,
- მ | სავსე → სავსე);
- ვ |

თანაც ცვლილების გამომწვევი თანხმოვანი შესაძლოა იდენტური იყოს:

ბს → ფს (აკეთებს → აკეთფეს) // ვს → ფს (სავსე → სავსე). აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია პოზიცია და მორფოლოგიური ფაქტორი. მაგალითად, ვს კომპლექსი არასდროს იძლევა ფს კომპლექსს თემის ნიშანთა ცვლილებისას (ხატავს → ხატამს).

ერთი და იგივე კომპლექსი არცთუ იშვიათად განსხვავებული რეფლექსების მქონეა: ვს → ფს // მს (სავსე → სავსე // სამსე).

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამ რიგის შენაცვლებები რაიმე

კანონზომიერებების გარეშე ხდება.

გამოიყოფა ამგვარი საზიარო კორელაციების განსაზღვრული ჯგუფები, რის შესახებაც (თანხმოვანთა კორელაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად) დაწერილობით მომდევნო პარაგრაფში გვექნება საუბარი.

3.15. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი კ ო რ ე ლ ა ც ი ე ბ ი ს ზ ო გ ა - დ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა . ზემოხსენებულის გათვალისწინებით წარმოვადგენთ თანხმოვანთა კორელაციების საერთო სურათს ქართული ენის დიალექტების მიხედვით.

ა) ხშულები.

ბ → ფ (სითბო → სითფო, აკეთებს → აკეთფეს, შაბათი → შაფათი
ქართლური: ბორხვენა → ფორხონა, რატული: ბრტყელი → ფტყელი, გურული:
ჯებირი → ჯეფირი, გურული/იმერული: ხბო → ხფო, რატული: ბრტყელი →
ბტყელი → ფტყელი).

პ (აბნევეს → აბნეფს, საბჭო → საბჭო, გურული/ქვემოიმერული: აბა → აფა,
ბილწი → ბილწი, ტბა → ტბა, კბილი → კბილი, ბრტყელი → ბრტყელი // პტყელი,
ინგილოური: ბალკონი → პალკონ).

ჟ/ვ (წავახური: ბიჟო → ვიჟო, ბაღები → ბაღევი, მთიულური: კბილი → კვილი,
ქართლური/კახური: ესხმება → ესხმევა, ეუბნება → ეუბნევა, გურული:
იცნობს → იცნოვს).

მ (გურული/იმერული: კმენს → კმენს, ყბედი → ყმედი, ქვემოიმერული:
ქიბგირი → ქიმგირი, აჭარული: ბაყაყი → მაყაყი, უთხრობია → უთხრომია,
ქართლური/კახური: აკეთებს → აკეთემს, მთიულური: ბოკვერი → მოკვერი,
თუშური: კბილი → კმილი, ხევსურული: გაწბილებული → გაწმილებული,
ბრტყელი → პტყელი → მტყელი).

გ) ქართლური/კახური: ბუფეტი → გუფეტი, ეუბნება → ეუგნება, გურული/იმერული: ბზობა → გზობა, აჭარული: იჯაბნებს → იჯაგნებს).

შევნიშნავთ: თემის ნიშნებში (ზოგჯერ სხვა პოზიციაშიც) ბ → მ შესაძლოა შეცვალოს ნ კბილისმიერმა სონანტმა: აკეთებს → აკეთემს → აკეთენს, ათბობს → ათბომს → ათბონს. ძირითადად გვხვდება მესხურში, სპორადულად შეინიშნება სხვა დიალექტებშიც.

გვაქვს პარალელური შენაცვლების შემთხვევებიც: ბ → პ//მ (გურული: კბილი → კპილი // კმილი), ბ → პ//ფ (ქვემოიმერული/გურული: საბჭო → საპჭო // საფჭო), ბ → მ//ვ (მთიულურ-გუდამაყრული: კბილი → კმილი // კვილი), ბ → ვ//ფ (გურული:

იცნობს → იცნოვს // იცნოფს). ზოგ დიალექტში ერთი და იგივე ფორმა რამდენიმე პოზიციური ნაირსახეობით დაჩნდება: მაგალითად ბ → გ // ბ → ვ (ქართლური/კახური: ეუბნება → ეუგნება // ეუბნევა), რაც ხშირად თქმების დონეზე სხვაობის შედეგია.

ფ → ბ (ხეცურული: ქეიფი → ქაიბი, მთიულური: ფასკუნჯი → ბაშკუნჯი, ქართლური: ჩაუსაფრდა → ჩაუსაბრდა, ჯავახური: ფქვილი → *ქვილი → ქფილი → ქბილი, იმერული: ფსკერი → ბსკერი, კართაფილი → კართაბილი).
 პ (გურული/იმერული: ხბო → ხფო → ხპო, არასფერი → არასპერი).
 მ (კახური. ყოფს → ყომს, მთიულური: გაფცქენილი → გამცქენილი, ლეჩხუმური: ფრთხილი → ფთხილი // ბთხილი → მთხილი, ფრჩხილი → ფჩხილი // ბჩხილი → მჩხილი, აჭარული: ლორთქიფანიძე → ლორთქმანიძე).
 თ (ქართლური: ფელამუში → თელამუში).

ფ → მ დადასტურებულია რამდენიმე სახელსა და ერთადერთ ზმნაში (ყოფ-ს → ყომ-ს). მესხურში პროცესი გრძელდება: მ → ნ. ფ → მ გამუალელებული უნდა იყოს ფ → ბ საფეხურით (ფრთხილი // ფთხილი → ბრთხილი // ბთხილი → მთხილი).

ფ → ბ ძირითადად დისიმილაციური (რეგრესული ან პროგრესული) გამქლეგრების შედეგია: ბსკერი, ბასშკუნჯი, ქაიბი, ქბილი.

ფ → თ ფრიად იშვიათია. დასახელებული ნიმუშები (ფელამუში → თელამუში) შესაძლოა კონტამინაციის შედეგი იყოს: ფელამუში + თათარა → თელამუში. ერთ შემთხვევაში დადასტურდა ფ → ვ (ლოფტი → ლოვტი), მაგრამ აჭაყ, ჩანს, არსებითად გვაქვს ფ → ვ (ლოფტი → ლოვტი).

პ → ბ (მოხეური: პატარა → ბატარა, იმერული: ტრაპეზი → ტრაბეზი, აჭარული: ტყაბა → ტყიბა)

ფ (მოხეური: პიტალო → ფიწალო, გურული/იმერული/ლეჩხუმური: დაპბირდა → დაფბირდა... სხეპს → სხეფს, ჭიბთან → ჭიფთან).

კ (იმერული: პორფილე → კორფილე).

პ → ბ დისიმილაციური (რეგრესული ან პროგრესული) გამქლეგრების ნიმუშია პ → ფ (პიტალო → ფიწალო), პირიქით, დისიმილაციური გაფშენივიერების შედეგი ჩანს (თან ახლავს ტ- წ აფრიკატიზაცია). პ → ფ შენაცვლების სხვა შემთხვევები ასიმილაციის საფუძველზეა მომხდარი. პ → კ შენაცვლება კონტრასტის პრინციპს ემყარება (იხ. ზემოთ: ...4).

- დ → თ (კარგად → კარგათ, ავადმყოფი → ავათმყოფი, დიდხანს → დითხანს, ქართლური: რამდენი → რამეთენი, გურული / იმერული / ლეჩხუმური: ხდება → ხთება, მწიფდება → მწიფთება).
- ტ (გურული / იმერული / ლეჩხუმური: კლდე → კლტე // კტე, დაკუტდება → დაკუტტება, ავადმყოფი → ავანტყოფი, იმერული: ბრიგადირი → ბრიგატელი, აქარული: კლდე → კილტე, შეხვდა → შეხტა).
- ძ (ღვეს → ძვეს, რივნისთაური რაჭული: გადი → გაძი, ფშაური: დგნობა „გაძლუბა“ → ძგნობა).
- ზ (აქარული: ოჩერედი „რიგი“ → ოჩერეზი // უჩერეზი)
- ბ (გურული / ჭავჭავაძე: არნადი → არნაბი).
- გ (სამხრეთ ქართლური: დვრიტა → გვრიტა, იმერული: ზიდემდა → ზიგემდა, ამოზიდული → ამოზიგული, ლეჩხუმური, ხევსურული: არნადი → არნაგი).
- ნ (ინგილოური: კიდევ → კედემ → კენემ)
- რ (იმერული / გურული / რაჭული: ამწყვედევს → ამწყვერევს // ანწყვერევს).

თავისებურია დ → ბ მონაცვლეობა (არნადი → არნაბი „ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი [ნიჩაბი] კალაზე“); ჩანს აქ ნ-დ → ნ-ბ დისტანციურ დისიმილაციასთან გვაქვს საქმე... რაც შეეხება იმავე ფორმაში დ → გ შენაცვლებას, იგი კონტრასტის პრინციპს ემყარება (იხ. ზემოთ). ფრიად იშვიათია აგრეთვე დ → ნ და დ → რ: პირველი ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში დაინდება (იკვლება მხოლოდ რაგვარობა: ხშული → სონანტი), მეორე შემთხვევაში იკვლება რაგვარობაც და ლოკალური რიგიც (ამიტომაც საგარაუდოა შუალედური საფეხურის მქონებლობა)... რაც შეეხება დ → ზ მონაცვლეობას, აქ პალატალიზებული დ-ს (რომელიც აქუსტიკურად ძ-დ აღიქმება; შდრ. რუსული: оцереда) რეფლექსთან გვაქვს საქმე.)

- თ → დ (სახლითგან → სახლიდგან // სახლიდან, ერთგული → ერდგული).
- ტ (აქეთკენ → აქტკენ, ქვითკირი → ქვიტკირი, ჭავჭავაძე: თიკანი → ტიკანი, იმერული: გაყლენთილი → გაყლენტილი).
- ჭ (გურული: მთლად → თლათ → ტლათ // ტლა).
- ც (ფათური → ფაცური, ქართლური: ამათ → ამაც, ფერთხამს → ფერცხამს; შდრ. აგრეთვე: თიკანი / ციკანი).
- ჩ (ფუნთულა → ფუნჩულა).

ყველა შენაცვლება კანონზომიერი და მეტნაკლებად სისტემური ხასიათისაა. ამათგან თ → დ საერთო-ქართული მოვლენაა, დაინდება სალიტერატურო მეტყველებაშიც.

- ტ → დ (სამხრეთ ქართლური/ჭავჭავური: ტელეფონი → დილიფონი, ზონტიკი „ქოლგა“ → ზონდიკი)
 თ (ხატთან → ხათთან, ჭავჭავური: ტენი → თენი, ამიტომ → ამითუმ)
 წ (პატატა → პაწაწა, კნატუნი → კნაწუნი, ტანტალი → წანწალი, მოხეური: პიტალი → ფიწალი, ხევსურული: სატვირთო → საწვირთო, ქართლური: სატერფული → საწერფული)
 ც (ჭერტი → ჭერცი)
 ჰ (გურული/იმერული/აჭარული/სამხრეთ ქართული/ჭავჭავური: ტვირთი → ჰვირთი, გურული/იმერული: ყრონტი → ყრონჰი).
 კ (ქართლური: ტაოტი → კაოტი, სატერფული → საკერფული, მწლატე → მწლაკე, გურული: ტიმოთე → კიმოთე, ჰემოიმერული, აჭარული: ტაქა → კაქა).

ტ → დ დისიმილაციური გამჟღერების შედეგია. ტ → თ დაჩნდება როგორც ასიმილაციის, ასევე სპონტანური ჩანაცვლების საფუძველზე. ტ → კ მონაცვლეობა კონტრასტის პრინციპს ემყარება. ლირსსაცნობია პარალელური შენაცვლების შემთხვევები: ტ → კ // წ (სატერფული → საკერფული // საწერფული). ორივე ფორმა ქართლურშია დადასტურებული. დასაშვებია როგორც ტ → წ (შდრ.: ტ → ჰ), ასევე: კ → წ (იხ. ჰემოთე), აგრეთვე საფეხურეობრივად: ტ → კ (კონტრასტის პრინციპით) → წ (აფრიკატიზაცია პალატალიზაციის საფუძველზე). არსებითად პარალელური შენაცვლების ნიმუშია ესეც: ტ → წ // ჰ (ხევსურული: სატვირთო → საწვირთო, გურული/იმერული... ტვირთი → ჰვირთი, დატვირთული → დაჰვირთული). დასაშვებია ტ → წ და ტ → ჰ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლევ, არ გამოირიცხება საფეხურეობრივი ცვლილება: ტ → წ → ჰ (შუალედურ საფეხურად შეიძლება ვივარაუდოთ ტ → კ (მონაცვლეობაც). ტ → ც ისტორიულად დადასტურებული ფაქტია (ახლავს მნიშვნელობის ცვლილებაც). დაჩნდება ჰერწლ-ი ვარიანტიც (იმერულში).

- გ → კ (ყარგი → ყარჰი, გფარავს → ჰფარავს)
 კ (გტოვებს → კტოვებს, ქართლური: ფარდაგი → ფარდაკი, ბუნაგი → ბუნაკი, ჭავჭავური: ამხანაგი → ამხანაკი, ხევსურული: ბევრგან → ბევრკან, აჭარული: გიტარა → კიტარა).
 დ (ჭავჭავური: ფურგონი → ფურღონი, იმერული: ჰიგო → ჰიღვა, ყველგან → ყოლღან [დაჩნდება გურულშიც], გააგზავნა → გააღზანა).

გ → ქ ზმნის ფუძისეული ფშვინვიერი თანხმოვნების წინ მაშინ, როცა გ — პირის ნიშანია, საერთო, ქართული მოვლენაა, დაჩნდება სალიტერატურო მეტყველებდაშიც. ხევსურულში — გან თანდებულის ნაცვლად — კან სისტემური ხასიათისაა, როცა უშუალოდ ფუძეს მიერთვის: ბევრკან, ერთკან, ყველკან, სხვაკან. — გან თანდებულისვე ფონეტიკური ვარიანტია — ლან, რომელიც ასევე უშუალოდ ფუძეზე მიერთვისას დაჩნდება. აჭარულში დამოწმებული გიტარა → კიტარა დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშია.

ქ → გ (სამხრეთ ქართლური: მიაჭდა „მიჰქონდა“ → მიაგდა)

კ (სამხრეთ ქართლური: ფორიაქი → ფორიაკი, ქართლური/ჭავჭავური/მთიულური: დაილეკა → დაილეკა, ჭავჭავური: ლექი → ლესქი → ლესკი, იმერული: ჰინჭრაქა → ჰინჭრაკა, გურული: სქელი → სკელი, წისქვილი → წისკვილი, კახური: ლაშქარი → ლაშკარი).

ხ (ხევსურული/მთიულური/მოხეური: ჰექს → ჰეხს, ფშაური: ჰეყანა → ხეყანა // ხოყანა, ლეჩხუმური: აქანე → ახანე, საქონელი → სახონელი, გურული/ქვემოიმერული/ლეჩხუმური: ჰქონდა → ხონდა, ჰქონია → ხონია):

კ (ხევსურული/მოხეური: ქორწილი → კორწილი, თუშური: ჰეყანა → ქეყანაჲ).

თ (აჭარული: ფექმეზი → ბეთმეზი).

ქ → კ შენაცვლება სქელი, ლექი → ლესქი, წისქვილი, ლაშქარი ფორმებში დისიმილაციური პროგრესული გამკვეთრების ნიმუშებია. ყურადღებას იქცევს ქ → ხ // კ მონაცვლეობა, რომელიც ისტორიულად დადასტურებული ფაქტია ... კახეთის ისტორიულ საბუთებში (XVIII ს.) პარალელურად გვხვდება ქიზიყი // ხიზიყი // კიზიყი (ა. მარტიროსოვი — გ. იმნაიშვილი). ქ → თ ერთადერთ ფორმაშია დამოწმებული და ისიც თურქულიდან ნასესხებ სიტყვაში — უცხოური წარმოთქმის გაქართულების შედეგი ჩანს. ამავე სიტყვაში ფ → ბ დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშია.

კ → გ (თოკზე → თოგზე, მოხეური: ფასკენჭი → ფამგუნჭი, აჭარული: აკრძალული → აგძალული).

ქ (წალეკს → წალექს, ქართლური: კვირიანი → ჭვირიანი, გურული/ქვემოიმერული/ლეჩხუმური: ჰკითხა → ჰითხა, ინგილოური: გაკეთება → გაქეთება // გაჭითება).

ლ (ფშაური: კლანქი → ღლანქი)

ყ (ქართლური: კუნჭული → ყუნჭული, კვერცი → ყვერცი, კახური: კმაყოფილი → ყმაყოფილი, შირაქისაყენ → შირაქისაყენ // შირაქისაყე, იმერული: ეკუთვნის → ეყუთვნის, აჭარული: კარტოფილი → ყართოფილაჲ // ყართოფაჲ).

ტ (მოხეური: კელფი „დაპრესილი თივა“ → ტელფი, კონკილა „ურმის ნაწილი“ → ტონკილა, ქართლური: კრაზანა [მცენარე] → ტრაზანა).

ც (იმერული: რეიკა → რეიცა)

წ (ხევსურული/კახური/აჭარული: კინალამ → წინალამ, ხევსურული: კიკიმო „ყურებთან ჩამოზრდილი თმა“ → ხევსურული: წიწიმო).

კ (ფხაკენი → ფხაკენი)

ბ (აჭარული/გურული/იმერული: კურკა → ბურკა).

კ → ყ მონაცვლეობა სინტაგმატური თვალსაზრისით იმავე რიგისაა, რაც გ → ლ და ქ → ხ. რაც შეეხება კ → ტ შენაცვლებას, იგი კონტრასტის პრინციპს ემყარება (იხ. ზემოთ: ... 4). კ → წ აფრიკატიზაცია არსებითად პალატალიზაციის შედეგია (შლრ.: ტ → წ და ტ → ჭ). თითქოს მოულოდნელია კ → ბ სუბსტიტუცია, რის გამოც არ გამოვრიცხებთ კონტამინაციის შესაძლებლობა (იხ. ზემოთ: ...13). კ → ლ შესაძლოა გამუალბებული იყოს კ → ყ საფეხურით: კ → ჭ შეინიშნება მხოლოდ ბგერწერის შემთხვევაში, კ → ც — ნასესხებ ფორმაში.

ბ) აფრიკატები.

ძ → ქ (ქართლური: ბლიაძეული → ბლიაცეული, ჯავახური: ბოძი → ბოცი).

წ (ჯავახური: კუნძულელი → კუნწულელი, ინგილოური: ძაბრი → წაპრი)

ჯ (ლეჩხუმური: ძონძი → ჯონჯი, გურული: ძიძგის → ჯიჯგის, ძირკვი → ჯირკვი/ჯირკი, ქართლური: ამოძირკვა → ამოჯირკვა)

ზ (თუშური: რძე/სძე → ზეჲ, იმერული: ნიძლავი → ნიზლავი, მოიძულა → მოიზულა, ტაძარი → ტაზარი, აჭარული: გაიძრო → გეძზრო).

ღ (სამხრეთ ქართლური: ეძება → ეღება, კორძებიანი → კორღებიანი)

ღ (ქართლური/იმერული/ლეჩხუმური/რაჭული: ძუნწი → ღუნწი).

ძ → ც კანონზომიერი პროცესია ყრუ ფშვინვიერთა მეზობლობის შემთხვევაში (ბოძს → ბოცს/ბოც, ბოძთან → ბოცთან). რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ ფორმებს, აქ დისიმილაციური პროგრესული ფაფშვინვიერების შედეგი ჩანს (ბ-ძ → ბ-ც). ფრიად იშვიათია ძ → წ; შემოხსენებულ ჯავახურ ფორმაში სავარაუდოა დისტანციური პროგრესული ასიმილაცია (კ — ძ → კ-წ). მეორე შემთხვევაში კი

სპონტანურ ცვლილებასთან უნდა გვკონდეს საჭმე. რაც შეეხება დეზაფრიკატიზაციას (ძ → ზ), იგი მეტნაკლებად თითქმის ყველა დიალექტში დაინდება. ღირსსაცნობია, რომ დეზაფრიკატიზაცია არა მხოლოდ სპირანტიზაციის გზით ხორციელდება, არამედ გვაქვს (თუმცა ძალზე იშვიათად) ხშულ თანხმოვანში აფრიკატის გადასვლის შემთხვევებიც (ძ → დ). მოუხედავად იმისა, რომ ნაპრალოვნად (სპირანტად) და ხშულად აფრიკატის გარდაქმნის ნიმუშები რაოდენობრივად ამკარად სხვაობს ერთმანეთისაგან (გაცილებით მეტია სპირანტიზაციის შედეგი), ორივე პროცესი კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ; დაინდება წინანუნისმიერი ყველა აფრიკატის (ძ-ც-წ) რეფლექსებად (იხ. ჭვემთ). თავისებურია ძ → ლ; რომელიც დასახელებულ ფორმაში რაგვარობის მიხედვით დისიმილაციად უნდა განისაზღვროს (ძ-წ → ლ - წ); არ გამოირიცხება კონტამინაციის შედეგიც; შდრ.: ლენჩალა (ლენჩემური) „უხალისო, მაგრამ ცბიერი კაცი“, ლენძამ (აჭარული) „ჭვემ-ჭვემა, მუზმუზელა, ფლიდი, ვერაგი“... გურულში დადასტურებულია ლენწკ-ი ფორმა („ძენწი“), რომელიც თავის მხრივ ლენწ-ი და წუწკ-ი ფორმების კონტამინაციით ჩანს მიღებული.

- ც → ძ (კაცზე → კაძზე, იღრეცდა → იღრეძდა, იმერული: მოცვი → მოძვი).
- წ (იმერული: ჭერცლი → ჭერწლი, ჯავახური: მოციქული → მოწიქული, ქართლური: მეც კი → მეწ-კი)
- ჩ (კახური, ჯავახური: გაბეცება → გაბეჩება, კახური: დერციკი → დერჩიკი).
- ს (მოხელური: ცხიმი → სხიმი, ხევსურული: ცისკარი → სისკარი, ჩრდილო ქართლური: გარიცხვა → გარისხვა, აჭარული: შენაც → შენას).
- თ (ქართლური: ფიცხლავ → ფითხლავ, იმერული: ზარმაცი → ზარმათი).
- ა (ქართლური/კახური: ოცდაორი → ომდაორი, რასაც → რასამ, დღესაც → დღესამ).

ყველა გარდაქმნა კანონზომიერია, თუმცა მეტ-ნაკლები გავრცელებისა (იშვიათაა, მაგალითად, ც → წ). ისევე როგორც ძ თანხმონის შემთხვევაში, აქაც დაინდება ყრუ ფშვინვითი აფრიკატის სპირანტიზაციისა (ც → ს) და გახშულების (ც → თ). ტენდენცია. ც → მ, სავარაუდოა, გაშუალებული იყოს ც → ს საფეხურით.

იმერულში დამოწმებული ჭერწლ-ი ფორმისათვის შესაძლოა ამოსავალი იყოს ჭერტლ-ი, ანუ: ტ → წ და არა: ც → წ (იხ. ზემოთ: ტ → ც).

- წ → ძ (ჯავახური: ბერწი → ბერძი, იმერული: წიკავს → ძიკავს)
- ც (ლუწს → ლუცს, ვეხრეწთ → ვეხრეცთ, ძენწთან → ძენცთან, კახური: გასწი → გამცი).

ქ (ხევსურული: ნაწერეთი „ნაჭრილობევი“ → ნაჭერეთი, გურული: წვეთი → ჭვეთი, სამხრეთ ქართლური: წირიხტა „კვერცხში მოზელოლი და ერბოში მოხრაკელი პური“ → ჭირიხტა).

ზ (იმერული: აწეული → აზეული, მიეწი-მოვწიე → მიეზი-მოვზიე).

ტ (გურული/იმერული/ლუჩხუმური/რაჭული: სასწაული → სასტაული, ნასწავლი → ნასტავლი, მოსწრებია → მოსტრებია, აჭარული: კინწლობა → კინტლობა).

კ (ლუჩხუმური: წუპაკი → კუბაკი).

ყველა შენაცვლება ამ შემთხვევაშიც კანონზომიერია. აქაც დაჩნდება როგორც წ → ზ (სპირანტიზაცია), ასევე წ → ტ (გახშულება).

ყურადღებას იქცევს წუპაკი → კუბაკი გადასვლა, სადაც, გარდა წ → კ შენაცვლებისა, დასტურდება კ → ბ დისიმილაციური გამჟღერება და ამის საპირისპიროდ კ → ქ დისიმილაციური გაფშვინვიერება.

ჯ → ჩ (გლუჟს → გლუჩს, ჯავახური: ჯანყიანი დღე → ჩანყიანი დღე)

ქ (ზემოიმერული: გაისარჯეთ → გეისარჯეთ).

ძ (სამხრეთ ქართლური: ძამბარა → ჯამბარა, კახური: ჭიხვი → ძიხვი, ფასკუნჯი → ფასკუნძი, ქვემოიმერული: ჯაგარი → ძაგარი)

ყ (გურული / ქვემოიმერული: ჯდანა → ყდანა).

ბ (იმერული: ჯორკო → ბორკო).

თავისებურია და იშვიათი ჯ → ქ შენაცვლება. სხვა გარდაქმნები სისტემური ხასიათისაა, თუმცა ხშირად შემოიფარგლება რამდენიმე კონკრეტული ფორმით. მაგალითად, ჯ → ყ სისტემურად დასტურდება ჯდანა → ყდანა, დაჯდა → დაყდა, ჯის → ყის ფორმებში (გურულსა და ქვემოიმერულში), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჯ → ყ შეიძლება რეგულარულად დაგამოწმეთ სხვა შემთხვევებშიც. გამონაკლისია ინგილოურში პოენიერი ფორმები, როცა ყველა შემთხვევაში ჯ აფრიკატს ცვლის ყ სპირანტი (ისევე, როგორც ძ-ს ჩაენაცვლება ზ): ყაარა // ყაპრაჲ ჟარაჲ, ყაჲ ჟაგიჲ, ყამაათ ჟამაათიჲ, ყდომაჲ ჟდომაჲ, ყინ ჟინი, ავი სული, ყინჭარ ჟინჭარი/ჭინჭარი, ყონყოლ ჟონჯოლი და მისთ. მოულოდნელია ჯ → ბ. შესაძლოა აქ კონტამინირებულ ფორმასთან გვექონდეს საჭმე: ჯორკო + ბოკონი („სკამი ბავშვებისათვის“) → ბორკო.

ჩ → ჯ (ჯავახური: ჩინგის-ხანი → ჯინგის-ხანი)

ქ (ქართლური/იმერული/გურული: ბოჩკა „ქასრი“ → ბოჭკა, ვანიჩკა → ვანიჭკა, დასავლურ დიალექტებში პარალელურად: ბოჩქა, ვანიჩქა, გურული: ჩლიქი → ჭლიკი)

ც (კახური, ზემოიმერული: შეამჩნია → შეამცნია, ემჩნევა → ემცნევა)
 შ (მოხეური: გააჩქარა → გააშქარა, ქართლური: არივი → არშივი, ჩითილი → შითილი, იმერული/გურული: დააჩნდა → დააშთა, ქვემოიმერული: ჩადილი → ჩიდილი → შთილი // შტილი, ჯავახური: ლამპოჩკა „ნათურა“ → ლამპუშკა).

იშვიათია ჩ → ჯ შენაცვლება, თუმცა საერთო კანონზომიერების ფარგლებშია წარმოდგენილი. ჩ → კ უპირატესად ჩკ კომპლექსში დაჩნდება და ისიც ნასესხებ ფორმებში — რეგრესული ასიმილაციის შედეგთან გვაქვს საქმე. იშვიათია აგრეთვე ჩ → ც მონაცვლეობა, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის, რომ მისი გავრცელების არე საკმაოდ ფართოა (ერთი მხრივ, კახეთი და, მეორე მხრივ, ზემოიმერეთი). ლირსაც-ნობია ჩ → შ დეზაფრიკატიზაციის (სპირანტიზაციის) პროცესი, დადასტურებულია ჩქ და ჩკ კომპლექსებში მოხეურსა და ჯავახურში (შდრ. ჩკ → ჭკ, რომელიც თავს იჩენს როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში).

ქ → ჯ (ბექზე → ბეჯზე, ბიქზე → ბიჯზე, სამხრეთ ქართლური: ჭუჭრუტანა → ჯუჯრუტანა)

ჩ (ბექთან → ბეჩთან, სამხრეთ ქართლური: კაუჭიანი → კაუჩიანი, ჭუჭრუტანა → ჩუჩრუტანა, ჯავახური: ჭლუჭი → ჩლუჭი)

ჟ (ჯავახური: თაოვლყაბი → თაოვლუაბი).

ქ → ჟ შენაცვლება თეორიულად არ არის მოულოდნელი (შდრ.: წ → ზ), მაგრამ ფაქტობრივ დადასტურებულია ოდენ ჰარმონიული კომპლექსების მონაცვლეობისას: ჭყ → ჟღ. საგულისხმოა: ამ შემთხვევაში აფრიკატისა და სპირანტისაგან შედგენილ ჰარმონიულ კომპლექსში დაჩნდება აფრიკატის სპირანტიზებული რეფლექსი: ჭღ → ჟღ. მართალია, რეალურად ასეთი შენაცვლება დამოწმებულია ჯავახურის ჩვენების მიხედვით, მაგრამ პოტენციურად ასეთი შესაძლებლობა არ გამოირიცხება სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებშიც.

გ) ნაპრალოვნები (სპირანტები).

ზ → ს (გურული/აჭარული: კაცზე → კაცსე, ვაზთან → ვასთან)

ჟ (ქართლური: ზღმარტლი → ჟღმარტლი)

ძ (საბზელი → საბძელი, ქართლური: ზიგზავი → ძიგძავი, სიზმარი → სიძმარი, საზღვარი → სამძღვარი, იმერული: საგზალი → საგძალი, ბენზინი → ბენძინი // ბელძიმი, გურული: წელზე → წელძე → ზურავი → ზრუავი → ძრუავი, ეზო → ეძო, ჯავახური: ზის → ძის, ზეწარი → ძეწარი).

ჯ (ქართლური: დაუმიზნა → დაუმიძნა)

ა (ქართლური/კახური: გაზრდილი → გააზრდილი).

ზ სპირანტის გადასვლა ს და ძ თანხმობებში შეპირობებულია შესაბამისი

პოზიციით. პირველ შემთხვევაში (ზ → ს) ხდება მქლეურის გარდაქმნა ყრუ სპირანტად ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნის ზეგავლენით. მეორე შემთხვევაში (ზ → ძ) ფონეტიკური პროცესი შეპირობებულია ბ, გ თანხმოვნების ან სონანტების მეზობლობით. გამონაკლისს ქმნის ჯავახურში დამოწმებული ზის → ძის ფორმა (შდრ. გურული/იმერული: ეის „ზის“). ყურადღებას იქცევს უიშინა რიგის სპირანტად და აფრიკატად გარდაქმნის პროცესიც, რომელიც ასეთ თანამიმდევრობას გვაპარაუდებინებს: ზ → ე → ჯ. შევნიშნავთ, რომ ამგვარი შენაცვლება ფრიად იშვიათი მოვლენაა. ზ → მ პროცესი ხშირად თანხმოვნის დაკარგვით მთავრდება: გაზრდილი → გამარდილი → გარდილი.

- ს → ზ (მსგავსი → მზგავსი, მოსდევს → მოზდევს, ქართლური/კახური: სოკო → ზოკო, სალტე → ზალტე, აჭარული: საბუთი → ზაბუთი).
 შ (სინჯავს → შინჯავს, სჭამს → შჭამს, მოხეური: სკამი → შკამი, ქისტრი → ჭიშტი, ზემოიმერული: სტოლი „მაგიდა“ → შტოლი, ნესტო → ნეშტო, კახური: უსტყენს → უშტყენს).
 ხ (რაჭული / იმერული/ლეჩხუმური: სწორი → ხწორი).
 ჰ (სამხრეთ ქართლური: სწორი → ჰწორი, სასტუმრო → საჰტუმრო, მესხური: ოჭროს → ოჭროჰ, ეს → ეჰ, ასწავლე → აჰწავლე, აჭარული: სად → ჰად // ჰა, სიდაური → ჰიდაური, ამისთანა → ამჰთანა, მესაჭარეობა → მეჰაჭარეობა).
 ც (ფშაური: არსად → არცათ. // არცა, იმერული: თითქმის → თითქმიც, გურული: სულს → სულც, პენსია → პენცია, პარსავს → პარცავს).
 წ (სამხრეთ ქართლური: სირსველი → *სისვილი → სიწვილი; ქვემოიმერული: დაიძახესყენ → დაიძახეწყენ, გურული: სკალა → ჰწკალა „კიბე“).
 ჩ (ქართლური: სემიჩკა „მზესუმზირა“ → ჩემიჩკა, ჯავახური: სოლოღა [ანთროპონიმი] → ჩოლოღაი).
 რ (რაჭული: სასთუმალი → სართუმალი, იმერული: სასჯელი → სარჯელი, მისჯილი → მირჯილი, გურული: მსჯელობს → მრჯელობს).
 მ (ქართლური/კახური: ბოსტანი → ბომტანი, დედას → დედამ, მოსდევს → მოამდევს, მთიულური: იმასთან → იმამთან).

ს → ზ სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს შეპირობებული. მაგალითად, სოკო → ზოკო რეგრესული დისიმილაციური გამქლეურების შედეგია (ს-კ → ზ-კ), საბუთი → ზაბუთი → რეგრესული ასიმილაციისა (ს-ბ → ზ-ბ). დიალექტების ერთ ნაწილში ს → შ სისტემატურად დაჩნდება სკ და სტ კომპლექსებში. სხვა შემთხვევებში იგივე

პროცესი რეგრესული ასიმილაციის შედეგია (სჰამს → შჰამს, სინჯავს → შინჯავს). ს → შ მძლერი თანხმოვნის წინ კონტაქტური მეზობლობისას) ხშირად იძლევა ე-ს: სჯის → შჯის → ეჯის, სჯერა → შჯერა → ეჯერა. ს → მ, ჩვეულებრივ, დაჩნდება ორ პოზიციაში: ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის ან პაუზის წინ (ბოსტანი → ბოტანი, დედას → დედა), პაუზის მომდევნოდ თანხმოვნის წინ (სტუმარი → მტუმარი), რასაც ზოგჯერ თან ახლავს ირაციონალური ხმოვნის განვითარება (გატუმარი). ს → მ შესაძლოა გაშუალებული იყოს ს → ჰ შენაცვლებით (იბასთან → იმაჰთან → იმამთან), რის შედეგად ხშირად ერთდროულად დაჩნდება ცვლილების ორივე საფეხური: პასტა → პაჰტა → პამჰტა (იოტიზებული შემართებითა და ჰ-ს დამართვით). შეინიშნება ს → მს შემთხვევებიც (ქართლური: დედას უთხარი → დედამს უთხარი). გვხვდება ასეც: ს → მჰს (ბოსტანი → ბომჰსტანი). ს → მ ხდება მაშინაც, როცა ს თავად არის სხვა თანხმოვნის ნაცვალ (ჰ → ს → მ: მოპდევს → მოსდევს → მომდევს, ც → ს → მ: ოცდარი → *ოსდარი → ჰომდარი). ს → ჰ შეინიშნება პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ (სად → ჰად) ან ხმოვნის მომდევნოდ პაუზის ან თანხმოვნის წინ (ოქროს → ოქროჰ, ოქროსთვის → ოქროჰთვის). უკანასკნელ შემთხვევაში პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს: ს → ჰ → მ (ოქრომ). ს → ჰ სხვაგვარ რეფლექსსაც იძლევა: ს- ჰ → ხ (სწორი → ჰსწორი → ხსწორი). ცვლილების ყველა ეს საფეხური ზოგჯერ ერთსა და იმავე დიალექტშია წარმოდგენილი; მაგალითად, მოსდევს → მოხდევს // მომდევს დაჩნდება ქართლურში, უფრო ხშირად კი დიალექტების მიხედვით სხვაობს; მაგალითად, ს → ჰ ბოლოკიდურა პოზიციაში აქარულისა და მესხურისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ს → მ - ქართლურისა და კახურისათვის: ოქროს → ოქროჰ/ოქრომ. დიალექტური სხვაობა ზოგჯერ პოზიციების მიხედვითაც დაჩნდება; მაგალითად, ს → ჰ ბოლოკიდურა პოზიციაში, როგორც ითქვა, გვხვდება აქარულსა და მესხურში (ბიჭოს → ბიჭოჰ), მაგრამ თავკიდურა პოზიციაში (პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ) უპირატესად აქარულისთვისაა დამახასიათებელი (სად → ჰად // ჰა). ს → რ შენაცვლება ისტორიულადაც არის დადასტურებული (იგულისხმება სძე → რძე, სძალი → რძალი ტიპის ფორმები). ს → ც კანონზომიერი პროცესია სონანტთა კონტაქტური ან დისტანციური მეზობლობის დროს. რაც შეეხება ს → ჩ მონაცვლეობას, იგი ფრად იშვიათია; არ გამოირიცხება ს → ც ან ს → შ გამაშუალებელი საფეხურების არსებობა. იშვიათია ს → წ შენაცვლებაც, დადასტურებული სვ და სყ კომპლექსებში. სირსველი → *სისვილი → სიწვილი პროგრესული დისიმილაციის ნიმუშია (ს-ს → ს-წ), სადაც ს → წ პროცესი შესაძლოა ს → ც საფეხურით იყოს

გამუშალებული, ხოლო თავის მხრივ ც → წ მონაცვლეობა მეტერი თანხმომავნის მეზობლობით უნდა აიხსნას (ამის კვალობაზე, არ გამოირიცხება სე → *ცვ → *ძე შენაცვლება). სე → წყ პარმონოული კომპლექსისაკენ მიდრეკილების შედეგი ჩანს.

- ე → შ (ვაეკაცი → ვაშკაცი, მარყუეს → მარყუშს).
- ჯ (ხევსურული: ბაეი → ბაჟი, ქართლური: ამეამად → ამჟამად, პატიეობს → პატიეოფს, კახური: ეანდარამი → ჟანდარამი, იმერული: ეინი → ჟინი, გურული: პატიეი → პაიჟი, აჭარული: ეეშტი „თუნუჟი“ → ჟეშტი, საეენი → საჟენი).

ორივე შენაცვლება დაჩნდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში. ე → შ ყრუ ფშენიერი თანხმომავნის მეზობლად შენინშენება სალიტერატურო მეტყველებაშიც.

- შ → ე (ხევსურული/თუშური/მოხეური: სეობს → შეობს → ეეობს // ეეობ).
- ს (ქართლური: ჩაშკა „ფინჯანი“ → ჩასკა)
- ჩ (მოხეური/მთიულური: შხამი → ჩხამა, ქართლური: შიკრიკი → ჩიკრიკი, მოხეური: მთაში → მთაჩი, იმერული: სოფელში → სოფელჩი, გურული: ხელში → ხელჩი, ხარშავს → ხარჩავს, აჭარული: სულში → სულჩი).
- ქ (სამხრეთ ქართლური: კრეშკა [← კრეეკა] „ტოლია“ → კრეეკა).
- ა (ქართლური/კახური: მუშტი → მუშტი, ტაშტი → ტაშტი, მაშ → მაა).

შ → ს და შ → ქ ცვლილების შედეგი ორიოდ ნიმუშით შემოიფარგლება, თანაც მეორე შემთხვევაში ნასესხებ ფორმაშია განხორციელებული, გამამუშაებელ საფეხურად ივარაუდება შკ → ჩკ. შ → ე მხოლოდ მეორე საფეხურზე წარმოდგენილი, რასაც წინ უსწრებს ს → შ რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე.

შენიშნავთ: ს → შ -ჟ შენაცვლების პარალელურად დაჩნდება ს → ზ პროცესიც: მოსჯარდით → მოშჯარდით → მოეჯარდით // მოსჯარდით → მოზჯარდით (ხევსურული). შ → ა, სავარაუდოა, გამუშალებული იყოს შ → ს საფეხურით. ზოგჯერ ს პარველადია (მუსტი → მუშტი), ამიტომაც შესაძლოა უშუალოდ ს → ა იყოს განხორციელებული.

- ღ → ხ (ბაღია → ბახია, ხევსურული: ღეთისი → ხთისო, კახური: აღსარება → ახსარება, გურული/ჭვემოიმერული: წელან → წახანა, მოაღწია → მოახწია, რაცალა → რაცლა → რაცხა).
- კ (მოხეური: მძაღე → მძაქე)
- ყ (აჭარული: იღბალი → იყბალი)

გ (ქართლური: ღორ-ხბო → გორ-ხბო, არღანი → არღანი).

ღ → კ შენაცვლება გამჟღავნებული უნდა იყოს ღ → ხ საფეხურით. სხვა შემთხვევებში თანხმოვანთა მონაცვლეობა კანონზომიერია (იხ. ზემოთ: ... 13), თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით ხშირად დაჩნდება, გარდა ღ → ხ პროცესისა (რომელიც უმეტეს შემთხვევაში რეგრესული ან პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ხდება).

ბ → ღ (ნოხზე → ნოღზე, ქართლური: იძახდა → იძაღდა, ჭავახური: ოთახი → ოთაღი, ჩიბუხი → ჩიბუღი)

კ (ხეცურული: ნახშირი → ნაქშირი, მოხეური: ჭიხვი → ჭიკვი, ხოკი „ლორის ავაღმყოფობა“ → ჯოტი, თუშური: მახათი → მაკათი, ნახშირი → ნაქშირი)

ყ (აჭარული: თანახმა → თანაყმა, ინგილოური: ხალხი → ხალყი).

ქ (ჭავახური: ფორთოხალი → ფორთოკალი).

ბ → ღ დაჩნდება მაშინაც, როცა ხ მეორეულია, თვით არის ფონეტიკური ცვლილების შედეგი: მოჰმის → მახმის → მაღმის (ხეცურული), ჰბანს → ხბანს → ღბანს (თუშური). ბ → ქ მონაცვლეობა უმეტეს წილ ბ: კ ოპოზიციის მოშლის შედეგია (ერთმანეთში ირევა ეს ორი თანხმოვანი), ზოგჯერ კი კომპლექსითაა შეპირობებული; მაგალითად, ნაქშირი-ი ფორმაში ხშ → ქშ განხორციელებული ჩანს ძველი ქართლის კანონზომიერების შესაბამისად, სადაც გვაქვს შხ, მაგრამ: ქშ: ფრიკატებისა და სპირანტების მომდევნოდ დაჩნდება ხ, ხოლო წინ კი — ქ (ვ. თოფურია). ხ → ყ და ხ → კ იშვიათია, მაგრამ (საერთო კანონზომიერების გათვალისწინებით) მოულოდნელი არ არის: პირველ შემთხვევაში ფშინვიერის დისიმილაციური გამკვეთარება ხდება (ხალხი → ხალყი), მეორე შემთხვევაში (ფორთოხალი → ფორთოკალი) იგივე პროცესი შესაძლოა ხ → ქ საფეხურით იყოს გამჟღავნებული (მდრ.: ქ → ხ: აქანე → ახანე, ჭვეყანა → ხვეყანა // ხოყანა; იხ. ზემოთ: ...13).

ყ → ღ (ქართლური/ჭავახური: საყდარი → საღდარი).

ხ (ზემოიძერიული: ყანწი → ხანწი, ჭვემოიძერიული: დაყრდნო → დეგბტნო, ჭვემოიძერიული/ლუჩხუმური/გურული: ჭვეყანა → ჭვეხანა // ჭვეხანე, საყდარი → სახტარი, ყდა → ხტა, ჰყავს → ხავს).

კ (ქართლური: ყოჩალი → კოჩალი, მოხეური/მთიულური: კნავდისყე →

კნავდისკე, ზემოიმერული: წყნარი → მწყნარი).

ყ → ლ და ყ → ხ სინტაგმატური თვალსაზრისით იმავე რიგისაა, რაც ყრუ მკვეთრის მონაცვლეობა იმავე ლოკალური რიგის მედერთან და ყრუ ფშვინვიერთან (იხ. ზემოთ), მოუხედავად იმისა, რომ პარადიგმატულად ყ ლოკალური რიგის მიხედვით განსხვავდება ლ და ხ სპირანტებისაგან. რაც შეეხება ყ → კ მონაცვლეობას, თუ გავითვალისწინებთ ლ → გ (და საეარაუდო ხ → ქ) შენაცვლების შემთხვევებს, სინტაგმატურ დონეზე აქაც კანონზომიერ მიმართებასთან გვაქვს საქმე.

- კ → | ხ (მოხეური: აქსონს „ახსოვს“ → ახსონ, ჩრდილო ქართლური);
 კარი → ხარი, ქიზიყური: კმა → ხმა, მკარი → მხარი)
 ყ (ინგილოური: ფეკი → ფეყ, დაკოცა → დაყოცა).


კ → ხ მონაცვლეობა, როგორც ითქვა, ხ:კ ოპოზიციის მოშლის შედეგია და ქართულისათვის ისტორიული ფაქტია. დიალექტების უმეტესობასა და სალიტერატურა ენაში საბოლოოდ დასრულდა კ → ხ პროცესი. რამდენიმე დიალექტს კ მეტნაკლებად შემოუნახავს: შედარებით მკვიდრად იცა წარმოდგენილი ხევისურულში, ასევე მოხეურსა და თუშურში, მერყეობდა მთიულურ-გუდამაყარულსა და ფშაურში, აგრეთვე ინგილოურსა და ფერეიდნულში, სრული ნიველირების ტენდენცია დაჩნდება ქიზიყურსა და კახეთის იმ ზოგიერთ რეგიონში, სადაც კ მეტნაკლებად ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი (ყვარლურში, გარეკახურში). კ → ყ უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში ფშვინვიერის გარდაქმნა ყრუ მკვეთრ თანხმოვნად. ზემოდასახელებულ ფორმებში კ → ყ დისიმილაციური გამკვეთარების შედეგი ჩანს (ფ - კ → ფ-ყ, კ-ც → ყ-ც). არსებითად კი ეს შენაცვლება კ ფონემის ნიველირების ერთ-ერთი გამოვლინებაა. შევნიშნავთ: ყ-ს მონაცვლეობა, ერთი მხრივ, ლ-ხ სპირანტთა რიგში, ხოლო, მეორე მხრივ, კ-სთან მისი თავისებური („ორგვაროვანი“) ბუნებით არის შეპირობებული...

- პ → | ს (მოპდევს → მოსდევს, პტირის → სტირის, პთხოვს → სთხოვს, პძინავს → სძინავს, პწერს → სწერს, პცივა → სცივა);
 ხ (ხევისურული: პქვია → ხქვინ, თუშური: პპარავს → ხპარავს, მოხეური: დაპკაზმა → დახკაზმა, ჩრდილო ქართლური: ჩამოპგავს → ჩამოხგავ, დაპპარავს → დახპარავს, რაჭული: მოპკლა → მოხკლა, ჰყოლია → ხყოლია // ხოლია)
 ა (ქართლური/კახური/ფშაური/მთიულური: დაპპარავს → დაძა-

რავს/ დაიბარავს, დაპყარავს → დაეყარავს/ დაეყარავს, დედა ჰყო-
 ლია → დედა-მყოლია, ვერა ჰხედავს → ვერა-მხედავს/ ვერა-მხედამს).
 შევნიშნავთ: ავ → -ამ თემისნიშნის ფორმები ქართულსა და
 კახურში დაჩნდება.

ჰ → ს კბილისმიერი ხშულებისა (დ-ტ-თ) და ნუნისმიერი აფრიკატების (ძ-წ-ც,
 ჭ-ჭ-ჩ) წინ საერთო ქართული მოვლენაა, თუმცა რამდენიმე დიალექტში (ჩავახურში,
 ზემოაჭარულში, აგრეთვე ინგილოურში) ჰ ამ პოზიციაშიც მეტნაკლებად დაცულია
 (პდევე, ჰტირი... ჰტემა, მიჰწერა... შეჰჰამს...)

ჰ → ს ისევე, როგორც ჰ → ხ პროცესი ზოგ დიალექტში განსაზღვრულ
 პოზიციებში სხვა შემდგომ რეფლექსებსაც იძლევა:



ჰ → ს → ზ დაჩნდება მელერი კბილისმიერი ხშულისა და წინანუნისმიერი
 აფრიკატის წინ: სდევს → ზდევს, სძინავს → ზძინავს. .

ჰ → ს → შ კანონზომიერი მონაცვლეობაა უკანა ნუნისმიერი (შიშინა) ყრუ
 აფრიკატების წინ: სჩეჩავს → შჩეჩავს, სჰამს → შჰამს. იმავე ლოკალური რიგის მელერი
 აფრიკატის წინ თავს იჩენს შ → ე: სჯობს → შჯობს.

ჰ → ხ → ლ გვხვდება წყვილბაგისმიერი და რბილსასისმიერი მელერი ხშულებისა
 და სონანტების წინა პოზიციაში: დაჰბრუნდები → დაღბრუნდები, ჰგავის → ლგავის,
 დაჰლევს „გააფუტებს“ → დაღლევს, დაჰმალავს → დაღმალავს, დაჰნაყა → დაღნაყა,
 შეჰრევს → შაღრევს. ანალოგიური შედეგი გვაქვს ვ მელერი სპირანტის წინ: ჰვედრავს
 „იქადის“ → ლვედრავს (ნიმუშები ხეცსურული დიალექტიდანაა). შევნიშნავთ: თუ
 ზმნის ფუძის თავიკიდურა პოზიციაში მელერ თანხმოვანს მოსდევს ყრუ მკვეთრი,
 მაშინ მერყეობაა: ჰ → ხ // ლ (მოჰპკიან → მახმკიან // მალმკიან, გაჰბჰობენ
 // გაღბჰობენ).

რამდენიმე დიალექტში (ქართულში, კახურში, ფშაურში, მთიულურში, სპო-
 რადულად — მესხურში) ყველა ზემოდასახელებულ პოზიციაში დაჩნდება ჰ → მ // მჰ
 // მჰს: დაჰბარავს → დაიმბარავს // დაიმჰბარავს, შეჰწევდება → შამწევდება //
 შამსწევდება // შამჰსწევდება (იმავედროულად არ გამოირიცხება ზემოდასახელებუ-
 ლი ბგერითი რეფლექსებიც).

ჰ → მ ხდება მაშინაც, როცა ჰ მეორეულია, წარმოადგენს ს-ს პოზიციურ
 ვარიანტს: დედას → დედაჰ → დედამ // დედამჰ (ქართულში).

ჩვეულებრივ, ჰ → ძ პროცესი განხორციელებულია ხმოვნის მომდევნოდ. თან-
ხმოვნის ან პაუზის წინ: დაჰბარავს → დაძბარავს, დედა ჰყოლია → დედა - მყოლია,
დედას → დედაჰ → დედაძ.

ვ/ჴ → ბ (რაჭული/იმერული/ლუჩხუმური/გურული/აჭარული: ვარცხნის →
ბარცხნის, ავდარი → აბდარი, თევზი → თებზი, კოვზი → კობზი,
პარასკევი → პარასკები, სოფელი → სობელი, რწევა → რწებვა, ჭავახური:
ულვაში → ულვაშში).

ფ (იმერული/ლუჩხუმური/გურული/აჭარული: საფსე → საფსე, კავ-
შირი → კაფშირი, ნიფთი → ნიფთი)

მ (ქართლური/კახური: ვიწრო → მიწრო, ვითამ → მითამ/მითამ,
დამავიწყდა → დამამიწყდა, საფსე → სამსე, ხავსი → ხამსი, კოვზი →
კომზი, კავშირი → კამშირი, თოვლი → თომლი, ულვაში → ულვაშში,
წერავს → წერამს, ჰყავს → ყამს, ახსოვს → ახსომს, იმერული: კარავი
→ კარამი, მძივი → ძიძი, დაავიწყდა → დაამიწყდა, მავნებელი →
მამნებელი, კოვზი → კომზი, ზემოიმერულში დაჩნდება: ხნავს → ხნამს,
თოვს → თომს, ახსოვს → ახსომს, ლუჩხუმური: მალავს → მალამს, არევს
→ არემს, ჰყავს → ყამს//ხამს, გურული: თავაზობს → თამაზოფს,
გავრცელდა → გამცელდა, აჭარული: ვენახი → მენახი, ვიწრო → მიწრო,
ავსება → ამსება, უვლია → უმლია, ჭავახური: საფსე → სამსე, ნაფთი →
ნამთი, ხევსური → ხემცური).

რ (ჭავახური/რაჭული: მავთული → მართული).

ც (კახური: გაჯევი → გაჯეცი).

ვ → რ მონაცვლეობის გარდა, ყველა დანარჩენი ერთი ლოკალური რიგის
ფარგლებშია განხორციელებული. დასახელებულ მაგალითში ვ → რ დისიმილაციის
შედეგი ჩანს (მ-ვ → მ-რ), თუმცა არ გამოირიცხება კონტამინაცია (მავთული +
მართული → მართული). გასათვალისწინებელია, რომ ვ → რ დამოწმებულია კახეთის
ისტორიულ საბუთებშიც: მღვდელი → მღრდელი. ვ → ფ ყველა შემთხვევაში
რეგრესული ასიმილაციის შედეგია. შევნიშნათ: იგივე ვს, ვთ კომპლექსები არ
გარდაიქმნება ფს. ან ფთ კომპლექსებად იმ შემთხვევაში, როცა ვ არის → ავ
თემისნიშნისეული ან ზმნის ფუძისეული ელემენტი (ხატავს, ჰყავს... ხატავთ,
ჰყავთ...). ამ დროს დასაშვებია მხოლოდ ვს → მს ან ვთ → მთ. ყველაზე ხშირია ვ → ბ

და, განსაკუთრებით, ვ → მ სუბსტიტუცია. შენაცვლება ხდება თითქმის ყველა პოზიციაში: პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ (ვარცხნის → ბარცხნის; ვიწრო → მიწრო) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის ან პაუზის წინ (აეღარი → აბღარი, კოვზი → კომზი; კოვზი → კომზი, ახსოვა → ახსომს, წერავ → წერამ), თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ (ულვაში → ულვაში // ულშაში), ხმოვნებს შორის (პარასკევი → პარასკები; კარავი → კარამი). ხშირია ერთი და იმავე ფორმის პარალელური ვარიანტები: საესე → საფესე // სამსე (დაჩნდება საბსე ნაირსახეობაც), კოვზი → კომზი // კომზი, ულვაში → ულვაში // ულშაში. ეს ფონეტიკური ნაირსახეობანი არცთუ იშვიათად ერთსა და იმავე დიალექტშია დამოწმებული (მაგალითად, გურულში გვაქვს როგორც სამსე, ასევე: საფესე), იმაედროულად დიალექტური სხვაობაც იჩენს თავს (მაგალითად, ქართლური: ულვაში → ულშაში, მაგრამ ჭავჭავი: ულვაში → ულშაში). ხშირია დიალექტების მიხედვით საერთო და გამიჯნული ფორმებიც. მაგალითად, ვ → მ დაჩნდება თითქმის ყველა დიალექტში, მაგრამ სხვაობა გვაქვს კონკრეტული ფორმების თვალსაზრისით: ხავსი → ხამსი გვხვდება ქართლურში, კახურში, იმერულში, გურულში... მაგრამ ხნავს → ხნამს დამახასიათებელია ქართლურისა, კახურისა და ზემოიმერულისათვის, რაც შეეხება ქვემოიმერულსა და გურულს, მათთვის თემის ნიშნებში ასეთი ფონეტიკური შენაცვლება უცხოა. ასევე: ვიწრო → მიწრო დაჩნდა ქართლურში, კახურში, ინგილოურსა და აჭარულში, მაგრამ ვენახი → მენახი შეინიშნა აჭარულსა (მენახი) და ინგილოურში (მენაკ). შევნიშნავთ: ზოგ დიალექტში ვ → მ შემდგომ რეფლექსს იძლევა: მ → ნ.

ფონეტიკური ცვლილების მექანიზმი თვით იდენტური შედეგის შემთხვევაშიც კი შესაძლოა სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ვ → მ ვითომ → მითომ // მითამ ფორმაში რეგრესული დისტანციური ასიმილაციის ნიმუშია (ვ-მ → მ-მ), ხოლო საესე → სამსე მიღებულია დისიმილაციის საფუძველზე (ნაპარალოვანი + ნაპარალოვანი → სონანტი + ნაპარალოვანი). გასათვალისწინებელია აგრეთვე მარკრთა ფარდობითობის პრინციპიც (იხ. ზემოთ:...3). მაგალითად, ხმოვნებს შორის პოზიციაში ხშულუბისაკენ მიდრეკილება უნდა იწვევდეს ვ → ბ შენაცვლებას (სოველი → სობელი, პარასკევი → პარასკები). ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ერთი და იმავე ლოკალური რიგის (წინანუნისმიერ) მედერ და ყრუ ნაპარალოვანთან კომბინაციაში ვ იძლევა როგორც იდენტურ, ასევე სავსებით საპირისპირო შედეგს: კოვზი → კომზი // კომზი, მაგრამ: საესე → სამსე // საფესე. თუმცა, როგორც ითქვა, სპორადულად დაჩნდება საბსე ვარიანტიც (შდრ. ფსკერი → ბსკერი), რომელიც დისიმილაციური გამეფერების შედეგია. მაგრამ სხვაობა ამ შემთხვევაშიც გვაქვს: ვზ → ბზ უშუალოდ ხორციელდება, ხოლო ვს → ბს ცვლილებისათვის გამაშუალებელია ფს საფეხური. ამასთანავე

როგორც ვზ → ბზ, ასევე ვს → ფს არსებითად რეგრესული ასიმილაციით არის მიღებული, რაც არის კიდევაც განსხვავების მიზეზი ამ ორი კომპლექსის ფონეტიკური ცვლილებისას: განმსაზღვრელია მომდევნო თანხმოვნის ბუნება მქედრობასიყრუის თვალსაზრისით. რაც შეეხება ვ → მ შენაცვლებას, იგი დასაშვებია ორივე შემთხვევაში, რადგან მ, როგორც სონანტი დაუბრკოლებლოვ ეხმარება როგორც მქედრ, ასევე ყრუ თანხმოვანს.

ერთადერთი ფუძით შემოიფარგლება ვ → ც შენაცვლება (ყურადღებას იქცევს ასეთი ფორმა: გაგხეცი „გაგხდი“). ვ → ც დაჩნდება II სერიაში: მი-ვ-ყე-ები → (მი-ვ-ყე-ი → მი-ვ-ყე-ი).

დ) ხონანტები.

ლ →

ნ (ხევსურული/ფშაური/მოხუერი/მთიულურ-გუდამაყრული: რომელი → რომენი, ქართლური: ხომალდი → ხომანდი, გვარეულობა → გვარეუნობა, კახური: ლიტრა → ნიტრა, რაჭული: წელი → წენი, ლიტრა → ნიტრა, კულტურა → კენტურა, იმერული/ლენხუმური: სულელი → სუნელი, გურული/აჭარული: მამასახლისი → მამასახლისი, აჭარული: უმალ → უმან, სულყველა → სუნყველა, ჯავახური: კულტურა → კენტურა, ლაჩარი → ნაჩარი).

რ (მოხუერი.ლხინი → რხინი, დალალი → დარალად, საგზალი → საგძარი, ხევსურული: წყლული → წყრული, მთიულური: ღველფი → ღვერფი, კახური: ლამის → რამის, ჯავახური: მღვდელი → ბღვდერი, ნაკლული → ნაკრული, იმერული: წლუელს → წრეულს // წროულს, დანაშაული → დანაშაური, ლენხუმური: ქოლგა → ქორგა, გახლიჩა → გახრიჩა, გურული: წიხლი // წლიხი → წიხრი // წრიხი, აჭარული: ლხინი → რხინი, ტლინკი → ტრინკი).

ლ → ნ და ლ → რ მონაცვლობები ხშირად განხორციელებულია დისიმილაციის საფუძველზე (სულელი → სუნელი... წყლული → წყრული, ნაკლული → ნაკრული). ყურადღებას იქცევს ის, რომ ლ-ლ ორგვარ რეფლექსს იძლევა: ნ-ლ (სულელი → სუნელი, სულყველა → სუნყველა), ერთი მხრივ, და რ-ლ (წლუელს → წრეულს // წროულს, ნაკლული → ნაკრული), მეორე მხრივ. დისიმილაცია რეგრესულია.

ლ → ნ შეინიშნება მაშინაც, როცა ფორმაში დაჩნდება რ (ლიტრა → ნიტრა, კულტურა → კენტურა, ლაჩარი → ნაჩარი) და, საპირისპიროდ, ლ → რ, როცა წარმოდგენილია ნ (ტლინკი → ტრინკი, ლხინი → რხინი). ცვლილება აქაც რეგრესული

მიმართულებისაა.

გვხვდება პროგრესული ასიმილაციის შედეგიც (უმაღლესი → უმან, რომელი → რომენი, მამასახლისი → მამასახნისი: მ-ლ → მ-ნ ნაზალიზაციის ნიშნით).

თავისუფალი ჩანაცვლების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: წელი → წენი, წიხლი → წიხრი // წრიხი).

მ → ნ (მეფე → ნეფე, ქართლური: მტერი → ნტერი, ზამთარი → ზანთარი, ემსახურება → ენსახურება, კახური: კიდვე → კიდემ → კიდენ, ინგილოური: ჩაიკვამს → ჩაიკომს → ჩაიკონს, მოხეური: მარამობა → მარინობა, მთიულური: ბლომად → ბლონათ, მესხური: მთა → ნთა, ვითამ → ვითონ, დედამ → დედან, ასხამს → ასხანს, საესე → სასესე → სანსე, მალავს → მალამს → მალანს, აკეთებს → აკეთემს → აკეთენს, რაჭული: მიხაკი → ნიხაკი, შემდეგ → შენდეკ, დადუმდა → დადუნდა, იმერული: სიმდიდრე → სინდიდრე, დამწიფდა → დანწიფდა, აბრეშუმში → აბრეშენი, ლეჩხუმური: ხელმწიფე → ხელწიფე // ხენწიფე, გურული: ბამბა → ბანბა, უმცროსი → უნცროსი, ლომთათიძე → ლონთათიძე, აქარული: მიწა → ნიწა, ვითამ → ვითან, ამგზობას → ანგზობას, მომდურავი → მონდურავი).

რ (იმერული/გურული: მძევალი → რძევალი)

ვ (ქართლური/კახური/იმერული: აბამს → აბავს, ასხამს → ასხავს, ქართლური: პატიმარი → პატივარი, რაჭული: სიმამრი → სიმავრი, იმერული: გვიმრა → გვივრა, ლეჩხუმური: ყარამანა → ყარავანა, გურული: მიტინგი → ვიტინგი, ნემსი → ნევსი, სიმამრი → სიმავრი/სი-მაური, უთქვამს → უთქვავს).

ბ (ქართლური: მზითვი → ბზითვი, მთიულური: მუწუკი → ბუწუკი, კახური: მრუდე → ბრუდე, რაჭული: მრავალი → ბრავალი, იმღერა → იბღერა, სიმღერა → სიბღერა, იმერული: მრუდი → ბრუდი, ქალამანი → ქალბანი, ლეჩხუმური: მეჭეტი → ბეჭეტი, მლილი → ბლილი, მზითვი → ბზითვი, მყავე → ბყავე, მლამე → ბლამე, გურული: იმზირება → იბზირება, აქარული: მზე → ბზე, ქალამანი → ქალბანი).

ფ (რაჭული: მტვერი → ფტვერი, მსხვილი → ფსხვილი, იმერული/გურული/ლეჩხუმური: მხარი → ფხარი, მხალი → ფხალი, ნემსი → ნეფსი,

მსხალი → ფსხალი, მშვილდი → ფშვილდი, ქვემოიმერული/გურული:
მთა → ფთა, ითმენს → ითფენს).

პ (იმერული: მტვერი → პტვერი, ქვემოიმერული: ლურსმანი → ლურსპანი).

გ (გურული/აპარული: მზითვი → გზითვი).

ზემოდასახელებულ ცვლილებათაგან მ → ფ და მ → პ ძირითადად ხდება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყრუ მკვეთრის წინ შეიძლება დაჩნდეს როგორც ყრუ მკვეთრი, ასევე - ყრუ ფშვინივიერი: მტვერი → პტვერი (იმერული) // ფტვერი (რაჭული). დაჩნდება დისიმილაციის ნიმუშიც: ლურსმანი → ლურსპანი (მ-ნ → პ-ნ: ნაზალური + ნაზალური → ორალური + ნაზალური).

მ → ბ მონაცვლეობის ახსნა ხერხდება მარკერთა ფარდობითობის პრინციპის საშუალებით (იხ.: ...3): მ ყველა შემთხვევაში ისეთ პოზიციაშია ამ დროს, როცა დაჩნდება მიდრეკილება ხშულობისაკენ, რაც არსებითად დისიმილაციის საფუძველზე ხორციელდება: მზ → ბზ, მე → ბე, მღ → ბღ, მრ → ბრ და მისთ. პრინციპულად იგივე ვითარებაა ხმოვნებს შორის პოზიციაშიც.

მ → ვ შენაცვლება ხდება როგორც ასიმილაციის (აბამს → აბავს, ნემსი → ნევსი, გვირა → გვივა, ასევე დისიმილაციის (მ-ნ → ვ-ნ: მიტინგი → ვიტინგი, მ-მ → მ-ვ: სიმამრი → სიმავრი) საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მორფოლოგიური ფაქტორიც (დაწვრილებით იხ. ზემოთ: ...10). დაჩნდება ინტერ-ვოკალურ პოზიციაშიც: პატეარო, ყარაყანა, სადაც მ:ვ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს.

მ → გ ერთადერთ მაგალითში იქნა შენიშნული (მზითვი → გზითვი).

ზემოთ იგი ახსნილი იქნა, როგორც გადააზრანებისა და კონტამინაციის შედეგი, მაგრამ იქვე შეგნიშნეთ, რომ შესაძლებელია ამ ცვლილების სხვაგვარი ახსნაც, კერძოდ, კონტრასტის პრინციპის საფუძველზე, რომელიც განხორციელებულია დისიმილაციის გზით; ანუ: მზითვი → ბზითვი → გზითვი (მზ → ბზ, შემდეგ კი: ბ-ვ → გ-ვ; იხ. ზემოთ: ...4, ...11).

მ → ნ მესხურში უგამონაკლისოდ არის განხორციელებული პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში (პაუზისა ან ხმოვნის მომდევნოდ). შენაცვლება ხდება მაშინაც, როცა მ თავად არის სხვა თანხმოვნის რეფლექსი (ვ → მ, ბ → მ). რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესხურში საერთოდ არ დაჩნდება მ-იანი ვარიანტებიც, მით უმეტეს, თუ კილოკავებისა და თქმების ჩვენებას გაერთვალისწინებთ. მაგალითად, ჯავახური ტექსტების მიხედვით, სოფელ აფნიაში ყველა შემთხვევაში

არის გატარებული მ → ნ, სოფელ ბარალეთში ასეთი მონაცვლეობა არ არის ფიქსირებული, ხოლო ჩუნიჩხაში პარალელურად გვხვდება ორივე ნაირსახეობა (ფიქრომდა // ფიქრონდა). შევნიშნაეთ: ეს ეხება როგორც იმათეთვე წარმოდგენილ მ სონანტს, იმ მ-ს, რომელიც ვ და ბ თანხმოვანთა რეფლექსია.

სხვა დიალექტებში მ → ნ მონაცვლეობა განსხვავებულ პრინციპებს ემყარება. დამოწმებულია სპონტანური შენაცვლების რამდენიმე შემთხვევა: პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ (მინაკი → ნინაკი, მიწა → ნიწა), ხმოვნებს შორის პოზიციაში (აბრეშუმი → აბრეშუნი, მარიაშობა → მარიანობა)... იმავდროულად გვაქვს სისტემური მონაცვლეობის ფაქტებიც. უპირველეს ყოვლისა მბ → ნბ დისიმილაცია ლოკალური რიგის მიხედვით (ბაშბა → ბანბა, აშბავი → ანბავი). შემდეგ: მ → ნ უმრავლეს შემთხვევაში განხორციელებულია კბილისმიერი ხშულებისა და წინანუნისმიერი თანხმოვნების (აფრიკატებისა და სპირანტების) წინ: დადუმდა → დადუნდა, მტერი → ნტერი, ზამთარი → ზანთარი; დამწიფდა → დანწიფდა, უმცროსი → უნცროსი, ემსახურება → ენსახურება. საქმე გვაქვს ნაწილობრივ ასიმილაციასთან ლოკალური რიგის მიხედვით. შევნიშნაეთ: მდ და მზ კომპლექსები, ჩვეულებრივ, სხვა შედეგს იძლევიან: მდ → რძ, მზ → ბზ. რაც შეეხება მგ → ნგ შენაცვლებას (ამგზობას → ანგზობას), იგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ფიქსირებული, როცა გ ხშულს ზ სპირანტი მოსდევს. ამის კვალობაზე, თუ მ → ნ შენაცვლებას განაპირობებს ზ ნაპრალოვანის დისტანციური პოენიერება, მაშინ ეს მონაცვლეობაც ზემოხსენებულ ფორმათა რიგში ჩადგება (იგულისხმება მ → ნ წინანუნისმიერ თანხმოვანთა წინ).

ფრიად იშვიათია მ → რ (მძევალი → რძევალი), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საპირისპირო რ → მ პროცესს (იხ. აჭვე, ჭეშოთ), მაშინ იგიც კანონზომიერ შენაცვლებად შეიძლება მივიჩნიოთ. ცვლილება განხორციელებულია ლოკალური რიგის მიხედვით ასიმილაციის საფუძველზე (მძ → რძ).

ნ → მ (მთიულური: უკუნი → უკუმი, სანთელი → სამთელი, ქართლური: ინტერესი → იმტერესი, განწყობილება → გამწყობილება, განსხვავებული → გამსხვავებული, კახური: რახან → რახამ, მესხური: იმან → იმამ, რაჭული: გაანძრევს → გაამძრევს, იმერული: ნეკერჩხალი → მეკერჩხალი, სანთელი → სამთელი, ჩანს → ჩამს, ლეჩხუმური: ინდაური → იმდაური, გურული: დაანთო → დაამთო, რადგანც → რადგამც, აჭარული: განკარგულება → გამკარქულობა, იალონზე → იალომზე, ოლონდ → ოლომ, შერჩენია → შერჩემია).

ლ (ხვესურული/ფშაური: ნიშანი → ლიშანი, მოხეური: სანამდი → სალამდი, ქართლური: ინჟინერი → ინჯილერი, შავგვრემანი → შავგრემალი, ნაბიჯი → ლაბიჯი, კახური: ნელა → ლელა, სუნი → სული, ამდენი → ამტელი, ჯავახური: ნაბიჯი → ლაბიჯი, ნამეტნავი → ლამეტნავი, ამდენა → ამდელა, რაჭული: დანიშნული → დალიშნული, იმერული: ნაღმი → ლაღმი, გუშინწინ → გუშინწილ, ცხენოსანი → ცხენოსალი, ალალი → ალანი, კონსტანტინე → კონსტანტილე, ლეჩხუმური: ნიანგი → ლიანგი, გურული: კანონი → კალონი // კანოლი, აჭარული: ნეკი → ლეკი, ნემსი → ლემსი).

რ (მოხეური: სხდანან „სხედან“ → სხდარან, მესხური: სანამდი → სარამდინ, იმერული: ნიადავი → რიადავი, აჭარული: ყუნწი → ყურწი // კერწი).

ვ (ქართლური/მესხური: მოატანიინა → მოატავინა // მოუტავინა, სადინარი → რაჭული: სადივარი)

დ (ქართლური: ქალამნები → ქალამდები, ჯავახური: კინაღამ → კიდაღამ).

ნ → ლ უმეტეს შემთხვევაში დისიმილაციის შედეგია: ნ-ნ → ლ-ნ (ნიშანი → ლიშანი, კანონი → კალონი, ნიანგი → ლიანგი), ნ-ნ → ნ-ლ (ინჟინერი → ინჯილერი, კანონი → კანოლი, ცხენოსანი → ცხენოსალი), აგრეთვე ნაზალობის მარჯერის მიხედვით: მ-ნ → მ-ლ (შავგვრემანი → შავგვრემალი), ნ-მ → ლ-მ (ნაღმი → ლაღმი, ნემსი → ლემსი). დაჩნდება კონტამინაციის შედეგიც (ამოდენა + ამტალა → ამტელი) და თავისუფალი შენაცვლების შემთხვევებიც (ნეკი → ლეკი).

ნ → ხშირად დაჩნდება იმავე პოზიციაში, სადაც საპირისპირო მ → შენაცვლება დაედასტურეთ, კერძოდ კბილოსმიერი ხშულებისა და წინანუნისმიერი აფრიკატების, აგრეთვე სპირანტების წინ (იხ. ზემოთ): ინდაური → იმდოური, ინტერესი → იმტერესი, დაანთა → დაამთა; გაანძრევს → გაამძრევს, განწყობილება → გამწყობილება, რადგანც → რადგამც, იალონზე → იალომზე, განსხვავებული → გამსხვავებული. ამ შემთხვევაში დაჩნდება ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაციის პროცესი (საპირისპიროდ ნ → მ პროცესისა). ჩანს, ამ პოზიციაში მ/ნ რეგლამენტირებული არ არის: ორივე დასაშვებია ერთსა და იმავე დიალექტში. დამოწმებულია თავისუფალი შენაცვლების შემთხვევები სხვა პოზიციებშიც: ნეკერჩხალი → მეკერჩხალი, შერჩენია → შერჩემია და მისთ.

ნ → ლ შეპირობებულია დისიმილაციით: მნ → მლ ნაზალობის მარჯერის მიხედვით: ქალამნები → ქალამდები (შდრ.: ქალამანი, სადაც ცვლილება არ შეინიშნა). დისიმი-

ლაცია შესაძლოა დისტანციურიც იყოს: კინღამ → კიღამ (ნ-მ → დ-მ). სხვაობა დისიმილაციის სახეობების მიხედვით დიალექტური ჩანს.

ასევე ნაზალობის მარჯვრის მიხედვით დისიმილაციით აიხსნება ნ-ნ → რ-ნ, ასევე: ნ-მ-ნ → რ-მ-ნ (სხდანან → სხდარან, სანამდინ → სარამდინ). დადასტურდა ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაციის ნიმუშიც (ნ-დ → რ-დ: ნიდაგი → რიდაგი). გვხვდება თავისუფალი შენაცვლების შემთხვევაც (ყუნწი → ყურწი // კურწი).

რაც შეეხება ნ-ნ → ვ-ნ დისიმილაციას, გამაშუალებელ საფეხურად შეიძლება ვივარაუდოთ ნ-ნ → *მ-ნ, სადაც თავის მხრივ დაჩნდება მ → ვ შენაცვლება: მოატანინა → მოატავინა, არბენინა → არბეინა. ამ რიგის ფონეტიკური ცვლილება, ჩვეულებრივ, თავს იჩენს კაუზატურ ფორმებში მაშინ, როცა ზმნის ფუძე ნ სონანტზე ბოლოვდება. არ გამოირიცხება კაუზატურის → ვინ მაწარმობელთან ანალოგიაც (გ. იმნაიშვილი). სისტემატური ხასიათი აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში (ქართლურში, მესხურში). რაჭულში¹ დადასტურდა ნ-რ → ვ-რ დისიმილაციის შემთხვევაშიც (სადინარი → სადივარი); შდრ.: ვა-ს-დვინ-დ-ა «გაედინა».

დაჩნდება როგორც საერთო იზოგლოსები (მაგალითად, ინტერესი → იმტერესი დადასტურებულია ქართლურში, იმერულში, გურულში, აჭარულში), ასევე დიალექტების მიხედვით გამოჩნული ფონეტიკური ცვლილებანი სანამდი → სალამდი (მოხეური) // სარამდინ (მესხური): ანუ: ნ → ლ და ნ-რ ერთსა და იმავე ფორმაში დიალექტურ სხვაობას იძლევა.

ზოგჯერ რთულ ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ოლონდ → ოლომ: პირველ საფეხურზე ივარაუდება ნდ → მდ → ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაციის საფუძველზე (იხ. ზემოთ). შემდგომ: მდ → მ თანხმოვნის დაკარგვის გამო.

რ → | ლ (*იმერური → იმერული, *ხორციერი → ხორციელი, *მშრარი → მშრალი, ცხრაჯერ → ცხრაჯელ, არაფერი → არაფელი, ქართლური: ინდაური → ინდაული, არხენინად → ალხენინათ, შეგირდი → შეგილდი, კახური: გაარხი(ვა) → გაალხივა, ჩარხი → ჩალხი, იმერული: ბურთი → ბულთი, კერპი → კელპი, ხურმა → ხულმა, ტირიფი → ტილიფი, ლეჩხუმური: გოგირდი → გოგილდი, ბურდი → ბულდი, გურული: უწყრება → უწყლუბა, აჭარული: ჯორგავს → ჯოლგავს).

მ (ქართლური: მოლრეცილი → მოლმეცილი, იმერული: რბილი → მბილი).

ნ (ხვესურული: გემრიელი → გემნიერი, ფშაური: რახან → ნახან // ნახა, ქართლური: ზიარი → ზიანი, უდაბური → უდაბუნი, ყლურტული → ყლურტული, იმერული: დაგვედარა → დეგვედანა, ლეჩხუმური: ათჯერ → ათჯენ, ტარტაროზი → ტანტაროზი).

რ-რ → რ-ლ საერთო ქართული წესია. დიალექტებში იგი თითქმის უგამონაკ-ლისოდ არის გატარებული: დაჩნდება იმ შემთხვევებშიც, როცა სალიტერატურო ენაში ფონეტიკური ცვლილება არ ხდება: არაფერი → არაფელი, ორ-ორი → ორ-ოლი, არ არის → არ-ალი, ცხრაჯერ → ცხრაჯელ... ზოგჯერ ამავე პოზიციაში შეინიშნება რ → ნ: ცხრაჯერ → ცხრაჯენ.

ყურადღებას იქცევს ასეთი ფაქტი: ზემოთ დასახელებული ლ → რ შენაცვლება ფორმათა ერთ ნაწილში განხორციელებული იყო რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: წყლული → წყრული, დალალი → დარალამ, ნაკლული → ნაკრული: ანუ: ლ-ლ → რ-ლ. ამის საპირისპიროდ, რ-რ → რ-ლ პროგრესული დისიმილაციის საშუალებით მიიღება: არაფერი → არაფელი. ამდენად, განსხვავებული პროცესების გზით ვიღებთ იდენტურ შედეგს: ორივე შემთხვევაში დაჩნდება რ-ლ მიმართება.

სულ სხვა ტიპისაა რ → ლ შენაცვლება ბურთი → ბულთი, ბურღი → ბულღი და მისთანა ფორმებში. ზემოთ დასახელებული იყო საპირისპირო ცვლილების ნიმუშებიც: გახლიჩა → გახრიჩა, ლხინი → რხინი და ა.შ. ანუ: ლ → რ. ღირსსაცნობია: ლ → რ შენაცვლებისას ლ სონანტის პოზიცია შეზღუდული არ არის, იგი შეიძლება იყოს თანხმოვნის წინაც (ლხინი → რხინი, ლველფი → ლვერფი) და მომდევნოდაც (გახლიჩა → გახრიჩა, წიხლი → წიხრი // წრიხი, ტლინკი → ტრინკი). რ → ლ კი, როგორც წესი, შეინიშნება მამინ, როცა რ წარმოდგენილია თანხმოვნის წინ: არხეინად → აღხეინად, ბურთი → ბულთი, ხურმა → ხულმა)უწყრება → უწყლება ტიპის ნიმუშები, სადაც რ → ლ ხდება თანხმოვნის მომდევნოდ, ფრიად იშვიათა და შესაძლოა გადააზრიანების ან კონტამინაციის შედეგი იყოს). ცვლილება დაჩნდება წვეილბა-გისმიერი ხშულისა და სონანტის (ყრპი → კელპი, ხურმა → ხულმა), კბილისმიერი ხშულების (გოგირდი → გოგილდი, ბურთი → ბულთი), უკანასასისმიერი ხშულისა და სპირანტების (ჟორგავს → ჟოლგავს, ბურღი → ბულღი, ჩარხი → ჩალხი) წინა პოზიციაში. იშვიათად ცვლილება დაჩნდება ინტერვოკალურ პოზიციაში: ტირიფი → ტილიფი...

რ → მ, მართალია, ორიოდ ნიმუშითაა წარმოდგენილი, მაგრამ მის კანონზომიერებაზე მიგვანიშნებს ამ პროცესის შექცევადობა: მ → რ (მშვეალი → რმვეალი).

რაც შეეხება რ → ნ მონაცვლებას, უმეტესად იგი სპონტანური ხასიათისა ჩანს,

თუმცა გვაქვს შეპირობებული ცვლილების შემთხვევებიც, რომლებიც განხორციელებულია ასიმილაციის (რახან → ნახან // ნახა) ან დისიმილაციის (ტარტაროზი → ტანტაროზი) საფუძველზე.

წარმოდგენილ იქნა თანხმოვანთა ფონეტიკური კორელაციები, ანუ: ნაჩვენები იყო, ესა თუ ის თანხმოვანი რა რეფლექსებს იძლევა სხვადასხვა პოზიციაში. ამგვარმა ანალიზმა წარმოაჩინა ისიც, რომ ერთი და იგივე რეფლექსი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა თანხმოვანს.

ქვემოთ წარმოვადგენთ სქემას, რომელიც გვიჩვენებს თანხმოვანთა მონაცვლეობის შედეგად მიღებულ საზიარო კორელაციებს, ანუ: გვიჩვენებს, თუ რომელი თანხმოვნების რეფლექსი შეიძლება იყოს ესა თუ ის თანხმოვანი.

ა) ხშულები.

ბ ←	ფ (ფასკუნჯი → ბასკუნჯი, ქეიფი → ქაიბი)
	პ (პატარა → ბატარა)
	მ (მრუდე → ბრუდე, მზითვი → ბზითვი)
	ვ (თვეზი → თებზი, პარასკევი → პარასკები)
	კ (კურკა → ბურკა)
	ჯ (ჯორკო → ბორკო)

ანუ: ბ შეიძლება იყოს ფ,პ,მ,ვ,კ,ჯ თანხმოვნების პოზიციური ვარიანტი.

ფ ←	ბ (სითბო → სითფო)
	პ (დაპირდა → დაფირდა)
	მ (მხარი → ფხარი)
	ვ (სავსე → სავფსე)

ანუ: ფ შეიძლება იყოს ბ,პ,მ,ვ თანხმოვნების რეფლექსი.

პ ←	ბ (ტბა → ტპა)
	ფ (ხბო → ხფო → ხპო)
	მ (მტვერი → მტფერი)

ანუ: პ შეიძლება იყოს ბ,ფ,მ თანხმოვანთა ნაცვალი.

დ ←	თ (ერთგული → ერდგული)
	ტ (ტელეფონი → დილიფონი)
	ძ (ეძება → ედება)
	ნ (ქალამნები → ქალამდები)

ანუ: დ შეიძლება იყოს თ,ტ,ძ,ნ თანხმოვნების რეფლექსი.

თ ←	დ (დიდხანს → დითხანს) ტ (ხატთან → ხათთან) ფ (ფელამეში → თელამეში) ც (ზარმაცი → ზარმათი) ქ (ფეჭმეზი → ბეთმეზი)
-----	---

ანუ: თ შეიძლება იყოს დ, ტ, ფ, ც, ქ თანხმომავნების ნაცვალა. შევნიშნავთ: ქ → თ დამოწმებულია მხოლოდ ნასესხებ ფორმაში და ამიტომაც ქართულისათვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ მივიჩნევთ.

ტ ←	დ (კლდე → კლტე//კტე) თ (აჭეთყენ → აჭტყენ) კ (კელფი → ტელფი) წ (სწორი → სტორი)
-----	--

ანუ: ტ შეიძლება იყოს დ, თ, კ, წ თანხმომავნების პოზიციური ვარიანტი.

გ ←	ბ (ბეუბნება → ეუგნება) დ (დვრიტა → გვრიტა) ქ (შიაქდა → შიაგდა) კ (აკრძალული → აგძალული) ლ (ღორ-ხბო → გორ-ხბო) მ (მზითვი → გზითვი)
-----	--

ანუ: გ შეიძლება იყოს ბ, დ, ქ, კ, ლ, მ თანხმომავნების რეფლექსი. შევნიშნავთ: მ → გ, საგარაუდოა, გაშუალებული იყოს მ → ბ საფეხურით (მზითვი → ბზითვი), თუ, საერთოდ, კონტამინაციის შედეგი არ არის (იხ. ზემოთ).

ქ ←	გ (კარგი → კარქი) კ (ჰკითხა → ჰითხა) თ (მთლად → ჯლათ//ჯლა)
-----	--

ანუ: ქ შესაძლოა იყოს გ, კ, თ თანხმომავნების პოზიციური ვარიანტი.

კ ←	გ (ბევრგან → ბევრკან) ქ (სქელი → სყელი) პ (პორფილე → კორფილე) ტ (ტიმოთე → კიმოთე) წ (წუპაკი → კუბაქი) ხ (ფორთოხალი → ფორთოკალი) ყ (ყოჩალი → კოჩალი, წყნარი → წკნარი)
-----	--

ანუ: კ შეიძლება იყოს გ, ქ, პ, ტ, წ, ხ, ყ თანხმოვნების რეფლექსი.
ბ) აფრიკატები.

ძ ← | ც (მოცვი → მოძვი)
წ (ბერწი → ბერძი)
ჭ (ჭაგარი → ძაგარი)
ზ (საგზალი → საგძალი)
დ (დევს → ძევს)

ანუ: ძ შეიძლება იყოს ც, წ, ჭ, ზ, დ თანხმოვნების პოზიციური ვარიანტი.

ც ← | ძ (ბოძი → ბოცი)
წ (ბერწს → ბერცს)
ჩ (ემჩნევა → ემცნევა)
ს (პარსავეს → პარცავეს)
თ (ფერთხამს → ფერცხამს)
ტ (ქერტლი → ქერცლი)
კ (რეიკა → რეიკა)

ანუ: ც შეიძლება იყოს ძ, წ, ჩ, ს, თ, ტ, კ თანხმოვნების ნაცვალა.

წ ← | ძ (კუნძულელი → კუნწულელი)
ც (მოციქული → მოწიქული)
ს (სირსველი → სიწვილი)
ტ (სატვირთო → საწვირთო)
კ (კინალამ → წინალამ)

ანუ: წ შეიძლება იყოს ძ, ც, ს, ტ, კ თანხმოვნების რეფლექსი.

ჭ ← | ჩ (ჩინგის-ხანი → ჭინგის-ხანი)
ქ (ჭუჭრუტანა → ჭუჭრუტანა)
ძ (ძონძი → ჭონჭი)
ჟ (ჟანგი → ჭანგი)
ზ (დაუმიზნა → დაუმიჭნა)

ანუ: ჭ შეიძლება იყოს ჩ, ქ, ძ, ჟ, ზ თანხმოვნების პოზიციური ვარიანტი.

ჩ ← | თ (ფუნთულა → ფუნჩულა)
ქ (ბექთან → ბეჩთან)
ც (გაბეცება → გაბეჩება)
შ (შიკრიკი → ჩიკრიკი)
ს (სოლოლა → ჩოლოლა, სემიჩკა → ჩემიჩკა)

ანუ: ჩ შეიძლება იყოს თ, ჰ, ც, შ, ს თანხმომავნების ნაცვალა. შევნიშნავთ: ს → ჩ დამოწმებულია მხოლოდ ნასესხებ ფორმებში.

ჰ ←	ჭ (გაისარჯეთ → გაისარჰეთ)
	ჩ (ბოჩკა → ბოჰკა)
	წ (წვეთი → ჰვეთი)
	კ (ფხაკუნი → ფხაჰუნი)
	შ (კრუშკა → კრუჰკა)
	ტ (ტვირთი → ჰვირთი)

ანუ: ჰ შეიძლება იყოს ჭ, ჩ, წ, კ, შ, ტ თანხმომავნების პოზიციური ვარიანტი. შევნიშნავთ: შ → ჰ სავარაუდოა, გამუალუბული იყოს შ → ჩ საფეხურით.

გ) ნაპრალოვები (სპირანტები).

ზ ←	ძ (მოიძულა → მოიზულა)
	წ (აიწია → ეიზია)
	დ (ოჩერედი „რიგი“ → ოჩერეზი)
	ს (საბუთი → ზაბუთი)

ანუ: ზ შეიძლება იყოს ძ, წ, ს თანხმომავნების რეფლექსი.

ს ←	ც (ციკარი → სისკარი)
	ზ. (ვაზს → ვასს)
	შ (ჩაშკა → ჩასკა)
	ჰ (პწერს → სწერს)

ანუ: ს შეიძლება იყოს ც, ზ, შ, ჰ თანხმომავნების პოზიციური ვარიანტი.

ჟ ←	ჭ (ჭდანა → ჟდანა)
	ჰ (თოვლჰყაბი → თოვლელაბი)
	ზ (ზღმარტლი → ჟღმარტლი)
	შ (დასჟის → დაშჟის → დაჟის)

ანუ: ჟ შეიძლება იყოს ჭ, ჰ, ზ, შ თანხმომავნების რეფლექსი. შევნიშნავთ: შ → ჟ შენაცვლებისას შ, როგორც წესი, მეორეულია, თავად არის ს სპირანტის პოზიციური ვარიანტი.

შ ←	ჩ (არჩივი → არშივი)
	ს (სინჯავს → შინჯავს)
	ჟ (ვაჟკაცი → ვაშკაცი)

ანუ: შ შეიძლება იყოს ჩ, ს, ჟ თანხმომავნების ნაცვალა.

ღ ←	გ (ყველგან → ყოლღან) კ (კლანჭი → ღლანჭი) ხ (იძახდა → იძაღდა) ყ (საყდარი → საღდარი) ძ (ძუნწი → ღუნწი)
-----	--

ანუ: ღ შეიძლება იყოს გ, კ, ხ, ყ, ძ თანხმომავანების პოზიციური ვარიანტი. შევნიშნავთ: დიალექტების ერთ ნაწილში ღ დაჩნდება ჰ— პირის ნიშნის პოზიცი-
აში, მაგრამ ამ დროს გამამუალებლად ყოველთვის ივარაუდება ხ: დაპლევს →
დახლევს → დაღლევს.

ხ ←	ქ (ქეყანა → ხეყანა//ხოყანა) ს (სწორი → ხწორი) ღ (მიღწია → მიახწია) კ (კელი → ხელი) ყ (ყანწი → ხანწი) ჰ (ჰყავს → ხყავს, მოჰპარა → მოხპარა)
-----	--

ანუ: ხ შეიძლება იყოს ქ, ს, ღ, კ, ყ, ჰ თანხმომავანების რეფლექსი. შევნიშნავთ:
ზოგიერთ დიალექტში დადასტურებული კ → ხ შენაცვლება არსებითად არის
ქართულში ისტორიულად განხორციელებული პროცესის გამოვლენა.

ქ ←	ქ (ქორწილი → კორწილი) ღ (მძაღე → მძაქე)
-----	--

ანუ: ქ შეიძლება იყოს ქ, ღ თანხმომავანების ნაცვალი. ეს დამახასიათებელია
მხოლოდ იმ დიალექტებისათვის, რომლებსაც დღემდე აქვს დაცული ქ.

ყ ←	კ (ყუთენის → ყუუთენის) ღ (იღბალი → იყბალი) კ (დაკოცა → დაყოცა)
-----	--

ანუ: ყ შეიძლება იყოს კ, ღ, კ თანხმომავანების ნაცვალი. შევნიშნავთ: კ → ყ
არსებითად არის იმავე რიგის მონაცვლება, რაც კ → ხ, კრძოდ, კ ფონემის
ნეიტრალიზაციის პროცესი.

ჰ ←	ს (სად → ჰად, სწორი → ჰწორი)
-----	------------------------------

ანუ: ჰ შეიძლება იყოს მხოლოდ ს თანხმომავანის პოზიციური ვარიანტი.

ა →	ჰ (მოჰქონდა → მოაქონდა) ს (მოხდევს → მოაღდევს)
-----	---

- ზ (გაზრდილი → გამარდილი)
- ც (ოცდარი → ომდარი)
- შ (მაშ → მაამ)

ანუ: ა შეიძლება იყოს პ, ს, ზ, ც, შ თანხმომავანების რეფლექსი. შევნიშნავთ: სავარაუდოა, რომ ც → ა (ასევე: შ → ა) გაშუალებული იყოს ს საფეხურით (ოცდარი → * ოსდარი → ომდარი). ხშირად პარალელურად დაჩნდება ს-იანი ფორმა (მუშტი // მუსტი, ტაშტი // ტასტი), ამიტომ შესაძლოა ს → ა პროცესი უშუალოდ იყოს განხორციელებული (მუსტი → მუმტი).

- ვ ←
 - ბ (კბილი → კვილი)
 - მ (ნემსი → ნევსი, ასხამს → ასხავს)
 - ნ (მოატანინა → მოატავინა)
 - ც (გავყვი → გავყვიცი)

ანუ: ვ შეიძლება იყოს ბ, მ, ნ, ც თანხმომავანების რეფლექსი. შევნიშნავთ: ვ → ნ ზოგ შემთხვევაში გაშუალებულია ვ → მ საფეხურით (მაღავს → მაღამს → მაღანს). ამის კვალობაზე, შუალედური საფეხური შეიძლება ვივარაუდოთ ზემოდასახელებულ შემთხვევაშიც (მოატანინა → *მოატამინა → მოატავინა). ყურადღებას იქცევს ვ → ც, რომელსაც ანალოგი არა აქვს (ყვე → ყეც). → ევ-ს სუფიქსად გამოყოფენ, მაგრამ ვ → ც შენაცვლების საკითხს ეს ვერ ხსნის.

- ფ ← ვ (ვკითხულობ → ფკითხულობ, ნავთი → ნაფთი)
- ანუ: ფ შეიძლება იყოს მხოლოდ ვ/წ თანხმომავანის რეფლექსი.
 დ) სონანტები.

- ლ ←
 - ნ (ნიშანი → ლიშანი, სანამდი → სალამდი)
 - რ (ბურღი → ბულღი, ტირიფი → ტილიფი)

ანუ: ლ შეიძლება იყოს ნ, რ თანხმომავანების რეფლექსი.

- მ ←
 - ბ (კბილი → კმილი)
 - ფ (ფრთხილი → მთხილი)
 - ნ (სანთელი → სამთელი, რახან → რახამ)
 - რ (რბილი → მბილი, მოღრეცილი → მოღმეცილი)
 - ვ (კოვზი → კომზი, კარავი → კარამი).

ანუ: მ შეიძლება იყოს ბ, ფ, ნ, რ, ვ თანხმომავანების რეფლექსი.

- ნ ←
 - ლ (რომელი → რომენი, წელი → წენი)
 - მ (ამბავი → ანბავი, ასხამს → ასხანს)
 - რ (რახან → ნახან // ნახა, უდაბური → უდაბანი)
 - დ (კიდევ → კედემ → კენემ).

ანუ: ნ შეიძლება იყოს ლ, მ, რ, დ თანხმოვნების ნაცვალთ: შევნიშნათ: მ სონანტი შეიძლება თავად იყოს მეორეული, ვ ან ბ თანხმოვნების რეფლექსი: მაღავს → მაღამს → მაღანს, აკეთებს → აკეთმს → აკეთენს. თავის მხრივ ეს ნიშნავს, რომ * ვ → ნ და * ბ → ნ უშუალოდ არ რეალიზდება. შემდეგ: ნ → დ ინგილოურში იქნა დამოწმებული ზემოდასახელებული ნიმუშით - საქმე გვაქვს ერთი ლოკალური რიგის ხშულისა და სონანტის მონაცვლეობასთან.

- რ ← ლ (ლზინი → რზინი, ნაკლული → ნაკრული)
- მ (მძევალი → რძევალი)
- ნ (ნიადგი → რიადგი, სხდანან → სხდარან)
- ვ (მავთული → მართული)
- ს (მისჯილი → მირჯილი)
- დ (დამწყვდია → დამწყვრია)

ანუ: რ შეიძლება იყოს ლ, მ, ნ, ვ, ს, დ თანხმოვნების რეფლექსი. შევნიშნათ: დ → რ მონაცვლეობა შუალედური საფეხურის მქონებლობას ვარაუდობს (რადგან იცვლება ერთდროულად ორი მარჯერი: რაგვარობა და ლოკალური რიგი).

თანხმოვანთა მონაცვლეობა საკმაოდ ხშირად დაჩნდება ფუძეგარკვევებულ (რედუქციურ) ფორმებშიც.

გარდა დიალექტებში დღესაც მოქმედი მონაცვლეობისა (პარბარი → პარპალი, *ძუნძული → ძუნძული...), გვაქვს თანხმოვანთა სუბსტიტუციის საეტიმოლოგიური შემთხვევებიც: ნიმუშად დავასახელებთ რ სონანტის ფონეტიკურ ვარიანტებს:

- რ → ფ (* შორშორი → შორშორფი საბა: „გიჟური ტყეა-ტირილი“)
- დ (* ლერღერი → ლერღედი)
- ტ (ფარფარი → ფარფატი)
- ც (* ბარბარი → ბარბაცი, * ხორხორი → ხორხოცი)
- კ (* ღირღირ- → ღირღიკა)
- ზ (* ხორხორი → ხორხოზი)
- ს (გურგური → გურგუსი)
- ყ (* ფირფირ- → ფირფიყა „ფილტი“)
- შ (* ხორხორ- → ხორხოშელა „წვრილი სეტყვა“)
- ხ (* ბორბორ- → ბორბოხი „დიდი ბორა“).

ასეთი ფორმები ხშირად დამოუკიდებლად არსებული ფუძეების რედუქციური კაციით არიან მიღებული: ლაყე → ლაყლაყ-ი, ტიე-ი → ტიეტე-ი, ბორ-ა → ბორბორ-ი, ფაშე-ი → ფაშეშე-ა, გადაი-კარ-ა → კარკარ-ი, ნი-გუზ-ალ-ი → გუზგუზ-ი...

გვხვდება ხმაბაძვითი ფორმებიც: ბუყბუყ-ი, ტყაბატყაბ-ი და მისთ.

უმეტესად კი მაინც ისეთი ფუძეები დაჩნდება, რომლებიც ამჟამად მხოლოდ რედუპლიციარებულ ფორმებში არის წარმოდგენილი: თითიმი (*თიმ-), ლიცლიც-ი (*ლიც-), კისკის-ი (კის-)...

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადად მაინც ხდებოდა დამოუკიდებელი არსებული ფუძეების გაორკეცება (რედუპლიკაცია), ოღონდ შემდგომ ეს ფუძეები ფონეტიკურად ისე არის სახეცვლილი, რომ ზოგჯერ პირვანდელი (ამოსავალი) ფუძის ამოცნობა სპეციალურ ძიებას საჭიროებს.

მაგალითად, არსებობს ფუძე როხ— (როხ-ავ-ს, შდრ.: როშ-ავ-ს), მისი გაორკეცებით მიიღება როზროხ-ი, როხ → ფუძეში მომხდარი მეტათეზისის შემდგომ დაჩნდება ხორ— ფუძე (როხ— → ხორ-, შდრ.: ეინ-ი → ნიე-ი), რომლის რედუპლიკაციით მიიღება *ხორხორ-, მისი ფონეტიკური ცვლილებით კი — ხორხოც-ი. შესაძლოა იცვალოს გახმოვანება: ხარხარ-ი, ხირხიც-ი, ხიცხიც-ი და მისთ. (შდრ.: ჭუჭლენი — ჭუჭუნენი — ჩუჩუნენი, ერთი მხრივ, და ჭუჭლენი — ჭაჭლანი — ჭიჭინი, მეორე მხრივ).

ასევე: ლაყე → ლაყლაყი: ლახლახი: ლაშლაში. ამათგან ყ:ხ მონაცვლეობა დიალექტებში დღესაც პოენიერი მოვლენაა, ხოლო ხ:შ შენაცვლების შესაძლებლობაზე მიანიშნებს ფხენის//ფშენის, როცავს //როშავს ტიპის პარალელურ ფორმათა არსებობა.

დადასტურებულა ზახ-ი „ხმაური, ყვირილი“ (შდრ.: ზახ-ილ-ი „ძახილი“), რომლის ფონეტიკურად ცვლილი ფუძე დაჩნდება ფორმაში ზაყზაყ-ი „ხმამალა, უთავბოლო ლაპარაკი“ (ლ. სანიკიძე).

გახმოვანებით არის დაპირისპირებული ფორმები ლაშ-ი/ლოშ-ნ-ი-ს, აქედან: ლაშ— → ლაშქ — (ლაშქ-ი „დარბლი“) და რედუპლიციარებული ლაშლოშ— (ლაშლოში „ხარბად ჭამა“); თავის მხრივ: ლაშქ → ლაშქრ - (ლაშქრ-ი „დარბლი“, იგივეა, რაც: „ლაშქი“).

ამ რიგის გადამგვრებანი მხოლოდ ფუძეგაორკეცებული ფორმებისათვის არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, გვაქვს ბოდ— ფუძე (ბოდ-ავ-ს), აქედან: ბოდ-ილ-ი, რომელიც იძლევა ფონეტიკურ (და ამის კვალობაზე, აგრეთვე სემანტიკურ) ვარიანტებს: ფოდ-ილ-ი, პოდ-ილ-ი (ფ. ერთელიშვილი).

ყოველივე ეს, ბუნებრივია, ხშირად აძნელებს პირვანდელი (ამოსავალი) ფუძის ამოცნობას.

ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში თითქოსდა არაკანონზომიერ ფონეტიკურ პროცესებთან გვაქვს საქმე. ფონეტიკური ცვლილების კანონზომიერებანი აქაც ზედმიწევნით არის დაკული, ოღონდ ერთმანეთის პარალელურად დაჩნდება ისტორიულად მოქმედი პროცესების შედეგი და დიალექტებში დღესაც

დადასტურებული ფონეტიკური გარდაქმნები. მაგალითად, ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში არ შეინიშნება $ხ \rightarrow შ$ ან $შ \rightarrow ხ$ შენაცვლება, მაგრამ ისტორიულად ასეთი მონაცვლეობის შესაძლებლობაზე მიანიშნებს როგორც ზემოთ უკვე ნახსენები პარალელურად დამოწმებული ფორმები (ფხენის // ფშენის), ასევე დიალექტების ერთ ნაწილში (ჩაქულში, იმერულში, ლეჩხუმურში) დღესაც პოვნიერი ს \rightarrow ხ (სწორი \rightarrow ხწორი), როცა წინანუნისმიერი (სისინა) სპირანტი გადადის უკანასასისმიერ სპირანტში (შდრ. უკანანუნისმიერი, ანუ: შიშინა და უკანანუნისმიერი სპირანტების ისტორიულად დადასტურებული მონაცვლეობა: შ/ხ). სულხან-საბა ორბელიანს დამოწმებული აქვს ხრეს-ა „მოსმით მონაყვამ“, რომელიც შესაძლოა სრეს-ა ფორმის ვარიანტი იყოს (ანუ: ივარაუდება $ხ \rightarrow ს$).


გარდა ამისა, რედუპლიცირებულ ფუძეებში ფონეტიკური შენაცვლების ზოგი (გარდამავალი) საფეხური აღარ დაჩნდება, ჩაყარდნილია. შესაძლოა გაუჩინარებული აღმოჩნდეს თვით ამოსავალი ფუძეც კი, რაც ართულებს ამ შენაცვლებათა კანონზომიერ თანამიმდევრულობაზე თვალის მიდევნებას.

ღირსსაცნობია ისიც, რომ რედუპლიცირებულ ფორმებში დადასტურებული, მაგრამ დიალექტებში ამჟამად არაპოვნიერი შენაცვლებანი ზოგჯერ თავს იჩენს სხვა შემთხვევებშიც: წვერ-ი - წვეტ-ი (რ:ტ), ღარბელ-ი \rightarrow ღარბემ-ი (ლ:შ), ყური - ყუყ-ი (რ:ყ), შდრ.: მარყუყ-ი (ფ. ერთეულიშვილი).

არ გამოირიცხება ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში არა ფონეტიკურ, არამედ მორფოლოგიურ ვარიანტებთან გვაქვს საქმე: ჰყლ-ეტ-ს და ჰყლ-ემ-ს, ა-ჰყ-ეტ-ს და ა-ჰყ-ერ-ს... გამოიყოფა — ეტ (შდრ.: ხერ-ეტ-ს, შრ-ეტ-ს), —ემ (შდრ.: თულ-ემ-ს და —ერ (შდრ.: ძგ-ერ-ს) მორფემები. ასე რომ, ამ შემთხვევაში დაჩნდება განსხვავებული მორფოლოგიური ინვენტარი და არა ტ:მ ან ტ:რ ფონეტიკური მონაცვლეობა. ამის კვლობაზე, შესაძლებელია, რომ ზემოხსენებულ ზოგიერთ ფორმაშიც ანალოგიური ვითარება გვეჩონდეს. მაგალითად, წვერ-ი და წვეტ-ი ფორმებში ვივარაუდოთ —ერ და —ეტ სუფიქსის პოვნიერება. გასათვალისწინებელია: —ეტ ფლექსიური ტიპის სუფიქსია — იცვლის გახმოვანებას (და-ა-ჰყ-ეტ-ს — და-ა-ჰყ-იტ-ა, და-შრ-ეტ-ს — და-შრ-იტ-ა). გახმოვანების ანალოგიური მონაცვლეობა თავს იჩენს წვე-ეტ-ი ფორმაშიც (თანამდევნი სემანტიკური ცვლილებით), შდრ.: წვე-იტ-ი „წვრილი, წვნიკი“. ანუ: შეპირისპირება წვეტ-ი — წვიტ-ი შესაძლებლობას იძლევა — ეტ/-იტ სუფიქსის გამოყოფისა.

ამის გათვალისწინება, თავის მხრივ, შეგვაძლებინებს ავხსნათ თანხმოვანთა შენაცვლების მიზეზი ზოგ ფორმაში. მაგალითად, გვაქვს ღრენ-ს, ღრეჯ-ს, ღრეც-ს და მისთანა ფორმები. ერთ შემთხვევაში ფუძე სრულდება სონანტზე (ღრენ-ს), ყველა სხვა შემთხვევაში — ჩქამიერ თანხმოვნებზე (ღრეჯ-ს, ღრეც-ს...). საყარაუ-


დოა,რომ პირველ შემთხვევაში გვაქვს — ენ სუფიქსი, მეორე შემთხვევაში ჩქამიერი თანხმომავანის შემცველი სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტები:



თავის მხრივ ძ:ჩ:ჭ:ც:კ მონაცვლეობა თანხმომავანთა ალტერნაციის შედეგია,რაც საფუძვლად უდევს ბგერწერის პრინციპის მიხედვით ფორმანთქმნადობას. რაც შეეხება ჯ → ჰ ან ჯ → ჩ, ც → ჩ და მისთანა მონაცვლეობებს, ისინი დღესაც მოქმედ ფონეტიკურ პროცესებს განეკუთვნება (იხ. ზემოთ თანხმომავანთა კორელაციის სქემები).

ამ ტიპის შენაცვლებანი მრავლად გვხვდება კინობითობის სუფიქსებში:ბებრ-უც-ან-ა // ბებრ-უხ-ან-ა, დუნდრ-უჟ-ა // დუნდრ-უქ-ა // დუნდრ-უც-ა // დუნდრ-უხ-ა „ჩასუქებული ქალი“ და მისთ.

იმადროულად დაჩნდება კინობითი ფორმების პარალელური მორფოლოგიური წარმოების შემთხვევებიც:



ყველა ეს სუფიქსი (—ურ, —ულ, —უნ, —უკ) დამოუკიდებელი მორფოლოგიური მონაცემია და არ ივარაუდება მათი ერთ ფონეტიკურ ინვარიანტზე დაყვანა (თუმცა თავისთავად შეუძლებელი არ არის რ → ლ ან ლ → ნ და მისთანა შენაცვლებანი).

რა თქმა უნდა, განსხვავებული თანხმომავანების პოზიციურება ყველა შემთხვევაში ამგვარად ვერ აიხსნება. მაგალითად, არავითარი საფუძველი არ უჩანს ფარფატ-ი, ხორხოც-ი ტიპის ფორმებში * -არ, *-ატ და მისთანა სუფიქსების გამოყოფას. ამკარაა,რომ აქ წმინდა ფონეტიკურ გადასვლებთან გვაქვს საჭმე. მოულოდნელია ოლონდ რ → ც, რ → ტ მონაცვლეობა. უნდა დაიძებნოს ის გამაშუალბელი საფეხურები,რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ ავხსნათ ამგვარ ფონეტიკურ შენაცვლებათა საფუძველი და მიზეზი.

ქართულში საკმაოდ გავრცელებულია თანხმომავანთა ამ რიგის ალტერნაციები:

—	—	ტუნტუთი
—	ქუნქუთი	კუნკუთი
ძუნძუთი	ცუნცუთი	წუნწუთი
ზუნზუთი	სუნსუთი	X

დასაშვებია როგორც $d \rightarrow \zeta$, $d \rightarrow \psi$, $\zeta \rightarrow \psi$ და მისთანა გადასვლები, ასევე $n \rightarrow l$ დისიმილაციის საფუძველზე.

იგივე სისტემა შესაძლოა განსხვავებული გახმოვანებით იყოს წარმოდგენილი:

დანდალი	—	ტანტალი
—	ცანცალი	წანწალი
—	ხანხალი	X
დანდალი	ხანხალი	X
X	—	ყანყალი

შდრ.: ტანტალი და ტუნტული, ცანცალი და ცუნცული, ხანხალი და ხუნხული...

ცარიელი „უჭრები“ ის პოტენციაა (მაგალითად, *თუნთული, * გუნგული ან * თანთალი, * ზანზალი), რომელსაც ენა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა გახმოვანებით წარმოდგენილი სისტემები ერთგვარად ავსებენ ურთიერთს. მაგალითად, არა გვაქვს * ზანზალი, მაგრამ დაჩნდება ზუნზული-ი და ა.შ.

გადაბგერება შეიძლება შეეხოს თანხმოვანებსაც; მაგალითად, ცანცალ-ი: ცანცარ-ი, ქუნქული-ი: ქუნქურ-ი და მისთ.

იმავედროულად შეინიშნება ასეთი ფორმებიც: ლანცალ-ი, ლანტალ-ი, ლანწალ-ი, ყანწალ-ი და სხვა მრავალი.

ყველა ამგვარი ფორმა უნდა აიხსნას როგორც კონტამინაციის შედეგი: ლანლალ-ი + ცანცალ-ი \rightarrow ლანცალ-ი, ყანყალ-ი + წანწალ-ი \rightarrow ყანწალი, ქუნქული-ი + ცუნცული-ი \rightarrow ქუნცული-ი... არსებითად ამავე რიგისაა: ბაბან-ი + ცანცალ-ი \rightarrow ბანცალ-ი და მისთ.

ანუ: გასათვალისწინებელია როგორც საკუთრივ ფონეტიკურ ცვლილებათა კანონზომიერებანი, ასევე სხვადასხვა ფორმათა კონტამინაციის („ურთიერთშელწყვის“) შესაძლებლობანიც. კონტამინაციის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნებოდა აგვეხსნა ყ:წ (ყანწალი „გამხდარი და მალალი ადამიანის სიარული“), ლ:ტ (ლანტალი „ლასლასი“) და მისთანა თანხმოვანთმონაცვლეობა.

ამის კვალობაზე, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ფარფატ-ი და მისთანანი განისაზღვროს არა როგორც ფუძერედუპლიტირებული ფორმები, არამედ როგორც კონტამინაციის შედეგი; მაგალითად, * ფარ— (შდრ.: ფართქალ-ი, ფართხენი, ფრ-ენ-ს, ფრ-თ-ა, ფრ-იალ-ი) და * ფატ— (შდრ.: ფათ-ურ-ი) იძლევა ფარფატ-ი ფორმას. ან: ფირტუ „ფილტვი“ (ძველი ქართული, დაჩნდება ზოგ თანამედროვე დიალექტშიც: ფირტე-ი) და ფიყე-ი „ფილტვი“ (დიალექტური) \rightarrow ფირფიყა „ფილტვი“. ანდა: ღინღილ-ი „უძლეურად სიარული“ + ჰინჰილ-ი „წუწუნი, თხოვნა,

ხვეწნა → ღინჭილ-ი „ლიჭინი, ხვეწნა-მუდარა“.

კონტამინაციის შედეგი დაჩნდება იმ შემთხვევებშიც, როცა რედუბლიკაცია იმთავითვე გამოირიცხება: ლარღნა//ღარღნა+ ძიღნა → ლარღგნა „ბლაგვი დანით უხეირო რისამე ჭრა“ (იმერული).

რა თქმა უნდა, კონტამინირებული ფუძეები არ შეიძლება იქნას განხილული საკუთრივ ფონეტიკური ცვლილებების თვალსაზრისით.

იმავედროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, რედუბლიკირებული ფორმები ხშირად მიიღება დამოუკიდებლოვ არსებული ფუძეების გარდაცვლით, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს ფონეტიკური გარდაქმნები. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.

ცტ-ი „დაუფიქრებლად ჩქარი“ → * ცტცტ-ი → ცერცტ-ი (რამლის ფონეტიკური ვარიანტია ჩერჩეტ-ი); ანუ: ტც → რც.

* ყუტ-ი (მღრ.: ყუნტ-ი, და-ყუნტ-ებ-ულ-ი) → * ყუტყუტ-ი → ყურყუტ-ი; ანუ: ტყ → რყ.

ფუჟ-ი → * ფუჟფუჟ-ი → ფურფუჟი/ფურფუჟ-ა, ანუ: ჟფ → რფ.

* ხიც-ი (მღრ.: ხიც-ინ-ი, შე-ხიც-ინ-ებ-ა) → * ხიცხიც-ი → ხირხიც-ი; ანუ: ცხ → რხ.

ეს ნიმუშები იმასაც ადასტურებენ, რომ რიგ შემთხვევებში სონანტის გადასვლა კი არ ხდება ჩქამიერში, არამედ, პირიქით, მორფემათა მიჯნაზე ჩქამიერ თანხმომავანთა თავმოყრის გამო ერთ-ერთი მათგანის პოზიციაში დაჩნდება სონანტი.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეები ერთი შეხედვით ფონეტიკური ვარიანტების შთაბეჭდილებას ტოვებს.

დადასტურებულია ფორმა ბენტ-ერ-ა, რომელშიც გამოიყოფა კნინობითობის —ერ-ა სუფიქსი (მღრ.: ხოკ-ი → ხოკ-ერ-ა, ხაპ-ი → ხაპ-ერ-ა...). ამდენად, ფუძეა ბენტ — (არ გამოირიცხება, რომ ნ ჩანართი იყოს; მღრ. თუშური: ბეტეე „მოსულელო კაცი“); აქედან: * ბენტბენტ-ი → ბენბეტ-ი * ბეტბეტ-ი → ბერბეტ-ი „ჩერჩეტი“.

ამდენად, ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა მნიშვნელობით მსგავსი ან სულაც იდენტური ფორმები: ცერცტ-ი, ჩერჩეტ-ი, ბერბეტ-ი. ამათგან ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია ცერცტ-ი და ჩერჩეტ-ი (იხ. ზემოთ), ხოლო ბერბეტ-ი საესეებით განსხვავებული ფუძისგანაა ნაწარმოები.

გასარკვევია ზემოთ დასახელებული ტც → რც, ტყ → რყ, ჟფ → რფ, ცხ → რხ შენაცვლების ფონეტიკური საფუძველი; ანუ: როგორ უნდა აიხსნას ტ → რ, ჟ → რ, ც → რ სუბსტიტუცია.

რიგ შემთხვევებში არ გამოირიცხება უშუალო ან გაშუალებული შენაცვლების შესაძლებლობა; მაგალითად, ც → ს (სპირანტიზაცია დისიმილაციის საფუძველზე:

*ხიცხიც-ი → ხისხიც-ი) → რ (ხირხიც-ი; შდრ.: სთველო → რთველო, სცხვენია → რცხვენია, სძე → რძე).

ამასთანავე გასათვალისწინებელია სხვა შესაძლებლობანიც:

ანალოგია: რედუპლიციკრებულ ფორმებში ხშირია სონანტზე დასრულებულ ფუძეები (ხარხარ-ი, ნარნარ-ი, ფარფარ-ი, ზანზარ-ი, დგანდგარ-ი...). ჩქამიერისა და სონანტის მონაცვლეობა ზოგჯერ სწორედ ამითაა შეპირობებული.

ორსაფეხურიანი ფონეტიკური ცვლილება: ჯერ ხდება თანხმოვნის ჩავარდნა პირველ მონაკვეთში (ამგვარი რედუპლიციკრებული ფორმები ჩვეულებრივი მოვლენაა: ბერბერ-ი → ბებერ-ი *წიპწიპ-ო → წიწიპ-ო, *ლინლინ-ი → ლილინ-ი... ამის კვალობაზე დასაშვებია ვივარაუდოთ: *ცეტცეტ-ი → ცეცეტ-ი, *ხიცხიც-ი → *ხისხიც-ი და მისთ.). მეორე საფეხურზე შესაძლოა იმავე პოზიციაში გაჩნდეს სონანტი. ამის ნიმუშებიც დაჩნდება ქართული ენის დიალექტებში: სადღეგრძელო → სადღიგრძელო (რ სონანტის ჩავარდნით და ე → ი შენაცვლებით) → სადლინგრძელო (ნ სონანტის გაჩენით). გვაქვს იმის ფაქტებიც, როცა სონანტის ჩავარდნის შემდგომ მის მეზობლად წარმოდგენილი ჩქამიერი გარდაიქმნება სონანტად: ფრთხილი → მთხილი. გარდა ამისა, მაღალი ან საშუალო აწეულობის ხმოვნიდან თანხმოვანზე გადასვლისას დიალექტებში ხშირად ჩნდება სონანტი, უპირატესად რ: უცხო → ურცხო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ ასეთი გზაც: *ცეტცეტ-ი → ცეცეტ-ი → ცერცეტ-ი (რ-ს გაჩენით).

საგანგებო ყურადღებას იქცევს აგრეთვე ამგვარი მიმართებაც: ტიტვირ-ი — ჩიჩვირ-ი. ორივე ეს ფორმა ისტორიულად არის დადასტურებული. სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: ტუჩი — „პირთ ორივე ბაგე, ტიტვირ-ი“; ჩიჩვირ-ი — „პილოს ხორთუმი“. მასვე აქვს დასახელებული ნიჩურ-ი — „ჩიჩვირი“. დადასტურებულია აგრეთვე ქვიქვირ-ი („იგივეა, რაც ჩიჩვირი“) ფორმა. მიიჩნევა, რომ ნი-ჩვირ-ი (აგრეთვე: ნი-ჩე-ი) ფორმაში გვაქვს ნი — პრეფიქსი და ჩე — ფუძე, რომელიც გარაკცეხულა ჩიჩვირ-ი (აგრეთვე: ქვიქვირ-ი) ფორმაში (ი. ყიფშიძე, ვ. თოფურია). ტიტვირ-ი „ბაგე“ და ჩიჩვირ-ი „უშნო, დიდი ბაგე, ტუჩი (ადამიანისა, ლაში (ცხოველისა)“ დღესაც გამოიყენება დიალექტებში, მაგალითად, აჭარულში (შ. ნიყარაძე). ტიტვირ-ი და ჩიჩვირ-ი ფორმათა მიმართებისას გასათვალისწინებელია როგორც კონტამინაციის შესაძლებლობა (ტუჩი-ი + ჩიჩვირ-ი → ტიტვირ-ი), ასევე ფონეტიკური ფაქტორი (ტვ: ჩე მონაცვლეობისათვის შდრ.: ტვ:ჭვ, რომელიც გავრცელებულია დასავლურ და ზოგ აღმოსავლურ დიალექტში: ტვირთ-ი/კვირთ-ი); თავის მხრივ, ქვიქვირ-ი ფორმა არ გამოირიცხავს იმ ვარაუდსაც, რომ შესაძლოა საქმე პალატალიზაციის შედეგთან გვქონდეს (ქვიქვირ-ი → ჩიჩვირ-ი)...

ამდენად, ფუძეგარაკცეხულ ფორმებში სხვადასხვა რიგის მოვლენები დაჩნ-

დება და ამიტომაც ცალსახად მათი განსაზღვრა შეუძლებელია.

შეუძლებელია ამ ფორმების მიხედვით მოქმედი ფონეტიკური პროცესების დადგენაც, რადგან მათში ხშირად სხვადასხვა ისტორიული ფორმაციის შედეგებია წარმოდგენილი.

3.16. შეპირობებულნი და სპონტანური ცვლილებანი. თანხმომავნათა სპონტანური (ანუ: შეუპირობებელი) მონაცვლეობა ქართული ენის დიალექტებში შედარებით იშვიათი მოვლენაა. ჩვეულებრივ, ეს ხდება ისეთ პოზიციასში, სადაც არ იზღუდება ლოკალური რიგით, მეღერობა-სიყრუითა ან რაგვარობით განსხვავებულ თანხმომავნათა ერთმანეთის პარალელურად გამოყენება. როგორც წესი, სპონტანურად მონაცვლეობენ ის თანხმომავნები, რომელთა შენაცვლება სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: ბ → პ (იმერული/გურული: აბა → აპა), ბ → მ (აჭარული: ბაყაყი → მაყაყი), ნ → ლ (გადახური: ნაბიჭი → ლაბიჭი), რ → ლ (იმერული: ტრიიფი → ტლიიფი), ძ → ჯ (გურული: ძირკი → ჯირკი), წ → ზ (იმერული: აიწია → ეიზია), წ → ჭ (გურული: წვეთი → ჭვეთი)... ასეთი მონაცვლეობის დროს უპირატესად პარალელურ ვარიანტებს ვადასტურებთ: აბა // აპა, ტრიიფი // ტლიიფი და მისთ. ამ შემთხვევებში საწყისი ფორმების ამოცნობა არ კირს, რადგან იცვლება მხოლოდ ერთი მარკერი. რა, თქმა უნდა, ეს არ გამოორიცხავს საფუძვლურობრივი შენაცვლების შესაძლებლობებს, მაგალითად, ბ → მ → ნ და მისთ.

გვხვდება თანხმომავნათა ისეთი სპონტანური მონაცვლეობანიც, რომელთა ანალიზები სხვა შემთხვევებში (იგულისხმება პოზიციურად შეპირობებულნი სუბსტიტუციის შემთხვევები) არა გვაქვს:

ლ → შ (ზემოიმერული: ღარბელი → ღარბეში, მოხეური: მილულეა → მილულეა, შდრ. აგრეთვე: ფუნთულა // პუნტულა → ფუნთულა).

რ → ტ (შდრ. ფშაური: კოშირი „მურჯლი, წყლისგან შეკუმშული ფქვილი“ → ქიზიყური: კოშტი „გაყინულ-გამაგრებული ქონი, ცვილი“; შდრ. აგრეთვე: კოყრი).

რ → ე (რაჭული: ყური → ყუყი „პურის ან მჭადის ყუა“).

რ → ჯ (ხევსურული: ყურა → ყუჟა „უყურო ან ყურებდაჭრილი ცხვარი“).

ღ → ჩ (პანღური → პანჩური)

ხ → ტ (მოხეური, მთიულური: კრუხი → კრუტი).

ისტორიულად დაჩნდება შ/რ მონაცვლეობა: რტო // შტო ივარაუდება (მართალია, კითხვის ნიშნით): * სტო → შტო (არნ. ჩიჭობაგა). სპირანტისა და ვიზანტი სონანტის მონაცვლეობა ქართულისათვის უჩვეულო არ არის (ცნობილი მაგალითებია: სთველი → რთველი, სძე → რძე, სძალი → რძალი). ამ რიგში არც შ:რ მონაცვლეობა უნდა იყოს მოულოდნელი (თუმცა ამ შემთხვევაში რ-ს შემცველი ფორმა ჩანს ამოსავალი; ძველ ქართულში რტო ფორმაა დამოწმებული საპირისპი-

როდ ამისა: სთუელი, სძალი, სძე). ამის კვალობაზე ღირსსაცნობია ასეთი მონაცვლოების ფაქტი: როშავს // როხავს // როტავს (ანუ: შ/ხ/ტ). როშ-ავ-ს, ნასახელარი ზმნაა: როშ-ი „საქონლისათვის მსხვილად დაფუჭილი მარცვლეული“ → როშ-ავ-ს „ძალიან მსხვილად ფუჭავს, ღერავს“, გადატანით: „უაზროდ, დაუკვირებლად ლაპარაკობს“. ნასახელარია როხ-ავ-ს ზმნაც: როხ-ი „მსხვილად დაფუჭილი მარცვლეული“ / „მსხვილი, უსწორმასწორო“ → როხ-ავ-ს. შ:ხ მონაცვლეობა ისტორიულად სხვა შემთხვევებშიც იჩენს თავს (მაგალითად, ფშენის / ფხენის). ამით გვერდით ამოუდგა როტ-ავ-ს „უჭკუოდ, უაზროდ, უთავებლოდ ლაპარაკობს, ყბედობს, როშავს“) იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). შთაბეჭდილება რჩება შ:ტ (ან ხ:ტ) მონაცვლეობისა. ზემოხსენებულის კვალობაზე, ასეთი სპონტანური შენაცვლების შესაძლებლობა არ გამოირიცხება, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მონაცვლეობისათვის ხელი უნდა შეეწყოს რატრატ-ი „ლაქლაქი / ლაყლაყი“, აგრეთვე რეტ-ი „თავბრუ“ ფორმათა არსებობას.

აქვე შევნიშნათ: როხ-ი ფუძის გაორკეცებით მიღებულია როხროხ-ი ფორმა („უშნო, ბოხი ხმით ხმამაღლა ლაპარაკი, ხმაური“). საგარეოდ, რომ როხ-ფუძეში მომხდარი მეტათეზისის საფუძველზე მიგვეღო ხორ-, რომლის რედუქციაციის შედეგია: *ხორხორ-ი → ხორხოც-ი. რ:ც გადაბგერება შესაძლოა მომხდარიყო ხიცი-ინ-ი / ხიციხიცი-ი ფორმათა გავლენით.

ამასთან დაკავშირებით: კონტამინაციას ხშირად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანხმოვანთა სპონტანურ მონაცვლეობის დროს. ზემოხსენებული ნიმუშებიც ადასტურებს ამას. შეიძლება დავასახელოთ სხვა მაგალითებიც: კერცტ-ი + ქარაქუცა / ქარაფშუტა (რომლებიც სხვადასხვა ფუძისაგან შედგენილი კომპოზიტები ჩანან; შდრ.: ქუცა „თმა — ან ბუმბულგაცენილი / გაქუცული, გაქნილი, გაიძვერა“, ფშუტი / ფშუტა / ფშუტე „ფუჭი კაკალი, მარცვალი, თავთავი“) → ქერცტ-ი. ან: კრაიხ-ი + კრაილ-ი → კრაიხ-ი.

თანხმოვანთა სპონტანურ ცვლილებებში დიდი წილი უძევს აგრეთვე ხმაბძვითობას. მაგალითად, დიალექტების მიხედვით განსხვავებულია: კრუხ-ი და კრუტ-ი; შდრ.: კრუტ-უნ-ი, კრუხ-უნ-ი, დაჩნდება აგრეთვე: კრუშკრუშ-ი „კრუხის ხმანობა“ (იხ. ზემოთ შ:ხ:ტ მონაცვლეობის სხვა შემთხვევა).

ხშირია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ფორმაში სპონტანურ ცვლილებას განიცდის ორი თანხმოვანი.

რამდენიმე ნიმუში ნათქვამის ნათელსაყოფად.

და-ქუც-მაც-ებ-ა (ქუც-მაც- - არის რედუქციარებული ფუძე ქუქ-მაქ-ი ტიპისა) -- და-კუწ-ე-ა; ანუ ქ/კ და ც/წ (მონაცვლეობენ ყრუ ფშენივიერი და ყრუ

მკვეთრი თანხმოვნები ერთი და იმავე ლოკალური რიგისა).

ფუნთულა-პენტულა; ანუ: ფ/პ და თ/ტ (აქაც მონაცვლეობენ ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთრი თანხმოვნები ერთი და იმავე ლოკალური რიგისა). იმავდროულად დაჩნდება ასეთი ფორმაც: ფუნჩულა, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ყრუ ფშვინვიერი ხშული (თ) და ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი (ჩ).

ბენტერ-ი (→ ბენტერა „ჩერჩეტი, ყეყეჩი“) — ბენტელ-ი (მდრ.: ბანცალ-ი); ანუ: ტ/ც და რ/ლ (მონაცვლეობენ ყრუ მკვეთრი ხშული და ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი, აგრეთვე სონანტები).

ხიკინ-ი — ლიტინ-ი; ანუ: ხ/ღ და ც/ტ (მონაცვლეობენ ყრუ და მკვეთრი სპირანტები, აგრეთვე ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი და ყრუ მკვეთრი ხშული). დაჩნდება აგრეთვე ხიჩინ-ი ფორმა (ც/ჩ მონაცვლეობით). ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: ერთმანეთს ეხამება ყრუ ფშვინვიერები (ხ-ც) ერთ შემთხვევაში და მკვეთრი და ყრუ მკვეთრი (ღ-ტ) მეორე შემთხვევაში.

სპონტანური სუბსტიტუციის სპეციფიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს რედუპლიკირებულ ფორმებში ფუძის მეორე სემანტის თავიკიდურა კომპლექსის შეცვლა მა/-მე მარცვლით: ყუჭ-მაჭ-ი, ტოტა-მატა, ცუღ-მაღ-ი, ქოხ-მახ-ი (ა.შანიძე). დამახასიათებელია უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის, სადაც ამგვარ წარმოებას ფართო გასაქანი ეძლევა: კალო-მალო, წყალო-მალო, ქვაბი-მაბი, ერბო-მერბო, ყველი-მელი და მისთ. ზოგჯერ წარმოდგენილია გათიშულად: „არც ძვალი, არც მალი არ იყო“ (გვახუჩრი).

ხშირად თანხმოვანთა სპონტანური მონაცვლეობის თანამდევია სემანტიკური ცვლილებაც.

მაგალითად, ყურ-ი და რაჭული: ყუყ-ი (იხ. ზემოთ), ლეჩხუმური: ბიკვი „სკა“ — ბიხვი „ხის დამპალი ძირი“, ან თუნდაც საერთო ქართული: კვეთ-ს — კვეც-ს...

თანხმოვანთა სპონტანურ მონაცვლეობას მოჰყვება (უფრო ზუსტად: რეგულარულ) ფონეტიკურ პროცესთა რიგში ვერ განვიხილავთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაჩნდება პოზიციურად შეპირობებულ ცვლილებათა ანალოგიური მოვლენები (იგულისხმება ბ → ფ, ბ → პ, ბ → მ, ფ → პ და მისთანა შენაცვლემანი).

თანხმოვანთა მონაცვლეობა, ჩვეულებრივ, ფონეტიკური გარემოცვითაა შეპირობებული, თვით შენაცვლებას კი სხვადასხვა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს:

ასიმილაცია: აღსარება → ახსარება, ტბა → ტბა...

დისიმილაცია: კანონი → კანოლი // კალონი, ამბავი → ანბავი...

მიდრეკილება განსაზღვრული ტიპის კომპლექსისაკენ, რაც ხშირად ასიმილაციით (სახლამდი → სახლანდი, მტერი → მტერი, მთა → მთა...) ან დისიმილაციით (ხატავს → ხატამს, სქელი → სქელი) ვლინდება. თანხმოვანთა შეხამების თვალსაზრისით აქ

სუპერაციის საჭიროება არ ივარაუდება, მაგრამ თუკი ცვლილება მაინც ხდება, ამას დიალექტური ტენდენციები განაპირობებს.

შენაცვლება შეიძლება მოხდეს:

ა) რაგვარობის მიხედვით ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში: აკეთებს → აკეთემს (ბ → მ: ხშული → სონანტი), ასხამს → ასხავს (მ → ზ / ვ: სონანტი → სპირანტი), კოვზი → კობზი (ზ / ვ → ბ: სპირანტი → ხშული)...

ბ) მელერობა-სიყრუის მიხედვით ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში: ათბობს → ათფოფს (ბ → ფ: მელერი → ყრუ ფშვინიერი), ტბა → ტპა (ბ → პ: მელერი → ყრუ მკვეთრი), პატარა → ბატარა (პ → ბ: ყრუ მკვეთრი → მელერი), სჭელი → სკელი (ქ → კ: ყრუ ფშვინიერი → ყრუ მკვეთრი)...

გ) ლოკალური რიგის მიხედვით ერთი რაგვარობისა და მელერობა-სიყრუის ფარგლებში: ეუზნება → ეუზნება (ზ → გ: მელერი ხშული წვევლაგისმიერი → მელერი ხშული უკანასასისმიერი), სინჯავს → მინჯავს (ს → შ: ყრუ სპირანტი წინანუნისმიერი → ყრუ სპირანტი უკანანუნისმიერი)...

ესაა თანხმოვანთმონაცვლობის ყველაზე უფრო გავრცელებული შემთხვევები (იგულისხმება რაოდენობრივი მხარე).

საკმაოდ ხშირია, აგრეთვე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის ნიმუშები, რომლებიც ორი ნაირსახეობით ხორციელდება: ა) ლოკალური რიგების მიხედვით ცვლილება: მონაცვლობენ ხშული და აფრიკატი: კინლამ → წინლამ (კ → წ), ტვირთი → ჭვირთი (ტ → ჭ), ერთი მხრივ, და სწაელობს → სტაელობს (წ → ტ), ფიცხლავ → ფითხლავ (ც → თ), მეორე მხრივ; მართალია, აქ შეცვლილია რაგვარობა (ხშული → აფრიკატი ან აფრიკატი → ხშული), მაგრამ აფრიკატები, მარჯვრთა ფარდობითობის პრინციპის თანახმად (იხ. ზემოთ:...3) დასახელებულ პოზიციებში ხშულის სტატუსით დაჩნდება და, ამდენად, ეს შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მარჯვრის (ლოკალური რიგის) მიხედვით შენაცვლება; ბ) რაგვარობის მიხედვით ცვლილება: მონაცვლობენ სპირანტი და აფრიკატი ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში: წელზე → წელძე, არსად → არკათ, ჟინი → ჯინი, ერთი მხრივ, და ცხიმი → სხიმი, აიწია → ეიზია, არჩივი → არშივი, მეორე მხრივ.

ერთზე მეტი მარჯვრის შენაცვლება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხორციელდება საფეხურეობრივად: მაღ-აგ-ს → მაღ-ამ-ს (სპირანტი → სონანტი) → მაღ-ან-ს (წვევლაგისმიერი სონანტი → კბილისმიერი სონანტი); პირველ შემთხვევაში იცვალა რაგვარობა, მეორე შემთხვევაში → ლოკალური რივი. ამის კვალობაზე, იქაც, სადაც თანხმოვანთა საფეხურეობრივი შენაცვლება ფაქტობრივ არ დასტურდება, უნდა ვივარაუდოთ გარდამავალი საფეხურის ოდინდელი არსებობა: მოატანინა → [*მოატამინა] → მოატაგინა (მესხური), დაუმინა → [*დაუმინა] → დაუმინა (ქართლ-)

რი). ზოგჯერ ცვლილების სხვადასხვა საფეხური დაკულოა სხვადასხვა დიალექტში: სწორი → ჰწორი (სამხრეთ კართლური) → ხწორი (რაჭული, იმერული, ლეჩხუმური).

მარკერების ცვლის მიხედვით თანხმობენი სხვადასხვაგვარ ტენდენციებს ამჟღავნებენ. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს ნათქვამის ნათელსაყოფად.

- ბ → ფ (სითბო → სითფო), პ (ტბა → ტპა): იცვლება მჟღერობა (მჟღერი → ყრუ);
- ჟ / ვ (იცნობს → იცნოვს), მ (კბილი → კმილი): იცვლება რაგვარობა (ხშული → სპირანტი, ხშული → სონანტი);
- გ (ეუბნება → ეუგნება): იცვლება ლოკალური რიგი (წყვილბაგისმიერი → უკანასასისმიერი).

ანუ: ცვლილება ხდება სამივე მარკერის მიხედვით.

- გ → ქ (კარგი → კარქი), კ (ერთგან → ერთკან): იცვლება მჟღერობა (მჟღერი → ყრუ);
- ღ (ყველგან → ყოლღან): იცვლება რაგვარობა (ხშული → სპირანტი).

ანუ: ცვლილება ხდება ორი მარკერის მიხედვით (მჟღერობისა და რაგვარობისა).

- ჰ → ს (პტარის → სტარის), ხ (მიპყავს → მიხყავს): იცვლება ლოკალური რიგები.

ანუ: ცვლილება ხდება ერთი მარკერის მიხედვით. შეენიშნავთ: ჰ → ა (დაბბარავს → დაბბარავს) შენაცვლება სპეციფიკურია და ამგვარად არ ვითვალისწინებთ.

ასე რომ, თანხმობენი შესაძლოა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ცვლილების პროტენციის მიხედვით.

თავის მხრივ ეს გვიჩვენებს თითოეული თანხმობენის კორელაციის უნარს. მაგალითად, ბ ხშულის კორელატები აღმოჩნდება: მჟღერობის მიხედვით: ფ და პ, რაგვარობის მიხედვით: ჟ / ვ და მ, ლოკალური რიგის მიხედვით გ. ასევე: გ ხშულისა — მჟღერობის მიხედვით: ქ და კ, რაგვარობის მიხედვით: ღ და ა.შ.

თანხმობანთა კომპლექსი, რომელიც ერთ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილების შედეგია (სწ → სტ: სწორი → სტორი), მეორე შემთხვევაში (როცა თავად არის ამოსავალი) შესაძლოა თვით იჩენდეს მიდრეკილებას ცვლილებისაკენ (სტოლი → შტოლი). ორივე ფონეტიკური ნაირსახეობა ზემომიერულში დაჩნდება.

შემდეგ: ზემოთაც აღინიშნა, რომ თანხმობანთა ცვლილების იდენტურ შედეგს საფუძვლად შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი. მაგალითად, გ → კ ერთ შემთხვევაში ასმილიაციის შედეგია (გტოვებს → კტოვებს), მეორე შემთხვევაში — დისიმილიაციისა (აქარული: გიტარა → კიტარა), მესამე შემთხვევაში — სპონტანური შენაცვლებისა (ხევსურული: ბევრგან → ბევრკან, ერთგან → ერთკან).

ქართული ენის დიალექტებში ფონეტიკურად ცვლილი თანხმოვანი ზოგჯერ თვით ახდენს უკუგაგულებას ცვლილების გამომწვევ თანხმოვანზე: საყდარი → პრ-გრესული ასიმილაციით: საყტარი → რეგრესული დისიმილაციით: სახტარი (იმერული, გურული), ამიკძალა → ამიკძალა → რეგრესული ასიმილაციით: ამიკძალა → დეზაფრიკატიზაციით: ამიგზალა (აჭარული); უკანასკნელ შემთხვევაში გდ კომპლექსში მარკერთა ფარდობითობის პრინციპის შესაბამისად ძ იჩენს მიდრეკილებას სპირანტიზაციისაკენ, რაც რეალიზდება კიდევ:

თანხმოვანთა შეპირობებული მონაცვლეობა, როგორც წესი, სისტემის დონეზე ხორციელდება (შესაძლოა სისტემის საკუთრივ რომელიმე რგოლი არ იყოს რეალიზებული, მაგრამ მისი შესაძლებლობა საერთო ჩვენებით იგარაუდებოდეს).

დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

ა) მყლერობა-სიყრუის მიხედვით (მყლერი → ყრუ ფშვინვიერი, მყლერი → ყრუ მკვეთარი, ყრუ ფშვინვიერი → მყლერი...):

ბ → ფ (სითბო → სითფო)

ბ → პ (ტბა → ტპა)

ფ → ბ (ჭეიფი → ჭაიბი)

ფ → პ (ხბო → ხფო → ხპო)

პ → ბ (პატარა → ბატარა)

პ → ფ (დაპპირდა → დაფირდა)

ბ) ლოკალური რიგის მიხედვით (წყვილბაგისმიერა → უკანასასისმიერა):

ბ → გ (ბზობა → გზობა)

ფ → ქ (?)

პ → კ (პორფილუ → კორფილუ)...

გ) რაგვარობის მიხედვით (ბშული – სპირანტი):

გ → ლ (ყველგან → ყოლლან)

ქ → ხ (ქვეყანა → ხვეყანა // ხოყანა)

კ → ყ (კმაყოფილი → ყმაყოფილი).

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევებშიც მოქმედებს დაშვება-აკრძალვის წესები.

მაგალითად, დასაშვებია ბ → ჭ / ვ (იცნობს → იცნოვს, ეუბნება → ეუბნევა), მაგრამ არ დასტურდება ფ → ჭ / ვ (თუმცა საპირისპირო ჭ / ვ → ფ გარდაქმნა ხშირია)

და პ → ჭ / ვ. ანუ: წყვილბაგისმიერთა ლოკალურ რიგში სპირანტი ჭ / ვ შეენაცვლება მხოლოდ მეღერ ხმულს, ხოლო ამის საპირისპიროდ სპირანტს შეიძლება ცვლიდეს მეღერი და ყრუ ფშვინიერი ხმულები (თევზი → თებზი, საესე → საფესე).

ასევე: დასაშვებია ბ → მ (კბენს → კმენს) და ფ → მ (ფრთხილი → მთხილი), მაგრამ არ შეინიშნება პ → მ.

ღირსსაცნობია, რომ თანხმოვანთა შენაცვლება შესაძლოა განხორციელდეს ლოკალური რიგების პრინციპით:

რბ → რბ (?) — რფ → რფ (?) — რპ → რპ (კელი)

რდ → რდ (გოგილი) — რთ → რთ (ბული) — რტ → რტ (?)

რძ → რძ (?) — რც → რც (?) — რწ → რწ (ბელწი)

რლ → რლ (ბული) — რხ → რხ (ჩაღი)

რმ → რმ (ხულმა)

ასეთი ვითარება დაჩნდება მაშინაც, როცა ერთსა და იმავე რიგში განსხვავებული შენაცვლებანი გვაქვს.

ერთი მხრივ:

ვღ → ვღ (ამდარი) — ვთ → ვთ (ნამთი) — ვტ → ვტ (ამტობუსი)

ვგ → ვგ (საკ. სახ.: ემგენი) — ვქ → ვქ (ნიამქარი) — ვკ → ვკ (კამკასია)

ვზ → ვზ (კომზი) — ვს → ვს (სამსე)

ვჟ → ვჟ (?) — ვშ → ვშ (ბომში/ბამში)

ვღ → ვღ (?) — ვხ → ვხ (გამხარი)

ვლ → ვლ (თომლი)

ვნ → ვნ (მამნებელი)...

მეორე მხრივ:

მღ → მღ (სინდიდარი) — მთ → მთ (დედანთილი) — მტ → მტ (დაანტერია)

მგ → მგ (განგეობა) — მქ — მქ (?) — მკ → მკ (რანკები)

მძ → მძ (?) — მც → მც (უნცროსი) — მწ → მწ (დანწიფება)

მჟ → მჟ (?) — მჩ → მჩ (ეინჩატა) — მქ → მქ (სანქდეური)

მზ → მზ (?) — მს → მს (სანსახური)

მღ → მღ (ინდერებს) — მხ → მხ (განხილა)...

შეგნიშნავთ: რამკები (რუსული გზით) „ჩარჩოები“.

შდრ.:

ნღ → ნღ (დეემლო) — ნთ → ნთ (სამთელი) — ნტ → ნტ (იმტერესი)

ნგ → ნგ (საგამგებო) — ნქ → ნქ (?) — ნკ → ნკ (?)

ნძ → ნძ (?) — ნც → ნც (გამცხადება) — ნწ → ნწ (?)

ნზ → მზ (ზ) — ნს → მს (ჩამს)...

ყველა ნიმუში ზემოიწერული კოლოკაციდანაა დასახელებული.

ამრიგად, მდ, მთ, მტ ერთ შემთხვევაში თვით არის ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად მიღებული კომპლექსები და მათი შემდგომი ცვლილება აღარ ხდება, ხოლო მეორე შემთხვევაში მდ, მთ, მტ პირველადი კომპლექსებია, რომელთაც ცვლის ნდ, ნთ, ნტ; ამის საპირისპიროდ პირველადი ნდ, ნთ, ნტ კომპლექსები გარდაიქმნება მდ, მთ, მტ კომპლექსებად და ა.შ.

ვდ → მდ და მისთანანი (ანუ: ვ + ხშული, აფრიკატი, სონანტი) რაგვარობის მიხედვით ასიმილაციას გულისხმობს, ვშ → მშ, ვხ → მხ (ვ + სპირანტი), პირიქით, დისიმილაციას იმავე ნიშნის მიხედვით.

მდ → ნდ და მისთანა შენაცვლების შემთხვევაში ლოკალური რიგის მიხედვით ასიმილაციასთან გვაქვს საჭმე, ხოლო ნდ → მდ და მისთანანი დისიმილაციის შედეგია.

3.17. ო რ შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ი ა ნ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ ი ქ ა - რ თ უ ლ ი ე ნ ის დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი . ქ ა რ თ უ ლ შ მ ი დ ა ჩ ნ დ ე ბ ა ო რ -, ს ა მ -, ო თ ხ -, ხ უ თ — და ეჭვსშემადგენლიანი კომპლექსები (ფლეთს, თაფლი, ხბო... ჯენცს, უბღვერს... გრჯლა, წყლტუ... მკარხხალი, ამსხვრეეს. ბრდენის, ფრკცენის...). ამათგან ყველაზე ხშირია ორშემადგენლიანი კომპლექსები, შედარებით ნაკლებია სამშემადგენლიანები. რაც შეეხება ხუთ — და ეჭვსშემადგენლიან კომპლექსებს, მათი ფრიად მცირე რაოდენობა დაჩნდება.

კომპლექსები შესაძლოა იყოს პირველადი და მეორადი.

პირველადია იმთავითვე მოცემული კომპლექსები: კბ (კბილი), ბდ (კაბდო), მხ (მხარი), კვლ (კვლიაფი)...

მეორადია კომპლექსი, რომელიც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიიღება: კბ (კაკაბი → კაკბის), ბდ (ნაბადი → ნაბდის), მხ (მნახე → ნამხე), კვლ (კვალი → კვლის)... მეორადი კომპლექსები, ჩვეულებრივ მიიღება თანხმოვნის განვითარებით ან დაკარგვით: მბ (ბალი → მბალი), გძ (გრძელი → გძელი), ხმოვნის რედუქციით: თლ (თალა → თლის), ბჟრ (აბჟარი → აბჟრის), მეტათეზისით: ვხ (ვნახე → ნავხე), ზრ (ზურგი → ზრუგი), აგრეთვე ასიმილაციით: ტპ (ტბა → ტპა) და დისიმილაციით: ბყ (ბყრობს → იბყრობს).

პოზიციის შესაბამისად კომპლექსები სამი სახისაა:

ა) კომპლექსები, რომლებიც მხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში გვხვდება: კბ (კბილი), ხტ (ხტება), ტყ (ტყვილი), თბ (თბილი)...

ბ) კომპლექსები, რომლებიც მხოლოდ მორფემათა მიჯნაზე დაჩნდება: სს (სარგსს), ლთ (ბედთან), ვბ (ვბარაე), ბთ (აყეთებთ)...

გ) კომპლექსები, რომლებიც გვაქვს როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე: მპ (ლამპარი, მ-პარავი), რდ (ბარდა, წერ-დ-ა), გმ (გმირი, ზოგ-მა), გდ (გდია, გ-დვენის)...

კომპლექსი შესაძლოა იყოს ფონეტიკურად შეთავსებადიც და შეუთავსებადიც. შეუთავსებადი შეიძლება აღმოჩნდეს პირველადი კომპლექსიც და მეორადიც; მაგალითად, ბჟ (ბჟობს, საბჟო), პირველადია, თჟ (აჟეთ-ჟენ) მეორადი. ორივე შემთხვევაში თავს იჩენს შესაბამისი ფონეტიკური პროცესი (ბჟობს → პჟობს, აჟეთჟენ → აჟეტჟენ). შევნიშნავთ: შეთავსებადობა ხშირად დიალექტების მიხედვით განსხვავებულ მოვლენას; მაგალითად, ტბ კომპლექსი, როგორც წესი, უცვლელია აღმოსავლურ დიალექტებში, მაგრამ დასავლური დიალექტების უმეტესობისათვის შეუთავსებადი აღმოჩნდა და ამიტომაც, ჩვეულებრივ, იცვლება (ტბა → ტბა) პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე.

რაგვარობის მიხედვით შეხამებისას ორ შემადგენლიანი კომპლექსები ქართულში თექვსმეტ ვარიანტს გვიჩვენებს.

შევნიშნავთ: პირველით აღინიშნება ერთი მორფემის ფარგლებში პოვნიერი კომპლექსი, მეორეთი --- მორფემათა მიჯნაზე დადასტურებული.

ა) ხშული + ხშული.

მ1 შესაძლებლობიდან დაჩნდება შემდეგი კომპლექსები.

II \ I	ბ	პ	ფ	დ	ტ	თ	გ	კ	ქ
ბ	-	-	-	+	-	+	+	+	-
პ	-	-	-	+	+	+	-	+	-
ფ	-	-	+	+	+	+	+	+	+
დ	+	-	+	+	-	+	+	+	+
ტ	+	+	+	+	+	+	-	+	+
თ	+	+	+	+	+	+	+	+	+
გ	+	+	+	+	+	+	+	+	+
კ	+	+	-	+	+	+	-	+	+
ქ	+	-	+	+	+	+	-	-	+

ბდ (I. აბდაუბდა, აბდალი, ნაბდიანი, 2. კრებდა), ბთ (I. ბაბთა, 2. ამკობთ), ბგ (I. ბგერა, აბგა), ბჟ (I. ბებჟი, ბუბჟო, აბჟურებს // აკჟურებს).

პდ (ხერპება), პტ (I წიპტარა, იმერული: დაკაპტოვება, პტული), პთ (2. სხეთ), პკ (I. აპკი, აკჟურებს).

ფფ (2. იაფფასიანი), ფდ (2. დაფდაფი, ლაფდასხელი: მეფდება, კრეფდა), ფტ

(1. ლოფტი) ფთ (1. ფთილა, აფთარი, სუფთა, 2. თოფთან, კრეფთ), ფგ (2. თოფგადა-კიდებული), ფყ (1. ჩაფყანი), ფქ (1. ფქილო, ფიფქი, 2. ქაფქარი).

ღბ (2. ბუღბუღი), ღფ (2 ქედფიცხელი), ღდ (2. დიდღება, შედღედა, ქედღალა-კვილი), ღთ (2. ხიდთან, წმენდთ), ღგ (1. დგას, ადგილი, დუღგა, დგაფუნი), ღყ (1. დუღყო, 2. ბედკეთილი), ღქ (2 ქედქედ).

ტბ (1. ტბა, ხობტა, ლობტარი, 2. ბუტბუტი), ტპ (1. გურული, იმერული: ტბა → ტპა), ტფ (1. პლატფორმა, 2. ფუტფუტი), ტდ (2. წყვეტდა, ხვეტდა), ტტ (2. გურუ-ლი, იმერული: წყვეტდა → წყვეტტა), ტთ (2. ხატთან, წყვეტთ), ტყ (1. ტყენა) ტყაცანი, ფუტყარი, ბატყანი, ბუტყო, 2. აქეთყენ → აქეტყენ), ტქ (2. ქიტქიტი).

თბ (1. თბილი, თბე, თითბერი), თპ (2. ერთპიროვნული), თფ (1. თბილი → თფილი, 2. ფათფათი, ერთფეროვანი), თდ (2. ცვეთდა, ფეთდება, მათდა, თვითდინება), თტ (2. ერთტომეული), თთ (1. თრთის → თთის, 2. მათთან, კეთთ), თგ (2. მათგან, ერთგან, თვითგანვითარება), თყ (2. ათყეცი, კუთყეთი), თქ (1. თქორი, თქერს, ფეთქავს, ხვითქი, 2. ქოთქოთი).

გბ (1. ძველი: აგბობს, 2. გბერავს, ბაგბაგი), გპ (2. გაბარსავს, გაბარავს), გფ (2. გფარავს, შეგფერის), გდ (1. გდია, აგდებს, 2. გდევნის), გტ (2. გტაცებს, გტოვებს), გთ (1. ბეგთარი // ბექთარი, 2. გთხოვს), გგ (2 გგავს, გგონია), გყ (2 გყითხავს, გაადრულობს), გქ (2. გქონია, გქირდავს).

კბ (1. კბილი, კბენს, კბოდე), კპ (1. კბილი → კპილი), კდ (1. კდემა, 2. ბანაკდება), კტ (1. კლდე → კტე, 2. ტიკტიკი, რიკტაფელა), კთ (2. ფხკთ, ნეკთან), კყ (2. კყითხა, → კყითხა, გაადრულობს → კყადრულობს), კქ (2. იტაკქეშეთი).

ქბ (1. ფქილი → ქფილი → ქბილი), ქპ (2. გაპირდება → ქპირდება) ქფ (1. ფქილი → ქფილი), ქდ (2. ზნექდა, სუქდება), ქტ (1. ნექტარი, აქტი, 2. გტოვებს → ქტოვებს), ქთ (მუქთი, 2. ზნექთ, ნაქთან), ქყ (გყითხა → ქყითხა), ქქ (გქონია → ქქონია).

ამათგან ტბ, ტტ, თთ, კტ, კპ, კბ, ქფ, კპ, ქქ კომპლექსები დაჩნდება მხოლოდ ფონეტიკური ცვლილების შედეგად, მაგრამ მათი რეალურობის გამო საჭიროდ ვცანით ისინიც წარმოგვედგინა. შევნიშნავთ: აქ არ ვითვალისწინებთ უცხო ენები-დან უმართებულოდ გადმოღებულ ფორმებს: აკტი „აქტი“, აკტეონი „აქტეონი“ და მისთ. (თუმც თვით კომპლექსი ბუნებრივია ქართულსათვის).

ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენცია დაჩნდება რამდენიმე შემთხვევაში.

მელერი + ყრუ მკვეთარი → ყრუ მკვეთარი + ყრუ მკვეთარი რეგრესული ასიმილა-ციით: ბებკი → ბებჰკი, დუღყო → დუღტყო, გყითხა → გკითხა; ან: მელერი + ყრუ მკვეთარი → ყრუ ფშვინფიერი + ყრუ მკვეთარი რეგრესული ასიმილაციით: გაპირდება → ქპირდება, გყითხა → ქყითხა.

მელერი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი რეგრესული ასიმილაციით: ამკობთ → ამკოფთ, ხილთან → ხითთან, გთხოვს → ქთხოვს.

ყრუ მკვეთარი + მელერი → ყრუ მკვეთარი + ყრუ მკვეთარი პროგრესული ასიმილაციით: კბილი → კბილი, ტბა → ტბა.

ამავე კომპლექსში შესაძლოა დაჩნდეს სხვა რიგის ფონეტიკური ცვლილებებიც: ყრუ მკვეთარი + მელერი → ყრუ მკვეთარი + სონანტი/სპირანტი: კბილი → კბილი/კვილი. სპეციფიკური მოვლენაა კომპლექსის გათიშვა ხმოვნით: კბილი → კბილი.

ყრუ მკვეთარი + ყრუ მკვეთარი → მელერი + ყრუ მკვეთარი რეგრესული დისიმილაციით: აბკურებს → აბკურებს.

ყრუ მკვეთარი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი რეგრესული ასიმილაციით: სხებთ → სხეფთ, ხატთან → ხათთან, ფხეკთ → ფხექთ.

ყრუ ფშვინვიერი + მელერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი პროგრესული ასიმილაციით: თბილი → თფილი, ფვოდება → ფფოთება, სუქდება → სუქთება. ეგვე კომპლექსი შესაძლოა სხვაგვარ რეფლექსებსაც იძლეოდეს; მაგალითად, ყრუ ფშვინვიერი + მელერი → მქლერი + მქლერი: ერთგან → ერდგან (მორფემათა მიჯნაზე), ან: → ყრუ ფშვინვიერი + სპირანტი: თბილი → თვილი (ერთი მორფემის ფარგლებში).

ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთარი → ყრუ მკვეთარი + ყრუ მკვეთარი რეგრესული ასიმილაციით: მთკენ → მატკენ, ათკეცი → ატკეცი, ნექტარი → ნექტარი. სხვაგვარი შედეგი (დისიმილაციური გამქლერება) დაჩნდება ამ შემთხვევაში: ლიფტი → ლოფტი (აქ არ გამოირიცხება ლიქტი → ლიფტი შენაცვლებაც, რაც არსებითად ამავე პროცესის შედეგია).

ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + მელერი პროგრესული დისიმილაციით: ფქილი → ქფილი → ქბილი. დაჩნდება რეგრესული ასიმილაციის შედეგიც: ფრთხილი → ფთხილი → ბთხილი.

დიალექტების მიხედვით განაწილება ასეთია: რეგრესული ასიმილაცია მეტნაკლებად დაჩნდება ქართული ენის ყველა დიალექტში, პროგრესული ასიმილაცია უპირატესად დასავლური დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი.

ყრუ მკვეთართა და მელერთა შედგენილ კომპლექსში ცვლილება მელერი → სონანტი (კბ → კმ) შეინიშნება რამდენიმე დიალექტში (გურულში, იმერულში, თუშურში...), სონანტის ნაცვლად სპირანტი (კბ → კე) დაჩნდა მთიულურში. გვაქვს პარალელური რეფლექსებიც (გურული: კბ → კმ // კე).

თანხმევანთკომპლექსის გათიშვა ხმოვნით დამახასიათებელია აქარულიათვის (კბილი → კბილი).

დისიმილაციური გამქლერება დიალექტების მიხედვით არ იზღუდება, თუმცა ხშირად არ არის განხორციელებული.

დაჩნდება მეტათეზისის შემთხვევები: შეტობა → აქარული: შეპოტვა.

ბ) ხშული + ხშირანტი.

90 შესაძლებლობიდან დადასტურდა შემდეგი კომპლექსები.

I \ II	ზ	ხ	შ	შ	ღ	ხ	კ	ყ	ჭ	ც
ბ	+	+	+	+	+	-	-	+	-	+
ქ	+	+	-	+	-	-	-	+	-	+
ფ	+	+	-	+	-	+	-	-	-	+
ღ	+	+	-	+	+	+	-	-	-	+
ტ	+	+	-	+	-	+	-	+	-	+
თ	+	+	-	+	+	+	-	-	-	+
გ	+	+	+	+	+	+	+	+	-	+
ძ	+	+	+	+	-	-	-	+	-	+
ქ	+	+	-	+	-	+	-	+	-	+

ბზ (I. ბზა, ბზე, ბზეკს, აბზინდა, 2. გობზე, კარებზე), ბს (I. აბსოლუტური, 2. კარებს, კრებს, აშენებს), ბე (I. ბეიტი, ბეირი, ბეოლა, ბეუტავს, ბეუტური), ბშ (2. გობში, კარებში), ბღ (I. ბღარტი, ბღერტს, ბღავის), ბყ (I. იყრობს → იყრობს).

ბუ (2. კობზე, კობზე), ბხ (2. კობს, სხებს), ბკ (2. კობში, კობში), ბყ (I. საყარი, ყაყი, 2. ყაყაძი).

ფზ (2. თოფზე, თოფზარბაზანი), ფს (I. ფსელი, ფსალმუნი, ფსიტი, 2. თოფს, კრეფს, ყოფს, ფშ (I. ფშა, თეფში, ლაფშა, 2. თოფში), ფხ (I. ფხა, ფხეკს, აფხავებს, იფხორება), ფკ (I. მთიულური: ფკიჭა ყველის მატლი“).

ღზ (2. ბეღზე, ჰეღზე), ღს (2. ბეღს, ჰეღს, წარწყმედს), ღშ (2. ბეღში, ბეღშიაფი), ღღ (I. ღღე, ღღაბნის), ღხ (2. ღღახანი).

ტზ (2. ნახატზე, წვეტზე), ტს (2. ნახატს, წყვეტს), ტშ (2. ნახატში, კალაპოტში), ტხ (2. მეტხანს), ტყ (I. ტყე, ტყემალი, ტყეპს, ტყვის).

თზ (2. თითზე, საათზე), თს (2. თითს, ცვეთს), თშ (2. საათში, ხიფათში), თღ (2. თეთლირებულება), თხ (I. თხა, თხემი, თხილი, სითხე, ოთხი, წუთხე, თხოვნა, 2. ერთხორცი).

გზ (I. გზა, გზავნის, 2. გზარდა, გოგზე, ზიგზაგი), გს (2. გსუსხავს, გოგს, რიგს, სძაგს), გე (2. გეეფავს), გშ (2. გშურს, რიგში), გღ (2. გღეიძავს), გხ (2. გხატავს, გაგხარება), გყ (2. დაგყოთ), გც (2. გყავს).

კზ (2. თოკზე, ბაკზე), კს (2. თოკს, ფხეკს, დრეკს, ძველი: კსინავს), კე (2. ეიკეიკი),

ქმ (2. ბაკმი), ყვ (2. გყავს → ყყავს)..

ქზ (2. ქალაქზე, ჭიჭზე), ქს (1. ქელი, ქსოვს, ქსიტინი, 2. ჭიჭს, ქალაქს, ზნექს, ქექს),
ქმ (1. ქმენს, ქმუტენი, 2. ქალაქმი), ჭზ (2. გხედავს → ქხედავს), ქყ (2. გყავს → ქყავს).

ცალკე გამოვეყოფთ ვ/წ სპირანტის შემცველ კომპლექსებს.

ბგ (2. ლებგა, განაბგა), პგ (2. ყლაპგა, კეპგა), ფგ (2. კაფგა, გაწაფგა), ღგ (1. ღვირი, აღვილი, 2. ზიღგა, დაღგა, ტგ (1. ტვინი, ტვირთი, ტიტველი, 2. ხატგა, გამოფიტგა), თგ (1. თვალთ, თვე, დათვერი, 2. შფოთგა, დაზეთგა, გგ (1. გვარი, გვერდი, გვიან, მდოგვი 2. გვაჭგს, გველოს, გვიყვარს, დაზოგგა), კვ (1. კვალი, კვესი, კვირა, აკვანი, ბოკვი, 2. ლოკვა, ცეკვა), ქვ (1. ქვა, ქვეერი, ქვიშა, ბოქვენი, წერაქვი, 2. ქეჭვა, დათუთქვა). ასე რომ, შეხამების თვალსაზრისით ვ-ს შეზღუდვა არა აქვს. ყველა შემთხვევაში პარალელურად დაჩნდება უ .

ზემოდასახელებულთაგან ბყ, კყ, ქყ კომპლექსები დაჩნდება მხოლოდ ფონეტიკური ცვლილების შედეგად.

ქ-ს შემცველ კომპლექსები, ბუნებრივია, ოდენ იმ დიალექტებში გვხვდება, რომელთაც შემოუნახავეთ ეს ბგერა.

სპირანტთა რიგში ერთადერთი ყრუ მკვეთრი ბგერაა: სპირანტოიდი ყ, ასევე -- ერთადერთი მჟღერი: ვ.

არარეალიზებული კომპლექსებიდან ზოგი (პყ, ფკ, ტყ, თკ...) ფონეტიკური შეხამების თვალსაზრისით საყვებით დასაშვებია.

ფონეტიკური ცვლილებები არსებითად ზემოხსენებულის ანალოგიურია.

მჟღერი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი რეგრესული ასიმილაციით: კარებს → კარეფს, კარებში → კარეფში, ლუდხანა → ლუთხანა, გხედავს → ქხედავს.

მჟღერი + ყრუ მკვეთრი → ყრუ მკვეთრი + ყრუ მკვეთრი // ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთრი რეგრესული ასიმილაციით: გყავს → ყყავს // ქყავს.

ყრუ მკვეთრი + მჟღერი → მჟღერი + მჟღერი რეგრესული ასიმილაციით: ჭიპზე → ჭიბზე, თოკზე → თოგზე...

ყრუ მკვეთრი + ყრუ მკვეთრი → მჟღერი + ყრუ მკვეთრი რეგრესული დისიმილაციით: იპყრობს → იბყრობს.

ყრუ მკვეთრი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი რეგრესული ასიმილაციით: ჭიპში → ჭიფში, მეტხანს → მეთხანს, დრეკს → დრეკს.

ყრუ ფშვინვიერი + მჟღერი → მჟღერი + მჟღერი რეგრესული ასიმილაციით: ცაოფზე → თობზე, თითზე → თიდზე (→ თიძე)...

ლ, ხ და ყ ბგერებთან შესამებით წარმოიქმნება ჰარმონიული კომპლექსები:

ბლ — ფხ — ჰყ

დლ — თხ — ტყ

დზ კომპლექსი იძლევა ძ აფრიკატს (ბედზე → ბეძე, ჭედზე → ჭეძე), თხ და თშ კომპლექსები — შესაბამისად ც და ჩ აფრიკატებს (სათს → სააც, სათში → სააჩი). ანალოგიური შედეგი გვაქვს მაშინაც, როცა დზ, თს და თშ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგადაა მიღებული: ხატზე → ხადზე → ხაძე, თითზე → თიდზე → თიძე, ბედს → ბეთს → ბეც, ხატს → ხათს → ხაც, ბედში → ბეთში → ბეჩი, ხატში → ხათში → ხაჩი.

თავისებურებებს ავლენს ვ/ჟ სპირანტით შედგენილი კომპლექსები. მაგალითად, ტვ კომპლექსში დაჩნდება აფრიკატიზაციის ტენდენცია: ტვორთი → ჭვორთი, აგრეთვე: სატვირთო → საწვირთო; ჭვ კომპლექსი შეიძლება გამარჯვლოვანდეს: ჭვა/ჟვა ა → ჭუა. ვ ხშირად შეერწყმის მომდევნო ხმოვანს და მაშინ კომპლექსი იცვლება: გვაქვს → გოქ, კვალი → კოლი, ტვინი → ტუ ნი...

ზემოხსენებული ცვლილებათა ტენდენცია დაჩნდება ყველა დიალექტში, თუმცა შესაძლოა მეტნაკლები ინტენსივობით იყოს განხორციელებული.

ჟ) ხშუფლი + აფრიკატი.

54 შესაძლებლობიდან წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსები.

II \ I	ძ	წ	ც	ჩ	ჟვ	ნ
ბ	+	-	-	+	+	+
პ	-	+	-	-	+	-
ფ	-	-	+	-	-	+
დ	+	+	-	+	-	-
ტ	-	-	-	-	-	+
თ	-	+	+	-	-	+
გ	+	+	+	+	+	+
ქ	+	+	-	-	+	-
შ	-	+	+	-	+	+

ბძ (I. საბზელი → საბძელი, ბზარავს → ბძარავს, ბრძენი → ბძენი), ბჟ (I. ბჟა, აბჟენს, აბჟარი), ბჭ (I. ბჭე, ბჭობს, კარიბჭე) ბჩ (I. აფჩენს → აბჩენს).

პწ (I. წიპწა, კოპწია, 2. წიპწიპი), პჭ (I. ხეპჭო, ყიპჭო, ლეჩხუმური: მოკოპჭიალება „დალაგება, მოკოპწიალება“, 2. იმერული: გამოკოპჭიალება „გამოკიატება“).

ფც (I. ჰიდრონიმი: ფცა), ფჩ (I. ლეჩხუმური: ფჩალავს „ტუჩებს მანკავს“, აფჩენს,

ლაფჩინი, ჭაფჩა, 2. ჩიფჩიფი).

დძ (2. ჭედძალი), დწ (2. ჭედწახრილი), დჯ (2. ათჯერ → ადჯერ).

ტჩ (1. მატჩი).

თწ (2. ადათწესები), თც (2. ერთცვლიანი), თჯ (2. ათჯერ), თჩ (1. მატჩი → მათჩი, 2. ამათში → ამათჩი).

გძ (1. გრძელი → გძელი, საგზალი → საგძალი, 2. გძაგს, გძულს, ძაგძაგი), გწ (2. გწერს, გწამს), გც (2. გცემს), გჯ (1. გურული: გჯება „იგლოჯება“, 2. გჯერა), გქ (2. გქირს, დაგქრის), გჩ (2. გაგჯრავს, გჩუქნის, ჩაგჩურჩულმბ).

ქძ (1. კრძალავს → კძალავს), კწ (2. გწერს → კწერს), კქ (2. გქირს → კქირს).

ქწ (2. გწერს → ქწერს), ქც (1. ქცევა, იქცევა, 2. გცემს → ქცემს), ქქ (2. გქირს → ქქირს), ქჩ (1. სამცხური: ბეჭავს „ლაყბობს“ 2. გაგჯრავს → ქჩაგჯრავს, ჩაჭჩაჭი).

ამათგან ბძ, ბჩ, დჯ, თჩ, კძ, კწ, კქ, ქწ, ქქ დაჩნდება მხოლოდ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად.

დაჩნდება ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციები.

მეღერი + ყრუ მკვეთრი → ყრუ მკვეთრი + ყრუ მკვეთრი რეგრესული ასიმილაციით ბქე → ბქე, გწერს → კწერს. პარალელურად დაჩნდება: ყრუ ფშვინიერი + ყრუ მკვეთრი: გწერს → კწერს, გქირს → კქირს.

მეღერი + ყრუ ფშვინიერი → ყრუ ფშვინიერი + ყრუ ფშვინიერი რეგრესული ასიმილაციით: გცემს → ქცემს, გაგჯრავს → ქჩაგჯრავს.

ყრუ მკვეთრი + მეღერი → მეღერი + მეღერი რეგრესული ასიმილაციით: კრძალავს → კძალავს → გძალავს.

ყრუ მკვეთრი + ყრუ ფშვინიერი → ყრუ ფშვინიერი + ყრუ ფშვინიერი რეგრესული ასიმილაციით: მატჩი → მათჩი. თჩ კომპლექსი ხშირად მარტივდება: მათჩი → მაჩი.

ყრუ ფშვინიერი + მეღერი → მეღერი + მეღერი რეგრესული ასიმილაციით: ათჯერ → ადჯერ.

ყრუ ფშვინიერი + ყრუ ფშვინიერი → მეღერი + ყრუ ფშვინიერი რეგრესული დისიმილაციით: აფჩენს → აბჩენს.

ფონეტიკური გარდაქმნის ტენდენცია დაჩნდება მეღერი თანხმომავნების შეხვედრის დროსაც.

დძ, ჩვეულებრივ, მარტივდება: ჭედძალი → ჭეძალი (მდრ.: ჭედწახრილი → ჭეტწახრილი).

ბძ და გძ განიცდის დეზაფრიკატიზაციას: ბრძენი → ბძენი → ბზენი (მდრ. საპირისპირა: საბზელი → საბძელი), გრძელი → გძელი → გზელი (მდრ.: საგზალი →

საგძალი).

დ) ხშული + ხონანტი.

წარმოდგენილია ყველა (36) კომპლექსი.

I \ II	ლ	შ	ნ	რ
ბ	+	+	+	+
კ	+	+	+	+
ყ	+	+	+	+
ღ	+	+	+	+
ტ	+	+	+	+
თ	+	+	+	+
ბ	+	+	+	+
კ	+	+	+	+
ქ	+	+	+	+

ბლ (I. ბლუ, ნიბლია, ზღურბლი, ბლის, ადაბლებს), ბმ (I. ბმო, 2. დაბმა, ობმა), ბნ (I. ბნედა, ბნელი, აბნეცს, იჯაბნებს, 2. ძებნის, ჭობნის), ბრ (I. ბრალი, აბრა, ბრუნავს).

პლ (I. პლაკენი, წყეპლა, 2. ლაპლაპი), პშ (2. ნიკაპმა, ჭყაპმა), პნ (I. ანეცს, თხუპნის, საპნის), პრ (I. პრასა, ხეპრე, კუპრი, პრიალებს).

ფლ (I. ფლაგი, ოფლი, თაფლი, ფლეთს, 2. ლიფლიფა), ფშ (2. თაფმა, შხეფმა, ჭაფმომდგარი), ფნ (I. იფნი // იფანი, დაფნა, 2. თაფნაკრავი), ფრ (I. ფრენს, სუფრა, იჭუფრება).

ღლ (I. აღლი, მაღლი), ღშ (I. კოდმე, 2. ბედმა, ქედმაღალი), ღნ (I. დნება, 2. ბედნიერი), ღრ (I. დრო, დრეკს, ადრე, 2. მყუდრო).

ტლ (I. ტლუ, მატლი, ეტლი), ტშ (I. ეტმასნება, 2. ხატმა, ბოროტმოქმედი, ტნ (I. პიტნა, ატნეცს „ატანს“, 2. პოტნის), ტრ (I. ტრიალი, ტრუსავს, პატრონი, 2. რატრა-ტებს).

თლ (I. თლის, მათლაფა), თშ (I. თმა, თმენა, 2. თითმა, ათმანეთიანი), თნ (I. ძველი: თნევა, 2. ფუთნის, თუთნებობა), თრ (I. თრია, თრევა, თრომლი, ფითრი, მათრახი).

გლ (I. გლუვი, გლუხი, გლუჟს, 2. გლანძღავს, ლაგლაგი), გშ (I. გშირი, გმობს, გეგმა, 2. ჭადაგმა, გმადლობთ), გნ (I. გნოლი, წიგნი, აგნებს, გრაგნის, 2. გნებაგს), გრ (I. გრილი, გროვა, გრიალი, გრაგნის, გრეხს, 2. გადაგრეცს, ჩაგრიცხავს).

კლ (I. კლურტა, კლავს, მოკლუ, აკლუებს, 2. ლაკლაკი), კშ (I. კმარა, კმენდს, აკ-

მევეს,ლუკმა, 2.ეშმაქმა), კნ (I. კნაპა,კნუტი, კნავის,კიკნის), კრ (I. კრაზანა, კრამი-ტი,კროლი,კრუხი, კრავს, კრებს, მაკრატელი, 2. რაკრატებს).

ქლ (I. ქლესა,ქლაივი, ბოქლომი, 2. ლაქლაქი), ქმ (I. ქმარი, ქმედება, უქმი, ჩექმა, 2. ჭლუქმა), ქნ (I. ქნის,იქნევს, ბუქნა, 2. ჩიქნის), ქრ (I. ქრის, აქრობს, ოქრო, ფიქრი).

ამ ტიპის კომპლექსებში ფონეტიკური ცვლილებები, როგორც წესი, ხდება ან დისტანციური გაგუნით (კმაყოფილი → ყმაყოფილი დისტანციური სრული რეგრესული ასიმილაციით), ან სპონტანურად (კრაზანა → ტრაზანა). ამ შემთხვევაში თვით კომპლექსის სტრუქტურა არ ირღვევა.

გარდა ამისა, შესაძლოა დაჩნდეს ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაცია — მხოლოდ მ სონანტის შემცველ კომპლექსში ყრუ ფშვინვიერის მომდევნოდ (თმენა → თფენა), ან მეტათეზისი (დაბმული → დამბული, წიგნი → წინგი, ახვედრებს → ახვერდებს). ამ დროს კომპლექსის სტრუქტურა იცვლება (ან შემადგენლობით,ან რიგით).

ე) სპირანტი + სპირანტი

100 შესაძლებლობიდან დადასტურებულია შემდეგი კომპლექსები.

II \ I	წ	ხ	ყ	შ	ღ	ხ	ქ	ყ	ბ	ვ
წ	+	+	-	+	+	-	-	-	-	+
ხ	+	+	-	+	-	+	-	+	-	+
ყ	+	+	+	+	+	-	-	-	-	+
შ	+	+	-	+	-	+	-	+	-	+
ღ	+	+	-	+	-	-	-	-	-	+
ხ	+	+	-	+	+	+	+	+	-	+
ქ	-	+	-	+	-	-	-	-	-	+
ყ	+	+	-	+	-	-	-	-	-	+
ბ	+	+	+	+	+	+	+	+	-	+
ვ	+	+	+	+	+	+	+	+	-	+

ზზ (2. ნიგოზზე, ბაზზე), ზს (2. ბაზს, ნიგოზს, დლლუზს), ზშ (2. ნიგოზში, ბაზში), ზლ (I. ზღარბი ← ძველი: გრძობა // გძობა, ზღურბლი, ზღავს, ზიზლი, ბუზღენი, აბუზღებს).

სზ (2. ფასზე, ატლასზე), სს (2. ფასს,გნიასს), სყ (2. სეონავს // ჰეონავს), სშ (2. ფასში, გნიასში), სხ (I.სხივი,სხედან, სხეპს, სესხი,მისხალი, ასხამს, 2. ხასხასა), სყ (2. სყიდვა, შესყიდული).

ეზ (2. მარყუეზე, კაეზე), ეს (2. მარყუეს, კაეს), ეე (I. ერეოლა → ეეოლა), ეშ

(2. მარყუჟში), ელ (1. ეღალი, ეღენთს, ეღივილი, ეღიველივი, კვიელი).

შზ (2. უღვაშზე, ნუშზე), შს (2. უღვაშს, ნუშს), შშ (2.ჭარჭაშში,თაშაშში), შხ (1. შხაში, შხეფიკში, კაშხალი,შიშხინებს, 2. ხაშხაში), შყ (1. ეშყი + ეშხი, 2. ყაშყაში).

ლზ (2. თალზე, ყაჩაღზე,აღზრდა), ლს (2. თალს, ყაჩაღს), ლშ (2. ბალში, მჟიღში).

ზზ (2. ბალაზზე, გოროზზე), ხს. (1. ხსენი, 2. ნოსხ, ბალახს, გრუხს, წნეხს), ხშ (1. ხშირი, ბადახში, 2. ბალახში, პასუხში), ხლ (2. დაპლური → დახლური), ხხ (2. დახატაე → დახხატაე), ხკ (2. ხეესურელი: დაპკელთავს → დახკელთავს, გაპკედ → გახკედ), ხყ (2.ჰყოლია → ხყოლია).

ქს (1. ქსენება, გაქსენ), ქშ (1. ქშავს, ქშირი, ნაქშირი).

ყზ (2. არაყზე, ბარაყზე ქიზიყზე), ყს (2. არაყს, ჰაშყას) ყშ (2. არაყში, ქიზიყში).

პზ (2. დაპზარდება, ალაპზე), პს (2. პსურს, ალაპს), პყ (ჰეონავს, დაჰეივის), პშ (2. პშია, ალაპში), პლ (2. პლალატობს), პხ (2. გამპარებია), პკ (2. ინგილოური: მოპკადა, მოპკეჩა), პყ (2. ჰყავს, ჰყოლია).

ვ/ჟ სპირანტის შემცველი კომპლექსები:

ზვ (1. ზვაფი, ზვარე, ზვირთი, 2. აბუზვა, ჩარაზვა), სვ (1. სვაფი, სვამს, სვე, სვეტი,ნესვი, 2. თესვა, ლესვა, ყნოსვა, ვასვასი), ევ (1. ევაფი, ევერი, ლაევარდი, 2. ბეჟვა,გაეუევა), შვ (1. შვაფი, შვილი, შვიტა, ეშვი, შაშვი,უშვებს, 2. მოლუშვა, დაფუშვა, ვიშვიში), ლვ (1. ლვარი, ლვარძლი, ლაწლი, ლვედი, ლვეზლი, ლვია, ლვივის, ლვიძავს, ლულვი, 2. დადალვა, ლოლვა), ხვ (1. ხვაფი, ხვალ, ხველა, ხვეტს, ხვედრი, ხვეწს, იხვი, თახვი, ხახვი, 2. ნახვა, ხოხვა, გამოხვა, გაჯოხვა), კვ (1. კვაფი „ჩაღრმავებული ადგილი“, კველა, კვედა, კევილიონ , ჰიკვი), ყვ (1. ყვაფი, ყველი,ყვირილი, ბაყვი, ცოყვი, იდაყვი, წაყვანა), ჰვ (2. დაჰვარდნია, დაჰვიწყებია, შეჰვატრებია), ფვ (2. ვვარჰიშობ, ვვარდები).

ვზ (1. ავზი, თევზი, კოვზი, 2. ეზივარ, გავზარდე, თავზე, ავზნე), ვს (1. ვსება, ხავსი, 2. ვსაბნავ, თავს, ხატავს, სავსავი, ავსულა), ვშ (1. ავჟანდი, 2. ვჟანგავ, ვიჟეფი), ვშ (1. ავშარა, კავშა, კავშირი, 2. ვშიშობ, გავშალე, თავში, თავშენახული), ვლ (1. ავლანეთი, 2. ვლილინებ, დავლალე, ლავლაფი, თავლია), ვხ (1. ჰეხვა, 2. ვხედავ, ხავხავი, თავხე, ავხორცი), ვკ (2. დავკოცე, ავკორცი), ვყ (1. ნაყვი, 2. ვყავარ, გავყარე, აყვია), ვვ (ვვარჰიშობ).

ქ-ს შემცველი კომპლექსები დაჩნდება მხოლოდ იმ დიალექტებში, რომელთაც დატული აქვს ეს ბგერა.

ეს კომპლექსი დადასტურებულაა ოდენ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად.

უნდა აღინიშნოს ისიც,რომ, გარდა ვ/ჟ სპირანტის შემცველი კომპლექსებისა,

დანარჩენი უმრავლეს შემთხვევაში მორფემათა ზღვარზეა წარმოდგენილი.

ძირითადი ფონეტიკური პროცესები:

მელერი + ყრუ → ყრუ + ყრუ რეგრესული ასიმილაციით: ნიგოზს → ნიგოსს, ყაჩალს → ყაჩაღს, მარყუქში → მარყუქში.

შეენიშნათ: დიალექტების ერთ ნაწილში (ქართლურში, კახურში, იმერულში, რაჭულში, აჭარულში...) მიცემითი ბრუნვის --ს იკარგვის: ნიგოზს → ნიგოზ, ყაჩალს → ყაჩალ, ხოლო პაუზის წინა პოზიციაში მელერი თანხმომავანი შესაძლოა საერთო წესის შესაბამისად დაყრუვდეს: ნიგოზ → ნიგოს, ყაჩალ → ყაჩაღ. შემდეგ: ორი იდენტური სპირანტი გემინირდება: ნიგოზს → ნიგოსს → ნიგოს ~, მარყუქში → მარყუქში → მარყუქში, რაც საბოლოოდ ერთ „მარტივ“ თანხმომავანს იძლევა: ნიგოს~ → ნიგოს. ასე რომ, ერთი და იგივე შედეგი (ნიგოს) შეიძლება სხვადასხვა გზით იყოს მიღებული.

ღყრუ + მელერი → ყრუ + ყრუ პროგრესული ასიმილაციით: ფასზე → ფასზე, ნუშზე → ნუშზე, ვენახზე → ვენახზე. ეს უპირატესად დასავლური დიალექტებისთვის არის დამახასიათებელი. ზოგჯერ ეგვევ კომპლექსი საპირისპირო შედეგს იძლევა — ხდება რეგრესული ასიმილაციით ყრუ სპირანტის გამელერება: ფასზე, → ფაზზე → ფაზ-ე, ფეხზე → ფელზე, შაპზე → შაპზე → შალზე, ბარძაყზე → ბარძაღზე.

ყრუ ფშვინვითის წინ ყრუ მკვეთარი ყ შეიძლება გაფშვინვითადეს: არაყს → არახს.

ამგვარი ცვლილებები უმეტეს წილ ბოლოკიდურა პოზიციაში დაჩნდება.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების ერთ ნაწილში (ქართლურში, კახურში...) პირის ნიშანი ჰ-, ხშირად წარმოდგენილია მ-ს სახით: გააზარება → გააზარება, დააზარდება → დააზარდება. უპირატესად ეს ხდება ხმოვნის მომდევნოდ თანხმომავანის წინა პოზიციაში.

დაჩნდება მეტათეზისის შემთხვევები: ხსნის → სხნის, ხშირი → შხირი, პეშვი → პეშვი (აჭარულ).

კომპლექსებში, სადაც ე თანხმომავანს მოსდევს (ზე, სე, ჟე, შე...), ფონეტიკური ცვლილებები (გარდა მეტათეზისისა), როგორც წესი, არ ხდება. სხვაგვარი ვითარებაა მამინ, როცა ე თანხმომავანის წინა პოზიციაშია: ნუნისმიერი მელერი სპირანტების წინ ე → მ,ნ,ბ (ქართლური: თევზი → თემზი, მესხური: კოვზი → კომზი → კონზი გურული/იმერული: თევზი → თემზი, კოვზი → კომზი), ნუნისმიერი ყრუ სპირანტების წინ ე → მ, ნ,ფ (ქართლური: სავსე → სამსე, მესხური: სავსე → სამსე → სანსე, გურული: სავსე → სამსე // საფსე, გურული/იმერული: აფმარა → აფმარა, კავშირი → კავშირი).

საერთო ქართულ მოვლენა ვ → ძ ყრუ თანხმოვნების წინ მაშინ, როცა იგი I სუბიექტური პირის ნიშანია: ვშიშობ → ძშიშობ, ვხედავ → ძხედავ. სპორადულად ეგვიპე შედეგი დაინდება სხვა პოზიციებშიც: საესე → საძსე, კავშირი → კაძშირი და მისთ.

ვ) სპირანტი + ხშული.

90 შესაძლებლობიდან დადასტურდა შემდეგი კომპლექსები.

I \ II	ბ	პ	ფ	ღ	ტ	თ	ჯ	კ	ქ
ზ	+	+	-	+	-	+	+	-	-
ხ	+	+	+	+	+	+	+	+	+
ყ	+	-	-	+	-	+	-	+	-
შ	-	+	+	+	+	+	-	+	+
ღ	+	-	-	+	-	+	+	-	-
ხ	+	+	+	+	+	+	+	+	+
ქ	+	-	-	+	-	+	-	-	-
ყ	+	+	-	+	+	+	-	-	-
ჭ	+	+	+	+	+	+	+	+	+
ც	+	+	+	+	+	+	+	+	+

ზბ (I. აზბესტი), ზპ (I. მარზპანი), ზღ (2. ზრდის → ზღის, სღვეს → ზღვეს), ზთ (2. დღღღთ, დარბაზთან), ზგ (I. დაზგა, როზგი, 2. გიზგიზი).

სბ (I. წასბის, საყასბო), სპ (I. სპილო, სპობს, ასპიტი, ოსპი, მასპინძელი, მოსპორტავს), სფ (I. სფერო, ასფალტი, ფოსფორი, 2. ოჭროსფერი, ფესფუსი), სღ (2. სღვეს, იმისდა, კლდისღღმა), სტ (I. სტუმარი, ოსტატი, ნესტარი, სუსტი, 2. სტოვეს, სტენის, მისტირის), სთ (I. სთავს, 2. სთავაზობს, იმისთანა, თავისთავად), სგ (2. ათასგან, ათასგვარი), სყ (I. სყა, სყორე, მესყია, ნისყარტი, 2. საწლოსყენ, ასყეტი), სქ (I. სქელო, სქემა, სქესი, სისქე).

ყბ (2. ჩაბუეუყება), ყღ (I. ჟღება → ყღება, 2. გაყაყდება), ყთ (2. გიყთან, მარყუყთან), ყკ (2. ვაყაკი).

შპ (1. გაშება, ამომშენება), შფ (1. შფოთი, 2. თუშფალანგი), შდ (2. გათამაშ-
დება, გაშემდება), შტ (1. შტო, იშტა, ტაშტი, კოშტი, მუშტარი), შთ (1. შთაგონება,
2. თხლეთ, უღუაშთან), შკ (1. აშკარა, კოშკი, ლუშკი, 2. ჭიშკარი) შქ (1. შქერი,
ლოშქი).

ლბ (1. იღბოსი, ნიღბის, 2. ხევსურული: ღბაე „აბია“), ლდ (1. ღდინი, ნაღდი, 2.
ღღულღება) ლთ (2. ზალთან, ყაჩაღთან), ლგ (2. ხევსურული: ლგაე „ჭგაეს“).

ბბ (1. ბბო, 2. ბალახბულახი, ფეხბედნიერი), ბპ (1. კაბა, ბბო → ბპო, 2. ჰპარავს
→ ბპარავს), ბფ (1. ბბო → ბფო, 2. ჰფარავს → ხფარავს), ბდ (1. ხდება, ხდის, 2. გრუხდა,
ტეხდა), ბტ (1. ბტის, ობტი, კონტა, 2. ბალახტარა), ბთ (1. მუხთალი, ღვთისო → ხთისო,
2. თუხთუხი), ბგ (2. ჰგავს → ხგავს), ბყ (2. ჰკითხა → ხკითხა, დაჰკლავს → დახკლავს),
ბქ (2. ჰჭონია → ხჭონია).

ქბ (1. ხევსურული: ქბო, თუშური: ქბოა → ქმოა), კდ (1. ხევსურული: კდალი
„ჰკაი“, კდების „ხდება“), კთ (2. ფერკთან // ფეკთან, ვენკთან).

ყბ (1. ყბა, ყბედი, ლაყობს), ყპ (1. ყბა → ყპა), ყდ (1. ყდა, საყდარი), ყტ (1. ყდა →
ყტა, საყდარი → საყტარი), ყთ (2. არაყთან, ჭაშაყთან).

ჰბ (2. ჰბაძავს), ჰპ (2. ჰპარავს), ჰფ (2. შეჰფერის) ჰდ (2. ჰაეახური: დაჰდევს,
ინგილოური: შეჰდის „შესდის“), ჰტ (1. სამხრეთ ქართლური: სასტუმრა → საჰტუმ-
რა, ჭრისტინი → ჭრისტინი, 2. ჰაეახური: დაჰტოვა, ჰტირის), ჰთ (2. შაჰთან,
ალაჰთან), ჰგ (2. ჰგავს), ჰყ (2. ჰკითხავს, დაჰკანკალებს), ჰქ (2. ჰჭონია, ჰჭონდა,
დაჰქათათებს).

ვბ (2. ვბარავ, შებალახა, ავბედი), ვპ (2. ვპარდები, თავპარი), ვფ (2. ვფარავ,
თავფეხი), ვდ (1. სვედა, სოვდაგარი, 2. ვდენი, თხოვდება, ავდარი), ვტ (1. ავტორი,
ავტომობილი, 2. ვტოვებ, ტივტივი), ვთ (1. ნავთი, ნივთი, 2. ვთავაზობ, ვთხოვთ,
თავთით, თავთან, თავთავი), ვგ (1. ლავგარდანი, 2. ვგავარ, ვგალობ, ავგულო), ვყ (1.
ევკალობტი, 2. ვკითხულობ, თავკაცი, ავკარგიანი), ვქ (1. ავქაში, 2. ვქანაობ, ვქენი,
თავქუდმოგლეჯილი, ქვექვე).

ქ-ს შემცველი კომპლექსები დამოწმებულია მხოლოდ იმ დიალექტებში, რომე-
ლთაც დაცული აქვს ეს ბგერა.

ზდ, ღდ, ლგ, ხფ, ხგ, ხკ, ხქ, ყპ, ყტ დადასტურდა ოდენ ფონეტიკური გარდაქმნის
შედგენად.

ძირითადი ფონეტიკური ცვლილებანი:

მელერი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი რეგრესული
ასიმილაციით: გიეთან → გიშთან, ზალთან → ბახთან.

მელერი + ყრუ მკვეთრი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთრი რეგრესული
ასიმილაციით: ვაქკაცი → ვაშკაცი. ასეთი შეხამება განპირობებულია იმითაც, რომ

სპირანტებში არა გვაქვს ყრუ მკვეთრი (გარდა ყ სპირანტიონისა).

ყრუ ფშვინვიერი + მჟღერი → მჟღერი + მჟღერი რეგრესული ასიმილაციით: ყასბის → ყაზბის, მაგრამ უპირატესად დაჩნდება პროგრესული ასიმილაციის გზით მჟღერი ხშულის დაყრუების შემთხვევები (ჩვეულებრივ, დასაგლუთ საქართველოს დიალექტებში): ხბო → ხფო/ხპო, გათამაშდება → გათამაშთება.

ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთრი: სქელი → სჟელი (გურული). სხვაგვარი შედეგი გვაქვს ამ შემთხვევაში: ასფალტი → ასვალტი (არ გამოირიყნება ესეც: ასქალტი → ასვალტი) - პროგრესული დისიმილაციური გამჟღერება (შდრ. ლიფტი → ლოფტი).

გარდა ამისა: ზოგ პოზიციაში ყბ → ყმ (იმერული: ყბედი → ყმედი), ღბ → ყბ (აჭარული: იღბალი → იყბალი), ვ → ძ ყრუ ბგერების წინ მაშინ, როცა ვ -- I სუბიექტური პირის ნიშანი (უპირატესად მაშინ, როცა პაუზის მომდევნო პოზიცია გვაქვს): ვკითხულობ → ძკითხულობ, ვთავაზობ → ძთავაზობ. ვთ → ფთ (იმერული/გურული: ნავთი → ნაფთი), ან ვითარდება ქ ხშული (იმერული: ნივთი → ნიჭვთი). სუსტდება ს: სასტუმრო → საპტუმრო (ქართლური).

აღმოსაგლუთ საქართველოს დიალექტების ერთ ნაწილში (ქართლურში, კახურში...) ჰ → მ, ასევე: ს → მ (უმეტეს წილ ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინა პოზიციაში): დაჰბარავს → დამბარავს, გასდევს → გამდევე. დიალექტების მეორე ნაწილში (ხევსურული, თუშური...) შესაბამის პოზიციებში ჰ → ხ → ღ, ს → შ → ე ან ს → ზ.

ზოგ დიალექტში თანხმოვანთკომპლექსი შეიძლება გაითიშოს ხმოვნით: (აჭარული: ხბო → ხობო).

დაჩნდება რთული გარდაქმნის შემთხვევებიც: საყდარი → საყტარი (პროგრესული ასიმილაციით) → სახტარი (რეგრესული დისიმილაციით). პირველ შემთხვევაში ხდება მომდევნო თანხმოვნის გამკვეთრება, მეორე შემთხვევაში --- წინამავალი თანხმოვნის გაფშვინვიერება (შდრ.: შეხვდა → შეხდა → აჭარული: შეხტა, სადაც ნაწილობრივ პროგრესულ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე: ყრუ ფშვინვიერი + მჟღერი → ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთრი; შდრ.: შეხვდა → შეხვთა).

დიალექტების მიხედვით მერყეობაა სტ და შტ კომპლექსების განაწილების თვალსაზრისით; მაგალითად ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელია მუსტი „მუსტი“, ტასტი „ტასტი“ (/მუსტი//მუსტი...) ფორმები, მოხეურში, ჩვეულებრივ, სტ → შტ (ქისტი → ჭისტი). განსაზღვრულ პოზიციებში (გამიშინების ტენდენცია თავს იჩენს სხვა დიალექტებშიც: უსტყენს → უშტყენს (კახური) / უფშტყენს (გურული):

ზ) სპირანტი + აფრიკატი.

60 შესაძლებლობიდან დამოწმებულია შემდეგი კომპლექსები.

II \ I	ძ	წ	ც	ჩ	ჭ	წ
ზ	+	-	-	-	-	+
ს	+	+	+	+	+	+
შ	-	-	-	+	-	+
შ	-	-	-	+	+	+
ლ	+	+	-	+	+	+
ხ	-	+	+	-	+	+
ქ	-	-	-	-	-	+
ჩ	-	-	(+)	+	+	+
ც	+	+	+	+	+	+
ჭ	+	+	+	+	+	+

ზძ (2. სძინავს → ზძინავს, სძევს → ზძევს), ზჩ (2. დარბაზში → დარბაზჩი).

სძ (2. სძინავს, სძელს), სწ (1. სწორო, სწავლა, ესწების „ორწვეა“, 2. სწვეს, ათასწილი), სც (2. სცემს, სცავს, მისცა), სჩ (1. სჩის, ისჯება, 2. სჯერა, სჯობს, ასჯერ), სჭ (1. დასკობა „დარკობა“, 2. სჭირს, სჭამს), სჩ (2. სჩეჩავ, მისჩერებია).

ეწ (1. სწის → შწის → ეწის, 2. სჯერა → შჯერა → ეეწერა), ეჩ (2. მარჯულში → მარჯულჩი).

შწ (1. სწის → შწის, 2. სჯერა → შჯერა), შჭ (1. დასკობა → დაშკობა, 2. სჭირს → შჭირს), შჩ (2. სჩეჩავ → შჩეჩავ, მისჩერებია → მისჩერებია, ხევსურული: ქაქეშში → ქაქეშჩი „ლადარში, ნაკვერცხალში“).

ლძ (1. ღრძილი → ღძილი, იღრძო → იღძო), ღწ (1. ღწოლა, 2. აღწვეს), ღჩ (1. ღრჯუ → ღჯუ, ღრჯოლი → ღჯოლი, 2. ჯიღილი), ღჭ (1. ღრჭენა → ღჯენა, 2. აღჭურვილობა), ღჩ (1. ღრჩობა → ღჩობა, ბაღჩა, 2. ბაღში → ბაღჩი).

ხწ (1. ხწორო → ხწორო), ხც (2. ცახცახი), ხჭ (1. ღუბჭირო, 2. აკვარახტინებს, ჭახტახი), ხჩ (1. ხჩრება → ხჩება, ბოხჩა, ბაღჩა → ბახჩა, 2. ფარეხში → ფარეხჩი).

ქჩ (1. ხევსურული: კჩრალი → ქჩალი „ბოლი“, 2. ფეკეში → ფეკეჩი).

ყც (1. ძველი: ყცოლა „მუცლით გაქარვება“, ყწ (2. ჯაყაჯი, ჯიყვიყი), ყჭ (2. კიყკიყი), ყჩ (2. არაყში → არაყჩი).

ძჭ (2. ჯავახური: დაძახხა), ძწ (1. ინგილოური: გასწორება → გაძწორება, 2. ჯავახური: მიძწერა, ინგილოური: ძწონოვს „მოსწონს“), ძჭ (2. ინგილოური: მიძცა // მიძცა), ძჩ (2. ჯავახური: ძჭობს, გაძჯავრებია), ძჭ (2. ინგილოური: ძჭკრის, აძვარული: შეძჭამს), ძჩ (2. ინგილოური: გაძჩენია).

ვძ (2. დავძარი), ვწ (2. ვწერ, თავწაკრული, წივწივი), ვც (1. ვრცელი → ვცელი, 2. ვცადე, თავცარიელი), ვჟ (2. ვჟაბნი), ვპ (2. ვპამ, ქვეპავი), ვრ (2. ვრანვარ, თავრითი, თავრობანი).

ზძ, ზჩ, ეჟ, ეჩ, შჟ, შჭ, შპ, შჩ, ლძ, ხწ, კჩ, ყჩ კომპლექსები მხოლოდ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად დაჩნდება. ძირითადად ფონეტიკური ცვლილებითაა მიღებული აგრეთვე ლჭ, ლჭ, ლჩ კომპლექსებიც.

ჰ სპირანტის შემცველი კომპლექსები დაჩნდება უპირატესად ჯავახურსა და ინგილოურში, შეინიშნება აგრეთვე ზემოაჭარულში. უმეტეს წილ აქ დატულია ჰ—პირის ნიშნის ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტი. ზოგჯერ ჰ მეორეულია, ს-ს დასუსტების შედეგი: გასწორება → გაპწორება «გამზადება/გარიგება» (ინგილოურ-რი). სწორი → პწორი დასტურდება სამხრეთ ქართლურშიც.

ძირითადი ფონეტიკური პროცესები.

მეღერი + ყრუ → ყრუ + ყრუ რეგრესული ასიმილაციით: ცს ეხება ყრუ ფენიციურსაც და ყრუ მკვეთრსაც: ღრჰენა → ღჰენა → ხჰენა, ღწოლა → ხწოლა, ღჩოზა → ღჩოზა → ხჩოზა.

ყრუ + მეღერი → მეღერი + მეღერი რეგრესული ასიმილაციით: სძინავს → ზძინავს, სჯის → ზჯის → ეჯის.

წინანუნისმიერი (სისინა) ს უკანანუნისმიერი (შიშინა) აფრიკატების წინ იცვლება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (გადადის შიშინათა რეგში): სჯერა → შჯერა, სჰამს → შჰამს, სჩაგრავს → შჩაგრავს. მეღერი აფრიკატის წინ შ → ე: შჯერა → ეჯერა. ეს ხდება როგორც ერთი მორფემის ფარგლებში (სჯის → ეჯის), ასევე მორფემათა მიჯნაზე (სჯერა → ეჯერა).

სისინა აფრიკატების წინ ს რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობას იძლევა: ძ აფრიკატის წინა პოზიციისი ს → ზ მორფემათა ზღვარზე (იხ. ზემოთ) „მაგრამ ერთი მორფემის ფარგლებში ასიმილაციის მოხდენის შემდეგ აფრიკატი იკარგვის: სძე → *ზძე → ზემ (თუშური), სძალი → *ზძალი → ზალწ (ხევსურული, თუშური). ქართლურსა და კახურში იკარგვის სპირანტი: სძალი → ძალი → ძალი // ძალუა. ინგილოურში ძალი → ზალი დეზაფრიკატიზაციით (გარეგნულად ემთხვევა მთის დიალექტებში დამოწმებულ ფორმას). წ აფრიკატის წინ ფუძისეულს ს ქართლურში (ყრძოდ, სამხრეთ ქართლურში) სუსტდება: სწორი → პწორი (შდრ. ინგილოური: მიპცა „მისცა“). ამ უკანასკნელის ფონეტიკური ნაირსახეობა ჩანს რაჭულში, იმერულსა და ლეჩხუმურში დამოწმებული ხწორი (და მისგან ნაწარმოები: სახწორი, მიუსახწორა...). დასავლურ დიალექტებში (იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში) სწ კომპლექსი სხვაგვარ ფონეტიკურ ვარიანტებაც იძლევა: ა) სწ → სტ: სწორი → სტორი, სწავლა → სტავლა, ბ) სწ → ს': (ინტენსიური): სწორი → ს'ორი, სწავლა → ს'ავლა; ანალოგიური შედეგი შესაძლოა მოგვეცეს სც კომპლექსაც: მისცა

→მის'ა, ასევე შუკ კომპლექსმა: მოსკრა → მოშკრა → მოშ'რა (შდრ.: მოშრა, მოშრება; ზმნისგან). შევნიშნავთ: გამართიება შესაძლოა მომხდარიყო სტ კომპლექსისაც; შდრ გურული: დასტურ → დასურ. გ) სწ → წ: სწორი → წორი, ისწავლა → იწავლა; ანალოგიურად -- სც → ც: მისცა → მიცა, შუკ → ჳ: მოშუკრა → მოშკრა. სწ → წ დადასტურა ინგილოურმაც: სწორი → წორი // წოორ. მსგავსი პროცესები დაინდება მორფემათა ზღვარზეც: ძმისწული → ძმისტული // ძმის'ული // ძმიწული.

ზოგ დიალექტში ყრუ მკვეთრი აფრიკატების წინ რ-ს ნაცვლად დაინდება ს: დასკობა, ესწების (ხევსურული). შესაძლოა აქ ამოსავალი ვითარება ან მის კვალბაზე წარმოქმნილი კომპლექსები გვექონდეს (შდრ.: სძალი/რძალი და მისთა).

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების ერთ ნაწილში (ქართლურში, კახურში...) პირის ნიშნებად წარმოდგენილი ჳ — და ს — იცვლება ე-ით: დაჰძახა/დასძახა → დაძძახა.

რაც შეეხება --ში → -ჩი თანდებულს, ამჟამად იგი პოზიციით მხოლოდ ზოგიერთ დიალექტშია შეპირობებული (მაგალითად, გურულში, ჩვეულებრივ, დაინდება ლ სონანტის მომდევნოდ: სოფელში → სოფელჩი), სხვა დიალექტებში (მთხურში, მთიულურში, ხევსურულში...) რაიმე შეზღუდვა ამ მხრივ არ შეინიშნება (რაც არ გამოირიცხავს მის პარალელურად ---ში ვარიანტის გამოყენებასაც).

თ) სპირანტი + სონანტი.
დაინდება ყველა (40) კომპლექსი.

II \ I		II			
		ლ	მ	ნ	რ
ზ		+	+	+	+
ს		+	+	+	+
შ		+	+	+	+
წ		+	+	+	+
ც		+	+	+	+
ხ		+	+	+	+
ქ		+	+	+	+
წ		+	+	+	+
ჭ		+	+	+	+
გ		+	+	+	+

ზლ (I. ზლუქენი, იზლაზნება, მაზლი), ჳმ (I. ჳმა, ჳმუის, აზმორებს, რაზმი, 2. ვაზმა), ჳნ (I. ჳნი, ჳნიქს, აზნაური, ხიზნავს, 2. ვაზნარი), ჳრ (I. ჳრენი, ჳრუნავს, აზრი, აბეზრებს).

სლ (I. სლუქენი, ასლი, ისლი, ქვისლი), სმ (I. სმა, სმენა, თასმა, 2. წესმა, ხუცესმა),

სნ (I. სნეული, სუსნა, ეტმასნება, 2. ბუსნარი), სრ (I. სრიალი, სრესს, ბასრი, კასრი).

ჟლ (I. ჟლეტს, ჟლემს // ჟლემს), ჟმ (I. ჟემური, 2. ვაჟმა, მარჯუჟმა), ჟნ (I. იურაჟნება, 2. კაჟნარი), ჟრ (I. ჟრიალი, ნუჟრი, კოჟრი, 2. რიჟრაჟი).

შლ (I. შლამი, შლუგი, შლუ, 2. ლაშლაში), შმ (I. შმაგი, შმორი, ეშმა, ხაშმი, 2. ნუშმა, შიშმა), შნ (I. შნო, დანა, ნიშნობა, 2. ჭვიშნარი), შრ (შრატი, შრე, შრეტა, შრიალი).

ლლ (I. ლლაგი, ლლაპი, ლლუტს, ილლა, ძაღლი), ლმ (I. ლმერთი, ლმეჟა, ლლმა, ბოლმა, ნაღმი, 2. ბაღმა, ნადღლმა), ლნ (I. ლნავის, ლნიაში, ლაღნის, 2. ბაღნარი, ნიღნიღი), ლრ (I. ლრანტე, ლრე, ლრეცს, ლრიალი, ლრუ, ლრუბელი, ლრუღო).

ხლ (I. ხლართი, ხლუჩს, ახლა, სახლი, მუხლი, წიხლი, თოხლი), ხმ (I. ხმა, ხმარება, ხმელი, ხმიადი, 2. ბალახმა), ხნ (I. ხნავს, თოხნა, ცოხნის, 2. თიხნარი, მუხნარი), ხრ (I. ხრამი, ხრის, ხრიალი, ხრახნი, ხრეში, ნიხრი, 2. რახრახნი).

კლ (I. მუკლი), კმ (I. კმა, თმელი, თუშური: კბო → კმომ, 2. ვენაკმა, მეკმა), კნ (I. კნავს, კნარკვი), კრ (I. თუშური: კრასტუნჩ „ხელა“).

ყლ (I. ყლაპავს, ყლორტი, ყლუპი, 2. ლაყლაყი), ყმ (I. ყმა, ყმუის, 2. არაყმა, ბაყაყმა), ყნ (I. ყნოსავს, ოყნა, ჭვეყნიერება), ყრ (I. ყროს, ყრანტალი, ყრუ).

პლ (2. პლაღობს), პმ (პმართებს), პნ (2. დაპნათის), პრ (2. დაპრევი).

ვლ (I. თავლა, ნადავლი, კავლი, ჭავლი, ყავლი, აველს, 2. ვლოცავ, იჩივლებს, ლივლივი), ვმ (I. ტრავმა, 2. ვმალავ, თავმა, თავმოყვარე), ვნ (I. ვნება, 2. ვნაყავ, თავნი, თხოვნა, იავნანა), ვრ (I. ბევრი, წვეკრი, ლავრა, 2. ვრკავე).

კ-ს შემცველი კომპლექსები დამოწმებულია მხოლოდ იმ დიალექტებში, რომელთაც დაცული აქვს ეს ბგერა (ხევსურულში, თუშურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ნაწილობრივ ... ქიზიყურში).

ძირითად ფონეტიკურ ცვლილებად უპირატესად დანდება ნუნისმიერ სპირანტთა გააფრკატების ტენდენცია; მაგალითად, ზმ → ძმ (სიზმარი → სიმმარი), ზრ → ძრ (განზრახ → განძრახ), რომელიც ხდება მეტათეზისის შემდეგაც (გურული: ზურგი → ზრუგი → ძრუგი). თუმცა ფართოდ გავრცელებულ მოვლენად ვერ მივიჩნევთ (გაცილებით უფრო ხშირია ეს პროცესი მაშინ, როცა სონანტს მოსდევს სპირანტი).

შენიშნულია მეტათეზისის შემთხვევებიც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ჰ → ლ (დაძლევა → დაღლევა, მაჰმკის → მაღმკის...). თუ სონანტს მოსდევს ყრუ მკვეთრი თანხმოვანი მერყეობა: მაჰმკის → მაღმკის // მახმკის.

რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება თანხმოვანთა სპონტანური მონაცვლეობის შესაძლებლობაც.

ი) აფრიკატი + აფრიკატი.

36 შესაძლებლობიდან დაჩნდება შემდეგი კომპლექსები.

II \ I	ძ	წ	ც	ჭ	ჭვ	ჩ
ძ	-	+	-	-	-	+
წ	-	+	-	-	-	+
ც	-	-	-	-	-	+
ჭ	-	-	-	-	-	+
ჭვ	-	-	-	-	-	+
ჩ	-	-	-	-	-	+

ძწ (I. ძრწის → ძწის).

წწ (I. ძრწის → ძწის → წწის).

ძჩ (2. ნაძოძში → ნაძოძჩი), წჩ (2. ხაეიწში → ხაეიწჩი), ცჩ (2. ნაკოცში → ნაკოცჩი),

ჭჩ (2. ნაგლეჯში → ნაგლეჯჩი), ჭვ (2. ნაჭუქში → ნაჭუქჩი), ჩჩ (2. ლაყურში → ლაყურჩი).

ძწ და წწ კომპლექსები მიღებულია ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად. ხშირად მათ შორის დაჩნდება ირაციონალური ხმოვანი: ძგწის // წგწის.

მორფემათა მოჯნაზე დამოწმებული კომპლექსებიც (რომელთაც — ჩი თანდებულის დართვა წარმოქმნის) იშვიათი გამოყენებისაა. ძირითადად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში პარალელურად დაჩნდება — ში: ნაძოძში, ხაეიწში და მისთ.)

კ) აფრიკატი + ხშული.

54 შესაძლებლობიდან დადასტურდა შემდეგი კომპლექსები.

II \ I	ბ	პ	ფ	ღ	ტ	თ	გ	კ	ქ
ბ	-	-	-	-	-	+	+	+	-
პ	+	+	-	+	+	+	-	+	-
ფ	+	-	+	+	-	+	-	+	+
ღ	+	-	-	+	-	+	+	-	-
ტ	+	-	-	+	+	+	+	+	-
თ	+	-	+	+	-	+	-	-	+

ბთ (2. ბოძთან, ძალუბთ), ძგ (I. ძგერს, ძგიღე, ბუძგი), ძკ (2. ბოძკინტი).

წბ (I. წბილა, წბერი, გაწბილება), წპ (I. გაწბილება → გაწპილება), წფ (I. წრფელი

→ წფელი), წღ (I. საწღე, დაწმდება → დაწღება), წტ (I. დაწმდება → დაწტება), წთ (2.

წწწთ, ლაეწწთან), წკ (I. წკარუნი, წკიოი, წკებლა, წწუწკი).

ცბ (I. ცბება, ცბიერი, უცბად), ცფ (I. ცბება → ცფება, უცბად → უცფათ), ცღ (I.

ცდა, აცდენს, ოცდაათი, 2. აცოცდება, გაოცდება), ცთ (1. ცდა → ცთა, 2. კაცთან, კვეთს), ცყ (1. პლაცკარტი), ცქ (1. ცქერა, ჩაცუცქება).

ჭბ (2. ბაჭბაჭი), ჭდ (1. ჭდება), ჭთ (2. გლეჯთ, დარაჯთან), ჭგ (1. ჭგუფი, იჯიგება, ბოჯგი, რაჯგუნი), შევნიშნავთ: დადასტურდა ჯკ კომპლექსიც მორფემათა ზღვარზე, მაგრამ ოდენ სამთანხმოვანი კომპლექსში: ლურჯკაბიანი.

ჭბ (1. ხეჭბი, კოჭბურა ← *კოჭობურა), ჭდ (1. ჭდე, ნაჭდევი, 2. კოჭდაბალი), ჭტ (1. აჭდობს → აჭტობს), ჭთ (2. კრეჭთ, ბეჭთან), ჭგ (2. კუჭკამხმარი), ჭყ (1. ჭყა, ჭყუა, ბოჭკო, 2. კაჭკაჭი).

ჩბ (1. ნიჩბოსანი), ჩფ (1. იმერული: ჩიჩფება „ჩუმად რისამე მიცემა“), ჩდ (1. ჩრდილი → ჩდილი, ჩნდება → ჩდება), ჩთ (1. ჩდება → ჩთება, ჩდილი → ჩთილი, 2. ხლეჩთ, ტუჩთან), ჩქ (1. ჩქამი, ჩქარი, ჩქედს, იჩქითად, ბუჩქი, ჩოჩქოლი).

წპ, წფ, წტ, ცფ, ჭტ, ჩდ კომპლექსები დაჩნდება მხოლოდ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მელერიობა-სიყრუის მიხედვით ყველა მათგანი შეხამებადია (გამონაკლისია ჩდ).

ძირითადი ფონეტიკური ცვლილებანი.

მელერი + ყრუ → ყრუ + ყრუ (ერთნაირად მოქმედებს როგორც მკვეთრი, ასევე ფშვინეიერი): ბოძკინტი → ბოწკინტი, გლეჯთ → გლეჩთ.

ყრუ + მელერი → ყრუ + ყრუ (მკვეთრიც და ფშვინეიერიც): გაწბილება → გაწბილება, აჭდობს → აჭტობს; უცბად → უცფათ, ჩდილი → ჩთილი.

დაჩნდება დეზაფრიკატიზაციის სპორადული შემთხვევებით.

ერთი და იგივე კომპლექსი ნაირგვარ ფონეტიკურ გარემოცვაში შესაძლოა განსხვავებულ შედეგებს იძლეოდეს:

აცდენს → აცთენს, ცდა → ცთა (ცდ → ცთ) პროგრესული ასიმილაციით.

ოცდაორი → *ოსდაორი (დეზაფრიკატიზაციით), → ოზდაორი (რეგრესული ასიმილაციით) // ოადაორი (ს სპირანტის დასუსტებით).

ლ) აფრიკატი ± სპირანტი.

60 შესაძლებლობიდან დადასტურებულია შემდეგი კომპლექსები.

II		ზ	ს	შ	წ	ღ	ხ	ქ	ყ	ბ	ვ
I	d	+	+	-	+	+	-	-	-	-	+
	წ	+	+	-	+	-	-	-	+	-	+
	ც	+	+	-	+	+	+	-	-	-	+
	ჭ	+	+	-	+	+	-	-	-	-	+
	ჭ	+	+	-	+	-	-	-	+	-	+
	ჩ	+	+	-	+	-	+	+	-	-	+

ძ (2. ბოდზე), ძს (2. ბოდს, ძალუძს), ძშ (2. ბოდში), ძღ (1. ძღება, გაძღოლა), ძვ (1. ძვალი, ძველი, ძვირი, ნაძვი, ძემევი, 2. მიბაძვა).

წ (2. ლავიწზე), წს (2. წეწს, ხვეწს, ლავიწს), წშ (2. ლავიწში), წყ (1. წყალი, წყევლა, წყენა, წყობა, წყურვილი, უწყის), წვ (1. წვა, წვება, წვეთი, წვენი, წვერი, წვივი, წვიმა, ბეწვი, ხიწვი, 2. გამოძერწვა, გაწუწვა).

ც (2. აეცზე), ცს (2. აეცს, აეცეს), ცშ (2. აეცში), ცღ (2. ლიცილიცი), ცხ (1. ცხადი, ცხარე, ცხელი, ცხენი, ცხიმი, აცხობს, რეცხავს, ფოცხი), ცვ (1. ცვარი, ცვეთს, ცვივა, ცვილი, იცვამს, ბოცვერი, ქაცვი, 2. ლოცვა, ხოცვა).

ჭ (2. ქაჭზე, ნაბიჭზე), ჭს (2. გლუჭს, ჭაჭს), ჭშ (2. ქაჭში), ჭღ (1. ჭლა, ჭლანი, ჭლანის, ჭლენა), ჭვ (1. ჭვარი, ჭვალო, 2. ტანჭვა, ხარჭვა).

ჭ (2. ბეჭზე), კს (2. ბეკს), კშ (2. ბეკში), კყ (1. ჭყანტი, ჭყეტს, ჭყივის, ჭყიმი, ჭყორი, ჭეჭყავს, ლოჭყი), კვ (1. ჭვალი, ჭვავი, ჭვარტლი, ჭვინტი, ეჭვი, ფიჭვი, 2. მანჭვა, დაეჭვა, მობოჭვა).

ჩ (2. ქაჩაჩზე), ჩს (2. ხლუჩს, ნაკბეჩს), ჩშ (2. ქაჩაჩში), ჩხ (1. ჩხა, ჩხავის, ჩხართვი, ჩხიკვი, ჩხორი, ოჩხი, კაჩხა), ჩვ (2. კიხიყური: კაჩკაჩი „ხამაღალი სიცილო“), ჩვ (1. ჩვარი, ჩვევა, ჩვენ, ჩიჩვირი, 2. დაქაჩვა, აჩეჩვა).

ძირითადი ფონეტიკური ცვლილებანი.

მეღერი + ყრუ → ყრუ + ყრუ რეგრესული ასიმილაციით: ძალუძს – ძალუძს, ბოდში → ბოცში, გლუჭს → გლუჩს.

ყრუ + მეღერი → მეღერი + მეღერი რეგრესული ასიმილაციით: ლავიწზე → ლავიშზე, ბეჭზე → ბეჭზე; აეცზე → აეშზე, ქაჩაჩზე → ქაჩაჭზე. დასავლურ დიალექტებში შეინიშნა პროგრესული ძმობილაციის ტენდენციაც: ბეჭზე → ბეჭსე, აეცზე → აეცსე.

იშვითად დაჩინდება ღვინოფონოლოგიის შემთხვევებიც: ცხ → სხ (მოხეური: ცხიმიანი → სხიმიანი).

მ) აფრიკატი + სონანტი.

დადასტურებულია ყველა (24) კომპლექტი.

II \ I	ლ	შ	ნ	რ
ძ	+	+	+	+
წ	+	+	+	+
ც	+	+	+	+
ჭ	+	+	+	+
ჭ	+	+	+	+
ჩ	+	+	+	+

ძლ (I. ძლევა, ძლებს, ღვიძლი, ნიძლავი), ძმ (I. ძმა, ძმარი, ძმერხლი, 2. ბოძმა), ძნ (I. ძნა, ძნელი), ძრ (I. ძრავს, ძრო, ძროხა).

წლ (I. წლავს, წლოვანი, წლოკი, ნაწლავი, ღვაწლი), წმ (I. წმახი, წმენდს, უწმაწური, ხევისურული: გაწმილებული → გაწმილებული, 2. ხაიწმა), წნ (I. წნავს, წნელი, წნებს, წნორი, წუწნის, 2. ხვეწნა), წრ (I. წრე, წრეტს, წრიალი, წრაობი, ნაკაწრი).

ცლ (I. ცლის, ქერცლი, ვარცლი), ცმ (I. ცმელი, ცმუკავს, ჩაცმა, 2. მხეცმა, ფიცმა), ცნ (I. ცნება, ცნობა, უცნაური, მეცნიერი, 2. კოცნა), ცრ (I. ცრის, ცრემლი, ცრიაგი, ცრიატი, ცრუ, ცრეს).

ჭლ (I. ჭლავვი, ჭლიჭვი, ჭლოყინი), ჭმ (I. ჭმუხი, ჭმუჭნის, 2. ჭაჭმა), ჭნ (I. მოჭნა, 2. ლოჭნა), ჭრ (I. უჭრა, მიჭრის).

ჭლ (I. ჭლავვი, ჭლუჭი, ჭლოკი, 2. კოჭლი), ჭმ (I. ჭმახი, ჭმევა, ჭმუხნა, 2. ბეჭმა, კუჭმაჭი), ჭნ (I. ჭნავი, 2. ფხაჭნის, კუჭნაწლავი), ჭრ (I. ჭრაჭი, ჭრაჭუნი, ჭრელი, ჭრის, ჭროლა).

ჩლ (I. ჩლა, ჩლავი, ჩლატი, ჩლიჭი, ჩლუნგი), ჩმ (I. ჩმახავს, ჩმუჩნის, 2. კამეჩმა, ჩნ (I. გააჩნია), ჩრ (I. ჩრაჭვი, ჩრის, ეჭოჩრება).

ძირითადად დაჩნდება დეზაფრიკატიზაციის ტენდენცია: ძლ → ზლ (იმერული: ნიძლავი → ნიზლავი), ძრ → ზრ (იმერული: ნატაძრები → ნატაზრები), თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესი ფართოდ არის გავრცელებული. ღირსსაყენობია, რომ ამავე ფორმებში დეზაფრიკატიზაცია ზოგჯერ მაშინაც გვაქვს, როცა ზემოხსენებულ კომპლექსები არ დასტურდება. მაგალითად, ნატაძრები → ნატაზრები, მაგრამ იმერულშივე დაჩნდება: ტაძარი → ტაზარი, მიუხედავად იმისა, რომ ძ აქ უკვე ინტერფოკალურ პოზიციაშია წარმოდგენილი.

ნ) სონანტი + ხონანტი.

16 შესაძლებლობიდან დაჩნდება შემდეგი კომპლექსები.

II I	ლ	მ	ნ	რ
ლ	-	+	+	+
მ	+	+	+	+
ნ	+	+	+	+
რ	+	+	+	-

ლმ I. კალმახი, ულმოხელი, ჩალმა, 2. ქალმა, თვალმარდი), ლნ (I. ხელნა, მელნიანი, 2. თვალნაცემი), ლრ (I. კავალრობა).

მლ (I. მუმლი, ცრემლი, გრდემლი, 2. მლოცავს), მმ (2. მმართვეს, ლომმა), მნ (I. მნათე, მნე, იასამნის, 2. მნებაუს, ამნორი), მრ (I. მრავალი, მრცლო, მრუდე,

გვიძრა, გემრიელი, სიმამრი, სტუმრები, 2. მრისხანე, მრეცხავი, გადამრევს).

ნლ (2. განლევს, გაუტანლობა, მარჩენლის), ნმ (2. განმარტება, ჩობანმა), ნნ (2. შენნაირი, ჩვენნაირი), ნრ (1. უნარი, ზონრიანი, 2. განრივი, განრისხება).

რლ (1. მარლა, გვარლი, ქარლი, 2. საყვარლის, აქარლები), რმ (1. ზარმაცი, ორმო, ნარმა, სარმა, 2. ბერმა, წარმართი, ორმოცი, ბერმუხა), რნ (1. ბურნა „ღვინის ჭინჭლა“, თორნე, ზურნა, კურნავს, 2. ორნი, ჭირნახული, ნარნარი)

ძირითადი ფონეტიკური ცვლილებანი.

სუბსტიტუცია: მრავალი → ბრავალი, მრუდე → ბრუდე // ბრენდე...

თანხმოვნის განვითარება (ხდება მრ კომპლექსში): გემრიელი → გემბრიელი, გვიძრა → გვიძბრა, სტუმრები → სტუმბრები, გამრავლდა → გამმბრავლდა, ხუმრობს → ხუმბრობს, შდრ.: სტუმარი. დაჩნდება დასაეღოთ საქართველოს დიალექტებში (იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში).

მეტათეზისი: კავარლობა → კავარლობა, მნახე → ნამხე, მნახა → ნამხა, მნახველი → ნამხელი (დადასტურებულია იმერულსა და ლეჩხუმურში), ზონრის → ზორნის (ლეჩხუმური...), მეტათეზისს მეტი გასაქანი ეძლევა სამთანხმოენიან კომპლექსებში: ღრმა → რღმა, ძმრის → ძრმის, ბრმა → რბმა...

ო) ხონანტი + ხშული.

დადასტურდა ყველა შესაძლო (36) კომპლექსი.

II \ I	ბ	პ	ფ	ღ	ტ	თ	გ	კ	ქ
ლ	+	+	+	+	+	+	+	+	+
მ	+	+	+	+	+	+	+	+	+
ნ	+	+	+	+	+	+	+	+	+
რ	+	+	+	+	+	+	+	+	+

ლბ (1. ლბება, ბალბა, ყალბი, სალბენი, კოლბოხი), ლმ (1. ლმება, ზალბი), ლფ (1. თალფაქი, თულფი, ზილფი, 2. ელფერი, ტოლფასი), ლღ (1. ელღა, წალღი, ხომაღლი, მშვიღლი, ჭაღალი, ჭიღლი, 2. აღღება, აღელღება), ლტ (1. ლტოლვა, აღტობს, ბელტი, შოლტი, სალტი), ლთ (1. ბალთა, კალთა, ჭვილთი, 2. ზელთ, კუნელთან), ლგ (1. ძელგი, თალგამი, ბელგა, 2. კეთილგონიერი), ლკ (1. წალკატი, წალკოტი, 2. იალკიალი, ტალკვისი), ლქ (1. ცელქი, ოლქი, იალქანი, 2. ლულქაში).

მბ (1. მბობა, ამბავი, ამბორი, ბამბა, ლამბავს, თამბაქო, ულუმბო, 2. მბარავი, მბეჭდავი, მბორკავს), მპ (1. წუმპე, კომპალი, გალუმპავს, 2. მპარავი, დამპალი, მპოულობს, ნეშომპალა), მფ (1. ლამფა, შამფური, ღუმფარა, 2. მფარველი, მფენს, სამფა, ფამფალი), მღ (1. მღელო, მღოგვი, მღივანი, 2. მღევარი, მღულარე, მღევნის), მტ (1. მტევანი, მტერი, ამტუტებს, 2. მტაცებელი, მტაცებს), მთ (1. მთა, მთელი, მამათილი, 2. სამი → სამთა, თამთამი), მგ (1. მგელი, მგოსანი, 2. მგესლავი, სამგან), მკ (1. მკის,

მკაფიო, მკერდი, მკედი, მკაცრი, ამკობს, 2. მკითხავი, მკურნავს), მქ 1. მქისე, 2. მქარგავი, მქონებელი, მქაჩავს, მქონია).

ნზ (1. ამბავი → ანბავი, 2. ანბანი), ნპ (2. პანპალი), ნფ (1. ინფექცია, 2. შენფერი, ფანფალი), ნდ (1. ანდაზა, გუნდა, ლანდი, აბზინდა, მანდ, მანდილი, წმინდა, 2. აგონდება, ბრუნდება, დუნდული), ნტ (1. ზანტი, სკინტი, სპენტავს, ფანტავს, ღრანტო, კანტური, კვანტი, ცინტალი, 2. ტანტალი), ნთ (1. ანთია, სანთელი, ზინთი, ელენთა, გაელინთა, 2. ლუბანთან, ებანთ, ვიყვანთ), ნგ (1. ჟანგი, ზანგნი, თუნგი, წუნგო, ჭანგი, ანგარიში, 2. შენგანი), ნყ (1. ანკარა, კონკი, მანკი, ჭინკა, ვენკავს, 2. ჩვენკენ, კანკალი, კინკილა), ნქ (1. ტლანქი, მანქანა, ბანქო, 2. განქიჭება, განქორწინება).

რბ (1. რბის, რბევა, ტარბი, წარბი, ჭარბი, ხარბი, ორბი, ზღარბი, 2. ბურბური), პრ (1. კორბი, ტყორბი, კერბი, 2. პარბაში), რფ (1. თარფი, აზარფეშა, ტერფი, შარფი, 2. ორფა, ფარფატი), რდ (1. ფერდი, გვერდი, სურდო, დარდი, ვარდი, ვარდება, ბარდი, კორდი, ბურდავს, 2. გორდება, ბერდება), რტ (1. რტო, ბლარტი, კერტი, წერტილი, მარტო, კვირტი, კორტოხი, 2. ტარტარი, შდრა.: რატრატტი), რთ (1. რთავს, რთული, ერთი, ფართო, ბურთი, თართი, 2. ჯვართან, იჭერთ), რგ (1. რგავს, რგებს, რგოლი, კარგი, ბარგი, ბორგავს, ნერგი, ზურგი, თარგი; 2. ორგან), რკ (1. რკალი, რკინა, რკო, კურკა, ბორკა, ბარკალი, ბორკავს, 2. კარკაცი), რქ (1. რქა, ჭერქი, მარქავეა, სარქალი, 2. ქარქარა).

ძირითადი ფონეტიკური პროცესები.

ასიმილაცია საწარმოთქმო ადგილის (ლოკალური რიგის) მიხედვით

სახლამდე → სახლანდე, მტერი → ნტერი, მთა → ნთა...

დისიმილაცია იმავე ნიშნის მიხედვით: სანთელი → სამთელი, ამბავი → ანბავი...

შეენიშნავთ: მესხურში (უფრო ზუსტად: მესხურის რამდენიმე დიალექტში) თანხმობის წინა პოზიციაში, როგორც წესი, მ → ნ ყველა შემთხვევაში: ამბავი → ანბავი, მდევარი → ნდევარი, მგელი → ნგელი... ანუ: ის, რაც სხვა დიალექტებში განსხვავებული ფონეტიკური პროცესების შედეგია, მესხურში ერთი და იმავე ფონეტიკური ტენდენციის (ნაზალიზაციის) გამოვლინებად დაჩნდება.

აფრიკატიზაცია: ყრონტი → ყრონჭი (იმერული, გურული).

გადაბგერება შესაძლოა განხორციელდეს ხმების ან ნაპრალოვნობის თანხედრის მიხედვით. ამ შემთხვევაში ვიბრანტი რ იცვლება ლატერალი ლ-თი: რდ → ლდ, რთ → ლთ, ან: რლ → ლლ, რხ → ლხ; პირველ შემთხვევაში თანხედრია ხმულაობის თვალსაზრისით, მეორე შემთხვევაში - ნაპრალოვნობის კვალობაზე): გოგირდი → გოგილდი, ბურთი → ბულთი, ასევე: ბურლი → ბულლი, ჩარხი → ჩალხი (დადასტურებულია იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში...).

დაჩნდება მეტათეზისის შემთხვევები: რგოლი → გრგოლი, ზურგი → ზრუგი, ჩულქი → ჩულქი (ინერული, გურული, რაჭული, აჭარული).

ბშირია ბგერის დაკარგვა: მდიდარი → დიდარი, მტერი → ტერი, მთა → თა, მგელი → გელი, მკერდი → კერდი, სომინდი → სომიდი, წალკატი → წაკატი...

იმავედროულად ბშულების წინ ვითარდება (ჩაერთვის) სონანტები, რაც წარმოქმნის ზემოდასახელებულ კომპლექსებს: მჩატე → მჩლატე, ბალი → მბალი, ეყარობა → ემპყარობა, უფრო → უმფრო, დევი → მდევი, ხშიადი → ხშიანდი, კიტრი → კინტრი, ჩითი → ჩინთი, აგური → ანგური, ლატაკი → ლარტაკი, ხმელეთი → ხმელერთი, ფოთოლი → ფორთოლი, მაგალითად → მარგალითათ, ფაქიზი → ფარქიზი...

რთ-ავ-ს, რთველ-ი ფორმებში რთ კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში წარმოდგენილია როგორც სთ (დაცულია ძველი ქართულის ჩვენება): სთ-ავ-ს, სთველ-ი.

დაჩნდება სპონტანური მონაცვლეობაც თანმდევი სემანტიკური ცვლილებით: დააღბო/დააღო...

პ) ხონანტი + სპირანტი.

40 შესაძლებლობიდან დაჩნდება შემდეგი კომპლექსები.

II \ I	ზ	ხ	ჟ	შ	ღ	ხ	ქ	ყ	ბ	ვ
ლ	+	+	+	+	+	+	-	+	-	+
შ	+	+	+	+	+	+	+	+	-	+
ნ	+	+	+	+	+	+	-	+	-	+
რ	+	+	+	+	+	+	+	+	-	+

ლზ (I. ბალზამი, ბელზებელი, 2. ველზე, თვალზომი), ლს (I. პელსი, რელსი, 2. ველს, ზელს, თვალსაჩინო), ლჟ (2. თვალყუყუნა), ლშ (2. ველში, თვალშესული), ლღ (I. ლღობა, ტალღა, ლალღა, ბალღი, 2. ბელღარი), ლხ (I. ლხობა, ლხინი, თალხი, ხალხი, მალხაზი, 2. ლახლახი, თვალხილული), ლყ (I. ალყა, ყალყი, 2. თვალყური), ლვ (I. ალვა, აველვებს, 2. ელვა, ლელვა).

მზ (I. მზა, მზე, მზერა, მზირი, 2. მზარავს, სკამზე, ზიმზიმი), მს (I. მსუყე, მსუნაგი, კმსაყს, ნემსი, 2. მსუქანი, სკამს), მე (I. მეავე, 2. მეეყავს, ამეამად), მშ (I. შიმშა, კუმშავს, 2. ხრამში, მშია, მშურს), მღ (I. მღერის, მღილი, დამღა. 2. მღელვარე ბარემღა), მხ (I. მხალი, მხარი, ამხელს, მხეცი, 2. მხურვალე, მხატვარი), მქ (I. მქარი, მქედარი, მქეცი), მყ (I. კამყოლი, 2. ზომევა, შენამევა, გამეარდება).

ნზ (I. ბენზინი, ცენზი, 2. ბანზე, ზანზარი, ზინზილები), ნს (I. ავანსი, შანსი, პენსია, 2. უბანს), ნჟ (I. ინეინერი), ნშ (I. რევანში, პუნში, 2. უბანში, ჩვენში,

გაშანშალეზა), ნღ (1. ჟანღი, პანღური, 2. ვინღა, ღინღლი), ნხ (თანხა, 2. ხანხალი), ნყ (1. ჟანყი, ყალყი, 2. ყანყალი), ნვ (1. იანვარი, ინვენტარი, 2. განვითარება, ბრუნვა, ზრუნვა).

რზ (1. არზა, 2. მზარზე, ჭურზე, ზურზეური), რს (1. გარსი, თარსი, გაიღურსება, 2. მზარს, სარსალი), რე (1. ბირეა, შარეი), რშ (1. არშია, არშიყი, ორშიმო, ხარშავს, 2. მზარში, ჭურში, პირშიშველი), რღ (1. ღერღავს, ღორღი, მარღი, იორღა, ბურღი, 2. კარღია), რხ (1. რხევა, ტარხუნა, მარხავს, ჰარხალი, ჰერხო, 2. ორხელ, ხარხარი, ხორხოცი), რე (1. ფერეი), რე (1. რეა, რეილი, ნერეი, ჭურეი. 2. გამურეა, გამბერეა).

ძირითადი ფონეტიკური ცვლილებები.

ასამილაციას განიცდის მ სონანტი (შომღვენო ყრუ თანხმოვნის გავლენით: მხარი → ფხარი, მხალი → ფხალი...

ფართოდ არის გავრცელებული სპირანტის აფრიკატიზაცია: ველზე → ველჟე, ველს → ველც, ბენზინი → ბენძინი // ბენძიმი, ხარშავს → ხარჩავს (გურული, იმერული).

დაჩნდება სონანტთა მონაცვლეობაც: მზერა → ბზერა, სიმღერა → სიმღერა, ბენზიმი → ბელძიმი, ნემსი → ნევსი // ნემსი // ლემსი (გურული, იმერული, რაჭული)...

ხშირია მეტათეზისი: აღვის ხე → აელის ხე, გვალვა → გვავლა, შალვა → შავლა, ღირსი → ღრისი, კატორღა → კარტოღა, ყინვა → ყივნა, (აჭარული, გურული, იმერული, რაჭული).

დაჩნდება თანხმოვანთა დაკარგვისა და გაჩენის შემთხვევებიც: ჩვენს → ჩვენს, წინაფარი → წისაფარი (რაჭული)... სუფრა → მსუფრა (აბხური)...

ფ) ხონანტი + აფრიკატი.

დადასტურდა ყველა შესაძლო (24) კომპლექსი.

II \ I	ძ	წ	ც	ჭ	ჭვ	ხ
ლ	+	+	+	+	+	+
შ	+	+	+	+	+	+
ნ	+	+	+	+	+	+
რ	+	+	+	+	+	+

ლძ (2. წელზე → წელჟე, ბენზინი → ბელძინი // ბელძიმი), ლწ (1. ბილწი, 2. თვალწინ, თვალწარბი), ლც (1. ფალცი, 2. თვალციმციმა), ლჭ (1. ჟარჭი → ჟალჭი აქლანის ბუჩქი...), ლჭვ (2. ყელჭორვება), ლრ (1. ელრი, 2. კბილორღერა).

მძ (I. მძიმე, მძაღლე, მძივი, მძორი, 2. მძაგს, მძარცველი), მწ (I. მწორი, ამწესებს, 2. მწვევლი, მწუხარე, წამწამი), მც (I. მცირე, თუმცა, 2. მცოვანა, მცემს, ციმცოძი), მჯ (I. მჯილი, ნამჯა, 2. მჯობი, მჯერა, სამჯერ, ჯიმჯიმი), მკ (I. მკადი, მკახე, მკიდე, 2. მკედელი, მკირს), მჩ (I. მჩატე, 2. მჩინარი, ჩამჩიხინებს).

ნძ (I. ანძა, მანძილი, მასპინძელი, ენძელა, კინძი, ლანძილი, ძენძი, განძი, 2. ძუნძული), ნწ (I. კინწი, ყუნწი, ძუნწი, 2. წანწალი, წინწანაჭარი), ნჯ (I. ანჯამა, ტანჯავს, მენჯი, ხინჯი, მუნჯი, იონჯა, 2. ჯანჯალი), ნკ (I. კინკი, ხეინკა, მანკავს, კლანტი, კანკური, 2. კანკები, კინკილა), ნჩ (I. ლანჩა, სკეინჩა, ყანჩა, ჩენჩო, დრუნჩი, ლუნჩი, 2. ჩანჩალი, ავანჩავანი).

რძ (I. რძალი, რძე, ყერძი, კორძი, თერძი, ბარძაყი, ბარძიმი, 2. ორძალი, ორძელი), რწ (I. არწევს, ლერწი, ლორწო, მარწუხი, ბერწი, ძერწავს, 2. წერწეტი), რჯ (I. ფურჯელი, ცარჯი, ხორჯი, იბურჯება, 2. ნურჯ, აღარჯ), რჭ (I. რჭული, ირჯება, ბურჯი, ხარჯი, ლერჯი, ჯარჯი, 2. ორჯერ), რკ (I. არკობს, კარკაბი, კაპარკინა, დვლერკი, 2. ტერკელი), რჩ (I. რჩევა, რჩენა, რჩოლა, ურჩი, ნერჩი, ნორჩი, 2. ჩურჩული).

ლძ, ლწ კომპლექსები დაჩნდება მხოლოდ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად.

რამდენიმე ფორმაში რ სონანტი მეორეულია, ცვლის ს სპირანტს: სძე → რძე, სძალი → რძალი, სჭელი → რჭელი... დიალექტებში დაჩნდება სხვა შემთხვევებიც: ესწების (შდრ. ირწევა), დასკობა (შდრ. დარკობა). უძველესი ფორმები გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით (სძე → ზეძ, სძალი → ზალბ...) შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. დაჩნდება საპირისპირო პროცესიც: ს → რ (იმერული: დასჭილი → დარჭილი, სასჭელი → სარჭელი).

შეინიშნება მეტათეზის: გოდერძი (ანთარაპონიმი), → გოდერძი (გურული)...

დაჩნდება სპონტანური შენაცვლების შემთხვევები: მძევალი → რძევალი (გურული).

თავიიდურა პოზიციაში იკარგვის მ და რ სონანტები: მძიმე → ძიმე, მკადი → კადი, მჩატე → ჩატე... რძალი → ძალი (ძალი // ძალუა — ქართლური, კახური, მოხელური)...

ჩვეულებრივ კი, ამ კომპლექსებისათვის ფონეტიკური ცვლილებები ნაკლებადაა დამახასიათებელი.

3.18. სამ შემადგენლიანი თანხმოვანთ კომპლექსები ქართული ენის დიალექტებში. დაჩნდება როგორც პირველადი, ასევე მეორადი სამშემადგენლიანი კომპლექსები.

ხშული + ხშული + ხშული: I. პტყ (იმერული/ლეჩხუმური: ნაპტყენი), ტტბ (ტბილი, სიტტბო).

ხშული + ხშული + სპირანტი: I. ბდღ (ბრდღვიალი → ბდღიალი), ბტყ // პტყ

(ბრტყელი → ბტყელი // პტყელი, ფთხ (ფრთხილი → ფთხილი, ფრთხილი → ფთხილი), დგვ (დგვიფი), თქვ (თეთქვაეს), 2. ქტს (ფაქტს), ქთს (მუქთს).

ბშუღი + ბშუღი + აფრიკატი (ვერ დავადასტურეთ).

ბშუღი + ბშუღი + ხონანტი: 1. ფტლ (იფტლი), დგნ (დგნალი), დგრ (დგრაილი), ტალ (ტალუცა), თქრ (თქრაილი), 2. დგმ (დადგმა), თქმ (თქმა).

ბშუღი + სპირანტი + ბშუღი: 1. ბსკ (ობსკურანტი), ფსკ (ფსკა, ფსკერი), ფსტ (ფსტა), კვდ (კვდება), ქსპ (ექსპერტი), ქსტ (ექსტაზი).

ბშუღი + სპირანტი + სპირანტი: 1. ბღვ (უბღვერს), ბელ (ბრღვლი → ბღვლი → ბეღალი), ფსხ (ფსხილი, ფსხიტი), ფშე (დაფშეფნი), ფხვ (დაფხეფნი), დღვ (დღვებს, თხზ (თხზავს), ტყვ (ტყვია), თხვ (გათხვარა) 2. ქსს (ლუქსს), ქსშ (ლუქსში), ქსე (ქსეინი), ქქს (ექქსი).

ბშუღი + სპირანტი + აფრიკატი: 1. ქსც (ექსცესი).

ბშუღი + სპირანტი + ხონანტი: 1. ფსლ (ფსლიკვი), ფსრ (ფსრია), ფშრ (ფშრანტა), ფხლ (ფხლიკვი), ფხნ (ფხნეკი); ფხრ (ფხრეწს, ფხროკი), თვლ (თვლის), თხლ (თხლაში), თხნ (თითხნის), თხრ (თხრაშილი, თხრის), გვრ (გვრემა), ქვრ (ქვრივი), კვლ (კვლავ), კვნ (კვნეტს), 2. კვრ (კვრიკერიკი).

ბშუღი + აფრიკატი + ბშუღი: 1. ბწკ (ბწკენს, ბწკარი), ბტყ (ბრტყელი → ბტყელი), პწკ (პწკალი, ბწკარი → პწკარი, გურული: პწკალი „კიბე“).

ბშუღი + აფრიკატი + სპირანტი: 2. ბჟს (ნაბიჟს), ქტს (თვალთმაქტს)

ბშუღი + აფრიკატი + აფრიკატი (ვერ დავადასტურეთ).

ბშუღი + აფრიკატი + ხონანტი (ვერ დავადასტურეთ)

ბშუღი + ხონანტი + ბშუღი: 1. ბრბ (ბრბო), ბრპ (ბრპენი), ბრგ (ბრგე), ბრკ (დაბრკოლება), ბნდ (ბნდე), პრკ (პრკე → პრკე), პრპ (ბრპენი → პრპენი), ფრთ (ფრთა), დრკ (დრკე), თრთ (თრთის), გნდ (გნდე) გრდ (გრდემლი), კლდ (კლდე), კრთ (კრთის), კრკ (კრკილი), ქრთ (ქრთილი, ქრთაში), 2. ბრთ (ძაბრთან), გნთ (წიგნთან), გლთ (ძეგლთან).

ბშუღი + ხონანტი + სპირანტი: 2. ბრს (ძაბრს), ფლს (თაფლს), გნს (წიგნს), გლს (ძეგლს), კრს (ნუკრს).

ბშუღი + ხონანტი + აფრიკატი: ბრძ (ბრძენი), ბრწ (ბრწამლი), ბრჟ (ბრჟე), ბრჭ (ბრჭა), გრძ (გრძელი), კრძ (კრძალვა).

ბშუღი + ხონანტი + ხონანტი: 1. ბრმ (ბრმა), ქმრ (ქმრის), 2. კლნ (ეკლნარი).

სპირანტი + ბშუღი + ბშუღი: 1. სკდ (სკდომა // სქდომა) სქტ (სქტდომა // სკდომა), ხტბ (ლახტბა), 2. შკთ (კოშკთან).

სპირანტი + ბშუღი + სპირანტი: 1. სკე (სკეინა), სტე (სტეენს), 2. სტს (ლასტს),

შკს (კოშკს), შტს (კოშტს), ლღს (ნაღღს), ხტს (ლახტს).

სპირანტი + ხშული + აფრიკატი (ვერ დაეადასტურეთ).

სპირანტი + ხშული + ხონანტი: 1. სთმ (ასთამ), სკლ (სკლეროზი), სენ (ბუსენა), სტრ (სტრაქონი), 2. ხტრ (ტახტრეანი).

სპირანტი + სპირანტი + ხშული: I სშტ (მასშტაბი), ხსტ (ხსტე).

სპირანტი + სპირანტი + სპირანტი: 1. ზღვ (ზღვა), სხვ (სხვენი), ეღვ (ელვერთი), შხვ (ფეშხვა), 2. ზღს (ზიზღს), ვზს (თევზს), სხს (სუსხს), შხს (შაშხს), ხშუ (ვახშუე), ხშუ (ვახშუი).

სპირანტი + სპირანტი + აფრიკატი: 2. შსწ (ანგარიშსწორება)

სპირანტი + სპირანტი + ხონანტი: 1. ზერ (საზერე), ზღმ (ზღმარტლი), სერ (სერის), სხმ (სხმარტლუმს), სხლ (სისხლი), სხრ (სხრიმავს), ეღმ (ელმურტლი), შვლ (იშვლეკს), ღერ (ღერის), ღვლ (ღვლეურტი), ხვლ (ხვლიკი), ხერ (ხერელი), ხენ (ხენეშის), ყერ (ყერიძალი), ყვლ (ყვლივი).

სპირანტი + აფრიკატი + ხშული: (ვერ დაეადასტურეთ).

სპირანტი + აფრიკატი + სპირანტი: 1. სქვ (სქვეალი), 2. ხქვ (ნახქვე), ხქს (ნახქს), ხქშ (ნახქში).

სპირანტი + აფრიკატი + აფრიკატი (ვერ დაეადასტურეთ).

სპირანტი + აფრიკატი + ხონანტი: 1. სწრ (სწრაფი).

სპირანტი + ხონანტი + ხშული: 1. შრტ (შრტო), ხლტ (ხლტომა), ხრტ (ხრტილი), კნდ (კნდური), 2. ვრთ (ბევრთან).

სპირანტი + ხონანტი + სპირანტი: I. ზრზ (ამაზრზენი), ჟრჟ (ჟრჟოლა), ღრღ (დაღრღენი), 2. ვლს (თოვლს, ვრს (ბევრს).

სპირანტი + ხონანტი + აფრიკატი: I. ვრც (ვრცელი), ღრძ (ღრძილი), ღრჯ (ღრჯუ), ღრჭ (ღრჭიალი), ღრჩ (აღრჩობს // ახრჩობს), ხრწ (ვახრწენი), ხრჩ (ახრჩობს // აღრჩობს), ყრჩ (ყრჩუ).

სპირანტი + ხონანტი + ხონანტი: 1. ზმნ (ზმნა), ღრმ (ღრმა), ღრნ (ღრნა), ხმლ (ხმლოს).

აფრიკატი + ხშული + ხშული: 1. ქედ (ქედე).

აფრიკატი + ხშული + სპირანტი: 1. წკვ (ძეწკვი), ცკვ (ცეკვიტი), ჟგვ (ჟოგვი), ჩკვ (ჩიჩკვი), 2. ძგზ (ბიძგზე), ძგს (ბიძგს), წგზ (წუწგზე), წგს (წუწგს), კღზ (ნაბეჭღზე), კღს (ნაბეჭღს), კღშ (ნაბეჭღში).

აფრიკატი + ხშული + აფრიკატი (ვერ დაეადასტურეთ).

აფრიკატი + ხშული + ხონანტი: 1. ძგნ (ძიძგნის), წკლ (წკლაპენი), წგნ (წგნელი), წკრ (წკრიალი), ცქშ (ცქშუტავს), ჟგნ (ჟოგნის), ჟგრ (ჟგრო), კენ (კენება), ჩქმ (ჩქმეტს),

ჩქნ (ჩიჩქნის).

აფრიკატი + სპირანტი + ხშული: 1. წედ (წედება), ცეთ (ცეთება), ცხთ (ცოცხთან), ჩხთ (ფიჩხთან), ჰეთ (ჰუჰეთან).

აფრიკატი + სპირანტი + სპირანტი: 1. ძღე (ძღვენი), წყვ (წყველი), ცხვ (ცაცხვი) ჩხვ (ჩხვერა), 2. წვზ (ზეწვზე), ცვს (მოცვს), ცხზ (ცოცხზე), ცხს (ცოცხს), ცხშ (ცოცხში), ჰვს (ფიჰვს), ჩხზ (ფიჩხზე), ჩხს (ფიჩხს), ჩხშ (ფიჩხში), ჩვს (მარჩვს), ჰვზ (ჰუჰვზე), ჰვს (ჰუჰვში).

აფრიკატი + სპირანტი + აფრიკატი (ვერ დაეადასტურეთ).

აფრიკატი + სპირანტი + სონანტი: 1. ძვრ (ძვრება), ძვლ (ძვლის), წვრ (წვრილი), წვლ (წვლილი), წვნ (წენიკი, მაწვნის), წყმ (წაწყმედს), წყნ (წყნარი), ცხლ (ცეცხლი), ცხრ (ცხრილი), ჰონ (ჰიჰონის), ჰვრ (უჰვრეტს), ჰვლ (ჰელეტს), ჰვნ (ჰუჰვნის), ჩვრ (ჩვრეთს), ჩხლ (ჩხლაკი), ჩხმ (ჩხმატი), ჩხრ (ჩხრალი), 2. ძვნ (ნაძვნარი), ჰვნ (ფიჰვნარი).

• აფრიკატი + აფრიკატი + ხშული (ვერ დაეადასტურეთ).

აფრიკატი + აფრიკატი + სპირანტი (ვერ დაეადასტურეთ).

აფრიკატი + აფრიკატი + აფრიკატი (ვერ დაეადასტურეთ).

აფრიკატი + აფრიკატი + სონანტი (ვერ დაეადასტურეთ)

აფრიკატი + სონანტი + ხშული: 1. წრბ (წრბოლი), წრფ (წრფელი), წრთ (წრთობა), ცნდ (ცნდალი), ჰრტ (ჰრტალი), ჩნდ (ჩნდება), ჩრდ (ჩრდილი).

აფრიკატი + სონანტი + სპირანტი: 2. წლს (ციწლს), ჰლზ (ჰოჰლზე), ჰლს (ჰოჰლს), ჰრზ (ჰრზილი).

• აფრიკატი + სონანტი + აფრიკატი: 1. ძრწ (ძრწის), წრწ (წრწის), ჩრჩ (ჩრჩილი).

აფრიკატი + სონანტი + სონანტი: 1. ძმრ (ძმრის).

სონანტი + ხშული + ხშული: 1. მტ (სიმტომი), მტყ (მტყიყე), ნდგ (დინდგელი), ნტყ (ხინტყი), ნთჟ (ნთჟავს), ნტტ (ბუნტტირი), რტფ (პორტფელი), რდგ (ხარდგა), რთჟ (ლოართჟო).

სონანტი + ხშული + სპირანტი: 1. ლტე (ბოლტეი), ლტვ (ფილტვი), მდვ (ნამდვილი), მკვ (მკვიდრი), მგზ (მგზავრი), მფს (ამფსონი), ნგვ (ბრანგვი), ნლდ (კვენდლი), ნჟს (სფინჟი), რგვ (რგვა, ჩორგვი), რკვ (ძირკვი, ჯორკვალი), რტე (ერტეანი), რტვ (მარტვილი), რთვ (მართვე), რტყ (ბარტყი, ურტყამს), რთხ (კერთხი, ფართხალი), 2. ლტზ (ბელტზე), ლტს (ბელტს), ნდს (წმენდს).

სონანტი + ხშული + აფრიკატი: 1. რჟჩ (ჟერჟი).

სონანტი + ხშული + სონანტი: 1. ლტრ (ფილტრი), ლგმ (დელგმა), მბლ (ბუმბლი), მპლ (წყუმპლი), მფლ (ფომფლე), მბრ (ბუმბრუეჩი), მპრ (კომპრესი), მტლ (მტლე), მკლ

(მკლავი), ნგლ (გინგლი), ნტლ (ჭინტლა), ნგრ (ანგრეგს), ნდლ (დონდლო), ნტლ (წვინტლი), ნთლ (თონთლო), ნდრ (ხენდრა), ნტრ (ტანტრა), რბლ (ზღურბლი), რპლ (მსხვერპლი), რფლ (ჭორფლი), რდლ (ზღმურდლი), რტლ (ზღმარტლი), რთლ (წყირთლი), რკლ (ჯორკლა), რკლ (ხორკლი), რტლ (ფორტლი), რკმ (თირკმელი), 2. ნდნ (შეინდნარი), რდნ (ბარდნარი).

სონანტი + სპირანტი + ხშული: 1. მზგ (მზგეფსი), მსგ (მსგავსი), მსტ (მსტოვარი), მხდ (მხდალი), ნსტ (ინსტიქტი), რზპ (მარზპანი).

სონანტი + სპირანტი + სპირანტი: 1. ლღვ (ღღვება), ლხვ (ფოლხვე), მზვ (მზვარი), მსხ (მსხალი), მშვ (მშვიდი), მღვ (მღვიმე), რღვ (ძარღვი), რხვ (ვერხვი), 2. ლსს (პულსს), მშს (კომშს), რხს (ხერხს).

სონანტი + სპირანტი + აფრიკატი: 1. მხც (მცხოვანი), 2. მსჯ (მსჯავრი).

სონანტი + სპირანტი + სონანტი: 1. მსლ (ხიმსლი), მხნ (მხნე), ნსლ (სანსლაეს), ნშლ (ანშლაგი). ნელ (ყინელი), ნლლ (ღინდლი), რსლ (ქარსლი), რილ (ღარდლი), რხლ (ჭირხლი).

+ აფრიკატი + ხშული: 1. ნწკ (ხამანწკა), რძგ (ბურძგი), რწზ (ქარწზი), რწკ (ლორწკი), 2. ნჩქ (ჩანჩქერი).

სონანტი + აფრიკატი + სპირანტი: 1. მწყ (მწყემსი), მტვ (მტვერტლი), მწვ (მწვანი), ნძლ (ბენძლი), ნძვ (ლანძვი), ნცხ (კონცხი), ნჩხ (ჩონჩხი), ნტვ (მანტვალი), ნტყ (ტენტყო), რძლ (ბარძლი), რწყ (რწყავს), რცხ (მარცხი), რცვ (ვერცვი), რჯლ (რჯლა), რჯვ (ჯორჯვი), რტყ (ლორტყი), რჩხ (ურჩხული), 2. რჩვ (არჩვი), ნცხ (ცინცხალი), ნწყ (წყანწყყარა).

სონანტი + აფრიკატი + აფრიკატი (ვერ დაედასტურეთ).

სონანტი + აფრიკატი + სონანტი: 1. მწნ (მწნილი), მწლ (მწლატე), მტლ (მტლე), ნძრ (განძრევეს), ნძლ (ანძლატი), ნწლ (ანწლი), ნჯლ (ჯენჯლი), ნტლ (ჭინტლი), ნტრ (ჭინტრაქა), ნჩლ (ჩინჩლი), რძლ (ღვარძლი), რცლ (ვარცლი), რცნ (სტყორცნის), 2. ნტრ (კუნცრუკობს), ნწნ (კენწნარი).

სონანტი + სონანტი + ხშული: 1. მნდ (მნდე), 2. მლთ (კვამლთან).

სონანტი + სონანტი + სპირანტი: 1. 2. მლზ (კომლზე), მლს (კვამლს), მლშ (კვამლში), 2. მლღ (მოწამლვა).

სონანტი + სონანტი + აფრიკატი: 1. მრწ (მრწემი), მრჩ (მრჩობლი).

სონანტი + სონანტი + სონანტი: (ვერ დაედასტურეთ).

ზოგი კომპლექსი დაინდება მხოლოდ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად: ბდლ (ბრდღვიალი → ბდღიალი), ბტყ/პტყ (ბრტყელი → ბტყელი/პტყელი), ფთხ (ფრთხილი → ფთხილი).

ხერხდება ლოკალური რიგების მიხედვით სამშემადგენლიან კომპლექსთა სის-

ტემური ხასიათის კორელაციის დადგენა. დეასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

ნდგ (დინდგელი) — ნტყ (ხინტყი) — ნთქ (ნთქავს)...

ან: რგვ (რგვა) — რკვ (ძორკვი) — რქვ (ერქვანი)

რძლ (ღვარძლი) — X — რცლ (ვარცლი) და ა.შ.

ამის კვალობაზე, მოსალოდნელია რწლ კომპლექსის პოვნიერებაც. ამ რიგის შესაძლებელი, მაგრამ რეალურად განუხორციელებელი კომპლექსები საკმაო რაოდენობით დაინდება.

ძირითადი ფონეტიკური ცვლილებანი:

ა) იკარგვის თანხმოვანი - უპირატესად სონანტები: ლ (სახლს → სახს, სახლში → სახში, სახლზე → სახზე, კლდე → ქდე), მ (მსხალი → მსხალი, მსგავსი → მსგავსი/ზგავსი, მწყემსი → წყემსი), ნ (გაჩნდა → გაჩდა → გაჩთა), რ (ჩრდილი → ჩდილი → ჩთილი, ბრძენი → ბძენი).

ბ) სამშემადგენლნი ზოგი კომპლექსი მიღებულია თანხმოვნის გაჩენის შედეგად: (სქ → პწქ (გურული: სკალა → პწკალა „კიბე“), მრ → მბრ (გურული / იმერული: გვიმრა → გვიმბრა), ჩქ → ნჩქ (ლუჩხუმური: ჩოჩქოლი → ჩონჩქოლი), ძლ → რძლ (იმერული/ლუჩხუმური/გურული: ღვიძლი → ღვირძლი), დგ → რდგ (იმერული/ლუჩხუმური: ადგილი → არდგილი) და მისთ.

გ) ხშირია მეტათეზისის შემთხვევები — მეტათეზის უპირატესად მოსდის სპირანტებსა და სონანტებს: სხრ → ხსრ (იმერული: მასხარობს → მასხრობს), ღრმ → რღმ (ლუჩხუმური: ღრმა → რღმა), ძმრ → ძრმ (იმერული: ძმრის → ძრმის), ბრმ → რბმ (ლუჩხუმური: ბრმა → რბმა). სისტემატური ხასიათი აქვს მეტათეზისს - ავ თემისნიშნის ზმნათა მასდარებში: კლავს → კლვა → კულა, ხნავს → ხნეა → ხენა, ძრავს → ძრეა → ძვრა, დანომრავს → დანომრეა → დანომვრა. შეენიშნათ: დიალექტების ერთ ნაწილში (მაგალითად, იმერულში) მასდარის ხსენებულ ფორმებში შესაძლოა მეტათეზისი არ განხორციელდეს.

დ) ზოგიერთ დიალექტში თანხმოვნებს შორის პოვნიერ რ და ლ სონანტებთან ვითარდება ირაციონალური ხმოვანი, რომელიც ხშირად სრულ ხმოვნად გარდაიქმნება: ჩრდილი → ჩვრდილი → ჩორდილი, ღრძილი → ღვრძილი → ღორძილი, ბრმა → ბვრმა // ბორმა // ბურმა, ღრმა → ღორმა // ღორმე, კლდე → კვლდე → კილდე (ხევსურული, მოხეური, მთიულური, კახური). აკარულში ხმოვანი ვითარდება სხვა თანხმოვნებთანაც: წკნელი → წკინელი, ცხორისი → ცხომორისი, ტბილი → ტკიბილი.

ე) მელერობა-სიყრუის მიხედვით ასიმილაცია და დისიმილაცია განხორციელებულია იმავე პრინციპით, რაც ორშემადგენლნი კომპლექსებში იქნა დადასტურე-

ბული: ბრყე → პრყე, ტბილი → ტპილი, მსხალი → ფსხალი... ფსკერი → ბსკერი და მისთ.

ე) ორშემადგენლიანი კომპლექსებისათვის დამახასიათებელი წესითვე ხორციელდება თანხმოვანთმენაცვლების სხვა შემთხვევებიც: ბრტყელი → ბტყელი → მტყელი (ლუჩხუბური), ტბილი → ტყილი (მთიულური)...

ზ) ანალოგიურად ხდება აგრეთვე ხშულისა და სპირანტის „შერწყმა“ აფრიკატად მორფემათა მიონაზე: ფერღე → ფერძე, ღმერთს → ღმერც, მკერდს → მკეროს → მკერც და მისთ. შევნიშნავთ, რომ ორშემადგენლიანი კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია სონანტის მეზობლად სპირანტის აფრიკატიზაციისა (პენსია → პენცია, ინჟინერი → ინჯინერი, ხარშავს → ხარჩავს...) ნაკლებად დაჩნდება სამშემადგენლიანი კომპლექსებში: განზრახ → განძრახ და მისთ.

3.19. ოთხშემადგენლიანი თანხმოვანთკომპლექსები ქართული ენის დიალექტებში. ოთხი თანხმოვანით შედგენილ კომპლექსთა რამდენიმე ათეული შესაძლებლობიდან რეალურად დადასტურებულია შედარებით მცირე რაოდენობის მოდელები. მოვიტანთ რამდენიმე ყველაზე გავრცელებულ ნიმუშს.

ხშული + სონანტი + აფრიკატი + ხშული: 1. ბრჭგ (ბრჭგუ), ბრწყ (ბრწყალი) // პრწყ (პრწყალი).

ხშული + სონანტი + აფრიკატი + სპირანტი: 1. ბრწყ (ბრწყინავს), ბრყე (ბრყეალი), გრჯღ (გრჯღა) // კრჩხ (კრჩხა), ჭრცხ (ჭრცხემლი), ჭრცვ (ჭრცვინი), ფრჩხ (ფრჩხილი).

ხშული + სონანტი + ხშული + სპირანტი: 1. ბრტყ (ბრტყელი) // პრტყ (პრტყელი), ფრჭვ (აფრჭვევს), ფრთხ (ფრთხილი), დრტვ (დრტვინავს), თრთვ (თრთვილი).

ხშული + სონანტი + სპირანტი + სპირანტი: 1. ბრყყ (გულუბრყვილი).

ხშული + სონანტი + აფრიკატი + სონანტი: 1. გრძნ (გრძნობს).

ხშული + ხშული + სპირანტი + სპირანტი: 1. ბღღე (ბღღერი), თჭელ (თჭელეფს).

ხშული + სპირანტი + სპირანტი + სპირანტი: 1. ფმხვ (დაფმხვენი), 2 თხზე (თხზეის).

ხშული + სპირანტი + სპირანტი + სონანტი: 1. ფმხლ (ფმხლეკს), თხელ (თხელეპს).

ხშული + ხშული + სონანტი + აფრიკატი. I. ტკრც (ტკრციალი).

ხშული + სონანტი + ხშული + ხშული: I. ფრთქ (ფრთქიალი).

აფრიკატი + სპირანტი + სონანტი + ხშული: I. წყლტ (წყლტუ), წყრთ (წყრთა), ჭლრდ (ჭლრდე), ჩხნდ (ჩხნდე).

აფრიკატი + სპირანტი + სპირანტი + სონანტი: I. ჭყელ (ჭყელეპავს).

აფრიკატი + ხშული + ხონანტი + ხშული: I. წკრტ (წკრტიალი), კკრტ (კკრტიალებს).

აფრიკატი + ხშული + სპირანტი + ხონანტი: I. ძველ (ძველუმა), ცკერ (ცკერინი), ჭველ (ჭველუმა, შდრ.: ძველუმა).

სპირანტი + სპირანტი + ხონანტი + ხშული: I. სხრტ (სხრტე).

სპირანტი + სპირანტი + სპირანტი + ხონანტი: I. ზღულ (მოზღულუვა), ჟღულ (ჟღულუმა).

ხონანტი + ხშული + ხშული + ხონანტი: I მდგნ (მდგნალი), მტენ (მტენარი), რთკლ (ორთკლი).

ხონანტი + ხშული + ხონანტი + ხშული 2. მკრთ (მკრთალი).

ხონანტი + ხშული + სპირანტი + ხონანტი: I. მკერ (მკერივი), მტერ (ამტერევის), რთხლ (წირთხლი), რტყლ (ბურტყლი), 2. რდღნ (ვაბურდღნის).

ხონანტი + ხშული + სპირანტი + სპირანტი: I. მთხვ (ემთხვევა).

ხონანტი + აფრიკატი + ხშული + ხონანტი: I. მწკრ (მწკრივი, ნძგლ (ძინძგლი), ნწკლ (წინწკლი), ნჯგლ (ბუნჯგლი), ჩნტლ (ჩნტლევა), ნჩტრ (ნჩტრევა), რძგლ (ბურძგლი), რძგნ (ბურძგნის), რწკლ (წურწკლი), რწკნ (ბურწკნის), რჯგნ (ბურჯგნის).

ხონანტი + აფრიკატი + სპირანტი + სპირანტი: I. რწყვ (მარწყვი, ნერწყვი).

ხონანტი + აფრიკატი + სპირანტი + ხონანტი: I. ნჩხლ (ანჩხლი), ნტკლ (კინტკლი) რკვლ (მარკვლის), რკხლ (მკვირკხლი, ვერკხლი), რჯღლ (ბორჯღლი), რჩხლ (კირჩხლი), რტყნ (პორტყნის), 2. რცხნ (ვარცხნის).

ხონანტი + სპირანტი + სპირანტი + ხშული: I. მღვლ (მღვდელი).

ხონანტი + სპირანტი + სპირანტი + სპირანტი: I. მსხვ (მსხვილი, მსხვერბლი).

ხონანტი + სპირანტი + სპირანტი + ხონანტი: I. ნეღლ (ყინეღლი), 2. მღვრ (მღვრივი).

ხონანტი + სპირანტი + აფრიკატი + სპირანტი: I. მსკვე (მსკვეალავს, შდრ.: კვეალავს).

ხონანტი + ხონანტი + ხშული + სპირანტი: I. მრკვე (მრკვეალი).

ზოგი კომპლექსი ამჟამად მეორეულია, მიღებულია: ხმოვნის რედუქციის გამო ფუძის კუმშვით (შე-ვ-თხაზ → ვ-თხზ-ავ → ი-თხზ-ი-ს, ვ-ი-გრძენ, მაგრამ: ვ-გრძენ-ობ); ეს ეხება როგორც მორფემათა მიჯნაზე, ასევე ერთი მორფემის ფარგლებში პოენიერ კომპლექსებს. შემდეგ: დაჩნღლა კონტამინაციის (და-ფშვენ-ი + და-ფხვენ-ი → და-ფშხვენ-ი) ან თანხმოვნის კონტამინაციის (კრტიალებს → კკრტიალებს) შედეგად მიღებული კომპლექსები.

ძირითადი ფონეტიკური პროცესები:

იკარგვის თანხმოვანი — უპირატესად: თანხმოვნებს შორის მოკეუული რ

სონანტი: ბრწყინავს → ბწყინავს, გულუბრყვილო → გულუბყვილო, თრთვილი → თთვილი, გრძნობს → გძნობს...

გავრცელებული წესის შესაბამისად მოქმედებს ასიმილაციისა (ბრწყინავს → პრწყინავს) და დისიმილაციის (ფრთხილი → ბრთხილი) პროცესები.

შეინიშნება თანხმობის გამყარად ხმოვნის გაჩენის შემთხვევები: თრთვილი → თირთვილი // თვირთვილი (ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულური); და ასე: კრჩხა → კირჩხა, ფრჩხილი → ფირჩხილი, ბრწყალი → ბირწყალი და მისთ.

შეენიშნავეთ: ოთხთანხმოვნის კომპლექსების შემადგენლობაში ხშირად დაინდება პარამონიული კომპლექსები, მაგალითად, გლ (გრგლ), ჩხ (კრჩხ, ფრჩხ), დლ (ბდლ), ტყ (ბრტყ), თხ (თხზე) და ა.შ. ამ შემთხვევებში არსებითად სამშემადგენლოანი კომპლექსების ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, რადგან პარამონიული კომპლექსები სინტაგმატური თვალსაზრისით ერთი თანხმოვნის მსგავსად იქცევიან.

პრინციპულად ამგვარი ბუნებისა არიან ლაბიალიზებული კომპლექსები: გვ (ძგვლუმა), ქვ (ცქვრინი), ლვ (ელვლუმს), და მისთ.

3.20. ხუთ და ექვს შემადგენლიანი თანხმოვანთკომპლექსები ქართული ენის დიალექტებში. დავასახელებთ რამდენიმე ტიპურ ნიმუშს.

ა) ხუთშემადგენლიანი კომპლექსები.

ხშული + სონანტი + ხშული + სპირანტი + სპირანტი: I. ბრდღვ (გაბრდღვენი, ბრდღვინვა, ბრდღვიალებს), ფრთხვ (ფრთხვინვა).

ხშული + სონანტი + აფრიკატი + ხშული + სპირანტი: I. ფრცქვ (გაფრცქვენი).

ხშული + სონანტი + აფრიკატი + სპირანტი + სპირანტი: I. ბრტყვ (ბრტყვილო), ფრჩხვ (გაფრჩხვენი).

ხშული + სპირანტი + სპირანტი + სპირანტი + სონანტი: I. ბელღვ (ბელღვიალი).

სონანტი + ხშული + სონანტი + აფრიკატი + სპირანტი: 2. მკრჩხ (მკრჩხალი).

სონანტი + სპირანტი + სპირანტი + სპირანტი + სონანტი: I. მსხვრ (მსხვრევა).

სონანტი + სპირანტი + სონანტი + აფრიკატი + სპირანტი: 2. მხრჩვ (დამხრჩვიალი).

სონანტი + აფრიკატი + ხშული + სპირანტი + სონანტი: I. მცქვრ (ჩამცქვრევა), ნჯვლ (ბანჯვლი).

სონანტი + აფრიკატი + სპირანტი + სპირანტი + ხშული: I. მწყვდ (ამწყვდევეს).

ბ) ექვსშემადგენლიანი კომპლექსები.

ხშული + სონანტი + ხშული + სპირანტი + სპირანტი + სონანტი: I. ბრდღვნ (ბრდღვნის) // ბრტყვნ (ბრტყვნის) // პრტყვნ (პრტყვნის).

ხშული + სონანტი + აფრიკატი + ხშული + სპირანტი + სონანტი: I. ფრცქვნ

(ფრცქვნის).

ხშული + სონანტი + აფრიატი + ხირანტი + სირანტი + სონანტი: I. ფრჩხე (ფრჩხენის) და მისთ.

ამგვარი კომპლექსები იმდენად იშვიათია ზეპირ მეტყველებაში, რომ ფონეტიკურ ცვლილებათა რეგულარულობაზე ლაპარაკი ჭირს.

მაინც ხერხდება ზოგი დამახასიათებელი მოვლენის დადასტურება.

დაჩნდება ფონეტიკური დუბლეტები: ბრღვე (ბრღვენივა) // ფრთხე (ფრთხენივა, ბრღვენ (ბრღვენა) // ბრტყენ (ბრტყენა), ფრცქენ (ფრცქენის) // ფრჩხენ (ფრჩხენის)...

ხშირად ექვსშემადგენლიანი კომპლექსები ვარიანტებია ხუთშემადგენლიანი კომპლექსებისა: ბრღვე (გაბრღვენი — ბრღვე (ბრღვენის), ფრცქენ (გაფრცქენი) — ფრტყენ (ფრტყენის), ფრჩხე (გაფრჩხენი) — ფრჩხენ (ფრჩხენის), ისევე, როგორც ხუთშემადგენლიანები, თავის მხრივ, შესაძლოა მიღებული იყოს ოთხშემადგენლიანი კომპლექსებიდან კრჩხ (კრჩხიალი) → კრჩხნ (კრჩხნიალი).

ჩვეულებრივი მოვლენაა თანხმოვნებს შორის მოქცეული რ სონანტის დაკარგვა: ბრტყვიალი → ბტყვიალი, ფრცქენის → ფტქენის...

დაჩნდება სპონტანური მონაცვლობის შემთხვევაც: მწყვედ (ამწყვედევს) → მწყვერ (იმერული/გურული: ამწყვერევს).

თანხმოვანთგამყარად შესაძლოა განვითარდეს ხმოვანი: კრჩხნიალი → ხევსურული: კირჩხნიალი...

შენიშნავთ: კომპლექსები, რომლებიც ახლა ერთი მორფემის ფარგლებში გათავსდება, ეტიმოლოგიურად შესაძლოა რთული მორფოლოგიური შედგენილობისა იყოს. მაგალითად, ბურღლ-ა „ბუმბული“ → *ბურღლ-ნ-ი-ს → *ბურღლ-ნ-ი-ს → ბრღვენ-ი-ს (ეს მეტათეზისით), შღრ.: გა-ბრღვენ-ი, ან: ფურჩხ-ავ-ს → ფურჩხ-ნ-ი-ს → *ფერჩხ-ნ-ი-ს → ფრჩხენ-ი-ს (სადაც შემდეგ ისევ ვითარდება ხმოვანი: ფურჩხენის; არ გამოირიცხება კონტამინაცია). თავის მხრივ, ფუნჩხ-ავ-ს ნასახელარე. ზმნაა, შღრ. ფურჩხ-ი „მოპროლი ხის განასხები წვრილი შტოები“...

3.21. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ შ ი ფ ო ნ ე მ ა თ ა : გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა ნ ი . ს ა მ - და მეტშემადგენლიანი ბუნებრივი კომპლექსები ქართულში, ჩვეულებრივ, ფონემათშეხამების იმავე წესებს ვვიდასტურებენ, რასაც ორშემადგენლიანი კომპლექსები. ეს ნიშნავს: სამ - და მეტშემადგენლიანი კომპლექსებში, როგორც წესი, არ შეინიშნება ფონემათა ისეთი შეხამება, რომელიც უჩვეულოა ან არ დასტურდება ორშემადგენლიანი კომპლექსებში. მაგალითად, ქართული სათავის ბუნებრივი ორშემადგენლიანი კომპლექსებია, ერთი მხრივ, კრ (კრავი), ხოლო, მეორე მხრივ, რბ (რბის), რთ (ერთი), რძ (რძე). სამშემადგენლიანი

კომპლექსებად შესაბამისად შეიძლება დაეადასტუროთ: კრბ (კრბება), კრთ (კრთე-
ბა), კრძ (კრძალავს).

შენიშვნა I. სემანტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით ამ რიგის კომპ-
ლექსებს შესაძლოა არაფერი ჰქონდეს საერთო (თუ აქვს, კერძო
შემთხვევა და არა კანონზომიერი). საკითხი ისმის წმინდა ფონეტი-
კური თვალსაზრისით.

შენიშვნა 2. „ბუნებრივი კომპლექსი“ პირობითი ტერმინია. კომპლექსთა ბუნებრი-
ობა შესაძლოა დიალექტების მიხედვით იძლეოდეს სხვაობას. მაგალი-
თად, პაუზის მომდევნოდ თავკიდურა პოზიციაში რთ, ჩვეულებრივ,
არ გვხვდება (ან ძალზე იშვიათია) აღმოსავლეთ საქართველოს მთის
დიალექტებში (შდრ., მაგალითად, თუ შური: სთვა → ზდვაჲ „რთვა“,
სთველი → ზდველჲ „რთველი“). ამ შემთხვევაში ბუნებრივად ვთვლით
ყველა იმ კომპლექსს, რომელიც ამ ნიშნით ხასიათდება თუნდაც ერთ
რომელიმე დიალექტში.

ზემოხსენებულის კვალობაზე, ნიმუშად დაეასახელებთ ამ რიგის რამდენიმე
კომპლექსს.

ბრ (ბრიალი), რმ (ორმო), რძ (რძე), რკ (რკო), → ბრმ (ბრმა), ბრძ (ბრძენი), ბრკ
(აბრკალბს).

გრ (გრიალი), რდ (ფერდი), რძ (რძე) → გრდ (გრდემლი), გრძ (გრძელი).

კლ (მრკლე), - ლდ (ელდა), → კლდ (კლდე).

თვ (თვალი), ვლ (კვალი), ვრ (ვეერი), → თვლ (თვლის), თვრ (თვრება).

შენიშვნა: თრ და თვრ კომპლექსები თრ-ობ-ა და თვრ-ებ-ა ფორმებში მორფო-
ლოგიურად ერთმანეთს უკავშირდება, მაგრამ ფონეტიკური თვალ-
საზრისით მათ შორის სხვაობაა.

თხ (თხა) - ხლ (ხლეჩი), ხმ (ხმა), ხრ (ხრამი), ხვ (ხვეწა), → თხლ (თხლე), თხმ
(თხმელა), თხრ (თხრის), თხვ (გათხვარა).

ძვ (ძვერს), - გვ (გველი), გნ (გნოლი), → ძგვ (ბუძგვი), ძგნ (ძიძგნის).

წკ (წკირი), - კვ (კვეთს), კნ (კნავის), კრ (კრაზანა), → წკვ (ძეწკვი), წკნ (წკნელი),
წკრ (წკრიალი).

ცხ (ცხელი), ხვ (ხვეტს), ხლ (სახლი), ხრ (ხრავს) → ცხვ (ცხვარი), ცხლ (ცეცხლი),
ცხრ (ცხრა).

ლრ (ლრენს), რმ (სარმა), რძ (ვერძი), რჯ (ბურჯი), რკ (არკობს), რჩ (რჩევა) → ლრმ

(ღრმა), ღრძ (ღრძილი), ღრჯ (ღრჯოლი), ღრჳ (ღრჳილი), ღრჩ (აღრჩობა).

სხ (სხედან) — ხლ (ახლა), ხე (ხეალ) → სხლ (სხლავს), სხე (სხეა) და მისთ.

ასევე: ოთხშემადგენლიანი კომპლექსები შედგებოდა ისეთი ორშემადგენლიანი კომპლექსებისაგან, რომლებიც ცალკეც, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაჩნდებოდა. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს:

ბრტყ (ბრტყელი), შდრა.: ბრ (ბრიყვი), რტ (ყერტი), ტყ (ტყე).

გრჯღ (გრჯღა), შდრა.: გრ (გროვა), რჯ (რჯული), ჳღ (ჳღანი).

გრძნ (გრძნობს), შდრა.: გრ (გრიალი), რძ (კორძი), ძნ (ძნა).

ფრთხ (ფრთხილი, ფრთხილი), შდრა.: ფრ (ფრენს), რთ (ზერთი), თხ (თხელი).

რთქლ (ორთქლი), შდრა.: რთ (რთავს), თქ (თქარი), ქლ (ქლიავი).

რთხლ (წირთხლი), შდრა.: რთ (რთავს), თხ (თხილი), ხლ (მუხლი).

რცხლ (ვერცხლი), შდრა.: რც (ფურცელი), ცხ (ცხარე), ხლ (წიხლი) და მისთ.

ერთი და იმავე ფონემის დართვით კომპლექსი შეიძლება „გართულდეს“ როგორც აუსლაუტისაკენ, ასევე ანლაუტისაკენ. მაგალითად, ერთი მხრივ, თხრ (თხრის), ხოლო მეორე მხრივ, რთხ (რთხამს) და ასე: ტყრ (ტყრუშული), - რტყ (არტყამს), თვრ (თვრება) — რთვ (რთველი), ცხრ (ცხრა) — რცხ (მარცხი, სხმ (სხმარტალებს) — მსხ (მსხალი) და სხვანი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიგის მონაცვლე კომპლექსები შედარებით იშვიათია, რადგან ყველა შემთხვევაში არ დაიშვება ასეთი „პოზიციური თავისუფლება“; მაგალითად, გვაქვს ღრჳ (ღრჳილი), მაგრამ არ დადასტურდა *ქღრ, დაჩნდება ბრძ (ბრძენი), მაგრამ არ შეინიშნება *ძბრ და ა.შ. უპირატესად ეს აიხსნება კომპლექსის არაბუნებრივობით: არ დასტურდება თვით ორშემადგენლიანი *ქლ, *ძბ კომპლექსები მაშინ, როცა დასაშვებია ბძ (ბძარავს // ბზარავს), ღჳ (ღრჳილი → ღჳილი)... თუმცა ყველა შემთხვევაში ასე არ არის. გვაქვს, მაგალითად, ბრკ კომპლექსი (აბრკოლებს), არ დადასტურდა *კბრ, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლოდ დაჩნდება როგორც კბ (კბილი, კბენს, ნიკაპი → მოხეური: ნიკბის), ასევე ბრ (ბრიალი, ბროლი) კომპლექსები. აქ, ჩანს, უკვე ის კანონზომიერებანი მოქმედებენ, რომლებიც სამ - და მეტშემადგენლიანი კომპლექსებში ფონემათა ურთიერთშეხამების წესებს განსაზღვრავენ (განსხვავებით ორშემადგენლიანი კომპლექსებისაგან).

სამ - და მეტშემადგენლიანი კომპლექსები ჭართული ენის დიალექტებში ხშირად თანხზოვანის განვითარებით არის წარმოქმნილი იმ პირობაში. რომ დატულია კომპლექსის ბუნებრივობის წესი: ცხ → რცხ (გურული, იმერული, აჭარული: უცხო → ურცხო), ძღ → რძღ (იმერული: ძღვენი → რძღვენი), წყ → რწყ (იმერული: წყვილი → რწყვილი), რცლ → რცხლ (გურული: ვარცლი → ვარცხლი), სკენ → ფსკენ (გურული:

სკენის → ფსკენის)... ამგვარი რამ სალიტერატურო ენისათვისაც არ არის უცხო; შდრ.

ძველი ქართული: ვეცხლი → ახალი ქართული: ვერცხლი (ანუ: ცხლ → რცხლ)...

კომპლექსთა „გართულების“ თავისებური სახეობაა კონტამინაცია:

ფხენის + ფშენის → ფშხენის // ფხშენის...

ზემოხსენებული არ გამოირიცხავს იმას, რამ, ბუნებრიობის მიუხედავად, ამგვარი კომპლექსებიც შესაძლოა ფონეტიკურად იცვალოს: ბრძ → ბძ (ბრძენი → ბძენი), კრძ → კძ (კრძალავს → კძალავს), ფრთხ → ფთხ (ფრთხის → ფთხის) ან: ბრძ → რბძ *ბრძა → ლეჩხუმური: რბმა, ხევსურული: ბურმა და მისთ.

ურთიერთსაპირისპირო მოვლენები ხშირად ერთსა და იმავე დიალექტში იჩენს თავს; მაგალითად, ზემოთ აღინიშნა, რომ გურულში დადასტურებულია სკენ — ფსკენ (სკენის → ფსკენის), ამის საპირისპიროდ აქვე შეინიშნება ფსხ → სხ (მსხალი → ფსხალი // სხალი) - მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ქართულისათვის ბუნებრივი ფს კომპლექსი დაჩნდება...

3.2.2. მყარი კომპლექსები ქართულში. მყარს პირობითად ვუწოდებთ ისეთ კომპლექსებს, რომლებიც შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

აკმაყოფილებს ქართულში თანხმრავანთ შეხამების ძირითად კანონზომიერებებს (რაგვარობის, ლოკალური რიგისა თუ მქედრობა-სიყრუის მიხედვით);

ზემოხსენებულის გამო ნაკლებად იჩენს მიდრეკილებას ფონეტიკური ცვლილებისაკენ (ანუ: უფრო მდგრადია);

მიიღება სხვა ტიპის („არამყარი“) კომპლექსების ფონეტიკური გარდაქმნების შემთხვევაში, როგორც ენისათვის (დიალექტისათვის) უფრო ბუნებრივი; ანუ: „არამყარი“ კომპლექსი იძლევა ფონეტიკურად მდგრად კომპლექსს. რა თქმა უნდა, მდგრადობა ამ შემთხვევაში შეფარდებითი ცნებაა.

შეიძლება გამოვყოთ ამგვარ მყარ კომპლექსთა რამდენიმე სახეობა.

ა) წინა რიგის ხშული + უკანა რიგის სპირანტი (დეცესიური კომპლექსი):

ბლ (ბლავის) — ფხ (ფხა) — ბყ (დაიპყარი)

დლ (დლე) — თხ (თხა) — ტყ (ტყე)

ბზ (ბზა) — ფს (ფსამს)

ბე (ბეთეტავს) — ფშ (ფშა).

ბ) წინა რიგის აფრიკატი + უკანა რიგის სპირანტი (დეცესიური კომპლექსი):

ძლ (ძლება) — ცხ (ცხენი) — წყ (წყალი)

ჭლ (ჭლა) — ჩხ (ჩხირი) — ჭყ (ჭყეტს)

გ) წინა რიგის ხშული + უკანა რიგის ხშული (დეცესიური კომპლექსი):

ბგ (ბგერა) — ფქ (ფიფქი) — ბკ (ბკი)

დგ (დგას) — თქ (თქარი) — ტყ (ტყვილი)

დ) წინა რიგის აფრიკატი + უკანა რიგის ხშული (დეცესიური რიგი):

ძგ (ძგერს) — ცქ (ცქერა) — წკ (წკარი)

ჭგ (ბოჭგი) — ჩქ (ჩქეფს) — ჰკ (ჰკუა)

ე) წინა რიგის სპირანტი + უკანა რიგის სპირანტი (დეცესიური კომპლექსი):

ზღ (ზღერბლი) — სხ (სხივი)

ჟღ (ჟღალა) — შხ (შხეფი).

შენიშვნა: სპეციალურ ლიტერატურაში ზემოხსენებული კომპლექსები განისაზღვრება როგორც პარმონიული, თუმცა სხვადასხვა ავტორი ამის ნიმუშად სხვადასხვა კომპლექსებს ასახელებს. მაგალითად, ა. შანიძე პარმონიულად მიიჩნევს მხოლოდ პირველი ორი ტიპის კომპლექსებს (ბზ-ფს, ბე-ფშ კომპლექსების გამოკლებით). გ. აბულუდიანის დასკვნით, პარმონიულია პირველი ოთხი ტიპის კომპლექსი (ასევე ბზ-ფს, ბე-ფშ კომპლექსების გამოკლებით). გ. მაჭავარიანი პარმონიულად თვლის ხუთივე დასახელებული ტიპის კომპლექსებს, რასაც უმატებს აგრეთვე სკ, სტ, სთ, სწ კომპლექსებს. თ. უთურგაიძის განსაზღვრით, პარმონიულია პირველი და მეორე ტიპის კომპლექსები, რომელთაც ემატება ჟს, ჟშ, გზ, გჟ, კს, კშ, აგრეთვე სხ, ზღ, შხ და ჟღ. ამჟერად ზემოხსენებულ კომპლექსებს განვიხილავთ არა პარმონიულობის ნიშნით, არამედ მათი ფარდობითი ფონეტიკური მდგარადობის თვალსაზრისით, რადგან დიალექტების დონეზე მათი ანალიზისას სწორედ ეს არის არსებითი.

ე) უკანა რიგის სპირანტი + წინა რიგის სპირანტი (აქცესიური კომპლექსი): ესაა შებრუნებული რიგით წარმოდგენილი ზემოხსენებული კომპლექსები:

ღზ (ღ) — ხს (ხსენი)

ღჟ (ღ) — ხშ (ხშავს).

შენიშვნა: ღზ დადასტურდა მხოლოდ მორფემათა ზღვარზე: ბაღ-ზე... ფონეტიკურად შეთავსებადია ღჟ კომპლექსიც, თუმცა რეალურად არ შეინიშნება. ჩვეულებრივ, ხს და ხშ კომპლექსები მეორეულია; შდრ. ძველი ქართული: ქსენება, ქსოვა; კშავს, კშირი → ახალი ქართული: ხსენება, ხსოვნა; ხშავს, ხშირი (ძველი ქართულისებური ვიოარება შემორჩა რამდენიმე დიალექტს). მიუხედავად ამისა, მათი მიკუთვნება მყარ კომპლექსთა რიგისადმი ახალ ქართულში საფუძველს მოკლებული არ არის. რაც შეეხება ძველ ქართულსა და თანამედროვე

დიალექტების ერთ ნაწილს (ხევსურული, თუშური, მოხეური...), აქ მყარ კომპლექსთა რიგს უნდა განეკუთვნოს კს და კშ (რაც არ გამოირიცხავს მათი შეცვლის შესაძლებლობას ხს და ხშ კომპლექსებით).

ზ) უკანა რიგის ხშული + წინა რიგის სპირანტი (აქცესიური კომპლექსი):

გზ (გზა) — ქს (ქსელი) — კს (—)

გფ (ფ) — ქშ (ქშენს) — კშ (—)

შენიშვნა: გე კომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში არ შეინიშნა (გვაქვს მორფემათა ზღვარზე: გ-ჟეჟავ-ს, თუმცა ფონეტიკური თვალსაზრისით დაბრკოლება არ არსებობს. კს და კშ შეუთავსებელია როგორც ყრუ მკვეთრისა და ყრუ ფშვინიერის შეხამება. ამჟამად დაჩნდება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე და მაშინაც, როგორც წესი, ფონეტიკურად იცვლება: თოკ-ს → თოქ-ს, წიგნაკ-ში → წიგნაქ-ში. ძველ ქართულში კს კომპლექსი დამოწმებულია ერთი მორფემის ფარგლებშიც: კსინვა „სუსხვა“, კსუ „მოუთვინიერებელი“. დიალექტებში შემორჩენილია ეს ფორმები, ოღონდ შესაბამისი ფონეტიკური ცვლილებით: ქსინი „ქარიანი ამინდი“ (ხევსურული), ქსუ, გაქსუეება // გაქსუება (დაჩნდება რამდენიმე დიალექტში, გამოიყენება სალიტერატურო ენაშიც).

თ) წინა რიგის სპირანტი + უკანა რიგის ხშული (დეცესიური კომპლექსი); არსებითად ესაა შებრუნებული რიგით წარმოდგენილი ზემოდასახელებული კომპლექსები:

ზგ (დაზგა) — სქ (სქელი) — სკ (სკა)

ფგ (ფ) — შქ (შქერი) — შკ (აშკარა).

შენიშვნა: ფგ არ დადასტურდა, თუმცა ფონეტიკურად რაიმე დაბრკოლება არ არსებობს. საგულისხმოა, რომ წინა შემთხვევისგან განსხვავებით ყრუ ფშვინიერი და ყრუ მკვეთრი ასეთი თანამიმდევრობის დროს თავისუფლად ეხამება ერთმანეთს. მეტიც: სკ და შკ კომპლექსები დიალექტებში დაჩნდება როგორც ფონეტიკური გარდაქმნის (ანუ: სხვა კომპლექსი: სუჟერაციის, დაძლევის) შედეგი: სქელი → სკელი, შქერი → შკერი (გურული); ორივე შემთხვევაში ცვლილების საფუძველია პროგრესული დისიმილაცია (ყრუ ფშვინიერი + ყრუ ფშვინიერი → ყრუ ფშვინიერი + ყრუ მკვეთრი).

ი) ნუნისმიერი სპირანტი + კბილისმიერი ხშული (აქცესიური კომპლექსი):
 ზდ (ზრდის → ზდის) — სთ (სთავს) — სტ (სტუმარი)
 ჟდ (ჟდება) — შთ (შთაგონება) — შტ (შტო)

შენიშვნა: მართალია, ერთი მორფემის ფარგლებში ზდ და ჟდ კომპლექსები მხოლოდ ცვლილების შედეგად შეინიშნება, მაგრამ ფონეტიკური თვალსაზრისით მათი შეთავსებადობა ექვეს არ იწვევს. მეტიც: ზდ კომპლექსი ხშირად დაჩნდება როგორც მორფემათა ზღვარზე ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი: ს-დევ-ს → ზ-დევ-ს, ს-დი-ს → ზ-დი-ს, მის-და → მიზ-და...

კ) სპირანტი + აფრიკატი ერთი და იმავე ლოკალური რიგის ფარგლებში:
 ზძ (?) — სწ (სწორი) — სც (?)
 ჟჯ (?) — შქ (შქობა) — შჩ (?)

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ ერთი მორფემის ფარგლებში ამ რიგის კომპლექსები ფრიად იშვიათია, მყარ კომპლექსთა რიგში მათი განხილვა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მორფემათა ზღვარზე მათი წარმოქმნა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში: ს-ძინავ-ს → ზ-ძინავ-ს, ს-ჭერ-ა → ე-ჭერ-ა, მი-ს-ჩერებ-ი-ა → მი-შ-ჩერ-ებ-ი-ა. ამავე რიგისაა სქობ-ა („რქობა, დარქობა“) → შქობ-ა, რომელიც ერთი მორფემის ფარგლებშია განხორციელებული; შდრ. მორფემათა ზღვარზე: ს-კამ-ს → შ-კამ-ს. აღარაფერს ვამბობთ სც კომპლექსზე (ს-ცემ-ს, ს-ცივ-ა, ს-ცავ-ს და მისთ.), რომელიც მი-სც-ა ფორმაში ერთი მორფემის ფარგლებში პოვნიერ კომპლექსთან არის გათანაბრებული (ა. შანიძე), ხოლო დიალექტებში (გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში) იგი სწ კომპლექსის ანალოგიურ ცვლილებებს გვიჩვენებს.

ლ) ლაბიალიზებული კომპლექსები. ლაბიალიზებულად იწოდება კომპლექსი, რომელშიც თანხმოყანი წარმოდგენილია ლაბიალური დამართვით. ქართულში, ჩვეულებრივ, ასეთია კომპლექსი, რომელიც შედგება თანხმოვნისა და წყვილბაგის-მიერი უ-საგან:

ღუ (ღურე) — თუ (თული) — ჯუ (ჯუნნი)
 ძუ (ძული) — ცუ (ცუარი) — ზუ (ზუხი)
 ჭუ (ჭუარი) — ჩუ (ჩუენ) — ჭუ (ჭუარტილი)
 გუ (გული) — ჭუ (ჭუა) — კუ (კული)
 ზუ (ზეზუნი) — სუ (სული)

ჟუ (ეჟუანი) — შუ (შაშუ)
 ლუ (ლუარი) — ხუ (ხუადი)
 კუ (კულა) — ყუ (ყოყუარე)
 ლუ (ელუ)
 მუ (ზომუ)
 ნუ (იანუარი)
 რუ (რუა).

ახალ ქართულში ყველა ამ შემთხვევაში წყვილბაგისმიერ ზ-სთან თავისუფლად მონაცვლეობს კბილბაგისმიერი ვ: დურიე // დირე, რუა // რვა, ზომუა // ზომვა და მისთ. ასეთ თანამედროვე დიალექტების აბსოლუტურ უმეტესობაში.

ძველ ქართულში სხვაგვარი ვითარება იყო. უ დაჩნდებოდა: თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის ან პაუზის წინ (თულო:... დათუ...) და თანხმოვნებს შორის (ლუწო-ლა). დაჩნდებოდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ამავე პოზიციებში წარმოდგენილი იყო კბილბაგისმიერი ვ: ბაძ-ავ-ს → ბაძ-ვა-ა (ანუ: მასდარებში; თუმცა ანტონ კათალიკოსი ამ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ზ-ს აძლევს უპირატესობას, რაც რეალური ვითარების ასახვა ჩანს), ადვილი, კვა, რვა (შდრ. დიალექტებში პოვნიერი: კუა // კუა, რუა // რუა), ცვალება, წვალება, ყველი, იანვარი (შდრ. დიალექტური: იანუარი), ხვალე, იყენეს და მისთ. სხვა პოზიციებში, წესისამებრ, გვერდნა ვ: პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ (ვაზი), ხმოვნებს შორის (ავანანი, ყოველი), ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის ან პაუზის წინ (ზევი, ბაძავ; შდრ. დიალექტური: ბეჟრი, ბაძაჟ). უც მონაცვლეობდა პოზიციის შესაბამისად: ყოველი, მაგრამ: ყუულა, მივალ, მაგრამ: მიხტულ, *შეხაბ, მაგრამ: შეხტაბ, თავყანის მცემელი, მაგრამ: თავყუნის მცემელი (ვ. თოფურია, ს. ქლენტი, ი. იმნაიშვილი, ფ. ერთელიშვილი, თ. გამყრელიძე — გ. მაჭავარიანი).

შენიშვნა: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზ-ს შემცველი კომპლექსები მიანიშნებენ ლაბიალიზებული ხშული და სპირანტი თანხმოვნების ოდინდელ პოვნიერებაზე ქართულში მსგავსად ზოგი სხვა პალეოკავკასიური (აფხაზური...) ენისა (ს.ქლენტი). ამდენად, საკითხი დგას ამ რიგის კომპლექსთა გენეზისის შესახებ ძველ ქართულშივე, რასაც ამჟღად არ ვეხებით.

თანამედროვე დიალექტების ერთ ნაწილში სხვა ხასიათის კანონზომიერებანიც დაჩნდება. ძირითადად ეს ეხება ა, ე და ი ხმოვნებთან ზ/ვ-ს ურთიერთობას. იგულისხმება ცხტური → ცხორი, ჩუნ → ჩონ და მისთანა ფონეტიკური ცვლილებების შესაძლებლობანი, რაც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ხორციელდება. გა-

რდა ამისა, დაჩნდება შუე მონაცვლეობაც: რჳა → რუა, კჳა → ქუა (მესხური), დეკეული → დეკეული (აქარული)... (იხ. ზემოთ: 1.25. დიფთონგები ქართული ენის დიალექტებში, 1.24. შუ ბგერა ქართული ენის დიალექტებში).

მ) სონანტიზებული კომპლექსები, რაც თანხმოვანთა დამართვის პოზიციასში სონანტის პოენიერებას გულისხმობს. საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ.

ბლ (ბლუ) — ფლ (თაფლი) — პლ (პლაკენი)

დლ (ადლი) — თლ (თლის) — ტლ (ტლუ)

ძლ (დეიძლი) — ცლ (ცლის) — წლ (წლავს)

ზლ (ზლუქენი) — სლ (ისლი)...

დმ (კოდმე) — თმ (თმა) — ტმ (ტმასნა)

ძმ (ძმა) — ცმ (ცმელი) — წმ (წმენდს)

ზმ (აზმორებს) — სმ (სმენა)...

ბნ (ბნელი) — ფნ (იფნი) — პნ (აპნეცს)

დნ (დნება) — თნ (სათნო) — ტნ (პიტნა)

ძნ (ძნა) — ცნ (ცნობა) — წნ (წნავს)

ზნ (ზნე) — სნ (ბუსნო)...

ბრ (ბრიყვი) — ფრ (ფრენს) — პრ (პრებს)

დრ (დრო) — თრ (თუთრი) — ტრ (ტრუსავს)

ძრ (ძრა) — ცრ (ცრის) — წრ (წრე)

ზრ (ზრუნავს) — სრ (სრესს)...

ამ რიგის კომპლექსები დაჩნდება ყველა ხშულის, აფრიკატისა და სპირანტის შემადგენლობით. ერთი მორფემის ფარგლებში არ გვხვდება მხოლოდ 3 სპირანტის შემცველი კომპლექსები, თუმცა მორფემათა ზღვარზე იგიც შეინიშნება (პ-ლა-მობს, პ-მართებს, და-პ-ნათის, და-პ-რევიან).

დნ (დნობა), თნ (სათნო) ტნ (პიტნა) კომპლექსები განისაზღვრება როგორც ფაუკალური: აქნის არტიკულაცია ხშვის სახით, რომელიც საზიარო აქვთ წინამდგომ ხშულსა და მომდევნო ნ-ს, ხდება მხოლოდ ერთხელ, ხოლო განხშვას ადგილი აქვს არა პირში, სადაც ხშვა მოხდა, არამედ ხახის არეში სასის ფარდის სწრაფი ჩამოშვების სახით, რის გამოც პაერი მთლიანად მიედინება ცხვირის ღრუში; მაშასადამე წარმოიქმნება სრულიად ახალი ბგერა, რომლისთვისაც ხშვას ახდენს წინაენა, ხოლო განხშვა ხდება სასის ფარდით, წინაენა რჩება ხშვის მდგომარეობაში. ამგვარად წარმოებულ რთულ თანხმოვანს ვეძახით საერთოდ ფაუკალურს* (გ. ახვლედიანი). ზედმიწევნით „ფაუკალური“ ნიშნავს „ხახისმიერი“. ანალოგიურ კომპლექ-

სებად მიიჩნევა აგრეთვე ბმ (ბმა), ფმ (თაფმა),პმ (ტაპმა). „თავისებურ რთულ ლატერალურ თანხმევებად“ განისაზღვრება დლ (მადლი), თლ (ბათლი), ტლ (ეტლი) კომპლექსები: „ხშვა ხდება წინაენის, ხოლო სკდომა ენის გვერდებით; წინაენის ხშვა გაიხსნება მხოლოდ მომდევნო ხმოენისათვის“ (გ. ახვლედიანი). შესაბამისად დაისმის საკითხი სხვა სონანტიზებული კომპლექსების მიმართაც. ამდენად, წარმოთქმის ერთეუმიერობა განაპირობებს ამ რიგის კომპლექსთა მდგრადობას. წარმოთქმის ერთეუმიერობა დამახასიათებელია ზემოდასახელებულ სხვა სახის მყარი კომპლექსებისთვისაც.

კიდევ ერთი თავისებურება: გარდა მესამე და მეოთხე ტიპის კომპლექსებისა (ბგ — ფქ — ჰკ... ძგ — ცქ — წკ...), ყველა სხვა კომპლექსის შემადგენლობაში წარმოდგენილია ნაპარალოვანი ან ხშულ-ნაპარალოვანი (სონანტი) თანხმევანი; ეს განაპირობებს ამ კომპლექსთა ნაპარალოვან დამართვას (ბლ, გზ დღ, ბლ...) ან შემართვას (ზგ, ზდ, სწ), რაც მარცვლოვან კომპლექსებთან აახლოვებს მათ.

3.23. მყარ კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებები. მყარი კომპლექსი, როგორც ითქვა, პირობითი ცნებაა. ამის კვალობაზე, ფონეტიკური გარდაქმნები არ გამოირიცხება ამ ტიპის კომპლექსებშიც.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს: დიალექტებში ფართო გასაქანი ეძლევა თანხმევანთა განვითარების გზით ზემოხსენებული ტიპის კომპლექსების წარმოქმნას.

წარმოიქმნება პარაზონული კომპლექსები:

ვითარდება სპირანტი: დ → დღ (დუდუნი → დუდღუნი), ტ → ტყ (ტატანი → ტატყანი, შდრ.: დატატანება), ც → ცხ (ფარცლი → გურული: ვარცხლი); ე → ეღ (ყერა → ეღერა, ემურტლი → ეღმურტლი), ს → სხ (თავსლაფი → გურული: თავსლაფი)...

ვითარდება ხშული: ა) სპირანტის წინა პოზიციაში: ღ → ბღ (ჩამოღარული → ფშაური: ჩამობღარული, გაღიზიანება → ლუჩხუმური: გაბღიზიანება) [ფ. ერთეული-შვილი], ხ → ფხ (ფხოკნის, შდრ.: იხოკავს); ბ) აფრიკატის მომდევნოდ: წ → წყ (წინელი → წყნელი, წრეტა → ჭიზიყური: წყრეტვა), კ → ჰკ (ჰდგ → ხვესურული, მთიულური, თუშური: ჰკდგ, ჰნავი → აჰკარული: ჰკნავი), ც → ცქ (შესციციენებს → შესციციქინებს, ცუცნის → ცუცქნის).

წარმოიქმნება სხვა რიგის მყარი კომპლექსები:

ვითარდება ხშული სპირანტის წინ: ს → ფს (სკვნის → ფსკვნის).

ვითარდება სპირანტი ხშულის წინ: კ → სკ (ყვერი → რაჰული: სკვერი), თ → სთ (თურმე → ლუჩხუმური: სთურმე).

შენიშვნა: ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში პირის ნიშნის პოზიციაში ხშულის

ან აფრიკატის წინ დაჩნდება ს — მაშინ, როცა ამის საჭიროება მორფოლოგიის თვალსაზრისით არა ჩანს. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევებში სპირანტი იმავე დანიშნულებით იყო გამოყენებული, რაც ზემოდასახელებულ ფორმებში წარმოჩნდა: ატირდა → ასტირდა, ჭვარი დაიწერა → ჭვარი დეისწერა (იმერული), ანუ: წარმოიქმნება სტ, სწ... კომპლექსები.

შეინიშნება შემთხვევები, როცა ერთი და იგივე კომპლექსი მიიღება სხვადასხვა გზით, კერძოდ, სხვადასხვა ბგერის განვითარებით; მაგალითად, იმერულში თავს იჩენს, ერთი მხრივ, ე → ქე (ვიშნა „ალუბალო“ → ქვიშა; ვ. თოფურია), ხოლო, მეორე მხრივ, ქ → ქე (აჩუქა → აჩუქეა). ორივე შემთხვევაში წარმოიქმნება ქე კომპლექსი.

იმთავითვე წარმოდგენილი მყარი კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებების არსებითი თავისებურება ისაა, რომ მის შედეგად ისევ მყარ კომპლექსს ვიღებთ. ესაა ძირითადი პრინციპი.

პარმონოულ კომპლექსებში დიალექტების დონეზე ხშირია ერთი და იმავე ლოკალური რიგის მეორე და ყრუ თანხმოვნთა შენაცვლება: ბლ/ფხ (ბობლავს/ფოფხავს, ბლავნის/ფხაქნის, ბლლუს/ფხლუწს), დლ/ტყ/თხ (დლლუს/ტყლუს//ტყლეს/თხლუს), ჯლ/ჭყ/ჩხ (ბარჯლავს/პარჭყავს/ფარჩხავს, ანჯორეცს/ანჭყრეცს), წყ/ცხ (წყრთა/მცხთა — დადასტურებულია ლუჩხუმერში, თანხმლები პრაოცესია ხ-ს დაკარგვა და მ-ს გაჩენა)...

შენიშვნა: ასეთ შემთხვევებში შესაბამისად ხდება სიტყვა-ფორმაში წარმოდგენილი სხვა მეორეი და ყრუ თანხმოვნების გადაბგერბაც: ბობლავს/ფოფხავს, გრჯლა/კრჩხა... ანუ: ბლ/ფხ, ჯლ/ჩხ შენაცვლებას თან ახლავს ბ/ფ, გ/კ მონაცვლებაც.

მონაცვლებენ ერთი და იმავე ლოკალური რიგის: ა) ხშულები და სპირანტები: დლ/დგ (კურდღელი/ყურდღელი-გურული, ბდღენის/ბდგენის — ოკრიბული), ბ) აფრიკატები და სპირანტები: ცხ/სხ (ცხიმიანი → სხიმიანი), შდრ.: სხ/ცხ (სხვა → ცხო) — ეს ორივე ფორმა მოხეურშია დამოწმებული...

მონაცვლეობა შესაძლოა მოხდეს ლოკალურ რიგებს შორისაც; მოხეური: სკ/შკ (სკამი → შკამი), სტ/შტ (ჭისტი → ჭიშტი), იმერული: სკ/წყ (ხონისკენ → ხონიწყენ)...

შენიშვნა: მონაცვლეობა შესაძლოა იზღუდებოდეს; მაგალითად, დამოწმებულია სკამ-ი → შკამ-ი, სტვირ-ი → შტვირ-ი, მაგრამ არ შეინიშნება იმავე კომპლექსების ცვლილება სკა, ს-ტირ-ი ფორმებში.

მყარ კომპლექსებში დაჩნდება მეტათეზისის შემთხვევებიც; გადაისმის ერთი თანხმობანი: ბლანის/ჯლანის, გადაისმის მთელი კომპლექსი: წკარუნი/რაწკუნი... გადასმას თან ახლავს სხვა რიგის ცვლილებანიც: ბერტყ-ა/ბლერტ-ა, ტყორცნა/აჭარული: ტორცნა, ჰულტ-ა/ტულუჰა (// ტულუჰა)...

თავისებური ფონეტიკური ცვლილებები დაჩნდება ლაბიალიზებულ და სონანტიზებულ კომპლექსებში.

პირველადი ლაბიალიზებული კომპლექსების გარდა, დაჩნდება მეორადი კომპლექსებიც, რომლებიც მიიღება: ა) მეტათეზით: თავყანისცემა → თავყანისცემა (განხორციელებულია ისტორიულად), ბ) უ-ს დავიწროებით: შუა → შვა, გ) თანხმობის მომდევნოდ ვ-ს გაჩენით: თოკი → თოკვი, აჩუჰა → აჩუჰვა; ვ-ს გაჩენას იწვევს ფორმაში პოენიური ლაბიალური ხმოვანი. აღმათ ამით აიხსნება აგრეთვე: სურ-ს → სურვილ-ი... დ) ვ-ს წინ თანხმობის გაჩენით: ვიშნა → ჭვიშნა, ნივთი → ნიჭეთი, ავტომობილი → აჭტომობილი, ე) ხმოვის რედუქციის შედეგად: ბაძავს → ბაძვა, ხატავს → ხატვა, ვ მ → ვ პროცესის შედეგად: ღმერთი → ღმართის → ღვთის (თანმხლები პროცესია ვ-ს დაკარგვა).

შენიშვნა: ჩვეულებრივ, ქართული ენის დიალექტებში შეინიშნება მიდრეკილება ლაბიალიზაციისაკენ. იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს თანხმობანთა დელაბიალიზაციის შემთხვევები: ფჭილი → ჭვილი // ჭილი (გურული, იმერული...). შეინიშნება ლაბიალიზებული კომპლექსის მარცვლოვან კომპლექსად გარდაქმნის ტენდენციაც; მაგალითად, მთელსურში მონაცვლეობს უ :უ აჭუ/აჭუ („აჭეს“) ფორმებში იმის კვალობაზე, თუ როგორ ფორმას იხამებს: არ მაჭუ // არა მაჭუ მესხურში დაჩნდება: ჭვა // ჭუა, რვა // რუა (მღრ. ზანური: რუო // ბრუო); საპირისპირო შემთხვევაა შუა → შვა, სუა → სვა, სუელი → სველი, თქუა → თქვა... ორივე შემთხვევა აიხსნება მახვილის მოჭედებით.

სამშემადგენლიან მეორად ლაბიალიზებულ კომპლექსებში (თუ ასეთი თანამიმდევრობაა: ჩქამიერი + სონანტი + ვ) დიალექტების უმეტესობაში განხორციელებულია მეტათეზისი (გ. ახვლედიანი): ჩაგრავს → ჩაგრვა → ჩაგვრა, ძრავს → ძრვა → ძერა, ხნავს → ხნვა → ხვნა... მღრ. იმერული: მოკლავს → მოკლუა, შეკრავს → შეკრვა, ხნავს → ხნვა, სადაც მეტათეზისი არაა განხორციელებული. მეტათეზისი, როგორც წესი, არ ხდება მამინაც, როცა სონანტის პოზიციაში მ არის წარმოდგენილი (ალაგმავს → ალაგმვა). მეტათეზისის შედეგად ისევ ლაბიალიზებული მყარი კომპლექსები დაჩნდება (გვ, ძვ, ხვ...).

სონანტიზებულთაგან ზოგი თავისებურებით გამოირჩევა რ-ს შემცველი კომპლექსები.

მაგალითად, სამ— და მეტშემადგენლიან კომპლექსებში, თუ რ მოქცეულია ჩქამიერ თანხმოვნებს შორის, როგორც წესი, თავს იჩენს ფონეტიკური ცვლილებისაკენ მიდრეკილება: ა) იკარგვის რ: ჩრდილი → ჩიდილი / ჩიილი, ფრჩხილი → ფჩხილი; ბ) ჩნდება თანხმოვანთგამყოფი ხმოვანი: ჩრდილი → ჩირდილი, ფრჩხენის → ფურჩხნის. შევნიშნავთ: ამავე პოზიციაში ხმოვანი შესაძლოა გაჩნდეს ლ სონანტის პოვნიერების დროსაც: კლდე → კილდე (ლ იკარგვის კიდევ: კლდე → კდე); ამ მხრივ იგი რ-ს ჩვენებას იმეორებს. შემდეგ: ხმოვანი შეიძლება გაჩნდეს მაშინაც, როცა ჩქამიერის პოზიციაში მ სონანტი გვაქვს: ბრმა → ბგრმა // ბირმა // ბურმა, ღრმა → ღგრმა // ღირმა; ამ შემთხვევაში დაჩნდება მეტათეზისიც: ბრმა → ლჩხუმური: რბმა, ღრმა → რღმა... ამის საპირისპიროდ, იმ სამ— და მეტშემადგენლიან კომპლექსებში, რომელთაც იწყებს ან ამთავრებს რ, ფონეტიკური ცვლილება, როგორც წესი, არ ხდება. რძლ (ღვარძლი), რჯლ (ბორჯლი), რჩხ (კიბორჩხალი)... ნძრ (გაანძრევს), ნჭრ (კინჭრაქა), ნგრ (ანგრევს), მბრ (ამბრი)...

ორშემადგენლიან სონანტიზებულ კომპლექსში რ-ს პოზიცია მყარია: თრ (ათრევს), ღრ (ღრიალებს)... მაგრამ იმავე თანხმოვნების წინა პოზიციაში რ შესაძლოა იცვალოს (ბურლი → ბულლი, ბურთი → ბულთი — დამოწმებულია გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში). ანალოგიური ვითარებაა ლ სონანტის შემთხვევაშიც: ბლ (წაბლი), მაგრამ: ლბ → რბ (ალბ-ობ-ს → ლბ-ილ-ი: რბ-ილი რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე).

რ-ს პოვნიერება შესაძლებლობას იძლევა ერთი კომპლექსის ფარგლებში შენარჩუნებულ იქნას მეღერობა-სიერუის მიხედვით განსხვავებული თანხმოვნები: ჩრდ (ჩრდილი), წრფ (წრფელი), ბრტყ (ბრტყელი); რ-ს ჩავარდნისას, როგორც წესი, ხდება ცვლილება (ჩრდილი → ჩიდილი → ჩიილი → შთილი → შტლი, წრფელი → წფელი → ცფელი, ბრტყელი → ბტყელი → ბტყელი). შევნიშნავთ, რომ ანალოგიური ვითარებაა ლ და ნ სონანტების შემთხვევაშიც (აჩნდება → ჩდება → ჩთება, კლდე → კდე → კტე).

სპეციფიკური მოვლენაა წინაენისმიერი ხშულებისა და აფრიკატების წინ ს → რ პროცესი (რომელიც განხორციელებულია ისტორიულად და ამჟამადაც იჩენს თავს დიალექტებში). ესაა როტაციზმის თავისებური შემთხვევა, დამახასიათებელი ქართულისათვის. შევნიშნავთ: ამ დროს წარმოიქმნება არა სონანტიზებული კომპლექსები (რ უსწრებს თანხმოვანს), არამედ, პირიქით, მყარი კომპლექსები (სთ, სტ, სძ, სწ...) კარგავენ მდგრადობას: სთ → რთ (სთავს → რთავს, სთველი → რთველი), სტ → რტ (*სტო → შტო → რტო), სძ → რძ (სძე → რძე, სძალი → რძალი), სწ → რწ (მსწელობა

→ მრჯელობა); შდრ. აგრეთვე: ე-სწ-ებ-ის „ირწევა“ (ხევსურული), და-სკ-ობ-ა „დარჭობა“... დიალექტების ერთ ნაწილს (თუ შურს, ხევსურულს, მოხეურს...) შემორჩენილი აქვს პირვანდელი ვითარება, თუმცა ზოგჯერ ფონეტიკური მოდიფიკაციების სახით; მაგალითად, სთვა → ზღვაჲ, სთველი → ზღველჲ (თუ შური), სძალი → ზძალი → ზალჲ (თუ შური, ხევსურული), სდე → ზდე → ზემ (თუ შური) / ზისცვარი ← სძისცვარი (ხევსურული).

საგულისხმოა, რომ იმ თანხმობების წინ, სადაც განხორციელებულია ს → რ, შეიძლება განვითარდეს რ: სათაკილა → სართაკილა, დატაკი → დართაკი, ძღვენი → რძღვენი, ღვიძლი → რღვიძლი, თუჯი → თურჯი (რაჭული, იმერული, ლეჩხუმური...).

და ბოლოს უნდა ისევე აღინიშნოს, რომ „მყარი კომპლექსი“ ფარდობითი ცნებაა, ამიტომაც არ გამოირიცხება მისი ნაირგვარი ცვლილების შესაძლებლობა დიალექტების მიხედვით. ერთი ნიმუში ამისა:

სწორი →	მწორი (სამხრეთ ქართლური) → ხწორი (რაჭული, ლეჩხუმური) სტორი (იმერული, გურული) სორი (იმერული, გურული) წორი (რაჭული, აჭარული)
---------	---

როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე დიალექტში შესაძლოა დაჩნდეს სხვადასხვა შედეგი და, პირიქით, სხვადასხვა დიალექტში დაგადასტუროთ იდენტური პროცესები...

მიუხედავად ამისა, „მყარი კომპლექსების“ გამოყოფა რეალური საფუძვლის მქონეა, რასაც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიც ადასტურებს. არსებითია ისიც, რომ; როგორც ითქვა, სხვა რიგის კომპლექსთა ფონეტიკურ ცვლილებებს, ჩვეულებრივ, განაპირობებს მყარ კომპლექსებად გარდაქმნის ტენდენცია (იხ. ...22).

3.2.4. პირველადი და მეორეული თანხმობანთა კომპლექსები. პირველადია იმთავითვე წარმოდგენილი კომპლექსი, რომელიც დაჩნდება ერთი მორფემის ფარგლებში: ბგ (ბგერა), ფხ (ფხა), მთ (მთა), შდრ.: ექიმთან), გვ (გვაქვს), მზ (მზერა, შდრ.: სკამ-ზე), სხ (სხივი) და მისთ. შევნიშნავთ, რომ „პირველადი“ გარკვეულ წილ პირობითი ცნებაა. ამ რიგის ზოგი კომპლექსი ეტიმოლოგიურად შესაძლოა ფონეტიკური ცვლის შედეგად იყოს მიღებული. მაგალითად, აშკარად მეორეულია დგ კომპლექსი და-დგ-ა ფორმაში (შდრ.: და-ვ-დეგ → და-ვ-დექ), მაგრამ იგივე კომპლექსი ადგილ-ი ფორმაში ამჟამად ფონეტიკური ცვლილების შედეგად არ გაიზრება, თუმცა იმავდროულად ეტიმოლოგიის დონეზე ივარაუდება მისი წარმოშობა დეგ-ფუძისგან (ვ.თაფურია). ამის თაობაზე ზოგადად იხ. ზემოთ: 3.17.

მეორეული კომპლექსები არსებითად ორი სახისაა.

მიღებულთა ერთი ფორმის ფარგლებში ფონეტიკური ცვლილებების შედეგად:

ა) ხმოვნის რედუქციის შედეგად: ბალ → ბლ (ბალი → ბლის), ბარ → ბრ (თანაბარი → თანაბრად), გან → გნ (გარეგანი → გარეგნული), გაე → გე (ნაგავი → ნაგვის), შალ → შლ (გაშალა → გაშლის), ჰედ → ჰდ (ბეჭედი → ბეჭდის), ორ → ორ (ნიორი → ნიორის), ურ → ურ (აქაურობა → აქაურობა)... მტერ → მტრ (მტერი → მტრის), წყალ → წყლ (წყალი → წყლიანი), ძმარ → ძმრ (ძმარი → ძმრიანი)... მსხალ → მსხლ (მსხალი → მსხლის), ცხვარ → ცხვრ (ცხვარი → ცხვრის), ნდორ → ნდვრ (მინდორი → მინდვრის) და ა.შ.

ბ) თანხმოვნის დაკარგვით: ჩრდ → ჩდ (ჩრდილი → ჩდილი), კლდ → კდ (კლდე → კდე), რცხ → ცხ (რცხილა → ცხილა)...

გ) თანხმოვნის გაჩენით: ძლ → რძლ (ღვიძლი → ღვიძლი), წყე → რწყე (წყვილი → რწყვილი), ცხ → რცხ (უცხო → ურცხო) და მისთ.

დ) თანხმოვნის ცვლილებით: ყდ → ყტ (საყდარი → საყტარი), ვზ → ბზ (თევზი → თებზი), სწ → ხწ (სწორი → ხწორი)...

ე) მეტათეზისით: ღირსი → გურული: ღრისი, ბარტყი → კახური: ბლარტი...

ვ) კომბინირებული ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად: მაგალითად, ხმოვნის რედუქციითა და თანხმოვნის გაჩენით: მარ → მმრ (სტუმარი → სტუმბრები), შდრ.: მრ → მმრ (გვიძრა → გვიძრა)...

შენიშვნა: ერთი და იგივე კომპლექსი შესაძლოა სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგად იყოს მიღებული; მაგალითად, ხმოვნის რედუქციით (რძალ → რძლ: რძალი → რძლის) და თანხმოვნის გაჩენით (ძლ → რძლ: ღვიძლი → ღვიძლი).

მიღებულთა მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრის შედეგად:

ა) თავკიდურა პოზიციაში: გზ → მგზ (გზა → მგზავრი), რბ → სრბ (რბის → სრბოლა...).

ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში: თ → თს (თათი → თათის), თ → თზ (თათი → თათზე), თ → თშ (თათი → თათში), ტ → ტე (ხატავს → ხატვა)... ვრ → ვრე (ბევრი → ბევრვანი), ნჯ → ნჯს (მენჯი → მენჯის), სხ → სხე (რისავს → რისხვა) და მისთ.

პრაქტიკულად ასეთი კომპლექსების წარმოქმნა შეუზღუდავია. ერთსა და იმავე თანხმოვანთან შესაძლოა დაინდეს სხვადასხვა კომპლექსი ნაირგვარი მორფემების დართვის გამო: დ → სდ (დვენა → სდვენის) და დ → მდ (დვენის → მდვენარი), ან: ბრ → ბრს (ძაბრი → ძაბრის), ბრ → ბრზ (ძაბრი → ძაბრზე), ბრ → ბრშ (ძაბრი → ძაბრში) და ა.შ.

შენიშვნა: ასეთ შემთხვევებში ხშირად წარმოიქმნება ფონეტიკურად შეუთავსებელი კომპლექსები, რასაც თან სდევს ფონეტიკური ცვლილებები: დს → თს (ბელი → ბედს → ბეთს), ხლშ → ხშ (სახლი → სახლში → სახში), ცს → ცის (კაცი → კაცს → კაცის; უფრო ზუსტად ფუძედ გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფორმა; შდრ. ქვემოიმიერული: კაც-ი, კაც-მა, მაგრამ: კაც-ს „კაცს“ — გარეგნულად ემთხვევა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: კაც-ის; ანუ: ცმ დასაშვები კომპლექსია, ცს — იკრძალება, ამიტომ შედეგიც შესაბამისია).

გვაქვს შემთხვევები, როცა მორფემათა მიჯნაზე თანხმობათა კომპლექსების წარმოქმნას წინ უსწრებს ფონეტიკური ცვლილება: ხან → ხნ (მუხა → მუხნარი), შან → შნ (ჭიშა → ჭიშნარი)...

მორფემათა ზღვარზე წარმოდგენილი კომპლექსები იცვლება პარადიგმის შესაბამისად; მაგალითად:

ა) ვკლ:კლ (მე ვკლავ — შენ კლავ) ან ვკლ:კვ (ვკლავ — ვკალ); კლ:კლვ:კვლ (კლავს → კლვა → კვლა);

ბ) ნჯ:ნჟ:ნწს (მენჯი — მენჯმა — მენჯს); ც:ცნ:ცთ (კაცი — კაცნი — კაცთა)...

ანალოგიური მდგომარეობა შეიძლება დაჩნდეს ერთი მორფემის ფარგლებშიც: დ:დლ (ყდელი — ყდლის), გრძ:გრძნ (ვიგრძენი — იგრძნო)...

ამდენად, მეორადი კომპლექსი შესაძლოა იყოს ორგვარი წარმომავლობის: ა) წმინდა ფონეტიკური ხასიათისა: გოზ → გვზ (ნიგოზი → ნიგვზის), ბ) მორფოლოგიზებული: გოზ → გვზ → გვზნ (ნიგოზი → ნიგვზნარი), ან: ტ → ტნ (დახატა მან იგი → დახატნა მან იგინი).

ერთი და იგივე კომპლექსი შესაძლოა შივილით სხვადასხვა მორფემათა მიჯნაზე: სულ-ი → სულ-ს

ჰ-ზელ → ზელ-ს.

ლს კომპლექსი პირველ შემთხვევაში სახელადი ფუძის თანხმობისა და მიცემითი ბრუნვის ნიშნის შეხამების შედეგადაა მიღებული, მეორე შემთხვევაში — ზმნური ფუძის თანხმობისა და III სუბიექტური პირის ნიშნის შეხამების შედეგად.

ერთმანეთს შეიძლება დაემთხვეს პირველადი და მეორადი კომპლექსები (მიღებული როგორც მორფემათა მიჯნაზე, ასევე ფონეტიკური გარდაქმნის საფუძველზე); მაგალითად, ღბ (იღბალი), ღაბ → ღბ (ნიღაბი → ნიღბის), ჰბ → ღბ (ხევესურული: *ჰბავ „აბია“ → ღბავ), ან: ღლ (ძაღლი, იღლია), ღალ → ღლ (დაღლა → დაღლის), ან: ნც (ქანცი), ნ-ც → ნც (შენ → შენც), ნს → ნც (შანსი → გურული: შანცი).

ფონეტიკური ცვლილება შესაძლოა მოხდეს როგორც ერთი მორფემის ფარგ-

ლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე.

უნდა განსხვავდეს ორი შემთხვევა:

ა) როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა მიჯნაზე დაინდება იდენტური ფონეტიკური ცვლილებები; მაგალითად, მთ → ნთ, ერთი მხრივ, მდღლო → ნდღლო, მეორე მხრივ, მდევარი (შდრ.: ს-დევ-ს) → ნდევარი (მესხური; ან: ვს → მს, ერთი მხრივ, საესე → სამსე, მეორე მხრივ, თესავ-ს → თესამ-ს (ჭართლური); ანდა: ხმოვნის მომდევნოდ: სტ → მტ, აგრეთვე: ს → მ (პაუზის წინ), ერთი მხრივ, ბოსტანი → ბოატანი, დააყენ-ეს → დააყენ-ემ, ხოლო, მეორე მხრივ, რათა სტორი → რათა-მტორი, აშენებდ-ე-ს → აშენებდ-ემ...

იმავდროულად გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ფონეტიკური ცვლილებანი ერთი მორფემის ფარგლებში და მორფემათა ზღვარზე სხვაობენ ერთმანეთისაგან. მაგალითად, ერთი მორფემის ფარგლებში ვზ → ბზ (თევზი → თებზი, კოვზი → კობზი), მაგრამ მორფემათა ზღვარზე ვზ, როგორც წესი, არ იცვლება: ვზივარ, ვზარალობ... ნაუზე, თაუზე... ან: მხ → ფხ ერთი მორფემის ფარგლებში (მხარი → ფხარი), მაგრამ: მხატავს... (ნიმუშები გურული დიალექტიდანა დასახელებული). სწ → სტ დაინდება ერთი მორფემის ფარგლებში (სწორი → სტორი), მაგრამ მორფემათა მიჯნაზე ან შენარჩუნებულია (მო-ს-წი-ა), ან იკარგვის წ (მო-ს-წი-ა → მო-ს-ი-ა; შდრ.: სწორი → სორი).

ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილება რეგლამენტირებულია მორფოლოგიური ფაქტორით, ანუ: ფონეტიკურად იდენტური შედგენილობის კომპლექსები განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან მათივე მორფოლოგიური სტატუსის შესაბამისად. მაგალითად, მესხურში —ებ თემის ნიშანი განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას: ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს, მაგრამ მრავლობითი რიცხვის —ებ ფორმანტიანის ასეთი რამ არ არის დამახასიათებელი (კაც-ებ-ს). ასევე: იცვლება —ავ თემის ნიშანი (მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს → მალ-ან-ს), მაგრამ იმავე პოზიციაში უცვლელია ფუძისეული —ე (თავ-ს, ნავ-ს)...

ერთი და იმავე კომპლექსის ფონეტიკური ცვლილება სხვაობს დიალექტების მიხედვითაც:

სულს →		სულ-ც (გურული)
		სულ (კახური)

დაინდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ფონეტიკური ცვლილების მხრივ ერთსა და იმავე დიალექტში იდენტურ პოზიციაში განსხვავებული შედეგები გვაქვს; მაგალითად, აჭარულში, გურულში, იმერულსა და ლეჩხუმურში ცხ → რცხ დადასტუ-

რებულა უცხო (→ ურცხო) სახელად ფორმაში, მაგრამ არ შეინიშნება უცხოზს ზმნაში: ანუ: სახელში წარმოიქმნა მეორადი რცხ კომპლექსი, ზმნაში — არა.

3.25. თანხმევანთა კონტაქტური და დისტანციური შეხამება. თანხმევანთა კონტაქტური შეხამების შემთხვევაში აკრძალვის რამდენიმე წესი მოქმედებს: ა) იკრძალება, მაგალითად, ერთი ლოკალური რიგისა და რაგვარობის თანხმევანთა შეხამება; ანუ: არა გვაქვს ბბ, ბფ, ბპ, ფბ, პფ, ფპ, წც, ცწ და მისთანა კომპლექსები. თავისთავად იგულისხმება, რომ იკრძალება ორი იდენტური თანხმევანის (ბბ, პპ...) კონტაქტური შეხამებაც; ამის საპირისპიროდ ერთმანეთს შეიძლება შეეხამოს ერთი რაგვარობის, მაგრამ სხვადასხვა ლოკალური რიგის თანხმევანები: ბგ (აბგა), ტყ (ტყენა), ქთ (მუქთი); აგრეთვე ერთი ლოკალური რიგის, მაგრამ სხვადასხვა რაგვარობის თანხმევანები: ბმ (ბმა, ბმო), ნდ (ნდომა), დნ (დნობა)... თუმცა გარკვეული შეზღუდვები აქაც მოქმედებს... ბ) დაჩნდება ტენდენცია არიდებულ იქნას მყდერობა-სიყრუის მიხედვით განსხვავებულ თანხმევანთა კონტაქტური შეხამებაც; ანუ: ქართულისათვის არაბუნებრივია ბქ, ბთ, ბც, ებ, ზფ, შბ, შგ, გშ... კომპლექსები; გ) ქართულისათვის არაბუნებრივია აგრეთვე შეხამება: ყრუ მკვეთრი ხშული + ყრუ ფშვინვიერი სპირანტი (ყს, პს, ტს...), მაგრამ შეხამებადია ამგვარ თანხმევანთა შებრუნებული თანამიმდევრობა: სყ (სკა), სპ (სპილენძი), სტ (სტუმარი)...

ამ საკითხზე საეცილორად ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი აღვნიშნავთ: თუკი მორფემათა მიწნაზე (ან ნასესხებ სიტყვებში) შეუთავსებადმა თანხმევანებმა მოიყარა თავი, როგორც წესი, დაჩნდება ფონეტიკური ცვლილებისაკენ მიდრეკილება.

რაც შეეხება თანხმევანთა დისტანციურ შეხამებას, ამ დროს შეზღუდვა თითქმის არა გვაქვს.

ერთმანეთს შესაძლოა შეეხამოს:

ა) ერთი ლოკალური რიგისა და რაგვარობის თანხმევანები ბ — ფ (ბაფთა); მათ შორის იდენტური თანხმევანებიც: ფ — ფ (ფაფა), კ-კ (კაკაბი)...

ბ) მყდერობა-სიყრუის მიხედვით განსხვავებული თანხმევანები: ბ-ტ (ბრტყელი), დ-ფ (დაფა)...

გ) ყრუ მკვეთრი ხშული + ყრუ ფშვინვიერი სპირანტი: კ-ს (კისერი), პ-ს (პასუხი), ტ-ს (ტუსავს)...

.მეტეც: ზოგჯერ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიიღება ისეთი შეხამება, რომელიც კონტაქტური ურთიერთობის დროს იკრძალება: პ-ტ → ბ-ტ (მოხეური: პატარა → ბატარა), სყ → ზ-კ (ქართლური, მოხეური: სოკო → ზოკო), ს-შ → შ-შ

(საშუალო → მაშვალო)... ამის საპირისპიროდ, კონტაქტური ურთიერთობისას არ იცვლება პტ კომპლექსი (წიბტარა, პტული...), ხოლო სკ-მ შესაძლოა სხვაგვარი რეფლექსი მოგვეცეს (სკამი → მოხეური: შკამი)...

დისტანციური ურთიერთობისას ზემოდასახლებული ტიპის თანხმოვნები შესაძლოა გათიშული იყოს: ხმოვნით (მაფთა, კაკაბი) და სონანტით (კლდე, ბრტყელი). ასეთ შემთხვევებში თანხმოვანთა ამოსავალი მიმართება, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია, თუმცა, რა თქმა უნდა, არ გამოიჩინებება ცვლილების შესაძლებლობაც (კლდე → კლტე, ბრტყელი → პრტყელი).

აქვე უნდა აღინიშნოს: დისტანციური მიმართებისას თანხმოვანთა შეხამების თითქმის შეუზღუდავი შესაძლებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში საერთოდ არ მოქმედებს აკრძალვის გარკვეული წესები. მათგან ყველაზე გავრცელებულია და კარგად ცნობილიც რ-რ, ნ-ნ და ლ-ლ სონანტთა ურთიერთმიმართების კანონზომიერება: ამა თუ იმ ფორმაში მათი პოზიციებისას დაჩნდება დისიმილაციის ტენდენცია: რ-რ → რ-ლ (ერთჯერ → ერთჯელ, რავარი → რავალი), ნ-ნ → ნ-ლ // ლ-ნ (კანონი → კანოლი // კალონი), ლ-ლ → ნ-ლ (სულელი → სუნელი), ლ-ლ → რ-ლ (წლელის → წრელის // წროელის). ამათგან რ-რ → რ-ლ დამახასიათებელია სალიტერატურო ენისთვისაც. შევნიშნავთ: რ-რ → რ-ლ არ ხორციელდება, თუ ვიბრანტებს შორის წარმოდგენილია ლ (ქართური → ქართული, მაგრამ: ქართლური).

დისტანციური შეხამებისას განსაზღვრული წესი მოქმედებს აფრიკატების ურთიერთმიმართებისას. მაგალითად, შეუთავსებადია წინანუნისმიერი (სისინა) და უკანანუნისმიერი (შიშინა) აფრიკატები, ერთი ფორმის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ან მხოლოდ სისინა, ან მხოლოდ შიშინა აფრიკატები:ძ-d (ძიძგინს) ან ჯ-ჯ (ჯიჯგინს), არ დაიშვება *ძ-ჯ შეხამება...

მეღერობა-სიყრუის თვალსაზრისით შეხამების აუცილებლობა დაჩნდება ბგერწერის პრინციპით წარმოებულ ფორმებში: ბოდილი → პოტალი → ფოთილი, ანუ: ბღ (მეღერი), პ-ტ (ყრუ მკვეთარი),ფ-თ (ყრუ ფშვინიერი), თუმცა თავისთავად დისტანციურად შეუძლებელი არ არის ბ-ტ (მატი, ბოტი), ბ-თ (მათილი), პ-თ (მათოსი) და მისთანა შეხამებანი. შდრ. აგრეთვე: ბოდილი, ბოტილი, მაგრამ დასაშვებია: ბლოტილი...

3.26. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ კ ო მ პ ლ ე ქ ს ე ბ შ ი ბ გ ე რ ა თ შე ხ ა მ ე ბ ი ს წ ე ს ე ბ ი. ზემოთ (იხ.: 3.21) საუბარი გვქონდა თანხმოვანთა კომპლექსებში ფონემათა განაწილების კანონზომიერებათა შესახებ. ამჟერად ყურადღებას ვამახვილებთ სხვადასხვა ტიპის კომპლექსებში საკუთრივ თანხმოვანთა შეხამების წესებზე.

ამ ხასიათის რამდენიმე წესი წინა მონაკვეთში იყო დასახელებული (იხ.: 325).
კერძოდ, აღინიშნა თანხმობენთა შესაძლებელი და აკრძალული შეხამების ზოგიერთი შემთხვევა.

შენიშვნათ: შეხამებადად მივიჩნევთ ყველა იმ კომპლექსს, რომელიც დასაშვებია ფონეტიკური ცვლილების გარეშე დაჩნდეს (სულ ერთია, ერთი მორფემის ფარგლებშია წარმოდგენილი თუ მორფემათა მიჯნაზე).

შეხამებადია:

ა) ერთი ლოკალური რიგის, მაგრამ სხვადასხვა რაგვარობის თანხმობენები: ბმ (ბმო, ბმა), ბე (ღებვა), მბ (მბარავი), ვბ (ვბარავ), პმ (ნიკამმა), პე (ყლაპვა), მპ (წუმპე), ვპ (ვპირღები), ფმ (თოფმა), ფე (გაწაფვა), მფ (შამფური), ვფ (ფფარავ), დნ (დნება), ნდ (ნდომა), ტნ (პიტნა), ნტ (ფანტავს), თნ (სათნო), ნთ (ანთებს)...

შენიშვნა 1: ნუნისმიერთა რიგებში დასაშვებია მხოლოდ ასეთი თანამიმდევრობა: სპირანტი + აფრიკატი: სძ/ზძ (სძინავს/ზძინავს), სწ (სწორი), სც (მისცა); სჟ/შჟ/ფჟ (სჟერა/შჟერა/ფჟერა), სჭ/შჭ (სჭირს/შჭირს), სჩ/შჩ (მისჩერება/მიშჩერება). შეზღუდებული რიგის შემთხვევაში ხდება ფონეტიკური ცვლილება: ბოძზე → ბოძძე → ბოძ-ე, ბოძს → ბოძს → ბოც, ლავიწს → ლავიცს → ლავიც-... სონანტთან შეხამება შეუზღუდავია: ძნ (ძნელი), ნძ (ანძა) და ა.შ.

შენიშვნა 2: ერთი და იმავე ლოკალური რიგის ხშულოსა (აფრიკატისა) და სპირანტის შეხამება, როგორც წესი, ხდება მეღერობა-სიყრუის მიხედვით: მეღერი ხშული (აფრიკატი) ეხამება მეღერ სპირანტს: ზძ (ზძინავს), ლგ (ხევსურული: ლგავის „პგავს“), გლ (გლალატობს), ყრუ მევეთრი და ყრუ ფშვინვიერი — ყრუ (ფშვინვიერი) სპირანტს: სწ (სწორი), სც (მისცა), ხჭ (ხჭონია), ხე (ხეითხა), ქხ (ქხედავ)... ერთგვარად გამონაკლისს ქნის ვ (რომელიც სონანტის ბუნებისაა სინტაგმატური თვალსაზრისით და, ამდენად, თითქმის შეუზღუდავი შეხამების უნარი აქვს), თუმცა ისიც ყრუ ბგერების წინ გადადის ძ-ში: ვფარავ → ძფარავ, ვპირღები → ძპირღები (მაგრამ მათ მომდევნოდ უცვლელადაა შენარჩუნებული: გაწაფვა, ყლაპვა).

ბ) ერთი რაგვარობის (ხშული + ხშული, სპირანტი + სპირანტი), მაგრამ სხვადასხვა ლოკალური რიგის თანხმობენები: ბგ (აბგა), ბდ (კაბდო), ფქ (ფიფქი), პე (აპეი), ზლ (ზლაპარი)... სხ (სხედან)... გამონაკლისს ქნის აფრიკატები — მათი შეხამება (ძქ, წქ...) გამოირიცხება; იკრძალება აგრეთვე წინა და უკანა ნუნისმიერ სპირანტთა

შეხამება (ზე...) მორფემათა ზღვარზე მათი შეხვედრისას ხდება ფონეტიკური ცვლილება: ფასზე → ფაზზე // ფასსე → ფაზ-ე, ფასში → ფაშში → ფაშ-ი... არსებითად აქ აფრიკატებისა და იმავე ლოკალური რიგის სპირანტების საერთო წესთან გვაქვს საქმე.

შენიშვნა 1: შეხამება ამ შემთხვევაშიც, წესისამებრ ხდება მელერობა-სიყრუის მიხედვით: ბგ (აბგა), პკ (აპკი), ფქ (ფიფქი), ღგ (ღგას) ტკ (ტკივილი), თქ (ხეთქი); გღ (გღია), ქთ (მუქთი)...

შენიშვნა 2: მელერობა-სიყრუის მიხედვით შეხამების აუცილებლობა შეიძლება დიორღვეს მაშინ, როცა უკანა წარმოების ყრუ ხშულს მოსდევს წინა წარმოების მელერი ხშული (ანუ: როცა გვაქვს ე.წ. აქცესიური, „სააქეთო“ თანამიმდევრობა): ტბ (ტბა), თბ (თბილი), კბ (კბენს), ჭბ (გურჯული: კბილი „ფჭვილი“), კდ (კდემი), ქდ (სუქდება)... მაგრამ დაუსვებელია ბტ, ბკ, ღკ და მისთანა კომპლექსები. თუ დაჩნდება, მიდრეკილებას იჩენს ფონეტიკური ცვლილებისაკენ: ბებკაუს → პებკაუს, ღუღკო → ღუღტკო...

შენიშვნა 3: იკრძალება ერთი რაგვარობისა და ლოკალური რიგის თანხმოვნების შეხამება; ანუ: არა გვაქვს ბბ, ბფ, ღტ, კქ, სშ, ღხ... ტიპის კომპლექსები. მორფემათა ზღვარზე მათი წარმოქმნისას, ხდება ფონეტიკური ცვლილება: დითთან → დითთან → დით-ან, გკონია → კქონია → ქ-ონია... ანალოგიური ვითარებაა იდენტურ თანხმოვანთა შეხვედრისას: თათთან → თათ-ან, ლომმა → ლომ-ა (შდრ.: ლომა — ზოონიმი და თიკენი).

გ) სხვადასხვა ლოკალური რიგის ხშულები (აფრიკატები) და სპირანტები (ანუ: განსხვავებულია ლოკალური რიგიც და რაგვარობაც): ბღ (ბღავის), ფხ (ფხა), პყ (საპყარი), ღღ (ღღე), თხ (თხელი), ტყ (ტყე); ღბ (იღბალი), ხფ (ხფო „ხბო“), ყპ (ყპა „ყბა“), ღღ (ღღინი), ხთ (მუხთალი), ყტ (ყტა „ყდა“); ბზ (ბზე), ფს (ფსალმუნი); ზბ (აზბესტი), სფ (სფერო)...

შენიშვნა 1: შეხამებისას ანგარიში ეწევა მელერობა-სიყრუეს. რბილსასიმიერ ღ-ბ სპირანტთა თანაბრად ყრუ მკვეთრ თანხმოვანს ეხამება ხახსიმიერი ყ: ბღ-ფხ-პყ:..

შენიშვნა 2: როგორც ზემოთ აღინიშნა, ნუნისმიერი სპირანტების შეხამებისას იმავე ლოკალური რიგის აფრიკატებთან დასაშვებია მხოლოდ ასეთი

თანამიმდევრობა: სპირანტი + აფრიკატი (ზდ, სწ, სც...), ხმულთაგან ასეთი შეზღუდვა ვერცვლდება კბილისმიერ თანხმოვანთა რიგზე: გვაქვს სდ/ზდ (სდვეს/ზდვეს), სტ (სტუმარი), სთ (სთავაზობს), ჯდ (ჯდება ჯდება), შტ (შტო), შთ (შთავონება), მაგრამ შეუძლებელია ღზ, ტს, თს... მორფემათა ზღვარზე ასეთი მიმდევრობის წარმოქმნისას, ხდება ფონეტიკური ცვლილება: ბედზე → ბეძე, თითს → თიცი, ტოტს → ტოთს → ტოც...

შენიშვნა 8: წველიბაგისმიერ და რბილსახისმიერ ხმულთა შეხამებისას (წინა და უკანა) ნუნისმიერ სპირანტებთან ასეთი ვითარებაა: თანამიმდევრობისას სპირანტი + ხმული ერთმანეთს შეუზღუდავად ეხამება მყდერი ხმული და მყდერი სპირანტი, აგრეთვე: ყრუ (ფშინვიერი), სპირანტი და ყრუ ფშინვიერი/მკვეთრი ხმული: ზბ (აზბესტი), სფ (სფერო) სპ (სპილო); ზგ (დაზგა), სქ (სქელი), სკ (სკა); ჯბ (ჩაბუებუება), შფ (შფოთი), შპ (შპუნება), ჯშ (?), შქ (შქერი), შკ (აშკარა). შებრუნებული რიგისას ასევე შეუზღუდავია შეხამებები მფდერი ხმული + მფდერი სპირანტი და ყრუ ფშინვიერი ხმული + ყრუ ფშინვიერი სპირანტი: ბზ (ბზა), ფს (ფსალმუნი), გზ (გზა), ჟს (ჟსელი); ბქ (ბქუტავს), ფშ (ფშა), ბქ (ბქეცავს), ქშ (ქშენს); ხოლო შეხამება ყრუ მკვეთრი ხმული + ყრუ ფშინვიერი სპირანტი შეუთავსებადია და ხდება ფონეტიკური ცვლილება; კერძოდ, დარღდება რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია: პს → ფს (კოპს → კოფს), კს → ქს (კსინი → ქსინი, ბაკს → ბაქს).

ღ) ხმულები და აფრიკატები (ანუ: ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია ლოკალური რიგიც და რაგვარობაც): ბძ (ბძარავს), პწ (წიპწა, გურული: დააწენი დააწანი), ფც (პიდრონიძი: ფცა); ბჭ (ბჭა, აბჭენს), პჭ (ბეპკო), ფჩ (ქაფჩა); ღძ (ქეღძალლი), გძ (ბძელს), კწ (გწერს → კწერს), ქც (ქცევა)... წპ (გაწბილება → გურული, იმერული: გაწბილება), ცფ (უცბად → გურული: უცფათ); ცთ (ცდა → გურული: ცთაი); ძგ (ძგერს), წკ (წკება), ცქ (ცქერა); ჯბ (ბაჭბაჭი), ჩფ (იმერული: ჩიფჩება ჩრემად რისამე მიცემა) — ვ. ბერძე, ჯდ (ჯდება), ჩთ (ჩრდილი → ჩთილი), ჯგ (იჯგომება), ჰკ (ჰკუა), ჩქ (ჩქარა)...

შენიშვნა 1: ფრიალ შეზღუდულია კბილისმიერი ხმულებისა (დ.ტ.თ) და აფრიკატების შეხამების შემთხვევები, შენიშნულია ძირითადად მორფემათა ზღვარზე. იშვიათია ერთი მორფემის ფარგლებში; როცა გვხვდება, უპირატესად განსხვავებულია მყდერობა-სიყრუის მიხედვით: წდ (საწდე), წთ (წთოლა), ცდ (ცდა)...

შენიშვნა 2: მელერობა-სიყრუის მიხედვით შეხამება აქაც ძირითადი წესია, მაგრამ ყურადღებას იქცევს ასეთი ფაქტი: დიალექტებში, წესისამებრ, ამ პრინციპით შეხამებული კომპლექსებისათვის ხშირად ამოსავალია კონტრასტული პრინციპით შეხამებული კომპლექსები: გწ → კწ (გწერს → კწერს), წბ → წპ (წბილი → წპილი) წდ → წტ (დაწდება → გურული, იმერული: დაწტება), ცბ → ცფ (უცბად → გურული: უცფათაი), ჳდ → ჳტ (ჳდე → ჳტე), ჩბ → ჩფ (ჩიბის → ჩიფის)...

ე) თანხმავანთკომპლექსის შედგენილობას, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს შეხამება (შეთავსება) მელერობა-სიყრუის მიხედვით. ზემოთ ამის თაობაზე რამდენჯერმე მივანიშნეთ. გასათვალისწინებელია ზოგი დამატებითი მომენტიც.

ძირითადი კანონზომიერება ასეთია:

სხვადასხვა ლოკალური რიგის ხშულები შეუზღუდავად ეხამება ერთმანეთს მელერობა-სიყრუის შესაბამისად. ამის კვალობაზე, დასაშვები კომპლექსებია: ბდ (აბდალი), ბგ (ბგერა), ბბ (ბუდბუდი), გბ (ბაგბაგი); პტ (წიპტარა),პკ (აპკურებს), ტპ (ტპა → ტპა), კპ (კბილი → კპილი), ფთ (ფთილა), ფქ (ფიფქი), თფ (თბილი → თფილი), ჳფ (ფქვილი → გურული: ჳფილი). ანალოგიური ვითარებაა ხშულისა და აფრიკატის შეხამებისას: ბძ (ბძარი), ბჯ (ბჯა), ბძ (ჭედძალლი), ლფ (ათფრა → ალფრა), გძ (გრძელი → გძელი), გჯ (გურული: გლჯება → გჯება); ძბ (?), ჳბ (ბაჳბაჳი), ძდ (?), ჳდ (ჳდება), ძგ (ძგერს), ჳგ (ბოჳგი); პწ (კოპწია), პქ (ყოპქო), ტწ (?), ტქ (?), კწ (გწამს → კწამს), კქ (გქირს → კქირს); წპ (წპილი → წპილი), ჳწ (?), წტ (დაწდება → დაწტება), ჳტ (აქტობს → აქტოფს), ფც (ტრაპონიმი: ფცა), ფჩ (აფჩენს), ჳც (ჳცევა), ჳჩ (გაჩაგრავს → ჳჩაგრავს), ცფ (ცებება → ცფება), ჩფ (იმერული: ჩიჩფება), ცქ (ცქერა), ჩქ (ჩქეფს).

შენიშვნა 1: როგორც უკვე ითქვა, არ დასტურდება ამ პრინციპით აფრიკატების ურთიერთშეხამების შემთხვევები, ანუ: არა გვაქვს ძჯ, წქ, ცჩ და მისთანა კომპლექსები.

შენიშვნა 2: როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდულია კბილისმიერი ხშულებისა და აფრიკატების შეხამება.

მელერობა-სიყრუის თვალსაზრისით ეხამება ერთმანეთს სხვადასხვა ლოკალური რიგის სპირანტებიც: ზლ (ზლაპარი), ჟლ (ჟლალი), ლზ (აღზრდა), სხ (სხევი), ხს (გახსენი), შხ (შხეფი), ხშ (ხშირი), ჳს (ჳსურს), ჳშ (ჳშია), ჳხ (გაჳხარებია), კს (კსენება), კშ (კშავს)...

შენიშვნა 1: კ დასტურდება მხოლოდ სპირანტების წინ, სპირანტის მომდევნოდ გვაქვს ხ: კშირი, მაგრამ: შხეფი... ესაა საერთო-ქართული წესი (ც. თოფურია), შემორჩენილი ქართული ენის რამდენიმე დიალექტში.

შენიშვნა 2: როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთი მორფემის ფარგლებში არ დასტურდება წინა და უკანა ნუნისმიერ სპირანტთა შეხამება. მორფემათა მიჯნაზე მათი შეხვედრისას ხდება ფონეტიკური ცვლილება — ასიმილაცია; ასიმილაციის მეტ უნარს იჩენენ უკანანუნისმიერი (შიშინა) სპირანტები: ფასში → ფაშში → ფაშ-ი (რეგრესული ასიმილაცია + გემინაცია), ჯარქაშს → ჯარქაშშ → ჯარქაშ-ი (პროგრესული ასიმილაცია + გემინაცია).

შენიშვნა 3: ფონეტიკურად დასაშვები პს, პშ... კომპლექსები (პსურს, პშია) ხშირად მარტივდება II სუბიექტური და III ობიექტური პირის პ (-) ნიშნების დაკარგვის საერთო ტენდენციის გამო.

მეღერობა-სიყრუის მიხედვით ხშულთა და სპირანტთა ურთიერთშეხამებისას მოქმედებს შემდეგი კანონზომიერება:

მიმღერობისას სპირანტი + ხშული ერთმანეთს ეხამება: მეღერი + მეღერი: ზბ (აზბესტი), ზგ (დაზგა)... ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი: სფ (სფერო), სქ (სქელი)... ყრუ ფშვინვიერი + ყრუ მკვეთარი: სპ (სპობს), სყ (სყორე), ხპ (ჰპარავს → ხპარავს)... ამ უკანასკნელის გამოვლინებაა აგრეთვე დიალექტებში (გურულში, იმერულში...) დადასტურებული ხბ → ხფ → ხპ (ხბო → ხფო → ხპო).

მიმღერობისას ხშული + სპირანტი მოქმედებს იგივე წესი ერთი შეზღუდვით: შეუთავსებადია ყრუ მკვეთარი + ყრუ ფშვინვიერი: პს → ფს (კოპს → კოფს), კს → ჭს + კსინი → ჭსინი) და მისთ. (იხ. ზემოთ).

ერთსა და იმავე ლოკალურ რიგში, როგორც ითქვა, ერთმანეთს ეხამება მხოლოდ სხვადასხვა რაგვარობის თანხმოვნები (ხშული + სპირანტი, სპირანტი + ხშული, სპირანტი + აფრიკატი). მეღერობა-სიყრუის მიხედვით შეხამებისას მოქმედებს იგივე წესები, რომლებიც საერთოდ ხშულისა და სპირანტის შეხამებისას დანდება (იხ. ზემოთ): მეღერი + მეღერი: ბგ (ლებგა), ვბ (ვბარავ), გღ (გღალატობს), ლგ (ხევსურული: ლგავის „პგავს“), ზძ (სძინავს → ზძინავს)... ყრუ ფშვინვიერი + ყრუ ფშვინვიერი: ძფ (ფფიქრობ → ძფიქრობ), ხქ (პქონია → ხქონია), ჭხ (გხედავ → ჭხედავ), სც (მისცა).. ყრუ ფშვინვიერი სპირანტი + ყრუ მკვეთარი ხშული/აფრიკატი: ხკ (პკითხა → ხკითხა), სწ (სწორი)... როგორც აღინიშნა, შეუთავსებადია ორი კომპლექსი: აფრიკატი + სპირანტი და ყრუ მკვეთარი ხშული + ყრუ ფშვინვიერი სპირანტი (ანუ: ძს, წს, კშ... კხ... კომპლექსები).

ანალოზმა წარმოაჩინა, რომ მეღერობა — სიყრუის თვალსაზრისით შეხამებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც რაგვარობის, ასევე ლოკალური რიგების

მიხედვით თანხმოვანთა შეხამების დროს. ამიტომაც არის, რომ ქართული ენის დიალექტებში ფონეტიკური ცვლილების საკმაოდ დიდი წილი სწორედ მეღერობა-სიყრუის მიხედვით თანხმოვანთა კომპლექსების რეგულირებაზე მოდის.

ვ) სონანტებს შეუზღუდავი შეხამების უნარი აქვს. ამიტომაც რაიმე აკრძალავი წესი ამ შემთხვევაში არ მოქმედებს. თუ სონანტით შედგენილი რომელიმე კომპლექსი რეალურად არ დაინდება, ესაა შემთხვევითობა და არა აუცილებლობა: ბლ (ბლე), ბმ (ბმო), ბნ (ბნედა), ბრ (ბრალო), პლ (პლაკენი), ჰმ (ჰლაჰი → ჰლაჰმა), პნ (პნევა), პრ (პრასა), ფლ (თაფლი), ფმ (თოფი → თოფმა), ფნ (დაფნა), ფრ (ფრენს), დლ (მადლი), ტლ (ტლე), თლ (თლის)... ლბ (ლბება), ლპ (ლპება), ლფ (თულფი), ლდ (ელდა), ლტ (ლტოლეა), ლთ (კალთა), მბ (ამბობს), მპ (წუმპე), მფ (შამფერი), მდ (მდელო), მტ (მტერი), მთ (მთა), ნდ (ნდომა), ნტ (პენტაეს), ნთ (ყლინთავს)...

ამ თვალსაზრისით სონანტების თვისებას ავლენს ვ/ჟ სპირანტიც (ამიტომაც სინტაგმატურ დონეზე მას, ჩვეულებრივ, სონანტთა რიგში განიხილავენ). თუმცა უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ვ ხასიათდება საკუთრივ სპირანტის ნიშანთვისებებითაც, რაც უპირველეს ყოვლისა მეღერობა-სიყრუის მიხედვით სხვა თანხმოვნებთან მისი შეხამებით წარმოინდება: ვბ (ვბარაე), მაგრამ: ვპ → ჭპ (ვპირდები → ჭპირდები), ვფ → ჭფ (ვფარაე → ჭფარაე); ასევე: ვდ (სევედა), მაგრამ: ვთ → ფთ (ნაფთი → ნაფთი); იმავდროულად შდრ.: თფ → თვ. (პართფელი → პართველი), ფტ → ვტ (ლიფტი → ლივტი)...

აქვე შევნიშნავთ, რომ შესაძლებელი და აკრძალული კომპლექსების ანალიზისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დიალექტთა თავისებურებანი. მაგალითად, თბ, ტბ კომპლექსები (თბილი, ტბა) დაშვებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, მაგრამ, როგორც წესი, იცვლება დასავლურ დიალექტებში (თბილი → თფილი, ტბა → ტჰა). ამასთანავე არსებითად ანალოგიური შემადგენლობის კბ კომპლექსი იცვლება როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში (კბილი → კმილი), თუმცა თავისებურება აქაც დაინდება: აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში (მთიულურში) კბ → კვ (კბილი → კვილი), დასავლურ დიალექტებში დაინდება კბ → კპ (კბილი → კპილი), ხოლო კბ → კმ (კბილი → კმილი) გვხვდება ორივე რეგიონის დიალექტებში. შემდეგ: შეხამების თვალსაზრისით კანონიკური სქ, ქფ კომპლექსები დასავლურ დიალექტებში („იმერულში, გურულში...“) შესაძლოა დისიმილაციის გზით იცვალოს: სქელი → სკელი, ფქვილი → ქფილი → ქბილი...

ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა აჩვენა, რომ ერთი და იგივე თანხმოვანი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სახის თანხმოვნებთან შეხამების უნარს ავლენს. ამ უნარს პირობითად შეიძლება ვალენტობა ვუწოდოთ. გასათვალისწინებელია, რომ ეს

უნარი (ვალენტობა) შესაძლოა სხვაობდეს დიალექტების მიხედვით. ნიშნულად დავასახელებთ კ თანხმობის სხვა თანხმობებთან შეხამების შემთხვევებს.

ა) კ უსწრებს თანხმობას:

კბ (კბილი), კა (კაბილი), კვ (კვილი), კმ (კმილი);
კდ (კდგმა), კტ (კტოვებს), კლ (კლურტა), კნ (კნუტი);
კწ (კწერს);
კრ (კრახი);
კპ (კპირს);
კყ (კყავს).

ასე რომ, ასეთი მიმდევრობისას კ-ს აღმოაჩნდა უნარი 12 თანხმობითან შეხამებისა.

ბ) კ მოსდევს თანხმობას:

პკ (პაკი), ვკ (ვეკალატი), მკ (მკის);
ტკ (ტკივილი), ლკ (ალკაბი), ნკ (კონკი);
წკ (წკირი), სკ (სკა);
რკ (რკალი, რკინა);
ჭკ (ჭკუა), შკ (აშკარა, შკერი).

აქ უკვე შეხამება დაჩნდება 11 თანხმობითან.

სხვაობაც თვალნათლივია: პირველ შემთხვევაში დასაშვებია კბ, კდ, კყ შეხამებანი შებრუნებული რიგის დროს იკრძალება (ანუ: იკრძალება ბკ, დკ, ვკ; თუ დაჩნდება, ფონეტიკურად იცვლება: ბებკი → ბებკი // პებკი, დუდკო → დუტკო). მეორე შემთხვევაში შესაძლებელი აღმოჩნდა კს, შკ შეხამებანი, რაც შებრუნებული რიგის დროს არის აკრძალული (ანუ: იკრძალება კს, კშ კომპლექსები).

ამდენად, აღმოჩნდა, რომ კ-ს უნარი აქვს შეეხამოს 14 თანხმობას; აქედან 9 თანხმობითან შეხამება შესაძლებელია ორივე რიგის შემთხვევაში, 3 თანხმობითან მხოლოდ მაშინ, როცა კ უსწრებს მათ, 2 თანხმობითან — როცა მოსდევს მათ. ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, ხდება ფონეტიკური ცვლილება.

შენიშვნა 1: რამდენიმე კომპლექსი მეორეულია: კბილი → კვილი, კმილი, კპილი, გტოვებს → კტოვებს, გწერს → კწერს, გპირს → კპირს, გყავს → კყავს. ამ დროს უფრო თვალნათლივ დაჩნდება კ-ს შეხამების უნარი: დაუშვებელი კომპლექსი ისწრაფვის იქცეს ბუნებრივ კომპლექსად.

შენიშვნა 2: დასაშვებია კომპლექსი არ გულისხმობს მისი ფონეტიკურად ცვლის შეუძლებლობას. მაგალითად, სალიტერატურო ენაში დაიშვება კბ კომპლექსი, დაჩნდება დიალექტებშიც, მაგრამ დიალექტებშივე ხდება

მისი ფონეტიკური ცვლილება. ასევე: რკ დასაშვები კომპლექსთა, მაგრამ დიალექტებში ისიც შეიძლება იცვალოს (გამარტივდეს): რკინა
→ იმერული, გურული: კინა.

ზემოთ წარმოდგენილმა ანალოზმა აჩვენა ისიც, თუ აკრძალვის რომელი წესები მოქმედებს თანხმოვანთა შეხამებისას ქართული ენის დიალექტებში.

იკრძალება:

ა) იდენტური თანხმოვნებისგან შედგენილი კომპლექსები (ბბ, პპ, ლლ, გგ...);

ბ) ერთი ლოკალური რიგისა და რაგვარობის თანხმოვნებით შედგენილი კომპლექსები (ბბ, ბფ, დტ, დთ...);

გ) მქლევი + ყრუ მკვეთარი / ფშვინვიერი: ბტ, ბთ, ბკ, ბქ, დბ, დფ, დკ, დქ... ბს,დს, ბშ, დშ, ბყ, დყ...

დ) ყრუ მკვეთარი ხშული + ყრუ (ფშვინვიერი) სპირანტი: პს, კს...

ე) აფრიკატი + აფრიკატი: ძძ, ძწ, ძც, ძჭ, ძქ, ძჩ...

ვ) აფრიკატი + იმავე ლოკალური რიგის სპირანტი: ძზ, ძს, ჟგ, ჟშ... დ მისთ.

ანუ: თანხმოვანთა შეხამებისას (ასევე: აკრძალვისას) გათვალისწინებულია სამივე მარჯრის (რაგვარობის, ლოკალური რიგისა და მქლეობა-სიყრუის) ჩვენება. თუ მორფემათა ზღვარზე (ან ნასესხებ სიტყვებში) დაჩნდება აკრძალული კომპლექსები, როგორც წესი, ხდება მათი ფონეტიკური გარდაქმნა. ესაა შეუთავსებადი კომპლექსის სუპერაციის (დაძლევის) პროცესი (გ. ახვლედიანი). ფონეტიკური პროცესები არ გამოირიცხება შეთავსებად კომპლექსებშიც. ზოგჯერ ეს ფონეტიკური ვარიაციულობის (ფონეტიკურად დასაშვები ვარიანტების) დონეზე წარმოჩნდება, ხშირად კი მას დიალექტური თავისებურებანი განსაზღვრავს. შევნიშნავთ: შეთავსებადია (ბუნებრივია) კომპლექსი, რომელიც შეგუებულია ენის საარტიკულაციო თავისებურებებთან და, ამდენად, ფონეტიკურ ცვლილებას არ საჭიროებს.

3.27. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ კ ო მ პ ლ ე ქ ს თ ა ს უ პ ე რ ა ც ი ა ს ზ ო გ ა დ ი და ხ ა ს ი ა თ ე ბ ა . დაგვეკრძება ზემოთ წარმოდგენილი ანალოზის საფუძველზე მიღებული ზოგი შედეგის გათვალისწინება (იხ.: 317).

დაჩნდება თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც: ა) გვხვდება მხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში: კბ (კბილი), ტყ (ტყვილი), თბ (თბილი)... ბ) გვხვდება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე: ვბ (ვბარავ), ვს (თევზს)... გ) გვხვდება როგორც მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთი მორფემის ფარგლებში: გ-დ (გ-დვენ-ი-ს) და გდ (გდ-ი-ა).

კომპლექსი შეიძლება იყოს: ა) მხოლოდ პირველადი: კბ (კბილი), ტყ (ტყვილი)...

ბ) მხოლოდ მეორადი: გწ → კწ (გწერს → კწერს), კტ → ჟბ (ფტვილი → ჟტვილი → ჟბილი),

გ) პირველადიც და მეორადიც: ბზ (ბზა, ბზე) და მზ → ბზ (მზერა → ბზერა), სკ (სკა) და სქ → სკ (სკელი → სკელი)...

კომპლექსი შეიძლება დაჩნდეს: ა) შექცევადი: გდ (გდია) → დგ (დგას) ბ) შეუქცევადი: ხბ → ხპ (ხბო → ხპო); არა გვაქვს ბზ, პზ; შდრ. ხფ (ხბო → ხფო) → ფხ (ფხა, ზაფხული).

ფონეტიკური ცვლილება შეიძლება განიცადოს: ა) შეუთავსებადმა კომპლექსმა: გწ → ეწ (გწერს → ეწერს); ბ) შეთავსებადმა კომპლექსმა: სქ → სკ (სქელი → სკელი), მხ → ფხ (მხარი → ფხარი)...

კომპლექსის ცვლილებას განსაზღვრავს: ა) ფონეტიკური ვარიაციულობა: ძგ → ჯგ (ძიძგის → ჯიჯგის), ბ) დიალექტური თავისებურება: ტბ → ტპ (აღმოსავლური დიალექტები: ტბა → დასავლური დიალექტები: ტპა) ... გ) პოზიცია: ვს თავკიდურა პოზიციაში (ვსუნთქავ), ვს → ფს/ მს/ ნს შუა პოზიციაში (სავსე → სავფსე/ სამსე/ სანსე), ვს → მს/ ნს ბოლოკიდურა პოზიციაში (მაღავს → მაღამს/ მაღანს).

კომპლექსთა სუბერაციის (ცვლილების) დროს ხდება:

ა) შენაცვლება რაგვარობის მიხედვით: სონანტი + სპირანტი → ხშული + სპირანტი (შხერა → ბშერა); სონანტი + სპირანტი → სონანტი + აფროკატი (სულს → სულც), ხშული + სპირანტი → აფროკატი + სპირანტი (ტვირთი → ჭვირთი)...

ბ) შენაცვლება ლოკალური რიგის მიხედვით: ბნ → გნ (ეუნებნა → ეუგნება), მბ → ნბ (ამბავი → ანბავი)...

გ) შენაცვლება მღერობა-სიყრუის მიხედვით: ბს → ფს (აკეთებს → აკეთფეს), ვწ → ფწ (ცწერს → ფწერს), კს → ქს (დრეკს → დრექს), სგ → ზგ (ძმისგან → ძმისზგან)...

კომპლექსის გათიშვა ხმოვნით ან თანხმოვნით: კბ → კიბ (კბილი → აჭარული: კიბილი), ხბ → ხობ (ხბო → აჭარული: ხობო), ბრმ → ბურმ (ბრმა → ხევსურული: ბურმა), მრ → მბრ (გვიმრა → გვიმბრა)...

ე) კომპლექსის გამარტივება თანხმოვნის ჩავარდნით: ვზ → ზ (კოვზი → კოზი), მთ → თ (მთა → თა), ნდ → დ (მინდორი → მიდორი), ფრთ → ფთ (ფრთა → ფთა)...

ვ) გართულება პროთეზის ან ეპენტეზის სახით: დ → მდ (დევნი → კახური: მდევნი), გვ → მ (გველი → კახური: მგველი), წყვ → რწყვ (წყვილი → იმერული: რწყვილი) ... დ-ნდ (ხმაიდი → ქართლური: ხმაინდი), ნ → ნდ (ჭიანური → რაჭული: ჭიანდური)...

ზ) მეტათეზისი: დ-რს → ღრ-ს (ღირსი → გურული: ღრისი), ბრმ → რბმ (ბრმა → ლეჩხუმური: რბმა)...

ჩვეულებრივ, რომელიმე კონკრეტული კომპლექსის სუბერაცია ხდება ერთ-ერთი ზემოდასახელებული ნიშნის მიხედვით. იმავედროულად გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე კომპლექსები რამდენიმე ნიშნის მიხედვით იცვლება, ზოგჯერ — ერთდროულად (ოღონდ საფესურგობრივი პრინციპით; შდრ.: ვზ → ბზ // ზ

(კოვზი → რაჭული: კობზი // კოზი) და: ჩრდ → ჩდ → ჩთ → შტ (ჩრდილი → იმერული: ჩრდილი → ჩდილი → ჩთილი → შტილი).

ასეთია ზოგადი სურათი: ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ ტიპურ შემთხვევას.

3.28. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ც ვ ლ ი ლ ე ბ ა რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ .
ამ პრინციპით ცვლილებას განიცდის ოთხივე ტიპის თანხმოვანი.

ა) ხშულს შეიძლება შეენაცვლოს:

სპირანტი (/ / სპირანტოიდი): ბ → ვ / ჟ (კბილი → კვილი, იცნობს → იცნოვს, ეუბნება → ეუბნევა), გ → ღ (ყველგან → ყოლგან, გააგზავნა → გააღზავნა), ქ → ხ (ქვეყანა → ხვეყანა // ხოყანა), ჟ → ჯ (ქვეყანა → თუშური: ქვეყანამ), არსებითად ესაა ჟ → ხ შენაცვლების ვარიანტი, კ → ყ (კარტოფილი → აკარული: ყარტოფილამ).

სონანტი: ბ → მ (ბრტყელი → ბტყელი → მტყელი, ყბედი → ყმედი, კბილი → კმილი), ფ → მ (ფრთხილი → ფთხილი → მთხილი, ყოფს → ყომს), დ → ნ (კიდევ → კედემ → კენემ).

აფრიკატი: დ → ძ (დეეს → ძეეს), თ → ც (ფერთხამს → ფერცხამს), ტ → წ (სატყირთო → საწვირთო), ტ → ჭ (ტვირთი → ჭვირთი // ჭურთი), კ → წ (კინაღამ → წინაღამ).

შენაცვლება შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს შეპარობებული: ასიმილაციით (იცნობს → იცნოვს), დისიმილაციით (ეუბნება → ეუბნევა), აფრიკატიზაციით (ტვირთი → ჭვირთი)... მაგრამ ამჟღად საკუთარ შედეგი გვანტერუსებს და არა თვით პროცესი. შევნიშნავთ: ცვლილება შესაძლოა გამოწვეული იყოს თანხმოვანთა როგორც კონტაქტური, ასევე დისტანციური ურთიერთობით.

ბ) აფრიკატს შეიძლება შეენაცვლოს:

ხშული: ძ → დ (ძეება → ედება), ც → თ (ზარმაცი → ზარმათი), წ → ტ (სწორი → სტორი). ამ რიგის შენაცვლება ფრიად იშვიათია, მაგრამ წარმოდგენილია სისტემის დონეზე.

სპირანტი: ძ → ზ (ნიძლავი → ნიზლავი), ც → ს (ცხიმი → სხიმი), ჟ → ე (ჯდანა → ედანა), ჩ → შ (არჩივი → არშივი), ჟ → ე (თოვლქვაბი → თოვლელაბი).

როგორც ვხედავთ, აფრიკატების ცვლა რაგვარობის თვალსაზრისით შემოიფარგლება ხშულებითა და სპირანტებით. არ შეინიშნება სონანტით აფრიკატის შენაცვლების შემთხვევა.

სისშირით ყველაზე უფრო გავრცელებულია აფრიკატის შენაცვლება სპირანტით (დეზაფრიკატიზაცია, სპირანტიზაცია), ოღონდ გარკვეული შეზღუდვით: მქლე-რი აფრიკატი გადადის მქლერი სპირანტში, ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი ყრუ ფშვინვიერ სპირანტში, ხოლო ყრუ მკვეთრი აფრიკატის სპირანტიზაცია, ჩვეულებ-

ბრივ, არ შეინიშნება (ამიტომაც ერთგვარ გამონაკლისად მოჩანს ჯავახურში დადასტურებული თოვლჳყაბი → თოვლეღაბი; აქ უფრო კომპლექსითა მონაცვლეობა უნდა ვივარაუდოთ: ჳყ → ელ).

ჟ) სპირანტს შეიძლება შეენაცვლოს:

აფრიკატი: ზ → ძ (წელზე → წელძე, საგზალი → საგძალი), ს → ც (არსად → არცათ, სულს → სულც), ს → წ (სირსველი → სისეილი → სამხრეთ ქართლური: სიწვილი), ე → ჯ (ამჟამად → ამჯამად), შ → ჩ (შხამა → ჩხამა).

ხშული: ღ → გ (ღორ-ხბო → გორ-ხბო), ხ → კ (ფორთოხალი → ჯავახური: ფორთოკალი), კ → ყ (ყმაყოფილი → ყმაყოფილი).

ასე რომ, შეზღუდულია სპირანტის შენაცვლებაც სხვა რაგვარობის თანხმობებით. ყურადღებას იქცევს ასეთი მიმართება: ზ-ს და ე-შ სპირანტები მონაცვლეობენ თავ-თავისი რიგის აფრიკატებთან, ღ-ხ სპირანტები, შესაბამისად, ხშულებთან. ამ უკანასკნელთ ეკვდლება ყ, რომელიც ხშულად გადასვლისას ლოკალურ რიგს იცვლის (ხახისმიერი გადაღის რბილსასისმიერში).

გამონაკლისს ქნის, რომელსაც შეიძლება შეენაცვლოს: ხშული (ე → ბ თევზი → თეზი) და სონანტი (ე → მ: ნავთი → ნამთი, უღაში → უღმაში).

ღ) სონანტს შეიძლება შეენაცვლოს:

ხშული: მ → ბ (მზერა → ბზერა, მჟაფე → ბჟაფე), მ → ფ (მხარი → ფხარი), მ → პ (მტერი → პტერი), ნ → დ (კინალამ → ჯავახური: კიდალამ, ქალამნები → ქართლური: ქალამდები).

სპირანტი: მ → ვ (ნემსი → ნევსი, სვამს → სვავს), ნ → ვ (მოატანინა → მოატავინა).

შენაცვლების შემთხვევები მინიმალურია: უფრო ხშირია მ → ბ და მ → ვ, კანონზომიერია აგრეთვე ნ → დ მონაცვლეობა. რაც შეეხება მ → ფ და მ → პ შენაცვლებას, მათთვის ამოსავალია მ → ბ, ხოლო ფ და პ რეგრესული ასიმილაციის შედეგია (ანუ: კომბინატორულ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე). ნ → მ უნდა იყოს გამაშუალებელი საფეხური ნ → ვ შენაცვლებისათვის (ანუ: ჯერ უნდა შეცვლილიყო ლოკალური რიგი, შემდეგ - რაგვარობა).

3.29. თანხმობანთა ცვლილება ლოკალური რიგის (საწარმოთქმო ადგილის) მიხედვით.

ა) ხშულები.

წყვილბაგისმიერი რიგის თანხმობებს შეიძლება შეენაცვლოს: რბილსასისმიერები: ბ → გ (უბნება → ეუბნება, პ → კ (ანთარპონიმი: პორფილე → კორფილე); კბილისმიერი: ფ → თ (ფელამუში → ქართლური: თელამუში). ეს უკანასკნელი გამონაკლისი ჩანს და, როგორც ზემოთ

აღინიშნა, შესაძლოა კონტამინაციის გზით იყოს მიღებული: ფელამუში + თათარა → თელამუში.

კბილისმიერებს ენაცვლება უკანასასისმიერი თანხმოვნები: დ → გ (დვრიტა → სამხრეთ ქართლური: გვრიტა), თ → ქ (მთლად → გურული: თლათ → ქლათ // ქლა), ტ → კ (სატერფული → ქართლური: საკერფული, ანთარაბონიმი: ტიმოთე → გურული: კიმოთე). გამონაკლისად მოჩანს კბილისმიერის გადასვლა წყვილბაგისმიერ თანხმოვანში: დ → ბ (არნადი → ჯავახური: არნაბი, შდრ.: ხევსურული, ლეჩხუმური: არნაგი, სადაც დ → გ დაჩნდება).

ბ) აფრიკატები.

როგორც წესი, წინანუნისმიერ აფრიკატებს შეიძლება შეენაცვლოს უკანანუნისმიერი აფრიკატები: ძ → ჯ (ძონძი → ჯონჯი), ც → ჩ (ცხენი → ჩხენი), წ → ჭ (წვეთი → ჭვეთი). ფრიად იშვიათია (და ზოგჯერ → საეკვოც) საპირისპირო გარდაქმნის შემთხვევები: ჯ → ძ (ჯაგარი → იმერული: ძაგარი) ჩ → ც (შეამჩნია → კახური: შეამცნია).

გ) სპირანტები.

აქაც, წესისამებრ, წინანუნისმიერ სპირანტებს ენაცვლება უკანანუნისმიერი სპირანტები: ზ → ყ (ზღმარტლი → ყღმარტლი), ს → შ (სკამი → მოხეური: შკამი, ნესტორა → იმერული: ნეშტორა)...

უკანასასისმიერი სპირანტები შესაძლოა შეიცვალოს ხახისმიერი სპირანტით (უფრო ზუსტად: სპირანტოიდით): ღ → ყ (იღბალი → აჭარული: იყბალი), ხ → ყ (თანახმა → აჭარული: თანაყმა). და პირიქით: ხახისმიერი სპირანტი იცვლება უკანასასისმიერი სპირანტით: ყ → ხ (საყდარი → საყტარი → სახტარი, ყანწი → იმერული: ხანწი).

ხორხისმიერ სპირანტს ცვლის: ხახისმიერი სპირანტი: ჰ → ხ (ჰყავს → ხყავს), ჰ → ხ → ღ (დაჰმალა → დახმალა → ხევსურული: დაღმალა), კბილისმიერი სპირანტი: ჰ-ს (მოჰდევს → მოსდევს); ეს უკანასკნელი თავის მხრივ შეიძლება იცვალოს: ს → ზ (მოზდევს), ს → შ → ყ (სკამს → შკამს, სჯავრობს → შჯავრობს → ეჯავრობს).

დ) სონანტები.

წყვილბაგისმიერ სონანტს შეიძლება შეენაცვლოს კბილისმიერი სონანტი: მ → ნ (მტერი → ნტერი), შუანუნისმიერი სონანტი: მ → რ (მძვეალი → იმერული, გურული: რძვეალი)...

კბილისმიერ // წინანუნისმიერ) სონანტს ენაცვლება შუანუნისმიერი სონანტი: ლ → რ (ლხინი → რხინი, წლუელს → წრუელს // წრუელს). ამჟვე რიგში შეიძლება.

განვიხილოთ ნ → რ მონაცვლეობაც (ნიადაგი → იმერული: რიადაგი).

კბილისმიერი (/ / წინანუნისმიერი...) სონანტს შესაძლოა შეენაცვლოს წყვილბაგისმიერი სონანტი: ნ → მ (სანთელი → სამთელი). ამ შემთხვევაში მონაცვლეობენ ნაზალური თანხმოვნები ისევე, როგორც მ → ნ შენაცვლების დროს (იხ. ზემოთ).

შუანუნისმიერი სონანტს ენაცვლება: კბილისმიერი (/ / წინანუნისმიერი) სონანტები: რ → ლ (ბურთი → ბულთი), რ → ნ (ტარტაროზი → ტანტაროზი), წყვილბაგისმიერი სონანტი: რ → მ (მოღრეცილი → ქართლური: მოღმეცილი).

ძირითადი პრინციპი შენაცვლებისას არის ლოკალური რიგის უკან გადაწევა (ბ → გ, დ → გ, ძ → ჯ, ს → შ...). გამონაკლისს ქმნიან: ა) სონანტი, როცა არცთუ იშვიათად დასტურდება ლოკალურ რიგებს შორის ურთიერთშენაცვლების შემთხვევები: მ → ნ და ნ → მ, ლ → რ და რ → ლ; ბ) უკანა რიგის სპირანტები: ყ → ხ, ჰ → ხ ან ჰ → ს; გ) სპირადულად დაჩნდება ხშულებისა (დ → ბ) და აფრიკატების (ჭ → ძ) წინ გადაწევის შემთხვევებიც, რაც კანონზომიერ ხასიათს არ ატარებს.

3.30. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა მ ე ლ ე რ ო ბ ა - ს ი ყ რ უ - ის მ ი ხ ე დ ვ ი თ .

ა) კომპლექსი: მელერი + ყრუ ფშვინვიერი, ჩვეულებრივ, იცვლება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (მელერი იცვლება ყრუ ფშვინვიერით): ბთ → ფთ (ვამბობთ → ვამბოფთ), დთ → თთ (დიდთან → დითთან → დით-ან), გქ → ქქ (გქონდა → ქქონდა), ძთ → ცთ (ბოძთან → ბოცთან), ჟთ → ჩთ (ვგლუჟთ → ვგლუჩთ), ზთ → სთ (ვაზთან → ვასთან), ვთ → ფთ (ნივთი → ნიფთი), ვთ → ფთ (ეთამაშობ → ფთამაშობ)... ბს → ფს (აკეთებს → აკეთეფს), დხ → თხ (დიდხანს → დითხანს), ვს → ფს (გავსილი → გაფსილი), ლშ → ხშ (ბაღში → ბახში)... ეს ეხება ნებირმიერი რავგარობის თანხმოვანთა კომპლექსებს, გარდა სონანტებისა, რომელთაგან ამ პრინციპს ემორჩილება მხოლოდ მ (ისიც თავკიდურა პოზიციაში): მხ → ფხ (მხარი → ფხარი), მსხ → ფსხ (მსხალი → ფსხალი), მშვ → ფშვ (მშვილდი → ფშვილდი), შდრ. ბოლოკიდურა პოზიციაში: მს → ფს (დგამს → დგაფს) და არა: მს → ფს. მ თავკიდურა პოზიციაშიც არ იცვლება, როცა მორფოლოგიურად იგი პირის ნიშანია (მსინჯავს).

შენიშვნა 1: ანალოგიური ტენდენცია დაჩნდება მაშინაც, როცა მელერი და ფშვინვიერი გათიშულა სონანტით (ღრჩ → ხრჩ: ღრჩობა → ხრჩობა)... თუმცა ამ შემთხვევაში არ გამოირიცხება საპირისპირო პროცესიც: ორი ფშვინვიერის შეხვედრისას რეგრესული დისიმილაციით მელერ-დება წინამავალი ფშვინვიერი თანხმოვანი: ფრთხ → ბრთხ (ფრთხილი

→ ბრთხილი // ბთხილი), შემდგომ კი ბ → მ (ფრთხილი → ბთხილი → მთხილი).

შენიშვნა 2: ვ მქლერი სპირანტი ყრუ ფშენიწიერი თანხმონის წინ შესაძლოა შეიცვალოს სონანტით: ვს → მს (სავეს → სამსე), ვთ → მთ (ნავთი → ნამთი).

ბ) კომპლექსი: მქლერი + ყრუ მკვეთრი, ჩვეულებრივ, იცვლება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე (მქლერს შეენაცვლება ყრუ მკვეთრი), ანუ განხორციელებულია იგივე პრინციპი, რაც ზემოთ იყო ნაჩვენებ: გპ → კპ (გპირდება → კპირდება), გტ → კტ (გტოვებს → კტოვებს), გყ → კყ → ქ ~ (გყთხა → კყთხა → ქ ~ თხა), გწ → კწ (გწერს → კწერს), გპ → კპ (გპირს → კპირს), გყ → კყ (გყავს → კყავს); ბჟ → პჟ (ბჟობს → პჟობს) ბწყ → პწყ (ბწყარი → პწყარი), მტვ → პტვ (მტვერი → იმერული: პტვერი)... ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა კომპლექსი გათიშულია სონანტით: ბრწყ → პრწყ (ბრწყინავს → პრწყინავს), ბრტყ → პრტყ (ბრტყელი → პრტყელი); თუმცა ამ შემთხვევებში ხშირად სონანტი ჩავარდნილია (ბრწყ → პწყ, ბრტყ → პტყ). იმავდროულად ზემოთწარმოდგენილი კომპლექსების თავისებურებად დაჩნდება ის, რომ რეგრესული ასიმილაციით შესაძლოა მივიღოთ ყრუ ფშენიწიერი ხმოვანი: გპ → კპ (გპარავს → კპარავს), გტ → კტ (გტოვებს → კტოვებს), გყ → კყ (გყავს → კყავს), ბრტყ → ბტყ → ფტყ (ბრტყელი → რაჭული: ფტყელი), მტვ → ფტვ (მტვერი → რაჭული: ფტვერი) და მისთ. გარდა ამისა, ყრუ მკვეთრი თანხმოვნების წინ ბ მქლერი შესაძლოა შეიცვალოს მ სონანტით (ბრტყელი → ბტყელი → მტყელი); შდრ. ზემოთ: ფრთხილი → ბრთხილი // ბთხილი (რ-ს ჩავარდნით) → მთხილი.

პ) კომპლექსი: ყრუ ფშენიწიერი + ყრუ მკვეთრი ხშირად უცვლელია (აქეთკენ, სკა...); ცვლილებისას უფრო ხშირად დაჩნდება რეგრესული ასიმილაცია: თყ → ტყ (აქეთკენ → აქეტკენ, ქტ → კტ (ნექტარი → ნეკტარი), ცყ → წყ (მეც კი → მეწ-კი), ჩყ → ჰყ (ბოჩყა → ბოჰყა)... ზოგიერთ იძლევა რეგრესულ დისიმილაციურ გამქლერებას: ფტ → ვტ (ლიფტი → ლივტი); უპირატესად ეს პროცესი შეინიშნება დისტანციური ურთიერთობისას: ს-კ → ზ-კ (სოკო → ჰართლური, კახური: ზოკო). ყრუ ფშენიწიერი სპირანტების გამქლერება ახსნება იმით, რომ ნაპარლოვანთა რიგში არ იპოვება ყრუ მკვეთრი ბგერა (გარდა ყ სპირანტიოიდისა), ამიტომაც ცვლილებისას მათ შეიძლება შეენაცვლოს მხოლოდ მქლერი ვარიანტი. ზოგ დიალექტში (ჭვეშიომერულში, ლუჩხუმურში, გურულში) ფშენიწიერი სპირანტი თვით იკარგვის, მაგრამ ამასთანავე აფშენიწიერებს მომდევნო ყრუ მკვეთრ თანხმოვანს: ჰკითხა → ჰითხა, დაჰპირდა → დაფირდა, ჰყავს → ხავს (ქ. ლომთათიძე); შდრ.: ჰქონდა → ხონდა.

დ) კომპლექსში: ყრუ მკვეთარი + ყრუ ფშვინვიერი, ჩვეულებრივ, დაჩნდება რეგრესული ასიმილაცია: ბთ → ფთ (ვსხვბთ → ვსხვფთ), ტფ → თფ (პლატფორმა → პლათფორმა), კთ → ქთ (ნეკთან → ნექთან); პს → ფს (ჭიპს → ჭიფს), ტმ → თმ (კალაპოტში → კალაპოთში). ცვლილება დაჩნდება მაშინაც, როცა ყრუ მკვეთარი და ყრუ ფშვინვიერი თანხმომავნები სონანტით არის გათიშული: ტრფ → თრფ (ეტრფის → ეთრფის), წრფ → ცრფ (გულწრფელი → გულცრფელი // გულცფელი), წრთ → ცრთ (წრთობა → ცრთობა).

ე) კომპლექსი: ყრუ ფშვინვიერი + მჟღერი ცვლილებისას ორ ურთიერთსაპირისპირო შედეგს იძლევა.

ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეგრესულ ასიმილაციასთან (ხდება ფშვინვიერის გამცლერება): თბ → ღბ (ერთბამად → ერღბამად), თგ → ღგ (მათგან → მადგან, ერთგული → ერღგული), ჯღ → გღ (შიაქღა „მიძჭონდა“ → ჭართლური: შიაგდა); სბ → ზბ (ის ბიჭი → იზ-ბიჭი), სგ → ზგ (ხისგან → ხიზგან), სღ → ზღ (სდევს → ზდევს), ხღ → ღღ (იძახდა → ჭართლური: იძაღდა), ფზ → ბზ (თოფზე → თობზე), ქზ → გზ (დოქზე → დოგზე), სღ → ზღ (ამას ღამ → რაჭული: ამაზ-ღამ), სჟ → შჟ → ეჟ (დასჯერდა → დაეჯერდა). ანალოგიური შედეგი შეიძლება მივიღოთ თანხმომავანთა დისტანციური ურთიერთობის დროსაც: ს-ბ → ზ-ბ (საბუთი → აჭარული: ზაბუთი).

ამის საპირისპიროდ მეორე შემთხვევაში პროგრესულ ასიმილაციას ვადასტურებთ (ხდება მცლერის გაფშვინვიერება): თბ → თფ (თბილი → თფილი, სითბო → სითფო), თღ → თთ → თ- (გაკეთდა → გაკეთთა → გაკეთა-ა), ჯღ → ქთ (სუქდება → სუქთება), ცბ → ცფ (ცბება → ცფება), ფზ → ფს (თოფზე → თოფსე), ქზ → ქს (კარაქზე → კარაქსე), ხბ → ხფ (ხბო → ხფო), ხღ → ხთ (ხღება → ხთება), შღ → შხ (გულშღამ → გულშხამ), თმ → თფ (ითმენს → ითფენს).

პროგრესული ასიმილაცია უპირატესად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ არცთუ იშვიათად ერთი და იგივე კომპლექსი ურთიერთსაპირისპირო შედეგს იძლევა. თბ → თფ (თბილი → თფილი), ცღ → ცხ (საცღა → საცღა → იმერული, გურული: საცხა), პროგრესული ასიმილაციით და თბ → ღბ (ერთბამად ერღბამად), ც-ღ → ძ-ღ (საცღა → იმერული: საძღა) რეგრესული ასიმილაციით... ზოგ შემთხვევაში ასიმილაციის მიმართულება განპირობებულია მორფოლოგიური ფაქტორით; მაგალითად, ვნებითისეული → დ სუფიქსი ყოველთვის თვით განიციდის ფონეტიკურ ზეგავლენას (გაკეთდა → გაკეთთა, გასუქდა → გასუქთა); ანალოგიური ვითარებაა ნამყო უსრული ფუძის - ღ მავრცობის შემთხვევაში (ზნექდა → ზნექთა).

ე) კომპლექსი: ყრუ მკვეთრი + მგღერო რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე შედარებით იშვიათად იცვლება. სამხრეთ ქართლურში დადასტურებულია ყდ → ლდ (საყდარი → სალდარი), მაგრამ ამ რიგის ცვლილება სისტემურ ხასიათს მინც არ ატარებს, თუმცა შესაძლებელია სამშემადგენლიან კომპლექსშიც დაჩნდეს: კრძ → გრძ (აკრძალული → აკრძალული; აგრძალული // აგძალული).

უპირატესად მინც პროგრესული ასიმილაციის შედეგთან გვაქვს საქმე (ხდება მეღერის გამკვეთება). ჩვეულებრივია ეს პროცესი დასავლეთ საქართველოს დიალექტში, შედარებით იშვიათად დაჩნდება აღმოსავლურ დიალექტებშიც: პდ → პტ (სხეპდა → სხეპტა), კბ → კპ (კბილი → კპილი), კდ → კტ (ჩეკდა → ჩეკტა), ტბ → ტპ (ტბა → ტპა), ყდ → ყტ (საყდარი → საყტარი). ცვლილება ხდება დისტანციური ურთიერთ-მიმართების დროსაც: კ-დ → კ-ტ (მოკდა → მოკტა, დააკდა → დააკტა, კლდე → კლტე; // მოკტა, დააკტა, კტე).

ზ) კომპლექსი: მგღერო + მგღერო, ჩვეულებრივ, მაშინ იცვლება, როცა შედეგნილია სხვადასხვა რაგვარობის თანხმოვნებით: მბ → მზ (ამბაეი → ანბაეი), მზ → მზ (მზერა → ბზერა), ლზ → ლძ (წელზე → წელძე), რთ → რტ (ბერთი → ბულთი). ამავე რიგში დგება ვზ → ბზ, სადაც ვ სონანტურ ბუნებას აფუნს (თეგზი → თებზი)... ასეთ შემთხვევებში კომპლექსი მეღერობა-სიყრუის მიხედვით არ იცვლება.

თ) კომპლექსში: ყრუ ფშვინფიერი + ყრუ ფშვინფიერი სისტემური ხასიათი აქვს პირინიშნისეულ ჰ სპირანტის ცვლილებას; ცვლილება ხდება ლოკალური რიგის მიხედვით ასიმილაციის საფუძველზე: პფ → ხფ (პფარავს → ხფარავს), პჟ → ხჟ (პკითხა → ხკითხა) და მისთ. სპორადულად დაჩნდება დისიმილაციის შედეგაც: ქფ → ჭბ (ფჭილი → ჭფილი → გურული: ჭბილი), სქ → სკ (სქელი → გურული: სკელი), ხფ → ხპ (ხბო → ხფო → ხპო). როგორც ვხედავთ, ცვლილება ზოგჯერ რამდენიმე საფეხურს ვარაუდობს, მაგრამ საბოლოო შედეგი ყრუ ფშვინფიერი თანხმოვნებით შედეგნილი კომპლექსისაგან მიიღება. ამავე პრინციპით ცვლებადი კომპლექსი შეიძლება გათიშული იყოს სონანტით: ფრთხ → ბრთხ // ბთხ (ფრთხილი → ბრთხილი // ბთხილი; დაჩნდება აგრეთვე: მთხილი). თავისებური ვითარებაა ფსკ ტიპის კომპლექსში. ამ შემთხვევაში ფ → ბ ცვლილებას შეიძლება განაპირობებდეს როგორც ყრუ ფშვინფიერი (ს), ასევე ყრუ მკვეთრი (ყ): ფსკერი → ბსკერი, ანალოგიურად: გაფსკენი → გაბსკენი...

ი) კომპლექსი: ყრუ მკვეთრი + ყრუ მკვეთრი ზოგ დიალექტში იცვლება დისიმილაციური გამეღერების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს პროგრესულიც და რეგრესულიც: ტყ-პ → ტყ-ბ (ტყაპა → ბჭარული: ტყიბა), პ-ტ → ბ-ტ (პატარა → მოხერო:

ბატარა), კონტაქტურიც და დისტანციურიც: პკ → ბკ (აბკურებს → აბკურებს), ტკ-პ → ტკ-ბ (ტკიბა → ტკიბა)...

3.31. თანხმოვანთკომპლექსების შესაძლო ცვლილებათა კრებისითი სქემა. თანხმოვანთკომპლექსების შემადგენლობის (იხ.:3.17), სუპერაციის სახეობათა (იხ.:3.27) და მარჯვრთა მიხედვით თანხმოვანთა ცვლილების კანონზომიერებათა (იხ.:3 28, 29, 30) დადგენის მიზნით ზემოთ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებლობა გვაქვს წარმოვადგინოთ სხვადასხვა ტიპის თანხმოვანთკომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა ზოგადი სურათი.

ა) ხშული + ხშული; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: კბ → კმ/კვ (კბილი → კმილი/კვილი).

მელერობა-სიყრუეით ბთ → ფთ/თბ → თფ: (ვაკეთებთ → ვაკეთებფთ, თბილი → თფილი), ტბ → ტპ (ტბა → ტპა), თგ → დგ (ერთგული → ერდგული).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): ტ-პ → პ-ტ (შეტოპვა → აპტარული: შეპოტვა).

ხშულებით შედგენილი კომპლექსი შეიძლება გაითიშოს ხმოვნით: თბ → თიბ (თბილი → აპტარული: თიბილი), კბ → კიბ (კბილი → კიბილი).

შენიშვნა: ლოკალური რიგის შეცვლა შეინიშნება მხოლოდ ხშულთა დისტანციური ურთიერთმიმართებისას: ბ-ბ → გ-ბ (ეუბნება → ეუგნება), ბ-ფ → გ-ფ (ბუფეტი → გუფეტი), ტ-თ → კ-თ (ტიმოთე → კიმოთე).

ბ) ხშული + სპირანტი + სპირანტი + ხშული; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: ბს → მს (აკეთებს → აკეთემს), ბს → ვს (იცნობს → იცნოვს), გზ → გძ (საგზალი → საგძალი), პბ → მბ (დაპბარავს → დამბარავს), სთ → მთ (დასთესავს → დამთესამს).

ლოკალური რიგი (სპირანტისა): სკ → შკ (სკამი → მოხეური: შკამი), სტ → შტ (ქისტტი → მოხეური: ქიშტი), პპ → ხპ (მოპპარავს → მოხპარავს), პბ → ხბ → ლბ (გაპბანს → გახბანს → თუ შური: გალბანს).

მელერობა-სიყრუე: ბს → ფს (აკეთებს → აკეთეფს); ფზ → ფს (თოფზე → თოფსე), ხბ → ლბ (გაპბანს → გახბანს → გალბანს).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): დ-ს → ს-დ (გადასარევი → იმერული: გასადარევი).

კომპლექსი შეიძლება გაითიშოს ხმოვნით: ხბ → ხობ (ხბო → აპტარული: ხობო).

გ) ხშული + აფრიკატი // აფრიკატი + ხშული; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა (აფრიკატისა): ბძ → ბზ (ბძიანა → ბძიანა → ბზანა), ჩდ → შთ // შტ (ჩრდილი → ჩდილი → იმერული: შთილი // შტილი), ჩქ → შქ (გააჩქარე → მოხეური:

გააშქარე).

მეღერობა-სიყრუე: ბჰ → ბჰ (ბჰე → ბჰე), გწ → ეწ (გწერს → ეწერს); წფ → ცფ (გულწირფელი → გულწიფელი → გურული: გულცფელი).

შენიშვნა: ლოკალური რიგი იცვლება მხოლოდ ბგერწერის საფუძველზე (ძიგნის: ჟიგნის).

დ) ხშული + ხონანტი + ხონანტი + ხშული; შეიძლება შეიცვალოს:

რაგვარობა: თძ → თფ (მოთმენა → მოთფენა; თანამდევა შენაცვლება მეღერობა-სიყრუის მიხედვით), ტვ → ჰვ: ტვირთი → ჰვირთი.

ლოკალური რიგი: კრ → ტრ (კრანა → ქართლური: ტრანა); მბ → ნბ (ამბავი → ანბავი), მპ → ნპ (წუმპე → წუნპე), მფ → ნფ (ფამფალი → ფანფალი), რთ → ლთ (ბურთი → იმერული, გურული: ბული), ლტ → ნტ (კულტურა → ჟენტურა).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): ბმ → მბ (დამბული → დამბული), გნ → ნგ (წიგნი → წინგი), გრ → რგ (გრლი → რგილი), დრ → რდ (ახვედრებს → ახვერდებს), ბრმ → რბმ (ბრმა → ლეჩხუმური: რბმა).

კომპლექსი შეიძლება გამარტივდეს თანხმობის ჩაგარდნით: მდ → დ (მდიდარი → დიდარი), მთ → თ (მთა → თა), მტ → ტ (მტერი → ტერი), მგ → გ (მგელი → გელი), ნდ → დ (მინდორი → მიდორი)... ამავე პოზიციაში სონანტი შეიძლება გაჩნდეს კიდევ: ფ → მფ (ყველაფერი → აჭარული: ყველამფერი), დ → მდ (დევი → მდევი), დ → ნდ (ხმიანი → ხმიანი); ჩნდება ხშულოც: ნ → ნდ (ჭიანური → ჭიანდური); ფრ → მფრ (უფრო → უმფრო), ფხ → მფხ (ზაფხული → აჭარული: ზამფხული).

ე) აფრიკატი + აფრიკატი; შეიძლება იცვალოს:

მეღერობა-სიყრუე: ძწ → წწ (ძრწის → ძწის → წწის).

კომპლექსი შეიძლება გაითიშოს ირაციონალური ხმოვნით: წწ → წგწ (ძრწის → ძწის → წწის → წგწის).

თანხმობანთა ამგვარი შეხამება ფრად იშვიათია. შესაბამისად შეზღუდულია ფონეტიკური ცვლილებანიც.

ვ) აფრიკატი + სპირანტი // სპირანტი + აფრიკატი; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: სწ → სტ (სწორი → სტორი), სც → აც (გასცა → გააცა). ლოკალური რიგი: სჰ → შჰ (სჰამს → შჰამს), სც → ჰც (მისცა → სამხრეთ ქართლური: მიჰცა), სწ → ხწ (სწორი → რაჭული, იმერული, ლეჩხუმური: ხწორი).

მეღერობა-სიყრუე: ჟს → ჩს (გლჟს → გლჩს), სძ → ზძ (სძინავს → ზძინავს), ლწ → ხწ (ალწერს → ახწერს); ჟზ → ჰზ (ბეჰზე → ბეჰსე), ცლ → ცხ (რაცალა → რაცახა → რაცხა).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): ჩ-ხ → ხ-ჩ (დაჩეხა → ქახური: დახეჩა).

დასავლურ დიალექტებში სწ და სც კომპლექსები მარტივდება აფრიკატის ჩავარდნით, რეფლექსის სახით რჩება ს-ს ინტენსიური წარმოთქმა: სწორი → ს'ორი, მისცა → მის'ა (იმერული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული). ანალოგიური შედეგი შეიძლება დაჩნდეს სქ → სქ კომპლექსშიც: მოსჭერი → მოსჭერი → მოსჭ'ერი...

ზ) აფრიკატი + ხონანტი // ხონანტი + აფრიკატი; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: ნძ → ნზ (ნიძლავი → ნიზლავი), ძრ → ზრ (გაძრო → აჭარული: გეძზო); ნწლ → ნტლ (კინწლობა → აჭარული: კინტლობა // კინდლობა).

ლოკალური რიგი: მწ → ნწ (მწარე → მესხური: ნწარე), მძ → რძ (მძევალი → იმერული, გურული: რძევალი).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): რძ → ძ-რ (ანთროპონიმი: გოდერძი → გურული: გოდერძი).

კომპლექსი შესაძლოა გამარტივდეს სონანტის დაკარგვით: მწ → წ (მწარე → წარე), მჯ → ჯ (მჯილი → ჯილი). იმაედროულად იმავე პოზიციაში სონანტი შეიძლება გაჩნდეს კიდევ: ჯ → მჯ (იჯავრა → იმჯავრა).

თ) ხშირანტი + ხონანტი + ხონანტი + ხშირანტი; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: ლს → ლც (სულს → გურული: სულც), ლზ → ლძ (სულზე → სულძე), ნს → ნც (პენსია → პენცია), ნე → ნჯ (ინენინერი → ინჯინერი), რს → რც (მოპარსა → მოპარცა), ზრ → ძრ (განზრას → განძრას, ზურგი → გურული: ზურგი → ძრუგი); მზ → ბზ (მზითვი → ბზითვი), მე → ბე (მეავე → ბეავე); მსხ → ფსხ (მსხალი → ფსხალი), მშე → ფშე (მშვილდი → ფშვილდი).

ლოკალური რიგი: მს → ნს (მსახური → მესხური: ნსახური), რხ → ლხ (ჩარხი → ჩალხი), ჰლ → ხლ → ღლ (დაჰლევს → დახლევს → ხევსურული: დაღლევს), ჰმ → ხმ → ღმ (მოჰმკის → ხევსურული: მახმკის // მღმკის).

მეღერობა-სიყრუე: ხლ → ღლ (დაჰლევს → დახლევს → დაღლევს), ხმ → ღმ (გაჰმართა → გახმართა → ხევსურული: გაღმართა).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): ღ-რს → ღრ-ს (ღირსი → იმერული; გურული: ღრისი), ღრმ → რღმ (ღრმა → იმერული, ლეჩხუმური: რღმა), ყ-ნ → ნ-ყ (დაიყინა → კახური: დაინიყა; გაყონა → იმერული: განოყა).

ი) ხშირანტი + ხშირანტი; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: ვზ → ბზ (თევზი → თებზი), ვს → მს (ხავსი → ხამსი) ვს → ფს (სავსე → საფსე). ამ რიგის ცვლილებას, ჩვეულებრივ, განიცდის ვ ხშირანტი.

ლოკალური რიგი: ზღმ → ყღმ (ზღმარტი → ქართლური: ყღმარტი); დისტა-

ნციური მიმართებისას: ს-შ → შ-შ (საშუალო → შაშუალო).

მეღერობა-სიყრუე: ღს → ხს (აღსარება → ახსარება), ეს → შს (კაეს → კაშს).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): ხს → სხ (ხსნის → სხნის), ხშ → შხ (ხშირი → შხირი), სხრ → ხსრ (მასხრობს → მახსრობს).

კ) სონანტი + სონანტი; შეიძლება იცვალოს:

რაგვარობა: მლ → ზლ (მლაშე → ლეჩხუმური: ზლაშე), მრ → ბრ (მრუდე → ბრუდე // ბრუნდე), მრ → ვრ (სიმამრი → სიმავრი).

თანაგანლაგება (მეტათეზისით): ნ-ლ → ლ-ნ (ბნელი → ბლენი), ლ-რ → რ-ლ (ძლიერ → ძრიელ); ძმრ → ძრმ (ძმრის → ძრმის).

კომპლექსი შესაძლოა გამარტივდეს სონანტის ჩავარდნით: ლმ → მ (ზოლმე → ხომე), ლნ → ნ (საპალნე → საპანე).

იპედროულად შესაძლებელია სონანტებს შორის გაჩნდეს ხშული დასავლურ დიალექტებში (იმერულში, გურულში...). სისტემატური ხასიათი აქვს მრ კომპლექსის გათიშვას ბ ხშულით: მრ → მბრ (გვიმრა → გვიმბრა, სტუმრები → სტუმბრები).

შენიშვნა: დადასტურებულია მრ → ბრ შენაცვლება: მრუდე → ბრუ(ნ)დე. იპედროულად მრ ითიშება ბ ხშულით: გვიმრა → გვიმბრა. საფუძველი ამ ორი სახის ცვლილებას საერთო უჩანს.

როგორც ვხედავთ, ცვლილება უფრო ხშირია სპირანტისა და სონანტის შემცველ კომპლექსში.

სპეციფიკური ვითარება დაინდება იდენტური თანხმოვნების შემცველ კომპლექსებში, მაგრამ შედეგი შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში ერთი და იგივეა: ხდება გემინაცია („შერწყმა“), რომელსაც შესაძლოა მოსდევდეს გემინირებული თანხმოვნის მარტივ თანხმოვნად გარდაქმნა.

იდენტური თანხმოვნები მიიღება:

ა) მორფემათა მიჯნაზე: გგ (გ-გონია), მმ (მ-მალავს, ლომ-მა), სს (სინდის-ს), შშ (ჭარჭაშ-ში).

ბ) ფონეტიკური ცვლილების შემთხვევაში; როგორც ერთი მორფემის ფარგლებში: თრთ → თთ → თ- (თრთის → თთის → თ-ის), ძრწ → ძწ → წწ → წ- (ძრწის → ძწის → წწის → წ-ის), ღრღ → ღღ → ღ- (დაღრღნი → დაღღნი → დაღ-ნი) წაწ-წწ-წ- (მაწაწა → ინგილოური: ჰიწაჰ → ჰიწაჰ → ჰიწაჰ), ასევე მორფემათა მიჯნაზე: ბმ → მმ → მ- (ქაღებ-მა → ქაღემ-მა → ქაღემ-ა), ზს → სს → ს- (ვაზ-ს → ვას-ს → ვას-) და მისთ.

გ) შემოპყვება ნასესხებ სიტყვებს: ლლ (ინგილოური: ქულაჰ „თავი“), მმ (ინგი-

ლოურის: ამა „მაგრამ“, გამმეჩ „კამეჩი“).

რაგორც ზემოთ ითქვა, იდენტური თანხმობებისაგან შედგენილი კომპლექსის ფონეტიკური ცვლილება უპირატესად გემინაციით და შემდგომ გემინირებულ თანხმობის გამარტივებით ვლინდება (ეს აისახა დასახელებულ ნიმუშებშიც).

გარდა ამისა, შესაძლოა მოხდეს დისიმილაცია იდენტური თანხმობებისა (ინგლოური: ამა → ამა) ან კომპლექსი გაითიშოს ირაციონალური ხმოვნით (თთის → თთის, წწის → წგწის).

3.32. თანხმობანთა გლობალური და ლოკალური ფონეტიკური ცვლილებები. ამ ტერმინებით პირობითად აღვნიშნავთ ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ან ყოველთვის დაჩნდება ამა თუ იმ ფორმაში (გლობალური), ან გვხვდება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში (ლოკალური).

გლობალური ფონეტიკური ცვლილებები, ჩვეულებრივ, დაჩნდება ერთი მორფემის ფარგლებში: კბ → კბ (კბილი → კბილი), კბ → კმ (კმილი), კბ → კვ (კვილი) ან მრ → ბრ (მრუდე → ბრუდე // ბრუნდე), მრ → მბრ (გვიმრა → გვიმბრა) განეკუთვნება გლობალურ ცვლილებათა შემთხვევებს - ფორმათ - თუ სიტყვათწარმოების ყველა სისტემაში კომპლექსი დაჩნდება ამ ფონეტიკური ნაირსახეობით (კბილი - კბილმა - კბილს... კბილი - საკბილო... ან: გვიმბრა - გვიმბრა... გვიმბრა - გვიმბრანი...). ანალოგიურმა მოვლენამ შეიძლება თავი იჩინოს მორფემათა მიჯნაზეც, ოღონდ მაშინ, როცა სიტყვათწარმოებასთან გვაქვს საქმე: მწუხარე → მესხური: ნწუხარე, და ასე: ნწუხარემ, ნწუხარეს... სანწუხარო...

ლოკალური ფონეტიკური ცვლილებანი უპირატესად გვხვდება მორფემათა მიჯნაზე განსაზღვრულ პოზიციაში. ერთი ნიმუში ამისა: გობ-ი, გობ-მა, გობ-ს → გოფ-ს, გობ-ის... ცვლილება დაჩნდა მხოლოდ ბს კომპლექსში (მიცემითის ფორმაში). ამის კვალბაზე, ერთსა და იმავე პარადიგმაში შეიძლება დაეადასტუროთ სხვადასხვა რიგის ფონეტიკური ცვლილებები: ქალ-ებ-ი, ქალ-ებ-მა → ქალ-ემ-მა → ქალ-ემ-ა, ქალ-ებ-ს → ქალ-ეფ-ს, ქალ-ებ-ის... ან: და-მალ-ავ-ს → და-მალ-ამ-ს → და-მალ-ან-ს, მაგრამ: და-მალ-ვა და მისთ.

ლოკალური ფონეტიკური ცვლილებები შესაძლოა დავამოწმოთ ერთი მორფემის ფარგლებშიც; ჩვეულებრივ, მაშინ, როცა ხმოვნის რედუქციასთან გვაქვს საქმე: სტუმარ-ი, მაგრამ: სტუმრ-ებ-ი → სტუმბრ-ებ-ი; შეინიშნება იგი პოზიციური შეპირაობების შემთხვევაშიც; მაგალითად, მრ → ბრ პაუზის მომდევნოდ თავკიდურა პოზიციაში (მრავალი → ბრავალი), მაგრამ: მრ → მბრ ხმოვნის მომდევნოდ (გამრავლდა → გამბრავლდა); შდრ.: გვიმრა → გვიმბრა, სადაც მრ → მბრ ყველა შემთხვევაში არის განხორციელებული.

3.33. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ასიმილაცია ქართული ენის დიალექტებში. განარჩევენ ასიმილაციის სამ სახეს: მიმართულების მიხედვით — პროგრესულსა და რეგრესულს, შედეგის მიხედვით — ნაწილობრივსა და სრულს, მანძილის მიხედვით — კონტაქტურსა და დისტანციურს (გ. ახვლედიანი). გარდა ამისა, ასიმილაცია სხვაობს რაგვარობის, ლოკალური რიგისა და მქდერობა-სიყრუის (ანუ: მარკერების) მიხედვითაც. ასიმილაციის ყველა ეს ნაირსახეობა დაჩნდება ქართული ენის დიალექტებში.

ასიმილაციის პირველი რიგის ნაირსახეობანი, ჩვეულებრივ, ერთდროულია (ასიმილაცია მიმართულების, შედეგებისა და მანძილის მიხედვით), ოღონდ გამოირიყხება თვითთავიული ამ ნაირსახეობის შემადგენელი მოვლენების ერთდროულობა (ანუ: არ შეიძლება ერთდროული იყოს პროგრესული და რეგრესული, ან სრული და ნაწილობრივი ასიმილაცია). ასიმილაციის მეორე რიგის ნაირსახეობანი ურთიერთგამომრიცხველია (ერთდროულად არ ხდება ცვლილება რაგვარობისა და ლოკალური რიგის, ან რაგვარობისა და მქდერობა-სიყრუის... ცვლილება). როგორც წესი, ამ დროს ცვლილება საფეხურებრივია: ყოველ საფეხურზე იცვლება ერთ-ერთი რომელიმე მარკერი (იხ. ზემოთ).

ასიმილაციის ზემოხსენებული ორი რიგი, ასე ვთქვათ, იერარქიულ დამოკიდებულებას ავლენენ ერთმანეთის მიმართ: (ასიმილაციის პირველი რიგის ნაირსახეობანი (მიმართულება, შედეგი და მანძილი) ყრძო გამოვლენება ასიმილაციის მეორე რიგის ამა თუ იმ სახეობისა (რაგვარობის, ლოკალური რიგის ან მქდერობა-სიყრუის მიხედვით ცვლილებისა). ანუ: მაგალითად, რაგვარობის მიხედვით ასიმილაცია განირჩევა მიმართულებით, შედეგითა და მანძილით. იგივე ითქმის დანარჩენი მარკერის მიმართაც.

ა) ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით ქართულენის დიალექტებში შედარებით იშვიათი მოვლენაა. ნიმუშად რამდენიმე მაგალითი შეიძლება დაეასახელოთ.

ზოგ დიალექტში (გურულში...) დადასტურებულია ბს → ვს/ფს (გამაშუალბელი საფეხურად ივარაუდება ფს); სპირანტი ს იმსგავსებს ხშულს (ბ), რის შედეგად განხორციელდა ბ → ვ; შდრ.: ვიცნობ (→ ვიცნოფ), იცნობ (→ იცნოფ), იცნობს → იცნოვს. განხორციელებულია რაგვარობის მიხედვით კონტაქტური, რეგრესული, სრული ასიმილაცია (სპირანტი ხშულს გარდაქმნის სპირანტად).

შენიშვნა: ამის საპირისპიროდ, ასიმილაციის შედეგად არ შეიძლება მივიჩნიოთ ბს → ვს ამ შემთხვევაში: კაცებს → კაცევს (დადასტურებული მესხური დიალექტის რამდენიმე თქმაში), რადგან ბ: ვ მთელ პარადიგმას გასდევს: კაც-ევ-ი, კაც-ევ-მა, კაც-ევ-ს, კაც-ევ-ის... და, ამდენად, არ

არის შეპირობებული უშუალოდ სპირანტის მეზობლობით.

რამდენიმე დიალექტში (გურულში, იმერულში...) დამოწმებული ნტ → ნჟ შენაცვლება უნდა განისაზღვროს როგორც კონტაქტური, პროგრესული, ნაწილობრივი. ასიმილაციის შედეგად: ხშულ-ნაპრალოვანი (სონანტი ნ) იწვევს ხშულის შეცვლას აფრიკატით, ანუ: გარკვეული ნიშნით (კერძოდ, სპირანტული თვალსაზრისით) იმსგავსებს მას:

ანალოგიური ვითარებაა ტვ → ჰვ (ტვირთი → ჰვირთი) შენაცვლების დროს: ამ შემთხვევაში სპირანტი (ვ) იჩენს მასიმილირებელ ძალას. შდრ.: წბ → წჰ (წბილი → ხევსურული: წშილი), სადაც აფრიკატი ნაპრალოვანობის ნიშნით იწვევს ხშულის ასიმილაციას და გარდაქმნის ხშულ-ნაპრალოვან (სონანტ) თანხმობენად.

რაგვარობის მიხედვით დისტანციური ასიმილაციის ნიმუშად შეიძლება დეფსახლოთ ქ → ხ შენაცვლება ქორწილი → კორწილი // ხორწილი ფორმაში; კერძოდ, ხშულის გარდაქმნა სპირანტად შეპირობებულია მისი სონანტთან დისტანციური მიმართებით (რეგრესული, დისტანციური, ნაწილობრივი ასიმილაცია). უფრო ნათელია ეს პროცესი ამ შემთხვევაში: ზ-წ → ძ-წ (ზეწარი → ჯავახური: ძეწარი).

ამ რიგის კონკრეტული ნიმუშების საფუძველზე შეიძლება გამოვტანოთ ზოგადი ხასიათის დასკვნა.

ქართული ენის დიალექტებში დადასტურებულია რაგვარობის მიხედვით თანხმობითა ასიმილაციის შემთხვევები. ჩვეულებრივ, ამ სახის ასიმილაცია ვლინდება ხშულის გარდაქმნით სპირანტად (ბს → ვს), სონანტად (ბს → მს), ან აფრიკატად (ტვ → ჰვ) სონანტისა - სპირანტად (მს → ვს) და ა.შ. მასიმილირებელ თანხმობებზე უფრო ხშირად დაინდება სპირანტი ან სონანტი. ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული (ბს → ვს: სპირანტი გარდაქმნის ხშულს სპირანტად) ან ნაწილობრივი (ბს → მს: სპირანტი იმსგავსებს ხშულს ნაპრალოვანობის თვალსაზრისით და გარდაქმნის მას სონანტად). რაგვარობის მიხედვით ასიმილაცია განირჩევა აგრეთვე მიმართულებისა და მანძილის მიხედვით.

შენიშვნა: ხშულთა ფონეტიკური გარდაქმნა აფრიკატებად, რაგვარობის გარდა, ლოკალური რიგის ცვლილებასაც გულისხმობს (ტ → ჰ: კბილისმიერი → უკანანუნისმიერი). ამდენად, იცვლება ორი მარკერი, რაც თითქოს არღვევს ზემოთ ნახსენებ წესს მარკერთა საფეხურობრივი ცვლილების შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მარკერთა ფარდობითობის პრინციპი (იხ. ზემოთ:....3), რომლის თანახმადაც; აფრიკატის მახასიათებელი პოზიციის შესაბამისად შესაძლოა იყოს ხშულობაც და ნაპრალოვანობაც.

ბ) ასმილაცია ლოკალური რიგის მიხედვით ყველაზე უფრო ხშირად თავს იჩენს ნუნისმიერ თანხმოვანთა შეხედდრისას: უკანანუნისმიერი (შიშინა რიგის) აფროკატი იმსგავსებს წინანუნისმიერ (სისინა რიგის) სპირანტს: სჟ → შჟ (სასჟელი → საშჟელი), სჟ → შჟ (სჟირს → შჟირს), სჩ → შჩ (მისჩერება → მიშჩერება). ყველა ამ შემთხვევაში ლოკალური რიგის მიხედვით, რეგრესულ, სრულ, კონტაქტურ ასმილაციასთან გვაქვს საქმე. ასმილაცია შესაძლოა იყოს დისტანციურიც: ს-შ → შ-შ (საშუალო → შაშუალო), ს-ჯ → შ-ჯ (სინჯავს → შინჯავს). გვხვდება პროგრესული ასმილაციის შემთხვევებიც: შ-ს → შ-შ (შესანდობარი → ხევსურული: შაშანდობარი).

საკმაოდ ხშირად დაჩნდება აგრეთვე ხმულეების მიერ ჰ სპირანტის (მორფოლო-გიურად — პირის ნიშნის) ლოკალური რიგის მიხედვით ასმილაციის შემთხვევები: ჰბ → ლბ (ჰბავის → ხევსურული: ლბავის), ჰფ → ხფ (ჰფარავს → ხფარავს), ჰპ → ხფ (ჰპარავს → ხფარავს); ჰგ → ლგ (ჰგავ → ხევსურული: ლგავ), ჰქ → ხქ (ჰქონია → ხქონია), ჰყ → ხყ (ჰყითხა → ხყითხა) (ლ-სა და ხ-ს რეგულაცია ხდება მედრობა-სიყრუის მიხედვითაც), რაც საწარმოთქმო ადგილის მიხედვით აახლოებს მას წყვილბაგისმიერ (ბ,ფ,პ) და რბილსასმიერ (გ,ქ,კ) ხმულეებთან. პირველ შემთხვევაში ლოკალური რიგის მიხედვით რეგრესული ნაწილობრივი ასმილაცია გვაქვს, მეორე შემთხვევაში — რეგრესული სრული ასმილაცია.

ლოკალური რიგის მიხედვით ასმილაციად უნდა განისაზღვროს აგრეთვე: მდ → ნდ (სიმდიდრე → იმერული, გურული: სინდიდრე), მთ → ნთ (დედამთილი → იმერული: დედანთილი), მტ → ნტ (დაამტრია → გურული: დაანტრია) - სრული კონტაქტური ასმილაციის ნიმუშებია; მს → ნს (ემსახურა → გურული: ენსახურა), მც → ნც (უმცროსი → უნცროსი) - აქ ნაწილობრივ კონტაქტურ ასმილაციასთან გვაქვს საქმე (ხდება ლოკალური რიგების დაახლოება).

არსებითად ლოკალური რიგის მიხედვით ნაწილობრივ ასმილაცია გვაქვს სკ → შკ (სკამი → შკამი) ტიპის ცვლილებათა შემთხვევაშიც: რბილსასმიერის წინ წინანუნისმიერი გადადის უკანანუნისმიერ სპირანტში. ანალოგიურად შეიძლება აიხსნას ძგ → ჟგ (ძიძგნის → ჟიჯგნის) შენაცვლებაც, თუმცა აქ ბგერწყერის ფაქტორიც იჩენს თავს.

გ) ასმილაცია მჟღერობა-სიყრუის მიხედვით ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში.

ზემოთ უკვე გაანალიზებული იყო იმ კომპლექსთა მოდელები, რომლებიც ასმილაციის საფუძველზე იცლებიან (იხ... 30). ამჟერად ზოგი დამატებითი მომენტი იქნება გათვალისწინებული.

უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს გარკვეული ტიპის კომპლექსებში ყრუ

თანხმობანთა მეტი მასიმილირებული ძალა მეღერებთან შედარებით. ყრუ თანხმოვანთაგან, თავის მხრივ, ამ თვალსაზრისით უფრო ძლიერია ყრუ ფშვინვიერი: თბ → თფ (თბილი → თფილი) პროგრესული ასიმილაციით, ერთი მხრივ, და ბთ → ფთ (ამბობთ → ამბოფთ) რეგრესული ასიმილაციით მეორე მხრივ. ორივე შემთხვევაში ასიმილაცია განიცადა მეღერმა თანხმობანმა ყრუ ფშვინვიერის გავლენით. ანალოგიურად: თდ → თთ (ფეთდება → ფეთთება) და: დთ → თთ (ხიდთან → ხითთან)...

რა თქმა უნდა, საკითხი ასე ცალსახად ვერ გადაწყდება. გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც. მაგალითად, გთ → ქთ (გთავაზობ → ქთავაზობ, ამხანაგთან → ამხანაქთან), მაგრამ: თგ → დგ (ერთგული → ერთდგული, სახლითგან → სახლიდგან/სახლიდან); გასათვალისწინებელია: მეღერთაგან ასეთი ძალით აღქურვილია რბილსასიმიერი გ თანხმობანი. ასე რომ, აქ განმსაზღვრელი აღმოჩნდა ლოკალური რიგი. ყველა სხვა შემთხვევაში ყრუ ფშვინვიერის უპირატესი ძალა რეალური ფაქტია.

ასეთი ვითარებაა კომპლექსში: ხშული + ხშული.

კომპლექსი: ხშული + ხპირანტი და სპირანტი + ხშული სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. პირველი რიგის კომპლექსებში მეტი გამვლენელი ძალა აქვს სპირანტს, მეორე რიგის კომპლექსებში - ხშულს: გს → ქს (ამხანაგს → ამხანაქს), მაგრამ: სგ → ზგ (კაცისგან → გაცისგან, ათასგან → ათაზგან); შდრ.: ქზ → გზ (დოჭზე → დოგზე), მაგრამ: ზქ → სქ (ზრქელი → * ზქელი → სქელი); ანალოგიურად: დს → თს (დიდს → დითს), მაგრამ, სდ → ზდ (სდევს → ზდევს). ანუ: მეღერი სპირანტიც ანალოგიურად მოქმედებს. ეს ნიშნავს: ამ სახის კომპლექსებში უპირატესობა ენიჭება ასიმილაციის მიმართულებას - ორივე შემთხვევაში ასიმილაცია რეგრესულია და შესაბამისად ხდება წინამავალი თანხმობის ცვლილება (გამეღერება ან დაყრუება).

იმედროულად ამავე ტიპის კომპლექსები, როცა მათში წარმოდგენილია რბილსასიმიერი სპირანტები, სხვაგვარი შედეგის მქონეა: ხდ → ხთ (ხდება → ხთება) პროგრესული ასიმილაციით - დხ → თხ (დიდხანს → დითხანს) რეგრესული ასიმილაციით; ანუ: ორივე შემთხვევაში აშკარაა სპირანტის გამვლენელი ძალა და ამის გამო ასიმილაციის მიმართულება განსხვავებულია.

შენიშვნა: მართალია, ზოგ კილოკავში დაჩნდება სხვაგვარი ვითარებაც; მაგალითად, სამხრეთ ქართლურში დამოწმებულია: ხდ → ლდ (იძახდა → იძალდა) - გამეღერება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე, მაგრამ ამ რიგის სპირანტული მოვლენები საერთო სურათს ვერ ცვლიან.

ხშულებისაგან შემდგარ კომპლექსებში მეტ გამვლენელ ძალას იჩენს ყრუ მკვეთრი თანხმობანიც (მსგავსად ყრუ ფშვინვიერისა): ბკ → პკ (აბკურებს → აპკურებს) რეგრესული ასიმილაციით, კბ → კპ (კბილი → კპილი) პროგრესული ასიმილაციით.

როცა ერთმანეთს ხვდება ყრუ ფშვინვიერი და ყრუ მკვეთარი ხშულები ან აფრიკატები, დაჩნდება რეგრესული ასიმილაცია: თქ → ტქ (აჭეთჟენ → აჭეტჟენ), ცკ → წკ (მეცკი → მეწკი). შებრუნებული წყობისას გამვლენელი ძალა ყრუ ფშვინვიერს აღმოაჩნდა: კთ → ქთ (ნეკთან → ნექთან). ანუ: ამ შემთხვევაში გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს ასიმილაციის მიმართულებას.

ამის საპირისპიროდ, ყრუ ფშვინვიერი სპირანტითა და ყრუ მკვეთარი ხშულით შედგენილი კომპლექსი მქედრობა-სიყრუის მიხედვით არ იცვლება (სკა, სკამი, სკოლა... სკამი → სკამი ტპის შენაცვლება ლოკალური რიგის მიხედვით ხდება), შებრუნებული რიგის დროს კი, როგორც წესი, თავს იჩენს რეგრესული ასიმილაცია: კს → ქს (ქინი → ქინი, თოკს → თოქს); შდრ. კომპლექსები, სადაც ხშულის ნაცვლად აფრიკატა: სწ → სტ/ხწ... (სწორო → სტორო/ხწორო), მაგრამ: წს → ცს (ხაიწს → ხაიციც)...

ამის კვალობაზე, შეიძლება დავასკვნათ: ასიმილაციის საფუძველზე თანხმოვანთკომპლექსების ცვლილებისას დაჩნდება უპირატესი ძალის მქონე ფაქტორი. კომპლექსთა შედგენილობის მიხედვით უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს ასიმილაციის მიმართულებას ან თანხმოვნის მქედრობა-სიყრუეს. იმისთვის, თუ რომელი მათგანი იჩენს მეტ გამვლენელ ძალას, მნიშვნელობა აქვს კომპლექსის შემდგენელ თანხმოვანთა რაგვაობას, განლაგებას, ლოკალური რიგს (საწარმოთქმო ადგილს)... სიხშირის თვალსაზრისით უფრო გავრცელებულია რეგრესული ასიმილაცია და ყრუ ფშვინვიერის გამვლენელი ძალა.

შენიშვნა 1: რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია დიალექტთა თავისებურებანიც. მაგალითად, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში იზღუდება თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (თუმცა ასეთი შესაძლებლობა არ გამოირიცხება). შემდეგ: ზოგ კილოკავში მეტ ძალას იჩენს ასიმილაციის მიმართულება (სამხრეთ ქართლური: იძახდა → იძაღდა), სხვა კილოებში - ფშვინვიერობა (იმერული, გურული: იძახდა → იძახთა). სამხრეთ ქართლური ჩვენება შესაძლოა ზემოხსენებული შეზღუდვით იყოს შეპირობებული (თუმცა იმავდროულად აქაც იჩენს თავს წახდა → წახთა, შეუჩნდა → შეუჩთა და მისთანა ცვლილებანი).

შენიშვნა 2: უპირატესი ძალის ფაქტორი დაჩნდება სხვა მარკერების მიხედვით თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევაშიც; მაგალითად, ლოკალური რიგის მიხედვით ცვლილებისას: უკანანუნისმიერი (შიშინა) რიგის თანხმოვანი, ჩვეულებრივ, იმსგავსებს წინანუნისმიერ (სისინა) რიგის თანხმოვანს (სასწელი → სასწელი, საშუალო → საშუალო...).

რა განაპირობებს უპირატესობის ფაქტორს?

ფონეტიკური ცვლილების დროს ერთი ბგერადან გადადის მეორეზე განმასხვავებელი ნიშანი (მარკერი). ა. მარტივს განსაზღვრით, სონანტისა და ყრუ ხშულისგან შედგენილ კომპლექსში განმასხვავებელი ნიშნით წარმოდგენილია ხშული (აქვს საპირისპირო მქლერი), სონანტისათვის კი მქლერობა არ არის განმასხვავებელი ნიშანი (რადგან არ მოეპოვება ოპოზიციური ყრუ კორელატი — სონანტი მხოლოდ მქლერი შეიძლება იყოს). ამის გამო ასეთი კომპლექსები ან ფონეტიკურად უცვლელია (სონანტი ნეიტრალურია მასთან შეხამებული თანხმოვნის მქლერობა-სიყრუის მიმართ: მთა, მხარი), ან ცვლილებას განიცდის სონანტი — მასზე გადადის ყრუ ხშულის მარკერი (მხარი → ფხარი).

მქლერი და ყრუ ხშულების შეხვედრისას სხვა კანონზომიერება მოქმედებს.

ცნობილია, რომ მქლერი თანხმოვნების წარმოთქმისას ხდება სახმო სიძების პერიოდული რხევა, რაც აღიქმება როგორც მუსიკალური ტონი, ეს კი არ არის ნიშანდობლივი ყრუ თანხმოვნებისათვის (გ. ახვლედიანი). გარდა ამისა, მქლერის წარმოთქმა ხასიათდება საწარმოთქმო ორგანოების მეტი დაჭიმულობით, ვინემ ყრუ თანხმოვნებისა. შემდეგ: „პერნაკადის ყველაზე ენერგული ამომდინარეობა ახასიათებს ყრუ თანხმოვნებს (აქედან — მათი სახელწოდება „ძლიერნი“), მათზე სუსტი — მქლერ თანხმოვნებს...“ (გ. ახვლედიანი). ანუ: დაჭიმულობასა და პერნაკადის ინტენსივობას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა: მაქსიმალური დაჭიმულობის ბგერების წარმოთქმისას ყველაზე სუსტია „პერნაკადის ამომდინარეობა“ (ასე, მაგალითად, ხმოვნების წარმოთქმისას). აღნიშნულია ისიც, რომ ქართული მქლერი ხშულები ნაკლები მქლერობისაა, ვიდრე, მაგალითად, რუსული მქლერები (გ. ახვლედიანი).

ყველაფერი ეს ერთობლივად განაპირობებს ყრუ ხშულთა მეტ გამვლენელ ძალას მქლერ ხშულებთან მათი შეხამებისას.

შეენიშნავთ, რომ დაჭიმულობა და პერნაკადის სიძლიერე ფარდობით ცნებებდად უნდა გაიგაოს. მაგალითად, ხშულებში მეტი დაჭიმულობა ახასიათებს მქლერებს, შემდეგ ყრუ მკვეთრებს, ყველაზე ნაკლები — ყრუ ფშვინევიერებს.

ამის კვალობაზე უნდა ვივარაუდოთ, რომ მქლერისა და ყრუს შეხვედრისას წარმოთქმის გასაადვილებლად დაჩნდება დაჭიმულობის შემცირების ან სრულიად მოხსნის ტენდენცია, რაც მიიღწევა კიდევ მქლერი ხშულის დაყრუებით. სხვათა შორის, დაჭიმულობის მოხსნა (მქლერის დაყრუება) თავს იჩენს პაუზის წინ ბოლოკიდურა პოზიციაშიც (კარგად → კარგათ, ამბობ → ამბოფ), ე.ი. მაშინაც, როცა სხვა თანხმოვნებთან კომბინატორული ურთიერთობა არა გვაქვს. ასე რომ, მქლერის დაყრუება ენის ზოგადი ტენდენციაა და მას ხელს უწყობს შესაბამისი ფონეტიკური

გარემოცვა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ნათელია, რომ მკვლევრზე გავლენის მოხდენის უნარი აქვს როგორც ყრუ მკვეთარს, ასევე ყრუ ფშვინიერს, ყრუ მკვეთარზე კი — ყრუ ფშვინიერს. გარკვეული თვალსაზრისით აქ იერარქიულ პრინციპთან გვაქვს საქმე.

რაც შეეხება მიმართულებას, ამ შემთხვევაშიც განსაზღვრული წესი მოქმედებს. კერძოდ, წარმოსათქმელი ბაზისი მთელი (მთლიანი) სიტყვისთვის არის შემზადებული და არა სიტყვის შემადგენელი ცალკეული ბგერებისათვის, ანუ: სიტყვის წარმოსათქმას წინ უსწრებს ერთობლივ სიტყვის წარმოსაქმნელად შემზადება. ესაა მიზეზი იმისა, რომ ჯერ წარმოუთქმელმა ბგერამ შესაძლოა მოახდინოს გავლენა უკვე წარმოსათქმელ ბგერაზე — დაჩნდეს რეგრესული მიმართულების ფონეტიკური ცვლილება (იხ. ზემოთ:...2: „ფონემა და მისი ბგერითი ნაირსახეობანი“), ეს განაპირობებს რეგრესული ასიმილაციის მეტ სიხშირეს პროგრესულთან შედარებით.

ღირსსაყვარელი მიმართულებისა და მკვლევრობა-სიყრუის მიხედვით ცვლილებათა ურთიერთდამოკიდებულება. მკვლერის დაყრუება შეიძლება ხდებოდეს როგორც რეგრესული (ბთ → ფთ: ვაკეთებთ → ვაკეთებთ), ასევე პროგრესული (თბ → ფთ: თბილი → თფილი) მიმართულებით. ყრუ თანხმობის გამკვლევა კი, როგორც წესი, განხორციელებულია რეგრესული მიმართულებით: თბ → დბ (ერთბაშად → ერდბაშად), თგ → დგ (მათგან → მადგან), სგ → ზგ (ხისგან → ხიზგან), კზ → გზ (დოკზე → დოგზე), კზ → გზ (თოკზე → თოგზე), ყდ → ლდ (საყდარი → სალდარი, შდრ.: საყდარი → საყტარი - მკვლერი ყრუედება პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე). ამდენად, ყრუ თანხმობის გამკვლევა მიმართულების მიხედვით იზღუდება.

ეს კი ნიშნავს, რომ ყრუ თანხმობის გამკვლევა ხდება იმ შემთხვევაში (იმ დიალექტებსა თუ კილოკავებში), როცა იზღუდება პროგრესული ასიმილაცია. ამიტომაც ყდ → ყტ დაჩნდება დასავლურ დიალექტებში (სადაც ფართო გასაქანი ეძლევა პროგრესულ ასიმილაციას), ხოლო აღმოსავლურ დიალექტებში (სადაც უპირატესად რეგრესული ასიმილაცია დაჩნდება) იგივე კომპლექსი ან უცვლელია, ან (ზოგიერთ კილოკავში, მაგალითად, სამხრეთ ქართლურში) იცვლება რეგრესული ასიმილაციით, ანუ: ხდება თანხმობის გამკვლევა (ყდ → ლდ). აქედან — კიდევ ერთი კანონზომიერება: ყრუ თანხმობის გამკვლევა ასიმილაციის გზით ხდება, როგორც წესი, შემდეგი თანამიმდევრობისას: ყრუ + მკვლერი.

შენიშნავთ: რეგრესული ასიმილაციით ყრუ თანხმობის გამკვლევა (სგ → ზგ: ძმისგან → ძმიზგან, სდ → ზდ: კაცისდა → კაციზდა კაციზა, სლ → ზლ: ამასლამ → რაკულა: ამასლამ, თგ → დგ: ვანიტგან → იმერული: ვანიდგან // ვანიდგინ) დაჩნდება

დასავლეთ საქართველოს დიალექტებშიც, ანუ: იქ, სადაც ფართო გავრცელებისაა პროგრესული ასიმილაცია. როგორც აღინიშნა, არც აღმოსავლური საქართველოს დიალექტებისათვისაა უცხო პროგრესული ასიმილაცია — მედერის დაყრუება (ქართლური: წახდა → წახთა, ხევსურული: მოუკდა → მაუხთ, თბილისი → თფილისი, კახური: გაცოფდა → გაცოფთა, მოხდა → მოხთა). ამიტომაც ზემოთ ნახსენები დიალექტური სხვაობა რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის თვალსაზრისით მათი გავრცელების სიხშირეს გულისხმობს და არა სრულ შეუზღუდაობას ან აკრძალვას.

რა არის მიზეზი იმისა, რომ ბარ-ი და ფარ-ი ფორმებში ზ და ფ დამოუკიდებელ ფონემებად აღიქმება, ხოლო ბად-ებ-ს → ბად-ეფ-ს ტიპის მიმართებისას — ერთი ფონემის ბგერით ნაირსახეობებად?

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელობა აქვს ფონეტიკურ გარემოცვას, რომელიც განსაზღვრავს იმას, რომ ასეთ კონტექსტში (ფს) ფ აღქმულ იქნას ბ-ს პოზიციურ ვარიანტად.

მაგრამ მხოლოდ ეს პირობა საკმარისი არ არის (აქი არ აღიქმება ფს კომპლექსი ფსალმუნ-ი ან გა-ყოფ-ს ფორმებში ბს კომპლექსის ფონეტიკურ ნაირსახეობად).

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პარადიგმატულ რიგს, სადაც პოზიციური ცვლილება ხელშესახებია: ბად-ეფ-ს, მაგრამ: ბად-ებ-დ-ა, და-ბად-ებ-ა, და-ბად-ებ-ულ-ი; შდრ. გა-ყოფ-ს, გა-ყოფ-დ-ა, გა-ყოფ-ა, გა-ყოფ-ილ-ი.

ამდენად, სინტაგმატურად — ფონეტიკური გარემოცვა, ხოლო პარადიგმატურად — ფონეტიკურ ნაირსახეობათა პოზიციურება განაპირობებს იმას, კონკრეტული ბგერა ფონემად იქნას აღქმული, თუ რომელიმე ფონემის პოზიციურ ვარიანტად.

ასიმილაცია შესაძლოა ტალოობრივად გავრცელდეს. ეს ტენდენცია ძველ ქართულშივე დაჩნდებოდა: ა-დგ-ს → *ა-დქ-ს → ა-თქ-ს...

გავრცელებულია იგი თანამედროვე დიალექტებშიც: ნალდ-ი → ნალდ-ს → ნაღთ-ს → ნახთ-ს, ნაბეჭდ-ი → ნაბეჭდ-ს → ნაბეჭთ-ს → ნაბეჭთ-ს, ბუძგ-ი → ბუძგ-ს → ბუძქ-ს → ბუცქ-ს...

ამ მხრივ დიალექტებში გარკვეული კანონზომიერი პროცესებიც დაჩნდება. მაგალითად, გურულში თეფზი → თეზზი, მიცემითში: *თეზზ-ს → *თეზს-ს → თეზ-ს (ათეზს იჭვიდა*): ბსს დაუშვებელი კომპლექსია, ხდება მისი გამარტივება (ბსს → ბს), ხოლო შემდგომ ფონეტიკურ ცვლილებას (ბს → ფს) აბრკოლებს იმ თანხმობის ჩავარდნა, რომელსაც უნდა ასიმილაცია გამოეწვივა: თეზ(ს)-ს. ასე რომ, ანგარიში ეწევა ფონეტიკური პროცესის განვლილ საფეხურსაც.

ასიმილაციას ვერ აკავებს სონანტი (და ხმოვანი): წარბ-ს → წარფ-ს, ერთი მხრივ,

და ძაბრ-ს → ძაფრ-ს, მეორე მხრივ; ან: სინჯავს → შინჯავს, კლდე → კლტე... ეს იმიტომ, რომ სონანტი (და ხმოვანი), როგორც ითქვა, ნეიტრალურია მასთან შეხამებული თანხმოვნის მეღერობა-სიყრუის მიმართ.

დ) დიალექტებში დაჩნდება სხვა მარკერთა მიხედვით ასიმილაციის შეთხვევები:

ნაზალიზაცია: მ-ლ → მ-ნ (უმაღლ → აჭარული: უმან, მამასახლოსი → გურული: მამასახნისი)...

პალატალიზაცია: ტე → წე (სატერფული → ქართლური: საწერფული; არსებობს საკერფული-ი ვარიანტიც, ამიტომ შესაძლოა ტე → ყე → წე), კი → წი (კინალამ → კახური, აჭარული: წი) — ასიმილაციას პალატალიზაციის შედეგით ახდენს ხმოვანი.

შენიშვნა: ასიმილაციის შემდეგ შესაძლებელია დაჩნდეს სხვა ფონეტიკური პროცესებიც. მაგალითად, ხბო → იმერული, გურული: ხვო (პროგრესული ასიმილაციით) → ხბო (დისიმილაციით), საყდარი → იმერული-გურული: საყტარი (პროგრესული ასიმილაციით) → სახტარი (რეგრესული დისიმილაციით: მკეთარი + მკეთარი → ფშენიფიერი + მკეთარი); ან: იქითყენ → იქიტყენ (რეგრესული ასიმილაციით) → კახური: იქიტყენ (ტყ: ტყ კომპლექსთა შენაცვლების საფუძველზე, თუმცა დადასტურებულია იქითყენ (თყ) ვარიანტიც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ — ყენ (—ყენ თანდებულის ნაცვლად) კახურში სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება: სახლ-ის-ყენ „სახლისყენ“ (// სახლ-ის-ა-ყენ); ქვემოთქვარულში სკ → სყ → წყ; სახლ-იწ-ყენ. ასიმილაცია შესაძლოა მოსდევს სხვა ფონეტიკურ პროცესებს: ავამდყოფი → ავამდყოფი (მეტათეზისით) → ავანდყოფი (ვ-მ → ვ-ნ პროგრესული დისიმილაციით ლოკალური რიგის მიხედვით // მდ → ნდ რეგრესული ასიმილაციით ლოკალური რიგის მიხედვით) → ავანტყოფი (ღყ → ტყ რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით).

3.34. თანხმოვანთა დისიმილაცია ქართული ენის დიალექტებში. დისიმილაცია განიხილება მიმართულებიან (პროგრესული ან რეგრესული) და მანძილის (კონტაქტური ან დისტანციური) მიხედვით. იმავდროულად, ასიმილაციის მსგავსად, დისიმილაცია გულისხმობს თანხმოვანთა რაგვარობის, ლოკალური რიგისა და მეღერობა-სიყრუის ცვლილებას.

ა) დისიმილაცია რაგვარობის მიხედვით საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში.

სონანტი → ხშული: მლ → ბლ (მლაშე → ლუჩხუმური: ბლაშე), მრ → ბრ (მრუდე → ბრუდე // ბრუნდე), მნ → მდ (ქალამნები → სამხრეთ ქართლური: ქალამდები), მე → ბე (მეავე → ბეავე), მხ → ფხ (მხარი → ფხარი), მშვ → ფშვ (მშვილდი → ფშვილდი)...
 ხშული → სონანტი: კბ → კმ (კბილი → კმილი), ფთხ → მთხ (ფრთხილი → ფთხილი → მთხილი)...

სპირანტი → სონანტი: ვს → მს (სავსე → სამსე), ვზ → მზ (თვეზი → თემზი)...
 სპირანტი → ხშული: ვს → ფს (სავსე → საფსე), ვზ → ბზ (თვეზი → თებზი)... ხშული → სპირანტი: კბ → კვ (კბილი → კვილი), დისტანციური: ბ-ბ → ბ-ვ (ეუბნება → ეუბნევა)...

დასახელებული იყო რამდენიმე ნიმუში. ზოგადი სურათი ასეთია: დისიმილაციის საფუძველზე იცვლება: ა) ერთი რაგვარობის თანხმოვნებით შედგენილი კომპლექსები (სონანტი + სონანტი, სპირანტი + სპირანტი, ხშული + ხშული; მაგალითად, მრ → ბრ, ვს → მს, კბ → კმ/კვ); ბ) საერთო მარჯერის მჭონე სხვადასხვა რაგვარობის თანხმოვნებით შედგენილი კომპლექსები (რაგვარობის მიხედვით) მაქსიმალური კონტრასტის მისაღწევად (სონანტი + სპირანტი → ხშული + სპირანტი: მხ → ფხ — მოხდა საერთო მარჯერის, ნაპრალოვნობის, ნიველირება).

ბ) დისიმილაცია დოკალური რიგის მიხედვით.

წყვილბაგისმიერი → რბილსასისმიერი: ბ-ბ → გ-ბ (ეუბნება → ეუბნევა, გზობა → გზობა), ბ-ფ → გ-ფ (ბუფეტი → გუფეტი), პ-ფ → კ-ფ (ანთროპონიმი: პორფილე → კორფილე)...

კბილისმიერი → რბილსასისმიერი: დ-დ → გ-დ (ზიდავდა → იმერული: ზიგემდა), თ-თ → ქ-თ (მთლად → თლად → გურული: ქლად // ქლა), ტ-თ → კ-თ (ანთროპონიმი: ტმოთე → კიმოთე)...

როგორც ზემოთაღ აღინიშნა, ყველა ამ შემთხვევაში ხდება ლოკალური რიგის მაქსიმალურად უკან გადაწევა.

ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაციის საფუძველზე დიდი სიხშირით ხასიათდება სონანტების მონაცვლეობა.

წყვილბაგისმიერი → კბილისმიერი: მზ → ნზ (ამბავი → ანბავი, ბუმბული → აჭარული: ბუნბული).

კბილისმიერი → წყვილბაგისმიერი: ნთ → მთ (სანთელი → რაჭული; იმერული: სამთელი), ნტ → მტ (ინტერესი → აჭარული, გურული: იმტერესი).

იდეენტური სონანტების დისტანციური მიმართებისას, როგორც წესი, ხდება დისიმილაცია (უპირატესად ეს ეხება რ და ლ თანხმოვნებს): შუანუნისმიერი → კბილისმიერი / წინანუნისმიერი: რ-რ → რ-ლ (არაფერი → არაფელი, ერთჯერ → ერთჯელ, არ არის → არ-ალი, ორ-ორი → ორ-ოლი) და პირიქით: კბილისმიერი / წინ-

ნანუნისმიერი → შუანუნისმიერი: ლ-ლ → რ-ლ (წლელს → იმერული, გურული: წრეულს // წროულს, აჭარული: წრეულ), რ-რ → ნ-რ (ტარტაროზი → ლეჩხუმური: ტანტაროზი, თანხმობა ნაზალიზაცია) და მისთ.

დაჩნდება ნ-ნ → ე-ნ შენაცვლების შემთხვევები (კბილისმიერი → კბილბაგის-მიერი/წყვილბაგისმიერი), როგორც წესი, კაუზატვის ფორმებში (მოატანინა → მესხური: მოატავინა, არბენინა → არბეინა). იმავდროულად აქ იცვლება რაგვარობაც (სონანტი → სპირანტი). თუ გავითვალისწინებთ სინტაგმატურ დონეზე ე-ს სონანტურ ბუნებას, მაშინ აქ განმსაზღვრელი მაინც ლოკალური რიგის მიხედვით შენაცვლება.

გ) დისიმილაცია მჟღერობა-სიყრუის მიხედვით. უპირველეს ყოვლისა ამ შემთხვევაში ასახელებენ ხშულთა დისიმილაციურ გამქვრივებას (გ. ახვლედიანი): პ-ტ → ბ-ტ (პატარა → მოხეური, ფშაური: ბატარა), პ-კ/პ → ბ-კ/პ (ეპისკოპოსი → ებისკოპოსი), კ-კ → გ-კ (კრკალი → ხეესურული: გირკალი, კრკო → ხეესურული: გირკო; თანამდევია ხმოვნის განვითარება). ლირსსაცნობია, რომ ანალოგიური მონაცვლეობა დაჩნდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც (ზ. სარჯველაძე). დასახელებულ ფორმებში დისიმილაცია რეგრესულია. დაჩნდება პროგრესული დისიმილაცია: ტყ → პ → ტყ-ბ (ტყაბა → აჭარული: ტყიბა, ტყანის → ტყებნის). ძველ ქართულში ამ რიგის ნიმუშებიც გვხვდება.

ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში ხდება ყრუ მკვეთრის გამქვრივება. შესაძლოა ამავე პროცესის საფუძველზე გამქვრივდეს ყრუ ფშვინვიერიც: ფსკ → ბსკ (ფსკერი → იმერული: ბსკერი), ფჩხ → ბჩხ (ფჩხილი → ფჩხილი → ბჩხილი), ფთხ → ბთხ (ფრთხილი → ფთხილი → ბთხილი).

იმავდროულად დისიმილაციური ცვლილება თავს იჩენს ყრუ მკვეთრებისა და ყრუ ფშვინვიერების დონეზეც. შეიძლება დაეასახელოთ ფშვინვიერის დისიმილაციური გამკვეთრების ფაქტები: სქ → სკ (სქელი → გურული: სკელი), სფ → სპ (არასდერი → გურული: არასპერი), ხფ → ხპ (ხბო → ხფო → გურული, იმერული: ხპო).

და პირიქით — ყრუ მკვეთრი გაფშვინვიერდეს: პ-წ → ფ-წ (პიტალია → მოხეური: პიწალია ტ-ს აფრიკატიზაციით → ფიწალია)...

დ) დისიმილაცია ხხვა მარკერთა მიხედვით.

ნაზალიზების მიხედვით დისიმილაცია საკმაოდ არის გავრცელებული ქართული ენის (უპირატესად — დასავლურ) დიალექტებში: ნ-ნ → ნ-ლ/ლ-ნ (კანონი → კანოლი/კალონი, ნიანგი → ლეჩხუმური: ლიანგი, მონაზონი → მოლაზონი // რაჭული: მოლაზანი // გურული: მალაზონი; შეინიშნა ძველ ქართულშიც), ნ-მ → ლ-მ (ნემსი → ლემსი), ნ-მ → ნ-ვ (ნემსი- გურული: ნევსი), ნ-მ → ნ-ფ (ნემსი →

გურული: ნეფსი), ნ-მ → ლ-ფ (ნემსი → ლეჩხუმური: ლეფსი), მ-ნ-მ → მ-ლ-მ (მანამდე → გურული: მალამდე).

დანდება დატერალობის მიხედვით დისიმილაციის შემთხვევებიც: ლ-ლ → ნ-ლ (სულელი → რაჭული, ლეჩხუმური, იმერული: სუნელი). ლ-ლ დისიმილაციას განიცდის ლოკალური რიგის მიხედვითაც: → რ-ლ (იხ. ზემოთ). აქ დასახელებულ შემთხვევაში ლოკალური რიგი არ იცვლება, სხვაობა მხოლოდ ნაზალუბაშია.

ვიზრანტის დისიმილაციურმა ცვლილებამაც შეიძლება მოგვეცეს ნაზალური თანხმომავნი: რ-რ → ნ-რ (ტარტაროზი → ლეჩხუმური: ტანტაროზი), მაგრამ აქ უპირატესი ძალისაა ლოკალური რიგის მიხედვით შენაცვლება (იხ. ზემოთ).

ე) დიალექტებში გვხვდება დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევებიც: ხ-ხ → ო-ხ (ოთხ-ოთხი → ოთ-ოთხი), ბ-ბ → ო-ბ (ყუბნება → ეუნება)... ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაციური დაკარგვის მოვლენად უნდა განისაზღვროს ნდ → დ (სიმინდი → ლეჩხუმური, იმერული, გურული: სიმინდი, მინდორი → მინდორი - იმავე დიალექტებში)...

* * *

შევნიშნავთ: ტრადიციულად ზოგი შენაცვლება (მაგალითად, ტიმოთე → კიმოთე, კოეზი → კომზი // კობზი, მანამდე → მალამდე, ნემსი → ნეფსი // ნეფსი // ლეფსი და მისთ.) განისაზღვრებოდა როგორც სუბსტიტუცია - სპონტანური (შეუპირობებელი) ბგერათმონაცვლეობა. ასე ვაჭკვს ზოგჯერ წარმოდგენილი ჩვენც ამ რიგის ცვლილებანი დიალექტების განხილვისას (იხ. ნაკვეთი მეორე: ქართული ენის დიალექტების სისტემური აღწერა). მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „ზოგიერთი შემთხვევა, რომელიც წინათ ბგერათსუბსტიტუციად ითვლებოდა, ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს. იმის შემდეგ, რაც მოინახა გარკვეული კანონზომიერება, რომელსაც იგი ემორჩილება“ (გ. ახვლედიანი). განსაკუთრებით ეს ეხება იმ შემთხვევებს, რომლებშიც ზემოთ რაგვარობისა და ლოკალური რიგის მიხედვით ასიმილაციის ან დისიმილაციის ნიმუშებად განისაზღვრა.

3.35. აფრიკატიზაცია ქართული ენის დიალექტებში. აფრიკატიზაცია მეტ-ნაკლებად ქართული ენის ყველა დიალექტში დანდდება, უფრო ხშირია იგი დასავლურ დიალექტებში.

აფრიკატიზაციას განიცდის როგორც ხშული, ასევე სპირანტი, განსაკუთრებით გავრცელებულია სპირანტის აფრიკატიზაციის შემთხვევები.

ხშულთაგან აფრიკატიზება: ა) კბილისმიერი დ, თ, ტ თანხმომენები: დ → ძ: დეეს → ძეეს, გადი → რიენისთაური რაჭული: გაძი, დგნობა „გაძლება“ →

ძგნობა.

თ → ც: ფათური → ფაცური, ამათ → ქართლური: ამაც, ფერთხავს → ქართლური: ფერცხამს; შღრ.: აგრეთვე: თიკანი/ციკანი.

ტ → წ: კნატენი → კნაწენი, პატატა → პაწაწა, ტანტალი → წანწალი, პიტალი → მოხეური: ფიწალი, სატვირთო → ხეცსურული: საწვირთო, სატერფული → ქართლური: საწერფული (შღრ.: საყერფული).

აგრეთვე:

თ → ჩ: ფუნთულა → ფუნჩულა.

ტ → კ: ტვირთი → გურული, იმერული, აჭარული, ჭავჭავი: ჭვირთი, ყრონტი → გურული, იმერული: ყრონტი.

ბ) რბილსასისმიერი კ თანხმოვანი:

კ → ც: რეიკა „ლარტყა“ → იმერული: რეიცა.

კ → წ: კინაღამ → ხეცსურული, კახური, აჭარული: წინაღამ, კიკიო აყურებთან ჩამოზრდილი თმა“ → ხეცსურული: წიწიო.

ღირსსაცნობია ასეთი შენაცვლება: სატერფული (← ტერფი) → საყერფული // სატერფული, ანუ: მონაცვლეობს ტ:კ:წ. ამათგან წ შესაძლოა მიღებულ იქნას როგორც ტ-საგან, ასევე კ-საგან (იხ. ზემოთ). კ → წ აშკარად პალატალიზაციის შედეგია (შეინიშნება პალატალური ხმოვნის წინ), ტ → წ სხვადასხვა პოზიციაში დაჩნდება.

შეუდარებლავ უფრო ხშირია ხშულისა და აფრიკატის მონაცვლეობა ე.წ. ბგერწერით ფორმებში. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კინობითობის ფორმანტები: - უკ-ა // -უჭ-ა (გლუხ-უკ-ა // გლუხ-უჭ-ა), - უკ-უნ-ა // -უჭ-უნ-ა // უკ-ან-ა (ვაჭრ-უკ-ან-ა/პარკ-უჭ-ან-ა/ბებრ-უკ-ან-ა) და მისთ. ანალოგიური მონაცვლეობა დაჩნდება ფუძედრეკად ზმნებშიც: — ეკ/-ეჭ/-ეჩ/-ეც (ღრ-ეკ-ს/ღრ-ეჭ-ს/ღრ-ეჩ-ს/ღრ-ეც-ს ან: ფხეკა/ფხეჭა და მისთ.).

რა თქმა უნდა, ეს არის ორი სხვადასხვა რიგის მოვლენა: პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, ფონეტიკურად შეპირობებული თანხმოვანთმონაცვლეობა გვაქვს, მეორე შემთხვევაში მონაცვლეობა უპირატესად სპონტანურია. მაგალითად, დევს → ძევს, გაღი → გაძი ისევე, როგორც ტვირთი → ჭვირთი ან სატვირთო → საწვირთო, კინაღამ → წინაღამ, კიკიო → წიწიო პალატალიზაციის შედეგი ჩანს, შეპირობებული ი და ე პალატალური ხმოვნებით. ტვ → წვ/ჭვ შემთხვევაში არ გამოირიცხება რაგვარობის მიხედვით ასიმილაცია. შემდეგ: ფუნთულა → ფუნჩულა (ანუ: ნთ →

ნ) დისიმილაციაა ლოკალური რიგის მიხედვით. რაც შეეხება მეორე ტიპის მონაცვლობას, ფონეტიკური შეპირაბებულობა ზოგჯერ აქაც დაჩნდება (მაგალითად, ლრეკს → ლრეჩს რეგრესული ასიმილაციით), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში როგორც ითქვამს, ცვლილება მიანიც საონტანურია და არა კომბინატორული. რა თქმა უნდა, გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას საონტანური ცვლილებაც ვარაუდობს; მაგალითად, კ:კ, ჳ:ჩ და მისთანა მონაცვლეობა განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებს...

გაცილებით უფრო ხშირია სპირანტთა აფრიკატიზაციის შემთხვევები.

აფრიკატიზაციას განიცდიან:

ა) წინანუნისმიერი სპირანტები (გარდაიქმნებიან იმავე ლოკალური რიგის აფრიკატებად):

ზ → ძ: საგზალი → საგძალი, წელზე → გურული: წელძე, ზის → ჯავახური: ძის, ზეწარი → ჯავახური: ძეწარი.

ს → ც: წელს → გურული: წელც, პენსია → გურული, იმერული: პენცია, პარსავს → იმერული, გურული: პარცავს, არსად → ფშაური: არცათ // არცა.

ს → წ: სირსველი → სირსველი → სისვილი → სამხრეთ ქართლური: სიწვილი.

ს → ც კანონზომიერია როგორც ფშვინეიერთა ურთიერთმიმართება. ს → წ (ფრიად იშვიათი შენაცვლება) იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, სპირანტებს არ მოეპოვება ყრუ მკვეთრი და ამის გამო ფშვინეიერი სპირანტი მიემართება როგორც ყრუ ფშვინეირს, ასევე ყრუ მკვეთარ აფრიკატს, აგრეთვე ხშულს (იხ. ზემოთ). გარდა ამისა, მოსალოდნელი (სე →) ცვ იცვლება წვ კომპლექსით, რაც ასევე დამახასიათებელია დიალექტებისათვის.

სპირანტულად დაჩნდება ს → ჩ მონაცვლეობაც (სემიჩკა „მზესუმზირა“ → ქართლური: ჩემიჩკა, ანთჯაბონიმი: სოლოლა → ჯავახური: ჩოლოლა), მაგრამ გავრცელებულ, მით უფრო ტიპობრივ მოვლენად იგი ვერ ჩაითვლება. ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევაშიც: ზ → ჯ (დაუმოზნა → ქართლური: დაუმოჯნა).

ბ) უკანანუნისმიერი სპირანტები (გარდაიქმნებიან იმავე ლოკალური რიგის აფრიკატებად):

ქ → ჯ: ინცინერი → ქართლური, იმერული, გურული: ინჯინერი / ინჯინელი, ამქამად → ქართლური: ამჯამად, ეინი → იმერული, გურული: ჯინი, დაპპატიყა → ქართლური, გურული: დაპპატიყა / დაპაიყა.

შ → ჩ: ხარშავს → ხარჩავს, სოფელში → სოფელჩი, მთაში → მთაჩი, შიკრიკი → ქართლური: ჩიკრიკი, შხამა → ჩხამა.

შ → ჰ: კრეშკა „ტოლია“ → სამხრეთ ქართლური: კრეჰკა (გამამუშალებლად იგარაუდება ჩკ საფეხური).

შ → ჩ და შ → ჰ იმავე რიგის მიმართებაა, როგორც ს → ც და ს → წ (იხ. ზემოთ).

სპირანტთა აფროკატიზაცია დაჩნდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ნუნისმიერ სპირანტთა მჟღერ ხშულებთან (ღ-ს გარდა) და სონანტებთან ურთიერთობისას.

ამათგან ხშულებიდან (ბ და გ), როგორც წესი, კონტაქტური ურთიერთობისას როგორც მათ წინ, ასევე მომდევნოდ: ზგ → ძგ (როზგი → როძგი)... ბზ → ბძ (საბზელი → საბძელი), გზ → გძ (საგზალი → საგძალი). ამავე პოზიციაში შესაძლოა დაჩნდეს საპირისპირო, დეზაფროკატიზაციის პროცესიც: ბძ → ბზ (ბძანა → ბზანა). ამის კვალობაზე, ბძ:ბზ ურთიერთმონაცვლე კომპლექსებად შეიძლება განისაზღვროს.

შენიშვნა: მჟღერი ბ და გ ხშულების მეზობლობისას მჟღერ ნუნისმიერ სპირანტთა (ზ, ე) გააფროკატება გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ქართული ენის დიალექტებში. ამის კვალობაზე, საგარაუდოა ანალოგიური ცვლილებების პოენიერება იმავე ლოკალური რიგის ყრუ თანხმოვნების ურთიერთობის დროსაც: სპ → ცპ (?), სფ → ცფ (?), სყ → ცყ → წყ (სყალა → *ცყალა → *წყალა → გურული: პწყალა „იბე“), სქ → ცქ (წისქვილი → ინგილოური: ცქცქლ). გასათვალისწინებელია: ცყ კომპლექსი (განსხვავებით სყ კომპლექსისაგან) ქართულში შეუძლებელია, ამიტომაც სყ გარდაიქმნება ცქ ან წყ კომპლექსად (ი. ჭობალავა). მიუხედავად იმისა, რომ აფროკატიზაციის ეს ნაირსახეობა იშვიათია, იგი საესებით კანონზომიერია ქართული ენის დიალექტებში ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციების ფონზე.

სონანტებთან ურთიერთობისას სპირანტის აფროკატიზაცია დაჩნდება: კონტაქტური ურთიერთობისას — სონანტის წინა პოზიციაში: ზმ → ძმ (სიზმარი → სიძმარი) ზრ → ძრ (ზურგი → გურული: ზრუგი → ძრუგი), სონანტის მომდევნოდ: ლზ → ლძ (წელზე → წელძე), ლს → ლც (წელს → წელც), ლშ → ლჩ (სულში → სულჩი), მე → ძე (ამეამად → ამძამად), ნს → ნც (შანსი → შანცი), ნე → ნჯ (ინჟინერი → ინჯინერი), რს → რც (პარსავს → პარცავს), რშ → რჩ (ხარშავს → ხარჩავს)... დისტანციური ურთიერთობისას - სონანტის წინა პოზიციაში: ენ → ძნ (ეინი → ჯინი), ზნ → ძნ (გაზანგული → გაძანგული)...

სპირანტის გააფროკატება ხდება მაშინაც, როცა სონანტი ჩანართია (განვითა-

რებულა): მის დღეში → მისდღეში (მ-ს განვითარებით) → მისდღემჩი, საზღვარი → სამზღვარი → სამძღვარი).

აფრიკატიზაცია დაჩნდება მაშინაც, როცა სპირანტი წარმოდგენილია ხშულსა და სონანტს შორის: გზნ → გძნ (დაგზნება → აჭარული: დაგძნება), სონანტებს შორის: ნძრ → ნძრ (განზრახ → გურული, იმერული: განძრახ).

აფრიკატიზაცია შეინიშნება სპირანტების ურთიერთობის დროსაც: ე-შ → ჯ-შ (ყეშტი → აჭარული: ჯეშტი), აგრეთვე მყარ კომპლექსთა მონაცვლეობისას: სხ → ცხ (სხვა → მოხეური: ცხა), შხ → ჩხ (შხამა → ჩხამა), კრუშკა „ტოლოჩა“ → კრუჩკა/კრუჭკა...

შენიშვნა: გააფრიკატების შემდეგ თანხმოვანთა შესაძლოა თვით განაპირობოს სპირანტის აფრიკატიზაცია (ასიმილაციით): შეეზიზღება → * შეეზიძგება (ზღ:ძგ კომპლექსთმონაცვლეობის საფუძველზე) → იმერული: შეეძიძგება.

ხშულებთან და სონანტებთან ურთიერთობისას სპირანტის აფრიკატიზაცია არსებითად უნდა განისაზღვროს როგორც ასიმილაცია რაგვარობის (ხშულობის) მიხედვით: ნაპარალოვანი იძენს ხშულობას (რის საფუძველზეც აფრიკატდება) საკუთრივ ხშულოს (ბ,გ) ან ხშულ-ნაპარალოვანის (სონანტის) ზეგავლენით.

სპირანტებთან ურთიერთობისას სპირანტის აფრიკატიზაცია, პირიქით, რაგვარობის მიხედვით დისიმილაციის შედეგია (ნაპარალოვანი იძენს ხშულობას).

შედეგი ორივე შემთხვევაში იდენტურია: წარმოიქმნება ხშულობა-ნაპარალოვანობის თვალსაზრისით შეხამებული ისეთი კომპლექსი, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ დიალექტისათვის.

ბ) სპირანტის აფრიკატიზაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს აფრიკატთან ასიმილაციის საფუძველზე: ზ-წ → ძ-წ რეგრესული დისიმილაციით (ზეწარი → ჯავახური: ძეწარი).

გ) სპირანტი აფრიკატდება პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინა პოზიციაში: ზის → ჯავახური: ძის, შიკრიკი → ჭართლური: ჩიკრიკი.

დ) დაჩნდება ხმოვნებს შორის სპირანტთა აფრიკატიზაციის შემთხვევებიც: ეზო → გურული: ეძო, პატიეი → გურული: პაიეი → პაიჯი (გაფრცვლებულია სხვა დიალექტებშიც).

აფრიკატიზაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს კბილისმიერი (დ,თ,ტ) ხშულებისა და ნუნისმიერი (ზ,ს,შ) სპირანტების „შერწყმით“. (პოტენციურად იგივე უნდა ხდებოდეს ე-ს შემთხვევაშიც, მაგრამ რეალურად ასეთი კომპლექსი არ დასტურდება). ჩვეულებრივ, ეს მოვლენა დაჩნდება ბოლოკიდურა პოზიციაში მორფემათა ზღვარზე. შეხამება ხდება მყდერობა-სიყრუის მიხედვით. ამ თვალსაზრისით განსხ-

ვაგებულო თანხმოვნების შეხვედრისას აფრიკატიზაციას წინ უსწრებს რეგრესული ასიმილაცია. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს.

ღზ → ძ: ბედზე → ბეძე

თზ → ღზ → ძ: თითზე → თიდზე → თიძე

ტზ → ღზ → ძ: ხატზე → ხადზე → ხაძე

ასევე:

ღს → თს → ც: ბედს → ბეთს → ბეც

თს → ც: თითს → თიც

ტს → თს → ც: ხატს → ხათს → ხაც

ან:

ღშ → თშ → ჩ: ბედში → ბეთში → ბეჩი

თშ → ჩ: თითში → თიჩი

ტშ → თშ → ჩ: ხატში → ხათში → ხაჩი.

ანალოგიურად: ხეთშაბათი → ხუჩაბათი, ბედშავი → ბეთშავი → ბეჩავი (→ ბეჩა) და მისთ.

შენიშვნა: ერთი და იგივე შედეგი შესაძლოა სხვადასხვა გზით მივიღოთ: წელზე → წელქე (ანუ: ღზ → ღქ) და ბედზე → ბეძე (ანუ: ღზ → ძ).

3.36. დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის დიალექტებში. დეზაფრიკატიზაციით ვიღებთ ან კბილოსმიერ ხშულებს (ღ,თ,ტ) ან ნუნისმიერ სპირანტებს (ზ,ს,ჟ,შ).

ა) აფრიკატი → კბილისმიერი ხშულდი:

ძ → ღ: ეძება → სამხრეთ ქართლური: ეღება, კორძებიანი → სამხრეთ ქართლური: კორღებიანი.

ც → თ: ზარბაცი → იმერული: ზარმათი, ფიცხლავ → ქართლური: ფითხლავ.

წ → ტ: სწავლობს → გურული, იმერული: სტავლობს, სწორი → სტორი.

უკანანუნისმიერი აფრიკატების (ჭ,ჩ,კ) შენაცვლება ხშულებით არ დადასტურდა.

ბ) აფრიკატი → ნუნისმიერი სპირანტი:

მიიღება წინანუნისმიერი სპირანტი:

ძ → ზ: ნიძლავი → იმერული: ნიზლავი, ტაძარი → იმერული: ტაზარი, მოიძულე → იმერული: მოიზულე.

ც → ს, ცისკარი → ხევსურული: სისკარი, ცხიმი → მოხეური: სხიმი.

წ → ზ: აიწვევა → იმერული: ვიზევა.

მიიღება უკანანუნისმიერი სპირანტი:

ჭ → ჟ: ჭდანა → გურული: ჟდანა.

ჩ → შ: ჩითილი → ქართლური: შითილი, არჩივი → ქართლური: არშივი, გააჩქარე
→ მოხეური: გააშქარე.

კ → ე: თოვლქყაბი → ჯავახური: თოვლქლაბი.

აფრიკატის გადაქცევისას სპირანტად დაჩნდება ორი კანონზომიერება:

შენაცვლება, როგორც წესი, ხდება ერთი ლოკალური რიგის ფარგლებში:
წინანუნისმიერი აფრიკატი → წინანუნისმიერი სპირანტი, უკანანუნისმიერი აფრი-
კატი → უკანანუნისმიერი სპირანტი.

მეღერა და ყრუ მკვეთრი აფრიკატი გადადის მეღერა სპირანტში, ყრუ ფშვინ-
ვიერი აფრიკატი იცვლება ყრუ სპირანტით.

ღეზაფრიკატიზაციის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს.

მაგალითად, ძლ → ზლ, რჩ → რშ, ცხ → სხ შემთხვევებში ნაპარალელის მიხედვით ასიმილაციასთან გვაქვს საქმე. ამ ნიშნით ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული (აფრიკატი + სპირანტი → სპირანტი + სპირანტი: ცხ → სხ) ან ნაწილობრივი (აფრიკატი + სონანტი → სპირანტი + სონანტი: ძლ → ზლ) რეგრესული (ძლ → ზლ, ცხ → სხ) ან პროგრესული (რჩ → რშ), კონტაქტური (იხ. ყველა დასახელებული ნიმუში) და დისტანციური (ც-ს → ს-ს).

ცხ → თხ, სწ → სტ და მისთანა შემთხვევებში, პირიქით, იმავე ნიშნით დისიმილაცია დაჩნდება (აფრიკატი + სპირანტი → ხშული + სპირანტი). დისიმილა-
ციად უნდა განისაზღვროს აგრეთვე ჭდ → ჟდ, ჩქ → შქ ტიპის შენაცვლება (აფრიკატი + ხშული → სპირანტი + ხშული).

ანუ: ურთიერთსაპირისპირო შედეგი გვაქვს: ნაპარალელის მიხედვით ნივე-
ლორების ტენდენცია (ძლ → ზლ...), ერთ შემთხვევაში, და მაქსიმალური კონტრას-
ტისაკენ მიდრეკილება (ჭდ → ჟდ...), მეორე შემთხვევაში.

ღეზაფრიკატიზაცია შესაძლოა მოპყვეს სხვა რიგის ფონეტიკურ გარდაქმნებს:
ჩრდ → ჩდ → ჩთ → შთ/შტ (ჩრდილი → იმერული: შთილი/შტილი), ბრძ → ბძ → ბზ
(ბრძანა → ბზანა).

სპეციფიკური ვითარებაა ინგილოურში, სადაც მეღერა აფრიკატებს ყველა შე-
მთხვევაში ცვლის შესაბამისი მეღერა სპირანტები (ჭ → ჟ, ძ → ზ): ჯავი → ჟავ, ჯავრი
→ ჟავრი; ძალა → ზალაჲ // ზალაჲ, ძალი → ზალი.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აფრიკატიზაცია და ღეზაფრიკატიზაცია
ზოგჯერ დაჩნდება იდენტურ კომპლექსებში: სხ → ცხ (სხვა → მოხეური: ცხო) და ცხ

→ სხ (ცხიმი → მოხეური: სხიმი), რშ → რჩ (ხარშავს → ხარჩავს) და რჩ → რშ (არჩივი → ქართლური: არშივი), შ → ჩ (შიკრიკი → ქართლური: ჩიკრიკი) და ჩ → შ (ჩითილი → ქართლური: შითილი)...

რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ასეთი თავისუფალი მონაცვლეობა არ შეიძლება გვეჩინდეს. დაჩნდება მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერებანიც; მაგალითად, დასავლურ დიალექტებში სწ → სტ შეინიშნება მხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში: სწავლა → სტავლა; სწორი → სტორი, შდრ.: ს-წევ-ს „ეწევა“ → მო-ს-წი-ა // მო-ს'-ი-ა (წ აფრიკატის ჩავარდნით, რაც ზემოდასახელებულ ფორმებშიც შეიძლება განხორციელდეს: სწავლა → ს'ავლა//ავლა). ამის საპირისპიროდ, სტ კომპლექსში, ჩვეულებრივ, არ ხდება სპირანტის ან ხშელის აფრიკატიზაცია (სტაფილა, სტუმარი, სტირი, სტრიქონი, ნესტი...). ერთადერთი გამონაკლისია რუსულიდან ნასესხები სტრაფილი (строфанно “ნიენივი”) → სწრაფილი და ისიც, როგორც ჩანს, სწრაფ-ი ფორმასთან ფონეტიკური ასოციაციის გამო.

3.37. თ ა ნ ხ მ ო ე ა ნ თ ა ნ ა ზ ა ლ ი ზ ა ც ი ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის დ ი ა - ლ ე ქ ტ ე ბ შ ი . ნ ა ზ ა ლ ი ზ ა ც ი ა მ ე ტ - ნ ა კ ლ ე ბ ა დ გ ა ვ რ ც ე ლ ბ ე უ ლ ი ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო - ც ე ს ი ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის ყ ვ ე ლ ა დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი , მ ა გ რ ა მ ს ო ს ტ ე მ ა ტ უ რ ი ხ ა ს ა თ ა რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი ა ქ ე ს .

ნაზალიზაცია ვლინდება ორი სახით:

ა) ხდება თანხმოვანთა შენაცვლება ნაზალური მ და ნ სონანტებით;

ბ) თანხმოვნებთან ვითარდება მ და ნ სონანტები.

ნიმუშად რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ.

მ სონანტად შეიძლება გარდაიქმნას: ბ (კბილი → თუშური: კბილი, კბენს → იმერული, გურული: კმენს, ბაყაყი → აჭარული: მაყაყი, აკეთებს → ქართლური, კახური: აკეთემს), ფ (ყოფს → კახური: ყომს, გაფცქენილი → მთიულური: გამცქენილი, ფჩხილი → ფჩხილი → ბჩხილი // მჩხილი), რ (მოლარეცილი → ქართლური: მოლმეცილი, რბილი → იმერული: მბილი), ვ (ვიწრო → ქართლური, კახური: მიწრო, ვენახი → აჭარული: მენახი, ხავსი → ქართლური, კახური: ხამსი, კარავი → იმერული: კარამი, ხნავს → ქართლური, კახური, ზემოიმერული: ხნამს, ნავთი → ჯავახური: ნამთი).

ნ სონანტად გარდაიქმნება: დ (კიდევ → ინგილოური: კენემ), ლ (ლიტრა → კახური: ნიტრა, რომელი → ხევსურული, ფშაური, მოხეური: რომენი, სულელი → იმერული, ლეჩხუმური: სუნელი), რ (გემრიელი → ხევსურული: გემნიერი, რახან → ფშაური: ნახან // ნახა, ათჯერ → ლეჩხუმური: ათჯენ).

ხშირია მ → ნ და ნ → მ შენაცვლების შემთხვევებიც.

მ → ნ დაჩნდება როგორც პირველად (მთა → ნთა, სიმლიდრე → სინდიდრე, ასხამს → ასხანს), ასევე ფონეტიკურად ცვლილ ფორმებში (მაღავს → მაღამს → მაღანს, აკეთებს → აკეთემს → აკეთენს).

ნ → მ, როგორც წესი, პირველად ფორმებშია განხორციელებული (უკუნი → მთიულური; უკუმი, ინტერესი → ქართლური: იმტერესი, რახან → კახური: რახამ, შერჩენია → აჭარული: შერჩემია).

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ნაზალიზაციის ნაირსახეობებთან გვაქვს საქმე. თანხმომავანთა გადაბგერებით ნაზალიზაციას მიზეზი შეიძლება სხვადასხვა ჰქონდეს:

ასიმილაცია: ლოკალური რიგის მიხედვით: რბ → მბ (რბილი → მბილი), რაგვარობის მიხედვით: მს → მს (აკეთებს → აკეთემს)...

დისიმილაცია: ლოკალური რიგის მიხედვით: ღრ → ღმ (მოღრეცილი → მოღმეცილი), რაგვარობის მიხედვით: ვს → მს (ხავსი → ხამსი), კბ → კმ (კბილი → კმილი)...

საონტანური შენაცვლება: ბ → მ (ბაყაყი → მაყაყი), ვ → მ (კარავი → კარამი), დ → ნ (კიდევ → კენემ)...

ზოგჯერ რთულ ფონეტიკურ გარდაქმნასთან გვაქვს საქმე; მაგალითად, რ → ნ გაშუალებული უნდა იყოს რ → ლ საფეხურით: ორჯერ → ორჯელ, ცხრაჯერ → ცხრაჯელ, - ჯელ ზოგადდება: სამჯელ, ოთხჯელ, ათჯელ, რის შემდეგ ლ → ნ შენაცვლებით: სამჯენ...

სხვადასხვა ფონეტიკური პროცესი აქაც ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. მაგალითად, მს, ასევე ნს შესაძლოა მიღებულ იქნას ერთი მხრივ, რაგვარობის მიხედვით ასიმილაციის საფუძველზე: მს → მს → ნს (აკეთებს → აკეთემს → აკეთენს), ხოლო, მეორე მხრივ, იმავე ნიშნით დისიმილაციის საფუძველზე: ვს → მს → ნს (ხატავს → ხატამს → ხატანს).

სისტემური ხასიათი აქვს ნაზალიზაციის მოვლენას თემის ნიშნებში, რომელიც სტემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ:

ა) -- ავ → -ამ → -ან

მაგალითად, ხატ-ავ-ს → ხატ-ამ-ს → ხატ-ან-ს.

ბ) — ებ → | -ემ → -ენ

| - ამ (მორფოლოგიური კორელატი) → — ან

მაგალითად, ა-კეთ-ებ-ს -- ა-კეთ-ემ-ს → ა-კეთ-ენ-ს ან ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ამ-ს → ა-კეთ-ან-ს. ანალოგიურად: ი-ყიდ-ი-ს → ქართლური, კახური: ი-ყიდ-ამ-ს →

ი-ყიდ-ან-ს.

გ) —ობ → -ომ → ონ.

მაგალითად, ა-რჷ-ობ-ს → ა-რჷ-ომ-ს → ა-რჷ-ონ-ს, დასაშვებია აგრეთვე:
ა-რჷ-ობ-ს → ა-რჷ-ებ-ს → ა-რჷ-ენ-ს.

დ) — ამ (პირველადი) → -ან

მაგალითად, ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ან-ს.

ე) — ემ (პირველადი) → -ენ

ერთადერთი მაგალითია: ს-ც-ემ-ს → ს-ც-ენ-ს.

ვ) — ოფ → -ომ → -ონ

ესეც ერთადერთი მაგალითითაა წარმოდგენილი: ყ-ოფ-ს → ყ-ომ-ს → ყ-ონ-ს.

ცვლილება ხდება ორ პოზიციაში: ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ (ხატ-ავ-ს → ხატ-ამ-ს → ხატ-ან-ს, ხატ-ავ-თ → ხატ-ამ-თ → ხატ-ან-თ) და ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ (ხატ-ავ → ხატ-ამ → ხატ-ან). ხმოვნის წინ აღდგება ამოსავალი ვითარება: ხატ-ამ-ს/ხატ-ან-ს, მაგრამ: ხატ-ვ-ა, ა-კეთ-ებ-ს/ა-კეთ-ენ-ს, მაგრამ: გა-კეთ-ებ-ა, გა-კეთ-ებ-ულ-ი, და-ა-სხ-ან-ს, მაგრამ: და-სხ-მ-ა (იხ. აგრეთვე ზემოთ:...10).

შენიშვნა: თემის ნიშნის მსგავსად ზოგჯერ იცვლება ფუძისეული თანხმოვანიც:

ჰ-ყავ-ს → ყამ-ს → ყან-ს, წყე-ს → წყემ-ს → წყენს.

ამათგან, —მ-იანი ვარიატი გავრცელებულია ქართლურში, კახურში, ზემოთ-მერულში, ნაწილობრივ — რაჭულსა და მესხურში. —ნ-იანი ნაირსახეობა უპირატესად მესხურში დაჩნდება.

მ ზოგჯერ წარმოდგენილია შუალედურ საფეხურზე: ხატავს → ხატამს → ხატანს (არ ივარაუდება უშუალოდ ვ → ნ).

რაც შეეხება ნაზალიზაციის მეორე შემთხვევას, რომელიც მ და ნ სონანტების განვითარებით მიიღწევა, ამის შესახებ დაწერილებით ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ.... 9. „ნაზალიზებული ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში“). ნიმუშებად დასახელებული იყო: ეგრე → ენგრე, ხმიადი → ხმიანდი და მისთ. დავსძენდით, რომ ხმოვნების ნაზალიზაცია ამ დროს თავისთავად გულისხმობს მომდევნო თანხმოვანთა ნაზალიზაციასაც. დაჩნდება ამ პრინციპით საკუთრივ თანხმოვნთა ნაზალიზაციის ფაქტებიც: დევი → მდევი/ნდევი, ტყე → მტყე/ნტყე, თავლა → მთავლა/ნთავლა და მისთ.

ზემოხსენებულის გვერდით ქართული ენის დიალექტებში თავს იჩენს საპირისპირო, დენაზალიზაციის პროცესიც. ესეც ორი გზით მიიღწევა: მ და ნ სონანტების

გადაბგერებით ანდა დაკარგვით:

- ა) მ →
- ვ (ნემსი → ნევსი, პატიმარი → პატივარი)
 - ბ (მრუდე → ბრუდე/ბრუნდე, მქავე → ბქავე)
 - ფ (მსხალი → ფსხალი, მხარი → ფხარი)
 - გ (მზითვი → გზითვი)

ანდა: მსხალი → სხალი, მგელი → გელი, მდიდარი → დიდარი...

- ბ) ნ →
- ლ (ნიანგი → ლიანგი, ნაბიჯი → ლაბიჯი)
 - რ (ნიადაგი → რიადაგი)
 - ვ (მოატანინა → მოატავინა)
 - დ (ქალამნები → ქალამდები).

ანდა: სიმიინი → სიმილი, ჩვენს → ჩვეს (რაჭული), გაჩნდა → გაჩნდა/გაჩნა...

როგორც ნაზალიზაცია, ასევე დენაზალიზაცია ერთსა და იმავე დიალექტში დაჩნდება, როგორც სხვადასხვა, ასევე ერთსა და იმავე პოზიციაში, რაც ზემოდასახელებულმა ნიმუშებმაც წარმოაჩინა.

3.38. თანხმოვანთა პალატალიზაცია და ველარიზაცია ქართული ენის დიალექტებში. პალატალიზაცია (მაგარასისმიერობა) უპირატესად კბილისმიერი და უკანასასისმიერი ხშულების აფრიკატრიზაციით ვლინდება. ამთგან კბილისმიერი სამივე ხშული (დ,თ,ტ) განიცდის პალატალიზაციას და შესაბამისად იძლევა ძ,ც (იშვიათად ჩ), წ (ზოგჯერ კ) აფრიკატებს: დვეს → ძვეს, ფათური → ფაცური (ფუნთულა → ფუნჩულა), სატერფული → საწერფული (ტვირთი → ტვირთი). რბილასისმიერთაგან ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება კ ხშულის პალატალიზაციის შემთხვევები (კ → წ: კინალამ → წინალამ, კიკიშო → წიწიშო; შეინიშნა კ → ც შენაცვლებაც: რეიკა → რეიცა - არ გამოირიცხება, რომ ეს ნასესხები სიტყვა * რეიქა სახით ყოფილიყო წარმოდგენილი). ამის შესახებ დაწვრილებით ზემოთ გვკონდა საუბარი (იხ... 35).

გარდა ამისა, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (ქვემოიმერულში, ლეჩხუმურში, ნაწილობრივ გურულშიც) შეინიშნება ლ-ს პალატალიზაციის შემთხვევები. მაგალითად, ქვემოიმერულში პალატალური ლ დაჩნდება ძალა, მალე, გლახა, დაღაბა... ფორმებში (შ. ძიძიგური). ლ-ს პალატალიზაციის შედეგად შეიძლება გაჩნდეს მ: მასკლავი → მასკლავი „ვარსკლავი“, ლანქერი → ლმანქერი, ლაგერი → ლმაგერი „ბანაკი“ (ნიმუშები აჭარულ დიალექტშია დადასტურებული). ზოგჯერ გვხვდება სრულხმოვანი ი-ც: პალიტო „პალტო“ (შდრ.: палито), კალიცო „ბეჭედი“

(КОЛЫЦО). აღმოსავლური დიალექტებიდან პალატალური ლ დამოწმებულია ინგოლოურში (უფრო ხშირად — ნასესხებ სიტყვებში). ზოგჯერ ლ → მ: კელში → კემში, წელში → წემში (გ.იმნაიშვილი).

არსებითად პალატალიზაციასთან გვაქვს საქმე სპირანტების ორტაციის შემთხვევაშიც: დაძბარავს → დამბარავს, გასძახის → გამძახის, ტაშტი/ ტასტი → ტაძტი და მისთანანი, რაც ფართო გავრცელებიასა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (ქართლურში, კახურში, მთიულურ-გუდამაყურულში...).

შენიშვნა: პალატალური — აკუსტიკურად „რბილი“ თანხმოვანია. ქართულში პალატალურ თანხმოვნად მ-ს (ზოგჯერ მას ნახევარხმოვანსაც უწოდებენ) ასახელებენ (გ. ახვლედიანი). არსებითად კი, როგორც აღინიშნა, პალატალურია ნუნისმიერი აფრიკატები, აგრეთვე — სპირანტები. ამიტომაც არ არის მოულოდნელი ს,სჟ,შ → მ პროცესი, აგრეთვე ჰ → მ, რაც ლარინგალური (ზორხისმიერი) თანხმოვნის პალატალიზაციის შედეგია. თურქულურში ორტაციას განიცდის შე-ანუნისმიერი რ: რაგა → მაგა (შ. ძიძიგური).

ველარიზაციას ქართული ენის დიალექტებში განიცდიან წყვილბაგისმიერი (ბ,ფ,პ) და კბილისმიერი (დ,თ,ტ) ხშულები, აგრეთვე წინანუნისმიერი (ს) სპირანტი და შესაბამისად იძლევიან რბილსასისმიერ გ,ჰ,კ ხშულებსა და ს სპირანტს: ეუბნება → ეუგნება, პორფილე → კორფილე, ამოზიდული → ამოზიგული, მთლად → თლათ → ქლათ, ტომოთე → კომოთე; სწორი → ხწორი (დაწვრილებით იხ. ზემოთ:... 4, ...15, ...29, ...34).

რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში გვხვდება ველარიზებული („მაგარი“) ლ: დილ-ა, ცოლი, ქალი, ვაშლი, ბარკალი, საგზალი (შ. ძიძიგური).

3.39. კონტამინაცია ქართული ენის დიალექტებში. დაინდება შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ფორმის ბგერითი შედეგნილობა იცვლება ფონეტიკური ანალოგიის საფუძველზე. ამის კვალობაზე მიიღება ფორმა, რომელიც შედეგია ასოციაციურად დაკავშირებული ორი სიტყვის ბგერობრივი შერევისა“ (გ. ახვლედიანი).

ნიმუშებად დასახელებულია: მოდგმა + მონაგარი → ლეჩხუმური: მონადგარი, კორძი + ნუერი → თეშური: კუერი (არსებობს კვილ-ი ფორმაც → გურულსა და იმერულში), ბლარტი + ბეიტი → იმერული: ბელარტი, ბეიტი + ჩიორა → გურული, აჭარული: ბეიორა, ღერო + ღერწი → ღერწი, მოყვარე + მოყვასი → აჭარული: მოყვარსი, ბერწი + ეწერი → გურული: ბეწერაი, ბერწი + ურწანი → აჭარული:

ბურწანი, ცული + წალდი → იმერული: ცულდი, ამოჩრა + ამოდლიავება → ამოჩლიადღება და მისთ. (ფ. ერთელიშვილი).

კონტამინაციის გათვალისწინება იმიტომაც არის აუცილებელი, რომ საკუთრივ ფონეტიკური ცვლილებებისაგან განსხვავდეს ფონეტიკურად შეუძლებელი ბგერათმონაცვლეობა (და ამით თავიდან ავიცილოთ მცდარი ინტერპრეტაციები). მაგალითად, საკუთრივ ფონეტიკის საფუძველზე აუხსნელია ნ → კ (ნუერი / კუერი) ან ბლ → ბელ (ბლარტი / ბელარტი), ლერწი და ლერწი ფორმათა თანაბროვნეობას შეეძლო დაესვა საკითხი: ხომ არა გვაქვს საქმე აქ ველარიზებული („მაგარი“) ლ-ს რეფლექსთან და ა.შ.

ზოგჯერ მცდარი ინტერპრეტაცია შესაძლოა იმითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ ამა თუ იმ ფორმაში კონტამინაციური ცვლილება საკუთრივ ფონეტიკურად შესაძლებელ ბგერათმონაცვლეობას წააგავს. ამ რიგისაა, მაგალითად, დტ შენაცვლება ამოდენა // ამოდენა ფორმებში. ჩვეულებრივ, იგი სუბსტიტუციად მიიჩნევა, სინამდვილეში კი იდენ-ა და ტოლ-ა ფორმათა კონტამინაციით არის მიღებული. სხვათა შორის, ესაა ფორმები, რომლებიც გარდა კონტამინაციისა, საკუთრივ ფონეტიკური ნაირსახეობების სიუხვითაც გამოირჩევა. ამიტომაც ინტერესს მოკლებული არ იქნება მათი აქ წარმოდგენა.

- ოდენ მორფემოიდით გამოიხატება თანაბრობა, თანაფარობა (გამოიყენება დამოუკიდებლადაც მნიშვნელობით: „მხოლოდ, მარტო“). ძველ ქართულში მას ოდნაობის ფუნქციის გამოხატეც ეკისრებოდა (ავიყენით ჩუენ მონასტერსა მას შინა სამ დღე ოდენ“). ახალ ქართულში ამ დანიშნულებით — ოდენ → ოდენ // -ოდენ გამოიყენება (სამოდენ // სამოდენ). თანაბრობის ფუნქციით დაჩნდება — ოდენ // -ოდენა (ამოდენ-ი // ამოდენა). — ოდენ -ა შედგენილია საკუთრივ — ოდენ და მჭონებლობის, აგრეთვე თვისობის გამომხატველი-ა ელემენტებისაგან (მდრ.: ცხვირ-ი → ცხვირ-ა, ბარბაც-ი → ბარბაც-ა). — ოდენ // -ოდენა ფონეტიკურად მარტივდება: ჩემოდენი → ჩემდენი, შენოდენი → შენდენი, ამოდენი → ამდენი. ამოსავალ და ფონეტიკურად გამარტივებულ ნაირსახეობებს შორის ზოგჯერ სემანტიკური სხვაობა დაჩნდება: ჩემოდენი ნიშნავს: „ჩემხელა“, ჩემდენი — „იმდენი, რამდენიც მე მაქვს/მყავს, გამიკეთებია...“ („ჩემდენი რომ გემუშავა, ასე აღარ იქნებოდი“).

თანაბრობის ფუნქციის გამოსახატავად გამოიყენება ტოლ-ი → ტოლ-ა ფორმაც: ამტოლი „ამოდენი“, ამტოლა „ამდენა“.

- ოდენ-(ა) და ტოლ-(ა) ფორმათა კონტამინაციით მიღებულ იქნა თანაბრობის ფუნქციის გამომხატველი მორფემოიდის რამდენიმე ვარიანტი:

- ა) -ოღენ + -ტოლ → -ოტოლ: ამოტოლა, იმოტოლა.
 ბ) -ოღენ + -ტოლ → -ტონ: ამტონი, იმტონი, რამტონი.
 გ) -ოღენ + — ტოლ → -ტენ: ამტენი, იმტენი.
 დ) -ოღენ + -ტოლ → -ტელ: ამტელა, იმტელა, ჩემტელა.
 ე) -ოღენ + -ტოლ → -დონ: ამდონი, იმდონი.

თავის მხრივ კონტამინაციით მიღებული თითოეული ფორმა შესაძლებელია ნაირგვარი ფონეტიკური სახესხვაობებით იყოს წარმოდგენილი:

- ა) -დონ → -დვენ (იმდვენი).
 ბ) -ოღენ → -ღე → -თე → — ტე: *ისოღენ → *ისღენ → *ისღე → ისთე (სღ → სთ რეგრესული ასიმილაციით) → ისტე (სთ → სტ პროგრესული ასიმილაციით; შდრ.: არასფერი → არასპერი). იპოვება დასავლურ დიალექტებში (იმერულში, გურულში...).

გ) -ტონ → -ტვენ → -თვენ: იმტონი → იმტვენი → იმთვენი. დაჩნდება აღმოსავლურ დიალექტებში (ქართლურში, კახურში).

დ) -ტენ → -თენ: იმტენი → იმთენი (ქართლური, კახური).

შეინიშნება ფონეტიკური ვარიანტების კონტამინაციის შემთხვევებიც: -ოტოლ + -ტენ → ოტენ / -ოტელ: იმოტენა, იმოტელა.

შენიშვნა: ტ/თ მონაცვლეობისათვის შდრ.: იმისთენი → იმითენი / იმიტენი (კახური...).

ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს კონტამინაციითა და საკუთრივ ფონეტიკური ცვლილებით მიღებული ფორმები.

ამავე მორფემოიდით შედგენილ ფორმაში სხვა შემთხვევაშიც დაჩნდება კონტამინაციის შედეგები. კერძოდ, რამოდენა/რამდენი, სადაც ერთი შეხედვით მოულოდნელაა მ-ს პოვნიერება (შდრ.: რაოდენი). ორივე ფორმა კონტამინაციის შედეგია: ამოდენი + რაოდენი → რამოდენი/რამოდენა. ანალოგიური ვითარებაა აქაც: ამხელა + *რახელა → რამხელა... ესაა შემთხვევა, როცა თანხმოვნის განვითარებას არა საკუთრივ ფონეტიკური შეპირობებულობა, არამედ ბგერითი ასოციაცია უდევს საფუძვლად.

3.40. მეტათეზისი (თანხმოვანთა გადასმა) ქართული ენის დიალექტებში. მეტათეზისის მიზანია, სიტყვა-ფორმაში ისე შეცვალოს ბგერათა თანაგანლაგება, რომ გაადვილდეს წარმოთქმა. ისევე, როგორც სხვა ფონეტიკური პროცესები, მეტათეზისის ზოგი შემთხვევა საერთო ქართული მოვლენაა, ზოგიც დიალექტების მიხედვით სხვაობს.

განიჩრევა მეტათეზისის რამდენიმე სახეობა: პროგრესული და რეგრესული (მიმართულების მიხედვით), დისტანციური და კონტაქტური (მანძილის მიხედვით), მარტივი (ადგილს იცვლის ერთი ბგერა) და საურთიერთო (ერთმანეთს ადგილს უცვლის ორი ბგერა). ზოგი ამ ნაირსახეობათაგან ურთიერთგანსაზღვრელია. მაგალითად, კონტაქტური მეტათეზისი საურთიერთოა (ხნ-ვ-ა → ხენ-ა, წიგნ-ი → წინგ-ი), დისტანციური შეიძლება იყოს მარტივიც (ეჰე-ი → ეჰე-ი, ყვერნა → რყვენა) და საურთიერთოც (მადლოერ-ი → მადრიელ-ი).

მეტათეზისის ესა თუ ის შემთხვევა, როგორც ითქვა, შესაძლოა იყოს: ა) საერთო-ქართული ან დიალექტების უმეტესობისათვის დამახასიათებელი (ხნ-ვ-ა → ხენ-ა, ხსნ-ი-ს → სხნ-ი-ს), ბ) დიალექტების მხოლოდ შეზღუდული წრისათვის ან სულაც ერთი დიალექტისათვის (კილოკავისათვის) ნიშანდობლივი (სუფთა → სამხრეთ ქართლური: ფსუთა, შეტოპავს → აჭარული: შეპოტავს, ყინი → ქართლური, კახური: ნიყი, შდრ.: გაყონა → იმერული: განოჟა, ვნახე → ლეჩხუმური, ზემოიმერული: ნაეხე, მნახე → ზემოიმერული; ლეჩხუმური: ნამხე).

მეტათეზისი შეიძლება განიცადოს ყველა რაგვარობის თანხმობანმა. გადაისძის: ა) ხშული: გ-ბ → ბ-გ (გუბელა → იმერული: ბუგელა), ტ-პ → პ-ტ (შეტოპავს → აჭარული: შეპოტავს), ბ) აფრიკატი: ბ-ჩ → ჩ-ბ (ყუბაჩა კუდუსუნის ხორცი საქონლისა → გურული: კუჩაბა), გ) სპირანტი: ხს → სხ (გახსენი → გახსენი), დ) სონანტი: ნ-ლ → ლ-ნ (ბნელა → ბლენა).

ადგილები შეიძლება შეინაცვლოს: ა) თანხმობენებმა (ასხია → ჯავახური: ასხია, სუფთა → სამხრეთ ქართლური: ფსუთა, ღრმა → ლეჩხუმური: რღმა), ბ) თანხმობანმა და ხმობანმა (ღირსი → იმერული, გურული: ღრისი, ჭირკი → იმერული: ჭრიკი, ზურგი → გურული, აჭარული: ზრუგი).

ადგილებს შეინაცვლებენ:

ა) ხშულები: გ-ბ → ბ-გ (გუბელა → იმერული: ბუგელა), ტ-პ → პ-ტ (შეტოპავს → შეპოტავს).

ბ) ხშული და აფრიკატი: ჩ-ქ → ქ-ჩ (ჩიქილა → ხევსურული, თუშური: ქიჩილა), ბ-ჩ → ჩ-ბ (ყუბაჩა → გურული: კუჩაბა).

გ) ხშული და სპირანტი: დ-ს → ს-დ (გადასარევი → იმერული: გასადარევი), კ-ზ → ზ-კ (კუზი → ქართლური, კახური: ზუკი), დ-ე → ე-დ (დეეი → ქიზიყური: ეუდი).

დ) ხშული და სონანტი: ბმ → მბ (დაბმული → დამბული), გრ → რგ (გრილი → იმერული: რგილი), გნ → ნგ (წიგნი → იმერული: წინგი), ღრ → რღ (ახვედრებს → ლეჩხუმური: ახვერდებს), ბრმ → რბმ (ბრმა → ლეჩხუმური: რბმა).

ე) აფრიკატი და სპირანტი: ჩ-ხ → ხ-ჩ (დაჩეხილი → კახური: დახეჩილი), ხჩ → ჩხ (ხჩილი → ხჩილი → ლეჩხუმური: ჩხილი).

ვ) აფრიკატი და სონანტი: ცრ → რც (ცრემლი → ლეჩხუმური: რცემლი), რ-ჭ → ჯ-რ (ბურეჭი → რაჭული: ბუჭერი).

ზ) სპირანტები: ხს → სხ (გახსენი → ქართლური, იმერული: გასხენი), სხ → ხს (მასხარა → ჯავახური: მასხარა), ხშ → შხ (ხშირი → ქართლური: შხირი), შვ → ვშ (პეშვი → აჭარული: პეშვი).

თ) სპირანტი და სონანტი: ნვ → ვნ (ყინვა → რაჭული: ყინვა), ხლ → ლხ (თოხლო → იმერული: თოლხო), ღრ → რღ (ღრმა → კახური, იმერული: რღმა), ხრ → რხ (ხრმალი → რაჭული: რხმალი), ე-ნ → ნ-ე (ქართლური, კახური: ნიეი, გაეონა → იმერული: განოჟა), ლვ → ვლ (შალვა → გურული: შავლა), ლ-ვ → ვ-ლ (ძლივას → იმერული, გურული: ძვილა).

ი) სონანტები: ნ-ლ → ლ-ნ (ბნელა → ბლენა), ლ-ნ- ნ-ლ (ბალანი → ქართლური: ბანალი), ნ-რ → რ-ნ ამნარი → მესხური: ამრანი), რ-ნ → ნ-რ (ამრანი → მესხური: ამინარი), ლ-რ → რ-ლ (ძლიერ → კახური: ძრიელ, ტლავერი → ლეჩხუმური: ტრაველი, მოლარე → გურული: მორალე), რ-ლ → ლ-რ (რაჭელი → ლეჩხუმური: ლაჭერი).

მიმართულების შესახებ საკითხი დაისმის მარტივი მეტათეზისის შემთხვევაში. უპირატესად დაჩნდება რეგრესული მეტათეზისი (ცვერნა → იმერული: რცენა, ბევერი → იმერული: ბრევეი, ეჭვი → ლეჩხუმური: ვეჭვი, ბარტყი → კახური: ბლარტი).

მეტათეზისი უმრავლეს შემთხვევაში ერთსაფეხურიანია (იხ. ყველა ზემოდასახელებული ნიმუში), მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს ორსაფეხურიანი მეტათეზისის მაგალითებიც: ბროწეული → იმერული: ბერწოული (ე გადაისმის ბრ კომპლექსში, ხოლო ოწ → წო; ამას ხელს უნდა უწყობდეს ისიც, რომ → იელ სუფიქსი იმერულში წარმოდგენილია როგორც: - ოულ).

მეტათეზისის თანამდევად შესაძლოა დაჩნდეს სხვა ფონეტიკური პროცესი; მაგალითად, ქს → სქ (მეტათეზისი) → სკ (დისიმილაციური გამკვეთრება): ლუქი → ჯავახური: ლუსქი → ლუსკი, ბარტყი → კახური: *ბყარტი → ბლარტი (პროგრესული ასიმილაციით), ზურგი → ზრუგი → გურული: ძრუგი.

და, პირიქით, მეტათეზისი შეიძლება მოხდეს სხვა ფონეტიკური ცვლილების შემდგომ; უფრო ხშირად მაშინ, როცა რედუქციის შედეგთან გვაქვს საქმე: ხმალი → ხმლის → კახური: ხლმის, ძმარი → ძმრის → იმერული: ძრმის, ასევე: ხნ-ავ-ს → ხნ-ვ-ა → ხვნ-ა (საერთო-ქართული მოვლენა; გამონაკლისი გვაქვს ზოგიერთ დიალექტში; მაგალითად, იმერულში, სადაც მეტათეზისი ამ პოზიციაში ხშირად არ

დაჩნდება: ხნ-ვ-ა, ხრ-ვ-ა, შე-კრ-ვ-ა, მო-კლ-ვ-ა). შემდეგ: ა-ბ-ამ-ს, მაგრამ: და-ბ-მ-ა → და-მბ-ა (ანალოგიით თავს იჩენს II სერიაშიც: და-ა-მბ-ა „დააბა“), ანდა: მოაგრაოვა → მოანგრაო (ვ-ს ჩაყარდნითა და ნ-ს განვითარებით) → მოანგრუა (ოა → უა/უა რეგრესული დისიმილაციით) → მესხური: *მოანგრვია (უ → ვი პროცესის შედეგად) → მოანგვრია (რე → ვრ მეტათეზისით - ჩქამიერი გ თანხმობენის მომდევნოდ: საერთო-ქართული წყის კრძო დიალექტური გამოხატულება; შდრ.: ჩაგრაჲს → ჩაგრაჲ → ჩაგვრა; ანუ: გრჲ → გვრ), ხზო → ხფო → ჟავახური: ფხო (მიდრეკილება ბუნებრივი ფხ კომპლექსისაკენ).

ერთსა და იმავე ფორმაში შესაძლოა მეტათეზისის სხვადასხვა შედეგი დაჩნდეს; შეხვედრია → იმერული: შეხვედრია/ ლეჩხუმური: შეხვერდია.

მეტათეზისის შედეგად ვიღებთ ქართულისათვის ბუნებრივ კომპლექსებს (რაც არ გამოირიყნავს იმას, რომ თვით ბუნებრივი კომპლექსიც იცვლებოდეს მეტათეზისის საფუძველზე): დაბორგავს → რაჭული: დაბროგავს (ბ → ბრ), კორფლი → აქარული: კრაფლი (კრ), ძლიერ → კახური: ძრეილ (ძრ), ჭირკი → იმერული: ჭრკი (ჭრ), ძლივას → გურული, იმერული: ძვილა (ძვ), გაუჭავრდა → გურული: გაუჭვარდა (ჭვ) და მისთ.

მეტათეზისის საფუძველზე შესაძლოა წარმოიქმნას კომპლექსი, რომელიც სხვა შემთხვევებში სხვა ფონეტიკური პროცესის შედეგია; მაგალითად, ბმ → მბ (დამბული → დამბული) და ბ → მბ მ-ს განვითარებით (ბალი → მბალი), ან: რ-ს მეტათეზისი (კვერნა → რკვენა) და რ-ს განვითარება (კმევა → რკმევა).

მეტათეზისი მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება. მაგალითად, დასამ-ვებია კვერნა → რკვენა (რადგან რ-ს მეტათეზისის შემდეგ ხმოვანთგამყარად რჩება ნ), მაგრამ შეუძლებელია კვარი → *რკვაი (ორი ხმოვნის თავმოყრის გამო), ამიტომაც თავიიდურა პოზიციაში პროთეტული თანხმობენის (სონანტის) გაჩენა ხდება: კვარი → მკვარი (რკვენა ფორმაში ამ როლს გადასმული რ სონანტი ასრულებს).

მეტათეზისის სხვადასხვაგვარი ახსნა ეძლევა.

ერთი ვარაუდით, მეტათეზისი მიჩნეულია აქცესიური კომპლექსის სუბერაციად, რადგან ასეთი კომპლექსები ენისათვის „ნაკლებ ბუნებრივია“ (გ. ახვლედიანი).

მართალია, მეტათეზისის გზით აქცესიური კომპლექსი შეიძლება გარდაიქმნას დეცესიურ კომპლექსად (გახსენ → გახსენ, ხშირი → შხირი, გრილი → რგილი, წიგნი → წინგი და მისთ.), მაგრამ მრავლადაა საპირისპირო შემთხვევებიც, როცა დეცესიური კომპლექსი იცვლება აქცესიური კომპლექსით (ბრმა → რბმა, ხმლის → ხლმის, ძმრის → ძრმის, შეხვედრა → შეხვერდა; რბ, ლმ, რმ, რდ აქცესიური კომპლექსებია, მიღებული ბრ, მლ, მრ, დრ დეცესიური კომპლექსების მეტათეზისის საფუძველზე).

ასე რომ, ასეთი ახსნა მეტათეზისის ყველა შემთხვევას ვერ მოიცავს და არც შეეძლო მოეცვა, რადგან კომპლექსთან ბუნების შესაბამისად მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს.

შემდეგ. დადგენილია წესი: სონორული თანხმოვნების რ, ლ, ნ-ს მომდევნო ვ გადმოისმება რეგრესულად, როცა ამ სონორულ თანხმოვნებს წინ უძღვის ბაგის-მიერი, წინაენისმიერი ან უკანაენისმიერი ჩქამიერი თანხმოვანი: დაფლვა → დაფვლა, გასაპნვა → გასაპვნა, (ა) თრუამეტი → ტრუამეტი, ჩაგრვა → ჩაგვრა, ხნვა → ხვნა* (გ. ახვლედიანი).

ამ მოვლენის ახსნას ცდილობენ მზარდი ნაპრალოვნობისაგან თანხმოვანთკომპლექსთა მიდრეკილებით. თავის მხრივ ეს მოსაზრება ემყარება ვარაუდს, რომლის თანახმადაც მზარდი ნაპრალოვნობის მიხედვით თანხმოვნები შემდეგნაირად ნაწილდება: 1. ხშულები (ნულოვანი ნაპრალოვნობა); 2. ზ, ს, ყ, შ; 3. ლ, ხ, ყ; 4. ვ, მ; 5. რ, ლ, ნ (თ. უთურგაიძე). ამის კვალობაზე, ხშულ-ნაპრალოვანი (სონანტები) მეტი ნაპრალოვნობით ხასიათდება, ვინემ საკუთრივ ნაპრალოვანი (სპირანტები). ეს იმიტომ, რომ მზარდი ან დამავალი ნაპრალოვნობა ფონემატურ ტერმინებად მიიჩნევა, რომლებიც ფონემათა გარკვეულ სინტაგმატურ უნარზე მიუთითებენ (თ. უთურგაიძე). ზემოთქმულის გათვალისწინებით, ლუ, ნუ, რუ დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსებია, ხოლო ვლ, ვნ, ვრ. - მზარდი ნაპრალოვნობისა, რის გამოც: დაფლვა → დაფვლა, გასაპნვა → გასაპვნა, ჩაგრვა → ჩაგვრა.

ქართული ენის დიალექტებში არცთუ იშვიათად დაინდება შემთხვევები, როცა მეტათეზისით ზემოხსენებულის საპირისპირო შედეგი მიიღება: მრ, ვარაუდის მიხედვით, მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსია, მაგრამ დიალექტებში დადასტურებულია მისი მეტათეზისი: ძმრის → ძრმის, ქმრის → ქრმის... ეს მაშინ, როცა აქ ზუსტი ანალოგი გვაქვს დასახელებული სამშემადგენლიანი კომპლექსისა (ჩქამიერი + სონანტი + სონანტი, რომელთაგან მ ნაპრალოვნობის მიხედვით ვ სპირანტის რაგს განეკუთვნება; შდრ.: ძრუ-ა → ძვრ-ა და ძმრ-ის → ძრმ-ის). აღარაფერს ვამბობთ ბმ → მბ (დამბული → დამბული) ტიპის ცვლილებათა შესახებ.

ამის გამო ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა დაიძენოს სხვაგვარი ახსნაც.

გასათვალისწინებელია ორი მომენტი: ა) საანალოზო ფორმათა აბსოლუტურ უმეტესობაში რედუქცირებულია ფუძისეული ხმოვანი: ფალ → ფლ-, კალ → კლ-, ძარ → ძრ-, ხან — → ხნ — და მისთ. ბ) ვ/უ ნაპრალოვანი თანხმოვანია (სპირანტია).

რედუქციის შედეგად ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ხშული (ან აფრიკატი) და ხშულ-ნაპრალოვანი (სონანტი), რომელთაც მოსდევს სპირანტი ვ. ეს უკანასკნელი მეტათეზისის გზით იკავებს რედუქცირებული ხმოვნის პოზიციას: ფალ — →

და-ფლ-ავ-ს → და-ფლ-ვ-ა → და-ფელ-ა, ძარ — → და-ძრ-ავ-ს → და-ძრ-ვ-ა → და-ძვრ-ა...

ამ რიგის კომპლექსთა ბუნებრივობაზე მიაინიშნებს ისიც, რომ მეტათეზისი დაჩნდება არარედუცირებულ კომპლექსებშიც: ჩაგრ-ავ-ს → ჩაგრ-ვ-ა, ასევე: ათრ-ვაშეტი (მორაფემათა მიწნაზე) → თრვაშეტი → თვრავშეტი...

ამავე კანონზომიერებით უნდა აიხსნას რ სონანტის მეტათეზისიც: რ, როგორც ვიბრანტი, სხვა სონანტებზე მეტი ნაპარალოვნობით ხასიათდება, რის გამოც იგი (ვ-ს მსგავსად) იკავებს ადგილს ხშულსა (აფრიკატსა) და სონანტს შორის: ძმრ-ის → ძრმ-ის და მისთ.

მაშინ კი, როცა თავიადურა პოზიციაში რ-ზე მეტი ნაპარალოვნობის მქონე სპირანტი დაჩნდება, თანხმოვანთა შორის პოზიციას იგი იკავებს მეტათეზისით: ღრმა → რღმა, ხრმალი → რხმალი...

ახლა — რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როცა ბოლოკიდურ პოზიციაში ჩქამიერ თანხმოვნად სპირანტია წარმოდგენილი: ღმე → ღემ (დანაღმეა → დანაღმეა), ხნე → ხენ (ხნვა → ხენა), ხრე → ხერ (ხრვა → ხრაე), ასევე: სრე → სერ (ბასრვა → ბასერა), შნე → შენ (დანიშნენა → დანიშნენა), შმე → შემ (დახაშმეა → დახაშემეა) და მისთ. არსებითად ვ ამ დროსაც იმავე დანიშნულებისაა, რაც ზემოთ აღინიშნა. ისიც ცნობილია, რომ სპირანტი და სონანტი სამშემადგენლოან კომპლექსში ზოგჯერ შეიძლება ხმოვნით გაითიშოს: ღრმა → ღერმა → ღირმა, ღრძილი → ღირძილი, ზემოდასახელებულ ფორმებში ამავე დანიშნულებით ვ/ჟ დაჩნდება. იმავედროულად შღრ.: ღრმა → რღმა, ღრძილი → რღძილი. თავისთავად ეს იმაზე მიაინიშნებს, რომ ამ რიგის კომპლექსებში დაჩნდება მიდრეკილება სუპერაციისაკენ, რაც სხვადასხვა გზით ხორციელდება, გარდა ამისა, უთუოდ მოქმედებს ანალოგიაც.

ზემოთქმული არ გამორიცხავს საპირისპირო შემთხვევებსაც: მაგალითად, ბრმა → რბმა (შღრ.: ბგრმა//ბირმა//ბურმა) - სონანტები გაითიშა ხშულით. სხვათა შორის, თუ ამ პოზიციიდან შეეაფასებთ, ანალოგიური ვითარებაა ღრმა → რღმა, ხრმალი → რხმალი რიგის ფორმებშიც: სონანტებს შორის პოზიციას სპირანტი იკავებს. ამ კომპლექსებს (რბმ, რღმ, რხმ) ისა აქვთ საერთო, რომ ხშულიც და სპირანტიც ჩქამიერი თანხმოვნებია, რითაც უპირისპირდებიან სონანტებს.

ამდენად, მეტათეზისის ყველა შემთხვევის ცალსახად ახსნა შეუძლებელია: მოქმედებენ სხვადასხვა რიგის ფონეტიკური კანონზომიერებანი.

3.41. თანხმოვანთა განვითარება და დაკარგვა ქართული ენის დიალექტებში. თანხმოვანთა გაჩენას, როგორც წესი, იწვევს კონტრასტული დროს ბგერებს (ან პაუზასა და ბგერას) შორის წარმოქმნილი

(ფონემური ზვალსაზრისით) ირაციონალური ზონა (ე.წ. „გარდამავალი ზონა“), რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ამა თუ იმ სადიფერენციაციო ნიშნის — მარჯრის (ხმულობის, ნაპრალოვნობის... მჟღერობის... ნაზალობის...) სახით.

უმეტეს შემთხვევაში ასეთი ირაციონალური ზონები აღუქმელი და ამიტომაც გამოუხატველი რჩება, მაგრამ ზოგჯერ (რაოცა ბგერებს შორის კონტრასტი საგრძნობია და ამიტომაც „გამაშუალბელი საფხურის“ საჭიროება დაჩნდება), ხდება შესაბამისი ფონეტიკური გარემოცვით შეპირობებული ბგერის წარმოქმნა. მაგალითად, უ ხმოვნისა და ცხ კომპლექსის შეხამებისას რჩება დიობი („ირაციონალური გარდამავალი ზონა“), რომელიც „ამოივსება“ მჟღერი მთათოლი (ვიზრანტი) თანხმონით (უ უკანაენისმიერი ხმოვანია, ც — წინა-ნუნისმიერი, ხ — რბილასისმიერი). ეს მჟღერი მთათოლი თანხმოვანი დიალექტების ერთ ნაწილში წარმოდგენილია შუანუნისმიერი რ სონანტის სახით: უცხო → ურცხო (უფრო ზუსტად: უ და ცხ სეგმენტებს შორის დაჩნდება „მჟღერი თათოლა“, რომელიც ყალიბდება რ სონანტად). ამის კვალობაზე წარმოიქმნება ენისათვის (დიალექტისათვის) ბუნებრივი კომპლექსი: ურცხ (ანუ: მაღალი აწეულობის ხმოვანი + ვიზრანტი სონანტი + ყრუ ფშვინეიერი პარამონიული კომპლექსი); შდრ.: სირცხილი (ირცხე), სადაც რ შენარჩუნებულია ზემოხსენებულის ანალოგიურ პოზიციაში (მაღალი აწეულობის ი ხმოვანსა და ცხ კომპლექსს შორის); მაგრამ: პრცხენია → სრცხენია → სცხენია → ცხენია, ანუ: რ მერყეობს, რადგან აღარა გვაქვს მისი შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი პოზიცია.

შეგნიშნავთ, რომ ასეთ კომპლექსში რ შენარჩუნებულია ყველა რიგის ხმოვნის მომდევნოდ: მარცხი, ერცხენება, მორცხვი, ურცხვი.

ბოლო ნიმუში იმაზეც მიუთითებს, რომ ბგერის გაჩენასა და დაკარგვას არსებითად ერთი და იგივე მოვლენა შეაპირობებს, კერძოდ, კომპლექსის ბუნებრივობა მოცემული ფონეტიკური გარემოცვის დროს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ სხვა მაგალითებიც შეიძლება დავასახელოთ.

ქართულისათვის ბუნებრივი კომპლექსებია ლმ, ლს, აგრეთვე: მლ, სლ (ვალი →

ვალში/ვალს; ვაშლი, ნისლი), მაგრამ თუკი ლ სონანტი სპირანტებს შორის აღმოჩნდება, იგი, წესისამებრ, იკარგვის: სახლში → სახში, სახლს → სახს, ვაშლს → ვაშს, ნისლს → ნისს; შდრ.: ძეგლს, მადლს, ბოთლში..., სადაც ლ ხშირად შენარჩუნებულია → წინამავალი თანხმოვანი ხმულია; მეტრც: დაჩნდება ამ ტიპის ოთხშემადგენლიანი თანხმოვანთკომპლექსებიც: გინგლს/გინგლში, სამარგლს /სამარგლში. იმავდროულად სონანტი შეიძლება დაიკარგოს ხმულის მომდევნოდაც, თუ მას მოსდევს აფრიკატი: ბრძანება → ბძანება, გრძელი → გძელი... ანალოგიური ვითარებაა

მაშინაც, როცა შებრუნებული განლაგებაა (აფრიკატი + სონანტი + ხშული): ჩრდილი → ჩილილი/ჩიილი, ჩნდება → ჩდება/ჩთება... მაშინ კი, როცა სონანტი წინ უძღვის ან მოსდევს აფრიკატისა და ხშულისაგან შედგენილ კომპლექსს, იგი შენარჩუნებულია: ნჩქ (ნჩქრევა, ჩანჩქერი)... ძგნ (ძიძგნის), ჯგრ (ჯგრო)...

გასათვალისწინებელია: გვაქვს შემთხვევები, როცა შესაძლოა პარალელურად იქნეს გამოყენებული ორი ფონეტიკური ნაირსახეობა: (ხნ-ავ-ს → ი-ხნ-ვ-ებ-ა) — ი-ხვნ-ებ-ა // ი-ხნ-ებ-ა. ერთი შეხედვით აქ წმინდა ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საკმე (ყრძოდ, მელერი ვ სპირანტის შენარჩუნება-დაკარგვასთან სპირანტი-სა და სონანტის შუა პოზიციაში). შევნიშნავთ, რომ ასეთი ალტერნატიული კომპლექსები მართლაც დასტურდება (მდიდარი // დიდარი, მსხალი +ფსხალი//სხალი...), მაგრამ ზოგჯერ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ ის კომპლექსებიც, რომლებიც სხვა ენობრივი მოვლენებითაა შეპირობებული. ასეთია ზემოდასახელებული ხენ//ხნ კომპლექსიც.

ი-ხენ-ებ-ა ვნებითა — ავ თემისნიშნისი ხნ-ავ-ს ზმნისა. ამ ტიპის ზმნათაგან ვნებითი ორგვარად იწარმოება: მალ-ავ-ს → ი-მალ-ვ-ი-ს (დღესაც გვხვდება დიალექტების ერთ ნაწილში) // ი-მალ-ებ-ი-ს/ი-მალ-ებ-ა; ანუ: ერთ შემთხვევაში შენარჩუნებულია —ავ (→ -ვ), მეორე შემთხვევაში —ავ თემის ნიშანს ცვლის-ებ: უმარცვლო ფუძეები —ავ → -ვ შენარჩუნებულია --ებ თემის ნიშნის დართვის შემთხვევაშიც: თხზ-ავ-ს → ი-თხზ-ვ-ებ-ა. იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს კომპლექსი: ჩქამიერი + სონანტი +ვ, ხდება მეტათეზისი: ხნ-ავ-ს → ი-ხნ-ვ-ებ-ა → ი-ხენ-ებ-ა (იხ. ზემოთ). ესაა ძირითადი წესი, რომლის პარალელურად თავს იჩენს გამიჯვნის ტენდენცია ზემოხსენებული მიმართებების კვალობაზე: ხნ-ავ-ს → ი-ხნ-ვ-ი-ს → ი-ხენ-ი-ს, მაგრამ: ხნ-ავ-ს → ი-ხნ-ებ-ა (ანუ: — ავ → -ვ — თემის ნიშანს ცვლის —ებ). აქ რომ შესაძლოა მართლაც მორფოლოგიური შეპირობებულობა მოქმედებს, ამაზე მიანიშნებენ ანალოგიური შედგენილობის (სპირანტი + სპირანტი + სონანტი), მაგრამ ფონეტიკურად შედარებით მდგრადი კომპლექსები: ხენ (ფხენის, საფხენო), ღვრ (ღვრის), შენ (ფშენის), შვლ (შველი → შვლის), ან კომპლექსები, რომლებიც სხვაგვარ ფონეტიკურ ცვლილებებს გვიმოწმებენ: ხსნ (ხსნის → სხსის)...

შენიშვნა: „შედარებით მდგრადი“ იმიტომ, რომ არც მათი ცვლილებაა მოულოდნელი; მაგალითად, აქარულში დადასტურებულია: ღვრის → ღრის...

ასე რომ, მორფოლოგიური სტატუსი უთუოდ გასათვალისწინებელია თანხმევანთა (ასევე: ხმოვანთა) ფონეტიკურ ცვლილებების დროს (შვენიშნავთ: საკუთრივ იხენება // იხნება ფორმებს დიალექტების მიხედვით სხვაგვარი ახსნაც ეძებნება; იხ. ქვემოთ).

ზემოთ დავადასტურეთ შლ, სლ და მისთანა კომპლექსების ბუნებრიობა განსაზღვრულ ფონეტიკურ გარემოცვაში: ვაშლო, ნისლი. ამ შემთხვევაში შლ, სლ პირველადი (იმთავითვე წარმოდგენილი) კომპლექსებია. ბუნებრივი კომპლექსებისა-კენ მიდრეკილება განაპირობებს მათ წარმოქმნას ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ერთ-ერთი ასეთი ფონეტიკური პროცესი თანხმოვნის გაჩენაა. მაგალითად, ლ → შლ (ლაში → შლაში); შდრ.: შალ-ა → შალ-ი-ს, სადაც იგივე კომპლექსი ხმოვნის რედუქციის შედეგია. შევნიშნავთ: ლაში და შლაში ამეამად სემანტიკურ სხვაობას გვიჩვენებენ: ლაში — „წყლის დანალექი წმინდა სილა“, შლაში — „ნიღვრის მიერ ჩამორეცხილი მიწის ზედაპირის წვრილი ნაწილაკები, რომლებიც შეიცავს ორგანულ ნივთიერებათა გახრწნილ ნარჩენებს“ (იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ასე რომ, ზემოთ უკვე ნახსენები თანხმოვანთა გაჩენისა და დაკარგვის საერთო საფუძველი (მიდრეკილება ბუნებრივი კომპლექსის წარმოქმნისაკენ) რეალობას წარმოადგენს და ენის (დიალექტის) შინაგანი კანონზომიერებით არის შეპირობებული.

თავის მხრივ თანხმოვანთა გაჩენაც და დაკარგვაც წარმოადგენენ სანდო საკონტრალო საშუალებას ენისათვის (დიალექტისათვის) ბუნებრივ კომპლექსთა დასადგენად.

ამის კვალობაზე, ივულისხმება, რომ შესაძლებელია დავადასტუროთ ერთი და იმავე თანხმოვნის გაჩენაცა და დაკარგვაც პოზიციის შესაბამისად. ამის ნიმუშად დასახელებული იყო ცხ → რცხ (რცხო → რკხო) და რცხე → ცხე (რცხენია → ცხენია). აქვე შევნიშნავთ, რომ დაჩნდება ამ თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, ნეიტრალური პოზიციებიც, სადაც შესაძლებელია ერთსა და იმავე დიალექტში ორივე ზემოხსენებული ფონეტიკური პროცესი დავადასტუროთ ერთმანეთის პარალელურად; მაგალითად, ერთი მხრივ, დ → ნდ (ყბედი → ყმედი → ყმენდი), ხოლო, მეორე მხრივ, ნდ → დ (მინდორი → მიდორი, სიმიანი → სიმიდი, ამინდი → ამიდი). ორივე შემთხვევაში გამვლენელია მ სონანტი (მ-დ → მ-ნდ: „ასიმილაკია“ ნაზალიზაციის მიხედვით, მ-ნდ → მ-ნდ: დისიმილატიური დაკარგვა იმავე ნიშნის კვალობაზე).

3.42. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის დ ი ა - ლ ე ქ ე ტ ე ბ შ ი . განვიხილოთ თანხმოვანთა განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი.

ძირითადად ვითარდება სონანტები (ლ,მ,ნ,რ). ამათ რიგში დგება სპირანტი ე-ც. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევებში განვითარებულთა: ბაგისმიერი ბ, ფ,პ ხშულები (ხშირად ერთმანეთს შეენაცვლებიან: ჰორი → ბჰორი // პჰორი, სყენის → ბსყენის // ფსყენის), კბილისმიერი დ,ტ ხშულები (უპირატესად ნ სონანტთან

ბოლოკიდურა პოზიციაში: ბრიგადა → ბრიგანდა, ჰიანური → ჰიანდური; კიტრი → კინტრი), რბილსასისმიერი კ, კ ხშულები (ქ → პაუზის ან ხმოვნის მომდევნოდ ვ-ს წინ: ვიშნა „ალუბალი“ → ჭვიშნა, ნივთი → ნიჭეთი; კ → ყურ მკვეთრი აფრიკატების მომდევნოდ: წნელი → წწნელი, კნება → ჭკნება), წინანუნისმიერი ს სპირანტი (ყვერი → სყვერი, თურმე → სთურმე // სთურე)...

შენიშვნა: აქ არ ვითვალისწინებთ იმ შემთხვევებს, როცა თანხმრვანთა გაჩენას ექსპარესიულუბის დანიშნულება აქვს: ნგრევა → ნდგრევა, გრიალი → დგრიალი, ჰრიალებს → ჭყრიალებს, შრიალებს → შხრიალებს, შუის → შხუის, ყრიალებს → ყღრიალებს, ეივის → ეღევის, დუდუნებს → დუდღუნებს // დღუდღუნებს და მისთ. მიუხედავად ამგვარ ფორმათა სიმრავლისა, წარმოების წესი ძირითადად ერთია: ხშულებთან, აფრიკატებთან და სპირანტებთან დაჩნდება იმ რიგის თანხმრვნები, რომლებიც წარმოქმნიან ე.წ. პარმონიულ კომპლექსებს (ჭყ, დღ, ყღ, შხ...). სპორადულად, რა თქმა უნდა, შეინიშნება თანხმრვანთა განვითარების სხვაგვარი შემთხვევებიც: შუის → ფშუის (მდრ.: შხუის).

დავასახელებთ თანხმრვანთა განვითარების რამდენიმე ტიპურ ნიმუშს.

ვითარდება დ: ეკალი → ლეკალი (ლეჩხუმური); ზღარბი → ზღარბლი, დურდო → დურდლო (ჯავახური), მჩატე → მჩალტე (იმერული), ამოისუნთქა → ამეისუნთქლა (აჭარული), დაჭობანა → დაჭლობანა (ქართლური). იდენტური ფორმები შესაძლოა დაჩნდეს რამდენიმე დიალექტში; მაგალითად, მჩალტე გვხვდება იმერულსა და ლეჩხუმურში...

ვითარდება მ: ბაღლი → მბაღლი, უფრო → უმფრო (იმერული), ვეპრობით → ვემპრობი (გურული), დაღუბვა → დაღუმბვა (აჭარული); გადაყლაპა → გადაყლამპა (ინგილოური), დევი → მდევი (ქართლური, კახური), დირე → მდირე (რაჭული), იდარებს → იმდარებს (იმერული), თასი → მთასი (ჯავახური), დაათვალიერა → დაამთვალიერა (იმერული), თავლა → მთავლა (რაჭული); ტიტცელი → მტიტცელი (ჯავახური), დაატყვევა → დაამტყვევა (იმერული); ძვალი → მძვალი (კახური), ძვირი → მძვირი, ცა → მცა (ქართლური, კახური), იცხოვრებს → იმცხოვრებს (კახური, აჭარული), აწვალებს → ამწვალებს (კახური), სიწყანარე → სიმწყანარე (აჭარული), წელი → მწელი (ჯავახური); წვერი → მწვერი (ქართლური, კახური), იჭავრა → იმჭავრა (გურული, იმერული, რაჭული); იგლოვა → იმგლოვა (ქართლური, კახური), კვეთი → მკვეთი (გურული), კვარი → მკვარი (ქართლური, კახური, ჯავახური); შესრულდა → მესრულდა (ინგილოური), შვილი → მშვილი (ჯავახური)... სხვადასხვა დიალექტში

იდენტური ფორმები ამ შემთხვევაშიც მრავლადაა.

ვითარდება ნ: პამიდორი → პამინდორი, ხმიადი → ხმიანდი, ჭადარი → ჭანდარი (ქართლური), მიდამო → მინდამო, მედალი → მენდალი (ჟავახური), ყმედი → ყმენდი (იმერული), შეახვედრა → შიახვენდრა (აჭარული), ჩითი → ჩინთი (ლუჩხუმური), ათვალეიერებს → ანთვალეიერებს (აჭარული), კიტრი → კინტრი (იმერული, გურული); უძრახად → უნძრახათ (ქართლური), განაგრძო → განაგრძნო (კახური), გამოიღვიძა → გამეიღვიძა (გურული), მილიცია → მილინცია, ბეცი → ბენცი (ლუჩხუმური), სიცრუე → სინცრუე (იმერული, გურული), ვიწრა → (ე)ინწრა (იმერული), დაწვრილებით → დანწვრილებით (აჭარული); ხალიჩა → ხალინჩა, მარჩვი → მანჩვი (იმერული), ტუჩი → ტუნჩი (გურული), ტყეჩი → ტყენჩი (აჭარული), დაეჭვა → დაეუნჭვა, იგლოვა → ინგლოვა (ქართლური), აგური → ანგური (ლუჩხუმური)... იდენტური ფორმები აქაც დანდება.

ვითარდება რ: ვარაუდი → ვარაურდი (ჟავახური), ადგილი → არდგილი (ლუჩხუმური, გურული), ხმელეთი → ხმელერთი (ქართლური), ფოთალი → ფორთალი, სათაკილო → სართაკილო (იმერული), ლატაკი → ლარტაკი (ლუჩხუმური); ძღვენი → რძღვენი, ღვიძლი → ღვირძლი (იმერული, ლუჩხუმური, გურული), ცა → რცა (ლუჩხუმური), უცხო → ურცხო (იმერული, გურული), წყვილი → რწყვილი (აჭარული), ეხვეწება → ეხვეწრება, აწვალებს → არწვალებს (იმერული, ლუჩხუმური, გურული), დაეკუნა → დაეკურნა (ქართლური), ღვაწლი → ღვარწლი (რაჭული); თუჯი → თურჯი (ლუჩხუმური), ჩაბლურჯილი → ჩაბლურჯვილი (აჭარული), სახინავე → სარჩინავე (გურული, აჭარული); მაგალითად → მარგალითათ (იმერული, ლუჩხუმური), ფაჩიზი → ფარჩიზი (იმერული), ჩეჟა → ჩერჩა (ლუჩხუმური), თაკილი → თარკილი (იმერული); ფესვი → ფერსვი (ქართლური), გესლი → გერსლი (ლუჩხუმური), ლუსკუმი → ლურსკუმი (გურული); მაგალო → მარგალო, მაშინა „მანჭანა“ → მარშინაი (ქართლური), გეში → გერში, ჭეშა → ჭეირშა (იმერული); ხახა → ხარხა (ლუჩხუმური), იხვი → ირხვი (იმერული); ჭიკაყლა → ჭიარყლა (ჟავახური), მაყვალი → მარყვალი (აჭარული)... საერთო ფორმები რ-ს განვითარების შემთხვევაშიც ხშირია.

შენიშვნა: ზოგჯერ დანდება პარალელური ფორმები: ა) ერთსა და იმავე დიალექტში (ქართლური: იგლოვა → იმგლოვა // ინგლოვა, გურული: არწვალებს // ანწვალებს), ბ) სხვადასხვა დიალექტში (ქართლური, კახური: ცა → მცა // ლუჩხუმური: ცა → რცა). კანონზომიერება ამ შემთხვევაშიც საცნაურია. მაგალითად, დასაშვებია მცა/ნცა/რცა, მაგრამ: ურცხო (აქ მ-სა და ნ-ს განვითარება არ შეინიშნება). ასევე:

იმგლოვა // ინგლოვა, მაგრამ გამოირიცხება რ-ს განვითარება. ამის საპირისპიროდ მხოლოდ რ-ს ჩართვით დაჩნდება მარჯალო, გერში, ფერსვი... ასე რომ, პარალელური ვარიანტების შესაძლებლობაც კონკრეტული ფორმის ფონეტიკური სტრუქტურით არის შეპირობებული.

ვითარდება ვ: ხმოვნის წინ → ორი → ვორი, ხმოვნებს შორის → ბლუი → ბლუვი, ყრუი → ყრუვი, რუი → რუვი, ძუი → ძუვი, საშინაო → საშინავო, პოეტი → პოვეტი (ქართლური, იმერული, ლეჩხუმური...); გაკაფეს → გაკაფვეს (გურული); ბელტი → ბელტვი, ტიტველი → ტიტველი (ყავახური); ბოძი → ბოძვი, მხეცი → მხეცი (იმერული); ჩაალაგეს → ჩაალაგვეს (ყავახური), აჩუკა → აჩუკვა (აჭარული), თოკი → თოკვი (იმერული); ფაშვი → ფაფშვი (ყავახური), რაში → რაშვი, მაშინ → მაშვინ (იმერული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული); ღებავს → ღებავს/ღებავს, ხეხავს → ხეხავს (ქართლური), შხეფი → შხეფვი, ცოცხი → ცოცხვი (იმერული), რუხი → რუხვი (ლეჩხუმური)... ვ ხშირად დაჩნდება სონანტებთან: მოიცილეს → მოიცილვეს, სადილობა → სადილვობა (იმერული), მოუცილებელი → მოუცილვებელი (აჭარული), თხუნელა → თხუნველა, მოშორება → მოშორვება (აჭარული)... დიალექტების ერთ ნაწილში (ძირითადად - დასავლურ დიალექტებში: რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში) თავიიდურა პოზიციაში ბაუნის მომდევნოდ ო ხმოვნისათვის დამახასიათებელია ლაბიალიზებული შემართვა, რაც, ჩვეულებრივ, ვ/ჴ -ს განვითარებით წარმოიჩნდება: ორი → ვორი, ორმო → ვორმო, ომი → ვომი, ობოლი → ვობოლი, ოჯახი → ვოჯახი, ოზურგეთი → ვოზურგეთი... იშვიათად შეინიშნება უ-ს წინაც: უკაცრაგად → ვუკაცრაგად (რაჭული)... გადაწყვება წარმოებულ ფორმებშიც: ვორი → მვეორე (ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ხმოვნებს შორის ამის გარეშეც დაჩნდება ვ-ს განვითარების ტენდენცია).

ვითარდება ბაგისმიერი ხშულები:

ბ: ჭორი → ბჭორი (/ / ბჭორი), ჭა → ბჭა (/ / ბჭა). დადასტურებულია ქართლურში, იმერულში...

პ: ჭორი → ბჭორი, ჭა → ბჭა (ქართლური, იმერული), ტყვე → ბტყვე (იმერული).

ფ: შუკა → ფშუკა, შლე → ფშლევი, სტვენს → შტვენს → ფშტვენს (გურული), რცხილა → ცხილა (რ-ს დაკარგვის გამო) → ფცხილა (ქართლური). დადასტურებულია აგრეთვე: ფრცხილა, რომელიც კონტამინირებული ფორმაა: ფცხილა + რცხილა. ასე წარმოქმნილი კომპლექსები სხვა პოზიციაშიც გადადის: ფშტვენს → ფფშტვენს... თინათინი → თინაფთინი (რაჭული დიალექტის გლოლური კილოკავი).

როგორც ვხედავთ, ბ (მძღერო) და პ (ყრუ მკვეთრი) რამდენიმე შემთხვევაში ერთმანეთის მონაცვლელ გვევლინება და ორივე ვითარდება პაუზის მომდევნოდ ყრუ მკვეთრ ხშულისა ან აფრიკატის წინ. ფ (ყრუ ფშვინვიერი) დაჩნდება როგორც ყრუ ფშვინვიერი ხშულის (თ) და აფრიკატის (ც), ასევე ყრუ სპირანტის (შ) წინ.

დასავლურ დიალექტებში სისტემატური ხასიათი აქვს ბ ხშულის გაჩენას მრ კომპლექსში, აღმოსავლურ დიალექტებში იგივე ხშული თავს იჩენს მლ კომპლექსში (შეინიშნება დასავლურ დიალექტებშიც): გვიძრა → გვიძბრა, ხუმრობს → ხუმბრობს, იმრავლა → იმბრავლა... კომლი → კომბლო... ეს მოვლენა საკუთრივ პოზიციით რომ არის შეპირობებული, ამას სათანადო მაგალითები გვიდასტურებს: მრავალი // ბრავალი, მაგრამ: იმბრავლებს, ამბრავლებს; სტუმარი, მაგრამ: სტუმბრები... ამდენად, შესაბამისი პირობაა საჭირო: მრ კომპლექსი ხმოვნებს შორის (ინტერვოკალურ) პოზიციაში.

შენიშვნა: საკუთრივ თანხმოვანთა გაჩენის შემთხვევებში არ უნდა აირიოს დომფხალი, მომფხრე და მისთანა ფორმებში დადასტურებული მფხ ტიპის კომპლექსები. აქ აშკარად ორი ფონეტიკური ვარიანტის კონტრამინაციასთან გვაქვს საქმე (ი. ქავთარაძე): დომხალი → დოფხალი (რეგრესული ასიმილაციით), ანალოგურად: მხარი → ფხარი, დამხობა → დაფხობა. შემდეგ კი: დომხალი + დოფხალი → დომფხალი, მომხრე + მოფხრე → მომფხრე, დამხობა + დაფხობა → დამფხობა.

ხმოვნის წინა პოზიციაში ნ სონანტის მომდევნოდ ხშირად ვითარდება დ და ტ კბილისმიერი ხშულები. არსებითად დაჩნდება ამ ხშულთა ნაზალიზებული შემართვა: ქალამანი → ქალამანი, (შდრ.: ქალამნები → ქალამდები პროგრესული დისიმილაციით), ჰენებოდა → ჰენდებოდა (ქართლური), ქიანური → ქიანდური (რაჭული), ფალავანი → ფალავანი (ლუჩხუმური), აგრეთვე: კრანი „ონკანი“ → კრანტი (ქართლური)...

იგივე კომპლექსი წარმოიქმნება დ და ტ ხშულების წინ ნ სონანტის განვითარებისას (იხ. აქვე, ზემოთ): ხიადი → ხიანი, კიტრი → კინტრი და მისთ. ამავე ტენდენციით უნდა აიხსნას უ-ნდ-ა ფორმის დამკვიდრება აწმყოში (აწმყო: უ-ნ-ა, ნამყო უსრული: უ-ნ-დ-ა → აწმყო: უ-ნდ-ა, ნამყო უსრული: უ-ნდ-ოდ-ა). ასეთივე ვითარებაა ამ შემთხვევაშიც: წმედ-ს → წმენდ-ს, კმედ-ს → კმენდ-ს... აგრეთვე: ჰულეტ-ს → ჰულენტ-ს, აქედან: ჰულინტ-ა → ჰულინტ-ი (მეტათეზისით: ჰუინტლ-ი)...

რბილასისმიერი ყრუ ფშვინვიერი ქ, ჩვეულებრივ, ჩნდება ვ სპირანტის წინ (პაუზის ან ხმოვნის მომდევნოდ): ვიშნა „ალუბალი“ → ჭიშნა, ნიეთი → ნიჭეთი, ბავშვი → ბოვში → ბოჭვი // ბოჭში, ავტო → აჭტო // აჭტო (იმერული,

ლექსემური...). ეს ფაქტი ისტორიულადაც არის დადასტურებული: ვეთვემე → ექვეთი-
მე. აიხსნება ეს ვ-ს გუტურალიზაციის ტენდენციით (ვ. თაფურია). ამჟამად ეს
პროცესი არაპროდუქტიულია.

რბილსასისმიერი ყრუ მკვეთრი კ ხშული დაჩნდება ყრუ მკვეთრი წ და ჰ
აფრიკატების მომდევნოდ და წარმოქმნის წკ, ჰკ კომპლექსებს (წნელი → წკნელი,
ჰნება → ჰკნება). ამჟამად არც ეს პროცესი შეიძლება ჩაითვალოს პროდუქტიულად,
თუმცა პარალელური ფორმები (წნელი // წკნელი) დღესაც გვხვდება დიალექტებში.

ს სპირანტის განვითარებით, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება სტ, სთ, სწ, სც, სკ...
კომპლექსები (ზოგ შემთხვევაში ს-ს დართვა ხდება ექსპრესიულობის მიზნით):
ატირდა → ასტირდა (იმერული), თურმე/თურე → სთურმე/სთურე, აგრეთვე:
სტუმრე/სტურე (სავარაუდოა სთ → სტ პროგრესული დისიმილაციით). დადასტურ-
ებულაა ლექსემურში. შემდეგ: აღთქმა → აღსთქმა (ჭავჭავური), ეწერა → ესწერა
(იმერული), გენაცვლე → გენასცვლე (ჭავჭავური), კვერი → სკვერი (ქართლური,
რატული დიალექტის რეინისთაური კილოკავი)...

ზოგ შემთხვევაში ს-ს განვითარებას საფუძვლად მორფოლოგიური ანალოგია
უნდა ჰქონდეს: ეწერა → ესწერა, აღთქმა → აღსთქმა და მისთ. (მდრ.: მისწერა, სთქვა).

ზოგჯერ კი მორფოლოგიური ელემენტები ტოვებს ფონეტიკური დანართის
შთაბეჭდილებას: არამსფერი → არასფერი/არასპერი.

რამდენიმე მაგალითით შემოიფარგლება სხვა თანხმოვნის განვითარების შემ-
თხვევები (ჩვეულებრივ, განვითარება ხდება ფუძისეული თანხმოვნის გავლენით და
დაჩნდება იგივე თანხმოვანი, რაც გარეგნულად რედუქციაციურებული ფორმის შთა-
ბეჭდილებას ტოვებს). არგანი → გარგანი უკუნეთი → კუკუნეთი, ოწინარი →
წოწინარი (აჭარული, გურული).

უმრავლეს შემთხვევაში თანხმოვანი ვითარდება ამა თუ იმ ფორმაში პოვნიერი
თანხმოვნის ან თანხმოვანთკომპლექსის თავკიდურა ან ბოლოკიდურა პოზიციაში.
საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუში შეიძლება დავასახელოთ.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ვ ი თ ა რ დ ე ბ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ს წ ი ნ : გ რ → ნ გ რ (ე გ რ ე
→ ე ნ გ რ ე), ძ ლ → რ ძ ლ (ღვიძლი → ღვიძლი), ძ ვ → მ ძ ვ (ძვალი → მძვალი, ძველი →
მძველი), ფ რ → მ ფ რ (უფრო → უმფრო), წ ვ → მ წ ვ / ნ წ ვ (აწვალებს → ამწვალებს / ან-
წვალებს)...

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ვ ი თ ა რ დ ე ბ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ს მ ო მ დ ე ვ ნ ო დ : ც ხ → ც ხ ე
(კოცხი → კოცხვი), მ ხ → მ ხ ე (მხეფი → მხეფვი), მ ზ → მ ზ ე (მზარეული → მზვარეული)...

ასეთივე მდგომარეობაა ცალკეულ თანხმოვნებთან ბგერის განვითარების დრო-
საც: დ → ნ დ (ხმაიდი → ხმიანიდი), ტ → რ ტ (ლატაკი → ლარტაკი), ც → მ ც (ცა → მცა), ჰ

→ ბჰ/პჰ (პორი → ბჰორი/პჰორი)... ნ → ნდ (ჰიანური → ჰიანდური), ძ → ძვ (ზოძი → ზოძვი)...

სამ - და მეტშემადგენლიანი თანხმოვანთკომპლექსები შესაძლოა გამარტივდეს შუა თანხმოვნის ჩავარდნით (გრძ → გძ: სადღეგრძელო → სადღეგძელო), ხოლო შემდეგ მოხდეს სხვა თანხმოვნის განვითარება კომპლექსის წინ (სადღეგძელო → სადღენგძელო/სადღინგძელო).

დაჩნდება ძირითადად სამი შემთხვევა, როცა განვითარებულმა ბგერამ შესაძლოა გათიშოს ამა თუ იმ ფორმაში არსებული თანხმოვანთკომპლექსი (რისი ნიმუშები ზემოთაც იყო დასახელებული).

ა) წარმოიქმნება მყარი კომპლექსები: წნ → წენ (წნელი → წენელი), კნ → კენ (კნება → კენება). ეს პროცესი უფრო ისტორიულად იყო მოქმედი, ვინემ ახლა.

ბ) მრ და მლ კომპლექსები ითიშება ბაგისმიერი მკლერი ხშულთ: მრ → მბრ (გვიმრა → გვიმბრა, გემრიელი → გემბრიელი, სტუმრები → სტუმბრები), მლ → მბლ (კომლი → კომბლი). შდრ.: გუბე → გუმბე → გუმბრე (ჭაბახური).

გ) საქმე გვაჭეს კონტამინირებულ კომპლექსებთან: მხ + ფხ → მფხ (მხარი + ფხარი → მფხარი), მს + ფს → მფს (გაფსება → გაფსება, შემდეგ კი: გაფსება + გაფსება → გამფსება)... ამ შემთხვევაში ხდება ერთმანეთის მიმართ ფონეტიკური ვარიანტების (მხარი → ფხარი) შერწყმა ერთ კომპლექსად.

შენიშვნა: კონტამინირებული კომპლექსი შესაძლოა იყოს მორფოლოგიური (და არა ფონეტიკური) წარმოშობის: ერთი მხრივ, *ის-ოდენ → ისდენ → *ისდე → ისთე, მეორე მხრივ, ის-რე, შემდეგ კი: ისთე + ისრე → ისთრე // ისტრე (სთ → სტ პროგრესული დისიმილაციით). დადასტურებულია იმერულში.

გვაჭეს შემთხვევები, როცა ბგერის განვითარების საფუძველზე თანხმოვანთკომპლექსის გათიშვის შთაბეჭდილება რჩება: დაა-ნგვრ-ია (შდრ.: დაა-ნგრ-ია). დადასტურებულია მესხურში. სინამდვილეში აქ სხვაგვარი ვითარებაა: და-ა-ნგვრე-ს → და-ა-ნგრი-ა → და-ა-ნგვი-ა; ანუ: ხდება ვ-ს მეტათეზისი (და არა გაჩენა), ხოლო მეტათეზისის საფუძველზე თანხმოვანთკომპლექსის გათიშვა ქართულში (როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე დიალექტებში) ჩვეულებრივია: ჩაგრაეს → ჩაგრვა → ჩაგვრა და მისთ.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ბჰენა /ბრჰენა ტიპის ფორმები (შდრ.: ბძანება //ბრძანება)...

თანხმოვნის გაჩენას შესაძლოა განაპირობებდეს ორი ფაქტორი: სუპერაცია და

ანალოგია.

პირველის ნიმუშებია: კვეთი → მკვეთი, უცხო → ურცხო, ხმიადი → ხმიანდი და სხვა მრავალი.

ანალოგიის საფუძველზე ზოგჯერ ისეთი კომპლექსები წარმოიშობა, რომლებიც სხვა შემთხვევაში მარტივდება: ფ → მფ (უფროსი → უმფროსი), მიიჩნევა მცირე → უმცროსი წარმოების ანალოგიად. დაჩნდება უფრო → უმფრო ფორმაც (შდრ.: უმცროსი → უცროსი მ-ს ჩაყარდნით, რაც ასევე არის დადასტურებული ქართული ენის დიალექტებში). ორივე ფორმისთვის არის ნიშანდობლივი მ → ნ გადაბგერება (უმფროსი → უმფროსი, უმცროსი → უნცროსი: პირველ შემთხვევაში ლოკალური რიგის მიხედვით დისიმილაცია მოქმედებს, მეორე შემთხვევაში - ასიმილაცია). ანალოგიად მიიჩნევა აგრეთვე ლ სპირანტის გაჩენა: დამართი → დაღმართი (შდრ.: აღმართი); და ასე: *წამართი → წაღმართი, *უკუმართი → უკუღმართი...

ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ანალოგიით თანხმოვანთა განვითარების რამდენიმე შემთხვევა ქართული ენის დიალექტებში.

ვითარდება მ: * რახელა → რამხელა, რამხელვანი (იმერული, გურული), შდრ.: ამხელა, იმხელა; რაფერი → რამფერი, შდრ.: ამფერი, იმფერი; რანაირი → რამნაირი, შდრ.: ამნაირი, იმნაირი (დადასტურებულია ჯავახურში). შემდეგ: დანაშაული → დამნაშაული (იმერული), შდრ.: დამნაშავე. მ-არ, მ-იარ, მ-ურ კონფიქსებით ნაწარმოები ფორმების (მ-წუხ-არ-ი, მ-ში-ერ-ი, მ-დგმ-ურ-ი) ანალოგიით ჩანს განვითარებული მ შემდეგ ფორმებში: ცხვარი → მცხვარი, საზღვარი → სამზღვარი, სამოვარი → სამმოვარი (ქართლური, კახური), წყნარი → მწყნარი, ნაყოფიერი → ნამყოფიერი, გაანადგურებს → გაანამდგურებს (იმერული).

დაჩნდება ვ: საცოდავი → საცოღვაი (შდრ.: ს-ცოდ-ავ-ს → ცოდ-ვ-ა) მომილოცა → მომილოცვა (შდრ.: ლოც-ავ-ს → ლოც-ვ-ა), გავესინჯე → გავესინჯვე (შდრ.: სინჯ-ავ-ს → სინჯ-ვ-ა). დადასტურებულია ქართლურში, მესხურში, იმერულში.

ზოგჯერ ჰირს კონტამინირებული და ანალოგიის საფუძველზე წარმოქმნილი ფორმების გარჩევა: მოშორებული → მოშორებული (შდრ.: ა-შორ-ებ-ს და ბ-შორ-ავ-ს), აგორებული → აგორებული (შდრ.: ა-გორ-ებ-ს და გორ-ავ-ს).

ანალოგიის საფუძველზე გაჩენილი თანხმოვანი შესაძლოა იკვალოს კომპლექსის ფონეტიკური შედგენილობის შესაბამისად: იგლოვა → იმგლოვა (შდრ.: მ-გლოვ-იარ-ე), შემდეგ კი: მგ → ნგ (იმგლოვა → ინგლოვა). ამ შემთხვევაში, ჩანს, ორი ფონეტიკური ფაქტორი მოქმედებს: ლ-სთან დისტანციური ასიმილაცია ლოკალური რიგის მიხედვით და მიდრეკილება ნგ ნაზალიზებული კომპლექსისაკენ (ნგ კომპლექსი უახლოვდება ე.წ. უკანაენისმიერ ნ-ს წარმოთქმას).

შენიშვნა: თანხმომავანის განვითარების შთაბეჭდილებას შეიძლება ტოვებდეს მორა-ფოლოგური ვარიანტები: ჰეჟ-ს → ჰეჟა, მაგრამ: ჰეჟ-ავ-ს → ჰეჟ-ვ-ა (---ვ არის თემის ნიშნის რედუცირებული ვარიანტი და არა ფონეტიკური ჩანართი).

ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება ასეთი კანონზომიერება: ხმოვნებისათვის უპირატესად დამახასიათებელია ფშვინვიერი, იოტიზებული, ლაბიალური და ძლიერი (მკვეთრი) შემართვა (იშვიათად — დამართვა): აგრე → ჰაგრ/ააგრ, იერთ → მერთი, სკემს → სკემემს, ორი → ფორი, ია → ფიაა, რაი → რაჟი... ამათგან ფშვინვიერი, იოტიზებული და ლაბიალური (სამივე — არსებითად სპირანტიზებული) შემართვა იწვევს შესაბამისად ჰ, ა და ვ/ჴ ბგერების განვითარებას. სისტემურ ეს მოვლენა დადასტურებულია ინგილოურში, თუშურში, მესხურში, მოხურში, შეინიშნება სხვა დიალექტებშიც. ერთი და იგივე ხმოვანი შესაძლოა სხვადასხვაგვარი შემართვით იყოს წარმოდგენილი ერთსა და იმავე დიალექტებშიც კი: აგრე → თუშური: ჰაგრ/ააგრ, ეკალი → მოხურური: ჰეკალი/მეკალი და მისთ. ფშვინვიერი და იოტიზებული შემართვა უპირატესად ახასიათებს წინა და შუა რიგის ხმოვნებს (ე,ა), ლაბიალური შემართვა — უკანა რიგის ლაბიალურ ხმოვნებს (ო,უ). ა-მა შეიძლება განიცადოს ასიმილაცია ფუძისეული თანხმომავანის გავლენით: ეკალი → მეკალი → ლეკალი (ლუჩხუმური). შევნიშნავთ, რომ ამგვარი რამ გვხვდება ოდენ ლ სონანტის პოზიციებში. ფშვინვიერი დამართვის ნიმუშია: დაჟწვი → დოჟწე (ინგილოური). შეინიშნება ხმოვანთა ნახალიზებული დამართვის შემთხვევებიც: ისევე → ისეენ (აჭარული), მეთჟი → მეთჟინ (გურული). გვაქვს ლაბიალიზებული დამართვა: კაკო → კაკოჴ

თანხმოვნები კი იჩენენ მიდრეკილებას სონანტიზებული შემართვისა და ლაბიალური სპირანტიზებული დამართვისა: ბალი → მბალი, უფრა → უმფრა, გადაყლაპა → გადაყლაპაჴ, ხმიადი → ხმიანდი, ჩითი → ჩინთი, კიტრი → კინტრი, ეგრე → ენგრე... გაკაფეს → გაკაფესჴ, ბელტი → ბელტე, ჩაღაგეს → ჩაღაგესჴ, აჩუჴა → აჩუჴეჴა, თოკი → თოკეი...

განვითარებულ (დანართ ან ჩანართ) თანხმომავანთა განაწილება, ჩვეულებრივ, შეპირობებულია ფონეტიკური გარემოცვით. გასათვალისწინებელია საკუთრივ ამა თუ იმ დიალექტის თავისებურებაც.

მაგალითად, მესხურის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ თანხმომავანის წინა პოზიციაში მ-ს ნაცვლად, როგორც წესი, ნ გვექნება: დევი → ნდევი, ცა → ნცა (მდრ. ქართლური, კახური: მდევი, მცა).

რაც შეეხება ფონეტიკურ გარემოცვას, იგულისხმება ის შემთხვევები, როცა ამა

თუ იმ ფორმის ბგერითი შედგენილობა განსაზღვრავს საკუთრივ ამ და არა რომელიმე სხვა თანხმობის განვითარებას. მაგალითად, ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ კბილისმიერი და ნუნისმიერი თანხმობების წინ შეიძლება განვითარდეს როგორც მ, ასევე ნ (დირე → მდირე, თასი → მთასი, დაატყვევა → დაამტყვევა... ჰადარი → ჰანდარი, ჩითი → ჩინთი, კიტრი → კინტრი...). დასაშვებია მათი შენაცვლებაც (მდირე/ნდირე, ჩინთი / ჩიმთი). იმავდროულად გვაქვს შემთხვევები, როცა უპირატესობა ენიჭება ერთ-ერთ მათგანს. კერძოდ, თუ წინანუნისმიერ აფრიკატს მოსდევს ლაბიალური ვ, მაშინ მ-ს გაჩენის ალბათობა გაცილებით მეტია (ძვალე → მძვალე, აწვალე → ამწვალე, ცხვარი → მცხვარი); ან: თუ ფორმა იმთავითვე შეიცავს მ სონანტს, მაშინ მისი დისტანციურად მომდევნო კბილისმიერი და ნუნისმიერი თანხმობების წინ უფრო ხშირად ვითარდება ნ (პამიდორი → პამინდორი, ხმაილი → ხმინდი, მიდამო → მინდამო, ყმელი → ყმენდი, მილიცია → მილონცია, მაჩვი-მანჩვი...) ან რ (მუთაქა → მურელი: მურთაქა/მოხელი: მუნთაქა)... ამ შემთხვევებში არ ივარაუდება არც მ-ს განვითარება და არც ნ-მ მონაცვლეობა (შდრ.: გაანთავისუფლა, მაგრამ: გამანთავისუფლა → გამამთავისუფლა, ანუ: მ-ნ: → მ-მ ასიმილაციით იცვლება ფორმაში იმთავითვე მოკუმული ნ სონანტი). ანალოგიურად: იდარა → იმდარა/ინდარა, მაგრამ არ გვხვდება *ირდარა (ორი რ-ს თავმოყრის გამო). ამის საპირისპიროდ, ფორმაში ნ-ს პოვნეობისას უპირატესობა ენიჭება ნ-ს განვითარებას (განაგძო → განაგძნო); ნ ვითარდება მაშინაც, როცა ერთი ფორმის ფარგლებში დისტანციურ მეზობლობაში დაჩნდება კბილისმიერი, ნუნისმიერი და რბილსასისმიერი თანხმობების ურთიერთმიმართება (ნ, როგორც წესი, ვითარდება მომდევნო თანხმობანთან): კ-ტ (კიტრი → კინტრი), კ-ქ (დაკუპა → დაკუნჰა), ტ-ჩ (ტუჩი → ტუნჩი), ტ-ჩ (ტყჩი → ტყენჩი), ჰ-დ (ჰადარი → ჰანდარი)... არ ივარაუდება ამ პოზიციაში მ-ს განვითარება. შემდეგ: გ-ს წინ უპირატესად ვითარდება ნ (აგრე → ანგრე, აგური → ანგური), დ-ს წინაც, როგორც ითქვა, ხშირია ნ-ს განვითარების შემთხვევები (დევი → ნდევი, ჰადარი → ჰანდარი), მაგრამ დე კომპლექსის წინ მისი განვითარება არ ივარაუდება: ადგილი → არდგილი (არ შეინიშნება *ანდგილი); იმავდროულად რ-ს განვითარებას ხელს უწყობდეს ფორმაში ლ-ს პოვნეობა: დაჩნდება ქართულიათვის ბუნებრივი რ-ლ დისტანციური მიმართება.

ფონეტიკური შეპირობებულობის თვალსაზრისით ზოგადად სურათი ასეთია:

ა) ბავისმიერი თანხმობების წინ უპირატესად ვითარდება მ: ბალი → მბალი, უფრო → უმფრო, ჩაყლაპა → ჩაყლაპა...

ბ) კბილისმიერი და ნუნისმიერი თანხმობების წინ შეიძლება განვითარდეს როგორც მ (დირე → მდირე, თასი → მთასი, წელი → მწელი), ასევე ნ (ჰადარი →

ჰანდარი, კიტრი → კინტრი, ბეცი → ბენცი, ხალიჩა → ხალიჩა), თუ არ მოქმედებს ზემოხსენებული ამქადალავი წესები: ფორმაში ვ-ს პოვნიერების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მ-ს განვითარებას (დევი → მდევი, ძვალ → მძვალ, წვერი → მწვერი), მ-ს პოვნიერებისას ან კბილოსმიერი, ნუნისმიერი და რბილსასისმიერი თანხმოვნების დისტანციური ურთიერთმიმართების დროს, ჩვეულებრივ, ვითარდება ნ (ხმაიდი → ხმაინდი, დაკუჭა → დაკუნჭა, ჰადარი → ჰანდარი), მაშინ კი, როცა ფორმაში წარმოდგენილია ლ, ზემოდასახელებული თანხმოვნების წინ უპირატესად ვითარდება რ (ხმელეთი → ხმელურთი, ფოთალი → ფორთალი, ღვიძლი → ღვირძლი, წყვილი → რწყვილი).

გ) ვ, ჩვეულებრივ, ვითარდება ხმოვის წინ - ლაბიალური შემართვა (ორი → ვორი, ოჯახი → ვოჯახი), ხმოვნებს შორის (რუი → რუვი, ყრუი → ყრუვი) და თანხმოვნის მომდევნოდ - ლაბიალური დამართვა (გაკაფეს → ვაკაფეს, ბელტი → ბელტვი, ბოძი → ბოძვი, აჩუჭა → აჩუჭვა, მაშინ → მაშვინ, რუხი → რუხვი).

დ) ყრუ მკვეთარი ხშულისა ან აფრიკატის წინ შეიძლება დაჩნდეს როგორც მჟღერი, ასევე ყრუ მკვეთარი ბაგისმიერი ხშული (ჭორი → ბჭორი/პჭორი, ტყვე → ბტყვე), ყრუ ფშვინვიერის წინ, ჩვეულებრივ, ვითარდება ყრუ ფშვინვიერი ბაგისმიერი ხშული (თინათინი → თინაფთინი)...

რა თქმა უნდა, თანხმოვანთა ფონეტიკურად შეპირობებული განვითარების კანონზომიერებანი ამით არ ამოიწურება, ზოგს ქვემოთაც შევხებით, ზოგიც ჭერ კიდევ წარმოსაჩენია, მაგრამ ზემოთ ჩატარებული ანალიზი იმას კი უთუოდ გვიჩვენებს, რომ განსაზღვრული წესების ძიება ამ თვალსაზრისით აუცილებელია და შედეგის მქონეც.

განვითარებული თანხმოვანი შესაძლოა ფონეტიკურად იცვალოს სხვა თანხმოვნებთან მიმართების შესაბამისად: საზღვარი → სამზღვარი, მაგრამ: მესანზღვრე, ასევე: გააცხადა → გაამცხადა, მაგრამ: გამრანცხადა.

თანხმოვანთა განვითარების შედეგად შესაძლოა წარმოიქმნას შემდეგი სახის კომპლექსები:

ა) მყარი კომპლექსები: წ → წყ (წნელი → წყნელი) ჰ- ჰვ (ჰვე → ხვესურელი, ფშა-ურთი, მთიულური: ჰვდე, ჰრიალი → ლეჩხუმური: ჰკრიალი, კნავი → აჰარული: ჰკნავი, (მ)ჰვარტლი → ინგილოური: ჰკორტლი).

ბ) სონანტიზებული კომპლექსები; სონანტური შემართვით: ბ → მბ (ბალი → მბალი), პ → მპ (გადაყლაპა → გადაყლაპმა), ფ → მფ (უფრო → უმფრო), დ → მდ (დევი → მდევი), ღ → მღ (ხმაიდი → ხმაინდი), ტ → მტ (მჩატე → მჩალტე), თ → მთ (ხმელეთი → ხმელურთი)... ცხ → მჩხ (უცხო → უჩხო), ჩხ → მჩჩხ (საჩხინავი → სარჩხინავი)...

ძღე → რძღე (ძღვენი → რძღვენი) წყე → რწყე (წყვილი → რწყვილი)... სონანტური შემართვითა და დამართვით: მრ → მბრ (გემრიელი → გემბრიელი), მლ → მბლ (კომლი → კომბლი) - განვითარებულა ხშული... ძლ → რძლ (ღვიძლი → ღვირძლი), ცრ → ნცრ (სიცრუე → სინცრუე)... რბ → რბლ (ზღარბი → ზღარბლი), რდ → რდლ (დურდო → დურდლო) - ვითარდება სონანტი (როგორც თავკიდურა, ასევე ბოლოკიდურა პოზიციაში).

შენიშვნა 1: სონანტიზებული კომპლექსი შეიძლება წარმოიქმნას როგორც ხშული (სონანტთან), ასევე სონანტის (ხშულთან) განვითარების შედეგად: ნ → ნდ (ჭიანური → ჭიანდური), ერთი მხრივ, დ → ნდ (ჭიადარი → ჭიანდარი), მეორე მხრივ. შედეგი ერთია, წარმოქმნის საფუძველი — სხვადასხვა.

შენიშვნა 2: დაჩნდება საპირისპირო შემთხვევებიც — ერთი და იმავე თანხმევის განვითარებამ შესაძლოა სხვადასხვა შედეგი მოგვცეს პოზიციის შესაბამისად: კ → მკ (გადაყლაპა → გადაყლაპა) - სონანტური შემართვით; შდრ.: პე → მპე (ყლაპვა → ყლაპვა) - სონანტური შემართვითა და სპირანტული დამართვით.

გ) ლაბიალიზებული კომპლექსები (ჩვეულებრივ, დაჩნდება ლაბიალიზებული დამართვა): ფ → ფვ (გაკაფეს → გაკაფვეს), ტ → ტვ (ტიტველი → ტვიტველი), ძ → ძვ (ბოძი → ბოძვი), ც → ცვ (მხეცი → მხეცვი), გ → გვ (ჯაგი → ჯავვი), ქ → ქვ (აჩუქა → აჩუქვა), ყ → ყვ (თოკი → თოკვი)... გარდა ამისა, ლაბიალიზებული დამართვა დაჩნდება სპირანტებთანაც (ხ → ხვ: რუხი → რუხვი, შ → შვ: მაშინ → შაშვინ) და სონანტებთანაც (ლ → ლვ: მოცილეს → მოცილვეს; ნ → ნვ: თხუნელა → თხუნველა).

შენიშვნა 1: ლაბიალიზებული კომპლექსი შეიძლება წარმოიქმნას როგორც ლაბიალური სპირანტის (ფ → ფვ: გაკაფეს → გაკაფვეს, კ → კვ: თოკი → თოკვი, ხ → ხვ: რუხი → რუხვი), ასევე ხშულის - უპირატესად რბილსასისმიერი ყრფ ფშვინვიერი ქ ხშულის (ვიშნა → ქვიშნა, ნივთი → ნიქვთი) განვითარების შედეგად; შდრ.: ქ → ქვ (აჩუქა → აჩუქვა) და ვ → ქვ (ნივთი → ნიქვთი).

შენიშვნა 2: ქ-ს განვითარებით წარმოქმნილი ლაბიალიზებული კომპლექსი შესაძლოა გამართვადეს ლაბიალური სპირანტის დაკარგვით: ნივთი → ნიქვთი → ნიქთი, ავტო → აქვტო → აქტო, ბავშვი → ბოვში → ბოქვში → ბოქში (იმერული, ლეჩხუმური).

დ) სპირანტიზებული კომპლექსები (როგორც წესი, დაჩნდება სისინა სპირანტიზებული შემართვა): ტ → სტ (ატირადა → ასტირადა), წ → სწ (ეწერა → ესწერა), კ → სკ (კვერი → სკვერი)...

სონანტიზებული და სპირანტიზებული შემართვა, არსებითად, ერთი და იმავე ფონეტიკური მოვლენის (ნაპარალოვანი შემართვის) ორი ნაირსახეობაა.

თანხმოვანი შეიძლება განვითარდეს ხმოვნებს შორის. როგორც წესი, ეს არის ლაბიალური სპირანტი ვ: ეე → ევე (რძე → * მე-რძე-ე → მერ-ძევე), ეო → ევო (მოსახლეობა → მოსახლეუობა), იო → ივო (მიდიოდა → ჭავახური: მიდივოდა), ოე → ოვე (პოეტი → პოვეტი, ფართო → სიფართო-ე → სიფართოვე), ოო → ოვო (ბოლო → სა-ბოლო-ო → საბოლოო), უი → უვი (ბუი → ბუვი)...

რაც შეეხება ლაბიალური შემართვისას ვ-ს განვითარებას (ორი → ვორი, ოჯახი → ვოჯახი), ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა.

იშვითად ვითარდება ლ, ისიც როგორც ე-ს რეფლექსი ეკალი → ევკალი → ლუკალი; იხ. ზემოთ).

დაჩნდება ხმოვნის ნაზალიზებული დამართვის შემთხვევებიც, რაც ე-ს განვითარებით ვლინდება: მეთჳი → მეთჳინ, ცოტათი → ცოტათინ (იხ. ზემოთ...9: ნაზალიზებული ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში).

ფონეტიკური შემართვა და დამართვა იწვევს 3 სპირანტის განვითარებას: ეგი → თუშური: ჰეგზ ... გაბედე → ინგილოური: გაპბედი...

ხმოვნები შეიძლება გაითიშოს იოტაციით, რაც ე-ს განვითარებით დაჩნდება: აა → ააა (წავიდაა? → მთიულურ-გუდამაყრული, ფშური: წავიდაა? ნაავადრი → ჩრდილო ქართლური: ნააავდრი, დედაა → ჩრდილო ქართლური: დედაა). შეინიშნება ხმოვანთა იოტიზებული შემართვაც (იხ. ზემოთ). რაც შეეხება იოტიზებულ დამართვას, ამის ნიმუშებია: ა) -ი → -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოვებული სახელების სახელობით ბრუნვაში: დედაი → დედაა, პაწაი → პაწაა; ბ) -ს → -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოვებული სახელების მიკვმით ბრუნვაში: დედას (უთხრა) → დედაა (უთხრა), აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში: წყაროს (წყალი) → წყაროა (წყალი); გ) ჰ-/ს- → ა- II სუბიექტური და III ობიექტური პირის ფორმებში: დაპბარამ → დააპბარამ, გაპყოლა → გააყოლა; დ) -ს → -ა ხმოვნის მომდევნოდ III სუბიექტური პირის ფორმებში: დაწეროს → დაწეროა; ანალოგიურად ამავე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში: დაწერეს → დაწეროი; ე) ი- → ა- ზმნური ხმოვანი პრეფიქსი: აილო → ეალო... ამდენად, ყველა ამ შემთხვევაში მორფოლოგიური ელემენტი (ფორმანტი) ფონეტიკური ცვლილების შედეგად იძენს იოტიზებულ დამართვის ფუნქციას. ასე რომ, აქ ე-ის განვითარება კი არ ხდება, არამედ თანხმოვანთმონაც-

ვლეობასთან გვაქვს საქმე (დაწვრილებით მორფოლოგიური ინვენტარის ფონეტიკურ ცვლილებათა შესახებ იხ. ქვემოთ).

თანხმოვანთკომპლექსი შეიძლება გაითიშოს ხმოვნით: კბ → კიბ (კბილი → აჭარული: კიბილი), კლდ → კილდ (კლდე → ხევსურული: კილდე, აჭარული: კილდე/კილტე), ჩრდ → ჩირდ (ჩრდილი → ხევსურული; მთიულური: ჩირდილი), ხბ → ხობ (ხბო → აჭარული: ხობო), ბრმ → ბირმ/ბურმ (ბრმა → ხევსურული: ბურმა, ქიზიყური: ბირმა/ბირმა) და ა.შ. თანხმოვანთგამყარად დაჩინდება აგრეთვე ჯ (ირაციონალური ხმოვანი).

განვითარებული თანხმოვნით შედგენილი კომპლექსი შეიძლება დაჩინდეს (ანუ: თანხმოვანი შესაძლებელია განვითარდეს):

ა) თავიკიდურა პოზიციაში: პაუზის მომდევნოდ (ბალი → მბალი, დევი → მდევი, ცა → მცა), ხმოვნის მომდევნოდ (იჭავრა → იმჭავრა, მაყალა → მარყალა);

ბ) შუა პოზიციაში (კომლი → კომბლი, გემრიელი → გემბრიელი);

გ) ბოლოკიდურა პოზიციაში: ხმოვნის მომდევნოდ (ხმიადი → ხმიანდი, გეში → გერში), თანხმოვნის მომდევნოდ (ჭაგი → ჭაგვი, ზღარბი → ზღარბლი).

ჩვეულებრივ, ვითარდება ერთი თანხმოვანი. იშვიათია ორი თანხმოვნის განვითარების შემთხვევები: ხეთიქი → ლეჩხუმური: ხვითქელი (შდრ.: ორთქელი, რომელთანაც ანალოგია საჯარაუღლა ამ შემთხვევაში).

თანხმოვნის გაჩენა ზოგჯერ მარცვალთგანაწილების საჭიროებით არის გამოწვეული. დადგენილია ასეთი წესი: „ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი ეკუთვნის მომდევნო ხმოვანს“, იმავედროულად: „ორ ხმოვანს შორის მოქცეული ორი თანხმოვანი იშლება დამარცვლისას: პირველი თანხმოვანი ეკუთვნის პირველ ხმოვანს, ხოლო მეორე თანხმოვანი - მომდევნო ხმოვანს“ (თ. უთურგაიძე). ანუ: ერი დამარცვლისას ასე დაიშლება: ე-რი, ხოლო ვრთი → ასე: ვრ-თი.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთ თანხმოვანს ამ მხრივ, როგორც წესი, უტოლდება მყარი თანხმოვანთკომპლექსები: ცხ (უცხო: უ-ცხო), ფრ (უფრა: უ-ფრა) და მისთ. (იხ. ზემოთ).

ამგვარ შემთხვევებში თანხმოვნის გაჩენა შესაძლებლობას იძლევა დამარცვლისას ცალად დაჩინდეს ხმოვანთან დაჩინდეს თანხმოვანიც: უცხო → ურცხო (ურცხო), იხვი → ირხვი (ირ-ხვი), ადგილი → არდგილი (არ-დგი-ლი), უფრა → უმფრა (უმ-ფრა)... ოწინარი → წოწინარი (წო-წი-ნა-რი), ორი → ეორი (ეო-რი)...

თანხმოვანი ხშირად განვითარებულია იმ პოზიციებში, სადაც სხვა შემთხვევებში იმთავითვე გვაქვს ანალოგიური კომპლექსები: ჰა → ბჰა/პჰა (შდრ.: ბჰე/პჰე), ცოცხი → ცოცხვი (შდრ.: ცაცხვი), ჰიანური → ჰიანდური (შდრ.: ფანდური)...

გვაქვს შემთხვევები, როცა თანხმოვანი ჩნდება დაკარგული სხვა თანხმოვანის პოზიციაში: ლბილი/რბილი → ბილი → მბილი, რცხილა → ცხილა → ფცხილა (//კონტამინაციათ: ფცხილა +რცხილა → ფრცხილა); ანუ: რ-ს პოზიციაში დაჩნდა მ და ფ თანხმოვნები (არ იყარაუდება რ → მ ან რ → ფ შენაცვლება). საკონტრალო საშუალებად გამოგვადება ერთსა და იმავე დიალექტში პოვნიერი პარალელური ვარიანტები: ბილი // მბილი (მდრ.: ბალი → მბალი), ცხილა // ფცხილა...

ამა თუ იმ ფორმაში თანხმოვანი, როგორც წესი, ვითარდება მკაცრად განსაზღვრულ პოზიციაში (ამ პოზიციათა დადგენის ცდა ზემოთ იყო წარმოდგენილი). ამასთანავე იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ფორმაში ერთი და იგივე განვითარებული (ჩართული) თანხმოვანი დაჩნდება სხვადასხვა პოზიციაში: ჭიში → იმერული: მჭიში // ჭიში, სათაყილო → იმერული: სართაყილო // სათარყილო (მაგრამ მხოლოდ: თაყილი → თარყილი).

სონანტთა განვითარების შემთხვევებში დაჩნდება ასეთი კანონზომიერება: თუ ხმულთა (აგრეთვე: აფრიკატთა) სამეულთაგან ან სპირანტთა წყვილულთაგან ერთ-ერთ წევრთან (თანხმოვანთან) განვითარებულია (დაართულია) სონანტი, საყარაუდოა (და ხშირად რეალურადაც ასეა), რომ თითოეული ლოკალური რიგის სხვა წევრებთანაც (თანხმოვნებთანაც) იყოს განვითარებული იგივე სონანტი. ეს ნიშნავს: თუ გვაქვს მ სონანტის განვითარების (გაჩენის) შედეგად მიღებულია მდ კომპლექსი, უნდა გვქონდეს ამავე გზით წარმოქმნილი მთ და მტ კომპლექსებიც; ან: თუ რ-ს განვითარებით მივიღეთ რე კომპლექსი, მოსალოდნელია დაჩნდეს ამავე სონანტის განვითარებით მიღებული რშ კომპლექსიც.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს.

ა) ვითარდება ლ:

თანხმოვნის მომდევნოდ:

ბლ (ზღარბლი) — ფლ (?) — პლ (?)

დლ (დურდლი) — თლ (?) — ტლ (?)

გლ (?) - ქლ (ამეისუნთქლა) — კლ (?)

ლლ (დაჭოლაბნა) — ხლ (ხლახენი)...

თანხმოვნის წინ:

ლდ (?) — ლთ (?) — ლტ (მჩალტ).

შენიშვნა: ჰყინტი // ჰყინტლი ფორმები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ლ-ს გაჩენასთან გვქონდეს საქმე. სინამდვილეში სხვაგვარი ვითარებაა: ჰყლეტ-ს — ჰყლოტა; აქედან: ჰყლინტი → ჰყინტლი (ლ-ს მეტათეზისით) → ჰყინტი (ლ-ს დაკარგვით).

ბ) ვითარდება მ:

მბ (მბალი) — მფ (უმფრო) — მპ (გადაყლაპვა)

მდ (მდევი) — მთ (მთავლა) — მტ (მტყვე)

მძ (მძეალი) — მც (მცა) — მწ (მწვეერი)

მჯ (მჯიში) — მჩ (მჩამჩნია) — მჭ (სამჭირო)

მგ (იმგლოვა) — მქ (მქერი) — მკ (მკვარი)

მზ (მზეარაკი) — მს (მამსრულდა)

მყ (?) — მშ (მშური)

მყ (სამყვარელი)...

გ) ვითარდება ნ:

ნდ (ხმიანი) — ნთ (ჩინთი) — ნტ (კინტრი)

ნძ (გამეიღვინძა) — ნც (სინცრუე) — ნწ (დანწერილობით)

ნჯ (?) — ნჩ (ხალიჩა) — ნჭ (დაკუნჭა)

ნგ (ანგური) — ნკ (ანკრევეს) — ნყ (?)

შენიშვნა: აქაც დაჩნდება ფორმები, რომლებიც გარეგნულად თანხმომავანთა განვითარების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგალითად, ანბია „აბია“ (ჯავახური). რეალურად სხვაგვარი ვითარებაა: ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-მ-ი-ა → ა-მბ-ი-ა (მეტათეზისით; დიალექტებში დადასტურებული ფორმა) → ა-ნბ-ი-ა (რეგრესული დისიმილაცია ლოკალური რიგის მიხედვით).

დ) ვითარდება რ:

რდ (ვარაუდრი) — რთ (ფორთოლი) — რტ (ლარტაკი)

რძ (რძღვენი) — რც (ურცხო) — რწ (რწყვილი)

რჯ (თურჯი) — რჩ (სარჩინავე) — რჭ (?)

რგ (?) — რქ (ფარქიზი) — რკ (ითარკილა)

რზ (?) — რს (ფერსვი)

რყ (მარყალო) — რშ (ჭვირშა)

რლ (?) — რხ (ირხვი)

რყ (ჭირყელა)...

ე) ასეთივე სისტემურობით ვითარდება ე სპირანტი:

თანხმომავანთა წინ (იშვითად):

ვე (?) — ვეშ (ფავშვი, შავშვი)

თანხმომავანთა მომდევნოდ:

ღვ (იმოდვენა) — თვ (?) — ტვ (ბელტვი)

ძვ (ბოდვი) — ცვ (მხეცვი) — წვ (?)

ჭვ (?) — ჩვ (?) — ჰვ (რაჰვა)

გვ (ვაგვი) — ჭვ (აჩუჭვა) — კვ (თოკვი)

ზვ (ბუზვი) — სვ (?)

ძვ (?) — შვ (რაშვი)

ღვ (ღვებავს — ხვ (ხვებავს)

ყვ (მოყვავს)...

ვ დაჩნდება სონანტებთანაც: ლვ (მოიცილევს, მოყოლვა...).

იშვითად სონანტებთანაც შესაძლოა განვითარდეს სხვა სონანტი: ნ → მნ (დამნაშაული), ნ → რნ (კანავო „არხი“ → კარნავო...).

იმავედროულად ერთსა და იმავე ჩქამიერ თანხმოვანთან შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა სონანტი (მაშინ, როცა ეს ფონეტიკური გარემოცვით არ იკრძალება):

ლდ (?) — მდ (მდევი) — ნდ (ხმიანდი) — რდ (ვარაუდდი)

ლტ (მჩლატე) — მტ (მტყვე) — ნტ (კინტრი) — რტ (ღარტაკი)

ლთ (?) — მთ (მთავლა) — ნთ (ჩინთი) — რთ (ფორთოლი)...

დაჩნდება შემთხვევები, როცა პარალელური ნაირსახეობებით ერთი და იგივე ფორმაა წარმოდგენილი:

მდ (მდევი) — ნდ (ნდევი)...

მძ (მძვალ) — ნძ (?) — რძ (რძვალ)

მც (მცა) — ნც (ნცა) — რც (რცა)

მწ (ამწვალა) — ნწ (ანწვალა) — რწ (არწვალა)...

სონანტთა განვითარების კანონზომიერებანი იდენტურია, მიუხედავად იმისა, განვითარება ხდება ცალკე თანხმოვნებისა თუ თანხმოვანთკომპლექსების მეზობლად; შდრ.: პ → მპ (გადაყლაშპა, გადაყლაშპვა, დამპყრობა); ფ → მფ (ყველამფერი, ზამფხული, უმფრო) და ა.შ.

რაც შეეხება ხშულებისა და სპირანტების განვითარებას, ამ შემთხვევებში სხვაგვარი კანონზომიერებანი მოქმედებენ. არსებითაა განაწილება მყლერობა-სოყრუის მიხედვით.

როგორც აღინიშნა, მაგალითად, მყლერი ბ შეიძლება განვითარდეს როგორც მყლერი, ასევე ყრუ თანხმოვნების მეზობლად: მრ → მზრ (გვიმზრა), მლ → მზლ (კომზლი)... კ → ბკ (ბკა → ბკორო); სპორადულად შეინიშნება ყრუ ფშვინვიერებთანაც: ს → ბს (სკენის → ბსკენის; ჩვეულებრივ: ფსკენის). ამისგან განსხვავებით, ყრუ თანხმოვნების განვითარება ხდება იმ თანხმოვანთა მკვეთრობისა და ფშვინვიერობის გათვალისწინებით, რომელთა მეზობლადაც დაჩნდებიან ისინი: კ → ბკ (პკორო), ტ → პტ (პტყვე); შესაბამისად: თ → ფთ (თინაფთინი)...

სპირანტი ს შეიძლება წარმოჩნდეს როგორც ყრუ ფშვინვიერის, ასევე ყრუ მკვეთრის მეზობლად: ც → ჰც (გენასკელე) და წ → ჰწ (ენწერა), ასევე: თ → ჰთ (სთურამე)

// სტ (სტერე)...

შენიშვნა: ფრიად იშვიათია მეღერი სპირანტის განვითარების შემთხვევები: დ → ზდ (ღუხი „სულა“ → მოხეური: ზღუხი), შეინიშნა მხოლოდ ნასესხებ სიტყვაში.

თანხმობანთა გაჩენის ზემოთ წარმოდგენილი კანონზომიერებანი თავს იჩენს ისტორიულადაც (შენიშნულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში):

ნდ (წმენდს) — ნთ (დაინთქების) — ნტ (თიანტრონი)

ნგ (ინგორის) — ნქ (განანქრევს) — ნკ (მწინკული)

რძ (საფურძველი) — რც (მკრცოვანი) — რწ (?)


რჟ (?) — რშ (დაემრშქულა)...

საგარაუდოა, აქაც ფონეტიკურ დიალექტიზმებთან გვექონდეს საქმე.

3.43. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა დ ა კ ა რ გ ვ ა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს დ ი ა ლ ე ქ - ტ ე ბ შ ი . ზემოთ საუბარი გვექონდა თანხმობანთა განვითარების კანონზომიერებანთა შესახებ ქართული ენის დიალექტებში. აღინიშნა ისიც, რომ თანხმობანთა გაჩენასა და დაკარგვას ხშირად ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში ვადასტურებთ.


რა თქმა უნდა თანხმობანთა დაკარგვაც (გაუჩინარებაც) წარმოსათქმელად რთული კომპლექსის დაძლევის (სუპერაციის) ერთ-ერთი საშუალება იმ თავისებურებით, რომ ამ შემთხვევაში ხდება კომპლექსის გამარტივება.

საკმაოდ ხშირად შეინიშნება ერთი და იმავე კომპლექსის სუპერაციის რამდენიმე ნაირსახეობა (მათ შორის — თანხმობანთა დაკარგვაც) ერთსა და იმავე დიალექტში:



ორივე ფონეტიკური ნაირსახეობა — ასიმილირებული (მსხ → ფსხ) და მოკვეცილი (მსხ → სხ) დამოწმებულია გურულში.

ერთმანეთის გვერდით შეიძლება დაჩნდეს ბგერის განვითარებაც და დაკარგვაც:



სამივე ფონეტიკური ნაირსახეობა შეინიშნება აქარულში.

ანალოგიურია გურულში დადასტურებული:

ლუსკუმი „წკვარამი“ → | ლურსკუმი
ლუკუმი

პირველ შემთხვევაში ვითარდება ხმოვანი (კილდე), მეორე შემთხვევაში — თანხმოვანი (ლურსკუმი).

იმავდროულად, რა თქმა უნდა, დაჩნდება შემთხვევები, როცა ფონეტიკური ნაირსახეობანი (მათ შორის — თანხმოვანთა დაკარგვაც) განიჩევა დიალექტების მიხედვით:

მანღ → | მად (იმერული)
მან (აჭარული)

გვაქვს იმ რიგის ფორმებიც, სადაც ერთდროულად არის მომხდარი თანხმოვნის გაჩენაც და დაკარგვაც: მჩატე → იმერული, ლუჩუმური: ჩალტე (დაიკარგა მ, განვითარდა ლ; //ჩატე // მჩალტე); მხეცი → იმერული: ხეცი (დაიკარგა მ, განვითარდა ე).

ზემოთ დასახელებული იყო შემთხვევა, როცა დაკარგული თანხმოვნის პოზიციაში ვითარდებოდა სხვა თანხმოვანი: რბილი → ბილი → მბილი (იმერული)...

ზემოთ დასახელებული იყო ნიმუში იმისა, როცა ერთი და იმავე თანხმოვანთკომპლექსის სუბერაცია ორი ურთიერთსაპირისპირო გზით მიიღწეოდა — ბგერის განვითარებით (კლდე → კილდე) და ბგერის ჩაგარდნით (კლდე → კლე → კტე). ამ თვალსაზრისით უფრო რთული გარდაქმნებიც დაჩნდება: მხარი → ფხარი // ხარი, ერთი მხრივ, და მხარი + ფხარი → მფხარი, მეორე მხრივ.


გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ბგერის გაჩენის შემდეგ იკარგვის ფუძისეული თანხმოვანი (რის შედეგად ფუძისეული თანხმოვნის ადგილს იკავებს განვითარებული ბგერა): ჩიდილი → ჩირდილი → აჭარული: ჩიდილი (ი დაჩნდა რ-ს პოზიციაში); ან: აეტო → აქეტო → აქტო (ქ წარმოდგენილია ე-ს პოზიციაში).

ჩვეულებრივ, ერთი და იგივე თანხმოვანთკომპლექსი (მოუხედავად იმისა, თუ რომელ ფორმაში შედის) ერთნაირ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის. მაგალითად, თვრ, წარმოდგენილი სახელსა (თვრამეტი) და ზმნაში (თვრება), დასავლურ დიალექტებში (გურულში, აჭარულში...) ერთნაირად მარტივდება: თვრ → თრ (თრამეტი, თრება).

თუმცა ხდება ისეც, რომ სუბერაციის რომელიმე საშუალება განაჩევეს ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმებს ერთმანეთისაგან: ერთგან დასაშვებია, მეორე შემთხვევაში იკრძალება. მაგალითად, კლდე კომპლექსი ერთნაირად მარტივდება სახელსა (კლდე → კლე/კტე) და ზმნაში (უკლდა → უკდა/უკტა), მაგრამ იმავე კომპლექსის

გათიშვა ხმოვნით (კლდე → კილდე) მხოლოდ სახელში დაიშვება, რადგან განსხვავებული ფონეტიკური გარემოცვა აქვს შემოხსენებულ ორ ფორმაში (კლდე — უკლდა/აკლდა). ეს კი ნიშნავს: კლდ კომპლექსის გამარტივება დამოკიდებული არ არის ფონეტიკურ გარემოცვაზე, ხოლო ამავე კომპლექსში ბგერის გაჩენა არ ხდება მაშინ, როცა მის წინ ხმოვანია; მიზეზი, ჩანს, დამარცვლოს განსხვავებული შესაძლებლობანია; შდრ.: კლდე და კილდე, ერთი მხრივ, ხოლო უკლდა, მეორე მხრივ; ანუ: უკლდა ფორმას იმთავითვე აქვს თანხმოვანთა გათიშვის შესაძლებლობა (ამ მხრივ თანხმონის დაკარგვის შემთხვევაშიც სურათი არ იცვლება: უკლდა). კლდე → კილდე ფორმაში ეს შესაძლებლობა მხოლოდ ხმოვნის განვითარების შედეგად დაჩნდება.

სუპერაციის სხვადასხვა სახეობა შეიძლება იქნას გამოყენებული ერთსა და იმავე ფორმაშიც:



როგორც ზემოთ აღინიშნა, თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილების დროს აუცილებელია მორფოლოგიური სტატუსის გათვალისწინება. გაანალიზებული იყო ი-ხენ-ებ-ა / ი-ხნ-ებ-ა ფორმები. ითქვა: ხენ კომპლექსი ფონეტიკურად შედარებით მდგრადია, ამიტომ ი-ხნ-ებ-ა უნდა აიხსნას მორფოლოგიური კანონზომიერებით (ი-ხნ-ვ-ი-ს: ი-ხნ-ებ-ი-ს/ი-ხნ-ებ-ა — მონაცვლეობენ (—(ა)ვ და —ებ თემის ნიშნები) და არა ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე (ი-ხენ-ებ-ა — ი-ხნ-ებ-ა — ვ-ს ჩავარდნით). ეს განსაზღვრა, ვფიქრობთ, მართებულია, ოღონდ მხოლოდ იმ დიალექტების მიმართ, სადაც ხენ ტიპის კომპლექსები (სპირანტი + ლაბიალური სპირანტი + სონანტი) ფონეტიკურად, ჩვეულებრივ, არ მართებულა. მაგრამ ი-ხნ-ებ-ა შესაძლოა ფონეტიკური ცვლილების შედეგიც იყოს (ხენ → ხნ) იმ დიალექტებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ამ რიგის კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილება. საკონტროლოდ გამოგვადება ის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ფორმაში მორფოლოგიურად აუცილებელი ელემენტი არ დაჩნდება და ამ მოვლენას ოდენ ფონეტიკის დონეზე შეიძლება დაეძინოს ახსნა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (გურულში, აჭარულში...) გვხვდება ასეთი ფორმები: მო-ხნ-ა „მო-ხენ-ა“ („მონის მერე დაფარავათ“), ი-ხნ-ის „ი-ხენ-ი-ს“... აშკარაა, რომ მორფოლოგიურად ორივე შემთხვევაში —(ა)ვ აუცილებელია, მისი უჭონლობა მხოლოდ ფონეტიკური ცვლილების შედეგი შეიძლება იყოს.

ასე რომ, ერთი შეხედვით საკმაოდ ნაირსახოვანი სურათია. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება გარკვეულ კანონზომიერებათა დადგენა. წარმოვადგენთ თანხმო-

ვანთა დაკარგვის ტიპობრივ შემთხვევებს, რომელთაც მეტნაკლებად სისტემატური ხასიათი აქვს ქართული ენის დიალექტებში.

ორ თანხმოვანს შორის მოქცეული სონანტი, როგორც წესი, იკარგვის (გარდა მ-სი). ეს პროცესი უგამონაკლისოდ დაინდებდა ყველა დიალექტში (ზოგჯერ სხვა ფონეტიკურ ნაირსახეობათა პარალელურად). სონანტი იკარგვის როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილ კომპლექსებში. თანხმოვნები შეიძლება იყოს სხვადასხვა რაგვარობისა (ზმული, აფრიკატი, სპირანტი).

შენიშვნა: მ, რომელიც ხშირად იკარგვის პაუზის მომდევნოდ თავიიდურა პოზიციის (მდიდარი → დიდარი, მხარი → ხარი...), თანხმოვნებს შორის შეენარჩუნებულა: ქრ (ქმრის) ძმრ (ძმრის), ხმლ (ხმლის) და მისთანა სამშემადგენლოანი კომპლექსები არ მარტოვდება (შეიძლება დაინდეს სხვა ფონეტიკური პროცესი: ძმრის → ძრმის მეტათეზისის საფუძველზე და მისთ.). თუ მ-ს შემცველი კომპლექსის გამარტივება ხდება, იკარგვის კომპლექსის შემადგენელი სხვა სონანტი, მაგრამ არა მ: ლმწ → მწ (ხელმწიფე → ხემწიფე) → ნწ ლოკალური რიგის მიხედვით ასიმილაციის საფუძველზე (ხენწიფე).

იკარგვის თანხმოვნებს შორის პოენიერი ლ ხონანტიც. პირველადი კომპლექსები: ხლტ → ხტ (ხლტის → ხტის), კლდ → კდ (კლდე → კდე / კტე, აკლდამა → აკდამა, უკლდა → უკდა). მეორადი კომპლექსები: ხლმ → ხმ (სახლმა → სახმა), ხლზ → ხზ (სახლზე → სახზე), ხლს → ხს (სახლს → სახს), ხლშ → ხშ (სახლში → სახში), ხლყ → ხყ (სახლყარი → სახყარი)... ლლზ → ლზ (ძაღლზე → ძაღზე), ლლს → ლს/ლს (ძაღლს → ძაღს/ძაღს), ლლდ → ლდ (ამაღლდა → ამაღდა)... ლლს → ლს/ლს (მაღლს → მაღს/მაღს), ზლს → ზს/ზს (შუბლს → შუბს/შუფს), ფლს → ფს (თაფლს → თაფს) და მისთ.

როგორც ვხედავთ, მეორად კომპლექსებში ლ იკარგვის ერთი პარადიგმის იმ ფორმაში, სადაც ხდება თანხმოვანთა თავმოყრა. პრინციპი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა. ნიმუშად ერთი ფორმის პარადიგმას წარმოვადგინთ:

სახელობითი:	თაფლ-ი
მოთხრობითი:	თაფლ-მა → თაფ-მა
მცემითი:	თაფლ-ს → თაფ-ს (თაფ-ში, თაფ-ზე)
ნათესაობითი:	თაფლ-ის
მოქმედებითი:	თაფლ-ით
ვითარებითი:	თაფლ-ად → თაფლ-ათ.

ასევე: ამაღლებს, ამაღლება, მაგრამ: ამაღლდება → ამაღლება.

შდრ.: ერთი მხრივ, სახლ-ი, სახლს → სახ-ს (სახ-ში, სახ-ზე), მეორე მხრივ, ხალხ-ი, ხალხ-ს (ხალხ-ში, ხალხ-ზე)... ანუ: ერთი შედგენილობის, მაგრამ განსხვავებული შიგაგანლაგების კომპლექსები ხლს (სახლს) და ლხს(ხალხს) განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით.

იკარგვის ნ ხონანტი. პირველადი კომპლექსები: ცნდ → ცდ (ცნდალი „სალბუნი“ → ცდალი). მეორადი კომპლექსები: ბნდ → ბდ (ბნდუ → ბდუ), ჩნდ → ჩდ/ჩთ (ჩნდება → ჩდება → იმერული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული: ჩთება); შდრ.: ჩანდა, სადაც ნდ კომპლექსი არ მარტოვდება.

იკარგვის რ ხონანტი. პირველადი კომპლექსები: ბრბ → ბბ (ბრბო → ბბო → ბ-ო), ბრგ → ბგ (ბრგე → ბგე), ბრკ → ბკ-პკ (ბრკე → ბკე/პკე), ბრძ → ბძ (ბრძენი → ბძენი, უბძანა → უბძანა); ფრთ → ფთ (ფრთა → ფთა)... დკრ → დკ (დრკუ → დკუ), თრთ → თთ (თრთის → თთის → თ-ის). გრდ → გდ (გრდემლი → გდემლი), გრძ → გძ (გრძელი → გძელი); ქრთ → ქთ (ქრთამი → ქთამი); კრთ → კთ (კრთის → კთის), კრძ → კძ (კრძალავს → კძალავს)... წრფ → წფ (წრფელი → წფელი), წრთ → წთ (წრთობა → წთობა)... ჩრდ → ჩდ/ჩთ (ჩრდილი → ჩდილი/ჩთილი)... ვრც → ვც (ვრცელი → ვცელი)... ჟრე → ჟე (ჟრეოლა → ჟეოლა → ე-ოლა)... ღრმ → ღმ (ღრმა → ღმა), ღრძ → ღძ (ღრძილი → ღძილი)... მეორადი კომპლექსები: ბრზ → ბზ (ძაბრზე → ძაბზე), ბრს → ბს/ფს (ძაბრს → ძაბს/ძაფს), ბრშ → ბშ/ფშ (ძაბრში → ძაბში/ძაფში), ვრს → ვს (ბევრს → ბევს)... გრჩ → გჩ/ჭჩ (გრჩება → გჩება/ჭჩება)... დაჩნდება პარალელური ვარიანტებიც: ზრდ → ზდ/რდ (ვაზრდის → იმერული, გურული: ვაზდის/ქართლური, კახური: ვარდის).

ანალოგიურ ჩვენებას იძლევა თანხმომავნებს შორის პოენიერი ვ სპირანტი. პირველადი კომპლექსები: გვრ → გრ (გვრიტი → გრიტი), ჭვს → ჭს (ეჭვსი → ეჭსი), ავნ → ან (ავენისი → ანისის)... ცვთ → ცთ (ცვთება → ცთება), წვრ → წრ (წვრილი → წრილი)... შვრ → შრ (შვრია → შრია)... ხვნ → ხნ (ხვნემის → ხნემის), ხვრ → ხრ (ხვრელი → ხრელი)... მეორადი კომპლექსები: თვრ → თრ (თვრამეტი → თრამეტი)... ძვრ → ძრ (ძვრება → ძრება)... სვლ → სლ (შვსვლა → შესლა)... ღვრ → ღრ (ღვრის → ღრის)... მეორად კომპლექსში შესაძლოა დაიკარგოს ის ვ-ც, რომელიც სხვა ფონეტიკურ გარემოცვაში განვითარებულა: ჯაგ-ი → ჯაგვ-ი, მაგრამ: ჯაგვ-ს → ჯაგ-ს/ჯაქ-ს...

შენიშვნა 1: ანალოგიური ვითარებაა ოთხ — და მეტშემადგენლიან კომპლექსებშიც: ბრტყ → ბტყ/პტყ (ბრტყელი → ბტყელი/პტყელი), ბრჭყ → ბჭყ (ბრჭყალი → ბჭყალი), გრძნ → გძნ (გრძნობს → გძნობს)... ბრდღვ → ბდღვ (ბრდღვიალებს → ბდღვიალებს)... ბრდღვნ → ბდღვნ (ბრდღვნის → ბდღვნის), ფრცქვნ → ფცქვნ (ფრცქვნის → ფცქვნის)...

შენიშვნა ზ: სამ — და ოთხშემადგენლიან კომპლექსში, ჩვეულებრივ, იკარგვის ერთი თანხმოვანი (ამით სამშემადგენლიანი კომპლექსი დადის ორშემადგენლიანზე, ოთხშემადგენლიანი → სამშემადგენლიანზე). ხუთ — და მეტშემადგენლიან კომპლექსებში შესაძლოა დაიკარგოს ერთზე მეტი თანხმოვანი: ბრღღენის → ბღღენის → ბღღის (იკარგვის რ სონანტი და ვ სპირანტი). ორი თანხმოვნის დაკარგვა სპორადულად დაჩნდება ოთხშემადგენლიან კომპლექსშიც მორფემათა მიჯნაზე: ნმრთ → მთ (ჭანმრთელი → ჭამთელი).

სონანტი, რომელიც ვითარდება ამა თუ იმ პოზიციაში, შეიძლება დაიკარგოს იმავე პოზიციაში (როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა მიჯნაზე). საგარაუდოა, რომ ასეთ შემთხვევაში გვაქვს ნეიტრალიზებული პოზიციები, სადაც ერთმანეთის პარალელურად დაჩნდება სონანტური ან არასონანტური შემართვა (ან დამართვა).

მ სონანტი:

ერთი მხრივ:

ღ → მღ (მღვეი) - ტ → მტ (მტყვე) - თ → მთ (მთავლა)

ძ → მძ (მძვალ) - წ → მწ (მწვერი) - ც → მც (მცა) ...

მეორე მხრივ:

მღ → ღ (ღიდარი) - მტ → ტ (ტერი) - მთ → თ (თა)

მძ → ძ (ძიმე) - მწ → წ (წიფე) - მც → ც (ცენარე).

ნ სონანტი:

ერთი მხრივ:

ღ → ნღ (ხმიანდი) — ტ → ნტ (კინტრი) — თ → ნთ (ჩინთი)

მეორე მხრივ:

ნღ → ღ (მიღარი) — ნტ → ტ (სკიტ) — ნთ → თ (გაყლეითლი).

ქართული ენის დიალექტებში საკმაოდ ხშირია ხმოვნებს შორის (ინტერვოკალური პოზიციაში) თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები.

იკარგვის ვ სპირანტი: ავი → აი (ყვავილი → კახური: ყვავილი, ყვავის ბუდე → კახური: ყვავის ბუდე, ვიყავი → ქართლური, იმერული, გურული: ვიყავი), ევი → ეი (ცნახევი → ქართლური, იმერული: ვნახევი, დავწევი «დავწევი» → გურული: დავწევი, დაალევი → ქართლური, კახური: დაალევი), ივა → ია (მიალწივა → მიალწია) ამატკივა → გურული: ამატკია), ივე → იე (მიალწივეს → მიალწიეს), ივო → იო (მიალწივოს → მიალწიოს), ოვე → ოე (დატოვეს → დატოეს), ოვი → ოი (მოვიტანე → ქართლური, კახური: მოიტანე,

მოვიდა → ქართლური: მოიდა, აჭარული: მოადა // მოვდა) უჭრელოვის „აჭრელებული აქვს“ → ხევსურული: უჭრელოის)... ვ სისტემებზე იკარგვის ო და უ ხმოვნის წინ როგორც პაუზის (ვოხრაჲ → ოხრაჲ, ვუნაზჲ → უნაზჲ), ასევე ხმოვნის (შევეუნაზჲ → შეუნაზჲ) მომდევნოდ.

შენიშვნა 1: ქართული ენის დიალექტებში ოვა, ოვე და ოვი კომპლექსები I პირის ფორმებში წარმოდგენილია როგორც ოა, ოე და ოი (მოვასწარ → მოასწარ/მუასწარ, მოვეხმარე → მოეხმარე/მუეხმარე → მოვიტანე → მოიტანე). გარეგნულად ემთხვევა II პირის ფორმას. ამიტომაც, ჩვეულებრივ, ასეთი მიმართება მყარდება: აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: მოასწარ/მუასწარ (მე, I პირი) — მაასწარ (შენ, II პირი), მოეხმარე (მუეხმარე მე, I პირი) — მეეხმარე (შენ, II პირი), მოიტანე (მე, I პირი) — მაიტანე (შენ, II პირი); III პირის ფორმაში პარალელურად დაჩნდება: მოიტანა // მაიტანა, მოეხმარა // მეეხმარა, მოასწარა // მაასწარა. დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: მოასწარი // მუასწარი (მე, I პირი), მოასწარი (შენ, II პირი), მეეხმარე // მუეხმარე (მე, I პირი) — იმერული: მეეხმარე/გურული: მიეხმარე (შენ, II პირი), იმერული, გურული: მევიტანე/აჭარული: მეეტანე (მე, I პირი) — იმერული, გურული: მიეიტანე /აჭარული: მეეტანე (შენ, II პირი); III პირის ფორმებში: მუასწარა; იმერული: მეეხმარა/გურული, აჭარული: მიეხმარა/მეეხმარა; იმერული, გურული: მიეიტანა/აჭარული: მეეტანა.

შენიშვნა 2: ვ-ს ჩაეარდნის შემდგომ ოა და ოე კომპლექსები, წესისამებრ, იცვლება რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: მოვასწარი → მოასწარი → მუასწარი, მოვეხმარე → მოეხმარე → მუეხმარე; ანალოგიურად: აძოვა → აძოა → აძუა (მესხური: → აძეია); ანალოგიურად აძოვეს → აძოეს → აძუეს (მესხური: აძეიეს). დაჩნდება უ → ვი → ი მონაცვლეობაც: დატოვა → დატოა → გურული: დატუა // დატია...

შენიშვნა 3: აჭარულში თავისებური ვითარებაა, როცა ი ხმოვნით დაბოლოვებულ კომპლექსები (ავი, ევი, ოვი) თავკიდურა პოზიციაში დაჩნდება: (იკარგვის ი, ხოლო წინამავალი ხმოვანი ნაწილობრივ ასიმილაციას განიცდის: წავიღე → წვეღე, შევიტანე → შეეტანე, მოვიგონე → მოვგონე (ე — I სუბიექტური პირის ნიშანია), წავიდა → წვედა, შევიდა → შევედა

(ე ფუძისეული ელემენტია). ერთგვარად გამონაკლისს ქმნის მოვიდა ფორმა — პარალელურად გამოიყენება მოიდა // მოვდა (უფრო ხშირია მეორე ფორმა, თანაც ო-ს ნაწილობრივი ასიმილაცია არ ხდება).

იკარგვის ზ-სპირანტი: აზა → აა (ლამაზად → ქართლური, კახური: ლამაათ)... სისტემური ხასიათი აქვს → ზე თანდებულისეული ზ ელემენტის დაკარგვას ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან ზემორაჭულში (ნაწილობრივ - ქვემორაჭულში): მთაზე → მთაე, შემოდგომაზე → შემოდგომაე, გაქცევაზე → გაქცევაე... შუალამეზე → შუალამეე. კალოზე → კალოე... (შდრ.: სიგძეზე, ანუ: ე-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებში ამ მხრივ მერყეობა შეინიშნება).

იკარგვის ე სპირანტი: აეი → აი (ვაეიშვილი → გურული, ლეჩხუმური: ვაიშვილი).

იკარგვის მ სონანტი: ამო → აო (გამომხედა → გაომხედა, გამომაწყო → გაომაწყო, ჩამომაკითხა → ჩაომაკითხა). დადასტურებულია ქვემოიშვრულში (ე. კუბლაშვილი). ხდება შედგენილი ზმნისწინისეული მ-ს ჩაგარდნა I სუბიექტური პირის მ — პრეფიქსთან შეხვედრისას. რეგრესული დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშია. ანალოგიური ცვლილება, ოღონდ შემდგომი ფონეტიკური ცვლით, დამოწმებულია აჭარულშიც: წამომილო → *წაომილო → *წაუმილო → წაუმილო; და ასე: შემომითვალა → შაუმითვალა, ჩამომიწერა → ჩაუმიწერა (შ. ნიეარაძე).

იკარგვის ნ სონანტი: ინა → ია (დააწერინა → დააწერია, დააჭრევინა → დააჭრევია), ინე → იე (აწერინებს → აწეროებს, აჭრევინებს → აჭრევოებს). სისტემურ იკარგვის კალზატივის - ინ სუფიქსის ნ ელემენტი. ანალოგიური ვითარებაა გარდამავალ ზმნათა II შედეგობითსა და III კავშირებითში (გაეკეთებინა → გეეკეთებია → გიეკეთებია, გაეკეთებინოს → გეეკეთებიოს → გიეკეთებიოს). დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს დიალექტებში. პოზიციის შეცვლის შემთხვევაში (ანუ: როცა აღარა გვაქვს ინტერვოკალური პოზიცია) ნ აღდგება; შდრ.: ალევინებს → ალევიებს, მაგრამ: დაულევნებელი (ქვემორაჭული: „დიდი ხნის წყლის და-უ-ლევ-ნ-ებ-ელ-ი არიანო“).

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში სხვაგვარი ვითარებაა. კალზატივის ფორმებში ინტერვოკალურ პოზიციაში ნ იკარგვის მხოლოდ მაშინ, როცა ფუძისეული და ფორმანტისეული ორი ნ შეხვდება ერთმანეთს; თანაც იკარგვის ფუძისეული ნ: აწყენინა → აწყენია, არბენინა → არბენია, მოატანინა → მოატანია, მოაყვანინა → მოაყვანია, დააბანინა → დააბანია (შდრ. დასავლურ დიალექტებში პოენიერი: აწყენია, არბენია, მოატანია... იკარგვის ფორმანტისეული ნ). სხვათა შორის, აქ იმის ანალოგიური მდგომარეობაა, რასაც კალზატივის - ვინ დაბოლოების შემთხვევაში

ვადასტურებთ: აღმოსავლურ დიალექტებში - ევინ → -ეინ (დააპრევიანა → დააპრე-ინა), დასავლურ დიალექტებში, პირიქით, — ევინ → ევი (დააპრევიანა → დააპრევიან), იგივე ვითარებაა მაშინ, როცა — ევ ფუძისეული ელემენტია (დაალევიანა → აღმოსა-ვლური: დაალეინა/დასავლური: დაალევიან).

შენიშვნა: აღმოსავლურ დიალექტებში (ქართლურში, მესხურში...) ორი ნ-ს შეხ-ვედროსას დაჩნდება რეგრესული დისიმილაციის შედეგიც: ნ-ნ → ვ-ნ (მოატანინა → მოატავინა).

ინტერვოკალურ პოზიციაში ნ სონანტის დაკარგვის სხვა შემთხვევები სპორა-დული ხასიათისაა (ქართლური: ტანისამოსი → ტანსამოსი, როგორც ჩანს, მ-სთან რეგრესული დისიმილაციით და მისთ.).

ნ-ს დისიმილაციური დაკარგვა შესაძლოა დაჩნდეს ენკლიტიკის შემთხვევაშიც: შენი ნახვა → შეი-ნახვა (აჭარული)...

იკარგვის ბ ხშულად ებო → ეო (ებმებოდა → ქართლური: ებმეოდა). ამჟამად, რომ აქ პროგრესულ დისიმილაციურ დაკარგვასთან გვაქვს საჭმე. საერთოდ, ხმოვნებს შორის ბ-ს დაკარგვა ფრიად იშვიათად ხდება (შდრ.: ებმება, სადაც ინტერვოკალურ პოზიციაში ბ შენარჩუნებულია). ასე რომ, ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად პოზიციას, რამდენადაც თვით ფორმაში ორ ბ თანხმოვნის პოზიტივობას.

იკარგვის დ ხშული: ადა → აა (სადანა → იმერული: საანა), ადი → აი (ადი → აი, წადი → წაი, სადილი → საილი, ჰადი → ჰაი), ძირითადად დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი (ანალოგიურად — ედი → ეი: შედი → შეი, ოდი → ოი: მოდი → მოი) თუმცა დაჩნდება აღმოსავლურ დიალექტებში (უპირატესად — ბარის დიალექტებში). გარკვეული დიალექტური ზონებით შემოი-ფარგლება ოდი → ოი (როდის → იმერული, გურული: როის), იდი → იი (ხიდისთავი → გურული: ხიისთავი) ცვლილებანი. იმერულსა და ლეჩხუმურში დაჩნდება დ-ს პროგრესული დაკარგვის შემთხვევები: წავიდოდი → წვეიდოდი, წახვიდოდი → წახვიდოდი (მაგრამ: წავიდოდენ → წვეიდოდენ), დაჯდებოდი → დაჯდებოდი... (ანუ: ოდი → ოი; შდრ.: როდის → როის). ანალოგიური პროცესი შეინიშნა ქართლურშიც: დედაშენი → *დეაშენი → დეეშენი (ეა → ეე პროგრესული ასიმილა-ციით). არსებითად აქ ორი დ-ს პოზიტივობას აქვს უპირატესი მნიშვნელობა. (შდრ. ვიცოდით → იმერული: ვიკოით, სადაც დისიმილაციურ დაკარგვას თ ხშული იწვევს).

იკარგვის თ ხშული: თაი → თი (თითისტარი → იმერული: თიისტარი).

იკარგვის ტ ხშული — სისტემებზე პატივი-ი ფორმაში (მეტ-ნაკლებად დაჩნდება

ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში): პატიჟი → პაიჯი, დაპატიჟა → დაპაიჯა...

იკარგვის გ ხშული (სისტემებზე ჩვენებით ნაცვალსახელებში): აგი → აი, იგი → იი, მაგი → მაი... ძირითადად გვხვდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს (უპირატესად — ბარის) დიალექტებშიც.

იკარგვის ძ აფრიკატი, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს იმერულში — ძე მწარმოებელზე დაბოლოვებულ გვარებში (უპირატესად გვხვდება თერჯოლურსა და ოკრიბულში): კოკელადის → კოკელაის, ხერხადის → ხერხაის, გიორგადის → გიორგაის (ქ. ძოწენიძე).

იკარგვის ჩ აფრიკატი: აქაც დისიმილაციურ დაკარგვასთან გვაქვს საჭმე: გაჩეჩილაძე → იმერული: გაჩეილაძე (ამდენად, ეს ცვლილება საკუთრივ ინტერვოკალური პოზიციით არ არის შეპირობებული).

იკარგვის ჭ აფრიკატი: დაჩნდება მხოლოდ წოდებითის ფორმაში: ბიჭო → ბიო (ქართლური, კახური). მისი ვარიანტებია: ჭო (აჭარული), ჯო (კახური), ოჯო (გურული), აგრეთვე: ფიჭო // ფიჩო // ფეჩო (გურული)...

პუღის მომდევნო ხმოვნის წინ (თავკიდურა პოზიციაში) თანხმოვანი, როგორც წესი, შენარჩუნებულია (გამონაკლისს ქმნიან რობაქიძე → იმერული: ობაქიძე, ხომ → გურული, აჭარული: ომ/უმ და მისთ.), ხოლო ხმოვნის მომდევნოდ პუღის წინ (ბოლოკიდურა პოზიციაში) თანხმოვანი ხშირად იკარგვის.

იკარგვის დ სონანტი: რაკელ „როგორ“ → რაკე (ხევსურული), სულ → კახური...: სუ...

იკარგვის მ სონანტი: მაგრამ → მაგრა (კახური)/მარა (იმერული, გურული, აჭარული...), თორემ → თორე (კახური)/თორო (ფშაური), რატომ → რატო (კახური, იმერული...), მითამ → მითა (კახური, რომ → რო (ქართლური, კახური, იმერული...), ხომ → ხო (ქართლური, კახური, იმერული...).

იკარგვის ნ სონანტი: შენ → შე, თქვენ → თქვე, ნეფისგან → ნეფისგა, გუშინ → გუში (მოხელური), მაშინ → მაში (ხევსურული), მადან(ა) → მადა (იმერული), არავინ → არავი (ჭავჭავური)...

იკარგვის რ სონანტი: როგორ/რაგორ → როგო (კახური...)/რაგო (ხევსურული), ველარ → ველა (კახური), სამჯერ → სამჯე (კახური, იმერული).

იკარგვის ვ სპირანტი: კვლავ → კვლა, კიდევ → კიდე, ვიყავ → ქართლური, კახური: ვიყა...

იკარგვის ხ სპირანტი: ის → ი, ეს → ე (მეტ-ნაკლებად დაჩნდება თითქმის ყველა დიალექტში).

იკარგვის შ სპირანტი: მაშ → ქართლური, კახური, იმერული: მა...

იკარგვის დ ხშული: სად → სა (იმერული, გურული... იგივე ცვლილება დამოწმებულია ხევსურულში, ოღონდ აქ სად = სადმე), ვერსად → ვერსა (იმერული, გურული...), ჩემად → ჩემა, ლამაზად → ლამაზა, თავად → თაოდ → თაო, წამადე „წამოდი“ → წამაე, მოგვიხვედ → მოგვიხვე (ხევსურული), გადმოხედ „გადმოდი“ → გადმოხე (ფშაური)...

იკარგვის თ ხშული: იქით → იქი, ლამით → ლამი, დღისით → დღისი, შამშივით → შამშივი (ხევსურული), ჭორივით → ჭორივი // ჭორით (გადახური), ურმით → ურმი (ინგილოური)...

იკარგვის გ ხშული: მაგ → მა, ნიადეგ „რასაკვირველია“ → ნიადე (ხევსურული)...

ქართული ენის დიალექტებში სისტემატური ხასიათი აქვს განსაზღვრული ტიპის ორშემადგენლიანი თანხმობანთა კომპლექსების გამარტივებას თანხმობანთა დაკარგვის გზით.

სონანტი + სპირანტი → სპირანტი: თავიიდურა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ სპირანტის წინ იკარგვის მ (მზ → ზ: მზარეული → ზარეული, მს → ს: მსუყე → სუყე, მყ → ყ: მყავე → ყავე, მშ → შ: მშიერი → შიერი, მღ → ღ: მღეღარე → ღეღარე, მხ → ხ: მხარი → ხარი, მყ → ყ: მყიფე → ყიფე). მორფოლოგიურად მ ამ შემთხვევებში ან ფუძისეულ ელემენტადაა გააზრებული (მზარეული, მხარი...), ან მიმდევრის მწარმოებელია (ღელავს → მღელვარე...). მ მდგრადია, როცა I ობიექტური პირის ნიშანია (მზარავს, მსურს, მყეყავს, მშურს, მალატობს, მხატავს, მყინავს); დაჩნდება რიგი ფორმებისა (მზერა, მღერის, მყარი...), სადაც, როგორც წესი, არ იკარგვის ფუძისეული მ. ზოგ შემთხვევაში მ-ს დაკარგვა-შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფორმაშია გამოყენებული ერთი და იგივე ფუძე; მაგალითად, შუა ფორმაში მ მყარია, მზარეული ფორმაში კი ხშირად იკარგვის. შევნიშნავეთ, რომ თანხმობის დაკარგვის პარალელურად ზოგიერთ ფორმაში სუპერაციის სხვა საშუალებაც არის გამოყენებული (მყავე → ბყავე, მხარი → ფხარი), რაც იქაც დაჩნდება, სადაც მ, როგორც წესი, შენარჩუნებულია (მზერა → ბზერა, მღერის → ბღერის). აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში სისტემებრ დადასტურებულია მს → მ I შედეგობითში (დაუბამს → დაუბამ, დაუსხამს → დაუსხამ...).

რატელისათვის დამახასიათებელია ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ ნს კომპლექსის გამარტივება: ნს → ს (შენს → შეს, ჩვენს → ჩეს, თქვენს → თქვენს); შეინიშნება ინტერვოკალურ პოზიციაშიც მორფმათა მიჯნაზე (წინსაფარი → წისაფარი). დაჩნდება სხვა დიალექტებშიც (განსაცდელი- ქართლური: გასაცდელი)... ეს მოვლენა საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართლისათვის (ივარაუდება, მაგალითად, *დინ-ს → დი-ს)..

ქართულში (ალგეთურში) დაჩნდება რს → რ, ნს → ნ, ლს → ლ... ინტერვოკალურ პოზიციაშიც (ყურსა → ყურა).

არასისტემებში შეინიშნება სხვა კომპლექსების გამარტივების შემთხვევებიც: ლხ → ხ (ლხინი → იმერული: ხინი // რხინი) და მისთ.

სონანტი + ხშული → ხშული: თავიღურა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ ხშულის წინ იკარგვის მ (მბ → ბ: მბაძველი → ბაძველი, მფ → ფ: მფარველობა → ფარველობა, მპ → პ: მპოენელი → პოენელი, მდ → დ: მდიდარი → დიდარი, მთ → თ: მთა → თა, მტ → ტ: მტერი → ტერი, მგ → გ: მგელი → გელი, მქ → ქ: მქონებელი → ქონებელი, მკ → კ: მკივანა → კივანა). მ შენარჩუნებულია, რაცა იგი I ობიექტური პირის ნიშანია (მბაძვეს, მფარველობს, მპარავს...); ანუ: ზემოხსენებულის ანალოგიური ვითარებაა. მ ხშულთან მეზობლობისას შეიძლება დაიკარგოს ინტერვოკალურ პოზიციაშიც; ნიმუშებად დასახელებულია: კომბოსტო → იმერული: კომოსტო, თამბაქო → ხევსურული, ქართლური: თამაქო, თავისებურება აქ ისაა, რომ მ ორივე ნასესხებ ფორმაში განვითარებული თანხმოვანია. დიალექტების ერთ ნაწილში ხდება მბ მეორადი კომპლექსის გამარტივება: იკარგვის ფუძისეული თანხმოვანი (ბ), რჩება განვითარებული (მ); შდრ.: ამბობს → კახური: ამობს, სადაც ბ-ბ მიმართების გამო ხდება რეგრესული დისიმილაციური დაკარგვა.

წინაენისმიერ ხშულთა წინ იკარგვის ნ (იშვითად ლ) როგორც პაუზის მომდევნო, ასევე ინტერვოკალურ და პაუზის წინა პოზიციებში: ნდომულობს → ქართლური: დომულობს... მინდორი → იმერული, გურული: მიდორი, ამინდი → იმერულ ამინდი... მანდ → იმერული: მად (შდრ.: ოლონდ → ქართლური, იმერული: ოლონ სადაც, პირიქით, ხშული იკარგება); ასევე: მანდ → თუშური: ყუმან/აჭარული: მან დ მისთ. დაჩნდება დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევებიც: ნქ-ნ → ქ-ნ (მანქანა - ქართლური: მაქანა), ლტ-ლ → ტ-ლ (ლტოლეილი → ტოლეილი)...

დაჩნდება სხვა სონანტების დაკარგვის შემთხვევებიც: რტ → ტ (სპირტი → იმერული: სპიტი), რბ → ბ (რბილი → იმერული: ბილი), რქ → ქ (რქა → იმერული, აჭარული: ქა), რკ → კ (რკინა → იმერული, გურული, აჭარული: კინა), შდრ.: რთ → რ (ერთი → გურული, იმერული: ერი), სადაც იკარგვის ხშული (ერთი, მაგრამ: ერი კაცი)... ლკ → კ (ცალკე → იმერული, გურული...: ცაკე) და მისთ.

სონანტი + აფრიკატი → აფრიკატი: ყველაზე ხშირია თავიღურა პოზიციაში პაუზის მომდევნოდ მ სონანტის დაკარგვის შემთხვევები - ანალოგიურად იმისა, რაც ზემოთ სპირანტისა და ხშულის წინა პოზიციაში დავადასტურეთ (მძ → ძ: მძიმე → ძიმე, მც → ც: მცენარე → ცენარე, მწ → წ: მწარე → წარე; მჭ → ჭ: მჭობნი → ჭობნი,

მჩ → ჩი: მჩატე → ჩატე, მკ → კ: მკადი → კადი); შდრ. ბოლოკიდურა პოზიციაში მც → მ (ნეტამც → ნეტამ), ასევე: ნც → ნ (მანც → რაჭული, იმერული: მან), სადაც იკარგვის აფრიკატი.

სონანტი + სონანტი → სონანტი: ლმ → მ/მლ → მ (ხელმწიფე → ხემწიფე, ხოლმე → ქართლური, კახური, იმერული: ხომე, კომლი → ქართლური, ფშაური: კომი, გრდემლი → ხევსურული: გრდემი), ლნ → ნ/ნლ → ნ (საპანე → იმერული: საპანე, საცინლად → იმერული: საცინათ), რჩ → ნ (ქირნახელი → ქართლური, იმერული: ქინახელი)...

სპირანტი + სონანტი → სონანტი: ვლ → ლ (თოვლი → ხევსურული: თოლი) ანთროპონიმი: ივლიტა → ქვემოიმერული: ილიტე), ვნ → ნ (იპოვნა → იმერული: იპონა, სიამოვნება → იმერული: სიამოვნება, გაგზავნა → იმერული, გურული: გაგზანა)...

სპირანტი + ხშული → ხშული: ვდ → დ (სოვდაგარი → იმერული: სოდაგარი), სთ → თ (მამასთან → ქართლური, რაჭული: მამათან, გულისთვის → ქართლური, კახური: გულითვინ, ამისთანა → რაჭული: ამითანა, წყაროსთავი → აჭარული: წყაროთავი)... ამის საპირისპიროდ დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (ქვემორაჭულში, იმერულში, გურულში, აჭარულში) დაჩნდება სპირანტი + ხშული → სპირანტი: სთ → ს (მამასთან → მამასან, ამისთანა → ამისანა). ანალოგიურად: სტ → ტ/სტ → ს (სტუმარი → ქართლური, კახური: ტუმარი/გურული: სუმარი); შდრ.: შტ → ტ (შტოფი → ქართლური: ტოფი)...

სპირანტი + აფრიკატი → სპირანტი // სპირანტი + აფრიკატი → აფრიკატი: სისტემებრ დასტურდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში სც და სწ კომპლექსებში, ორივე ნაირსახეობა, ჩვეულებრივ, გვხვდება ერთმანეთის პარალელურად: სწ → ს // სწ → წ (სწორი → სორი // წორი, მოსწია → მოსია // მოწია), სც → ს // სც → ც (მისცა → მისა // მიცა). იმედროულად დაჩნდება ფორმები, სადაც ერთ-ერთ ნაირსახეობას ეძლევა უპირატესობა (მმისწული → მმისული, მისწრება → მისრება... დისციპლინა → დისიპლინა...). ასეა დასავლურ დიალექტებში (შდრ. კახური: მმისწული, მიწრება, დიცაპლინა).

სპირანტი + სპირანტი → სპირანტი: ვს → ვ ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ (თავს → ქართლური, კახური, იმერული...: თავ); სისტემებრ დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში სტატიკური ზმნების აწმყოსა და გარდამავალი ზმნების I შედეგობითში (ჰყავს → ხყავ, ჰგავს → ხგავ // გავ, სძინავს → ზძინავ... დაუმალავს → დაუმალავ...). შეინიშნება დასავლურ დიალექტებში (მაგალითად, ზშირია ზემოაჭარულში). ანალოგიური მდგომარეობაა მაშინაც როცა მომხდარია ვ → მ შენაცვ-

ლება (უჭირავს → უჭირავ // უჭირამს → უჭირამ, მოუკლავს → მოუკლავ // მოუკლამს → მოუკლამ). ქართულურში (ალგეთურში) ვს → ვ დაჩნდება ინტერვოკალურ პოზიციაშიც (კვესა → კვეა; ავეა ლეჰამს*).

ხშული + სონანტი → სონანტი ცვლილება იშვიათია, ჩვეულებრივ, ხდება მაშინ, როცა დამატებითი ფონეტიკური ფაქტორები დაჩნდება: ბნ - ბ → ნ-ბ რეგრესული დისიმილაციური დაკარგვის გზით (ფუბნება → ქართლური, კახური, იმერული: ფუნება, უბნობს → იმერული: უნობს/უნოფს), ბრ → ბ/ფ ბოლოკიდურა პოზიციაში პაუზის წინ (კაცისაებრ → ქართლური, კახური: კაცისეებ/კაცისეეფ, რაჭული: კაცისაებ/კაცისაეფ, აგრეთვე: კაცურებ/კაცურეფ)...

ხშული + სპირანტი → სპირანტი: გვ → ვ ინტერვოკალურ პოზიციაში (რაგვარი → იმერული: რაეარი)...

აფრიკატი + სონანტი → სონანტი: ძლ → ლ (შეიძლება → ქართლური, იმერული...: შეილება, შეუძლია → შეუღლია); ამის საპირისპიროდ → აფრიკატი + სონანტი → აფრიკატი: ცრ → ც (ცრემლი → იმერული: ცემლი), წლ → წ (წლევანდელი → ქვემოიმერული: წევანდელი); აქ უთუოდ დისიმილაციურ დაკარგვასაც მიუძღვის წვლილი: წლ-ლ → წ-ლ...

დაჩნდება თანხმობანთა კომპლექსების დაკარგვის შემთხვევებიც. იკარგვის: სპირანტი + სპირანტი (ვს: აქეს → აქ, ძევსა → კახური: ძეო, სძინავსო → კახური: ზძინაო, შდრ.: სძინავს → ზძინავ: ანუ: ვს იკარგვის თანხმობის მომდევნოდ პაუზის წინ, ან ინტერვოკალურ პოზიციაში), სპირანტი + ხშული (სპ: მასპინძელი → იმერული, ლეჩხუმური, გურული: მაინძელი), სპირანტი + სონანტი (ხლ: ასხლტომია → იმერული: ასტომია), სონანტი + სპირანტი (ლს: მივალს → მივა, საერთო-ქართული მოვლენაა), სონანტი + ხშული (რგ: კარგი → კაი, კარგად → კაათ; მეტ-ნაკლებად დაჩნდება ყველა დიალექტში)...

იკარგვის მარცვალის: ვა (ნათქვამი → გურული: ნათქმი, თუ არა: თქმა → ნათქმი), ვე (ყოველთვის/ყოველთვის → გურული: ყოლთვის), ლი (ძალიან → ძაან; შეინიშნება თითქმის ყველა დიალექტში), ნა (კინალამ → გურული, აჭარული: კილამ, ქვემოიმერული: კილმე, ლეჩხუმური: კილმა), რა (არათფერი → გურული, აჭარული: აფერი, ვერათფერი → ვეფერი), რი (ჭირიმე → გურული: ჭიმე, აზნაურიშვილი → კახური: აზნაუშვილი/ქვემოიმერული: აზნაუშვილი), ში (ფეხშიშველა → ფეხშველა; საერთო-ქართული მოვლენაა)... ექ (ანთროპონიმი: ალექსანდრე → გურული: *ალსანდრე → ალსანდრე), უნ (უნდა → მესხური: და; „სახლში უნდა წასულიყო“ → „სახში-და წასულიყო“; // სახში-ნა).

დასახელებული იყო ძირითადად ის ფორმები, სადაც მარცვალი შუა პოზიციაში იკარგებოდა.

ქართული ენის დიალექტებში ხშირია თავიიდურა ან ბოლოკიდურა მარცვლის მოკვეცის შემთხვევებიც. დაჩნდება წოდებითის ფორმებსა და ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმებში: ა) წოდებითი (იკვეცება როგორც თავიიდურა, ასევე ბოლოკიდურა მარცვალი): ბიჭო → აქარული: ჭო, კახური: ჭო, გურული: ციკაი „გოგო“ → ცა(ე)... ქალო → ქართლური, ფშაური: ქა... ბ) ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმები (იკვეცება ბოლოკიდური მარცვალი: აცადე → აცა, ადექი → ადე, დაჯეჭი → დაჯე, დაიცადე → დაიცა, გაიყვანე → გაიყვა, წაპყევი → წაპყე // წაყე, მოიტანე → მოიტა/მაიტა, მომეცი → მომე/მამე, შეხედე → შეხე...). ყველაფერი ეს საერთო-ქართული მოვლენაა. დაჩნდება საკუთრივ დიალექტური თავისებურებანიც: მივეცი → მივე, მივეყვი → მივეყ, რა ვიცი → რა ვი (კახური), მალედ → მალ, გვინდა → გვი, გინდა → გი, უნდა → უნ // უ (ხევსურული)... შეკვეცილი ფორმები ზმნისართებსა და ზმნის თხრობით კილოშიც დაჩნდა. ზმნის გამეორების თავიდან ასაცილებლად ზოგ დიალექტში (მოხეურში...) მხოლოდ თავიიდური მარცვალი არის გამოყენებული: „გაცოცხლდებოდა, გა (=გაცოცხლდებოდა), ღვთის მადლით“ (წარმოდგენილია ზმნისწინი), „გოყვარდეს, შენი კვნესა-მე, გი“ (თავიიდური მარცვალი შეიცავს II ობიექტური პირის ნიშანსა და ზმნის ხმოვან პრეფიქსს). ნიმუშები ალ. ყაზბეგის პროზიდანაა დასახელებული.

შეიძლება მოიკვეცოს ორი მარცვალიც კი: გენაცვალე → გენა (კახური).

თანხმოვანთა და თანხმოვანთკომპლექსების დაკარგვის შემთხვევები დაჩნდება ქრონოლოგიურ დონეზეც; კერძოდ, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დამოწმებულია: ბრძ → ბძ (ბრძენი → ბძენი), ბრკ → ბკ (ბრკალი → ბკალი), ვრც → ვც (ვრცელი → ვცელი), წრფ → წფ (წრფელობა → წფელობა)... კლდ → კდ (აკლდა → აკდა)... სწრ → სრ (უსწრობს → უსრაობს), სწყ → სყ (სწყუროდეს → სყუროდის) და მისთ. (ზ. სარგველაძე). გარდა ამისა: გრწყ → რწყ → წყ (გრწყილი → რწყილი/წყილი), გრძლ → ძლ → ზლ (გრძლბი/გძლბი → ზლარბი), გრჯლ → ჯლ (გრჯლა → ჯლა), ქრცხ → რცხ → ცხ (ქრცხილა → რცხილა → ცხილა) და მისთ. ეგვევ თანხმოვანთკომპლექსები შესაძლოა გაითიშოს ხმოვანით. ამ ფორმათა ფონეტიკურ ნაარსახეობათა მიხედვით იმოწნება თანამედროვე დიალექტები; მაგალითად, გრწყილი → ხევსურული: გორწყილი/გურული: წყილი, გრჯლა/კარჩხა → ხევსურული: კორჩხა/იმერული; გურული: ჯლა//ჩხა, ქრცხილა → ხევსურული: კორცხილა/იმერული: ცხილა, ჩრჩილი → ხევსურული: ჩირჩილი/იმერული, გურული: რჩილი//ჩილი...

თანხმოვანთა დაკარგვა ზოგჯერ კვალს ტოვებს წინამაჟღერ ან მომდევნო ბგერაზე.

დიალექტების ერთ ნაწილში თანხმოვანთა დაკარგვა ხმოვანზე ახდენს გავლენას, რაც ორი ფონეტიკური ნაირსახეობით ვლინდება: ა) ხდება ხმოვნის დაგრძელება: აღარ → აღა, მარტო → მა ტო, ერთი → ე თი, ძირში → ძი ში (აქარული); დაგრძელებას იწვევს მარცვლის დაკარგვა: არაფერი → აფერი, ვერაფერი → ვეფერი; ბ) დაკარგული თანხმოვნის წინა ხმოვანი მახვილს იღებს: მითხარილ (=მითხარი-ლა) → მითხარინ, რასაც → რასა (ხვესურული).

თანხმოვნის დაკარგვა კვალს ტოვებს მეზობელ თანხმოვანზეც: ა) იწვევს მომდევნო თანხმოვნის ფონეტიკურ ცვლილებას: პირადება → ფირადება, ჰკითხა → ჰითხა, ჰყავს → ხავს... დაჩნდება აქარულში, გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში (ქ. ლომთათიძე). იგივე შედეგი შეიძლება გვექონდეს თანხმოვნის ნაწილობრივი რედუქციის („დასუსტების“) შემთხვევაშიც: გასწი → გაააცი... დამოწმებულთა კახურში (არ. მარტიაროსი - გ. იმნაიშვილი); ბ) იწვევს წინამჟღად თანხმოვნის (როგორც წესი, სპირანტის) ინტენსიურ წარმოთქმას: სწავლობს → ს'ავლობს, ასწრებს → ას'რებს, მისცა → მის'ა, მოსჭრის → მოშჭრის → მოშ'რის... შენიშნულია აქარულში, გურულში (ქ. ლომთათიძე, ჯ. ნოღაიძელი); გ) ფორმაში ცვლის სრული ასმილაკის გზით ლოკალური რიგით იდენტურ (ან ახლომდგომ) თანხმოვანს: მძივი → იმერული: ძიძი...

ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში საქმე გვექონდა ბგერის თვისებრივ ცვლილებასთან: ერთი (რედუქციურული) ბგერიდან მეორეზე გადადიოდა რაიმე ნიშანთვისება (მაგალითად, ფშვინვერება) ან ფორმაში პოვნორი ბგერა იქნდა დამატებით თვისობას (ხმოვანი — სიგრძეს ან მახვილს, თანხმოვანი — ინტენსივობას).

გვაქვს, ასე ვთქვათ, რაოდენობრივი ცვლილების შემთხვევებიც, როცა დაკარგული ბგერა თვისობრივად ვერ ცვლის მეზობელ ბგერებს, მაგრამ ჰმატებს მათ თავის ამა თუ იმ ნიშანთვისებას. მაგალითად, ბრძ → ბძ (ბძენი), ზრღ → ზღ (ზღის) და მისთანა კომპლექსებს ხშირად შემოარჩენილი აქვს როტაციზმის მარკერი, რაც აბრკოლებს მათ შემდგომ ცვლილებას (ასეა, მაგალითად, ჩრღ → ჩღ დროს: ჩრდილი → ჩდილი). საკმარისია, ეს მარკერი დაიკარგოს, რომ კომპლექსის ფონეტიკურ ცვლილებას აღარაფერი დააბრკოლებს (ჩდილი → ჩთილი → შთილი, ბძენი → ბზენი...). ამოსავალი ვითარების შენარჩუნების მიზნით შეიძლება დაჩნდეს ირაციონალური ხმოვანი (ჩღრდილი/ჩღდილი), რაც ზოგ დიალექტში სრული ხმოვნის სახითაც დაჩნდება (ჩორდილი/ჩიდილი). ამის გამოა, რომ დიდარი (= მდიდარი), შობელი (= მშობელი) და მისთანა ფორმებში დ, შ... თანხმოვნებს შესაძლოა სონანტური შემართვა ახასიათებდეს. ანალოგიური მოვლენები მრავლად დაჩნდება ქართული ენის დია-

ლექტებში.

თანხმოვანთა დაკარგვის რეგულაციისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს სემანტიკურ ფაქტორს. საქმე ისაა, რომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფორმის ფონეტიკური ცვლილება ისე ხდება, რომ სემანტიკური თვალსაზრისით მისი ამოცნობა არ ჭირს. ზემოხსენებულთან დაკავშირებით ეს ნიშნავს: ჩვეულებრივ, იკარგვის ის თანხმოვანი, რომელიც სემანტიკურად ნაკლებ რელევანტურია. მაგალითად, ხოლმე → ხომე (მაგრამ არა: *ხოლე, თუმცა წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება არ არსებობს).

ამის კვალობაზე, ფონეტიკურ ცვლილებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ თანხმოვანთა სხვადასხვა ჯგუფებს განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა ახასიათებს, რის გამოც განსხვავებულია მათი დაკარგვის ალბათობაც.

ყველაზე მყარია ამ მხრივ ხმულები, ყველაზე ნაკლებად მდგრადი — სონანტები, თუმცა თვით სონანტებშიც განსხვავებულია მდგომარეობის ხარისხი: მ და ნ უფრო მდგრადი სონანტებია, ვინემ ლ და რ, ამ უკანასკნელთ თვისობას ავლენს ვ სპირანტიც (რომელიც თავის სინტაგმატური ბუნების გამო ხშირად სონანტთა რიგში განიხილება).

რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ზოგადი კანონზომიერებანი იგულისხმება, რაც არ გამორიცხავს დიალექტების მიხედვით ამ მხრივ განსხვავებულ ჩვენებათა არსებობას, რის შესახებაც შეძლებისდაგვარად ზემოთ გვქონდა საუბარი. არსებითი კი ის არის, რომ ფონეტიკური ანალიზის დროსაც აუცილებელია სემანტიკური ფაქტორის გათვალისწინება.

შენიშვნა: რაც შეეხება თანხმოვანთა დასუსტების შემთხვევებს, მათზე ცალკე გვაქვს საუბარი (იხ.: ნაკვეთი. 2.27; აგრეთვე: 4...).

3.4.4. ხმოვნისა და თანხმოვნის შენაცვლებებისათვის ქართული ენის დიალექტებში. ხმოვანთა და თანხმოვანთა ურთიერთობა სინტაგმატურ დონეზე ნაირგვარი შედეგის მქონეა. ნიშნულბად შეიძლება დავასახელოთ: ხმოვნის ასიმილაცია თანხმოვნის მიერ (რომ → აჭარული, გურული: რემ), დისიმილაცია (უფრო → მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, მესხური: იფრო), ხმოვნის საკომპენსაციო დაგროვლება თანხმოვნის დაკარგვის გამო (სირცხვილი → აჭარული: სჩ ცხვილი), ხმოვნის ნაზალიზაციის შედეგად თანხმოვნის გაჩენა (სახლზე → იმერული, გურული: სახზენ, მეთქი → მეთქინ), ჩქამიერ თანხმოვნებს შორის მოქცეულ სონანტთან ხმოვნის გაჩენა (ჩრდილი → მოხეური, ხევსურული...: ჩირდილი), რის შემდეგ სონანტი შეიძლება დაიკარგოს და მის ადგილას ხმოვანი რჩება.

(ჩრდილი → ჩირდილი → ჩიდილი), უშუალოდ ჩქამიერ თანხმოვნებს შორის ანაპტიქური ხმოვნის გაჩენა (ხბო → პარული: ხობო, კბილი → კიბილი, ტბილი → ტკიბილი) და მისთ. ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ამჯერად დავასახელებთ იმ შემთხვევებს, როცა დასტურდება ხმოვნისა და თანხმოვნის ურთიერთშენაცვლება.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სიტყვა-ფორმის ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვანი სუსტდება და ხშირად იკარგვის კიდევ: კაცი → კაც → კაც, გავიგე → გავიგე → გავიგე, ეჩეჩა → ეჩეჩა → ეჩეჩა (ნიმუშები ხვესურული დიალექტიდანაა დასახელებული). შევნიშნავთ: ენკლიტიკის შემთხვევაში ხმოვანი აღდგება: კაცი → კაც, მაგრამ: კაცილა → კაცილ, ასევე: კაცი და ქალი → კაც-დ ქალ...

ამავე პოზიციაში (პაუზის წინ) ხმოვანი შესაძლოა შეიცვალოს შესაბამისი თანხმოვნით: კაცით → კაცოვ (ხვესურული...), გაიარო → გრე არე (თუშური)... როგორც წესი, ასეთი მონაცვლეობა დამახასიათებელია იმ ხმოვანი მორფემისათვის, რომელთა სრული რედუქცია (დაკარგვა) გამოიწვევდა სემანტიკურ გაბუნდოვანებას. ჩვეულებრივ, ესაა — ო მორფემა, რომელიც გამოყენებულია შემდეგი ფუნქციებით: III სუბიექტური პირის ნიშნად (იყო → იყუ / იყე), II კავშირებითის ფორმანტად (გაიარო → გრე არე), წოდებითის ნიშნად (ბიჭო → თუშური: ბიჭუ), სხვათა სიტყვის გამომხატველად (კაციო → კაციუ / კაციე).

შენიშვნა 1: ხმოვნის გადასვლას თანხმოვანში შესაძლოა მოჰყვეს წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება: თქვააო? → თუშური: თქვაანუ?

შენიშვნა 2: თუშურში პაუზის წინა პოზიციაში ხმოვანს დაკარგვისაგან ზოგჯერ იცავს მკვეთრი დამართვა: ჩქარა → ჩქარაყ.

დიალექტების ერთ ნაწილში დასტურდება ვ (ჴ): უ მონაცვლეობის შემთხვევები, რაც მახვილის ზემოქმედების შედეგი ჩანს:

ა) ჴ / ვ თანხმოვანს ჩენაცვლება უ ხმოვანი: ქვა — ქუა — ქუა, რვა → რუა → რუა, სხვა / სხუა → სხუა (მესხური, ფერეიდნული) / ქუვაჰ... (ინგილოური); აიყვანა → აიყუნა (ფერეიდნული); შდრ. ძველი ქართული: ქვა, რვა, მაგრამ: სხუა; ან: მოკლვა → მოკლუაჰ (ინგილოური)... უფრო ხშირია შემთხვევები, როცა დიალექტში ერთმანეთის პარალელურად დაჩნდება ჴ // უ: ჩუენ // ჩუენ „ჩუენ“, ორუე // ორუე „ორივე“, სამუე → სამუე „სამივე“, ჩოუშუენ // ჩოუშუენ „ჩაუშვეს“, დადუენ // დადუენ „დადვეს“, გამიშუას // გამიშუას „გამიშვას“, თქუა // თქუა „თქვა“, მოთქუამს // მოთქუამს „მოთქვამს“, სუამს // სუამს „სუამს“. ნიმუშები გურული

დიალექტიდანაა დასახელებული. ამ პრინციპით შენაცვლებულ ხმოვანს, ჩვეულებრივ, მახვილი მოუდის: ჩუენ, დაღუნ.

ბ) უ ხმოვანი იცვლება შ / ვ თანხმოვნით: აქაურობა → აქაურობა/აქაერობა (მესხური, აჭარული), დანაშაული → დანაშაული, დეკული → დეკული (აჭარული), მოუკლავს → მოწყლავ, შეუქამია → შეწყამი, მოუცია → მოწყი (ინგილოური), გაუხარდა → გოუხარდა → გოუხარდა (ფერეიდნული), უარი → უარი/ვარი, უარესი → უარესი/ვარესი, შუა → შუა/შვა (იმერული, გურული, აჭარული).

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ შედეგი ერთი და იგივეა (უ → შ / ვ), დიალექტების მიხედვით სხვაობა გვაქვს. მაგალითად, ზმნური უ — პრეფიქსის ცვლილება დადასტურებულია სისტემებრ ინგილოურსა და ფერეიდნულში. სადაურობის — ურ სუფიქსი იცვლება აჭარულსა და მესხურში, შეინიშნება გურულშიც (აქაურობა → აქაურობა), ხოლო მიმლობისეული — ულ სუფიქსის ცვლილება, ჩვეულებრივ, გვხვდება აჭარულში (არჩევა → არჩეული → არჩეული)...

ცვლილებას განიცდის მეორეული უ ხმოვანიც, მიღებული ო-საგან დისიმილაციის საფუძველზე: წამოველი → წამოელი → წამუელი → წამუელი, წამომილი → წამომილი → წაუმილი → წაუმილი, ყოველდღე → ყოელდღე → ყუელდღე → ყუელდღე, აძოვა → აძოა → აძუა → აძუა, ხობოები „ხბოები“ → ხობუები → ხობუები (აჭარული), გადმოვარდა → გადმოარდა → გადმუარდა → გადმუარდა (ქვემოიმერული).

იშვითად ანალოგიური შენაცვლება დადასტურებულია უ:მ შემთხვევაშიც: მ → შ → უ (სიმაური → იმერული, გურული: სიმაური [მ-მ → მ-შ დისიმილაციით] → სიმაური), შდრ. საპირისპირო პროცესი: უ → შ → მ (მოურავი → მოურავი → ლეჩხუმური: მომრავი).

შ უ მონაცვლეობა ზოგჯერ შეპირობებულია ფონეტიკური ნაირსახეობებით სიტყვათშეხამების დონეზე; მაგალითად, მთიულურში დადასტურებულია ამგვარი პარალელური ვარიანტები: არ აქუ // არა აქუ „არ აქვს“ (აქუ ← აქუის, შუ → უ შენაცვლების გზით); ანუ: იმ შემთხვევაში, როცა პარალელურად დაინდება აქუ (-ს), გ-აქუ (—), მ-აქუ-(-ს) ზმნასთან შეხამებული ხმოვნით ან თანხმოვნით დასრულებული ფორმები (არა // არ), შესაბამისი პარალელურში თავს იჩენს შ // უ შენაცვლების მხრივაც. მაშინ კი, როცა ამ ზმნასთან შეხამებულ ფორმას არ ახასიათებს ამ რიგის ვარიაციულობა, შ // უ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს: სახლი აქუ // აქუ (მ. კობაიძე).

ქართული ენის დიალექტების ერთ ნაწილში ფართოდ არის გავრცელებული ი

→ მ, რაც არსებითად არის თანხმოვნით ხმოვნის შეცვლის პროცესი (რითაც ვლინდება მიდრეკილება დიფთონგიზაციისაკენ).

ეს პროცესი დაჩნდება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში:

ა) იცვლება ბრუნვის ნიშნისეული — ი სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში (ქვემოგურული: პანტაი // პანტამ, პანტაის // პანტამს, პანტაით // პანტამთ; აჭარული: ჭოსამ, ჭოსამს, ჭოსამთ; მოხელური: დედამ, ძალომ, შოთამ); შდრ. ძველი ქართული: დედამ, წყარომ...

ბ) ზმნის ხმოვანი პრეფიქსი — უკუქცევითობის ფორმანტი ი - (მოითმინა — ქვემოიერული: მემთფინა, დაიწყო → აჭარული: დფწყო, დაიქნიხება → დემქნიხება); შდრ. ძველი ქართული: ამღეთ (მათე, II, 29); ძველ ქართულში ეს მოვლენა სპორადულად დაჩნდება...

გ) პრეფიქსისეული (უპირატესად ზმნისწინისეული) ხმოვანი (შიართვა → იმერული: შმართვა); უფრო ხშირია მეორეული (ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული ი-ს გადასვლა მ-ში (შეატყო → შიატყო → აჭარული, იმერული: შმატყო, მეორე → მმორე → აჭარული: მიორე; აჭარულშივეა დადასტურებული: გაეტანა → გეტანა → გოეტანა → გმეტანა, შემოეტანა → შამეტანა → შამოეტანა → შამგეტანა)...

დ) ფუძისეული ხმოვანი (წადი → წაი → აჭარული, იმერული, გურული: წამ, იქვე: კარგი → კაი → კამ; აგი → აი → ამ; სეირი → აჭარული: სემირი; მარილი → აჭარული: მაილი → მამლი, გამოვიდა → გამოიდა → აჭარული: გამოდა // გამოდა); ამ პრინციპით იცვლება მეორეული ი ხმოვანიც (ყანა → ყანები → ყანეები → აჭარული, მესხური, გურული: ყანიები → აჭარული: ყანები, ციხეები → ციხიები → ციხეები)...

ე) სუფიქსისეული ი ხმოვანი (გემო → * გემრიერი → გემრიელი → აჭარული: გემრმელი). ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა → იებ და მისთანანი ერთიან ფორმანტად გაიზრება: ბეგი → ბეგები „ბეგები“...

ზოგჯერ უმარცვლო ბგერას (ანუ: თანხმოვანს) უტოლდება მოკლე ხმოვანიც. ეს კარგად ჩანს ლექსებში:

„იდუაჲჲჲ ჭარღაჲსიჲჲ,
დაღმრთენღმრ, ბაცგურც ფაზიაჲ“ (თუშუბი)

ან:

„უკლთ ვარჩ, უნამისახლთ,
შინ დამრთენუმრლ, შავთ“ (იქვე).

ამკარაა, რომ ი და მ თანაბარი ლირებულებიდან ლექსთწყობის თვალსაზრისით — ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოქმნის მარცვალს (თითოეულ სტროფში მ-მ

მარცვალა). შეენიშნავთ: ო დაჩნდება თანხმოვნის, ხოლო მ ხმოვნის მომდევნოდ.

3.45. თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებებში ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით: თანხმოვანთა ის ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც ამჟამად დასტურდება ქართული ენის დიალექტებში, უმეტესად ზედმიწევნით ანალოგიას პოულაბურ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. უეჭველია, რომ ფონეტიკურად ცვლილი ფორმები სამწერლობო ენაში იმდროინდელი დიალექტების შემონატანია.

ნიმუშად წარმოვადგენთ თანხმოვანთა კორულაციის ტიპურ შემთხვევებს.

- ბ → ფ (გაფუცებთ → გაფუცფთ, ნებსით → ნეფსით, შაბათი → შაფათი → რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე).
- პ (დაბრკოლება → დაპრკოლება/დაპკოლება — რეგრესული ასიმილაციით).
- მ (კობდე → კომდე, განვრცობილი → განვრცომილი, დაუქნობელი → დაუქნომელი)...

თავისთავად —ობ → -ომ უცხო არ არის თანამედროვე დიალექტებისთვისაც (მუშაობს → მუშაომს, ფიქრობს → ფიქრომს, თამაშობს → თამაშომს) მაგრამ, როგორც წესი, ეს ხდება თანხმოვნისა (მუშაობს → მუშაომს) და პაუზის (მუშაობ → მუშაომ) წინა პოზიციაში (მდრ.: მუშაობა). ამიტომ, ძველ ქართულში ხმოვნის წინ დადასტურებულ —ობ → -ომ შენაცვლებას სხვა საფუძველი უჩანს. კერძოდ, არ გამოირიცხება, რომ მორფოლოგიური მონაცემი იყოს (მდრ.: დგ-ებ-ი-ს — დგ-ომ-ა, შურ-ებ-ი-ს — შრ-ომ-ა) ზოგ შემთხვევაში, კერძოდ, გან-ვრც-ომ-ილ-ი ფორმაში (მდრ.: გან-ვრც-ომ-ა). რაც შეეხება და-უ-ქნ-ობ-ელ-ი → და-უ-ქნ-ომ-ელ-ი ტიპის ფორმებს, სავარაუდოა ბ → მ მომხდარიყო პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ნაზალური ნ სონანტის გავლენით. ფონეტიკური ცვლილების სხვა შემთხვევები ნიშანდობლივია თანამედროვე დიალექტებისთვისაც.

ა) ხშულები.

ფ → ბ (საფრკე → საბრკე, განცკფრება → განცკბრება).

მდრ.: ფსკერი → ბსკერი და მისთ.

- პ → ბ (პატარა → ბატარა, პარაკლისი → ბარაკლისი, ეპისტოლე → ბისტოლე, ეპისკოპოსი → ბისკოპოსი → რეგრესული დისიმილაციური გამჟღერებით; შეინიშნება ორმხრივი გავლენის შედეგიც: კაპარკი → კაბარკი).
- ტ (ეპიფანე → ბეპიფანე — რეგრესული დისიმილაციით)...

შეენიშნავთ: თანამედროვე დიალექტებში ზემოხსენებული პ — ტ შენაცვლების პოზიციაში პ → კ დაჩნდება (პორფილე → კორფილე); შდრ. თავის მხრივ: ტ → კ (ტიმოთე → კიმოთე).

დ → თ (ესდენი → ესთენი, გადაკდა → გადაკთა — პროგრესული კონტაქტური ასიმილაციით, მისწუდებოდა → მისწუთებოდა — პროგრესული დისტანციური ასიმილაციით, ბრძმედთა → ბრძმეთთა, კრედსაბმელი → კრეთსაბმელი — რეგრესული ასიმილაციით [გვაქვს ასეც: კრეტსაბმელი — სადაც გამვლენელად დაჩნდება თავკიდურა კ ყრუ მკვეთარი ხშულიც], ზეცად → ზეცათ, ვენბათ → პაუზის წინა პოზიციაში).

ტ (კრედსაბმელი → კრეტსაბმელი; აგრეთვე: საყუდელი → საყუტელი - პროგრესული ასიმილაციით, დალადყო → დალატყო - რეგრესული ასიმილაციით).

თ → დ (მღვდელითგან → მღდელიდგან, ვინაითგან → ვინაიდგან - რეგრესული ასიმილაციით).

ტ → თ (ტფილელი → თფილელი - რეგრესული ასიმილაციით).

გ → კ (მოგკა → მოქკა - რეგრესული ასიმილაციით).

ლ (საგოდებელი → სალოდებელი — ხშული გადადის სპირანტში; ჩანს, ს სპირანტის გავლენით; შდრ.: სილოდად „სიმღერად მომთრვალეთაჲ“).

ქ → კ (ლაშქარი → ლაშკარი — პროგრესული დისიმილაციური გამეღერების საფუძველზე).

კ → გ (ნაკრტენი → ნაგრტენი, ზატკი → ზადკი — რეგრესული დისიმილაციური გამეღერებით).

ქ (კათალიკოზი → ქათალიკოზი).

ყ (ტყბილი → ტყბილი → ტყ → ტყჲ პარმონიული კომპლექსის შენაცვლებით).

შეენიშნავთ: კ → ქ ზემოდასახელებულ ფორმაში ორგვარი ზემოქმედების შედეგად: კ-თ → ქ-თ რეგრესული დისტანციური ასიმილაციით და კ-კ → ქ-კ რეგრესული დისიმილაციური გამეღერების საფუძველზე.

ბ) აფრიკატები.

- ძ → ც (უძს → უცს → უც - რეგრესული ასიმილაციით).
 წ (ძოწული → წოწული — რეგრესული ასიმილაციით).
 ზ (ცხრამის კევი → ცხრაზმის კევი — დეზაფრიკატიკაზიით).
 ც → თ (ნაჭურკენი → ნაჭურთენი — დეზაფრიკატიკაზიით).
 ჩ (ფრცხენა: ფრჩხენა; შღრა: ფრჩხილი/ფრცხილი).

ჭ → ჩ (უსჭული → უშჭული → უშჩული — პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე).

ე) ხიზანტები.

- ზ → ძ (საზღვარი → სამზღვარი → სამძღვარი — აფრიკატიკაციის საფუძველზე).
 ს → ზ (ემსგავსა → ემზგავსა — ასიმილაციით).
 შ (დაღის → დაშღის, მსაჭული → მშაჭული, საშუვალ → შაშუვალ — რეგრესული ასიმილაციით).

წ → ჭ (პატრეთა → პატრეთა — აფრიკატიკაციის საფუძველზე).

შ → ს (დაკშეა → დაკსეა → შესაძლოა აქ გვეჯონდეს კშ → კს დისიმილაცია საწარმოთქმო ადგილის მიხედვით).

ღ → ხ (აღუსება → ახუსება — რეგრესული დისტანციური ასიმილაციით).

ხ → ს (განხტედა → * განხქედა → განსქედა → ხქ → სქ რეგრესული დისიმილაცია საწარმოთქმო ადგილის მიხედვით).

ჰ (განხტეღებოდეს → განჰტეღებოდეს — იგივე პროცესია, რაც ხქ → სქ შემთხვევაში დადასტურდა).

კ → ყ (კშირი → ყშირი, დაკშობილი → დაყშობილი — ყრუ ფშვინვიერი თანხმობის დისიმილაციური გამკვეთრების ნიმუშია: ფშვინვიერი + ფშვინვიერი → მკვეთრი + ფშვინვიერი); შღრა. ინგილოური: ფეკი → ფეყ, დანაყოცი → დანაყოცი...

ყ → კ (მეყსეულად → მეკსეულად — ყს → კს რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე).

ვ → მ (ვარსკულავი // ვასკულავი → მასკულავი — რეგრესული დისიმილაციით: ვ-უ-ვ → მ-უ-ვ).

ღ) ხონანტები.

ლ → რ (თაფლუქი → თაფრუქი; შდრ: მკელობლები → მკელობრები — პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე: ლ — ლ → ლ-რ).

ნ (მარმარილო → მარმარინო — ლ → ნ პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ნაზალური მ სონანტის გავლენით).

მ → ნ (ჰამბავი → ჰანბავი, დეკმბერი → დეკენბერი, შამფური → შანფური, ემმანუელ → ენმანუელ — რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის საფუძველზე, წუმწები → წუნწები — რეგრესული დისტანციური დისიმილაციით).

ვ (ემმანუელ → ენმანუელ — რეგრესული დისიმილაციით).

შეენიშნავთ: ანთროპონიმი ემმანუელ ორი ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება, ორივე შემთხვევაში ცვლილება დისიმილაციის საფუძველზე ხდება, ერთ შემთხვევაში საწარმოთქმო ადგილის (მმ → ნმ), მეორე შემთხვევაში რაგვარობის (მმ → ვმ) მიხედვით.

ნ → ლ (ლანკნამ → ლანკლამ — პროგრესული დისიმილაციის გზით: ნ-ნ → ნ-ლ).

მ (ამპარტავანი → ანპარტავანი — დისიმილაცია საწარმოთქმო ადგილის მიხედვით).

რ → ლ (არმური → არმული, ორჯერ → ორჯელ — პროგრესული დისიმილაციით).

ნ (პორფირი → პონფირი — რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: რ-რ → ნ-რ).

თანამედროვე დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ანალოგებს ვადასტურებთ აგრეთვე თანხმოვანთა დაკარგვისა და გაჩენის შემთხვევებში.

ა) იკარგვის უპირატესად სონანტები:

მ თაკვიდურა პოზიციაში: მწუერვალი → წუერვალი...

რ ჩქამიერ თანხმოვნებს შორის: ბრძ → ბრ (ბრძენი → ბძენი), ჩრდ → ჩდ (აჩრდილი → აჩდილი), ზრდ → ზდ (საზრდელი → საზდელი), ღრმ → ღმ (სიღრმე → სიღმე), ვრდ → ვდ (შვერდომილი → შვედომილი), აგრეთვე: კრწნ → კწნ (უკრწნელი → უკწნელი)... ეს პროცესი ფართოდ დაჩნდება თანამედროვე ქართულ დიალექტებშიც. იმავდროულად არის შემთხვევები, როცა რ იკარგვის ორ — ან სამშემადგენლიანი თანხმო-

ვანთკომპლექსების თავკიდურა პოზიციაში (რაც ამჟამად, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება). რჩ → ჩ (ურჩილოება → უჩილოება), რალ → პლ (მსხვერპლი → მსხვეპლი).

დაჩნდება ვ სპირანტის დაკარგვის შემთხვევებიც: ლეს → ლის (აღესილი → აღსილი), ხვდ → ხდ (დაგხვდენ → დაგხდენ), სვლ → სლ (მისვლა → მისლა), კვდ → კდ (კვდომა → კდომა), ყვრ → ყრ (მოყვრობა → მოყრობა)...

ბ) ჩნდება (ვითარდება) ასევე უპირატესად სონანტები იმავე პოზიციებში, სადაც თანამედროვე დიალექტებშიც დასტურდება:

ვითარდება მ:

მბ (ემბანი) — მფ (მფრთოვანი) — მპ (სამპყრობილუ)

მდ (?) — მთ (მთობათვე) — მტ (?)

მგ (მგვერდი) — მქ (?) — მკ (მკერტი)

მძ (მძლით) — მც (მცბიერი) — მწ (მწყნარი)

მზ (მზღვარი) — მს (მსვეტი)

მღ (მღვთის) — მხ (?)...

ვითარდება ნ:

ნდ (წმენდს) — ნთ (?) — ნტ (თიანტრონი)

ნგ (ინგორის) — ნქ (განანქროს) — ნკ (მწინკული)

ნძ (საფუნძველი) — ნც (?) — ნწ (?)...

ვითარდება რ:

რძ (საფურძველი) — რც (მკროცოვანი) რწ (?)

რჭ (?) — რჩ (ჩრჩილი) — რქ (ბრქე)

რე (?) — რმ (დაემრმჭულა)...

შეგნიშნავთ: სონანტი ზოგჯერ თანხმოვანთკომპლექსთა გასათიშად ვითარდება (იხ.: ბქ → ბრქ, ჩჩ → ჩრჩ, მშქ → მშრქ, მკც → მკრც). იმავდროულად სონანტები შეიძლება გაითიშოს ხშულით: მრ → მბრ (ხუმრობს → ხუმბრობს), რაც ხშირია თანამედროვე დიალექტებშიც.

გვაქვს აგრეთვე ბოლოკიდურა (პაუზის წინა) ხმოვნის ნაზალიზაციის შედეგად ნ სონანტის განვითარების შემთხვევებიც: გარეშე → გარეშენ, რაიმე → რაიმენ, აქამომდე → აქამომდენ...

კონტაქტური მეტათეზისის შედარებით უფრო გავრცელებული ნიშნუებია: კრმ → რკმ (კრმალი → რკმალი), აგრეთვე: კმლ → კლმ (კმლის → კლმის) ღრმ → რღმ (სიღრმე → სიღრმე), ქმრ → რქმ (ქმრის → რქმის), დგრ → რღგ (დადგრამა → დადგრამა); ან: ღმრთ → მღრთ (საღმრთა → სამღრთა)... გვხვდება დისტანციური მეტათეზისიც: ღ-რ → რ-ღ (მადლოერი → მადრიელი).

გვაქვს იმ რიგის მოვლენებიც, რომლებიც ფრიად იშვიათი ფონეტიკური ცვლილებების სახით დაჩნდება; მაგალითად წყ → წხ მაშინ, როცა მას ყრუ სპირანტი მოსდევს: წყს → წხს რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე (უსამწყსო → უსამწხსო)...

შეგნიშნავთ, რომ ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები უპირატესად მაინც საერთო ხასიათის ძეგლებში იჩენს თავს (როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე სიგელ-გუჯრებში), თუმცა უცხო არ არის სასულიერო მწერლობის თხზულებებისათვისაც (განსაკუთრებით მოგვიანო პერიოდში).

ზერელე შედარებაც ცხადყოფს, რომ თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების ტენდენცია არსებითად საერთოა ქართული ენის როგორც ისტორიულად საგარაუდო, ასევე თანამედროვე დიალექტებში.

3.46. ზოგადი თვალსაზრისისათვის. ზემოთ წარმოდგენილმა ანალოზმა აჩვენა: დიალექტებში დაჩნდება თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების (უმეტეს წილ ზედმიწევნით განსაზღვრულ) ტენდენციები, შეპირობებული თვით ქართული ენის ბუნებით, კერძოდ, ბგერათშეხამების კანონზომიერებებით. დიალექტების მიხედვით შეიძლება განხორციელდეს ან არ განხორციელდეს ესა თუ ის ტენდენცია, მაგრამ იგი ყოველთვის არსებობს როგორც პოტენცია, რომელიც თავს იჩენს ან ქრონოლოგიურად, ან სივრცობრივ (ანუ: ენის ისტორიული ცვლილების დროს ან დიალექტების დონეზე).

ფონეტიკური ცვლილება ხდება წარმოთქმის გასაადვილებლად და, ამდენად, იგი დაჩნდება მხოლოდ მეტყველების დონეზე. ეს ნიშნავს: ენის დონეზე, მაგალითად, გვაქვს ფორმა მო-ჰ-პარ-ავ-ს (სამვალენტიანი გარდამავალი ზმნა, რომელშიც წარმოდგენილია ორი პირის ნიშანი — პრეფიქსი ირიბი ობიექტისა და სუფიქსი სუბიექტისა), მაგრამ მეტყველების დონეზე (ჩვენს შემთხვევაში — დიალექტების დონეზე) შეუთავსებადია ჰჰ კომპლექსი (შედგენილი ირიბ-ობიექტური პირის ნიშნისა და ზმნის ფუძისეული თავკიდურა თანხმოვნისაგან) მისი დაძლევა (ანუ: სუპერაცია) გულისხმობს გარკვეული ფონეტიკური ცვლილების საჭიროებას. ეს ცვლილება სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს. ეს ნაირსახეობანი, თავის მხრივ, შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე სხვაობდეს დიალექტების მიხედვით. მაგალითად, ზემოხსენებული ჰჰ კომპლექსის სუპერაცია ქართული ენის დიალექტებში ასეთი სახესხვაობებით დაჩნდება:

მოჰპარა →	მოპარა (სალიტერატურო მეტყველება)
	მოხპარა (ხევსურული, თუშური...)
	მოამპარა (ქართლური, კახური...)
	მოფარა (იმერული, ლეჩხუმური, გურული...)

ანუ: ა) იკარგვის ჰ პრეფიქსი (მოპარა), რამაც შესაძლოა საკომპენსაციოდ გააფშვინიფიეროს მომდევნო ყრუ მკვეთრი თანხმომავანი (მოფარა); ბ) ხდება ბგერათშენაცვლება: ან რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ჰპ → ხპ (მოხპარა), ან სპირანტის დასუსტებით ჰპ → მპ (მომპარა).

ეს ცვლილებანი განსხვავებულია დიალექტების მიხედვით (მაგალითად, მომპარა ქართულში დანდება, მოფარა — გურულში), მაგრამ იმავდროულად ცვლილების ერთი და იგივე სახეობა რამდენიმე დიალექტისთვისაა საერთო (მოფარა შეინიშნება იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში, მომპარა — ქართულში, კახურში).

ფონეტიკური ცვლილება ყოველთვის პოზიციითაა შეპირობებული. შესაბამისად ორ შემთხვევასთან გვექნება საქმე.

ა) პოზიცია უცვლელია პარადიმატული რიგის მიხედვით; ამ შემთხვევაში ფონეტიკურად ცვლილი ფორმა დანდება ყველა პარადიგმაში: ბრძანება → ბძანება, და შესაბამისად: ბძანებს, უბძანებს.. ბძანდება, მობძანდება, დაბძანდება... ან: ხზო → ხვო, შესაბამისად: ხვოა, ხვობ, ხვოს, ხვოის...

ბ) პოზიცია იცვლება პარადიმატული რიგის მიხედვით; შესაბამისად განსხვავებულია ფონეტიკური ჩვენბაც სხვადასხვა პარადიგმაში: მოვპარე, მაგრამ: მოხპარე/მომპარე... გაკეთება, გაკეთებულ, მაგრამ: გააკეთებს → გააკეთებს/გაკეთემს/გაკეთენს...

პარადიმატული რიგის მიხედვით განსხვავებული შეიძლება იყოს როგორც ფუძისეული, ასევე ფორმანტისეული თანხმომავნის ფონეტიკური სტატუსი: თოხი, თოხმა, თოხს... (ცვლილება არ ხდება); ძალი → ძალმა → ძალს → ძალს/ძახს... (იცვლება ფუძისეული თანხმომავანი); ქალი, ქალმა, ქალს → ქალც... (იცვლება ფორმანტისეული თანხმომავანი). ნიმუშები გურული დიალექტიდანაა დასახელებული.

ჩვეულებრივ, გავლენას ახდენს ერთი თანხმომავანი მეორეზე, რის შედეგადაც ფონეტიკურად ცვლის მას, თვით კი უცვლელი რჩება. შედარებით უფრო იშვიათად გვაქვს ურთიერთზეგავლენის შემთხვევებიც: საყდარი → საყტარი (პროგრესული ასიმილაციით ხდება მჟღერი თანხმომავნის გადასვლა ყრუ მკვეთარ თანხმომავანში) → სახტარი (რეგრესული დისიმილაციით ყრუ მკვეთრი იცვლება ყრუ ფშვინიფიერი თანხმომავნით). დადასტურებულია გურულშივე (გვხვდება სხვა დიალექტებშიც)

თანხმომავანთა ცვლილება ხდება, ასე ვთქვათ, იერარქიული პრინციპის შესაბამისად: ა) ყოველ საფეხურზე, როგორც წესი, იცვლება ერთი მარკერი: ხატავს → ხატამს (იკვალა რაგვარობა: სპირანტი → სონანტი) → ხატანს (იკვალა საწარმოთქმო ადგილი: წყვილბაგისმიერი → კბილისმიერი); ბ) ყოველ საფეხურზე შეიძლება შეიც-

ვალოს მხოლოდ ერთი თანხმობიანი: საყდარი → საყტარი (ყდ → ყტ პროგრესული ასიმილაციით) → სახტარი (ყტ → ხტ რეგრესული დისიმილაციით). დიალექტში დადასტურებული ცვლილების საბოლოო შედეგისათვის გამამუალებელი საფეხური შესაძლოა წარმოდგენილი იყოს იმავე დიალექტში (მაგალითად, გურულში დაჩნდება როგორც საყტარი, ასევე სახტარი) ან სხვა დიალექტსა თუ კილოკავში (მაგალითად, მესხური ხატანს ფორმისთვის გამამუალებელი ხატამს წარმოდგენილია იმავე მესხურის ზოგიერთ კილოკავში, აგრეთვე ქართლურსა და კახურში).

ფონეტიკური ცვლილების შედეგად ვიღებთ ამა თუ იმ დიალექტისათვის ბუნებრივ ბეგრათშეხამებას (ბეგრათკომპლექსს). ყველა ფონეტიკური პროცესი ამ მიზნით ხდება. დასტურდება შემთხვევები, როცა ერთი და იგივე კომპლექსი სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების შედეგადაა მიღებული. მაგალითად, თფ კომპლექსს იძლევა როგორც თბ (სითბო → სითფო), ასევე თმ (მოთმენა → მოთფენა); ხპ კომპლექსი მიიღება, ერთი მხრივ, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ჰპ კომპლექსისაგან (მოჰპარავს → მოხპარავს), ხოლო, მეორე მხრივ, რეგრესული დისიმილაციის გზით მეორეულ ხფ კომპლექსისაგან (ხბო → ხფო → ხპა); რცხ კომპლექსი ერთ შემთხვევაში იმთავითვე არის მოცემული (სირცხვილი), ხოლო მეორე შემთხვევაში თანხმობის განვითარების შედეგად დაჩნდება (უცხო → ურცხო); ასევე: ნგ კომპლექსი შესაძლოა იმთავითვე იყოს წარმოდგენილი (ჭანგი, წენგო) ანდა მიღებულ იქნას როგორც თანხმობის განვითარებით (აგური → ანგური), ასევე მეტათეზისით (წიგნი → წინგი), ნდ კომპლექსი დაჩნდება, ერთი მხრივ, ნ სონანტის გაჩენით (ხმიანი → ხმიანიდი), მეორე მხრივ, დ ხშულის განვითარებით (ჭიანური → ჭიანიდური) და მისთ.

დასახელებული იყო კონკრეტული ნიმუშები.

იგივე ითქმის თანხმობითშეხამების ზოგადი პრინციპების შესახებ. მაგალითად, შეხამებადია კომპლექსი, შედგენილი ყრუ ფშვინფიერი სპირანტისა და ყრუ მკვეთარი ხშულისაგან. ამ რიგის კომპლექსები შესაძლოა იყოს როგორც პირველადი (სპობს, სტუმარი, სკა, შტო, ლეშკი...), ასევე მეორეული, მიღებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად (სქელი → სკელი, შქერი → შკერი... — პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე)...

მაგალითების გაზრდა უხვად შეიძლებოდა, საკითხის არსი კი, ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნიმუშებითაც ნათელია.

თავი IV
მორფმათა ფონეტიკური ნაირსახეობანი
ქართული ენის დიალექტებში

4.1. მორფმათა ფონეტიკური ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში. ფონეტიკური ცვლილებების კანონზომიერებათა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ ცვლილებათა შედეგად დიალექტებში შესაძლოა დაჩნდეს ერთი და იმავე მორფემის რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობა, რაც სათანადო კომენტარებით ქვემოთ იქნება წარმოდგენილი. შევნიშნავთ: ამჟერად ყურადღებას ვამახვილებთ საკუთრივ მორფმათა ფონეტიკურ ვარიანტებზე და არ ვეხებით (ზოგი გამონაკლისის გარდა) იმ ცვლილებებს, რომელთაც თავის მხრივ მორფემები შეაპირობებენ.

4.2. ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი.

სახელობითი: —ი/-ა/-წ/—ო

მოთხრობითი: —მან/-მა/-მ(// -ნ)/—ო; —ნ(//მ)

მცემითი: —ს/-ჰ/-ა(// -მს, -მპ, -მჰს/—ო/-ც

ნათესაობითი: —ის/-იპ/-იმ(// -იმს, —იმპ/-ი/-მს/იზ/-იწ; ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან: —ს/-ჰ/-ა(// -მს, —მპ, —მჰს), —ზ, —ო

მოკმედებითი: —ით/-ით/-იდ/-ი/-ა; ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან: —თ/-დ

ვითარებითი: —ად/-ათ/-ა(// -აჲ, —აი); ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: —დ/-თ; დაჩნდება აგრეთვე-ე (ზემოიწერულში).

წოდებითი: —ო/-ვ/-უ/ოჲ/—ო

სახელობითი ბრუნვის ნიშანი — ი, ჩვეულებრივ, დაჩნდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: კაც-ი, ქალ-ი, ბაღ-ი, კარ-ი/ხარ-ი, ურემ-ი და მისთ. დიალექტების ერთ ნაწილში გვხვდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც: რა-ი, საქმე-ი (ხევსურული), ვაჟა-ი, ქალა-ი (ფშაური), გუდა-ი, ქალაშავა-ი, წელტიალა-ი (მოხურაი), სარეკლა-ი, კმალა-ი, გიორგა-ი (მთიულურ-გუდამაურუ-

დღი), სუფრა-ი, ლობიო-ი, დრო-ი; გაშენება-ი, მოკრეფა-ი, პატარა-ი, ცოტა-ი; კაციცა-ი; ეხლა-ი, ხვალა-ი (ჭართლურა), მიწა-ი, დრო-ი, ელენე-ი, ცხოვრება-ი (ყახური), შოთა-ი, პეტრე-ი, ნუნუ-ი; ნიშა-ი, შანო-ი (ზოონიმებია); დედა-ი, მამა-ი, ძალო-ი, ძამიკო-ი (ჭავჭავური), რა-ი, ძმა-ი, და-ი, ცა-ი, დანა-ი, რიყე-ი, დრო-ი, გოგო-ი; კაკო-ი, ვარლამა-ი (იმერული); თავს იჩენს მასდარებთან, აბსტრაქტულ სახელებთან, ნაწილაკდართულ რიცხვით სახელებთან და ნაცვალსახელებთანაც: ცხოვრება-ი; კაცობა-ი; ორივე-ი, რამე-ი (უპირატესად — ზემოიმერულში), ძმა-ი, და-ი, ხმა-ი, ცა-ი, ტბა-ი (ტბა), მთა-ი, თმა-ი, რქა-ი; რუა-ი, ცხრა-ი; ჭრა-ი, ცთა-ი (ცდა), ხენა-ი; ხე-ი, რძე-ი; ხფო-ი (ხზო), დრო-ი; ყრუ-ი, ცრუ-ი, ბუ-ი (გურული).

შენიშვნა: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ი ბრუნვის ნიშნის გამოყენების წესი დიალექტების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში) იგი უპირატესად დაჩნდება —ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან: —ა შეიძლება იყოს ძირისეულიც და მაწარმოებელიც (რა-ი, გუდა-ი... ვაე-ი, ქალაშაე-ი...). შემდეგ: გურულში იგი, როგორც წესი, გვხვდება ერთმარცვლიან ფუძეებთან: ძმა-ი, ხმა-ი, ცხრა-ი, ჭრა-ი (მაგრამ: გაჭრა), ცთა-ი (მაგრამ: მოცთა), თვე-ი, დღე-ი, ხფო-ი, ყრუ-ი... —ი ბრუნვის ნიშანი შესაძლოა დაირთოს აგრეთვე —ა-ზე ფუძედაბოლოებულმა ორ— და მეტმარცვლიანმა სახელებმაც, ისიც უპირატესად მაშინ, როცა —ა მორფემა (ან მორფემადაა გააზრებული): ნაფოტა-ი, ტუმარა-ი, პწკალა-ი (ციბე), ბიჯოლა-ი, გულთეთრა-ი... -ი ბრუნვის ნიშანს დაირთავს ის კომპოზიტებიც, რომელთა შემადგენელი მეორე კომპონენტი —ა ხმოვანზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი ფუძეა: ბაბიდა-ი (მამიდა), (რ)კინიგზა-ი... სხვა ხმოვნებზე დაბოლოებულ ორ— და მეტმარცვლიან სახელებთან —ი ბრუნვის ნიშნის გამოყენება გამოირიცხება. არ გვხვდება იგი მაშინაც, როცა —ა არის მასდარის მაწარმოებელი: გაჭრა (შდრ.: ჭრა-ი), გათლა (შდრ.: თლა-ი).

სახელობითი ბრუნვის ნიშნის პოზიციაში -ა დაჩნდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (დიალექტების მიხედვით მისი გამოყენების წესი ანალაგიურია იმისა, რაც ზემოთ ამავე პოზიციაში წარმოდგენილი-ი მორფემის მიმართ აღინიშნა): კმა-ა (ხმა), ჩოკა-ა (ჩოხა), დალიშნა-ა (დანისენა), კსენება-ა (ხსენება), ციხე-ა, დიკლო-ა (ტოპონიმი), წყარო-ა (თუშური), მამა-ა, ქაფა-ა, თხოვნა-ა (ინგილოური დიალექტის კაყური კილოკავი), შოთა-ა, პეტრე-ა; ნიშა-ა, შანო-ა (ზოონიმებია), დედა-ა, მამა-ა, ძალო-ა, ძამიკო-ა (სამცხური), ქალა-ა, დუნუკა-ა

(დანა), კლდე-მ, დურო-ი, ბლუ-მ (რატული დიალექტის გლოლური კილოკავი), ძმა-მ, და-მ, რა-მ, კა-მ (იმერული; თუმცა აქ უპირატესად -ი დაინდება), პანტა-მ, ტუმარა-მ, რძე-მ, ხვო-მ, ყრუ-მ (გურული დიალექტის ოზურგეთული თქმა), ძმა-მ, და-მ, ფთა-მ (ფრთა), თვე-მ, ყრუ-მ; ორ — და მეტმარცვლიან ფუძეებთან: ანა-მ (დედა), პაწა-მ (პატარა), პასანა-მ, შვეთვალწარბა-მ, ზეკიე-მ (ანთროპონიმი), ბაბო-მ (მამა) და მისთ. (აჭარული).

შენიშვნა 1: -ი და -მ ვარიანტების გამოყენების თვალსაზრისით სხვაობენ არა მხოლოდ დიალექტები, არამედ კილოკაეებიცა და თქმებიც. მაგალითად, მესხური დიალექტის სამცხურ კილოკაეში უპირატესად დაინდება -მ (შოთა-მ, დედა-მ, ნიშა-მ), ჯავახურში — -ი (შოთა-ი, დედა-ი, ნიშა-ი). ასევე: პანტა-მ, რძე-მ, ხვო-მ შეინიშნება გურული დიალექტის ოზურგეთულ თქმაში, სხვა თქმებში, ჩვეულებრივ, ამ პოზიციაში —ი გვაქვს.

შენიშვნა 2: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან -ი// -მ მორფემის გამოყენებას ზოგ დიალექტში ფუნქციური დანიშნულება აქვს. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ მესხურში -ი// -მ თავს იჩენს უპირატესად საკუთარ ან მასთან გატოლებულ სახელებთან: შოთა-ი//შოთა-მ, ნიშა-ი//ნიშა-მ... დედა-ი//დედა-მ „დედაჩემო“, მამა-ი//მამა-მ „მამაჩემო“ (შდრ.: მამა-მ მოვიდა „მამაჩემი მოვიდა“, მაგრამ: იმ ბიჭის მამა მოვიდა). დედა-ი, მამა-ი შესაძლოა გამოყენებულ იქნენ ამ მნიშვნელობითაც: „დედაშენი“, „მამაშენი“ არსებითად აქაც საკუთარ სახელთან გათანაბრების ტენდენცია გვაქვს). შემდეგ: აჭარულში საკუთარ სახელებზე -მ-ს დართვა ზოგჯერ განარჩევს ოფიციალურ და კინობით-საალურსო ფორმებს: ესმე, ზეკიე, მაგრამ: ესმე-მ, ზეკიე-მ. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული ტიპის ფუნქციური გამოყენები არცთუ იშვიათად ირლევია.

შენიშვნა 3: -ი// -მ ზოგ დიალექტში განურჩევლად დაერთვის ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ყველა სახელს (არსებითად ასეთი ვითარებაა ქართლურში, კახურში); ზოგ დიალექტში უპირატესად გვხვდება ფუძისეული-ა ხმოვნის მომდევნოდ (ხევსურულში, ფშაურში, მოხურში...); გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს მარცვალთრაოდენობასაც: ჭრა-ი//ჭრა-მ, მაგრამ: გაჭრა, დაჭრა, ჩაჭრა (გურული).

შენიშვნა 4: -მ შესაძლოა იყოს იოტიზებული დამართვის შედეგიც: შორითა-მ,

სარკემელშითა-მ (თუშური), ძვილათა-მ, განგება-მ (ჭემოგურული), ჩუმათალა-მ, მაშენინათველა-მ (აჭარული); შდრ.: მასხარა-მ მიგდებსავე „მასხარად მიგდებსო“ (ინგილოური). ამავე პოზიციაში შესაძლოა დაჩნდეს სრულხმოვანი -ი-ც: ძვილათა-ი, ჩუმათა-ი (ჭემოგურული), შდრ.: ძვილათე, ჩუმათე (ზემოგურული).

სახელობითი ბრუნვის ნიშნის პოზიციაში მოკლე -ჩ დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის (მეტე სიხშირით დაჩნდება ხეცურულსა და თუშურში). გვხვდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: მათრაჟ-ჩ (მათრახი), მაკათ-ჩ (მახათი), მუკლ-ჩ (მუხლი), კალ-ჩ (ხალი), ჭიკვ-ჩ (ჭიხვი), ნაგევი-ი (ნაგავი), ჟამ-ი, ჟანტ-ჩ (თუშური)...

ქართულში სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ჩვეულებრივ, არა გვაქვს ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული): ძმა, და, ცა, მამა, დედა, ხე, ციხე, წყარო, დრო, ყრუ, ძუძუ... ესეც ახალი ქართულის ფაქტია (ძველ ქართულში ამ რიგის სახელებთან წარმოდგენილი იყო —მ). იმავდროულად გამოიყოფა რამდენიმე დიალექტი, სადაც —ი და —ო(ნუ-ლი) ვარიანტების განაწილების სხვაგვარი წესები მოქმედებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი შესაძლოა მოეკვეცოს თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებსაც: ხოგაის მინდი არხოტიონ ყოფილას, ამლიონი. იმათ ნასახლარებ ეხლადაც ას საბეკურისკართ... წინ-წინავე თვალნ ამიხვიენსავე... ფეჭ წაუსვაე ი სისხლის წვეთებსავე (ხევსურული); ერთ კაც ყოფილ დიკლოს. ჩეც ენ ყარაულ დიკლოს თუშებს. წასრულუყენეს თუშნ სისხლის საძიებლად (თუშური); ერთ ჭად წაიყვანეს; აქეთ ხაქონ წაიღეს ლუკებ; იქით კეც იყო; იანვარ გადიოდა; რა ვი, რა დრონ იქნებოდას (ფშაური)...

შენიშვნა 1: -ი მორფემის მოკვეცვა ხდება პაუზის წინა პოზიციაში. მასზე ნაწილაკ-მორფემოიდების დართვისას ან ენკლოტიკის შემთხვევაში იგი აღდგება: კაც მავიდ, მაგრამ: კაც-ი-ე (კაციო), კაც-ი-ლ (კაცილა); კაც-ი-დ ქალ (კაცი და ქალი), კაცებ-ი-ას (კაცებია)...

შენიშვნა 2: -ი მორფემის კვეცის შემთხვევები უპირატესად დაჩნდება კონსტრუქციის თავკიდურა პოზიციაში, შემასმენლის (პრედიკატის) წინ: ხოგაის მინდი არხოტიონ ყოფილას; ერთ კაც ყოფილ დიკლოს... მაგრამ: მავლენ მემრ დასტურნ-ი; აღდეგრძელუმენ დიაცებ-ი; წავიდოდ ის კაც-მ... ანუ: კონსტრუქციის ბოლოკიდურა პოზიციაში (შემასმენლის მომდევნოდ) მეტია -ი მორფემის შენარჩუნების ალბათობა, მით უფრო კონსტრუქციის აბსოლუტურ ბოლოში.

ქართული ენის რამდენიმე დიალექტში სახელობითი ბრუნვის გარეშეა წარმოდგენილი თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული საკუთარი სახელები (ანთარაპონიმები): ადგა ზეფან (რაქული დიალექტის გლოდლური კილოკავი), სამსონ მოსულა გუშხამ, ვახტანგ ღვინაბა სამსონ (გურული), სახელათ ერკვა თინათინ (ჭავჭავური)... ძველი ქართულისებური ვითარებაა, როცა საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშანს არ დაართავდა. ზოგ დიალექტში ამ რიგის ფორმები უპირატესად პოეტური (წიგნური გზით შემოსულ) ტექსტებში დასტურდება (ასეა, მაგალითად, გლოლურში).

სახელობითში ბრუნვის ნიშნის მქონებლობა-უქონლობით შესაძლოა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს ერთი დიალექტის კილოკავებში კი. მაგალითად, რაქული დიალექტის გლოლურ კილოკავში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან შესაძლოა დაჩნდეს -ი → -ა (ქალა-ა, კლდე-ა, დურო-ა, ბლუ-ა), ამავე დიალექტების სხვა კილოკავებისათვის კი ეს მოვლენა დამახასიათებელი არ არის.

რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით არის წარმოდგენილი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანიც.

უძველეს ფორმანტად ივარაუდება -ნ, რომელიც ამჟამად მა-ნ, მაგა-ნ, ვი-ნ ნაცვალსახელებში დაჩნდება (პ. შუხარდტი, ა. შანიძე, არნ. ჩიჭობაგა...). არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც: -ნ წარმოშობით ფუძისეულია ზემოდასახელებულ ფორმებში, ისევე, როგორც შენ, ჩენ, თქვენ ფორმებში. ამ ვარაუდს ზანურის მონაცემიც უჭერს მხარს (ბ. კიკვიძე, დ. მელიქიშვილი...). ამჯერად არ ვხეებით პრობლემის ისტორიულ ასპექტს. თანამედროვე ქართულში კი -ნ აშკარად მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტადაა გააზრებული (მდრა.: მა-ნ, მა-ს, მ-ის... ან: ეგ/მაგ-ი, მაგა-ნ, მაგა-ს, მაგ-ის...). დიალექტებში — უპირატესად დაცულოა, მხოლოდ ზოგ შემთხვევაში -ნ → -მ (იმა-ნ → იმა-მ...), რაც ფონეტიკური მოვლენა ჩანს: წინამავალ მ-სთან პროგრესული ასიმილაციის შედეგი: არაე-იმამ (-იმან უთხრა), არაე-ამამამ (-ამან უთხრა და) რაეკვერც (-როგორც) იქნებოდ, მორიგდეს (-მორიგდენ) თვეში ერთ მანეთად (თუშური).

ნაცვალსახელოური წარმოშობის — მან ბრუნვის ნიშანი ამოსავალი სახით ფრიად იშვიათად დაჩნდება: გამაიარა დედაკაც-მან (კახური), ჭალ-მან დაუძახა (ჭავჭავური)... უპირატესად მინც ზეპირსიტყვიერების არქაულ ნიმუშებში შეინიშნება.

რაც შეეხება -მა და -მ ვარიანტებს, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მათი განაწილება ფონეტიკურად არის შეპირობებული: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან გამოიყენება -მა (კაც-მა, ჭალ-მა, ბიჭ-მა...), ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან —-მ (მამა-მ, დედა-მ, გოგო-მ...). ქართული ენის დიალექტებში ძირითადად სწორედ ეს წესია გატარებული, მაგრამ იმავდროულად

სხვაობაც დაჩნდება.

ამ სხვაობის თვალსაზრისით დიალექტები შესაძლოა ორ ჯგუფად გაიყოს.

ერთ შემთხვევაში ასეთი ვითარებაა: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელე-
ბთან, როგორც წესი, დამოწმებულია-მა (კაც-მა, ბიჭ-მა...), ხმოვანზე ფუძედაბო-
ლოებულ სახელებთან კი პარალელურად გვხვდება როგორც -მ (საერთო წესის
შესაბამისად), ასევე -მა: მელა-მა თქვა, გამოიხედა მამა-მა (რაჭული), სიბერე-მა
დამჩაგრა, დიდხან გამტანა ბრძოლა-მა (ყახური), ხემწიფე-მა თქო, უბასუხა მენახი-
რე-მა (ქართლური), უთხრა ძმა-მა (იმერული), ძმა-მა უთხრა, ესტუმრა უფროსმა
ცოლისძმა-მა (გურული)...

შენიშვნა: ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან - მ მორფემის გამოყენების
თვალსაზრისით ზოგჯერ იღანდება გარკვეული კანონზომიერება. მა-
გალითად, გურულში (ასევე: აჭარულში) -მა უპირატესად დაჩნდება
ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ იმ სახელებთან, რომლებიც სახელო-
ბითში -ი (// -მ) მორფემით არიან წარმოდგენილი: ძმა-ი, და-ი, ხმა-ი,
დღე-ი, ხფო-ი, ცრუ-ი... და შესაბამისად: ძმა-მა, და-მა, ხმა-მა, დღე-
მა, ხფო-მა, ცრუ-მა...

მეორე შემთხვევაში -მ გვხვდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან:
ნაც: ღმერთ-მ ნურა მიადინას (ხევსურული), ჯარ-მ შავსრულ იმის ბრძანებანი,
მურთაზ-მ შავ გროვ მთელ ქისტეთის ჯარზე, ფარმანელებ-მ გაც გესა-დ ციხეში შიფ-
ბა ზნენს (თუშური)...

შენიშვნა I. ამ ტიპის სახელებთან -მა ყოველთვის წარმოდგენილია მაშინ, როცა
მას ნაწილაკ-მორფემოიდი დაერთვის ან ენკლიტიკასთან გვაქვს საქ-
მე: ღმერთ-მა-ვ (ღმერთმარ) ჯარ-მა-დ (ჯარმა და...). ამ პოზიციაში -მა
დაჩნდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც: თქვისავ ხო-
გაის მინდი-მა-ვ, მქედლურა-მა-დ მშავლებ-მ დაუწყეს ერცხვას თო-
ფვაი (ხევსურული), მეშვიდე წელსავ ტყე-მა-ვ ფოთოლი აღარ გამჩ -
ცსხავ (თუშური).

შენიშვნა II. -მ/-მა მონაცვლეობას შეაპირობებს კონსტრუქციაში სახელის პო-
ზიციაც, ანალოგიურად იმისა, რაც სახელობითი ბრუნვის მიმართ
აღინიშნა (იხ. აქვე, ზემოთ): -მ უპირატესად თავკიდურა პოზიციაში
(შემასმენლის წინ) დაჩნდება, როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე
ფუძედაბოლოებულ სახელებთან.

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან მესხერში ზოგჯერ დამოწმებულია

-მ → -ნ (პულზისა ან თანხმოვნის წინა პოზიციაში ამ დიალექტისათვის ნიშანდობლივი საერთო წესის შესაბამისად): დედა-მ → დედა-ნ, დედა-მ-ც → დედა-ნ-ც...

ზოგერთ დიალექტში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე შესაძლოა წარმოადგენილი იყოს ადამიანის საკუთარი სახელი (ანთარაპონიმი). ანალოგიური ვითარებაა სახელობით ბრუნვაშიც (იხ. აჭყე, ზემოთ): ადგა ბეყან (სახელობითი); შდრ.: ბეყან (მოთხრობითი) ესროლა ისარი; ამირან (წიხლი ჩაპკრა (რაჭული დიალექტის გდოლური კილოაკავი), სამსონ (სახელობითი) მოსულა გუშხამ; შდრ.: ვახტანგ (მოთხრობითი) დეინახა სამსონ; დავით გამეიარა და თქუა (გურული)...

დიალექტების მიხედვით განსხვავებულ ფონეტიკურ ვარიანტებს იძლევა მიცემითი ბრუნვის ნიშანი.

-ს → | -ჰ → -მ (//-მს // -მჰ// -მჰს)
 |
 — 0

ეს ცვლილება ერთი და იმავე ფონეტიკური ტენდენციის შედეგია (ნაპრალოვანი ს თანხმოვნის დასუსტება და სრული დაკარგვა). დაჩნდება უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, რომლებიც ამ თვალსაზრისით ცვლილების სხვადასხვა საფეხურზეა წარმოდგენილი.

ს-ს დასუსტების ტენდენცია დადასტურებულია ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან:

-ს → -ჰ მესხურში: რას → რაჰ, ძმას → ძმაჰ, ხელმწიფეს → ხენწიფჰ;

-ს → -ჰ → მ// -მს — // -მჰ// -მჰს ქართულურში (ჩვეულებრივ, ქვემოქართლურში): დედას → დედაჰ → დედამ // დედამს // დედამჰ // დედამჰს... შეენიშნათ: მს, მჰ, მჰს კომპლექსებით გადმოიციემა „რთული“ შედგენილობის ბგერა, რომელსაც ახასიათებს მ-ის შემართვა და ს-ს ან ჰ-ს დამართვა;

უპირატესად -ს → -მ ქართლურში, კახურში: იმას⁰ → იმამ, გოგოს → გოგომ (შდრ. წინა ვარიანტი)...

შენიშვნა 1. ზოგ დიალექტში დამოწმებულია ოდენ „რთული“ ნაირსახეობა (სრული ვარიანტის პარალელურად. ნიმუშად ასახელებენ, მაგალითად, მთიულურში დამოწმებულ ფორმებს: სიზმარას → სიზმარამს (ანუ: ს → მს).

შენიშვნა 2. მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზოგ დიალექტში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან შესაძლოა სრულად რედუცირდეს: იმა (- იმას) უთხარი რაცხა (აჭარული); იმა (=იმას) მოყვებიან (რაჭული დიალექტის რიგენისთაური კილოაკავი); მაგა (=მაგას) დავეკრი (ზემოიხმერული). როგორც წესი, შეინიშნება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ნაცვალსახე-

ლებთან. ანალოგიური ვითარებაა ქვემოქართლურშიც, ოღონდ მავრ-
რცობი ხმოვნის წინა პოზიციაში: სახლა (←სახლსა) ვგვიღი.

შენიშვნა 3: იმ დიალექტებში, სადაც მიკვემითი ბრუნვის ნიშანი -ს → -ა, გამოი-
რიცხება სახელობით ბრუნვაში -ი → -ა (ან -ი არის შენარჩუნებული:
დედა-ი, ან საერთოდ მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი: დედა). ერთგვა-
რად გამოინაკლის წარმოადგენს ინგილოური, სადაც შესაძლოა და-
ჩნდეს როგორც -ი → -ა (მაში → მამამ, კალი → კალიამ), ასევე: -ს →
-ა ქელას → მელამ: მელამ მუცლის ტკივილიც ეეს ყოფილ).

შენიშვნა 4: ანალოგიური ცვლილება მოუდის იმ -ს ელემენტსაც, რომელიც
ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან ნათესაობითი
ბრუნვის -ის მორფემის ნაირსახეობას წარმოადგენს: წყაროს (შდრ.:
მდინარის) წყალი → წყაროჰ // წყაროა // წყაროას... წყალო...

-ს იკარგვის თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: დედას → დედამ,
მმას → მმამ, მაგრამ: ქალს → ქალ, ოჯახს → ოჯახ, ქალაქს → ქალაქ (ქართლური: „ქალაქ
ფიჟა“). დადასტურებულა ყველა იმ დიალექტში, სადაც ხმოვანზე ფუძედაბოლოე-
ბულ სახელებთან დაჩნდება ს → ჰ / ა. ამით გარდა, შეინიშნება სხვა დიალექტებშიც,
უპირატესად, მაშინ, როცა გამოიხატება ადგილისა და დროის გარემოება. მაგრამ,
როგორც წესი, შენარჩუნებულია ქვემდებარედ და პირმიმართ დამატებებდ გამო-
ყენებულ სახელებთან); მაგალითად, ფშაური: თიანეთს მიდის → თიანეთ... ამ
ზამთარს ადრე ჩამოთოვა → ამ ზამთარ... (გ. ცოკანიძე), რაჭული: ასე ეწვებოდი
ზამთარ (-ზამთარს, ზამთარში), ზაფხულ (-ზაფხულს, ზაფხულში) კი ლეიბები
გჭონდა (რეინისტაური კილოკავი)... ზოგ დიალექტში შესაძლოა დაიკარგოს კონს-
ტრუქციის პირმიმართ წვერებთანაც (აქტანტებთან): ლაპაროკ (-ლაპარაკს), დემწყე-
ბენ, ფირალუმ (=ფირალუმს) გმეღვიძა (აჭარული) და მისთ.

შენიშვნა: ზოგჯერ -ს და -მ მონაცვლეობას ვადასტურებთ იმ დიალექტებშიც,
რომელთათვისაც არ არის ნიშანდობლივი ს → ა ფონეტიკური გარ-
დაქმნა: ერსალაკას // ერსალაკა // ერსალაკამ „ერთვან, ერთ ადგი-
ლას“ (გურული). შესაძლოა ამ შემთხვევაში ხმოვნის იოტიზებულ
დამართავსთან გჭონდეს საქმე (ს-ს მოკვეცის შემდგომ); შდრ.: ძვი-
ლამ „ძლივას“, ნელათამ „ნელა, ნელად“, განგებამ „განგებ“, შენთვი-
ნამ „შენთვის“... არ გამოირიცხება ისიც, რომ -მ იყოს სახელობითი
ბრუნვის ნიშანთან გატოლებული დანართი (ჩვეულებრივია ა-ს ად-

გილას სრულხმოვანი -ი: ერსალაკაი, ძვილაი, ნელათაი); ამას ის გვაფიქრებინებს, რომ -ი დაჩნდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ფორმებთანაც: ძალიანი (-ძალიანი) გაკუჭტა („გაბრაზდა“).

გურულში ფუძისეული ლ სონანტის მომდევნოდ -ს → -ც: სულს → სულც
სადილს → სადილც, ადგილს → არდგილც („უბერავეს სულც“)...

შენიშვნა I: მიცემით ბრუნვაში -ც დაჩნდება დ, ტ, თ თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთანაც: ბედს → ბეთს → ბეც, ბატს → ბათს → ბაც, ლმერთს → ლმერც. ამ შემთხვევაში გვაქვს ხშული და ნაპრალოვანი თანხმოვნებით შედგენილი კომპლექსის შენაცვლება შესაბამისი აფრიკატით (დს და ტს კომპლექსების შემთხვევაში შენაცვლებას წინ უსწრებს რეგრესული ასიმილაცია). მეტ-ნაკლებად შეინიშნება თითქმის ყველა დიალექტში. რასაკვირველია, აქ სულ სხვა რიგის ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე.

შენიშვნა 2: მიცემით ბრუნვაში -ს → -ც დაჩნდება მეგრულშიც (ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კლოკავში) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: ოსურს → ოსურც „ქალს“, სოფელს → სოფელც, ჩხომს → ჩხომც „თევზს“, ხანს → ხანც... ასე რომ, მეგრულში -ს → -ც უფრო ფართო მასშტაბით იჩენს თავს.

შენიშვნა 3: თავის მხრივ -ს რეგრესული ასიმილაციით აფშენივიერებს წინამავალ მეღერ ან ყრუ მკვეთარ თანხმოვანს: კარებს → კარეფს, ჯოგს → ჯოქს, ნაბიჭს → ნაბიჩს... ტყუბს → ტყუფს, თოკს → თოქს, ბეჭს → ბეჩს...

რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება დიალექტებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც.

ცვლილება:

—ის → | —იპ → ია (// —იპპ/—იპპ)
 | —ი

ხდება იმავე პრინციპით. მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკურ ნაირსახეობათა მიმართ იქნა აღნიშნული:

—ის → —იპ გვხვდება მესსურში: ხის ძირი → ხიპ ძირი, თავის(ი) ქალი → თავიპ ქალი;

—ის → —იპ/—იპ (და მათი კონტამინირებული ვარიანტები: იის // იიპ) დაჩნდება უპირატესად ქართლურსა და კახურში: ქალისთვის → ქალიპთვინა // ქალიისთვი-

ნა//ქალიძთენა (ქართლური), პურიჲ ჳამა, რკინიჲ კარი, იმიძთენ (ყახური)... ჩვეულბარიჲ, ეს პროცესი სრულდება -ს სპირანტის მოკვეციოთ: ქალითენა; პური ჳამა;

-ის → -ი დამოწმებულაჲ ქართული დიალექტების უმეტეს ნაწილში: მჲყვლი ბურჭები, კემწიფი ქალი (მთიულური), გუთნი დედაბოძი, წისჭვილი ჳეა, წყლი ძალა (ქართლური), ირში რჳა, ყანი მკა (ყახური), მამლი ნაყიჲ თარაფში „მამლის დანაყივლებ მხარეში (ინგილოური), თათრი ჳარი, თამარ დედოფლი დროსაო, გღვხეზი წუხარება (მესხური), ცეცხლი სიახლოეს, მიწი კეცები, რივნი პირ(ს) გამიყვანეთაო (რაჭული), გუთნი კვალი, გული ჳავრი, ბეღლი თაგზე (იმერული; უპირატესად ასეთი ვითარებაა ზემოიმერულში), ტუი კაცი, რკინი ჳალაბანი; გლახა ცოლი პატრონი(ს) სატირალში რა უნდა, სატირალი სახში აქო, კარჳი ცოლი პატრონი(ს) ქორწილში რა უნდა, ქორწილი სახში აქო (ღეჩხუმური), წინდი ჩხირი, ყანი ბატონი („ყანის პატრონი“), ცხვარი ხორცი (აჭარული; უპირატესად დაჩნდება ზემოაქარულში); მოჳდა წისჭვილი კარში, ქოროლი ბეგები (იმერხული)...

შენიშვნა 1: როგორც -ის → -ი/-იმ (და მათი სხვა ფონეტიკური ვარიაციები), ასევე -ის → -ი თავს იჩენს პაუზის ან თანხმოვნის წინა პოზიციაში: ქალის მამა → ქალიძ/ქალიჲ მამა, ქალისთვის → ქალიძთენა/ქალიძთენა... ქალი მამა, ქალითენა... მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნის წინ -ის მორაფემა, წესისამებრ, უცვლელადაა წარმოდგენილი: მამა ამ ქალისა /ქალისი.

შენიშვნა 2: ერთსა და იმავე ტექსტში, ერთი და იმავე პირის მეტყველებაში ერთმანეთის პარალელურად შესაძლოა დაჩნდეს როგორც ფონეტიკურად უცვლელი - ის, ასევე მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი. ნიმუშად ქართლურის ტექსტს დავასახელებთ: „წისჭვილი ჳეა ორ ნაჭრათ არი: ერთი დედაჳა, მეორე ძირი ჳეა. წყალი საღორეში (საღვარეში) ჩავარდება. იჳ წისჭვილის ბორბალი აჳე... მარცოლი ჩამოდის, კრიჳში გამჳა, წისჭვილი ყელში ჩადის...“ ან: „ჩვენთან ახლო თეთარი მდევიაო, იმის მინდორში არ შაუშვაო (ცხვარი), შავიაო, შვილო, კიდევიაო მდევიაო და არც იმი მინდორში შაუშვა“.

შენიშვნა 3: იშვიათად შესაძლოა მთლიანად მოიკვეციოს -ის მორაფემა: პურის ჳამა → პური ჳამამ (ინგილოური).

დიალექტების ერთ ნაწილში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელე-

ბთან სრული სახით არის წარმოდგენილი ნათესაობითი ბრუნვის -ის მორფემა: დროშა-ის, ყბა-ის, წყარო-ის, რუ-ის...

შენიშვნა: ამ შემთხვევაში არ განიჩნევა საერთოდ უკვეცელი სახელები (წყარო, რუ; შდრ.: წყარო-ს-ი, რუ-ს-ი) და ის სახელები, რომლებიც ოდნე ამა თუ იმ დიალექტში დაჩნდება უკვეცელი სახით (დროშა, ყბა; შდრ.: დროშ-ის, ყბ-ის).

ეს მოვლენა დიალექტების საკმაოდ დიდ ნაწილში იჩენს თავს, თუმცა სხვადასხვა დიალექტში უკვეცელობის შემაპირობებელი ფაქტორები შესაძლავა სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ხევსურულში უკვეცელია როგორც -ო და -უ, ასევე -ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული საზოგადო და საკუთარი სახელები (-ა შესაძლავა ძირისფულოც იყოს და მაწარმოებელიც): დროშაის ტარი, ჭადაისკე... უჭმრუაის ქალი... ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა დიალექტებშიც: დარიფანაის ბოძი „დრეფენის ბოძი“ შკოლაის თავიჩი „სკოლის თავში“ (მოხეური), ეშმაკთ-ცხენაის კეხი, რაისარა იყვის (ფშაური). გვხვდება ბარის დიალექტებშიც: ჩადაის // ჩადაი კენძი (კახური)... გურულხა და ჭვემოხმერულში უკვეცელობის ტენდენციას იჩენენ ერთ და ორმარკვლიანი ფუძეები, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ხმოვანზე ბოლოვდებიან ისინი: რაის მიზეზია, თუ იცი? ჩემი დაის ბალანეა, კტეის ძირში, დეღეის პირას, ახანოის თავზე, დედაჩემის ჭუჭუის მადმა და ა.შ. ამგვარად ჩვენთვის საყურადღებოა თავად ის ფაქტი, რომ უკვეცელ სახელთან სრული სახით დაჩნდება ნათესაობით ბრუნვის -ის მორფემა. სწორედ ამ პოზიციაშია დამოწმებული ზოგ დიალექტსა თუ კილოკავში -ის → მს: ნაგულაის მატყლი, კატაის თათები, ბებერაის ბუდე, სიშარაის ხალხი (მთიულური), დემდაის ნაჩუქარი (ინგილოური), ვაჟაის ცოლი, ყველაის კარზე, ხემს სიმსხო, წყაროის თავზე (რაჭული, გლოლური კილოკავი), ტააის პირზე, დეღემის ბოლოს, ხომის ხორცი (გურული, ოზურგეთული თქმა), ჭოსაის მანები, ხაცოღემის დაბარებული, ტუნგოის წაღება (აჭარული). იშვიათად დაჩნდება -ის → -ჲ შემთხვევებიც: შიშაჲ დაგრუები დროზე „შემის დაგროვების დროს“ (ინგილოური).

შენიშვნა 1: ფუძეუკვეცელ სახელბთან სრული ან ნაწილობრივ რედუცირებული სახით → მს/-მს, ჩვეულებრივ, დაჩნდება მაშინ, როცა სახელობით ბრუნვაშიც შესაბამისად გვაქვს —ი/-ჲ: დროშა-ი → დროშა-ის, დელე-ჲ → დელე-მს.

შენიშვნა 2: -ის → -მს (ანუ: ი → მ), როგორც წესი, არ შეინიშნება იმ დიალექტებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ს → მ; ანუ: კახურში გვექნება

ჩალა-ის (შდრ.: ჩალა-ს → ჩალა-მ მიცემით ბრუნვაში, გზ-ის პირას → გზ-იმ პირამ), მაგრამ გურულში თქმების მიხედვით გვექნება: ტპა-ის/ტპა-მს, ლელუ-ის/ლელუ-მს (რადგან ამ დიალექტისათვის უცხოა ს → მ პრაოცესი). -ის → -მს არ შეინიშნება იმ დიალექტებშიც, სადაც არც სხვა პოზიციებში ივარაუდება ი → მ (ხეცურული). თუმცა გვაქვს ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც, მაგალითად, მთიულურსა და ინგილოურში, სადაც დამოწმებულია როგორც ი → მ, ასევე ს → მ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მთიულურში უფრო ხშირია ს → მ, ინგილოურში, პირიქით, ი → მ.

შენიშვნა 3: უკვეცელ სახელებთან დადასტურებული -ის / -მს შემდგომ საფეხურზე ორგვარ შედეგს იძლევა: ხდება ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძის კვეცა: დროშა-ის → დროშ-ის, ლელუ-ის → ლელ-ის; ან პირიქით: ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან რედუცირდება ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი: წყარო-მს → წყარო-ს, ცრუ-მს → ცრუ-ს (// წყარო-ს-ი, ცრუ-ს-ი). ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი ზოგ დიალექტში რედუცირებულია ა-ზე დაბოლოებულ სახელებთანაც: ჭა-ის პირზე → ჭა-ს პირზე (ფერეიდნული).

შენიშვნა 4: რედუქციის შემთხვევები არც ერთ დიალექტში არ არის ცალსახად წარმოდგენილი. მაგალითად, ხეცურულში დაჩნდება როგორც დროშა-ის, წიქა-ის (ანთროპონიმი), ასევე: ძმ-ის, კლდ-ის (შდრ.: ძმა, კლდე), როგორც ჭვარ-ის, ასევე: ჭონ-ის (შდრ.: ჭლან-ი).

შენიშვნა 5: -ის → -მს ფუძეუკვეცელ სახელებთან ძველი ქართულის ნორმაა, მაგრამ თანამედროვე დიალექტებთან სრული თანხედრა მინც არა გვაქვს. მაგალითად, ორივე შემთხვევაში დამოწმებულია წყარო-მს, ძუძუ-მს, მაგრამ: ტბ-ის, დედ-ის — ძველ ქართულში, ხოლო ტპა-მს, დედა-მს — დიალექტებში; ანუ: ფონეტიკური წესი იდენტურია, სხვაობა კი იმით ვლინდება, თუ რომელი ფუძე ექვემდებარება ან არ ექვემდებარება კვეცას. ახალ ქართულში (ზოგი დიალექტის გარდა) ვითარება შეიცვალა: ფუძეუკვეცელ სახელებთან წარმოდგენილია -ის მორფემის რედუცირებული ვარიანტი -ს: წყარო-ს წყალი, ცრუ-ს დაპირება (შდრ.: წყარო-მს, ცრუ-მს).

-ის → -იზ საერთო-ქართული მოვლენაა მედერი თანხმოვნის წინა პოზიციისში

(დაჩნდება თანდებულებთან და ენკლოტიკის შემთხვევაში): ძმისგან → ძმიზგან, ძმის გამო → ძმიზ-გამო, ძმის გარდა → ძმიზ გარდა; ცხვრის ღეშა → ცხვრიზ-ღეშა და მისთ. ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან შესაბამისად დაჩნდება -ს → -ზ: ყრუ-ს-გან → ყრუ-ზ-გან.

-ის → -იწ შეინიშნება ქვემოიერულში -კენ → -ყენ თანდებულების წინ: სახლისკენ → სახლისყენ → სახლიწყენ, მთისკენ → მთისყენ → მთიწყენ (სამტრედილო და ხონური თქმები).

შენიშვნა 1: ქვემოიერულში გავრცელებულია აგრეთვე - კენ თანდებულის -კე // -კედ ნაირსახეობანი.

შენიშვნა 2: -კენ თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობა — ყენ// -ყენა// -ყე// -ყ გვხვდება აგრეთვე გარეკახურში, ინგილოურსა და ფერეიდ-ნულში (ბაზრისყენ, საგარეჯოსაყე, შინაყ „შინისკენ“), მაგრამ ამ დიალექტებში ბურჯისნიშნისეული თანხმონის ცვლილებას არ იწვევს.

შენიშვნა 3: ქვემოიერულში ეგვე ცვლილება დაჩნდება ზმნებშიც, პირის ნიშნისეული -ს და მრავლობითი რიცხვის -ყენ მორფემოიდის შეხვედრისას: დაიძახეს-ყენ → დეიძახეწ-ყენ, აქეს-ყენ → აქეწ-ყენ „აქეთ“.

რაც შეეხება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან წარმოდგენილ -ს ვარიანტს (წყარო-ს წყალი, ოქროს-ს ბურთი), როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი ზედმიწევნით ანალოგიურია იმისა, რაც მიცემითი ბრუნვის -ს მორფემის შემთხვევაში იქნა დადასტურებული: წყარო-ს/წყარო-პ/წყარო-მ // წყარო-მს // წყარო-მპ // წყარო-მპს წყალი). დიალექტური განაწილებაც ზემოხსენებულის იდენტურია.

შენიშვნა: რა თქმა უნდა, აქ გამოირიცხება გურულში დამოწმებული -ს. → -ც (სულ-ს → სულ-ც), რაც მხოლოდ ლ სონანტის მომდევნოდ დაჩნდება.

დიალექტებში ფონეტიკური ნაირსახეობებით არის წარმოდგენილი მოკმედებითი ბრუნვის ნიშანიც.

-ით → -ით დაჩნდება ყველა იმ პოზიციაში, სადაც დადასტურებულია -ის → -ის ნათესაობით ბრუნვაში (იხ. აქვე, ზემოთ). დიალექტების მიხედვით განაწილებაც ზემოხსენებულის ანალოგიურია: სარეკლამით (მთოულური), სუფრამათი (ინგილოური), დილამით, რძემით, ერბომით (რაჭულდ; გლოლური კილოკავი), ყბამით, ღელემით, ყრუმით (გურულდ; ოზურგეთული თქმა), ქოსამით, საცოლუმით, ტუნგომით (აჭარულდ).

შენიშვნა: ინგილოურში დამოწმებული ბოლოკიდურა -ი გამოყენებული ჩანს მავრცობი ხმოვნის დანიშნულებით, რაც ჩვეულებრივია მაშინ, როცა ფუძეუკვეცელ სახელთან ხდება ბრუნვის ნიშნისეული ხმოვნის რედუქცია: წყარო-ით, ერბო-ით → წყარო-თ-ი ერბო-თ-ი (შდრ.: სუფრა-ათ-ი, შინა-ათ-ი — იგივე მოვლენა დაჩნდა ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციის შემთხვევაშიც).

ფრიად იშვიათია -ით → -ი და -ათ → -ა (ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ელემენტის მოკვეცა). ორივე ნაირსახეობა დადასტურებულია ინგილოურ დიალექტში: ურში (-ურშით) ვზიდავთ, დალუვი-დალუვი (დალუვა-დალუვით, ანუ: სმით) მიდიოდენენ... კაი ზედაჲ (-კაის ზედაით, ზემოდან) გადავდა... შდრ. ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული -ის → -ი (ხის სახლი → ხი სახლი) და —ას → -ა (შიშაჲ დაგრუები დროზე „შემის დაგროვების დროს“).

-ით → -იდ საერთო-ქართული მოვლენაა მედერი თანხმონის წინა პოზიციაში; ჩვეულებრივ, დაჩნდება -გან თანდებულისა და მისი ფონეტიკური ვარიანტების გამოყენებისას: სახლ-ით-გან → სახლ-იდ-გან → სახლ-იდ-ან (ქართლური, კახური, გურული) / სახლ-იდ-გინ (ჭვემოიმერული), წასვლ-ით-გან → (წასვლ-იდ-გე „წასვლის შემდეგ“ (ხევსურული).

-იდ → -ად უკვეცელ სახელებთან მედერი თანხმონის წინ (ანალოგიურად -ით → -იდ ვარიანტისა): ლელუ-ით-გან → ლელუ-ად-ან. შესაძლოა მოხდეს მეტათეზისი: ლელუ-ად-ან → ლელადან (აჭარული).

-ით → -თ (მედერი თანხმონის წინა პოზიციაში: -იდ → -დ) ასევე საერთო-ქართული მოვლენაა (-თ ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, დაირთავს -ი მავრცობ ხმოვანს): ვაეა-ით → ვაეა-თ-ი, წყარო-ით → წყარო-თ-ი... წყარო-თ-გან → წყარო-დ-გან → წყარო-დ-ან / წყარო-დ-გინ...

რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით წარმოჩნდება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი.

დიალექტების აბსოლუტურ უმეტესობაში ვითარებითი ბრუნვის ნიშანი პაუზის წინა პოზიციაში წარმოდგენილია როგორც: -ათ (შესაბამისად, ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან: -დ → -თ): კაც-ად → კაც-ათ, ხილ-ად → ხილ-ათ, კარგ-ად, კარგ-ათ (ხე-დ → ხე-თ, წყარო-დ → წყარო-თ). არსებითად ესაა საერთო-ქართული მოვლენა (პაუზის წინა პოზიციაში მედერის დაყრუება). -ად / -დ შესაძლოა დაჩნდეს მავრცობი ხმოვნის წინ (კაც-ად-ა, კარგ-ად-ა), თუმცა ხშირად აქაც

დამოწმებულია -თ (კაც-ათ-ა, კარგ-ათ-ა/კარქ-ათ-ა). იმავდროულად ზოგ დიალექტში პაუზის წინა პოზიციაშიც, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია ამოსავალი ვითარება: გწყალობდასთ ყველას სოფელს სოფელეულად, რაიც მოპარული აქვ, შვიდეულად უნდა ჩაბარას პატრონს, ეგ გაქირება დღეს ერთის კარად ას, ხვალ სხვას მიუდგების, ყანასა თაოდ მახმკიან, ძნასა თაოდ შახყრიან; ძლოე ჩამა-გიგდეს კელად... ანალოგიური მდგომარეობაა ნანათესაობითარი ვითარებითის შემთხვევაში: უთქომ დედ-ის-ად; ამ დღ-ის-ად მზას იყვენით... ასეთივე ვითარებაა კუთვნილებით ნაცვალსახელებზე -ად/-დ მორფემის დართვის შემთხვევაშიც: შენ ჩვენ-დ (-ჩვენად, ჩვენთვის), ამბობ, შენ-დ (-შენ-ად, შენთვის) მაკვდა (ხევსურული); ცრემლს ნამად გადმოგაყრიან, უფელად ვემარჯართ მტრისად; ტყვედ წაიყვანეს, სამხვეწროდ მამიყვანავის თეთრი ქორაი კარიო, მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი (ფშაური); ლუკებ შემოდენილან მაქ, თუშეთ, ჭურდულად; ერთ დიაცუ გარეთ გამოსრულიყჷ ხალხი-ხად ეთქვ (თუშური)...

დიალექტების ერთ ნაწილში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის პოზიციაში დაჩნდება ოდენ -ა (შვენიშნავთ, რომ აქ არ იგულისხმება საერთო გავრცელების ფორმები: ჩქარ-ა, ნელ-ა, დაბლ-ა, მაღლ-ა და მისთ:: მდრ.: ჩქარ-ი, ნელ-ი, მაღალ-ი, დაბალ-ი). -ად მორფემის პოზიციაში -ა უფრო ხშირად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში გვხვდება: სადილა დააცხობენ კეცულუბს, ადვილა სამოვარია, ყანის სამკალა შაგროებენ ქალ-ვაეთ, წინ-წინ შულლა გამქდელს დაგაკვლეთ კურეტს, დედამათ ჩემა ძალად დაიქირესავ ლიშანიე (ხევსურული); ეხლა ეს ყინჩა გამამყება, ის ლამაზა იუბნებს, კარგა გაიღუწება, ბაღლ რარიგა დამპკარგევ (ფშაური); თუშურავ ყველს ავეთებენ რაცგვერც ძროხისძ, მაგრეე ცხერის ზისას. პირველავ ზეს (-რძეს) გონთ (-კარგად) გასწურვენ (თუშური)...

-ად → -ა ჩვეულებრივი მოვლენაა - იან სუფიქსით გართულებულ ფუძეებთან: ცოლმეილიან-ად → ცოლმეილიან-ა.

იმ დიალექტებში, რომლებსთვისაც დამახასიათებელია ვა → ო ცვლილება, ფუძისეულ ვ თანხმოვანთან -ად ფორმანტის შეხვედრისას შესაძლოა დაჩნდეს ამ პროცესის შედეგი: თავ-ად → თაოდ, მასაწვერავ-ად → მასაწვერაოდ (ხევსურული)...

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის პოზიციაში ზოგჯერ წარმოდგენილია -ე: მალ-ე (მდრ.: მალ-ი; „მეომარი ხარ მკვირცხლი და მალი“); ძველი ქართული: მალიად (მდრ.: ნელიად/ნელად → ახალი ქართული: ნელა). დიალექტების უმეტესობაში მალ-ე ამ ტიპის ერთადერთი ფორმაა, ზოგ დიალექტში კი - ე დაჩნდება სხვა ფორმებშიც: მარტვან-ე, სულ-ე „სულ, სრულიად“, ძირ-ე „ძირს, ძირად“ (ზემოიმერული), თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოიმერულში -ე, ჩვეულებრივ, დადასტურე-

ბულოა -ა მავრცობი ხმოვნის პოზიციაში (კაც-ს-ა, კაც-ის-ა, კაც-ით-ა... და შესაბამისად: კაც-ს-ე, კაც-ის-ე, კაც-ით-ე...).

ზოგ დიალექტში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის პოზიციაში - ა ხმოვნის მომდევნოდ დასტურდება -მ/-ი: ძვილ-ამ „ძლივს“ (ზედმიწვევით: ძლოვ-ად → ძვილ-ად მეტათეზისის საფუძველზე), განგება-მ „განგებ, განგებად“ (გურული), მასხარა-მ „მასხარად“ (ინგილოური: მასხარამ მიგდებსაჲ „მასხარად მიგდებსო“)... პარალელურად: ძვილა-ი, განგება-ი... -მ/-ი ფონეტიკური დანართია; ფაქტობრივ იგივე ვითარებაა, რაც ზემოთ აღინიშნა ერხადაკახ // ერხადაკა // ერხადაკამ ტიპის ფორმათა მიმართ.

შენიშვნა: ამჟერად არ ვეხებით ვითარებითი ბრუნვის ნიშნის საკუთრივ მორფოლოგიურ ვარიანტებს. იგულისხმება, ერთი მხრივ, - აჲ მორფემის პოვნიერება (ფიცხლ-აჲ // ფიცხლ-ად, კვლ-აჲ), ხოლო, მეორე მხრივ, ვითარებითი ბრუნვის ფორმათა შენაცვლება მიკვებითის ფორმებით (მაგალითად, მოხურში: შზას „შზად“, თეთრას „თეთრად“, ტიტყელას „ტიტყლად“, იოლას „იოლად“, ფხიზელას „ფხიზლად“, როგორას „როგორად, როგორ“, მეზობლურას „მეზობლურად“ და მისთ.).

წოდებითის ფორმები ძირითადად ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი:

ა) ფუძის სახით: ნოდარი! მერაბ! აკაკი! მაყვალა! ნათელა! და ა.შ.

შენიშვნა 1: ზოგ დიალექტში ფუძედ გაიზრება სახელობითი ბრუნვის ფორმა, რაც დაჩნდება კიდევ წოდებითის ფუნქციით: ნოდარი! მერაბი! უპირატესად გვხვდება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში. ამის საპირისპიროდ, სახელობითი ბრუნვის ნიშნად გაიზრება ფუძისეული -ი, რის გამოც წოდებთში მას - ო ჩენაცვლება: აკაკო-ო! (-აკაკი!), ანტონ // ანტონ-ო! (-ანტონი)...

შენიშვნა 2: აღმოსავლეთ საქართველოს (უპირატესად — ბარის) დიალექტებში, სამ- და მეტმარცვლიან საკუთარ სახელებს წოდებთში, ჩვეულებრივ, ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი: მაყვმა → მაყვმი ნათელა → ნათელი! მანანა → მანანი! თანდილა (← ავთანდილა) → თანდილი!.. ეს მოვლენა შეინიშნება დასავლურ დიალექტებშიც: რამი სიმორზე იქნებოდა, გლახუნ, ყურდგელოა? (გურული); შდრ.: იყო ერთი საწყალი გლახუნე.

ბ) სახელის ფუძეს დაერთვის -ო და მისი ფონეტიკური ვარიანტები: კაც-ო, ბიკ-ო, ქალ-ო; მარიამ-ო, გაბრიელ-ო, ბეჟან-ო... ივანე, თინაჲ... მაყვალა-ჲ, ლე-

ლა-უ, ნინია-უ // მაყვალა-ჲ ლულა-ჲ ნინია-ჲ (ჩვეულებრივ, დაჩნდება მოხეურ-ში)... კაც-ოჲ ჭალ-ოჲ (დამოწმებულია ქართულერში, კახურში...). თანხმოვანზე ფუძედამბოლოებულ სახელებს, ჩვეულებრივ, დაერთვის -ო (კაც-ო, ბიჭო-ო), ხმოვანზე ფუძედამბოლოებულს რაგორც -ო, ასევე -ე და მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი (ჭალა-ო // ჭალა-ე // ჭალა-უ) ზოგ დიალექტში -ე // -ჲ თავს იჩენს თანხმოვანზე ფუძედამბოლოებულ სახელებთანაც (თუ შური: ბიჭ-ჲ // ბიჭო).

შენიშვნა 1: -ოჲ-ს შემთხვევაში საქმე გვაქვს -ო-ს ლაბიალიზებულ დამართვასთან.

შენიშვნა 2: -უ არსებითად გარდამავალი საფეხურია ო-დან ე-ზე. დიალექტები უპირატესობას ანიჭებენ წოდებითის (მიმართვის ფორმის) ხმოვანზე დასრულებულ ვარიანტებს, რადგან წოდებითი ყოველთვის გამოყოფილია კონსტრუქციის სხვა წევრებისაგან და, ამდენად, დამოუკიდებელ სეგმენტს ქმნის კონსტრუქციის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში კი ქართულისათვის სიტყვის ბოლოს მარცვალთლიაობაა დამახასიათებელი. შემთხვევითი არ არის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში სახელობითი ბრუნვის -ი სწორედ კონსტრუქციის ბოლოკიდურა პოზიციაში არის შენარჩუნებული (იხ. აქვე, ზემოთ). პაუზის წინა პოზიციაში დაჩნდება აგრეთვე ე-ჲ. პროსოდოული ხმოვანიც: კიოდეს და მიდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰკრეს-ა; მოვახსენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიც-ო (ფეფხისტყაოსანი). ბოლოკიდური ხმოვანი წოდებითის ფორმაში შესაძლოა დაგრძელდეს: კაც-ო/კაც-ოო, ლულა-უუ, კაც-ოუუ... ზოგჯერ წოდებითის -ო მორფემის დაგრძელების ნაცვლად ხდება წინამავალი ხმოვნის სრული რეგრესული ასიმილაცია, რითაც ზემოხსენებულის ანალოგიური შედეგი დაჩნდება: ა, ძმოო (← ძმა-ო), შენ მეპურე ხარ, გამოცხობა იცი; წეილე, ძმოო, წეილე (გურული).

შენიშვნა 3: დიალექტებში ხშირი ხმარების საზოგადო სახელთა წოდებითის ფორმები, წესისამებრ, იცვლება: ბიჭო → ჭო (აჭარული)/ჭო (კახური)/ოჯო (გურული), გოგო → გო/გოჲ (კახური), ციცაი „გოგო“ → ცა/ცავ (გურული), ჭალო → ჭა (ქართლური, კახური), დედა → დე/დეე და მისთ. (შდრ.: ბიჭო → ბიო). ანალოგიური ვითარებაა ანთროპონიმების შემთხვევაშიც: გიორგი → გიო, ნიკოლოზ → ნიკო...

შენიშვნა 4: წოდებითი ხშირად სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით გამოიყენე-

ბა — იწარმოება კინობით-საალურსო ფორმები: ივანე → ვანო, დიმიტრი → მიტო (რაც, შესაძლოა, დამატებით გაფორმდეს კინობითობის - ა ფორმანტით: ვანო-ა → ვანუა); აქედან: ვანო, ვანო-მ, ვანო-ს; შდრ.: დავითო, დავითო-მ, დავითო-ს; გვხვდება ასეც: ვახტანგ-ი → ვახტანგ-ო, აქედან: ვახტანგო-ი, ვახტანგო-მ, ვახტანგო-ს... (ლ. ნოზაძე).

როგორც ცნობილია, ზემოგურულსა და ქვემოიმიერულში -ა-ზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნებისას აი კომპლექსის პოზიციაში დაჩნდება -ე (ვ. თაფურია, ო. კახაძე):

სახელობითი: ბიცოლე (← ბიცოლა-ი)

მოთხრობითი: ბიცოლა-მ

მიცემითი: ბიცოლა-ს

ნათესაობითი: ბიცოლეს (← ბიცოლა-ის)

მოქმედებითი: ბიცოლეთ (← ბიცოლა-ით)

ვითარებითი: ბიცოლა-თ (← ბიცოლა-დ)

წოდებითი: ბიცოლა

ამის კვალბაზე, შეიქმნა თავისებური ვითარება: სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში არ ხერხდება საკუთრივ მორფოლოგიური პრინციპების საფუძველზე ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა გამონაწვევება: -ე მოიცავს ფუძისეულ ხმოვანსაც და ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვანსაც (უფრო ზუსტად: ამ ორი ხმოვნის სემანტიკურ ინფორმაციას, რადგან წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით ივარაუდება: ბიცოლა-ი → ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცით: ბიცოლე-ი → ბოლო-კიდური ხმოვნის მოკვეთით: ბიცოლე). თავისებურება უკეთ წარმოჩნდება შეპირისპირების საფუძველზე:

სახელობითი: ბიცოლე

მიცემითი: ბიცოლას

მოქმედებითი: ბიცოლეთ

წოდებითი: ბიცოლა!

ნათესაობითი: ბიცოლეს

ვითარებითი: ბიცოლათ

შენიშვნა: ამ დონეზე ვითარებითის მიმართება მოქმედებით ბრუნვასთან დამატებით შეპირებულია იმითაც, რომ ვითარებითში -დ → -თ პაუზის წინა პოზიციაშია.

ამდენად, შეწყვილებული ბრუნვის ფორმები ოდენ ა/ე გახმოვანებით სხვაობენ ერთმანეთისაგან. ეს ნიშნავს: გახმოვანების ცვლამ (ფონეტიკურმა ფაქტორმა) მორფოლოგიური ღირებულება მოიპოვა (განასხვავებს მორფოლოგიურ მნიშვნე-

ლობებს). თავისთავად კი - ე ვერც ფუძისეულ და ვერც ბრუნვის ნიშნისეულ ელემენტად ვერ მიიჩნევა.

4.3. თანდებულების ფონეტიკური ნაირსახეობანი.

ფუძე: - გან → -კან/-ყან/-ქან

-თვის → -თვინ

სახელობითი: -ვით/-ვი/-ით/-ვინ

მიცემითი: -ვით/-ვეთ/-ვენ/-ვინ/-ვეფ/-ვე

-თან (ა)/-ან/-თა

-ზე/-ზედ(ან)/-ზეთ/-ზეა/-ზეგა(ნ)/ზენ/-ძე(დ)/-სე/-ე

-ში/-შიდ(ა)/-შით/შია/-შიგ(ან)/-ჩი/-ჩიგ(ან)

-ყენ → ყენ(ნ)

-თვის → თი/-თ

ნათესაობითი: -ვით

-თვის/-თვი/-თი/-თინ/-თვინ(თუნ// -თუნ)/ ტვინ/-თვისინ

-გან/-გა/-გნ/-გ/-გამ/-კან/-კნ

-ყენ/-ყე/-კა/-კ/-კედ/-კეს/-კწ/-ყენ/-ყე/-ყ

-ებრ/-ებ/-ეფ

-და/-ა

გარდა/გარდამ/გარდაია/გარდაიე

გამო/გამოთ/გამოიე/გამეიეს/გამმეს

გარშემო/გარშამო/გვრილიაშემო/გვრიშამო/გრულლია

-თანა/-ანა

მაგიერ/მაგიარ/მაგიორ

-ნაირ/-ნეირ/-რაინ

-ოღმა/-ულმა/-მასოღმა/-მოღმა...

მოკმედებითი: -გან/-ან/-გინ/-გენ/-გე/-გეს

ვითარებითი: -მღე/-მღენ/-მღის/მღი/-მღინ/-მღისი(ნ)/-მღინ(ას)/-მღნდი...

-ვით თანდებულის ყველა ფონეტიკური ნაირსახეობა შესაძლოა სამ რიგად წარმოვადგინოთ:

-ვით → -ვი → -ვინ
-ვეთ/-ვეფ → -ვე → -ვენ
-ით

ანუ: ერთ შემთხვევაში - ვით კარგავს ბოლოკიდურა თანხმოვანს: დევი-ვით → დევი-ვი (ჭავჭავური), სპილო-ვით „სპილოსავით“ → სპილო-ვი (მოხეური), სახლები-ვით → სახლევი-ვი, კაცი-ვით → კაცი-ვი (ინგილოური), რომლის შემდგომ ზოგ დიალექტში -ი განიცდის ნაზალიზაციას: კირი-ვი → კირი-ვინ, ჩემსა-ვი → ჩემსა-ვინ (აჭარული).

მეორე შემთხვევაში სავარაუდოა საქმე გვექონდეს - ვით და - ებრ → -ებ/-ეფ თანდებულთა კონტამინირებულ ნაირსახეობასთან: კაც-ს-ა-ვით+ კაც-ს-ა-ებრ (კაც-ს-ა-ებ/კაც-ს-ა-ეფ) → კაც-ს-ა-ვეთ // კაც-ს-ა-ვეფ (იმერული: ქვა-ს-ა-ვეთ, თოფ-ის-ა-ვეთ; გურული, აჭარული: ძმა-ს-ა-ვეფ; ხარ-ს-ა-ვეფ, ჩემ-ს-ა-ვეფ). -ვეთ/-ვეფ ვარიანტიც კარგავს ბოლოკიდურ თანხმოვანს (აჭარული: კაც-ს-ა-ვე, ძმა-ს-ა-ვე), ხოლო ხმოვანმა შესაძლოა განიცადოს ნაზალიზაცია (აჭარული: ტურეფ-ს-ა-ვენ „ტურებივით“, ჩემ-ს-ა-ვენ).

მესამე შემთხვევაში იკარგვის თავკიდურა თანხმოვანი: ჯორი-ვით → ჯორი-ით (ჭავჭავური).

-ვით და მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი სამ ბრუნვასთან გვხვდება: სახელო-ბითთან, მიცემითთან და ნათესაობითთან (ბრუნვათა მიხედვით ამ ნაირსახეობათა განაწილება იხ. ზემოთ სექციაზე). ცნობილია - ვით თანდებულის სახელობითთან და მიცემითთან გამოყენების ზოგადი წესი: სახელობითთან დაჩნდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებში (კაც-ი → კაც-ი-ვით), მიცემითთან — როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებში (კაც-ს-ა → კაც-ს-ა-ვით, ხე-სა-ა → ხე-ს-ა-ვით). დიალექტებში სხვაგვარი ვითარებაცაა: ჯერ ერთი, - ვით შესაძლოა მიერთოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც: დლ-ის-ა → დლ-ის-ა-ვით; კაც-ის-ა → კაც-ის-ა-ვით (კახური), მამ-ის-ა-ვით → მამ-ი-ვით, მამლ-ის-ა-ვით → მამლ-ი-ვით, დან-ის-ა-ვით → დან-ი-ვით (ჭავჭავური). გარდა ამისა, -ვით შესაძლოა სახელობით ბრუნვაში დაერთოს ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელსაც: მზე → მზე-ვით, ხე → ხე-ვით, გუნდა → გუნდა-ვით (რაჭული, გლოლური და რიგენისთაური კილოკავები), ბუ-ი → ბუ-ი-ვით (ქართლური).

-თან თანდებული ორი ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება: -ან და -თა.

-თან და -ან ვარიანტების განაწილების წესი ასეთია: თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან გამოიყენება-თან (იკარგვის ბრუნვის ნიშანი), ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან გვაქვს-ან (ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია): კაც-თან, სახლ-თან; მაგრამ: მამა-ს-ან, ხე-ს-ან (რაჭული, ქვემოთაქული კილოკავი; იმერული, გურული, აჭარული).

შენიშვნა: ზოგჯერ- თან თანდებულის დართვა იწვევს -ს ბრუნვის ნიშნის მოკვე-

კას როგორც თანხმოვანზე, ასევე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან: კაც-თან, სახლ-თან და შესაბამისად: მამა-თან, ხე-თან (რაჭული, იმერული). ამის საპირისპიროდ, ოარივე შემთხვევაში შესაძლოა შენარჩუნებული იყოს ბრუნვის ნიშანი: ხე-ს-თან და შესაბამისად: სახლ-ს-თან, კაცებ-ს-თან (ხევსურული). გარდა ამისა, ზოგ დიალექტში -თან →-ან დაჩნდება თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთანაც (ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია): სახლ-ს-ან „სახლ-თან“ (გურული), სადგურ-ს-ან „სადგურთან“; შდრ.: ხე-ს-ან (იმერული). ყველა ეს ნაირსახეობა ზოგჯერ ერთსა და იმავე დიალექტში გვხვდება (მაგალითად, ასეთი ვითარებაა იმერულში).

-თან →-თა (ბოლოკიდურა ს ნონანტის მოკვეცილ) იშვიათია: დარჩება იმ კაც-თა „კაცთან“, გაგვითიებინეთ შენ-თა-ო „შენთანო“ (ჭავჭავიძე)...

შენიშვნა 1: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში - თან შესაძლოა გართულდეს -ით მორფემით: სახლ-ს-თან-ით. ფონეტიკური ნაირსახეობანი ამ შემთხვევაში არ შეინიშნება.

შენიშვნა 2: -თან თანდებულს რეგრესული ასიმილაციით შეუძლია გააფშვინვიეროს წინამავალი მქლერი ან ყრუ მკვეთრი თანხმოვანი: კარებ-თან → კარუფ-თან, ჯოგ-თან → ჯოქ-თან, ბოდ-თან → ბოც-თან... ნიკაპ-თან → ნიკაფ-თან, ბაკ-თან → ბაქ-თან, ლავიწ-თან → ლავიცი-თან... - თან წარმოდგენილია მავრკობი ხმოვნითაც: კაც-თან-ა; ხეს-თან-ა; შენ-თან-ა... უფრო ხშირია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში.

-თან/-ან თანდებულის ჩვენებას იმეორებს -თანა/-ანა თანდებულოც (რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მიერთვის): ამ-ის-თანა → ამ-ის-ანა/ამ-ი-თანა (იმერული).

-ზე (ასევე: -ში) თანდებულის შემთხვევაში ერთმანეთის პარალელურად დაჩნდება მორფოლოგიური და ფონეტიკური ვარიანტები.

ძველ ქართულში დადასტურებულია - ზედა (შუშანიკის ზედა, ჭეასა ზედა). ამჟამად სალიტერატურო ქართულში, ჩვეულებრივ, გვხვდება ნაწილაკ-მორფემოიდის დართვისას („ფაქტი, რომელზედაც ვილაპარაკეთ...“). დიალექტებში უპირატესად წარმოდგენილია - ზედ სახით: უღელ-ზედ, ბან-ზედ (ხევსურული), საკნავ-ზედ-ით, თავ-ზედ-ით (მოხურის), კარ-ზედ (მთიულურ-გუდამაყრული), ვაკე-ზედ, გზისპირ-ზედ (ქართლური, კახური), ურემ-ზედა (მესხური), ნაწვავ-ზედ, მხარ-ზედ, იმა-ზედ; ზურგ-ზედა, ადგილ-ზედა (რაჭული), გაზაფხულ-ზედ/გაზაფხულ-ზედა, მიწა-

ზედ (იმერული), ჭვა-ზედ (გურული).

-ზედა ორი ფონეტიკური ნაირსახეობით გვხვდება: -ზედ → -ზეთ (მეღერი თანხმოვნის დაყრუებით პაუზის წინა პოზიციაში): გზისპირ-ზედ → გზისპირ-ზეთ (კახური), მხარ-ზედ → მხარ-ზეთ (იმერული), კალო-ზედ → კალო-ზეთ (ღეჩხუჭური... -ზედა → -ზეა (დ თანხმოვნის ჩავარდნით): წასულა საჭმე-ზეა, დგარენ კიბე-ზეა (ზემოიმერული)...

-ზედა რთული შედგენილობისაა: -ზე + -და, რომელთაგან -ზე წარმოშობით ზმნისართი ჩანს (შდრ.: ზეზე; იყო ვინმე ზე და ჩამოიჭრა ჭეე-ის: ი. აბულაძე), ხოლო -და — ზმნისწინი (შდრ.: ერთი მხრივ: სა-და, ში-და, ჭეე-და, მეორე მხრივ: ზე-მო, ზე-გან → ზე-გა → ზე-გ, ზე-ნა).

შენიშვნა: წერილობით ძეგლებში დამოწმებულია -ზედან ვარიანტიც: ტარიელ შავსა ზედან ზის (ღეფხისტყაოსანი), დილა-ზედან (თეიმურაზ მეორე), ცეცხლ-ზედან (გ. ორბელიანი)... ეს ვარიანტი შეინიშნება მესხურშიც: ბიჭებ-ზედან, შინდებ-ზედან (შ. ძიძიგური, ა. მარტიროსავი). -ზედან შესაძლოა ორგვარად აიხსნას: ა) -ზედა და -ზენა ფორმათა კონტამინაციით; ბ) ბოლოკიდურა -ა ხმოვნის ნაზალიზაციით: -ზედა → -ზედან.

ზემთ წარმოდგენილი მასალით წარმოჩნდა, რომ -ზე შესაძლოა გართულდეს ზმნისწინებით (უკეთ: იმ მორფემებით, რომლებიც ზმნისწინებადაც გამოიყენება). ამ რიგისა -ზეგან, რომელიც ზოგ დიალექტში თანდებულად დაჩნდება: შეჯდება ცხენ-ზეგან (ჭავჭავური), თურმელ ი ბრმა ხე-ზეგან დამალულა (ხამცხური). დამოწმებულია -ზეგა სახითაც: წავიდა წყალ-ზეგა; მიგაკრავ ხე-ზეგა-ო (ფერეიდნული)...

-ზე თანდებულის ნაზალიზებული ნაირსახეობა (-ზენ) შეინიშნება დასავლურ დიალექტებში: ეზო-ზენ, კლდე-ზე → კტე-ზენ (იმერული), კიდე-ზენ (ღეჩხუჭური), სახლ-ზენ (გურული)...

შენიშვნა: არ გამოირიცხება -ზენა → -ზენ შესაძლებლობაც (შდრ.: -ზედა → -ზედ, -შიდა → -შიდ/ -შით).

-ზე → -ძე, ასევე: -ზედ → -ძედ (აფრიკატიზაციის გზით) შეინიშნება ხევსურულში რ სონანტის მომდევნოდ: კარ-ძედ (-კარ-ზედ) მადის მლოცავი; ღეჩხუჭურში, გურულში, აჭარულში -ლ სონანტის მომდევნოდ: სულ-ზე → სულ-ძე, წელ-ზე → წელ-ძე, სოფელ-ზე → სოფელ-ძე... ხმოვნის ნაზალიზაციის შედეგი დაჩნდება -ძე ვარიანტშიც: სულ-ძენ „სულზე“.

შენიშვნა: -ძე ნაირსახეობა დაჩნდება დ, ტ, თ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთანაც: ბედ-ზე → ბეძე, ბატ-ზე → ბად-ზე (რეგრესული ასიმილაციით) → ბაძე, ღმერთ-ზე → ღმერდ-ზე (რეგრესული ასიმილაციით) → ღმერძე ამ შემთხვევაში ხდება დზ → დ.

დასავლურ დიალექტებში ყრუ თანხმოვნების მომდევნოდ პრაგრესული ასიმილაციის საფუძველზე ხდება -ზე → -სე: ვენახ-ზე → ვენახ-სე, თოფ-ზე → თოფ-სე, კაც-ზე → კაც-სე (იმერული, ლეჩხუმური, გურული).

შენიშვნა: -ზე → -სე შესაძლოა მოხდეს მაშინაც, როცა ყრუ თანხმოვანსა და ზ სპირანტს შორის ვ იპოვება: დათვ-ზე → დათვ-სე/დათძ-სე (ღეჩხუბური).

რატული დიალექტის ზემორატულ კილოკავში (ზოგჯერ — ქვემორატულშიც) ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დამოწმებულაა —ზე → -ე: შუა-ზე → შუა-ე, ჰკუა-ზე → ჰკუა-ე, ქვეყანა-ზე → ქვეყანა-ე, სროლაზე → სროლა-ე, კალო-ზე → კალო-ე (შ. ძიძიგური).

შენიშვნა 1: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, აგრეთვე რატული დიალექტის რიგნისთაურ და გლოლურ კილოკავებში -ზე/-ზედ შესაძლოა გართულდეს -ით მორფემით: მქარ-ზე-ით, წელ-ზე-ით (ხევსურული, ფშაური), ლოგინ-ზე-ით, ჰედ-ზედ-ით, თავ-ზედ-ით (მოხურული), ჯორ-ზე-ით, ბან-ზე-ით (რაჭული). ამ შემთხვევაში საკუთრივ მორფოლოგიური ვარიანტები დაჩნდება.

შენიშვნა 2: -ზე თანდებულს რეგრესული ასიმილაციით შეუძლია გაამჟღეროს წინამავალი ფუძისეული ყრუ მკვეთრი ან ფშეინვიერი თანხმოვანი: ნიკაპ-ზე → ნიკაბ-ზე, ჰეიფ-ზე → ჰეიბ-ზე, თოკ-ზე → თოგ-ზე, შუქ-ზე → შუგ-ზე, ბეჭ-ზე → ბეჯ-ზე, კამეჩ-ზე → კამეჯ-ზე...

- ში თანდებულის ფუნქციით ძველ ქართულში გამოიყენებოდა -შინა:დაბასა შინა, გულსა შინა, ნათელსა შინა (ა. შანიძე). დადასტურებულია აგრეთვე -შიდა და -შიგან: წყალსა მაგას შიდა, თიკათა შიგან (ა. მარტიროსოვი). უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებში გვხვდება -შიდან ვარიანტიც: სამსახურ-შიდან (ისევე, როგორც -ზედან თანდებულს, — შიდან ნაირსახეობასაც შესაძლოა ორგვარი ახსნა ჰქონდეს: ა) -შიდა და -შინა ნაირსახეობათა კონტამინაციით მივიღეთ -შიდან; ბ) მოხდა ბოლოკიდურა ხმოვნის ნაზალიზაცია: -შიდა → -შიდან).

ამათგან თანამედროვე დიალექტებში დამოწმებულაა -შიდ(ა) და -შიგ(ა) თავ-

თავისი ფონეტიკური ნაირსახეობებით; კერძოდ, -შიდ(ა) → -შით, აგრეთვე: -შიდა → შია და -შიგ (ა) → -ჩიგ(ა): წისკვილ-შიდ(ა) // წისკვილ-შია, კარ-შიდ, შინაურა-ბა-შია, ამაობა-შია (ქართლური, კახური), რზა შიდა „ეზოში“ (ინგილოური), ტყე-შიდა, ბელელ-შიდა, ერთ კვირე-შიდა; ოჯახ-შიდ, ბოსელ-შიდ, სახ(ლ)-შიდ (რაჭული), წყალ-შიდა, ვენახ-შიდა // ვენახ-შიდ // ვენახ-შია, ტურ-შიდა // ტურ-შიდ // ტურ-შია (იმერული); პაუზის წინა პოზიციაში შესაძლოა დაჩნდეს -შიდ → -შით. შემდეგ: კელ-შიგ // კელ-ჩიგ, ჯვარ-შიგ // ჯვარ-ჩიგ (ხევსურული); დღეობა-შიგ, ჯარ-შიგ (თუშური); სოფელ-ჩიგა, ამა-ჩიგა, „მერე ძროხის მწვირე-ჩი, ჭინჭარ-ჩიგა, ნაცარ-ჩიგა მოვხარშითკ“ (მოხეური)...

შენიშვნა: დაჩნდება -შიდ → ჩიდ / -ჩით, აგრეთვე: -ჩიდა → ჩია ნაირსახეობანიც, მაგრამ შედარებით ნაკლები სიხშირით: შუბლ-ჩია, კარ-ჩია (ფშაური), სოფელ-ჩით (იმერული)...

ქართული ენის დიალექტებში ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება -ში და მისი ფონეტიკური ნაირსახეობა -ჩი: კარ-ჩი, ქარჭაშ-ჩი, ცხებე-ჩი (ხევსურული), კელ-ჩი, კალთა-ჩი, კაც-ჩი (ფშაური), გზა-ჩი, ცხორ-ჩი, „ცხვარში“ (მოხეური), დღე-ჩი, ეზო-ჩი (კახური), ზამთარ-ჩი, ხელ-ჩი, თებ-ჩი „მთებში“ (ფერეიდნული), სოფელ-ჩი, ხელ-ჩი (რაჭული), სოფელ-ჩი, ამა-ჩი, იმა-ჩი (იმერული), ხელ-ჩი, წელ-ჩი (გურული), ზაფხულ-ჩი, სახ(ლ)-ჩი (აჭარული).

შენიშვნა 1: -ში → -ჩი (აგრეთვე -შიგ → -ჩიგ) განსხვავებულია დიალექტების მიხედვით. მაგალითად, დასავლურ დიალექტებში ეს ცვლილება (შ → ჩ აფრიკატიზაციის საფუძველზე), ჩვეულებრივ, სონანტების (უპირატესად ლ სონანტის) მომდევნოდ შეინიშნება (ხელ-ჩი, სოფელ-ჩი) მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (ხეცურულში, ფშაურში, მოხეურში) ამ მხრივ რაიმე შეზღუდვა არ შეინიშნება.

შენიშვნა 2: -ში და -ჩი ვარიანტების მიხედვით შესაძლოა განსხვავდეს ერთი და იმავე დიალექტების კილოკავები. მაგალითად, ხეცურული დიალექტის შატლურ-მიღმახეურ კილოკავში, როგორც წესი, -ჩი ნაირსახეობაა გამოყენებული, პირაქეთულ-არხოტულში კი ორივე ვარიანტი გვხვდება (ა. ჭინჭარაული).

შენიშვნა 3: ხშირად ფონეტიკური ნაირსახეობანი ერთსა და იმავე ტექსტში დაჩნდება ერთმანეთის გვერდით: „მერე ძროხის მწვირე-ჩი, ჭინჭარ-ჩიგა, ნაცარ-ჩიგა მოვხარშითკ... თუთუნის მარცვალს ნაცარ-ჩი აღ-

ვრეთ...“ (მოხეური); „ესროლა მამაჩემა ცელი, მოხთა ტარით მუცელ-ჩი და გიერკო შით... ირბინა, ირბინა ყურდგელმა ამ მინდორ-ში, ირბინა და ცელა პური და, რაც ამ ოზდაათმა კაცმა შვადღემდი მომკა, იმან ერ საა-ჩი მოახინკილა. ბოლოს მივაჯახირეთ ერ კუთხე-ში“ (გურული).

შენიშვნა 4: -ჩი თანდებული დაჩნდება დ, ტ, თ თანხმოვნებზე ფუძედაბოლოებულ სახელებთანაც: ბედ-ში → ბეთ-ში → ბეჩი, ბატ-ში → ბათ-ში → ბაჩი, საათ-ში → სააჩი. ამ შემთხვევაში ხდება თშ →ჩ (დშ და ტშ კომპლექსში ცვლილების პირველ საფეხურზე ხდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია: დშ → თშ და ტშ → თშ).

შენიშვნა 5: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, აგრეთვე რაჭული დიალექტის რიენისთაურ და გლოლურ კილოკავებში - ში (და მისი ნაირსახეობანი) თანდებული შესაძლოა გართულდეს სხვა მორფემებით: სახლ-ში-ით, ციხეებ-ში-ით; ჭვარ-შიგ-ით, სოფლის პირ-ში-ამდი; მთა-ჩიგ-ურ-ი (ხევხურული); ჭარ-ჩიგა-ით → ჭარ-ჩიგა-თ (მოხეური); ყანა-ში-ით, არჟიან-ში-ით, საყდარ-ში-ით (ფშაურა), კომე-ში-ით, ბოსელ-ში-ით, ონ-ში-ით (რაჭული).

შენიშვნა 6: -ში თანდებულს რეგრესული ასიმილაციით შეუძლია გააფშვინიეროს წინამაგალი მქლერი ან ყრუ მკვეთარი თანხმოვანი: ჩხუბ-ში → ჩხუფ-ში, ჭოგ-ში → ჭოქ-ში... ტყუპ-ში → ტყუფ-ში, ბაკ-ში → ბაქ-ში...

-ენ თანდებულის დიალექტური ნაირსახეობანი სქემაზე შესაძლოა ამ სახით წარმოვადგინოთ:

- ა) -ენ/-კე/-კჩ/-კ
- ბ) -ენ: -კედ
- გ) -ენ: -ყენ/-ყე/-ყ
- დ) -ენ: -კა

ჩვეულებრივ, -ენ თანდებული დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. მისი სემანტიკური ეკვივალენტი - კერძო ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო, ნათესაობითის გარდა („მის კერძო“), მოქმედებითსა („ჩრდილოით კერძო“) და ვითარებითში („ხანძთად კერძო“). ახალ ქართულში -ენ შესაძლოა მიერთოს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებულ ზმნისართებსაც: იქ-ით-ენ, სა-ით-ენ, ზე(ც)-ით-ენ... დიალექტებში (ხევსურულში...) ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იყოს გამოყენებული: იქ-ის-კე, სა-ის-კე... (ა. მარტიროსოვი).

ფერეიდნული ერთადერთი დიალექტია, სადაც -ყენ თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობა -ყენ/-ყე, ნათესაობითის გარდა, მიერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმასაც; ზოგჯერ მიცემითთან და ნათესაობითთან პოენიური -ყენ/-ყე ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება: „ავალ, ამ თა-ს-ა-ყენ-ა-ც (ზედმიწვენი: მთა-ს-ა-ყენ) გადვიხედავ, რო, აბა, ამ-ის-ყე (- ამ-ის-ყენ) არი თუ არა (დუნია): სალიტერატურო ენაზე ამ ფრაზის მნიშვნელობა ასეთი იქნება: „ავალ, ამ მთიდანაც გადავიხედავ, რომ, აბა, აქედან მანდეთ არის თუ არა ქვეყანა“. ამ შემთხვევაში - ყენ/-ყე თანდებულობანი ფორმებით გამოიხატება გამოსვლითობა (აბლატივი). საერთოდ, ფერეიდნულში -ყენ/-ყე თანდებულო შესაძლოა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობების გამოსახატავად გამოიყენება: შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ, „ეხლა ვთქოთ თავის ცოლ-ს-ა-ყე“ (- ცოლ-ს-ა-ყენ, ცოლის შესახებ), ხოლო, მეორე მხრივ, „ამოიღე ჭიბე-ს-ა-ყე (-ჭიბე-ს-ა-ყენ, ჭიბიდან) ფულო“ ან: „სა-ით-ყე (- სა-ით-ყენ) არიან“.

თანამედროვე დიალექტებში - ყენ თანდებულის ფუნქციით გამოიყენება -ყე-დაროს/-ყედრით მორფემოიდი: ამ კედაროს/ყედრით „აქეთყენ, ამ მხარეს, ამ მხარისკენ“, იმ კედრით „იქით, იმ მხარეს, იმ მხრიდან“ (გურული, აჭარული).

ივარაუდება: ა) -კერძო → -კერძ (აკაც-ის-ა კერძ) → * -კერ- → კენ (ნ. მარი) (ა.მარტიროსოვი), ბ). კედარო → -კედ → კენ. არ გამოირიყება ასეთი შესაძლებლობაც: -კერძო → -კე, შემდგომ კი —ნა (შდრ.: ზე-ნა, ქვე-ნა) ან-და (შდრ.: ზე-და, ქვე-და) ელემენტების დართვით: -კენ(ა)/-კედ(ა); პარალელურად დაჩნდება -კე ნა-ირსახეობაც (ა. მარტიროსოვი).

-კედ(ა) ნაირსახეობა დადასტურებულია ხევსურულში: წამავა არხოტ-ის-კედა, იკვლიე სოფელია ბარ-ის-კედ... ერთსა და იმავე ფრაზაში პარალელურად შეგვხვდება როგორც -კედ, ასევე-კე: ხან ერთ-კე (-ერთისკენ, ერთ მხარეს) ესწების (-ირწევა), -ხან სხვა -კედ (-სხვა მხარეს). -კედ დაჩნდება აგრეთვე იმერულში დაიღვე-ქტის თერჯოლურ თქმაში. ხევსურულში შეინიშნება -კეს ვარიანტიც: ფიცხლავ ჩვენ-კეს-ა-ვ გამაიკვევა.

შენიშვნა: -კერძ → -კე დადასტურებულია ცალ-კე (← ცალ კერძ) ფორმაში. დიალექტებში (აჭარულში, გურულში) გვხვდება ცალ-კენ ვარიანტიც. გარდა ამისა, აჭარულში დამოწმებულია ცალ-კეთ ნაირსახეობაც. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ვითარებითის ფორმა იყოს გამოყენებული: ცალკე → ცალკედ → ცალკეთ (შდრ.: მარტო და მარტოდ → მარტოთ). აქ „ცალკე“ ფორმა იმიტომ ვახსენეთ, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ივარაუდება -კენ/-კე თანდებულის წარმომავლო-

ბაც - კერ(ა) ფორმისგან.

-კენ → -ყენ (და მისი სხვა ფონეტიკური ნაირსახეობანი) ნათესაობითი (ზმნისა-რთებთან — მოკმედებითი) ბრუნვის ფორმასთან დაჩნდება აღმოსავლეთ საქართ-ველოს ბარის ზოგ დიალექტში, აგრეთვე ქვემოიმერულში: აქათ-ყენ-ა „აქეთყენ“, კახეთის - ყე (არაგვის ხეობის ქართლური), სახლის-ყენ, ბიჭის-ა-ყენ // ბიჭის-ა-ყე (კახური), მინდვრის-ყე (თიანური), კარევის-ყენ „კარევისყენ“, აქათ-ყე „აი, აქეთ-ყენ“, შინა-ყ „შინისყენ“ (ინგილოური), სახლის-ყენ, მთის-ყენ (ქვემოიმერული).

შენიშვნა: ქვემოიმერულის სამტრედოელ და ხონურ თემებში სყ → წყ: მთის-ყენ → მთიწ-ყენ.

-კენ თანდებულის -კე ნაირსახეობა დადასტურებულია როგორც აღმოსაველურ, ასევე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში: ჭალის-კე, მტრის-კე, შინის-კე, ჩვენს-კე (ხევსურული), სოფლისა-კე, კლდისა-კე, იქის-კე (ფშაური), კახეთისა-კე (მთიულური), ჭალაქის-კე, ჭადრის-კე (ჩრდილო ქართლური), ტყის-კე, ჩვენ-კე (კახური), ფეხები-კე, სვანები-კე (რაჭული), ღობის-კე, ძირულის-კე (იმერული; ოკრიბული, თერჯოლური და ბოდბეთური თემები), ლეჩხუმის-კე, აპრილის-კე, წყლის პარის-კე, ბიჯოლეს-კე... და ამასთანავე: სასახლეს-კე, ღობეს-კე, მდინარეს-კე - ბოლო შემთხვევებში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს — კე მიერთვის მიცემითის ფორმას, თუკი აქ - ე ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთუკვეცელ სახელებთან არა გვაქვს საკმე (დენხუშური).

-კე, თავის მხრივ, ორ ფონეტიკურ ნაირსახეობას იძლევა: -კე → კვ ბოლოკიდური ხმოვნის ნაწილობრივ რედუქციით (თუ შური: თუ შეთისა-კი) და -კე → -კ ბოლოკიდური ხმოვნის სრული რედუქციით (თუ შური: შინისა-კ, მთისა-კ; ფშაური: ცისა-კ, მიწისა-კ, იქისა-კ, ჩვენ-კ).

შენიშვნა: ჩვეულებრივ, -კე და -კ ასე ნაწილდება: მავრცობი ხმოვნის პოვნიერებისას გვაქვს - კ (ცის-ა-კ), ამ ხმოვნის გარეშე -კე (ცის-კე), თუმცა წესი ზედმიწევნით დაცული არ არის.

დაჩნდება - კენ თანდებულის კიდევ ერთი ვარიანტი: -კა (ფშაური: ქვესურეთისა-კა, შინაისა-კა, ჩემ-კა „ხევსურეთისკენ, შინისკენ, ჩემკენ“; მრავლობითში: საბძელთა-კა „საბძლებისაკენ“; თიანური: კახეთისა-კა „კახეთისაკენ“); შდრ.: აჭარული: ცალკანამ „ცალკე“.

შენიშვნა: -კენ თანდებულის ფუნქციით ფერეიდნულში გამოიყენება მიცემითი ბრუნვის ფორმაზე დართული- თი; ეგვევ თანდებული ცვლის -ში და

-თვის თანდებულებს (-თვის თანდებულის ფუნქციით გამოყენებისას დაერთვის როგორც მიცემითი, ასევე ნათესაობითი ბრუნვის ფორმას): ბიჭები დაბრუნდეს (=დაბრუნდნენ) ძერეადნსა-თი (=ფერეიდანში), რომ წაივინენ (=წასულოყენენ) მარტყოფსა-თი (=მარტყოფისაყენ, მარტყოფში); რას-თი „რისთვის“, წყალსა-თი „წყლოსთვის“; იმის-თი „იმისთვის“. დაჩნდება აგრეთვე —თ: რასა-თ „რისთვის“. შესაძლოა აქ ორ სხვადასხვა თანდებულთან გვჭონდეს საჭმე: -თი, რომელიც გამოიყენება -ში და -კენ თანდებულების ფუნქციით და -თვის — -თი ფონეტიკური გამარტივების გზით.

-თვის თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობათა წარმოქმნა სტემატურად შესაძლოა ასე წარმოვადგინოთ:

ა) -თვის → -თვი (ბოლოკიდური ს სპირანტის მოკვეცვა გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში): ხალხის-თუ (მოხეური), დედის-თვი, შენ-თვი (მთიულურ-გუდამაყრუდი), იმი-თვი (ქართლური), ქალი-თვი, ჩემ-თვი (ყაბური), სახლის-თვი (მესხური);

ბ) -თვი → -თვინ (ა) ბოლოკიდური -ი ხმოვნის ნაზალიზაციით: მტრის-თვინ (ფშაური), ხინკლის-თვინ, ბაღლის-თვინ, ზამთრის-თვინ, ჩვენ-თვინ (მთიულურ-გუდამაყრული), თონის-თვინ, წყლი-თვინ, ბატონითვინ-ა, მეხრეები-თვინ-ა, იმი-თვინ-ა (ქართლური), მამი-თვინ, გულოსთვინ-ა (ყაბური), სახლის-თვინ/სახლიპ-თვინ (მესხური), შვილის-თვინ, თავისთვინ, ბაღებისა-თვინ/ბაღეები-თვინ, ხარებისა-თვინ/ხარები-თვინ (რაჭუდი), კაცის-თვინ, სიტყვის-თვინ, მის-თვინ (იმერუდი), ქალის-თვინ, ხალხის-თვინ (დეჩხუშური), ყოლ-თვინ/ყოლ-თვინ-ა/ყოლ-თვინ-ე „ყოველთვის“ (გურუდი), ძმის-თვინ/ძმის-თვინ-ა-ე, ჩემ-თვინ/ჩემ-თვინ-ა-ე (აჭარუდი), კაცის-თვინ, ბეგის-თვინ, ქოროღლის-თვინ, მის-თვინ, წაყვანის-თვინ (იმერხეუდი);

გ) -თვინ (-თუნ) → -თუნ (-თუ → -თუ გზით): ძმის-თუნ/ძმიპ-თუნ (მესხური), მაგრამ უფრო ხშირია დეპალატალიზებული (დეუმლაუტიზებული) ნაირსახეობა -თუნ: ამის გულის-თუნ (ყაბური), დედაის-თუნ, ზმის-თუნ „ძმისთვის“, იმის-თუნ, ჩემ-თუნ (ინგილოური), ძმის-თუნ, სახლის-თუნ/სახლიპ-თუნ (მესხური).

შენიშვნა: -თვის თანდებულში თუ → უ შენაცვლება შენიშნულია ძველ ქართულშივე: შენ-თეს (=შენ-თუნს) → შენ-თეს (სახარებად მათესი, 6.23). ანალოგიური მოვლენა დადასტურდა ტყემოქართლურში: გოგოს-თეს-ა.

დ) -თვინ → -ტვინ (თვ → ტვ კომპლექსთმონაცვლეობით) დაჩნდება რამდენიმე დიალექტში, უპირატესად ნაცვალსახელუბთან: იმი-ტვინ-(ა) და მისთ. (ჭართლური, კახური); მესხურში -თვინ → -თუნ/-თუნ ფორმათა ანალოგიურად დამოწმებულია -ტვინ → -ტუნ/-ტუნ.

ე) -თვის(ს) → თი ცვლილება ივარაუდება ფერეიდნულში. როგორც ცნობილია, ამ დიალექტში დაჩნდება უმლაუტიანი ხმოვნების დელაბიალიზაციის შემთხვევები (ჟ → ი): წვიმა → წუმმა → წიმა, ტვინი → ტუნნი → ტინი. ანალოგიურად ივარაუდება -თვის(ს) → *თუნ(ს) → თი: იმის-თი „იმისთვის“. იპოვება -თ ნაირსახეობაც: რას-თი//რასა-თ „რისთვის“.

შენიშვნა: როგორც აღინიშნა, -თი დაჩნდება -ში და -კენ თანდებულების ფუნ-ქციითაც. შესაძლოა იგი სხვა წარმოშობის თანდებული იყოს; შდრ.: სვანური -თე: იმ-თე ღერი? „საითკენ მიდიხარ?“ (არნ. ჩიკობავა).

-თი დამოწმებულია ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციითაც: შვილ-ის-თინ „შვილისთვის“ (აჭარული, მაკვასელის ხეობა).

ვ) -თვისინ მიღებული ჩანს -თვის და -თვინ ნაირსახეობათა კონტამინაციით. დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (მთიულურ-გუდამაყრულში, კახურში...): ჩემ-თვისინ გაგიმეტა „ჩემთვის გაგიმეტებია“.

დიალექტების ერთ ნაწილში -თვის თანდებულს ცვლის -ის-ად/-ის-და რთული შედგენილობის მორფემა (ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი - ის + ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -ად/-დ/-და): გულ-ისად, დღ-ისად, იარალ-ისად, ჩვენ-დ, შენ-დ (ხევხურული), მტრ-ისად-(ა), იმ-ისად-(ა), რა-ისად (ფშაური), თუშ-ისად, თუშ-თ-ად „თუშებისათვის“ (თუშური), ცხუ-ისად „სხვისთვის“ (მოხეური), ბერ-ისდა/ბერ-იზდა, თავ-ისდა/თავ-იზდა, რა-ისდა/რა-აზდა, მ-ისდა/მ-აზდა (რაჭული), ძმ-ისდა → ძმ-იზა → ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით: ძმ-იზან/ა → ე გადამბერებით: ძმ-იზე (ქვემოშიერული), მადლ-ისდა → მადლ-იზდა → მადლ-იზა; მომავლ-იზა, სიმინდ-იზა; ჩემ-სდა → ჩემ-ზდა, შენ-სდა → შენ-ზდა (ღვჩხუშური), მ-ისდა → მ-იზდა, კაც-ისდა → კაც-იზდა → კაც-იზა, ქალ-იზა, სახლ-იზა, კერი-ზა/კერი-იზა; შდრ.: შენ-და, ჩემ-და (გურული) ბიძია-ისდა → ბუძიე-იზდა (აჭარული, ქობულეთური თქმა).

შენიშვნა 1: ზოგ დიალექტში პარალელურად დაჩნდება -თვის/-თვინ და -ისად/-ისდა; მაგალითად, ზემოშიერულში ჩვეულებრივ გამოიყენება -თვის-თვინ, მაგრამ შეინიშნება-ისდა → -იზა დაბოლოებინი ფორმებიც:

ხალხის-თვინ // ხალხ-იზა. პარალელური ვარიანტები ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტში იჩენს თავს: არ შეეცდობინა ხალხის-თუ და ცხუ-ისად „არ შეეცდობინებინა ხალხისთვის და სხვისთვის“ (მოხეუ-რი).

შენიშვნა 3: ზოგ დიალექტში ვადასტურებთ კონტამინირებულ ვარიანტს: ჩემ-და-თვინ-ა-მ, მ-იზდა-თვინ-ა-მ, მა-თდა-თვინ-ა-მ; შდრ.: ჩემ-და, მ-ის-და, მა-თდა (აჭარული).

შენიშვნა 3: -თვის თანდებული იცვლება სხვა ფორმებითაც: ჩემი გულზე ← გულ-ისდა (გურული), ჩემ-გულობა-მ, ჩემ-ბარობა-მ „ჩემთვის“ (აჭარული).

შენიშვნა 4: -თვის, როგორც წესი, მიერთვის ნათესაობითი ბრუნვის (კაც-ის-თვის) ან ამ ფუნქციით გამოყენებულ ფორმას (ჩემ-თვის, შენ-თვის). ანალოგიური ვითარებაა - ად/-და მორაფემათა გამოყენების შემთხვევებშიც. იმავდროულად -თვის (ან მისი ფონეტიკური ვარიანტი) შესაძლოა დაჩნდეს უშუალოდ ფუძესთან ყოლ-თვინ „ყოველთვის“ (გურული), მიცემითის ფორმასთან: წყალ-ს-ა-თი „წყლისთვის“ (ფერეიდნული)...

-გან თანდებული შესაძლოა მიერთოს უშუალოდ ფუძეს, აგრეთვე ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს. ამის კვალბაზე (დიალექტების მიხედვით) სხვაობს ამ თანდებულის ფონეტიკური ვარიანტები.

ა) -გან → -კან, ჩვეულებრივ, დაჩნდება მაშინ, როცა თანდებული მიერთვის უშუალოდ ფუძეს: ბევრ-კან, ზო-კან, „ზოგან“, ყველ-კან, სხვა-კან, ერთ-კან, შეიდ-კან (ხევსურული), ზო-კან, ცხვა-კან „სხვაგან“ (ფშაური), სო-კან „სხვაგან“ (გურული). როგორც წესი, შეინიშნება რიცხვით სახელებთან და ნაცვალსახელებთან. იშვიათად - კან → -ყან (ჩანს, დისტანციური სრული პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე: ყველ-ყან „ყველგან“ (ფშაური); შდრ.: ყველ-კან (ხევსურული).

-გან → -ქან ყრუ თანხმოვნის მომდევნოდ პროგრესული ასიმილაციით: ერთ-გან → ერთ-ქან (აჭარული).

იშვიათად - გან → -კან შეგვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან: წყურვილ-ის-კან (აჭარული).

ბ) ნათესაობით ბრუნვის ფორმასთან -გან → გა ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეცილ და მოწმებულთა შიხურში: სუყველ-გა „სულ ყველგან“, სიცხ-ის-გა, ნეფ-ის-გა, ეშმაკ-ისა-გა, მამა-პაპა-თ-ა-გა.

გ) ნათესაობით ბრუნვაშივე -გან → -გნ, ჩვეულებრივ, დაჩნდება თანდებულთან ფორმაზე სხვა მორფემების დართვისას: მტრ-ის-გნ-ივ (ხევსურული); ჩემ-გნ-ით (გურული, ცალ-გან-ით → ცალ-გნ-ი, მეორე-გან-ით → მეორე-გნ-ი, სხე-გნ-ურ-ი/სხვა-გნ-ებურ-ი (რაჭული), ანალოგიური ვითარებაა - კენ ვარიანტის შემთხვევაშიც (-კან → -კნ): სხვა-კნ-ით, სხე-კნ-ურ-ი (ხევსურული).

შენიშვნა: -გან → -გნ ზოგჯერ თავს იჩენს პაუზის წინა პოზიციაშიც: „სახელი მამა-დ-გნ (← მამა-თ-გან) მაგიდისთ“ (ხევსურული). შესაძლოა -გნ → -გ: „აქებენ ბაბკაურებს, ცდა მამა-დ-გ (← მამა-თ-გან) მაუდისაო“ (ა. კინკარაული).

დ) -გან → -გამ თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როცა თანდებულთან ფორმას დართვის -გარდა თანდებულის დანიშნულებით გამოყენებული -მეტი: შენ-გან-მეტი „შენ გარდა“ → შენ-გამ-მეტი (გურული, აჭარული). გურულში დაჩნდება -გინ (იხ. ქვემოთ) ნაირსახეობასთანაც. როგორც წესი, დამოწმებულია პირის ნაცვალსახელებთან.

შენიშვნა 1: პარალელურად გვხვდება ოდენ -მეტი ან მისი სხვა ეკვივალენტები: შენ მეტი, შენ გარეთ (= შენ, გარდა).

შენიშვნა 2: განსხვავებული ფონეტიკური ნაირსახეობით შეინიშნება სხვა დიალექტებშიც: შენ-გა-მეტი, ჩემ-გა-მეტი (შოხეური).

ე) -გან → -გ (აგრეთვე: —O) დასტურდება მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთანაც ხევსურულში: იქ-ით-ი-გ, თავ-ით-ი ← თავ-ით-გ (ა. კინკარაული). ჩვეულებრივ კი, ამავე დიალექტში მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან დამოწმებულია -გე → გეს: ადრ-ით-გე, წინ-ით-გე, მზეგასვლ-იდ-გე; დალამებ-იდ-გეს, სამი წლ-იდ-გეს (-იდ-გეს ← -ით-გეს რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე); ნიშნავს: „ადრიდან, წინა-დან, მზის გასვლიდან / მზის ჩასვლის შემდეგ, დალამებიდან / დალამების შემდეგ, სამი წლის შემდეგ“.

ვ) ყველაზე უფრო ხშირად მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან დაჩნდება -გან → -ან ნაირსახეობა (მიღებული -ით-გან → იდ-გან → -იდ-ან ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად: რეგრესულ ასიმილაციას მოსდევს თანდებულისეული გ თანხმონის დაკარგვა): სახლ-ით-გან → სახლ-იდ-გან → სახლ-იდ-ან. იმავდროულად დიალექტების ერთ ნაწილში შენარჩუნებულია -იდ-გან შეხამება: ბალ-იდ-გან, მხრ-იდ-გან, ქება-იდ-გან, იქ-იდ-გან (მესხური), მთ-იდ-გან, შიგნ-იდ-გან, მალ-იდ-გან, ჩვენ-იდ-გან, იმ დლ-იდ-გან (რაჭული), სახლ-იდ-გან, ხეალ-იდ-გან (იშვრუ-

ლი), ძველ-იდ-გან, მარტ-იდ-გან, ბაბუე-იდ-გან (ლექსუმური).

შენიშვნა: -დ-გან შესაძლოა გააზრიანდეს ერთიან ფორმანტად: ყოველ-დგან აყველგან“, შენ-დგან „შენგან“ (ლექსუმური)...

ამასთანავე მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან (ზოგიერთ დიალექტში) -გან თანდებული გახმოვანებას იცვლის.

-გან → -გენ დამოწმებულია ლექსუმურში: აქ-იდ-გენ „აქიდან“ (მღრ. ხეკსუ-რული -გე/-გეს; იხ. ზემოთ).

-გან → -გინ/-ინ რამდენიმე დიალექტში გვხვდება: სახლ-იდ-გინ/სახლ-იდ-ინ, მალლ-იდ-გინ მალლ-იდ-ან, ხვალ-იდ-გინ/ხვალ-იდ-ინ, ჩემ-იდ-გინ/ჩემ-დ-გინ/ჩემ-დ-ინ; ანალოგიურად: წყარო-დ-გინ/წყარო-დ-ინ (ჭვემოიმერული), რაჭ-იდ-გინ, სოფლ-იდ-გინ (ლექსუმური).

შენიშვნა: -დ-გინ გაიაზრება ერთიან ფორმანტად: ჩვენ-დგინ „ჩვენგან“ (ლექსუმური), ხეთის-დგინ → ხეთიზ-დგინ „ლეთიდან“, მის-დგინ → მიზ-დგინ „მისგან“, ვის-დგინ → ვიზ-დგინ „ვისგან“, ჩემ-დგინ „ჩემგან“, თქვენ-დგინ „თქვენგან“ (ფურული). ზოგი მკვლევარი ვარაუდობს ორმაგ ბრუნებას: *ვ-ის-ით-გინ → ვ-იზ-დ-გინ, ხეთ-ის-ით-გინ → ხეთ-იზ-დ-გინ (ს. ქლენტი). ღირსსაცნობია, რომ გურულში, როგორც წესი, ოდენ ერთიან ფორმანტად გააზრებული -დგინ არის დადასტურებული.

რაკულში, ზემოიმერულსა და ლეჩხუმურში -გან (//-ან) თანდებულებანი მოქმედებითი ზოგჯერ დაირთავს - ი ხმოვანს: სოფლ-იდ-გან-ი/სოფლ-იდ-ან-ი, მალლ-იდ-გან-ი/მალლ-იდ-ან-ი, შორ-იდ-გან-ი/შორ-იდ-ან-ი. ამ მოვლენას ორგვარი ახსნა ეძლევა: ა) -ი მავრცობი ხმოვანია; ბ) -ი არის მოქმედებითი ბრუნვის-ით ნიშნის გამარტივებული ნაირსახეობა: *სოფლ-იდ-ან-ით → სოფლ-იდ-ან-ი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზემოიმერულში ერთმანეთის პარალელურად დანდება სოფლ-იდ-ან-ი და სოფლ-იდ-ან-ა ტიპის ფორმები (ანუ: -ი // -ა), -ი მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნად უნდა განისაზღვროს.

-ებრ თანდებული ორი ფონეტიკური ნაირსახეობით არის დადასტურებული ქართული ენის დიალექტებში.

-ებრ → -ებ (იყვებება ბოლოკიდური რ სონანტი): შენსა-ებ (რაჭული) ჩემსა-ებ, კლდესა-ებ (იმერული)... აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში -ებ(რ) თანდებულისეული ხმოვანი სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის წინამავალ მავრცობ ხმოვანს: თქვენსა-ებრ → თქვენსე-ებ, კაცისა-ებრ → კაცისე-ებ

(ქართლური, კახური). პუზის წინა პოზიციაში, ჩვეულებრივ, -ებ → -ეფ: თქვენსა-ეფ/ თქვენსე-ეფ, კაცისე-ეფ...

შენიშვნა I: -ებრ → -ებ/-ეფ, როგორც წესი, მიერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას (კაც-ის-ა-ებრ); ზოგჯერ დაჩნდება მიცემით ბრუნვასთანაც: კლდე-ს-ა-ებ (იშვრული).

შენიშვნა II: -ებ/-ეფ შესაძლოა გართულდეს -ურ მორფემით, რომელიც მიერთვის მას როგორც წინ, ასევე მომდევნოდ: კაც-ურ-ებ/ კაც-ურ-ეფ, დევ-ურ-ებ (რაჭული); მამლ-ებ-ურ (მამლ-ურ-ებ). რ-ნარეფ ფუძეებთან -ურ → -ულ: გმირ-ულ-ებ/ გმირ-ულ-ეფ, ქორ-ულ-ებ (რაჭული).

შენიშვნა III: -ებ/-ეფ დაერთვის სხვა თანდებულთ გართულებულ ფორმებსაც: რა-ნაირ-ეფ (რაჭული).

შენიშვნა IV: -ებრ/-ებურ თანდებულადი ფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ზედსართავი სახელის ფუძედ: ასეთ-ებურ-ი, აქეთ-ებურ-ი (ზემო-იშვრული).

გარდა თანდებული დასავლურ დიალექტებში გვხვდება გარდაი/გარდაამ, გარდაი, გარდაიე სახით: შენ გარდაამ (აჭარული), ამის გარდაია/გარდაიე (იშვრული). საშუალო საუკუნეების წერილობით ძეგლებში დადასტურებული -ის ფორმანტიანი ნაირსახეობა: ამას გარდაის (შდრ.: მემრენის „მერე“ და მისთ.). ეს ვარიანტი შემონახულია ფერეიდნულში: ჩონ დუნისას გარდაის „ჩენი ქვეყნის გარდა“. ბოლო-კიდური -ს სპირანტის მოკვეცით ჩანს მიღებული გარდაი (აქედან: გარდაამ), რომელიც გართულებულია -ა ფორმანტით (გარდაია). გარდაიე ფორმაში მომხდარია პროგრესული ასიმილაცია: ია → იე (შდრ. იშვრულში: ნიაგი → ნიევი, ციაგი → ციევი).

გამო წარმოდგენილია, ერთი მხრივ, გამოთ, ხოლო მეორე მხრივ გამოე/გამეიე/გამეიეს/გამემეს სახით: ამის გამოთ (რაჭული, ლეჩხუმური), წუმეი (-წუმეი-ბის) გამოიე (იშვრული), შენ გამეიეს (გამემეს/გამეიეს/გამემს (აჭარული)... გამოთ მოქმედებითი ფორმა ჩანს: გამო-ამთ → გამო-თ (ძველ ქართულში გამო დაერთვოდა მოქმედებითი ბრუნვის ფორმასაც: კმამ ჰიყო ზეცით გამო); გამო გამოხატავს გამოსვლითობას, რაც -ით მორფემით უნდა იყოს გაძლიერებული. რაც შეეხება დანარჩენ ვარიანტებს, ისინი ასეა მიღებული: გამოიეს → რეგრესული ასიმილაციით გამეიეს → აწილობრივი რედუქციით: გამეიეს/ ხმოვნის ჩაჯარდნით: გამეის/ / გამემეს.

გამო თანდებულის ფუნქციით დაჩნდება აგრეთვე გამოღმა „ჩემ გამოღმა (-ჩემ გამო) შენ კაცი არ მოქთხოვს პასულ“ (აჭარული). ამავე ფორმის ვარიანტები მოლ-მა/ოღმა/უღმა გამოიყენება „შემდეგ, მერე“ თანდებულის დანიშნულებით: დიდი ხნის მოღმა, შარშანდელ(ს) ოღმა (აჭარული), მას ოღმა/უღმა ავერ ხუთი წელიწადია (ქვემოიშერული; უხუთური ქცევა).

გარშემო თანდებულის ნაირსახეობაა გარშამო ← გარ-შამო (რთულ ზმნისწინში დიალექტებში ხშირად დაჩნდება შა-ვარიანტი). იგივე შამო- არის წარმოდგენილი გვრიშამო/ გვრილიაშემო/ გვრილიაშამო ფორმებში: ეკლესიის გვრიშამო/ გვრილი-აშამო (იმერული). გვრილიაშამო და მისთანა ფორმებში გარ- ელემენტის ნაცვლად გამოიყენება გვრილია „ირგული“, რომელიც დამოუკიდებლადაც იხმარება ამ დანი-შნულებით: სახლის გვრილია/ გრულია (დეჩხუმური). გვრილია → გვრი დაჩნდება გვრიშამო შემთხვევაში. გვრილია არის ირგული ფორმის ფონეტიკური ცვლილებით მიღებული: ბოლოკიდური ვ-ს დისიმილაციური დაკარგვითა და ირგვ → გვრი მეტათეზისით.

*მაგ-ივერ → მაგ-იერ (შდრ.: მაგ-იერ-ად) ძირითადად ორი ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება: მაგიერ → მაგიარ (შდრ.: მაგალითად, ფშაურს: ნიჭიარ-ი „ნიჭიერი“, გონიარ-ი „გონიერი“) და *მაგივერ → მაგიორ (ვე → ო შონაცვლეობის გზით): დახმარების მაგიორ (გურული).

- ნაირი → -ნერი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: რანე-ირი, სხვანერი (ფშაური)... ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ცვლილება დამოწ-მებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, სადაც სხვა შემთხვევებში აი → ეი, როგორც წესი, არ ხდება. მესხურში წარმოდგენილია მეტათეზისის შედეგი: ამ-რაინ-ი, ჩემ-რაინ-ი, ანუ: „ამნაირი“, „ჩემნაირი“.

-მდე/ -მდი თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობანი შემდეგი სახით შეიძლე-ბა წარმოვადგინოთ:

-მდე → მდენ

-მდის → -მდი → -მდინ → -მდინ(ა)ს → -მდისინ(ნ)

-მდე → -მდ

-მდი → -ნდი, აგრეთვე: -მდე → -ნდე

-მდე → -მდენ ბოლოკიდურა ხმოვნის ნაზალიზაციის საფუძველზე: შემოდგო-მა-მდენ, მუხლუბა-მდენ (ქართლური), სახლა-მდენ (კახური)...

-მდის → -მდი ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეციით: დღე-მდი, სანამ-დი (ქართლური), თავა-მდი, იქა-მდი (კახური), სალაშა-მდი „სალამომდე“ (ფერეიდნუ-ლი), დილა-მდი, სახლა-მდი (რაჭული), რა-მდი „სანამდე“, ღელეე-მდი/ ღელუე-მდი (იმერული)... ჩვეულებრივ, ბოლოკიდური ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის (-მდი →

-მდინ): დღე-მდინ, სანამ-მდინ და ა.შ.

-მდის და -მდინ ნაირსახეობათა კონტამინაციით მიიღება - მდისინ/-მდისი (კახური: საღამო-მდისინ, ცა-მდისი; ქართლური: მცხეთა-მდისინ, გათენება-მდისი, შთოულური: თავიდან ფეკებადნი-სინ) და -მდინას/-მდინს (თუშური: ასა-მდინას „ასამდე“, გათენება-მდინას).

-მდე → -მდ ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცილ დაჩნდება თუშურში: სამ წლა-მდ ვიარ „სამ წლამდე ვიარე“.

-მდი → -ნდი (=მდე → -ნდე) დამოწმებულია მესხურში: სახლა-ნდი/სახლა-ნდინ/ სახლა-ნდის, დილა-ნდე/დილა-ნდი...

შენიშვნა 1: ერთსა და იმავე დიალექტში, ჩვეულებრივ, გამოიყენება - მდე/-მდი თანდებულის რამდენიმე ნაირსახეობა: მცხეთა-მდი // მცხეთა-მდინ // მცხეთა-მდისინ... (ქართლური), სახლა-ნდი // სახლა-ნდინ // სახლა-ნდის... (მესხური).

შენიშვნა 2: -მდე/-მდი თანდებულის დართვისას ქვემოიშვრულში ორმაგდება ან გრძელდება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთა ბოლოკიდური ფუძისეული ხმოვანი: დილაამდი // დილა მდი, ლელემდე, საღამო-ომდი...

4.4. ნაწილმკ-მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი.

-ცა → -ც/-ძა/-ძ/-ო;

-მცა → -მც/-ც/-მ;

-მე → -მ/-მე;

-ჟე → -ე/-ჟენ/-ჟემ/-ჟე/-უე;

-ლა → -ლ/-ხა/-ლან/-ხან/—ო;

-ოდე → -ოდ/-ოთ/-დე/-ტე/-თე;

-რე → -ლე/-რ;

-უნდა // უნა → -ნდა/-და/-ნა/-უმ;

-თურმე → თურე/თურნ / თე/თურმელ/თურმენ(ი)/თურმის/თურმინ(ი)/თო-

რემ/სთურმე/სთურე / სტურე/სტურე;

განა → გან/განთ.

ხომ → ხო/ხომა/ხომე/ხემ/ხე/ხე-/ჰომ/ჰუმ;

-ა/-ე/-უ/ — ჯ

ხოლმე → ხომე;

კინალამ → კინალ/კინამ/წინალამ/წილამ/კიდალამ/კინალად/

კინალათ/კინალარ/კინალართ(ა)/კინალმა/კინალმე/
კილამ(ეს)/კილმა/კილმე(ს)/კილარში/კალამ/კალმე/
კახამ/რალმე/ლარმე/ლარში/კვლამ/ლამე;

კიღვე → კიღე/კიღავ/კიღან/კიღავენ/კიღვენ/კიღევე/კიღემ/კიღენ (ა)/კიღლო(მ)/კიე/კიღემ(მ);

ისევე → ისევ/ისვენ/ისივ/ისავ/ისეველ/ისრ(ვ)ლუ/ისთველუ;

ქვე/ქე/ქი/ქო;

აბა → აბა/ბა (/მააბა/მაბა ← მაშ, აბა);

მეთქი → მეთქინ/-მეი;

თქვა/თქო;

ო → -ო/-ვ;

ჭერ → -ჭელ/-ჭენ/-ყერ;

თითქმის → თითქმიც;

თითქოს → თითქო;

ვითომ/ვითამ/მითომ/მითამ/ნითამ;

ბარემ/ბარე/ბარ/ბარევე/ბარეველ/ბარემდე/ბარემლა/ბარელამ/ბარელმა/ბარეოდ;

ეგების // ეგება → ეგებ/აგებ(ის)/ეგა;

იქნება → იქნებ/იქნია/იქია.

-ცა → -ც საერთო-ქართული მოვლენაა: ვილა-ცა → ვილა-ც, რალა-ცა → რალა-ც... ზოგჯერ უპირატესობა -ც ვარიანტს ეძლევა: კაცი-ც, აქა-ც, რომელი-ც... შეიძლება მოიკვეციოს თვით -ც ელემენტიც: ყანასა (ყანასაც) თაოდ მახკიან, ძნასა (ძნასაც) თაოდ შახყრან (ხევესურული); -ც(ა) მორფემოიდზე ამ შემთხვევაში ბოლოკიდური ხმოვანი მიანიშნებს: შემორჩენილია როგორც მოკვეცილი თანხმოვნის საკომპენსაციო საშუალება (უშუალოდ პაუზის წინ თავად მოიკვეცებოდა).

-ცა → -ძა ცვლილება დაჩნდება -ლა ნაწილაკ-მორფემოიდის წინ (რეგრესული ასიმილაციის შედეგია. ვინ-ცა-ლა → ვინ-ძა-ლა, რა-ცა-ლა → რა-ძა-ლა, სა-ცა-ლა → სა-ძა-ლა (ზემოაშერული). გვხვდება -ძა → -ძ ნაირსახეობაც: რა-ძ-ლა (აჭარული).

შენიშვნა: -ცა-ლა სხვა ფონეტიკური ნაირსახეობითაც არის წარმოდგენილი:

-ცა-ხა/-ც-ხა; ამის კვალობაზე, იმერულში შესაძლოა ასეთი პარალელური ვარიანტები დავადასტუროთ: სა-ცა-ლა → სა-ძა-ლა // სა-ძა-ხა და მისთ.

-მცა შედარებით იშვიათად გამოიყენება. გვხვდება ორი ნაირსახეობით: -მც

(ფშურ: პირი-მც წყლით გააღობინა; ხევსურული: ღვინონი-მც ჩადგებინა; თუშურ: ოკრადა-მც გყოლი ლურჯაი) და -ც. (ემთხვევა -ცა → -ც მორფემოდს: წყალსა-ც [-წყალსა-მც] წაუღისარ). დამოწმებულია -მცა → -მ პროცესი: ნუ-მ (-ნუ-მცა) ჩამოჭდები (ხევსურული).

-მე ნაწილაკი ორი დანიშნულებით დაჩნდება ჭართული ენის დიალექტებში: ა) -მე არის განუსაზღვრელობითი მორფემოიდი: რამდენი-მე, რამდენჯერ-მე, რაი-მე, ვინა-მე; აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში პაუზის წინა პოზიციაში, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ხმოვანთმოკვეცილი სახით: რამდენი-მ, რამდენჯერ-მ; ბ) -მე არის ნატვრითობის ან კითხვითობის გამომხატველი მორფემოიდი: მოვიდისა-მე-ვ „ნეტავ მოვიდისა“; პაუზის წინა პოზიციაში ორი ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება: -მე → -მ (თუშურ): რადა-მ გვიანაჟ მოდის? „ნეტავ გვიან/გვიანად რად მოდის?“ და -მე → -მჩ ნაწილობრივი რედუქციის საფუძველზე (თუშურ: რადა-მ უშვებდეს, რადა-მჩ).

შენიშვნა: მესხურში დამოწმებულია კითხვითი -მი ნაწილაკი: კაცი-მი არა ხარ? ბავშვი-მი არ ჰყამდა? პა-მი? „ხომა?“ ფუნქციურად ცვლის -ა და -მე მორფემოიდებს, მაგრამ თავად ნასესხები უნდა იყოს თურქულიდან (ა. მარტაროასოვი, გ. ბერიძე).

-ვე ნაწილაკი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში პაუზის წინა პოზიციაში, როგორც წესი, ხმოვანს იკვეცს: აქა-ვე → აქა-ვ, უკანა-ვე → უკანა-ვ, მაშინა-ვე → მაშინა-ვ, ჯვარი-ვე → ჯვარი-ვ, ჯვარმა-ვე → ჯვარმა-ვ, შვიდთა-ვე → შვიდთა-ვ, ჩვენა-ვე → ჩვენა-ვ. შეინიშნება რატული დიალექტის გოლოლურ კილოკემიცი: იქა-ვ. სპორადულად გვხვდება სხვა დიალექტებშიც.

შენიშვნა: -ვე მორფემოიდის ბოლოკიდური ხმოვანი შესაძლოა არ აღდგეს ენკლიტიკის შემთხვევაშიც, ოღონდ დაჩნდება თანხმოვანთგამყარი -ა ხმოვანი: მაშინა-ვ-ა-ც „მაშინვეც“, კიდე-ვ-ა-ც... (ა. ტინჭარაული). ნიმუშები ხევსურული დიალექტიდანაა დასახელებული.

აჭარულში -ვე მორფემოიდი ორი ნაირსახეობით გვხვდება: ბოლოკიდური ხმოვნის იოტიზებული (დილას-ვე-ა, ახლა-ვე-ა) და ნაზალიზებული (დილას-ვენ, ახლა-ვენ, ისე-ვენ) დამართვით.

გურულში, ქვემოიმერულში, ჩვეულებრივ, გვაქვს -ჲე/-ჲე: ორ-ჲე, სამ-ჲე//სამ-ჲე. წესისამებრ, ასეთი ვითარებაა თანხმოვნის მომდევნოდ; შდრ.: რვა-ვე, ცხრა-ვე.

ისევე, როგორც ხმოვანზე დაბოლოებული სხვა მორფემები, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში პაუზის წინ რედუქცირდება -ლა ნაწილაკის ხმოვა-

ნიც: რადა-ლ, არიქა-ლ (ხევსურული), საგძალი-ლ, მეაცა-ლ (თუშური)...

აჭარულში დაჩნდება ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით: მემრე-ლან „მერეღა“, ჰაც-ლან „სადლაყ“.

დასავლურ დიალექტებში ნაცვალსახელებს, აგრეთვე ადგილსა და დროის ზმნისართებს —ლა დაერთვის —ცა → -ც ნაწილაკის მომდევნოდ (ანალოგიური შემთხვევები დადასტურებულია აღმოსავლურ დიალექტებშიც — ხევსურული: რაქელ-ცა-ლ „როგორღაც“, ვინ-ცა-ლა-მ „ვიღაც, ვიღაცემ“...); —ცა-ლა კომპლექსში ლ → ხ პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე: სა-ც-ხა // სა-ძა-ლა // სა-ძა-ხა, რა-ც-ხა (მერული), სანე-ც-ხა // სანი-ც-ხა (ღენჩუშური), რომელი-ც-ხა, რამდონი-ც-ხა (გურული). აჭარულში დამოწმებულია როგორც-ხა, ასევე (ხმოვნის ნაზალიზაციით): -ხან: ჰა-ც-ხა // ჰა-ც-ხან (შდრ. ზემოთ: -ლან).

-ლა/-ლ შესაძლოა სრულიად მოიკვეციოს (საკომპენსაციოდ შემორჩენილია წინამავალი ხმოვანი, რომელსაც მახვილი მოუღის): ისი-ლა → ისრ, მითხარი-ლა → მითხარ, უყურეთა-ლა → უყურეთ, კარშია-ლა → კარშიან (ხევსურული).

-ოდე მორფემოიდის ფონეტიკური ნაირსახეობანი შესაძლოა ასე წარმოვადგინოთ:

-ოდე → -ოდ → ოთ

-დე → -ტე/-თე

-ოდ/-ოთ გვხვდება თუშურსა და ფშაურში (მნიშვნელობის გადახრით): კარგაყი-ოდ „ყველაზე კარგი“; ბაღლი-ოდ „ბაღლიც კი“ (თუშური); პურიოდ „კოტა პური“; აქა-ოდ „იქვე“, ისრე-ოდ „ზუსტად ისე“... პური-ოთ გმინ „ალბათ პური გშია“ ცამეტ-თოთხმეტი წლისი-ოთ ვიყავ „ცამეტი-თოთხმეტი წლისა თუ ვიქნებოდინ“ (ფშაური).

-დე წარმოდგენილია ზოგი ქართული მწერლის თხზულებებში: ის-დე (გ. ერისთავი). თანამედროვე დიალექტებში დადასტურებულია -ტე/-თე ვარიანტები: ის-თე, ას-თე (ქვემოთხედი, მერული, ღენჩუშური, გურული) // ის-ტე, ას-ტე (სდ → სთ პროგრესული ასიმილაციით, სთ → სტ პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე: ფშენივიერი + ფშენივიერი → ფშენივიერი + მკვეთარი).

შენიშვნა: ამ წესით მიღებული ფორმები, ჩვეულებრივ, რთულდება -ვე ან -ვე-ლე მორფემოიდებით: ის-თე-ვე, * ის-თე-ვე-ლე → ის-თე-ვ-ლე; შდრ.: ზოგ დიალექტში -რე მორფემოიდი საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

დაჩნდება ორი ფონეტიკური ნაირსახეობით: იკვეცება ბოლოკიდური ხმოვნით (ხევსურული: ის-რე → ის-რ; თუშური: ჰ-აგ-რე → ჰ-აგ-რ), ხოლო რ-ნარვე ფუძეებთან იცვლება პროგრესული დისიმილაციის

საფუძველზე (ფურუღი): *ისე-ვე-ლე → ისე-ვ-ლე → ისოვლე // ისოლე
(ფურუღი): *ქვე-რე-რე → ქვე-რე-ლე „ცოტა ქვემოთ“, იქით-რე-რე →
იქით-რე-ლე „ცოტა იქით“; იმერული: *ადრე-რე → ადრე-ლე).

შენიშვნა -რე ხშირად გაორმაგებულია:

*ზე-რე-რე → ზე-რე-ლე, * აქეთ-რე-რე → აქეთ-რე-ლე და მისთ.

უნდა // უნა წარმოშობით დამოუკიდებელი ზმნაა; ამის პარალელურად თანამედროვე ქართულში გამოიყენება ვალდებულებითი კილოს (დებიტივის) საწარმოებლად: უნდა ვაკეთებდე/აკეთებდე/აკეთებდეს, უნდა გავაკეთო/გაკეთო/გაკეთოს. მისთვის ამოსავალია უ-ნ-ა (უ-ნ-დ-ა ნამყო უსრულის ფორმა ისტორიულად, შემდგომ აწმყოდ გააზრებულ), რომელიც დღესაც გვხვდება ზოგ დიალექტში: უნა // უნ გავაკეთო (კახური), უნა წამოვიყვანო (ზემორაჭული), უნა წვედიო (ზემოიმერული). ინგილოურში დადასტურდა უნდ ვარინტიც. ამავე დიალექტში დაჩნდება აგრეთვე -უმ: მე-უმ უშკოლ გუამთავრო „მე უნდა სკოლა დავამთავრო“, მისზე-უმ დოაფიციო „ვისზე უნდა დავიფიციო“ (რ. ლამბაშიძე).

დიალექტების ერთ ნაწილში უნდა მორფემოიდი ცვეთის შედეგად იძლევა -ნდა // -და // -ნა ვარინტებს: ის-ნა შეერთო, მეც-ნა წავიდე (კახური), შეილი-ნდა // შეილი-და // შეილი-ნა გაგინდეს/შეილი გაგინდეს -და // გაგინდეს-ნა, ნა-და-ვკრა შეშა // შეშა-ნა დავკრა // შეშა დავკრა-ნა (მესხური), იქ-ნდა მივდე, ვინ-და წვედეს, ის-ნა მეთქვა (აჭარული).

თურმე ნაწილაკი საკმაოდ ნაირფეროვანი ფონეტიკური ვარინტების სახით არის წარმოდგენილი ქართული ენის დიალექტებში. ამოსავალი ამ ფორმისათვის არის თურე ← თუ-რე (ა. შანიძე), შემდგომ გართულდა -მე მორფემოიდით: თურე-მე → თურმე (ა. შანიძის აზრით, - მ ფონეტიკური ჩანართია). თურე და მისი ნაირსახეობანი თურჩ (ბოლოკიდური ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციით), თურ (ბოლოკიდური ხმოვნის სრული რედუქციით) დღესაც შემორჩენილია ზოგ დიალექტში: გაჭენდ თურე-დ ერთ წყაროს დეჟ წათე აგაიქცა თურმე და ერთ წყაროს დაეწაფა, ერთხენ ქუმელაურთას დღეობა არის თურჩი, „ერთხელ ქუმელაურთაში დღეობა არის თურმე“. ვერავინ თურ ღებდაეს ეტე მ მათრახის აღებას „თურმე ვერავინ ბედაეს იმ მათრახის აღებას“ (თუშური). ზოგჯერ დაჩნდება ოდენ თუ: ქალის ძმებმა თუ (=თურმე) უთხრეს (მოხეური); მშავლის ჯარ თუ (=თურმე) შატლ იდგის (ხევსურული).

თურმე ფორმის ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციის შედეგად დაჩნდება თურმენ (ჭავჭავი: თურმენ ესა მამისს სკოდნია), დამოწმებულა თურმენი ნაირსახეობაც (ინგილოური: იმ დეკაცს თურმენი ფიჭარში ჰქონი გადახორწნაჲ „იმ დედაკაცს თურმე ფიჭარდ ჰქონია გაქცევა“); ნ:ლ მონაცვლეობის შედეგია თურმელ

(სამცხური: თურმელ და ყოფილა ის ქალი), უ-ს დავიწროებით ვიღებთ თორმე ვარიანტს (ჭავჭავური: ძმიები თორმე სანადიროთ არიან წასულა).

ქართული ენის დიალექტებში ზოგი ნაწილაკი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ფორმდება (მერმის, მემრენის, „მერე, მერმე“). ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს თურმის ვარიანტის შემთხვევაშიც (აჭარული: ერთი ზენგინი [=მდიდარი] კაცი ყოფილა თურმის); ბოლოკიდურა თანხმოვნის მოკვეციტ: თურმი (აჭარული: უწინდელ დროში ჩუენში ჟამობა გაჩენილა თურმი), რომლის ბოლოკიდურა ხმოვანმა შესაძლოა ნაზალიზაცია განიცადოს: თურმის (აჭარული: ესენი ძალუნ ფუხრათ [=დარბად] მცხოვრობდენ თურმინ).

თურე და თურმე ფორმების თავკიდურად შესაძლოა განვითარდეს ს თანხმოვანი: სთურე // სთურმე (დეჩხუმური: სთურე მიეჩვი ირემი); სთ → სტ პროგრესული დისიმილაციით (ფშენივთიერი + ფშენივთიერი → ფშენივთიერი + მკვეთარი): სტურე; დაჩნდება აგრეთვე სტურმე → სტუმრე მეტათეზისის საფუძველზე (დეჩხუმური: ქუთაიში იყო სტუმრე დასახლებული ერთი კაცი).

შენიშვნა: თურმე / თურე მორფემოიდს დიალექტებში მოეპოვება სინონიმებიც:

მეგემ // მეგერ (აჭარული), ხამ (მთიულური), ყოფილ (ინგილოური), ყოფილამ (ხევსურული).

კითხვითი ნაწილაკი განა დიალექტებში ორი ნაირსახეობით გვხვდება: ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეციტ (თუშური: გან ისი მოალის?) და განა თუ → განთ (ხევსურული: უწოვავ ქრიტის დედაი, განთ კორაცივლისა? — რძინანი).

ხომ მორფემოიდის ნაირსახეობანი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ სქემაზე:

ხომ →	ხომა/ხომე
	ხო
	ხუმ → ხუ → ხე
	ჰომ/ჰუმ

ამათგან ხომ-ა ვარიანტში დაჩნდება კითხვითობისვე . ა ნაწილაკი („ხომა ხედავთ?“), რომელსაც ზოგიერთ დიალექტში ჩაენაცვლება -ე (იმერული, დეჩხუმური: წახვედი ხომე? კაი ვენახია ხომე?).

ხომ → ხო ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეციტ (ხო გითხარი?) ფართოდ არის გავრცელებული ზეპირმეტყველებაში.

ხომ → ხუმ მიღებულია რეგრესული ასიმილაციის შედეგად: წინამავალ ხმოვანზე თანხმოვნის ზეგავლენის ნიშნით (აჭარული: ხუმ გითხარი?), ხუმ → ხუ ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეციტ (შაქარაც ხუ არ მოიტანაო?) — დაჩნდება იმერულში, გურულში, შეინიშნება მესხურშიც. ხმოვნით დაწყებული ფორმის ენკლიტიკის

შემთხვევაში ხუ → ხუ/ხე (იშერუღი: ხე - არაფერი გინდა? „ხომ არაფერი გინდა?“).

აჭარულში შეინიშნება ხ → ჰ ცვლილების შედეგი: ჰომ // ჰუმ გითხარი ჰოჲ!

კითხვითი მორაფემოიდი -ა ძველ ქართულშივე გამოიყენებოდა (ხარ-ა? აკეთებ-ა? შდრ. ახალი ქართული: ხნარ? აკეთე ბ?). ზოგიერთ დიალექტს დღემდე შემორჩა; კერძოდ, დაჩნდება ხევსურულში (კოდვა არ ას-ა?), თუშურში (გაჲ კეთებ-ა?), ფშაურში (არა თქვა-ა შანშემა?), მთულურ-გულდამაჲურულში (ისეჲ არია-ა ნეტარ ი გოდორი? რა უნდოდა-ა-ა?), ინგილოურში (მინ არის-ა? „ჲინ არის?“ სა მიდი-ა? „სად მიდიხარ?“)...

შენიშვნა: ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში, ჩვეულებრივ, ხდება ბოლო-კიდური ხმოვნის მოკვეცა, კითხვით კონსტრუქციებში კი იგი შენარ-ჩუნებულა და არსებითად კითხვითი ნაწილაკის მაგვირობას სწევს: შენ რაზე არ მ-ე-ბნ-ებ-ი? „შენ რისთვის არ მეუბნები?“ შდრ.: მე შენ გ-ე-ბნ-ებ „მე შენ გეუბნები?“ (მ. კიკონიშვილი).

იმერულსა და ლეჩხუმურში ამ მხრივ თავისებური ვითარებაა: კითხვით ფორმებში გამოიყენება მაერკობი ხმოვნები (დაწერილებით ის. ქვემოთ): კაი ვენახია ხომ -ე? შენ ხარ -ე? ბიჲო, რა უკოთ-ე? (ზემოიმერული), ამას-ე / ამას-უ // ამას-ე? (ქვემოიმერული, ლეჩხუმური) -გ არსებითად არის -ე და -უ მორაფემების რედუცირებული ვარიანტი, რომელიც ასევე დაჩნდება მაერკობ ხმოვნად. კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით - გ გამოიყენება რაჲული დიალექტის შემოარაჲულ და რიგ-ნისთაურ კილოკაეებში: არ იცი შენ-გ? აჲ არის-გ? გინახავს იჲ-გ? მიიჩნევა სვანურ სუბსტრატად (ვ. თაფურია). დაჩნდება მოხეურშიც ჩაკითხვისას: ძაუგს მიდიხარ? ძაუგს-გ?

შენიშვნა: კითხვით ფორმებში -ე გვხვდება ხევსურულშიც, ოღონდ, ჩვეულებრივ, კითხვითობის -ა ნაწილაკის მომდევნოდ: გაკსონს-ა-ე? „გახსოვს?“ უქნავ-ა-ე-ვ „უქნიაო?“ - ა პირის ნიშანს მიერთვის უშუალოდ: იცინოდ-ა-ე-ვ „იცინოდაო?“ (ა. ჰინჭარაული); შდრ.: თქე-ა-ე-ვ „თქვაო“. ეს -ე, რა თქმა უნდა, სულ სხვა წარმოშობისაა, ვინემ იმერულსა და ლეჩხუმურში დადასტურებული -ე მორაფემა.

მრავალზისობის გამომხატველი ხოლმე ნაწილაკი ზოგ დიალექტში დაჩნდება როგორც ხომე (ლ-ს ჩაეარდნით): სადილი მაინც მოხარშე ხომე (კახური), წავედი ხომე „მივდიოდი ხოლმე“ (იმერული დიალექტის თერჯოლური თქმა), რა ვიშუშავეფ ხომე, უფრო კაათ ვარ (ზემოიმერული).

კინლაჲ ნაწილაკი მიღებულია კინლა ფორმის ფონეტიკური ცვლილებითა (კინნ-ი „მცირე“ + -ლა → კინნ-ლა → კინ-ა-ლა) და მასზე - მე მორაფემოიდის დართვით

(* კინალამე → კინალამ). კინალა დაჩნდებოდა ძველ ქართულში (სოფელნი ჰირას შინა იყვნენ და კინალა [თითქმის] უკაცრულ*). კინალამ ფორმა დამკვიდრდა ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში. მასთან ერთად დიალექტებში გამოიყენება მისი ფონეტიკური და მორფოლოგიური ვარიანტები, რომლებიც სქემაზე ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა) კინალამ →	კინალამე/კინალმა	
	კინამ	
	კინალ(ა)	
	კილამე →	კილამ → წილამ
		კილამეს
		კილმე/კილმა/კილმეს
		* კელამე → კელამ/ლამე
		* კალამე → კალამ/კახამ
		კალამე

ამ ფორმებს აერთიანებს ერთი რამ: ყველა შემთხვევაში ამოვარდნილია (სინკოპირებულია) ან ხმოვანი, ან მარცვალ:

*კინალამე → კინალამე, რომლის ვარიანტია კინალმა (ბოლოკიდურად ეა მონაცვლეობისათვის შდრ. ფშაური: კახეთ-ის-ა-კე // კახეთ-ის-ა-კა; არ გამოირიცხება წინამავალი ა-ს მიერ სრული პროგრესული ასიმილაცია). ორივე ვარიანტი დამოწმებულია ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში;

კინალამ → კინამ (ამოვარდნილია და მარცვალ); კინამ არ მოკლა (კახური).

კინალ დაჩნდება ფშაურში, ხევსურულში, აგრეთვე მესხურში; მიღებული ჩანს უშუალოდ კინალა ამოსავალი ფორმისაგან: კინალ ჭავრისგან სქდებთან;

*კინალამე → კილამე (სინკოპირებულია და მარცვალ). დადასტურდა ქვემოიმერულში, გურულში, სპორადულად — ზოგ სხვა დიალექტშიც. გვხვდება ხმოვანმოკვეცილი სახითაც: კილამ ფეხი მვეიტზე (გურულში...); კილამ თავი არ დაეკარქე (კახური). თავკიდურმა თანხმოვანმა შესაძლოა განიცადოს პალატალიზაცია (რაც იწვევს აფრიკატიზაციას): წილამ (აჭარულ: წილამ თავი არ შააკლას). გარდა ამისა, კილამე ზოგ დიალექტში დაირთავს -ს მორფემას (შდრ.: ახლავე -ომერული: ახლავეს); კილამეს (დამოწმებულია ზემოიმერულის ზესტაფონურ თქმაში: კილამეს მოკლა). ქვემოიმერულში კილამე ფორმის ნაირსახეობებად დაჩნდება აგრეთვე კილმე (ა-ს ამოვარდნით), რომელიც თავის მხრივ იძლევა ორ ვარიანტს: კილმა (შდრ.: კინალმა) და კილმეს (შდრ.: კილამეს).

კილამე ფორმაში ი ხმოვანი მონაცვლეობს ე და ა ხმოვნებთან (როგორც ჩანს, მომდევნო ხმოვნების რეგრესული გავლენით): კილამე → * კელამე // * კალამე, რომლებსაც თავ-თავისი ნაირსახეობანი მოეპოვება: * კელამე → კელამ (ბოლოკიდუ-

დევიზრჩივით ღარმე (ზემოიმერული), ღარმე გაღაბრუნდა ურემი (ჟავახური), ღარმი თვალის) კაკალში არ მომხდა (აჭარული)... რაღმე დამოწმებულა იმერულსა და გურულში.

შენიშვნა: ზოგჯერ ფონეტიკური ვარიანტები ერთი და იმავე პირის მეტყველებაში (ხშირად — ერთსა და იმავე ფრაზაში) შეგვხვდება: კინაღართ გამანადგურა, კინად პირდაპირ მეძგერა (ვაჟა-ფშაველა; ფშაური); კინაღამ გაღებრუნდა ღარმე ურემი (ზემოიმერული).

საკმაოდ მრავალფეროვანი ფონეტიკური ვარიანტები მოეპოვება დიალექტებში კიდევ ნაწილაკსაც. ძველ ქართულში გამოიყენებოდა კიდევ თანდებელი (მნიშვნელობით: „გარდა“): თვისისა ენისაგან კიდევ არცა მან იცოდა, არცა მან (გორგი მთაწმინდელი). ძველ ქართულში კიდევ გამოიყენებოდა არსებითი სახელისა („ნაპირი, პირი, კუთხე, მხარე“) და ზმნისართის („ცალკე, განზე“) დანიშნულებით. კიდევ ფორმაზე - ვე → -ვ ნაწილაკის დართვით ჩანს მიღებული კიდევ, მნიშვნელობით: „ისევე, კვლავ, უფრო“ (კიდევ მოვიდა; კიდევ მეტი).

ამ მორფემოიდის დიალექტური ნაირსახეობანი სტემატურად ასე წარმოგვიდგება:

კიდევ →	კიდავ
	კიდე → კიე / კიდენ / კიდან
	კიდევე → კიდევჩ / კიდევენ / კიდვენ
	კიდო / კიდომ
	კიდემ → კიდდემ → კედემ / კედდემ.

კიდევ → კიდავ შედეგია ე:ა გადაბგერებისა, ცვლილების საფუძველია ი-ე → ი-ა პროგრესული დისიმილაცია: კიდავ რასმე სმეულობს? (მთელური); კიდავაც მეწვიე და კიდავაც მომიტანე რაცხა პაწაი (გურული).

დიალექტების ერთ ნაწილში დაჩნდება კიდევ ნაირსახეობით, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ფონეტიკურ ვარიანტს ეღება საფუძვლად: კიდევ → კიე თანხმოვნის ჩაჯარდნით: მილტანდნენ პატარძალ(ს) საჩუქარსა: კაბა, ზღვენი... რა ვიცო, კიდევ რასა (კახური); მერმე კიე ე გაკეთებული ჭურჭელი უნა გაშრეა (კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავი). შემდეგ: კიდევ → კიდენ ბოლოკიდური ხმოვნის ნაზალიზაციით; თუმცა არ გამოირჩევა სხვაგვარი ახსნაც: კიდევ → კიდემ → კიდენ სუბსტიტუციის საფუძველზე; შდრ.: ჰ-ყავ-ს → (ჰ)ყამ-ს → (ჰ)ყან-ს ან: სავსე → სამსე → სანსე, რაც სისტემებრ თავს იჩენს მესხურში, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში დამოწმებულა აგრეთვე კახურში, ქართლურში, ზემოიმერულში, ლეჩხუმურში... თუმცა კიდევ დაჩნდება იმ დიალექტებშიც (მაგალითად, თუშურში), რომელთათვის სხვა შემთხვევებში არაა ნიშანდობლივი ვ → მ → ნ.

კიდევ → კიდავ ფორმათა ანალოგიურად დასტურდება კიდენ → კიდან (მთოულური).

ზოგ დიალექტში კიდე ფორმაზე დართული - ვე ნაწილაკი სრული სახითაა შემორჩენილი: კიდევე, ოლონდ, ჩვეულუბრიე, წარმოდგენილია ბოლოკიდურა ხმოვნის ნაზალიზაციით: კიდევენ და ამასთანავე შესაძლოა შუა პოზიციაში ხმოვანი რედუცირდეს: კიდევენ (მაგალითად, აჭარული: ის კაცი კიდევენ მორბის; რამდენ ხან-და [ხანს უნდა] ვიცოცხლო კიდევენო*.

კიდევე → კიდევენ ბოლოკიდურა ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციით (დაჩნდება თუშურში).

კიდევე → კიდე დადასტურებულია დასავლურ დიალექტებში (ჭვემოიმერულში, გურულში, ჭვემორაჭულში, დენხუშურში). ე → ო რეგრესულ ასიმილაციას იწვევს ბოლოკიდურა ე თანხმოვანი (მდრ. გურული: ურჩევენია → ურჩიენია/ურჩონია), რომელიც, ჩვეულუბრიე, იკარგვის (გურული: ა, კიდეო „აი, კიდევე“), მაგრამ ზოგჯერ იცვლება მ სონანტით: * კიდეო → კიდეო (გურული: კიდეო გაბედავს მოსლას? * კიდევე გაბედავს მოსვლას?*)

ინგილოურში დაჩნდება კიდეშ // კიდეშ // კიდეშ // კიდეშ ფონეტიკური ვარიანტები. ი → ე სინჰარმონიზმიცენ მიდრეკილების გამოვლინებაა, რაც ამ შემთხვევაში ასიმილაციით მიიღწევა. გვხვდება აგრეთვე კიდე // კიდე (ნაირსახეობანი (მნიშვნელობით: „მერე, შემდეგ“).

შენიშვნა 1: ერთსა და იმავე დიალექტში ჩვეულუბრიევა ერთმანეთის გვერდით პარალელური ფონეტიკური ვარიანტების გამოყენება; მაგალითად, „მემრე კიდე კვირტი უნდა აჭრა“... „მემრე კიდე ე გაკეთებული ჭურჭელი უნდა გაშრე“... (ქიზიურში); „რავა, კიდეშ გინდაო?“ „კიდევაკ მეწვიე“ (გურული).

შენიშვნა 2: ხშირად ერთსა და იმავე დიალექტში გამოიყენება კიდევე ფორმის ფონეტიკური ვარიანტებიც და მისივე სემანტიკური ეკვივალენტები: „ის კიდე წყალ(ს) აფუჭებს“; „მემრე მოვა კიდენ სახლშია მამა თუ ძმა ქალოს სანახავად“... და იქვე: „მეორე დღეს ისევ მაიძკვდარუნა თავი“; „უნდა წყალში გადაგდონ ისავე“ (მთოულური); ხალხს კიდენ მაგრეთჟე; „ერთხენ კიდენ გავპარებოვ“... იქვე: „ერთ კვირაჟის შემდეგ გარევე (=კიდევე) მოიდავ“ (თუშური).

შენიშვნა 3: ხეცურულში გვაქვს კიდეკ ნაირსახეობაც (ერთ დღე კიდეკ გამიცდება). მიღებული ჩანს ასე: კიდე კი → კიდე-კ (გამობატავს აგრეთვე მნიშვნელობებს: „მხოლოდ“, „გარდა“).

ის ნაცვალსახელისაგან -რე → -ე ნაწილაკის დართვით იწარმოება ზმნისართი: ის-რე → ის-ე, რაიმელსაც მიერთვის -ვე: ისე-ვე (შდრ.: იმგვარად — იმგვარადვე). ისევე, ჩვეულებრივ, ზმნისართის დანიშნულებით გამოიყენება („ახლაც ისევე დავი-ცავთ, ვით წინათ დავვიფარია“; ვაჟა-ფშაველა). ბოლოკიდურა ხმოვნის მოკვეცილ მიღებული ისევე იძენს ნაწილაკის დანიშნულებას — მისი მნიშვნელობაა „კიდევ“ („ჟერ ისევ პატარა ვიყავი“, „ისევ და ისევ“). დიალექტებში ამავე დანიშნულებით ზოგჯერ დაჩნდება ამოსავალი ისევე ფორმა: „ხალე ისევე (ოსევე) მოხვალ“.

საკუთრივ ნაცვალსახელი ის დიალექტებში გვხვდება კიდევ ორი ნაირსახეობით: ისა და ისი (შდრ.: ერთი მხრივ, იმ//იმა: დავხოცავ იმ ყველას; მო-ვითა-ჰკლავ იმა კაცს); „ვეფხისტყაოსანი“; ხოლო, მეორე მხრივ, ისი-ნი, აგრეთვე: იგი). ამის კვალ-ბაზე დაჩნდება: ისა-ვე → ისავ (მთიულური: უნდა წყალში გადაადგონ ისავ), ისი-ვე → ისიე (მთიულური: ისიე უთხრა).

-ვე შესაძლოა მიერთოს უშუალოდ ის ფუძესაც: ის-ვე, რომელიც ბოლოკიდუ-რი ხმოვნის ნაზალიზაციით დაჩნდება (ისვენ) აჭარულში: მეე (მერე) თოკს წამუ-ცმევს ისვენ გიდელს.

დიალექტების ერთ ნაწილში ისევ მორფემოიდი რთულდება -ლე ნაწილაკით: ისევლე (ჭურული, ქვემოიმერული, დეჩხუშური), რომლის ფონეტიკური ვარიანტე-ბია ისოვლე // ისოლე (ვე →ოე →ო ცვლილების საფუძველზე). ამასთანავე — ვე-ლე → -ე-ლე შესაძლოა დაერთოს -ოღენ → -ღე → -თე მორფემოიდით გართულებულ ფუძეს: ის-თე → * ის-თე-ვე-ღე → ისთევლე (დამოწმებული იმავე დიალექტში); დაჩნდება აგრეთვე ისთოვლე ვარიანტი: ისეველე // ისოველე // ისოლე // ისთოველე // ისთოველე მუა (=მოვა).

შენიშვნა: კიდევ და ისევ, რომლებიც, ჩვეულებრივ, სინონიმურად გამოიყენებიან, ზოგჯერ განსხვავებულ მნიშვნელობებსაც გამოხატავენ; შდრ. ერთი მხრივ, „ისევ (//კიდევ) უთხრა“, ხოლო, მეორე მხრივ, „ისევ (ისევლე, ისოლე) შენ უნდა უთხრა, სხვა ვინ გაბედავს“ და „აქანა ლელე, გადამა კიდევ (კილო...) მიღორი“. მეორე შემთხვევაში ისევ და კიდევ ერთმანეთს ვერ შეენაცვლება.

ქვე ნაწილაკი დადასტურებულია საშუალო საეკუნეების წერილობით ძეგლე-ბში: „ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე დგა, არ თურე კრთებოდა“ (ვეფხისტყაოსანი). ამჟამად დიალექტებში დაჩნდება: მენამგლებ ქვე მკიან (ხევსურული); ქვე უკვირს; ქვე რა ვიცი (რაჭული). მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ქვე → ქა (ვე → ო შენაცვლებით).
 |
 ქე → ქი

ახლა ქვე წუხს / ეს ქალი ბევრი უბედურებით ქო წახთა/ იქანა რო ვყოფილოყავით, ქე (ე)უშველოდით (ზემოიმერული); ურემი ქვე სად იყო? ქე დავრჩით (ღეჩხუშური); აი კაცი ქე (/ქი) მივა (გურული).

შენიშვნა 1: მტკიცებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებისას ქვე/ქე/ქი მორფემოიდებს შესაძლოა შეენაცვლოს კი. მათი განაწილება ზოგჯერ დიალექტების მიხედვით ხდება: თივას ქვე მივსტემავ (ხევსურული); შდრ.: იმთენა ძალა მამეციო, მაგათ კი ბუეროო (ფშური).

შენიშვნა 2: ქვე/ქე/ქი მორფემოიდის პოენიერების ევოლუბაზე ზოგ დიალექტში ხდება წინადადების (ფრაზის) ინტონაციური ქარგის რეგულირება. მაგალითად, გურულში, თუ დამოკიდებულ წინადადებას მოსდევს მთავარი, მაშინ დამოკიდებული წინადადების ბოლო სიტყვის ბოლოკიდურა ხმოვანი, ჩვეულებრივ, გრძელდება: „იქიდან რომ დაბრუნდება, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“; ამავე წინადადებაში ქე/ქი ნაწილაკის ჩართვისას ბოლოკიდურა ხმოვანს მახვილი მოუვა და მისი დაგრძელება საეაღდებულა აღარ იქნება: „იქიდან ქ-არ (← ქე არ) დაბრუნდება, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“ (ქ. ლომთათიძე).

აბა ნაწილაკი ორი ნაირსახეობით დაჩნდება: ა) აბა → აბა დისიმილაციური გამკეთებებით: წავალ, აბა არა? (იმერული, ღეჩხუშური). კითხვითი ინტონაციით წარმოთქმისას გამოხატავს დადასტურებას (გააკეთე? — აბა? // აბა არა? = კი, პო), ძახითი ინტონაციით გამოხატება უარყოფა (გააკეთე? — აბა = არა, ვერ გააკეთე). ამავე ფუნქციით გამოიყენება შაშ, აბა → შააბა // შააბ: იყავი ონშიდა? მააბა (რაჭული)... დასტურდება -ლუ დართული ვარიანტიც: აბალე (ზემოიმერული); შდრ.: აბალე (ხევსურული); ბ) აბა → ბა: საწყალს თლათ გადაყვენ შინაჭრები, ბა! (აჭარული). სხვათა სიტყვის ნაწილაკ-მორფემოიდების ფონეტიკური ნაირსახეობანი დიალექტების მიხედვით ასეთ სურათს გვიჩვენებენ:

-მეთქი → -მეთქინ ბოლოკიდურა ხმოვნის ნაზალიზაციით სისტემებ დაჩნდება გურულსა და აჭარულში: არა-მეთქინ, ჩამოი-მეთქინ/ჩამოა-მეთქინ. შეინიშნება სხვა დიალექტებშიც. -მეთქი → -მეი (თქ კომპლექსის ჩაგარდნით) დაგვხვდება მთოულურში: გააკეთებ-მეი.

შენიშვნა: -მეთქი ფორმისთვის ამოსავალი მე ვთქვი (/ ვ-ს ჩაგარდნით: მე-თქვი) შემორჩენილია ზოგ დიალექტში (მაგალითად, ზემოიმერული კილოკავის ზესტაფონურ თქმაში, ჭავახურში): ამას ქე წამართმევენ მიანც-მეეთქვი (/ -მეთქვი); წავალ-მეეთქვი...

-თქო რამდენიმე დიალექტში (რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში) დაცულია ამოსავალი სახით: - თქვა; ხშირად გამოიყენება - მეთქი ნაწილაკის დანიშნულებითაც; უთხარი, ფულს გაჩუქებენ-თქვა; შდრ.: სანამდი ახალგაზრდა ვიყავი, არაფელი მქონდა-თქვა (=მქონდა-მეთქი), ვუთხარი.

სხვათა სიტყვის - ო მორფემოიდი („ასე მითხრა, მამაშენი მოვიდეს-ო“ (დიალექტებში კიდევ ორი ნაირსახეობით გვხვდება: - ო → -ვ პაუზის წინა პოზიციაში (ხევსურული: თქვისა-ვ ხოგაის მინდიმა-ვ; თუ შური: თავ უჩინს, ბოლომ [„ბოლო-მე „ნეტავ ბოლო“] საღ არი-ვ; ფშაური: თოკისფერა წაიყვანეს-ო, უთხარ, შენ ცხენი-ვ; ინგლოური: ქალ დემეწივა, მითხრა: დედექი-ვ [„დადექო“], მეც შენთან ერთა [„ერთად] მოუდივარა-ვ“ -ვ → -უ ხმოვნის წინ; დაჩნდება იმავე დიალექტებში, სადაც გვაქვს -ო → -ვ (უნდა-უ-ა? მო-გხვდა-უ-ა? შდრ.: უნდა-ვ, მოგხვდა-ვ). ზოგ დიალექტში შეინიშნა პაუზის წინაც (მოხეური: არა-უ „არაო“). ეკკლიტიკის შემთხვევაში -ო აღდგება: მაგიდავ ის ეშმაკი-ო-დ თქვავე „მოვიდაო ის ეშმაკიო და თქვაო“ (ხევსურული).

შენიშვნა 1: ზოგ დიალექტში თანხმოვანზე დასრულებულ ფორმებზე დართულ -ო ნაწილაკის წინ ჩაერთვის -ა: დამალავ-ა-ო, მოკლან-ა-ო, ჩვენ-თან-ა-ო (რაჭული); ხარ-ა-ო, მიუდივარ-ა-ო (ზემოიმერული კილოკავის ხარაგაულური თქმა).

შენიშვნა 2: ინგლოურში -ო → -ვ დაჩნდება რომ კავშირის ფუნქციითაც: მიწამ გასწორდეს-ა-ვ, ფარცხით ვფარცხავთ „მიწა რომ გასწორდეს, ფარცხით ვფარცხავთ“.

-ჭერ ნაწილაკის შემადგენელი რ სონანტი რ-ნარვე ფუძეებთან გადადის ლ-ში პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე: ცხრა-ჭერ → ცხრა-ჭელ, რამდენ-ჭერ → რამდენ-ჯელ... -ჯელ ზოგადდება და თავს იჩენს სხვა შემთხვევებშიც: ხან-ჯელ „ზოგჯერ“ (აჭარული). რ-რ → რ-ნ დისიმილაციით მიიღება - ჯენ: ორ-ჭერ → ორ-ჯენ, რომელიც ასევე ზოგადდება: სამ-ჯენ, ათ-ჯენ; ხუთივე-ჯენ, ოცივე-ჯენ (ლეჩხუმური).

ინგლოურში დამოწმებულია -ჭერ → -ეერ (დეზაფრიკატიზაციის საფუძველზე): ათ-ეერ.

შენიშვნა 1: ჭერ ნაწილაკი, გარდა გზისობისა, სხვა ფუნქციითაც გამოიყენება (გამოხატავს დროში თანამიმდევრობას: „ჭერ დაიხოცნენ, მერე იჭრაწინეს“, მოქმედების მიმდინარეობას მოცემულ მომენტში: „ჭერ მუშაობს“ და ა.შ.). ამ შემთხვევებში დაჩნდება შემდეგი დიალექტური ვარიანტები: ჭერა (ქართლური, კახური, ფშაური...) ჭერე (იმერული,

გურულდი...), ჭერემ → ჭერე-მე (იმერული, გურული), ჭერეთ ← ჭერე-დ (ვითარებითი ბრუნვის ფორმით (ქართლური...) და მისთ.

შენიშვნა 2: -ჭერ ნაწილაკმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ფუძისფულ თანხმოვანზე: ა) გაამჟღეროს ყრუ თანხმოვანი რეგრესული ასიმილაციით: ათჭერ → ადჭერ, ოცჭერ → ოძჭერ; ბ) გამოიწვიოს თანხმოვნის დაკარგვა: ათჭერ → აჭერ, ხუთჭერ → ხუჭერ.

თითქმის (← თუ ითქმის) ზოგ დიალექტში წარმოდგენილია ბოლოკიდური თანხმოვნის აფრიკატიზაციით: თითქმიც იქნებოდა ღამის სამი საათი (ზემოიშვრული).

ჩვეულებრივი მოვლენაა თითქოს (← თუ ითქვას) ნაწილაკის ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეცა: თითქო სიზმარში ვიყავი (ქართლური, კახური, იმერული...).

რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება ვითომ ნაწილაკი. ვითომ → ვითამ დისიმილაციის საფუძველზე: ვითომ რა ანბავია? (კახური, გურული...) თავის მხრივ, ვითამ → შითამ ვ: მონაცვლეობის გზით: მითამ ამით რაო? (დამოწმებულია ქართლურში, კახურში, მთიულურში, ფშაურში, ხევსურულში...); ხოლო შითამ → ნითამ რეგრესული დისიმილაციით, დასტურდება მესხურში. იხმარება მითომ ნაირსახეობაც: მეც მითომ კაცი ვარ (ფშაური)...

ბარემ მიღებული ჩანს *ბარე-მცა ფორმისგან (ა. შანიძე). ბარე დიალექტებში დღესაც გამოიყენება: სათქმელი ბარე ბევრი მაქვს... (ქართლური, ფშაური, გურული...). ბარე ფორმის, სავარაუდოა, სხვა ნაწილაკებიც დაერთოდა: *ბარე-ვე → ბარევ (ფშაური: ფულ ავიღოთ ბარევად), ბარე-ოდ (ჭავჭავური: წემეგელო ბარეოდ). ნაწილაკები დაერთვის ბარემ და ბარევ ფორმებსაც: ბარემ-ლა (დაჩნდება -მე-ლა ნაწილაკების შებრუნებული რიგიც: *ბარე-ლა-მე → ბარე-ლა-მ // მეტათეზისით: ბარე-ლ-მა — გამოიყენება გურულში, ქვემოიმერულში...). შემდეგ: გვაქვს ბარემ-დე (მთიულური: ბარემდე უნდოდა, მაგრამ...). ეს -დე, ჩანს, -ოდე მორაფემოიდის ნაშთია (მდრ. ჭავჭავური: ბარე-ოდ); სემანტიკური თვალსაზრისით -ოდე → -დე ამ შემთხვევაში არსებითად იგივეა, რაც -ლა (ბარემ-ლა და *ბარემ-ოდე → ბარემ-დე) — გამოხატავს ოდნაობის მნიშვნელობას. *ბარე-ვედე ფორმის ვარიანტი უნდა იყოს ბარევად, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში გვხვდება (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში...): ბარევალ სუფრა მიიტანე, რძალო! (ვაყა-ფშაველა). მიღებულია ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცითა და ე → ა გადაბგერებით (რაც განსაზღვრულ პოზიციაში დამახასიათებელი მოვლენაა ზემოხსენებული დიალექტებისათვის).

შენიშვნა: ბარ ვარიანტი დაჩნდება აჭარულში, ისიც მხოლოდ ნაწარმოებ ფორ-
მებში: ბარე სამი → ბარსამი (შდრ.: ბარე ორი → ბარიოლი //
ბარმოლი) „ბევრი, მრავალი“.

ზემოხსენებული ასეთ სახეს მიიღებს სქემაზე:

*ბარე-მცა → ბარემ → ბარემ-ლა/ბარემ-დე

*ბარე-ლა → *ბარელა-მე → ბარელამ/ბარელმა

* ბარე-ვე → ბარევ/*ბარევე-ლუ → ბარეველ

ბარე-ოლ

ეგების. → ეგება და იქნების → იქნება წარმოშობით დამოუკიდებელი ზმნებია და ამჟამადც გამოიყენებიან ამ დანიშნულებით. ამ შემთხვევაში ისინი დიალექტებში ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდიან (შართალია, ეგების // ეგება ზმნის გამო-
ყენების სფერო ახალ ქართულში მეტად ვიწროა; ჩვეულებრივ, იხმარება მყარ შესიტყვებაში: არ ეგების // არ ეგება „არ შეიძლება“, არ ეგებოდა „არ შეიძლებო-
და“).

ორივე ზმნა ნაწილაკ-მორფემოიდად (უფრო ზუსტად: მოდალურ ელემენტად) იქნა გამოყენებული, გამოხატავენ შესაძლებლობის მნიშვნელობას: „ეგების მოვარ-
ჯული“ (ა. ყაზბეგი). გვხვდება თანხმოვანმოკვეცილი სახითაც: „ეგები რამე გაეთი-
ბოთ, სანამ დარები არია“ (ბაჩანა). ეგების → ეგება (ენებთის სხვა ფორმათა მსგავსად: ემალებ-ი-ს. → ემალებ-ა... „მთელი ლამე უცადა, ეგება მგელი ან აქეთ მოტრიალდეს, ან იქითაო“ (ი. გოგებაშვილი)... იქნების, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია როგორც იქნება: „მგელი ცხვარს სამი წელიწადი დასდევდა — იქნება დღეა ჩამოუვარდესო“ (ანდაზა)...

ნაწილაკის დანიშნულებით გამოყენებისას დიალექტებში (ზოგჯერ — სალიტე-
რატურო ზეპირ მეტყველებაშიც) დაჩნდება ფონეტიკური ვარიანტები: ეგება → ეგებ
(ეგებ გულს უნგი მოაშორო კარგი ამბითა; ილია ჭავჭავაძე). ეგება → *ეგა → ეგა:
„ეგა ჩენიც გიყვებინა“ (დადასტურებულია მესხურში). ეგების → აგების: „აგების
ის დაგვეხმაროს“ (კახური). გვხვდება აგება // აგებ ნაირსახეობანიც: „ალუდაურს
შავეზეწებივ, აგებ შამარიგასავ ძმას იონასავ“ (ხევსურული).

იქნება → იქნებ: „იქნებ ჩენც გავიგოთ და გავიხაროთ“ (ე. გაბაშვილი). იქნება →

* იქნეა → იქნია // იქია: „იქნია // იქია არ იცოდა“ (მესხური).

მესხურში გამოყენებული ფორმები ერთი და იმავე ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული: პირველ საფეხურზე იკარგვის ბ თანხმოვანი (ეგება → *ეგა, იქნება → *იქნეა), შემდგომ კი ეა → ია რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე (*იქნეა → იქნია, *ეგა → ეგია). იქნია ვარიანტში შესაძლოა დაიკარგოს ნ სონანტიც (→ იქია).

4.5. მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნების ფონეტიკური ნაირსახეობანი. ქართულიენის დიალექტებში მავრცობ ხმოვნებად დაჩნდება -ა, -ე, -ი, -უ და -ჲ. ამათგან ძველ ქართულში გვქონდა ოდენ -ა, ყველა დანარჩენი ახალი ქართულის ფაქტია. სალიტერატურო ქართულში -ა ფორმანტის გარდა, დამკვიდრდა -ი, ისიც მხოლოდ ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში (ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცვლ სახელებთან: წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი; ყრუ-ს-ი, ყრუ-თ-ი). ეს მოვლენა ფონეტიკური კანონზომიერებით არის შეპირობებული; შდრ.: ძველ ქართული: წყარო-მს-ა — ახალი ქართული: წყარო-ს-ი (და ასე: წყარო-ით-ა — წყარო-თ-ი). ეს ნიშნავს: თუ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი შენარჩუნებულია, თუნდაც ფონეტიკურად სახეცვლილი (-ის → -მს, -ით → -მთ), მავრცობ ხმოვნად დაჩნდება -ა, ხოლო თუკი ხმოვანი რედუცირებულია, მავრცობი ხმოვნის პოზიციაში წარმოდგენილი იქნება -ი. ყოველთავე ეს ახალ ქართულ ხალიტერატურო ენას შეეხება. დიალექტებში ხშირად სხვაგვარი ვითარებაა.

დიალექტების უმეტესობაში -ა და -ი მავრცობი ხმოვნების განაწილების წესი ძირითადად სალიტერატურო ქართულისებურია, მაგრამ ამასთანავე დაჩნდება თავისებურებანიც. მაგალითად, -ი წარმოდგენილია თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ, აგრეთვე ხმოვანზე დაბოლოებულ კვეცად სახელებთან: ქვეყნ-ის-ი, ქვეყნ-ით-ი (ფშაური); ქარ-ის-ი, მმ-ის-ი // ქარ-ის-ა-მ, მმ-ის-ა-მ (თუშური); დან-ის-ი (მოხეური); ქალ-ის-ი, კაც-ის-ი, ხ-ის-ი // ხ-ის-ა, გუგუა-ის-ი // გუგუა-ის-ა (მთიულურ-გუდამაქრული); კაც-ის-ი, ხ-ის-ი; კაც-ით-ი, ხ-ით-ი; დილ-ით-ი, შდრ.: წინა-თ-ი „წინათ“ (ქართლური); წლ-ის-ი, წლ-ით-ი; შდრ.: ღამ-ით-ი „ღამით“ (კახური); ქალ-ის-ი, ქალ-ით-ი; სუფრა-მს-ი, სუფრა-მთ-ი; ნაჩუქრებ-ის-ი; შდრ.: შინა-მთ-ი „შინიდან“ (ინგილოური); ბიძ-ის-ი, ბიძ-ის-ი, ხელ-ის-ი... ბიძ-ით-ი, ბიძ-ით-ი, ხელ-ით-ი... (ზემოამერული)...

დიალექტების ერთ ნაწილში მავრცობი -ი დადასტურდა მრავლობითობის -თ მორფემის მომდევნოდ: ბალახ-თ-ი „ბალახებისა“, ცხოველ-თ-ი „ცხოველებისა“ (ფშაური), ქალ-თ-ი „ქალებისა“ (თუშური), მამა-პაპა-თ-ი (მოხეური), ნეფონ-თ-ი (მთიულურ-გუდამაქრული).

შენიშვნა 1: მავრცობი -ი ამავე პოზიციებში ზოგჯერ თავს იჩენს ხევსურულშიც: ვაყებ-ის-ი, საუბრ-ის-ი; უთურგა-თ-ი... ჩვეულებრივ, მავრცობ ხმოვნად აქ -ა გვაქვს, რომელიც დატყულოა უპირატესად ენკლოტიკის დროს (მამკალნ იციან ქერ-ის-ა-ი-ცა-დ სვილ-ის-ა-ი-ც „მომკლები არის ქერისაც და სვილისაც“); სხვა შემთხვევებში, როგორც წესი, იკვეცება.

შენიშვნა 2: ზოგ დიალექტში მავრცობი -ა შესაძლოა დაჩნდეს უკვეცელ სახელე-
ბთანაც: ქობი აავსიან ერბო-თ-ა „ჭებას აავსებდნენ ერბოთი“ (მოხე-
ური).

შენიშვნა 3: მავრცობი -ი, როგორც ითქვა, დაჩნდება, ჩვეულებრივ, ფუძეუკვეცელ
სახელებთან (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი). ეს ეხება ხმოვანზე ფუძედა-
ბოლოებულ იმ სახელებსაც, რომლებიც, წესისამებრ, კვეცადი არიან,
მაგრამ ამა თუ იმ დიალექტში უკვეცელად დაჩნდებიან: ნადირობა-
ს-ი „ნადირობისა“, დილობა-ს-ი „დილოსა“; შდრ.: დილობ-ის (ფერე-
იდნული).

შენიშვნა 4: ზოგ დიალექტში ზემოხსენებულის (იხ. შენიშვნა 3) საპირისპირო
მდგომარეობაა: ფუძეუკვეცელ სახელთან სრული სახითაა წარმოდ-
გენილი ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები. მიუხედა-
ვად ამისა, მავრცობ ხმოვნად მაინც -ი დაჩნდება: უშიშა-ის-ი (ანთ-
როპონიშია), ბიძა-ის-ი (ხევხურული), დედა-ის-ი, მამა-ის-ი — ჩვე-
ულებრივ, ფიცილის ფორმულებში; (მოხეური); გუგუა-ის-ი (მთფ-
ლურ-გუდამაჟურული); სუფრა-მთ-ი, შინა-მთ-ი (ინგილოური).

შენიშვნა 5: მავრცობი ხმოვანი -ა შესაძლოა გამოყენებულ იქნას თანდებულთა-
ნაც: იმი-თვინ-ა, მთის-კენ-ა, სოფლიდ-ან-ა, ძირა-მდინ-ა (ცახური,
ქართლური...). იმერულსა და ლეჩხუმურში მავრცობი -ი წარმოდგე-
ნილია - გან თანდებულიანი მოქმედებითის ფორმებში: სოფლ-ით-
გან → სოფლიდ-გან-ი // სოფლიდ-ან-ი; და ასე: მაღლიდ-გან-ი //
მაღლიდ-ან-ი, ხვალიდ-ან-ი, ზეიდ-ან-ი... ივარაუდება სხვაგვარი ახ-
სნაც: ბოლოკიდური -ი მიღებულია მოქმედებითი ბრუნვის -ით მო-
რფემის ცვეთით: * სოფლიდ-გან-ით → სოფლიდ-გან-ი // სოფლიდ-
ან-ი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმავე დიალექტებში
იმავე პოზიციაში პარალელურად შესაძლოა გამოყენებულ იქნას -ა
(სოფლიდ-ან-ი // სოფლიდ-ან-ა, გაღმიდ -ან-ი // გაღმიდ-ან-ა)
მაშინ, რა თქმა უნდა, -ი მავრცობ ხმოვნად უნდა განისაზღვროს.

მავრცობი -ა რამდენიმე დიალექტში დამოწმებულია იოტიზებული დამართვით:
სარკმელ-ში-ით-ა-ე „სარკმლიდან“, შიგ-ის-კ-ით-ა-ე „შიგნიდან“ ციხ-ით-ა-ე „ცი-
ხიდან“ შორ-ით-ა-ე „შორიდან“ (თუ შური); ნელ-ათ-ა-ე „ნელად“, ტყუილ-ათ-ა-ე
„ტყუილად“ (გურული); მოცლ-ით-ა-ე, პერანგ-ით-ა-ე; ჩემდა-თვინ-ა-ე (აჭარუ-

ლი)... ერთ შემთხვევაში მოქმედებით ბრუნვის ფორმები გვაქვს, მეორე შემთხვევაში — ვითარებითი ბრუნვისა, აგრეთვე: თანდებულადი ფორმა.

ნათესაობით ბრუნვაში მავრცობი ხმოვნის მომდევნოდ - ა უპირატესად სახელობითი ბრუნვის ნიშანია — საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმების შედეგი: მეგ (ნაფუძრები) უდერაჲ ხნ-ის-ა-ი, ბიჭუ უდერაჲ ხნ-ის-ა-ე „აი, ეს (იგულისხმება: ნაფუძრები) დიდი ხნისაა, ბიჭო, დიდი ხნის“ (თუ შურს). ღირსსაცნობია, რომ ერთსა და იმავე ფორმასთან (ხნ-ის-ა-ი // ხნ-ის-ა-ე) დაჩნდება როგორც სრულხმოვანი-ი, ასევე მისი პოზიციური ვარიანტი -ე; ორივე შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი გვაქვს. მავრცობზე დართული -ი და სახელობითისეული -ე შესაძლოა ფრაზაში ერთმანეთის გვერდით დაჩნდეს: ჟურთ ანდაზაჲ დიდოების ცხოვრებ-ით-ა-ე, მეორეი — ჳირიანობ-ის-ა-ე, მესამეი — შიმშილობ-ის-ა-ე, მაგრ გვეტყოდეს ჩვენ მამა-ბაბანი „ერთი ამბავი დიდოების ცხოვრებიდანაა (იგულისხმება: დიდოების თარეშის დროინდელი), მეორე — ჳირიანობის დროინდელი, მესამე — შიმშილობის დროინდელი“ (თუ შურს). ამდენად, ანდაზაჲ-ი ჳირიანობ-ის-ა-ე, შიმშილობ-ის-ა-ე „ამბავი ჳირიანობისაი, შიმშილობისაი“. მავრცობზე დართული - ა ელემენტოც შესაძლოა სახელობითის ნიშნად იქნას გააზრებული თუ შურში: მთ-ით-ა „ზოგ კონტექსტში ნიშნავს მთაში მყოფს, შინ-ით-ა — შინ მყოფს“ (თ. უთურგაიძე). შესაბამისად გვექნება მთ-ით-ა-ე „მთაში მყოფი“, მთ-ით-ა-მ „მთაში მყოფმა“ მთ-ით-ა-ს მთაში მყოფს“ და ა.შ. (შდრ. ძველი ქართული აქა „აქ“ — აქა-ე „აქაურა“).

შენიშვნა 1: იოტიზებული დამართვა დაჩნდება სხვა შემთხვევებშიც: ტყულაჲ, ამწახანებაჲ, გავლაჲ „გავლის დროს“, ამწელაჲ „ამწერად“, დაჟითხა-ვაჲ „დაჟითხავად“ (აჭარულში)...

შენიშვნა 2: -ა-ე // -ა-ი დაბოლოებას შესაძლოა კილოკაური ვარიანტი მოეპო-ვებოდეს: ტყულ-ათ-ა-ე // ტყულ-ათ-ა-ი, იმ-ის-ან-ა-ე (ჭვემოგურულში) — ტყულ-ათ-ე, იმ-ის-ან-ე (ჭვემოგურულში; ანალოგიური ვითარებაა ჳემოიშერულშიც).

შენიშვნა 3: ზოგ დიალექტში -ე-ის ნაცვლად ფიქსირებულია მოკლე -ჩ: ცხერ-ის-ა-თ-ა-ჩ, მთ-ის-ა-თ-ა-ჩ; შდრ.: ცხერ-ის-ა-ნ-ი, მთ-ის-ა-ნ-ი (ხვისურულში). სხვა დიალექტებში ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება -ე და -ი: ტყულ-ათ-ა-ე // ტყულ-ათ-ა-ი, ნელ-ათ-ა-ე // ნელ-ათ-ა-ი (გურულში).

ლუჩხუმურში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს დართული -ი მავრცობი ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის (-ი → -ინ): იმ-ით-ი-ნ (-იმითი) ვრეცხავთ; სურა-თ-ი-ნ

(-სურათი) იყო დაფარული, ოქრო-თ-ი-ნ (-ოქროთი). იმავდროულად დაჩნდება სურო-თ // სურო-თ რიგის ფორმებიც.

მავრცობი ხმოვანი -ე სისტემებზე დადასტურებულა იმერულსა და ლეჩხუმურში, შეინიშნება ქვემოაჭულშიც. დაჩნდება მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში-ა ფორმანტის ნაცვლად. შესადარებლად წარმოვადგენთ სქემას:

დიალექტი	ქართლური, კახური...		იმერული, ლეჩხუმური	
	კაც-ი	დღე(-ი)	კაც-ი	დღე-ი
ბრუნვა				
სახელობითი	კაც-ი	დღე(-ი)	კაც-ი	დღე-ი
მოთხრობითი	კაც-მა	დღე-მა	კაც-მა	დღე-მა
მიცემითი	კაც-ს-ა	დღე-ს-ა	კაც-ს-ე	დღე-ს-ე
ნათესაობითი	კაც-ის-ა	დღ-ის-ა	კაც-ის-ე	დღ-ის-ე
მოქმედებითი	კაც-ით-ა	დღ-ით-ა	კაც-ით-ე	დღ-ით-ე
ვითარებითი	კაც-ათ-ა	დღე-თ-ა	კაც-ათ-ე	დღე-თ-ე
წოდებითი	კაც-ოჟ	(დღე-ჟ!)	კაც-ო!	(დღე-ო!)

ანალოგიური მდგომარეობაა ყველა სხვა შემთხვევაშიც: შენ-ა, ჩვენ-ა, თქვენ-ა; ზეთ-ა „ზედ“, შით-ა „შიგ“, შილ“ ხვალ-ა, ზეგ-ა, გუშინ-ა; სოფლ-ის-კენ-ა, სოფლ-იდ-ან-ა... და შესაბამისად: შენ-ე, ჩვენ-ე, თქვენ-ე; ზეთ-ე, შით-ე, ხვალ-ე, ზეგ-ე, გუშინ-ე; სოფლ-ის-კენ-ე, სოფლ-იდ-ან-ე (//სოფლ-იდ-გან-ე)...

შენიშვნა 1: ვითარებით ბრუნვაში -ათ და -თ არის -ად და -დ ფორმანტების ფონეტიკური ნაირსახეობა (იხ. აქვე, ზემოთ).

შენიშვნა 2: მავრცობი -ე ხშირად თავს იჩენს კითხვით ფორმებში (კონსტრუქციებში), იქ, სადაც სხვა დიალექტებში -ა იხმარება: შენ ხარ-ა? რა (ე)უყოთ-ა? და შესაბამისად: შენ ხარ-ე? რა (ე)უყოთ-ე?

შენიშვნა 3: -ე დაჩნდება ზმნებთანაც, ასევე -ა ფორმანტის პოზიციაში: არის-ა (პ)ეაეს-ა, აქვს-ა, მოღის-ა, დადგით-ა... ამის კვალობაზე, არის-ე, ეაეს-ე, აქვს-ე, მოღის-ე, დადგით-ე... წარმოდგენილია ნაწილაკებთანაც: ხომ-ე „ხომ“ (მდრ.: ხომ-ა), კი-ე „კი“, დიახ...

შენიშვნა 4: -ე მავრცობის პარალელურად იმერულშიც და ლეჩხუმურშიც დაჩნდება რაგორც -ა, ასევე: -ი, -უ, -გ. ზოგჯერ ისინი ენაცვლებიან კიდევ

ერთმანეთს (ერთი კილოკავისა ან თქმის ფარგლებშიც და, მით უმეტეს, სხვადასხვა კილოკავებსა თუ თქმებში); მაგრამ არის პოზიციები, სადაც, როგორც წესი, მავრცობად -ა ფორმანტი გამოიყენება:

ა) ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ თანდებულის დართვისას: შაქარ-ის-ა-ვით; ბ) ნანათესაობითარ მიცემითში: მეზობლ-ის-ა-ს; გ) შედგენილ შემასმენელში: ცხენი ამ კაც-ის-ა-ა-...

შენიშვნა 6: - ა ხმოვნის ადგილას -ე ელემენტი დადასტურებულია ზემოგურულსა და ქვემოიმერულში იმ პოზიციებშიც, სადაც ფაქტობრივ სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, -ე წარმოდგენილია ბოლოკიდურა -ა-ი/-ა-ჲ კომპლექსის ნაცვლად: მაშინაც, როცა მავრცობი ხმოვნის ადგილს იკავებს (ტყულ-ათ-ა-ი → ტყულ-ათ-ე, უცფ-ათ-ა-ი „უცბად“ → უცფ-ათ-ე, ცოცხლ-ით-ა-ი → ცოცხლ-ით-ე, იმ-ის-ან-ა-ი „იმისთანა“ → იმ-ის-ან-ე); და მაშინაც, როცა სულ სხვა პოზიციები გვაქვს (ნაფოტა-ი → ნაფოტე, ბოცოლა-ი → ბიცილე; მეიცა-ი → „მოიცადე“ → მეიცე; დაჩნდება აგრეთვე: ნაფოტე-ი, ბიცილე-ი და მისთ).

ქვემოიმერულის დასავლურ რეგიონში (მეგრული მეტყველების მომიჯნავედ სამტრედიულ და აბაშურ თქმებში), აგრეთვე ლეჩხუმურში მავრცობ ხმოვნად დამოწმებულია -უ ფორმანტიც: კაც-ს-უ, კაც-ის-უ, კაც-ით-უ; მ-ის-თვის-უ (ქვემოიმერული), სოფელ-ს-უ, სოფლ-ის-უ; ამა-ს-უ (დეჩხუმური).

შენიშვნა 1: -უ ზანური სუბსტრატია ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში; შდრ. მეგრული: კო-ს-უ „კაცსა“ (ზედმიწვენით; კაცსუ), შურ-ს-უ „სულსა“ (სულსუ). თავის მხრივ, ზანური -უ ფონეტიკური და მორფოლოგიური შესატყვისია ქართული -ა ფორმანტისა: -ა: -ო (რომლის დავიწროება მოხდა ბოლოკიდურა პოზიციაში: -ო → -უ).

-ჲ ხმოვანმა ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში შესაძლოა შეცვალოს სხვა მავრცობი ხმოვნები: ამა-ს-უ // ამა-ს-ე → ამა-ს-გ, სოფელ-ს-უ // სოფელ-ს-ე → სოფელ-ს-გ, მ-ის-თვის-უ → მ-ის-თვის-გ. საქმე გვაქვს ნაწილობრივ რედუქციასთან. ანალოგიური ვითარებაა ზანურშიც: ღორიან-ს-უ → ღორიან-ს-გ „ღმერთსა“ კირდე-ს-ი → კირდე-ს-გ „კლდესა“.

შენიშვნა 1: ისევე, როგორც -ე, კითხვით ფორმებში დამოწმებულია -უ და -გ ფონეტიკური ნაირსახეობანიც: ამა-ს-ე // ამა-ს-უ // ამა-ს-გ?

ანალოგიური შენაცვლება შეინიშნება სვანური ენის ლენტეხურ კილოში: ალეს დეშ ლოქ ხოჯილკეხ-უ // ხოჯილკეხ-ე? „ამას ხომ ვერ უჯიკავებთო?“ კითხვით ფორმებში -ე დადასტურდა მოხეურშიც (ძა-უგს მიდიხარ, ძაუგს -ე?), რაჭული დიალექტის რიგნისთაურ კილო-კავშიც (რა არის -ე? ეს არ იცი შენ-ე?)... თუმცა -ე ამ შემთხვევებში სხვადასხვა წარმომავლობისა უნდა იყოს.

შენიშვნა ზ: -უ და -ე ნაირსახეობანიც დაჩნდება ნაცვალსახელებთან (თქვენ-უ // თქვენ-ე), ზნებთან (წერს-უ // წერს-ე, მოდის-უ // მოდის-ე, დაფარცხამთ-უ // დაფარცხ-ამთ-ე, ვიცოდით-უ // ვიცოდით-ე), ზმნისართებთან.

აქვე უნდა ითქვას ე.წ. პროსოდიული ხმოვნის შესახებაც. იგულისხმება -ა და -ო, რომლებიც გამოიყენება ლექსში, ჩვეულებრივ, ცეზურის შემდეგ და ტაეპის დაბოლოებისას (ა. შანიძე). პროსოდიული ხმოვნები განსაკუთრებით ხშირად ხალხურ პოეზიაში არის გამოყენებული. მათი ფონეტიკური ნაირსახეობანი იმავე რიგისაა, რაც ზემოთ მავრცობ ხმოვანთა თუ სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის მიმართ იქნა აღნიშნული. ნიშუშად რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ თუშური ხალხური პოეზიიდან.

ერთი მხრივ:

„ხუფრის ორქვალში ჩამოდგა სამის ნაიმის ჟართი,
ჩამოდგემოდეს ლაყაში, ბღგბრც მართლზე ცხჯართი“.

ხოლო, მეორე მხრივ:

„თხშამათ დილა შრე ყარაჟ აღუჩინაყის ჟართი,
ჩამოდგემ ხისღს ლაყაში, ბღგბრც ნაგუმარ ქვალვი.
ამმღმენ: მთაზე გავიდნეთ, შუმღვირუთთ ცხჯართი“.

შენიშნავთ: ლაყა, ხისო ტოპონიმებია, აღუჩინაყი — ანთროპონიმი.

ამდენად, ლექსთწყობის საჭიროებისათვის -ო → ე, რაც ზემოთწვევით ემთხვევა სხვათა სიტყვის -ო → -ე ნაწილაკის ჩვენებას აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში.

ამავე რიგისაა:

„სადეფეს ცხვრისა ჩომანთ, ბა ელდა დაგეს თაჯზედაჟ,
სამნი მდღიან დიდღემი, ბაჟამ, შენ მიუყარაბაჟედაჟ...“

სადუცე ტოპონიმი, რაჟამი — ანთროპონიმი.

შდრ.:

„კურდღულმა თქვა: ჩირგვში ვხვიარ, ვრყინ მთვა ჩემზედათ,

შეიხედე სერზედათ, მადონი ზის ცხენზედათ,
წინ მიქემრეში მოედის, დაგეშლი ჩემზედათ“...

4.6. სიტყვათ წარმოებითი (დერივაციული) მორფემების ფონეტიკური ნაირსახეობანი. სიტყვათწარმოებითი მორფემები ქართულში მრავლად დაჩნდება. ამჯერად წარმოვადგენთ მხოლოდ იმათ, რომლებიც დიალექტებში ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან. აქვე შევნიშნავთ: არ ვასახელებთ მორფემათა იმ ფონეტიკურ ვარიანტებს, რომლებიც საერთო-ქართულ დონეზე იჩენს თავს; რ-ნარევე ფუძეებთან დისიმილაციის საფუძველზე: -ურ → -ულ (*ბარძნ-ურ-ი → ბარძნ-ულ-ი), -ნარ → -ნალ (ბარძნ-ნარ-ი → ბარძნ-ნალ-ი) და მისთ.

ყველაზე მეტი ფონეტიკური ნაირსახეობებით დაჩნდება სახელთა კნინობით-საალერსო ფორმების მაწარმოებელი მორფემები. მიუხედავად სიმრავლისა და, ერთი შეხედვით, თავისუფალი მონაცვლეობისა, ამ მორფემათა ფონეტიკური ცვლილება ზუსტ კანონზომიერებას გვიჩვენებს: როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა გადაბგერება კანონზომიერი სისტემურობით ხასიათდება. წარმოვადგენთ ჭერ მარტივ მორფემებს.

- აკ	*- ეკ	- იკ	- ოკ	- უკ
- აქ	*- ექ	*- იქ	*- ოქ	- უქ
*- ატ	*- ეტ	- იტ	- ოტ	- უტ
*- ამ	- ემ	*- იმ	*- ომ	*- უმ
*- აბ	*- ებ	*- იბ	*- ობ	- უბ
- აც	*- ეც	- იც	*- ოც	- უც
- აჩ	*- ეჩ	- იჩ	- ოჩ	- უჩ
- აჭ	- ეჭ	- იჭ	- ოჭ	- უჭ

დასახელებული იყო ჩქამიერ თანხმოვანთა რიგები. ანალოგიური მიმართება სონორების შემთხვევაშიც:

- ალ	- ელ	- ილ	- ოლ	- ულ
- ან	*- ენ	- ინ	- ონ	- უნ
- არ	- ერ	- ირ	*- ორ	- ურ

ზოგი ამ მორფემათაგანი დამოუკიდებლადაც გამოიყენება: ნაწილ-აკ-ი, შალ-იკ-ი (რაჭული), ბუშტ-უკ-ი, ჭოჭონ-აქ-ი, კაკ-უტ-ი, გორგოლ-აჭ-ი, კობ-იჭ-ი, შდრ. კობი და ა.შ.

უმეტესობა დაჩნდება კნინობითისვე -ა სუფიქსთან ერთად: ჭორ-აკ-ა, ყრუ-ალ-

ა, ყაჩაღ-ან-ა, ქინძ-არ-ა, ჰინჭრ-აქ-ა, ყბ-აც-ა, ყბ-აჩ-ა; ჰერქ-ემ-ა, ჰყონი-ელ-ა (გურული), ხოკ-ერ-ა, ხაპ-ერ-ა; შდრ.: ხოკ-ი, ხაპ-ი (გურული); ვარ-იკ-ა, გოგ-იტა, პაპ-იჩ-ა, * გოდორ-იკ-ა → * გოდრ-იკ-ა → გორ-იკ-ა (გურული), დედ-ილ-ა // დედა-ილ-ა, დედა-ინ-ა, ცოტ-ინ-ა, კინწ-ირ-ა (შდრ.: კინწ-ი, კინწ-იხ-ი), ცხენ-უკ-ა, ქინძრ-უტ-ა, ბებრ-უხ-ა, ფეხ-უკ-ა „ფეხმოკლე, კოჭლი“ (გურული), პაპ-ურ-ა, გლეხ-უკ-ა, წაღ-ულ-ა, ჩიტ-უნ-ა, გუბ-ურ-ა...

შესაძლოა დაერთოს კნინობითისვე -ია ან წოდებითის -ო სუფიქსები: ჩიტ-ოლ-ია, გოგ-ონ-ია; ბეს-იკ-ო, დედ-იკ-ო, დედ-ილ-ო და მისთ.

შენიშვნა 1: კნინობით-საალერსო ფორმებში -ა, -ო და -ია მორფემები დამოუკიდებლადაც დაჩნდება: ქალ-ა, დავით-ა, გუგუ-ა; ვან-ო, დიტ-ო; ძამ-ია, და-ია, ფისუნ-ია... იმერულსა და გურულში -ია → -იი: ძამ-იი, და-იი (ზემოგურულში: ძამ-იიი → ძამ-იე...).

შენიშვნა 2: კნინობით-საალერსო -ია მორფემა, სავარაუდოა, ფონეტიკური ცვლილების შედეგად იყოს მიღებული: * ძამ-ილ-ა/*ძამ-ინ-ა, ძამ-ი-ა.

შენიშვნა 3: კნინობითობის გამოსახატავად, გარდა შესაბამისი მორფემებისა, დიალექტებში სხვა საშუალებანიც დაჩნდება; მაგალითად, აჭარულში სახელობითის -ი → -ე ნიშანი ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ანთროპონიმებთან კნინობით-საალერსო მორფემის ნაცვლად დაჩნდება; შდრ.: ესმე (ოფიციალური ფორმა) და ესმე-ე (კნინობით-საალერსო ფორმა).

შენიშვნა 4: კნინობითობის ფორმებს სოციალური ნიშნით განმასხვავებლის დანიშნულებაც ჰქონდა. მაგალითად, გურიაში ჰყონია აზნაურის პატრონი იყო, ჰყონი-ელ-ა — გლეხისა. რაჭაში თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს ოფიციალური ფორმით იხსენიებდნენ (დავით-ი, გიორგ-ი), გლეხობაში კი კნინობითი ფორმები საკმაოდ გავრცელებული იყო (დავით-უნ-ა, დათ-იკ-ო).

კნინობით-საალერსო ფორმათა მაწარმოებელი სუფიქსები ხშირად შეუღლებული სახითაა წარმოდგენილი (ზოგი სუფიქსი მხოლოდ ასეთ კომპლექსში წარმოჩნდება).

-იკ-უნ-ა: შალ-იკ-უნ-ა, დათ-იკ-უნ-ა, დედ-იკ-უნ-ა... და — შებრუნებული რიგით -უნ-იკ-ა: დათ-უნ-იკ-ა, დედ-უნ-იკ-ა... (ნიშუშები რაჭული დიალექტიდანა დასახელებული).

-უკ-ან-ა/-უკ-უნ-ა: ვაჭრ-უკ-ან-ა, ვაჭრ-უკ-უნ-ა...

-აჩ-უნ-ა: ქალ-აჩ-უნ-ა...

-ეკ-ან-ა/ეკ-ინ-ა: ქერქ-ეკ-ან-ა, ქერქ-ეკ-ინ-ა...

-უც-ან-ა/-უც-უნ-ა/-უხ-ან-ა: ბებრ-უც-ან-ა, ბებრ-უც-უნ-ა, ბებრ-უხ-ან-ა და ა.შ.

დამოწმებულია თანხმონის ჩავარდნის შემთხვევები: ქალ-აჩ-უნ-ა → ქალ-აჩ-უ-ა...

ამდენად, როგორც ერთსა და იმავე, ასევე სხვადასხვა დიალექტში კინიობით-საალურსო ფორმათა მაწარმოებელი მორფემები შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

ა) შეიძლება გამოყენებულ იქნენ დამოუკიდებლავ (ნაწილ-აკ-ი, ბუშტ-უკ-ი) და ერთმანეთთან შეუღლებულიც (ყაჩალ-ან-ა, ბებრ-უხ-ა, ჩიტ-ოლ-ია, დათ-იკ-უნ-ა, მამ-იკ-ონ-ა, ქალ-აჩ-უნ-ა)...

ბ) ერთსა და იმავე სახელთან შესაძლოა დადასტურდეს გადაბგერება როგორც ხმონისა (ჭორ-აკ-ა // ჭორ-იკ-ა, ვაჭრ-უკ-ან-ა // ვაჭრ-უკ-უნ-ა), ასევე თანხმონისა (ქალ-აჩ-უ-ა // ქალ-აკ-უ-ა, დუდრ-უქ-ან-ა // დუდრ-უხ-ან-ა // დუდრ-უც-ან-ა)...

შენიშვნა: გადაბგერება, ჩვეულებრივ, რეგულარებულია მეზობელი ბგერებით, მაგალითად, დედ-იკ-ო (არ გვხვდება *დედ-უკ-ო), მაგრამ: დედ-უკ-ა — შეპირობებულია ლაბიალური და არალაბიალური ხმონების ურთიერთმიართობით.

გ) შეუღლებულმა მორფემებმა შესაძლოა რიგი იცვალონ: დათ-იკ-უნ-ა // დათ-უნ-იკ-ა (რაჭული); დედ-იკ-ონ-ა, შდრ.: გოგ-ონ-იკ-ა; ვაჭრ-უკ-ან-ა — ცოტ-უნ-უკ-ა (რაჭული).

დ) ერთი და იმავე სახელისაგან კინიობით-საალურსო ფორმები შესაძლოა იწარმოოს სხვადასხვა აფიქსების საშუალებით: დედ-იკ-ა, დედ-უკ-ა, დედ-ილ-ა, დედ-ილ-ო; დათ-უნ-ა, დათ-იკ-ო, დათ-იკ-ა, დათ-უნ-იკ-ა // დათ-იკ-უნ-ა და ა.შ.

შენიშვნა: სქემებზე ვარსკვლავით აღნიშნულია სისტემის მიხედვით სავარაუდო, მაგრამ რეალურად გამოუვლინებელი ის მორფემები, რომლებიც არც დამოუკიდებლავ გვხვდება და არც სხვა მორფემებთან კონტექსტში დადასტურდა.

წარმოვადგენთ სხვა სიტყვათწარმოებითი მორფემების ფონეტიკურ ნაირსახე-

ობათა სქემას, შემდეგ კი განვიხილავთ ამ ცვლილებათა შემაპირობებელ ფაქტორებს.

-ელ → -ეტ;

-ელ → -ი-ელ;

-ეულ → -ეულ/-ოულ;

-ეურ → — იურ;

-ია → -იე/-იი

-იან → -იენ/-იონ/-იენ;

-იერ — -იარ/-იორ/-ივრ;

მ → - ნ-;

მე → მი-/მო-/მუ;

-ობ-ა → -ოვ-ა;

-ოდენ → -დენ/-დონ/-ოტოლ/-ოტელ/-ოტონ/-ოტენ/-ტელ/-ტოლ/-
ტენ/-ტონ/-დვენ/-ტვენ/--თენ/-თონ/-თვენ;

-ოვან → -ოან/-უან/-ჟან (// ვან)/-ონ;

-ომ → -უმ;

-სა — → სე-;

-ულ → -ულ (// -ელ);

-ურ → ჯრ (// -ვრ);

-ფხე → ხე.

-ედ → -ეტ (დისტანციური პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე) დადასტურებულია გურულში: ჯაჭვ-ედ-ა („დედალი, რომელსაც ბუმბულზე ჯაჭვის მსგავსი თეთრი წინწყლები აქვს“; ზედმიწევნით: „ჯაჭვიანი“) → ჯაჭვ-ეტ-ა // ჯაჭვ-ეტ-ა.

დიალექტების ერთ ნაწილში -ა და -ე ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებზე წარმომავლობის -ელ სუფიქსის დართვისას ფუძისეული ხმოვანი ცვლილებას განიცდის: სუფსა → *სუფსა-ელ-ი → სრული რეგრესული ასიმილაციით: სუფს-ელ-ი → დისიმილაციით: სუფსი-ელ-ი, ღრმადელე → ღრმადელე-ელ-ი → რეგრესული დისიმილაციით: ღრმადელი-ელ-ი. — -ი-ელ ზოგადდება და დართვის თანხმოდანზე ფუძედაბოლოებულ კუმშვად სახელებსაც: სოფელ-ი → სოფლ-იელ-ი, ნაგომარ-ი → ნაგომარ-იელ-ი (გურული).

-ეულ ორი ფონეტიკური ნაირსახეობითაა წარმოდგენილი ქართული ენის დიალექტებში: -ეულ → -ეულ/-ეულ (აჭარულში: დურსუნას-ეულ-ი → დურსუნას-ეულ-ი/დურსუნას-ეელ-ი) და -ეულ → -ოულ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილა-

კით (იმერული, ლეჩხუმური, გურული: პეტრეს-ელ-ი → პეტრეს-ოულ-ი).

-ეურ → -ოურ რეგრესული დისიმილაცით (იმერული, ლეჩხუმური, გურული: ცოლ-ეურ-ი → ცოლ-ოურ-ი).

შენიშვნა: ანალოგიურ შედეგთან გვაქვს საქმე სუფიქსისეული -უ ხმოვნის შეხვედრისას ფუძისულ -ე-სთან: კახიძე-ურ-ი → კახიძო-ურ-ი (იმერული, ლეჩხუმური).

კინობითობის -ია სუფიქსი ქვემოიმერულში, ზემოგურულსა და ლეჩხუმურში ორი სახით დაინდება: -ია → -იე (ზურ-ია → ზურ-იე, ძამ-ია → ძამ-იე) და —ია - -იი (ზურ-ია → ზურ-იი, ძამ-ია → ძამ-იი). ამოსავლად ივარაუდება ზურ-ია-ი, ძამ-ია-ი ფორმები (შდრ.: ბიკოლა-ი → ბიკოლე); ანუ: ნაწილობრივ ან სრულ რეგრესულ ასიმილაციასთან გვაქვს საქმე (-აი → -ეი/-იი), რომლის თანამდევია ბოლოკიდური -ი-ს მოკვეცა).

ანალოგიურ შედეგს იძლევა ერთი ტიპის მიმღობათა, აგრეთვე თამაშობათა სახელუბის მაწარმოებელი - ია სუფიქსი: ნაცარქექ-ია → ნაცარქექ-იე/ნაცარქექ-იი... ომობ-ია → ომობ-იე/ომობ-იი...

შენიშვნა: შესაძლოა -ია ზოგ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლის შედეგად იყოს მიღებული: *ძამ-ილ-ა/*ძამ-ინ-ა → ძამ-ია (იხ. აქვე, ზემოთ); ასევე: *ომობ-ინ-ა → ომობ-ია (შდრ.: ომობ-ან-ა):

-იან სუფიქსი ეტიმოლოგიურად რთული შედგენილობისაა: იე-ან, რაც დიალექტებში ფონეტიკური რეფლექსების სახით იჩენს თავს: *-იე-ან → იონ (ვა → ო მონაცვლეობის საფუძველზე); ზევსურული: არხოტ-იონ-ი „არხოტელი“, შატილი-იონ-ი „შატილელი“, მეფ-იონ-ი „მეფის ამალა“, ხატ-იონ-ი „ხატის კუთვნილი“ და მისთ. დაინდება სხვა დიალექტებსა და სალიტერატურო ენაშიც: მხედრ-იონ-ი, მაყრ-იონ-ი, ციხ-იონ-ი (შდრ. აგრეთვე: ბაგრატ-იონ-ი — აღინიშნება სამეფო დინასტიისადმი მიკუთვნება). რედუქციის შემთხვევაში: *-იე-ან/-იონ → -იენ (შატილ-იონ-ი → შატილ-იენ-ებ-ი). -იან → -იენ დადასტურდა მესხურში: თავ-იან-თ-ი → თავ-იენ-თ-ი, პაპ-იან-თ-ი → პაპ-იენ-თ-ი...

-იერ ანალოგიურ შედგენილობისაა ეტიმოლოგიურად: *-იე-ერ, რაც რეფლექსის სახით თავს იჩენს ე ხმოვნის რედუქციის დროს: ლონ-იერ-ი → ლონ-იერ-ად, ლონი-ერ-ულ-ი. ამ რიგის ფორმები უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებსა და სალიტერატურო ენაში დაინდება (შდრ.: ლონ-იერ-ად). ამოსავალი ფორმის ვარიანტად დამოწმებულია აგრეთვე -იორ (ვე → ო მონაცვლეობის

საფუძველზე): *მაგ-ივ-ერ „მაგიერ“ → მაგ-იარ (გურული: იმ კაცის მაგიორ; // მაგიორათ // მაგიორე), მაგიორში „სამაგიეროდ“ (შდრ.: მაგიერად // მაგიერად).

-იერ → -იარ პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე; დამოწმებულია, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: გონ-იერ-ი → გონ-იარ-ი, ბედნ-იერ-ი → ბედნ-იარ-ი, ნებ-იერ-ი → ნებ-იარ-ი; შესაბამისად: ნებ-იერ-ათ, ბედნ-იერ-ათ, გონ-იერ-ათ.

შენიშვნა: არ შეიძლება იმის დაშვება, რომ -იერ თავად არის მეორეული -იარ ვარიანტთან შედარებით, და, ამდენად, ია → იე პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე (შდრ. იმერული: ნიავე → ნიევი, ციაგი → ციეგი, სადაც სწორედ ეს პროცესია განხორციელებული). საქმე ისაა, რომ უძველეს ძეგლებში საკუთრივ - იერ დაჩნდება (-იარ მოგვიანო ხანის ტექსტებში გვხვდება). გარდა ამისა, გურულში დამოწმებული ფორმა მაგიორ უფრო სავარაუდოა მიგველო ვე → ო ცვლილების საფუძველზე (← *მაგ-ივ-ერ), რადგან ვა → ო ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი არ არის.

სასუბიექტო მიმღობის მ- პრეფიქსი თანხმონის წინ მესხურში (ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონზომიერების კვალობაზე) დაჩნდება როგორც ნ-: მ-წუხ-არ-ე → ნ-წუხ-არ-ე, ნა-მ-ცხე-არ-ი → ნა-ნ-ცხე-არ-ი...

მე- პრეფიქსი ფუძისეული ო ხმოვნის წინ სამი ფონეტიკური ნაირსახეობით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: მე- → მი- რეგრესული დისიმილაციით (მეორე → იმერული, გურული: მიორე/ აჭარული: მიორე); მე- → მო- რეგრესული ასიმილაციით (მეორე → რაჭული, იმერული, გურული: მოორე // მორე // მორე), რომელსაც შესაძლოა მოსდევდეს რეგრესული დისიმილაცია (მოორე → ინგილოური: მუორე // მჭორე // მჭერე...).

-ობა → -ოვა (ხშულის სპირანტიზაციის საფუძველზე) დადასტურებულია ინგილოურსა და სამცხური კილოკავის ზველურ და ძველჭობარულ თქმებში: ნიშნ-ობ-ა → ნიშნ-ოვა-ა, ყარაულ-ობ-ა → ყარაულ-ოვა-ა (ინგილოური), შენ-ობა → შენ-ოვა (სამცხური).

თანაბრობის გამომხატველი -ოდენ მორფემოიდის პარალელურად ამავე დანიშნულებით გამოიყენება ტოლ-ი ფორმა: იმ-ოდენ-ა // იმ-ტოლ-ა. როგორც -ოდენ, ასევე - ტოლ დამოუკიდებლად იძლევიან ფონეტიკურ ვარიანტებს და იმავდროულად კონტამინირებულ ნაირსახეობებსაც წარმოქმნიან.

ჯერ წარმოვადგენთ კონტამინაციის შედეგად მიღებულ ვარიანტებს.

-ოღენ + -ტოლ → -ოტოლ (ამ-ოტოლ-ა) ო-ს დაბრუნებით; -ოტელ (ამ-ოტელ-ა) ო-ე გადაბგერებით; -ოტონ (ამ-ოტონ-ა) ო-ს გადაბგერებით; -ოტენ (ამ-ოტენ-ა) ო-ე გადაბგერებით; ანუ:

-ტოლ → | -ოტოლ → -ოტონ
 | -ოტელ → -ოტენ

როგორც თანხმოვნის, ასევე ხმოვნის გადაბგერება, ასევე: თავკიდურად ხმოვნის გაჩენა — ოღენ ვარიანტის გავლენის შედეგია.

-ოღენეტოლ → დონ (ამ-დონ-ი) ე-ო გადაბგერებით, -თონ (ამ-თონ-ი) დ-თ გადაბგერების საფუძველზე; ანუ: -ოღენ → -დონ → -თონ.

ხმოვნისა და თანხმოვნის გადაბგერება, აგრეთვე: თავკიდურა ხმოვნის დაკარგვა

- ტოლ ნაირსახეობის ზეგავლენით დაჩნდება.

თავის მხრივ, -ოღენ → -ღენ (შენ-ოღენ-ი → შენ-ღენ-ი), რაც ინალოგიით იწვევს -ტენ/-თენ ვარიანტებს (ამ-ტენ-ი/-ამ-თენ-ი).

ფონეტიკურ ნაირსახეობებს იძლევა -ღენ და -ტოლ ფორმათა კონტამინაცია: -ტენ (ამ-ტენ-ი) დ-ტ გადაბგერებით, -ტონ (ამ-ტონ-ი) ნ-ლ გადაბგერებით, -ტელ (ამ-ტელ-ი), რომელიც -ტენ ფორმის ვარიანტია, მიღებული ნ-ლ გადაბგერების საფუძველზე.

-დონ/-თონ/-ტონ ვარიანტებში ო → ე შენაცვლება ცაა დამოწმებული (ამ-ღენ-ი / -ამ-თენ-ი / -ამ-ტენ-ი).

შენიშნავთ: ტ და თ თანხმოვნების შემცველი მორფემოიდები (-ტოლ/-ტონ/-თონ/-ტენ...) უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში გამოიყენება, სხვა ვარიანტები მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტში დაჩნდება.

-ოვან მორფემის ფონეტიკური ნაირსახეობანი ორ რიგად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ოვან → | -ოან → -უან → -ჟან (// -ვან).
 | -ონ

პირველ შემთხვევაში ჩავარდნილია ვ თანხმოვანი (რასაც მოსდევს შემდგომი ცვლილებანი), მეორე შემთხვევაში -ოვან → -ვან → -ონ (ვა → ო შენაცვლებით) ან: -ოვან → * -ოონ (ასევე ვა → ო ცვლილების საფუძველზე) → -ონ (ო-ს რედუქციით).

პირველი რიგის ფონეტიკური ნაირსახეობანი დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი: პატრ-ოვან-ი → პატრ-ოან-ი → პატრ-უან-ი „პატარები“ (იმერული); ძალ-ოვან-ი → ძალ-ოან-ი → ძალ-უან-ი „ძალიან, ძლიერი“ (გურული); ფერ-ოვან-ი → ფერ-ვანი, დიდრ-ოვან-ი → დიდრ-ვანი (ღეჩხუმიური). შემდეგ საფეხურზე ხდება უ-ს დავიწროება: ამ სიფართ-ოვან-ი → ამ სიფართ-ოან-ი

→ ამ სიფართო-უან-ი → ამ სიფართ-ჴან-ი/ ამ სიფართ-ვან-ი (იმერულში, გურულში); ამ სიხოშრ-ვან-ი „ამ სისხოებით“, შენ ხელ-ვან-ი „შენ ხელა“ (ზედმიწვევით: შენ ხელაები), მის ხელ-ვან-ი (აჭარულში). და ასე: პატარ-ვან-ი, რამ სიგძ-ვან-ი (← სიგრძე), თითის სიმსხ-ვან-ი, სახელ-ვან-ი „სახელოვანი“, ხნე-ვან-ი, „ხნიანი, ხნიერი“... მიღებულია ოა კომპლექსის რეგრესული დისიმილაციით

შენიშვნა 1: ამ რიგის ფორმები ხშირად სიმრავლის გაგებასაც მოიცავენ; შდრ.: სახელ-ვან-ი „სახელოვანი“ — ამ სისხ-ვან-ი „ამ სისხოებით“.

შენიშვნა 2: იმერულში, ლეჩხუმურში, გურულსა და აჭარულში უპირატესად -ჴან // -ვან ვარიანტია დადასტურებული; რაჭულში, ჩვეულებრივ, -უან ნაირსახეობა დაჩნდება: ღალატ-ოვან-ი (გლოგორი) // ღალატ-უან-ი, ძალ-უან-ი, ლობ-უან-ი, ფხლ-უან-ი. ზოგჯერ -უან და -იან ერთსა და იმავე ფრაზაში ენაცვლება ერთმანეთს: „ბურში რა შეურთავ ლობიოს, შეკეცილს ვეძახით, ჴადში რა შეურთავ — ღობ-უან-ი ჴადი, შეკეცილს კიდე ღობ-იან-ა-ხა-ც ვეძახით“ (ქვემორაჭული). ამის კვალბაზე -უან და -იან მორფემებს განსხვავებული სემანტიკა უჩანთ, მაგრამ ეს უფრო კერძო შემთხვევაა, ვინემ საერთო წესი.

შენიშვნა 3: -ოვან → -იან თავს იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებშიც, დადასტურებულია ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებშიც: ბიცი-ოან-ი „მლაშე, უნაყოფო“, ამბოხ-ოან-ი „მღელვარე, შფოთიანი“.

შენიშვნა 4: ზოგ დიალექტში გვხვდება -ოვან და -იან მორფემათა კონტამინირებული ნაირსახეობა: სახელ-ოიან-ი „სახელოვანი“ (კახური).

-ოვან → -ონ ზოგ ფორმაში საერთო-ქართული მოვლენა ჩანს: *დიდრ-ოვან-ი → დიდრ-ონ-ი, *თეთრ-ოვან-ი → თეთრ-ონ-ი. ხევსურულსა და ფშაურში -ონ მორფემაზე ა სუფიქსის დართვით მიიღება ოდნაობითი ბარისხის ფორმები: თეთრ-ონ-ა „მოთეთრო“ (ზედმიწვევით: „თეთრ-ოვან-ა“), წითლ-ონ-ა, ყვითლ-ონ-ა და მისთ. ზოგი ფორმა დაჩნდება სალიტერატურო ქართულშიც: (მ)ტრედ-ონ-ა (სოკოს სახელია, ზედმიწვევით: „მომტრედისფერო“).

შენიშვნა: -ოვან → -ვან, როგორც ჩანს, კიდევ ერთი ფონეტიკური ნაირსახეობით არის ქართულში წარმოდგენილი (-ვან → -მან): ძველ-ოვან-ი → *ძველ-ვან-ი → ძველ-მან-ი; და ასე: მსხვილ-მან-ი, წვრილ-მან-ი...

მასდარის ფუძის მაწარმოებელი -ომ ზოგ დიალექტში რეგრესულ ასიმილაციას განიცდის (-ომ → -უმ: ხმოვანზე თანხმოვნის ზეგავლენის შედეგია). თითქმის

უგამონაკლისოდ დასტურდება აჭარულში: დგ-ომ-ა → დგ-უმ-ა, ხტ-ომ-ა → ხტ-უმ-ა, ჯდ-ომ-ა → ჯდ-უმ-ა...

დერივაციულ სა- პრეფიქსზე, როგორც წესი, ფუძისეული ხმოვანი გავლენას ვერ ახდენს (ანალოგიური ვითარებაა, ჩვეულებრივ, სხვა დერივაციული პრეფიქსების შემთხვევაში). მოუხედავად ამისა, ზოგჯერ წესი ირღვევა - პრეფიქსისეული ხმოვანი ფონეტიკურად იცვლება: სა-ერთ-ო → დეჩხუმურა; სე-ერთ-ო (სრული რეგრესული ასიმილაციის გზით).

- ულ და -ურ სუფიქსისეული ხმოვანი განსაზღვრულ პოზიციებში (ხმოვნის მომდევნოდ) ნაწილობრივ რედუქციას განიცდის (ვიწროვდება და თანხმოვანში გადადის: უ → ჭ/ვ; დანაშა(ვ)-ულ-ი „დანაშაული“, არჩე(ვ)-ულ-ი „არჩეული“ -ულ საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელია (აჭარული); აქა-ურ-ელ-ი → აქა-ურ-ელ-ი/აქა-ვრ-ელ-ი, სადა-ურ-ელ-ი → სადა-ურ-ელ-ი/სადა-ვრ-ელ-ი (მეხხური); აქა-ურ-ობ-ა → აქა-ურ-ობ-ა/აქა-ვრ-ობ-ა (აჭარული) — ურ სადაურობის გამომხატველი სუფიქსია.

ქვემოიწერულსა და გურულში გათხოვილ ქალთა ქალიშვილობის გვარი -ფხე/-ხე ფორმანტით იწარმოება: ცინცა-ძე (ვაეი) — ცინცა-ი (ს)-ფხე (ქალი); და ასე: იმნა-ძე — იმნა-ი-ფხე, ასათიან-ი — ასათიან-ი-ფხე (გურული); ფარცხალა-ძე — ფარცხალა-ი-ხე, რუხა-ძე — რუხა-ი-ხე/რუხე-ი-ხე (ქვემოიწერული). ამდენად, ერთმანეთის მიმართ ფონეტიკური ვარიანტები (-ფხე და -ხე) დიალექტების მიხედვით აღმოჩნდა განაწილებული (მდრ. მეგრული: ჯუჭა-ა „ჯუჭავა“ — ჯუჭა-ხე, ჭინორი-ა — ჭინორი-ხე).

შენიშვნა: გურულში - ფხე დაბოლოებით ნაწარმოები გვარები თავისებური გააზრებისაა: ასე მოიხსენიებენ კაპას ქალს.

4.7. სახელთა მრავლობითი რიცხვის მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი. მრავლობითი რიცხვის მორფემებად ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება -ებ, -ნ/-თ და -ენ/-ეთ (ეს უკანასკნელი უპირატესად პატრონიმებში იჩენს თავს).

დიალექტებში ფონეტიკურად სახეცვლილია ძირითადად -ებ სუფიქსი.

-ებ → -ებ დადასტურდა ინგილოურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელთან: დოსტაშნა -ებ-ი „მეგობრები“. ასეთი ცვლილება ფრიად იშვიათია; პარალელურად დაჩნდება და უფრო გავრცელებულიცაა: დოსტაშნა-ებ-ი, აგრეთვე: დოსტაშნი-ებ-ი (← დოსტაშნე-ებ-ი ← დოსტაშნა-ებ-ი).

დიალექტების ერთ ნაწილში -ებ ცვლის ფუძისეულ ხმოვანს: ხე-ებ-ი → რეგრე-

სული დისიმილაციით: ხი-ებ-ი; ყანა-ებ-ი → რეგრესული ასიმილაციით: ყანე-ებ-ი; რეგრესული დისიმილაციით: ყანი-ებ-ი/ყანა-ებ-ი. ამის კვალობაზე, -ი-ებ ზოგადდება, გაიზრება ერთიან სუფიქსად და დაერთვის სახელებს (უპირატესად ფუძეკუშვად სახელებს; ჩანს, რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ): ცხვარ-ი → ცხე-ებ-ი, ქმარ-ი → ქმრ-იებ-ი (მესხური), ბეგ-ი → ბეგ-ებ-ი (აჭარული)...

შენიშვნა 1: -ი-ებ/-ა-ებ შესაძლოა დაერთოს ხმოვანზე ფუძედამოლოებულ უკვეცელ სახელებსაც: ჭა-ებ-ი „ჭები“ (აჭარული);

შენიშვნა 2: ქვემოიშერულში, გურულში, აჭარულში დამოწმებულია ე.წ. ორმაგი მრავლობითობის ფორმები: ანგვლოზ-ნ-ებ-ი და მისთ. -ი-ებ/ა-ებ ასეთ შემთხვევებშიც იჩენს თავს: იგი-ნ-ებ-ი „იგინი, ისინი“ (აჭარული).

შენიშვნა 3: ამავე პოზიციაში გვხვდება -ებ ვარიანტიც: ქმარ-ი → ქმრ-ებ-ი // ქმრ-იებ-ი (მესხური). რაც შეეხება წლ-ებ-ი ფორმას, იგი დღე-ებ-ი, თვე-ებ-ი ფორმათა ანალოგიით არის მიღებული.

შენიშვნა 4: -ებ ფორმანტიეულმა ხმოვანმა შესაძლოა შეცვალოს ფუძისეული ხმოვანი: ეე → იე დისიმილაციით (ხე-ებ-ი → ხი-ებ-ი), აე → ეე → იე — ასიმილაციას მოსდევს დისიმილაცია (ყანა-ებ-ი → ყანე-ებ-ი → ყანი-ებ-ი). დამოწმებულია მესხურში, აჭარულში, გურულში... ბოლოკიდურა ო-ს ორგვარი ცვლილება მოსდის: ა) ოე → ეე → იე (მალარა-ებ-ი → მალარე-ებ-ი → მალარი-ებ-ი); ბ) ოე → დისიმილაციით: უე → ხმოვნის „დაშლით“: ვიე (გოგო-ებ-ი → გოგუ-ებ-ი → გოგვი-ებ-ი). ოარივე ნაირსახეობა მესხურში შეინიშნება; ოე → ეე საფეხური სხვა დიალექტებშიც იჩენს თავს.

-ებ მორფემის თანხმონიითი ელემენტი ორი ნაირსახეობით დაჩნდება: ა) -ებ → -ეფ ყრუ თანხმონებისა და პაუზის წინ: კაც-ებ-ს → კაც-ეფ-ს/-კაც-ეფ (მაგრამ: კაც-ებ-ი); ბ) -ებ → -ეფ ყველა პოზიციაში; სისტემებრ დამოწმებულია ინგლოური დიალექტის კაქურ კილოკავში: კაც-ეე-ი, კაც-ეე-მა, კაც-ეე-ს... შეინიშნება აგრეთვე სამცხური კილოკავის ზველურ და კობარულ თქმებში (ბაღ-ეე-ი, ჭვა-ებ-ი → ჭვი-ეე-ი; შღრ. იჭვე: ბიჭო → ვიჭო, გააკეთ-ებ-ინ-ა → გააკეთ-ეე-ინ-ა); გურულის ზოგ თქმაში მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის წინ (ბაღნ-ეე-ს; შღრ. სხვა თქმებში: ბაღნ-ეფ-ს)...

შენიშვნა 1: ივარაუდება, რომ მრავლობითობის ნიშნად -ეე გამოყენებული იყო

ქართული ენის ერთ-ერთ ისტორიულ დიალექტში - ამეამად შემორჩენილია გეოგრაფიულ სახელწოდებებში: ძეგლ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, ვაშლ-ევ-ი... (ა. შანიძე).

შენიშვნა 2: - ეფ და -ეე ვარიანტების პარალელურად დაჩნდება - იეფ და -იეე, აგრეთვე: -მეფ და -მეე (მსგავსად - იებ/-მებ-ისა); წყლ-იეფ-ს/წყლ-მეფ (აჭარული)... ქმრ-იეფ-ი/ქმრ-მეფ-ი... (მესხური)... შეინიშნება - ეეფ და -ეეე ნაირსახეობანიც.

შენიშვნა 3: ე.წ. ორმაგი მრავლობითი, გარდა -ნ-ებ ვარიანტისა, გვხვდება -ებ-ნ სახითაც: ტოლ-ი → ტოლ-ებ-ნ-ი (ქართლური... ამის კვალობაზე დადასტურებულია -ეე-ნ ნაირსახეობაც: ისენ კაც-ევ-ნ-ი-ა „ისინი კაცებია“ (ინგილოური).

მოთხრობითი ბრუნვის -მა ფორმანტის წინ შესაძლოა დეადასტუროთ -ებ → -ემ: ქალ-ებ-მა → ქალ-ემ-მა, რაც, ჩვეულებრივ, გემინირებულ (უფრო ზუსტად: დაყოვნებულ) თანხმოვანს იძლევა: ქალ-ემ-ა (დაჩნდება თითქმის ყველა დიალექტში).

როგორც ითქვა, -ენ/-ეთ უპირატესად პატრონიმებში გამოიყენება (მოხეურ, რაჭულ, აჭარულ, ნაწილობრივ — მესხურ დიალექტებში). რაჭულში -ენ/-ეთ წარმოდგენილია რივნისთაურ და გლოლურ კილოკავენებში. გლოლურში პარალელურად დაჩნდება - ეთ// -ე: გიორგი-ეთ// გიორგი-ე ვაჟები, რივნისთაურში — ენ// -ე: მახარე-ენ// მახარ-ე ეკალო.

მრავლობითობის -თ და -დ მყლერი თანხმოვნის წინ საერთო-ქართული მოვლენაა: ამა-თ-გან → ამა-დ-გან...

4.8. ზ მ ნ ის წ ი ნ თ ა ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ნ ა ი რ ს ა ხ ე ო ბ ა ნ ი . ქართულში რამდენიმე ზმნისწინი ორი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: ა) დასრულებულია თანხმოვანზე (ალ-, გან-, წარ-); ბ) გამართივების შედეგად დასრულებულია ხმოვანზე (ალ- → ა-, გან → გა-, წარ- → წა-). დიალექტებში თანხმოვანზე დასრულებული ზმნისწინები ფრიად იშვიათია და თუ გვხვდება, ფონეტიკურ ცვლილებას, როგორც წესი, არ განიცდიან.

ფონეტიკურად იცვლება ზმნისწინის შემადგენელი ხმოვნითი ელემენტი. ზმნისწინებში წარმოდგენილია ოთხი ხმოვანი: ა (ა-, გა-, და-, ჩა-, წა-), ე (მე-), ი (მი-) და ო (მო-). ცვლილებისას ისინი იძლევიან როგორც იდენტურ, ასევე განსხვავებულ შედეგებს.

ა ხმოვნის შემცველი ყველა ზმნისწინი დიალექტებისა და პოზიციის მიხედვით ერთი და იმავე წესით იცვლება. ამიტომაც ნიშნულად ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ,

გა— ზმნისწინის ფონეტიკურ ვარიანტებს დავასახელებთ.

გა → გე-:

ა) ე- პრეფიქსის წინ: გა-ე-ღ-ო → გე-ე-ღ-ო, გა-მ-ე-ღ-ო → გე-მ-ე-ღ-ო; და ასე: გაემართა → გეემართა, გაეტანა → გეეტანა. ცვლილება ხდება სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე. დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, აგრეთვე რაჭულში, იმერულსა და ლეჩხუმურში. თუშურ დიალექტში ამ წესით მიღებული ემ კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვანად: გაემართა → გეემართა → გეე მართ. სპორადულად თავს იჩენს სხვა დიალექტებშიც: გაეღო → გეეღო → გე ღო (აჭარული).

ბ) ი- პრეფიქსის წინ: გა-ი-ღ-ო → გე-ი-ღ-ო-ო; და ასე: გაიმართა → გეიმართა, გაიტანა → გეიტანა (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის გზით). სისტემებზე დაჩნდება გურულში, აჭარულში, აგრეთვე ქვემოჩაქულსა და იმერულში. სპორადულად შეინიშნება სხვა დიალექტებშიც. აჭარულში თანამდევია პროგრესული დისიმილაცია: გაიტანა → გეიტანა → გეეტანა. თუ კომპლექსი გათიშულია ვ თანხმოვნით, ამ პოზიციაში ი იკარგვის: გავიტანე → გევიტანე (ვ არის I პირის ნიშანი), გავიდა → გევიდა (ვ ფუძისეულია).

გ) ვალ- ფორმის ფუძისეული ა ხმოვნის წინ (რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე): გა-ვალს → გა-ვა → გე-ვა (აჭარული).

შენიშვნა: ზმნისწინისეული ა- ხმოვანი შესაძლოა იცვალოს ფუძისეული ე და ი ხმოვნების გავლენითაც. გარდა გა-ველ-ი → გე-ველ-ი, გა-ვედ-ი → გე-ვედ-ი, გა-ვიდ-ა → გე-ვიდ-ა ფორმებისა (სადაც ეს პროცესი ფართოდ არის გავრცელებული), ზოგ დიალექტში იგი დამოწმებულია შემდეგ შემთხვევებში: და-დექ → დე-დექ, ჩა-დი-ს → ჩე-დი-ს (ინგილოური) და მისთ.

გა - → გი-:

ა) ე- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციის შემდგომ რეგრესული დისიმილაციის გზით: გა-ე-ღ-ო → გე-ე-ღ-ო → გი-ე-ღ-ო; და ასე: გაემართა → გეემართა, გაეტანა → გეეტანა → გიეტანა. დადასტურებულია მესხურში, გურულში, აგრეთვე აჭარულში (სადაც პროცესი, ჩვეულებრივ, უფრო შორსმინიშვალა: გი-ე-ღ-ო → გი-ე-ღ-ო, გიეტანა → გიეტანა);

ბ) ი- პრეფიქსის წინ სრული კონტაქტური ასიმილაციის საფუძველზე: გა-ი-კეთ-ა → გე-ი-კეთ-ა → გი-ი-კეთ-ა; შდრ. I პირის ფორმა: გა-ვი-ი-კეთ-ე → გი-ვი-ი-კეთ-ე → გი-ი-ვი-კეთ-ე, სადაც სრული ასიმილაციის თანამდევია მეტათეზისი (ქვემოიჩერუ-

ლი კილოკავის სამტრედოელი თქმა); თუშურში იი კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვანად: გი-ი-კეთ-ა → გრჷ კეთ; ცვლილება ხდება მხოლოდ კონტაქტური მეზობლობის დროს. ამის საპირისპიროდ, აჭარულში ი- პრეფიქსი სრულ რეგრესულ ასიმილაციას იწვევს ოდენ დისტანციური ურთიერთობისას (ხმოვანთ კომპლექსი, როგორც წესი, გათიშულია ობიექტური პირის ნიშნებით: მ-, გ-, გვ-); გა-გ-ი-კეთ-ა → გე-გ-ი-კეთ-ა → გი-გ-ი-კეთ-ა; შუა საფეხური (გე-გ-ი-კეთ-ა) დაჩნდება იმერხელში. წარმოვადგენთ პარადიგმატულ რიგს:

პირი \ კილო	სამტრედოელი	თუშური	აჭარული
ა) სუბიექტური			
I პირი	გი-ვ-ი-კეთ-ე // გი-ი-ვ-კეთ-ე	გა-ვ-ი-კეთ-ჩ	გე-ვ-კეთ-ე
II პირი	გი-ი-კეთ-ე	გრჷ -კეთ-ჩ	გე-მ-კეთ-ე
III პირი	გი-ი-კეთ-ა	გრჷ -კეთ(ა)	გე-მ-კეთ-ა
ბ) ობიექტური			
I პირი	გა-მ-ი-კეთ-ა	გა-მ-ი-კეთ(ა)	გი-მ-ი-კეთ-ა
II პირი	გა-გ-ი-კეთ-ა	გა-გ-ი-კეთ(ა)	გი-გ-ი-კეთ-ა
III პირი	გო-ვ-ი-კეთ-ა	გრჷ -კეთ(ა)	გო-ვ-კეთ-ა

გა → გო-:

ა) უ- პრეფიქსის წინ ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაციით: გა-უ-ლ-ო → გო-უ-ლო; და ასე: გაუმართა → გოუმართა, გაუტანა → გოუტანა. დამოწმებულია ქვემოთაჟულში, იმერულში, ლეჩხუმურში, აგრეთვე გურულში (აუ → უუ ცვლილების პარალელურად); დაჩნდება ინგილოურსა და ფერეიდნულშიც;

ბ) I სუბიექტური პირის ვ- ნიშნის წინ რეგრესული კონტაქტური ასიმილაციით: გა-ვ-ი-გე → გო-მ-გ, გა-ვ-ი-ხარ-ებ → გო-მ-ხარ-ევ (ინგილოური); გა-ვ-რევ → გო-რევ (ფერეიდნული);

გ) მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ნიშნის წინ რეგრესული დისტანციური ასიმილაციის საფუძველზე: გა-გვ-ბან-ა → გო-გ-ბან-ა (ფერეიდნული), გა-გვ-ი-ხდ-ი-ა — გო-გ-ი-ხდ-ი (ინგილოური);

დ) გვ- პირის ნიშნის შეხვედრისას -ა- და ვ- ზმნურ პრეფიქსებთან დიალექტების ერთ ნაწილში დაჩნდება ვა → ო, ვე → ო ცვლილებები; ამ გზით მიღებული ო- რეგრესული დისტანციური ასიმილაციის საფუძველზე ცვლის ზმნისწინისეულ ა-

ხმოვანს: გა-გე-ა-ხარ-ა → *გა-გო-ხარ-ა → გო-გო-ხარ-ა, გა-გე-ე-ცინ-ა → *გა-გო-ცინ-ა → გო-გო-ცინ-ა (მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული); გა-გე-ა-პარ-ა → გა-გო-პარ-ა → გო-გო-პარ-ა, გა-გე-ე-პარ-ე → გა-გო-პარ-ე → გო-გო-პარ-ე (ფერეიდნული).

შენიშვნა 1: გა- → გო- ცვლილებას ინგილოურში იწვევს ვალ-/ველ - ზმნის ფუძისიწეული ე თანხმოვანიც: გა-ველ-ი → გო-ველ-ი „გავედი“.

შენიშვნა 2: იმ დიალექტებში, სადაც დაჩნდება ვე → რ ეს პროცესი შესაბამისად აისახება ზმნისწინებშიც: გა-გე-ე-ცინ-ა → გა-გრ-ცინ-ა → გრ-გრ-ცინ-ა // გო-გრ-ცინ-ა // გო-გო-ცინ-ა (მოხეური). უმლაუტი შესაძლოა დაჩნდეს პალატალიზებულ ხმოვანთან ასიმილაციის შედეგადაც: გა-ველ-ი → გრ-ველ-ი (ინგილოური) — ო → რ მომდევნო ე ხმოვნის დისტანციური ზეგავლენის შედეგია.

შენიშვნა 3: ინგილოურსა და ფერეიდნულში აუ → ოუ ცვლილებას, ჩვეულებრივ, თან სდევს უ → რ პროცესი: გა-უ-გდ-ი-ა → გო-რ-უ-გდ-ი (ინგილოური), გა-უ-ხარ-დ-ა → გო-რ-უ-ხარ-დ-ა (ფერეიდნული). უფრო ზუსტად: თავდაპირველად ივარაუდება უ → რ, რის შემდეგ რ ისევე ახდენს ზეგავლენას ზმნისწინისეულ ხმოვანზე, როგორც I პირის ნიშანი ან ფუძისიწეული ე. თუ რ/ვ დაიკარგა, საკომპენსაციოდ გრძელდება წინამავალი ხმოვანი: გა-უ-რეე-ს → გო-რ-რეე-ს → გო-რეე-ს (ფერეიდნული). (იხ. აქვე, ზემოთ).

გა- → გუ-:

ა) სრული რეგრესული კონტაქტური ასიმილაციით უ- პრეფიქსის წინ: გა-უ-ღ-ო → გო-უ-ღ-ო → გუ-უ-ღ-ო; და ასე: გაუმართა → გოუმართა → გუუმართა, გაუტანა → გოუტანა → გუუტანა. დამოწმებულია გურულში, აჭარულში, გვხვდება ქვემო-მერულშიც (უპირატესად გურულისა და მეგრულის მომოწნავე თემებში). აჭარულში უუ კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: გუ-უ-ღ-ო → გუ-ღ-ო; თუშურში ამ პოზიციაში მხოლოდ გრძელი ხმოვანი დაჩნდება: გა-უ-ღ-ი-ა → გუ-ღ-ღ-ი.

ბ) I სუბიექტური პირის ვ- ნიშნის წინ იმ შემთხვევებში, როცა პირის ნიშანს ა- ან ე- პრეფიქსები მოსდევს: გა-ე-ა-ღ-ე → გო-ა-ღ-ი (ვ-ს ჩავარდნითა და ა → ო გადაბგერების საფუძველზე) → გუ-ე-ა-ღ-ი (ოა → უა რეგრესული დისიმილაციის გზით); ანალოგიურად: გა-ე-ე-კიდ-ე → გო-ე-კიდ → გუ-ე-კიდ. ეგვე შედეგი გვაქვს

ფუძისეული ვ-ს შემთხვევაშიც: გა-ვარდნილ-ა → გუ-არდნილ, გა-ველ-ი → გუ-ელ. დადასტურებულია ინგილოურში (ე- ხმოვნის პოენიერებისას პარალელურად გვხვდება გა- → გე-: გა-ვ-ე-კიდ-ე → გე-ე-ე-კიდ). ე ხმოვანმა შესაძლოა გააუმლაუტოს ზმნისწინისეული ხმოვანი: გა-ველ-ი → გუ-ელ. იმავდროულად შეინიშნება გო- / გრ- ვარიანტებიც (შუა საფეხური); შდრ. აქვე: გა → გო- (ბ პუნქტი).

ე) გვ- პირის ნიშნის შეხვედრისას ზმნურ ი- პრეფიქსთან დიალექტების ერთ ნაწილში დამოწმებულია ვი →უ, რასაც მოსდევს სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია: გა-გვ-ი-გ-ი-ა → გა-გუ-გ-ი-ა → გუ-გუ-გ-ი-ა (ფერეიდნული).

გა - ზმნისწინის შეხვედრისას ზმნურ ა- პრეფიქსთან აა კომპლექსი ზოგ დიალექტში შეირწყმის გრძელ ხმოვნად: გა-ა-არტყ-ამ-ს → გა-არტყ-ამ-ს (ფერეიდნული), გა-ა-ჩენ-დ-ა → გაყ-ჩენ-დ (თუშური).

ზემოდასახელებული ნიმუშებით წარმოჩნდა, რომ ერთი და იგივე ზმნისწინი სხვადასხვა პოზიციაში განსხვავებულ ფონეტიკურ ვარიანტებს იძლევა. სხვადასხვა პოზიცია ხშირად ერთი პარადიგმის ფარგლებში დაჩნდება. თვალსაჩინოებისათვის ამის რამდენიმე ნიმუშს სქემაზე წარმოვადგენთ.

ა) გა-ა- → გა-ა-:

პირი \ კილო	თუშური	ფერეიდნული
I პირი	გა-ე-ა-ჩენ	გო-ჩენ
II პირი	გაყ-ჩენ	გა-ჩენ
III პირი	გაყ-ჩენ-ს	გა-ჩენ-ს

ბ) გა- → გე- (ე- პრეფიქსის წინ):

პირი \ კილო	ქართლური, კახური, იმერული	თუშური
S პირი	გე-ვ-ე-ყარ-ე	გა-ვ-ე-ყარ-ჩ
II პირი	გე-ე-ყარ-ე	გეყ-ყარ-ჩ
III პირი	გე-ე-ყარ-ა	გეყ-ყარ-(ა)
O I პირი	გე-მ-ე-ყარ-ა	გა-მ-ე-ყარ-(ა)
II პირი	გე-გ-ე-ყარ-ა	გა-გ-ე-ყარ-(ა)
III პირი	გე-ე-ყარ-ა	გეყ-ყარ-(ა)

ბ) გა- → გე- (ი- პრეფიქსის წინ):

პირი \ კილო	გურული, იმერული	აჭარული
Sპირი	გე-ე-ი-ყვან-ე	გე-ე-ყვან-ე
II პირი	გე-ი-ყვან-ე	გე-მ-ყვან-ე
III პირი	გე-ი-ყვან-ა	გე-მ-ყვან-ა
O I პირი	გა-მ-ი-ყვან-ა	გი-მ-ი-ყვან-ა
II პირი	გა-გ-ი-ყვან-ა	გი-გ-ი-ყვან-ა
III პირი	გე-ი-ყვან-ა	გე-მ-ყვან-ა

ღ) გა - → გი - (ე- პრეფიქსის წინ):

პირი \ კილო	გურული	აჭარული
Sპირი	გი-ე-ე-ყვან-ე	გი-ე-ე-ყვან-ე
II პირი	გი-ე-ყვან-ე	გმ-ე-ყვან-ე
III პირი	გი-ე-ყვან-ა	გმ-ე-ყვან-ა
O I პირი	გა/ე-მ-ე-ყვან-ა	გა/ე-მ-ე-ყვან-ა
II პირი	გა/ე-გ-ე-ყვან-ა	გა/ე-გ-ე-ყვან-ა
III პირი	გი-ე-ყვან-ა	გმ-ე-ყვან-ა

ე) გა → გი- ცვლილების შესახებ ი- პრეფიქსის წინ (იხ. აქვე ზემოთ).

ე) რაც შეეხება დანარჩენ ცვლილებებს, ისინი ოდენ ერთი რომელიმე პირის ფორმათა ფარგლებში დაჩნდება. მაგალითად, გა- → გო-, ასევე: გა- → გუ- დამოწმებულია მხოლოდ III ობიექტური პირის შემთხვევაში: გო-(ე)-უ-კეთ-ე//გუ-(ე)-უ-კეთ-ე, გო-უ-კეთ-ე//გუ-უ-კეთ-ე, გო-უ-კეთ-ა//გუ-უ-კეთ-ა; შდრ.: გა-მ-ი-კეთ-ა, გე-გ-ი-კეთ-ა... (გურული, აჭარული); ან მხოლოდ I სუბიექტური პირის ფორმაში: გო-მ-გ „გავიგე“; შდრ.: გა-მ-გ „გაიგე“, გა-მ-გ-(ა); ნიშნები ინგილოური დაილექტიდანაა; ანდა ოდენ მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმებში: გო-გო-ხარ-ა „გაგვახარა“; შდრ.: გა-გ-ა-ხარ-ა, გა-ა-ხარ-ა; გო-გო-პარ-ა (//გე-გე-ე-პარ-ა); შდრ.: გე-გ-ე-პარ-ა, გე-ე-პარ-ა (მოხეური) და ა.შ.

შენიშვნა 1: როგორც აღინიშნა, ანალოგიური ფონეტიკური ვარიანტები დაჩნდება ა ხმოვნის შემცველი ყველა სხვა ზმნისწინის (ა-, და-, ჩა-, წა-) გამოყენებისას.

შენიშვნა 2: იგივე ვითარებაა გადა- ზმნისწინის შემთხვევაშიც, ოღონდ დამატებით (გასათვალისწინებელია: ა) გადა- ზმნისწინში შესაძლოა იცვალოს როგორც ერთი, ასევე ორივე ხმოვანი: გადა-ე-ტან-ა → გადე-ე-ტან-ა // გედე-ე-ტან-ა (ქართლური, კახური, რაჭული, იმერული...); გადა-ი-ნახ-ა → გადე-ი-ნახ-ა // გედე-ი-ნახ-ა (იმერული, ლეჩხუმური, გურული...); გადა-უ-ლოც-ა → გადო-უ-ლოც-ა // გოდო-უ-ლოც-ა (ლეჩხუმური, გურული...) და მისთ.; ბ) ი- და უ- პრეფიქსების წინ ა ხმოვანი შესაძლოა რედუცირდეს: გადა-ი-ტანა → გად-ი-ტან-ა // გედ-ი-ტან-ა, გადა-უ-ტან-ა → გად-უ-ტან-ა // გოდ-უ-ტან-ა (იმერული, ლეჩხუმური). ანალოგიური ფონეტიკური ნაირსახეობებით დაჩნდება ქვემოთჩურულში პოენიერი გარა-ზმნისწინიც: გარა-ე-ტან-ა → გარე-ე-ტან-ა // გერე-ე-ტან-ა და ა.შ.

დიალექტებში ე ხმოვნის შემცველი შე- ზმნისწინი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ა გახმოვანებითაც (შა-). არ გამოირიცხება ანალოგია ა-ხმოვიანი ზმნისწინე-ბთან. შა- დაჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, შეინიშნება ზემო-რაჭულსა და ზემოაჭარულშიც. რთულ (შედგენილ) ზმნისწინში შა- გამოყენებულია დასავლურ დიალექტებშიც (გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, აჭარული: შამო-უ-თვალ-ა).

შა- ვარიანტის შეხვედრისას ზმნურ ა- პრეფიქსთან აა კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: შა-ა-შინ-ა → შან-შინ-ა, შა-ა-კლ-ა → შან-კლ-ა (აჭარული), შა-ა-გროვ-ა → შან-გროვ (თუშური), შა-ა-ბ-ამ-ენ → შან-ბ-მ-ენ (ფერეიდნული).

შე- → ში-:

ა) ა- და ე- პრეფიქსების წინ რეგრესული დისიმილაციით: შე-ა-ტყ-ო → ში-ა-ტყ-ო (დაჩნდება როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ დიალექტებში), შე-ე-ტყ-ო → ში-ე-ტყ-ო (მესხური, გურული, აჭარული; ანუ: შეინიშნება იმავე დიალექტებში, სადაც დაჩნდება აე → ეე → იე: გაელი → გეელი → გიელი). აჭარულში პროცესი უფრო გაღრმავებულია: ში-ა-ტყ-ო → ში-ა-ტყ-ო, ში-ე-ტყ-ო → ში-ე-ტყ-ო.

ბ) ი- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: შე-ი-ნახ-ა — ში-ი-ნახ-ა; შდრ. I პირის ფორმა: შე-ე-ი-ნახ-ე → ში-ე-ი-ნახ-ე // ში-ი-ე-ნახ-ე (მეტათვისის საფუძველზე) (ქვემოთჩურული კილოკავის სამტრედიული თქმა); იი კომპლექსი თუშურში შეირწყმის გრძელ ხმოვნად: შე-ი-რთ-ო → ში-ი-რთ-ო → ში-რთ-ო. აჭარულში დაჩნდება მხოლოდ დისტანციური მეზობლობისას: შე-მ-

ი-ნახ-ა → ში-მ-ი-ნახ-ა, შე-გ-ი-ნახ-ა → ში-გ-ი-ნახ-ა...

შე- → შო-:

ა) უ- პრეფიქსის წინ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: შე-უ-თვალ-ა → შო-უ-თვალ-ა, შე-უ-ტან-ა → შო-უ-ტან-ა (ქვემოთაქული, იმერული, ლეჩხუმური, გურული); შეინიშნება ინგილოურსა და ფერეიდნულშიც (თანამდევია უ- → ტ-): შო-ტ-სწროვ „შეუსწრია“ და მისთ.

ბ) I სუბიექტური პირის ვ- ნიშნის წინ კონტაქტური რეგრესული ასიმილაციით: შე-ვ-ი-ნახ-ე → შო-მ-ნახ; შდრ.: შე-ი-ნახ-ე → შე-მ-ნახ (ინგილოური). ანალოგიურ ცვლილებას იწვევს ფუძისეული ვ-ც შე-ველ-ი → შო-ელ/შო-ელ (/ / შე-ელ).

გ) მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის გვ- ნიშნის წინ დისტანციური რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: შე-გვ-ხედ-ა → შო-გ-ხედ-ა (ფერეიდნული), შე-გვ-რჩ-ა → შო-გ-რჩ-ა (მოხეური).

დ) გვ- პირის ნიშნის შეხვედრისას ა- და ე- პრეფიქსებთან, როგორც ითქვა, დიალექტების ერთ ნაწილში დაჩნდება ვა → ო და ვე → ო; ამ გზით მიღებული ო რეგრესული დისტანციური ასიმილაციით ცვლის შე- ზმნისწინისეულ ხმოვანს: შე-გვ-ა-შინ-ა → შე-გო-შინ-ა → შო-გო-შინ-ა, შე-გვ-ე-შალ-ა → შო-გო-შალ-ა (მოხეური), შე-გვ-ა-პარ-ა → შე-გო-პარ-ა → შო-გო-პარ-ა (ფერეიდნული)...

შენიშვნა 1: ე-ს შემცველ კომპლექსებში მოხეურსა და ინგილოურში შესაძლოა დაჩნდეს უმლაუტანნი ნაირსახეობანიც: შე-გვ-ე-შალ-ა → შო-გო-შალ-ა (მოხეური), შე-ველ-ი → შო-ელ (ინგილოური).

შენიშვნა 2: ეუ → ოუ → ოჲ ცვლილების შემდგომ ფერეიდნულში შესაძლოა დაიკარგოს ტ- საკომპენსაციოდ გრძელდება წინამაჲალი ხმოვანი: შე-უ-რევ-ს → შო-ტ-რევ-ს → შო-რევ-ს; ანალოგიურ შედეგს იძლევა ვ- პირის ნიშნის დაკარგვაც: შე-ვ-რევ → შო-ვ-რევ → შო-რევ.

შე- → შუ-:

ა) უ- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციით: შე-უ-თვალ-ა → შო-უ-თვალ-ა → შუ-უ-თვალ-ა, შეუტანა → შუუტანა (გურული, აჭარული; გვხვდება ქვემოიმერულშიც გურულისა და მეგრულის მომიჯნავე თქმებში). აჭარულში უუ კომპლექსი შეიარწყმის გრძელ ხმოვნად: შუ-უ-თვალ-ა → შუ-თვალ-ა. თუმურში ამ პოზიციაში, როგორც წესი, გრძელი ხმოვანი დადასტურებული: შე-უ-ტამ-ია → შუჲ-ტამ-ი, შე-უ-დარებ-ელ-ი → შუჲ-დერებ-ელ-ჲ-ი.

ბ) I სუბიექტური პირის ვ- ნიშნის წინ იმ შემთხვევაში, როცა პირის ნიშანს ა-

ან ე- პრეფიქსები მოსდევს: შე-ე-ა-ბ-ი → *შო-(ე)-ა-ბ-ი → შუ-ა-ბ-(ი), შე-ე-ე-ბ-ი → *შო-(ე)-ე-ბ-ი → შუ-ე-ბ-ი // შუ-ე-ბ-ი (ინგილოური); ოა → უა, ოე → უე რეგრესული დისიმილაციის შედეგად. შევნიშნავთ, რომ ამ პოზიციაში ოე → უე იშვიათად დაჩნდება. ცვლილება შესაძლოა მოხდეს მაშინაც, როცა ე ფუძისეული თანხმოვანია: შე-ველ-ი → შო-ელ-(ი) → შუ-ელ-(ი) // შუ-ელ-(ი)-უმლაუტს იწვევს მომდევნო ე ხმოვანი.

ე) მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის გე- ნისწინის შეხვედრისას ზმნური- პრეფიქსთან ზოგ დიალექტში ვი →უ, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ზმნისწინისეული ხმოვნის სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია: შე-გე-ი-ნახ-ა → *შე-გუ-ნახ-ა → შუ-გუ-ნახ-ა → შუ-გუ-ნახ-ა... ამ რიგის ცვლილება დაჩნდება ინგილოურსა და ფერეიდნულში. რაც შეეხება მოხუერს (აგრეთვე: მთიულურ-გუდამაყრულს), აქ დამოწმებულია, ჩვეულებრივ, ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგი: შე-გე-ი-ძლ-ი-ა → *შე-გუ-ძლ-ი-ან → შოგუ-ძლ-ი-ან // შო-გუძლ-ი-ან...

როგორც ვხედავთ, შე- ზმნისწინის შემთხვევაში ძირითადად იგივე ფონეტიკური კანონზომიერებანი მოქმედებს, რაც ზემოთ ა- გახმოვანების მქონე ზმნისწინებთან დაკავშირებით იყო დასახელებული.

ფონეტიკურ ნაირსახეობათა ურთიერთმიმართების საჩვენებლად ნიმუშის სახით ერთ პარადიგმატულ იგს წარმოვადგენთ.

შე- → ში- /-შო- /შუ-:

პირი	კილო	სამტრედოული	აპარული
S პირი		ში-ე-ი-ნახ-ე → ში-ი-ე-ნახ-ე	შე-ე-ი-ნახ-ე
II პირი		ში-ი-ნახ-ე	შე-ე-ნახ-ე
III პირი		ში-ი-ნახ-ა	შე-ე-ნახ-ა
O I პირი		შე-მ-ი-ნახ-ა	ში-მ-ი-ნახ-ა
II პირი		შე-გ-ი-ნახ-ა	ში-გ-ი-ნახ-ა
III პირი		შო-უ-ნახ-ა	შუ-ნახ-ა

მი- ზმნისწინისეული ხმოვანი შეიძლება იცვალოს რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე ა- და ე- პრეფიქსების წინ: მი-ა-ხტ-ა → მმ-ა-ხტ-ა, მი-ე-წი-ა → მმ-ე-წი-ა (აპარული).

გარდა ამისა, პოზიციის შესაბამისად მი- ზმნისწინი კიდევ ორი ნაირსახეობით

დაჩნდება დიალექტებში.

მი- → მე-: ე- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციის გზით: მი-ე-ც-ა → მე-ე-ც-ა, მი-ე-წი-ა → მე-ე-წი-ა, მი-ე-ღ-ა → მე-ე-ღ-ა (ქვემოიმერული). ემთხვევა მო- → მე- შენაცვლების შედეგს: მო-ე-ც-ა → მე-ე-ც-ა.

მი- → მუ-: უ- პრეფიქსის წინ ასევე სრული რეგრესული ასიმილაციით: მი-უ-ტან-ა → მუ-უ-ტან-ა, მი-უ-დგ-ებ-ა → მუ-უ-დგ-ებ-ა (ქართლური, კახური, მესხური, იმერული, გურული...). შევნიშნავთ: ზოგ დიალექტში ერთმანეთს ემთხვევა მი- → მუ- და მო- → მუ- ცვლილებათა შედეგი: მი-უ-ტან-ა → მუ-უ-ტან-ა/მო-უ-ტან-ა → მუ-უ-ტან-ა (მესხური, გურული...). აქარულში უუ კომპლექსი შეიარწყმის გრძელ ხმოვნად: მი-უ-ტან-ა → მუ-უ-ტან-ა → მუტან-ა, მიუშვირა — მუუშვირა — მუშვირა.

პარადიგმის ნიმუში: მი- → მე-/მე-.

პირობა \ კილო	ქვემოიმერული	აჭარული
I პირი	მე-ე-ე-წი-ე	მი-ე-ე-წი-ე
II პირი	მე-ე-წი-ე	მე-ე-წი-ე
III პირი	მე-ე-წი-ა	მე-ე-წი-ა

მო- ზმნისწინი დიალექტების ერთ ნაწილში წარმოდგენილია როგორც მა-: მა-მ-ი-ტან-ა, მა-ი-ტან-ა, მა-მ-კრა // მა-შ-კრა-ა... მა- დაჩნდება ხევსურულში, ფშაურში, ქართლურში, კახურში, იმერულში... მისი განაწილების წესები განსხვავებულია დიალექტების მხედვით. მაგალითად, ზემოიმერულში მო- → მა- დადასტურებულია ოდენ მ- პრეფიქსის წინ: მა-მ-ი-ტან-ა, მა-მ-ტან-ა. კუბლაშვილი, ქ. ძოწინიძე, კახურში იგი დაჩნდება სხვა პოზიციებში (II და III სუბიექტური პირის ფორმებში):

პირობა \ კილო	ზემოიმერული	კახური
S პირი	მე-ე-ი-ტან-ე	მო-(ე)-ი-ტან-ე
II პირი	მე-ი-ტან-ე	მა-ი-ტან-ე
III პირი	მე-ი-ტან-ა	მა-ი-ტან-ა
O I პირი	მა-მ-ი-ტან-ა	მა-მ-ი-ტან-ა
II პირი	მო-გ-ი-ტან-ა	მო-გ-ი-ტან-ა
III პირი	მო-უ-ტან-ა	მო-უ-ტან-ა

ხევისურელში ოდენ მა- არის დადასტურებული, სხვა დიალექტებში ზემოხსენებულის ანალოგიური მონაცვლეობაა. გარდა ამისა, ამავე დიალექტებში მა-, როგორც წესი, წარმოდგენილია ა- პრეფიქსიან ზმნებთან. აა კომპლექსი თუ შურში შეირწყმის გრძელ ხმოვნად: მა-ა-გონდ-ა → მჟე-გონდ-.

მო- → მე-:

ა) ე- პრეფიქსის წინ. მო-ე-ტან-ა → მე-ე-ტან-ა, მო-ე-წყ-ო → მე-ე-წყ-ო (სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე). დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, აგრეთვე რაჭულში, იმერულში, ლეჩხუმურში. თუ-შურში ეე კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად: მე-ე-ტან-ა → მჟე-ტან. ე გრძელი ხმოვანი სპორადულად თავს იჩენს აჭარულშიც.

ბ) ი- პრეფიქსის წინ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: მო-ი-ტან-ა → მე-ი-ტან-ა, მო-ი-წყ-ო → მე-ი-წყ-ო: გავრცელებულია რაჭულში (უბირატესად — ქვემო რაჭულში), იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში; აგრეთვე: აჭარულში, სადაც პროცესი უფრო ღრმავდება — ი → მ პროგრესული დისიმილაციით: მე-ი-ტან-ა → მე-მ-ტან-ა.

მო- → მი- დამოწმებულია ე- პრეფიქსის წინ, ცვლილება ხდება სრული რეგრესული ასიმილაციის შემდგომ რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე. მო-ე-ტან-ა → მე-ე-ტან-ა → მი-ე-ტან-ა (ემთხვევა მი- ზმნისწინიან ფორმებს); და ასე: მოენახა → მეენახა → მიენახა, მოეწყო → მეეწყო → მიეწყო. დადასტურებულია მესხურში, გურულში. რაც შეეხება აჭარულს, აქ პროცესი უფრო შორს მიდის: მი-ე-ტან-ა → მი-მ-ე-ტან-ა.

შენიშვნა 1: მო- → მე- ცვლილება შესაძლოა გამოიწვიოს ვე-/ვიდ— ზმნის ფუძისეულმა ხმოვანმა: მო-ვედ-ი → მე-ვედ-ი, მო-ვიდ-ა → მე-ვიდ-ა. დაინდება დასავლურ დიალექტებში (აჭარულის გარდა; შდრ. გურული: მე-ვიდ-ა → აჭარული: მო-ვდ-ა).

შენიშვნა 2: თუ-შურში დაინდება მრე-კრიფ „მოიკრიფა“, მრე-ლაპარაკეს „მოილაპარაკეს“ ტიპის ფორმები. თითქოს ასეთი გზა ივარაუდება: მოიკრიფა → *მეიკრიფა → *მიიკრიფა → მრე კრიფ. მაგრამ არ გამოირიცხება, რომ ამოსავალ ფორმაში მა- ვარიანტი გვექონდა.

მო- → მუ-:

ა) უ- პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციით: მო-უ-ტან-ა → მუ-უ-ტან-ა, მო-უ-ნახ-ა → მუ-უ-ნახ-ა... დამოწმებულია მესხურში, ქვემო იმერულში, გურულში, აჭარულში. უუ კომპლექსი შეირწყმის გრძელ ხმოვნად აჭარულსა

(მუუტანა → მუტანა) და თუშურში (მო-უ-კიდ-ა → მუ-უ-კიდ-ა → მუჟ → კიდ).

ბ) ა- და ე- პრეფიქსების წინ რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე: მო-ა-წყ-ო → მუ-ა-წყ-ო... მო-ე-წყ-ო → მუ-ე-წყ-ო... (ფშაური, მთიულურ-გუდამაყრულ, ქართლური, კახური, მესხური... იმერული, ლეჩხუმური, გურული...). ცვლილება დაჩნდება ვალ- / ველ- ფუძისეული ხმოვნების წინაც (ინტერვოკალურ პოზიციაში ვ იკარგვის): მო-ვალ-ი-ს → მო-ალ-ი-ს → მუ-ა-ალ-ი-ს (თუშური), მო-ვედ-ი → მო-ედ-ი → მუ-ედ (ფშაური).

შენიშვნა 1: ამგვარ ცვლილებათა საფუძველზე შესაძლოა ერთმანეთს დაემთხვეს I და II პირის ფორმები: მო-ვ-ა-ხერხ-ე → მუ-ა-ხერხ-ე, მო-ა-ხერხ-ე → მუ-ა-ხერხ-ე. ზოგჯერ დამთხვევის თავიდან ასაცილებლად ცვლილება ხდება მხოლოდ I და III პირის ფორმებში: მუ-ა-ხერხ-ე (მე) — მო-ა-ხერხ-ე (შენ) — მუ-ა-ხერხ-ა (მან)...

შენიშვნა 2: ერთსა და იმავე დიალექტში ე- პრეფიქსთან ზმნებში მო- ზმნისწინის გამოყენებისას შესაძლოა დადასტურდეს ორი ფონეტიკური ნაირსახეობა: მო-ე-ტან-ა → მე-ე-ტან-ა // მუ-ე-ტან-ა (კახური). შესაძლოა აქ ამოსავლად ზმნისწინის ორი სხვადასხვა ვარიანტი ივარაუდებოდეს: ერთი მხრივ, მა-ე-ტან-ა → მე-ე-ტან-ა (აე → ეე ასიმილაციით), მეორე მხრივ, მო-ე-ტან-ა → მუ-ე-ტან-ა (ოე → უე დისიმილაციით). ოღონდ გასათვალისწინებელია: პარალელური ვარიანტები თავს იჩენს იმ დიალექტებშიც (მაგალითად, გურულში), სადაც მა-, როგორც წესი, არ გამოიყენება.

შენიშვნა 3: მო- → მუ- პროცესი აქარულში უფრო ღრმავდება: მო-ა-ხერხ-ა → მუ-ა-ხერხ-ა → მუ-ა-ხერხ-ა, მო-ე-კიდ-ა → მუ-ე-კიდ-ა → მუ-ე-კიდ-ა... თუმცა ეს პროცესი უფრო მეტად რთულ (შედგენილ) ზმნისწინებშია გავრცელებული: გამო-ე-კიდ-ა → გამუ-ე-კიდ-ა.

რთულ (შედგენილ) ზმნისწინებში (ა-მო-, გა-მო-, შე-მო, ჩა-მო-), ჩვეულებრივ, იცვლება მეორე კომპონენტი (მო-). ცვლილების კანონზომიერებანი იდენტურია იმისა, რაც მისი დამოუკიდებლად გამოყენებისას დაჩნდება. იმავდროულად ზოგ დიალექტში ცვლილებას განიცდის პირველი კომპონენტის ხმოვანიც. დავასახელებთ ყველა გამოვლენილ ნაირსახეობას.

ა) დასავლურ დიალექტებში, წესისამებრ, იხმარება შე-, მაგრამ რთულ ზმნისწინში ყოველთვის წარმოდგენილია შა- ვარიანტი (→ შამო-): შამო-ა-გდ-ო, შამო-ე-ტან-ა → შამე-ე-ტან-ა / შამი-ე-ტან-ა, შამო-ი-ნახ-ა → შამე-ი-ნახ-ა და ა.შ.

ბ) ე- პრეფიქსის გავლენა სრული რეგრესული ასიმილაციით შესაძლოა გავრცელდეს რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანზე: გამო-ე-კიდ-ა → გამე-ე-კიდ-ა // გემე-ე-კიდ-ა; ცვლილება ხდება მაშინაც, როცა ხმოვანთკომპლექსი გათიშულია თანხმოვნით (პირის ნიშნით): გამო-ე-ე-კიდ-ე → გამე-ე-ე-კიდ-ე // გემე-ე-ე-კიდ-ე, გამო-მ-ე-კიდ-ა — გამე-მ-ე-კიდ-ა // გემე-მ-ე-კიდ-ა, გამო-გ-ე-კიდ-ა → გამე-გ-ე-კიდ-ა // გემე-გ-ე-კიდ-ა (ქართლური, კახური...).

გ) წინამავალი ხმოვნის სრულ დისტანციურ რეგრესულ ასიმილაციას ზოგ დიალექტში იწვევს თვით მო- ზმნისწინისეული ხმოვანიც: გამო-გე-ი-ცვივ-დ-ა → გომო-გუ-ცუვ-დ-ა, შემო-გე-ი-რიგ-ეს → შომო-გუ-რიგ-ეს (მოხეური); გამო-დი-ს → გომო-დი-ს, გამო-ქნ-ი-ს → გომო-ჰ-ქნ-ი-ს, შემო-ა-ხურ-აგ-ენ → შომო-ჰ-ხურ-ენ, ჩამო-გდ-ებ-ა → ჩომო-გდ-ეე-ა-ა (ინგილოური); შემო-ვიდა → შომო-ვიდა, შემო-ი-კრ-ა → შომო-ი-კრ-ა (ჯავახური); გამო-გე-ა-გზავ-ნ-ა → გომო-გო-გზავ-ნ-ა, გამო-უ-გზავ-ნ-ა → გომო-უ-გზავ-ნ-ა (ფერეიდნული).

შენიშვნა: დაჩნდება სხვაობა დიალექტების მიხედვით. მაგალითად, გამო- → გომო- მოხეურში, ჩვეულებრივ, დაჩნდება მაშინ, როცა ზმნისწინს მოსდევს ლაბიალზებული კომპლექსი ან ხმოვანი. ჯავახურში რეგრესული ასიმილაცია დამოწმებულია, როგორც წესი, მხოლოდ შემო-ზმნისწინში...

დ) რთული ზმნისწინის პირველი კომპონენტის ხმოვანზე ზეგავლენა შესაძლოა მოახდინოს მო- ზმნისწინის ფონეტიკურად ცვლილმა ხმოვანმაც: გამო-გე-ი-გზავ-ნ-ა → * გამო-გუ-გზავ-ნ-ა → გუმუ-გუ-გზავ-ნ-ა (ფერეიდნული); გამო-ე-ა-გდ-ე → *გამო-ა-გდ → გამუ-ა-გდ → გუმუ-ა-გდ (ინგილოური)...

ე) ინგილოურში დადასტურდა მეტათეზისის სპეციფიკური შემთხვევა რთულ ზმნისწინებში გ-, გე- პირის ნიშანთა გამოყენებისას: გამო-გ-ი-წერ-ა → *გა-მ-გ-ი-წერ-ა (ო-ს რედუქციით) → გაგმ-ი-წერ-ა, შემო-გე-ი-ხვდ-ა → შომო-გე-ი-ხვდ-ა → *შომ-გ-ი-ხტ-ო (იკარავის ო და ვ ბგერები, ხდ → ხტ პროგრესული ასიმილაციით, მონაცვლობს -ა: ო- III სუბიექტური პირის ნიშნები) → შოგმ-ი-ხტ-ო (რ. ლამბა-შიძე).

ვ) ინგილოურშივე დაჩნდება რთულ ზმნისწინში თავიდან პირველი ხმოვნის ნაწილობრივი და სრული რედუქციის შემთხვევებში: ამო-ვიდ-ა → ომო-ვიდ-ა → ემო-ვიდ-ა, გამო-ვიდ-ა → გომო-ვიდ-ა → გემო-ვიდ-ა → გმო-ვიდ-ა; გამო-ე-ა-გდ-ე → *გამო-ა-გდ → გამუ-ა-გდ → გუმუ-ა-გდ → გემუ-ა-გდ → გმუ-ა-გდ; გამო-ე-გდ-ო → *გამო-ე-გდ → გამე-ე-გდ → გემე-ე-გდ → გემე-ე-გდ → გმე-ე-გდ; და ასე: ჩამო → // ჩემო → // ჩმო-; წამო → // წემო // წმო-... შევენიშნავთ: ამო — ზმნისწინის თავკიდურა ხმოვანი განიცდის მხოლოდ ნაწილობრივ რედუქციას (ა- → ე-); სრული

რედუქციის შემთხვევაში დაემთხვეოდა საკუთრივ მო- ზმნისწინს.

ზ) განსაზღვრულ პოზიციებში რთულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის შედგენილი ზმნისწინი აქარულში: წამო-მ-ი-ლ-ო → *წაო-მ-ი-ლ-ო (მ-ს რეგრესული დისიმილაციური დაკარგვით) → *წაუ-მ-ი-ლ-ო (ო → უ: ასიმილაციის საფუძველზე მ ლაბიალური თანხმოვნის მეზობლად) → * წაჲ-მ-ი-ლ-ო (აუ → აჲ დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილების გამო); და ასე: შამო-მ-ი-თვალ-ა → შაჲ-მ-ი-თვალ-ა, ჩამო-მ-ი-წერ-ა → ჩაჲ-მ-ი-წერ-ა... ამდენად, ცვლილება ხდება მხოლოდ ითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმებში ორ საფეხურად: მ-მ → ო-მ (დისიმილაციური დაკარგვის საფუძველზე) და: აო → აუ → აჲ (მომდევნო მ თანხმოვანთან ასიმილაციის გამო).

თ) როგორც ზემოთ აღინიშნა, აქარულშივე შეინიშნება მო- → მუ- → მჲ- ცვლილება ა და ე ხმოვნების წინ; ჩვეულებრივია ეს პროცესი შედგენილ ზმნისწინებში: წამო-ვ-ა-დულ-ებ → წამო-ა-დულ-ეფ → წამუ-ა-დულ-ეფ // წამჲ-ა-დულ-ეფ; წამო-ვლ-ი → წამო-ელ-ი → წამუ-ელ-ი // წამჲ-ელ-ი, რის საფუძველზე დაჩნდება წამჲ-, ჩამჲ-, გამჲ-, ამჲ-, აგრეთვე: შამჲ- ნაირსახეობანი.

ნიმუშად წარმოვადგენთ რამდენიმე პარადიგმატულ რიგს.

ა) გამო- → გამე- / გამი- / გამუ-:

პირი \ კილო	გურული	იმერული	კახური
I პირი	გამო-მ-ე-ტან-ა	გამა-მ-ე-ტან-ა	გამე-მ-ე-ტან-ა
II პირი	გამო-გ-ე-ტან-ა	გამო-გ-ე-ტან-ა	გამე-გ-ე-ტან-ა
III პირი	გამი-ე-ტან-ა	გამე-ე-ტან-ა	გამე-ე-ტან-ა // გამუ-ე-ტან-ა

კახურში პარალელურად დაჩნდება აგრეთვე: გემე-მ-ე-ტან-ა, გემე-გ-ე-ტან-ა, გემე-ე-ტან-ა; რაც შეეხება გამუ-ე-ტან-ა ფორმას, იგი დამოწმებულია გურულსა და იმერულშიც.

ბ) გამო- → გამუ- / გუმუ-:

პირი \ კილო	გურული	ინგილოური
I პირი	გამუ-ა-გდ-ე	გამუ-ა-გდ // გუმუ-ა-გდ // გემუ-ა-გდ
II პირი	გამუ-ა-გდ-ე	გამუ-ა-გდ // გუმუ-ა-გდ // გემუ-ა-გდ
III პირი	გამუ-ა-გდ-ო	გამუ-ა-გდ // გუმუ-ა-გდ // გემუ-ა-გდ

გ) შემო- → შამო- / შამუ- / შაჟ-:

პირი	კილო	გურული	აჭარული
I პირი		შამო-მ-ი-თვალ-ა	შაჟ-მ-ი-თვალ-ა
II პირი		შამო-გ-ი-თვალ-ა	შამო-გ-ი-თვალ-ა
III პირი		შამუ-ჟ-თვალ-ა	შამუ-თვალ-ა

ამდენად, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე პარადიგმატულ რიგში ზმნისწინის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი შეიძლება დაჩნდეს, თანაც სხვადასხვა დიალექტი ხშირად განსხვავებულ ჩვენებებს იძლევა.

4.9. პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი

I სუბიექტური პირის ნიშანი:

ა) ვ → ფ-ყრუ თანხმოვნების წინ პაუზის მომდევნოდ: ვ-ფარავ → ფ-ფარავ, ვ-პარავ → ფ-პარავ, ვ-თლი → ფ-თლი, ვ-ტენი → ფ-ტენი, ვ-შიშობ → ფ-შიშობ და მისთ. საერთო-ქართული მოვლენაა. შდრ.: და-ვ-ფარავ, მო-ვ-პარავ... სადაც შენა-რჩენებულა.

ბ) ვ → 0- ორ შემთხვევაში: პაუზის მომდევნოდ ო და უ ხმოვნების წინ: ვ-ოცნებობ → 0-ოცნებობ, ვ-უთხარი → უთხარი (ამის შედეგად ერთმანეთს ემთხვევა I და II პირის ფორმები); საერთო-ქართული მოვლენაა. გარდა ამისა, დიალექტების ერთ ნაწილში ვ- იკარგვის — მო ზმნისწინის მომდევნოდ ხმოვანი პრეფიქსის წინ: მო-ვ-ი-ტანე → მო-ი-ტანე, მო-ვ-იგონე → მო-ი-გონე. უპირატესად დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებისათვის. II პირის ფორმათაგან გარჩევა ხდება ზმნისწინის გახმოვანებით: მო-ი-ტანე (მე), მაგრამ: მა-ი-ტანე (შენ). ვ- ფორმანტის პოზიცია მერყევია პაუზის მომდევნოდ ბაგისმიერი თანხმოვნის წინაც: ვ-ვარდები → ვარდები, ვ-ვენებ → ვენებ. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ზოგჯერ ვ-ბარავ, ვ-მალავ და მისთ. ფორმებშიც.

გ) პაუზის მომდევნოდ თანხმოვნების წინ პოენიერმა ვ- ფორმანტმა ზოგ დიალექტში შესაძლოა განიცადოს მეტათეზისი (თანამდევნი ფონეტიკური პროცესებითურთ): ვ-დაობ → დვაობ, ვ-დგები → დგვები, ვ-ტირი → ტვირი, ვ-ჩეჩი → ჩეჩი, ვ-ჰამ → ჰვამ (თუშური); ვ-ფიქრობ → *ფვიქროვ → ფუქროვ (ვი → უ საფუძველზე), ვ-პ-ტირი „ვტირი“ → *პ-ტვირი → პ-ტურ, ვ-ჭრი → *ჭრვი → ჭრუ, ვ-ხედავ → *ხვედავ → ხრდავ (ვე → რეზით) და მისთ. (ინგილოური). დაჩნდება მედურ თანხმოვნებთან (სონანტებთან) ურთიერთობის დროსაც: ვ-რეცხავ → *რვეცხავ → რრცხავ (ინგილო-

ური); შდრ. ის შემთხვევები, როცა ვ- ფორმანტს უშუალოდ ხმოვანი პრეფიქსი მოსდევს (იხ. მომდევნო პუნქტი).

იმერული დიალექტის ბალდათურ თქმაში ვ- პირის ნიშნის მეტათეზისი ხდება ხ სპირანტით დაწყებული ზმნური ფუძეების შემთხვევაში: ვ-ხნ-ავ → ხვნ-ავ (უფრო ზუსტად: ხუნ-ავ). თუ ასეთი ფუძე თავად შეიცავს ვ თანხმოვანს, მაშინ პირის ნიშანი იკარგვის: ვ-ხვრეტ // ვ-ხრეტ-ავ → ხვრეტ// ხრეტ-ავ (ზედმოწვევით: ხურეტ// ხურეტ-ავ).

ზემოიმერულში ვ-ნახ-ე ფორმაში სისტემებზე დაჩნდება ვ-ს მეტათეზისი: ნავხ-ე (ანალოგიური ვითარებაა მ- პირის ნიშნის პოენიერებისას ამავე ზმნასთან). დაჩნდება აგრეთვე ლეჩხუმურსა და რაჭულის ზოგიერთ თქმებში... ინგილოურში მეტათეზისს თან სდევს კომპლექსის ცვლილება: ვ-ნახ-ე → ნოხ-ი.

დ) თუ ვ- ფორმანტს უშუალოდ მოსდევს ა-, ე- ან ი- ხმოვანი პრეფიქსები, შესაძლოა ზოგ დიალექტში შესაბამისად დაჩნდეს ვა → ო, ვე → ო/რ ვი → უ/ჴ ფონეტიკური ცვლილებები: ვ-არ → ორ, ვ-ა-თქმიოთ „ვათქმევიოთ“ → ო-თქმიოთ, და-ვ-ა-ნებე → და-ო-ნებე, და-ვ-ა-ბარე → და-ო-ბარე, (ხვესურული დიალექტის პირაქეთულ-არხოტული კილოკავი), ვ-ა-ჩუქებ → ო-ჩუქებ, ვ-იქ ავშვრები, ვაკეთებ → უქ, ვ-იცი → უცი (ინგილოური დიალექტის კაკური კილოკავი).

1 ობიექტური პირის ნიშანი მხოლოდობითი რიცხვისა განიცდის გემინაციას ფუძისუფლ მ თანხმოვანთან შეხვედრისას: მ-მალავ-ს → მ-ალავ-ს. საერთო-ქართული მოვლენაა. სპორადულად დაჩნდება მ-ს დაკარგვის შემთხვევები: მ-კლავდნენ → კლავდნენ (ინგილოური).

ზემოიმერულში მ-ნახ-ე, მ-ნახ-ა ზმნებში მ- პირის ნიშანი განიცდის მეტათეზისს: ნამხ-ე, ნამხ-ა (ანალოგიურად ვ- პირის ნიშნისა; იხ. აქვე, ზემოთ). გვხვდება აგრეთვე ლეჩხუმურსა და რაჭულის ზოგიერთ თქმებში.

1 ობიექტური პირის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა:

ა) გვ- → ჴვ- ყრუ ფშვინიერი თანხმოვნების წინ რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე: გვ-ქონდა → ჴვ-ქონდა, გვ-ცივა → ჴვ-ცივა, გვ-შია → ჴვ-შია; შესაბამისად გვ- → კვ- ყრუ მკვეთრი თანხმოვნების წინ: გვ-პირდება → კვ-პირდება, გვ-ტოვებს → კვ-ტოვებს, გვ-კითხა → კვ-კითხა, გვ-ყავს → კვ-ყავს; ამ შემთხვევაში პარალელურად შეიძლება დაჩნდეს ჴვ- ნაირსახეობაც: ჴვ-პირდება, ჴვ-ტოვებს...

ბ) გვ- → გ- იმ შემთხვევაში, როცა რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის ზმნისწინისუფლ ხმოვანს: ა-გვ-ტოვდა → ო-გ-ტოვდა, და-გვ-რაჩა → დო-ქ-ჩა, და-გვ-ასხეს → დო-გ-ასხეს, გა-გვ-იხდი → გო-გ-იხდი, წა-გვ-იყვანეს → წო-გ-იყონეს

(ინგილოური); შა-გვ-ყრის → შო-გ-ყრის, და-გვ-ყარა → დო-გ-ყარა, გა-გვ-აცნეს → გო-გ-აცნეს (მოხეური); შდრ. II პირის ფორმები: ა-გ-ტკივდა (→ ა-კ-ტკივდა)... შა-გ-ყრის (→ შა-კ-ყრის)... ანუ: სხვაობა I და II პირის ფორმებს შორის ზმნისწინის გახმოვანებით წარმოჩნდება. გვ → გ- ზოგჯერ თავს იჩენს მო- ზმნისწინის მომდევნოდ (ანუ: ო-ს გავლენით საქმე გვაქვს ვ ელემენტის დისიმილაციურ დაკარგვასთან): მო-გვ-აკარეს → მო-გ-აკარეს, მო-გვ-ასვენეს → მო-გ-ასწენეს (ინგილოური).

გ) დიალექტების ერთ ნაწილში გვ ფორმანტიკული ვ ელემენტი შეიარწყმის მომდევნო ა-, ე- და ი- ხმოვან პრეფიქსებთან: გვ-ა-ქვს → გო-ქ, გვ-ე-ძინა → გო-ძინა // გო-ძინა, გვ-ი-თხრა → გუ-თხრა // გუ-თხრა (მოხეური); გვ-ა-ძღვეს → გო-ზღვეს, გვ-ე-ჩქარება → გო-ჩქარება, გვ-ი-ნდა → გუ-ნდა (ინგილოური); გვ-ა-ქვს → გო-ქ, გვ-ე-ბარა → გო-ბარა, გვ-ი-დგას → გუ-დგა (ფერეიდნული). როგორც ზმნისწინების ფონეტიკურ ნაირსახეობათა განხილვის დროს აღინიშნა, ამ წესით მიღებული ხმოვნები ასიმილაციის საფუძველზე ცვლიან ზმნისწინისეულ ხმოვნებსაც.

დ) რთულ ზმნისწინებთან ურთიერთობისას ხმოვანი პრეფიქსების წინ პოვნიერი გვ → გ- ინგილოურში განიცდის მეტათეზისს: შემო-გვ-ი-ხვდა „შემოგვხვდა“ → *შემო-გ-ი-ხტ-ო (გვ → გ-, ხვდ- → ხტ- და პირის ნიშანთა შენაცვლებით: -ა → -ო) → *შემ-გ-ი-ხტ-ო (ო-ს სრული რედუქციით) → შოგმ-ი-ხტ-ო (მეტათეზისის საფუძველზე).

II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნები ქართული ენის დიალექტებში იდენტურ ფონეტიკურ ნაირსახეობებს იძლევიან, ამიტომაც მათ ერთად განვიხილავთ.

როგორც ცნობილია, ეს მორფემა სამი ძირითადი ვარიანტით არის წარმოდგენილი: ხ- (II სუბიექტური პირის ნიშნად ორ ზმნაში: ხ-არ და მი-ხ-ვალ) ო— (ხმოვნების წინ) და ჰ- (ყველა დანარჩენ შემთხვევაში). სწორედ ამ უკანასკნელის ფონეტიკური ნაირსახეობანია წარმოდგენილი დიალექტებში (ზოგჯერ— სალიტერატურო ენაშიც).

დიალექტებში პოვნიერი ფონეტიკური ნაირსახეობანი ძირითადად ოთხი ტიპისაა.

ა) დიალექტების ერთ ნაწილში ჰ - მდგარადა, უცვლელად დაჩნდება იმ პოზიციასშიც კი, სადაც თვით სალიტერატურო ქართულში არის ფონეტიკური ვარიანტით წარმოდგენილი (იგულისხმება ჰ- → ს-): და-ჰ-დევ, და-ჰ-ტოვე, და-ჰ-თვალე; მი-ჰ-წერე, ჰ-ცემე... და-ჰ-დევს, და-ჰ-ტოვა, და-ჰ-თვალა, მი-ჰ-წერა, ჰ-ცემა... (ვა-

ვახური); და-პ-ცქერი, შე-პ-ჰამ... მო-პ-წყდა... (აჭარული); მო-პ-თხოვ, და-პ-წერ, შე-პ-ჰამ... ა-პ-ტყვდა, პ-წონოვს „მოსწონს“, პ-ჭრის, გა-პ-ჩენია... (ინგილოური).

შენიშვნა 1: გასათვალისწინებელია, რომ ზემოდასახელებული დიალექტებისათვის დამახასიათებელია ს → პ პრაქესი: ის → იპ, ძმას → ძმპპ, გააკეთოს → გააკეთაპ, საით → პაით (ყავახური), საცხა → პაცხა, საიდან → პიდან, ამისთანა → ამიპთანა (აჭარული). სავარაუდოა, რომ პირის ნიშნის პოზიციამი პ- ვარიანტის პოვნიერებას ხსენებულმა ტენდენციამაც შეუწყო ხელი.

შენიშვნა 2: ზემოთქმული, რასაკვირველია არ გულისხმობს იმას, რომ ამ დიალექტებში საერთოდ არ ხდება პ- ფორმანტის ფონეტიკური ცვლილება, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ცვლილების ტენდენცია უფრო გვიანდელია — ეს თავს იჩენს თუნდაც ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მეტყველების სხვადასხვაობაში (უპირატესად დაჩნდება შედარებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში).

ბ) დავასახელებთ პ- ფორმანტის იმ ფონეტიკურ ნაირსახეობებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი:

პ →	ს-	→ შ-	→ ყ-
	ხ-	→ ლ-	
	ო-		

სქემაზე ასახული ფონეტიკურ გარდაქმნათა სისტემა ძირითადად მოხეურში, ხევსურულსა და თუშურში დაჩნდება.

ცნობილია: პ- გამოიყენება ბაგისმიერი (ბ,ფ,პ) და რბილსასისმიერი (გ,ქ,ყ) ხშულების, აგრეთვე სპირანტებისა (ვ;ზ,ს; უ,შ;ღ,ხ; ყ) და სონანტების (ლ,მ,ნ,რ) წინ: პ-ბარავ, პ-ფარავ, პ-პარავ; პ-გონია, პ-ჭონია, პ-კითხა; და-პ-ვიწყებია; და-პ-ზავეზია, პ-სურს; გა-პ-ჟუჟვია, პ-შია; გა-პ-ღელია, გა-პ-ხარებია; პ-ყავს; და-პ-ლევია, და-პ-მალვია, და-პ-ნანებია, პ-რქვევია.

ს- გვხვდება კბილისმიერი ხშულების (ღ, თ, ტ), წინანუნისმიერი (ძ,ც,წ) და უკანანუნისმიერი (ჭ,ჩ,ჭ) აფრიკატების წინ: გა-ს-ღვე-ნებია, გა-ს-თავეზია, და-ს-ტირის; გა-ს-ძლოლია, და-ს-ცდენია, და-ს-წერია; ს-ჭერა, ს-ჭირს, ს-ჩრის.

პირის ნიშანი იკარგვის ხმოვნების წინ: *პ-ა-წერს → ა-წერს, *პ-უ-წერს → უ-წერს; *პ-ე-წერება → ე-წერება და მისთ.

შეინიშნება მერყეობაც: გა-პ-ჟუჟვია // გა-ს-ჟუჟვია, და-პ-რჩენია // და-ს-რჩენია...

ასეთია საერთო სურათი, რასაც ეფუძნება სალიტერატურო ენისა და დიალექტ-

ტების უმეტესი ნაწილის ჩვენება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებშიც ცვლილების ანალოგიური ტენდენცია გვაქვს, ხოლო ყველა სხვა ფონეტიკური ნაირსახეობა არსებითად ამავე ტენდენციის გაღრმავებისა და მოდიფიკირების შედეგია.

ყერძოდ, ჰ → ს- გარდაქმნის გაგრძელება ს → შ- დაჩნდება შიშინა რიგის აფრიკატების (ჭ,ჩ,ჭ) წინ: ს-ჭობს → შ-ჭობს, ს-ჩრის → შ-ჩრის, შა-ს-კამს → შა-შ-კამს; ამათგან მქლერი ჯ აფრიკატის წინ შ- ხშირად მქლერდება: შ-ჭობ → ე-ჭობ.

სისინა რიგის აფრიკატებისა და კბილისმიერი ხშულების წინ, ჩვეულებრივ, გვაქვს -ს-: მა-ს-ძლოლივა, და-ს-ცემს, მა-ს-წყინდების; და-ს-დგმენ, შა-ს-ტანებოვა, გა-ს-თაებოვა; ამ შემთხვევაშიც მქლერი თანხმოვნების წინ პირის ნიშანი, როგორც წესი, მქლერი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: მა-ს-ძლოლივა → მა-ზ-ძლოლივა, და-ს-დგმენ → და-ზ-დგმენ.

შენიშვნა 1: ანალოგიურ ცვლილებას ს თანხმოვანი განიციდის სხვა პოზიციებშიც: ბიძასჩემს → ბიძაშჩემს, აბაისძე → აბაიზძე და მისთ.

შენიშვნა 2: არცთუ იშვიათად პარალელურად დამოწმებულია ფონეტიკურად ამოსავალი ვარიანტებიც: წასვლაი-სჯობის // წასვლარ-სჯობ და მისთ. გვაქვს პირის ნიშნის დაკარგვის შემთხვევებიც: არა, ეს გზარ-ჯობავ, არა, ეს გზაივ (ხეცსურული).

შენიშვნა 3: ჯ აფრიკატის წინ შესაძლოა დაჩნდეს ს- → ზ- პროცესის შედეგიც: მი-ვ-ს-ჭარდით → მი-ვ-ე-ჭარდით // მი-ვ-ზ-ჭარდით, უფრო ზუსტად: სჯ → შჯ → ეჯ, ერთი მხრივ, და სჯ → ზჯ, მეორე მხრივ.

ყველა იმ პოზიციაში, სადაც, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ჰ-, დაჩნდება ცვლილების ორგვარი ტენდენცია:

ყრუ თანხმოვნების წინ ჰ → ხ-: და-ჰ-ფარავს → და-ხ-ფარავ მო-ჰ-პარავს → მა-ხ-პარავს, ჰ-ჭეია → ხ-ჭეიან, და-ჰ-კაზმავს → და-ხ-კაზმავს, და-ჰ-კელთავს → და-ხ-კელთავს, და-ჰ-ყაბულდა → და-ხ-ყაბულდა.


მქლერი თანხმოვნების წინ ჰ → ხ- → ლ-: ჰ-ბავ-ი-ს „აბია“ → ლ-ბავ, მო-ჰ-გვრის → მა-ლ-გვრის, ჰ-ვედრის → ლ-ვედრის, წა-ჰ-ლაღავს → წა-ლ-ლაღავს, და-ჰ-მაღავს → და-ლ-მაღავს, ჰ-ნახავს → ლ-ნახავს, ჰ-რიდებს → ლ-რიდებს.

შენიშვნა 1: ხეცსურულში ჰ → ლ- ზოგჯერ ხმოვნის წინა პოზიციაშიც დაჩნდება: *შე-ჰ-ომებიან → შა-ლ-ომებიან, *გა-ჰ-ოფლია-ნებიყო → გა-ლ-ოფ-

ლიანებიყე, *ჰ-ოქრო-მჭედლობ → ლ-ოქრომჭედლობ, *ჰ-აგადობ → ლ-აგადობ (ა. ჭინჭარაული).

შენიშვნა 2: თუ პირის ნიშანს მოსდევს ფუძისეული კომპლექსი, შედგენილი მფლერის + ყრუ ან ყრუ + მფლერი თანხმოვნებით, მაშინ თავს იჩენს მერყეობა პირის ნიშანთა ფონეტიკური ვარიანტების გამოყენების თვალსაზრისით: მო-ჰ-მკის → მა-ლ-მკის // მა-ხ-მკის... გა-ჰ-ფრინდი → გა-ხ-ფრინდი // გა-ლ-ფრინდი...

გ) ხსენებულ პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი, რომლებიც სისტემატურად აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში (კერძოდ, ქართლურასა და კახურში) არის დადასტურებული, სქემაზე ასე წარმოგვიდგება:



ჰ- // ს- → ა- უპირატესად დამოწმებულია ხმოვნის მომდევნოდ ორ შემთხვევაში:

ზმნისწინის შემდგომ: და-ა-ბარავს, და-ა-ფარავს, მო-ა-პარავს... გა-ა-ღვეს, გა-ა-თიბს, ა-ა-ტყივდება...

ენკლოტიკის შემთხვევაში: ღედა-ა-ყაე, ნუ-ა-ჭრი...

ზოგჯერ შეინიშნება პაუზის მომდევნო პოზიციაშიც: ჰ-ბარავ → ა-ბარავ, ს-ტირი → ა-ტირი... მაგრამ ასეთ დროს, ჩვეულებრივ, დაჩნდება ირაციონალური ხმოვნის შემართვა: ე-ა-ბარავ, ე-ა-ტირი.

იოტაციას ხშირად ახლავს ფშვინვიერი დამართვა (ჰ- პირის ნიშნის პოზიციაში): და-აჰ-ბარავს, მო-აჰ-პარავს...

დასტურდება აგრეთვე სპირანტიზებული დამართვა (ს- ვარიანტის პოზიციაში): გა-აის-ღვეს, გა-აის-თიბს, ა-აის-ტყივდება... ამის პარალელურად (აგრეთვე ს- ვარიანტის პოზიციაში) შეინიშნება „რთული“ ბგერა იოტიზებული შემართვით, ფშვინვიერი მწვერვალთა და სპირანტიზებული დამართვით: გა-აჰს-ღვეს, გა-აჰს-თიბს, ა-აჰს-ტყივდება.

მფლერი კბილისმიერი ხშულისა და წინანუნისმიერი აფრიკატის წინ ს- → ზ- ცვლილებაც გვხვდება: გა-ს-ღვეს → გა-ზ-ღვეს, გა-ს-ძლოლია → გა-ზ-ძლოლია... იოტაცია (ზ- → ა-, შემდგომ: აზ-) დამოწმებულია ამ შემთხვევაშიც: გა-აზ-ღვეს,

გა-მზ-ძლოლია...

ანალოგიურად: შიშინა რიგის თანხმოვნების წინ ს- → შ-, რომლისთვისაც ასევე დამახასიათებელია იოტაცია: და-ს-ჭერ-ი → და-შ-ჭერ → და-მშ-ჭერ; გა-ს-ჩეჩა → გა-შ-ჩეჩა → გა-მშ-ჩეჩა და მისთ.

О-, წესისამებრ, გვაქვს ხმოვნის წინ, მაგრამ იმავდროულად ზოგ კილოკავში (მაგალითად, ქართლური დიალექტის ზემოქსნურ თქმაში) ზმნისწინის მომდევნოდ ინტერვოკალურ პოზიციაში ხმოვანთგამყარად (პირის ნიშნის პოზიციაში) დაჩნდება მ-: გა-ა-თხოვა → გა-მ-ა-თხოვა... აქ რომ ნამდვილად ხმოვანთგამყართან გვაქვს საქმე, ამას ნა-მ-ავდრი „ნაავდრი“ ტიპის ფორმები ადასტურებენ, რომლებიც იმავე კილოკავსა თუ თქმაშია დამოწმებული.

ანალოგიური ვითარება მეტ-ნაკლებად შეინიშნება იმ დიალექტებშიც, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ქართლური და კახური დიალექტები (ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში, სპორადულად — მესხურში).

და პირიქით: მაგალითად, ქართლური თვით განიციდის მომიჯნავე დიალექტების ზეგავლენას: დასავლურ ქართლურში ხშირია ჰ-/ს- პირის ნიშანთა გაუჩინარება თანხმოვნების წინა პოზიციაშიც იმერული გავლენით (და-ჰ-ბარავ → და-ბარავ, ს-ტირი → ტირი), ჩრდილო ქართლურში ყრუ თანხმოვნების წინ ჰ- → ხ- (მთის დიალექტების გავლენის შედეგად): მა-ხ-პარავ, და-ხ-ფარავს. ოღონდ აქ ხ- გვაქვს მეტერი თანხმოვნების წინაც: და-ხ-ბარავ, ხ-გავ (შდრ. ხევსურული, თუშური, მოხეური: და-ლ-ბარავ, ლ-გავ).

შენიშვნა 1: ზემოხსენებულ დიალექტებში ანალოგიური ცვლილებანი დამახასიათებელია ს სპირანტიკისათვის სხვა შემთხვევებშიც: ბოსტანი → ბომტანი, სტუმარი → მტუმარი/ჯმტუმარი; შდრ. აგრეთვე: გაზრდი → გამარდი... სკამი → შკამი, ქისტი → ჭმტი, სტვირი → შტვირი... (ქართლური, კახური, მოხეური...), მაგრამ იქვე შეინიშნება საპირისპირო პროცესიც: ჩაშკა „ფინჯანი“ → ჩასკა, მუშტი // მუსტი // მუმტი... შდრ. აგრეთვე: მსჯელობა → მრჯელობა, სასჯელი → საშჯელი//შაშჯელი//სარჯელი... ისტორიულად ივარაუდება: ისჯება → ირჯება, რომლებიც ამჟამად ორი განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველი ფორმებია.

შენიშვნა 2: ცნობილია ისტორიულად დადასტურებული ფონეტიკური მონაცვლეობა: სძე → რძე, სძალი → რძალი... სთველი → რთველი... ასეა

დიალექტების უმეტესობაში, მაგრამ ზოგ დიალექტში სხვაგვარი შედეგი გვაქვს (ასევე განსხვავებული პირის ნიშნად გამოყენებული ს-სპირანტის ფონეტიკური ცვლილებებისაგან): სძალი → ზძალი (რეალურად დადასტურებული ფორმაა, მაგალითად, კახურში) → ძალი → ძალი-ო // *ძალი-ა → ძალუა (წოდებითის ფორმა გამოყენებულია სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით), ანუ: სძ → ძ; ამ რიგის ფორმები გავრცელებულია ქართლურში, კახურში... სხვაგვარი ვითარებაა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში: სძალი → *ზძალი (მდრ.: გა-ს-ძლოლია → გა-ზ-ძლოლია) → ზაღ (ხეცსურული, თუშური), სძე → *ზძე → ზე (თუშური), სძისცვარი → *ზძისცვარი → ზიცვარ (ხეცსურული), ანუ: სძ → ზძ → ზ. აქვე გასათვალისწინებელია: ინგილოურში დამოწმებული ზალ „რძალი“, ზეა „რძე“ სულ სხვა ფონეტიკური კანონზომიერების შედეგია (ძ → ზ დეზაფრიკატიზაციის საფუძველზე). დაჩნდება სთველი → ზდველ (თუშური) შენაცვლებაც, რაც ასევე უცხობა პირის ნიშნის ფონეტიკური ცვლილებისას.

შენიშვნა 3: ქართლურსა და კახურში (ზოგ სხვა დიალექტშიც) -ავ თემის ნიშნის პარალელურად დაჩნდება -ამ: და-მ-ბარამს, და-მფარამს და მისთ. ზუსტი სურათის წარმოსადგენად ეს მომენტიც გასათვალისწინებელია.

შენიშვნა 4: კახურსა და ქართლურში დადასტურებულია ს → ჰ პროცესიც: ლასტი → ლაჰტი, პრისტავი → პრიჰტავი, ივარაუდება, რომ ამ დიალექტებში პოვნიერ და-ჰ-ტყენის, გა-ჰ-თხრის, და-ჰ-დებია (-და-ს-ტყენის, გა-ს-თხრის, და-ს-დებია) ტიპის ფორმებშიც ანალოგიურად განხორციელდა ს → ჰ (ვ. თაფურა); ე.ი. დაჩნდება უკუპროცესი: თავდაპირველი ჰ → ს- (და-ჰ-დებია → და-ს-დებია) შემდგომ შეიცვალა ს → ჰ- პროცესით; ანუ: უნდა განიჩიეს ორი ქრონოლოგიური დონე...

დ) ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ძლიერია სუბიექტური II პირისა და ობიექტური III პირის ნიშანთა მოშლის ტენდენცია, მაგრამ, ჯერ ერთი, იგი სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა ინტენსივობით იჩენს თავს და, გარდა ამისა, მისი თანამდევია სხვა ფონეტიკური პროცესებიც:

პირის ნიშანი პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე ცვლის ფუძისეულ თანხმოვანს.

განიჩევთ ორი შემთხვევა.

ჰ- იწვევს მომდევნო ყრუ მკვეთრი თანხმოვნის გაფშვინვიერებას (თვით იკარ-გვის): და-ჰ-პირდა → და-ფირდა, მო-ჰ-პარა → მო-ფარა; ჰ-კითხა → ჰითხა, და-ჰ-კიდა → და-ჰიდა; ჰ-ყავს → ხავს... დამოწმებულია იმერულში, ლეჩხუმურსა და გურულში, შეინიშნება აჭარულშიც (ქ. ლომთათიძე). შეიძლება ითქვას, რომ აქ საკომპენსაციო ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე: დაკარგული ფშვინვიერი თანხმოვანი კვალს ტოვებს მომდევნო ყრუ მკვეთრი თანხმოვნის გაფშვინვიერებით.

შენიშვნა 1: ჰ- თანხმოვანმა შესაძლოა მომდევნო თანხმოვანი ასიმილაციის საფუძველზე ცვალოს რაგვარობის მიხედვითაც: ჰ-ქონდა → ხონდა (ხმული ქ თანხმოვანი შეიცვალა ს სპირანტით).

შენიშვნა 2: ფონეტიკურად ცვლილი თანხმოვანი ზოგჯერ ანალოგიით დაჩნდება სხვა პოზიციებშიც: და-ჰ-კიდებს → და-ჰიდებს და ამის კვალობაზე: და-ვ-ჰიდებ, ნაცვლად მოსალოდნელი და-ვ-კიდებ ფორმისა (ლეჩხუმური); ე.ი. პარადიგმა: და-ვ-კიდებ — და-ჰიდებ — და-ჰიდებს ფონეტიკური თვალსაზრისით შეიცვალა პარადიგმით: და-ვ-კიდებ — და-ჰიდებ — და-ჰიდებს.

შენიშვნა 3: ჰ- თანხმოვნის გავლენით ყ და ქ თანხმოვანთა რეფლექსს, ანუ: ს სპირანტს შესაძლოა ახლდეს ძლიერი ფშვინვიერი შემართვა: ჰ-ყავს → ჰხავს, ჰ-ქონდა → ჰხონდა (ლეჩხუმური). ზოგჯერ ისმის „გარდამავალი“ ბგერა ჰ-სა და ხ-ს შორის.

შენიშვნა 4: ზემოხსენებული ფონეტიკური ცვლილება დადასტურებულია როგორც პალზის მომდევნოდ (ჰ-კითხა → ჰითხა, ჰ-ყავს → ხავს), ასევე ხმოვნის შემდეგ (და-ჰ-კითხა → და-ჰითხა, მო-ჰ-ყავს → მო-ხავს).

გვაქვს ორსაფეხურიანი ცვლილების შედეგიც, რომელიც, ჩვეულებრივ, დადასტურებულია ყრუ აფრიკატების წინა პოზიციაში: პირველ საფეხურზე დაჩნდება ჰ- → ს- საერთო წესის კვალობაზე (მო-ჰ-წვეს → მო-ს-წვეს, მი-ჰ-ცა → მი-ს-ცა), რასაც შიშინა რიგის აფრიკატების წინ მოსდევს ს- → შ- (მო-ჰ-ჭრა → მო-ს-ჭრა → მო-შ-ჭრა, და-ჰ-ჩენია → და-ჰ-ჩენია → და-ს-ჩენია → და-შ-ჩენია); მეორე საფეხურზე ს- და შ- სრული პროგრესული ასიმილაციით ცვლის ფუძისეულ აფრიკატს, რასაც თან ახლავს გემინაცია, რაც ხშირად ინტენსიური წარმოთქმით იცვლება: მო-ს-წვეს → მო-ს-სვეს → მო-ს-ვეს, მი-ს-ცა → მი-ს-სა → მი-ს-ა; მო-შ-ჭრა → მო-შ-შრა → მო-შ-რა, და-შ-ჩენია → და-შ-შენია → და-შ-ენია (ქ. ლომთათიძე,

ჟ. ნოლიდელი). ეს მოვლენა უპირატესად გურულსა და აჭარულში შეინიშნება.

პარალელურად ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში შესაძლოა რეფლექსის გარეშე დაიკარგოს პირის ნიშანი: მო-წვე-ს, მი-ც-ა; მო-ჭრ-ა, და-რჩენ-ი-ა // და-სჩენ-ი-ა (რას მონაცვლეობა აქ სხვა ფონეტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება); და პირიქით, დაიკარგოს ფუძისეული თანხმობანი: მო-ს-წვე-ს → მო-ს-ევ-ს, მო-ს-ცილდა- → მო-ს-ილდა, შე-ს-ცდა → შე-ს-თა, მო-შ-ჭრა → მო-შ-რა.

შენიშვნა 1: იმავე დიალექტებში ანალოგიური ფონეტიკური ცვლილებები შესაძლოა დავადასტურით სხვა შემთხვევებშიც (ანუ: მაშინაც, როცა ს არ არის პირის ნიშანი): მი-ა-სწრ-ა → მი-ა-ს-რ-ა, ა-სწავლ-ი-ს → ა-ს-ავლ-ი-ს; ძმისწულ-ი → ძმის-ულ-ი, სწორ-ი → ს-ორ-ი, სწავლ-ა → ს-ავლ-ა (გურული, აჭარული...); დამოწმებულია ს-ს ჩავარდნის შემთხვევებიც: ა-სწავლ-ი-ს → ა-წავლ-ი-ს, მი-ა-სწრ-ო → მი-ა-წრ-ო, სწორ-ი → წორ-ი (რაჭული, იმერხეული, აჭარული დიალექტის კირნათ-მარადიდული, გონიოური თქმები). მაგრამ ამავე პოზიციებში დაჩნდება ისეთი ცვლილებებიც, რომლებიც პირის ნიშნების გამოყენებისას, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება: სწ → სტ (სწავლა → სტავლა, სწორი → სტორი, ძმისწული → ძმისტული; იმერული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული); სწ → ხწ (სწორი → ხწორი, სა-სწორი → სა-ხწორი; მა-სწორ „გასწვრივ“ → მა-ხწორ // მა-ხსორ; რაჭული, იმერული, ლეჩხუმური); გარდამავალ საფეხურად ივარაუდება პწ კომპლექსი: სწორი → პწორი (დადასტურებულია მესხურის ზოგიერთ თქმაში, სამხრეთ ქართლურში...) → ხწორი.

შენიშვნა 2: იმერულში (მაგალითად, ბაღდათურ თქმაში) პირის ნიშნის პოზიციამდე დანდება ს-, რომელიც შესაძლოა ინტენსიური წარმოთქმის გამოხატულება იყოს: ა-ს-ტირდა, ე-ს-წერა, დე-ი-ს-წერა (ჯვარი) და მისთ.

დასახელებული იყო პირის ნიშნებთან დაკავშირებული ის ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც ამჟამად დამახასიათებელი ჩანს დასავლური დიალექტებისათვის. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ამავე დიალექტებში არ ხდება სხვაგვარი ცვლილებებიც, მათ შორის, იმ რიგისა, რომლებიც ზემოთ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების განხილვისას იყო აღნიშნული.

მაგალითად, რაჭულში, იმერულში დაჩნდება: მი-ს-ღევს → მი-ზ-ღევს... მო-პ-კლა → მო-ხ-კლა, და-პ-კრა → და-ხ-კრა, გა-პ-ყვა → გა-ხ-ყვა... მო-ს-ჭრის → მო-შ-ჭრის... აჭარულში პარალელურად გვხვდება: შე-პ-ჭამს // შე-შ-ჭამს, გა-პ-

ჭრა // გა-შ-ჭრა // გა-პშ-ჭრა, და-პ-ჭერდა // და-შ-ჭერდა // და-ტ-ჭერდა,
 ა-ს-წია // ა-პ-წია // ა-პს-წია, პ-ყოლია // ხ-ყოლია // ხოლია, მო-პ-კიდა //
 მო-ხ-კიდა // მო-პხ-კიდა, მო-პ-ყვა // მო-ხ-ყვა // მო-პხ-ყვა და მისთ.

ამდენად, პ → ხ // პხ-; პ → ს → ზ-; პ → ს → შ- // პშ-; პ → ს - შ- →
 ტ-; პ → ს- // პს- ... როგორც ითქვა, პირის ნიშანთა ეს ფონეტიკური ნაირსახეობანი
 აღმოსავლურ დიალექტებშიც პოულობენ ანალოგიებს. იმავდროულად აშკარაა
 ისიც, რომ პირის ნიშანთა შემცველი თანხმოვანთკომპლექსები დიალექტების მიხე-
 დვით ცვლილებათა განსხვავებულ ტენდენციებსაც ავლენენ.

მაგალითად, და-პ-პირდა სამი ნაირსახეობით დანდება:

და-პ-პირდა →	და-ხ-პირდა (ხვესურული, თუ შური...) და-მ-პირდა // და-მპ-პირდა (ქართლური...) და-ფირდა (გურული...)
ანალოგიურად:	
მო-ს-ჭრა →	

მო-ს-ჭრა →	მა-შ-ჭრა (ხვესურული...) მა-მ-ჭრა // მა-მშ-ჭრა (ქართლური...) მო-შ-შრა → მო-შ-რა (აჭარული...)
------------	---

შენიშვნა: დიალექტების მიხედვით ნაირგვარ შედგეს იძლევა, მაგალითად, ის
 კომპლექსებიც, რომლებშიც ს არის ფუძისეული თანხმოვანი და არა
 პირის ნიშანი: სთვა „რთვა“ → სდვა → ზდვა (თუ შური) / სტვაი
 (გურული). ოღონდ პირის ნიშნად გამოყენებისას ს-საკუთარივ ამ
 სახის ცვლილებებს ვერ გამოიწვევს; ანუ: არ შეინიშნება ს-თ → ზ-დ
 ან ს-თ → ს-ტ; როცა ს- II სუბიექტური ან III ობიექტური პირის
 ნიშანია (დაჩნდება ს-დ → ზ-დ: ს-დევს → ზ-დევს და მისთ.); თუმცა
 დიალექტური ნაირსახეობანი ს- პირის ნიშნის ამ პოზიციაში გამო-
 ყენების შემთხვევებშიც იჩენს თავს: და-ს-თვლის → და-მ-თვლის
 (ქართლური).../ და-თვლის (გურული...). ზემოწინებულნი, რა თქმა
 უნდა, არ გამოორიცხავს იდენტური ცვლილების შესაძლებლობასაც;
 მაგალითად, შდრ.: სწ → მწ და სწ → სტ, ერთი მხრივ, მაშინ, როცა ს-
 არის პირის ნიშანი (ქართლური: გა-ს-წვდება → გა-მ-წვდება; გურუ-
 ლი: გა-ს-წვდება → გა-ს-ტვება // გა-ს-ტობა), ხოლო, მეორე მხრივ,
 მაშინ, როცა ს არის ფუძისეული (ქართლური: სწორი → მწორი //
 მწორი; გურული: სწორი → სტორი, ანალოგიურად: ნასწავლი →
 ნამწავლი // ნასტავლი).

II ობიექტური პირის ნიშანი გ- წარმოდგენილია ორი ფონეტიკური ნაირსახეობით:

ა) გ- → ქ- ყრუ ფშვინიერი თანხმოვნების წინ: გ-ფარავს → ქ-ფარავს, გ-თვლის → ქ-თვლის, გ-ჭონდა → ქ-ჭონდა, გ-ცივა → ქ-ცივა, გ-ჩრის → ქ-ჩრის, გ-სურს → ქ-სურს, გ-შია → ქ-შია, გ-ხატავს → ქ-ხატავს;

ბ) გ- → კ- ყრუ მკვეთრი თანხმოვნების წინ: გ-პარავს → კ-პარავს, გ-ტოვებს → კ-ტოვებს, გ-კითხავს → კ-კითხავს, გ-წერს → კ-წერს, გ-ჭირს → კ-ჭირს, გ-ყავს → კ-ყავს. ამავე პოზიციაში შესაძლოა დაჩნდეს გ- → ქ- შენაცვლება: გ-პარავს → კ-პარავს // ქ-პარავს, გ-კითხავს → კ-კითხავს // ქ-კითხავს და მისთ.

გ) ფუძისეულ გ თანხმოვანთან შეხვედრისას დაჩნდება გემინაციის ტენდენცია: გ-გონ-ი-ა → გ-ონ-ი-ა...

სამივე შემთხვევაში საერთო-ქართულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

დ) ინგლოურში რთული (შედგენილი) ზმნისწინის გამოყენებისას ი- პრეფიქსის წინ ხდება გ- პირის ნიშნის მეტათეზისი: გამო-გ-ი-წერ-ა → *გამ-გ-ი-წერ-ა (ო-ს ჩავარდნით) → გაგმ-ი-წერ-ა...

III სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდობითი რიცხვისა.

ა) -ს → -ც დაჩნდება გურულში, აგრეთვე ქვემოიმერულში ლ სონანტის მომდევნოდ: ზელ-ს → ზელ-ც...

შენიშვნა 1: პირის ნიშნის პოზიციაში -ც დადასტურებულია ებილისმიერ (დ, თ, ტ) თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთანაც, ოღონდ აქ ხშულისა და სპირანტის „შერწყმასთან“ (აფროკატიზაციასთან) გვაქვს საქმე: კვეთ-ს → კვეც. წინ შესაძლოა უძლიოდეს რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია: ბნელ-ს → ბნეთ-ს → ბნეც, კვენტ-ს → კვენეთ-ს → კვენეც.

შენიშვნა 2: -ს → -ც გავრცელებულია მეგრულის ზოგიერთ კილოკავშიც: ჭარუნ-ს → ჭარუნ-ც „წერას“ (ზედმიწვენი: „წერავს“).

ბ) -ს → -ჰ ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინა პოზიციაში: დადი-ს → დადი-ჰ, უთხრა-ს → უთხრა-ჰ, გააკეთო-ს → გააკეთო-ჰ... დამოწმებულია მესხურში, შვინი-შნება აჭარულსა და სამხრეთ ქართლურშიც.

გ) -ს → -მ (რომელიც გამუალებულად ჰ- საფხურსაც ვარაუდობს) წარმოდგენილია ქართლურსა და კახურში: უღგა-ს → უღგა-მ, ეკუთენი-ს → ეკუთენი-მ, აშენებდე-ს → აშენებდე-მ, ააშენოს → ააშენო-მ, გაუჭირდე-ს → გაუჭირდე-მ...

შენიშვნა: ზოგჯერ (მაგალითად, კახური დიალექტის ქვემოზოდურ, ქვემომაჩხაანურ თქმებში) -ს → -მ დამოწმებულია ხმოვნის წინა პოზიციაშიც: იყო-ს → იყო-მ და: იყო-ს-ო → იყო-მ-ო. ჩვეულებრივ კი, ამ პოზიციაში -ს დაცულია.

დ) -ს → -მ შენაცვლების პარალელურად გვხვდება -მს (უღდა-მს), -მჰ (უღდა-მჰ), → მჰს (უღდა-მჰს); და ასე: ააშენო-ს // ააშენო-მ // ააშენო-მს // ააშენო-მჰ // ააშენო-მჰს... ანუ: დაჩნდება „რთული“ ბგერა იოტიზებული შემართვითა და სპირანტული დამართვით.

ე) -ხ → 0, როგორც წესი, დასტურდება თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ სტატიკურ ზმნებში (აწმყოს ფორმებში): აქვ-ს → აქვე, ჰყავ-ს → ჰყავ, სძინავ-ს → სძინავ... ანალოგიური ვითარებაა დინამიკურ ზმნათა I შედეგობითშიც: დაუხატავ-ს → დაუხატავ, გადაუმალავ-ს → გადაუმალავ... მაგრამ: ხატავ-ს, მალავ-ს (აქ აწმყომყოფადში -ს, ჩვეულებრივ, დაცულია). გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში. -ს შესაძლოა დაიკარგოს ხმოვნის მომდევნოდაც (რაც ფრიალ იშვიათია): დგა-ს → დგა (კახური...); ჩანს, აქ ბოლოკიდური -ა III სუბიექტური პირის ნიშნად არის გააზრებული: *დგ-ან-ს (შდრ.: დგ-ან-ან) → დგ-ა-ს → დგ-ა.

შენიშვნა: შესაძლოა დაიკარგოს ვნებითი გვარის აწმყოს ფორმის -ი-ს დაბოლოებაც: ზედ-ღ-ვარდებ-ი-ს „ზედ ჰვარდება“ → ზედ ღვარდებ (თუშური), კეთდებ-ი-ს → კეპტვე (ინგილოური).

ე) -ხ → -წ ქვემოიბერულში -ყენ ფორმანტის წინ: უკეთებ-ს-ყენ „უკეთებს ის მათ“ → უკეთებ-წ-ყენ, აქვ-ს-ყენ „აქვთ“ → აქვ-წ-ყენ...

შენიშვნა: -წ-ყენ შესაძლოა გააზრებულ იქნას ერთიან ფორმანტად: უკეთებ-ს-წყენ, ასევე: გაუკეთა-ყენ „გაუკეთა მან მათ“ → გოკეთა-წყენ...

ზ) პირის ნიშანი -ა პაუზის წინა პოზიციაში, როგორც წესი, იკარგვის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (სისტემებზე დანდობა ხევსურულსა და თუშურში): ჰქონდ-ა → ხქონდ, დაიშალ-ა → დაიშალ... ამავე კანონზომიერებას ექვემდებარება მეშველი ზმნა -არს/-ას: ყოფილ-ას // ყოფილ, მისულ-ას // მისულ...

შენიშვნა: ენკლოტიკის შემთხვევაში დაკარგული პირის ნიშანი აღდგება: ჰქონდ-ა-ო → ჰქონდ-ა-ვ, დაიშალ-ა-ო → დაიშალ-ა-ვ და მისთ.

თ) იმ დიალექტებში, რომლებშიც სისტემატური ხასიათი აქვს ვა → ო შენაცვლებას, ეგვევ პრაოცესი თავს იჩენს ფუძისეულ ვ-სთან -ა პირის ნიშნის შეხვედრისას: თქვ-ა → თქო, გაუშვ-ა → გაუშო, ჩააცვა → ჩააცო (ქართლური, კახური, მოხვეური...).

შენიშვნა 1: ეს -ო უნდა განსხვავდეს აქ-ო, გაა-ო და მისთ. ფორმებში წარმოადგენილი -ო პირის ნიშნისაგან. ამ შემთხვევაში -ო ზმნის სტრუქტურითაა შეპირობებული: უმარცვლო ფუძე და I—II პირის ფორმებში -ე სუფიქსი: ვ-ა-ქ-ე, ა-ქ-ე, შესაბამისად: ა-ქ-ო (ა. შანიძე, გ. გოგოლაშვილი). ისტორიულად აქაც არ გამოირჩევა ზემოაღნიშნულის ანალოგიური ფონეტიკური პრაოცესი (გ. როგავა).

შენიშვნა 2: -ა პირის ნიშანი შესაძლოა ცვლიდეს ფუძისეულ ხმოვანს: ა-ძოვ-ა → ა-ძო-ა → ა-ძუ-ა (დისიმილაციით) → ა-ძვი-ა (ხმოვნის „დაშლით“). დაჩნდება მესხურში.

III სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა.

ა) პირის ნიშანი - ეს ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით იმავე კანონზომიერებას გვიჩვენებს, რაც ზემოთ ხმოვნის მომდევნოდ პოვნიერი -ს ფორმანტის განხილვისას იყო აღნიშნული: დაწერ-ეს → დაწერ-ეპ, დააყენ-ეს → დააყენ-ეპ, წაიყვან-ეს → წაიყვან-ეპ... დაწერ-ემ, დააყენ-ემ, წაიყვან-ემ... შესაბამისად: დაწერ-ემს // დაწერ-ემპ // დაწერ-ემპს (თუმცა ამ რიგის ფონეტიკური ვარიანტები შედარებით იშვიათია). დიალექტების მიხედვით ამ ნაირსახეობათა განაწილება ზედმოწვევით იგივეა, როგორც -ს პირის ნიშნისა (იხ. აქვე, ზემოთ).

ბ) -ეს → -ეწ შეინიშნება ქვემოიპერულში -ყენ ფორმანტის წინ: და-ი-ძახ-ეს-ყენ (-ყენ აქ სუბიექტის მრავლობითობას გამოხატავს; ამდენად, -ეს-ყენ შემთხვევაში მრავლობითობის ორმაგ გამოხატავსთან გვაქვს საჭეე) → დე-ი-ძახ-ეწ-ყენ „დაიძახეს“.

შენიშვნა: როგორც ზემოთ ითქვა, -წ-ყენ ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიაზრება: დე-ი-ძახ-ეს-ყენ + დე-ი-ძახ-ეწ-ყენ → დეი-ი-ძახ-ეს-წყენ (მ. ძიძგური).

შენიშვნა 2: -ეს პირისნიშნისეული ხმოვანი შესაძლოა ცვლიდეს ზმნის ფუძისეულ ხმოვანს: ა-ძოვ-ეს → ა-ძო-ეს → დისიმილაციით: ა-ძუ-ეს → ხმოვნის „დაშლით“ ა-ძვი-ეს (მესხური; უე საფეხური დამოწმებულია სხვა დიალექტებშიც).

გ) აწმყოს მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში -ენ ფორმანტის გავლენით -ავ თემის ნიშნის ხმოვანი რედუცირდება, წარმოიქმნება ვე კომპლექსი, რომელიც ინგილოურში იძლევა უმლაუტიან ო ხმოვანს: უ-კრ-ავ-ენ → უ-კრ-ვე-ენ → უ-კრ-რნ...

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოგურულსა და ქვემოიმერულში ჩივ-ი-ენ, ტირ-ი-ენ ტიპის ფორმებში დადასტურებული -ენ მიღებულია -ან ფორმანტისაგან პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე: ჩივ-ი-ან → ჩივ-ი-ენ, ტირ-ი-ან → ტირ-ი-ენ, ანალოგიურად ციაგი → ციეგი, ნიაგი → ნიევი, ტიალი → ტიელი ფორმებისა (კ. კებლაშვილი). აქ, როგორც ჩანს, შინც უნიფიკაციის შედეგი უნდა გვეჩვენდეს: -ენ ზოგადდება; შდრ.: ერთი მხრივ, წერ-ენ — და -წერ-ენ (მყაფადი) — და -წერ-ენ „დაწერეს“ (აორისტი), ხოლო, მეორე მხრივ, ჩივ-ი-ენ — ი-ჩივ-ლებ-ენ — ი-ჩივლ-ენ „იჩივლეს“...

შენიშვნა: სპორადულად მრავლობითი რიცხვის-III სუბიექტური პირის ნიშანი რეგრესული დისიმილაციით ცვლის წინამავალ -ი ხმოვანს: ჩივ-ი-ან → ჩივ-ა-ან (იმერხელი).

ქართული ენის დიალექტებში დაჩნდება მრავლობითი რიცხვის —ყე ფორმანტის რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობა.

ა) -ყე → /-ყე გამოიყენება კახურში დაგიძახებ-ყე „დაგიძახებთ“, ჩაგაწერიანებ-ყე „ჩაგაწერიანებთ“... დაგზარდები-ყე „დაგზარდებით“, უთხრა-ყე „მათ უთხრა“...

ბ) -ყე → // -ყე დადასტურებულია ინგილოურში: გირჩევ-ყე // გირჩევე „გირჩევთ“, მოგიტან-ყე // მოგიტან-ყ „მოგიტანთ“, გაუზღია-ყე // გაუზღია-ყ „გაუზღიათ“...

გ) -ყე → -ყენ (ბოლოკიდურა თანხმოვნის ნაზალიზაციის საფუძველზე წარმოდგენილია ქვემოიმერულში (ხონურ და ვანურ თქმებში): უკეთებს-ყენ „მათ უკეთებს“, გოუკეთა-ყენ „მათ გაუკეთა“, გიკეთებს-ყენ „გიკეთებთ“... წინამავალი -ს (აგრეთვე - ეს) პირის ნიშნისა და -ყენ ფორმანტის შეხვედრისას პოვნიერი ფონეტიკური ცვლილებების შესახებ იხ. ზემოთ (-ს და -ეს პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი).

დ) -ყე → -ყენ → -ენ დამოწმებულია ქვემოიმერულშივე (სამტრედიოლ თქმაში): აკეთო-ს-ყენ → აკეთო-ს-ენ „აკეთონ“, წილო-ს-ყენ → წილო-ს-ენ „წაილონ“...

ამდენად, ქვემოიმერულის თქმების მიხედვით მორფემათა ზღვარზე -სყ → კომ-

პლექსი ორი ფონეტიკური ნაირსახეობით დანდება: აკეთო-ს-ყენ → აკეთო-წ-ყენ // აკეთო-ს-წყენ (ხონური და ვანური თქმები); აკეთო-ს-ყენ → აკეთო-ს-ენ (სამტრედიოელი თქმა).

ე) ქვემოთხსენებულში შეინიშნება აგრეთვე - კენ ვარიანტი: აკეთო-ს-კენ, იჩხუბო-ს-კენ...

ე) -ყე → -ყი გვაქვს ინგლოურში კითხვითი -ა ნაწილაკის წინ (ეა → ია რეგრესული დისიმილაციით): გინდა-ყე-ა? → გინდა-ყი-ა? „გინდათ?“

შენიშვნა: -ყე გამოიყენება მოქმედების მრავალგზისობის გამოსახატავდაც (მოხეურში, მთულურ-გუდამაყურულში, ინგლოურში...). მისი ფონეტიკური ნაირსახეობანი ამ შემთხვევაშიც ზემოხსენებულის ანალოგიურია.

4.10. ზმნის ხმოვანი პრეფიქსების ფონეტიკური ნაირსახეობანი.

ა) ზმნის ოთხივე ხმოვანი პრეფიქსი (ა-, ე-, ი-, უ-) და ზმნისწინისეული ხმოვანი უშუალოდ ან სრული კონტაქტური რეგრესული ასიმილაციის შემდეგ შესაძლოა შეირწყას გრძელ ხმოვნად:

გა-ა-კეთ-ა → გაჯ კეთ (თუშური); გა კეთა (ფერეიდნული);

გა-ი-კეთ-ა → გე-ი-კეთ-ა → გი-ი-კეთ-ა → გრჯ კთ (თუშური);

გა-უ-კეთ-ა → გო-უ-კეთ-ა → გუ-უ--კეთ-ა → გუკეთა (აჭარული), გუკეთ (თუშური);

გა-ე-კეთ-ა „გაეკეთებინა“ → გე-ე-კეთ-ა → გეჯ კეთ (თუშური); იხ. აგრეთვე ზემოთ: „ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობანი“.

ბ) I სუბიექტური პირის ე-ნიშნის შეხვედრისას ზმნის ხმოვან პრეფიქსებთან წარმოიქმნება ვა, ვე, ვი კომპლექსები, რომლებიც დაილექტების ერთ ნაწილში ფონეტიკურად იცვლება: და-ვ-ა-ნებ-ე → და-ო-ნებ-ე (ხეცურული), ვ-ა-ჩუქებ → ო-ჩუქებ, ვ-ი-ც-ი → ე-ც (ინგლოური); იხ. აგრეთვე ზემოთ: „პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი“.

გ) I სუბიექტური პირის ფორმებში ზმნისწინის პოვნირებისას ზემოხსენებულ ფონეტიკურ ცვლილებას შესაძლოა თან ახლდეს გრძელ ხმოვნად შერწყმატ: — გა-ვ-ა-ჩენ → *გა-ო-ჩენ → *გო-ო-ჩენ → გოჩენ (ფერეიდნული).

დ) იმერული დიალექტის სამტრედიოელ თქმაში ი-პრეფიქსი იწვევს ზმნისწინისეული ხმოვნის სრულ რეგრესულ ასიმილაციას; I სუბიექტური პირის ფორმებში ასიმილაციის შემდეგ დაჩნდება ე-პირის ნიშნისა და ი-ფორმანტის მეტათეზის: გა-ვ-ი-კეთე → გე-ვ-ი-კეთე → გი-ვ-ი-კეთე → გი-ი-ვ-კეთე, წამო-ვ-ი-ყვანე →

წამე-ვ-ი-ყვანე → წამი-ვ-ი-ყვანე → წამი-ი-ვ-ყვანე.

ე) ვა, ვე, ვი კომპლექსები წარმოიქმნება ზმნის ხმოვან პრეფიქსებთან მრავლობითი რიცხვის I ობიექტური პირის გვ-ნიშნის შეხვედრის დროსაც. კომპლექსთა ცვლილება ზოგიერთი დიალექტისათვის დამახასიათებელია ამ პოზიციაშიც: გვ-ა-რგ-ა „გვარგო“ → გო-რგ-ა, გვ-ე-ძახ-ი-ს → გო-ძახ-ი-ს // გო-ძახ-ი-ს, გვ-ი-თხრ-ა → გუ-თხრ-ა // გუ-თხრ-ა (მოხუერი); გვ-ა-ჭვ-ს → გო-ჭუ (მთიულურ-გუდამაყრული), გვ-ა-ჭვ-ს → გო-ჭ, გვ-ე-ჩქარებ-ა → გო-ჩქარებ-ა, გვ-ი-ნდ-ა → გუ-ნდ-ა (ინგილოური), გვ-ა-ჭვ-ს → გო-ჭ, გვ-ე-გონ-ა → გო-გონ-ა, გვ-ი-ნდ-ა → გუ-ნდ-ა (ფერეიდნული); იხ. აგრეთვე ზემოთ: „პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი“.

ვ) ე- → ი- რეგრესული დისიმილაციით ფუძისეული ა- ხმოვნის წინ: ე-ამ-ა → ი-ამ-ა, ე-ამბორ-ა → ი-ამ-ბორ-ა, ე-ახლ-ა → ი-ახლ-ა... საერთო-ქართული მოვლენაა...

ე- → ო- რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე ფუძისეული უ- ხმოვნის წინ დადასტურებულა ზემოიმერულში: ე-უბნებ-ა → ო-უბნებ-ა; და ასე: მეუბნება → მოუბნება, გეუბნება → გოუბნება (შდრ. ფშაური: ეუბნება → ეობნება).

ზ) ი- → ო- ზმნისწინისეული ხმოვნის მომდევნოდ (რომელიც თავადაც იცვლება რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე): და-ი-წერ-ს → დე-ა-წერ-ს, წა-ი-ყვან-ს → წე-ა-ყვან-ს... ი- → ო I სუბიექტური პირის ნიშნის მომდევნოდ: და-ვ-ი-წერ → დე-ვ-წერ, წა-ვ-ი-ყვან → წე-ვ-ყვან... დადასტურებულა აჭარულსა და იმერხელში; დაჩნდება ინგილოურშიც (ოლონდ წინამავალი ასიმილაციის გარეშე); ალიაბათური: ა-ვ-ი-ღ-ებ → ა-ვ-ღ-ეფ (შდრ. კაკური: ო-ა-ღ-ეფ, სადაც ა → ო მომდევნო ვ- პირის ნიშანთან ასიმილაციის გამო, ვ- იკარგვის, ხოლო ი- → ა- პროგრესული დისიმილაციით); II პირის ფორმაა ა-ა-ღ-ეფ (ა-ა-ღ-ეფ), III პირი: ა-ა-ღ-ეფ-ს (ა-ა-ღ-ეფ-ს)...

შენიშვნა: იკარგვის ფუძისეული ი ხმოვანიც ფუძისეულ ვ-ს მომდევნოდ: წა-ვიდ-ა → წე-ვდ-ა, მო-ვიდ-ა → მო-ვდ-ა (აჭარული).

თ) უ- → ტ- ზმნისწინისეული ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: და-უ-ჭერია → და-ტ-ჭერი, შე-უ-კამია → შე-ტ-კამი, მი-უ-ცია → მი-ტ-ცი, მო-უ-კლავს → მო-ტ-კლავ (ინგილოური). ცვლილებას შესაძლოა თან ახლდეს წინამავალი ხმოვნის რეგრესული ასიმილაცია: გა-უ-ხარდა → გო-ტ-ხარდა, და-უ-რჭო → დო-ტ-რჭო (ფერეიდნული). ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც, ოლონდ აქ დამატებით სხვა

ფონეტიკური პროცესიც დაჩნდება მხოლოდობითი რიცხვის I ობიექტური პირის ფორმებში: შემო-უ-თვალა → შამო-ჟ-თვალა // შამგ-ჟ-თვალა; შდრ.: შემო-მ-ი-თვალა → შამო-მ-ი-თვალა → *შაო-მ-ი-თვალა (მ-ს დისიმილაციური დაკარგვის საფუძველზე) → *შაჟ-მ-ი-თვალა (ო → უ მომდევნო მ წყვილბაგისმიერ თანხმოვანთან ასიმილაციით და უ → ჟ ხმოვნის მომდევნო პოზიციაში). სპორადულად დაჩნდება სხვა დიალექტებშიც (რატული დიალექტის გლოლური და რიენისთაური კილოკაეები: მუშას სადილი გა-ჟ-ვ-გზავენე „მუშას სადილი გაფუგზავენე“).

4.1.1. თემის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი. თემის ნიშანთა შენაცვლება ქართული ენის დიალექტებში ორი სახისაა: ა) შორფოლოგიური, რომელიც შესაძლოა ცვლიდეს მნიშვნელობას (წამლ-ავ-ს „საწამლაკით აკვლინებს“ — წამლ-ობ-ს „მკურნალობს“, მართ-ავ-ს „ხელმძღვანელობს, განაგებს“ — (3)მართ-ებ-ს „ვალად ადევს“) ან დაჩნდება მნიშვნელობის ცვლის გარეშე (ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ამ-ს, ყიდ-ი-ს → ყიდ-ამ-ს, მარგლ-ე-ს → მარგლ-ავ-ს);

ბ) ფონეტიკური, რომელიც პოზიციურად არის შეპირობებული. ამჯერად მეორე სახის შენაცვლებაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ფონეტიკურად შეიძლება იცვალოს თემის ნიშნის როგორც თანხმოვნით, ასევე ხმოვნით ელემენტი, ზოგ დიალექტში იცვლება თანხმოვანიც და ხმოვანიც.

თემის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტის ცვლილება ძირითადად სამი ნაირსახეობით არის წარმოდგენილი.

ა) -ე → -მ (ანუ: -ავ - --ამ); ხნ-ავ-ს → ხნ-ამ-ს, ბარ-ავ-ს → ბარ-ამ-ს, გლუფ-ავ-ს → გლუფ-ამ-ს // გლოფ-ამ-ს, ზარდ-ავ-ს „ზრდის“ → ზარდ-ამ-ს (ქართლური, კახური, ზემოიმერული...).

შენიშვნა: ანალოგიური ცვლილება დაჩნდება -ევ და -ოვ ფორმანტებში, აგრეთვე ფუძისეულ ვ-ს შემთხვევაში: ა-ძლ-ევ-ს → ა-ძლ-ემ-ს, ა-ხს-ოვ-ს (შდრ.: ა-ხს-ენ-ებ-ს) → ა-ხს-ომ-ს; ჰ-ყავ-ს → ყამ-ს, თოვ-ს → თომ-ს.

მესხურში დამოწმებულაა -ე → -მ ცვლილების შემდგომი საფეხურიც: -მ → -ნ (ანუ: -ავ → -ამ → -ან); მაღ-ან-ს, ბარ-ან-ს, გლუფ-ან-ს // გლოფ-ან-ს ... შესაბამისად: ყან-ს და მისთ.

შენიშვნა: ნაზალიზებული ვარიანტები სპორადულად თავს იჩენს სხვა დიალექტებშიც; მაგალითად, ჰ-ყავ-ს → ყამ-ს // ყან-ს შეინიშნება ზემოიმერულსა და ლეჩხუმურშიც...

ცვლილება ხდება პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში (ე-მაღ-ამ — ე-მაღ-

ამ-დ-ი; ვ-მალ-ამ-თ); ხმოვნის წინ აღდგება ამოსავალი თანხმოვანი: და-მალ-ვ-ა, და-ბარ-ვ-ა (და ასე: ი-ძლ-ევ-ა, ჰ-ყვ-ა...).

შენიშვნა: აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის -ენ ნიშნის წინ (ანუ: ხმოვნის წინ) დიალექტების ერთ ნაწილში წარმოდგენილია -ავ (ქართლური, კახური...: ვ-მალ-ამ-თ, ა-მალ-ამ-თ, მაგრამ: ა-მალ-ავ-ენ, თუმცა დაჩნდება ა-მალ-ამ-ენ ვარიანტიც); სხვა დიალექტებში გამოიყენება -ებ (მესხური: ვ-მალ-ან-თ, მალ-ან-თ, მაგრამ: მალ-ებ-ენ) ან: -ევ // -ო (ზემოიმერული: ვ-მალ-ამ-თ, მალ-ამ-თ, მაგრამ: მალ-ევ-ენ // მალ-ენ შდრ. თურჯოლური: მალ-ებ-ენ).

ამის საპირისპიროდ, იმავე დიალექტებში შესაძლოა დავადასტუროთ -მ → -ვ (ანუ: -ამ → -ავ): სვ-ამ-ს → სვ-ავ-ს, დგ-ამ-ს → დგ-ავ-ს, ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-ავ-ს, ა-სხ-ამ-ს → ა-სხ-ავ-ს. აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში: სვ-ევ-ენ // ს-მ-ენ და ა.შ.

შენიშვნა 1: ანალოგიური ცვლილება მოსდის ფუძისეულ მ-საც: ი-ზამ-ს → ი-ზავ-ს.

შენიშვნა 2: მესხურში ამ შემთხვევაშიც დამოწმებულა -მ → -ნ: დგ-ან-ს, ა-სხ-ან-ს... აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში: დგ-ებ-ენ, ა-სხ-ებ-ენ (იხ. ზემოთ).

ცვლილება აქაც პაუზისა და თანხმოვნის წინ ხდება. ხმოვნის წინ დაჩნდება ამოსავალი მ თანხმოვანი: ს-მ-ა, და-დგ-მ-ა, და-ბ-მ-ა (მეტათეზისით: და-მბ-ა), და-სხ-მ-ა.

არსებითად ეს არის ერთი და იმავე პროცესის (ყრძოდ, ვმ მონაცვლეობის) ვარიანტები.

ბ)-ბ → -მ (ანუ: -ებ → -ემ; -ობ → -ომ): ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ემ-ს, ტრაბახ-ობ-ს → ტრაბახ-ომ-ს (ქართლური, კახური).

მესხურში წარმოდგენილია ცვლილების შემდგომი საფეხურიც: ა-კეთ-ენ-ს, ტრაბახ-ონ-ს.

შენიშვნა 1: ანალოგიურ შედეგს იძლევა -ოფ თემის ნიშანიც: ყ-ოფ-ს → ყ-ომ-ს/ყ-ონ-ს.

შენიშვნა 2: კახურში, ქართლურში, მესხურში დაჩნდება -ებ → -ამ შენაცვლება, რასაც მესხურში შესაძლოა მოსდევდეს -ამ → ან: ა-კეთ-ებ-ს →

ა-კეთ-ამ-ს → ა-კეთ-ენ-ს // ა-კეთ-ან-ს.

შენიშვნა 3: რაც შეეხება -ობ → -ებ მონაცვლეობას, ფონეტიკური ცვლილება ზემოხსენებული წესით ხორციელდება: ა-მკ-ობ-ს → ა-მკ-ებ-ს → ა-მკ-ონ-ს // ა-მკ-ენ-ს, ა-თბ-ობ-ს → ა-თბ-ებ-ს → ა-თბ-ონ-ს // ა-თბ-ენ-ს. დადასტურებულია მესხურში.

შენიშვნა 4: აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში ზოგ დიალექტში პარალელურად დაინდება -ებ // -ემ (ქართლური, კახური: ა-კეთ-ებ-ენ // ა-კეთ-ემ-ენ), -ობ // -ომ (იჭყე: ტრაბახ-ობ-ენ // ტრაბახ-ომ-ენ), ზოგან ოდენ -ებ ან -ობ (მესხური: ა-კეთ-ებ-ენ, ტრაბახ-ობ-ენ).

-ბ → მ → ა-ნ ცვლილება ამ შემთხვევაშიც პაუზის ან თანხმოვნის წინა პოზიციაში ხდება (ვ-აკეთ-ებ, ვ-აკეთ-ემ-დ-ი; ვ-აკეთ-ებ-თ...); ხმოვნის წინ აღდგება ამოსავალი თანხმოვანი: კეთ-ებ-ა, გა-კეთ-ებ-ულ-ი, გა-უ-კეთ-ებ-ი-ა (გამონაკლისს წარმოადგენს აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმები, სადაც, როგორც ითქვა, პარალელურად გამოიყენება -ებ // -ემ ან -ობ // -ომ).

გ) ბ → -ფ (ანუ: -ებ → -ეფ; -ობ → -ოფ) საერთო-ქართული მოვლენაა და დადასტურებულია პაუზის ან ყრუ თანხმოვნის წინ: ვ-აკეთ-ებ → ვ-აკეთ-ეფ, ვ-აკეთ-ებ-თ → ვ-აკეთ-ეფ-თ; ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ეფ-ს; მაგრამ: ვ-აკეთ-ებ-დ-ი, ა-კეთ-ებ-დ-ა...

ზემოხსენებული ასეთ სახეს მიიღებს სქემაზე:

-ავ თემისნიშნისანი ზმნები:

პირი \ კილო	კახური	ზემოიმერული	მესხური
აწმყო (მხ. რ.):			
I პირი	ვ-მალ-ამ	ვ-მალ-ამ	ვ-მალ-ან
II პირი	(ა)-მალ-ამ	მალ-ამ	მალ-ან
III პირი	(ა)-მალ-ამ-ს	მალ-ამ-ს	მალ-ან-ს
აწმყო (მრ. რ.):			
I პირი	ვ-მალ-ამ-თ	ვ-მალ-ამ-თ	ვ-მალ-ან-თ
II პირი	(ა)-მალ-ამ-თ	მალ-ამ-თ	მალ-ან-თ
III პირი	(ა)-მალ-ავ/ამ-ენ	მალ-(ივ)-ენ	მალ-ებ-ენ

-ებ თემისნიშნისანი ზმნები:

კილო	გურული	კახური	შესხური
პირი			
აწმყო:			
I პირი	ვ-ა-კეთ-ეფ	ვ-ა-კეთ-ემ	ვ-ა-კეთ-ენ/-ან
II პირი	ა-კეთ-ეფ	ა-კეთ-ემ	ა-კეთ-ენ/-ან
III პირი	ა-კეთ-ეფ-ს	ა-კეთ-ემ-ს	ა-კეთ-ენ/-ან-ს
ნამყო უსრულო:			
I პირი	ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი	ვ-ა-კეთ-ემ-დ-ი	ვ-ა-კეთ-ენ/-ან-დ-ი
II პირი	ა-კეთ-ებ-დ-ი	ა-კეთ-ემ-დ-ი	ა-კეთ-ენ/-ან-დ-ი
III პირი	ა-კეთ-ებ-დ-ა	ა-კეთ-ემ-დ-ა	ა-კეთ-ენ/-ან-დ-ა
I შედეგობითი:			
I პირი	მ-ი-კეთ-ებ-ი-ა	მ-ი-კეთ-ებ-ი-ა	მ-ი-კეთ-ებ-ი-ა
II პირი	გ-ი-კეთ-ებ-ი-ა	გ-ი-კეთ-ებ-ი-ა	გ-ი-კეთ-ებ-ი-ა
III პირი	უ-კეთ-ებ-ი-ა	უ-კეთ-ებ-ი-ა	უ-კეთ-ებ-ი-ა

ამდენად, -ებ თემის ნიშანი ხმოვნის წინა პოზიციაში ერთნაირად არის წარმოდგენილი ყველა დიალექტში. პაუზისა და თანხმოვნის წინ დაჩნდება დიალექტური სხვაობანი.

ანალოგიური ვითარებაა -ობ თემის ნიშნის გამოყენებისას.

სპორადულად შეინიშნება სხვა სახის ფონეტიკური ცვლილებანიც. მაგალითად, -ავ → -აუ, მაგრამ კბილბაგისმიერი და წყვილბაგისმიერი ვ-ს მონაცვლეობა არსებითად საერთო-ქართული მოვლენაა ამ პოზიციაში: ვ-ხატ-ავ // ვ-ხატ-აუ — ხატ-ავ // ხატ-აუ ხატ-ავ-ს // ხატ-აუ-ს და მისთ..

დადასტურებულია აგრეთვე ბ → ვ (ანუ: -ებ → -ევ; -ობ → -ოვ). ამ პროცესს რეგულარული ხასიათი აქვს ინგილოურში (კაქურში — ყველა პოზიციაში, ალიაბათურში — უპირატესად თანხმოვნის წინ): ა-კეთ-ებ-ს → ა-კეთ-ევ-ს, შიპრ-ობ-ენ → შიპრ-ოვ-ენ, ლამ-დ-ებ- (ი-ს) → ლამ-დ-ევ. სხვა დიალექტებში იგი ფრიად იშვიათად დაჩნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბ-ბ თანხმოვანთა პროგრესულ დისიმილაციასთან გვაქვს საჩქე: ამბ-ობ-ს → ამბ-ოვ-ს, ე-უბნ-ებ-ა → ე-უბნ-ევ-ა (ქართლური, კახური...); გვხვდება აგრეთვე ე-ბნ-ევ-ა (ყაზახური...), ე-უნ-ებ-ა (ბ-ს რეგრესული დისიმილაციური დაკარგვით — ზემოდასახელებულ დიალექტებშივე).

ხმოვნითი ელემენტის ცვლილება დაჩნდება -ავ და -ამ თემის ნიშნებში.

ა) აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში -ენ ფორმანტის გავლენით დიალექტების ერთ ნაწილში სრულ რედუქციას განიცდის -ავ/ -ამ თემის ნიშნების ხმოვანი: მალ-ავ-ენ → მალ-ვ-ენ, ა-ბ-ამ-ენ → ა-ბ-მ-ენ (ხევსურულა), გა-ს-წურ-ავ-ენ → გა-ს-წურ-ვ-ენ, და-ს-დგ-ამ-ენ → და-ზ-დგ-მ-ენ (თუშური), და-პ-კლ-ავ-ენ → და-პ-კლ-ვ-ენ, ჩა-ი-ცვ-ამ-ენ → ჩა-ი-ცმ-ენ (ფერეიდნული), ხარშ-ავ-ენ → ხარშ-ვ-ენ, და-დგ-ამ-ენ → და-დგ-მ-ენ (ჩატული დიალექტის გლობალური კილოკავი), თეს-ა-ვენ → თეს-ვ-ენ, უ-რტყ-ამ-ენ → უ-რტყ-მ-ენ (იმერული), ბარ-ავ-ენ → ბარ-ვ-ენ, ი-ცვ-ამ-ენ → ი-ც-მ-ენ (გურული), თიბ-ავენ → თიბ-ვ-ენ, დგ-ამ-ენ → დგ-მ-ენ (აჭარული), ნახ-ავ-ენ → ნახ-ვ-ენ, სვ-ამ-ენ → ს-მ-ენ (იმერხეული). ყველა ამ შემთხვევაში ძველი ქართულის ანალოგიური ვითარებაა: კლ-ავ-ენ → კლ-ვ-ენ, ბაძ-ავ-ენ → ბაძ-ვ-ენ, სუ-ამ-ენ → სუ-მ-ენ, ა-ბ-ამ-ენ → ა-ბ-მ-ენ.

შენიშვნა 1: რედუქციას თან ახლავს სხვა ფონეტიკური ცვლილებანიც. ხდება მეტათეზისი: კლ-ავ-ენ → კლ-ვ-ენ → კლ-ენ (ჩატული დიალექტის გლობალური კილოკავი...); რედუქციის შემდგომ იკარგვის თანხმოვნითი ელემენტიც: ხარშ-ავ-ენ → ხარშ-ვ-ენ → ხარშ-ენ, თეს-ავ-ენ → თეს-ვ-ენ → თეს-ენ (ზემოიმერული); თემის ნიშნისეული ვ და პირის ნიშნისეული ე შესაძლოა შეირწყას ო- დ: უ-კრ-ავ-ენ → უ-კრ-ვ-ენ → უ-კრ-რნ (ინგილოური); შდრ.: უ-კვრ-ენ, მიღებული მეტათეზისის საფუძველზე (გურული...); თემის ნიშნისეულ მ-სთან უშუალოდ შეხვედრისას ფუძისეული ვ იკარგვის: სვ-ამ-ენ → * სვ-მ-ენ → ს-მ-ენ; და, პირიქით, ფუძისეულ მ-სთან შეხვედრის შემთხვევაში იკარგვის თემის ნიშნისეული ვ: კაზმ-ავ-ენ → *კაზმ-ვ-ენ → კაზ-მ-ენ (ჩატული დიალექტის გლობალური კილოკავი...).

შენიშვნა 2: რედუქციას განიცდის ფუძისეული -ამ ელემენტის ხმოვანიც: უ-ზამ-ენ → უ-ზმ-ენ...

შენიშვნა 3: ზოგ დიალექტში რედუქციას განიცდის მხოლოდ -ავ: მალ-ავ-ენ → მალ-ვ-ენ, მაგრამ: ა-ბ-ამ-ენ (მოხეური).

ბ) დიალექტების ერთ ნაწილში -ავ / -ამ თემის ნიშნები რედუცირდება არქაული წარმოების ვნებითის ფორმებშიც: მალ-ავ-ს → ი-მალ-ვ-ი-ს, დგ-ამ-ს → ი-დგ-მ-ი-ს (გურული...).

შენიშვნა: -ავ → -ვ, ასევე, -ამ → -მ, როგორც ცნობილია, დაჩნდება აგრეთვე კულზატის ფორმებში: ქელ-ავ-ს → ა-ქელ-ვ-ინ-ებ-ს/ე-ქელ-ვ-ინ-ებ-ა, ა-ბ-ამ-ს → ა-ბ-მ-ვეინ-ებ-ს/ე-ბ-მ-ვეინ-ებ-ა... განსაზღვრულ პოზიციაში ხდება-ვ და -მ ელემენტების მეტათეზისი: ჩაგრ-ავ-ს → ა-ჩაგრ-ვ-ინ-ებ-ს → ა-ჩაგვრ-ინ-ებ,ს, ასევე: ა-მბ-ვეინ-ებ-ს და მისთ.

გ) ფუძისეული-ვ თანხმოვნისა და -ამ თემისნიშნისეული - ა ხმოვნის შეხვედრისას წარმოიქმნება ვა კომპლექსი; ყველა იმ დიალექტში, სადაც დადასტურებულია ვა → ო, ანალოგიური ცვლილება შესაძლოა დაჩნდეს ზემოხსენებულ პოზიციაშიც: სვ-ამ-ს → სომ-ს, ი-ცვ-ამ-ს → ი-ცომ-ს, უ-თქვ-ამ-ს → უ-თქომ-ს და მისთ. (ქართლური, კახური...).

შენიშვნა: ერთსა და იმავე დიალექტში ერთი და იმავე პირის მეტყველებაში შესაძლოა თავი იჩინოს პარალელურმა ფონეტიკურმა ვარიანტებმა: პოვლიასთან (-პავლესთან) სომ-ენ, ერთად ს-მ-ენ (მთიულური); სვ-ამ-ენ → სომ-ენ (ვა → ო ცვლილების საფუძველზე) // *სვ-მ-ენ (ა-ს რედუქციის გამო) → ს-მ-ენ (ვ-ს ჩავარდნით).

დ) -ავ/-ამ თემისნიშნისანი ზმნების ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ მწკრივების (ნაკვთების) წარმოება განსხვავებულია ძველ და ახალ ქართულში. ეს სხვაობა ნათლად წარმოჩნდება ქვემოთ მოტანილ სქემაზე:

მწკრივი \ პერიოდი	ახალი ქართული	ძველი ქართული
1. ნამყო უსრ:		
I პირი	ვ-მალ-ავ-დ-ი	ვ-მალ-ევ-დ-(ი)
II პირი	(პ-)მალ-ავ-დ-ი	(პ-)მალ-ევ-დ-(ი)
III პირი	მალ-ავ-დ-ა	(პ-)მალ-ვ-იდ-ა
2. I კავშირ:		
I პირი	ვ-მალ-ავ-დ-ე	ვ-მალ-ვ-იდ-ე
II პირი	(პ-)მალ-ავ-დ-ე	(პ-)მალ-ვ-იდ-ე
III პირი	მალ-ავ-დ-ე-ს	მალ-ვ-იდ-ე-ს

ანალოგიურად იუღვლის- ამ თემისნიშნისანი ზმნაც.

ქართული ენის დიალექტებში ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ მწკრივებში - ავ/-ამ თემისნიშნისანი ზმნები სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი.

-ამ/-ამ გახმოვანებას არ იცვლის (იხ. ზემოთ წარმოდგენილი სქემა).

-ავ/-ამ თემის ნიშანი ყველა შემთხვევაში -ე გახმოვანებითაა წარმოდგენილი (ანუ: დასტურდება -ევ-დ დაბოლოება).

-ავ/-ამ თემის ნიშნის ხმოვანი რედუქციებულია (ანუ: დასტურდება -ვ-იდ დაბოლოება).

არსებითად სამივე შემთხვევაში უნიფიკაციის შედეგთან გვაქვს საქმე, ოღონდ სხვადასხვა მონაცემის უნიფიკაცია.

ნიმუშად ნამყო უსრულოს პარადიგმას წარმოვადგენთ:

პირი \ კილო	ქართლური, კახური...	ხევსურული, თუ შური	გურული
I პირი	ვ-მალ-ავ-დ-ი	ვ-მალ-ევ-დ-ი	ვ-მალ-ვ-იდ-ი
II პირი	(ა)-მალ-ავ-დ-ი	ლ-მალ-ევ-დ-ი	მალ-ვ-იდ-ი
III პირი	(ა)-მალ-ავ-დ-ა	(ლ)-მალ-ევ-დ-(ა)	მალ-ვ-იდ-ა

ამავე გახმოვანებით -ავ თემის ნიშანი შესაბამისად დაჩნდება მასზე დაფუძნებულ მწკრივებშიც.

ანალოგიური ვითარებაა -ამ თემის ნიშნის გამოყენების შემთხვევაშიც.

შენიშვნა I: ზოგ დიალექტში გახმოვანებას იცვლის მხოლოდ -ავ თემის ნიშანი, -ამ კი არა. ასეა, მაგალითად, თუ შურში: ვ-ხ-კლ-ევ-დ-ჩ, ხ-კლ-ევ-დ-ჩ, ხ-კლ-ევ-დ-(ა), მაგრამ: ვ-ა-ბ-ამ-დ-ჩ, ა-ბ-ამ-დ-ჩ, ა-ბ-ამ-დ-(ა). არსებითად აქ დიალექტურ ინოვაციასთან გვაქვს საქმე, როცა ერთ-მანეთის პარალელურად დაჩნდება ორი სხვადასხვა ტენდენცია.

შენიშვნა 2: სპორადულად -ვ -იდ დაბოლოება თავს იჩენს ზემორაქულშიც: ხატ-ვ-იდ-ა, შე-ხედ-ვ-იდ-ა...

როგორც ხმოვნით, ასევე თანხმოვნით ელემენტების ფონეტიკური ცვლილება -ავ/-ამ თემის ნიშნებისა დამოწმებულია ზემოიშვრულსა და მესხურში, შეინიშნება აგრეთვე რაჭულის კოლოკაებში. კერძოდ: ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ მწკრივებში დაჩნდება - ე გახმოვანება, ხოლო თანხმოვნით ელემენტი წარმოდგენილია ვ → მ / → ნ, მ → ვ ნაირსახეობებით (იხ. ზემოთ). ნიმუშად მოვიტანთ -ავ თემისნიშნიანი ზმნის ნამყო უსრულის ფორმებს.

პირი \ კილო	ზემოიშვრული	მესხური
I პირი	ვ-მალ-ემ-დ-ი	ვ-მალ-ენ-დ-ი
II პირი	მალ-ემ-დ-ი	მალ-ენ-დ-ი
III პირი	მალ-ემ-დ-ა	მალ-ენ-დ-ა

პრინციპი (ტენდენცია) აქ არსებითად იგივეა, რაც -ავ/→ -ევ გადაბგერების შემთხვევაში გვაქვს, ოღონდ დამატებით დაინდება დიალექტური მოდიფიკაციები.

შენიშვნა I: ამ წესს ზოგჯერ მიიყვება ფუძისეული - ემ ელემენტიც: ვ-ზამ, ი-ზამ, ი-ზამ-ს... და, შესაბამისად, ვ-ი-ზამ-დ-ი, ი-ზემ-დ-ი, ი-ზემ-დ-ა (// ი-ზე-ოდ-ა)...

შენიშვნა 2: იმერული დიალექტის ბალდათურ და თერჯოლურ თქმებში - ემ ვარიანტის ნაცვლად დაინდება -ებ: მალ-ებ-დ-ა, გადა-კრ-ებ-დ-ა „გადაპკრავდა“. -ებ წარმოდგენილია აწმყოშიც: მალ-ებ-ს „მალავს“, გადა-კრ-ებ-ს „გადაპკრავს“... პარალელურად -ავ → -ევ // -ებ დამოწმებულია რაჭული დიალექტის კილოკავებშიც (რივნისთაურში): ვ-ნაყ-ევ-დ-ი // ვ-ნაყ-ებ-დ-ი, ნაყ-ევ-დ-ი // ნაყ-ებ-დ-ი, ნაყ-ევ-დ-ა // ნაყ-ებ-დ-ა (← ნაყ-ავ-ს)... ანალოგიურად: ვ-ა-სხ-ემ-დ-ი // ვ-ა-სხ-ებ-დ-ი, ა-სხ-ემ-დ-ი // ა-სხ-ებ-დ-ი, ა-სხ-ემ-დ-ა // ა-სხ-ებ-დ-ა (← ა-სხ-ამ-ს)...

ზოგჯერ ნამყო უსრულში მთლიანად იკარგვის -ავ თემის ნიშანი (პარალელურად წარმოდგენილია სხვაგვარი ნაირსახეობაც):

პირი	კილო	ზემოიმერული	
		I	II
I პირი	ვ-ხარჯ-ემ-დ-ი	ვ-ხარჯ-დ-ი	
II პირი	ხარჯ-ემ-დ-ი	ხარჯ-დ-ი	
III პირი	ხარჯ-ემ-დ-ა	ხარჯ-დ-ა	

შენიშვნა: ასეთი პარალელიზმი გამოირიყვება უმარცვლო ფუძეებთან: ვ-კლ-ემ-დ-ი, კლ-ემ-დ-ი... დაინდება აგრეთვე: ვ-კლ-ევ-დ-ი, კლ-ევ-დ-ი... „კლაუდი“, „კლაუდი“ (ზემოიმერული), მაგრამ არ გვხვდება თემისნიშანმოკვეცილი ვარიანტები.

ანალოგიურად დაისმის საკითხი მ → ვ შენაცვლების შემთხვევაში: ვ-სვ-ე-ვ-დ-ი „ესვამდი“, სვ-ევ-დ-ი „სვამდი“, სვ-ევ-დ-ა „სვამდა“ (ზემოიმერული); შდრ. კახური, ქართლური: ვ-სვ-ავ-დ-ი, სვ-ავ-დ-ი, სვ-ავ-დ-ა და მისთ. იმავდროულად ზემოიმერულშივე გვაქვს: ვ-სვ-ემ-დ-ი, სვ-ემ-დ-ი, სვ-ემ-დ-ა; და ასე: ა-ბ-ევ-დ-ა // ა-ბ-ემ-დ-ა „აბამდა“, ა-სხ-ევ-დ-ა // ა-სხ-ემ-დ-ა „ასხამდა“ და მისთ.

ფუძისეული - ვ თანხმოვნისა და თემისნიშნისეული - ე ხმოვნის შეხვედრისას წარმოიქმნება ვე კომპლექსი, რომელიც დიალექტების ერთ ნაწილში ფონეტიკურად

იცვლება (ვე →ო): გა-უ-შვ-ებ-ს →გა-უ-შობ-ს (ხვესურული, გურული...), და-წებ-ა → და-წობ-ა (გურული...), გა-შვ-ებ-ა → გა-შოვ-ა-ა // გა-შმ-ა-ა (ინგილოური)...

ანალოგიური ვითარებაა, როგორც აღინიშნა, ფუძისეული ვ-სა და თემისნიშნისეული ა-ს შეხვედრისას (ვა →ო): ჩა-ი-ცვ-ამ-ს → ჩა-ი-ცომ-ს, სვ-ამ-ს → სომ-ს (ქართლური, კახური...); იხ. აქვე, ზემოთ.

4.1.2. მწკრივის (ნაკვთის) ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი.

ა) ნამყო უხრუღი.

ნამყო უსრულის (უწყვეტლის) ფუძის მაწარმოებელი -დ ფორმანტი ყრუ თანხმოვნების მომდევნოდ ზოგ დიალექტში იცვლება პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე: წყვეტ-დ-ა → წყვეტ-ტ-ა, ჩეჩ-დ-ა → ჩეჩ-თ-ა... ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა ნამყო უსრულში ხდება თემის ნიშნის ჩავარდნა:

აწმყო: კეტ-ავ-ს

ნ.უსრ.: კეტ-დ-ა → კეტ-ტ-ა (ზემოიმერული).

და ასე: ყლაპ-ავ-დ-ა → ყლაპ-დ-ა → ყლაპ-ტ-ა, ხარშ-ავ-დ-ა → ხარშ-დ-ა → ხარშ-თ-ა...

უპირატესად დაინდება დასავლურ დიალექტებში, რომელთათვისაც, საერთოდ, დამახასიათებელია თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია.

შენიშვნა: ზოგჯერ თავს იჩენს საპირისპირო (რეგრესული) მიმართულების ასიმილაცია: წყვეტ-დ-ა → წყვედ-დ-ა...

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ნამყო უსრულისეული ფორმანტად გააზრებული - ი სუფიქსი (ვ-ჩეჩ-დ-ი, ჩეჩ-დ-ი...) პუზის წინა პოზიციაში, როგორც წესი, განიცდის ნაწილობრივ ან სრულ რედუქციას; შედეგად ვიღებთ -ჩ, -ჯ ან -ო ვარიანტებს:

პირი \ კილო	ხვესურული	თუშური
I პირი	ვ-ჩეჩ-დ-ჩ/-ჯ	ვ-თბ-ებ-ოდ-ჩ
II პირი	შ-ჩეჩ-დ-ჩ/-ჯ	ს-თბ-ებ-ოდ-ჩ
III პირი	ჩეჩ-დ-(ა)	თბ-ებ-ოდ-(ა)

შენიშვნა 1: ნულოვანი დაბოლოების შემთხვევაში (ვ-ჩეჩ-დ, შ-ჩეჩ-დ...) იჭმნება შთაბეჭდილება, რომ ძველი ქართულისეული ვითარებაა შემორჩენილი — ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, წესისამებრ, - ი არ

გვჭონდა. სინამდვილეში დამთხვევა გარეგნულია: ენკლიტიკის შემთხვევაში -ი აღდგება (ვ-ჩეჩ-დ, მაგრამ: ვ-ჩეჩ-დ-ი-ვ „ჩეჩილი“): -ი აღდგება მრავლობითის ფორმებშიც: ვ-ჩეჩ-დ-ი-თ, შ-ჩეჩ-დ-ი-თ...

შენიშვნა 2: ანალოგიური ცვლილება მოსდის I და II ხოლმეობითის ფორმებში ბოლაკიდურ -ი ელემენტსაც: ვ-ჩეჩ-დ-იდ-ჩ/ჯ, შ-ჩეჩ-დ-იდ-ჩ/-ჯ... ვ-ჩეჩ-იდ-ჩ/-ჯ, შ-ჩეჩ-იდ-ჩ/-ჯ...

შენიშვნა 3: თუმურში ნამყო უსრულის ფორმებში -ი დაბოლოების ნაცვლად ზოგჯერ დაჩნდება -ე: მი-ვ-ზ-დევ-დ-ე „მივსდევი“, მი-ზ-დევ-დ-ე „მისდევი“... ჩა-ვიდ-ოდ-ე „ჩავიდოდი“, ჩა-ხ-ვიდ-ოდ-ე „ჩახვიდოდი“... (ძველ ქართულში ასეთი ვითარება მხოლოდ -ოდ სუფიქსიანი ზმნების უღვლილებიას დაჩნდებოდა: წარ-ვიდ-ოდ-ე „წავიდოდი“, ხოლო კავშირებითში -ი ფორმანტი გამოიყენებოდა: წარ-ვიდ-ოდ-ი „წავიდოდი“). პაუზის წინ შესაძლოა - ე → -ი/-ჩ: მი-ვ-ზ-დევ-დ-ი/-ჩ... მრავლობითის ფორმებში აგრეთვე ენკლიტიკის დროს - ე აღდგება: მი-ვ-ზ-დევ-დ-ე-თ...

ბ) კავშირებითის ფორმები.

ხეცსურულში კავშირებითის წარმოება უნიფიცირებულია: ყველა შემთხვევაში გამოიყენება - ა ფორმანტი. პაუზის წინ იგი, როგორც წესი, განიცდის ნაწილობრივ ან სრულ რედუქციას: -ა → ჯ/—ო, შესაძლოა დაჩნდეს -ი/-ჩ ნაირსახეობაც. -ა შენარჩუნებულია III პირის ფორმებში, ხოლო I და II პირში მრავლობითის -თ სუფიქსის დართვისას აღდგება (ანალოგიური ვითარება ენკლიტიკის დროსაც):

ფორმა \ კილო	ხეცსურული	
I კავშირებითი		
I პირი	ვ-ჩეჩ-დ-ჯ/-ჩ	ვ-ჩეჩ-დ-ა-თ
II პირი	შ-ჩეჩ-დ-ჯ/-ჩ	შ-ჩეჩ-დ-ა-თ
III პირი	ჩეჩ-დ-ა-ს	ჩეჩ-დ-ა-ნ
II კავშირებითი		
I პირი	ვ-ჩეჩ-ჯ/-ჩ	ვ-ჩეჩ-ა-თ
II პირი	შ-ჩეჩ-ჯ/-ჩ	შ-ჩეჩ-ა-თ
III პირი	ჩეჩ-ა-ს	ჩეჩ-ა-ნ

ხეცსურულშივე II კავშირებითის ფორმებში ფუძისეული ვ-სა და კავშირებითის

-ა ფორმანტის შეხვედრისას დაჩნდება ვა → ო მონაცვლობა:

ვ-ა-თქვიგ-ა-თ → ო-თქვი-ო-თ „ვათქვიგინოთ“

ა-თქვიგ-ა-თ → ა-თქვი-ო-თ .

ა-თქვიგ-ა-ნ → ა-თქვი-ო-ნ.

ანალოგიური ცვლილება შესაძლოა დავადასტუროთ ყველა იმ დიალექტში, რომლებსთვისაც ნიშანდობლივია ვა → ო ცვლილება: ვ-თქვ-ა → ვ-თქ-ო, ს-თქვ-ა → ს-თქ-ო, თქვ-ა-ს → თქ-ო-ს და ასე: გა-უ-შვ-ა-ს → გა-უ-შ-ო-ს, და-წვ-ა-ს → და-წ-ო-ს და მისთ. (ქართლური, კახური...).

შენიშვნა: რაც შეეხება წე-ვიდ-ო-ს, მო-კლ-ო-ს ტიპის ფორმებს, ნაცვლად ამისა:

წა-ვიდ-ე-ს, მო-კლ-ა-ს, აქ -ე → -ო მორფოლოგიური ანალოგიის შედეგია (ამ რიგის ფორმები დამოწმებულია მაგალითად, იმერულში, ინგილოური დიალექტის ალიაბათურ კილოკავში...).

გ) აორისტი (ნამყო ძირითადი).

აორისტში სამი ფორმანტი გამოიყენება: ჟ (და-ვ-წერ-ე), -ი (ვ-თქვ-ი, გა-ვ-უ-შე-ი) და -ო, რომელსაც შესაძლოა მიერთოს მორფოლოგიურად უფუნქციო -ი, ანუ: ე.წ. ნართაული -ი (მო-ვ-ხან/-ი, მო-ვ-კალ/-ი) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში პაუზის წინა პოზიციაში დაჩნდება -ე → -ი/-ჩ ნაწილობრივი რედუქცია. ასეთი ვითარება სისტემებზე დამოწმებულია ხევსურულში (მრავლობითი რიცხვის ფორმანტის დართვისას, აგრეთვე ენკლიტიკის შემთხვევაში -ე აღდგება). შევნიშნავთ: უმარცვლო ფუძეებთან ხდება -ე → -ი ფორმანტთა მორფოლოგიური შენაცვლება, რაც, რა თქმა უნდა, ფონეტიკურ ცვლილებად ვერ ჩაითვლება. სტემაზე ზემოხსენებული ასე შეიძლება წარმოვსახოთ:

კილო	ხევსურული			
	მხოლ.რ.	მრავლ. რ.	მხოლ.რ.	მრავლ.რ.
I პირი	და-ვ-წერ-ი/-ჩ	და-ვ-წერ-ე-თ	გა-ვ-ი-გ-ი/-ჩ	გა-ვ-ი-გ-ი-თ
II პირი	და-ს-წერ-ი/-ჩ	და-ს-წერ-ე-თ	გა-ი-გ-ი/-ჩ	გა-ი-გ-ი-თ
III პირი	და-ს-წერ-(ა)	და-ს-წერ-ეს	გა-ი-გ-(ა)	გა-ი-გ-ეს

შენიშვნა 1: ხშირად დაჩნდება სრული რედუქციის შემთხვევებიც: და-ვ-წერ-ჩ//და-ვ-წერ „დავწერე“; მო-ი-ყვან-ჩ//მო-ი-ყვან „მოიყვანე“ და მისთ.

შენიშვნა 2: -ჩ შესაძლოა დავამოწმოთ -ი სუფიქსის პოზიციაშიც: გა-ვ-უ-შე-ჩ, გა-უ-შე-ჩ და მისთ. ნულოვანი დაბოლოების მქონე ფორმები პაუზის

წინ, ჩვეულებრივ, ნართალელი -ი ხმოვნის გარეშეა დადასტურებული:
მა-ვ-ხან... მა-ხ-კალ...

დალექტების ერთ ნაწილში, ე ფორმანტის პოზიციაში დაჩნდება -ევ-ი/-ე-ი დაბოლოება: ვ-ნახ-ევ-ი // ვ-ნახ-ე-ი, ნახ-ევ-ი // ნახ-ე-ი (ქართლური), და-ვ-თეს-ევ-ი // და-ვ-თეს-ე-ი (კახური), ვ-ი-ყიდ-ევ-ი // ვ-ი-ყიდ-ე-ი, და-ვ-რგ-ევ-ი // და-ვ-რგ-ე-ი (ზემო იმერული)...

შენიშვნა 1: -ევ-ი დაბოლოებას ანალოგიით იკეთებს ზოგი -ი სუფიქსიანი ზმნაც:
მო- (ე)-უ-ს-ევ-ი „მოვუსვი“, წა-უ-ს-ევ-ი „წაუსვი“ (იმერული).

შენიშვნა 2: რაც შეეხება და-ვ-ა-პ-ი „დავაპე“, და-ა-პ-ი „დააპე“, დე-ვ-ი-მხე-ი „დავიმხე“, დე-ი-მხე-ი „დაიმხე“ (იმერული) ან ვ-ი-ცან-ე „ვიცანი“, ი-ცან-ე „იცანი“ (ინგილოური), აგრეთვე: ვ-ი-ცნ-ე, ი-ცნ-ე (გურული) ტიპის ფორმებს, აქ-ი/-ე ფორმანტების მორფოლოგიურ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე (და არა ფონეტიკურ ცვლილებასთან).

შენიშვნა 3: -ე შესაძლოა ცვლიდეს ფუძისეულ ხმოვანს: ვ-ა-ძოვ-ე → ვ-ა-ძო-ე → დისიმილაციით: ვ-ა-ძე-ე → ხმოვნის „დაშლით“: ვ-ა-ძე-ე: ოე → უე დამოწმებულია რამდენიმე დიალექტში (ქართლურში, კახურში...), უე → ვიე საფეხური სისტემებზე დამახასიათებელია მესხურისათვის.

დ) I შედეგობითი.

გარდამავალი ზმნის I შედეგობითის ფორმები ქართული ენის დიალექტებში ორი დაბოლოებით არის წარმოდგენილი: ავ-ი-ს (გა-უ-კეთ-ებ-ავ-ი-ს...) და -ი-ა (გა-უ-კეთ-ებ-ი-ა...). -ავ-ი-ს ხევსურულსა და ფშაურშია გავრცელებული, თუშურში ორივე დაბოლოება შეგვევლება, სხვა დიალექტები -ი-ა დაბოლოებას ანიჭებენ უპირატესობას. ანალოგიური ვითარებაა ს-წერ-ავ-ი-ს//ს-წერ-ი-ა ტიპის სტატიკურ ზმნათა აწმყოში.

-ავ-ი-ს, როგორც წესი, იკვეცს -ი-ს ელემენტს: გა-უ-კეთ-ებ-ავ-ი-ს → გა-უ-კეთ-ებ-ავ...

თუშურში იკვეცება -ი-ა- დაბოლოებისეული -ა ელემენტიც: წა-უ-ღ-ი-ა → წუც-ღ-ი// წუღ-ავ...

შენიშვნა: ენკლიტიკის შემთხვევაში - ა აღდგება: წუცლიავ „წაულიათ“.

ფუძისეული ვ-სა და -ავ ფორმანტისეული ხმოვნის შეხვედრისას წარმოქმნილი ვა კომპლექსი იცვლება ო-დ: ჩა-უ-ღე-ავ → ჩა-უ-ღოვ (ხევსურული).

ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნების I შედეგობითი ხეცსურულში -იგ-ას დაბოლოებით დაჩნდება (იეჟმეშველი ზმნა -ას „არს“): გა-ს-ძლოლ-იგ-ას „გასძლოლია“ (შდრ. აწმყო: უ-ძღე-ებ-ა), რომელიც რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით შეიძლება იყოს დადასტურებული: გა-ს-ძლოლ-იგ-ა (მეშველი ზმნის თანხმონითი ნაწილაკის ჩამოცილებით) // გა-ს-ძლოლ-იგ (მეშველი ზმნის სრული მოკვეციით) გა-ს-ძლოლ-რ (ვ-ს მოკვეციით) და გა-ს-ძლოლ-ი-ო-ს// გა-ს-ძლოლ-ი-ო (ვა → ო შენაცვლების საფუძველზე); და ასე: ხ-ყვან-იგ-ას → ხ-ყვან-იგ-ა//ხ-ყვან-იგ//ხ-ყვან-რ // ხ-ყვან-ი-ო-ს // ხ-ყვან-ი-ო „ჰყოლია, ჰყოლებია“, შა-ს-ტან-ებ-იგ-ას → შა-ს-ტან-ებ-იგ-ა // შა-ს-ტან-ებ-იგ // შა-ს-ტან-ებ-რ // შა-ს-ტან-ებ-ი-ო-ს // შა-ს-ტან-ებ-ი-ო „შესტანებია“ და მისთ. გვხვდება აგრეთვე: გა-ს-ძლოლ-ი-ას // გა-ს-ძლოლ-ი-ა... ნიმუშები ხეცსურული დიალექტის პირაქეთულ-არხოტული კილოკავიდანაა დასახელებული.

4.1.3. ზმნის ფუძის მაწარმოებელ ფორმანტა ფონეტიკური ნაირსახეობანი.

ა) ზმნის ფუძის ერთ-ერთ უძველეს მაწარმოებლად გამოყოფილია -ან სუფიქსი, რომელიც სალიტერატურო ენაში ამჟამად რამდენიმე ზმნას შემორჩა, ისიც მრავლობითი რიცხვის ფორმებში: დგ-ან-ან (შდრ.: დგ-ა-ს ← *დგ-ან-ს), ჰ-ყვ-ან-ან (შდრ.: ჰ-ყვ-ან-ს), ჰ-გვ-ან-ან (შდრ.: ჰ-გვ-ან-ს) ზოგიერთ დიალექტში -ან უფრო ფართოდ გამოიყენება, რასაც შესაძლოა ფონეტიკური ცვლილებებიც ახლდეს თან.

ფუძისეულ ვ-სთან -ან სუფიქსისეული ხმონის შეხვედრისას ზოგიერთ დიალექტში დაჩნდება ვა → ო ცვლილება: ჰ-ყვ-ან-ს → ხ-ყონ (ხეცსურული), წა-ი-ყვან-ა → წა-ი-ყონ-ა (ინგილოური, ფერეიდნული)...

იმერულში -ან სუფიქსიან ფუძეზე მრავლობითობის -ან/-ენ ფორმანტის დართვისას რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე ხდება ნ → ლ: დგ-ან-ან → დგ-ალ-ან // დგ-ალ-ენ (შდრ. მხოლოობითი რიცხვის ფორმა: დგ-ან-ა „დგას“).

შენიშვნა 1: დგ-ალ- შესაძლოა დაჩნდეს რ-რ → ლ-რ დისიმილაციის შედეგადაც: მდგარ-არიენ → დგალ-არიენ „დგანან“ (ქვემოიმერული).

შენიშვნა 2: იმერულში შეინიშნება ზმნის ფუძის მაწარმოებელი -არ ფორმანტიც: დგ-არ-ს „დგას“/დგ-არ-ან „დგანან“; დამოუკიდებელი ფორმანტი ჩანს, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ იგი ნ-ნ → რ-ნ დისიმილაციის შედეგადაა მიღებული (ლ. კიკნაძე).

შენიშვნა 3: ნ-ნ → ლ-ნ დამოწმებულია ძირისეული თანხმონის შემთხვევაშიც:

ჩან-ან → ჩალ-ან (ზემოიმერული)/ჩალ-არიენ (ქვემოიმერული).

ბ) ზმნური ფუძის ერთ-ერთ უძველეს სუფიქსად გამოიყოფა - ეტ. უმეტეს შემთხვევაში იგი ძირსაა მიხორცებული, მაგრამ რამდენიმე ფუძეში ხერხდება მოკმედი ფორმანტის დონეზე მისი გამოყოფა: ხერ-ეტ-ს (ძველი ქართული: კურ-ეტ-ს); შღრ.: ხერ-ელ-ი (კურ-ელ-ი), ფშენ-ეტ-ს; შღრ.: ფშენ-ი-ს და მისთ. დიალექტებში ძირისეული ვ-ს გავლენით შესაძლოა შეიცვალოს -ეტ სუფიქსისეული ხმოვანი: კრ-ტ-ავ-ს „ხერეტს, ხერეტავს“ (ინგილოური). ანალოგიური შედეგი გვაქვს იმ ფორმებშიც, რომლებშიც მორფოლოგიის დონეზე ამჟამად არ ხერხდება -ეტ სუფიქსის გამოყოფა: წყრ-ტ-ავ-ს „წყვეტს, წყვეტავს“... ეგვე შედეგი შესაძლოა გვქონდეს ძირს მიხორცებული სხვა ანალოგიური ფორმანტების შემთხვევაშიც.

გ) ზმნის ფუძის მაწარმოებელი -ევ სუფიქსი II სერიაში ი-გახმოვანებითაა წარმოდგენილი (-ივ). დიალექტების უმეტეს ნაწილში -ივ → -ი (ვ-ს ჩავარდნით ინტერგოკალურ პოზიციაში): ა-ვ-ა-რჩ-ივ-ე → ა-ვ-ა-რჩ-ი-ე, აა-რჩ-ივ-ე → ა-ა-რჩ-ი-ე, ა-ა-რჩ-ივ-ა → ა-ა-რჩ-ი-ა; და ასე მი-აღწ-ივ-ა → მი-აღწ-ი-ა, მო-უ-ქნ-ივ-ა → მო-უ-ქნ-ი-ა, შე-ა-რხ-ივ-ა → შე-ა-რხ-ი-ა... ზოგიერთ დიალექტში (ქართულურში, კახურში, ინგილოურში...) დატულია ამოსავალი ფონეტიკური ვარიანტი: ა-ა-რჩ-ივ-ა, მი-აღწ-ივ-ა, მო-უ-ქნ-ივ-ა, შე-ა-რხ-ივ-ა და ა.შ.

დ) ვნებითის ფორმებში წარმოდგენილი -დ სუფიქსი ფუძისეულ ყრუ თანხმოვნებთან შეხვედრისას დასავლურ დიალექტებში შესაძლოა განიცდიდეს პროგრესულ ასიმილაციას: გა-კუჭ-დ-ა → გა-კუჭ-ტ-ა „გაბრაზდა“ (გურული), მწიფ-დ-ებ-ა → წიფ-თ-ებ-ა (იმერული) და მისთ. ამდენად, -დ კიდევ ორი ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება: -ტ (ყრუ მკვეთრი თანხმოვნების შემდეგ) და -თ (ყრუ ფშენივიერი თანხმოვნების მომდევნოდ).

4.14. კაუზატივის მაწარმოებელთა ფონეტიკური ნაირსახეობანი. ქართულში კაუზატივის ფორმებს აწარმოებს -ევ და -ინ სუფიქსები, აგრეთვე მათი კონტამინირებული ვარიანტი -ევ-ინ. დიალექტებში (ხევსურულში...) ამათ ემატება -ივ, რომელიც ასევე შედის კონტამინირებულ ნაირსახეობაში: -ევ-ივ → ევ-ი (ა. ჰინჭარაული). ოდენ-ევ (ა-ჰმ-ევ-ს, ა-სმ-ევ-ს...) შედარებით იშვიათად გამოიყენება; იგი, ჩვეულებრივ, გართულბულაა -ინ სუფიქსით (ძველი ქართული: ა-ქნ-ევ-ს — ახალი ქართული: ა-ხნ-ევ-ინ-ებ-ს // ა-ხენ-ევ-ინ-ებ-ს). ამიტომაც დიალექტური განაწილების მხრივ ძირითადად -ინ და -ევ-ინ სუფიქსები იქცევენ ყურადღებას.

შენიშვნა: -ევ ზოგჯერ თემის ნიშნადაც გაიზარება: (ჰამ-ს →) ა-ჰმ-ევ-ს → ა-ჰამ-ა,

გადა-ა-ხთ-ეგ-ი-ა, მო-ა-კვლ-ეგ-ინ-ა
(სე-ამ-ს →) ა-სმ-ეგ-ს → ა-სე-ა, შაგრამ დიალექტების ერთ ნაწილში
(ხევსურულში, ფშაურში...) -ეგ ოდენ კაუზატივის მაწარმოებლად
დაჩნდება და ამის გამო II სერიაშიც გადააყვება ზმნურ ფორმას,
ოღონდ განზოგადების ცვლით: ა-კმ-ივ-ა → ა-კმ-ი-ა, ა-სმ-ივ-ა →
ა-სმ-ი-ა.

კაუზატივის მაწარმოებელთა ფონეტიკური ვარიანტები შეიძლება აღმოსავლუ-
რი და დასავლური დიალექტების მიხედვით განვასხვაოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში -ინ, როგორც წესი, ფონეტიკურად
არ იცვლება (ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-ლახ-ე-ინ-ებ-ს/ე-ლახ-ე-ინ-ებ-ა, ა-ჭერ-ინ-ებ-
ს/ე-ჭერ-ინ-ებ-ა...), ოღონდ, თავის მხრივ, რეგრესული დისიმილაციით ცვლის
ფუძისეულ -ნ ელემენტს: ა-რბენ-ინ-ა → ა-რბევ-ინ-ა, მო-ა-ტან-ინ-ა → მო-ა-ტაე-
ინ-ა (მესხური...). -ეგ-ინ რთულ ფორმანტში იკარგვის ე: ა-ბმ-ეგ-ინ-ებ-ს → ა-ბმ-
ე-ინ-ებ-ს, ა-კვლ-ეგ-ინ-ებ-ს → ა-კვლ-ე-ინ-ებ-ს... შესაბამისად: ე-ბმ-ეგ-ინ-ებ-ა →
ე-ბმ-ე-ინ-ებ-ა, ე-კვლ-ეგ-ინ-ებ-ა → ე-კვლ-ე-ინ-ებ-ა... (ქართლური, კახური,
ფშაური, მოხეური, მთიულური).

შენიშვნა 1: სხვა აღმოსავლური დიალექტებისაგან ამ თვალსაზრისით განსხვავ-
დება თუშური: -ინ ფორმანტის პოზიციაში დაჩნდება ოდენ -ი:
გა-ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს → გაყ-კეთ-ებ-ი-ებ-ს, გა-ა-კეთ-ებ-ინ-ა →
გაყ-კეთ-ებ-ი-ა) და მისთ.

შენიშვნა 2: ხევსურულში, როგორც აღინიშნა, -ეგ-ივ → -ეგ-ი: ა-შლ-ეგ-ივ-ებ-ს
→ ა-შლ-ეგ-ი-ებ-ს, მო-ა-შლ-ეგ-ივ-ა → მო-ა-შლ-ეგ-ი-ა... ამდენად,
გარეგნულად ემთხვევა -ეგ-ინ → ეგ-ი ცვლილების შედეგად მიღებულ
ნაირსახეობას (იხ. აქვე, ქვემოთ).

დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, პირიქით, როგორც -ინ, ასევე -ეგ-ინ
ფორმანტებში იკარგვის -ნ (ხოლო ე სპირანტი შენარჩუნებულია): და-ა-ბან-ინ-ებ-
ს → და-ა-ბან-ი-ეფ-ს, და-ა-წერ-ინ-ებ-ს → და-ა-წერ-ი-ეფ-ს... შესაბამისად:
და-ა-ბან-ინ-ა → და-ა-ბან-ი-ა, და-ა-წერ-ინ-ა → და-ა-წერ-ი-ა... ანალოგიურად:
ა-ხდ-ეგ-ინ-ებ-ს → ა-ხთ-ეგ-ი-ეფ-ს, ა-კვლ-ეგ-ინ-ებ-ს → ა-კვლ-ეგ-ი-ეფ-ს... გადა-
ა-ხდ-ეგ-ინ-ა → → მუ-ა-კვლ-ეგ-ი-ა... (რაჭუ-
ლი, იმერული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული, იმერხეული).

შენიშვნა 1: -ეგ-ინ ფორმანტში შესაძლოა დაიკარგოს ორივე თანხმოვანი: ა-ჭრ-
ეგ-ინ-ებ-ს → ა-ჭრ-ეგ-ი-ეფ-ს // ა-ჭრ-ე-ი-ეფ-ს; მო-ა-ჭრ-ეგ-ინ-ა →

მუ-ა-კრ-ე-ი-ა (იმერული...).

შენიშვნა 2: სახელზმნურ ფორმებში დაჩნდება -ინ → -ნ: და-უ-ლევ-ინ-ებ-ელ-ი → და-უ-ლევ-ნ-ებ-ელ-ი; შდრ.: ა-ლევ-ინ-ებ-ს → ა-ლევ-ი-ეფ-ს (რაჭული), და ასე: და-ლევ-ნ-ებ-ა „დალვეინება“, და-სა-ლევ-ნ-ებ-ელ-ი „დასალვეინებელი“ (იმერული)...

ასეთია ზოგადი სურათი, რაც კაუზატივის საერთო-ქართული მაწარმოებლების ფონეტიკურ ნაირსახეობათა დიალექტურ განაწილებას წარმოგვიჩენს. იმავდროულად საკუთრივ დიალექტური მოვლენებიც არის დადასტურებული: ივულისხმება როგორც კაუზატივის წარმოების მორფოლოგიური, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ფონეტიკური თავისებურებანი. არსებითად ეს ეხება კაუზატივის -ევ სუფიქსთან წარმოებას.

-ევ, როგორც ცნობილია, კაუზატივის მაწარმოებლად ძველ ქართულში იყო გამოყენებული: ა-ქნ-ევ-ს, ა-თქემ-ევ-ს... აორისტი: ა-ქნ-ივ-ა, ა-თქემ-ივ-ა... ვ ელემენტი, ჩვეულებრივ, იკარგვის ინტერფოკალურ პოზიციაში: ა-ქნ-ი-ა, ა-თქემ-ი-ა... ანალოგიური ვითარებაა I სერიაშიც მაშინ, როცა -ევ ფორმანტს მიერთვის -ებ თემის ნიშანი, რის გამოც -ევ → -ივ (ნაწილობრივი რედუქციით); ხოლო ვ აქაც ინტერფოკალურ პოზიციაში აღმოჩნდება: * მი-ვ-ა-ლებ-ევ-ებ → *მი-ვ-ა-ლებ-ივ-ებ → მი-ვ-ა-ლებ-ი-ებ „მივალბინებ“; შდრ.: *მი-ვ-ა-ლებ-ივ-ე → მი-ვ-ა-ლებ-ი-ე „მივალბინე“ (ა. შანიძე). დიალექტებში ძირითადად სწორედ ამგვარი წარმოების მოდიფიკაციებთან გვაქვს საქმე.

ისევე, როგორც ძველ ქართულში, მორფოლოგიურად დიალექტებშიც ორი ყალიბი დაჩნდება I სერიაში: ოდენ -ან (*-ევ-ებ → *-ივ-ებ-ი) -ი-ებ დაბოლოებით წარმოდგენილი (II სერიაში ორივე შემთხვევაში -ივ → -ი დაბოლოება გვექნება).

ა) -ევ სუფიქსიანი ფორმები: ა-თქმ-ევ-ს „ათქმევენებს“, ა-კვლ-ევ-ს „აკვლვევენებს“, ა-წვ-ევ-ს „აწვევენებს“, ა-კდ-ევ-ს „ახდვევენებს“, ა-კრ-ევ-ს „აკრვევენებს“ (ხევსურული), ა-კლ-ევ-ს „ახლვევენებს“, ა-ქნ-ევ-ს „აქნვევენებს“ (თუშური)...

II სერიაში შესაბამისად წარმოდგენილია: ა-თქმ-ივ-ა → ა-თქმ-ი-ა, ა-წვ-ივ-ა → ა-წვ-ი-ა, ა-კრ-ივ-ა → ა-კრ-ი-ა და ა.შ.

შენიშვნა 1: ვ იკარგვის ხმოვნებს შორის პოზიციაში; თანხმოვნის წინ იგი აღდგება: ა-კრ-ი-ა ის, მაგრამ: ა-კრ-ივ-ნ-ა ისინი (-ნ სუფიქსით გამოიხატება სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობა)...

შენიშვნა 2: II კავშირებითის -ა ნიშანთან შეხვედროსას წარმოიქმნება ვა კომპლექსი, რომელიც გარდაიქმნება ო-დ: ა-კრ-ივ-ა-ს → ა-კრ-ი-ო-ს

„ატქვეინოს“, ა-თქმ-ივ-ა-ს → ა-თქმ-ი-ო-ს „ათქვეინოს“ (ხევსურული)..

შენიშვნა 3: ზემოდასახელებული ტიპის ფორმებს დიალექტების ერთ ნაწილში შემდგომ დაერთა -ინ: ა-თქმ-ევ-ს → ა-თქმ-ევ-ინ-ებს — და მისთ. ამ რიგის ფორმათა საყრდენი ფუძე, როგორც წესი, უმარცვლია, ოღონდ — კატეგორიის პარადიგმაში და არა საერთოდ (ან წარმოშობით): გა-თალ-ა, მაგრამ: გა-ა-თლ-ევ-ინ-ა... ხევსურულში -ევ ფორმანტს ამ შემთხვევაშიც -ივ → -ი დაერთვის: ა-თქმ-ევ-ს // ა-თქმ-ევ-ი(ვ)-ებ-ს... მარცვლოვანი ფუძის მქონებლობისას დაჩნდება ოდენ -ინ: და-ა-ჭერ-ინ-ა; შდრ.: და-ა-ჭრ-ევ-ინ-ა (ა. თაყაიშვილი).

დასავლეთ საქართველოს ზოგ დიალექტში -ევ ფორმანტის პოზიციაში წარმოდგენილია -ოვ: ა-კმ-ევ-ს → ა-კმ-ოვ-ს, ა-სმ-ევ-ს → ა-სმ-ოვ-ს, ა-რთმ-ევ-ს → ა-რთმ-ოვ-ს (ლექსუმური, გურული...). ჩანს, ე → ო გადაბგერება ბილაბიალური თანხმოვნის ზეგავლენით აიხსნება (შდრ. იმავე დიალექტებში: კიდევ → კიდო, ურჩევნია → ურჩონია; ანუ: ევ → ოვ // ო). II სერიაში (აორისტში) დაჩნდება: ა-კამ-ა, ა-სვ-ა და მისთ.

შენიშვნა: -ოვ სუფიქსიანი წარმოება ხშირად რთულდება -ინ → -ი ფორმანტით (დამატებით I სერიაში დაერთვის თემის ნიშანი): ა-კმ-ოვ-ს → ა-კმ-ოვ-ინ-ებს → ა-კმ-ოვ-ი-ეფ-ს; და ასე: ა-სმ-ოვ-ს → ა-სმ-ოვ-ი-ეფ-ს, ა-ცმ-ოვ-ს → ა-ცმ-ოვ-ი-ეფ-ს... აორისტში: ა-კმ-ოვ-ინ-ა → ა-კმ-ოვ-ი-ა; და ასე ა-სმ-ოვ-ი-ა, ა-ცმ-ოვ-ი-ა.

ბ) -ევ-ებ (→ -ი-ებ) დაბოლოებულიანი ფორმები: -ევ-ებ → -ივ-ებ → -ი-ებ დაჩნდება I სერიაში (-ებ თემის ნიშანია): ა-თქმ-ი-ეფ-ს (-ებ → -ეფ პაუზისა და ყრუ თანხმოვნის წინა პოზიციაში) „ათქვეინებს“, ა-კმ-ი-ეფ-ს „აქმეინებს“, ა-ხთ-ი-ეფ-ს „ახდევინებს“, ა-კვლ-ი-ეფ-ს „აკვლევინებს“ (გურული), ა-დგმ-ი-ეფ-ს, ა-თხრ-ი-ეფ-ს ანუ: ადგმეინებს, ათხრეინებს (აჭარული); II სერიაში (აორისტში) წარმოდგენილია ოდენ -ივ → -ი: ა-თქმ-ი-ა „ათქვეინა“, ა-კმ-ი-ა „აქმეინა“, გადა-ა-ხთ-ი-ა „გადაახდევინა“, მუ-ა-კვლ-ი-ა // მუ-ა-კვლ-ი-ა „მოაკვლევინა“... ანუ: როგორც -ევ (მაგალითად ხევსურულში), ასევე -ევ-ებ → -ივ-ებ → -ი-ებ (გურულში) II სერიის ფორმებში წარმოდგენილია -ივ → -ი სახით:

	კიდლო	ხევსურული	გურული
I სერია		ა-თქმ-ევ-ს	ა-თქმ-ი-ეფ-ს
II სერია		ა-თქმ-ი-ა	ა-თქმ-ი-ა

ღირსსაცნობია, რომ ერთსა და იმავე დიალექტში შესაძლოა დაჩნდეს კაუზატივის პარალელური ფორმები: ა-კმ-ი-ეფ-ს // ა-კმ-ოვ-ი-ეფ-ს, ასმ-ი-ეფ-ს // ა-სმ-ოვ-ი-ეფ-ს (გურულში...).

გ) დასავლური დიალექტების ერთ ნაწილში დაჩნდება კაუზატივის სპეციფიკური ფორმები. იგულისხმება ის ზმნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, კაუზატივს -ევ სუფიქსით იწარმოებენ: ა-კმ-ევ-ს, ა-სმ-ევ-ს, ა-ცმ-ევ-ს... გურულში, ლუჩხუმურში, იმერულის ზოგიერთ თქმაში იცვლება თვით ფუძის გახმოვანება: ა-კუმ-ს „აკუმევს“, ა-სუმ-ს „ასუმევს“, ა-ცუმ-ს „აცუმევს“; ამავე პრინციპითაა ნაწარმოები ა-თქუმ-ს „არქუმევს“. როგორც ვხედავთ, კაუზატივის სუფიქსები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება. იგარაუდება: *ა-სუმ-ამ-ს → *ა-სომ-ს (შუა → ო შენაცვლების საფუძველზე) → ა-სუმ-ს (მ ბილაბიალური თანხმოვნის გავლენით); ასევე: *ა-ცუმ-ამ-ს → *ა-ცომ-ს → ა-ცუმ-ს; ხოლო ა-კუმ-ს და მისთანა ფორმები ანალოგიით იღებენ ამავე გახმოვანებას. II სერიაში (აორისტში) გვაქვს: ა-სვ-ა, ჩა-ა-ცვ-ა, ა-კამ-ა, რომელთა პარალელურად შესაძლოა დაჩნდეს ა-სმ-ევ-ს, ა-ცმ-ევ-ს, ა-კმ-ევ-ს ზმნათა შესატყვისი ფორმები: ა-სმ-ი-ა, ჩა-ა-ცმ-ი-ა, ა-კმ-ი-ა.

შენიშვნა: როგორც ითქვა, ერთსა და იმავე დიალექტში ხშირად დასტურდება პარალელური წარმოების ფორმები: ა-კუმ-ს // ა-კმ-ი-ეფ-ს // ა-კმ-ოვ-ი-ეფ-ს... მაგრამ არცთუ იშვიათად ამ ფორმათა შორის სემანტიკური სხვაობა დაჩნდება: ა-კუმ-ს ნიშნავს „აკუმევს“, ხოლო ა-კმ-ი-ეფ-ს // ა-კმ-ოვ-ი-ეფ-ს კი — „აკმევიწიება“ (ნიმუშები გურული დიალექტიდანაა დასახელებული).

4.15. ხახელ ზმნური -ილ და -ულ სუფიქსების განაწილება. -ილ და -ულ დაჩნდება როგორც მასდარებში (წუხ-ილ-ი, ყივ-ილ-ი... სი-ხარ-ულ-ი, სი-არ-ულ-ი...), ასევე მიმღობებში (და-წერ-ილ-ი, გა-ზრდ-ილ-ი... და-ბურ-ულ-ი, გა-კეთებ-ულ-ი...). ჩვეულებრივ, მათი განაწილება მკაცრი კანონზომიერებით ხდება. მაგალითად, მიმღობებში -ილ წარმოდგენილია უთემისნიშნო და აგრეთვე -ობ, -ი თემისნიშნო ზმნებთან (და-წერ-ილ-ი, და-პ-ობ-ილ-ი, გა-ზრდ-ილ-ი), -ულ კი -ებ, -ემ, -ამ, -ავ, -ევ თემისნიშნო ზმნებთან (გა-კეთებ-ულ-ი, და-ც-ემ-ულ-ი, და-სხ-მ-ულ-ი, და-ხატ-ულ-ი, და-ბნ-ე-ულ-ი).

ამასთანავე დიალექტებში დასტურდება შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე პოზიციაში მონაცვლეობს -ილ და -ულ, ხოლო მონაცვლეობა ფონეტიკურად არის შეპირობებული: ყივ-ილ-ი // ყიულ-ი (ქართლური, ფშაური...), ლოცვ-ილ-ობ-ს // ლოც-ულ-ობ-ს (იმერული), და-ხერ-ე-ილ-ი // და-ხერ-ულ-ი, გა-ტუს-ვ-ილ-ი // გა-ტუს-ულ-ი (ხევსურული) და მისთ.

ამდენად, -ვ-ილ → -ულ (ვი → უ შენაცვლების საფუძველზე).

ამის კვლობაზე, -ულ გა-კეთ-ებ-ულ-ი რიგის ფორმებში და -ულ ლოც-ულ-ობ-ს ტიპის ფორმებში ამეამად სხვადასხვა მონაცემებია (თუმცა ისტორიულად არ გამოირიცხება, რომ -ულ ყველა შემთხვევაში იყოს -ილ სუფიქსისაგან მიღებული ფონეტიკური ცვლილების შედეგად).

4.16. მეშველი ზმნების ფონეტიკური ნაირსახეობანი.

არ-ს // არი-ს მეშველი ზმნა რამდენიმე ფონეტიკური ნაირსახეობით დაჩნდება:

არს → -ა: ყოფილ-არს → ყოფილ-ა. საერთო-ქართული მოვლენაა.

არს → -ახ: ყოფილ-არს → ყოფილ-ას (ხევსურული).

არს → -ხ: ლამემ-არს → ლამემ-ს, ჟაფამ-არს → ჟაფამ-ს „ძნელია, ჯაფაა“ (ინგილოური).

არის → -რი: დღე არის → დღე-რი, სხვა არის → სხო-რი (ფერეიდნული).

შენიშვნა 1: მეშველი ზმნა შესაძლოა მთლიანად დაიკარგოს, რის საკომპენსაციოდ წინამავალ ხმოვანს მახვილი მოუდის: „თუ კაცები-ას სახლი, საარაყეს ჩაყენებენ, თუ ობოლ-ობოლქერიიერ (-ობოლ-ობოლქერი-ვი-ას), თუნდა პურსა ნუ აკმევს“ (ხევსურული), „ეე სახლ მჭზჭ ლრფი სახლ“ (-სახლია; ინგილოური).

შენიშვნა 2: I და II პირის ფორმებში (ვ-არ, ხ-არ) მეშველი ზმნა, ჩვეულებრივ, ფონეტიკურად არ იცვლება. გამონაკლისს კმნის ხევსურული, სადაც პირაქეთულ-არხოტულში დამოწმებულია ვარ → ორ, ხოლო შატილურ-მიღმახეურში: ვ-არ-ი, ხ-არ-ი.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტსა და კილოკავში (გურულში, ქვემოიმერულში) ფონეტიკური ნაირსახეობით არის წარმოდგენილი არი-ხ მეშველი ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმაც: დგალ-არიან/დგა-ლარიენ „დგანან“, ეჩხუბებ-ლარიან/-ლარიენ „ეჩხუბებიან“, მოუტაცებ-ლარიან/-ლარიენ „მოუტაცები-ათ“ და მისთ. -ლარიან/-ლარიენ მიღებულია ანალოგიის საფუძველზე: წასულ-არიან, დამდგარ-არიან → დამდგალ-არიან (რ-რ → ლ-რ დისიმილაციით); -ლ-არიან (ფუძისეულ ლ + მეშველი ზმნა გაიგება ერთიან ფორმანტად: დამდგალ-არიან // დამდგარ-ლარიან. რაც შეეხება -ან/-ენ პირის ნიშანთა მონაცვლეობას, აქ საქმე გვაქვს მორფოლოგიურ ანალოგიასთან: ზოგ დასავლურ დიალექტში მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანთაგან ყველა პოზიციაში დაჩნდება -ენ: მღერი-ენ „მღერიან“, იმღერი-ენ „იმღერეს“ და ა.შ.

არ-ან → -არია დაჩნდება ზოგ შემთხვევაში გადააზრიანების საფუძველზე: ეილ-არიან (ისინი) „სხედან“ → ეილ-არია (ის) „ზის“... (გურული, ქვემოიმერული).

აქვ-ს მეშველი ზმნის მორფოლოგიური და ფონეტიკური ვარიანტები სქემაზე ასეთი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

აქვს →	აქვ-ი-ს
	აქუ-ს → - აქუ
	აქვ → აქ

მსგავსი ვითარებაა ჰ-ყავ-ს მეშველი ზმნის დიალექტური ვარიანტების თვალსაზრისითაც:

ჰყავს →	ჰ-ყავ-ი-ს
	ჰ-ყავ → მ-ყავ → ყავ
	ხავ-ს

აქვ-ი-ს, ჰ-ყავ-ი-ს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში დასტურდება (ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში...), მიღებულია მორფოლოგიური ანალოგიის საფუძველზე; შდრ.: ე-შინ-ი-ს, ი-ნან-ი-ს... და ამის კვალობაზე: ა-ქვ-ი-ს, ჰ-ყავ-ი-ს, აგრეთვე: მი-ვალ-ი-ს და მისთ.

აქუ-ს // აქ-უ ასევე მთის დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი: საქმე გვაქვს ე//უ → უ შენაცვლებათან თანხმოვნებს ან თანხმოვანსა და პაუზას შორის პოზიციაში.

აქვ-ს → აქვ → აქ, ჰ-ყავ-ს → ჰ-ყავ/ყავ მიიღება ბოლოკიდურა თანხმოვნების მოკვეციტ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დიალექტების ერთი ნაწილისათვის (იხ. ქართლური, კახური... დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები).

ჰ-ყავ-ს → მ-ყავ-ს, აგრეთვე: მჰ-ყავ-ს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში დაჩნდება როგორც ჰ-ს დასუსტების შედეგი.

ჰ-ყავ-ს → ხავ-ს (აგრეთვე: ხავდა „ჰყავდა“, ხოლო „ჰყოლია“) შეინიშნება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (ლეჩხუმურში, ქვემოიმერულში, გურულში...); ყ → ხ პროგრესული ასიმილაციის შედეგია (ჰ აფშვინიერებს მომდევნო ყრუ მკვეთრ თანხმოვანს).

მრავლობით რიცხვშიც დაჩნდება როგორც მორფოლოგიური, ასევე ფონეტიკური ვარიანტები.

ა-ქვ-ან, ჰ-ყავ-ან-ან აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში გამოხატავენ სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობას: მას // მათ და-ნ-ი (==დები) ჰ-ყავ-ან-ან, იარალ-ნ-ი ა-ქვ-ან...

ა-ჭვ-ან/-ენ, ზ-ყავ-ან/-ენ ფორმებით დასავლეთ საქართველოს დიალექტებში გამოიხატება მიცემითი დასმული სახელის მრავლობითობა: მათ აჭვ-ენ „აჭვთ“, ხავ-ენ „ჰყავთ“...

პ-ყვ-ან-ან ზოგ დიალექტში (ფშაურში...) ბოლოკიდურა -ან ელემენტს (პირის ნიშანს) იკვეცს: პ-ყვ-ან (შდრ.: დგ-ან-ან → დგ-ან, წვ-ან-ან → წვ-ან...).

ხდებ-ა → ხთებ-ა პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე (დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის).

ბიბლიოგრაფია

- ა. არაბული, მახვილი ხეესურულ დიალექტში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები (ქესს), V. თბ., 1981
- ბ. ალაფიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები. II. ქუთაისი. 1941
- შ. აფრიდონიძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა საერთო ფუნქციონისათვის: ქართულში თსუ ახალ-გაზრდა მეცნიერ-მეუშაკთა შრომები. ტ. 3 - 4 თბ., 1974
- გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. I. თბ., 1938
- გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ., 1953
- გ. ახვლედიანი, შენიშენა "გაგარები. ვარე"-ს შესახებ: ჩვენი მეცნიერება. №6-7. ტფილ-ისი. 1923
- გ. ბერიძე, ქართული ენის ჯგავხური კილო. თბ., 1988
- გ. ბერიძე, ჯგავხური დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1981
- მ. ბერიძე, ქართული ენის მესხური დიალექტის ფონეტიკის საკითხები. თბ., 1982 (სადიპლომი ნაშრომი)
- ბ. გაბუერი, ხეესურული მასალები. პროფ. ა. შანიძის რედაქციით: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. I-II. ტფილისი. 1923-1924
- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბ., 1965
- შ. გაფრინდაშვილი, სისინა და შიშინა სპირანტების წარმოების თავისებურებისათვის: იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). ტ. XI. თბ., 1959
- შ. გაფრინდაშვილი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერულ-კავკასიურ ენაში: საქ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. V (XII) სამეცნ. სესია. 1955
- შ. გაფრინდაშვილი, საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგეარობის საკითხი ქართულში იკე. XII. თბ., 1960
- შ. გაფრინდაშვილი, ფონემათა დიფერენციალური ნიშნების სამწვეროვანი კლასიფიკაციისათვის: მეტყველების ანალიზის საკითხები. თბ., 1969
- პ. გამყრელიძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1976
- პ. გამყრელიძე, იმერული დიალექტის ხანურ-სიკანური მეტყველება: იკე VIII. თბ., 1956
- გ. გოგოლაშვილი, მორფიკათა მოგანაზე წარმოქმნილ ხმოვანთკომპლექსთა შესახებ თანამკვიდროვე ქართულში იკე. XXVI. თბ., 1987.
- გ. გოგოლაშვილი, სახელთა ფუქსიულის ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირების ზოგ

საკიბი ქართულში: ქქს, ტ. V, 1981

- გ. გოგოლაშვილი, ხმნისწინისეულ ხმოვანთა ცეღასიან დაკვეწირებულთა ხოჭთა საკიბი დიალექტებში: სმამ, ტ. 75, №3, 1974
- გ. გოგოლაშვილი, სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, თბ., 1975
- გ. გოგოლაშვილი, ენბთთი გენარის ნასახელთორ ხმნათა საყრდენთი ფურის შესახებ ქართულში: თსუ შრომები, ტ. 187, თბ., 1987
- გ. გოგოლაშვილი, აე ელემენტთან მედიაქტიურ ხმნათა შესახებ ქართულში: ნარკვევებთი თბერთულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980
- გ. დიასამიძე, ტოპონიმთა ენობრივი თავისებურებანთი ქედის რაიონის მასალებთის მიხედეთთა სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, IX, ბათუმი, 1978
- გ. დოლიძე, თანხმუნებთი ქართულ ენაში (ექსპერიმენტული გამოკვლევა), თბ., 1954 (საკანდიდატო დისერტაცია)
- გ. დოზანაშვილი, ორი მოთხრობა, თბილისი, 1984
- ფ. ერთელიშვილი, ხმნური ფუძეებთის ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970
- ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1980
- თ. ზურაბიშვილი, მერცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყვთის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972
- თ. ზურაბიშვილი, ეფთატიკური - ახალ ქართულში, სახელთის ბრუნებთის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956
- ფ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირებანთი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, თბ., 1979
- ფ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტებთის შესწავლთის მდგომარეობა და ამოცანებთ: ქქს, III თბ., 1963
- ფ. თოფურია, ნ და ს ბერებთისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (სმამ), II, (1,2), თბ., 1941
- ფ. თოფურია, მთარატელთის დახასიათებთისათვის: ქქს II, თბ., 1961
- ფ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში იკვ. I, თბ., 1946
- გ. იმნაიშვილი, ხმოვანთა დაკარგვა ქართული ენის ზოგიერთ კვლოში იკვ. XIII, თბ., 1962
- გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური კვლოთის დიალექტის თავისებურებანთი, თბ., 1966
- გ. იმნაიშვილი, ინგილოური ბგერათი შედგენილობა, ქქს, III, თბ., 1963
- გ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, თბ., 1974
- გ. იმნაიშვილი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთ თავისებური მოვლენის შესახებ, მაცნე, 6(31), თბ., 1966
- ლ. კაიშაური, მთარელურის დარეობლთი დექსიკა, თბ., 1967
- ლ. კაიშაური, მთარელური ტექსტები, თბ., 1978

- ბ. კაკობაძე, ქართული ენის დიქსიონური დიალექტი (რაჭულეთისა და იმერულიანის მიხარობებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1978
- ო. კახაძე, თურქულის იაკისებურება, იკე, VI, თბ., 1954
- ო. კახაძე, სპილენძის ადამიანთა სოციალური საკითხის საფუძველზე ქართული ენის, იკე-ს წიგნიწიგნული, VIII, თბ., 1984
- მ. კოტონიშვილი, — ელექსივის ერთი ფუნქციონირების ინტელექტური დიალექტის კატორ კლასიკური საქანამქანური ძეგლი, თბ., 1983
- მ. კობაძე, მთავალურის სოციალური საკითხებზე (სადისერტაციო ნაშრომი), 1990
- ბ. კუბლაშვილი, ძრუთადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დიალექტურ კლასიკურ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959
- ბ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოთქმული დიალექტი, თბ., 1985
- ბ. კუბლაშვილი, დიქსიონარი-საკანდიდატო აკადემიური, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959
- რ. ლანდია, ერთი ფონეტიკური მოვლენისაგან გლოლურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის აპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1985
- ქ. ლომთათიძე, ნაშთები III პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში: სბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბ., 1938
- ქ. ლომთათიძე, დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება სოც ქართულ დიალექტში, იკე, I, თბ., 1946
- ქ. ლომთათიძე, პოსტკლასიკური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში, იკე-ს წიგნიწიგნული XIII, თბ., 1986
- ქ. ლომთათიძე, კომპლექსური სიმდინარე ბილაბიალური ხშულები ქართული ენებში, თბ., 1984
- ე. მანსურაძე, ძრუთადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში: გორის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1942
- ა. მარტროსოვი, გ. ინანიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
- ა. მარტროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის; ა. პუშკინის სახ. სბილისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1950.
- ა. მარტროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984
- ა. მარტროსოვი, დიალექტისებები XV-XVIII სს. კახური ისტ. საბუთებში; იკე, IV, თბ., 1953
- ა. მარტროსოვი, სიერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954
- გ. მაჭავარიანი, სიერო ქართული კონსონანტური სისტემა, თბ., 1965
- მ. მაჭავარიანი, ფერულანულის სოციალური საკითხებზე, იკე, XXII, თბ., 1985
- ე. მელიქიშვილი, სიერო ენის მიხარობისათვის ენათმეცნიერებაში, თბ., 1976
- შ. ნივარაძე, ქართული ენის სიერო-კახური დიალექტი, ბათუმი, 1961

- შ. ნივარაძე, აჭარული დიალექტი. ბათუმი, 1975
- ლ. ნოზაძე, სექსუალური სწავლა წარჩინების 'ხოჯი საკათის ქართულში', იკვ. XIX, თბ. 1974
- ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტური მასალები, იკვ. XVII, თბ. 1970
- ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად. ნარკვევები და სანაწერები II: დიალექტოლოგიის საკითხები. ბათუმი, 1972
- ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კვლის თავისებურებანი, ნარკვევები და სანაწერები II: დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972
- ს. ფლენტო, გურული კვლი. ტფი. 1936
- ს. ფლენტო, ქართული ენის რიტმი, კულ-მელოდიკური სტრუქტურა. თბ. 1963
- ს. ფლენტო, ქართული ხაღხური სიმღერების ენისა და დიალექტური მეტყველების ურთიერთობისათვის ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ. 1965
- გ. როგავა, ქართული ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ. 1962
- გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, II, თბ. 1984
- გ. როგავა, ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემოდალურსა და ქართულში, იკვ. II, თბ. 1948
- თ. საღარაძე, ალგეზის ხეობის ქართული, თბ. 1978
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1975
- თ. უთურგაიძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში იკვ. XV, თბ. 1966
- თ. უთურგაიძე, თეზური კვლი, თბ. 1960
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ. 1976
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კვლითა 'ხოჯი თავისებურება', თბ. 1966
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ. 1986
- თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბანიშვილი, ჯ. გოუნაშვილი, დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბ. 1981
- თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბანიშვილი, ჯ. გოუნაშვილი, ფერადნული ტექსტები, იკვ. XXIII, თბ. 1985
- პ. ფოცტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ. 1962
- ბ. ფოჩხუა, თანხმეანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კვლიებში, თსუ შრომები, X, თბ. 1939
- ა. ფოცხიშვილი, მარჯველასადაბის -ა ახალქართული: კრებული მიძღვნილი კ. კეკელიძის 80 წლისთავისადმი, თბ. 1959
- ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხურო დიალექტი, თბ. 1946
- ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს), I, თბ. 1964
- ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხურო დიალექტი, თბ. 1985
- ი. ქავთარაძე, მოხურო კვლი ვაზბეგის ენაში, თსუ შრომები, XXXV-B, თბ. 1949
- ქართული ენის განმარტებითა დიქსიონარი, ტ. I, 1950- ტ. VIII, 1964.
- მ. ქაღდანო, სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ. 1969
- ო. ქავთარაძე, მოხურო დიალექტი, თბ. 1953 (საკანდიდატო დისერტაცია)
- ი. ქობულაძე, ფონეტიკის ცნება ენათმეცნიერებაში, თბ. 1976

- რ. ლაშბაშიძე, ინგლისური კალი (ტიქსტები), ასუ შრომები, XXX-XXXI-ბ, თბ., 1945
- აღლ. ლლონტი, ნ-ს პროცესები დიარბულში: ფილოლოგიის ჩანაწერები, თბ., 1980
- აღლ. ლლონტი, კრებული ა-ს საკითხისათვის ქართულურში: ფილოლოგიის ჩანაწერები, თბ., 1980
- ი. ყოფშიძე, ასამილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფ., I, ტფ., 1919-1920
- გ. შალამაძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მიტყველების მიხედვით, იკვ. VII, თბ., 1955
- ა. შანიძე - ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, თბზ, ტ. II, თბ., 1982
- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973
- ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნებში, თბზ, ტ. II, თბ., 1981
- ა. შანიძე, ნაშთები III პირის ობიექტური პრეფიქსების ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თბზ, ტ. II, თბ., 1982
- ა. შანიძე, პემეტა ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის შოამბე, III, ტფ., 1923
- არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, ტფ., 1925
- არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, თსუ შოამბე, IV, ტფ., 1924
- არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952
- არნ. ჩიქობავა, ენის რეფლექსები ფერეიდნულში: ჩეენი მეცნიერება, №2-3, თბ., 1923
- არნ. ჩიქობავა, მთიულური თავისებურებანი: ენმკის შოამბე, II (1), ტფ., 1937
- არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოამბე, ტ. VII, ტფ., 1927
- არნ. ჩიქობავა, მახულის საკითხისათვის ძველ ქართულში, I-II, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შოამბე, ტ. III, №2-3, თბ., 1942
- არნ. ჩიქობავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძველსა ჩეენებში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966
- არნ. ჩიქობავა, იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
- არნ. ჩიქობავა, 'სოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბ., 1945
- არნ. ჩიქობავა, ქართული ენის 'სოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებისათვის ლექსიკონი, I, თბ., 1950
- გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978
- შ. ძიძიგური, ხსოვნისათვის კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერსო საფუძველი ქართულ კლოებსა და ზანურში, იკვ. I, 1946
- შ. ძიძიგური, ხსოვნისათვის კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერსო საფუძველი ქართულ კლოებსა და ზანურში, იკვ. I, 1946
- შ. ძიძიგური, რაკული დიალექტი: ქართული დიალექტოლოგიური ძიუბანი, თბ., 1970
- შ. ძიძიგური, კრასტიკულ მთელნათა ტენდენციები გურულში, იკვ. IX-X, თბ., 1958

- ქ. ბოჭენიძე, უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნაბიჯი "სემიოტიკურულ კლასიკეში", სპ. XIX, თბ., 1964
- ქ. ბოჭენიძე, "სემიოტიკურული კლასიკის ენობრივი მნიშვნელობა და ტექსტურობა", თბ., 1974
- ა. ჭინჭარაული, სემიოტიკის საფუძვლები, თბ., 1960
- მ. ხუბუაძე, "სემიოტიკის ენობრივი მნიშვნელობა", ბათუმი, 1932
- პ. ჯაფარიძე, გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხები, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXXI, ქუთაისი, 1968
- ზ. ჯაფარიძე, ენის ფონეტიკური შედგენილობის დადგენისათვის: კრებული - აარბ. ნიქობაძეს", თბ., 1979
- Бодуэн де Куртене И.А., Избранные труды по общему языкознанию, М., 1963
- Будагов Р.А., Из истории языкознания, М. 1954
- Маслов Ю.С., Введение в языкознание, М., 1975
- Панов М.В., Русская фонетика, М., 1967
- Реформатский А.А., Проблема фонемы в американской лингвистике: Из истории отечественной фонологии, М. 1970
- Реформатский А.А., Из истории отечественной фонологии: Из истории отечественной фонологии, М. 1970
- Реформатский А.А., Введение в языкознание, М., 1960
- Трубецкой Н.С. Основы фонологии, М., 1960
- Щерба Л.В., Языковая система и речевая деятельность, Л., 1974
- Jines D., The phoneme: its nature and use, Cambridge 1950
- Martinet A., Un ou deux phonemes AL, 1939, V.1, N2
- Martinet A., Structural linguistics: "Anthropology today", 1953

სარჩევი

თავი I - ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა	5
1.1. ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა	5
1.2. ფონემა და მისი ბგერითი ნაირსახეობანი	5
1.3. ხმოვნათა სისტემა ქართული ენის დიალექტებში	21
1.4. ხმოვან ფონემათა ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში	24
1.5. მოკლე ხმოვანი ქართული ენის დიალექტებში	25
1.6. გრძელი ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	26
1.7. უმლაუტანი ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	34
1.8. ნასალიზებული ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	42
1.9. ფშვინვიური შემართვისა და დამართვის ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	47
1.10 მკეყარი (ძლიერი) შემართვისა და დამართვის ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	48
1.11. ორაცოუნალური ხმოვანი () ქართული ენის დიალექტებში	51
1.12 ნასესხები ხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	53
1.13. თანხმოვნათა სისტემა ქართული ენის დიალექტებში	53
1.14. ე ფონემა ქართული ენის დიალექტებში	64
1.15 ჟ ბგერა ქართული ენის დიალექტებში	66
1.16. ლ ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში	66
1.17. გუგინიზებული თანხმოვნები ქართული ენის დიალექტებში	68
1.18. რ. ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში	69
1.19 ხ ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში	69
1.20 დ ფონემის ბგერითი ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში	70
1.21. ე ბგერა ქართული ენის დიალექტებში	70

1.22. "ნახევარხმოვნები" ქართული ენის დიალექტებში	70
1.23. ძ ბგერა ქართული ენის დიალექტებში	70
1.24. ჟ ბგერა ქართული ენის დიალექტებში	80
1.25. დიფთონგები ქართული ენის დიალექტებში	86

თავი II. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ქართული ენის დიალექტებში

2.1. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების შესწავლის საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში	97
2.2. ქართული ენის დიალექტებში ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების სოგადი კანონზომიერებანი	104
2.3. ნებისმიერი ფონეტიკური ცვლილებისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება პოსტციას	106
2.4. ერსი და იგივე კომპლექსი სხვადასხვა დიალექტში (კილოკავში) ფონეტიკური ცვლილებისას შესაძლოა სხვადასხვა შედეგს იძლეოდეს	107
2.5. ფონეტიკურ ცვლილებებზე გაელენას ახდენს კომპლექსში შემავალი ხმოვნების ფიზიოლოგიური მახასიათებლები	108
2.6. ხმოვანთა ურთიერთობა მანძილის მიხედვით	108
2.7. ზოგი ფონეტიკური ცვლილება დაჩნდება მხოლოდ რომელიმე დიალექტში ან დიალექტების განსაზღვრულ წრეში	109
2.8. ფონეტიკურ პროცესთა შესაუდვა მორფოლოგიური ფაქტორებით	111
2.9. ფონეტიკურ პროცესს არეგულირებს სემანტიკა	112
2.10. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების რეგულაციას ახდენს ზესეგმენტური მონაცემი- მახვილი	113
2.11. ყოველი ფონეტიკური ცვლილება- როგორც ერსიანი პროცესი	113
2.12. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილების სახეები	116
2.13. ასიმილაცია და დისიმილაცია ლოკალური რიგისა და დიაბისის მიხედვით	116
2.14. ხმოვანთა სპონტანური შენაცვლება	118
2.15. ხმოვანი- თანხმოვანთა მსგავსება	121
2.16. ხმოვანთა რედუქცია	126
2.17. ხმოვანთა მეტათეზისი	141
2.18. კომპლექსში ხმოვანთა თანხმდევრობისათვის	142
2.19. ასიმილაციისა და დისიმილაციის სახეობანი	147

2.2(1). ხმისკანთა დაევიწროება-გაფართოება	148
2.21. ხმისკანთა მაქსიმალური დაახლოება-დაცილება	149
2.22. ფონეტიკური პროცესები ორი სიტყვის 'ზღვარ'ზე	149
2.23. თვისებრივი (სისტემატური) და რაოდენობრივი (სპორადული) ფონეტიკური ცვლილებანი	149
2.24. ხმისკანთა კომპლექსების პირველადობა მეორადობის საკითხი	150
2.25. რაოდენობრივი ხმისკანთა ფონეტიკური ცვლილებები	152
2.26. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებას იწვევს თანხმოვანი	154
2.27. ხმოვანი თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილების გამომწვევი	167
2.28. ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებანი ქართული ენის დიალექტებში	174
2.29. ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებათა ზოგადი დახასიათება	265
2.30. ხმოვანთა ფონეტიკური ვარიანტების კორელაცია ქართული ენის დიალექტებში	279
თავი III. თანხმოვანთა ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დიალექტებში	
3.1. თანხმოვანთა სქემატური განაწილება ქართულში	294
3.2. თანხმოვანთა ცვლილებებისა და მარკერთა შენაცვლების კანონზომიერებანი	297
3.3. სადიფერენციაციო ნიშანთა ფარდობითობის პრინციპი	300
3.4. თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებანი კონტრასტის პრინციპის მიხედვით	304
3.5. კომპენსაციის პრინციპი	310
3.6. ერთი და იმავე კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებათა შესაძლო ნაირსახეობანი	
3.7. ერთი და იმავე კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებათა დიალექტური ნაირსახეობანი	315
3.8. ერთი და იმავე კომპლექსების ფონეტიკური ცვლილებათა პოზიციური ნაირსახეობანი	316
3.9. კომპლექსთა წარმოქმნის მიხედვით ფონეტიკური ცვლილებათა რეკურსია	318

3.10. თანხმობის ან კომპლექსური ცვლილებისას ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტორების ურთიერთმიმართებისას	319
3.11. თანხმობის ან კომპლექსური ცვლილებისას ფონეტიკური და ლექსიკური ფაქტორების ურთიერთმიმართებისას	336
3.12. თანხმობის ან ცვლილებისას ხშულობა (აფრიკატთა), ნაპრალოვანთა და სონანტთა კორელაციისას	337
3.13. თანხმობისა შექცევადი და შეუქცევადი მონაცვლეობა	341
3.14. საზიარო კორელაციები	346
3.15. თანხმობისა ფონეტიკური კორელაციების ზოგადი მამოხილება	347
3.16. შეპარობებული და სპონტანური ცვლილებანი	384
3.17. ორშემადგენლიანი თანხმობის კომპლექსები ქართული ენის დიალექტებში	391
3.18. სამშემადგენლიანი თანხმობის კომპლექსები ქართული ენის დიალექტებში	418
3.19. ოთხშემადგენლიანი თანხმობის კომპლექსები ქართული ენის დიალექტებში	424
3.20. ხუთ და ექვსშემადგენლიანი თანხმობის კომპლექსები ქართული ენის დიალექტებში	426
3.21. თანხმობის კომპლექსებში ფონემათა განაწილების კანონზომიერებანი	427
3.22. მყარი კომპლექსები ქართულში	430
3.23. მყარ კომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებები	436
3.24. პირველადი და მეორეული თანხმობის კომპლექსები	440
3.25. თანხმობისა კონტაქტური და დისტანციური შეხამება	444
3.26. თანხმობის კომპლექსებში ბგერათშეხამების წესები	445
3.27. თანხმობის კომპლექსთა სუპერაციის ზოგადი დახასიათება	453
3.28. თანხმობისა ცვლილება რაგვარობის მიხედვით	455
3.29. თანხმობისა ცვლილება ლოკალური რიგის მიხედვით	456
3.30. თანხმობისა მონაცვლეობა მულერობა-სიყრუის მიხედვით	458
3.31. თანხმობის კომპლექსების შესაძლო ცვლილებათა კრებსითი სქემა	462
3.32. თანხმობისა გლობალური და ლოკალური ფონეტიკური ცვლილებები	466
3.33. თანხმობისა ასიმეტრიული ქართული ენის დიალექტებში	467

3.34. თანხმობენათა დისკიმინაცია ქართული ენის დიალექტებში	475
3.35. აფრიკატიზაცია ქართული ენის დიალექტებში	478
3.36. დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის დიალექტებში	483
3.37. თანხმობენათა ნაწილიზაცია ქართული ენის დიალექტებში	485
3.38. თანხმობენათა პლატალოზაცია და ევლარიზაცია ქართული ენის დიალექტებში	488
3.39 კონტამინაცია ქართული ენის დიალექტებში	489
3.40. შეტათიზისი ქართული ენის დიალექტებში	491
3.41. თანხმობენათ განვითარება და დაკარგვა ქართული ენის დიალექტებში	496
3.42. თანხმობენათ განვითარება ქართული ენის დიალექტებში	499
3.43. თანხმობენათა დაკარგვა ქართული ენის დიალექტებში	516
3.44 ხმოვნისა და თანხმოვნის შენაცვლებისასათვის ქართული ენის დიალექტებში	532
3.45. თანხმობენათა ფონეტიკური ცვლილებები ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით	536
3.46. ზოგადი თვალსაზრისისათვის	541

თავი IV. მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში

4.1. მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი ქართული ენის დიალექტებში	544
4.2. ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი	544
4.3. თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობანი	562
4.4. ნაწილაკ-მორფემიოდსა ფონეტიკური ნაირსახეობანი	578
4.5. მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნების ფონეტიკური ნაირსახეობანი	594
4.6. სიტყვათაწარმოებისა (დერევიაციული) მორფემების ფონეტიკური ნაირსახეობანი	600
4.7. სახელთა მრავლობისა რიცხვის მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი	608
4.8. ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობანი	610
4.9. პირის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი	624
4.10. ზმნის ხმოვანი პრეფიქსების ფონეტიკური ნაირსახეობანი	639
4.11. თემის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობანი	641

4.12. მწკრივის (ნაკვეთის) ნიშანისა ფონეტიკური ნაირსახეობანი	649
4.13. ზმნის ფუძის მაწარმოებელ ფორმანტისა ფონეტიკური ნაირსახეობანი	653
4.14. კაუზატივის მაწარმოებელთა ფონეტიკური ნაირსახეობანი	654
4.15. სახელზმნური -ილ და -ულ სუფიქსების განაწილება	658
4.16. მეშველი ზმნების ფონეტიკური ნაირსახეობანი	659
ბიბლიოგრაფია	662

გეჭღვისას შვეჩნულ შუსდომათა განნორება

გვერდი	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზევიდან	ქვევიდან		
10	18		სიურუე	სიურუის
12		15	აგრამ	მაგრამ
		14	ღარღ-ის	ცარღ-ის
17		10	ჲ დე დი.	ჲ ცე ცი
		4	→ ისევე	→ ისევე
18	3		უ	უ (უ უ უ)
34	16		ეჲ	ეჲ
		6	პლატელაზაციით	პლატელიზაციით
35	4		ვი/ჲ	ვი/ჲი
50		14	უამჲ	ეამჲ
81		5	ღაბამ	ღაბამ
94		2	ღაბან	ღაბან
254		11	დაკეშირებით	დაკეშირებით
278		4	გათხოვა	გათხოვა
298		6	აკეთებმ	აკეთემს
307	16		წყვილბაგისმიტერი	წყვილბაგისმიერი
332	10		მორფოლოგიურ	მორფოლოგიურ

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებაზე გამოცემა:

- ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995, 80 გვ.
- ბ. ჯორბენაძე, ქართულენოვანი ენის დიალექტები, თბ., 1995, 448 გვ.
- ი. ჯავახიშვილი, საქართუელის სახლურები (რუკებიანთა), თბ., 1996, 48 გვ.
- ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997, 204 გვ.
- გ. გოგოლაშვილი, ფიქრები დედანაზე, თბ., 1997, 88 გვ.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბ., 1998, 674 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995, 180 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996, 325 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997.

აბიჭურიანის ბიბლიოთეკით

- ლ. გეგუაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1997, 52 გვ.
- ი. ჭავჭავაძე, ლექსები (განხილვისათვის), თბ., 1997, 44 გვ.
- გ. ლეონიძე, ლექსები (განხილვისათვის), თბ., 1997, 24 გვ.
- ვაჟა-ფშაველა, ლექსები (განხილვისათვის), თბ., 1997, 30 გვ.
- ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიალი დედაკაცი, ტრაგედია უგმირით (განხილვისათვის), თბ., 1997, 36 გვ.
- თვანე საბანის ძე აბოს წამება, თბ., 1997, 80 გვ.
- ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები (განხილვისათვის), თბ., 1998

ყოველთვიური გაზეთი „ზურჯი ეროვნებისა“ (პირველი ნომერი გამოვიდა 1995 წლის ივნისში, 29-ე - 1997 წლის დეკემბერში).

ყოველთვიური უურნალი „ზურჯი ეროვნებისა“ (პირველი ნომერი გამოვიდა 1998 წლის იანვარში).

- ბ. ჯორბენაძის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994
- ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995
- ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996
- ბ. ჯორბენაძის საზოგადოების IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1997